ზურაბ სარჯველაძე

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი

დამხმარე სახელმძღვანელოდ დაამტკიცა საქართველოს ხსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ

რედაქტორები: პროფ. ალ. ღლონტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ქავთარია

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1984

4Г
81-2Гр
499-962.1—3
ს 298

ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები, ქართული სალიტერატურო ენის დიალექტური საფუძველი, ურთიერთობა მეზობელ უცხო ენებთან, ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები, ქართული სალიტერატურო ენა და სხვა ქართველური ენები, ქართული ენათმეცნიერული აზრის სათავეებთან, ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის პრობლემა და სხვა.

წერილობითი ძეგლების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ნაშრომში არის ცდა, დათარიღდეს ქართული ენის ფონეტიკურ და გრამატიკულ სისტემაში მომხდარი ცვლილებები.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტი ფილოლოგებისათვის, ქართული ენის სპეციალისტთა და, საერთოდ, ქართული ენით დაინტერესებულ პირთათვის.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: დოც. ჰ. თევზაძე,
ფილ. მეცნ. კანდ. ბ. ნინუა.

60602—003
К ——————— რეზ. 92 — 84
М 602(08)—83

©გამომცემლობა „განათლება“, 1984.

წინასიტყვაობა

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია ისწავლება საქართველოს უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ფილოლოგიის (ქართული ენისა და ლიტერატურის) ფაკულტეტებზე. ამ საგნის სათანადოდ სწავლებას დიდად აძნელებს ის გარემოება, რომ სახელმძღვანელო, სამწუხაროდ, არ არსებობს.

წინამდებარე წიგნი შეიქმნა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე. მას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ წლების განმავლობაში წაკითხული ლექციების კურსი ძველ ქართულ ენასა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, აგრეთვე 1975 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები“, რომელიც წარმოადგენდა დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის პირველ ცდას. სასიამოვნოდ მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა ვუძღვნა ყველა სპეციალისტს, ვინც ნაშრომს გამოეხმაურა, განსაკუთრებით კი პროფ. ბ. გიგინეიშვილს, ბ. უტიეს და პროფ. ჰ. ფენრიხს, რომელთა რეცენზიებში გამოთქმულია უაღრესად საყურადღებო შენიშვნები. დიდი მაღლობა ეკუთვნის აგრეთვე ყველა კოლეგას, რომელთა ყურადღება არ მოჰკლებია ავტორს მრავალი წლის განმავლობაში წიგნზე მუშაობისას. განსაკუთრებული მოწიწებით მინდა მოვიხსენიო პროფ. გივი მაჭავარიანი და [illegible] ტოგო გუდავა, რომლებთან ურთიერთობამ დიდად განსაზღვრა ამ წიგნის ხასიათი. მათ ნათელ ხსოვნას ეძღვნება ეს ნაშრომი.

„ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი“ დაწერილია პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის მოქმედი პროგრამის შესაბამისად. ვფიქრობ, იგი გარკვეულად შეამზადებს ამ საგნის სახელმძღვანელოს შექმნასაც.

წინამდებარე ნაშრომი უმთავრესად წერილობითი წყაროების (ხელნაწერები, საისტორიო და იურიდიული ხასიათის დოკუმენტები...) შესწავლის [illegible]ეგებს ემყარება. ამ ძეგლთა მონაცემებს უდიდესი მნიშვნელობა ენ[illegible]ა, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და

მისი განვითარების შესწავლისათვის, მეორე მხრივ, წერილობით წყაროებში გამოვლენილი მასალა ფასდაუდებელია ენის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების მართებულად გადასაწრელად.

უძველესი დროის. ცოცხალი მეტყველების შესასწავლად ერთადერთი წყაროა წერილობით ძეგლებში დადასტურებული მწერალთა (გადამწერთა) შეცდომები, რომლებიც, მართალია, სალიტერატურო ენის ნორმებს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ცოცხალი მეტყველების (ენის) რეალურ ასახვას წარმოადგენენ. ბუნებრივია, რომ სალიტერატურო ენის ძეგლებში ამ ტიპის ფაქტები იშვიათად გვხვდება.

სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის არსებულ წინააღმდეგობას გულისხმობდა ფერდინანდ დე ხოსიური, როცა ამბობდა: „დაწერილობა მალავს ენას“ (იხ. Фердинанд де Соссюр. Труды по языкознанию, М., 1977, გვ. 68).

ნაშრომის ყოველ თავს (ზოგჯერ პარაგრაფსაც) ერთვის გამოყენებული და მითითებული ლიტერატურის სია.

ყველა შენიშვნას, რომლებიც ამ წიგნის მიმართ გამოითქმება. ავტორი შემდგომი მუშაობისას გაითვალისწინებს.

I თავი

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საგანი და წყაროები

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია სწავლობს, როდის და რა პირობებში შეიქმნა ქართული სალიტერატურო ენა, რა გახდა საფუძველი სამწერლობო ენისათვის და როგორ შეიცვალა მისი საყრდენი მეტყველება დროთა ვითარებაში; სალიტერატურო ენის ისტორია ადგენს მიმართებას სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის, გვიჩვენებს, — რა ცვლილებები მოხდა ქართული ენის სისტემაში ისტორიის ჩვენთვის ცნობილ მონაკვეთში და ადგენს ამ ცვლილებათა ქრონოლოგიას.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება წერილობით წყაროებს: წარწერებს, ხელნაწერებსა და საისტორიო-იურიდიული ხასიათის დოკუმენტებს. მათ შემოგვინახეს უტყუარი ცნობები ქართული სალიტერატურო ენის და, საერთოდ, ქართული ენის განვითარების შესახებ.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის სრულად გასათვალისწინებლად აუცილებელია ყველა წერილობითი წყაროს გამოწვლილვით შესწავლა. ამავე დროს საჭიროა, გავმიჯნოთ ენობრივი კანონზომიერების ამსახველი და შემთხვევითი ფაქტები.

მოკლედ დავახასიათებთ ქართული ენის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს (ცხადია, ყურადღებას უმთავრესად უძველეს წყაროებზე გავამახვილებთ).

1. წარწერები

ცნობილმა იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ 1952—1953 წლებში[1] პალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები სამი ქართული წარწერითურთ. მეცნიერები თვლიან, რომ ე. კორბოს ექსპედიციის მიერ აღმო-

[1] უფრო ზუსტად, გათხრები დაიწყო 1952 წლის დეკემბერში და დასრულდა 1953 წლის ივნისში.

ჩენილი ორი წარწერა მიეკუთვნება V საუკუნის I ნახევარს და, ამდენად, დღემდე ჩვენთვის ცნობილ ყველა ქართულ წერილობით ძეგლზე უძველესია. პირველი ნაშრომი ამ აღმოჩენათა შესახებ გამოაქვეყნეს ვირჯილიო კორბომ და მიხეილ თარხნიშვილმა 1953 წელსვე ჟურნალში „La Terra Santa", 1954 წელს ჟურნალში „Bedi Karthlisa (Revue de Karthvélologie" (№ 16) დაიბეჭდა მ. თარხნიშვილის ნაშრომი „Un nouveau monastère géorgien découvert à Bethlehem" („ახლად აღმოჩენილი ქართული მონასტერი ბეთლემში").

სანამ სხვა საკითხებს შეეხებოდეთ, მოკლედ მ. თარხნიშვილისა და ქართველოლოგიური ორგანოს „ბედი ქართლისა" შესახებ.

მ. თარხნიშვილი დაიბადა 1897 წლის 12 იანვარს ახალციხეში. 1911 წლიდან მისი მშობლების ოჯახი სკრაში (ქარელთან ახლოს) ცხოვრობდა. 1913 წელს 16 წლის მიხეილ თარხნიშვილი გაემგზავრა კონსტანტინეპოლში, იქ სწავლობდა კათოლიკურ სასწავლებელში 4 წლის განმავლობაში. შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს გერმანიაში, ეტალში (Ettal). 1919 წელს დაბრუნდა თბილისში, მაგრამ იმავე წლის დეკემბერში წავიდა კონსტანტინეპოლში და ამის შემდეგ იგი ცხოვრობდა საზღვარგარეთ. 1924—1928 წლებში სწავლობდა ვენაში. 1930 წლიდან იგი რომშია. 1933 წელს დაიცვა დისერტაცია. მუშაობდა საფრანგეთში, გერმანიასა და ბელგიაში. საბოლოოდ, იგი რომში დამკვიდრდა. თავისი ცხოვრების მანძილზე მ. თარხნიშვილს მრავალი გაჭირვება განუცდია, მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ზრუნვა ქართული კულტურის შესწავლისათვის. ჩვენი კულტურის ეს დიდი მკვლევარი გარდაიცვალა 1958 წლის 15 ოქტომბერს. მისი გარდაცვალების გამო ნეკროლოგები გამოაქვეყნეს ცნობილმა ორიენტალისტურმა ორგანოებმა. Le Muséon-ის 71-ე ტომში (1958 წელს) დაიბეჭდა ბელგიელი აკადემიკოსის ჟერარ გარიტის სტატია, რომელშიც მაღალი შეფასება ეძღვნება მიხეილ თარხნიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობას. 1959 წელს გამოჩენილმა გერმანელმა ქართველოლოგმა იულიუს ასფალგმა ჟურნალში „ბედი ქართლისა" გამოაქვეყნა წერილი მიხეილ თარხნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

ორიოდე სიტყვა ჟურნალის „ბედი ქართლისა" შესახებ. იგი გამოდის პარიზში. ჟურნალის რედაქტორია კალისტრატე სალია, პროფესორი, პარიზის ლინგვისტური საზოგადოების წევრი, სააზიო საზოგადოების წევრი, სამეცნიერო გამომცემლობათა საერთაშორისო გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტი. ჟურნალის დამაარსებელი და გამომცემელი ნინო სალია არის. ქართული კულტურის ამ უანგარო მოღვაწეებმა ეს სამეცნიერო ორგანო 1948 წელს დააარსეს. უკვე გამოვიდა ჟურნალის 41 ტომი. ამ სამეცნიერო ორგანოს მაღალ ავტორიტეტს ადასტურებს ის, რომ იგი გამოდის სამეცნიერო კვლევა-ძიებათა საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის გრიფით და ისიც, რომ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ (და შედიან) უდიდესი ქართველოლოგები: მ. თარხნიშვილი, ჟ. გარიტი, რ. ლაფონი, ი. მოლითორი, ჟ. დიუმეზილი, ჰ. ფოგტი, ი. ასფალგი, დ. ლანგი, კ. ჰ. შმიდტი, შ. მერსიე, ბ. უტიე (ამჟამად იგი ჟურნალის სწავლული მდივანია), მ. ეიბროჯი და სხვები[1].

1955 წელს იერუსალიმში დაიბეჭდა ვირჯილიო კორბოს წიგნი „Gli scavi d Kh. Siyar el-Ghanam (Campo dee pastori) e i monasteri dee dintorni" („გათხრები ხირბეთ სიიარ ალ-ღანამში („მწყემსთა ველი") და უახლოესი მონასტრები"). ნაშრომის მე-8 თავი მთლიანად ეძღვნება

[1] ჟურნალის რედაქტორი კ. სალია 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

წმინდა თეოდორეს ქართულ მონასტერს „Monastero georgiano di S. Teodoro a Bir-el-Qutt“ (გვ. 113—140). აღსანიშნავია, რომ ამ თავის მესამე პარაგრაფი მ. თარხნიშვილის გამოკვლევაა „Le iscrizioni musive del monastero di Bir-el-Qutt“ (გვ. 135—140). მ. თარხნიშვილმა შეუცდომლად ამოიკითხა წარწერები, თარგმნა ლათინურად და დაურთო ფრიად საინტერესო კომენტარები. ე. კორბოს ექსპედიციის მიერ აღმოჩენილმა ქართულმა ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა უმალვე მიიქციეს ქართველოლოგთა ყურადღება.

მოვიყვანოთ იმ ორი წარწერის ტექსტი, რომლებიც უძველესად მიაჩნიათ:

და ძუძეულნი მათნი ბაკურ და გრი-ორმიზდ და ნაშობნი მათნი, ქრისტე, შეიწყალენ, ამენ.

წმიდაო თეოდორე, მარუან და ბურზენ (შეიწყალ)ენ, ამე(ნ).

ძველი უთარიღო წარწერების დროის განსაზღვრა მეტისმეტად რთული საქმეა. მათ დასათარიღებლად იყენებენ სხვადასხვა კრიტერიუმს: პალეოგრაფიულს (ასოთა მოხაზულობის ტიპურობა ამა თუ იმ ეპოქისათვის), ენობრივს (ცალკეულ სიტყვათა, თუ გრამატიკულ ფორმათა გავრცელებულობა დროის ამა თუ იმ მონაკვეთისათვის), ისტორიულს (წარწერა თარიღდება მასში მოხსენიებული ისტორიულად ცნობილი პირის (პირთა) მიხედვით).

მ. თარხნიშვილმა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ წარწერათა შესწავლაში, პალეოგრაფიული ნიშნებით ისინი VI საუკუნით დაათარიღა, მაგრამ გამოთქვა ძალიან საყურადღებო აზრი ამ წარწერებში მოხსენიებულ პირთა (მარუან და ბურზენ) ვინაობის შესახებ: „ეს სახელები ოდნავ განსხვავებული ფორმით ცნობილი იყო საქართველოში. პეტრე იბერიელის (V ს.) ქართული ცხოვრების მიხედვით, მისი ქართული სახელი იყო მურვანოსი და ამავე პეტრეს მამას ბუზმირი ერქვა. ბუზმირ სახელი ერქვა ერთ ქართველ მთავარს დაახლოებით VI საუკუნის ბოლოს“.

1959 წელს შ. ნუცუბიძემ ჟურნალში „მნათობი“ (№ 1) გამოაქვეყნა გამოკვლევა „პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები“. იგი ვარაუდობდა, რომ მურვანოსი იგივე მურვანია (პეტრე იბერიელის საერო სახელი). ამდენად, შ. ნუცუბიძის აზრით, წარწერა V საუკუნის მხოლოდ I ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.

მ. თარხნიშვილის დაკავშირება გაიზიარა ს. ყაუხჩიშვილმაც, რომელმაც მიიჩნია, რომ მარუან არის პეტრე იბერის სახელი, ბუზმირ — პეტრე იბერის მამისა, ხოლო ბაკურ — პეტრე იბერის დედის მამისა.

1960 წელს დაიბეჭდა გ. წერეთლის მონოგრაფია „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“. ავტორი შეეცადა დაესაბუთებინა მ. თარხნიშვილის ვარაუდი, რომ ზემოთ დასახელებული ორი წარწერა

უკავშირდება პეტრე იბერიელის — მეხუთე საუკუნის უდიდესი ქართველი ფილოსოფოსისა და საეკლესიო მოღვაწის — სახელს.

გ. წერეთელი წერს: „პალესტინის უდაბნოს ქართული წარწერების სახით ჩვენ მივადექით იმ მიჯნას, რომლის იქით, ზოგიერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ქართული დამწერლობის არსებობა არ ივარაუდებოდა. ამ ეპოქის შესანიშნავი ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის შემდეგ, ისიც საქართველოდან ესოდენ დაშორებულ ქვეყანაში, როგორიც პალესტინაა. ვფიქრობთ, ეს ჰიპოთეზა საბოლოოდ უკუგდებული უნდა იქნეს“ (20, გვ. 52).

გ. წერეთელი ფიქრობს, რომ წმიდა თეოდორეს სახელობის მონასტერი პეტრე იბერიელმა ააგო V საუკუნის 30-იან წლებში. ბუნებრივია, წარწერათა ამოკვეთაც ამ დროისათვის ივარაუდება. გ. წერეთელი დასკვნის: „ეს წარწერები არიან უძველესი დღემდე ცნობილ ყველაზე ძველ ქართულ წარწერათა შორის, ვინაიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულს ბოლნისის წარწერებს“ (20, გვ. 29).

ვ. კორბოს ექსპედიციამ მესამე წარწერაც იპოვა:

„შეწევნითა ქრისტჱსითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორეჲსითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია, მომსხმელი ამის სეფისაჲ, და მამა-დედაჲ იოსიაჲსი, ამენ“ (ქრისტეს შეწევნით და წმიდა თეოდორეს შუამდგომლობით შეიწყალე ანტონი წინამძღოლი და ამ მოზაიკის (კენჭის) მომსხმელი იოსია და იოსიას მშობლები).

მ. თარხნიშვილის გამოკვლევით, ა ბ ა (წინამძღოლი) ანტონი ქართველი ცნობილია სვიმეონ მესვეტის დედის წმინდა მართას ცხოვრებიდან. აქ ნათქვამია, რომ იერუსალიმიდან სვიმეონთან მოვიდა სამი ქართველი ბერი, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ანტონი — მღვდელი და მამასახლისი მონასტრისა. ეს მოხდა 552 წელს, სვიმეონის სვეტზე გასვლის ერთი წლის შემდეგ. ამის შემდეგ ანტონი დარჩა წმინდა მთაზე და რამდენიმე წლის შემდეგ დაინიშნა სელევკიის ეპისკოპოსად. გ. წერეთელმა მიაქცია ყურადღება, რომ „მართას ცხოვრების“ მიხედვით, ანტონი 532 წელს საქართველოში იმყოფებოდა. ამდენად, ჩვენთვის საინტერესო წარწერა შესრულებულია ანტონის პალესტინაში ყოფნის დროს. „მისი შედგენის თარიღია მეექვსე საუკუნის მეორე მეოთხედი, სახელდობრ, 532—552 წლები“, — წერს გ. წერეთელი (20, გვ. 17)[1].

ვ. კორბოს ექსპედიციის მიერ V საუკუნის I ნახევრის ორი წარწერის აღმოჩენამდე უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებად ითვლებოდა ბოლნისის სიონის წარწერები. ბოლნისის სიონი ქართული კულტურის

[1] ამ წარწერათა განსხვავებული დათარიღება იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960, გვ. 72—79.

სიამაყეა. მისი სხარტი და შთამბეჭდავი დახასიათება მოგვცა გამოჩენილმა მკვლევარმა ლ. მუსხელიშვილმა: „სიდიადე შეერთებული სისადავესთან, ცოტათი მძიმე და მოუხეშავი, მაგრამ მტკიცე, ურყევი ფორმები, თავშეკავებული შემკულობა, ზომიერი, შეიძლება ითქვას, ძუნწი ჩუქურთმა, არც ერთი ნაკვთი გასართობად, მხოლოდ თვალის გასახარებლად — აი, რა ახასიათებს ბოლნისის სიონს. თუმცა თავდაპირველი შენობა მერმინდელი არა ერთგზისი გადაკეთებით ძლიერაა დამახინჯებული, იგი მაინც წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს. იშვიათად თუ მოიპოვება ჩვენში ასეთი დუმილით მეტყველი ძეგლი: მხოლოდ ღრმა და წრფელი სულიერი განცდით, სერიოზული, უყოყმანო, ჯერ კიდევ გულუბრყვილო რწმენით განმსჭვალულ კოლექტივს შეეძლო ასეთი ტაძრის აგება თავისი ღვთაებისათვის და მხილველსაც უნებლიედ იპყრობს ამ მიზანსწრაფი, შერწმენილი ნებისყოფის ძალა“ (11, გვ. 324).

ბოლნისის წარწერათა შორის ყურადღებას იქცევს 4 უძველესი. ერთერთი მათგანი, მოთავსებული ჩრდილო შესავლის წირთხლის ქვაზე, ასე იკითხება:

(შეწევ)ნითა ქრისტჱსითა მე, ფარნ(ავაზ), და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი სალოცველად სულთა (ჩუენ)თათჳს.

ეს წარწერა 1838 წელს გამოაქვეყნა მ. ბროსემ, შემდგომში იგი მრავალგზის დაიბეჭდა. წარწერა იმ მხრივაც იქცევს ყურადღებას, რომ იგი ხანმეტ ზმნურ ფორმას წარმოგვიდგენს შ ე ხ უ ა ბ თ (-„შეეაბით“). თავისთავად ეს ფაქტი, აგრეთვე წარწერის ასოთა მოხაზულობა იძლევა საშუალებას, იგი მიეკუთვნოს V საუკუნის მიწურულს.

1838 წელს გამოაქვეყნა მ. ბროსემ სხვა მრავალმხრივ საყურადღებო წარწერა, რომელშიც დავით ეპისკოპოსია ნახსენები:

ქრისტე, დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანის-მცემელნი შეიწყალენ და (მშრომე)ლთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე. ი.

როგორც ვხედავთ, ეს წარწერაც ხანმეტია (შ ე ხ ე წ ი ე—„დაეხმარე“). ამ წარწერას ივ. ჯავახიშვილი 506 წლის ახლო დროით ათარიღებდა. 1926 წელს, როცა ივ. ჯავახიშვილი ამ აზრს გამოთქვამდა, სხვა წყარო, რომელშიც დავით ეპისკოპოსი იქნებოდა მოხსენიებული, არ იყო ცნობილი. ივ. ჯავახიშვილმა მიაგნო დვინის საეკლესიო კრების ძეგლისწერას, რომელიც სომხურადაა შემონახული. ეს კრება 506 წელს, ან ცოტათი უფრო ადრე ჩატარდა. მას დასწრებია დავით ბოლნელიც. ი. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ ეს სწორედ ის დავითია, რომელიც ბოლნისის წარწერაში მოიხსენიება. აქ შეიძლება დაისვას კითხვა, ხომ შეიძლება ის დავითი, რომელიც წარწერაშია მოხსენიებული, არ იყოს იგივე პირი, ვინც დვინის საეკლესიო კრებას ესწრებოდა? ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ადრე ჩვენში საკუთარი სახელი დ ა ვ ი თ არ ყოფილა ძალზე

გავრცელებული და, რაც მთავარია, ერთი და იმავე საეპარქიოს მღვდელმთავრებს არ ერქვათ ხოლმე ერთი და იგივე სახელი. ამის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ წარწერა ამოკვეთილია 506 წლის ახლოს. 1937 წელს კულტურულ ძეგლთა დაცვის კომიტეტმა ბოლნისის სიონში ჩაატარა სარესტავრაციო სამუშაოები. მაშინ აღმოჩნდა ქართული ეპიგრაფიკის ბრწყინვალე ძეგლი, მოზრდილი წარწერა, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საბუთს სიონის მშენებლობის დათარიღებისათვის. სამწუხაროდ, წარწერას აკლია თითქმის ნახევარი. მას ასე კითხულობენ:

(შეწევნითა წმიდ)ისა სამებისაჲთა ოც წლისა პეროზ მეფი(სა ზე ხიქ)მნა დაწყებაჲ) ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლის(ა შემდგომად განხეშორა. ვი)ნ აჭა შინა თავყუანის-ხცეს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიაჲსა დ(ავით ე)პისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ.

წარწერა ხანმეტია და პალეოგრაფიულადაც ემსგავსება ზემოთ ნახსენებ ორ წარწერას. აკაკი შანიძემ მიუთითა, რომ, წარწერის მიხედვით, ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ 478 წელს, პეროზის (458—484 წწ.) გამეფებიდან მე-20 წელს, და დაუსრულებიათ 493 წელს.

ამდენად, მისი აზრით, ეს წარწერა ამოკვეთილია 493—494 წლებში[1]. V საუკუნით თარიღდება ზემოთ ნახსენები ორი წარწერაც.

ბოლნისის სიონში აღმოჩენილია კიდევ ერთი უძველესი წარწერა:

ჩორან, ქრისტე, შეიწყალე ცოლ-შვილითურთ.

ლ. მუსხელიშვილის აზრით, წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით ძალიან ძველია (11, გვ. 333). მკვლევარი მას მე-6—მე-7 საუკუნეებით ათარიღებს.

მაშაღერის ხეობაში, უკანგორის ეკლესიის გარშემო მდებარე სასაფლაოს ეზოში ლ. მუსხელიშვილმა მიაგნო წარწერიან ჯვრის კვარცხლბეკს. წარწერა ხანმეტია:

ქრისტე, პეტრწს ხუცსობას(ა) მე, თათვარაზ, აღხუმ(ა)რთე ესე ჯუარი სახე(ლ)თა ღმრთისაჲ(თა), შეწევნითა იმ...

აღხუმართე ნიშნავს „აღვმართე“. წარწერა, ლ. მუსხელიშვილის აზრით, VI საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება.

ლ. მუსხელიშვილმა ეკლესიაში იპოვა მცირე ჯვრის კვარცხლბეკი, რომელზედაც შემონახულია ხანმეტი წარწერის ფრაგმენტი. მას ასე აღადგენენ:

სახელითა ღმრთისაჲთა, მე, თათვარაზ, და მარიამ აღხუმართეთ ესე ჯუარი სალოცველად ჩუენდა.

---

[1] რა თქმა უნდა, წარწერის ჩვენამდე არმოღწეული, ან დაზიანებული ადგილების განსხვავებულმა წაკითხვამ შეიძლება წარწერის თარიღის გადაწევაც გამოიწვიოს.

ბუნებრივია, რომ ეს წარწერაც VI საუკუნის დასაწყისისად ითვლება, რაკი მასში ნახსენებია I წარწერიდან ცნობილი თათვარაზი.

ქართული ენის ისტორიისათვის უაღრესად საყურადღებოა მცხეთის ჯვრის წარწერები: ი. ჯავახიშვილი და ა. შანიძე ამ წარწერათა უძველეს ფენას მე-6—მე-7 საუკუნეებს მიაკუთვნებენ.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, VI საუკუნის მიწურულში, დაახლოებით 591—600 წწ., უნდა იყოს ამოკვეთილი სტეფანოსის წარწერა:

(ჯუარ)ო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე.

დაახლოებით ამავე ეპოქისაა ხანმეტი წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია სტეფანოსის ძმა დემეტრე ჯპატოსი:

წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრეს ჯპატოსსა მეოხ ხეყავ.

მ ე ო ხ ხ ე ყ ა ვ ნიშნავს: მ ე ო ხ ე ყ ა ვ (ე ქ მ ე ნ ი), „უშუამდგომლე“.

ეს არის ერთადერთი მცხეთური ხანმეტი წარწერა. საინტერესოა, რომ ადრნერსე ჯპატოსის წარწერაში ეგეთივე ზმნა ხ- პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი:

წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადრნერსეს ჯპატოსსა მეოხ ეყავ.

ამ წარწერებში ყურადღებას იქცევს ქართველ დიდებულთა ბერძნული ტიტულები: პ ა ტ რ ი კ ი ო ს ი, ჯ პ ა ტ ო ს ი. როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, ჯ პ ა ტ ო ს ი ერთი საფეხურით დაბლა იდგა პ ა ტ რ ი კ ი ო ს ზ ე. ამ წარწერებში მოხსენიებული ბერძნული ტიტულები ცხადად მიგვანიშნებენ ქართლის მთავართა დამოკიდებულებას ბიზანტიის სამეფოს კართან.

ფრიად საინტერესოა თემესტიას წარწერაც. იგი VI საუკუნის მიწურულს განეკუთვნება. მას აუშენებია დედათა საყოფელი:

წყალობითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა ჯუარისაჲთა მე, თემესტია, მჴევალმან ქრისტჱსმან, აღვაშჱნე საყოფელი ესე საჴსენებელად სულისა ჩემისა, თავყანი-საცემელად დედათა.

1927 წელს გ. ბოჭორიძემ გამოაქვეყნა საპაკეტხტის წარწერა, რომელიც მან იპოვა რაჭაში, ზნაკვის ჯვარისაში:

წმიდაო გაბრიელ საკვრველთმოქმედო, შენდა შეეედრებული მჴევალი შენი საჰაკეტხტ დაიცევ ყოვლისაგან ბოროტისა.

გ. ბოჭორიძის აზრით, წარწერა მე-6 საუკუნისაა. ა. შანიძე შესაძლებლად მიიჩნევს ამ ეპიგრაფიკული ძეგლის მე-5 საუკუნით დათარიღებას.

ქართული ენის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წყისის ჰაემეტ წარწერას. წყისე მდებარეობს სოფ. უდის მახლობლად (ადიგენის რ-ნი). წარწერა აღმოაჩინა გ. ბოჭორიძემ. მასში ნათქვამია:

ესე ჯუარი ქრისტჱსი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდას-

მან, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაჰრამანსა ა. სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა, ნოენბერსა იზ. ამენ (ე. ი. მე, კოსტანტიმ, სტეფანეს და გუდას შვილმა, აღვმართე ეს ჯვარი ნაყიდ მიწაზე მცხეთის ჯვრის სახელზე ჩემი ოჯახის სალოცველად 17 ნოემბერს, პირველ შაჰრამანს). თვეთა სპარსულ და რომაულ სახელწოდებათა და დასახელებულ დღეთა შეჯერების საფუძველზე აკაკი შანიძემ ივარაუდა, რომ წყისის წარწერა 616—619 წლებს განეკუთვნება.

წარწერის ჰაემეტი ზმნური ფორმა აღჰუმართე საინტერესო პარალელს პოვებს უკანგორის ხანმეტ წარწერებში (აღხუმართე) და გარკვეულად მიგვანიშნებს ჰაემეტი მეტყველების გავრცელების არეალს.

VII საუკუნეშია აგებული ატენის სიონი — ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. თ. ბარნაველი წერს: „ატენის სიონი უდიდეს ინტერესს წარმოადგენს როგორც თავისი არქიტექტურის, ისე მხატვრობის თვალსაზრისით. მაგრამ იგი საყურადღებოა აგრეთვე თავისი წარწერებისა და მინაწერების მხრივ, რადგან ეს წარწერები საქართველოს ისტორიისა და კულტურის ბევრ მეტად საყურადღებო საკითხს ეხება, კერძოდ, სახვითი ხელოვნების დარგში.

ატენის სიონის უამრავი წარწერიდან ნაწილი თარიღის შემცველია და წმინდა ისტორიული ინტერესის გარდა მდიდარ მასალას გვაძლევს ქართული პალეოგრაფიის კვლევისათვის“ („ატენის სიონის წარწერები“, თბილისი, 1957, გვ. 3). დავსძენთ მხოლოდ, რომ ატენის სიონის წარწერებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული ენისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესწავლისათვის.

ატენის წარწერათაგან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა, რომელიც შესრულებულია 739 წელს. მას საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა გ. აბრამიშვილმა. წარწერა ასე იკითხება: (ზეობა)სა ღმრთივგჯრგჳნ(ოსნისა) არჩილის კეთილადმსახურისა მეფ(ისა) ჩუენისასა, ჯელმწიფობასა (სა)რკინოზთასა. რკა, აღესრულა კურთხეული მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი, თთუესა ოკდომბერსა (იდ), დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა ღა(მისასა) ა, ამას ზედა წელსა დღისა მთ(აურობისა)... ხრდლი კთ (აქ ჩვენ მიერ წარმოდგენილი წაკითხვა მცირედ სხვაობს გ. აბრამიშვილის წაკითხვისაგან).

გ. აბრამიშვილმა გამოაქვეყნა 835 წლის წარწერის ფრაგმენტები. იგი ყველაზე ადრინდელი ძეგლია ნუსხური დამწერლობისა. ატენის სიონის ერთ-ერთი წარწერა, რომელიც 837 წლით თარიღდება, მოგვითხრობს:

„ქრისტე, ბრძანებითა ღმრთისაჲთა, თუესა ნოენბერსა თოთხმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა ღამისასა, სარკინოზთა წელსა სკგ-სა, ქრონი-

კონსა ნ˘ზ, აღესრულა კურთხეული დედოფალი გუარამავრი. ღმერთმან (შეიწყალენ სული მისი, ამენ).

სარკინოზთა სკგ 223 წელს უდრის, ხოლო ქართული სათვალავით ნზ — 57. ორივე წელთაღრიცხვის მონაცემები წარწერას 837 წლით ათარიღებენ (614+223=837; 780+57=837).

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ შემზარავ ფაქტს — ბუღას მიერ თბილისის აოხრებას — გადმოგვცემს ატენის 853 წლის წარწერა:

ქრისტე, თთუესა აგუსტოსა ესა, დღესა შაბათსა, ქრონიკონსა ო გ-სა, ისმაიტელთა წელსა სლთსა, ქალაქი ტფილისი დაწუა ბუღა და შეიპყრა ამირაჲ საჰაკ და მოკლა. და მასვე თთუესა აგუსტოსა კვსა, დღესა შაბათსავე, ზირაქ შეიპყრა კახაჲ და ძჲ მისი თარჯუჯი (ხუთ აგვისტოს, შაბათს, 73 ქრონიკონს (=853 წ. 780+73), ისმაიტელთა 239 წელს (=853 წ. 614+239). ქალაქი თბილისი დაწუა ბუღამ და შეიპყრო ამირა საჰაკი და მოკლა. იმავე აგვისტოს თვის 26-ს, შაბათ დღეს, ზირაქმა შეიპყრო კახა და მისი ვაჟი თარხუჯი).

თავისთავად ის ფაქტი, რომ თბილისიდან 100 კილომეტრის დაშორებით ეკლესიის კედელზე გააკეთეს წარწერა ბუღას მიერ დედაქალაქის აოხრების შესახებ, იმის მაჩვენებელია, რომ ქართველობას უკვე ამ დროს ღრმად ჰქონდა შეგნებული თბილისის როლი და მნიშვნელობა.

წარწერა საყურადღებოა ენობრივი თვალსაზრისითაც. კერძოდ, საკუთარი სახელი კახა ნაწარმოებია კახ ეთნონიმისაგან -ა კნინობითობის სუფიქსის საშუალებით. ამას გარდა, კახაჲ, თარჯუჯი საკუთარ სახელებს ამ წარწერაში ვადასტურებთ სახ. ბრუნვის ნიშნით, რაც თავისთავად საგულისხმო ფაქტია.

საინტერესოა 885 წლის წარწერა:

ქრისტე. ბრძანებითა ღმრთისაჲთა, დღესა.. ჟამსა მზისა აღმობრწყინვებისასა, წელსა..., ქრონიკონონსა რ˘ე-სა, აღესრულა კურთხეული მამფალი სუმბატ. ძჲ ამოტისი. უფალმან შეიწყალ(ენ სუ)ლი მისი, ამენ, და ღირს-ყავნ წმიდათა და რჩეულთა მისთა თანა). წმიდა ეკლესიაო, შეეწიე სულკურთხეულსა სულასა.

რ˘ე ქრონიკონი უდრის 105-ს (780+105=885 წ.). როგორც ვხედავთ, წარწერა მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიისათვის. ამასთან, გამოავლენს ენობრივად საინტერესო ფორმას: სულა ადამიანის საკუთარი სახელი ნაწარმოებია კნინობითის -ა, სუფიქსით (შდრ.: კახაჲ 853 წლის წარწერაში). სწორედ სულასა არის საკუთარი სახელის ბრუნვის ფორმაზე ე. წ. ემფატიკური ხმოვნის დართვის ერთ-ერთი პირველი ნიმუში.

მოგვიანო ხანის ატენის წარწერათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ბაგრატ IV-ის ცნობილი წარწერა, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე

ჯავახიშვილი, თეიმურაზ ბარნაველი 1060—1080 წლებით ათარიღებენ:

ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მე, გურგანელმან, მირიანის ყმამან, თარხუნის ძისამან, ატენისა ციხისთავმან, ავაგენ ატენს სახლნი და ქულბაგი მას ჟამსა, ოდეს, — ადიდენ ღმერთმან ძლიერმან, — მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა, სეფისა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებაჲ. გაუმარჯუა ღმერთმან და ბედმან მეფობისა მათისამან, ვითა სწადდა მეფობასა მათსა, ეგრე სასახლენი ადგილნი და საქულბაგენი მკჳდრად ნებიერობით გჳბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენებაჲ შეეძლო. მე ავაგე სახლი და ქულბაგი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისასა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, სალოცველად, — ჰგიამცა უკუნისამდე ძრიელი მეფეთა მეფემ ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი, — და სალოცველად სულისა მირიან, მიწისა მათისა, გამზრდელისა პატრონისა ჩემისათჳნ, დავდევ დღე თევდორობაჲ აღაპად. გარდაიჯდიდეს მამასახლისი წინამძღუარი სიონისაჲ, ვინცა იყოს.

წარწერა ყურადღებას იქცევს სტილის თვალსაზრისით: მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა. ან კიდევ: სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა, გამზრდელისა პატრონისა ჩემისათჳნ. აქ ნათლად ჩანს ის ენობრივი ეთიკეტი, რაც ამ ეპოქის სხვა ძეგლებსაც ახასიათებს. საყურადღებოა წარწერა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმათა (გაუმარჯუა, ვითა, ეგრე, ავაგე, ჰგიამცა, გამზრდელი და სხვ.) სიუხვით, აგრეთვე აშკარა დიალექტიზმითაც: ჩემისათჳნ. თჳნ თანდებული X—XII საუკუნეთა სხვა წერილობით ძეგლებშიც იჩენს თავს. ატენის წარწერა ამ შემთხვევაში კარგ საბუთს წარმოადგენს თჳნ თანდებულის გავრცელების არეალის დასადგენად.

1907 წელს ივანე ჯავახიშვილმა მდ. ტანის ხეობაში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, იპოვა ჯვრის ქვის წარწერიანი კვარცხლბეკი. ეს წარწერა ივანე ჯავახიშვილს VII—VIII საუკუნეებისად მიაჩნია. იგი ასე იკითხება:

ესე ჯუარი ქრისტჱსაჲ მე, ვეჟან ატენელ მამასახლისმან, აღვმართე შესავედრებელად და საჴსრად სულისა ჩემისა და ყოველთათჳს თავყუანისმცემელთა ქრისტჱსთა. ქრისტე, ყოველნი შეგჳწყალენ ძალითა ჯუარისა შენისაჲთა, ამენ. მე, ვეჟან ცოდვილი, ლოცვასა მიჴსენეთ.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ამ წარწერაში „არცერთი ისეთი ფორმა არ არის ნახმარი, რომ ენის მხრით ხანმეტობის არსებობისა და არარსებობის შესახებ რისიმე თქმა შეიძლებოდეს“ („ქართული პალეოგრაფია“, გვ. 168). ამ მხრივ საყურადღებოა აღვმართე ზმნა. ეს ძეგლი რომ ხანმეტობის დროინდელი იყოს, გვექნებოდა აღჴმართე ისე, როგორც უკანგორის წარწერაშია.

ასევე ენობრივად გვიანდელია თ ა ვ ყ უ ა ნ ი ს მ ც ე მ ე ლ თ ა, რო-გორც ამაზე ყურადღებას ამახვილებდა ივ. ჯავახიშვილი (გვ. 168), აგრეთვე ქტ ´ სი (ქრისტჱსი), სადაც ი გვაქვს ი-ს ფუნქციით. დარღვეულია მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებაც: ვეჟან ა ტ ე ნ ე ლ მ ა მ ა ს ა ხ-ლ ი ს მ ა ნ.

საფიქრებელია, წარწერა X საუკუნისა იყოს. სწორედ X საუკუნის წარწერებს (აგრეთვე სხვა წერილობით ძეგლებს) ახასიათებს ამგვარი ენობრივი მოვლენები.

სამხრეთ საქართველოში არსებული ძველი ქართული წარწერების შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ექვთიმე თაყაიშვილმა. მან 1917 წელს მოაწყო არქეოლოგიური ექსპედიცია ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. ამ ექსპედიციის მასალები 1960 წელს დაიბეჭდა წიგნში „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“. ე. თაყაიშვილი წერდა: „საქართველოს სამხრეთ პროვინციებზე როჳ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს პროვინციები, რომლებიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული და შეადგენს ე. წ. „თურქეთის საქართველოს“ (8, გვ. 1). ეს მასალები საინტერესო დამატებით მასალებს გვაწვდიან გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ისტორიულ პირებთან დაკავშირებით. გავიხსენოთ, რომ იშხნის ეკლესია განახლებულია საბას, გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილის, მიერ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იშხნის უძველესი წარწერა, რომელსაც ე. თაყაიშვილი 954—955 წლებით ათარიღებს:

ქრონიკონსა რლზ-სა, თთუესა სეკდენბერსა ზ-სა, შეწევნითა ქრისტესითა და მადლითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲთა ადარნესე ქართველთა მეფისა ბრძანებითა დაიდგინა ნეტარი მამაჲ ჩუენი ბასილი ეპისკოპოსი და ჰმსახურა ამას წმიდასა ეკლესიასა წელი ით, კეთილითა მოღუაწებითა და სრულითა სარწმუნოებითა, და შეჰვედრა სული თჳსი უფალსა თთუესა დეკენბერსა კვ, დღესა პარასკევსა. ქრისტე, სულსა მათსა განუსუენე, ამენ.

და შემდგომად მათსა ბრძანებითა დიდებულთა ღირსთა (მეფეთა), აცხოვნენინ ღმერთმან მეფენი ჩუენნი: დავით ქართველთა მეფე და აშოტ კურაპალატი, ბაგრატ მაგისტროსი (და სუმბატ ანთი)პატრიკი. — ადიდენინ ღმერთმან, — წარაველინეს საბერძნეთს, ტრაპეზონთა, და მუნ აკურთხეს მღდელთმთავრად (იშხნისა) სტეფანე, პატიოსა(ნი) და ღირსი მამაჲ ჩუენი, ჴელითა ბასილი ღმერთშემოსილისა და პატიოსნისა ბერძენთა პატრიარქისაჲთა თთუესა მარტსა, დღესა კჳრიაკესა, — ღმერთმან წარუმართენ, — რამეთუ მას ჟამსა ქართლისა...

იშხნის ეკლესიის სამხრეთი კარიბჭის გადაკეთებისას ამოუკეეთიათ წარწერა, რომელშიც მოიხსენიება გიორგი I:

იესუ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა გიორგი მეფე და შვილნი მათნი, ამენ. სახელითა ღმრთისაჲთა მე, გლახაკმა ანტონი ეპისკოპოსმ(ა) იშხნელმ(ა), განვაახლე ესე კარისა ბჭე წმიდისა კათოლიკე ეკლესიაჲსა სადიდებელად მეფეთა: გიორგი მეფისა და შვილთა მათთა, სალოცველად სულისა ბაგრატ კურაპალატისაჲსა, შენდობისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა. წმიდაო კათოლიკე ეკლესიაო, შემწე და მფარველ გუეყავ წინაშე ღმრთისა და ნაცთსაყუდელ გუექმენ სამინელსა მას დღესა მისაგებელისასა წინაშე მსაჯულისა ყოველთაჲსა, (რაჲთა) ღირს ვიქმნეთ მოტევებასა ცოდვათასა და წყალობასა ღმრთისასა. გეეღრები ყოველთა შემავალთა, ლოცვასა მომიჴსენეთ.

ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით ამ წარწერაში საყურადღებოა მოთხრობითი ბრუნვის მა დაბოლოება: გლახაკმა ანტონი ეპისკოპოსმ(ა) იშხნელმ(ა). ეს მოვლენა უთუოდ ცოცხალი მეტყველების ასახვას წარმოადგენს.

იშხნის კიდევ ერთ წარწერას გავეცნოთ. იგი ამოკვეთილია ბაგრატ IV-ს დროს, 1032 წელს:

ქრისტე, სახელითა ღმრთისაჲთა მე, ანტონი იშხნელ მთავარეპისკოპოსმან, განვაახლე და განვასრულე წმიდაჲ ესე ტაძარი ღმრთისაჲ, კათოლიკე ეკლესიაჲ, სადიდებელად ბაგრატ კურაპალატისა, სალოცველად და საჴსენებელად სულისა ჩემისა და ცოდვათა ჩემთა შენდობისათჳს ჭრონიკონსა სნბ, და ვაშენე ჴელითა ი(ო)ვანე მორჩაჲს ძისაჲთა.

სახელი ი ვ ა ნ ე < ი ო ვ ა ნ ე ამ დროისათვის უკვე გავრცელებულია ჩვენში. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს მ ო რ ჩ ა ჲ ს ძ ე. მ ო რ ჩ ძველ ქართულში იმავეს ნიშნავს, რასაც ახალი ქართული ნ ო რ ჩ ი და ამოსავალია მისთვის (მ ო რ ჩ > ნ ო რ ჩ). რაც შეეხება -ა კნინობითობის მაწარმოებელს, აქ იმგვარივე წარმოებაა, რაც ატენის წარწერებში ნახსენებ სახელებში (კ ა ხ ა, ს უ ლ ა) გვაქვს.

ოშკის ტაძრის (X ს.) წარწერათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომელიც მოგვითხრობს მისი მშენებლობის შესახებ:

ჭ. მოწყალებითა ღმრთისაჲთა, რომელი სცავს ყოველთა მოშიშთა მისთა და წარუმართებს მოყუარეთა სახელისა მისისათა ყოველთა საქმეთა კეთილთა, ამის წმიდისა სამებისა სარწმუნოვებითა და მეოხებითა წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისაჲთა, მადლითა წმიდაჲსა ძელისა ცხოვრებისაჲთა, შეწევნითა და მეოხებითა დიდებულისა ნათლისმცემელისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს ღმერთსა, ამათ ყოველთა წმიდათა სადიდებელად და საქებელად იწყეს ღმრთივგუირგუინოსანთა მეფეთა ჩუენთა შენებად ამის წმიდისა საყდრისა, რაჲთა ამას შინა აღესრულებოდიან დღესასწაულნი და შეიმკვებოდიან ჴსენებანი წმიდათანი, ვითარცა წერილ არს: „ჴსენებასა წმიდათასა ეზიარებოდით“. ამათ ყოველთა წმიდათა სურ-

ვილითა ამათ დიდებულთა მეფეთა ჩუენთა უშურველ-ყვნეს საფასენი წარმავალნი წარუვალისა მისთუის, რაჲთა იგი ყოველნი წმიდანი შემწედ მოიგვნენ, და ღმერთმან შეეწიენ ორთავე ცხოვრებათა, — ძეთა ღმრთივკურთხეულისა ადარნესე კურაპალატისათა: ბაგრატ ერისთავთა ერისთავმან, დაჳით მაგისტროსმან, — სამებამან წმიდამან სამნივე დაიფარენ მარჯუენითა თუისითა და ადიდენ ორთავე ცხოვრებათა, — და მე, გრიგოლ, ღირს-მყო ღმერთმან მსახურებასა ამას მათსა ღმრთისა მიმართ. და მე ვიყავ საქმესა ზედა მდგომი, და არწმუნა ღმერთმან გონებასა მათსა ერთგულებაჲ ჩემი მათისაჲ.

ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზაველთა მექუიშეთაჲ, რომელ წელიწადსა წაეგების დრამაჲ კ´ ათასი, ღუინოჲ ფისოსი ჯ´, რკინაჲ ლიტრაჲ ნ´, ხუარბალი გრივი სმი´, გალატოზი და ხუროჲ და მჭედელი, რომელ მარადის შურებოდა, ჲ´ი, ჯარი, რომელ ქვასა კრებდა, ლ´ჯორი და სხუაჲ აზაველი, რომელ გრიგოლწმიდით სპონდიკსა კრებდა,' ლ´,სხუაჲ აზაველი, რომელ... (კრებ)და´ჲ, . . . ჲ´, და (ყოველი) ერი და მოქმედი პ´.

ზოგი რამ აქ უთუოდ განმარტებას მოითხოვს: ფისოსი, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ღვინის საწყაოა და უდრის ჯამს. დრამა არის ვერცხლის ფული. ლიტრა შეესაბამება 213 კილოგრამს. სპონდიკი მსუბუქი ქვაა, რომელსაც იყენებდნენ თაღების ამოსაყვანად.

წარწერის ორთოგრაფია საინტერესოა: არ იხმარება ჳ ნიშანი უი დიფთონგის გადმოსაცემად, ერთგან ჲ არის დაწერილი ი-ს ნაცვლად. აშკარად ცოცხალი მეტყველების ამსახველია ერთგულობაჲ, წაეგების ფორმები.

მოვიყვანთ კიდევ ერთ წარწერას (1022—1025 წწ.), რომელიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ენის ისტორიისათვის:

ქრისტე, სამებაო წმიდაო, ადიდენ შენ მიერ გჳრგჳნოსანნი მეფენი ბასილი და კოსტანტი, რომელთა მიერ განსრულებულ იქმნა მეორედ დაბურვითა ტაძარი ესე ღმრთისაჲ მონაზონებასა გრიგოლისსა და დავითისსა. ქრისტე, შეიწყალე მონაჲ შენი გრიგოლ და წყალობით მოიხსენე გალატოზი იესე.

მოიხსენე ფორმა გამოაელენს ხ-ს (მოსალოდნელი ფუო მოიჯსენე). ჯ||ხ ცნობილია ქართული ენის სხვა ძეგლებიდანაც და ასახავს |ჯ|-ს მოშლის პროცესს.

პარხლის ერთ-ერთ წარწერაში იკითხება:

სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშუბელისაჲთა, წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა, — ადიდენ ღმერთმან, — ქრისტეს მიერ ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთს პატრიარქსა იოვანეს, . . . პარხალს ეკლესიასა ზედა ჩასდუდარაჲ კურაპალატსა აეშენა, აღარა-

ვის ეკაზმა და მან შეკაზმა, — ჰგი(ა)მცა დიდებაჲ მისი უკუნისამდე, — წინამძღუარსა გიორგი ღ(ო)ღლისასა შეეწიენ ღმერთმან, ამენ ეყავნ, იოანე წინამძღუარი.

ტერმინი ჩ ა ს დ უ დ ა რ ა ჲ, ნ. მარის აზრით, აგებულებით კომპოზიტია. შეიცავს ჩა-ს (იგივეა, რაც „ცა“), და დ უ დ-ა რ ა-ს (დ უ დ-ი მეგრულ-ჭანურად „თავს“ ნიშნავს, ხოლო -ა რ მრავლობითობის მაწარმოებელიაო). ამავე მოსაზრებას იზიარებს ე. თაყაიშვილი, მაგრამ ნ. მარის ახსნას ზოგი დაბრკოლება ეღობება: 1. მეგრულსა და ჭანურში ქართული ც ა სიტყვის შესატყვისად გვაქვს არა ჩ ა, არამედ ც ა. 2. ნათესაობითის ნიშნად მეგრულსა და ჭანურში ხმოვანფუძიან სახელთან -შ არის და არა -ს. 3. მეგრულსა და ჭანურში -ა რ არ დასტურდება მრავლობითის მაწარმოებლად. ვფიქრობთ, ჩ ა ს დ უ დ ა რ ა ტერმინის მნიშვნელობა ქვლავ საძიებელია.

ორთოგრაფიის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს უ ო-ს ნაცვლად: ღ მ რ თ ი ს მ შ უ ბ ე ლ ი ს ა ჲ თ ა (ეს მოვლენა ქარგადაა ცნობილი ძველი ქართულის სხვა ძეგლებიდანაც), აგრეთვე ჲ-ს ხმარება ი-ს მნიშვნელობით: წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ ჲ (უნდა წავიკითხოთ, როგორც წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ ი).

ძალიან საინტერესოა პარხლის წარწერები ქართული სახელებისა და გვარების ისტორიისათვის. ერთ-ერთ წარწერაში ნათქვამია: იყო ამის კალატოზი ს ჲ ხ ა რ უ ლ ა (=ს ი ხ ა რ უ ლ ა). იქვე იკითხება შ ა ნ ი ფ ხ ე. ფ ხ ე ქალის გვარის მაწარმოებლად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოში, გურიაში). მიაჩნიათ, რომ ფ ხ ე ზანიზმია (ი. ყიფშიძე, ს. ჟღენტი, ი. მეგრელიძე). შ ა ნ ი ფ ხ ე შ ა ნ ი ძ ი ს ქ ა ლ ი ა. იმავე წარწერაში არის კ ო ჩ ე მ ა ი ს ი თ ა. შესაძლოა, საკუთარი სახელი სწორად არ იყოს ამოკითხული, მაგრამ აქაც თითქოს მეგრულ-ჭანურ კ ო ჩ- („კაც“) ძირიდან ნაწარმოები საკუთარი სახელია საგულვებელი.

ჯავახეთის წარწერებს სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა ვ. ცისკარიშვილმა (18). ჯავახეთის წარწერათაგან რამდენიმეს მოვიყვანთ. X საუკუნის მეორე ნახევარშია ამოკვეთილი წარწერა, რომელშიც მოთხრობილია კუმურდოს (ახალქალაქიდან — დაახლოებით 10 კმ) ეკლესიის ბალავრის დადების შესახებ:

შეწევნითა ღმრთისაჲთა იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირკუელი ამის ეკლესიისაჲ ჴელითა ჩემ ცოდვილისა სკუცრისითა (?) ლეონ მეფისა ზე,— ადიდენ ღმერთმან,— ქრონიკონსა რპ´დ, თთუესა მაისსა, დღესა შაფათსა, ´ა მთოარისასა, ერისთვობასა ზჳა(დ)ისსა. ესე ბალავარი მაშინ დაიდვა. ქრისტე, შეეწიე მონასა შენსა, ამენ.

ენობრივად საინტერესოა კუმურდოს VII წარწერა:

ქრისტე, სახელითა ღმრთისაჲთა მე, გაბრიელ ეპისკოპოსმან, დავ-

დევ აღაპად ბზობის პარასკევი, მოლოზნის დღესასწაული. წმიდათა მღდელთმოძღუართა, ვინ სრულებით არა გარდაიჯადოს, კრულა ამით ხატითა და ჩუენითა ჯუარითა.

ეს წარწერა, მკვლევართა აზრით, XI—XII საუკუნეებისაა. მ ო ლ ა ზ ო ნ მიღებულია მ ო ნ ა ზ ო ნ-ისაგან დისიმილაციით (განმსგავსებით). კ რ უ ლ ა მომდინარეობს კ რ უ ლ ა რ ს შედგენილი შემასმენლისაგან. საინტერესოა მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა: ჩუენითა ჯუარითა. მოსალოდნელი იყო: ჯუარითა ჩუენითა.

კახეთის ეპიგრაფიკას სწავლობდნენ მ. ბროსე, ე. თაყაიშვილი, პლ. იოსელიანი, ა. ხახანაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე, თ. ბარნაველი და სხვები. 1961 წელს დაიბეჭდა თ. ბარნაველის „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები". ამ წიგნში მრავალი წარწერაა გამოქვეყნებული. დაით-გარეჯის ნათლისმცემლის გამოქვაბულ ეკლესიაში VII საუკუნის სტელაზე იკითხება: ესე ჯუარი მე, მარზუნ, ავმართე სალოცველად ჩემდა და ცოლისა, შვილთათჳს.

X—XI საუკუნეებით უნდა დავათარიღოთ ნინოწმიდის ერთ-ერთი წარწერა: ქრისტე, შეიწყალე კაცაჲ.

კ ა ც ა ჲ საკუთარი სახელი ნაწარმოებია კ ა ც სახელისაგან კნინობითის -ა სუფიქსით (შდრ.: კ ა ხ ა ჲ, ს უ ლ ა ჲ).

ხირსის წმიდა სტეფანეს ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში იკითხება: ქრისტე, ადიდე გაგიკი მეფე. ეს წარწერა მიეკუთვნება 1029—1058 წლებს. გ ა გ ი კ ი იმითაა საინტერესო, რომ ი გამოხატავს ი ხმოვანს (სახელობითი ბრუნვის ნიშანს). ესე იგი, გ ა გ ი კ ი უნდა წავიკითხოთ, როგორც გ ა გ ი კ ი. ეს ფორმა კი გამოაელენს სახელობითი ბრუნვის ნიშანს საკუთარ სახელთან.

ლიტერატურა

1. გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ატენის სიონის უცნობი წარწერები: „მაცნე" (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), № 1, 1976.
2. თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957.
3. თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962.
4. თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, მანგლისის ტაძრის წარწერები, თბ., 1961.
5. ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ს. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა კატალოგი, თბ., 1953.
6. ალ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, უძველესი ქართული წარწერების აღმოჩენა პალესტინაში, „ლიტერატურული გაზეთი", № 24, 1956 წ. 15 ივნისი.
7. მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი ქართველთა მონასტერი ბეთლემში, „ბედი ქართლისა", 1954, № 16.
8. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.
9. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980.

10. ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941.
11. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი: ენიმკის მოამბე, III, თბ., 1938.
12. შ. ნუცუბიძე, პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები, „მნათობი", № 1, 1959.
13. გ. ოთხმეზური, XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.
14. ვ. სილოგავა, ქართული ლაპიდარული წარწერები, II, თბ., 1980.
15. ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია, ტფ., 1935.
16. ნ. შოშიაშვილი, ქართული ლაპიდარული წარწერები, I, თბ., 1980.
17. ვ. ჩაჩანიძე, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1978.
18. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.
19. ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
20. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
21. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
22. M. Brosse, Взгляд на историю и литературу Грузии: «Журнал министерства народного просвещения», 1838, № 8, გვ. 286.
3. Մ. Մուրադյան. Պայաստանի վրացերեն արձանագրությունները. Երեվան, 1977.

2. ხელნაწერები

შემონახულია 10 000-ზე მეტი ძველი ქართული ხელნაწერი. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ხალხის დიდი სულიერი სიმდიდრეა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს დრომდე სასწაულებრივად მოღწეული ხელნაწერები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი განძისა, რაც შეუქმნია ქართველ ხალხს თავისი ისტორიის მანძილზე. V—IX საუკუნეთა ქართული ხელნაწერები მხოლოდ სასულიერო ლიტერატურის ძეგლებს შეიცავენ. X—XII საუკუნეებიდან გვაქვს ფილოსოფიური, საისტორიო, საერო მწერლობის თხზულებათა შემცველი ხელნაწერები.

ძველი ქართული ხელნაწერები ინახება საქართველოში, აგრეთვე მოსკოვში, ლენინგრადში, ერევანში, უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

ძველი ქართული ხელნაწერების შეგროვება XIX საუკუნის II ნახევარში დაიწყეს. ილია აბულაძე წერს: „უველაზე უწინარეს ქართულ ხელნაწერთა და საისტორიო დოკუმენტთა კოლექციების შეგროვება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან დაიწყო. ამ საზოგადოების დამაარსებელნი და მესვეურნი, დიდი ქართველი მოღვაწეები დ. უიფიანი და ი. ჭავჭავაძე იყვნენ ამ მხრივაც სხვებისათვის ნიმუშის მიმცემი. საინვენტარო ჩანაწერებში, რომლებსაც ჩვენამდე მოუღწევია, არაერთგზის იხსენიებიან დასახელებული პირები, როგორც შემომწირველნი ამა თუ ამ ხელნაწერისა და ხელნაწერთა კომპლექსისა.

ზსენებული საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციების შეგროვებისა და შესწავლისათვის თავდადებით ზრუნავდნენ ამ საქმის დიდი ენთუზიასტები აკად. ე. თაყაიშვილი და ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი, განსაკუთრებით პირველი" (1, გვ. VIII). ე. თაყაიშვილს, მართლაც, უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხელნაწერების შეკრებაში.

ე. თაყაიშვილი იგონებს: „იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად. რაც შეიძლებოდა, მეტი გამომემზეურებინა და მისაწედომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში — იმ რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაც დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. საკვეხურად არ ვამბობ, მაგრამ მას აქეთ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, სისტემატური კვლევისა და ძებნის შედეგად, წილად მხვდა ბევრი ახალი, სრულიად უცნობი და, თან, პირველხარისხოვანი ძეგლის აღმოჩენა, — ისეთებისა, რომელთა არსებობა არც კი მოგვიფიქრებია მანამდე. ეს, უპირველეს ყოელისა, იმის მომასწავებელია, რომ კარგა ხანს ჩვენ ძებნა არც კი მიგვაჩნდა საჭიროდ და არც გვესმოდა ასეთი მუშაობის ფასი“ („მნათობი“, 1958 წ., № 7, გვ. 162—163).

1888 წელს შეიქმნა საეკლესიო მუზეუმი. იღ. აბულაძე აღნიშნავს: „მეორე დაწესებულება, რომელიც გასულ საუკუნეში, სახელდობრ, 1888 წელს, ჩამოყალიბდა აგრეთვე ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ძეგლთა შესაგროვებლად, დასაცავად და შესასწავლად, იყო საეკლესიო მუზეუმი. იმ პირთაგან, ვინც აქ სამუზეუმო საქმეს ემსახურებოდა თავდადებით, აღსანიშნავი არიან დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი. ესენი იყვნენ არა მარტო ექსპონატების შემკრებნი, არამედ მათი მომველელ-დამცველნი და უმეტეს შემთხვევაში შემსწავლელნიც.

ეს სიძველეთსაცავი ერთ დროს (1921—1929 წლებში) შეუერთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმს“ (1, გვ. VIII).

ე. თაყაიშვილმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო საეკლესიო მუზეუმის საქმიანობაშიც. დიდი ეკვთიმე ასე იგონებს ამ საზოგადოების მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს: „დ. ბაქრაძემ შეიტანა წინადადება, დაარსებულიყო იმ „წმ. ანდრიას ძმობასთან“ მუზეუმი ძველი საეკლესიო ხელნაწერებისა და ნივთებისა, რომლებიც გამოსული იყვნენ ხმარებიდან. ამრიგად შეიქმნა იმ საზოგადოებასთან „საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი“. სინოდს დაემტკიცებინა მისი დაარსება, მაგრამ მუზეუმი ჯერ არ იყო გახსნილი. ბაქრაძეს უკვე შეედგინა და დაემტკიცებინა მისი წესდება და, როგორც სხვაგან უკვე აღვნიშნე, მოშცა და ქართულად მათარგმნინა იგი. თან მითხრა, რაკი ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი გაგითავებიათ, ჩვენთან უნდა იმუშაოთო. მასთან მუშაობა მართლაც სასიამოვნო იყო და ყველას ძალიან უყვარდა. წინათ ემუშავნა ქუთაისის გუბერნატორთან, „განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელ მოხელედ“. ნიჭიერი და კარგად განათლებული მკვლევარი იყო, რუსულის გარდა ფრანგულიც იცოდა. მერე შედგა იმ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი: დ. ბაქრაძე (თავმჯდომარე), ელიევი (წევრი), კალისტოვი (ეგზარქოსის მდივანი), თ. ჟორდანია, მე და ნ. მთვარელიშვილი (ქართული ენის მასწავლებელი სათავადაზნაურო სკოლაში, სასულიერო აკადემიადამთავრებული, ავტორი მშვენიერი წერილისა ანტონ I შესახებ, რომელიც საარქივო მასალების მიხედვით ჰქონდა შედგენილი). როგორც უკვე ეწერდი, იმ მუზეუმის პირველი ნაბიჯი იყო დ. ბაქრაძისა და ჩემ მიერ ძველი ქართული ხელნაწერების ჩამოტანა სვეტიცხოველიდან, რომელსაც წინათ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, ოღონდ მერე ბევრი რამ დაკარგოდა, მაინც მრავალად იყო იქ კარგი ხელნაწერი და ყველა წამოვიღეთ, თითქმის აღარაფერი დაგვიტოვებია. მუზეუმისათვის მოგვცეს ერთი დიდი ოთახი სიონის ტაძრის ეზოში მდგარი შენობის მეორე სართულზე და იქ შევინახეთ ხელნაწერები. მოვაწყეთ ბიბლიოთეკა. ამ უკანასკნელის გამგედ ავირჩიეთ თედო ჟორდანია, რომელსაც დავავალეთ მოკლე აღწერილობა-კატალოგის

შედგენა. მერე უკვე სხვა ტაძარ-მონასტრებიდანაც მოგედიოდა ხელნაწერები" („მნათობი", 1959, № 2, გვ. 169—170).

1907 წელს დაარსდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, „რომლის ერთ-ერთი ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ხელნაწერი წიგნების, საისტორიო დოკუმენტებისა და ზეპირსიტყვაობითი მასალის შეგროვება. ამ საზოგადოების დამაარსებელი და მისი მუზეუმის მეცნიერი ხელმძღვანელი დღიდან მისი დაარსებისა 1921 წლამდის იყო აკად. ე. თაყაიშვილი. მისმა უშრეტმა ენერგიამ და ქართული სიძველეების უანგარო გულშემატკივრობამ საზოგადოებას, რომელიც სხვებთან მიმართებით უველაზე ახალგაზრდა იყო, შეაძლებინა, შეეკრიბა სხვებზე არა ნაკლები ხელნაწერი კოლექციები" (1, გვ. VIII).

შემდგომში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის, უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა და საისტორიო-იურიდიულ დოკუმენტთა კოლექციები შევიდა ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების, ხოლო 1958 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.

1. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის და უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის ლიტერია A, საისტორიო დოკუმენტებისა — Ad.

2. ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია აღინიშნება H ლიტერით, საისტორიო დოკუმენტები — Hd-თი.

3. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციის ლიტერია S, საისტორიო დოკუმენტებისა — Sd.

ხელნაწერთა განყოფილებასა და ხელნაწერთა ინსტიტუტში შემოსული ახალი მასალა Q და Qd ლიტერებით აღინიშნება.

ამჟამად თითქმის დასრულებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდების აღწერა და კატალოგთა გამოცემა. ამ უდიდეს საქმეს საფუძველი ჩაუყარეს თ. ჟორდანიამ, მ. ჯანაშვილმა და ე. თაყაიშვილმა (თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა: Описание рукописей... Церковного Музея (1—1903, II—1902); მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა ამ კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის III ტომი 1908 წელს. ე. თაყაიშვილმა შეადგინა: Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения, Т. I, вып. 1—4, 1902—1904; Т. II, вып. 1—4, 1906—1912. A კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა, დასრულდა 1955 წელს (1954 წელს გამოვიდა IV ტომი, ხოლო 1955 წელს — V). H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა გამოვიდა 6 წიგნად (ტ. I, 1946; ტ. II, 1951; ტ. III, 1948; ტ. IV, 1950; ტ. V, 1949; ტ. VI, 1953). შვიდ ტომს შეადგენს ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა (ტ. I, 1960; ტ. II, 1961; ტ. III, 1963; ტ. IV, 1965; ტ. V, 1967; ტ. VI, 1969; ტ. VII, 1973). Q ფონდის აღწერილობის I ტომი გამოვიდა 1957 წ., II — 1958 წ. ამჟამად ხელახლა ქვეყნდება იმ ხელნაწერთა აღწერილობა, რომლებიც თავის დროს აღწერეს თ. ჟორდანიამ, მ. ჯანაშვილმა და ე. თაყაიშვილმა. გამოსულია სამი ნაკვეთი (I, 1974; II, 1976; III, 1980).

ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსება უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. ამ საქმის სულისჩამდგმელი და ინსტიტუტის პირველი დირექტორი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ილია აბულაძე იყო.

ხელნაწერთა ინსტიტუტის მცირერიცხოვანმა, მაგრამ საქმისმცოდნე და ბეჯითმა კოლექტივმა უკვე დაიმსახურა სამეცნიერო საზოგადოების დიდი და გულწრფელი აღიარება. ამ ინსტიტუტის ავტორიტეტს შეაპირობებს, როგორც ხელნაწერთა კომპლექსური შესწავლა (აღწერილობათა შედგენა, ტექსტების პუბლიკაცია, მონოგრაფიები და კრებულები საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობის, ძველი ქართული ენის ურთულეს პრობლემებზე), ისე ზრუნვა ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის, მათი ფონდის განუწყვეტელი ზრდისათვის.

ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ათი ათასამდე ხელნაწერი ინახება. მათ შორის 1000-მდე V—XII საუკუნეებით თარიღდება. ცხადია, ეს ხელნაწერები შეადგენენ ქართული კულტურის ოქროს ფონდს. მათი მნიშვნელობის გადაჭარბებულად შეფასება შეუძლებელია.

ძველი ქართული ენის ძეგლები სამ ჯგუფად იყოფა: ხანმეტი, ჰაემეტი და სან-ნარევი. ეს დაყოფა ემყარება იმას, თუ რომელი პრეფიქსები გამოხატავენ მეორე სუბიექტურსა და მესამე ობიექტურ პირებს.

ხანმეტი ეწოდება ისეთ წერილობით ძეგლებს, რომლებშიაც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნად ხ- პრეფიქსია გაბატონებული. ეგეგე ხ- პრეფიქსი გვხვდება აგრეთვე ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროობითი ხარისხის ფორმებსა და ი- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში. ისეთ ტექსტებს, სადაც ზემოთ დასახელებულ ფორმებში ჰ- იხმარება, ჰაემეტი ჰქვია, ხოლო სან-ნარევს უწოდებენ ისეთ წერილობით ძეგლებს, რომლებშიც სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირების მაწარმოებლად დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჳ თანხმოვანთა წინ ს- პრეფიქსი დასტურდება.

ყველაზე ძველია ხანმეტი ტექსტები (V ს. ბოლო — VIII ს-ის I ნახევარი). ჰაემეტი ტექსტების უძველესი ნიმუშია წყისის წარწერა (616—619 წ.). ჰაემეტი ხელნაწერი, ა. შანიძის მიერ ამოკითხული, VIII საუკუნის მეორე ნახევრისაა. სან-ნარევი ტექსტები IX საუკუნიდან გვაქვს.

1920 წელს გამოქვეყნდა აკაკი შანიძის მონოგრაფია: „სუბიექტური

პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში". მასში ღრმად და საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ქართული ენის მთელი ისტორიის მანძილზე,. გათვალისწინებულია ქართული ენის დიალექტთა მონაცემებიც. ა. შანიძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ხ-არ, (მო)-ხ-უალ, (მო)-ხ-უედ ზმნებში მეორე სუბიექტური პირის ნიშანია ხ-.

1923 წელს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის" II ტომში დაიბეჭდა ა. შანიძის გამოკვლევა: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში". ა. შანიძის აზრით, ხ- პრეფიქსი ადრე მესამე ობიექტური პირის ნიშნადაც იხმარებოდა. ამ მოვლენის გადმონაშთია ხერთვისი, რომელიც ძველ ქართულში იხმარება კუნძულის, ან ნახევარკუნძულის მნიშვნელობით (იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გეოგრაფიულ სახელადაც გვხვდება), აგრეთვე მცხეთისა და ბოლნისის წარწერებში დადასტურებული ისეთი ზმნური ფორმები, როგორიცაა ხეყავ, შეხეწიე, შეხუაბთ. ა. შანიძემ გაარკვია, რომ ხერთვისი ნაზმნარი სახელია. იგი წარმოქმნილია ხ-ე-რთ-ვ-ი-ს (ერთვის) ზმნისაგან. ხ ე რ თ ვ ი ს, ხეყავ, შეხეწიე, შეხუაბთ ფორმათა მიხედვით ა. შანიძემ გააკეთა ქართული ენის ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა: „ზემორე განხილულს ოთხს ზმნის ფორმაში (ხერთვის, ხეყავ, შეხეწიე და შეხუაბთ) ქართულს შემოუნახავს, მაშასადამე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ. ეს ნაშთები სრულს ანალოგიას წარმოადგენს ა რ ს ზმნის მეორე პირის ფორმასთან შედარებით (ხარ), სადაც აგრეთვე შენახული გვაქვს ნაშთი მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნის წინ. ეს ორი პრეფიქსი სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირისა — თუმცა სხვადასხვა კატეგორიას ეკუთვნიან მორფოლოგიურად და სინტაქსურად, მაგრამ რადგანაც მათ ერთსა და იმავე ფონეტიკურ პირობებში ერთი და იგივე ბგერითი სახე აქვთ, ამიტომ თანაბარ ფონეტიკურ პირობებში ერთის ხმარება რომელიმე სახით მეორის ხმარებასაც გულისხმობს იმავე სახით. ამ გარემოების წყალობით ხ-არ ფორმის გვერდით მოსალოდნელი იყო და კიდევაც აღმოჩნდა ანალოგიური წარმოებანი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებით ხმოვნების წინ. ასე და ამგვარად, ყველა ეს ფორმა: ხარ, ხერთვის, ხეყავ, შეხეწიე და შეხუაბთ ერთიმეორეს მხარს უჭერენ და ამყარებენ, რომ ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს, ანუ კილოს ეკუთვნიან" (34, გვ. 279). ა. შანიძე თავის სხვა გამოკვლევაში იგონებს, რომ 1923 წლის იანვარში, როცა იგი მოსკოვში იმყოფებოდა და ჯერ კიდევ არაფერი იცოდა ი. ჯავახიშვილის მიერ ხანმეტი ტექსტების აღმოჩენის შესახებ, მისთვის კორნელი კეკელიძეს უკითხავს: „რა იქნება, აკაკი, რომ სადმე ამოგორდეს ქვა მეექვსე საუკუნის წარწერით ასე თხუთმეტიოდე სტრიქონი?". აკაკის

უპასუხნია, სულ ხანებით იქნება სავსეო. ა. შანიძე წერს, მე ამის საბუთს მცხეთა-ბოლნისის წარწერების ფორმები მაძლევდაო (35, გვ. 281).

ა. შანიძის ეს ვარაუდი ბრწყინვალედ დაადასტურა 1922 წლის დეკემბერში აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილმა ხანმეტმა ხელნაწერებმა, აგრეთვე შემდეგში მიკვლეულმა ხანმეტმა ეპიგრაფიკულმა მასალებმა და ხელნაწერებმა.

ი. ჯავახიშვილის აღმოჩენას განსაცვიფრებელი შეიძლება ეუწოდოთ. თვით ი. ჯავახიშვილი ასე განსაზღვრავს მის მიერ ამოკითხული ტექსტების მნიშვნელობას: „ვითარცა საქრისტიანო მწერლობის უძველეს ძეგლებს, მათ მნიშვნელობა აქვთ, რასაკვირველია, საერთოდ მეცნიერებისათვისაც — სახარებისა, დაბადებისა და აპოკრიფულ ნაწარმოებთა ტექსტის ისტორიისა და კრიტიკისათვის, მაგრამ მეტადრე ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვისაა ძვირფასი ეს ძეგლები, მისთვის უნდა შეიქმნეს ქვაკუთხედად.

როგორც ქართული დამწერლობისა და მწერლობის ძეგლები, ეს ხელნაწერები არა ერთი ქართული ენათმეცნიერებისა, მწერლობისა და კულტურის ისტორიის პირველხარისხოვანი სადავო საკითხების გადაწრის საშუალებასაც გვაძლევენ“ (56, გვ. 297—298).

ა. შანიძე წერს: „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენა ფართო ჰორიზონტებს გვიშლის თვალწინ მრავალმხრივ. თუ ჯერჯერობით არ ხერხდება მათი ქრონოლოგიურად განსაზღვრა სრული ზედმიწევნილობით, ის მაინც ცხადია, რომ აქ, ყოველ შემთხვევაში, არაბობამდეინდელ ლიტერატურასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, არაბთა შემოსევის წინა ხანებში (ე. ი. მეშვიდე საუკუნის ნახევრამდე) არსებული ქართული მწერლობა არ დაღუპულა ისე კატასტროფულად, როგორც ეს აქამომდე გვეგონა, ვინაიდან, ჩვენდა ბედად, ზოგი რამ ამ ეპოქისა დაღუპვისაგან გადაურჩენია პალიმფსესტებს. ეს ფაქტი უაღრესი მნიშვნელობისაა როგორც ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიის, ისე პალეოგრაფიისათვისაც. ამიერიდან ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის მკვიდრ საფუძველს პოულობს და შესაძლებელი ხდება მრავალი ბუნდოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის გამორკვევა“ (35, გვ. 281—282).

აკად. გ. ახვლედიანი აღნიშნავდა: „ქართული ენათმეცნიერების ამ პირველ პერიოდს სათავეში უდგას ა. შანიძის ხსენებული ფუძემდებელი გამოკვლევა „S_2 და O_3 ქართულ ზმნებში“, რომელმაც, ერთი მხრით, გადაჭრა ქართული ზმნის ერთ-ერთი კარდინალური საკითხი — ზმნის პი-

რის პრობლემა, ხოლო, მეორე მხრივ, დასვა რიგი საკითხები, რომლებიც ზედიზედ გაარკვია იმავე მკვლევრის მიერ წინასწარ განჭვრეტილმა „ხანმეტურმა“ მოვლენებმა ძველ ქართულში. ივ. ჯავახიშვილის ხანმეტიანი პალიმფსესტური ტექსტების შესანიშნავმა აღმოჩენამ (1923 წ.) ახალი ეპოქა შექმნა ძველი ქართული ენისა და ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის კვლევის საქმეში“ (4, გვ. 166).

ამ აღმოჩენამდე ივ. ჯავახიშვილი მიიყვანა ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარების საკითხთა კვლევამ. იმ დროისათვის ცნობილი წერილობითი ძეგლების შესწავლის საფუძველზე მეცნიერმა წამოაყენა ვარაუდი, რომლის თანახმადაც, ქართული ენის უძველეს ძეგლებში ⴆ, ⴄ, ⴈ (ბ, ვ, ყ) ასოები თავშეკრულნი იყვნენ, ხოლო VII საუკუნიდან მათ თავი ეხსნებათ. ამ პალეოგრაფიული ნიშნით ცდილობდა ი. ჯავახიშვილი უთარიღო ქართული წერილობითი ძეგლების დათარიღებას. ქართული პალეოგრაფიის კვლევისათვის იმ დროს X საუკუნისა და უფრო ადრინდელ ყოველ ძეგლს განუზომელი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ დროს ივანე ჯავახიშვილს მოაგონდა ერთი ხელნაწერის ორი ფურცლის ფოტოპირები, რომლებიც 1897 წლის ზაფხულში ნიკო მარს გამოუგზავნა ინგლისიდან, ოქსფორდის ბოდლეიანის ბიბლიოთეკიდან, ა. ნეიბაუერმა. ოქსფორდში დაცული ხელნაწერი პალიმფსესტს წარმოადგენს.

პალიმფსესტი ბერძნული სიტყვაა. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: παλιν „კვლავ“, ψηστος „გადაფხეკილი“. პალიმფსესტი ისეთ ხელნაწერს ჰქვია, რომელსაც ხელახლა იყენებდნენ საწერად. ტყავს პირველად საწერად მომზადებისას გადაფხეკდნენ ხოლმე, როცა მეორედ იყენებდნენ ხელნაწერს საწერად, ძველ ნაწერს წაშლიდნენ, ფხეკდნენ. აქედან მოდის ამგვარი ხელნაწერის სახელწოდება — პალიმფსესტი — „კვლავ გადაფხეკილი“. თავდაპირველ ტექსტს ზემოდან აწერდნენ ხოლმე ახალს. ეს მაშინ ხდებოდა, როცა სხვა ენაზე დაწერილი, ან კიდევ ენობრივად და შინაარსობრივად მოძველებული ტექსტის შემცველი ხელნაწერი ჩაუვარდებოდათ ხელთ. საზოგადოდ კი, ამ მოვლენის მიზეზი საწერი მასალის — ეტრატის — სიძვირე იყო (თითო ხელნაწერს სჭირდებოდა რამდენიმე ათეული, ზოგჯერ კი ასობით ხბოს, ან ცხვრის ტყავი.

ნ. მარმა ამ ქართულ-ებრაულ პალიმფსესტს არ მიაქცია სათანადო ყურადღება და იგი შესასწავლად გადასცა ცნობილ სემიტოლოგს პავლე კონსტანტინეს ძე კოკოვცოვს (1861—1942), რომელმაც თავდაპირველ ტექსტად მიიჩნია ებრაული. სხვათა შორის ამ ხელნაწერში აღმოჩნდა იერუსალიმის თალმუდის იმ დროისათვის უძველესი და შედარებით კარგად დაცული ტექსტი XI საუკუნისა, ხოლო ქართული ტექსტი, ბუნებრივია, უფრო გვიანდელად იქნა მიჩნეული. კოკოვცოვმა თავისი გამოკ-

ველევა 1899 წელს დაბეჭდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მალე მიხვდა თავის შეცდომას და იმავე წელს გამოაქვეყნა ამ ნაშრომის დამატება, რომელშიაც თავდაპირველ ტექსტად ქართული ჩათვალა. თავისი ნაშრომის ამონაბეჭდი პ. კოკოცოვს უჩუქნია ი. ჯავახიშვილისათვის (პ. კოკოცოვი ივანე ჯავახიშვილს სირიულს ასწავლიდა). 1923 წელს ი. ჯავახიშვილი წერდა: „ეხლაც კარგად მაგონდება, რამდენად ძნელი იყო ჩემთვის მაშინ ამ პალიმფსესტის გარჩევა. თითო-ოროლა ასოს გარდა, როგორც მახსოვს, რამდენიმე წინადადების, ან სიტყვის ერთად ამოკითხვა გადაულახავი დაბრკოლება აღმოჩნდა. პრივ.-დოც. კოკოცოვს თავის დანართში ქართული ტექსტის დროის შესახებ ვითარცა არასპეციალისტს, რასაკვირველია, მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ იგი ებრაულზე ადრინდელი უნდა ყოფილიყო, ე. ი. XI საუკუნეზე უწინარესი, მაგრამ სახელდობრ რა დროისა იყო იგი, ეს გაუგებარი იყო ჩემთვისაც. ის გარემოება, რომ პრივ.-დოც. ნ. მარმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია, მაფიქრებინებდა, რომ ეს ორი ნაწყვეტი ქართული მწერლობისათვის ალბათ უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო და შემდეგშიც მათი წაკითხვა აღარ მიცდია, მაგრამ ამ პალიმფსესტის ასოთა დიადი მოხაზულობა მაინც გონებაში მქონდა ჩარჩენილი“ (56, გვ. 316—317). ივ. ჯავახიშვილმა ამოიკითხა პ. კოკოცოვის მიერ გამოქვეყნებული ქართულ-ებრაული ხელნაწერის ქართული ტექსტი. ი. ჯავახიშვილი წერს: „წარსული 1922 წლის დეკემბრის დამლევს პროფ. პ. კოკოცოვის წერილს მივაგენი. საკმარისი იყო, შინ ამ ორი ფოტოტიპიური ფურცლის გასინჯვას შევდგომოდი, რომ პირველივე დაკვირვებიდან ამ ძეგლის უაღრესი მნიშვნელობა ცხადი გამხდარიყო: ასოები „ყ“ და „ჳ“ თავშეკრული იყო ყველგან. ქართული პალეოგრაფიის შესწავლის დროს კი უკვე გამორკვეული მქონდა წარწერებისა და ხელნაწერების მიხედვით, რომ ამგვარი მოხაზულობის „ყ“ და „ჳ“ მხოლოდ VII—VIII საუკუნეებში იხმარებოდა. ამის გამო ცხადი შეიქმნა ჩემთვის, რომ ოქსფორდის ეტრატის ნაწყვეტები VII—VIII საუკუნეებისა მაინც უნდა ყოფილიყვნენ. ამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელი გარემოების გამორკვევის შემდგომ ძვირფასი პალიმფსესტის კითხვას გულდასმით შევუდექი და ეხლა განსაკუთრებით ბანს ვეძებდი. პირველსავე ფურცელზე, მარჯვენითი სვეტის მე-9 და მე-10 სტრიქონებში ორჯერვე „ბ“ სრულებით გარკვევით თავშეკრული იყო, ენაც გასაოცარი სიძველის მომასწავებელი გამოდგა. ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლო.

ცხადი გახდა ჩემთვის, რომ თვალწინ ქართული დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი მედო. აქამომდე IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელნაწერი არ იყო ცნობილი და ეხლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები აღმოჩნდა“ (56,

გვ. 318). ი. ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ხელნაწერი შეიცავდა იერემიას წინასწარმეტყველების ხანმეტ ნაწყვეტს (17, 26—18, 8)[1].

ამ აღმოჩენით აღფრთოვანებულმა დიდმა მეცნიერმა კიდევ ოთხი ხანმეტი პალიმფსესტის ნაწყვეტები ამოიკითხა (A-737, A-89, A-844, H-999). როგორც შემდგომში გაირკვა, A-89 და A-844 თავდაპირველად ერთი და იმავე ხელნაწერის ნაწილები ყოფილა და მერე დაუშლიათ (61). ხელნაწერი შეიცავს ოთხთავის ტექსტს.

A-737 ხელნაწერში ივანე ჯავახიშვილმა ამოიკითხა საქმე მოციქულთას აპოკრიფული ვერსიის ნაწყვეტები. A-999 ხელნაწერში გვაქვს როგორც ძველი აღთქმის, ისე ახალი აღთქმის ტექსტები.

ივანე ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული ხანმეტი ტექსტები VI—VII საუკუნეებით თარიღდება. ზოგი მეცნიერი ფიქრობდა, რომ ქართულად ბიბლია VII—VIII საუკუნეებში ითარგმნა. ძველი და ახალი აღთქმის შემცველი ხანმეტი ხელნაწერების აღმოჩენამ ნათელი გახადა ამ აზრის მცდარობა. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები ამ აზრის სრულ უსაფუძვლობას ცხად-ყოფს. ის გარემოებაც, რომ მოსეს პირველი წიგნი, იგავნი სოლომონისნი და იერემია წინასწარმეტყველი VI საუკუნის ხელნაწერში გვხვდება, ვგონებ, უფლებას უნდა გვაძლევდეს დავასკვნათ, რომ მთელი დაბადება ამ დროს უკვე სრულად უნდა ყოფილიყო ნათარგმნი. მაშასადამე, თუ V საუკუნეში არა, VI საუკუნეში მაინც უნდა იყოს დაბადება (იგულისხმება ბიბლიის ის ნაწილი, რომელსაც ძველი აღთქმის წიგნებს ეუწოდებთ. — ზ. ს.) ქართულად გადმოთარგმნილი. რასაკვირველია, მით უმეტეს V საუკუნეში, თუ ამაზე უწინარეს არა, სახარება ქართულად ნათარგმნად უნდა ვიგულისხმოთ“ (56, გვ. 347). შემდგომი ხანის აღმოჩენებმა დამატებითი მასალე-

---

[1] იერემიას წინასწარმეტყველება ბიბლიის ერთ-ერთი წიგნია. ბიბლია (ბერძნ. τα βιβλια „წიგნები“) შედგება ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის წიგნებისაგან. ძველი აღთქმის წიგნები დაიწერა ძველ ებრაულ ენაზე, ნაწილობრივ — არამეულად. ძველი აღთქმის წიგნებია: შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული, ისუ ნავესი, მსაჯულთა, მეფეთა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე წიგნები, ესაიასი, იერემიასი, ეზეკიელისი, ოსიასი, იოელისი, ამოსისი, ობადიასი, იონასი, მიქეასი, ნაუმისი, სოფონიასი, ანგეასი, ზაქარიასი, მალაქიასი, ფსალმუნნი, სოლომონის იგავნი, იობის წიგნი, ქებათა ქება, იერემიას გოდება, ეკლესიასტე, ესთერის წიგნი, დანიელის წიგნი, ეზრას წიგნი, ნეემიას წიგნი, ნეშტთა I და ნეშტთა II. ძველი აღთქმის წიგნები სხვადასხვა დროსაა დაწერილი (ძვ. წელთაღრიცხვის XII ს. — ძვ. წელთ. II ს.).

ახალი აღთმის წიგნებია: ოთხთავი (სახარება, ევანგელე; მისი ავტორებია: მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე), საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები, პავლეს ეპისტოლეები (სულ 21 ეპისტოლე) და იოანეს გამოცხადება. სადავოა, რომელ ენაზე დაიწერა მათეს სახარება, ბერძნულად თუ არამეულად, ახალი აღთქმის დანარჩენი წიგნები ძველ ბერძნულად დაიწერა. ტრადიციის მიხედვით, ახალი აღთქმის წიგნების ავტორები ქრისტეს უახლოესი მოწაფეები და მიმდევრები არიან.

ბი გამოაელინეს ივ. ჯავახიშვილის ამ დებულების დასადასტურებლად.

ივ. ჯავახიშვილმა რომ ხანმეტი ტექსტები ამოიკითხა, ა. შანიძე, როგორც უკვე ვთქვით, მოსკოვსა და ლენინგრადში იმყოფებოდა მივლინებით. მან გიორგი ახველედიანის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილით შეიტყო ამ დიდი მოვლენის შესახებ. როგორც ა. შანიძე იგონებს, ეს წერილი ასე იწყებოდა: ძმაო ხაკაკი. ა. შანიძე მაშინვე გამოემგზავრა თბილისში და 1923 წლის 1 აპრილს წაიკითხა მოხსენება: „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო. I. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში". მოხსენების ტექსტი გამოქვეყნდა 1923 წელს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის" II ტომში. ა. შანიძე დასაწყისშივე მიუთითებს: „ეს შენიშვნა მოფიქრებულია პეტერბურგში, დაწერილია გზაში და წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე რუსეთიდან დაბრუნების მეორე დღეს, პირველ აპრილს, 1923 წელს" (35, გვ. 280). ამ ნაშრომში ა. შანიძემ გაარკვია ტერმინ „ხანმეტის" მნიშვნელობა. ეს ტერმინი გვხვდება გიორგი მთაწმიდლის (1009—1065) ანდერძში, რომელიც მოთავსებულია მის მიერ ნარედაქციევი ოთხთავის შემცველ ხელნაწერებში. ამ ანდერძში ნათქვამია, რომ გიორგიმ ახლად თარგმნა ოთხთავი, შეაწამა იგი ბერძნულ ოთხთავებთან. გიორგი სთხოვს გადამწერებს, ნუ შეცვლიან ტექსტს გადაწერისას, ხოლო ვისაც ეს ახალი თარგმანი რაიმეთი არ მოეწონება, სხვა მთარგმნელთა მიერ ნათარგმნი ტექსტიდან გადაწერონ (ქართულად ოთხთავი ადრიდანვე კარგადაა თარგმნილი, ხანმეტიც და საბაწმიდურიც) და ერთმანეთში ნუ აურევენ ტექსტებს.

მოვიყვანთ ამ ანდერძის ტექსტს: ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ახლად გჳთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულთა სახარებათადა შეგჳწამებია ფრიადითა გამოწუღილეითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ, ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაჲმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ.

საბაწმიდური სახარება, მკვლევართა აზრით, არის ოთხთავის ის რედაქცია, რომელიც პალესტინაში, საბაწმიდის ლავრაში, იქნა შემუშავებული. მაგრამ გაუგებარი იყო, თუ რას აღნიშნავდა „ხანმეტი". ზოგი ფიქრობდა, რომ ხანმეტი კომენტარებს ნიშნავს (მ. ბროსე), ზოგი დანართს გულისხმობდა (დ. ბაქრაძე), ზოგის აზრით, სრული სახარებაა საგულვებელი (ა. ცაგარელი). თ. ჟორდანია თავდაპირველად მიიჩნევდა,

რომ ხანმეტი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებაა, შემდგომში კი ფიქრობდა, ხანმეტი ფრიად ძველს აღნიშნავსო. მ. ჯანაშვილი ფიქრობდა, ხანმეტი ხაძთა არისო (Описание рукописей Церковного Музея, III, გვ. 284). კ. კეკელიძემ ხანმეტი დრომეტად ჩათვალა. ნ. მარმა ხან მუხლად გაიგო, „ხანმეტი" კი — „მუხლმეტად".

ა. შანიძემ მიუთითა, რომ „ხანმეტი", გიორგი მთაწმიდლის ანდერძის მიხედვით, ოთხთავის ისეთი ტექსტის აღმნიშვნელია, სადაც მეორე სუბიექტური, მესამე ობიექტური პირის პრეფიქსად, ი- პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებსა და ზედსართავი სახელების (აგრეთვე ზმნიზედათა) უფროობითი ხარისხის ფორმებში ხ- თავსართი იხმარებოდა. XI საუკუნის სალიტერატურო ენა და ცოცხალი მეტყველება იმითაც მკვეთრად უპირისპირდებოდა ხანმეტ ტექსტებს, რომ ზემოთ დასახელებულ ზმნურ და სახელურ (აგრეთვე ზმნიზედურ) ფორმებში ხ- პრეფიქსი სრულიად აღარ იხმარებოდა. ა. შანიძე წერს: „თავისი დროის სალიტერატურო ძეგლებზე სკოლა-გავლილ გიორგი მთაწმიდელს არ შეიძლება თვალში არ სცემოდა ძველი ტექსტების ხანები და ყურში უცნაურად და მეტად უჩვეულოდ არ მოჰსმოდა გამოთქმა ხანიანი ფორმებისა, სადაც ხანი მისთვის, რა თქმა უნდა, ზედმეტი იყო. ზედმეტი იყო იგი არა თუ გიორგისა და მისი დროის ლიტერატორთათვის, არამედ უფრო ადრეც, მეათისა და მეცხრე საუკუნის მწერალთათვისაც, რომელთაც ალბათ საშინლად ეჩოთირებოდა ხანიანი ფორმები. მართლაც, როგორც გვიჩვენებს ენა სინა-რაითის მამათა მოსრვისა, რომელიც გამოცემულია ჯერჯერობით უძველესად ცნობილის ქართული თარიღიანი ხელნაწერის მიხედვით (სახელდობრ, სინას მთაზე დაცულის 864 წლის მრავალთავიდან), უკვე მეცხრე საუკუნეში იყო უკუგდებული ხანის ხმარება პრეფიქსებად. და უკეთუ ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში იყო უარყოფილი ხანიანი ფორმები სალიტერატურო ენაში სახმარებლად, მით უმეტეს დასაწუნი და უარსაყოფი უნდა ყოფილიყო იგი მეთერთმეტე საუკუნეში, გიორგი მთაწმიდლის მოღვაწეობის დროს. რაკი უძველესი ტექსტების ხან თავსართები ზედმეტი იყო მეათე-მეთერთმეტე საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, რომლებზედაც აღზრდილი იყო გიორგი მთაწმიდელი, ამიტომ გასაგებია, რომ ამ გამოჩენილ მწერალს მათთვს სახელად ხანმეტი ეწოდებინა" (35, გვ. 293). შემდგომში ხანმეტი დამკვიდრდა ამ ტიპის ძეგლთა აღსანიშნავად.

რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი ხანმეტი ძეგლი შეისწავლა და გამოსცა ა. შანიძემ. 1927 წელს მან გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევითურთ ხანმეტი მრავალთავის ტექსტი.

მრავალთავი სპეციფიკური კრებულია, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ჰომილეტიკურ[1], მასალას შეიცავდა, მოგვიანებით კი მასში შეიტანეს აგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებიც (საკმარისია, გავიხსენოთ, რომ ისეთი ძეგლები, როგორიცაა „შუშანიკის წამება“, „აბოს წამება“ და სხვ. ჩვენამდე სწორედ ამგვარ კრებულებშია მოღწეული). ქართული მრავალთავის შესახებ არსებობს პროფ. მიშელ ვან ესბროკის შესანიშნავი გამოკვლევა (82).

ხანმეტი მრავალთავი პალეოგრაფიული და ენობრივი თვალსაზრისით VIII საუკუნის. I ნახევრის ძეგლია. საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია ხანმეტ ფორმათა ხმარების ნორმები. როგორც ა. შანიძე მიუთითებს, „ობიექტურ პრეფიქსს ვერ ვპოულობთ მაშინ, როცა სუბიექტურად პირველი პირია, დანარჩენ შემთხვევებში იგი თავის ადგილასაა (38, გვ. 114).

არის:	მოსალოდნელი იყო:
მივეახლებით	მიხუეახლებით
მივეახლებოდით	მიხუეახლებოდით
ვეგლოვდეთ	ხუეგლოვდეთ
ვეეედრებოდით	ხუეეედრებოდით და მისთ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხუცეს (თავდაპირველი მნიშვნელობა „უფროსი“) სიტყვიდან ნაწარმოები უხუცესი. ხუცესი ასე დაიშლება: ხ-უ-ც-ეს-ი. ძირია ც. ხუცესი უფროობითი ხარისხის ფორმაა ისტორიულად (ა.. შანიძე). უკვე VIII საუკუნეში მისგან უწარმოებიათ ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმა, ოღონდ მოსალოდნელი ხუხუცესი ფორმის ნაცვლად გვაქვს უხუცესი. რასაკვირველია, ეს მოვლენები ხანმეტობის რღვევის მომასწავებელია.

ხანმეტი მრავალთავი შეიცავს ნათარგმნ ძეგლებს. იგი დამადასტურებელია ქართული ლიტერატურის უძველესი პერიოდის ჟანრობრივი სიმდიდრისა. ა. შანიძე წერს: „თვით ფაქტი ხანმეტი მრავალთავის არსებობისა თავისთავად გულისხმობს მრავალ ჰომილეტიკურ და აგიოგრაფიულ თხზულებათა არსებობას იმ დროს. ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ საქრესტომათიო მასალა უნდა არსებულიყო მრავალთავის გარეშეც, მისგან დამოუკიდებლივ. ეს კი ბევრ რასმე გვეუბნება. უპირველეს ყოვლისა იმას, რომ მეცხრე საუკუნემდე არსებული ლიტერატურის ზოგიერთი დარგი (ბიბლიოგრაფია, აპოკრიფები, ჰომილეტიკა, აგიოგრაფია და სხვ.) უკვე საკმაოდ განვითარებული ყოფილა ქართულ ენაზე“ (38, გვ. 108).

---

[1] ჰომილია ქადაგებას ნიშნავს (ძვ. ბერძნული ὁμιλία „სიტყვა კრებაზე, საუბარი მრავალთან“).

[1] ლექციონარი არის საკითხავი წიგნი, მასში შედის ნაწყვეტები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან.

ფრიად საინტერესოა ხანმეტი ლექციონარის[1] ისტორია. 1927 წელს ა. შანიძისათვის ცნობილი გახდა, რომ ავსტრიელი მეცნიერის, ქართული ენის ჩინებული მცოდნის პროფესორ ჰუგო შუხართის (Hugo Schuchardt) განკარგულებაში ხუთი ძველი ქართული ხელნაწერი იყო, მათ შორის ერთი ხანმეტი.

შუხართს კარგად იცნობდა პეტრე მელიქიშვილი, ცნობილი ქართველი ქიმიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი. ე. თაყაიშვილი თავის მოგონებებში წერს: „პეტრე მელიქიშვილს უამბია ერთხელ ჩემთვის, ავსტრიელი ლინგვისტი რომ იყო ჰუხო შუხარდტი, ქართული ენა რომ შეისწავლა, იმის შესახებ. იგი მეგობარი ყოფილა მელიქიშვილისა და თურმე ხშირად ეტყოდა ხოლმე: „ქიმიკოსები ევროპაში მრაელად გვყავს, თითო ქალაქში თითო მაინცაა გამოჩენილი მეცნიერი და რაღა მაგ საგანს მოჰკიდე ხელი ამ ნიჭიერმა კაცმა, ვინ უნდა გააკვირვო ქიმიითაო? ის არა სჯობდა, რომ შენი დედაენა გეკვლიაო? მაგისთანა თავისებური, მდიდარი, საინტერესო და მსოფლიო მეცნიერებისათვის საყურადღებო ენა გაქვთ, იგი, რაც შეიძლება მალე. უნდა გაიცნოს მთელმა ქვეყნიერებამ და მისი შესწავლა კი ყველაზე უკეთესად ქართველებს შეგიძლიათო!" მერე ჩაგვაცივდა შუხრადტი, „ვინმე ნიჭიერი ახალგაზრდა გამომიგზავნეთ ევნაში, რომ მოემზადოს და მერე ქართული ენის შესწავლაზე იმუშაოსო". ჩვენც გაეუგზავნეთ ერთი მართლაც ნიჭიერი ყმაწვილი, გვარად ბეშქენაძე. სტიპენდიაც კი დაეუნიშნეთ, მაგრამ ის თურმე ჩასელისთანავე გაიტაცა ევროპულმა ფილოსოფიამ და ლიტერატურამ და ლინგვისტიკას აღარ გასდევნებია" („მნათობი", № 5, 1959, გვ. 178).

ჰუგო შუხართმა ეს ხელნაწერები შეიძინა 1895 წელს ვიღაც მხატვრისაგან. მან შეისწავლა ეს ხელნაწერები და XX საუკუნის დასაწყისში დაწერა ნაშრომი „Mittheilungen aus georgischen Hand schriften" („ცნობები ქართული ხელნაწერის შესახებ"). სამწუხაროდ, შუხართმა ეს გამოკვლევა თავის დროზე არ გამოაქვეყნა. მან 1927 წელს თავისი ნაშრომი გამოუგზავნა ა. შანიძეს, რომელმაც ავსტრიელი მეცნიერის ნაშრომი დაბეჭდა 1928 წელს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის" VIII ტომში (88). ბუნებრივია, რომ შუხართს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ხანმეტი ხელნაწერისათვის. მას თითქმის სწორად გაუგია ხანმეტობის არსი. ა. შანიძე წერს: „იმას ვერ ვიტყვით, რომ შუხართი სრულიად გარკვეულიყოს ხანის (resp. ჰაეს) პრეფიქსებად ხმარების საკითხში (ყოველ შემთხვევაში, ეს არ ჩანს მისი რვეულებიდან), მაგრამ რომ იგი თითქმის სავსებით მისულა საკითხის გამორკვევამდე, ამაში ეჭვი არ არის. სამწუხაროა, რომ ეს ძეგლი არ იქმნა გამოცემული თავის დროზე. სამწუხაროა იმიტომ, რომ, მართლაც, ამ ოცდაათიოდე წლის წინათ რომ იგი გამოეცა ისეთ ნიჭიერსა, დაკვირვებულსა და საფუძვლიან მკვლევარს, როგორიც იყო შუხართი, ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმე, დღეს, უთუოდ, ბევრად წინ იქნებოდა წაწეული. ახლა კი ისღა დაგვრჩენია, აღვნიშნოთ, რომ ხანმეტი ძეგლების შესწავლის წამოწყება პირველად მაინც

შუხართის სახელთან იქნება დაკავშირებული“ (36, გვ. 314—315).

ხანმეტი ლექციონარი, ისე როგორც ოთხი სხვა ძველი ქართული ხელნაწერი, შუხართის ანდერძის თანახმად, ამჟამად დაცულია გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ა. შანიძემ მიიღო ხანმეტი ლექციონარის ფოტოპირები, ხოლო დანარჩენი ხელნაწერების ნიმუშთა ფოტოები.

ეს ხელნაწერები ინახებოდა სინას მთაზე, ეკატერინეს სახელობის მონასტერში. 1883 წელს ისინი სინას მთაზე ნახა და აღწერა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა. ა. შანიძემ დაადგინა, რომ ხანმეტი ლექციონარი იყო სწორედ ის ხელნაწერი, რომელიც ცაგარელს აღწერილი აქვს მეცხრე ნომრად. ოღონდ ერთი შეუსაბამობა იყო: ცაგარლის სინას მთაზე ყოფნისას ხელნაწერი შეიცავდა 29 ფურცელს, შუხართის კოლექციაში კი 27 ფურცელია შემონახული. ერთი ფურცელი აკლია თავში და ერთიც ბოლოში. ა. შანიძე მიუთითებდა: „იმ ერთ წინა ფურცელზე დაეტეოდა, — ბრც მეტი და არც ნაკლები — სწორედ იმდენი ტექსტი, რამდენსაც წარმოადგენს ნაწყვეტი მათედან (28, 4—7). „შეძრწუნდეს მცველნი იგი“ ვიდრე „თქუენ გალილეად“, რომელი სიტყვებითაც ამჟამად იწყება წიგნი. რაიცა შეეხება უკანასკნელ ფურცელს, მასზე მარტო მინაწერი უნდა ყოფილიყო, რომელიც თავში შემოკლებულად მოჰყავს ცაგარელს „შეიმოსა... ესე წიგნი...“ (36, გვ. 317—318).

ორივე დაკარგული ფურცელი ამჟამად აღმოჩენილია. 1971 წელს ჟურნალში „Le Muséon“ გამოქვეყნდა ბ. უტიეს (Bernard Outtier) სტატია „ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში“ (Un feuillet du Lectionaire géorgien hanmeti à Paris)[1]. ფრანგმა მეცნიერმა მიაგნო ლექციონარის პირველ ფურცელს. იგი ამჟამად ინახება პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში. ეს ფურცელი ამ კოლექციას შეემატა 1933 წლის შემდეგ, მაგრამ კონკრეტულად როდის, ან საიდან, ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

1960 წელს ჟურნალში „Le Muséon“ (LXXIII, 3—4) დაიბეჭდა ჟერარ გარიტის ნაშრომი „მინგანას კოლექციის ქართული ფურცლები Selly Oak-ში (ბირმინგემი)“ (Les feuilletts géorgiens de la collection „Mingana à Selly Oak“)[2]. აკად. ჟერარ გარიტი მიუთითებს, რომ მას პროფესორმა დ. ლანგმა შეატყობინა ბირმინგემში, Selly Oak Colleges-

[1] ამ სტატიის ქართული თარგმანი დაბეჭდილია ჟურნალ „მაცნის“ (ენისა და ლიტერატურის სერია) 1973 წლის პირველ ნომერში (გვ. 173—175).

[2] ჟერარ გარიტის ნაშრომის ქართული თარგმანი გამოქვეყნდა „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია), № 3, 1973, გვ. 170—182.

ის ბიბლიოთეკაში დაცული ტყავის 8 ფურცლის შესახებ, რომლებიც ძველი ქართული ხელნაწერების ფრაგმენტებია. ჟერარ გარიტმა შეისწავლა ეს ფრაგმენტები. ისინი შეუძენია ალფონს მინგანას, რომელმაც 1924, 1925, 1929 წლებში იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში და შეიძინა აღმოსავლურ ენებზე დაწერილი ხელნაწერები.

ალფონს მინგანა არაფერს ამბობს ქართულ ხელნაწერთა წარმომავლობის შესახებ, მაგრამ ჟერარ გარიტი თვლის, რომ ეს ფრაგმენტები სინას მთაზე დაცული ქართული ხელნაწერების კოლექციას მიეკუთვნებოდა და დაკარგულია 1883—1902 წლებს შორის. მინგანას კოლექციის ქართული ხელნაწერების ფრაგმენტთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი ფურცელი, რომელიც შეიცავს ცნობას ხანმეტი ლექციონარის მესამედ შემოსვის (ყდის გაკეთების) შესახებ, დაწერილს 983 წელს იოვანე-ზოსიმეს მიერ. ამრიგად, ბირმინგემში აღმოჩნდა ხანმეტი ლექციონარის ბოლო ფურცელი.

როგორც ვხედავთ, საინტერესო თავგადასავალი გადახდომია ხანმეტ ლექციონარს. ამჟამად მისი ფრაგმენტები სამ ქვეყანაში (ავსტრია, ინგლისი, საფრანგეთი) ინახება.

„ხანმეტი ლექციონარი" 1929 წელს გამოაქვეყნა ა. შანიძემ. მანვე 1944 წელს ეს ძეგლი ხელმეორედ გამოსცა ფოტოტიპურად. ა. შანიძის ვარაუდით, ხანმეტი ლექციონარი „დაწერილია VII საუკუნეში, მის მეორე ნახევარში" (37, გვ. 322). აღსანიშნავია, რომ ეს ხანმეტი ძეგლი არაა პალიმფსესტი, ოღონდ, როგორც ჯერ კიდევ ჰ. შუხართმა მიუთითა, ზოგან ხანი ასო მთლიანად, ან ნაწილობრივ ამოუფხეკიათ. ხანმეტი ლექციონარი შეიცავს ძირითადად ოთხთავის საკითხავებს, გეხვდება პავლეს ორი ეპისტოლის ნაწყვეტები.

ხანმეტ ლექციონარში დასტურდება შვიდი ჰაემეტი ფორმაც. აკაკი შანიძე მიუთითებს, რომ ხანმეტი ფორმების რაოდენობაა 165.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი ხანმეტი ტექსტი, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა ამოიკითხა, ოქსფორდის ბოდლეის სახელობის ბიბლიოთეკაშია. ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა ო. უორდროპმა ჯერ კიდევ 1913 წელს მიუთითა, რომ ამ ხელნაწერს ძალიან ჰგავს კემბრიჯის უნივერსიტეტში დაცული ხელნაწერის ფრაგმენტი. შემდგომში ეს მოსაზრება დაასაბუთა პროფესორმა რობერტ ბლეიკმა (R. P. Blake). აკაკი შანიძემ საბოლოოდ გაარკვია, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ორი ფურცელი ქართულ-ებრაული პალიმფსესტისა, რომელიც შეიცავს იერემიას წინასწარმეტყველების ხანმეტ ფრაგმენტებს. ეს ფურცლები და ოქსფორდში დაცული ფურცლები ოდესღაც ერთ ხელნაწერს ეკუთვნოდა, რომელიც შეიცავდა ძველი აღთქმის ერთ-ერთი დიდი და საინტერესო წიგნის — იერემიას წინასწარმეტყველების — სრულ ტექსტს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იერემიას წინასწარ-

მეტყველების ცალკე, დამოუკიდებელ წიგნად ქართულად არსებობა არაა საგულვებელი, ცხადია, უნდა დავუშვათ მთელი ძველი აღთქმის თუ არა, მისი უდიდესი ნაწილის შემცველი ხანმეტი ხელნაწერის არსებობა. სამწუხაროდ, ამ დიდი ხელნაწერის მხოლოდ ფრაგმენტებმაღა მოაღწიეს ჩვენამდე.

როგორც ჩანს, იერემიას წინასწარმეტყველების ფრაგმენტების შემცველი ფურცლები შეიძინეს ებრაისტებმა (კემბრიჯის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა) ტეილორმა და შლეხტერმა კაიროში, სინაგოგის ძველ ხელნაწერთა საწყობში, ებრაულად გენიზაში, 1890—1906 წწ. ა. შანიძე ამ წიგნის შესახებ წერს: „პირდაპირ საკვირველია მისი ბედი: ქართული წიგნი, დაწერილი დაახლოებით მეექვსე საუკუნისა და მეშვიდის საზღვარზე და ხმარებული, როგორც ჩანს, აღმოსავლეთში, ალბათ იერუსალიმში, მეთერთმეტე საუკუნეში დაუხვეიათ და საწერ მასალად გამოუყენებიათ ებრაელებს თალმუდისათვის. მისი მერმინდელი ისტორიიდან ისღა ვიცით, რომ მე-19 საუკუნის მიწურულში იგი აღმოუჩენიათ კაიროს სინაგოგის გენიზაში. ერთ ფურცელს, იერუსალიმზე გამოვლით, ოქსფორდამდე მიუღწევია, ხოლო ორი ფურცელი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის შეუძენიათ“ (44, გვ. 35).

ამ ხელნაწერის კემბრიჯულ ნაწყვეტებში გვხვდება სამი ჰაემეტი ფორმა (დ ა ჰ ი დ ვ ა, გ ა ნ ჰ ი რ ყ უ ნ ა, ჰ ა ს წ ა ვ ე ს). ხანმეტი და ჰაემეტი ფორმების შეფარდებაა 17 : 3. ა. შანიძე მიუთითებს, რომ იერემიას წინასწარმეტყველების შემცველი ხელნაწერი გადაწერილია VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე.

ჩვენი საუკუნის 20—30-იან წლებში ივ. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის ისტორიულ აღმოჩენებს მოჰყვა მუშაობის შესუსტება (თუ სრული უმოქმედობა) ამ დარგში, რაც ძნელად ასახსნელია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მარტო ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში პალიმფსესტურ ფურცელთა ოდენობა 4500-ს აჭარბებს. სამკალი მართლაც რომ დიდია, მოსალოდნელი შედეგი კი — ფრიად მადლიანი. საბედნიეროდ, ბოლო ხანებში განახლდა ინტენსიური მუშაობა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ამოკითხვისა და გამოცემისათვის. დიდი სამუშაო სრულდებოდა და სრულდება ამ მიმართებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილ. აბულაძე, ლ. ქაჯაია), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ა. შანიძე), უცხოეთში (ჯ. ბერდზოლი, ბ. უტიე).

1970 წელს ინგლისელმა მკვლევარმა ჯონ ბერდზოლმა გამოაქვეყნა მანამდე უცნობი ხანმეტი ტექსტი — იაკობის პროტოევანგელე (პირველსახარება). პროფ. ჯონ ბერდზოლმა ეს საინტერესო ძეგლი იპოვა ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 2 ქართულ ხელნაწერში. ხანმეტი ტექსტი მოთავსებულია ამ ხელნაწერის ათ პალიმფსესტურ ფურ-

ცელზე. ზოგან სტრიქონთა დასაწყისები დაზიანებულია ფურცლების ჩაშოკრის გამო. მიუხედავად ამისა, ჯონ ბერდზოლის „სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას საკმაოდ დაზიანებული ტექსტი ჩინებულად გამოუცია“ (ა. შანიძე).

ჯ. ბერდზოლი ტექსტს VII საუკუნით ათარიღებს. ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ენის, არამედ ქართული ლიტერატურის ისტორიისთვისაც. ხელნაწერი უძველესია იმ ქართულ ხელნაწერთა შორის, რომლებიც იაკობის პროტოევანგელეს შეიცავენ. სწორედ ამის გამო ეს ძეგლი ხელახლა გამოაქვეყნა ა. შანიძემ 1977 წელს („ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, 20).

1971 წელს ჯონ ბერდზოლმა გამოსცა ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის ზემოთ ნახსენებ ქართულ ხელნაწერში დაცული ოთხთავის ხანმეტი ფრაგმენტები, კერძოდ, ნაწყვეტები მათეს, მარკოზის, ლუკას სახარებიდან (72). ჯ. ბერდზოლის მიერ გამოცემული ეს ნაწყვეტები ღირებულ საინტერესოა. ძეგლი ენობრივი ნიშნებით (ჰაემეტი ფორმების არარსებობა და ხ-ს კლება ხმოვანთა წინ) წააგავს ხანმეტ მრავალთავს. შესაძლოა, იგი VII საუკუნის დასასრულისა, ან კიდევ VIII საუკუნის პირველი ნახევრისა იყოს.

ოთხთავის ეს ტექსტი ხანმეტობის გადავარდნის შემდგომ ხანაშიც ყოფილა გამოყენებული საეკლესიო პრაქტიკაში. ჯ. ბერდზოლის აზრით, ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ ზოგან ხ- მთლიანად, ან ნაწილობრივ ამოუფხეკიათ.

ჯონ ბერდზოლმა 1972 წელს გამოაქვეყნა ბიბლიის აპოკრიფული წიგნის — ეზრა I — ხანმეტი ფრაგმენტები (Le Muséon, LXXV, 1—2, 1972, გვ. 97—105). ტექსტი დაცულია ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 2 ხელნაწერში. მკვლევარი მას VII საუკუნით ათარიღებს.

ლ. ჭაჭაიამ A-844 პალიმფსესტურ ხელნაწერში, რომელსაც თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება, ამოიკითხა ესაიას წინასწარმეტყველების ხანმეტი ნაწყვეტები. თავისთავად ცხადია, რომ ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიის ქართულად თარგმნის ისტორიისათვის. ლ. ჭაჭაიას სადისერტაციო ნაშრომში „პუნქტუაცია V—XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში“ (თბ., 1969) გამოქვეყნებულია მის მიერ ამოკითხული ხანმეტი ტექსტების ნიმუშები, აგრეთვე გაწერებულია არაერთი უზუსტობა, რაც ამ ძეგლთა ადრინდელ გამოცემებში დასტურდება.

ამრიგად, დღეისათვის ცნობილია შემდეგი ხანმეტი ტექსტები:

1. ბოლნისის სამი წარწერა, V საუკუნის დასასრულისა.
2. უკანგორის ორი წარწერა, VI საუკუნის დასაწყისისა.
3. მცხეთის წარწერა (დემეტრე ჯაპატოსისა), VI საუკუნის ბოლოსი.

4. იერემიას წინასწარმეტყველების ოქსფორდული და კემბრიჯული ნაწყვეტები, VI—VII საუკუნეთა მიჯნისა.

5. ესაიას წინასწარმეტყველების ფრაგმენტები, VI—VII სს.

6. ივანე ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული ახალი აღთქმის ფრაგმენტები. VI—VII სს.

7. ხანმეტი ლექციონარი, VII საუკუნის მეორე ნახევრისა.

8. იაკობის პროტოევანგელე, VII საუკუნისა.

9. ხანმეტი მრავალთავი, VIII საუკუნის I ნახევრისა.

10. ჯ. ბერდზოლის მიერ გამოცემული ოთხთავის ფრაგმენტები, VIII საუკუნის I ნახევრისა.

11. ჯ. ბერდზოლის მიერ ამოკითხული ეზრას I წიგნის ფრაგმენტები, VII საუკუნისა.

მოსალოდნელია, რომ უახლოეს ხანში ხანმეტი ძეგლების კორპუსი კიდევ უფრო შეივსოს. კერძოდ, საფიქრებელია, რომ მალე გამოიცემა ხანმეტი აგიოგრაფიული ძეგლები. A-737 წელნაწერში ილია აბულაძემ აღმოაჩინა და თითქმის მთლიანად ამოიკითხა „ქრისტინას წამების“ ხანმეტი ტექსტი. ეს სამუშაო შემდეგ გააგრძელა ლ. ქაჯაიამ, რომელმაც სრულად ამოიკითხა ეს ძეგლი. აღმოჩნდა, რომ წამების ტექსტი ნაკლულია. ვენის № 2 ხელნაწერში ჯ. ბერდზოლმაც აღმოაჩინა „ქრისტინას წამების“ ხანმეტი ტექსტი. ლ. ქაჯაია ვარაუდობს, რომ A-737 ხელნაწერსა და ვენის № 2 ხელნაწერში დაცული „ქრისტინას წამების“ ნაწყვეტები ერთმანეთს ავსებენ. ასე რომ, საფიქრებელია, ამ შემთხვევაში ერთი ხელნაწერის ორი ნაწილი გვქონდეს. ლ. ქაჯაიამ ყურადღება იმასაც მიაქცია, რომ ვენურ ხელნაწერში იკითხება „კჳპრიანეს წამების“ ტექსტიც და აქედან გააკეთა საინტერესო დასკვნა, რომ ოდესღაც არსებულა ხანმეტი აგიოგრაფიული კრებული, რომელიც შეიცავდა ქრისტინასა და კჳპრიანეს წამებას (ალბათ ამ კრებულში სხვა მრავალი თხზულებაც შედიოდა). ეს ხელნაწერი V—VI საუკუნეებით თარიღდება (32).

ჰაემეტი ტექსტები ხანმეტთან შედარებით, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ღარიბად გამოიყურება. ყველაზე ადრინდელი ჰაემეტი ძეგლია წყაისის წარწერა (616—617 წწ.), რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ა. შანიძემ აღმოაჩინა და 1923 წელს გამოსცა ჰ ა ე მ ე ტ ი ლექციონარი. ტერმინი ჰ ა ე მ ე ტ ი შექმნა ა. შანიძემ „ხანმეტის ანალოგიით და ამ სახელით აღვნიშნავთ ხოლმე ისეთ ძეგლს, რომელშიაც მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად ზმნებში, ხოლო შედარებით-აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად სახელებში იხმარება ჰაე“ (39, გვ. 354).

ჰაემეტი ტექსტები დაცულია H-1329 ხელნაწერში, რომელიც პალიმფსესტია. ამ ხელნაწერის 53 ფურცელი ინახებოდა სოფელ იფარში (შეს-

ტიის რაიონი). ეს ხელნაწერი ნაშთია ოდესღაც დიდი მოცულობის წიგნისა, რომელიც 400-მდე ფურცელს მაინც შეიცავდა. შინაარსის მიხედვით, ძველი ტექსტი წარმოგვიდგენს იერუსალიმის განჩინებას (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა ჰაემეტი ლექციონარი), ოღონდ მასში მოცემულია მხოლოდ ოთხთავის საკითხავები. ამიტომ ფიქრობდა ა. შანიძე, რომ იგი წარმოადგენს „იერუსალიმში შემუშავებულის „კანონის“ (ანუ „წესისა და განგების“, ანუ კიდევ „მართლმორწმუნე მოძღუართა განჩინებისა და განწესების“) უძველეს რედაქციას“ (39, გვ. 358). ენობრივი და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ძეგლი VIII საუკუნისაა.

ცხადია, ჰაემეტი ტექსტების მონაცემებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის ისტორიისათვის. ამავე დროს, როგორც თავის დროზე მიუთითა ა. შანიძემ, საკმაოდ ხშირია დარღვევები სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირების ნიშანთა ხმარებისას. მაგალითად, 62 შემთხვევაში ჰ მოსალოდნელია, მაგრამ იგი წარმოდგენილი არაა (ეს ხდება ხმოვნებით დაწყებულ ზმნებთან). სამ შემთხვევაში გვაქვს ჰს- ჰთავსართის ნაცვლად (მ ი-ჰს-ც ე მ დ ა, მ ი-ჰს-ც ე ს, დ ა-ჰს-ც ხ რ ა). ჩვენი აზრით, ეს გარემოება მიუთითებს, რომ ჰაემეტი ტექსტების გადაწერის ეპოქაში (VIII ს.) მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ერთ-ერთ ნიშნად ცოცხალ მეტყველებაში უკვე ს- იხმარებოდა. აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებასაც, რომ ხანმეტ და კლასიკურ ჰაემეტ ტექსტებში (ფაქტიურად წყისის წარწერაში) პირის პრეფიქს ნიშანთა მიმდევრობა (ანუ მორფემათა რანგები) მკაცრადაა დაცული. პირველ ადგილზეა მესამე ირიბ-ობიექტური პირის პრეფიქსი, მეორეზე — პირველი სუბიექტური პირის ნიშანი: მიხუხედე (მე მას), აღხუმართე (მე იგი), აღჰუმართე (მე იგი) და მისთანანი. ასეა ჰაემეტ ტექსტებშიც, მაგრამ გვაქვს პრეფიქსთა ახლებური ვ ჰ განლაგებაც (დაჰთესი, მოსალოდნელი იყო: დაჰუთესი).

ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებათა გამო ა. შანიძის მიერ ამოკითხული ტექსტების მიჩნევა ცოცხალი ჰაემეტობის ამსახველად შეუძლებელია. ა. შანიძე მართებულად წერს „ჩვენი ძეგლი ქართული ენის ისტორიისათვის განსაზღვრული ეპოქის აღმნიშვნელია. ეს არის ეპოქა, როცა ჰაემეტობა გადავარდნის გზას დასდგომია“ (39, გვ. 358). რა თქმა უნდა, ჰაემეტი ტექსტების არქეტიპი შექმნილია იმ ენობრივ გარემოში, რომელსაც გარკვეულ ეპოქაში ახასიათებდა ჰ- პრეფიქსის ხმარება განსაზღვრულ შემთხვევებში. სამწუხაროდ, ამ არქეტიპმა ჩვენამდე ვერ მოაღწია თავდაპირველი სახით. ფაქტიურად ა. შანიძის მიერ აღმოჩენილი ძეგლი არის ე. წ. ს ა ნ-ნ ა რ ე ვ ტექსტთა პირველი, უძველესი ნიმუში. გადამწერმა მრავალი რამ შეცვალა თავისი მეტყველების შესაბამისად, მაგრამ. მიუხედავად ამისა, დედნის ძირითადი გრამატიკული ნორმების გათვალისწინება მაინც შესაძლებელია. ამ ტექსტებს ჰ ა ე მ ე ტ ი მხო-

ლოდ პირობით შეიძლება ვუწოდოთ. აქვე გვინდა ისიც ვთქვათ, რომ ამ ხელნაწერის ამოუკითხავ ნაწილზე წარმატებით მუშაობს ბერნარ უტიე. იმედია, მალე უფრო მეტი საინტერესო მასალა გვექნება ხელთ.

IX — X საუკუნეთა ხელნაწერებში გამოვლენილია ჰაემეტობის გადმონაშთები, რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ ჰაემეტი ძეგლების კორპუსი მდიდარი და მრავალფეროვანი იყო (ა. შანიძე (41), ი. იმნაიშვილი (15), მ. შანიძე (47) და სხვ.). ირკვევა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მრავალი საყურადღებო ძეგლი გადაწერილია ჰაემეტი დედნიდან.

ა. შანიძის მიერ ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისთანავე დაისვა საკითხი ხანმეტობისა და ჰაემეტობის ურთიერთმიმართების შესახებ.

ივ. ჯავახიშვილი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად უსწრებენ ჰაემეტს (ხანმეტი წარწერები V საუკუნის მიწურულიდან გვაქვს, პირველი ჰაემეტი ძეგლი 616—619 წლებისაა[1]) და ვარაუდობდა, რომ სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირების პრეფიქსად ქართულში თავდაპირველად ხ- გვქონდა, რომელიც შემდგომში ფონეტიკური ცვლილების შედეგად ჰ-დ იქცა. ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება თითქოს კარგად ხსნის ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ქრონოლოგიურ მიმდევრობას, მაგრამ ა. შანიძემ მიუთითა ივ. ჯავახიშვილის ახსნის ზოგ სუსტ მომენტზე. კერძოდ, თუ დავუშვებდით, რომ ხ- შეიცვალა ჰ-თი, რატომ არ მოხდა ეს ფონეტიკური პროცესი სიტყვათა ძირებში: ხარება, ხატი, ახალი, ხედვა, სახელი, ხოლო, ხუთი?

ა. შანიძის აზრით, ხანმეტობა და ჰაემეტობა ასახავს ორ სხვადასხვა დიალექტს. იგი წერს: „ჩემთვის უეჭველია, რომ განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენად დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი. არ ეკუთვნიან, რამდენად სხვადასხვა კილოს. ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი მეორეზე. ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა თქმა უნდა, თავისთავად ჯერ კიდევ არა წყვეტს საკითხს იმის შესახებ, თითქო ქართული ლიტერატურა პარალელურად არ არსებობდა ჰაემეტ კილოზედაც; ან კიდევ, რომ ხანმეტი ლიტერატურა საზოგადოდ უეჭველად ხნიერი იყოს ჰაემეტზე. მაგრამ კიდევაც რომ გამოირკვეს საბოლოოდ. რომ სწორედ ხანმეტი იყო ის კილო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ სალიტერატურო ენას, ეს მაინც არ მოგვცემს იმის საბუთს, რომ ჰაე ისტორიულად ხანის განვითარების მეორე საფეხურად ვცნოთ.

---

[1] ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როდესაც ივანე ჯავახიშვილი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ურთიერთმიმართების საკითხზე მსჯელობდა, წყისის წარწერა ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი.

რა ერქვა სახელად იმ ტომს, რომელიც ხანმეტ კილოზე ლაპარაკობდა და წერდა, ან იმას, რომელსაც ჰაემეტობა ახასიათებდა, არ ვიცით: არც ის ვიცით დანამდვილებით, თუ როგორი იყო მათი გეოგრაფიული საზღვრები. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ხანმეტი კილო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო (ასე ვთქვათ, მცხეთა-ბოლნისის რაიონსა და მიმდგომ მხარეებში), ხოლო ჰაემეტი კილო კი მის დასავლეთით" (39, გვ. 361). ა. შანიძის ამ მოსაზრების დამადასტურებლად გამოდგება ის ფაქტი, რომ ხანმეტი წარწერები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონშია (ბოლნისი, უკანგორა, მცხეთა) აღმოჩენილი, ხოლო ჯერჯერობით ერთადერთი ჰაემეტი წარწერა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში (წყისე) არის ნაპოვნი. ა. შანიძე ფიქრობს, რომ ხანმეტი კილოს ნაცვლად სალიტერატურო ენის ფუძე-დიალექტად ჰაემეტი მეტყველების გახდომა შესაძლოა დაუკავშირდეს არაბების შემოსევის შედეგად ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცენტრის სამხრეთ-დასავლეთით გადანაცვლებას (39, გვ. 362).

რა თქმა უნდა, ხანმეტობა-ჰაემეტობის პრობლემა დღეისათვის არაა საბოლოოდ გადაჭრილი, თუმცა მას არაერთი მკვლევარი შეხებია (ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, გ. დეეტერსი, გ. მაჭავარიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. კლიმოვი, შ. ძიძიგური, გ. როგავა, თ. გონიაშვილი, ალ. ონიანი, რ. ენუქაშვილი და სხვ.). სავარაუდოა, რომ ქართველოლოგია კიდევ არაერთგზის გამდიდრდება ამ საკითხის შესახებ შექმნილი ნაშრომებით.

უძველეს ს ა ნ ნ ა რ ე ვ ხელნაწერად ითვლება სინური მრავალთავი. იგი გადაწერილია 864 წელს და ამჟამად ცნობილ ქართულ თარიღიან ხელნაწერთა შორის უძველესია. სინური მრავალთავი გადაწერეს საბაწმიდის ლავრაში და მაშინვე შესწირეს სინას მთას (ამჟამად სინას მთა, სადაც წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის).

სინურ მრავალთავს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული ენისა და მწერლობის ისტორიაში. ა. შანიძე წერს: „სინურ მრავალთავში მოთავსებულ თხზულებათა ავტორები ცნობილი პირებია, რომლებიც საეკლესიო და სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ III—V საუკუნეებში" (42, გვ. 29). ეს ავტორებია: ამონიოს, ათანასი ალექსანდრიელი, ბასილი კაპადუკიელი, გრიგოლი ნეოკესარიელი, ეპიფანე კვპრელი, ეფრემ ასური, იოვანე ოქროპირი, კირილე იერუსალიმელი და სხვები. ცნობილია კიდევ რამდენიმე მრავალთავი: უდაბნოსი (IX—X სს.), სვანური (X ს.). პარხლის (X ს. ბოლო), კლარჯული (X ს.), ათონისა (X ს.). ხანმეტი მრავალთავის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ქართული მწერლობის ამ ძეგლებს უძღვნა პროფ. მიშელ ვან ესბროკმა მეტად საყუ-

რადღებო გამოკვლევა (Les plus anciens Homéliaires géorgiens, Louvain, 1975).

სინური მრავალთავი შექმნილია საბაწმიდის ლავრაში. მისი სულისჩამდგმელია გრიგოლ ხანძთელის მოწაფე მაკარი უბლური (ნ. მარი, ა. შანიძე). ხელნაწერი, ირკვევა, გადაწერილია რამდენიმე პირის მიერ, ერთერთი მათგანია ამონა (ა. შანიძე). ა. შანიძე ფიქრობს, რომ მაკარი ლეთეთელიც შესაძლოა იყოს გადამწერთაგანი. სინური მრავალთავის ანდერძში ნათქვამია:

წყალობითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, ამის თაყუანისსაცემელისა სამებისა წმიდისა, ღმრთისა ჩუენისა მომადლებითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა საუფლოჲსა ჯუარისაჲთა და მადლითა წმიდისა ადგომისა საფლავისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსისაჲთა და მეოხებითა ყოველთა წინაწარმეტყუელთა, მოციქულთა, მახარებელთა, მარტჳლთა მართალთა და მოწამეთაჲთა და ყოველთა წმიდაჲთა და მადლითა წმიდისა წინაწარმეტყუელისა და დიდებულისა მოსჱთა მე, მაკარი ლეთეთელი, ძჱ გიორგი გრძელისაჲ, ცოდვილი ფრიად, ღირს-მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთავისა თანაშეწევნითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიმენ კახისაჲთა და ჴელითწერითა დედის ძმისწულისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულის ძისაჲთა, საჴსენებელად სულთა ჩუენთათჳს და სულთა მშობელთა ჩუენთათჳს და ყოველთა გარდაცვალებულთა თჳსთა ჩუენთათჳს.

აწ, ღმერთმან დაგაჯეროს, მაშანა და ამანო, რომელნი აღმოიკითხეიდეთ წმიდათა ამათ სიტყუათა ამათ მიერ, ჩუენ, პირველმოჴსენებულნი ესე ცოცხალნი და მიცვალებულნი მოგჴსენენით ღმრთისათჳს წმიდათა ლოცვათა თქუენთა შინა, რაჲთა თქუენ მიერ განეერნეთ ჩუენ დღესა მას საშინელსა განკითხვისა ჩუენისასა ტირილისაგან თუალთაჲსა და ღრჴენისაგან კბილთაჲსა, და თქუენცა უფალმან მოგიჴსენენინ სასუფეველსა მისსა, ამენ. და მოიჴსენენინ უფალმან ყოველნი, რომელთა ყუეს შენეევნაჲ წიგნისაი ამის სულთა მათთათჳს.

დაიწერა ესე წიგნი იერუსალჱმს, ლავრასა დიდსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაჲსა, დღეთა ღმრთისმოყუარისა თეოდოსი პატრეაქისათა და საბაწმიდას პატიოსნისა და სანატრელისა სოლომონ მამასახლისისათა. და დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დასაბამითგან წელთა ხჳე (6468), ქრონიკონი იყო პდ (84).

და მე, გლახაკმან მაკარი, შევწირე წმიდაჲ ესე მრავალთავი წმიდათადასა მთასა სინას საჴსენებელად და სარგებელად თავთა ჩუენთა და სულთა ჩუენთათჳს. და ამას შინა არს შემკობაჲ წელიწდისა დღესასწაულთა ყოველთაჲ, თქუმული წმიდათა მოძღუართაჲ.

მოეც, უფალო, პოვნად წყალობაჲ შენი მას დღესა შინა სულთა ჩუ-

ენთა ცოდვილთა და უწყალოდ გუემულთა ბოროტისმოძღურისა. მიერ ეშმაკისა. უფალო, იჯსენ სული ჩუენი სიკუდილისაგან, თუალნი ჩუენნი — ცრემლთაგან და ფერჯნი ჩუენნი — ბრკომისაგან. ამენ.

დიდებაჲ შენდა, უფალო, რომელმან ღირს-მყავ მე, უღირსი ესე, აღსრულებად საქმისა ამის.

981 წელს წიგნი მესამედ შეუმოსაეს იოვანე-ზოსიმეს: „შეიმოსა მესამედ წმიდაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყაეითა ზროხისაჲთა სინაწმიდას ჴელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა, ბრძანებითა და ფრიად მოსწრაფედ მოღუაწებითა მიქაელ და მიქაელ პატიოსანთა მღდელთაჲთა, დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხ ფ პ ე (6585)-სა და ქრონიკონსა ს - (201)-სა.

იოვანე-ზოსიმეს მესამედ შემოსისას ჩაუწერია წიგნის ბოლო ფურცელზე „ქებაჲ და დიდებაჲ ქართელისა ენისაჲ". ეს არის ქართული ენის ქებათა ქება, მისი მომავლის რწმენით შთაგონებული ნაწარმოები. იგი მაჩვენებელია ქართველი ხალხის თვითშეგნების უაღრესად მაღალი დონისა. ავტორი აცხადებს, რომ ქართული ენა არაფრით ჩამოუვარდება ბერძნულს, თუმცა იგი დღეს დამდაბლებული და დაწუნებულია. ქართული ენა ბერძნულის თანაბარია, მისი დაა, მაგრამ ქართულ ენას აქვს გარკვეული უპირატესობაც: „ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული,.. მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა". იშვიათია ძველ ჟამში ასეთი საგალობელი მშობლიური ენისა. გავეცნოთ მის ტექსტს:

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მესიისა (ხელნაწერშია: მისისა. შესწორება პ. ინგოროყვას ეკუთვნის) საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარჱ არს დღესამდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქუან. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰშლენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ. და მეგობრობაჲ ამისთჳს თქუ, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს, და ოთხისა დღისა მკედარი ამისთჳს თქუა დავით წინაწარმეტყუელმან, რამეთუ: „წელი ჲთასი, ვითარცა ერთი დღჱ". და სახარებას შინა ქართულსა თაესა ხოლო მათჱსსა წილი ზის, რომელ აწოჲ არს და იტყჳს ყოველად ოთხ ჲზისსა მარაგსა. და ესე არს ოთხი დღჱ და ოთხისა დღისა მკედარი, ამისთჳს მის თანაჲ დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მისისაჲთა:

და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა: და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოცდაოთხმეტი წელი უმეტჱს სხუათა ენათა ქრისტჱს მოსლვითგან ვიდრე დღესამდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ასოი! ესე წილი ანბანისაჲ. ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა-ყავთ!

სინური მრავალთავი მთლიანად გამოიცა 1959 წელს. იგი გამოსაცემად დაამზადეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის წევრებმა. წიგნი დაიბეჭდა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით.

: შესწორება რ. პატარიძეს ეკუთვნის.

საქართველოს ფარგლებში დაცულ ძეგლთა შორის უძველესი თარიღიანი ხელნაწერი, ოთხთავი, გადაწერილია 897 წელს. მას ადიშის ოთხთავს უწოდებენ, რადგანაც იგი იპოვეს სოფელ ადიშში (მესტიის რაიონი). 1904 წელს ბ. ნიჟარაძე წერდა: „ჰადიშის სახარება ერთ შესანიშნავ ხელნაწერთაგანია მთელს სვანეთში“ (25, გვ. 3). 1901 წელს ადიშის ოთხთავს იკვლევდნენ პ. უვაროვა და მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ხახანაშვილი.

პ. უვაროვას შესახებ ე. თაყაიშვილი წერს: „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების დაარსების თაოსნობა ეკუთვნის გრაფ ალექსი უვაროვის ქვრივს, გრაფინია პრასკოვია უვაროვას. შეძლებელი ქალი იყო; ქმრის ხსოვნის ხათრით ყველგან ანგარიშს უწევდნენ; კარგი სპეციალისტები, მოსკოველი არქეოლოგები მხარში უდგნენ; თითონაც ძალიან ფხიანი, ენერგიული გამოდგა. და მართლაც ბევრ რამ გააკეთა კავკასიის სიძველეთა შესწავლისა და გამოქვეყნებისათვის. სხვა რომ არა იყოს რა, „Матеріалы по археологіи Кавказа“-ს კაპიტალური ტომები ღირდა ერთ რამედ, ხოლო მათში ხომ ერთი თვით მისი შედგენილია და ჩრდილო კავკასიაში ამოთხარ დიდძალ ძეგლებს შეიცავს (მათ შორის ჩვენი სტეფანწმინდა-ყაზბეგისაც). შიგ დაწვრილებითაა ყველაფერი აღწერილი და მშვენიერად არის დასურათებული: იმნაირად ბევრი ახლაც კი ვერ ბეჭდავს არქეოლოგიურ გამოცემებს. ასევე კარგადაა გამოცემული ამ სერიის XIV და XII ტომები, რომელთაგან ერთში ჩვენი ხელნაწერები მაქვს გამოქვეყნებული, ხოლო მეორეში — მესხეთის სიძველენი“ („მნათობი“, № 7, 1959, გვ. 168).

პ. უვაროვამ დიდი დახმარება გაუწია ქართული კულტურის კელევას. არქეოლოგიური და არქეოგრაფიული კელევა-ძიებისთვის სახსრებს ძნელად იშეტებდნენ მაშინ. ე. თაყაიშვილი ამბობს: „ჩვენებურ დაწესებულებებს კი — წერა-კითხვის საზოგადოებას, საეკლესიო მუზეუმს, კავკასიის მუზეუმსა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას — არაფერი გაუკეთებიათ არქეოლოგიური თხრის წარმოების მხრივ: არც უფლება ჰქონდათ ამისი და არც სათანადო სახსრები. თბილისში დაარსდა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილება, მაგრამ არც იმას უწარმოებია თხრა, თუმცა კი, წესდების მიხედვით, სწორედ თითქოს იქ უნდა ყოფილიყო თავმოყრილი ამ საქმის ხელმძღვანელობა კავკასიაში. ფაქტიურად ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ჩვენი თაოსნობით ეერაფერს ვაკეთებდით გათხრის მხრივ, მოსკოვი საამისო ფულს არ გვაძლევდა. კაცმა რომ თქვას, თვით მოსკოვის საზოგადოებაც ეელარ თხრიდა მისი დამაარსებლის — გრაფ ა. უვაროვის სიკვდილის შემდეგ“ (იქვე).

1910 წელს ე. თაყაიშვილმა მოაწყო ექსპედიცია სვანეთში, მაშინ დ. ერმაკოვმა გადაიღო ადიშის ხელნაწერის ფოტოები. 1916 წელს ე. თაყაიშვილმა განახორციელა ადიშის ოთხთავის ფოტოტიპური გამოცემა. 1945 წელს ა. შანიძემ გამოაქვეყნა ადიშის ოთხთავი ორ სხვა შატბერდულ ოთხთავთან ერთად: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“. ა. შანიძე ვარაუდობს, რომ ადიშის ოთხთავი შატბერდშია გადაწერილი, რადგანაც „ჯერ ერთი, მის მომგებლად მოხსენებულია სოფრონ, რომელიც უთუოდ ის სოფრონია, რომელიც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ასეა შესხმული: „დიდი სოფრონ, სანატრელი მამაჲ შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშე-

ნებელი და უკუნისამდე გჳრგჳნი მისი"; ეხლა მეორე ნიკოლაოს ჯუმათლის მინაწერიდან ცხადია, რომ ადიშის ოთხთავი, სხვა ხელნაწერებთან ერთად, შატბერდიდან არის გამოტანილი" (43, გვ. 012). ნიკოლაოზ ჯუმათელს მე-16 საუკუნეში უმოგზაურია სამხრეთ საქართველოში და ზოგი ძველი წიგნი, მათ შორის ადიშის ოთხთავიც, წამოუღია. იგი წერს: „მე, ნიკოლაოს, ოდესმე ჯუმათისა მამასახლისყოფილმან, უღირსმან და სულითა საწყალობელმან, ფრიადითა ხარკებითა, — აშენენ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერი. — შევიარენ და შეეკრიბენ წმიდანი ესე წიგნნი: პირველად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი, და მრავალთავი; და კელთკანონი, მამათა წიგნი, და კითხვა-მიგებაჲ. უმეტესად აღაშენენ ღმერთმან შატბერდი: ესე ოთხთავი და კელთ[კანონი და] მამათა წიგნი მათსა ეკლესიასა...".

უკვე მე-17 საუკუნეში ხელნაწერი სვანეთში ჩანს. არ ვიცით, ვინ აიტანა იგი იქ. საფიქრებელია, ეს შესანიშნავი ხელნაწერი სვანეთში გაეხიზნოთ, რომ მტრებს, რომლებიც ამ დროს დასავლეთ საქართველოს ბარში დათარეშობდნენ, იგი ხელთ არ ეგდოთ, არ დაეტყვევებინათ. წმიდა წიგნების დატყვევება შუა საუკუნეებში ხომ ჩვეულებრივი იყო. 936 წელს გადაწერილი ცნობილი ჯრუჭის ოთხთავი მე-16—მე-17 საუკუნეებში „მტრებს ჩაჰვარდნია ხელში და 11 ფლურად გამოუსყიდია ხუცესს იოვანე არწაიშვილს ხორასნიდან", — მიუთითებს ა. შანიძე (43, გვ. 023). ტყვეობა არც პარხლის ოთხთავს ასცდენია. ამ ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში იკითხება: „მას ჟამთა, ოდეს საათაბაგონი წმინდისა ჴარწმუნოებისაგან განსრულ იყუნენ და სარკინოზნი შეჴვნილიყუნენ, ეს წმინდა სახარება იქაური ყოფილიყო და უსჯულოთაგან დატყუეებელიყო. და დიდად სახელოვნებით გამოჩენილს მეფეთ სიძობით მყოფს და თვით მეფის ვახტანგის სიძეს აბაშიძეს ვახუშტის ეს წმინდა სახარება თათრის ხელით დიდის სერვილით და სასოებიანის გულით დაებსნა". ეს ამბავი 1739 წელს მომხდარა.

ადიშის ოთხთავი ჰაემეტი დედნიდანაა გადაწერილი. ამას მოწმობს ა. შანიძის მიერ ძეგლში აღნუსხული ჰაემეტობის გადმონაშთები (ჰ ც ე მ დ ე ს, ჰ ჴ ა შ თ, ჰ წ ყ ვ ი დ ე ნ, ჴ ც ა ლ ს, თ ა ვ-ჰ უ უ ო ს, ჰ ვ ქ მ, ჰ ი რ ქ უ ა მ თ, ჰ ვ უ ა ვ და სხვ. (41, გვ. 284—299). ამჟამად ადიშის ოთხთავი მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

შატბერდშია გადაწერილი 936 წლის ოთხთავი, რომელსაც ჯრუჭის ოთხთავს უწოდებენ. იგი აღმოჩნდა ჯრუჭის (იმერეთი) მონასტერში. ჯრუჭის ოთხთავის ანდერძში ვკითხულობთ: ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ კელითა გაბრიელ მღდელთა ნარჩევისაჲთა თავად მეფესა ჩემსა სუმბატს სალოცველად, და შემდგომად მშობელთა ჩემთა მირდატისთჳს, თაგუნაჲსთჳს და ძმათა და დათა ჩემთათჳს და ჩემთა ცოდვათა და თანაცხორებულისა ჩემისათა საჴსრად და მკუდართა საჴსენებლად: ბლარიონისთჳს და დაშელისთჳს.

აწ ვინცა იკითხვიდეთ წმიდასა ამას სახარებასა, ნუმცა დავიწყებულ ვართ ლოცვასა წმიდასა თქუენსა ცოცხალნი და მკუდარნი, რაჲთა თქუენცა უფალმან მადლი მიგანიჭოს. ამენ.

დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შატბერდს კელითა უცბად მჩხრეკალისა გაბრიელისითა.

ანდერძი ენობრივად ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით ორთოგრაფიის თვალსაზრისით. მაგრამ ჩვენ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ მასში გვხვდება საკუთარი სახელი თ ა გ უ ნ ა. სახელი გამოავლენს კნინობითობის -უნ-ა მაწარმოებლებს. სხვათა შორის, ეს არის ამგვარი წარმოების ერთადერთი შემთხვევა ძველ ქართულში.

ჯრუჭის ოთხთავი სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლია ქართული ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით. 940 წელს იგი მოუხატავს მხატვარს — თევდორეს. ჯრუჭის ოთხთავი გამოსცა ა. შანიძემ 1945 წელს („ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია...").

973 წელს შატბერდში იოანე ბერამ გადაწერა სახარება, რომელსაც პარხლის ოთხთავს უწოდებენ: რადგანაც იგი შეწირეს პარხლის ახლადაგებულ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას. იოანე ბერაი თავის ანდერძში აბობს: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნათლაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა მოღუაწებითა სულისა წმიდისაჲთა და შეწევნითა ღმერთშემოსილთა კაცთაჲთა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამოძღურებელად თავისა ჩემისა და სალოცველ სულისა მშობელთა ჩემთასა და ყოველთა თჳსთა ჩუენთათჳს, სულიერთა და პორციელთა, და სალოცველად მეფეთა ჩუენთათჳს, ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთვისა და ღმრთივ მინიჭებულთა ძეთა მათთათჳს". სხვა ანდერძში ნათქვამია: „მე, ივანე-ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა. ყოველნი აკურთხენინ ღმერთმან".

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ეს ოთხთავი ტყვეობაში მოხვედრილა. იგი ოსმალთა ხელთაგან უხსნია ვახტანგ VI-ის სიძეს — ვახუშტი ბაგრატიონს და ბინა მიუჩენია ქვიშხეთის მახლობლად, ბულბულის ციხის პატარა ეკლესიაში.

ამ ოთხთავს 1889 წელს მიაგნო ე. თაყაიშვილმა და მის შესახებ გამოაქვეყნა ცნობა 1890 წელს („სამი ისტორიული ქრონიკა"). ე. თაყაიშვილი იგონებს: „იმ ზაფხულს (1889 წ. ზ. ს.) მეც სურამში ვცხოვრობდი და თან კი დაედიოდი მის მიდამოებში — იტრიაში, ზემო ჭალაში (ხაშურის მახლობლად) და სხვ. მაშინ უკვე კარგად ვეკუეთი ქართულ პალეოგრაფიაში. ხუცურში ჩემით გავეჩვიე. ზემო ჭალაში, იქაურ მღვდელთან, გვარად სუხიევთან (სუხიაშვილთან) ვნახე ერთი შესანიშნავი ხელნაწერი, რომელიც ახლა „პარხლის სახარების" სახელითაა ცნობილი. რადგან მღვდელმა არაფრით არ ინდომა ხელნაწერის ბოცემა, დავიწყე მასთან სიარული და ისე შევსწავლე ხელნაწერისა. გამოირკვა, რომ, ჯერ-ერთი, იმ ხელნაწერში ყველაფერი სრულად იყო დაცული და, მეორეც, რომ იგი გადაწერილი ყოფილა იმავე იოანე ბერაის მიერ, რომელსაც გადაუწერია შატბერდის კრებული (ზემოთ რომ აღვნიშნე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" რომ შეიცავდა). ოღონდ შატბერდის ხელნაწერი უთარიღო იყო და ამას კი ეწერა თარიღი, ქართული ქრონიკონიცა და ქვეყნის შექმნიდანაც — 973 წელი. ასე რომ, ბაქრაძის მიერ შემოთავაზებული თარიღის, IX საუკუნის, მაგიერ უკვე ნამდვილად

X საუკუნე გამოვიდა შატბერდის კრებულის თარიღიც, რაკი ერთისა და იმავე გადამწერის ნახელავი ყოფილა ორივე ხელნაწერი. ეს კი უკვე მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო. გარდა ამისა, მინაწერში ნათქვამი იყო, რომ იოანე ბერას ის კრებული შატბერდში კი გადაეწერა, მაგრამ — პარხლის ახალი ეკლესიისათვის. ამიტომაც დავარქვით „პარხლის ხელნაწერი“ („მოგონებები“, „მნათობი“, 1958, № 5, გვ. 17). ე. თაყაიშვილმა მ. სუხიშვილისაგან გაიგო, რომ ჭალაში პარხლის ოთხთავი მან გორიდან წაიღო. ის ეკუთვნოდა ივანე აბაშიძის ქვრივს. მღვდელი მ. სუხიშვილი რომ გარდაიცვალა, პარხლის ოთხთავს ველარ მიაგნეს. ეს ძვირფასი ხელნაწერი კინაღამ უცხოეთში მოხვდა. 1922 წელს იგი უნივერსიტეტში მოიტანა გერმანიის კონსულმა ო. ვეზენდონკ-მა (O. G. von Wesendonk). თურმე ნუ იტყვით, მისთვის შესასყიდად შეუძლევიათ ქართული ენის ეს შესანიშნავი ძეგლი. გერმანიის კონსული თვითონ ვერ გაერკვა ამ ხელნაწერის ღირსებაში და აინტერესებდა, „თუ რას წარმოადგენდა ხელნაწერი და ღირდა თუ არა მისი შეძენა. ამ დროს შევესწარით კ. კეკელიძე და მე. ჩვენ ავუხსენით კონსულს, რომ კარგა ხანია, რაც ჩვენ თვითონ ვეძებთ მაგ ხელნაწერს, რომელიც კარგად ცნობილი ძეგლია სამეცნიერო ლიტერატურაშიო. ამის შემდეგ კონსულმა უხერხულად მიიჩნია მისი შეძენა, და პირი, რომელსაც განთქმული ოთხთავი თავისაღ მიაჩნდა, იძულებული გახდა, რომ ხელნაწერი უნივერსიტეტისათვის დაეთმო“, — წერს ა. შანიძე (43, გვ. 039). პარხლის ოთხთავი გადაურჩა მეორედ დატყვევებას. მისი ტექსტი გამოსცა ა. შანიძემ.

ქართული ოთხთავის ერთ-ერთი უძველესი ნუსხაა ოპიზის სახარება, გადაწერილი 913 წელს ოპიზაში. ამჟამად იგი ინახება ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში. ზოგჯერ მას ამის გამო ათონის სახარებასაც უწოდებენ. 1883 წელს ათონის მთაზე ყოფნისას იგი ა. ცაგარელს არ უნახავს. 1898 წელს ნ. მარმა მიაგნო ამ საინტერესო ხელნაწერს. მან 1899 წელს ჟურნალში „Журнал Министерства народного просвещения“ გამოაქვეყნა პირველი ცნობები ამ ძეგლის შესახებ. 1909—1911 წლებში ვლადიმერ ბენეშევიჩმა გამოაქვეყნა მათესა და მარკოზის თავები ოპიზისა და ტბეთის (995 წ.) სახარების მიხედვით. ეგევე ტექსტი გამოიყენა თავის გამოცემაში პროფ. რ. ბლეიკმა.

ანდერძში მითითებულია გადამწერის ვინაობა და დაწერის დრო და ადგილი:

მე, გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ, ღირს-მყო უფალმან ღმერთმან იესუ ქრისტემან მოგებად და დაწერად ჯელითა ჩემითა წმიდაჲ ესე ოთხთაჲ სახარებაჲ.

დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ლავრასა შინა წმიდისა ნათლისმცემელისასა უპიზას (=ოპიზას) დედისაგან უცთომელისა სიტყჳთ და ზანდუკით გამოწმედილისა. და ქრონიკონი იყო რლ´გ (133).

ძველი აღთქმის შემცველ ქართულ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოშკის ბიბლიას, რომელიც გადაწერილია 978 წელს იოანე ნათლისმცემლის ლავრაში ცნობილი თორნიკე ერისთავისათვის, რომელმაც იგი შესწირა ათონის ქართველთა მონასტერს. ხელნაწერი შეიცავს 960 ფურცელს. 1849 წელს იგი ათონიდან საქართველო-

ში ჩამოიტანა პლატონ იოსელიანმა (ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ). დაამზადეს მისი ორი პირი, რომლებიც ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, თვით ხელნაწერი კი ისევ ათონის მთაზე წაიღეს.

ამ ხელნაწერმა მეცნიერთა ყურადღება ადრიდანვე მიიქცია. მას სხვადასხვა დროს ეხებოდნენ: ა. ცაგარელი, ნ. მარი, ა. ხახანაშვილი, თ. ჟორდანია, ვლ. ბენეშევიჩი, რ. ბლეიკი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და მრავალი სხვა.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას განზრახული ჰქონდა, მთლიანად გამოეცა ოშკის ბიბლია. ამ მიზნით დამზადდა მისი ფოტოპირები. ივ. ჯავახიშვილმა, ი. ყიფშიძემ, ა. შანიძემ დაიწყეს კიდეც 1913 წელს ამ წიგნის გამოსაცემად მომზადება, მაგრამ ეს საქმე ჩაშალა პირველმა მსოფლიო ომმა.

1947 წელს ა. შანიძემ განაახლა დიდი ხნის წინათ წამოწყებული საქმე. მან გამოსცა დაბადებისა და გამოსლვათა წიგნების ტექსტი („წიგნნი ბუელისა აღთქუმისანი" 978 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, ნაკვეთი 1). 1948 წელს გამოვიდა: ლევიტელთაჲ, მსაჯულთაჲ, რუთისი, იობისი, ესაიაჲსი („წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი", ტ. I, ნაკვეთი 2).

ქართული ენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია პარხლის მრავალთავი (A-95). ზოგი მკვლევარი მას X საუკუნის ხელნაწერად მიიჩნევდა, ზოგის აზრით, იგი XI საუკუნით თარიღდება. მიშელ ვან ესბროკმა დაამტკიცა, რომ ხელნაწერი მიეკუთვნება X საუკუნის ბოლოს. პარხლის მრავალთავი, უპირველეს ყოვლისა, იმით იქცევს ყურადღებას, რომ იგი უძველესია იმ ხელნაწერთა შორის, რომელთაც შემოგვინახეს ქართული ლიტერატურის ყველაზე ადრინდელი ორიგინალური თხზულება „შუშანიკის წამება". სამწუხაროდ, იაკობ ხუცესის ნაწარმოებს ამ ხელნაწერში აკლია თითქმის ერთი მესამედი. „შუშანიკის წამება" იწყება 353-ე ფურცლის წინა მხარეს და წყდება 359-ე ფურცლის უკანა მხარეზე. აქ ბოლო სიტყვებია: „რამეთუ მოეძღუანა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი". კრებულის შემდგენელს, როგორც ჩანს, გადაწყვეტილი ჰქონდა, შეედგინა „დედათა წამებანი და ცხოვრებანი" (ანუ მატერიკი), მაგრამ შემდგომში „მამათა წამებანი და ცხოვრებანიც" შეუტანია კრებულში. წიგნი შეადგინა გაბრიელ პატარამ. იგი ამბობს: კურთხეულნო ერნო, მომავალნო, რომელნი ჩუენსა შემდგომად ყოფად ხართ. პირველ, ოდეს ამას წიგნსა დავიწყე, ესრე მედვა გულსა, ვითა დედათა წამებაჲ და ცხოვრებაჲ ოდენ დავწერო და მით გავასრულო. და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა, ვძებნე დედაჲ და ესთენ ვიპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაჲ მერმე. ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გავასრულე. და ესე ცხოვრებანი დედათა და ღმრთისმოყუარეთა მამათანი მიწყებით

ამას ჭეშმოსა კერძსა მოვაქციენ, თუმცა პირველ გამეგონა: თავსა ზედა მამათა მოწამეთაჲ კმდა, განა დედათა წამებითა და ცხოვრებითა ოდენ ვლაშქრად გასრულებასა და ამას შინა მოვსცეთ. შემინდვეთ, ჭირნი კულა დიდნი მინახვან. ღმერთმან დაგაჯეროს. სული გაბრიელ პატარაისა მოიკრებენეთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა.

გაბრიელ პატარაის ანდერძი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ მას არ დარჩენია მოუხსენებელი ის პირებიც, რომლებიც მას დახმარებიან, დროდადრო სასმელ-საჭმელი მიურთმევიათ მისთვის:

გაბრიელ ლასკაველი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა, ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი. ოდეს მიმჭირდის, მათ მივჰმართი, პურაი მციან. იოვანე გაცუეთილმან კუტალაითა ღვინოჲ მომართუა.

„აბოს წამება“ ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ძველ ხელნაწერში. მათ შორის ყველაზე ადრინდელია სვანური მრავალთავი (X ს.). ეს ხელნაწერი სამხრეთ საქართველოში არის გადაწერილი. ამას მიუთითებს ამ ხელნაწერის მომგებელთა ანდერძი: ქრისტე, შეიწყალენ წიგნისა მომგებელნი მამფალი მტბევარი იოვანე და მამაჲ თეოდორე.

„აბოს წამება“ A-19 ხელნაწერში მოთავსებულია 202—205 ფურცლებზე. ხელნაწერს სვანური მრავალთავი იმიტომ ეწოდება, რომ იგი სვანეთში აღმოჩნდა. მისი პირველი ვრცელი აღწერილობა 1927 წელს გამოაქვეყნა ს. გორგაძემ („საქართველოს არქივი“, ტ. III, 1927).

ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ძეგლი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ჩვენამდე ერთადერთმა ხელნაწერმა შემოინახა. ეს ხელნაწერი ამჟამად დაცულია იერუსალიმში, ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აღმოაჩინა ნ. ჩუბინაშვილმა. ნ. მარს ეკუთვნის ამ თხზულების პირველი მეცნიერული გამოცემა (1911 წელს) ვრცელი ისტორიული და ფილოლოგიური კომენტარებით. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სწორედ ნ. მარი ითვლება ქართული წერილობითი ძეგლების მეცნიერულ გამოცემათა ფუძემდებლად. მის მიერ წამოწყებული საქმე წარმატებით გააგრძელეს: ა. შანიძემ, ილ. აბულაძემ, ი. იმნაიშვილმა და სხვებმა.

რა თქმა უნდა, ზემოთ წარმოდგენილ მიმოხილვაში ვერ მოხერხდებოდა ყველა ქართული ხელნაწერის შესახებ თქმულიყო. ჩვენ შევარჩიეთ რამდენიმე ძეგლი, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის ისტორიისათვის.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ქართულ ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობა ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ამას გარდა, მრავალი ძვირფასი ხელნაწერი დაცულია სხვა წიგნთსაცავებსა და მუზეუმებში, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

საქართველოს სახელმწიფო არქივში ინახება 700-მდე ხელნაწერი. მათ შორის: № 107 — ოთხთავი (X ს.); № 172 — საგალობელთა ნაწყვე-

ტები (X ს.); № 200 — სამოციქულოს ფრაგმენტები (XI ს.) და სხვ. არქივში ძველ ხელნაწერთა ფონდი 1923 წელს შეიქმნა. აქ ინახება მოსკოვისა და ლენინგრადის სიძველეთსაცავებიდან ჩამოტანილი ძეგლები, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი სიძველეები. ხელნაწერთა აღწერილობა ორ ტომად არის გამოცემული (I — 1949 წ.; II — 1950 წ.).

ასამდე ხელნაწერია დაცული კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. მათ შორის უძველესია კალის (ლაგურკის) ლექციონარი, რომელიც X საუკუნის I ნახევარში გადაწერილი და ნაპოვნია კალის (მესტიის რაიონი) წმიდა კვირიკეს სახელობის ეკლესიაში (აქედან სახელწოდება — ლაგურკის ლექციონარი. სვ. ლაგურკა „საკვირიკო"). 1241 წელს არის გადაწერილი ოთხთავი (№ 1). სხვა ნუსხათაგან დავასახელებთ კრებულს, 1732 წ. (№ 2); რუსუდანიანს, 1821 წ. (№ 8) და სხვ. ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერები და დოკუმენტები აღწერა ც. ჩიქვაშვილმა (48).

ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია ინახება აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში[1]. აქ უმთავრესად თავმოყრილია იმერეთის, რაჭისა და ლეჩხუმის ეკლესია-მონასტრებიდან შემოსული ხელნაწერები. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს გელათის მონასტერში გადაწერილი და დაცული ძეგლები, რომლებიც ასახავენ იმ დიდ კულტურულ მუშაობას, რომელიც აქ თავის დროზე იყო გაჩაღებული (ისიც აღსანიშნავია, რომ მრავალი გელათური წარმოშობის ხელნაწერი ამჟამად თბილისში ინახება).

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერები უმთავრესად XI—XVIII საუკუნეებით თარიღდება. დავასახელებთ რამდენიმეს: № 176 (ახალი აღთქმის ნაწყვეტები, XI ს.); № 19 (იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება, 1047 წ.); № 20 (იგივე ძეგლი, 1048 წ.); № 21 (იოანე ოქროპირის იოვანეს სახარების თარგმანება, 1053 წ.); № 181 (ფსევდომაკარი მეგვპტელის თხზულებანი, XI ს.); № 668 (სახარების ფრაგმენტი, XI ს.); № 671 (ბიბლიის ფრაგმენტი, XI ს.) და სხვ. ქართული მწერლობის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეტაფრასულ კრებულებს (№ 1; № 2; № 3; № 4; № 5). მათ შემოინახეს მრავალი უნიკალური ძეგლი.

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი ინახება. მათ შორის ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანია ადიშის ოთხთავი (897 წ.). ეს არის უძველესი თარიღიანი ქართული ხელნაწერი საქართველოს წიგნთსაცავებში. სხვა ხელნაწერთაგან უაღრესად

[1] 1953 წელს გამოიცა ამ ხელნაწერთა აღწერილობის I ტომი, 1963 წელს კი — II. სულ ამ წიგნებში აღწერილია 692 წერილობითი ძეგლი.

საინტერესოა ლატალის ლექციონარი (X ს. I ნახევარი), მესტიის ოთხთავი (XI ს.), იელის იადგარი (X—XI სს.), იენაშის ოთხთავი (XII—XIII სს.). აქვე ინახებოდა კალის ლექციონარი (X ს. I ნახ.), ძველი ქართული ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომელიც ამჟამად რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდშია დაცული.

არაერთი საინტერესო ხელნაწერია ახალციხის, გორის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ბათუმის, თელავისა და საქართველოს სხვა ქალაქების მუზეუმებში.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლთა მნიშვნელოვანი კოლექცია ინახება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (ლენინგრადი). რ. ორბელი, რომელმაც შეადგინა ამ ხელნაწერთა ვრცელი აღწერილობა, წერდა: „Собрание грузинских рукописей Института востоковедения Академии наук СССР содержит письменные памятники, представляющие большой интерес для изучения истории и культуры грузинокого народа. При решении отдельных научных вопросов многие из них служат важными источниками, а некоторые представляют чрезвычайно ценный материал для изучения грузинской палеографии, что относится преимущественно к экземплярам, замечательным своей древностью или художественным оформлением“ (66, გვ. 1). აქ დაცულია 506 ხელნაწერი და 429 დოკუმენტი. რ. ორბელმა გამოაქვეყნა მხოლოდ 161 ხელნაწერის აღწერილობა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ინახება გ. ავალიშვილის, მ. ბროსეს, თ. ბაგრატიონის, პლატონ იოსელიანის, ა. შეგრენისა და სხვათა არქივები, რომლებიც შეიცავენ ქართული ენისა და კულტურისათვის უაღრესად საინტერესო ძეგლებს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: „იოანე ოქროპირის თარგმანება იოვანეს სახარებისა“, გადაწერილი 1038 წელს; გრიგოლი ნაძიანძელისა და გრიგოლი ნოსელის ნაწარმოებები (1040 წ.). მიუთითებენ, რომ ეს არის უნიკალური ნუსხა, რომელიც შეიცავს ეფთვიმე მთაწმიდლისა და ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ ამ საინტერესო თხზულებებს (65, გვ. 62); აქვეა დაცული ანტონი კირველის „ქართული გრამატიკის“ ნუსხა და მრავალი სხვა.

სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ წერილობით ძეგლთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: იოანე-ზოსიმეს ნარედაქციევი ასტრონომიულ-გამოთვლითი ტრაქტატი (951 წ.); ტბეთის ოთხთავი (995 წ.); ქსნის ოთხთავის ფრაგმენტები (X ს. I ნახევარი); საგალობელთა კრებულები და სხვ.

სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ბერძნულ და სირიულ ფონდებში ლ. ჯეჯელიანმა მიაკვლია ფრაგმენტებს Sin.-34 ხელნაწერისა (51 ფურცელი). კრებული შეადგინა იოანე-ზოსიმემ. მანვე გადაწერა ერთი ნაწილი (55).

XVIII—XIX საუკუნეების 9 ხელნაწერი ინახება ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (ნასყიდობის წიგნი, 1729 წ.; პარაკლისნი, 1822 წ.; ფსალმუნნი, 1859 წ.; სიბრძნე სიცრუისა, 1782 წ.; ჟამნი, XVIII—XIX სს. და სხვ.). ისინი აღწერა ლ. ქუთათელაძემ (33, გვ. 189—194).

ძველი ქარდული ხელნაწერები ინახება ერევანში, მატენადარანის კოლექციაში, აგრეთვე ეჩმიაძინის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში. სამწუხაროდ, მათი დაწერილებითი აღწერილობა არ მოგვეპოვება.

საზღვარგარეთ ქართული ხელნაწერები არის პარიზის, რომის, ვენის, გრაცის, გოტინგენის, ჰალეს, ლაიფციგის, მარბურგის, ტიუბინგენის, ლონდონის, ჰარვარდის, ოქსფორდის, ბირმინგემის, სოფიის (45), კრაკოვის (79), პრაღის (14) და სხვა დიდი ქალაქების მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში.

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ამჟამად ინახება 29 ქართული ხელნაწერი. ეს ხელნაწერები სხვადასხვა დროს აღწერეს მ. ბროსემ, ალ. ხახანაშვილმა, ფრ. მაკლერმა, ე. თაყაიშვილმა. პროფ. ე. თაყაიშვილი წერს: „პარიზის ქართულ ხელნაწერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც ჩვენთვის. აქ დაცულია რამოდენიმე იშვიათი ხელნაწერი, რომელთა ცალი ან სულ არ არის, ან ცოტა მოგვეპოვება ცნობილ წიგნთსაცავებში“ (12, გვ. 1).

აქ დაცულ ქართულ წერილობით ძეგლთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ № 3 (ლექციონარი, XI ს.); № 5 (მარხვანი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება, I—XI ს.; II — XII ს.; III — XIII ს.); № 42 (იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება, XI ს.); № 28 (ოთხთავი, XIII ს.); № 8 (საგალობელთა კრებული, XII ს.) და სხვ.

საინტერესოა, რომ № 28 ხელნაწერი საქართველოში არის გადაწერილი და შეწირულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის. იგი ამ მონასტრიდან დიდი ხნის წინ წაუღიათ. სწორედ ამის გამო ვერ მოხვდა იგი ა. ცაგარლისა და რ. ბლეიკის აღწერილობებში (12, გვ. 64).

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკას ბოლო ხანებში, მას შემდეგ, რაც გამოვიდა ე. თაყაიშვილის აღწერილობა, მხოლოდ ერთი პატარა კრებული შეემატა. რომელიც შეიცავს 3 ფურცელს. ამ კრებულის პირველი ფურცელი, როგორც ეს ნათელყო ბ. უტიემ (31, გვ. 173—175), არის ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტი, თავის დროზე აღწერილი ა. ცაგარლის მიერ სინას მთაზე (69, გვ. 199—200).

ავსტრიაში ქართული ხელნაწერები დაცულია ვენასა და გრაცში. ვენაში 4 ქართული ხელნაწერი, ინახება ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ხოლო 7 — მხითარისტების ბიბლიოთეკაში. მხითარისტთა ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერები შედარებით ახალია (XVIII ს.). აქ ინახება: ფსალმუნი, მოსეს გალობანი, ანას ლოცვა, იონას გალობა და სხვა (84).

ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია № 2 და № 4. № 2 კრებულია შეიცავს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირის მიერ გადაწერილ თხზულებებს. მათ შორის აღმოჩნდა ქართული ენისა და მწერლობისათვის უმნიშვნელოვანესი ხანმეტი ტექსტები. ამ ხელნაწერს ინტენსიურად იკვლევს ინგლისელი პროფ. ჯ. ბერდზოლი. ხელნაწერი თავის დროზე აღწერა ალ. ცაგარელმა. იგი ჯვრის მონასტერში ინახებოდა.

№ 4 ხელნაწერი მრავალთავის მსგავსი კრებულია, აგრეთვე უაღრესად საინტერესო. იგი გადაწერილია 1160 წელს კედვაში, გარეჯის მახლობლად. ეს ძეგლიც, როგორც გრ. ფერაძე ფიქრობს, ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი ა. ცაგარელს არ უნახავს. მანამდე მოიტაცეს.

№ 3 ხელნაწერი თებერელის თვენის შემცველია. გადაწერილია იოანე ხახულელის მიერ X—XI საუკუნეებში. იგი აღწერა ა. ცაგარელმა.

ეს ხელნაწერები ვენის ნაციონალურმა ბიბლიოთეკამ 1931 წელს შეიძინა ალექსანდრიაში ვიღაც ანტიკვარისაგან.

№ 1 ხელნაწერი წარმოადგენს სახარებას (გიორგი მთაწმინდლის რედაქციისას). იგი 1931 წლამდე მოეპოვებოდა ვენის ბიბლიოთეკას.

ვენის ხელნაწერები აღწერა გრ. ფერაძემ (86).

ქალაქ გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ცნობილი ქართველოლოგის ჰ. შუხართის ნაანდერძევ კოლექციაში, ინახება 7 ქართული ხელნაწერი (5 ასე თუ ისე სრული, 2 კი ნაწყვეტების სახით მოღწეული). ისინი ჰ. შუხართმა 1895 წელს შეიძინა ვიღაც მხატვრისაგან. ეს ხელნაწერები თავის დროზე დაცული იყო სინას მთაზე. აღწერა ა. ცაგარელმა 1883 წელს. როგორც ჩანს, 1883—1895 წლებში ისინი გაიტაცეს და ევროპაში წაიღეს გასაყიდად (ვენელმა მხატვარმა, რომელსაც ეს ხელნაწერები ჩაუვარდა ხელთ, ისინი შესთავაზა ვენის სასახლის ბიბლიოთეკის დირექტორს ფონ ცაისბერგს. ცაისბერგმა ხელნაწერები არ იყიდა მათი საეჭვო წარმოშობის გამო. მაშინ ისინი შეიძინა ჰ. შუხართმა, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა მათი მნიშვნელობა).

გრაცში დაცულ ხელნაწერთაგან უმნიშვნელოვანესია ხანმეტი ლექციონარი. ამ ძეგლის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ და ამჯერად არას ვიტყვით. სხვა ხელნაწერებია: № 2 (ფსალმუნნი, X ს. I ნახევრისა. პალიმფსესტია. ქვემოთა ტექსტი სომხურია (41, გვ. 343); № 3 (სჯმეონ სალოსის ცხოვრება); № 4 (კონდაკი, X ს.); № 5 (იოანე ოქროპირის ყამისწირვა, X ს.); № 6 (ნაწყვეტი იოანეს სახარებიდან — 15, 8—19, X ს.); № 7 (ნაწყვეტი მრავალთავიდან, X—XI სს.).

ჰ. შუხართს უნდა ვუმადლოდეთ, რომ გადაგვირჩინა ქართული ენისა და მწერლობის ეს შესანიშნავი ძეგლები.

გერმანიაში (გოტინგენი, ჰალე, ლაიფციგი, მარბურგი, ტიუბინგენი) დაცული ხელნაწერების (15 ერთეული) აღწერილობა გამოსცა ცნობილ-

მა ქართველოლოგმა იულიუს ასფალგმა (81). გოტინგენში დაცულია ერთი ხელნაწერი (სირიულ-ქართული პალიმფსესტი, X.I ს.); ჰალეს აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების ბიბლიოთეკაში — ერთი (ყარამანიანი); ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში — ხუთი ხელნაწერი (ნაწყვეტები მრავალთავიდან, 9 ფურცელი, XI ს.; თთუენი, XII ს.; კრებული, X—XIII სს.; მარხვანი, X—XIII სს. და სხვ.). მარბურგის ბიბლიოთეკაში ინახება ოთხი ხელნაწერი (იოანე ოქროპირის ჟამისწირვა, X—XI სს.; ჟამნი, 1728 წ.; კრებული, 1778 წ.; სახარების ნაწყვეტები და ლოცვანი, XIX ს.). ტიუბინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება 4 ხელნაწერი (ჟამისწირვა, XIV—XV სს.; სულხან-საბას ლექსიკონი, XVIII ს.; მეფე ირაკლის ისტორია, XVIII ს.; სახარების ნაწყვეტები, XII ს. ისიც აღსანიშნავია, რომ ი. ასფალგმა ეს ნაშრომი მიუძღვნა მ. თარხნიშვილის ხსოვნას.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერთა შორის ყველაზე ძველია ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ფრაგმენტები, რომლებიც შეიცავენ იერემიას წინასწარმეტყველების ნაწყვეტებს. მათი ფოტოპირები გამოსცა პ. კოკოცოვმა, ხოლო ქართული ტექსტი წაიკითხა და გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილმა.

ოქსფორდის ქართული ხელნაწერების შესახებ სპეციალური ნაშრომი ეკუთვნის გამოჩენილ ინგლისელ ქართველოლოგს დ. ლანგს (83).

ბრიტანეთის მუზეუმში ინახება მრავალთავის XI საუკუნით დათარიღებული ხელნაწერი („მამათა ცხოვრებანი"). ეს საინტერესო ძეგლი ვრცელი გამოკვლევითურთ გამოსცა ვ. იმნაიშვილმა 1975 წელს.

კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ხანმეტი იერემიას წინასწარმეტყველების ფრაგმენტები. ამ ხელნაწერის შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

ოლივერ უორდროპმა 1911 წელს, თბილისში ყოფნისას, შეიძინა რამდენიმე ქართული ხელნაწერი ოქსფორდის უნივერსიტეტში დაარსებული მარჯორი უორდროპის სახელობის ფონდისათვის (მარჯორი უორდროპი 1909 წ. გარდაიცვალა). ამ ფონდმა დიდად შეუწყო ხელი ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებებს ინგლისში.

ო. უორდროპის მიერ თბილისში შესყიდული ხელნაწერები აღწერა ე. თაყაიშვილმა (68). ო. უორდროპს შეუძენია: ვახტანგ VI-ის სამართლის შემცველი კრებული; სულხან-საბას ლექსიკონის ხელნაწერი, სირინოზიანი, ალექსანდრიანი, ადრია სალოსის ცხოვრება, ეზოპეს ცხოვრების აღწერა, სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში" და სხვ. სულ 13 ხელნაწერი. ამჟამად ისინი დაცულია მარჯორი უორდროპის ფონდში.

ამას გარდა ამ ფონდში ინახება „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერები, მთელი რიგი იურიდიული დოკუმენტები და სხვ.

ვატიკანის ფონდებში ამჟამად დაცულია 17 ხელნაწერი და მრავალრი-

ცხოვანი დოკუმენტები. ხელნაწერების საფუძვლიანი აღწერილობა გამოსცა მ. თარხნიშვილმა (89).

ვატიკანის ფონდებში დაცული ძეგლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: X საუკუნეში გადაწერილი ოთხთავი (№ 1 Iberico du Vatica-ni), მამათა სწავლანი, 1123 წლისა (Borgia georgiano № 4), კურთხევანი, XIII — XIV სს. (Borgia georgiano № 7), თეოდორე სტუდიელის სწავლათა გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი (Borgia georgiano № 8) და სხვ.

აშშ-ში, ქ. ნიუტონში, ინახება X საუკუნის შესანიშნავი ხელნაწერი — ბერთის ოთხთავი. იგი გადაწერილია სამხრეთ საქართველოში, ბერთაში. ეს ხელნაწერი 1830 წელს შეუძენიათ ამერიკელ მისიონერებს ყარსში. რ. ბლეიკმა პირველად აღწერა ეს ხელნაწერი და იგი X საუკუნის მიწურულით დაათარიღა.

ამერიკაში ინახება აგრეთვე თ თ ვ ე ნ ი (XI ს.).

პრისტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ალექსანდრე კეპრელის „საკითხავი პოვნისათჳს პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯუარისა“ (X ს.). იგი ინახება Garrett-ის კოლექციაში (№ 24). ტექსტი გამოსცა თ. მგალობლიშვილმა (1978 წ.).

* * *

პალესტინაში ქართველთა ინტენსიური მოღვაწეობის კვალი V საუკუნიდან იჩენს თავს. დიდი ცენტრები იყო საბაწმიდა, პალავრა, სინას მთა. გოლგოთა, კაპჰათა, გეთსიმანია და სხვები. ასე, მაგალითად, „საბაწმიდა არის ქართველთა მწიგნობრული საქმიანობის უძველესი კერა უცხოეთში“ (20, ტ. II, გვ. 28). აქ შემუშავდა ქართული ოთხთავის ე. წ. საბაწმიდური რედაქცია, გადაიწერა სინური მრავალთავი და სხვ. საბაწმიდის ლავრაში მოღვაწეობდნენ: მაკარი ღეთეთელი, პიმენ კახი, გიორგი ტფილელი, მარტკვრი საბაწმიდელი, იოანე-ზოსიმე და მრავალი სხვა.

პალავრაში, ანუ ძველ ლავრაში (პალაია ლავრა), რომელსაც ხარიტონის ლავრას უწოდებდნენ, X—XI საუკუნეებში არაერთი ქართველი მწიგნობარი იღვწოდა (იოანე საფარელი, პაველ პალავრელი, თეოდორე პალავრელი; გრიგოლ ხარიტონწმიდელი და სხვ.). აქ გადაწერილ თხზულებათაგან უაღრესად საინტერესოა „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ (H-2124, 968 წ.). აქვე პავლე პალავრელს გადაუწერია მრავალთავი (Sin.-11, XI ს.), უაღრესად საინტერესო ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიისათვის. სინას მთაზე ინახება თეოდორე პალავრელის დავალებით სჳმეონ მგალობლის მიერ გადაწერილი იადგარი (Sin.-40, X ს.) და სხვ.

პალესტინაში მოღვაწე ქართველ მწერალთა ნაშრომები ადრევე მოხვედა სინას მთაზე, სადაც დიდი კულტურული ცენტრი შეიქმნა.

ქართული მწერლობის და, საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო ჯვრის მონასტრის დაარსება იერუსალიმში. მის აღმშენებლად ითვლება XI საუკუნის I ნახევარში მოღვაწე გიორგი-პროხორე შავთელი. მონასტრის დაარსების ინიციატორები ყოფილან ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდლები. დიდი დახმარება გაუწევია ამ საქმეში ბაგრატ IV (1027—1072 წწ.). ლ. მენაბდე წერს: „ახლად დაარსებულ სავანეში მალე თავი მოიყარა ქართველ მოწესეთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა. მათ შორის ბევრი მწიგნობარი იყო. ზოგიერთი მათგანი ადრე სხვაგან მოღვაწეობდა, ახლა ჯვარში გადასახლდა და იქ გააგრძელა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა. ჯვარში გაჩაღდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც მეტწილად ხელნაწერების გამრავლებასა და კრებულების შედგენაში გამოიხატებოდა“ (20, ტ. II, გვ. 84). აქ მოღვაწეობდნენ ისეთი მუშაკები, როგორიც იყვნენ: თვით პროხორე, იოანე დვალი, მიქაელ დვალი, შავი იოანე და სხვ. ზემოთ უკვე ითქვა, რომ აქ არის შემორჩენილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთადერთი ნუსხა.

აქ გადაწერეს პალესტინის მამათა ცხოვრებანი, რომელიც ამჟამად ლონდონშია დაცული (Add-11281, XI ს., გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975 წ.), ჰიმნოგრაფიული კრებულები, სვინაქსარები, ჟამნი და მრავალი სხვ. აქ არის დაცული მრავალი თხზულება, რომლებიც თარგმნილია ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდლების, ეფრემ მცირისა და სხვათა მიერ. შემონახულია არაერთი ბიბლიური ტექსტის შემცველი ნუსხა.

შუა საუკუნეებში ჯვრის მონასტერი არაერთგზის მოოხრდა. ქართველთა გაკლენა თანდათან შესუსტდა, ბოლოს იგი ბერძენთა ხელში გადავიდა. ოდესღაც უდიდესი და უმდიდრესი ბიბლიოთეკის ნაშთიღა ინახება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. ამჟამად აქ დაცულია 155 ქართული ხელნაწერი. ისინი სხვადასხვა დროს აღწერეს ნ. ჩუბინაშვილმა, ა. ცაგარელმა, ნ. მარმა და რ. ბლეიქმა. იერუსალიმური წარმოშობის ზოგი ხელნაწერი ამჟამად ინახება თბილისის, ვუნის, ვაშინგტონის, ლენინგრადის სიძველეთსაცავებში, ზოგის ადგილსამყოფელი კი უცნობია.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოლექცია ინახება სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტრის წიგნთსაცავში. როგორც ჩანს, ქართველთა ინტენსიური ლიტერატურული მოღვაწეობა სინას მთაზე IX საუკუნიდან იწყება და ზენიტს X საუკუნეში აღწევს. ქართველებს სინაზე რამდენიმე მონასტერი დაუარსებიათ. აქ უმდიდრესი ბიბლიოთეკები არსებობდა, რომლებიც მრავალ ასეულ წიგნს ითვლიდნენ. ერთ-ერთი ძველი მწიგნობარი, ბასილი

მჩხრეკელი სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა: „მონასტერნი სავსენია წიგნითა და არა სადა უწყი ნაკლულევანი“. სინას მთაზე ამჟამად 85 ქართული ხელნაწერი ინახება. მათ შორის ყველაზე ადრინდელია „სინური მრავალთავი“ (864 წ.). მის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა.

ქართული ენისა და ქართული კულტურის ისტორიისათვის უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება აქ დაცულ ოთხთავის ხელნაწერებს (Sin.-15, Sin.-30), ლექციონარს (Sin.-37), აგიოგრაფიულ კრებულს (Sin.-6), ეფრემ ასურის ქადაგებებს (Sin.-97), საგალობელთა შემცველ ხელნაწერებს (Sin.-1; 14; 17; 18; 20; 26; 34; 40; 41; 49; 59; 64; 65), პარაკლიტონებს (№ 3; 13; 17; 21) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ აქ დაცული ხელნაწერების უმეტესი ნაწილი X საუკუნით თარიღდება. ეს უკვე თავისთავად მიუთითებს მათ მნიშვნელობაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ ამჟამად აქ ინახება იერუსალიმის ჯვრის მოხასტერში, გეთსამახიაში, კაპპათაში, გოლგოთაზე, კალიპოსში, საბაწმიდის ლავრასა და ქართველთა სხვა მწიგნობრულ ცენტრებში თარგმნილი და გადაწერილი თხზულებანი (მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია სინური მრავალთავი, აგრეთვე ის ხელნაწერები, რომლებიც იოანე-ზოსიმეს, ქართული კულტურის ამ დიდი მოღვაწის, მიერ არის გადაწერილი, ნარედაქციევი, ან შედგენილი).

რა თქმა უნდა, დღეისათვის შემონახული 85 ხელნაწერი მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმისა, რაც ჩვენმა წინაპრებმა აქ შექმნეს. საოცარი ის კი არ არის, რომ დაიღუპა ქართული წიგნთსაცავების უმდიდრეს კოლექციათა უმრავლესობა, არამედ ის, რაც გადარჩა. ამ მხარეს ხომ არ დაჰკლებია მტარვალთა, ბარბაროსთა და ყაჩაღდა თარეში არც ადრე და არც უკანასკნელ ხანებში. სტიქიაც დაუნდობელი იყო. ხშირი მიწისძვრები სპობდა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს.

მოხდა ისე, რომ XV საუკუნიდან აქაურ მონასტრებში ქართველები აღარ არიან. ამანაც შეაპირობა ის, რომ ქართულ ხელნაწერებს სპობდნენ, ოტაცებდნენ, ყიდდნენ. ასე მოხვდა ევროპის სხვადასხვა ქალაქში უნიკალური და უძველესი ქართული ხელნაწერები. და მაინც ის, რაც ჩვენთვის ცნობილია, ალბათ, უმცირესი ნაწილია ყაჩაღურად მიტაცებული ჩვენი ეროვნული განძისა. ვინ იცის, რამდენი უძვირფასესი ძეგლი სადმე ვიღაც საქმოსნის კერძო კოლექციაში ინახება და ჩვენთვის ხელმიუწვდომელია.

სინას მთაზე ქართველ მეცნიერთაგან პირველად იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ცაგარელი, რომელმაც აღწერა 92 ხელნაწერი. 1902 წელს აქ ნაყოფიერად იმუშავეს ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა. 1927 წელს სინური ხელნაწერები შეისწავლა რ. ბლეიქმა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის ექსპედიციას სინას მთაზე და იერუსალიმში დაცულ სიძველეთა გადასაღებად 1950 წელს. მასში მონაწილეობდა ბელგიელი ქართველო-

ლოგი, აკად. ჟ. გარიტი. ამ ექსპედიციამ გადაიღო ყველა ძველი ქართული ხელნაწერის მიკროფილმები, ხოლო ჟერარ გარიტმა გამოაქვეყნა პატრისტიკული, აგიოგრაფიული, ბიბლიური და ასკეტიკური ხელნაწერების (სულ 38 ერთეული) ვრცელი და მაღალმეცნიერული აღწერილობა. ჟ. გარიტის ამ ნაშრომის უდიდესი მნიშვნელობა ქართველოლოგიისათვის საყოველთაოდ არის აღიარებული. მანვე გამოაქვეყნა სინას მთაზე დაცული მრავალი ძეგლი.

ხელნაწერთა ინსტიტუტმა წამოიწყო სინას მთის ქართულ ხელნაწერთა დაწვრილებითი აღწერილობის გამოცემა (I ტ. I ნაკვ. 1978; I ტ. II ნაკვ. 1979; I ტ. III ნაკვ. 1980).

ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ათონის ივერთა მონასტერს. აქ მოღვაწეობდნენ იოანე და ეფთვიმე, გიორგი მთაწმიდლები, გიორგი მცირე და ქართული მწერლობის სხვა უდიდესი მოღვაწენი. ეს მონასტერი აიგო 980—983 წლებში ძირითადად თორნიკე ერისთავის მიერ საბერძნეთის სამეფო კარისაგან მიღებული გასამრჯელოთი. კ. კეკელიძე ასე აფასებდა აქაურ ქართველ მწერალთა სავანეს: „მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდეისა საბერძნეთში და რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში, ეს ივერიის მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერთა მონასტერს, უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“ (18, გვ. 101).

ათონის მონასტერსაც დაუდგა შავი დღეები. აქაური მოღვაწე ქართველები თანდათან შეავიწროვეს და უკანასკნელ ხანებში მონასტერი მთლიანად ხელთ იგდეს ბერძნებმა. ამჟამად აქ ქართველთაგან აღარავინ არის. თანდათან გაპარტახდა მონასტრის წიგნთსაცავიც. ათონის ივერთა მონასტერში ახლა მხოლოდ 86 ხელნაწერია დარჩა. მათი უმრავლესობა X საუკუნისაა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: Ath.-6 ოპიზაში გადაწერილი ოთხთავი (913 წ.); ოშკში თორნიკე ერისთავის დაკვე-

თით 978 წელს გადაწერილი ბიბლიის ხელნაწერი. ეს არის ყველაზე ადრინდელი ნუსხა ბიბლიისა, რომლის მხოლოდ ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე: Ath.-17 მრავალთავი და სხვ. ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს Ath.-32-ს (981 წ.), რომელიც ექვთიმეს მიერ თარგმნილ თხზულებათა კრებულს წარმოადგენს და სხვ.

ზოგი ათონური ხელნაწერი ჩამოიტანა ი. ფანცულაიამ (A-1101; A-1103; A-1104; A-1105).

ათონის ივერთა მონასტრის სიძველეები აღწერეს ალ. ცაგარელმა და რ. ბლეიკმა. 1952—1953 წლებში ამერიკელმა ე. უ. სინდერზმა გადაიღო 4 ძველი ქართული ხელნაწერი (№ 42, 62, 78, 83). უკანასკნელ ხანებამდე ქართველ სპეციალისტებს ხელი მიუწვდებოდათ ათონში დაცულ მხოლოდ 12 ხელნაწერზე. 1981 წელს გ. პატარაიამ და ა. მიქაბერიძემ მოახერხეს ათონის ქართველთა მონასტერში დაცული ყველა ქართული ხელნაწერის მიკროფილმთა გადაღება. ეს არის დიდი მოვლენა. მათი ღვაწლის მეოხებით ქართულ მეცნიერებას აქვს საშუალება, შეუდგეს ათონზე მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა შემოქმედების ყოველმხრივ შესწავლას.

ბულგარეთში, ბაჩკოვოს მახლობლად, 1083 წელს ქართველმა მხედართმთავარმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააარსა მონასტერი ქართველთათვის. მის მიერ შექმნილ მონასტერს გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეუდგინა ტიპიკონი (წესდება). დოკუმენტი შეადგინეს ორ ენაზე — ქართულად და ბერძნულად. პეტრიწონის მონასტერში გადაწერილია H-1760 ხელნაწერი (XIV ს.).

პეტრიწონის მონასტერი, ისე როგორც ქართული კულტურის ბევრი სხვა სავანე, ბერძნებმა იგდეს ხელთ და ქართველები თანდათან გამოდევნეს.

ჩვენამდე მოღწეული პეტრიწონის ქართული წესდების ორი ნუსხა პირველად ცნობილი გახდა სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში. დაცული XVIII საუკუნის ხელნაწერი. იგი გადაუწერია (უფრო სწორად, გადაუხატავს) ქართული ენის უცოდინარ პირს. ამ ხელნაწერის მიხედვით ძეგლი გამოაქვეყნა მ. თარხნიშვილმა (Typicon Gregorii Pacuriani: Scriptores Jberici, t. 3, Louvain, 1954).

1951 წელს ცნობილი გახდა, რომ არსებობს ამ წესდების უფრო ძველი ვარიანტი. იგი დაცულია კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელშეწყობით ა. შანიძემ 1958 წელს მიიღო ამ ძვირფასი ხელნაწერის ფოტოპირები. გაირკვა, რომ ხელნაწერი XIII საუკუნისაა. ძეგლი უაღრესად საინტერესოა როგორც ქართული ენის ისტორიისათვის, ისე საქართველოს ისტორიის სპეციალისტთათვის. ეს ხელნაწერი ვრცელი გამოკვლევითურთ გამოსცა ა. შანიძემ (1971 წ.).

ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, ძველ ხელნაწერთა დაცვა და ტექსტების პუბლიკაცია საბჭოთა საქართველოში: ხელნაწ. ინსტ. მოამბე, II, თბ., 1960.
2. ი. აბულაძე, პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1973.
3. გ. ახვლედიანი, ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში: „ჩვენი მეცნიერება“, № 1, 1925.
4. გ. ახვლედიანი, თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში: თსუ შრ. XIX, 1941.
5. ა. ბაქრაძე, კრიტიკული გულანი, თბ., 1977.
6. ჟ. გარიტი, მინგანას კოლექციის ქართული ფურცლები Scilly Oak-ში (ბირმინგემი): „მაცნე“ (ენ. და ლიტ. სერია), თბ., 1973, № 2.
7. თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის პადიშის ძეგლში: ენიმკის მოამბე, IV_2, თბ., 1938.
8. რ. ენუქაშვილი, ხანმეტობა-ჰაემეტობის საკითხისათვის ქართულში: თსუ ძველი ქართ. ენის კათ. შრ., 19, თბ., 1976.
9. ე. თაყაიშვილი, მოგონებები: „მნათობი“, 1958 წ. № 4, 5, 7, 11, 12; 1959 წ., № 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9.
10. ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ., 1890.
11. ე. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელწოდება ქართველთა სახელწოდებად? „მნათობი“, 1948, № 8.
12. ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული სიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933.
13. ე. თაყაიშვილი, ვატიკანის ბიბლიოთეკის ორი ქართული ხელნაწერი: თსუ შრ. XXXIX, თბ., 1950.
14. ი. ევდოჩიჩკა, იაკობის ჟამისწირვის ხელნაწერი პრაღაში: „მნათობი“, 1961, № 6.
15. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბ., 1963.
16. ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, თბ., 1975.
17. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, IV, თბ., 1978.
18. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
19. ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, თბ., 1955.
20. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, თბ., 1962, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962; ტ. II, თბ., 1980.
21. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.
22. ე. მეტრეველი, შეჰანის უდაბნო — XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში: მრავალთავი, V, თბ., 1975.
23. ე. მეტრეველი, საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.
24. გ. ნინუა, ერთი ქართული ხელნაწერის ისტორია: „მაცნე“ (ენ. და ლიტ. სერია), № 3, თბ., 1981.
25. ბ. ნიკარაძე (თავისუფალი სვანი), სვანეთის ხელნაწერები: „მოამბე“, 1904, მე-2 განყ.
26. ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.
27. გ. როგავა, ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის: ქუთ. პედ. ინსტ. შრ., XV, 1956.

28. ზ. სარჯველაძე, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, თბ., 1971.
29. ზ. სარჯველაძე, ჰაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის სინურ ხელნაწერებში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 52, № 1, 1968.
30. ზ. სარჯველაძე, სასწაულებრივ გადარჩენილნი: „საბჭოთა ხელოვნება", 1981, № 8.
31. ბ. უტიე, ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში: „მაცნე" (ენ. და ლიტ. სერია), № 1, 1976.
32. ლ. ქაჯაია, ხანმეტი ჰაგიოგრაფიული კრებული: მრავალთავი, IX, თბ., 1981.
33. ღ. ქუთათელაძე, ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-Ბ, თბ., 1953.
34. ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში: თხზულებანი, II, თბ., 1981.
35. ა. შანიძე, უძველესი ტექსტების აღმოჩენის გამო. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში: თხზულებანი, II, თბ., 1981.
36. ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში: ტუმ, IX, 1929.
37. ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, თბ., 1944.
38. ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: ტუმ, VII, 1927.
39. ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტუმ, III, 1923.
40. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: თხზულებანი, II, თბ., 1981.
41. ა. შანიძე, ჰაემეტობა ადიშის ოთხთავში: თხზულებანი, II, თბ., 1981.
42. ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1959.
43. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945.
44. ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები: ენიმკის მოამბე, II, ტფ., 1937.
45. ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971.
46. ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები: თსუ ძველი ქართ. ენ. კათედრის შრ., 21, თბ., 1977.
47. მ. შანიძე, ჰაემეტობის გადმონაშთები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში: ხელნაწ. ინსტ. მოამბე, I, თბ., 1959.
48. ც. ჩიკვაშვილი, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების კატალოგი, თბ., 1964.
49. ა. ჩიქობავა, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის: „ჩვენი მეცნიერება", 1925, № 3—4.
50. შ. ძიძიგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974.
51. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
52. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, გამოსცა ა. შანიძემ, ტ. I, ნაკვ. 1, თბ., 1947; ტ. I, ნაკვ. 2, თბ., 1948.
53. ზ. ჭუმბურიძე, ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი, თბ., 1975.
54. ა. ხახანაშვილი, ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები: „მოამბე", 1905, VIII, განყ. II.

55. ლ. ხევსურიანი, Sin.-34-ის შედგენილობის საკითხისათვის: მრავალთავი, VI, თბ., 1978.
56. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
57. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1949.
58. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979; II, თბ., 1965.
59. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტფ., 1921.
60. ივ. ჯავახიშვილი, წინასიტყვაობა წიგნისა: გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, თბ., 1946.
61. Л. Р. Каджая, Ханмэтные палимпсесты: Проблемы палеографии и кодикологии в СССР, М., 1974.
62. П. К. Коковцов, Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда: Зап. Вост. Отд. Рос. арх. общества, Т. XI, 1899.
63. Н. Я. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера: Зап. Вост. отд. Рос. арх. общества, Т. XIII, 1901.
64. Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940.
65. Р. Р. Орбели, Собрание грузинских рукописей Института востоковедения Академии Наук СССР: Уч. зап. Института востоковедения, вып. IX, М.-Л., 1954.
66. Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, М.-Л., 1956.
67. Е. С. Такайшвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. I, вып. I, 1902; т. I, вып. II, 1903; т. I, вып. III; IV, 1904; т. II, вып. I, 1906; т. II, вып. II, 1907; т. II, вып. III, 1908.
68. Е. С. Такайшвили, Рукописи Оксфордской библиотеки, приобретенные в Тифлисе Оливером Вардропом: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961.
69. А. Цагарели, Каталог грузинских рукописей Синайского монастыря: Палестинский сборник, IV, С-Пб., 1888.
70. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, I, 1894.
71. А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, С-Пб., 1888.
72. J. W. Birdsall, Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2: Oriens Christianus, 55, 1971.
73. J. W. Birdsall, A second Georgian recension of the Protevangelium Jacob: Le Muséon, 83, Louvain, 1970.
74. J. W. Birdsall. A Georgian Palimpsest, in Vienna: Oriens Chistianus, 53 1969.
75. R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la laure d'Iviron au Mont Athos, ROC, VIII-IX, Paris, 1932-34.
76. R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem: Oriens Chretien, 3-e série, t. III (XXIII). № 3-4, Paris, 1924.
77. R. Blake, Catalogue of the Georgian Manuscripts in the Cambridge University Library: The Harvard Theological Review, 25, 1932.
78. R. Blake, Greek Script and Georgian Scribes on Mount Sinai: HTR, XXV, № 3, 1932.

79. J. Braun, Rekopisy Gruzinskie: K. Roszko-J. Braun, Katalog recopisov ormianskich i gruzinskich, Warszawa, 1958.
80. A I. Gamkrelidze, Le trésor national géorgien: Tbilisi, 1975.
81. Georgische Handschriften, beschrieben von J. Assfalg, Wiesbaden, 1963.
82. M. V. Esbroeck, Les plus anciens Homéliaires géorgiens, Lovain-la-Noeuve, 1975.
83. D. M. Lang, Georgian manuscripts in Oxford: Bedi Kartlisa, N II-III, Paris, 1957.
84. I. Molitor, Tekstus Chanmeti et Haemeti, Lovain, 1956.
85. P. Peeters, De codice hiberico bibliothecae Bodleianae Oxoniensis: AB, XXXI, 1912.
86. G. Peradze, Ueber die georgischen Handschriften in Östenreich: WZKM, XLVII, 3-4, 1940.
87 G. Peradze, Georgian Mss. in England: Georgica, I, London, 1935.
88. H. Schuchardt, Mitteilungen aus georgischen Handschriften: ტუმ, VIII 1928.
89. M. Tarchnischvili, Les manuscrits géorgiens du Vatican: Bedi Kartlisa № 12-13, Paris, 1964.
90. O. Wardrop, Catalogue of Georgian manuscripts; F, Conyber: Catalogue of th Armenian manuscripts in the British Museum, London, 1913.

3. დოკუმენტები

ხელნაწერთა ინსტიტუტის, საქართველოს სახელმწიფო არქივის, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების, რუსეთის, უცხოეთის მუზეუმების ფონდებში დაცულია 100 000-მდე ქართული საისტორიო, იურიდიული და სხვა სახის დოკუმენტი. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ყოველ განათლებულ ადამიანს კარგად მოეხსენება ის უაღრესი მნიშვნელობა, რომელიც საბუთებს როგორც პოლიტიკურ-კულტურულ, ისევე სამართლისა, ეკონომიური, თუ ხელოვნების ისტორიისთვისა აქვს. წყაროთა არც ერთი დარგი არ შეიცავს იმდენად უხვსა და მრავალმხრივ ცნობებს, რაოდენიც ჩვენ საბუთებში გვხვდება. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ საისტორიო მეთოდოლოგიაში საბუთების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიპყრობილი და ისტორიის დამხმარე მეცნიერებათა შორის საბუთების შემსწავლელი დარგი, რომელსაც დიპლომატიკა, ანუ სიგელთმცოდნეობა ეწოდება, ყველაზე უფრო ზედმიწევნით საისტორიო სამეცნიერო დარგად იქცა“ (18, გვ. 111).

ქართულ საისტორიო და იურიდიულ დოკუმენტებს უაღრესი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის, კერძოდ, ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიის კვლევისათვის (უძველესი ქართული დოკუმენტების ძირითადი ენობრივი თავისებურებანი განხილული გვაქვს ქვემოთ, სპეციალურ თავში).

ქართული საისტორიო და იურიდიული დოკუმენტების გამოცემა XIX საუკუნეში დაიწყეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ბაქრაძის

(21), ალ. ხახანაშვილის (20), თ. ჟორდანიას (9; 10; 11), ე. თაყაიშვილის (4; 5; 22), ს. კაკაბაძის (7; 8), ა. შანიძის (9), ი. დოლიძის (13), ნ. ბერძენიშვილის (1;2), ი. ცინცაძის (17), შ. ბურჯანაძის (3), ქრ. შარაშიძის (15), ნ. შოშიაშვილის (16) და სხვების დამსახურება ამ დიდ საქმეში.

განსაკუთრებული ღვაწლი ქართული დოკუმენტების შესწავლაში მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს. იგი არის შემქმნელი სამეცნიერო დისციპლინისა „ქართული დიპლომატიკა“ (18).

ქართული საისტორიო დოკუმენტების კორპუსის მეცნიერულ გამოცემას ამზადებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ქართული საისტორიო და იურიდიული დოკუმენტები ძირითადად XI საუკუნიდან გვაქვს. მათ შორის აღსანიშნავია ბაგრატ მეექვსის ორი სიგელი: ერთი ცნობილია, როგორც, „სიგელი მღუიმელთაი“, ხოლო მეორე, როგორც „სიგელი ოპიზართა და მიჯნაძოროელთაი“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, პირველი სიგელი თარიღდება 1058 წლით, მეორე კი — 1060—1065 წლებით (19, გვ. 179).

ძალიან საინტერესოა დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მიმართ (1123 წ.). იგი პირველად 1896 წელს დაბეჭდა თ. ჟორდანიამ (10, გვ. 9 — 12). ამჟამად დედნის დიდი ნაწილი დაკარგულია. უკანასკნელ ხანებში ვ. სილოგავამ მიაგნო ამ საინტერესო ძეგლის ფოტონეგატივს და ხელახლა გამოსცა ანდერძი გამოკვლევითურთ (12, გვ. 88 — 106).

გიორგი მესამემ 1170 წელს შიომღვიმეს უბოძა სიგელი. ტექსტი პირველად გამოსცა ე. თაყაიშვილმა (5, I, გვ. 2—7). გიორგი მესამის მეორე სიგელი შეიძლება დათარიღდეს 1177 წლით (19, გვ. 180). იგი პირველად გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ (9, I, გვ. 265).

XII საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება ჭიაბერ მანდატურთუხუცესის სიგელი (19, გვ. 180—182).

თამარ მეფის სიგელი, რომელიც 1202 წლით თარიღდება (19, გვ. 182), პირველად გამოსცა თ. ჟორდანიამ (10, გვ. 25—26). ეს საბუთი დაიღუპა 1919 წელს[1]. მომდევნო ხანის ძეგლები საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

---

[1] 1919 წელს კრასნოდარის მხარის ქ. კრასნოტკინში განადგურდა 3000 ქართული დოკუმენტი სხვა სიანტერესო მასალებთან ერთად. ისინი 1915 წელს წაიღეს ჩრდილოეთ კავკასიაში, რომ გადაერჩინათ თურქების შემოსევისაგან. დაღუპულ დოკუმენტთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: გიორგი II-ის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სიგელები (ამის შესახებ იხ. „საისტორიო მოამბე“, I, ტფ., 1924, გვ. 278—281).

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკაში ამ სამი უძვირფასესი ძეგლის ფოტონეგატივები იპოვა ვ. სილოგავამ (12, გვ. 89).

ქართული ენის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიპეპა ისეთ საბუთებს, რომლებშიც ასახულია ცოცხალი მეტყველების ნორმები.

ლიტერატურა

1. ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I. თბ., 1938; II, თბ., 1953.
2. ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV; თბ., 1967.
3. შ. ბერჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, I, თბ., 1958.
4. ე. თაყაიშვილი, პალეოგრაფიული ალბომი, რვეული I, ტფ., 1909; რვეული II, ტფ., 1920.
5. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, ტფ., 1899; II, ტფ., 1910.
6. ს. კაკაბაძე, შიომღვიმის სამი სიგელი, ტფ., 1912.
7. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, I, ტფ., 1913; II, ტფ., 1913; III, ტფ., 1913; IV, ტფ., 1913; V, ტფ., 1913.
8. ს. კაკაბაძე, დასაელეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ., 1921; II, ტფ., 1921.
9. თ. ყორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, I, ტფ., 1893; II, ტფ., 1897.
10. თ. ყორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ეაბანის ქვაბთა, ტფ., 1896.
11. თ. ყორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბეთები, ფოთი, 1903.
12. ე. სილოგავა, დაეით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი: მრავალთავი, IX, თბ., 1981.
13. ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა ი. დოლიძემ (II, თბ., 1965; III, თბ., 1970; IV, თბ., 1972; V, თბ., 1974; VI, თბ., 1977; VII, თბ., 1981).
14. ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, ტფ., 1935.
15. ჭ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), თბ., 1961.
16. ნ. შოშიაშვილი, რკონის სიგელი 1269 წლისა (ხელნაწ.).
17. ი. ცინცაძე, დაეით მეფის სიგელი; თამარ მეფის გელათისადმი ბოძებული სიგელი: საქართველოს არქიეი, II, ტფ., 1927.
18. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926.
19. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
20. ა. ხახანაშვილი, გუჯრები (საისტორიო მასალა), ქუთაისი, 1891.
21. Д. З. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии: Приложение к V тому Запис. АН, № 1, С-Пб., 1887.
22. Е. Такайшвили, Сигель грузинского царя Баграта IV: ЗВОРАО, IX, С-Пб., 1894.

II თავი

ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი

ქართული ანბანი ერთ-ერთი უძველესთაგანია. მისი წარმომავლობის შესახებ მრავალი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, მოსაზრება არსებობს (20, გვ. 122—138; 46, გვ. 5—18). ქართული ანბანის შექმნის შესახებ ძველ წერილობით წყაროებში ორი ცნობაა დაცული.

XI საუკუნის ცნობილი მოღვაწის ლეონტი მროველის მიერ დაწერილ, თუ გადაწერილ „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია მეფე ფარნავაზის დროს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან გააერცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 26).

მემატიანის ამ ცნობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ქართულ საისტორიო მწერლობაში ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ლეონტი მროველის თხზულებაში გვხვდება ცნობა ქართული ანბანის გამოგონების დროისა და შემდგენელის პიროვნების შესახებ. მას ქართული „მწიგნობრობა“ ფარნავაზ მეფის შემოღებულად მიაჩნია. რადგან ეს ფარნავაზი XI საუკ. ამ ქართველ ისტორიკოსს საქართველოს სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წესწყობილების, იმგვარადვე როგორც სარწმუნოების შემოქმედად ჰყავს გამოყვანილი და ზღაპრულ პიროვნებად არის ქცეული, ამიტომ ლეონტი მროველის ცნობას ქართული ანბანის შესახებ ფასი ეკარგება. აქ მხოლოდ ის გარემოებაა საყურადღებო, რომ XI საუკ. ქართველ ისტორიკოსს ქართული ანბანი ქრისტეს წინადროინდელ აღმოჩენად ჰქონია წარმოდგენილი, ძველისძველად მიაჩნდა და სხვებივით ქრისტიანობის შენაძენად არ სთვლიდა. იქნებ, მომავალმა გამოარკვიოს, ჰქონდა თუ არა ლ. მროველს ამისთვის რაიმე საფუძვლიანი წყაროები ან ისტორიული ზეპირგადმოცემა“ (27, გვ. 194). სხვაგან ივ. ჯავახიშვილი წერს: „რა წყაროებით სარგებლობდა ლეონტი მროველი, როდესაც ოგი ფარნავაზის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გვიხატავდა, არა ჩანს,

მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მის ცნობებს ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს" (26, გვ. 181).

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ფარნავაზის შესახებ უკანასკნელ ხანებში ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებული არაა. საქართველოს ისტორიის ნარკვევების I ტომში ნათქვამია: „ქართლის სამეფოს საწყისად კი ძველი ქართული ტრადიცია უცილობლად იმ მომენტს მიიჩნევს, როდესაც საკუთრივ მცხეთა გახდა გაერთიანებული ქართლის ცენტრი, დედაქალაქი. სხვადასხვა ქართული გაერთიანების ბრძოლაში ალბათ წარმატებას მიაღწია იმ გაერთიანებამ, რომელსაც სათავეში ფარნავაზი ედგა. ფარნავაზის საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს აგრეთვე მცხეთის (არმაზციხის) გადაქცევა სამეფოს დედაქალაქად, არმაზციხის უძველეს თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობა, აქვე არმაზის კერპის აღმართვა და სხვ. გვიანაქემენიდური და ადრეელინისტური ხანის მერყევი ვითარება, საერთოდ, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ასეთი მსხვილი პოლიტიკური ერთეულის წარმოშობისათვის იმ დროის დიდი, დასუსტებული ანდა ჯერ სტაბილობას მოკლებული სახელმწიფოების (აქემენიდური სპარსეთი, ელინისტური სამეფოები) მეზობლად. ამიტომაც არის, რომ ძველი ქართული ტრადიცია, რომელიც ასეთი სამეფოს წარმოქმნას ადრეელინისტური ხანით ათარიღებს, ზოგად ხაზებში სარწმუნო ჩანს" (14, გვ. 444). საინტერესოა ისიც, რომ მე-5 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდი ქართლის მეფეებს ფარნავაზიანებს უწოდებს (32, გვ. 126).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანელი თავის კომპილაციური ხასიათის თხზულებაში „ქრონოგრაფიული ისტორია" ქართული დამწერლობის შემქმნელად ფარნავაზს მიიჩნევს (33, გვ. 384).

ასეთია ქართული დამწერლობის წარმოშობის ერთი ვერსია ქართული და სომხური წერილობითი წყაროების მიხედვით.

მეორე ცნობა ქართული ანბანის შექმნის შესახებ დაცულია მე-5 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კორიუნის თხზულებაში „მაშტოცის ცხოვრება". ამ ნაწარმოების მიხედვით, მესროპ მაშტოცმა (დაახლ. 361—440 წწ.) შექმნა სომხური დამწერლობა. მანვე გამოიგონა ქართული და ალბანური[1] დამწერლობები. აი, რა არის ნათქვამი ქართული ანბანის შექმნის შესახებ: „რამდენიმე ხნის შემდეგ ქრისტეს საყვარელმა (მაშტოცმა) იზრუნა აგრეთვე ბარბაროს ქვეყნებზედაც. და იგი შეუდგა იბე-

[1] ალბანელები იყვნენ დასავლეთ კასპიისპირეთის მინადარი უძველესი ტომები. ვარაუდობენ, რომ მათი ენა იყო უდიური (დაღესტნის ენათა ოჯახი). ანბანი აღმოაჩინა ი. აბულაძემ (28), გაშიფრა ა. შანიძემ (35; 36). ა. შანიძის მოსაზრებანი გაზიარებულია ალბანისტიკაში (ამის შესახებ იხ. 38).

რული (ქართული) ენის დამწერლობის შექმნას ღვთის მიერ მონიჭებული წყალობით. მან დახაზა, დაწყო და დაალაგა, როგორც ეგებოდა. და წაიყვანა ვინმე თავის საუკეთესო მოწაფეთაგან და გაემგზავრა და მივიდა იბერთა ქვეყანაში. აქ ის წარუდგა იბერთა მეფეს, სახელად ბაკურს, და მოსეს, ქვეყნის ეპისკოპოსს. მეფე და მხედრობა, ქვეყნის ყველა მხარე ღვთის ბრძანებით მორჩილად უსმენდა მას" (30, გვ. 49).

კორიუნის ამ ცნობას უყოყმანოდ იზიარებს თითქმის ყველა სომეხი სპეციალისტი, აგრეთვე მრავალი არმენოლოგი, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში (აქ შეიძლება მივუთითოთ ერთი წყარო: Советская историческая энциклопедия, т. 7, სვ. 987, სადაც ნათქვამია, რომ კორიუნმა „изложил наиболее достоверную историю создания арм., а также груз. и албанской (агванской) письменности".

ყველაზე საფუძვლიანად კორიუნის ცნობა განიხილა ივანე ჯავახიშვილმა. იგი წერდა: „სომხურსა და სხვა სპეციალურ მწერლობაში კორჯნის მონათხრობი სრულ ჭეშმარიტებად ითვლება და მისი ნაშრომის ცნობებს ემყარებიან, ვითარცა თანამედროვისა და თვთმხილველისაგან აღწერილ მოთხრობას.

ასეთი ნდობა რომ კორჯნის ნაწარმოების კრიტიკული განხილვა-გაცხრილვის შემდგომ დამყარებულიყო, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ძეგლის კრიტიკულად განხილვა და კორჯნის განცხადება-ცნობების სისწორის შემოწმება არავის მოსვლია აზრად. ასეთი თავაღებითი ნდობა კი, რა თქმა უნდა, სახიფათოც არის და არც შეიძლება" (25, გვ. 156—157).

ივანე ჯავახიშვილმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ცნობა მაშტოცის (მაშთოცის) მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ მერმინდელი ჩანართია (კერძოდ, VI საუკუნის დამლევისა). ამას მოწმობს ის, რომ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლაზარი ფარპელი, რომელიც კარგად იცნობდა კორიუნის თხზულებას, მაშტოცს მიიჩნევს მხოლოდ სომხური ანბანის შემქმნელად (25, გვ. 170—171). ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა აგრეთვე ზოგი ანაქრონიზმის შესახებ, რაც კორიუნის თხზულებაში დასტურდება (25, გვ. 172—173). არსებითი სხვაობაა ქართული და სომხური ასოების მოხაზულობაში: „საკმარისია ადამიანმა სომხური და ქართული ხუცური ასომთავრული უძველესი მოყვანილობის ასოები ერთიმეორეს გულდასმით შეადაროს, რომ დარწმუნდეს, რამდენად დაშორებულია და არ მიაგავს ერთიერთმანეთს ქართული და სომხური ანბანი. ორიოდე ასოს გარდა, ორივე ანბანის ყველა ასო მოხაზულობით არსებითად განსხვავდება.

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ბერძნულს მერმინდელ ანბანს თავის წარმომშობელ ფინიკიელთა ანბანის ასოებთან 5—6 საუკუნის შემდგომაც ისეთი მსგავსება ემჩნეოდა, რომ მათი ნათესაობა ცხა-

დი ხდება, ქართული და სომხური ასოების მოხაზულობა ერთი-ორი საუკუნის შემდგომ ისე როგორ უნდა შეცვლილიყო, რომ მათ ნათესაობას გულდასმითი დაკვირვებაც ვეღარ ამჩნევს, თუ მათი შემდგენელი ერთი და იგივე პირი იყო და მართლაც V ს-ში მოღვაწეობდა ჭ. შ." (27, გვ. 198—199).

ასევე არსებითი ხასიათის სხვაობაა ქართული და სომხური ასოების, რიგშიაც. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „იმ დროს, როდესაც ქართულში ენს ვინი მისდევს და 6-სა ნიშნავს, სომხურ ანბანში ვ-ინს 30-ე ადგილი აქვს დათმობილი და 3000-ს ნიშნავს. ამგვარადვე, თუ ქართულში ცხრის აღმნიშვნელს — თანს 10-ის აღმნიშვნელი ინი მისდევს, სომხურში თოს ჟე მისდევს, რომელიც იქ 10-ის აღსანიშნავად იხმარება იმ დროს, როდესაც ქართულში ჟანს მე-18 ადგილი უკავია ანბანში და 90-ს უდრის. ხოლო კან-იდან მოყოლებული ქართულ და სომხურ ანბანთა ასოების წესრიგს შორის ისეთი განსხვავებაა, რომ მათ შორის მსგავსების აღმოჩენა შეუძლებელია. ცხადია, ასოთა რიგისა და მათი რიცხვითი მნიშვნელობის ასეთი თვალსაჩინო, არსებითი განსხვავება ქართულსა და სომხურ ანბანში შეუძლებელია ყოფილიყო, მათი შემდგენელი რომ მართლაც ერთი და იგივე პირი ყოფილიყო, როგორც სომხურ მერმინდელ მწერლობაში კორჯნის გადამკეთებელი და მოსე ხორენელი ამტკიცებდნენ" (27, გვ. 199).

რა თქმა უნდა, მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნა დაუჯერებელია იმ მიზეზის გამოც, რომ მან ქართული არ იცოდა. მაშტოცს ქართული ანბანი, კორიუნის თხზულების ჩვენამდე მოღწეული ვერსიის მიხედვით, შეუქმნია სომხეთში (30, გვ. 49). ასევე ზღაპრულია მაშტოცის ბიერ ალბანური ანბანის გამოგონების ამბავი (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან არც ალბანური ენა იცოდა). საერთოდ, ანბანის შექმნა დიდ ენათმეცნიერულ მომზადებას გულისხმობს. შეუძლებელია, V საუკუნის დასაწყისში ერთ კაცს შეექმნა სამი სხვადასხვა სისტემის ენისათვის სამი არსებითად განსხვავებული დამწერლობა.

სომხური წყაროების წინააღმდეგობანი და მათი მერმინდელობა კარგად არის დასაბუთებული ივ. ჯავახიშვილისა (25; 27) და ზ. ალექსიძის (14; 16) ნაშრომებში.

უკანასკნელ ხანებში გაირკვა ისიც, რომ სომხური ანბანის შემქმნელი იცნობდა და იყენებდა ქართულ ანბანს. 1969 წელს რამაზ პატარიძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლები"[1]. ავტორი

[1] იგი ჯერ დაიბეჭდა ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება" № 6 (1969), ხოლო შემდეგ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მაცნეში" (1970, № 3).

სომხურ ასოებს განიხილავს გრაფიკული მსგავსების მეთოდით და გამოყოფს სომხურ გრაფემათა სამ ჯგუფს: სემურ (ე. წ. „ნალისებურ“ გრაფემათა) ჯგუფს, ქართულ (ე. წ. „რკალისებურ“ გრაფემათა) ჯგუფსა და ბერძნულ (ე. წ. „კუთხოვან“ გრაფემათა) ჯგუფს. რ. პატარიძემ ნათლად აჩვენა, რომ ექვს სომხურ ასოს (Շ შ, Ձ ჩ, Ց ც, Ձ ძ, Ծ წ, Ճ ჭ) საფუძვლად უძევს ასომთავრული Շ გრაფემის მოხაზულობა (11, გვ. 171—204; 13, გვ. 528—584).

ცხადია, ამის შემდეგ ლეგენდა ქართული ანბანის მესროპ მაშტოცის მიერ შექმნის შესახებ საბოლოოდ უნდა უკუვაგდოთ[1]. სომხური ანბანის შემოქმედმა გამოიყენა ქართული ანბანიც, თუმცა ამის შესახებ არაფერი თქვა. კორიუნის თხზულებაში არის ცნობები იმის შესახებ, რომ მაშტოცი იყენებს სირიულ და ბერძნულ დამწერლობებს. ეგებ, ამ ნაწარმოების თავდაპირველ ვარიანტში იყო მითითება იმის შესახებ, რომ მაშტოცმა ქართული ანბანიც გამოიყენა, ხოლო შემდგომში ეს ცნობა ამოიღეს და ჩაურთეს ლეგენდა ქართული ანბანის მაშტოცის მიერ შექმნის შესახებ. ვფიქრობთ, ამგვარი ვარაუდის დაშვება გამართლებულია. როგორც ძველად იტყოდნენ: „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“.

აკად. ივანე ჯავახიშვილი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია არა უგვიანეს VII საუკუნისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ქართულ ანბანს საფუძვლად უძევს ფინიკიურ[2]-არამეული. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ერთი მხრით, ჯერხანად ცნობილი VI საუკ. ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7—8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი. მეორე მხრით, ქართული ანბანის ასოთა რიგობითი მიმდევნობა ფინიკიურ-სემური ანბანისას მშვენივრად იცავს, რაც აგრეთვე მისი სიძველის მომასწავებელია: ფინიკიურ-სემური ანბანის უძველესი მოხაზულობის მსგავსად, ქართულ ბევრ ასოს პირი მარცხნივ აქვთ მობრუნებული და, დასასრულ, ასო ბანის ქართული თავშეკრული მოხაზულობა

[1] სხვათა შორის, არსებობს ასევე ლეგენდარული ცნობა, თითქოს სომხები ადრე ქართულ ანბანს იყენებდნენ: „რაიცა თვის-ეყვეს მწიგნობრობასა, არა იყო მათ (სომეხთა) შორის ძველთა შინა საუკუნეთა“; „იგინი (სომხები) სარგებლობდნენ პირველ ბერძნულითა წიგნითა და ქართულითა. ქრისტეს მოსვლითგან მრავალთა წელთა განვლეს, მერმე ქმნეს სომეხთა წერილი თვისი, რომელსაცა იტყვიან იგინი მოძღვრისა მათისა მესროფისათჳს, ვითარმედ, მან განაწესა და ქმნა ასონი მათნი, მსგაესად ქართულისა ბუცურის წერილისა“ (21, გვ. 123).

[2] ფინიკიელები იყვნენ ძველი სემიტური ტომები. ფინიკია მდებარეობდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ახლანდელი სირიისა და ლიბანის სანაპირო ზოლი). ფინიკიელებმა შექმნეს პირველი ანბანური დამწერლობა. ამ დამწერლობიდან მომდინარეობს თითქმის ყველა ანბანური დამწერლობა.

შესაძლებელია მხოლოდ ფინიკიელთა, ებრაელთა და არამეელთაგან ყოფილიყო შეთვისებული VII ს-ზე არა უგვიანეს ქ. წ., როდესაც თვით არამეელნიც ჯერ კიდევ თავშეკრულ „ბ“-ს ხმარობდნენ და როცა ქართველი ტომები ტუბალ-მოსოხებიც აზიაში ცხოვრობდნენ და ფინიკიელებთან აღებ-მიცემობა ჰქონდათ“ (27, გვ. 235—236).

ივ. ჯავახიშვილი შეეცადა, დაეძებნა ქართული ასოების პროტოტიპები სემურ ანბანში (27, გვ. 205—231). უნდა გვახსოვდეს, რომ თავის მოსაზრებებს დიდი მეცნიერი ჰიპოთეტურად მიიჩნევდა. იგი წერდა: „მაინც მეცნიერული სიფრთხილე სჯობია და, სანამ ქართული დამწერლობის VI საუკუნეზე უწინარესი ძეგლები აღმოჩნდება, ჩემი ნათქვამი ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზად მიმაჩნია, რომლის სიმართლეს მომავალი გამოარკვევს. ვფიქრობ მხოლოდ, რომ ეხლა მაინც სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V საუკუნეში გამოგონების შესახებ ქ. შ. და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ“ (27, გვ. 236).

ფინიკიური ანბანიდან მომდინარედ თვლის ქართულ ანბანს რ. პატარიძეც, ოღონდ იგი ქართულ დამწერლობას ჩვენს წ-მდე V ს-ით ათარიღებს (13).

ივანე ჯავახიშვილის თეორიის გაზიარებას არაერთი დაბრკოლება ეღობება, რომელთაგან უმთავრესია: 1. არაა დამტკიცებული, რომ ტუბალები და მოსოხები ქართული ტომებია (ამდენად, პრობლემატურია ფინიკიელებთან და სემიტურ ტომებთან კავშირი VIII—VII საუკუნეებში). 2. ამჟამად მოგვეპოვება წერილობითი ძეგლები მხოლოდ V საუკუნიდან. როცა ივ. ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ვარაუდობდა, მას იმედი ჰქონდა, რომ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად აღმოჩნდებოდა უფრო ადრინდელი წერილობითი ძეგლები (27, გვ. 236). სამწუხაროდ, ეს ვარაუდი ჯერჯერობით არ გაამართლა. ძველი მასალის უქონლობა კი არსებითი ხასიათის დაბრკოლებაა (6, გვ. 154; 40, გვ. 60 — 61).

აკად. გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ქართული დამწერლობა მომდინარეობს არამეულიდან (არამეული დამწერლობა ჩრდილო სემიტური დამწერლობის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა. მისი უძველესი ნიმუშები ახლოს დგას ძვ. ფინიკიურ და ძვ. ქანაანურ დამწერლობებთან. ჩვ. წ-მდე ბირველ ათასწლეულში არამეული დამწერლობა გავრცელდა პალესტინაში, ასურეთში, ირანში, ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, ეგვიპტეში, ინდოეთში... არამეული ითვლებოდა საკანცელარიო და საერთაშორისო ენად. მან თანდათან შეცვალა ებრაული).

1940 წლის 25 ნოემბერს არმაზისხევში (მცხეთის მახლობლად) აღ-

მოჩნდა ორენოვანი წარწერა. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში „არმაზის ბილინგვად“ იწოდება (ლათ. bi „ორი“; lingua „ენა“). წარწერა შესრულებულია ბერძნულად და, როგორც გ. წერეთელი მიიჩნევს, არამეულად (24, გვ. 5; გვ. 51; 34, გვ. 90—101). ოღონდ არმაზის არამეული დამწერლობა სემიტური დამწერლობის დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს (24, გვ. 13). გ. წერეთელი მას არმაზის არამეულს უწოდებდა (24, გვ. 13). მკვლევარი მიიჩნევდა, რომ: „ზოგიერთი არმაზული ნიშანი გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს ქართულ ასოებთან. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ისევ არ დაისვას ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი“ (24, გვ. 13).

გ. წერეთლის აზრით, ზოგი ქართული ასო უფრო არქაულია, ვიდრე არმაზის არამეული: „ამიტომ სწორი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ ქართული დამწერლობა არმაზის ასოების მერმინდელ განვითარებას წარმოადგენს. უფრო საფიქრებელია, რომ ერთიცა და მეორეც ერთი საერთო წყაროსაგან, ფინიკიურისა და ძველი არამეულისაგან წარმოდგება, როგორც ამას ჯერ კიდევ განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჰფიქრობდა. შესაძლებელია, ქართულსაც და არმაზულსაც საფუძვლად დაედო ძველი არამეული დამწერლობის თავისებური შტო, რომელთანაც ხშირად არმაზული უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქართული, ზოგჯერ კი პირიქით“ (24, გვ. 13—14). არმაზის ბილინგვა უნდა დავათარიღოთ ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნით (24, გვ. 34). გიორგი წერეთელი არაა ამბობს ქართული ანბანის წარმოშობის კონკრეტული თარიღის შესახებ, თუმცა მასაც ქართული დამწერლობა წინარექრისტიანულ ხანაში შექმნილად ესახება. გ. წერეთელი არამეულ დამწერლობას უდარებდა ქართულ ნუსხურს. მას მიაჩნდა, რომ დ. ბაქრაძის, ივ. ჯავახიშვილის და სხვათა მიერ მიღებული ქართული ანბანის განვითარების გზა: ასომთავრული→ნუსხური→მხედრული არაა სწორი (გ. წერეთელი ამ სქემას ირონიულად „ბიბლიურს“ უწოდებდა), მაგრამ დ. ბაქრაძემ, დ. კარიჭაშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა, ა. შანიძემ, ი. აბულაძემ, ე. მაჭავარიანმა და სხვებმა კარგად აჩვენეს, რომ ქართული ანბანის უძველეს სახეობას წარმოადგენს ასომთავრული, მისგან მივიღეთ ნუსხური, მხედრული კი შედარებით ახალია და მომდინარეობს ნუსხურიდან.

სხვა დებატებთან ერთად (რომლებსაც ქვემოთ მივუთითებთ) არსებითი არის ის, რომ არამეულთან შესადარებლად აღებულია ნუსხური ასოები.

ქართული დამწერლობის არამეულიდან წარმომავლობაზე პირველად ფრ. მიულერმა მიუთითა (44, გვ. 431 — 438); ამავე აზრს ემხრობოდა ს. გირგაძეც (3, გვ. 69—75).

თ. ბატონიშვილი, მ. ბროსე, ი. გვარამაძე, ილ. ოქრომჭედლიშვილი, ნ. მარი და არაერთი სხვა ფიქრობდა, რომ მხედრული ანბანი შექმნილია

წარმართობის ხანაში (ზოგი მიიჩნევდა, რომ სწორედ მხედრული არის ქართული ანბანის ის სახეობა, რომელიც ფარნავაზის დროს შეადგინეს). ამ თვალსაზრისმა გარკვეული ასახვა პოვა ფ. იუნკერის ნაშრომში „Das Awestalphabet und der Ursprung der armenischen und georgichen Schrift“ (43). იგი მიიჩნევს, რომ სომხური და ქართული დამწერლობები სათავეს ავესტური ანბანიდან იღებს (ავესტურად მიიჩნევენ ძველი ირანული ენის დიალექტს, რომელიც შემონახულია მხოლოდ ზოროასტრიზმის ტექსტთა კრებულში—ავესტაში. ავესტური ირანული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობაა). ილია ოქრომჭედლიშვილის აზრით, ქართული ანბანი (მხედრული დამწერლობა) მომდინარეობს ზენდავესტურისაგან (31, გვ. 221—225). ე. ტეილორი ფიქრობდა, რომ ქართულ ანბანს საფუძვლად დაედო სპარსულ-არამეული (47).

ფ. იუნკერის აზრის გაზიარება შეუძლებელია. იგი ავესტურ ანბანს უდარებდა მხედრულსაც. ცხადია, ეს იყო მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომა. ამ თეორიის სიმცდარე აჩვენა პ. პეეტერსმა (45, გვ. 381—384). ამაზე მიუთითა გ. დეეტერსმაც (40, გვ. 56—57).

ჯერ კიდევ 1876 წელს ვ. გარდტჰაუზენმა აღნიშნა, რომ ქართული დამწერლობა ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს (41, გვ. 74—80). ამავე აზრს იგი გამოთქვამს ნაშრომში „ბერძნული პალეოგრაფია“ (40, გვ. 47). სხვა მკვლევართაგან ამ მოსაზრებას ემხრობიან დ. ბაქრაძე (29, გვ. 207—214; 2, გვ. 83—85); დ. კარიჭაშვილი (6, გვ. 30—32); კ. კეკელიძე (7, გვ. 157 და შმდგ.; 8, გვ. 35—36); ა. შანიძე (37, გვ. 33—43); პ. ინგოროყვა (5, გვ. 6); თ. გამყრელიძე (9); ვ. ბოედერი (39); თ. ჩხენკელი (18) და სხვ.

მიუთითებენ რამდენიმე ნიშანზე, რომლებიც ქართულ ანბანს უკავშირებს ბერძნულს და აშორებს მას ფინიკიური და სემიტური დამწერლობებისაგან. ეს ნიშნებია:

1) წერის მიმართულება ქართულს ისეთივე აქვს, როგორიც ბერძნულს — მარცხნიდან მარჯვნივ (7, გვ. 157). ცხადია, ამგვარივეა წერის მიმართულება ყველა იმ ანბანში, რომლებიც ბერძნულს ემყარებიან. ცნობილია, რომ სემიტურ დამწერლობებში წერის მიმართულება საპირისპიროა.

2) ქართული ანბანი შეიცავს ხმოვანი ბგერების გამომხატველ ასოებს. ხმოვანთა აღმნიშვნელი ასოები ბერძნებმა შემოიღეს. სემიტურ ანბანში მხოლოდ თანხმოვნები გამოიხატებოდა (7, გვ. 157).

3) „ასოების რიგი და თანმიმდევრობა ქართულში ისეთია, როგორც ბერძნულში; თავისთავად იგულისხმება, რომ, როდესაც ერთი ერი მეორე, უფრო კულტუროსანი, ერისაგან ანბანს სესხულობს, ის ჯერ გამოიყენებს ორივე ენისათვის საერთო ასოებს და მერე ზრუნავს თავისი საკუთარი ბგერების გამოსახატავი ნიშნებისათვის, რომელთაც ანბანის ბო-

ლოში ათავსებს. ასე მოიქცნენ თავის დროს ბერძნები, ასევე უნდა მოქცეულიყვნენ ქართველებიც. მართლაც, ქართულ ანბანში ანიდან მოყოლებული ჭანამდე იგივე 24 (ან უკეთ 25, თუ მხედველობაში გვექნება ბერძნული ου, რომელსაც უდრის ოჳ) ასო გვაქვს, ორი გამონაკლისის გარდა (ჲ, ჯ — ჴ, ϥ), რაც ბერძნულში, და იმავე თანმიმდევრობით, როგორც ბერძნულში. ბოლოში ჭანის შემდეგ, ბერძნულის გაგრძელებად, მოთავსებულია სპეციფიკური, ბერძნულთან შედარებით, ქართული ბგერების გამომხატველი ნიშნები" (7, გვ. 157). ქართული ასოების რიცხვითი მნიშვნელობა ა ნ ი დ ა ნ ჭ ა ნ ა მ დ ე ბერძნულის იდენტურია (7, გვ. 157—158). ამას მიუთითებდა დ. კარიჭაშვილიც (6, გვ. 31).

4) ჯერ კიდევ დ. ბაქრაძემ მიუთითა, რომ წერასთან დაკავშირებული ზოგი ტერმინი: მ ე ლ ა ნ ი, კ ა ლ ა მ ი შეთვისებულია ბერძნულიდან (2, გვ. 84). კ. კეკელიძე თვლის, რომ ამ სიტყვათა გარდა, ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს: წიგნი (შდრ. ბერძნ. σίγνον, რომელიც ბერძნულში ლათინურიდან (შდრ. signum) არის შემოსული). თავდაპირველად წ ი გ ნ ი ნიშნავდა ა ს ო ს, ნ ი შ ა ნ ს და მან მოგვიანებით მიიღო წ ე რ ი ლ ი ს, წ ი გ ნ ი ს მნიშვნელობანი (7, გვ. 157). ი. აბულაძე მიიჩნევს, რომ ბერძნულიდან არის ნასესხები ტ ო მ ა რ ი (1, გვ. 76). მზ. სურგულაძემ აღნიშნა, რომ ბერძნულიდან შემოვიდა ქ ა რ ტ ა (15, გვ. 29) და ე ტ რ ა ტ ი (15, გვ. 33).

5) განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ასოების დაწერილობა ნასესხებია ბერძნულიდან, ან ძალიან ახლოს დგას ბერძნულთან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა მივუთითოთ ასომთავრული Ⴀ ნიშნისა და ბერძნული Ο გრაფემის თითქმის იგივეობაზე (მით უმეტეს, რომ ცნობილია Ⴀ ნიშნის ბერძნულის აბსოლუტურად იდენტური ვარიანტიც).

ბერძნულის ზეგავლენით აიხსნება ასომთავრული უ-ს (Ⴓ Ꭴ) ორი ნიშნით დაწერა (6, გვ. 31, გვ. 34; 20, გვ. 13). ისიც აღსანიშნავია, რომ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ბერძნული υ ქართულში ჳ გრაფემით არის გადმოცემული (პ ა ჳ ლ ე, შდრ. ბერძნ. Παῦλος, ე ფ თ ჳ მ ე, შდრ. ბერძნ. Εὔφυμιος, კ ჳ რ ი ა კ ე, შდრ. ბერძნ. Κυριακός და სხვ.) ეს არის კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ბერძნული ου ნიშნის ზეგავლენით არის შემოღებული ქართულ ანბანში უ ხმოვნის ორი ნიშნით გამოხატვა. ამას გარდა, ეს იმასაც მოწმობს, რომ ჳ გრაფემაც თავდაპირველად ქართულ ანბანში შემოვიდა, როგორც ბერძნული υ-ის ტრანსკრიფცია და მას შემდგომში დაეკისრა უ ი დიფთონგის გამოხატვა.

ა. შანიძემ მიუთითა, რომ Ⴕ (Ꭲ) ნიშანი ქართულ ანბანში ბერძნულის ზეგავლენითაა შემოღებული (37, გვ. 33 — 34). ამავე აზრს იზიარებენ გ. წერეთელი (23, გვ. 36) და ე. ბოედერი (39, გვ. 7). ბერძნულის ზეგავლენით არის შემოღებული აგრეთვე ჶ ნიშანი (24. გვ. 70; 20, გვ. 12; 37, გვ. 32; 39, გვ. 7).

ა. შანიძე თვლის, ის გარემოება, რომ ქართულში თ-ს მე-9 ადგილი უკავია, ხოლო ტ-ს 22-ე და არა პირიქით (რაც საესებით ბუნებრივი იქნებოდა, თუ შემონახული გვექნებოდა სემიტურ ანბანთა, კერძოდ, არამეულის) ტრადიცია, ცხადყოფს, რომ ბერძნულის გავლენის უგულებელყოფა შეუძლებელია (37, გვ. 34). ა. შანიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ ასოთა რიგისა და რიცხვითი მნიშვნელობების დამთხვევას ბერძნულთან (37, გვ. 34).

უფრო ადრე ა. შანიძე მიუთითებდა, რომ ქართული ანბანის კვლევისას უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ბერძნულთან და სომხურთან მიმართება. იგი წერდა: „რაც შეეხება გ. წერეთლის მოსაზრებას ქართული ანბანის ფინიკიურსა და ძველ არამეულთან გენეტიკური ნათესაობის შესახებ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამისთვის მის გასაზიარებლად არც წ-ს მოხაზულობაა საკმარისი და არც სხვა ასოების მსგავსების შემთხვევები (ფ-ი, ს-სი). ეს მოსაზრება, გაკვრით გამოთქმული შენიშვნაში (გვ. 18) და რამდენადმე აგრეთვე თვით ტექსტში (გვ. 13—14), შეიძლება სამუშაო თეორიად იქნეს მომარჯვებული, მაგრამ მას დამტკიცება უნდა ქართული ანბანისა და არამეულის მთლიანად შედარების საფუძველზე. ამ შედარებისას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს სომხურისა და ბერძნულის ურთიერთობა ქართულთან, როგორც ამას გვიჩვენებს არა მარტო ისეთი შეხვედრები, როგორიცაა დიდი მსგავსება ფშვინვიერებს შორის (ბერძნ. ΦΘΧ ქართ. ფ Ⴇ ტ), არამედ აგრეთვე ანბანის რიგი ამ ენებში, თ და ტ ასოების შენაცვლება ქართულ-სომხურ-ბერძნულში, ხმოვნების ხმარება საზოგადოდ და, კერძოდ, უ ხმოვნის გადმოცემის ხერხი, კ ასოთა მსგავსება ქართულსა და სომხურში (ქართ. ჴ, სომხ. ჴ) და სხვა და სხვა. ეს საკითხები ყველა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. საზოგადოდ, ქართული ანბანის გენეზისის პრობლემა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს ცალკე. სომხურისა და ბერძნული ანბანის გენეზისის საკითხების შესწავლასთან დაუკავშირებლად“ (19, გვ. 140). ამრიგად, ა. შანიძე მიიჩნევს, რომ ქართული ანბანის შექმნის კვლევისას უსათუოდ ანგარიშგასაწევია ბერძნული ანბანის ზეგავლენა.

უკანასკნელ ხანებში თ. გამყრელიძემ წაიკითხა არაერთი მოხსენება, რომლებშიც გატარებულია აზრი, რომ ქართული ასომთავრული ანბანი მომდინარეობს ბერძნულიდან. ჟურნალში „მაცნე“ (1975 წ. № 1) გამოქვეყნდა თ. გამყრელიძის მიერ 1974 წლის ოქტომბერში გ. წერეთლის საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების „ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა“ ანგარიში.

თ. გამყრელიძის აზრით, „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის სისტემური შეპირისპირება ჩრდილო-დასავლურ სემიტურ (ფინიკიურ, არამეულ) დამწერლობასა და ბერძნულ დამწერლობასთან ავ-

ლენს ქართული დამწერლობის სტრუქტურულ თანხვედრას არქაულ ბერძნულ წერით სისტემასთან და მის დამახასიათებელ სხვაობებს სემიტურ სისტემასთან შედარებით. ის გადახრები ძველი სემიტური (ფინიკიური) დამწერლობიდან (სემიტურ ემფატიკურ და ფშვინვიერ თანხმოვანთა, აგრეთვე სიბილანტურ სპირანტთა თავისებური გადმოცემა ბერძნულში, ხმოვანთა გამომხატველი ნიშნები, ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობები და სხვ.), რამაც თავი იჩინა ბერძნულ სისტემაში მისი ფინიკიურის ნიადაგზე შექმნის დროს და აგრეთვე შემდგომი განვითარების პროცესში და რაც გასაგებია ბერძნული ენის თავისებურებათა თვალსაზრისით, მთლიანად და უკლებლივ ასახულია ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში. ეს არის უტყუარი ნიშანი ქართული დამწერლობის არქაულ ბერძნულ დამწერლობასთან მჭიდრო კავშირისა, ქართული ასომთავრული დამწერლობის შეთხზვისა არქაული ბერძნული წერითი ნიმუშის (ანბანის) მიხედვით. ძველი ქართული დამწერლობის უშუალოდ სემიტურიდან მომდინარეობის. შემთხვევაში ქართულ ანბანს სულ სხვა რიგი და შინაგანი სტრუქტურა ექნებოდა. სემიტური დამწერლობის (კერძოდ, არამეულის) ერთგვარი გავლენა ძველი ქართული ანბანის შექმნისას შესაძლებელია ვივარაუდოთ მხოლოდ „საკუთრივ ქართული" (ე. ი. ღან ასოდან მოყოლებულ) ნაწილში, კერძოდ, ყარ და წილ ასოთა მიმართ, რომლებიც ავლენენ გარკვეულ მსგავსებას სემიტურ qoph და sade ნიშნებთან. ძველი ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა ძირითადად არქაული ბერძნული დამწერლობის საფუძველზე, ამ უკანასკნელის ანბანურ პროტოტიპად გამოყენების შედეგად. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ტიპოლოგიურად ანბანთა იმავე ჯგუფს განეკუთვნება, რაც ბერძნულ სისტემაზე დამყარებული კოპტური, გოთური, სომხური და მოგვიანებით შექმნილი სლავური ანბანური დამწერლობები" (9, გვ. 180—181).

ქართული ანბანის სტრუქტურის შესახებ უაღრესად საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. ბოედერმა (39). მან ქართული ანბანი განიხილა გრაფიკული თვალსაზრისით და მიიღო რამდენიმე უაღრესად საინტერესო დასკვნა: 1) ქართული ასოები ავსებენ კვადრატს, ან მის ნახევარს. ქართული ასოების ძირითადი ელემენტებია: სწორი ხაზი და ნახევარწრე. წრე შეიძლება განვიხილოთ ორი ნახევარწრის კომბინაციად. ქართულში არის ასოები, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევიან სწორი ხაზით, ან ნახევარწრით, მაგრამ არ არის ისეთი ასოები, რომლებიც სხვა ელემენტებით განსხვავდებოდნენ. ქართული ასოები შეიძლება შედიოდნენ „ერთმანეთის შემადგენლობაში", მაგ., ასომთავრული ინი ვინსა და ენში, ეს უკანასკნელი განსა და ჰაეში და სხვ. ბერძნული ასოებიც შედგება სწორი ხაზისა და ნახევარწრისაგან, ოღონდ ქართულში გვაქვს ღია ნახევარწრე ბერძნულის საპი-

რისპიროდ. გამოდის, რომ ქართული ანბანი აგებული ყოფილა გეომეტრიული პრინციპის მიხედვით, ისე როგორც ბერძნული ანბანი (39, გვ. 2—8). ცალკეული სხვაობები, რა თქმა უნდა, არის, ოღონდ დიდი მსგავსებაა ასოთა აგების პრინციპში (39, გვ. 8). აქვე უნდა აღინიშნოს, ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ქართული ასოების სიმაღლე და სიგანე ავსებს ოთხხაზოვან ბადეს (27, გვ.107). ელენე მაჭავარიანმა 1970 წელს გამოთქვა საინტერესო შეხედულება ქართული ანბანის აგების პრინციპის შესახებ (17, გვ. 14). ქართული ანბანი რომ გეომეტრიული პრინციპის მიხედვით არის აგებული, კარგად აჩვენეს ე. მაჭავარიანმა (17) და თ. ჩხენკელმა (18).

2) მეორე საკითხი, რომელსაც ვ. ბოედერმა მიაქცია ყურადღება, შეეხება სპეციფიკურ ქართულ ბგერათა გამომხატველ ასოთა რიგს. ეს ასოები (ჟ, შ, ჩ, ც, ძ, წ . . .) დალაგებულია ბერძნული კლასიკური ფონეტიკური მოძღვრების მიხედვით. მაგალითად, კარგად იხსნება მიმდევრობა ც—ძ—წ. ძ არის საშუალო ც-სა და წ-ს შორის (39, გვ. 8—9).

ქართული ანბანის შემოღების დროის გარკვევაში ალბათ დაგვეხმარება ის, რომ ძველი ქართული † არის ქრისტეს აკროფონიული ნიშანი (40, გვ. 64). კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ † „უნდა წარმოადგენდეს ბერძნული σταυρος („ჯუარი")-ის აბრევიატურას" (7, გვ. 158). ე. მაჭავარიანი ფიქრობს, რომ ძველი ქართული ✕ არის იესუ ქრისტეს აკროფონიული დაწერილობა ⅂+†=✕ (10, გვ. 238—239; 11, გვ. 111). თუ ეს ასეა, აშკარაა, ქართული ანბანი ჩვენში ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ არის შემოღებული.

ამდენად, ცხადია, რომ ქართული ანბანის ის სახეობა, რომელიც ჩვენამდე არის მოღწეული, ბერძნულს უკავშირდება გენეტურად[1]. იგი შემოღებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით. კ. კეკელიძე წერს: „მეოთხე საუკუნის გასულს თუ მეხუთის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა ქრისტიანობა, ეს უაღრესად მწიგნობრული რელიგია, დაიბადა საჭიროება ნაციონალური ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისა" (8, გვ. 37).

ვფიქრობთ, რომ ქართული ანბანი უკვე გვქონდა IV საუკუნის II ნახევარში. ამ დროისათვის დაიწყეს მთელი რიგი წიგნების თარგმნა. ამ წერილობითი ტრადიციის ანარეკლი მშვენივრად ჩანს „შუშანიკის წამებაში", აგრეთვე სხვა ქართულ, თუ უცხოენოვან წერილობით წყაროებში (8, გვ. 37—38).

[1] ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ცნობა ალბათ გელისსმობს სახელმწიფოს საჭიროებისათვის საკანცელარიო მიზნებით ბერძნულის, ან არამეულის გამოყენებას. სხვაგვარად ძნელად თუ აიხსნებოდა ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ადრეული ხანის ბერძნული, არამეული და ა. შ. ძეგლები, ქართული კი არა. სხვათა შორის, არმაზის ბილინგვა მოგვითხრობს იბერიის სამეფო კარის ენებზე ბერძნულად და „არამეულად", მაგრამ არა ქართულად. იმ დროისათვის ქართული დამწერლობას თუ ვიყარაუდებდით, ამ ფაქტს ახსნა დასჭირდებოდა.

ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი: თსუ შრომები, XXXIX, თბ., 1950.
2. დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889.
3. ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, I, ტფ., 1906.
4. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968.
5. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, IV, თბ., 1978.
6. დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, თბ., 1914.
7. კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული: „მნათობი", № 6—7, 1929.
8. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
9. „მაცნე" (ენისა და ლიტერატურის სერია), № 1, 1975.
10. ე. მაკალათია, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V—XIII სს.): მრავალთავი, II, თბ., 1973.
11. ე. მაკალათია, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები: „საბჭოთა ხელოვნება", № 10, 1977.
12. რ. პატარიძე, ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლები: „მაცნე", № 3, 1970 (იგივე ნაშრომი უფრო ვრცლად იხ.: „ქართული ასომთავრული", თბ., 1980).
13. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.
14. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
15. მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
16. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975.
17. ქართული ხელნაწერები, ე. მაკალათიანის წინასიტყვაობით, თბ., 1970.
18. თ. ჩხენკელი, ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა: „საბჭოთა ხელოვნება", № 7, 1977; № 3, 1978.
19. ა. შანიძე, გ. წერეთელი „არმაზის ბილინგვა" (რეცენზია): „მნათობი", № 9, 1942.
20. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა. თბ., 1976.
21. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I, თბ., 1972.
22. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975.
23. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
24. გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა: ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1942.
25. ი. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფ., 1935.
26. ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1946.
27. ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
28. И. В. Абуладзе, К открытию алфавита кавказских албанцев: ენიმკის მოამბე, 1938, № 4, ნაკვ. 1.
29. Д. Бакрадзе, Грузинская палеография: Труды V археологического съезда в Тифлисе, М., 1887.
30. Корюн, Житие Маштоца, Ереван, 1962.
31. И. Окромчедлов, Об изобретении грузинского алфавита: Труды V археологического съезда в Тифлисе, М., 1887.
32. Фавстос Бузанд, История Армении, Ереван, 1953.

33. Хронографическая история, составленная Отцом Мхитаром Вардапетом Аириванским, перевод К. Патканова, С-Пб., 1869).
34. Г. В. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита: Эпиграфика Востока, 2, 1948; 3, 1949.
35. А. Г. Шанидзе, Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки: ენიმკის მოამბე, 1938, № 1.
36. А. Г. Шанидзе, Язык и письмо кавказских албанцев и его значение для науки: საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. მოამბე, № 1, 1960.
37. А. Г. Шанидзе, Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов: Труды Музея истории Азербайджанской ССР, 2 (Материалы по истории Азербайджана), Баку, 1957.
38. М. Ш. Ширалиев, А. Г. Шанидзе и азербайджановедение: აკაკი შანიძეს (საიუბილეო კრებული), თბ., 1981,
39. W. Boeder, Zur Analyse des altgeorgischen Alphabets: Zeitschrift für Russischunterricht, 1975 (ცალკე ამონაბეჭდი).
40. G. Deeters, Das Alter der georgischen Schrift: Oriens Christianus, 39, Wiesbaden, 1955.
41. V. Gardthausen, Über den griechischen Ursprung der armenischen Schrift ZDMG, 1876.
42. V. Gardthausen, Griechische Paläographie, ტ. II, მე-2 გამოც., Leipzig, 1913.
43. F. H. Junker, Das Awestalphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift: Caucasica, 2, Leipzig, 1925; 3, 1926.
44. Fr. Müller, Über den Ursprung der Grusinischen Schrift: Sitzungsberichte der Wiener Akademie, CXXVII. Wien, 1897.
45. P. Peeters (რეცენზია ჰ. იუნკერის ნაშრომზე) Analecta Bollandiana, t. 26 1928, Fasc. III-IV.
46. K. Salia, Note sur l'origine et l'âge de l'alphabet géorgien:Bedi Kartlisa, 15-16(№. 43-44), Paris, 1963.
47. J. Taylor, The Alphabet, An account of the Origin and Development of Letires, London, v. II, 1883.

ქართული ანბანის განვითარების საფეხურები

ქართულმა დამწერლობამ თავისი ჩამოყალიბებიდან დღემდე სამი საფეხური განვლო: ასომთავრული (ანუ მრგლოვანი), ნუსხური და მხედრული (4, გვ. 85; 3, გვ. VI).

V—IX საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლები (წარწერები და ხელნაწერები) შესრულებულია ანბანის იმ სახეობით, რომელსაც ასომთავრულს, ან მრგლოვანს ვუწოდებთ. შეიძლება დავასახელოთ: პალესტინის, ბოლნისის, მცხეთის, უკანგორის, წყისის, ურბნისის წარწერები, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები, სინური მრავალთავის უდიდესი ნაწილი, ადიშის ოთხთავი და სხვ.

IX საუკუნიდან გვაქვს ნუსხური დამწერლობის ნიმუშები. უკანას-

კნელ ხანებამდე ითვლებოდა, რომ ნუსხური ანბანის ყველაზე ადრინდელი ნიმუშია 864 წლის სინური მრავალთავის ანდერძი. საინტერესოა, რომ თვით ამ ანდერძის უმეტესი ნაწილი ასომთავრული ანბანითაა შესრულებული. ამ ბოლო დროს გ. აბრამიშვილმა გამოაქვეყნა ატენის ერთ-ერთი წარწერა, რომელიც 835 წლით თარიღდება. ამ წარწერის მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწიეს ჩვენს დრომდე. იგი ნუსხური დამწერლობის უძველესი ნიმუშია (1, გვ. 170).

X საუკუნეში ნუსხური ანბანით გადაწერილი ძეგლების რიცხვი თანდათან მატულობს. ნუსხური ანბანითაა შესრულებული ისეთი ძეგლები, როგორიცაა: სინური ლექციონარი (Sin.-37); სინური ოთხთავი (Sin.-15 978 წ.); სინური პარაკლიტონი (Sin.-26 954 წ.); იოვანეს გამოცხადება (H-1346 978 წ.); ასკეტიკონი (H-622); ოშკის ბიბლია (978 წ.): ჰილ-ეტრატის იადგარი (H-2123); A-144 (ცლარჯული მრავალთავი) და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი აღთქმის შემცველი წიგნები უპირატესად ასომთავრული ანბანითაა გადაწერილი.

მთელ რიგ ხელნაწერებში ერთი ნაწილი ასომთავრულადაა დაწერილი, ნაწილი — ნუსხურად. ასეთია, მაგალითად: სვანური მრავალთავი (A-19, X ს.); სინური ლიტურგიკული კრებული (Sin.-34, X ს. შუა წლები) და სხვ.

არის ძეგლები, რომლებიც ასომთავრულადაა დაწერილი, ოღონდ ანდერძი ნუსხურად დაუწერიათ. გვაქვს ხელნაწერებიც, რომელთა ძირითადი ტექსტი ნუსხურადაა დაწერილი, ანდერძი კი — ასომთავრულად.

ხშირია შემთხვევები, როცა ასომთავრულ ტექსტში გადამოწმებისას ნუსხურად შეუტანიათ გამორჩენილი ფრაზა, სიტყვა, ან ასოები და, პირიქით, ნუსხურად დაწერილ ტექსტში — ასომთავრულად.

საზოგადოდ, ნუსხურად გადაწერილ ხელნაწერებში ასომთავრული ანბანით წერდნენ ხოლმე სათაურებს. ასომთავრული ასოებით იწყებდნენ აბზაცებს, ზოგჯერ ასომთავრული ასო გამოყენებულია, როგორც მოსართავი, იგი თითქმის მთელი გვერდის სიმაღლეზეა განფენილი.

X—XVIII საუკუნეთა წარწერების დიდი უმრავლესობა შესრულებულია ასომთავრული ანბანით. ძველ ქართულში გვაქვს ა ს ო მ თ ა ვ ა რ ი:

„და ყოველი ა ს ო მ თ ა ვ ა რ ი. ოქრომელნითა დაწერილი", A-484 (ოთხთავი, X—XI სს.).

აქედან არის ნაწარმოები ტერმინი „ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი", რომელიც შედარებით მოგვიანო პერიოდშია დადასტურებული. 1578—1605 წლებში გადაწერილი გულანის (Q-87) ერთ-ერთი გადამწერი აღნიშნავს: „ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი წამიჯდა და გული გამომეცვალა" (810 v).

უფრო ადრინდელ ძეგლებში გვხვდება „მ რ გ ლ ო ვ ა ნ ი". Q-220 (სვინაქსარის ფრაგმენტები, XI ს.) ხელნაწერს შემოუნახავს XI—XII

საუკუნეთა ხელით მინაწერი: საკითხავი იძიე მრგლოვანსა შინა (5 r).

ნუსხური ნაწარმოებია სიტყვისაგან ნუსხა. საბა წერს: „ნუსხა ჩქარად აღწერილი არს". ნუსხა დედანსაც ერქვა: „ესე სიტყუანი თჳთ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესნია. ვითა ნუსხასა ეწერა, მეცა ეგრე აღვწერე" (A-1103, კრებული, XI ს., 219 r). ნუსხური, როგორც ანბანის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი ტერმინი, ძველ ხელნაწერებში თითქოს არ ჩანს.

საინტერესოა, რომ მრგლოვანი, ასომთავრული ისე შეუვიწროებია XII საუკუნეში ნუსხურს, რომ ზოგი სასულიერო პირისათვის მრგლოვანის კითხვა ძნელ საქმედ ითვლებოდა. პავლე მტბევარი წერს, რომ: „მრგლოანის კითხვაჲ საჭიროჲ იყო, დიად იჭირვოდეს" (ტბეთის სახარების ანდერძი). ამიტომ პავლემ ოთხთავი გადააწერინა ნუსხურად.

ე. მაჭავარიანი (5, გვ. 72), გ. აბრამიშვილი და ზ. ალექსიძე (2) მხედრული ანბანის ყველაზე ძველ ნიმუშებს X საუკუნით ათარიღებენ. გ. აბრამიშვილისა და ზ. ალექსიძის აზრით (2, გვ. 144), ატენის სიონის უძველესი მხედრული წარწერა 982—986 წლების ახლო ხანით უნდა დავათარიღოთ.

მხედრული ანბანი თანდათან ვრცელდება XI—XII საუკუნეებში. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული ანბანის იმ სახეობას, რომელსაც დ. ბაქრაძის (4, გვ. 9—11), თ. ჟორდანიას (6, გვ. 204), ე. თაყაიშვილის (12, გვ. 59—60), ნ. მარის (9, გვ. 12), ა. შანიძის (7, გვ. 9 — 11), ი. აბულაძის (3, გვ. VI) და სხვათა აზრით, მხედრული შეიძლება ვუწოდოთ, ა. ცაგარელი (13, გვ. XVII — XXVIII) და ივ. ჯავახიშვილი (8, გვ. 178—189) თვლიდნენ გარდამავალ საფეხურად, ან მრგვლოვან ნუსხა-ხუცურად. ისინი ვარაუდობდნენ, რომ მხედრული დამწერლობა ყალიბდება XIV საუკუნისათვის. მკვლევარნი ამჟამად ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ. ითვლება, რომ X—XI საუკუნეებში უკვე გვაქვს, ე. წ. მხედრული ანბანი.

ამრიგად, უკვე X საუკუნეში თანაარსებობს ქართული დამწერლობის სამი სახეობა: ასომთავრული, ნუსხური, მხედრული. ასომთავრულსა და ნუსხურს საერთო სახელად ხუცურს უწოდებენ მხედრულის საპირისპიროდ იმიტომ, რომ ასომთავრული და ნუსხური ანბანი უპირატესად გამოიყენებოდა სასულიერო მწერლობის ძეგლებში, მხედრული კი — საერო მწერლობის ძეგლებში.

ხუცური მხედრულის საპირისპიროდ გვხვდება 1348—1365 წლებში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში, სადაც გადამწერი ჩამოთვლის, თუ რა და რა ხელობა იცის. მესამე ჯელად (ანუ ხელობად) დასახელებულია წერაჲ ხუცურისაჲ (310 v).

საინტერესოა, რომ ჩვენამდე მოღწეული უძველესი საისტორიო, ან იურიდიული საბუთები ნუსხურადაა დაწერილი, თუ მისი გამცემია საეკლესიო პირი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის გამცემი საერო პირია, იგი შედგენილია მხედრულად. რა თქმა უნდა, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სასულიერო ხასიათის ძეგლი მხედრული ანბანითაა დაწერილი. ამის ნიმუშია A-65 ხელნაწერი, რომელშიაც შეტანილია 1188 წელს მხედრულად გადაწერილი ანონიმი ავტორის ერცელი თხზულება: თარგმანებაი ქებისა ქებათაისაი (ეს საინტერესო ძეგლი ლითოგრაფიული წესით გამოსცა ა. შანიძემ 1924 წელს).

მხედრული ანბანით არის გადაწერილი XVII—XVIII საუკუნეებში მრავალი სასულიერო ხასიათის ძეგლი. საინტერესოა Q-752 (XVII ს.) ხელნაწერის ანდერძი. ეს ხელნაწერი შეიცავს მხედრულ ანბანით გადაწერილ ოთხთავს. გადამწერი გვამცნობს: „ხოლო მონობისაცა უღირსი, ვითარმედ მონა ღეთისა ვინმე ფრიად ცოდვილი ესე, რომელი მე ვსწერ წიგნსა ამას წმიდისა სახარებათასა, რომელი არა ჯერ იყო წერითა მჯედრულითა, არამედ შენდობასა ვითხოვ ამისთუის, რამეთუ მრავალთა კაცთა მჯედრად და ერისაგანად განწესებულთა გული უთქუამსთ ჰეშმარიტითა სახებითა, რათამც ღირს იქმნენ გულისჴმის-ყოფად ესეეითართა საქმეთა და გონებამიუწდომელთა სასწაულთა და საკჳრველთმოქმედებათა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა, და არა ძალ-უძს წიგნთა ხუცურთა აღმოკითხვად“ (175 r—v). ამგვარივე ანდერძი ერთვის H-2384 ხელნაწერს (ოთხთავი, მხედრული ხელით დაწერილი, XVIII ს.): „მონობისაცა ყოვლად უღირსი, კუალად მონა უკმარი ვინმე ფრიად ცოდვილი, რომელი ვსწერ პატიოსანსა წიგნსა ამას სახარებასა უფლისა იესო ქრისტესა ღმრთისა ჩუენისასა, განმანათლებელსა გონებისასა და მომცემელსა... აწ მეშინის მე ხელ-ყოფად წერად ჴელითა მხედრულითა დიდი ესე ძლიერება მისა და სიტყუისა ღმრთისა, არამედ მოვითხოვ შენდობასა ამისთუის, რამეთუ მრავალთა კაცთა მჯედრად განწესებულთა გული უთქუამს ჰეშმარიტითა სასოებითა სიყუარული უფლისასა იესო ქრისტესი და ჰ(ნ)ებავსთ, რათამცა გულისჴმა-ყონ საქმენი და საკუირველებანი მისნი და არა ძალ-უცს წიგნისა ხუცურისა აღმოკითხვად“.

როგორც ვხედავთ, Q-75-ისა და H-2384 ხელნაწერთა გადამწერები აშკარად ამბობენ, რომ სახარება არ უნდა გადაწერილიყო მხედრულად, მაგრამ თავს იმით იმართლებენ, რომ საერო პირთ უნდათ სახარების წაკითხვა, მაგრამ ვერ კითხულობენ ხუცურად დაწერილს.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ადასტურებს ერთი ძველი ქართული ხელნაწერიც, რომელიც ამჟამად სინის მთაზე ინახება (Sin-78). 288 v-ს აშიაზე ვიღაცას გვიან მხედრულად მიუწერია: „ნეტარ, რას იტყ(ვ)ის ესე ზემო ასოები. არა ვიცი, თავი სით უც“.

თითქოს გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ თვით სასულიერო პირთაც არ სცოდნიათ კარგად ხუცური წერა. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება ოსე გაბაშვილის (ბესიკის ძმის) მიერ 1793 წელს გადაწერილი „სადღესასწაულო“. იგი ნუსხურადაა დაწერილი. ოსე წერს: „მე, უღირსმან იეროდიაკონმან, მოძღურის ძემან ოსე, აღვწერე სადღესასწაულოჲ ესე, მაგრამ გამოუცდელ ვიყავ ხუცურისა წერისა“.

ვფიქრობთ, ფრიად საინტერესოა ნიკოლოზ ორბელიანის, დიდი სულხან-საბას ძმის, გამონათქვამი ასომთავრული ანბანის შესახებ: „მთავარნი ესე ასოთანი ძველადვე ქართველთა ეწესა. და არღარავინ იყო სწავლულ ამისა თვინიერ უხუცესისა ძმისა ჩემისა სულხან-საბა ორბელიანისაგან კიდე. მასცა მამისაგან ჩემისა ესწავა და მან მე მასწავა. ჟამსა მას, რომელთა ინებეს, ჴელთაგან ჩემთა ისწავეს, არამედ ვერა სწორ-ჰმნულთა ჩემთასა. მის ჟამისა მეფენი და შემდგომნი მოწლედ ჰყვარობდნენ ამა წერათა“ (ნ. ორბელიანისეული ნაწილი 1728 წელს შესულია S-200 ხელნაწერში, გვ. 274).

იყვნენ ისეთი გადამწერები, რომელთაც ხუცური ასოებით წერა უფრო ემარჯვებოდათ. XII საუკუნის ერთ ხელნაწერს (A-27) შემოუნახავს გვიანდელი მინაწერი: „ერთობ დიდი ხანი არის, რომე მჯედრული ჴელი არა მიწერია, ჴელი უკუდგომილა“.

საინტერესოა, რომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში ყოფილა ცდა, შემოეღოთ საზედაო (დიდი) ასოები მხედრულ ანბანში. ნიკოლოზ ორბელიანი 1728 წელს წერდა: „მხედრული ასომთავრული ძველითგან არ ყოფილ არს. აწ მე გავაკეთე“ (S-200, გვ. 274).

ლიტერატურა

1. გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები: „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების... სერია), № 1, 1976.
2. გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან: „ცისკარი“, 1978, № 5—6.
3. ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, თბ., 1973.
4. დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე), ტფ., 1889.
5. ე. მაკალათია, მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები: მრავალთავი, III, თბ., 1973.
6. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, ტფ., 1892.
7. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
8. ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
9. Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
10. Е. Такайшвили, Сигель грузинского царя Баграта IV (1027—1072): Записки Восточного отделения Русского археографического общества, IX, С-Пб., 1893.
11. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, С-Пб., 1886.

III თავი

ქართული სალიტერატურო ენის დიალექტური საფუძვლის საკითხი

ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემასთან უშუალო კავშირშია მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი, როდის და რა პირობებში ყალიბდება ქართული სალიტერატურო ენა. ამ საკითხის გარკვევა იმასაც გულისხმობს, რომ შეძლებისდაგვარად გაეცეს პასუხი კითხვას, რომელი მეტყველება გახდა საფუძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო აღმოსავლეთ საქართველოს, ისტორიული იბერიის, მეტყველება (5, გვ. 361).

თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სალიტერატურო ენას საფუძვლად ედება პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ყველაზე დაწინაურებული მხარის მეტყველება, საკმაოდ გავრცელებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. მიუთითებენ, რომ ფრანგულ სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო ილ-დე-ფრანსის (ფრანსიული) დიალექტი, ესპანური სალიტერატურო ენის საფუძველია კასტილიური დიალექტი (10, გვ. 21; იხ. აგრეთვე 7, გვ. 114—118).

ეს მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევია, მაგრამ არის ერთი საყურადღებო მომენტი. კარგად არის ცნობილი, რომ სალიტერატურო ენა, როგორც წესი, არ ემთხვევა არცერთ დიალექტს, მათ შორის არც ე. წ. ფუძე-დიალექტს. ამასთან, სალიტერატურო ენა, ჩვეულებრივ, აერთიანებს ყველა დიალექტისათვის დამახასიათებელ არსებით მოვლენებს (და არა თავისებურებებს). იგი არის ზედიალექტური მოვლენა. უნდა ვიფიქროთ, რომ სალიტერატურო ენა იმთავითვე ემყარებოდა ცოცხალ მეტყველებას, რომელიც არსებითად ზედიალექტური იყო. ზედიალექტური ცოცხალი მეტყველება (ანუ ისეთი ქართული მეტყველება, რომელიც რამდენადმე მაინც ყველა მსხვილი ადგილობრივი დიალექტის ძირითად თავისებურებებს მოიცავდა და ამიტომ, ბუნებრივია, არ ემთხვეოდა არცერთ დიალექტს, მათ შორის, არც ქართლურს, იბერიულს) შეიძლებოდა შემუშავებულიყო დედაქალაქში.

განსაკუთრებული როლი ითამაშა ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და მის განვითარებაში, როგორც ჩანს, ჯერ მცხეთის და შემდგომში თბილისის მეტყველებამ.

მცხეთა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ვარაუდობენ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის I და მომდევნო საუკუნეებში მცხეთის მოსახლეობა ძალიან გაიზარდა (1, გვ. 222—223). როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, მცხეთის მოსახლეობა რამდენიმე ათეულ ათასს ითვლიდა (1, გვ. 223). მცხეთა დიდად დაწინაურდა პოლიტიკურად, ეკონომიკურად; იგი გახდა მსხვილი სამრეწველო წარმოების ცენტრი (ცხადია, იმ დროის პირობაზე). ა. აფაქიძე წერს: „მცხეთასა და მის ძველ უბნებში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება საფუძველს ქმნის ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის მცხოვრებთა შორის ვივარაუდოთ სხვადასხვა სოციალური ფენები, რომლებიც წარმოადგენენ არსებითად ახალს, ქალაქის ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ შექმნილ სოციალურ ჯგუფებს, გაერთიანებულს „მშვიდობიან მოქალაქეებად“. არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ამათ შორის გამოირჩევიან: ა) ხელოსნები, სახელდობრ: მეთუნე (მეჯურჭლენი, მექვევრენი, მეკრამიტენი, მეაგურენი), ქვით-ხუროთი, ხით-ხუროთი, ოქრომჭედელნი, ზარაფხანის ოსტატნი, ჭიქის მოქმედნი, წამწერელნი, „რკინის კაცები“, ანუ სარკინელნი, ხიდის გამდებნი, მეწყალსადენენი და ა. შ. ბ) ვაჭარნი; გ) სამეფო გვარეულობის წევრები და სხვა წარჩინებულნი (მათ შორის პიტიახშები, ეზოსმოძღვრები, სამეფო ქარისა და პიტიახშთა ოჯახის წევრები, მსხვილი მიწათმფლობელნი და მონათმფლობელნი და ა. შ.); დ) სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია; ე) ქალაქის მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ ციხე-სიმაგრეთა მცველი რაზმები და უფრო მრავალრიცხოვანი მონები; ვ) მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ ქალაქის ყველა უბანში და, საერთო ქალაქში, კულტის მსახურთ“ (1, გვ. 240). მცხეთის მოსახლეობის ნაირფეროვნება გახაზულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომშიც (4, გვ. 638—641).

ცხადია ისიც, რომ მცხეთის მოსახლეობას, ძირეულ მკვიდრთა გარდა, შეადგენდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები (ნათლად არის ნაჩვენები, რომ მცხეთაში ცხოვრობდნენ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც: რომაელები, ბერძნები, ებრაელები, სპარსელები და სხვ. (1, გვ. 240—241). სწორად მიუთითებს ა. აფაქიძე: „ეროვნული სიჭრელე ასე დაწინაურებული ქალაქისათვის, თანაც ფართოდ გაშლილი ვაჭრობისა და საგარეო ურთიერთობის პირობებში, რასაც ძლიერ

უწყობდა ხელს მცხეთაზე შებმული ცნობილი სავაჭრო მაგისტრალები, საკვებით ბუნებრივად უნდა მიეჩნიოთ“ (1, გვ. 241; იხ. აგრეთვე 4, გვ. 632—633).

დიდი ქალაქების, განსაკუთრებით კი დედაქალაქის, მოსახლეობის ზრდა ხდებოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის ჩამოსახლებით (რა თქმა უნდა, ეს პროცესი სტიქიური არ იყო და მკაცრად განისაზღვრებოდა სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით). დედაქალაქის მოსახლეობის მეტყველება, ცხადია, ერთგვაროვანი არ იყო. საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებული, სხვადასხვა დიალექტზე მოუბარი ტომების მეტყველება გადამუშავდა იმ ზოგად, ზედიალექტურ მოვლენად, რომელიც დაედო საფუძვლად ქართულ სალიტერატურო ენას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მცხეთური და შემდგომში თბილისური მეტყველება + დედაქალაქის მეტყველება — არის ფუძე ქართული სალიტერატურო ენისათვის.

ამით აიხსნება ის, რომ ქართული სალიტერატურო ენის ნორმები დასაბამითგანვე საკმაოდ მყარია (ამას მოწმობს ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლების ენა) და ისიც, რომ ძველი ქართული სამწერლობო ენა არ ემთხვევა ქართლურის ძირითად თავისებურებებს, რაც სხვა შემთხვევაში უთუოდ იყო მოსალოდნელი (ვფიქრობთ, ეს დაშვება გასაგებს გახდის იმ მოვლენასაც, რომ სალიტერატურო ენის სისტემისაგან, ერთი შეხედვით, მეტად დაშორებულ დიალექტებში, ისეთებში, როგორიცაა: გურული ან ხევსურული, ძველ ქართულ ენასთან უაღრესად საინტერესო დამთხვევები გამოვლინდება).

უკანასკნელ ხანებში თანდათან ვრცელდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ სალიტერატურო ენას საფუძვლად ედება დედაქალაქის მეტყველება.. მაგალითად, ფ. ფილინი მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ხანაში ჩამოყალიბდა მოსკოვური კოინე (ზედიალექტური მოვლენა), რომელიც საფუძველი გახდა რუსული სალიტერატურო ენისათვის (17. გვ. 27—29). ნ. კონდრადის აზრით, იაპონური სალიტერატურო ენა დაემყარა ქალაქ ედოს მეტყველებას, თავისებურ კოინეს, ჩინური კი — პეკინის მეტყველებას, რომელიც აგრეთვე რთულ ზედიალექტურ (ინტერდიალექტურ) მოვლენას წარმოადგენდა (13, გვ. 22—24). ფიქრობენ, რომ ინტერდიალექტური კოინე, ორი დიალექტური სისტემის ურთიერთქმედების საფუძველზე ჩამოყალიბებული, იყო არსებითად ლონდონის ენა, რომელსაც დაეფუძნა ინგლისური სალიტერატურო ენა (19, გვ. 91—121; 15, გვ. 527). გერმანიაში, როგორც ჩანს, XV—XVI საუკუნეებში შეიქმნა რამდენიმე ასეთი კოინე. ამგვარიევა, კერძოდ, შუა აღმოსავლეთ გერმანიის სამეტყველო ენა, რომელიც სალიტერატურო ენის საფუძველს შეერწყა (15, გვ. 527; იხ. აგრეთვე 11, გვ. 260—273). აღმოსავლური

სლავური სალიტერატურო ენების ჩამოყალიბებაში ზედიალექტური (ქალაქური) მეტყველების როლს ხაზგასმით აღნიშნავენ მთელი რიგი სპეციალისტები (18,. გვ. 49—79). რამდენადმე ინტერდიალექტურია ახალი სომხური სალიტერატურო ენის (აშხარაბარის) საფუძველიც (9, გვ. 52—53). ნიდერლანდური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებებში ზედიალექტური მეტყველების როლს გახაზავს ს. მირონოვი (14, გვ. 88—89). ქალაქურ (ტოშკენტ-ფერგანის) მეტყველებას უნდა დაედო საფუძველი უზბეკური სალიტერატურო ენისათვის (16, გვ. 133—142). ალბანური სალიტერატურო ენის შექმნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა XVI—XVII საუკუნეთა შკოდრას ინტერდიალექტურმა მეტყველებამ (12, გვ. 232).

ვფიქრობთ, რომ სწორია მოსაზრება, რომლის თანახმადაც: „Исторически социальная база обиходно-разговорных койнэ по преимуществу представлена населением городов, где происходило особенно интенсивное взаимодействие разных диалектных стихий и как следствие — нивелировка резких диалектных отличий" (15, გვ. 529). უზბეკური სალიტერატურო ენისათვის (16, გვ. 133—142). ალბანური საურთიერთოდ იყენებდნენ სწორედ ზედიალექტურ მოვლენას, „კოინეს" (15, გვ. 529). ამას გარდა დედაქალაქის მეტყველების გაბატონებას ხელს უწყობს დედაქალაქის — ქვეყნის ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის — როლიც. ამ გარემოებას გახაზავს მ. გუხმანი (11, გვ. 260).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქართული დამწერლობის წარმოშობა უკავშირდება ქრისტიანობის შემოღებას. ქრისტიანობის გავრცელებამ ჩვენში და თეოლოგიური ლიტერატურის (თარგმნილისა და მერე ორიგინალურისა) საჭიროებამ განაპირობა ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება. ვფიქრობთ, ქართული ენის განვითარების ყველა საფეხურზე დედაქალაქის მეტყველება იყო წამყვანი, ძირითადი სალიტერატურო ენისათვის. ასეა ახლაც.

რა თქმა უნდა, არაბების შემოსევამ VII საუკუნეში და ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცენტრის სამხრეთ-დასავლეთით გადანაცვლებამ ძირეული ზეგავლენა მოახდინა VIII—XII საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე. წამყვანი გახდა სამხრეთ-დასავლური მეტყველება. სავარაუდოა, რომ ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭებოდა არტანუჯისა და ქუთაისის (სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს უდიდესი ქალაქების) მეტყველებას, რომლებიც ჩამოყალიბდნენ სამხრეთ-დასავლური დიალექტების ბაზაზე. სწორედ ამიტომ არაა გასაკვირი სამხრეთ-დასავლურ დიალექტიზმთა სიმრავლე IX—XII საუკუნეთა სალიტერატურო ქართულში (ამის შესახებ — ქვემოთ).

თბილისის გათავისუფლების შემდეგ (1122 წ.) თბილისური მეტყველება, კვლავ ხდება საფუძველი სალიტერატურო ენისათვის. ეს ხსნის იმ

ვითარებას, რომ საშუალი ქართული სხვაობს ძველი ქართულისაგან. ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ ფაქტორსაც, როგორიცაა საერო მწერლობის ჩამოყალიბება და, ამდენად, სალიტერატურო ენის სფეროს გაფართოება. არნ. ჩიქობავას აზრით, ახალი ქართული სალიტერატურო ენა ისახება XII საუკუნიდან თბილისში: „ახალ სალიტერატურო ქართულს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცოცხალი მეტყველება — ქართლური და კახური — ასაზრდოებს. ახალ სალიტერატურო ქართულს საძირკველი ეყრება თბილისში: დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქთაგან 1122 წ. და პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლება (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით) ის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეაპირობა" (6, გვ. 09).

ახალი ქართული სალიტერატურო ენა ყალიბდება XIX საუკუნეში, ძირითადად, დედაქალაქის — თბილისის — მეტყველების საფუძველზე. ამ დროის თბილისური მეტყველება შეუსწავლელია (ამას, ერთი მხრივ, ისიც შეაპირობებს, რომ მასალები მწირია), მაგრამ მაინც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თბილისი XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის წარმოადგენდა საქართველოს არა მარტო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს, არამედ თბილისში ამ დროისათვის შექმნილია ზედიალექტური (ინტერდიალექტური, კოინე) მეტყველება, რომელიც საფუძველი გახდა ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის.

ლიტერატურა

1. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1960.
2. ე. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა ბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?: „მნათობი", 1948, № 8.
3. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.
5. ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტუმ, III, ტფ., 1923.
6. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950.
7. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
8. დ. ხახუტაშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
9. А. С. Гарибян, Об армянском национальном литературном языке: Вопросы формирования и развития национальных языков, М., 1960.
10. М. С. Гурищева, Начальный этап в образовании французского национального языка: Вопросы формирования и развития национальных языков, М., 1960.

11. М. М. Гухман, Становление литературной нормы немецкого национального языка: Вопросы формирования и развития национальных языков, М., 1960.
12. А. В. Десницкая, Из истории образования албанского национального языка: Вопросы формирования и развития национальных языков, М., 1960.
13. Н. И. Конрад, О литературном языке в Китае и Японии: Вопросы формирования и развития национальных языков, М., 1960.
14. С. А. Миронов, Диалектная основа литературной нормы нидерландского национального языка: Вопросы формирования и развития национальных языков, М., 1960.
15. Общее языкознание: Формы существования, функции, история, М., 1970.
16. В. В. Решетов, Узбекский национальный язык: Вопросы формирования и развития национальных языков, М., 1960.
17. Ф. П. Филин, К вопросу о так называемой диалектной основе русского национального языка: Вопросы образования восточнославянских национальных языков, М., 1962.
18. IV международный съезд славистов, II, М., 1962.
19. В. Н. Ярцева, Об изменении диалектной базы английского национального языка: Вопросы формирования и развития национальных языков, М., 1960.

IV თავი

სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება

ძირითადი პრობლემა, რომელიც სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევისას დგას, წერილობით ძეგლთა მონაცემებისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთობის საკითხია. აქ ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: როცა ცოცხალ მეტყველებაზე ვმსჯელობთ, რომელიმე კონკრეტულ დიალექტს კი არ ვეგულისხმობთ, არამედ იმ ზედიალექტურ მოვლენას, რომელიც მჭიდრო ურთიერთობაშია სალიტერატურო ენასთან და დიდ ზეგავლენას ახდენს მასზე, ამასთან, თვითონაც განიცდის სალიტერატურო ენის ზეგავლენას.

სალიტერატურო ენა ნორმათა მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემას ეფუძნება[1]. ძველი ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები (ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები, რომლებიც ენა-ეტალონად მიგვაჩნია), ნორმათა თვალსაზრისით, არსებითად ერთიანია. ისიც უნდა ითქვას, რომ უკვე ამ პერიოდის ტექსტები გვიჩვენებენ ისეთ მოვლენებსაც, რომლებიც სალიტერატურო ენაში გაბატონებულ ნორმათა სისტემას ეწინააღმდეგება და წარმოადგენს ცოცხალი მეტყველების ზეგავლენის შედეგს.

---

[1] ზოგი ენათმეცნიერი უარყოფს ნორმათა არსებობას სალიტერატურო ენის ნორმატიული გრამატიკის ჩამოყალიბებამდე. ასე მსჯელობს, მაგალითად, მ. გურიშვილი ფრანგულის შესახებ (26, გვ. 200). მ. გეხმანი თვლის, რომ „ყოველი ეპოქის სალიტერატურო ენაში გვაქვს შერჩევის ელემენტები“ (23, გვ. 302). მართალია, V—XI საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგლებს შორის ჯერჯერობით არაა ცნობილი რაიმე გრამატიკული ტრაქტატი, ან ნორმათა კრებული (რაც, რა თქმა უნდა, მათი არსებობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს), მაგრამ ამ წერილობით ძეგლთა ენის შესწავლა უეჭველს ხდის იმას, რომ სალიტერატურო ენის ნორმები მტკიცედაა ჩამოყალიბებული და მათ მჭერლები და გადამწერები მკაცრად იცავენ. სწორედ ამიტომაა თვალში საცემი ყოველი გადახვევა სალიტერატურო ენის ნორმათაგან.

ქართული სალიტერატურო ენის ადრეული პერიოდის (V—XI სს.) მონაცემები სრულიად უდავოდ ამტკიცებენ, რომ ერთიანი სალიტერატურო ენის ნორმების ჩამოყალიბება შესაძლებელია ეროვნული სალიტერატურო ენის შექმნამდე. უკანასკნელ ხანებში თვლიან, რომ ქართული სალიტერატურო ენა ნორმირებულია თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზეც (37, გვ. 520—521).

ამრიგად, წინააღმდეგობა (უფრო ზუსტად — სხვაობა) სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის ჯერ კიდევ ენა-ეტალონის დონეზე შეინიშნება. ეს სხვაობა იზრდება IX—XI საუკუნეთა მანძილზე. ამ დროის ძეგლებში გამოვლინდება ყველა ის არსებითი ნიშანი, რაც ახალი სალიტერატურო ქართულის კუთვნილებადაა სახელდებული. ეწინააღმდეგება თუ არა ეს დებულებას, რომლის თანახმადაც, IX—XI საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენა ნორმების მტკიცე სისტემას იცავს? აქ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ სპეციალურად ვეძიებთ დარღვევებს, გადახვევებს ძირითადი ნორმიდან და ხშირად კიდეც ვპოულობთ, მაგრამ არც ერთი ძეგლის არც ერთი გვერდი (წინადადებაც კი) არასდროს შეგხვდებათ ისე, რომ მთლიანად ამ დარღვევებს შეიცავდეს. ნორმები აშკარად ჩანს, ადვილად დასადგენია, ილუსტრირებულია დიდძალი მასალით, დარღვევები კი — საძიებელი. ხშირად მთელი გვერდების. ზოგჯერ წიგნის გადაკითხვაა საჭირო, რომ რაიმე ხელისმოსაჭიდი შეგხვდეს. ამდენად, თეზა ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი საფეხურის ნორმირების შესახებ სრულიად უდავოა. ცხადია ისიც, რომ ძველ წერილობით ძეგლებში ამ ნორმათა დარღვევებიც საკმაოდ ხვდება.

სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს. სალიტერატურო ენის ნორმები კონსერვატული ხასიათისაა, საუკუნეებს უძლებს, ცოცხალი მეტყველების ნორმები გაცილებით სწრაფი ტემპით იცვლება. სალიტერატურო ენის ნორმები ხშირად მას შემდეგაც უცვლელია, რაც ცოცხალ მეტყველებაში ამ ნორმათა საფუძველი გრამატიკული, თუ ფონეტიკური ევოლუციის შედეგად აღარ არსებობს.

მაგალითად, ჲ გრაფემა ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში არსებითად [ჲ] სეგმენტს გამოხატავს და იგი ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში გვხვდება. გამონაკლისებს წარმოადგენს ხ უ ფ რ ო ს უფრორბითი ხარისხის ფორმა, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხულ ხანმეტ ტექსტებში რამდენჯერმე დასტურდება ჲ-ს გარეშე (გვ. 329, 336, 358) და წყისის წარწერის გ უ დ ა ს მ ა ნ<გ უ დ ა ჲ ს მ ა ნ. ეს მიუთითებს, რომ ცოცხალ მეტყველებაში დამავალი დიფთონგები იშლება. IX—XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლები დამატებით მასალას გვაწვდიან ამ მოვლენის შესახებ [11]. ამ დროის ცოცხალ მეტყველებაში [ჲ]-ს შემცველი დამავალი დიფთონგები აღარ არსებობს. არ გააჩნია ეს ნიშანი მხედრულ ანბანსაც, მაგრამ ხუცურმა ანბანმა ეს ნიშანი XVIII საუკუნემდე შეინარჩუნა. უფრო მეტიც, ეს ნიშანი ხუცურის ზეგავლენით XVII საუკუნიდან ჩნდება მხედრულ ანბანშიც. ამგვარი მოვლენები შეინიშნება სხვა ენების ისტორიაშიც (30, გვ. 16—17; 20, გვ. 322—323; 18, გვ. 36—37; 27, გვ. 106—107; 21, გვ. 6—7; 24, გვ. 25—27, 101; 45, გვ. 92; 44,

გვ. 4 და სხვ.). XVII—XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების დამწერნი, თუ გადამწერნი ცდილობენ ამ გრაფემის ძველი ნორმების მიხედვით გამოყენებას, მაგრამ ძალზე ხშირად ვერ ახერხებენ, რადგან შესაბამისი ბგერა ენის ფონემატურ სისტემას დიდი ხანია აღარ გააჩნია, ამას გარდა, წერილობითი ტრადიციაც კარგავს ჲ ნიშანს. მხედრულს აღარ აქვს იგი, ხუცურით დაწერილ ძეგლებში კი დარღვევები მის ხმარებაში VII საუკუნიდან გვხვდება. ფაქტი მაინც ისაა, რომ ცოცხალ მეტყველებაში IX—X საუკუნეებში მომხდარი ცვლილება სალიტერატურო ენის ორთოგრაფიულ ნორმას ვერ ცვლის XIX საუკუნემდე[1].

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ნორმათა მიხედვით, მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია -ჲან. მაგრამ IX—XI საუკუნეთა ტექსტებში გამოვლინდება -მა ვარიანტიც (ადიშის ოთხთავი; Sin.-36: ათონის კრებული; A-603; Sin.-30; Sin.-38, სინის ლექციონარი; S-1138; პარხლის მრავალთავი; წყაროსთავის ოთხთავი; იელის იადგარი: პავლეს ეპისტოლენი . . .). ამ ძეგლებში -მა დაბოლოება დაახლოებით ოცგზის გვხვდება. ყოველგვარი შეპირისპირების გარეშეც თვალსაჩინოა, რომ სალიტერატურო ენაში მოთხრობითის -ჲან ნიშნის ხმარების სიხშირე გაცილებით სჭარბობს -მა ვარიანტის სიხშირეს. ეს უკანასკნელი მიღებულია -ჲან-ისაგან ბოლოკიდური ნ თანხმოვნის მოკვეცის შედეგად. ბუნებრივია, ეს პროცესი მოხდა ცოცხალ მეტყველებაში, რის შედეგად, დაც ერთადერთი რეალურად არსებული ფორმა -მა აღმოჩნდა, -მან კი ცოცხალ მეტყველებაში დაიკარგა. ძველი სალიტერატურო ენის ნორმა ამ შემთხვევაშიც ცოცხალ მეტყველებაში რეალურად უკვე არარსებულ ფორმას უჭერს მხარს არსებულის საპირისპიროდ.

კიდევ ერთი შემთხვევა: ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით, სახელი, რომელიც -ნ სუფიქსით ნაწარმოებ მრავლობითში იდგა, ზმნას რიცხვში ითანხმებდა. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია ამ, ძველი ქართულის გრამატიკისათვის ერთ-ერთი ძირითადი, ნორმის დარღვევის ფაქტები (12, გვ. 114—115; 5, გვ. 155; 10, გვ. 229—232; 11, გვ. 223—240). მაგალითად, II კავშირებითში, ნორმის მიხედვით, უნდა იყოს: არამე დაუტევნესა ოთხმეოც და ცხრამეტნი იგი მთასა ზედა, მაგრამ ადიშის ოთხთავში (მათე 18, 12) ვკითხულობთ: არამე დაუტევოსა ოთხმეოც და ცხრამეტნი იგი მთასა ზედა. ადიშის ოთხთავი ამ შემთხვევაში ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმას გამოაქვს. მრავალი ამგვარი ფაქტი გვხვდება ქართული ენის ისტორიისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს ძეგლებში, როგორიცაა: სინური მრავალთავი, ადიშის ოთხთავი, შატბერდის კრებული, ათონის მრავალთავი, სვა-

[1] სალიტერატურო ენის ნორმა აქ პირობითაა ნახმარი. მხედრულით შესრულებულ ძეგლებში ჲ XI საუკუნიდან აღარაა.

ნური მრავალთავი, წყაროსთავის ოთხთავი და სხვ. ამის მიუხედავად, ძველი სალიტერატურო ენის ნორმად, რა თქმა უნდა, კვლავ უნდა მივიჩნიოთ -ნ სუფიქსიანი სახელის მრავლობითობის აღნიშვნა ზმნაში. ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ნორმა უპირისპირდება სალიტერატურო ენის ნორმას.

ამგვარ ნიმუშთა დამოწმება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად მეტ მასალას აღარ მოვიტანთ, მით უმეტეს, რომ ნაშრომში სათანადო საკითხთა განხილვისას ყოველთვის ვამახვილებთ ყურადღებას სალიტერატურო ენის ნორმათა და ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ, თუ გრამატიკულ წესთა დაპირისპირებაზე.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ცოცხალი მეტყველება და ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები ზოგჯერ ერთმანეთს საკმაოდ შორდებოდა. რამდენადაც ცოცხალი მეტყველება ენის რეალიზაციას წარმოადგენს, ცხადია, სალიტერატურო ენის ნორმები და ენის ნორმები განსხვავდებოდა[1]. სალიტერატურო ენის ძეგლებში უმთავრესად სალიტერატურო ენის ნორმები აისახება, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები კი სალიტერატურო ენაში ფაკულტატურად (ხშირად დიდი დაგვიანებითაც) გამოვლინდება (34, გვ. 57). ი. ტრონსკის აზრით, ლათინური ენის ისტორიის კვლევისას დიდ სიძნელეს ქმნის ის გარემოება, რომ ძველ წერილობით ძეგლებში ხალხური, სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები ხშირად არ აისახებოდა (43, გვ. 12). ენის ისტორიკოსი ვალდებულია, ამ გარემოებას სათანადოდ ითვალისწინებდეს. სალიტერატურო ენის კვლევისას მარტოოდენ მისი ნორმების აღწუსხვა სრულიადაც არაა საკმარისი, აუცილებელია იმის გარკვევაც, თუ რა მიმართებაშია ეს ნორმები ცოცხალ მეტყველებასთან. სალიტერატურო ენა ყოველთვის შეიცავს ისეთ სიტყვებსა და გრამატიკულ ფორმებსაც, რომლებიც უცხოა ცოცხალი მეტყველებისათვის და მარტოოდენ სალიტერატურო ენისთვისაა დამახასიათებელი (35, გვ. 6). სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმათა გამოვლენას, აგრეთვე თვით სალიტერატურო ენისათვის ნიშანდობლივ შაბლონთა, უკვე არქაულ მოვლენათა სრულ აღწუსხვას (35, გვ. 7).

სალიტერატურო ენაში გამოვლენილი დარღვევები იმ წინააღმდეგობის შედეგია, რაც მწერლის (გადამწერის) ენობრივ იდეალსა და მის ენობრივ სისტემას შორის არსებობს. მწერლის (გადამწერის) ენობრივი იდეალია სალიტერატურო ენა, მისი კონსერვატული, ცოცხალ მეტყველე-

[1] და მაინც ეს სხვაობა არაა იმ რიგისა, რაც შეინიშნება ზოგ ენობრივ კოლექტივში სალიტერატურო ენასა და სათანადო ცოცხალ მეტყველებას შორის (17, გვ. 160; 25, გვ. 51—52 და სხვ.).

ბას მოწყვეტილი და ხშირად მასთან დაპირისპირებული ნორმებით. ამავე დროს საკომუნიკაციო საშუალებად იგი სალიტერატურო ენისაგან საკმაოდ განსხვავებულ ენობრივ სისტემას იყენებს.

მწერალი (გადამწერი), რა თქმა უნდა, ცდილობს ძველ ნორმათა დაცვას (41, გვ. 1ᵛ). იგი სხვა გადამწერთა მიერ დაშვებულ შეცდომებს ამჩნევს და ცდილობს, გაასწოროს ისინი (43, გვ. 10—11). ამ მხრივ ძალზე ნიშანდობლივია ერთი ანდერძი, რომელიც ერთვის „ანდრია სალოსის ცხოვრებას" (H-1345, XI—XII სს.):

ღმერთმან უწყის, რაჲცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჴირე, მაგრა დედაჲ ოდიშს დაწერილი იყო და სიტყუასა სცვალებდა (201 r — 201 v).

ცხადია, ამგვარი გადამწერები ეცდებოდნენ, რაც შეიძლება ზუსტად გადაეწერათ ტექსტი, გაემართათ იგი სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით საჭიროების შემთხვევაში. ასეთი გადამწერის ხელიდან გამოსული ტექსტი ენის ისტორიის მკვლევარს მცირე მასალას მისცემს. ენის ისტორიკოსის თვალსაზრისით უკეთესია ისეთი გადამწერი, რომელიც მეტ „შეცდომას" დაუშვებს, მაშასადამე, უფრო მეტად გამოავლენს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს.

ჩვენ არ ვიცით, როგორ ამზადებდნენ ძველ საქართველოში გადამწერებს, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ამ საქმისათვის მარტო წერა-კითხვის კარგად ცოდნა არ იყო საკმარისი. გადამწერებმა ბრწყინვალედ იცოდნენ სალიტერატურო ენის ნორმები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ნორმებს სპეციალურად შეისწავლიდნენ. ამას გარდა ალბათ არსებობდა რედაქტორის სპეციალური ინსტიტუტი, რომელიც კონტროლს უწევდა გადამწერის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს, საზოგადოდ, და, საფიქრებელია, ენობრივ მხარესაც. ბევრ ქართულ წერილობით ძეგლებში არაერთხელ დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ცოცხალი მეტყველების გამოვლინებაა, გასწორებულია: შეცდომით დაწერილს ზემოთ იმავე, ან კიდევ იმავე დროის სხვა ხელით დაწერილია სწორი ფორმა ისე, რომ მცდარი არაა გადაშლილი, ზოგჯერ კი შეცდომით დაწერილი ამოფხეკილია.

ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის ნორმათა დაცილების გამო წერილობით ძეგლებში შეუძლებელია თავი არ იჩინოს ცოცხალი მეტყველებისათვის (გადამწერთა ენისათვის) დამახასიათებელმა ფორმებმა. ეს მით უფრო გასაგებია, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა ცოდნის დონე განსხვავებულია ხოლმე.

სალიტერატურო ენას, საზოგადოდ, ახასიათებს მისი განვითარების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: მოქმედი ნორმის შენარჩუნებისა და განმტკიცებისა და ამავე დამკვიდრებული ენობრივი ნორმის

შეცვლისა (39). ახალ ფორმათა რაოდენობრივმა დაგროვებამ, შესაძლოა, სალიტერატურო ენის ნორმათა ცვლა გამოიწვიოს (18, გვ. 371; 29, გვ. 10; 19, გვ. 87 და სხვ.). რ. ბუდაგოვის აზრით, ჰეშმარიტი ენობრივი ნორმა მოძრავი, დინამიკური უნდა იყოს და ამასთანავე არ უნდა კარგავდეს გარკვეულ იმპერატიულობას (19, გვ. 28).

შეიძლებოდა დაგვემოწმებინა ფაქტები იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიცვალა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმათა ზეგავლენით ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. მაგალითად, **ი** და **ი** გრაფემათა მხედრულ ანბანში არარსებობა იმით აიხსნება, რომ ცოცხალ მეტყველებაში მოიშალა ამ გრაფემათა შესაბამისი ბგერითი ერთეულები. ზმნისწინთა გამოხატვის ახლებური სისტემა გაბატონებულია არა მარტო „ვეფხისტყაოსანში", არამედ „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაშიც". ეს განსაკუთრებით იმრტომაცაა ნიშანდობლივი, რომ საეკლესიო მწერლობის ძეგლებში, საზოგადოდ, იშვიათია ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები.

ენაში მომხდარი ევოლუცია წერილობით ძეგლებში სპორადულად აისახება. გადამწერთა (მწერალთა) მიერ დაშვებული შეცდომები იძლევა მინიშნებას ამ ცვლილებათა შესახებ. ცხადია, ყოველგვარი მცდარი დაწერილობა ენის ისტორიკოსის მსჯელობის საგანი შეუძლებელია იყოს. იგი ისეთ შეცდომებზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას, რომლებიც ენის განვითარების მომდევნო პერიოდში უკვე ნორმებად იქცევა. მაგალითად, ატენის ერთ-ერთ წარწერაში, რომელიც VIII—IX საუკუნეებით თარიღდება, გან ზმნისწინის ნაცვლად გა-ს გამოვლენა იმის საბუთს იძლევა, რომ იგი ენის ფაქტად მივიჩნიოთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გა- საკმაოდ ხშირად დასტურდება IX—X საუკუნეთა ისეთ უმნიშვნელოვანეს წერილობით ძეგლებში, როგორიცაა: სინური მრავალთავი, ადიშის ოთხთავი, სვანური და უდაბნოს მრავალთავები, ოპიზის ოთხთავი და სხვ.; მეორე, გა- ვარიანტი გაბატონებულია მომდევნო ეპოქის საერო მწერლობის ძეგლებში, თანამედროვე ქართულში. მაგრამ რომელიმე ძველ წერილობით ძეგლში ნაპოვნი **ს ა ო ე ბ ა ს ა ს ო ე ბ ა**-ს ნაცვლად ენის ისტორიკოსს ვერ გამოადგება /ს/-ს დაკარგვის სამტკიცებლად. ჯერ ერთი, იგი სხვა ანალოგიურ ფაქტს ვერ დაიმოწმებს; მეორე, საზოგადოდ, ქართულისათვის უცხოა /ს/-ს დაკარგვა ორ ხმოვანს შორის; მესამე, დღევანდელ ქართულში **ს ა ს ო ე ბ ა** გვაქვს და არა **ს ა ო ე ბ ა**.

ზოგჯერ ხელაღებით თქმიან, რომ ძველ წერილობით ძეგლებში მოპოვებული ესა თუ ის უჩვეულო ფორმა შეცდომაა, შემთხვევითია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ლინგვისტურმა ანალიზმა უნდა გადაწყვიტოს, ნამდვილად შემთხვევითი ფორმა გვაქვს, თუ ენის ისტორიისათვის საყურადღებო ფაქტი.

ჰაემეტ ტექსტებში გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში -ია დაბო-

ლება იჩენს თავს: მიყოფია (364, 3). ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტთა დღემდე ცნობილ კორპუსში სხვა ანალოგიური ფაქტი არ დაიძებნა. და მაინც წარმოუდგენელია, რომ აქ შეცდომა, შემთხვევითი ფორმა გვქონდეს. ამ ერთ სიტყვაში შეცდომის დაშვების უამრავი შესაძლებლობაა: ასოთა დაკლება (მყოფიეს, მიოფიეს...), ასოთა შენაცვლება (მიკოფიეს, მინოფიეს...), ასოთა ზედმეტი დაწერა (მირყოფიეს, მიგყოფიეს...) და სხვ. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო ფორმა. ძველი სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით, აქ ყველაფერი სწორია დაბოლოების გარდა: იე ს-ია. შეუძლებელია, დავუშვათ, რომ ძველმა გადამწერმა ეს გრაფემათა ჯგუფის ნაცვლად ა გრაფიკული აღრევის შედეგად დაწერა. ძველი ქართულის გრაფიკა ამგვარ დაშვებას არ ამართლებს. რაკი გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის -ია დაბოლოება საკმაოდ ხშირია IX—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში, გაბატონებულია მომდევნო ეპოქის ენასა და თანამედროვე ქართულში, გვრჩება ერთადერთი შესაძლებლობა: დავუშვათ, რომ ამ დროის ცოცხალ მეტყველებაში გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში -ია დაბოლოება გაბატონებული იყო, საიდანაც იგი ჰაემეტ ტექსტებშიაც აისახა. ზემოთ ითქვა, რომ -ია დაბოლოებიანი ფორმები საკმაოდ ხშირად დასტურდება IX—XI საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგლებში. მიყოფია ფორმა რომ თუნდაც ერთგზის გვხვდებოდეს V—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში, მას უბრალო შეცდომად[1] მაინც ვერ მივიჩნევდით. ქართული ენის განვითარების ტენდენციის გათვალისწინების შედეგად იგი მაინც ენის ფაქტად უნდა ჩაგვეთვალა.

რატომ არის „არასწორ“ ფორმათა რაოდენობა შედარებით მცირე? გადამწერი ცდილობს, რომ „სწორი“, სალიტერატურო ენის ნორმათა მისედვით გამართული ტექსტი უშეცდომოდ გადაწეროს, მაგრამ ზოგჯერ მას სიფრთხილე ღალატობს და მაშინ ტექსტში „შეცდომები“ (მისი ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი ფორმები) გამოვლინდება. ამას გარდა, არაა გამორიცხული, რომ დედანიც შეიცავდა სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელ ფორმებს.

მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაში ერთი და იგივე ფორმა შეიძლება შეგვხვდეს სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით დაწერილიც და „შეცდომითაც“ (ე. ი. ისე, როგორც იმ ეპოქის ცოცხალ მეტყველებაშია საგულვებელი).

---

[1] როცა შეცდომებზე ვმსჯელობთ, შემდეგი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: მიყოფია, VIII—X საუკუნეთა სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, შეცდომაა, მაგრამ იგი ენის (ცოცხალი მეტყველების) ფაქტია და ენის ნორმა სწორედ ისაა. ხოლო რომელიმე მიკოფიეს შეცდომაა სალიტერატურო ენის ორთოგრაფიის თვალსაზრისით, მაგრამ ენისათვის (ცოცხალი მეტყველებისათვის) იგი საზოგადოდ არ არსებობს და ენის გრამატიკაში ვერ განიხილება.

შეცდომით დაწერილ ფორმათა რაოდენობა ენის ისტორიის კვლევისას გადამწყვეტი არაა. რა თქმა უნდა, იდეალურია, როცა რომელიმე გრამატიკული კატეგორიის გამოხატვაში მომხდარი ევოლუციის ამსახველი ფაქტები წერილობით ძეგლებში ფართოდაა წარმოდგენილი (მაგალითად, ვნებითი გვარის მაწარმოებელ აფიქსებში მომხდარი ცვალებადობა კარგად აისახება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში), მაგრამ შესაძლოა, რომელიმე მოვლენა ერთი ან ორი „შეცდომით" იყოს წარმოდგენილი. სხვა შემთხვევაში კი წერილობით ძეგლებში სწორი ფორმა იყოს გაბატონებული (ამგვარი შემთხვევის ნიმუშს წარმოადგენს -ავ თემატურ სუფიქსიან ზმნათა სწორი და არასწორი ფორმების შეფარდება I სერიის სავრცობიან მწკრივებში). ენის ისტორიისათვის სწორედ ამ „მცდარ" ფორმებს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი ენის ევოლუციას ასახავენ იმის მიუხედავად, რომ წერილობით ძეგლებში თითო-ოროლა გამონაკლისს შეადგენენ.

თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეცდომები ორი ჯგუფისაა: პირველი, რომელთაც ენობრივი საფუძველი მოეპოვებათ (ისინი დამწერის ცოცხალ მეტყველებას ასახავენ); მეორე, შემთხვევითი ხასიათისა: ასოთა, ან მარცვალთა კლება, ზედმეტი ასოს, მარცვლის, სიტყვის დაწერა და მისთანა. ამ ტიპის შეცდომები დამწერის ნაკლები გაწაფულობით, ზოგჯერ კი ფიზიკური მდგომარეობითაც აიხსნება. მაგალითად, ერთ სინურ ხელნაწერს (Sin.-38), რომელიც ოთხთავის ტექსტს შეიცავს და იოანე-ზოსიმეს მიერაა გადაწერილი 977 წელს, ახლავს გადამწერის ანდერძი, სადაც ნათქვამია: „მომემადლა მე ფრიად ცოდვილსა იოანეს და დავჩხრიკე წმიდაჲ ესე წიგნი ორი თავი სახარებაჲ ლუკაჲსი და იოანჱსი და სხუაჲ ესე ყოველი განგებაჲ ჴელითა ჩემითა ფრიად ცოდვილითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულებისა ჩემისათა დიად ხაშმთან და ბრმათან" (115 რ). ანალოგიური ანდერძი ახლავს მისსავე გადაწერილ Sin.-15 ხელნაწერს (978 წ. გვ. 293).

სალიტერატურო ენის ევოლუციის გათვალისწინება, შეპირისპირება თანამედროვე ცოცხალ მეტყველებასა და დიალექტებთან საშუალებას იძლევა, ძველ წერილობით ძეგლებში გამოვლენილ „მცდარ" ფორმათა დიდ უმრავლესობას ლინგვისტური ინტერპრეტაცია მივსცეთ და სალიტერატურო ენის ისტორიაში სათანადო ადგილი მივუჩინოთ.

ა) ე. წ. შებრუნებული დაწერილობანი

წერილობით ძეგლებში დასტურდება გრაფემათა ურთიერთშენაცვლების შემთხვევები, როცა ცოცხალ მეტყველებაში შესაბამის ბგერობრივ ერთეულთა საურთიერთო სუბსტიტუცია სავარაუდებელი არ არის. გრა-

ფეშათა ასეთი შენაცვლება, ჩვეულებრივ, ნეიტრალიზაციის ამსახველ პოზიციაში დასტურდება და ენაში მომხდარი გარკვეული ფონეტიკური მოვლენების დამამტკიცებელი საბუთია.

X—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გამოვლინდება ჯ გრაფემის ნაცვლად ხ-ს ხმარების შემთხვევები, რაც მიუთითებს, რომ ენაში /ჯ/ : /ხ/ ფონემატური ოპოზიცია იშლება (8, გვ. 260—265). განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამავე დროს წერილობით ძეგლებში თავს იჩენს ჯ იქ, სადაც, სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, აგრეთვე ცოცხალ მეტყველებაში /ჯ/ და /ხ/ ფონემათა განაწილების წესთა თანახმად, ხ გრაფემა იყო მოსალოდნელი:

ჯედავდა, უდაბნ. მრავალთ. 178 r; ოჯრიდენ, იერემ. 5, 22 I; უკუნთჯრილი. Ath.-25 179 r, 18—22 b და სხვ.

როგორ უნდა ავხსნათ ამგვარი დაწერილობანი? ისინი იმას მიუთითებენ, რომ ენაში მოხდა /ჯ/ : /ხ/ ფონემატური ოპოზიციის მოშლა (/ჯ/ დაემთხვა /ხ/-ს და არა პირუკუ), რის შედეგადაც ენის ფონემატურ სისტემაში რეალურად არსებული ერთი /ხ/ თანხმოვნის აღსანიშნავად სალიტერატურო ენის გრაფიკას ორი გრაფემა შემორჩა: ერთი — ხ, რომლითაც ყოველთვის /ხ/ აღინიშნებოდა, მეორე — ჯ, რომელიც ადრე /ჯ/ ფონემას გამოხატავდა და ტრადიციის ძალით, ფონეტიკური ცვლილებების მიუხედავად, ხშირად მერმეც იწერება იმ შემთხვევებში, სადაც ადრინდელი წერილობითი ძეგლების ნორმათა მიხედვით იხმარებოდა. გამოდის, რომ ფონემა ერთი იყო: /ხ/, გრაფემა ორი — ხ და ჯ. ზოგიერთმა გადამწერმა კარგად არ იცოდა მათი ადრინდელი განაწილების წესები (სანამ ცოცხალ მეტყველებაში /ჯ/ არსებობდა, გადამწერს სათანადო გრაფემის დაწერილობაში შეცდომა არ მოუვიდოდა, წარმოთქმა ამას ხელს შეუშლიდა) და წერილობით ძეგლებში თავი იჩინა ორი სახის შეცდომებმა: პირველი, ხ იწერება იქ, სადაც ადრე ჯ იყო (რაც ცოცხალ მეტყველებაში მომხდარ პროცესს ასახავს — ამას მოწმობს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობის ფონემატურ სისტემაში /ჯ/-ს უქონლობა, რაც /ჯ/>/ხ/ პროცესის შედეგია) და, მეორე, ჯ გრაფემა ისეთ შემთხვევებში იწერება, სადაც ხ უნდა იყოს. ეს მოვლენა შეუძლებელია ენის ფაქტად ვცნოთ იმის გამო, რომ არც ქართულ სალიტერატურო ენაში, არც დიალექტებში არ ხდება /ხ/-ს /ჯ/-ში გადასვლა.

მაშასადამე, ხ-ს ადგილას ჯ გრაფემა მხოლოდ მას შემდეგ დაიწერებოდა, რაც ენობრივ კოლექტივში (რომლის წარმომადგენელია ამ დაწერილობის „შემოქმედი") მოიშალა /ჯ/. გადამწერმა (მწერალმა) ზუსტად აღარ იცის ხ და ჯ გრაფემათა განაწილების წესები. რის გამოც შეცდომებს უშვებს. ამ რიგის შეცდომებს ენის ისტორიის კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (18, გვ. 37; 30, გვ. 109; 45, გვ. 88: 2,

გვ. 106; 42, გვ. 131—135; 32, გვ. 5—58; 38, გვ. 7; 28, გვ. 57—119 და სხვ.).

შებრუნებული დაწერილობანი სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევისას მეტად მნიშვნელოვანი საბუთებია ენაში მომხდარ ცვლილებათა დასადგენად. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ენის განვითარების ტენდენცია უნდა გავითვალისწინოთ, რომ გრაფემათა შემთხვევით შენაცვლებას ფონეტიკური პროცესის ასახვა არ მივაწეროთ. მაგალითად, ტაძარ-ის ნაცვლად რომ საძარი იყოს დაწერილი და სადმე სხვა შემთხვევაში კი სამ-ის ადგილას ტამი, /ს/ და /ტ/ თანხმოვანთა მონაცვლეობაზე ვერ ვიმსჯელებთ, რადგან ამგვარი პროცესი უცხოა როგორც სალიტერატურო ენისათვის, ისე დიალექტებისათვის.

გრაფემათა ურთიერთმონაცვლეობის კვლევისას ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რამდენად რეგულარულია ეს მოვლენა ტექსტებში და ხდება თუ არა შესაბამის ბგერობრივ ერთეულთა ურთიერთშენაცვლება სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.

ბ) ფსევდოგრამატიზებული დაწერილობანი

ენაში მომხდარი ევოლუციის უტყუარი საბუთებია ისეთი დაწერილობანი, როცა გრაფემას ცოცხალ მეტყველებაში შესაბამისი ბგერობრივი ერთეული არ შეესატყვისება. ეს ასო კი იმიტომაა დაწერილი, რომ, მწერლის (გადამწერის) აზრით, ამგვარი დაწერილობა სწორია. გადამწერის (მწერლის) რწმენის საფუძველი ისაა, რომ, ორთოგრაფიულ ნორმათა მიხედვით, შესაბამის პოზიციაში სხვა ფორმებში მოცემული ნიშანი იწერება. ფსევდოგრამატიზებულ დაწერილობათა გამომწვევი მიზეზი სალიტერატურო ენის ნორმათა ცოცხალი მეტყველებისაგან დაშორებაა[1].

IX საუკუნის ბოლოდან ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მჟღერ თანხმოვანთა აუსლაუტში დაყრუების ამსახველი ფაქტები გამოვლინდება:

ალვიდა იგი მთათ, მრკ. 3,13 C; იწყო ცხებათ ფერჴთა უფლისათა, ჰილ.-ეტრ. იადგ. 128 v, 18—19; ამაღლდი ზეცათ, იქვე 270 r. 5 და მისთ. (დაწერილებით — ქვემოთ).

იმის გამო, რომ ცოცხალ მეტყველებაში მოიშალა მჟღერ და ყრუ თანხმოვანთა ოპოზიცია აუსლაუტში, დ გრაფემა თავს იჩენს იქ, სადაც იგი ადრე არასდროს იწერებოდა და, შესაბამისად, არც /დ/ თანხმოვანი წარმოითქმოდა:

---

[1] გადამწერთა მიერ ფორმათა შეგნებული გრამატიზირებისათვის იხილე 20, გვ. 323; 40, გვ. 103; 36, გვ. 29.

არა დავჰსნად სიტყუაჲ, ათონ. მრავალთ. 163 v, 21 b; აღჴედ ნავსა ტროადას და მართლ მივისწრაფედ, Ath.-42,. 162 v, 4—6, წარვედით და აუწყედ მაცხოვარსა, იელ. იადგ. 267 r, 25 და მისთ.

გადამწერის მეტყუელებაში აუსლაუტში უკვე აღარ არის დ, მაგრამ მან კარგად იცის, რომ სიტყვის ბოლოს გარკვეულ შემთხვევებში იგი საჭიროა. გადამწერი ცდილობს, ეს წესი ზედმიწევნით დაიცვას და ზოგჯერ დ-ს იქაც წერს, სადაც იგი ეტიმოლოგიურად გაუმართლებელია (შდრ.: 14, გვ. 70). გადამწერის მეტყუელებაში რომ დ ვითარებითის ნიშანი ყოფილიყო, ცხადია, ამგვარი შეცდომა ზმნური ფორმის დაწერისას არ მოუვიდოდა.

მას შემდეგ, რაც აწმყოს ხოლმეობითის მწკრივი ცოცხალ მეტყველებაში მოიშალა, ამ მწკრივის ფორმები ზოგი გადამწერისათვის უაზრო აღმოჩნდა და ისინი მათ გააზრიანებას ცდილობენ:

„და იდვის გზასა ზედა ვითარცა მთრვალი და რომელნი წარვლიდიან, გარდაეკიდნიან მას ზედა, განწყრიან და სციან არგნითა და ზოგთა ფერჯითა გზისაგან კიდე და არავის უგებენ (უნდა: უგებნ) პასუხსა, ხოლო ვითარცა შემწუხრდის, აღდგის და წარვიდის ეკლესიისა კართა ზედა და ილოცვენ (უნდა: ილოცავნ) მუნ ვიდრე განთენებამდე“ ანდრია სალოსი 56 v, 17—57 r, 4.

გადამწერმა თავისი ენისათვის უკვე უცნობი აწმყოს ხოლმეობითი ნაცნობით — აწმყოს მწკრივით შეცვალა: აწმყოს ხოლმეობითის III პირის ფორმაში -ნ სუფიქსი შეცდომად მიიჩნია, მას წინ ე დაუწერა და ამგვარად ენ „ფორმანტი“ მივიღეთ, მაგრამ იგი იმას კი აღარ დაჰკვირვებია, რომ ამის შედეგად წინადადების სინტაქსი დაირღვა: ერთსა და იმავე ქვემდებარესთან ზოგი შემასმენელი მხოლობითშია, ზოგი კი — მრავლობითში.

გ) კონტამინირებული დაწერილობანი

სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტამინაციურ დაწერილობებს. კონტამინაციურ დაწერილობად ისეთი ფორმა მიგვაჩნია, სადაც ერთდროულადაა წარმოდგენილი როგორც ამოსავალი ფორმის, ისე მისგან მიღებულის არსებითი ელემენტები. ამგვარი დაწერილობანი ენაში მომხდარი ცვლილებების ყველაზე ფვალსაჩინო მოწმობას წარმოადგენენ.

X საუკუნის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო ხელნაწერი Sin.-64 გამოავლენს მიგჭცეს ფორმას: „ამისთჳსცა მოგელის შენ გჳრგჳნი სიმართლისაჲ, რომელი მიგჭცეს ქადაგებულმან შენ მიერ“, 200 r, 18—19.

ეს ფორმა გახაზავს გც>ჭც პროცესს, რომელიც, ჯერჯერობით ცნობილი წერილობითი ძეგლების მიხედვით, თავს IX საუკუნიდან იჩენს. ფშვინვიერ თანხმოვანთა წინა პოზიციაში /გ/ : /ჭ/ ფონემატური ოპოზიციის მოშლის ამსახველი ფაქტები ჩვენთვის ცნობილ ძეგლთაგან პირველად სინურ მრავალთავში გამოელინდება და შემდგომში საკმაოდ ხშირდება:

ს ხ უ ა ჲ ნუგეშინის-მცემელი მ ო ჭ ც ე ს თქუენ, სინ. მრავალთ. 186, 18—19; და მ ი ჭ ც ე შენ, იქვე 209, 16—17; 209, 23; შენ მ ი ჭ ც ე ა ამის ყოელისა ჯელმწიფებაჲ, ლ. 4, 6 C; თქუენი იგი ვინ მ ო ჭ ც ე ს თქუენ, ლ. 16, 12 C, და მისთ.

სავსებით ნათელია, რომ Sin.-64 ხელნაწერის გადამწერის გამოთქმაში მ ი ჭ ც ე ს გვქონდა. ამდენად, მისი მეტყველება და მისივე ენობრივი იდეალი, რომლის მიხედვითაც, მ ი გ ც ე ს იყო ერთადერთი სწორი ფორმა, ერთმანეთს უპირისპირდებოდა. ბუნებრივია, რომ მის წერით მეტყველებაში შეუგნებლად თავი ისეთმა ფორმამ იჩინა, რომელიც ნაწილობრივ ცოცხალ მეტყველებასაც ასახავს და სწორ, სალიტერატურო მ ი გ ც ე ს-საც. სრულიად წარმოუდგენელია, მ ი გ ჭ ც ე ს მიჩნეულ იქნეს ენის ფაქტად. იგი ოდენ წერითი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმაა.

ფსალმუნთა X საუკუნის ერთ-ერთი ნუსხა, რომელიც მ. შანიძისეულ გამოცემაში F ლიტერითაა აღნიშნული, წარმოგვიდგენს გ ა მ ო ს შ ჩ ნ დ ი ფორმას:

რაჟამს გ ა მ ო ს შ ჩ ნ დ ი ზეცით, 75, 9.

S_2 და O_3 პირთა /ს/ ნიშნის შიშინა თანხმოვნებთან მიმგავსების ფაქტები /ს/>/შ/ სინური მრავალთავიდან მოყოლებული ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ძალზე ხშირია[1].

გ ა მ ო ს შ ჩ ნ დ ი გადამწერის მეტყველებისა და მისი ენობრივი იდეალის ანტაგონიზმის გამომხატველი ფორმაა: გამოთქვამდა გ ა მ ო შ ჩ ნ დ ი'ს, მაგრამ იცოდა, რომ სწორია: გ ა მ ო ს ჩ ნ დ ი. გაუაზრებლად დაწერა ორივე ფორმის საერთო ელემენტთა შემცველი მესამე: გ ა მ ო ს შ ჩ ნ დ ი.

ძველ ქართულ ტექსტებში შენიშნულია ჯ და ხ გრაფემათა ურთიერთმონაცვლეობა, რაც /ჯ/ : /ხ/ ფონემატური ოპოზიციის ნეიტრალიზაციაზე უნდა მიუთითებდეს (8, გვ. 260—265). ხ არის დაწერილი მოსალოდნელი ჯ გრაფემის ნაცვლად:

მრავალ არიან საბრჳენი მისნი და აწ ივლტოდე ს ა ბ რ ხ ე თ ა გ ა ნ და მახეთა ეშმაკისათა, ათონ. მრავალთ. 274 v, 8—11 b; გ ა ნ ხ უ რ დ ი

---

[1] ბუნებრივია, რომ ამ რიგის ფაქტები პირველად სინურ მრავალთავში დაჩნდებ. მანამდე S_2O_3 პირთა ნიშნებად /ხ/, ან /ჰ/ გვქონდა.

სიყვარულითა ქრისტესითა, ღირსო, იელ. იადგ. 61v, 18; და წყალობითა მოიხსენე გალატოზი იესე, ოშკის VIII წარწ. გვ. 54; უკუეთუ გუამი ესე სიხშოისაჲ შეპყრობილ იქმნეს ამისგან, კაცისა აგებ. 167, 6—7 B.

ეს ფაქტები ცხადყოფს, რომ /ხ/ გვაქვს წარმოთქმაში იქ, სადაც ადრე /ჯ/ იყო. ჯ გრაფემა, რასაკვირველია, ანბანში არის, ოღონდ გადამწერთა ერთი ნაწილი ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის ნორმათა დაცილების გამო ვეღარ ახერხებს მის „სწორ“ ხმარებას: /ჯ/ დაწერილია იქ, სადაც იგი არასდროს ყოფილა (და სრულიად გამორიცხულია /ჯ/ არსებულიყო ცოცხალ მეტყველებაში):

ჯედათა, ვითარ-იგი მეფობაჲ განაგდო, უდაბნ. მრახვალთ. 178 r. 11—12 b; გულისჯმა-ყავთ და მოჰჯადეთ მტირალთა, იერემ. 9, 17 I: შდრ.: მოხადეთ O; აღჯოსებასა მწუხრი, წყაროსთ. ოთხ. 213 v (მინაწ.)[1] და მისთ.

განსაკუთრებით საინტერესოა ორი ფორმა: ოჯხრეანი (ძველი ქართულის ნორმაა ოხრეანი) და გარდამოხჯდა (ძველი ქართულის ნორმაა: გარდამოჯდა):

ვითარცა ნესტუ ოჯხრეანი ჯმობს, პარაკლიტ. 159 v, 12; რაჟამს შემოქმედი მათი წიაღთაგან საღმრთოთა გარდამოხჯდა სახიერებით, A-190 2 v, 5—6.

ჯხ და ხჯ დაწერილობანი მეტად ნიშანდობლივია, ისინი კიდევ ერთხელ გახაზავენ /ჯ/ : /ხ/ ოპოზიციის ნეიტრალიზაციას.

* * *

სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების დაშორების გამო ენაში მიმდინარე ყველა პროცესი წერილობით ძეგლებში შესაძლოა არ აისახოს. ამის გამო სალიტერატურო ენაში გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე მოგვიხდება ენაში მომხდარი ზოგი მოვლენის რეკონსტრუირება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IX—X საუკუნეთა წერილობით ძეგლებში თავს იჩენს აუსლაუტში მჟღერ თანხმოვანთა დაყრუების ამსახველი ფაქტები (დაწვრილებით ამ საკითხს ქვემოთ განვიხილავთ). სვანურ მრავალთავსა და Sin.-11 ხელნაწერში გვხვდება კრიფ ფუძე არაბოლოკიდურა პოზიციაში:

შეკრიფა, სვან. მრავალთ. 435, 22; შევკრიფე, Sin.-11 128 v, 16; შემოკრფა, იქვე 180 v, 2.

[1] აღჯუსებაჲ სისტემატურია XI საუკუნის ერთ ხელნაწერში (A-96), რომელიც მცირე სჯულისკანონს შეიცავს (ტექსტი გამოსცა ე. გიუნაშვილმა).

ამასთან, ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილ X—XI საუკუნეთა არც ერთ წერილობით ძეგლში არ არის დადასტურებული ამ ზმნური ფორმის ხმარების ისეთი შემთხვევა, რომელიც აუსლაუტში ბ>ფ გადასვლის ამსახველი იყოს: ვკრებ>ვკრეფ; ჰკრებ>ჰკრეფ ... ამის მიუხედავად, უნდა დავუშვათ, რომ ეს პროცესი თავდაპირველად სწორედ ამ პოზიციაში მოხდა იმიტომ, რომ მჟღერ ხშულთა დაყრუება სწორედ აუსლაუტისათვისაა ნიშანდობლივი. აუსლაუტში დაყრუებული თანხმოვანი პარადიგმის გასწორების შედეგად ინლაუტშიაც გადავიდა[1] (შეუძლებელია, რომ ბ>ფ ამ სიტყვაში ინლაუტში მომხდარიყო, რადგან საამისო ფონეტიკური პირობა იქ არ არსებობს).

ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ ფორმის მიხედვით შეიძლება დავუშვათ, რომ /ბ/ სხვა შემთხვევებშიც ყრუედებოდა აუსლაუტში: ვცხოვრობ>ვცხოვრობ, ვაკეთებ>ვაკეთეფ, განვატფობ>განვატფობ და მისთ., თუმცა ამ რიგის ფაქტები სამწერლობო ენაში ჯერჯერობით ნაპოვნი არაა.

ასევე ძველ წერილობით ძეგლებში არ დასტურდება /გ/-ს აუსლაუტში დაყრუების ამსახველი ფაქტები: აღ-ვ-დ-ე-გ>აღ-ვ-დ-ე-ქ, აღ-ს-დ-ე-გ>აღ-ს-დ-ე-ქ და მისთ. თანაც აქ ის გარემოებაა გასათვალისწინებელი, რომ წყვეტილში ე. წ. ნართაული ი წერილობით ძეგლთა მიხედვით IX საუკუნიდან გამოვლინდება. გ>ქ (აღვდეგ>აღვდექ) უნდა მომხდარიყო მანამ, სანამ /გ/ ბოლოკიდურა პოზიციაში იყო, ე. ი. სანამ წყვეტილში ე. წ. ნართაული ი გაჩნდებოდა. მას შემდეგ, რაც ზმნურ ფორმას წყვეტილში ი დაერთო, /გ/ თანხმოვანს /ქ/-ში გადასვლის პირობები აღარ იყო. ამდენად, უნდა დავუშვათ, რომ აღვდექ ფორმა წინ უსწრებს ნართაული ი-ს გაჩენას წყვეტილში. ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აუსლაუტში მჟღერ თანხმოვანთა დაყრუების დროის განსასაზღვრავად.

Sin.-11 ხელნაწერში დასტურდება თფილისი<ტფილისი (4, გვ. 48): და შემოვიდა ქალაქსა თფილისსა, 294 v, 14.

თფილისი გვხვდება ზოგ სხვა წერილობით ძეგლშიც, მაგრამ დღემდე ჩვენთვის ცნობილ X—XI საუკუნეთა არც ერთ ქართულ წერილობით ძეგლში არ გვხვდება თფილი, რომელიც თფებილის ზმნის მიმღეობაა (სპეციალისტთათვის სრულიად ნათელია ტოპონიმ ტფილისის ძირისა და ტეფ-/ტფ- ზმნური ძირის კავშირი). იმის მიუხედავად, რომ თფილი წერილობით ძეგლებში არ გამოვლინდება, ჩვენთვის სრულიად უდავოა, რომ იგი XI საუკუნის ცოცხალ მეტყველებაში არსებობდა.

X საუკუნის წერილობით ძეგლებში გვხვდება: დასოვლებული

---

[1] შდრ.: კაცად>კაცათ და მეორეული: კაცათა.

(ვნებითი გვარის მიმღეობა), დასოვლება (საწყისი). აშკარაა, რომ მიმღეობა და საწყისი ნაწარმოებია სოველ ზედსართავი სახელისაგან, რომელიც უთუოდ იყო იმ დროის ცოცხალ მეტყველებაში (და დღესაც გვხვდება დიალექტებში). ამის მიუხედავად, სოველი X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში დადასტურებული არაა. საწყისისა და მიმღეობის ფორმები იმას მოწმობენ, რომ სოველი ზედსართავი სახელი უნდა აღდგეს ამ დროის ლექსიკონში.

სალიტერატურო ენის კონსერვატიზმი ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმათა სრულად გამოვლენას ხელს რომ უშლის, სადავო არაა, მაგრამ ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ იშვიათ ფორმათა მიხედვით, რომელთაც წერილობით ძეგლებში შეაღწიეს, შეიძლება აღვადგინოთ ის ანალოგიური მოვლენები (ან მოვლენათა წინა საფეხურები), რომელნიც ცოცხალ მეტყველებაში უთუოდ არსებობდნენ, მაგრამ მათი ამსახველი ფაქტები სალიტერატურო ენაში ვერ გამოვლინდა.

დ) ცოცხალ მეტყველებაში მომხდარი პროცესის დათარიღება სალიტერატურო ენაში გამოვლენილ ფაქტთა მიხედვით

სალიტერატურო ენაში ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ამა თუ იმ პროცესის ამსახველ ფაქტთა პირველად გამოვლენის დროის განსაზღვრას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ცოცხალ მეტყველებაში მომხდარი პროცესების დათარიღებისათვის. მაგალითად, ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის -მა ვარიანტი სალიტერატურო ენაში პირველად IX საუკუნის ბოლოს იჩენს თავს (ადიშის ოთხთავი). ეს, რა თქმა უნდა, მიუთითებს, რომ ამ დროის ცოცხალ მეტყველებაში მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -მა იყო. მაგრამ შეიძლება თუ არა, ამის მიხედვით ვამტკიცოთ, რომ ეს მოვლენა სწორედ IX საუკუნის ბოლოს ჩაისახა და სალიტერატურო ენაში გამოვლენილი ერთეული ფაქტები ამ პროცესის დასაწყისს ასახავს, ე. ი. ვიფიქროთ, რომ ცოცხალ მეტყველებაში ერთდროულად იყო მოთხრობითის ნიშნის -მან და -მა ვარიანტები? ენაში მომხდარი ცვლილებები, როგორც წესი, მაშინვე კი არ აისახებიან წერილობით ძეგლებში, არამედ მოგვიანებით. ამიტომ წერილობით ძეგლებში გამოვლენილ ფაქტთა მიხედვით ენაში მომხდარი ფონეტიკური და გრამატიკული ევოლუციის დროის ზუსტად დადგენა ძნელია (34, გვ. 57). არაა გამორიცხული, ცოცხალ მეტყველებაში ესა თუ ის პროცესი გაცილებით ადრე იყოს მომხდარი, ვიდრე სალიტერატურო ენაში აისახებოდეს. მეორე მხრივ, არც ისაა შეუძლებელი, რომ წერილობით ძეგლებში გა-

მოვლენილი „დარღვევები“ ცოცხალი მეტყველების თანადროულ პროცესთა ასახვას წარმოადგენდეს. ძალზე ძნელია, თითქმის შეუძლებელია ამ ორი რიგის მოვლენათა ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ამის მიუხედავად, ცოცხალ მეტყველებაში მომხდარი (თუ მიმდინარე) პროცესის ამსახველ ფაქტთა წერილობით წყაროებში პირველად გამოვლენის თარიღის დადგენას ენის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ ისევ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის -მა ვარიანტს დავუბრუნდებით, შეიძლება ვთქვათ, რომ, მართალია, ძნელია გადაჭრით ვამტკიცოთ, რომ ენაში მოთხრობითის ნიშნის -მა ვარიანტი IX საუკუნის ბოლომდეც არსებობდა, მაგრამ იმის დაბეჯითებით თქმა კი მაინც შეიძლება, რომ ცოცხალ მეტყველებაში ამ დროს -მა უკვე იყო.

აქ ერთი მომენტიცაა გასათვალისწინებელი. ადიშის ოთხთავი ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლია, რომელიც მოთხრობითის ნიშნის -მა ვარიანტს გამოაველენს. მაგრამ განა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მასზე ადრეულ იმ უამრავ ქართულ ხელნაწერს შორის, რომელთაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, არც ერთში არ გვხვდებოდა მოთხრობითის ნიშნის -მა ვარიანტი? ეგებ, ადიშის ოთხთავში დადასტურებული მოთხრობითის ნიშნის -მა ვარიანტიანი ფორმები მომდინარეობენ იმ ხელნაწერიდან, საიდანაც ადიშის ძეგლია გადმოწერილი. ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ მოთხრობითის ნიშნის -მა ვარიანტი V—VIII საუკუნეთა ენაშიც არსებობდა, იმის მიუხედავად, რომ ჩვენთვის ცნობილ ამ ეპოქის წერილობით ძეგლებში მოთხრობითის -მა ნიშანი არ გვხვდება. და ბოლოს, იმის გამო, რომ უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების უმრავლესობა ჩვენამდე არ მოუღწევია, დღეს ვერც იმას დაამტკიცებს ვინმე, რომ სწორედ ადიშის ოთხთავი არ არის პირველი წერილობითი ძეგლი, რომელშიაც მოთხრობითი ბრუნვის სუფიქსის -მა ვარიანტი აისახა.

ამდენად, ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის დაშორების გამო ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ენაში მომხდარ პროცესთა აბსოლუტურად ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა წერილობით ძეგლებში გამოვლენილი მასალის მიხედვით შეუძლებელია. არსებობს მხოლოდ დროის მიახლოებით განსაზღვრის შესაძლებლობა. მაგალითად, წერილობით ძეგლებში დასტურდება ფაქტები, რომლებიც უდავოდ ამტკიცებენ, რომ ესა თუ ის პროცესი ენაში უკვე მომხდარია: უდაბნოს მრავალთავში გამოვლენილი ჴედავთა ფორმა (წარმოთქმაში ყოველთვის ხედავთა იყო) მიუთითებს, რომ ამ ძეგლის გადამწერის მეტყველებაში /ჴ/ თანხმოვანი აღარ არსებობდა. ასევე ჲ-ს კლება ხანმეტ ტექსტებში ხუფროს ფორმაში, აგრეთვე ჲ გრაფემის ზედმეტი დაწერილობა IX—X საუკუნეთა ტექსტებში ცხადყოფს, რომ VI—VII საუკუნეებში დაწუებული [ჲ]-ს შემცველ დამავალ დიფთონგთა გამარტივების პროცესი IX—X საუკუნეებში უკვე დასრულებულია.

ზრქ>სქ : სიზრქე>სისქე (ადიშის ოთხთავი) ამტკიცებს, რომ IX საუკუნის ბოლოსათვის სიზრქე ცოცხალ მეტყველებაში უკვე აღარ იყო.

ჩა ზმნისწინი ჯერჯერობით ცნობილ ძეგლთაგან პირველად ერედვის წარწერაში იჩენს თავს. ვერ ვიტყვით, რომ იგი ცოცხალ მეტყველებაში 906 წლამდე არ არსებობდა (უფრო სავარაუდოა, რომ იყო), მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ 906 წლის შემდეგ ენაში შთა ზმნისწინი აღარაა და მის ადგილს ჩა იჭერს (რა თქმა უნდა, . აქ არ იგულისხმება ახალი ქართულის შთაგონება და მისთ. ფორმები, სადაც შთა არქაიზმია).

ე) სალიტერატურო ენის ისტორია და ენის ისტორია

სალიტერატურო ენის ისტორიისა და ენის ისტორიის ამოცანები ერთმანეთს არ ემთხვევა. სალიტერატურო ენის ისტორია სწავლობს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პირობებს, ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის ნორმათა ისტორიულ ურთიერთობას, ენის სისტემაში მომხდარ ცვლილებათა ქრონოლოგიას წერილობით ძეგლთა მონაცემების მიხედვით.

ენის ისტორიის ამოცანები გაცილებით ფართოა. იგი შეისწავლის მოცემული ენის წარმოშობას, მის ურთიერთობას მონათესავე ენებთან, იმ ცვლილებებს, რაც ენის სისტემამ განიცადა ფუძე-ენიდან გამოყოფის შემდეგ და სხვა.

საესებით ბუნებრივია, რომ დიდი ხნის წერილობითი ტრადიციის მქონე სალიტერატურო ენის ისტორიის მონაცემებს შეუძლიათ, გარკვეული დახმარება გაუწიონ ენის ისტორიის მკვლევარს. ვარაუდობენ, რომ ქართული ენა დამოუკიდებელ. ერთეულად ჩამოყალიბდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით VII საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობა დაიშალა (3, გვ. 17). უფრო ადრე, დაახლოებით XVIII ს-ში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, საერთოქართველურ ფუძე-ენას გამოეყო სვანური (3, გვ. 17). რა თქმა უნდა, იდეალური იქნებოდა, ჩვენამდე რომ მოეღწია ქართველური ფუძე-ენის გრამატიკული სისტემის ამსახველ წერილობით ძეგლებს. მაშინ ქართველურ ენათა სტრუქტურის მრავალი ძირითადი პრობლემა, დღეს სადისკუსიოდ ქცეული, შეიძლებოდა სულ სხვაგვარად გაშუქებულიყო.

ქართული სალიტერატურო ენის უძველესი ძეგლები V საუკუნით თარიღდება, ასე რომ, ათ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართული ენის დამოუკიდებელი განვითარების ამსახველი ფაქტები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ამ ევოლუციის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ რეალურად არსებულ ქართველურ ენათა მოდელების შედარების შედეგად აღდგენილი ქართული ენის საწყისი პერიოდის გრამატიკული სისტემისა და V საუკუნის წერილობით ძეგლებში ასახული ენობრივი სისტემის შე-

დარების მიხედვით. ცხადია, ევოლუცია აშკარაა, მაგრამ ცვლილებათა თარიღის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია.

ენის ისტორიის ცოდნა, თავის მხრივ, აუცილებელია სალიტერატურო ენის ისტორიკოსისათვის. ცნობილია, რომ სალიტერატურო ენა განიცდის სხვა მწიგნობრულ ენათა გავლენას. ითარგმნება (განსაკუთრებით — სალიტერატურო ენის შექმნის პერიოდში) დიდძალი ლიტერატურა. ამ პროცესის შედეგად სალიტერატურო ენაში შესაძლოა თავი იჩინოს უცხო ენისათვის დამახასიათებელმა სინტაქსურმა კონსტრუქციებმა. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ ამ გზით მიღებული სინტაქსური და მორფოლოგიური კალკები მშობლიური ენის სტრუქტურისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ მოვლენებად არ მივიჩნიოთ. ქართული სალიტერატურო ენის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი რიგი გრამატიკული მოვლენის მართებული კვალიფიკაცია შეუძლებელია, ერთი მხრივ, სხვა ქართველურ (ზანური, სვანური) და, მეორე მხრივ, მეზობელ ენათა (ბერძნული, სომხური, სირიული, ებრაული ...) მონაცემების გაუთვალისწინებლად.

სალიტერატურო ენის ისტორიის სათანადოდ გათვალისწინებას შეუძლია გარკვეული სამსახური გაუწიოს ენის ისტორიასაც. ცნობილია, რომ მონათესავე ენათა შედარებითი ლექსიკონის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ისეთ ფორმებს ექცევა, რომლებიც უძველეს წერილობით ძეგლებშია დადასტურებული. სიტყვამ ენის განვითარების პროცესში შეიძლება ბგერითი სახე იცვალოს. შედარებისას პრიორიტეტი სიტყვის უფრო არქაულ ფორმას უნდა მიენიჭოს. ზან. **დიმჭკუ, დუმჭკუ** (ჭან.) და სვან. **მგ(რ)მკიდ** ფორმებს უდარებენ არა ახალი ქართულის **ჭიანჭველას**, არამედ ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებულ **ჭინჭველს**. მოვიტანთ, ჩვენი აზრით, ერთ დამახასიათებელ ნიმუშს იმისას, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გამოვლენილ მასალას ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევისას.

ჰანურ-მეგრულ **შოლ** — „დასველება" ზმნურ ფუძეს უდარებენ ქართულ სველ ლექსემას (13, გვ. 362; 2, გვ. 17; 46, გვ. 131—132; 33, გვ. 174; 6, გვ. 71; 3, გვ. 89). ამ დაკავშირებას არსებითი ხასიათის დაბრკოლება ეღობება: **სუელ**-ის შესატყვისად ჰანურსა და მეგრულში შვალ უნდა გვქონოდა, აქედან კი **შოლ**-ს ვერ მივიღებდით, რაკი ვა მეგრულსა და ჰანურში ო-ს არ იძლევა (შდრ.: ძვ. ქართ. **ჴუელ-** : ჰან. მეგრ. **ხვალ-**; **უველი** : **ცვალი**, იხ. 9, გვ. 233).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება ფორმები: **დასოვლებული, დასოვლებაჲ**: და ვითარცა სამოსელი სისხლითა **დასოლვებული** და შეღებულ არნ, სამოსელსა ხოლო **დასოვლებაჲ** სისხლითა არა ჰგონიენ, შატ. კრებ. 94 r, 17—21.

დასოვლებული დასოვლება ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობაა. სოვლ ფუძიდან სხვადასხვა ზმნისწინით ნაწარმოები ზმნა საკმაოდ ხშირია ძველ ძეგლებში:

და აღისოვლა სისხლითა, უდაბნ. მრავალთ. 144 r, 6—7 b; რაჟამს დასოვლდიან იგინი ზეთითა, ექუს. დღ. (აბ.) 120, 1—2; რაჟამს მოიწიოს ზამთარი და დასოვლდენ წყალთაგან, A-35 2 r, 16—17; ერთსა ქალაქსა არა უწყმო, ერთი ნაწილი შეისოვლოს და ერთი ნაწილი არა შეისოვლოს და ნაწილსა მას, რომელი არა შეისოვლოს, იგი განჯმეს, პარიზ. ლექც. 25 r, 24—30 a.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული სოვლ ზმნური ფუძე ჰანური და მეგრული შოლ ზმნური ფუძის კანონზომიერ ფონემურ შესატყვისს წარმოადგენს. ამდენად, ამოსავალია საერთო-ქართველური: *ს I ოვლ (შდრ.: ძვ. ქართული: დასოვლება‖დასოლვება, დიალექტური: სოველი . . .), ხოლო რაც შეეხება არქეტიპად მიჩნეულ სუელ ფორმას, იგი აშკარად მეორეულია: სუელ<სოველ; შდრ.: ყოველ>ყუელ-ა და მისთ. (9, გვ. 234). ეს ფორმები მიღებულია ხმოვანთა იმ კომბინატორული ცვლილების შედეგად, რაც სალიტერატურო ენაში პირველად X საუკუნიდან აისახება. ცხადია, ამგვარი გვიანდელი ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებული ფორმის ქართულ-ზანური იზოგლოსის არქეტიპად მიჩნევა გაუმართლებელია. მეორეც, თუ სუელ ფორმას პირველადად ჩავთვლით, ვერ აეხსნით სოველ ფორმის წარმომავლობას. საქმე ისაა, რომ სოველ არ გამოიყვანება სუელ-ისაგან მაშინ, როცა სოველ>სუელ ქართული ენის ისტორიაში მომხდარი ხმოვანთა კომბინატორული ცვლილებით აიხსნება.

სალიტერატურო ენის მკვლევარს დიდ დახმარებას უწევს თანამედროვე დიალექტთა მონაცემები. მართალია, ქართულ დიალექტთა ადრეული ტექსტები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ დიალექტებს ბევრი ძალზე არქაული მოვლენა აქვთ დაცული.

მაგალითად, ხევსურულ დიალექტს შემოუნახავს მესამე ხოლმეობითის მწკრივი: ეთქვის, ეკვეხინის და მისთ. (15, გვ. 145; 1, გვ. 44). ეს გარემოება გადამწყვეტია იმის სამტკიცებლად, რომ ძველ ქართულ ტექსტებში გამოვლენილი III ხოლმეობითის მწკრივი მწიგნობრული წარმოშობის კი არაა, არამედ ცოცხალ მეტყველებასაც ახასიათებდა.

დიალექტებში შესაძლოა ისეთი არქაული მოვლენებიც იყოს შემონახული, რაც სალიტერატურო ენამ დიდი ხანია დაკარგა, ან წერილობით ძეგლებში სრულებით არ ასახულა.

სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემთა ერთობლივი ანალიზი ენის ისტორიკოსს საშუალებას მისცემს, საკმაოდ ნათლად გაითვალისწინოს ენაში მომხდარი ევოლუციის სურათი.

ლიტერატურა

1. ა. არაბული, მესამე ხოლმეობითი ზევსურულში: ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1980.
2. თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.
3. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
4. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბ., 1963.
5. ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.
6. გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.
7. ზ. სარჯველაძე, [ი]-ს შემცველ დამავალ დიფთონგთა მოშლის შემთხვევები ძველ ქართულში: გორის სახ. პედ. ინსტ. შრ., XII, 1968.
8. ზ. სარჯველაძე, ჯ და ხ გრაფემათა და (ჯ) და (ხ) ფონემათა ურთიერთმიმართებისათვის, ორიონი, თბ., 1967.
9. ზ. სარჯველაძე, ორი ზანური ზმნური ძირის ძველქართული შესატყვისებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 58, № 1, 1970.
10. ზ. სარჯველაძე, -ნ სუფიქსით გამოხატულ მრავლობით რიცხვში დასმული სახელის ზმნასთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში: მაცნე, 1969, № 3.
11. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
12. არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: ტუმ, IX, 1929.
13. არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
14. შ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.
15. აღ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
16. ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.
17. В. М. Белкин, Проблема литературного языка и диалектика в арабских странах: Вопросы формирования и развития национальных языков (Труды Института языкознания АН СССР, X), М., 1960.
18. В. И. Борковский, П. С. Кузнецов, Историческая грамматика русского языка, М., 1965.
19. Р. А. Будагов, Литературные языки и языковые стили, М., 1957.
20. Л. Блумфилд, Язык, М., 1968.
21. Е. Будде, Об источниках для истории русского языка и о методах изучения их, Казань, 1893.
22. В. В. Виноградов, Проблемы литературных языков и закономерности их образования и развития, М., 1967.
23. Вопросы формирования и развития национальных языков: Труды Института языкознания АН СССР, X, М., 1960.
24. В. Г. Гак, Французская Орфография, М., 1959.
25. А. С. Гарибян, Об армянском национальном литературном языке: Вопро-

сы формирования и развития национальных языков (Труды Института языкознания АН СССР, X), М., 1960.
26. М. С. Гурищева, Начальный этап в образовании французского языка: Вопросы формирования и развития национальных языков (Труды Института языкознания АН СССР, X), М., 1960.
27. Дурново, Очерк истории русского языка, М., 1926.
28. А. М. Жуковская, К вопросу о конечной стадии истории редуцированных гласных в русском языке (По материалам Галичского евангелия 1357 года): Материалы и исследования по истории русского языка, М., 1960.
29. Л. Ефимов, История русского литературного языка, М., 1967.
30. В. В. Иванов, Историческая грамматика русского языка, М., 1965.
31. В. Ицкович, Языковая норма, М., 1968.
32. Л. Н. Карягина, Редуцированные гласные в языке июльской служебной Минеи конца XI-начала XII вв: Материалы и исследования по истории русского языка, М., 1960.
33. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
34. Курс исторической грамматики русского языка, Bucuresti, 1963.
35. В. Д. Левин, Краткий очерк истории русского литературного языка, М., 1964.
36. В. М. Линдсей, Краткая историческая грамматика латинского языка, М., 1948.
37. Общее языкознание, М., 1970.
38. Общие проблемы диалектологии и истории языка (Ответы на вопросник), М., 1969.
39. Н. С. Поспелов, О трех аспектах исторического изучения языка: Otazky slovanske syntaxe, Spisy University J. E. Purkine v Brne, Praha, 1962.
40. В. М. Сергиевский, История французского языка, М., 1947.
41. А. И. Соболевский, Лекции по истории русского языка, М., 1907.
42. Т. А. Сумникова, Чудовский сборник XVI века (Палеографическое и фонетическое описание рукописи Чудовского сборника № 264): Материалы и исследования по истории русского языка, М., 1960.
43. И. М. Тронский, Очерки из истории латинского языка, М.-Л., 1953.
44. А. Г. Широкова, К вопросу о различии между чешским литературным языком и народно-разговорной речью: Славянская филология (Сборник статей), М., 1954.
45. V. Kiparski, Russische historische Grammatik, I, Heidelberg, 1963.
46. K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.

V თავი

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის

ძველი ქართული სალიტერატურო ენა ემყარება მტკიცედ ჩამოყალიბებულ ნორმათა სისტემას. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში თავს იჩენს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები, ანუ დიალექტიზმები. იმის გამო, რომ არ მოგვეპოვება ქართული ენის დიალექტთა ადრეული ჩანაწერები, დღეს თითქმის შეუძლებელია მტკიცება, თუ რომელი დიალექტის (თუ დიალექტთა წრის) კუთვნილებაა სალიტერატურო ენის ძეგლებში გამოვლენილი ესა თუ ის ფორმა.

მიუხედავად ამ სიძნელისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გამოვლენილ დიალექტურ ფორმათა აღნუსხვასა და ქრონოლოგიის დადგენას.

I. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისთანავე დაისვა მათი ურთიერთმიმართების პრობლემა. ა. შანიძის აზრით, ხ- და ჰ- პრეფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრისათვისაა დამახასიათებელი. იგი წერს: „ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი მეორეზე. ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა თქმა უნდა, თავისთავად ჯერ კიდევ არ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, თითქოს ქართული ლიტერატურა პარალელურად არ არსებობდა ჰაემეტ კილოზედაც; ან კიდევ რომ ხანმეტი ლიტერატურა საზოგადოდ უეჭველად ხნიერი იყოს ჰაემეტზე“ (20, გვ. 360). ა. შანიძის მოსაზრებას იზიარებს გ. მაჭავარიანი (12, გვ. 71—72).

დიდი ხანია, რაც ქართველოლოგიაში არსებობს საწინააღმდეგო თვალსაზრისიც. ხანმეტი და ჰაემეტი დიალექტების არსებობა სრულიად გამოირიცხება, ან კიდევ დამტკიცებულად არ ითვლება (33, გვ. 365; 28, გვ. 79—84; 36, გვ. 32—33; 3, გვ. 140—146; 15, გვ. 285—293; 35, გვ. 53; 13, გვ. 14; 14, გვ. 135—141).

ორივე თეორიას მოეპოვება როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები.

ხანმეტი წარწერები ნაპოვნია მცხეთაში, ბოლნისსა და უკანგორაში, ე. ი. ქართლის აღმოსავლეთ არეალში, ხოლო ჰაემეტი — წყისის წარწერა — ქართლის ნაწილში, ეს უკვე იძლევა გარკვეულ საბუთს, ვამტკიცოთ ხანმეტი და ჰაემეტი მეტყველების სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში გავრცელებულობა. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არაბთა შემოსევის შემდეგ, VII ს. I ნახევრიდან, ქვეყნის პოლიტიკურმა და კულტურულმა ცენტრმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლა, სადაც VII—IX სს-ში გაჩაღებული დიდი ლიტერატურული საქმიანობის უტყუარი წყარო მოგვეპოვება. ეს არის გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

ჰაემეტობის გადმონაშთები ძირითადად დადასტურებულია სწორედ იმ წერილობით ძეგლებში, რომლებიც დაწერილი, ან გადანუსხულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ან კიდევ ამ კუთხის წარმომადგენელთა მიერ სხვადასხვა კულტურულ ცენტრებში (21, გვ. 211—212; 22, გვ. 294—299: 26, გვ. 146—147; 17, გვ. 140—149; 31, გვ. 281).

მაგრამ ხანმეტი და ჰაემეტი დიალექტების დაშვებას ერთი არსებითი ხასიათის დაბრკოლება ეღობება. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართულ დიალექტთა S_2 და O_3 პირთა პრეფიქსები ჰ- პრეფიქსიდან გამოიყვანება. ეს ფაქტი ქართველოლოგიაში საყოველთაოდ აღიარებულია. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა მოუვიდა ხანმეტ დიალექტს (თუ დიალექტებს)? (15, გვ. 290). ჰაემეტ ტექსტებში დასტურდება ხარ ზმნა, რაც ძნელად ასახსნელია, თუ დავუშვებთ ხანმეტი და ჰაემეტი დიალექტების არსებობას (14, გვ. 365; 6, გვ. 145; 14, გვ. 135)[1]. ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ ხ->ჰ- ფონეტიკურ ნიადაგზე მოხდა (33, გვ. 365). ალ. ონიანი ფიქრობს, რომ „შეიძლება იმ პოზიციის დადგენა, სადაც თავდაპირველად უნდა მომხდარიყო ცვლილება ხ->ჰ-: როგორც მაგალითებიდან ჩანს, ხანმეტ ლექციონარსა და იერემიას ნაწყვეტების ტექსტში ჰ- დასტურდება მხოლოდ ხმოვნების წინ, თანხმოვნების წინ კი უგამონაკლისოდ ხ- არის წარმოდგენილი“ (14, გვ. 136).

1971 წელს აღენიშნეთ, რომ ჰ- პრეფიქსი დასტურდება თანხმოვნის წინ წყისის წარწერაში (616—619 წწ.): ესე ჯუარი ქრისტჱსი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა (17, გვ. 32). მივიჩნევდით, რომ აღჰუმართე ზმნაში ჰ- არის O_3 პირის ნიშანი, ხოლო უ- S_1 პირის ნიშნის ალომორფია. ალ. ონიანი წერს: „არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მიც. ბრუნვაში დასმული „სახელსა მცხეთისა ჯუარისასა“ ფრა-

[1] ეფიქრობთ, ხერთვისი ვერ იქნებოდა დაბრკოლება ა. შანიძის თეორიისათვის. გეოგრაფიულ სახელთა გადატანა ერთი არეალიდან მეორეში სავსებით დასაშვებია, შდრ.: (26, გვ. 52; 15, გვ. 293; 14, გვ. 132). იგივე შეიძლება ითქვას ხუცეხ სიტყვის შესახებ.

საეალდებულო a პირად მივიჩნიოთ“ (14, გვ. 136). უნდა ითქვას, რომ აღჰუმართე ზმნაში უ არ არის ხმოვანი (სასხვისო ქცევის ნიშანი). ეს ზმნა არის ე. წ. დაჰბადა ტიპისა, რაც მიუთითა ა. შანიძემ (21, გვ. 178). იგი ასე იუღლება: მე აღჰუმართე (IX საუკუნიდან: აღვჰმართე), შენ აღჰმართე, მან აღჰმართა. ამიტომ მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა ირიბი დამატება III პირისა ძველ ქართულში. ამ მოქმედებითი გვარის ზმნის საკონვერსიო ვნებითია აღემართა (იხ. მეყსეულად აღემართა და ვიდოდა და ადიდებდა ღმერთსა, ლ. 13, 13). ადიშის ოთხთავში გვაქვს ამ ზმნის აქტივის II კავშირებითის ფორმა: მესამესა დღესა აღვჰმართო ეგე ი. 2. 19). ჰაემეტ ტექსტებში გვექნებოდა: აღჰუმართო, სადაც უ უთუოდ არის თანხმოვანი, S_1 პირის ნიშნის პოზიციური ვარიანტი. სხვაგვარი ახსნა, ვფიქრობთ, გამორიცხულია.

ჩვენ არ მიგვაჩნია შეუძლებლად ძველი ქართული ენის დონეზე გარკვეული ალბათობით დაშვება ხანმეტი და ჰაემეტი დიალექტებისა. ყოველ შემთხვევაში, საწინააღმდეგო თვალსაზრისიც არაა უცილობელი.

II. X—XI სს-იდან ძველი ქართული ენის ზოგიერთ ძეგლში გამოვლინდება რიგი მოვლენებისა, რომლებიც უთუოდ დიალექტური წარმოშაელობისაა. აქ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

1. -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები I სერიის სავრცობიან მწკრივებში გამოაელენენ -ევ და -ემ ვარიანტებს.

უწყვეტელი: ილოცევდა ღმრთისა მიმართ, ლატალის ლექციონარი (X ს.) 95 r, 13—14 a; ნეშტსა მას ფერჯითა დასთრგუნევდა, იქვე 101 r. 18—19 b; 102 r, 7—8 a; ჰბაძევდა იგი პირუტყუთა, ანდრია სალოსის ცხოვრება (H-1345 XI—XII სს.) 118 r, 19; უკუეთუმცა ესევდეს, თუ მას საუკუნესა უვაღრესი ცხორებაი არს, H-2124 (968 წ.) 98, 6—7; ემთხუენეს მეცნიერნი და ჰკითხევდეს, ანდრია სალოსი 84 r, 12—13.

I კავშირებითი: თავსა ხშირად იპარსევდეს, კარაბადინი (Q-26 XIV—XV სს.) 71 v, 22—23; და ვასუემდეთ ამისგან, იქვე 26 v, 10; თავსა თბილ-თბილსა წყალსა ასხემდეს, იქვე 41 r, 25—41 v, 1 და სხვ. (18, გვ. 163—164). თემის ნიშანთა ევ და ემ ვარიანტები საკმაოდ ხშირია საშუალი ქართულის წერილობით ძეგლებში.

-ევ და -ემ ბატონდება I სერიის სავრცობიან მწკრივებში აღმოსავლეთ ქართულ დიალექტთა ერთ ჯგუფში.

2. სტატიკური ზმნების ერთ ჯგუფთან აწმყოში იჩენს თავს -იან დაბოლოება: ჰრცხუენიან, ეშინიან, უხარიან და მისთანანი. ეს მოვლენა პირველად დასტურდება ხანმეტ მრავალთავში და საკმაოდ ხშირია ისეთ წერილობით ძეგლებში, როგორიცაა: სვანეთის მრავალთავი, ათონის მრავალთავი, ათონის ასკეტიკური კრებული, პარხლის მრავალთავი, კლარჯული მრავალთავი და სხვა.

ორიოდე ნიმუში: ჰრცხუენიან, ხანმეტი მრავალთავი 13 b, 1; კაცთა-

გან არა **მრცხუენიან**, პარხლის მრავალთავი 261 r, 13—14 a: 261 r, 28—29 a: რაჲ **მგლიან** მე, Sin.-36 350, 13—14 h; არა **ეშინიან** მათ მეფისაგან, მ.მათა სწავლანი 230, 11 A; ჩუენ არა **გუეშინიან** გუელისა მისგან, Sin.-43 109 v, 5—6: **სურიან** შენდამი სულსა ჩემსა, Sin.-34 11 v, 4 და სხვ. (18, გვ. 164—166).

ამგვარი ფორმები ხშირია საშუალი და ახალი ქართულის ძეგლებში. როგორც მიუთითებენ, სტატიკურ ზმნებთან აწმყოში **-იან** დაბოლოება დამახასიათებელია ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტთათვის (27, გვ. 178).

3. ძველი ქართული ენის ძეგლებში IX ს-იდან გამოვლინდება შერეული კავშირებითისა (23) და შერეული ხოლმეობითის (10) ფორმები. ამ იშვიათ მწკრივთა ნიმუშები ძირითადად გეხვდება ისეთ ძეგლებში, რომლებიც დაწერილია, ნათარგმნია, ან გადაწერილია სამხრეთ საქართველოს მწიგნობრულ წრეებში, ან კიდევ ამ კუთხის წარმომადგენელთა მიერ. შეიძლება დავასახელოთ: ადიშის ოთხთავი, ოშკის ბიბლია, პარხლის მრავალთავი, Sin.-97; პარიზის ლექციონარი, Sin.-43 და სხვ.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ის ძეგლები, რომელთა შექმნის შესახებ არ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობები, მაგრამ რომლებიც გამოაელენ ამ მწკრივთა ფორმებს, გენეტურად უკავშირდებიან სამხრეთ საქართველოს (აქ არიან შექმნილნი, ან მათი შემოქმედნი არიან ამ არეალიდან).

ამჟამად მიეუთითებდით იმ გარემოებაზე, რომ ბიბლიის გელათურ რედაქციაში გამოვლენილია შერეული კავშირებითის ფორმები (კ. დანელია, თ. ცქიტიშვილი. ზ. სარჯველაძე). ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ გელათის ბიბლიის მთარგმნელი სამხრეთ საქართველოს წარმომადგენელია. არ არის გამორიცხული, რომ იგი იყენებდა ოშკის ბიბლიის ტექსტს, სადაც ამგვარი ფორმები საკმაოდ ხშირია (ა. შანიძე, თ. ცქიტიშვილი და სხვ.).

საინტერესოა, რომ შერეული კავშირებითის ფორმები საკმაოდ ხშირია მცხეთის ბიბლიაში (A-51). მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

რა **აღიღოდიან** იგი მით, გამოსლვათა 30, 5; **იბანოდიან**, იქვე 30, 19; **იბანოდინ**, იქვე 30, 20; **გაეცხადოლ**, იქვე 30, 36; **შეწიროდიან**, იქვე 10, 15; **დააგოდით**, იქვე 24, 8[1]; **დაიძინოდით**, იქვე 26, 6[1]; **აუწყოდით**, იქვე 10, 9[1]; **შესწიროდით**, იქვე 18, 33[1]; **ისმინოდიან**, იქვე 27, 20; **ჰკითხოდიან**, იქვე 27, 21; **ჰყოდი**, II სჯულთა 15, 1 და მისთ.

ამ ძეგლში დასტურდება შერეული ხოლმეობითის ფორმაც: სამსახურებელი სიწმიდისაჲ აქუნდა და მჴრითა **აღიღოდიან**, რიცხუთა 7, 9.

ცნობილია, რომ მცხეთის ბიბლია ერთ-ერთ წყაროდ გელათურ რედაქციას იყენებს (პ. ინგოროყვა, ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე). როგორც

[1] მეორე პირის ფორმები განსაკუთრებით საინტერესოა. ისინი ძალზე იშვიათია.

ჩანს, მცხეთურ ხელნაწერში შერეული კავშირებითი და შერეული ხოლმეობითი მომდინარეობს გელათური რედაქციის ნუსხებიდან. ხომ არ შეიძლებოდა გამოსლვათას ტექსტში დადასტურებული შერეული კავშირებითის ფორმები მიგვეჩნია იმ დებულების მხარდამჭერ საბუთად, რომლის მიხედვითაც. გელათური ხელნაწერი „შეიცავდა ძველი აღთქმის ყველა წიგნს“ (9, გვ. 420; 24, გვ. 151—153).

4. X—XIII სს. წერილობით ძეგლებში გამოვლენილია III ხოლმეობითის მწკრივის ფორმები (24, გვ. 2; 1, გვ. 186—187; 18, გვ. 179—184).

ამ იშვიათი მწკრივის ფორმები გვხვდება ისეთ ძეგლებში, როგორიცაა: ათონის ასკეტიკური კრებული, პარხლის მრავალთავი, A-285 (იოანე სინელის კლემაქსი, თარგმნილი ექვთიმე მთაწმიდლის მიერ), A-445 (კრებული), პარიზის ლექციონარი, Jer.-9 (კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანება) და მისთ.

III ხოლმეობითის ფორმები უპირატესად გვხვდება ისეთ ძეგლებში, რომელთა ავტორები, მთარგმნელები, ან გადამწერები არიან ათონის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენლები. თავის მხრივ კი, ეს უკანასკნელნი უმთავრესად სამხრეთ საქართველოდან იყვნენ.

5. X საუკუნემდე ქართულ სალიტერატურო ენაში არ გვხვდება **ისი** ნაცვალსახელი (21, გვ. 224). **ისი** რამდენჯერმე იჩენს თავს X—XII სს. წერილობით ძეგლებში.

და ვიხილო ხილვაჲ **ისი** დიდი, კალის ლექციონარი 12, 24—25 b; რასა იტყჳს ყორანი **ისი**, საკითხავი წიგნი II 119, 17; 119, 21; ამას იტყჳს ყორანი **ისი**, იქვე 119, 23; ვინ არს **ისი** კაცი, პარიზის ლექციონარი 24 v, 3—4 a: რაჲთა თქუმანი **ისი** ზამბრესნი გამოცხადნენ, Jer.-3 8v, 22; შენ პართებრ ჰზრახავ, ხოლო **ისი** ჰრომაელებრ, Jer.-16 22 r, 7—9 b; აჳაზაკი **ისი** მზრარად უთქს, Jer.-22 127 r, 29 b; განწესებული **ისი**, H-1670 (სჯულთკანონი) 191, 16 a.

უკვე ადიშის ოთხთავში გამოვლინდება **იმას** ნაცვალსახელი (მიცემითი ბრუნვა), რომელიც სახელობითში ვარაუდობს **ისი** ნაცვალსახელის არსებობას: გჳბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა **იმას** ღორებისასა, მ. 8, 31. ჯრუჭისა და პარხლის ნუსხებში იკითხება: მიბრძანე მისლვად კოლტსა **იმას** ღორებისასა. ძველი ქართული ენის ზოგიერთ ძეგლში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: მიბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა **იმას** ღორთასა, A-88 20 v, 29—31 a; A-495 26 r, 3—4.

იმას ნაცვალსახელი სხვაგანაც გვაქვს ადიშის ოთხთავში: მიევედით დაბასა **იმას**, მ. 21, 2; შდრ.: დაბასა მაგას (ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერებში). მიგუაჳლინენ ჩუენ ღორებსა **იმას**, მრ. 5, 12 C (მიმაჳლინენ ჩუენ ღორებსა **იმას**, ავსტრიის ნაციონალური მუზეუმის № 1 ხელნაწერი 62 r, 10—11); მიბრძანე ჩუენ ღორებსა **იმას** DE.

Jer.-3 გამოავლენს ჩვენთვის საინტერესო ფორმას: სენაკსა **იმას** შინა იყოფების მამაი დიდი, 157 r, 19.

იხი ნაცვალსახელი საკმაოდ ხშირია „ვეფხისტყაოსანსა“ (29, გვ. 6) და საშუალი ქართულის სხვა ძეგლებში. სალიტერატურო ენაში IX საუკუნიდან გამოვლენილი ეს ნაცვალსახელი, ჩვენი აზრით, მკაფიო ნიშუშია დიალექტური მეტყველებისა.

6. ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვას, როგორც წესი, დაერთვის **მდე||მდის** თანდებულები (11; 8, გვ. 333—341; 25, გვ. 144). ამავე დროს, X ს-იდან ტექსტებში დასტურდება **მდინ** თანდებული:

და მოიღო ნეტარებაი თესლითი **თესლამდინ**, სვანეთის მრავალთავი 195, 26—28 b; იყავ უბიწო წინაშე თუალთა ჩემთა ვიდრე აქა **ჟამამდინ**, 203, 29—31 b; **მუნამდინ** არავინ მართალთაგანი შევიდეს იერუსალემსა ზეცისასა, A-397 (X ს.) 86 v, 8—9; და ელოდის მზისა თანა და მთოვარისა წინა **თესლითი თესლამდინ**, A-38 (XI ს. დასაწყისი) 110 r, 3—5; გარნა **ნახევრამდინ** წაიკითხონ, A-193 (XI ს.) 27 v, 27—28; და ცხონდა ლეონ და ზენონ **მეფეთამდინ**, 139 r, 5—6; **აქამომდინ** წაიკითხონ, 259 v, 4—5; და ყოველნი ასონი მისნი სამშჯუალებითა განიმსჯუალნეს ვიდრე დაფარულთა **ასოთამდინცა**, 238 v, 25—26; შთაიდგინა მთხრებლსა შინა ვიდრე წელთამდინ, Jer.-24 (XI ს.) 134 v, 30; **აქამდინ** არს სიტყუაი ტავროსთჳს, Ath.-21 (1030 წ.) 319 r, 9; **აქამომდინცა** ცოცხალ არს, A-1103 (1011—1019 წწ.) 74 v, 12—14 a და სხვ.

საინტერესოა, რომ **მდინ** მაწარმოებლად გამოიყენება წარმოქმნილ სახელებში.

კმა იყავნ **მოაქამდინიცა** საცთური, Jer.-5 (XI ს.) 14 r, 7; ესე ყოველი კმა იყვნეს წარგებად მესამით ჟამითგან **მეექუსემდინსა** ჟამსა, A-52 (XII—XIII სს.) 137 v, 12—13; ოცდახუთითგან ვიდრე ერგასის წლამდინთაი, გელათის ბიბლია 39 v, 23—24 (კომენტარი აშიაზე).

წყაროსთავის ოთხთაეში (A-98, X ს.) გვხვდება **მდი**: ვიდრემდი ხარ მის თანა გზასა ზედა, 11 v, 20—21 b.

X ს-იდან გვხვდება ქართულ წერილობით ძეგლებში **მდენ** თანდებულიც:

ვიდრემდენ იხილის მან ცხებული უფლისაი, ლატალის ლექციონარი 17 r, 6—7 a; იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რაი გიჯმს თქუენ, ვიდრე **თხოამდენ** თქუენდა, 23 v, 6—9 a: ვითარცა-იგი **აქამომდენ** უფალმან ლოცვითა შენითა უმჯობესი ქმნა, ათონის ასკეტიკური კრებული 59 r. 9—11 b; ვიდრე **განსლვამდენ** სოფლისაგან, 316 v, 2—3 b; რომელთა არა იხილონ გემოი სიკუდილისაი, **ვიდრემდენ** ძეს კაცისაი მომავალი სუფევითა თჳსითა, A-1699 (X ს.) 18 v. 17—21 b: მუნ დღემდენ, ვიდრემდე შევიდა ნოე კიდობნად, იქვე 27 r, 9—11 a; ესე უკუე სიტყუაი **აქამდენ** ხოლო იყო შრომაი იგი მათი, A-500 (1042 წ.) 78 v, 18—19,

რომელმან პური ჰამოს დღეს **მწუხრამდენ**, I მეფეთა 14, 23[1]; ვიდრე **აჭამომდენ** მოიწინეს, Jer.-151 (XI ს.) 68 v, 3—4; **აჭამომდენ** სწერია სუეტსა ზედა, იქვე, 119 r, 9—10 და სხვ.

საინტერესოა, რომ A-35 (X ს.) ხელნაწერში დასტურდება **მდეს** თანდებული, რომელიც მიღებულია **მდე** და **მდის** თანდებულთა კონტამინაციის გზით:

მუნამდეს ვერ განერეს გულისთქუმისაგან, 71 r, 19—20.

7. ძველ ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი თანდებული იყო IX ს-იდან დასტურდება **თჳნ** ვარიანტიც:

აწ მე აღბრულ ვარ სახარებისა **მისთჳნ**, სინური მრავალთავი (864 წ.) 200, 3—4: შევარდა ამის გამო ზრუნვასა დიდსა საქმისა **მისთჳნ**, სვანეთის მრავალთავი 205, 28—30 a; წერილ არს, ვითარმედ **რჩეულთათჳნ** შემოკლდენ დღენი იგი განსაცდელთანი, Jer.-37 (XII ს.) 212 r, 8—10 b.

საინტერესოა, რომ **მდინ**, **მდენ**, **თჳნ** თანდებულები განსაკუთრებით ხშირია ქართლურში (5, გვ. 202 — 203). ჩვენი აზრით, **მდინ**, **მდენ**, **თჳნ** წარმოადგენს დიალექტიზმებს ძველ ქართულში. მათ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის.

8. II ბრძანებითში -ე მწკრივისნიშნიან ზმნებთან თავს იჩენს -ე -ვი დაბოლოება, რაც დღეს უპირატესად ქართლურისათვის არის ნიშანდობლივი (6). ერთ-ერთი სინური ხელნაწერის (Sin.-37, X ს.) ანდერძში ნათქვამია: წრჯლად ნაწერისათჳს **შემინდეჳთ**. ეგეთე ფორმა სხვაგანაც გვხვდება: დიად ზრახვისათჳს **შემინდეჳთ**, Jer.-149 (XI ს.) 137 r, 14—16.

Jer.-142 (XI—XII სს.) ხელნაწერში დასტურდება **დაასევით** ფორმა: და მოიღო პატიოსანი ჯუარი და მისცა მათ და ჰრქუა: მიიღეთ ესე, და წარვედით და **დაასევით** ადგილსა მას, რომელსა შინა იქმს ამათ სიბოროტეთა, 16 v, 14—17.

„ნინოს ცხოვრების“ ჰელიშურ რედაქციაში გამოვლინდება **მოაშ[უ]რევით**: აწ ეძ[ა]სვე ჟამსა **მოაშ[უ]რევით** ჩემდა წმიდაჲ ეგე მ[ა]მადმთავარი, ძეგ. I, 102, 6—7 Ც.

ცხადია, **შემინდეჳთ** და მისთანა ფორმები ინოვაციაა. ისინი არ შეიძლება გამოდგეს იმის სამტკიცებლად, თითქოს წყვეტილისა და II ბრძანებითის -ე ნიშანი -ევ სუფიქსისგან მომდინარეობდეს, როგორც ამას ეარაუდობს გ. როგავა (16, გვ. 647—655; შდრ.: 4, გვ. 459).

9. Jer.-32 ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია XI ს-ში და შეიცავს მათეს თავის სახარების კომენტარების ეფთჳმესეულ თარგმანს, დასტურდება უაღრესად საინტერესო მოვლენა: რამდენიმე შემთხვევაში III კავშირებითი ნახმარია II თურმეობითის ფუნქციით:

თუალი მოშურნისაჲ დადნების მწუხარებითა, სიკუდილსა შინა არს

[1] მაგალითი დაწერმებულია უ. ცინდელიანის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტიდან.

სამარადისოსა, ყოველნივე მტერად შეურაცხიან, რომელთა არარაჲ ევნოს მისდა, 91 v, 23—26 a; ამას იტყჳს, ვითარმედ: რომელსა არაჲ ექმნას ბოროტი, იგი ნათელსა შინა ვალს, 106 r, 9—10 a; საშინელ არს სიკუდილი ფრიად, არამედ არა მათდა არს საშინელ, რომელთა ესწაოს ზეცისა სიბრძნე. რამეთუ რომელმან არა იცოდის საქმჱ ზეცისაჲ, არამედ ოდენ განხრწნად და განმაქარვებლად შეერაცხოს სიკუდილი. მას სამართლად ეშინის, ვითარმედ არაარსად მიმავალსა, 139 r, 16—20 a.

ცნობილია, რომ ეს მოვლენა დღეს რაჭული დიალექტისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ გვხვდება სხვა დიალექტებშიც: ქახურში, ინგილოურში (32, გვ. 235—236).

შ. ძიძიგური მიუთითებს, რომ ანალოგიური მოვლენა „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება:

„კვლაცა ვჰკადრე: მე თუ, მზეო, შენთვის ფიცი გამეტეხოს“.

გვხვდება ამ მოვლენის ამსახველი ფაქტები ვახტანგისეულ კომენტარებსა და ახალი ქართული მწერლობის წარმომადგენელთა ნაწერებშიც (32, გვ. 236).

ჩვენ მიერ ძველ ქართულში დადასტურებულ შემთხვევებში III კავშირებითი არ გამოხატავს პირობით კილოს (დაწვრილებით — ქვემოთ).

10. XII ს-იდან წერილობით ძეგლებში თავს იჩენს -ყე ნაწილაკიანი ფორმები (30, გვ. 60), რაც ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარეობს და დიალექტური გრამატიკული მოვლენის მკაფიო ასახვას წარმოადგენს. -ყე ნაწილაკი გვხვდება ისეთ ძეგლებში, როგორიცაა: ა) დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი ბოძებული ანდერძი; ბ) დავით ნარინის სიგელი; გ) A-52: დ) ნერსე მთავარეპისკოპოსის წინასწარმეტყველება, ე) „ვისრამიანი“; ვ) „ვეფხისტყაოსანი“ (30, გვ. 60); ზ) გელათის ბიბლია (21, გვ. 287).

-ყე ნაწილაკი დასტურდება აგრეთვე Jer.-22 ხელნაწერში (XII—XIII სს.), რომელიც შეიცავს მარკოზისა და ლუკას თავის სახარების თარგმანებას: რაჲ უკუე გნებავსყე, 25 r, 20.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ -ყე პირდაპირი ობიექტის მრავლობითობასაც გამოხატავს: ნუ იტჳრთავთყე ბალანტებსა, 83 v. 11—12 a.

11. ძველ ქართულ ხელნაწერებში დასტურდება ზოგი ნაცვალსახელისა და ზმნიზედის დიალექტური ფორმები.

H-1673 ხელნაწერის 207-ე ფურცლის არშიაზე არის მინაწერი:

ჰასე დასდებელი ხოლე თქჳ.

ჰასე ნიშნავს „ეს“. ჰასე ნაცვალსახელის ხმარების სხვა შემთხვევა ჩვენთვის უცნობია. ჰასე ჩვენებითი ნაცვალსახელი დაედო საფუძვლად ჰასეთ ჩვენებით ნაცვალსახელს, რომელიც უკვე XI საუკუნეში გვხვდება: გლახაჲ ქაღადი ჰასეთსა ჰქჳან, Ⴑ-684 120 v.

Sin.-4 ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში ეგთავე ზმნიზედა გვაქვს:

წმიდანო მამანო, ესე ზემოწერილი ჟამთა განგებაჲ ბერძულად განბნეულად ყოფილ არს, საჭიროდ, და დემეტრეს ერთგან შეკრებულად დაენერა, დედასა შინა ესრე ვპოვე, მეცა ეგზავე დავწერე, 78 v.

ეგზავე ნიშნავს „ეგრევე“. საინტერესოა, რომ XVII საუკუნის ერთერთ ხელნაწერში (A-69, კრებული) დასტურდება შენიშვნა, რომლის თანახმადაც, ესთა მეგრული ფორმაა: ესთა მეგრული სიტყუა, ესრეთო მეგრულად (194 v) (დ. მელიქიშვილი).

ეს შენიშვნა უსათუოდ გულისხმობს, რომ ესთა დასავლური ქართული მეტყველების კუთვნილებაა. ხომ არ არის ამ ფორმებთან კავშირში დასავლური დიალექტების (გურულის, ქვემოიმერულის) ასთე, ისთე ზმნიზედები?

H-1030 ხელნაწერის (ოთხთავი, 1696 წ.) ანდერძში დასტურდება ისრე ზმნიზედა: უკეთუ ინებოთ, თქვენცა ორითა მართლითაჲ სახარებითა შეამოწმეთ და ისრე სწერდით, 303 v — 304 r.

ისრე აშკარად დიალექტური ფორმაა.

H-1673 ხელნაწერის მინაწერებში გვაქვს ჰასერა ზმნიზედა: წმიდისა გიორგისი, ჰასერა, 297 v (არშიაზე).

სახარებაჲ, ჰასერა, ამიერით წმიდისა გიორგისი, 298 r (არშიაზე).

ჰასერა ზმნიზედა უშუალო კავშირშია ჰასე ნაცვალსახელთან, რომელიც ამავე ხელნაწერში იხმარება (იხ. ზემოთ).

Jer.-22 ხელნაწერში (XII ს.) დასტურდება აგერა ზმნიზედა: მღდელთ-მთავარად სახელ-სდებს, აგერა, სრულ-მყოფელთა განჩინებულისა ჟამისათა, 23 r, 26—29 a.

H-1673 ხელნაწერში კიდევ ერთი საინტერესო ზმნიზედაა — იგერ: ამის წინა კჳრიაკისა პავლე იგნატისსა შემდგომად ჰპოო იგერ იმიერით ქუეყო, 306 v (არშიაზე).

რა თქმა უნდა, იგერ, ისე როგორც ჰასე, ჰასერა, აგერა დიალექტიზმებია

ზოგიერთ ხელნაწერში XI საუკუნიდან გვხვდება აქან ზმნიზედა: იხილე, თუ ვითარ აქან ვიდრემე სული ნელსაცხებელთაი დადეა (თარგმანებაი ქებისა ქებათაისაი, 1188 წ., გამოსცა ა. შანიძემ, ტფ., 1924 წ.), 2, 1—2; სახელ-სდეა, აქან, 2, 23; ძმანო, აქან ვარ, A-199 (კრებული, XIV—XV სს.), 72 r, 9—10 a; ამისთჳსცა აღირჩია აქან სჯაჲ, გარე უდაბნოთა შინა, იქვე 72 v, 28—30 b.

აქან ზმნიზედა დიალექტიზმია, შდრ.: აქანა, აქანე.

A-689 ხელნაწერში გვაქვს არღარასადეთ ზმნიზედა: არღარასადეთ ჴმენილ არს მათ დღეთა შინა, 250 r, 31—32 a.

ზემოთ წარმოდგენილ მასალას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის.

როგორ უნდა აიხსნას IX—XII სს. ქართულ ძეგლებში აშკარად

თვალშისაცემ დიალექტიზმთა ასეთი დიდი ოდენობით გამოვლენა? ცნობილია, რომ ამ დროის ქართული სალიტერატურო ენა ემყარებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეტყველებას. XII ს. I მეოთხედიდან, 1125 წლიდან. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა სატახტო ქალაქად კვლავ გამოაცხადა თბილისი, ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი მასაზრდოებელი წყარო ხდება აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველება. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება.

ბუნებრივია, IX—XII სს. ქართული მწერლობის ენა ამ ფონზე ავლენდეს მკვეთრ სხვაობებს როგორც უფრო ადრეული, ისე მოგვიანო ხანის სალიტერატურო ენასთან შეპირისპირებისას.

სავარაუდებელია, რომ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ მეტყველებას IX—XII სს-ში ახასიათებდა ისეთი მოვლენები, როგორიცაა: **ევ** და **ემ** თემის ნიშანთა უნიფიცირება I სერიის სავრცობიან მწკრივებში, **-იან** დაბოლოება სტატიკურ ზმნათა აწმყოში ზოგიერთ ზმნასთან, შერეული ხოლმეობითი, შერეული კავშირებითი, III ხოლმეობითი; **ისი** ნაცვალსახელი; **მდინ, მდენ** და **თჳნ** თანდებულები; **-ე -ვი** დაბოლოება წყვეტილსა და II ბრძანებითში; III კავშირებითის გამოყენება II თურმეობითის ფუნქციით. **ყე** ნაწილაკი და სხვ.

რა თქმა უნდა, სრულიად არ გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ ეს მოვლენები ამ დროს სხვა დიალექტურ ჯგუფებსაც ახასიათებდა, მაგრამ ძალზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ისინი კომპლექსურად იჩენენ თავს მაინცდამაინც იმ ძეგლებში, რომლებიც ერთიანდებიან როგორც ქრონოლოგიური, ისე გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით.

ძალიან საინტერესოა, რომ უკვე XI—XII საუკუნეებში ჩვენი მწერლები და მეცნიერები მსჯელობენ სალიტერატურო ენის სიწმინდის შესახებ, სვამენ საკითხს სალიტერატურო („წიგნური") და არასალიტერატურო („სოფლური") ფორმების ურთიერთმიმართების შესახებ.

დიდი ქართველი მწერლისა და მეცნიერის ეფრემ მცირის უაღრესად საინტერესო შენიშვნა ახლავს მის მიერვე თარგმნილ გრიგოლი ღმრთისმეტყველის თხზულებას „ქრისტეს შობისათჳს" (Jer.-15 XI ს.). ერთ ადგილას ნაწარმოებში იკითხება: „მიითუალეედ ყურიმლის-ცემათა და **ჴ უ რ თ ი თ ც ე მ ა ს ა**". 21-ე ფურცლის არშიაზე ამ ადგილთან დაკავშირებით ეფრემ მცირის განმარტება გვაქვს: **„ჴურთით ცემაჲ არს მჯიღი მიმოქცევითა თითთაჲთა ძლიერად ტკივნებისა შემძლებელი, რომელსა სოფლიონი ჭურჭ უწოდიან**". რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ეფრემ მცირე მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ „ჴურთით ცემას" და არასალიტერატურო (დიალექტურ, ანუ, როგორც ეფრემი და მისი თანამედროვენი იტყოდნენ, „**სოფლურ**") „**ჭურჭს**". საყურადღებო ისიც არის, რომ XI საუკუნისათვის ძველი ქართული სი-

ტყვა ჯურთი უკვე არქაიზმად ქცეულა, თორემ ეფრემს მისი განმარტება არ დასჭირდებოდა. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიული ლექსიკოლოგიისათვისაც.

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანში (A-24 XII ს.) ლექს სიტყვასთან დაკავშირებით ეფრემი ამბობს: „შეისწავე, ვითარმედ ლექსი ღრმასა სიტყუასა ჰქჳან წიგნურსა, რომელსა სოფლურად ნაცვალი სხუაჲ აქუნდეს“ (13 r). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ერთმანეთს მკაფიოდ უპირისპირდება „წიგნური“ სიტყვა და „სოფლური“.

ეფრემ მცირისავე ნათარგმნ ბეგლში „ასკეტიკონი“ (A-689 XII ს.) ასეთი შენიშვნა გვხვდება: „შეისწავე, რამეთუ სახელსა ამას მედგარსა ორი სახე აქუს: წიგნურად მცონარესა. უკმობს მედგარსა, ხოლო სოფლურად მზაკუარსა ჰქჳან მედგარი თჳთ ქართულსა ენასა ზედა“ (43 r). აქ მეტად საყურადღებოა, რომ გახაზულია ერთი და იმავე სიტყვის ორი მნიშვნელობა, რომელთაგან, ეფრემის აზრით, ერთი წიგნურია (ე. ი. სალიტერატუროა), ხოლო მეორე სოფლური (ანუ დამახასიათებელი დიალექტისათვის). ისიც საინტერესოა, რომ საბას ლექსიკონში ამ სიტყვასთან დაკავშირებით ანალოგიური მოსაზრება არის გამოთქმული: „მედგარი მცონარი და მოუბლურებული; მედგარი ითქმის მარადის ძჳრისა დამმარხუელი გულთა შინა აღუკოცელად; მედგარი მსოფლიოთა ენითა მზაკუარად ითქმის, რომელმან ფერჳითა დააკუეთოს მორკინალი თჳსი მიწასა ზედა ძლიერად“.

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში ეფრემ მცირე სოფლურ და უშუერ სიტყვებს სინონიმებად მიიჩნევს: „გარნა უწყითმცა, თუ რომელთა წიგნთაჲ ეგების კაზმეაჲ, ანუ რომელთაჲ უღონოჲ არს, რამეთუ იპოოს თუ „ცხორებაჲ“, ანუ „წამებაჲ“, ანუ რაჲცა-რაჲ ჰაძმბავი, გინა მოთხრობაჲ სოფლურითა და უშუერითა სიტყჳთა აღწერილი, მას სიტყჳთ განაშუებენ, გარდაჰკაზმენ და მეტაფრას უწოდენ, რომელ არს გარდაკაზმული“ (3 v). აქ სოფლური, უშუერი, ეფრემ მცირის აზრით, უპირისპირდება განშუენებულს, გარდაკაზმულს (ანუ სალიტერატუროს). ეფრემ მცირე სოფლური, უშუერი სიტყვების გვერდით ამავე მნიშვნელობით ლიტონ სიტყვასაც ხმარობს: „ხოლო წმიდათა თქუმულსა და მართლმადიდებელთა მამათა აღწერილსა ვერვინ იკადრებს შეხებად, ვითარცა წმიდასა სახარებასა და ებისტოლეთა პავლე მოციქულისათა, რაოდენმცა ლიტონითა სიტყჳთა აღწერილ იყო, ბრძენთა და მართლმადიდებელთაგანი ვერვინ შეეხების“ (3 v).

ამგვარი გამონათქვამები, ცხადია, თავისთავად იმას მიგვითითებენ, რომ სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება ერთმა-

ნეთს უპირისპირდებოდნენ. ამავე დროს ისინი იმასაც მოწმობენ, რომ დიალექტიზმებმა (ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელმა მოვლენებმა) ზოგიერთ შემთხვევაში სალიტერატურო ენაშიც იჩინეს თავი.

იმის გამო, რომ არ გაგვაჩნია ქართული ენის დიალექტთა ადრეული ჩანაწერები, დღეს ძალზე ძნელია დიალექტიზმთა ძველ ტექსტებში გამოვლენა და თითქმის შეუძლებელია იმის მტკიცება, თუ რომელი დიალექტის (თუ დიალექტთა წრის) კუთვნილებაა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული ესა თუ ის მოვლენა. საქმეს ისიც ართულებს, რომ, სამწუხაროდ, ძველი ქართული კულტურის მოღვაწეები ძალიან იშვიათად მიუთითებდნენ თავიანთი წარმომავლობის შესახებ. ზოგიერთი ცნობა მაინც შემოგვრჩა. აქ ორ მათგანს დავიმოწმებთ. H-1741 (ოთხთავი, 1048 წ.) ხელნაწერის გადამწერის ანდერძში იკითხება: „დაიწერა წმიდასა ადგილსა გესსამანიას, საფლავსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, დედისაგან საბაწმიდისა, განგებასა ზედა ბერძულსა, დიად ხარკებითა ჯელითა საწყალობელისა მიქაელ მწირისა მ ც ხ ე თ ი ს ა ვ ე მ ი წ ი ს ა გ ა ნ“ (297 r). ე. ი. მიქაელი ყოფილა მცხეთელი. როგორც ანდერძიდან ჩანს, Jer.-43 (ბასილი დიდის ეპიტაფია და გრიგოლი ღმრთისმეტყველის ჰომილიები, XI—XII სს.) გადაუწერია მესხს — ეფრემ საფარის წინამძღვარს: „წარმოვგზავნე წმიდაჲ ესე წიგნი გრიგოლის ღმრთისმეტყუელისა მიერ თქმული მე, მ ე ს ხ მ ა ნ ა ზ ნ ა ურ მ ა ნ ა რ ყ ი ს ც ი ხ ე ლ მ ა ნ გ ა ბ ა მ ა ნ. ა ღ წ ე რ ა ჲ წ ი გ ნ ი ე ს ე მ ა მ ი ს ბ ი ძ ა ჲ მ ა ნ ჩ ე მ მ ა ნ — ს ა ფ ა რ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ მ ა ნ ე ფ რ ე მ მ ა ნ“ (306 r).

ზოგიერთ შემთხვევაში ძეგლებში არის სპეციალური მინიშნება იმის თუ იმ ფორმის სადაურობის შესახებ. ცხადია, ამგვარი ცნობები რამდენადმე მაინც გვეხმარება მათი გავრცელების არეალის დადგენაში.

უპირველესად აქ უნდა მოვიხსენიოთ „ანდრია სალოსის ცხოვრება“ (H-1345). გადამწერი ამბობს: „ღმერთმან უწყის, რაჲცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიშვირე. მაგრა დედაჲ ოდიშს დაწერილი იყო და სიტყუასა სცვალებდ“ (201 r — 201 v).

ძეგლის გადამწერი აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელია, ამიტომ დედანი, რომელშიც დასავლური ქართული მეტყველების დამახასიათებელი ფორმები დასტურდებოდა, არ მოსწონდა (ეუცხოებოდა) აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველებაზე ყურმოჭრილ მწერალს. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ამავე ხელნაწერის 139-ე ფურცლის არშიაზე გადამწერს ძირითადი ტექსტიდან გამოუტანია ბარე სიტყვა და მიუწერია: „ბარე მ ე რ უ ლ ი ა“. სამწუხაროდ, გადამწერი ხშირად უშვებს შეცდომებს ამა თუ იმ სიტყვის დაწერისას, ამის გამო ძნელი არის, გადაჭრით ვამტკიცოთ, მას უნდა დაეწერა „ი მ ე რ უ ლ ი ა“, თუ „მ ე გ რ უ ლ ი ა“. ყოველ შემთხვევაში, აშკარა ის არის, რომ გადამწერი გუ-

ლისხმობდა დასავლურ ქართულ მეტყველებას. რასაკვირველია, ჩვენ სრული უფლება გვაქვს, არ დავეთანხმოთ გადამწერს, რომ ბარე დასავლური ქართულის კუთვნილება არის, მაგრამ არსებითი მაინც ის არის, რომ გადამწერი საჭიროდ თვლის, მიუთითოს ამა თუ იმ, მისი აზრით, დიალექტური მოვლენის სადაურობის შესახებ. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გადამწერს აღმოსავლურ ქართულ დიალექტთათვის დამახასიათებელი არაერთი ფორმა შეუტანია ტექსტში. ორიოდე ნიმუში: არცა სომს (14 v); ვსო და ვიხარებდე (129 v); მან მრჭო (30 v); ყოვილნი ფერად-ფერადნი (34 v); მან დამწუივა; ოდეს ჩამამკიდეს (179 v) და სხვ.

როგორც ჩანს, ეფრემ მცირე, ძველი ქართული კულტურის უდიდესი მოღვაწე, მესხი იყო. ილია აბულაძე ამის დამადასტურებლად მიიჩნევს ეფრემ მცირის შენიშვნას, რომელიც დაერთვის მის მიერ ქართულად გადმოღებულ სამოციქულოს თარგმანებას: „შეისწავე, რამეთუ ამას სჳნოღოროსსა, რომელ არს თანამოსარჩლე. მესხთა მიერ ვარქირი ჰქჳან, მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“ (19, გვ. 012—013). მკვლევარი დაასკვნის: „ცხადია, ეფრემი მესხურ მეტყველებას იმიტომ მიჰმართავს, რომ ის თვითონ მესხია“ (იქვე).

XI—XIII საუკუნეების ქართული კულტურის მოღვაწეთა შორის წამყვანი ადგილი ეკავათ სამხრეთ საქართველოს წარმომადგენლებს. ამის დასადასტურებლად საკმარისია დავასახელოთ: ბასილი ზარზმელი, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე, შოთა რუსთველი და სხვ. ცხადია, უდიდესი იყო მათი ზეგავლენა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე. ამას მიგვანიშნებს ბასილი საბათურის ანდერძი, რომელიც მის მიერ გადაწერილ კრებულს. (Jer.-33 XIII—XIV სს.) დაერთვის: „ვჰგონებ, რომელ მართლად დამიწერიარს (!), განა ესეცა უწყებულ იყავნ, რომელ დედასა შინა „მუნჭუესვე“ დიად ეწერა და მისად ნაცვალად „მეყსეულად“ დამიწერია და „ამარზაკისა“ ნაცვალად „მყის“. და ამისთჳს მესხთაცა შემინდევით. ენასა ქართველთასა ესე უკეთუ მოეგუარების“ (324 r—324 v). როგორც ეხედავთ, ბასილი საბათური, მისი აზრით, მესხურ მუნჭუესვე და ამარზაკ ფორმებს ცვლის. იგი ამის გამო მესხებს ბოდიშსაც უხდის: „ამისთჳს მესხთაცა შემინდევით“.

დოგმატიკონის მთარგმნელი არსენი იყალთოელი, დიდი მწერალი და მეცნიერი, წარმოშობით კახელია (ი. ლოლაშვილი, არსენი იყალთოელი, თბ., 1978, გვ. 41). დოგმატიკონის ტექსტში იკითხება „იკრეკ და იღრჭენ კბილთა და განიხერხები“. ერთ-ერთ ხელნაწერში (A-205 XIII ს.), რომლის გადამწერია ზაქარია ალავერდელი, ამ ადგილთან დაკავშირებით არშიაზე გაკეთებული არის შენიშვნა: „კახური ლექსი კრეჭაჲ“. ხოლო S-401 ხელნაწერში (XVIII ს.) იკი-

თხება: „ლექსი ქახური თჳს-ეყვის კბილთა: იკრეკ წინათა, იღრჭენ შუათა, იკრჭენ უკუანათა“ (335). აქ ერთმანეთს უპირისპირდება: იკრეკ—იღრჭენ—იკრჭენ (კბილთა). ეს არის ბგერწერის (ტერმინი პროფ. ტ. გუდავას ეკუთვნის) უაღრესად საინტერესო შემთხვევა. სხვა ამგვარი ფაქტის მინიშნება ჯერჯერობით არაა ცნობილი.

ლიტერატურა

1. დ. გენწაძე, გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში (სადისერტაციო ნაშრ.), თბ., 1952.
2. ბ. გიგინეიშვილი, ც. კოკვიძე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი (გელათური ეერსია): შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., 1966.
3. თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის პადიშის ძეგლში: ენიმკის მოამბე, IV$_2$, თბ., 1938.
4. ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში: იკე, VII, თბ., 1955.
5. ვ. იმნაიშვილი, კლავ შერეული კავშირებითის შესახებ ძველ ქართულში: ენათმეცნიერება, თსუ შრ., 187, თბ., 1977.
6. გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, თბ., 1974.
7. ი. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, თბ., 1966.
8. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
9. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
10. ლ. კაკნაძე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში; ორიონი, თბ., 1967.
11. ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იკე, I, თბ., 1946.
12. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.
13. ალ. ონიანი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის მორფემათა ხ და ჲ სეგმენტების დიაქრონიული ურთიერთმიმართება ქართულ ზმნაში: ენათმეც. ინსტ. XXVI სამეც. სესია (მუშ. გეგმა და მოხს. თეზისები), თბ., 1970.
14. ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.
15. გ. როგავა, ხანმეტობისა და პაემეტობის საკითხისათვის: ქუთ. პედ. ინსტ. შრ. XV, ქუთ., 1956.
16. გ. როგავა, აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VI, № 8, თბ., 1945.
17. ზ. სარჯველაძე, ხანმეტ. და პაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, თბ., 1971.
18. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
19. საქმე მოციქულთა, გამოსცა ალ. ამბულაძემ, თბ., 1950.
20. ს. შანიძე, პაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტუმ, III, 1923.

21. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: თხზულებანი, II, თბ., 1981.
22. ა. შანიძე. ჰაემეტობა ადიშის სახარებაში: თხზულებანი, II, თბ., 1981.
23. ა. შანიძე, მწყრივთა მოძღვრებისათვის, V, სხვა უცნობი მწყრივი ქართულში: თსუ სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხს. თეზისები), თბ., 1948.
24. ა. შანიძე, მწყრივთა მოძღვრებისათვის, II, ერთი უცნობი მწყრივი ქართულში: თსუ სამეცნიერო სესია (მოხს. თეზისები), თბ., 1946.
25. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
26. მ. შანიძე, ჰაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის ერთ სინურ ხელნაწერში: ხელნაწ. ინსტ. მოამბე, I, თბ., 1959.
27. მ. შინჯიაშვილი, ეშინიან თუ ეშინია? უჩენიან თუ უჩენია? ჰქვიან თუ ჰქვია?: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, თბ., 1972.
28. არნ. ჩიქობავა, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის: ჩვენი მეცნიერება, III, № 3—4 (15—16), ტფ., 1925.
29. არნ. ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ეეფხისტყაოსნის“ მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურაში: იკე, XV, თბ., 1966.
30. არნ. ჩიქობავა, ყუ ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკალოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: წელიწდეული, I—II, ტფ., 1923—24.
31. თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბ., 1976.
32. შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
33. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
34. К. Д. Даниелия, Древнегрузинские версии Пророчества Иеремии и их язык (ავტორეფერატი). Тб., 1965.
35. G. Deeters, Die kaukasische Sprachen, Leiden (Koln), 1963.
36. G. Deeters, Das khartwelische Verbum, Leipzig, 1930.

VI თავი

XI—XV საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტთა ძირითადი ენობრივი თავისებურებანი

საისტორიო დოკუმენტების მნიშვნელობა ენის ისტორიისათვის. ისტორიული დიალექტოლოგიისათვის ძალზე დიდია. საისტორიო საბუთები უმთავრესად ცოცხალ მეტყველებას ემყარება. ამის გამო ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი მათში მკვეთრად ვლინდებიან. საისტორიო საბუთის შემდგენელი ნაკლებად არის შეზღუდული სალიტერატურო ენის ნორმებით. თუმცა ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვეულებრივ, საისტორიო დოკუმენტთა შემდგენელნი სალიტერატურო ენის დიდ გავლენას განიცდიან, ცდილობენ სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას[1]. ხშირად მთული ფრაზებია აღებული ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან. ხშირია ტრაფარეტული შესავალი და დასასრული.

XI—XV საუკუნეთა ქართული საისტორიო დოკუმენტები მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან ქართული ენის ისტორიისათვის. რა თქმა უნდა, აქ დიდ როლს ასრულებს შემდეგი ფაქტორები: სად არის დაწერილი ესა თუ ის საბუთი, ვინ არის დამწერი, ვედანი გვაქვს თუ პირი, რა დროისაა ვედანი, ან პირი და სხვ.

საბუთების ერთი დიდი ნაწილი გაცემულია საქართველოს სამეფო კარის, ან კიდევ ეკლესია-მონასტერთა მიერ. ამ ტიპის საბუთები არსებითად თავიანთი ეპოქის შესაბამისი სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით არის გამართული. მათში დიალექტიზმთა, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმათა მოძიება საკმაოდ ძნელია. ერთი გარემოებაც არის აღსანიშნავი: სამეფო კარის მიერ გაცემულ საბუთთა დიდი უმრავლესობა დაწერილია მხედრულად, ხოლო საეკლესიო საბუთთა დიდი წილი — ნუსხურად. ნუსხური ანბანი შეიცავდა რიგ ნიშ-

---

[1] ამას აღნიშნავს თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი საისტორიო დოკუმენტებს განიხილავს. რამდენადმე ამითვე აიხსნება ის სკეპტიკური დამოკიდებულება, რომელსაც ირჩენდა საისტორიო დოკუმენტთა მიმართ რუსული ენის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ა. სობოლევსკი (11, გვ. 11—12).

ნებს (ჲ, ѳ, ѕ), რომელთა შესატყვისი ბგერები ენას უკვე დიდი ხანია აღარ გააჩნდა, მაგრამ ეს ასოები იხმარებოდა როგორც ამ დროის საეკლესიო მწერლობის ძეგლებში, ასევე საისტორიო დოკუმენტებშიაც. უფრო მეტიც, ნუსხურის ორთოგრაფიის ზეგავლენით **აი, ეი, ოი, უი** ჯგუფები საკმაოდ ხშირია მხედრულად დაწერილ საბუთებშიაც.

ძალზე მნიშვნელოვანია ისტორიული დიალექტოლოგიისათვის ის მონაცემები, რომელთაც გვაწვდის ქართლის სხვადასხვა კუთხეში დაწერილი საბუთები. ხშირად ამგვარი საბუთები (თუ ტრაფარეტულ გამოთქმებს არ მივიღებთ მხედველობაში) დიალექტური ტექსტების შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთია სხვადასხვა დავის გადაწყვეტილებათა დაწერილები, ვენახის, სახნავ-სათესი ადგილების ბოძების სიგელები და მისთ. უდავოა, რომ ამგვარ სიგელებს ადგენდნენ ადგილობრივი პირები, თანაც ამ საბუთთა დანიშნულება ისეთი იყო, რომ ისინი ნაკლებად განათლებული წრისათვის უნდა ყოფილიყვნენ გასაგები. ყველაფერი ეს განსაზღვრავდა ამგვარ სიგელ-გუჯართა ენის დემოკრატიულობას. ცხადია, ამ ტიპის სიგელთა შემდგენლები თავიანთი განათლებითაც, სალიტერატურო ენის ნორმათა ცოდნითაც ვერ შეედრებოდნენ სამეფო კარის საბუთთა შემდგენლებს.

არის ერთი ჯგუფი საბუთებისა, რომლებიც შედგენილია ქართულის სუსტად მცოდნეთა მიერ. მხედველობაში გვაქვს სვანეთის საისტორიო დოკუმენტთა დიდი ნაწილი. ეს საბუთები დაწერილია სვანთა მიერ. ამას მოწმობს სვანურ სიტყვათა (**უსგუაშდი** „სამოცი“, **ვარგ** „აზნაური“ და მისთ.) და სვანური ფონეტიკისა და გრამატიკისათვის დამახასიათებელ მოვლენათა გამოვლენა ამ საბუთებში. მეორე მხრივ, ეს საბუთები მნიშვნელოვანია დასავლური ქართული დიალექტებისათვის დამახასიათებელი ზოგი მოვლენის ასახვითაც (საბუთები შედგენილია, რა თქმა უნდა, სვანების მიერ, მაგრამ ქართულად. საფიქრებელია, სვანებს მაშინ სალიტერატურო ქართული ვერ ეცოდინებოდათ; ალბათ მათთვის ბუნებრივი იყო ის ქართული მეტყველება, რომელიც მაშინდელ დასავლურ დიალექტებში რეალიზდებოდა).

ძალზე მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორი: დედანი გვაქვს, თუ პირი. პირები შესაძლოა ძველიც იყოს, ან კიდევ გვიანდელი. ენის ისტორიკოსისათვის თანაბარი ღირებულება ვერ ექნება XI საუკუნის საბუთის დედანს, ან ამავე დროის საბუთს, ოღონდ მოღწეულს XVIII, ან XIX საუკუნის პირით. პირში, ჩვეულებრივ, აისახება გადამწერისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებები. ისიც შესაძლებელია, რომ გვიანდელი პირი კარგად იცავდეს დედნის ნორმებს, მაგრამ ენის ისტორიკოსი ვალდებულია, ყოველთვის კრიტიკულად უყურებდეს პირს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სრულებით უარი ვთქვათ პირების მონაცემთა გამოყენებაზე ენის ისტორიის კვლევისას. მაგრამ ამ მონაცემე-

ბის მოხმობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ანალოგიური ენობრივი მოვლენები ცნობილია ამავე ეპოქის სხვა წერილობითი ძეგლებიდან. ხოლო თუ ისინი იზოლირებულ ხასიათს ატარებენ, უარი უნდა ვთქვათ მათ დამოწმებაზე. მაგალითად, XIX საუკუნის ერთ-ერთი პირი ფ გრაფემას გამოავლენს. ამავე დროს ცნობილია, რომ XI—XV საუკუნეთა წერილობითი ძეგლებისათვის (სიგელთა დედნები, საეკლესიო და საერო მწერლობის ძეგლები, წარწერები ...) უცხოა ფ გრაფემა. ამის მიხედვით, ფ გრაფემა ამ პირში უნდა დავახასიათოთ, როგორც მისი გადამწერის შემონატანი. რა თქმა უნდა, სრულიად უადგილოა ამ ფაქტის გამო მსჯელობა /ფ/ ფონემის არსებობის შესახებ ენის ფონემატურ სისტემაში.

ქართული ენის ისტორიისათვის საყურადღებო შედეგებს გვაძლევს ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისა და საისტორიო დოკუმენტთა მონაცემების შედარება, V—XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლები ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ არაერთ მოვლენას გამოავლენენ. ამ მხრივ ისტორიულ დოკუმენტებში დიდ სიახლეებს არ უნდა მოველოდეთ. პრინციპული მნიშვნელობა იმ ფაქტს ენიჭება, რომ ზოგჯერ შეიძლება მთელი სქელტანიანი ხელნაწერი წაიკითხოს კაცმა, რაიმე „დარღვევა“ ძალზე იშვიათად, ან თითქმის ვერ იპოვოს, მაშინ როცა ისტორიული საბუთები ამ მხრივ გაცილებით მეტ მასალას იძლევიან. ერთ რომელიმე პატარა საბუთში შეიძლება იმდენი საინტერესო ფორმა აღმოგვაჩნდეს, რამდენის მოპოვებასაც რამდენიმე ხელნაწერის წაკითხვა დასჭირდებოდა.

ვფიქრობთ, ისტორიული დოკუმენტების ენის კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც ადრეული, ისე იმავე ეპოქის სხვა წერილობით ძეგლთა მონაცემები. ენის ისტორიის მკვლევარი ვერ დაემყარება მხოლოდ საისტორიო დოკუმენტთა მონაცემებს, ისე როგორც მათი გაუთვალისწინებლობა ვერ მოგვცემს შესაძლებლობას, რამდენადმე მაინც სრულად წარმოვადგინოთ ენის ისტორიის სურათი.

ორთოგრაფია და ფონეტიკა. XIV—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში აისახება /ჯ/>/ხ/ პროცესი: გუეაჯნეს და **მოგუახსენეს**, Sd.-380 (სიგელი კონსტანტინე მეფისა ფეროზ ვალადემურიშვილის მიმართ, 1407—1411 წწ.). შდრ.: ვისმინეთ აჯა და მ ო გ ს ე ნ ე ბ ა მათი, იქვე; **მოგახსენეთ** თქუენ, Ad.-626 (დაწერილი კალაურელთა მიერ კათალიკოს დავითის მიმართ, 1453—1459 წწ.); ესე წიგნი **მოგახსენეთ**, იქვე; **ათას-ათასი** თანგი **მოგახსენოთ**, იქვე; ჩემით ღონითა **დავიხსენ** ის ქუაბი, ლენინგრ. H-71 (გიორგი ჭაფშას ძის დაწერილი, 1450 წ. ახლოს); ესე წიგნი ნასყიდობისა დაგიწერე და **მოგ[ა]ხსენე**, Ad.-19 (ვენახის ნასყიდობის წიგნი, XV ს.); და სხუა **დავიხსენ**, ლენინგრ. H-72 (ნაყიდობის წიგნი შარბის ძეთა ქაფშაძეთა მიმართ, 1450 წ. ახლოს); ესე წიგნი და პირი

ვიხსენეთ, Ad.-125 (ერთგულების წიგნი მიცემული გაბრიელ ალაველდელის მიერ დავით კათალიკოზს, 1466—1479 წწ.).

Ad.-1284 ა გამოაელენს ისეთ ფორმას, სადაც ჯ>ხ პროცესი ხდება ისეთ შემთხვევაშიაც, როცა ჯ-ს ს არ მოსდევს: ბარითა, ველითა, ვენახითა, ჰალითა.

ხშირია ჯ-ს ადგილას ხ Ad.-1669-ში (სიგელი კონსტანტინე მეფისა მაღლანიძეს, 1472 წ.): **ვენახითა, სახნავითა, სახმრითა და უხმრითა; ხელითა.**

სალიტერატურო ენაში გამოვლენილი მასალის მიხედვით, X საუკუნისათვის სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტში ხდება /ჯ/ : /ხ/ დაპირისპირების მოშლა.

XIV—XV საუკუნეთა ის ისტორიული დოკუმენტები, სადაც ჯ/ხ შენაცვლება აისახება. უპირატესად ქართლურის მეტყველებას ემყარება. საფიქრებელია, რომ ამ დროის ქართლურში (ყოველ შემთხვევაში, ამ დიალექტის ერთ ნაწილში, შესაძლოა, სამხრეთ საქართველოს მომიჯნავე არეალში მაინც) /ჯ/ : /ხ/ ოპოზიცია იშლება.

ვ უ · /ვ/-სა და /უ/-ს გამომხატველ გრაფემათა სისტემატური ურთიერთშენაცვლება დასტურდება სვანეთის საისტორიო დოკუმენტებში. განსაკუთრებულ ყურადღებას ის იქცევს, რომ უ არის ძალზე ხშირად იქ, სადაც სალიტერატურო ქართულში ვ გვაქვს: ჯ ე უ ს ა, თ ა უ ს მ დ ე ბ ო ბ ი თ ა, შეუ ...

ეს მოვლენა შემთხვევითი არაა. ამ საბუთთა დიდი უმრავლესობა სვანების მიერ არის შედგენილი. სვანურში კბილბაგისმიერი /ვ/ არ გვაქვს, მაგრამ არის წყვილბაგისმიერი /უ/. სვანი, ბუნებრივია, ქართულად წერისას ვ-ს ადგილას უ-ს წერს.

X—XIII საუკუნეთა სასულიერო მწერლობის ძეგლებში დასტურდება ვ-სა და უ-ს გამომხატველ გრაფემათა მონაცვლეობა, რაც მიუთითებს, რომ ცოცხალ მეტყველებაში, რომელსაც ამ დროის სალიტერატურო ენა ემყარება, /ვ/ : /უ/ ფონემატური ოპოზიცია იშლება.

XI—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში ვ გვხვდება იქ, სადაც უ არის მოსალოდნელი: **ყოვლითა მზღვრითა** (სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმის მიმართ, 1057 წ.); **ბეშქენს სიცოცხლესა და გამარჯვებაი ულოცვიდენ**, კორიდეთის სახარების მინაწერი, 5 r (XIII ს. II ნახ.).

უ/ვ მონაცვლეობა ხშირია XV საუკუნის ისეთ საბუთებში, როგორიცაა: Ad.-14 (მამულის შეწირულების წიგნი მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის, 1412—1443 წწ.), Ad.-19; Ad.-125; Hd.-11634 (ყმა-მამულის წყალობის წიგნი მიცემული ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზევდგენიძისათვის, 1429 წ.) და ზოგი სხვა.

მას შემდეგ, რაც ვ და უ გრაფემათა ხმარების თავდაპირველი წესი მოიშალა, ზოგ საბუთში თავს იჩენს უ იქ, სადაც ადრე ვ იწერებოდა.

ნებითა და შეწეუნითა ღმრთისათა, Sd.-380; ქართუელთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, Ad.-1284; აღმოსაულეთისა და დასაულეთის თ ე ი თ-მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი ს ა, Ad.-14.

ბაგრატ IV-ის 1057 წლის სიგელში გვაქვს მწუვალებელთა ფორმა, რომელიც კონტამინაციური დაწერილობის ნიმუშია: მწვალებელთა+მწუალებელთა>მწუვალებელთა. ამ რიგის კონტამინაციური დაწერილობანი ენის ისტორიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია (შდრ.: ჯხ, ხჯ, გქ და მისთ. დაწერილობანი).

ისტორიული დოკუმენტებიც იძლეიან იმის მტკიცების საშუალებას, რომ XI—XV საუკუნეთა ცოცხალი მეტყუელების გარკეეულ არეალში (ჩეენი ვარაუდით, სამხრეთ საქართველოსა და ქართლის ტერიტორიაზე არსებული ცოცხალი მეტყუელება) /ჳ/ იშლება, იგი /ჲ/-ს ემთხეევა. ის, რომ ამაეე ეპოქისა და მოგვიანო ხანის ზოგ საბუთში გეხვდება უ, ტრადიციის ზეგაელენით უნდა აიხსნას.

ნუსხურად შესრულებულ საისტორიო დოკუმენტებში იხმარება ჲ, ჱ, ჳ გრაფემები. მათი ხმარება საკმაოდ ხშირად აღარ ემორჩილება არავითარ ნორმებს. ეს მოელენა შედეგია ენის ფონემატურ სისტემაში მომხდარი ცელილებებისა.

ჲ ამ დროისათვის უკეე მოშლილი ჩანს. ამით აიხსნება ჲ-ს კლება იქ, სადაც იგი მოსალოდნელი იყო: მიწა (სახ. ბრუნვა), ოქროსა (ნათ. ბრ.), ოქროთა (მოქმ. ბრ.), მამისათა (ნათ. ბრ.) და მისთ.; ჲ-ს ზედმეტი დაწერილობა (ააშენაჲ, გააკეთაჲ, აკეთებაჲს და ბეერი სხვა). ზოგ შემთხვეევაში ჲ /ა/ ხმოვნის ადგილას არის დაწერილი.

ჱ ჩეენს დოკუმენტებში ძალზე იშეიათად იხმარება იქ, სადაც იგი ნორმათა მიხედვით /ეი/ დიფთონგს უნდა გამოხატავდეს. ეს არცაა გასაკვირი: /ეი/ დიფთონგი ენაში დიდი ხანია მოშლილია, ამიტომ ბუნებრივია, რომ ისეთ შემთხვევაში, სადაც ადრე /ეი/ დიფთონგი გვქონდა, ე გრაფემა იწერება. ჱ XII—XIV საუკუნეთა დოკუმენტებში, ჩეეულებრივ, უმარცელო უ-ს გამომხატეელი ნიშნის შემდეგ იწერება. ეს ორთოგრაფიული მოელენა, რომელიც X საუკუნიდან იჩენს თავს, საზოგადოდ მეტად ხშირია XI—XIII საუკუნეთა ნუსხურად დაწერილ წერილობით ძეგლებში.

ისტორიულ დოკუმენტებში უჱ დაწერილობა გვაქვს ადრინდელი ვე-ს ნაცელად: საქართუჱლო, მზრახუჱლ, მცნებაჲ სარჯულოჲ (1470—1474 წწ.).

ჳ გრაფემა საკმაოდ ხშირად გამოხატავს /უი/ დიფთონგს, მაგრამ დარღეეები აქაც შეინიშნება: ჳ ზოგჯერ შეცელილია უ-თი: წჳმა ‖ წუმა; ცჳლი ‖ ცული. არის შემთხვეევები ჳ-ს დაწერილობისა იქ, სადაც უ უნდა იწერებოდეს: გჳლი (გული) და მისთ. XV საუკუნის „მცნება სარჯულო“

საკმაოდ ხშირად ჯ-ს იყენებს ჲი მიმდევრობის აღმნიშვნელად: **განზრახჯთა, რისხჯთ, შჯლითა.**

განვიხილოთ ძირითადი ფონეტიკური პროცესები.

ასიმილაცია. მე-2 ობიექტური პირის **გ** ნიშანი ყრუვდება ყრუ ბგერათა წინ /გქ>ქქ, გკ>კკ/, შემდგომში ორი იდენტური თანხმოვანი ერთი გრაფემით გადმოიცემა: **გქონდეს>ქქონდეს>ქონდეს:** მე, ბეგასა, ჩემითა ჯელითა დამიმტკიცებია, **ქონდეს** ჩუენსა ერთგულებასა შინა, Hd.-1353 (დაწერილი მსახურთუხუცეს ბეგა სურამელის მიერ ქუაფქუა ჯომარდისძის მიმართ, 1260—1300 წწ.); ქონდეს თქუენ ზედგენიძეთა, Hd.-11634 (წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზევდგინიძის მიმართ, 1429 წ.); **ქონდეს** და გიბედნიეროს ღმერთმან, Hd.-130 (სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული ატენის მოურავის საგია თურმანიძის მიერ, 1465 წ.).

გკ>კკ: გკადრეთ>კკადრეთ>კადრეთ: ესე გასათავებელი პირი კ[ა]დრეთ და მოგახსენეთ თქუენ, ცსსა 1448; ფ. 531 (სიგელი გიორგი მეფისა დავით კათალიკოზის მიმართ, 1457 წ.).

თგ>დგ: ერთგულ>ერდგულ: ერდგულად მსახურებასა შინა მეფობისა ჩუენისასა, სიგელი დავით მეფისა ზარდახნისუხუცეს ვახტანგ თულაისძეს, 1285 წ.; ქონდეს ჩუენსა **ერდგულებასა** შინა, Hd.-1358: ვერავინ გეცილებოდეს **ერდგულად** მსახურებასა შინა, Hd.-11626 (სიგელი გიორგი ბრწყინვალისა მეაბჯრეთუხუცეს შალვას მიმართ, 1339 წ.); დიდად **ერდგულთა,** Hd.-11634.

საუკუნითგან>საუკუნიდგან: რომელი **საუკუნიდგან** სათნო-ეყუნეს უფალსა, Ad.-5 (დაწერილი ძაგან აბულეთისძისა შიომღჳმის მიმართ, 1259 წ.).

ძუელითგან>ძუელიდგან: რაიცა მას სოფელსა **ძუელიდგან** ჰქონებია, Ad.-5: რაიცა **ძუელიდგან** არა ზედა სდებია, სიგ. მიქელ კათალიკოსისა.

ვინათგან>ვინადგან: ვინადგან, Hd.-1360 (წყალობის სიგელი ანდრონიკე მეფისა წითლოსან ქვენიფნეველის მიმართ, 1348 წ.).

ადრითგან>ადრიდგან: ადრიდგან მჭონდა სასოებაი, სიგელი ჸიაბერისი შიომღვიმის მიმართ.

სდ>ზდ: მო-ს-დეგით>მო-ზ-დეგით: როდეს **მოზდეგით** კარს, ცსსა 1443 № 5027.

რასდომი>რაზდომი: ანუ მომავალთა მუნეე მყოფთა **რაზდომიცა,** Ad.-601.

სალიტერატურო ენაში ამ რიგის ფაქტები X საუკუნიდან იჩენს თავს.

XV საუკუნის საისტორიო დოკუმენტებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული **დ** ზოგჯერ **თ**-ს სახითაა გადმოცემული: **უცილებლათ** ყოველსა ადამიანისაგან, Ad.-1284: **შესაწევრათ** გამამტყუეს, ღენინგრ. H-71. ეს მოვლენა ასახავს მჟღერ ხშულთა დაყრუებას აბსოლუტურ ბოლოში.

ქართული სალიტერატურო ენის უფრო ადრინდელ ეტაპებზედაც გვხვდება მეღერთა აუსლაუტში დაყრუების შემთხვევები.

XIII—XIV საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში დასტურდება ვ-კრებ ზმნიდან ნაწარმოები მიმღეობები: **სა-კრეფ-ელ-ი** (არცა რას ვინ სთხოვდეს **საკრეფელსა**, რკონ. დაწერილი) და **მ-კრეფ-ელ-თა** (მონადირეთა, ხორბლის **მკრეფელთა**, Hd.-1360). ეს მიმღეობები მიუთითებენ, რომ ამ ზმნის ფუძისეული **ბ** დაყრუდა აუსლაუტში: **ვ-კრებ, ჰკრებ** და შემდგომში გავრცელდა იქაც, სადაც **ბ>ფ** გადასვლისათვის სათანადო ფონეტიკური გარემოცვა არ ჰრსებობს (შდრ.: უფრო ადრინდელი ძეგლებიდან: **შეკრიფა** საფასც დიდი, სვან. მრავალთ. 435, 22; და დავყვენ დღენი ესე შჯდნი მუნ, ვიდრემდე **შეკრიფე** ყოველი ნაყოფი მისი, Sin.-11 128 v, 15—16; **შემოკრფა** ყოველი ქალაქი ადგილსა მას, იქვე 180 v, 2).

დისიმილაცია. ღიაობის მიხედვით ხმოვანთა დისიმილაციის ნიმუშებად მიგვაჩნია **ოა, ოე კომპლექსთა უა, უე** მიმდევრობებად გადაქცევა:

ცხოარ>ცხუარ: ცხუარნი მათნი, Hd.-1351 (სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმის მიმართ, 1170 წ.); და არა ვისი წამიგია ამას შიგა, რომე ასი ცხუარი და ექუსასი თეთრი პატრონმა მამა ჩემმა მიბოძა, რკონ. დაწერილი (1259 წ.).

ყოველ>ყუელ-ა: მაშინ ბაღდადური ალაფი **ყუელაი** ეფად იყო, რკონ. დაწერილი; ბ[რძანე]ბა და ნიშანი ჰქონდ[ე]ს **ყუელა**, Hd.-11627; **ყუელა** შენ მოიკ[უ]ლიე, Hd.-2199 (მამულის წყალობის წიგნი მიცემული მეფე დავითის მიერ ეზოს ჩუხჩარეხ პიპასთვის, 1365 წ.); მისმცა **ყუელასა** მადლითა კრულია ცათა შინა, Ad.-81 (შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიომღვიმის მიმართ, პირი, XIX ს.).

ამ რიგის ფაქტები ცნობილია ძველი ქართულის ძეგლებიდანაც.

ლ—ლ>ლ—რ: უკლებლად>უკლებრად: უკლებრად, Hd.-11634, შდრ.: უ კ ლ ე ბ ლ ა დ, იქვე.

ნ—ნ>ლ—ნ: მონაზონ>მოლაზონ: თუითოი **მოლაზონი** რიგ-მოღებით ჟამსა წირვიდეს, რკონ. დაწერილი; [მღ]დელთ-**მოლაზონთა** და მთავარდიაკონთაგან, Ad.-601 (სიგელი გიორგი მეფისა ქვათაკვეის მონასტრის ბერების მიმართ, 1460 წ.); მღდელთა და **მოლოზონთა** პატივისმცემელნი, მცნებაჲ სარჯულოჲ და სხვ.

მოლაზონ სალიტერატურო ენაში X საუკუნიდან გვხვდება და აქ გვაქვს დისიმილაცია ბგერათწარმოების რაგვარობის მიხედვით.

შთ>*შჩ>რჩ: შთობა>*შჩობა>რჩობა: ანუ **ჩამოარჩონ**, Hd.-1351.

შთ>*შჩ>რჩ: მე შინა ეზომი **დამრჩა**, რკონ. დაწერილი (3, შვ. 228—230).

სძ>რძ: ვინცა და რომელმან სჯულისა და კ[ა]თალიკოზისა **ურჩად**

უხუცდრი ცოლი შეირთოს, ანუ სჳნაჲ, ანუ მეყჳსი, ანუ **რძალი**, მცნებაჲ სარჯულოჲ.

მეტათეზისი. თრვ>თურ: [ა]**თრვამეტ>თურამეტ:** დაიწერა ბ[რძანე]-ბაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა **მეათურამეტესა**, Ad.-81 (სიგელი მეფისა შიომღვიმის მიმართ 1196 წ.); შდრ.: რომელსა დაეყო **ათურამეტი** წელი, სინ. მრავალთ. 144, 7; აჰა, ესერა, **ათურამეტი** წელი არს, ლ. 13, 16 C და მისთ.

მთრვალ>მთურალ: დაიცევ თავი შენი სიძვისაგან, ტაცებისაგან, სიხარბისაგან, დიდისა სიცრლისაგან, **მთურალობისაგან**, მცნებაჲ სარჯულოჲ, შდრ.: უგონურობისა **მთურალობითა** დაუტევა, იელ. იადგ. 119 v, 8.

იერუსალემ>იელუსარემ: ნუცა **იელუსარემს** და მთაწმიდას, ლენინგრ. H-72; **იელუსარიმის** და ანტიოისა პატრიაქი, მცნებაი სარჯულოჲ.

XV საუკუნის Ad.-14 გამოავლენს **მხთისაჲნი** ფორმას, რომელიც მეტათეზისის, ბგერათდაკარგვის და ასიმილაციის გზით არის მიღებული: **ღმრთ>მღთ>მხთ:** და ყოველნი წმიდანი **მხთისაჲნი.**

ბგერათდაკარგვა. ა ხმოვანი დაკარგულია გაცვეთის გზით[1]: **არა>არ:** არ დავიშურევეთ, Hd.-1348 (წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზევდგინიძის მიმართ, 1430 წ.); **არ** მოგეშალოს, იქვე; **არ** ეთხოვებოდეს **არ** ულუფა, **არ** გუთნისთავი, **არ** სამეჯინიბეო და **არ** საახორსარლო, **არ** სამუშაო, **არ** ზროხა, **არ** საკლავი, **არ** გოჭი, ქათამი და **არ** საველიერო და არა სათხოვარი, **არ** დიდი და **არ** მცირე, არასთანა არა, Id.-1369; სრულიად **არ** ეთხოვებოდეს **არ** ულუფა, Hd.-1369 (სითარხნის კანახლების წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ თბილელ-მანგლელ იოანე მოძღურისათვის, 1441 წ.).

ცა>ც: და იმაზედა **ჩუენც** განთავისუფლებით გამყოფენით ასრე, Sd.-143: **არცრა** ჩუენი საყალნო და სასამსახურო თქუენ ინდომეთ, იქვე; შდრ.: **რასაც** იგი იქმს, ი. 5, 19C.

ზედა>ზედ: არის ვენაჯთა ბოლოსა ონასშვილის **გვერდზედ**, Ad.-14 ა. შდრ.: და **ზედ** დადგრომილისა მბრძანებელ-ყოფაჲ ამის ეგონოს, A-217 13 v, 7—10 a: **ზედ** მოიხილა და დადნეს წარმართნი, ამბაკუმ 3, 6 г,

შიგა>შიგ: და ღობეშიგ, რაც ამ ერთისა გლეხისა არის, Ad.-14 ა.

იკარგვის ე: ამავე>ამავ: ამავ ეკლესიას დავდევ, კორიდ. სახარ. მიწაწ. 3 v (XIII ს. II ნახევ.).

უმარცვლო უ იკარგვის: უკუეთუ>უკეთუ: უკეთუ ვინმე ესე ჩემგან გაგებული და შენსა სამკუიდრებელსა შემოწირული შეცვალოს, რკონ. დაწერილი; უკეთუ დედოფალმან შესცვალოს, სცსსა № 2243.

ეგზომ>ეგზო: არა მოაკლდა **ეგზო**, სიგელი თამარ მეფისა (1209—1210 წწ.; ს. კაკაბაძის გამოცემა), 9, 12.

---

[1] ვრცლად ამ პროცესებზე მორფემათა და სიტყვათა გაცვეთის შედეგად მომხდარი ფონეტიკური პროცესების შესახებ (10).

იკარგვის მ: **ქმნ>ქნ:** სოფელი ავკეთი და იისციხე მოკითხული **ვქენით**, Hd.-1347; რაჲცა გამიჩენია, მისი **ქნაი**, რკონ. დაწერილი; ცუდ **ქნა** ამათ[ი] განბრახვაი, Ad.-15.

იკარგვის ლ: **რომელ>რომე:** და დავხედენ ესე, **რომე** არცა სას]ულიერო[დ და არცა საჯორციელოდ არა სჯობდა, Ad.-9 (მიქელ სურამელია მეუღლის ქაქანას დაწერილი, XIII ს.); და ვცანით, **რომე**, Ad.-1839.

იკარგვის რ: **ბრძ>ბძ:** ამა პატრონთა **ბძანებისა** მოწამე ვარ, Sd.-143.

გარნა>განა: განა მრავალმოწყალებამან და არდაეიწყებულებამან ქმნულებისა მისისამან, Ad.-15 (სიგელი გიორგი III-ისა საქართველოს ეკლესიის მიმართ, 1178 წ.).

ასრეთი>ასეთი: და თუ რამე **ასეთი** საქმე შეგუცოდოთ, Hd.-1348.

იკარგვის დ: მათი მონასტერი **კარგა** და საპატიოდ იყოთ, რკონ. დაწერილი.

დიდად>დია: მისითა წყალობითა **დია** მჭონდა, რკონ. დაწერილი; მათ ჟამთა შინა **დია** ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან, იქვე.

იკარგვის უ: **უკუანაჲსკნელ>უკანაჲსკნელ:** ნუ თ[ან]ამზრახუეს ექმნებით ამა **უკანასკნელისა** სიცრუჱთა, მცნებაჲ სარჯულოჲ.

იკარგვის გ: **ეგზომი>ეზომი:** მე შიგა **ეზომი** დამრჩა, რკონ. დაწერილი.

იკარგვის ბგერათკომპლექსები: **არიან>ან:** ვითა ძუელითგან უსაბანჯრონი **უოფილან**, Ad.-15; **უოფილან**, Hd.-11625.

ვალს>ვა: ნუცა ჴელისოფალი **შევა**, ნუცა ციხისთავი, ცხირეთ-ცხაველრის სიგელი.

წაღმართ>წაღმა: წაღმა არა გეთხოვებოდეს, Hd.-1055; ვიყვენით დღეს და დღესითგან **წაღმა**, Ad.-125.

ბგერათგანვითარება. ვითარდება მ: ზღვარ>მზღვარ: ბორცუის ჯუარი **ყოვლითა მზღვრითა** მისითა, სიგ. მღუიმელთაი 95, 5—6; **მძღვრითა**, Hd.-1360.

საზღვარ>სამზღვარ: სამზღვარსა შიგან აშენებული, გიორგი III-ის სიგელი.

ძალ>მძალ: მძლითა და მეოხებითა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა (დავის გადაწყვეტილების დაწერილი). **მძლითა** ფორმაში მ განვითარებულია **მძლე** მიმღეობის თავკიდური მ-ს ანალოგიით.

საცხოვრებელი>სამცხორებელი: მოაყმარეთ **სამცხორებელსა**, რკონის დაწერილი.

ვითარდება **ნ: წმიდა>წმინდა:** თავსმდებობითა **წმინდათა** მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მღრდელთმოძღუართა, ვენაკის ბოძების დაწერილი. პირველად ამ რიგის ფაქტი Sin.-34-ში (932—940 წწ.) დასტურდება: ღმე ესე **სიწმინდით** ოხითა წ~სა ღმრთისმშობელისა, 7 v, 5—6. განსაკუთრებით ხშირია ამგვარი ფორმები წყაროსთავის ოთხთავში

(A-98. X ს.), სადაც წმიდა და წყმედა მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ გვხვდება. ბუნებრივია, რომ წმინდა, წყმენდა ხშირდება XI—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში.

ვითარდება რ: მღდელ>მღრდელ: მღრდელთმოძღუართა, Ad.-8 (დაწერილი ბეგა სურამელისა ტოტიბაისშვილთა მიმართ, 1247—1260 წწ.); ყოვლად ქებულთა მოწამეთა — მღრდელთმოძღუართა, Ad.-9 (დაწერილი მიქელ სურამელის ცოლის ქაქანასი ქვათაკვეის მონასტრის მიმართ, XIII ს.); რაიზომიცა მღრდელი არს, იქვე; ყოველნო მღრდელნო, Hd.-11628 (სიგელი გიორგი მეფისა ივანე თორელ-ჯავახიშვილის მიმართ, 1338 წ.); ყოველნო მღრდელთმოძღუარნო, Hd.-1360; ფილიპე მღრდელსა, Hd.-1055; შდრ.: არა ეტირ მე მღრდელთა, წარტყ. იერუს. (გარ.) 4, 32 I: მღრდელთა მათთჳს განწმედილთა, იქვე 5, 4 I; თუითცა მღრდელთმთავარ იქმნა, თარგმ. ქებ. ქებათ. 401, 15—16; შინა დაწესებულნი სჳმ. ღრდელონი კანონნი, იქვე 408, 2—3 და მისთ.

ბგერათშერწყმა. დს>თს>ც: გუმრცა ლახურითა მოწყალულმან აღმოგჳცენა უკუდავებაი, მცნებაი სარჯულოი, 1470—1474 წწ.

კონტამინაცია. Sd.-380 გამოავლენს მსგზაუსიერ ფორმას: მისი სამუქფო მსგზაუსიერი სამსახური, რაცა გუიყონ, მასცა შევსჯერდეთ. მსგზაუსიერი კონტამინირებული ფორმაა: მსგავსი+მგზავსი (მგზავს კი ასეა წარმომდგარი: ჯერ მოხდა რეგრესული კონტაქტური ასიმილაციური გამჟღერება: მსგავს>მზგავს, შემდგომში — მეტათეზისი: მზგავს>მგზავს).

სახელები

ისტორიულ საბუთებში გვხვდება ისი||ის ნაცვალსახელი: ჟამსა ისიცა უწირევედეს. Sd.-143 (XV ს.); დავიხსენ ისი ქუაბი, ლენინგრ. H-71 (1450 წ. ახლოს).

ისი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში (შდრ.: 4, გვ. 226; 5, გვ. 6).

და ვიხილო ხილვაი ისი დიდი, კალ ლექც. 12, 24—25 b; რას იტყჳს ყორანი ისი, საკითხ. წიგნ. 119, 17; 119, 21; ამას იტყჳს ყორანი ისი, იქვე 119, 23; ვინ არს ისი კაცი, რომელი ვალს ველსა ზედა, პარიზ. ლექც. 24 v, 3—4 a.

ის ძველ ქართულში არ ჩანს, მაგრამ დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“:

ვუთხარ: „მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ის ხე, 632, 4;
ვარდი დამჭკნარი ეკალთა შუა, შორს მყოფი, ახ ის ა! 690, 4.

„მცნებაი სარჯულოი“ გვიჩვენებს ეს ნაცვალსახელს:
არისმცა მისთჳს ეს სოფელი მოკლე.

სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი მოვლენები:

ა) მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად, ჩვეულებრივ, გვხვდება -**მან** სუფიქსი, მაგრამ გვაქვს -**მა** და, იშვიათად, -**მ** ვარიანტებიც:

მა:

ესე ჯელი დავწერეთ ჩუენ, კრიხმან **სოფელმა**, ჯელი დაწერილი სოფელ კრიხის მიერ (XI ს.); ამათვე სამთა სოფელთა **რუეფმა, შიოსუბან-მა** და ჩუქუნურთა (სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმის მიმართ); აგარისა **სოფელმა** ერთი ტაიჭი შეგუინახოს, იქვე; **ძმისწულმა დემნამა**, Ad.-7 (დაწერილი ჩაფქევასძეთა გრიგოლ ვერხუაისძის მიმართ, 1247—1260 წწ.); ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, ბურჯულთა: **კავთულამა** და **თევდორა-მა** და ჩუენთა შეილთა: **ბასილამა** და **მშუიდამა**, ბურჯულთა დაწერილი (XIII ს. ბოლო); **პატრონმა** მამამან ჩემმა, რკონ. დაწერილი; ვერვინ რა საქ<ა>მე დაიგოს შენს **მეტ<ა>მა**, Hd.-11627 (სიგელი გიორგი მეფისა გაშრეკელ ჯავახიშვილის მიმართ, 1345 წ.); დ[ა]გ[უ]იწყო მტერობაი **ბიძამა ჩუენმა**, Hd.-1589; დავითიან-**ბაგრატუნიანმა**, Hd.-1369 (სიგელი ალექსანდრე მეფისა იოანე თბილელ-მანგლელის მიმართ, 1441 წ.); ესე წიგნი მოგეც მე, **ღმრთისავარმა**, Hd.-1579 (მიწის გასხვისების წიგნი, XV—XVI სს. მიჯნა); რამანც **კაცმა** რასაც მიზეზისათუის შეგიშალოს, იქვე.

მან>მ:

რაიც ღალაი ჰმართებოდა ამას ადგილსა, **მომლამ მოიღო**, Ad.-7; ხუთასი თეთრი **ბიძამ** ჩემმა მიბოძა. რკონ. დაწერილი; მერმე **მდიქისაძემ** და დედამა ჩუენმა ქე დაიზაენეს, Hd.-1589.

ბ) XI—XV საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში საკუთარი სახელები მოთხრობით ბრუნვაში ხან დაირთავენ ბრუნვის ნიშანს, ხან კი ძველქართულისებურად ფუძის სახით არიან წარმოდგენილნი:

ესე დაწერილი დაგიწერე მე, მსახურთა უხუცესმან **ბეგამან**, (ადგილის მოცვლილობის წიგნი, XIII ს.); დაგიწერე დაწერილი ესე **ბეგამან** სურამელმან, ვენაჯის ბოძების სიგელი; მე, სურამელისა ბეგაისა შვილის მიქელის ცოლმან, **ჭაჭანამან**, Ad.-9; მაგრამ: **ვარაზ-ვაჩე** შემოსწირა ძისა მისისათჳს ფუთს გლეხი ბ, ნიკორწმ. სიგ. 45, 5—6; **ეფრემ** შემოსწირა ყანაჲ ბ, იქვე, 47, 17; ესე პატრონმან **მიქელცა** იპრიანა, Ad.-9 და მისთ.

საფიქრებელია, რომ ისტორიულ დოკუმენტთა საკუთარი სახელების უნიშნო ფორმები მოთხრობითში განპირობებულია ძველი სალიტერა-

ტურო ენის ზეგავლენით: ამ ეპოქის ცოცხალ მეტყველებაში ალბათ საკუთარი სახელი მოთხრობითში საზოგადო სახელის მსგავსად ფორმდებოდა. ეს მოვლენა საკმაოდ ადრე ჩანს ჩასახული. „სინური მრავალთავი“ არის ჯერჯერობით ცნობილ ძეგლთაგან პირველი, სადაც საკუთარი სახელი მოთხრობითში ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი:

დალილმან სამსონს თავი დაჰყჳნა, 213, 17; არამცა საჭურველისა შთაცუმაჲ უბრძანა **პავლემან** ნეტარმან, იქვე 261, 4—5.

IX—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში საკუთარ სახელებთან მოთხრობითის **-მან** ნიშანი საკმაოდ ხშირია.

გ) **-ა ემფატიკური ხმოვანი საკუთარ სახელებთან.** საკუთარ სახელთა ბრუნების საზოგადო სახელთა ბრუნებასთან გათანაბრების ერთი შედეგი ისიცაა, რომ საკუთარი სახელები ემფატიკურ ხმოვანს დაირთავენ საზოგადო სახელთა მსგავსად. ეს მოვლენა საისტორიო დოკუმენტებშიც იჩენს თავს:

ჩემსა ძმასა პატრონსა **კახოსა** და **ხათუთასა** დაუწერია, რკონ. დაწერილი. მოიხუნეს სიგელნი [დიდ]ისა მეფისა **გიორგისანი**, სიგელი დავით მეფისა ხეფინისჴეველთა და წაქველთა მიმართ, 1261 წ. **ანდრონიკესაგან** ბაგრატუნიანისა, Hd.-1360 (სიგელი ანდრონიკე მეფისა ქუენიფნეველ ლარგველისშვილ წითლოსანის მიმართ) და მისთ.

საკუთარ სახელთა **-ა** ემფატიკურ ხმოვნიანი ფორმების ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არსებობაზე მიუთითეს ს. ჩხენკელმა და ი. იმნაიშვილმა.

დ) **სადაობითი ბრუნვა.** საისტორიო დოკუმენტები გამოავლენს ფორმებს, რომლებიც თანამედროვე ქართულის სადაობითი ბრუნვის ჩამოყალიბების მიმანიშნებელია:

და **ღობეშიგ**, რაც ამ ერთისა გლეხის არის, Ad.-14; მუხათა **ყანაშიგა** ორის დღისა არის, იქვე.

შინა თანდებულის წინ მიც. ბრუნვის **-ს** ნიშნის დაკარგვის პირველი შემთხვევა, ჩვენი მასალების მიხედვით, Sin.-36 ხელნაწერში (932—940 წწ.) დასტურდება: რომელნი ვლენან ზღუასა **ამა შინა**, 108, 29—30 b

A-86 ხელნაწერში გვაქვს: რომელნი უცხოებასა და **შრომა შინა** იყვნენ, 29 r, 6—8.

„კარაბადინი“ მრავლად გამოავლენს ამგვარ ფაქტებს:

და **ჯორცშიგან** მუდმივად ცივად იყოს, 160 v, 1; შეტყობა უნდა, თუ ესე სიმსივნე **ღუიძლშიგნით** არის, თუ გარეთ, 164v, 10—11 და სხვ.

ზედა თანდებულის წინ დაკარგულია მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშანი:

და **იმაზედა** ჩუენც განთავისუფლებით გამყოფენით ასრე, Sd.-143, ფარებშია და გორგიასშვილის **გვერდზეა** ორის დღისა, **საგლახაოზედა**; Ad.-14; ორის დღისა არის წილკნურს **რუზედა**, იქვე; ბაბანთა **ჭედზედა**

ერთის დღისა, იქვე; შევსწირე წმიდას შიოს და ეე[ა]გრეს უდაბნოსა წყაროზედა ნაფუძარი, იქვე; იყვენით წყეულ, შეჩუსნებულ ცათა შინა, ქუსყანაზედა კრულ, მცნებაჲ სარჯულოჲ.

ე) მსაზღვრელ-საზღვრული. თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელისა და საზღვრულის სრული შეთანხმების წესი დარღვეულია:

აწ გაგუ[ი]შუია ნიანია მისითა მამულითა, ზითვად ნაჭონები ვეძისკევითა (სიგელი დავით მეფისა არიშიანის მიმართ, XII ს.); რათამცა აღმესუბუქოს ტუირთი მრავალ შეცოდებათა ჩემთა, სცსსა ფ. 1449, № 1523 (სიგელი გიორგი მეფისა მცხეთის სვეტიცხოველის მიმართ, 1448 წ.).

ძველი ქართული ენის ძეგლებში ამ რიგის ფაქტები სპორადულად შეინიშნება.

საისტორიო საბუთებში მსაზღვრელად გამოყენებული ესე, ისი ნაცვალსახელები ირიბ ბრუნვაში ამა, იმა ფუძეთა სახით გვხვდება:

ამამცა ზემო წერილთა მადლითა კრულია (დაწერილი შიომღვიმისა ტოხაისძეთა მიმართ); ამა ზემოწერილთა მადლმან, რკონ. დაწერილი; ამავ ეკლესიას დავდეთ, კორიდ. სახარ. მინაწ. 3v (XIII ს. II ნახ.); და ამა პირსა ზედა, Hd.-1301; და ამა პირსა ზედა, Sd.-143 (საყალნო გადასახადის წიგნი, 1412 წ.); ამა პატრონთა ბრძანების მოწმე ვარ (იქვე); იგი ყუალა ამა დაწერილითა გაგუიცუდებია, Hd.-11634 და სხვ.

იმა:

გამოარჩიონ იმავე წესიდა, Ad.-15.

ძველი სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, ეს მოვლენა პირველად Sin.-36 ხელნაწერში დასტურდება: მოწმობითა ღმრთისაჲთა და ყოველთა ამა ეკლესიისა კრებულთაჲთა, 360, 20—22.

ამა, იმა, მაგა მსაზღვრელად ხშირია „ვეფხისტყაოსანში“, „კარაბადინში“...

Hd.-1589 მსაზღვრელად ამ ნაცვალსახელსაც გამოავლენს:

ამ ყ[უ]ელასა მისისაგ[ა] ნ[ა]ქმარსა ემდუროდა.

ზმნა

1. პირის ნიშნებთან დაკავშირებული ძირითადი მოვლენები

არის შემთხვევები, როცა მოსალოდნელია, მაგრამ არაა წარმოდგენილი O_3 პირის ნიშანი:

ერთიც სოფელი არღა ქონდეს, რკონ. დაწერილი; სურამელსა თან

წაყვა ლიხთ (-იმერეთს), Hd.-1589 (დაწერილ-საჩივარი, XIII ს.); მერმე მუნით შემოქცეულს შემოყროდა გ[ა]მგის შვილი, იქვე.

S_2 და O_3 პირთა ნიშნების კლება ცნობილია ძველი ქართულიდანაც. პირის ნიშანი არის, ოღონდ მისი ფუნქცია არაა ნათელი:

და დარბაზის კართა მოურავთა **ჰნახონ**, რკონ. დაწერილი; თუ კათალიკოსმა **ჰნახოს**, იქვე; და წარმდებებით აღარ **ჰკაზმოს**, Ad.-81; და ვინცა სხუამან კაცმან **შესცვალოს**, სცსსა № 2243 (სიგელი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოვლის მიმართ, 1428 წ.).

ეს და მსგავსი ფაქტები მიუთითებენ, რომ S_2 და O_3 პირთა პრეფიქსები იმ არეალში, სადაც შედგენილია XI—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტები, უკვე მოშლილია.

2. ზმნისწინები.

XI—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში გაბატონებულია ზმნისწინთა გამარტივებული სახეობანი: **აღ>ა; გან>გა; წარ>წა; გარდა>გადა; აღმო>ამო; წარმო>წამო; გარდმო>გადმო** (აგრეთვე **შთა>ჩა; შთამო>ჩამო**). ეს ბუნებრივია, რადგან ზმნისწინთა სისტემაში ეს ცვლილებები გაცილებით ადრე მოხდა.

ყურადღებას იქცევს ზმნისწინთა დიალექტური (ვფიქრობთ, ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი) ფორმები, რომლებიც ჩვენს საანალიზო დოკუმენტებში იჩენს თავს: **მა; გამა; შა; შემა; შამო:**

შვილს[ა] და **მამავალთა** თქუენთა, ცსსა 1448, № 5027; **მამავალთა** შენთა მოგეცით ნაჭურდევი, მისით მზღვრითა, Hd.-14858 (დაწერილი ბარათასი თევდორე ბუეღულაშვილის მიმართ, 1461 წ.); **მამავალთა** ჩუენთაგან ერთისა სამსახურისა მეტი, Hd.-1301; და **მამავალთა** სახლისა თქუენისათა, იქვე; შვილიშვილთა და **მამავალთა** სახლისა თქუენისათა, ცსსა 1448 № 64 (სიგელი კონსტანტინე მეფისა ზაზა ფანასკერტელის მიმართ. 1467 წ.); გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა მკუიდრთა ყმათა დოლის ძეთა: ვარდიასა, გოგიასა, **მამესწარსა**, მიქიასა, ცსსა 1448, № 5027; **მამცეს, მამცა**, ლენინგრ. H-71; **გამამტყუეს**, ლენინგრ. H-71; პირად-პირადად ფესუედითა ოქროვანითა **შამკობილად**, ცსსა 1448, № 5025; ესე, რაცა **შემამიწირავს** და მომიკსენებია, Ad.-1839.

ანალოგიური ფაქტები დასტურდება XII—XV საუკუნეთა წარწერებსა და სხვა წერილობით ძეგლებში:

მათითა წყალობით ჰლად (!) არ **მამიგია**, საქ. მუზ. წარწ. № 42; და სისხლი შიგა **მამკუდარი** იყოს, კარაბადინი 79 v, 5—6; ოდეს **ჩამამკიდეს**, ანდრია სალოსი 179 v, 8—9; პური ერთობ მაგრად **გამამცხუარი** იყოს, კარაბადინი 120 v, 8—9.

3. -ოდ სავრცობიან ზმნათა უწყვეტელი და I კავშირებითი

არის შემთხვევები, როცა ოდ სავრცობიანი ზმნები -დ სავრცობიანთა შსგავსად უწყვეტელში მწკრივის ნიშნად -ი-ს. I კავშირებითში კი -ე-ს დაირთავენ:

უწყვეტელი:

არ გემართლებოდი და მით გაგიშუი, კორიდ. სახარ. მინაწ. 131 r — 132 v (XIII ს.).

I კავშირებითი:

ჩუენი სათხოვარი და შესაწირავი არა ეთხოებოდეს რა, Sd.-380; ტ[რაპეზი] გ[ა]რდ[ა]იჯდებოდეს კჳრიკე, კახთა მეფისათჳს, დაწერილი შიომღჳმის კრებულისა ტოხაისძეთა მიმართ: არაი ბარათი შევიდოდეს სურამელთა სახლისაგან, Ad.-9; ვერვინ გეცილებოდეს ერდგულად მსახურებასა შინა, Hd.-11626: არა ეთხოვებოდეს რა საჩუენო გამოსაღები, Ad.-14; მისის სამსახურის მეტი არა ეთხოვებოდეს რა, იქვე: და არა შოდგებოდეს რა, Hd.-1301: სრულიად არ ეთხოვებოდეს არ უღუღა. Hd.-1369: არას თანა არა ეთხოვებოდეს და არა ეწერებოდეს, Hd.-1371: მისი ღალა არა გეთხოვებოდეს, Hd.-1332: [არა]ვინა მეცილებოდეს, Hd.-11627; რომე არაფერი სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს, Sd.-143: არას თანა სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს, იქვე: და თუ დიდი და ნივთიანი რაიმე საქმე გამოჩნდეს, რომელი მათგან არ იქნებოდეს, მონასტერი დაუდგებოდეს, ანუ თუით მემღუიმე და კრებული ჩამოვიდოდეს, Ad.-81 და მისთ.

-ოდ და -დ სავრცობიან ზმნათა უღლების გათანაბრების ამსახველი ფაქტები ძველ ქართულშივე იჩენს თავს.

4. -ავ/-ევ თემისნიშნიან ზმნათა უღლება

-ავ თემისნიშნიანი ზმნები ზოგიერთ საისტორიო დოკუმენტში უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში -ევ ვარიანტს აბატონებს:

მამ[ა]ს ჩუ[ე]ნს ახლევდა, Hd.-1589: ანუ მუხრანსა ჰკნევდა, Hd.-1332; რ[ა]ს მოვსთ[უ]ლევდეთ, იქვე; ჟამსა ისიცა უწირევდეს, Sd.-143 (XV ს. დასაწყისი). საუფლო წირვასა თუ დაგუ[ა]კლებდეთ და [ა]რა გუიწირევდეთ, Hd.-1055: მაგრად არ იმარხევდეს, მცნებაი სარჯულოი.

ამგვარი ფორმები გაბატონებულია დღეს აღმოსავლურ დიალექტთა

ერთ ჯგუფში. ეს მოვლენა შედეგია -ავ/-ევ/-ჳ თემის ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობის მოშლისა: პარადიგმა გასწორდა ე ხმოვნიანი ვარიანტის გაბატონების შედეგად. არც ეს მოვლენაა უცნობი ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისათვის.

5. კონტაქტის წარმოების ზოგი საკითხი

XII—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში გამოვლინდება შუალობითი კონტაქტის -ევინ სუფიქსი:

მამასა ჩემსა მუხნარსა შენებასა შიგა თუის თავსა ერთსა დღესა სამუშაო ექნევინა მათთა სოფელთადა, სიგელი გიორგი III-სა შიომღვიმის მიმართ, (1170 წ.); ესე ვინცა გიქციოს და გაქნევინოს, კორიდ. სახარ. მინაწ. 131 v (XIII ს.); ამისთუის არაი გარდაგაჴდევინე, დაწერილი მურვანისი სრულად კორიდელთა მიმართ, კორიდ. სახარ. მინაწ. 76 v (XIII ს.); ჴურები და გ[უ]დაი კარგი დ[აა]თხრევინა, Hd.-1589; შდრ.: აბოყინებდეს და არწყევინებდეს, კარაბადინი 15 r, 6—7.

-ევინ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არ ჩანს.

საყურადღებოა, რომ -ინ კონტაქტის მაწარმოებელი ვრცელდება თავდაპირველი -ივ/-ი ნიშნის ადგილას:

და მას მისითა მოძღურობითა შემოეწირვინა წმიდისა შიოჲასთჳს, დაწერილი შიომღჳმის კრებულისა ტოხაისძეთა მიმართ (1189—1200 წწ.); დაათხრევინა და წა[ა]ღებინ[ა], Hd.- 1589; და [ე]რთს თავი ასყიდინა, იქვე.

6. ვნებითი გვარის წარმოება

სუფიქსიან ვნებითში ბატონდება -დ ნიშანი. იგი გვხვდება თავდაპირველი -ნ სუფიქსის ადგილას:

იგი შეწუხდებოდეს, სიგელი მიჯნაძროელთაი; გა-მცა-ურისხდების მამაი, ძე და სული წმიდაი, იქვე; სიგელი თამარ მეფისა გელათის მიმართ (1187 წ.).

ამ მოვლენის ამსახველი ფაქტები ძველ ქართულში IX საუკუნიდან იჩენს თავს და შემდგომში თანდათან ხშირდება.

უდეტრები

აქ ყურადღებას იქცევს ჭე ნაწილაკის გამოვლენა:

მერმე მდიქისაძემ და დედამა ჩუენმა ჭე დ[ა]იზავნეს, Hd.-1589.

XII—XIII საუკუნის ზოგ სიგელში უე ნაწილაკიც იჩენს თავს (6, გვ. 60):

თჳთ ადრითგან მამაობასა **ეწერაყე** საებისკოპოსოდ, ანდერძი დაჳთ მეფისა შიომღ. (1123 წ.); ჳითა გიორგი მეფისაგან ბოძებულსა სიგელსა შინა **უწერიაყე**, სიგელი დავით მეფისა ხეფინისჴეველთა და წიქველთა მიმართ, 1261 წ.; და რისაც ნადირობაი **გამოაჩნდესყე** და მოკლვაი, იქვე; მისი ნადირობაი არა **ჰქონდესყე**, იქვე.

ყე ნაწილაკი გეხვდება XII—XIII საუკუნეთა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს წერილობით ძეგლებში, მათ შორის გელათის ბიბლიაში (2, გვ. 157—158).

აჭან ზმნიზედა დასტურდება XIII ს. ერთ სიგელში: თჳთ **აჭან** ნაზარდი იყავ, Hd.-1586 (დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ბასილი ალავერდელის მიმართ, XIII ს.).

საბუთებში გეხვდება **აგრეთვე**, **ასრე** ზმნიზედები:

აგრეთვე თუ შიო და მისი შვილი მოვიდეს, Sd.-143; და იმაზედა ჩუენც განთავისუფლებით გამყოფენით **ასრე**, Sd.-143; **ასრე** ბზობასა დღესა რანიცა მწირველნი იყოთ, იქვე.

დასტურდება **ვინეთგან (ვინაითგან)**, **როდეს** (<**ოდეს**) ზმნიზედები:

ვინეთგან [მო]გუბერა ნიავ-სულნელმან, Hd.-11634. **როდეს** კურთხეულსა ქ[ათალიკო]ზ-პ[ატრიარქსა] დორეთეოზს თქუენთუის დიდკართა ორის დღის მიწა წაეღო, Hd.-1332 (ღალის ამოკვეთის წიგნი მოცემული კათალიკოზ ბასილის მიერ, 1495—1497 წწ.).

გამოელინდება **ზედან** თანდებული:

ამა **დაპირებაზედან** შეგიწყალენ. Sd.-380; ამა პირსა **ზედან**, იქვე. Hd.-14695 (მამულის წყალობის წიგნი მიცემული კონსტანტინე მეფის მიერ ახალციხის საღვინის მოლარეს ქაჲთარის ძეს, 1479—1505 წწ.) გამოავლენს **მდისინ** თანდებულს: მოტანებით **ღალათამდისინ**.

• • •

სიტყვათწარმოებიდან აღსანიშნავია ზოგიერთი სახელისა და მიმღეობის ორშვიათი ფორმები. **მე-** პრეფიქსითა და **-ურ** სუფიქსითაა ნაწარმოები **თანა მე-ცხედ-ურ-ი**[1].

თანამეცხედურმან ჩუენმან დედოფალმან თამარ, ცსსა 1448, № 5027 (სიგელი კონსტანტინე მეფისა ვარდია დოლის ძის მიმართ, 1464 წ.).

მე-||მ- პრეფიქსი და **-ე** სუფიქსი აწარმოებს: **მე- ქმ-ე**, **მე-ცდ-ე**, **მ-ჳირნ-ე** მიმღეობებს:

ჩუენისა მრჩუმისა და ამოდ-ყოფისათუის დღივ და ღამე თავდადებით **მექმე** და **მეცდე** და **მჳირნე** კაცი, Hd.-1348.

---

[1] **მე-ცხედ-ურ-ი** ფორმა თითქოს შესაძლებელს ხდის ცხედ- მივიჩნიოთ ძირად, ხოლო **-არ** (**ცხედ-არ-ი**) სუფიქსად.

ნა- პრეფიქსითაა ნაწარმოები **ნა-შვ-ი** მიმღეობა:

ყოველთა [ა]დამის **ნაშვთა** უცოდველისა მესტუმრისა, Hd.-1368. (მალის ამოკვეთის სიგელი ალექსანდრე მეფისა, 1440 წ.).

ორიგინალური კომპოზიტის შთაბეჭდილებას ახდენს **ძალ-მწე:**

ესრეთ **ძალ-მწე** მექმენ, Ad.-1839.

* * *

XI—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში გვხვდება საკუთარი სახელი **ივანე:**

ივანწმინდა (გეოგრ. სახელი), სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმის მიმართ: **ივანე**, რკონ. დაწერილი, Ad.-7 და სხვ.

ივანე პირველად გვხვდება ერედვის წარწერაში (906 წ.): ქართლს შინა უფლობასა ტბელისა **ივანესა.**

შემდგომში, X—XI საუკუნეთა ძეგლებში, ეს საკუთარი სახელი ამ ფორმით საკმაოდ ხშირია:

სრულ-ჰყავ საქმე ესე ჴელითა ჩემ ცოდვილისა და უდებისა **ივანე** საფარელისაჲთა, იოანე ოქროპ. ცხორ. 255 r, 14—17 (გადამწ. ანდერძი); დავაწერიე სულიერსა ძმასა ჩემსა **ივანე** საფარელსა, იქვე, 255 v, 18—19; ფრიად ცოდვილი მწერალი ამისი **ივანე** საფარელი, იქვე 256 r, 11—12; ქრისტე შეიწყალე **ივანე**, ამის მწერალი, შატბ. კრებ. 105 v, 27 a; ნეტარისა **ივანე** მინჩხისანი, მოდრ. იადგ. 218 r, 17; ქრისტე, შეიწყალე ტიმოთე მომგებელი და **ივანე**, მწარედ ცოდვილი, Sin.-1 291 v, 14—15 და მისთ.

ზოგი სინტაქსური მოვლენა

1. **სიტყვათგანლაგება.** რამდენიმე საბუთის მიხედვით შევისწავლეთ სიტყვათა წყობა. კერძოდ კი — მსაზღვრელ-საზღვრულისა და ზმნა-სახელის მიმდეურობა. მსაზღვრელ სახელთა ჯგუფში გამოვყავით: ატრიბუტული, მართული მსაზღვრელები, აგრეთვე ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელობითი, განსაზღვრებითი, კითხვითი, უარყოფითი ნაცვალსახელები, რაოდენობითი, რიგობითი რიცხვითი სახელები, ე. წ. სახელგვარული მსაზღვრელები, აგრეთვე **მრავალი** (როცა იგი მსაზღვრელად გამოიყენება). გამოირკვა, რომ ყველა შესწავლილ საბუთში ატრიბუტული მსაზღვრელი უპირატესად უსწრებს საზღვრულს (ერთადერთი გამონაკლისია გიორგი II-ის სიგელი, სადაც ატრიბუტული მსაზღვრელის პირდაპირი და ინვერსიული წყობის შემთხვევები თანაბარია). ამით ჩვე-

ნი ისტორიული დოკუმენტების ენა ემსგავსება ყველა ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულების სინტაქსურ წესს, რომლის მიხედვითაც, ატრიბუტული მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს.

ისტორიულ დოკუმენტთა უმრავლესობაში მართული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, თუმცა საკმაოდ მომრავლებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა მართული მსაზღვრელი საზღვრულის წინ დგას. ასე მაგალითად, მიჯნაძორელთა და ოპიზართა სიგელში მართული მსაზღვრელი 19 შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს, ხოლო 12-ჯერ — უსწრებს, შიომღვიმის მიმართ გაცემულ ბაგრატ IV-ის სიგელში კი — მართული მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგაა 27-გზის, 18-გზის — უსწრებს. თუ ამ მონაცემებს შევუდარებთ ზოგიერთი აგიოგრაფიული თხზულების მონაცემებს, საკმაოდ დიდ სხვაობას დავინახავთ: „შუშანიკის წამებაში“ მართული მსაზღვრელი 76-ჯერ მოსდევს, ხოლო 44-ჯერ უსწრებს საზღვრულს, „აბოს მარტვილობაში“ 310-ჯერ მოსდევს, 150 შემთხვევაში უსწრებს, „ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით 115-ჯერ მოსდევს, უსწრებს 49 შემთხვევაში და სხვ.

ისტორიულ დოკუმენტთა შორის ისეთებიც არის, სადაც მართული მსაზღვრელი უპირატესად საზღვრულის წინ დგას. ასეთებია: სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმის მიმართ (25-ჯერ უსწრებს, მოსდევს 11-ჯერ), დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ტოხაისძეებს (მართული მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს 42-ჯერ, მოსდევს 21-ჯერ), დაწერილი ჭიაბერისი (17 : 13) და რკონის დაწერილი (88 : 26).

საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მართული მსაზღვრელის პრეპოზიცია გაბატონებულია „ვეფხისტყაოსანშიც“ (1215-გზის გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრული, ხოლო 833 შემთხვევაში საზღვრულ-მსაზღვრელი).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები. საბუთთა დიდ უმრავლესობაში მოსდევს საზღვრულს. ორი დოკუმენტია ამ მხრივ გამონაკლისი: შიომღვიმის კრებულის დაწერილი ტოხაისძეთა მიმართ (სადაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი 16-ჯერ მოსდევს საზღვრულს, ხოლო 17-გზის უსწრებს) და რკონის დაწერილი, სადაც 64 შემთხვევაში პრეპოზიციური წყობა გვაქვს, ხოლო 37 შემთხვევაში — პოსტპოზიციური. „ვეფხისტყაოსანი“ ამ შემთხვევაშიაც მხარს პრეპოზიციას უჭერს (810 : 488).

ისტორიულ დოკუმენტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში ჩვენებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელად გამოყენებისას უსწრებენ საზღვრულებს. ერთადერთი გამონაკლისია გიორგი II-ის სიგელი შიომღვიმის მიმართ (სადაც ჩვენებითი ნაცვალსახელი ხუთჯერ მოსდევს სახელს, ხოლო ერთ შემთხვევაში უსწრებს). ისტორიულ დოკუმენტებში გაბატონებულ ჩვენებითი ნაცვალსახელის ამგვარ წყობას მხარს უჭერს ყველა ძველი წარწერა, აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი ორიგინალური ძეგლები, როგორიცაა გიორგი მთაწმიდელის „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრება“ (სადაც

ჩვენებითი ნაცვალსახელი 212-ჯერ უსწრებს საზღვრულს, მოსდევს 74 შემთხვევაში); გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ (451-ჯერ უსწრებს, მოსდევს 393-ჯერ), „ვეფხისტყაოსანი“ (506 : 39) და მისთ.

მსაზღვრელ-საზღვრულის დანარჩენ ჯგუფებზე აღარ გავაგრძელებთ სიტყვას. დავსძენთ მხოლოდ იმას, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ისტორიულ დოკუმენტებში, საზოგადოდ, იმ დროის ცოცხალი მეტყველების ნორმათა შესაბამისია.

2. ახლა განვიხილოთ **სახელისა და ზმნის გაწლაგება**. ჩვენ მიერ შესწავლილ საბუთთა უმრავლესობაში ზმნა მოსდევს სახელს: ეს არის სინტაქსური წესი, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ქართული სათვის.. ძველი ქართული ორიგინალური ძეგლების მიხედვით უფრო ბუნებრივია VN წყობა, ვიდრე NV[1]. ისტორიული დოკუმენტები თავიანთი ეპოქის ცოცხალი მეტყველების ნორმებს ასახავენ. „ვეფხისტყაოსანი“ ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს: სახელი ზმნას უსწრებს 6059 შემთხვევაში, ხოლო 3338-ჯერ მოსდევს მას.

სუბიექტად გამოყენებული სახელი ზმნას უსწრებს. ეს არის ძირითადი სინტაქსური წესი, რომელიც გაბატონებულია ჩვენს საისტორიო დოკუმენტებში. უნდა ითქვას, რომ ეს წესი დამახასიათებელია თითქმის ყველა ორიგინალური თხზულებისათვის: მაგალითად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების I ტომში მოთავსებულ ძეგლთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სუბიექტი ზმნას უსწრებს 4068 შემთხვევაში, მოსდევს — 3535-ჯერ. „იოანეს და ეფთჳმეს ცხოვრების“ მიხედვით — 494 შემთხვევაში სუბიექტი უსწრებს ზმნას, ხოლო მოსდევს 317 შემთხვევაში, „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით 761 შემთხვევაში სუბიექტი პირველ ადგილზეა, ზმნა მოსდევს 540 შემთხვევაში. „ვეფხისტყაოსანი“ აქაც ცოცხალი მეტყველების ნორმათა ამსახველია: სუბიექტი პირველ ადგილზეა 3038 შემთხვევაში, ხოლო ზმნის შემდეგ 1476-ჯერ.

ამ ნიშნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საისტორიო დოკუმენტები (და „ვეფხისტყაოსანი“), ერთი მხრივ, და ძველი ქართულის ძეგლები, მეორე მხრივ, არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. დაპირისპირება გვაქვს ზმნისა და ობიექტის (ირიბის, ან პირდაპირის) განლაგების მიხედვით. ძველი ქართული ორიგინალური ძეგლებისათვის ნორმაა ასეთი წყობა: VO ირ./O პ. აგიოგრაფიულ ძეგლთა I ტომში მოთავსებულ თხზულებათა მიხედვით ზმნა ირიბ ობიექტს უსწრებს 1822 შემთხვევაში, მოსდევს 610-გზის: ზმნა პირდაპირ ობიექტს უსწრებს 3150 შემთხვევაში, მოსდევს 1635-ჯერ: „იოანეს და ეფთჳმეს ცხოვრების“ მიხედვით, ზმნა ირიბ ობი-

[1] რაც შეეხება ნათარგმნ ძეგლებს, იქ, როგორც წესი, VN გაბატონებულია.

ექტს მოსდევს 166 შემთხვევაში, უსწრებს 114-ჯერ; პირდაპირი ობიექტი ზმნის შემდეგაა 238-ჯერ, უსწრებს 356 შემთხვევაში; „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ მიხედვით, ზმნა ირიბ ობიექტს უსწრებს 243-ჯერ, მოსდევს 193-გზის: პირდაპირი ობიექტი წინაა 402 შემთხვევაში, მოსდევს — 482-ჯერ. როგორც ვხედავთ, გადახვევას ამ წესიდან მხოლოდ პ. ობიექტი გვიჩვენებს (ისიც XI საუკ. ძეგლების მიხედვით), რაც შეეხება საისტორიო დოკუმენტებს, აქ ნორმად უნდა მივიჩნიოთ ობიექტის (ირიბის, ან პირდაპირის) ზმნის წინ გადმოტანა. ჩვენ მიერ ამ თვალსაზრისით გაანალიზებულ საბუთებში 48 შემთხვევაში ირ. ობიექტი ზმნას უსწრებს, მოსდევს 45-ჯერ. პირდაპირ ობიექტს ზმნა უსწრებს 97-გზის, მოსდევს 150-ჯერ.

„ვეფხისტყაოსანი“ აქ ასეთ სურათს გვიჩვენებს: ირ. ობიექტი ზმნის წინ არის 996 შემთხვევაში, მოსდევს 551-ჯერ, პ. ობიექტი ზმნას უსწრებს 2025 შემთხვევაში, მოსდევს 1311-ჯერ.

საფიქრებელია, რომ საისტორიო დოკუმენტები (და „ვეფხისტყაოსანი“) ცოცხალი მეტყველების სინტაქსური ნორმის ამსახველია.

2. ზმნა და პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა

XI—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში ძირითადად გატარებულია ის სინტაქსური წესი, რომლის თანახმად, -ნ სუფიქსით გამოხატულ მრავლობით რიცხვში დასმული სახელი ზმნაში აჩენს სათანადო ნიშანს.

მაგრამ გვაქვს ზოგი დარღვევაც:

მას. ჟამსა ავაგეთ წ ი ს ქ უ ი ლ ნ ი, დაწერილი რამინის და გიორგის მიერ (X ს.): ვინცა ესე თქუენი შემოსავალნი ს ო ფ ე ლ ნ ი, გლეხნი და მ ა მ უ ლ ნ ი პირველ გ ა თ ა რ ხ ე ნ ე ბ უ ლ ნ ი და აწ ჩუენგან დამტკიცებითა გ ა თ ა რ ხ ნ ე ბ უ ლ ნ ი მოშალოს, Hd.-1369, და უქმნი წელიწადსა შინა ვითარცა საეკლესიოთა წიგნთა კრებათაგან განჩენილმან ამცნოს, ეგრეთ, მცნებაჲ სარჯულოჲ; გინა ორნი დანი ორთა ძმათა შეირთონ, იქვე: შეაგინოს ჯორცნი თჳსნი სხუასა დიაცსა თანა, იქვე; ვინ ე ს ე მ ც ნ ე ბ ა ნ ი ... არა აღიაროს, არა დაიცვას და არა შეინახოს, იქვე.

ამგვარი ფაქტები „სინური მრავალთავიდან“ მოყოლებული საკმაოდ ხშირია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში.

3. სუბიექტის მრავლობითობა და ზმნა

ზოგ შემთხვევაში მოშლილია ზმნის შეთანხმება მრავლობითში დასმულ სუბიექტთან:

ასრე ბზობასა დღესა რანიცა მწირველნი იყოთ, Ad.-143; კრულმცა არს მჯარნი მისნი წელთა მისთა ზედა, კრულმცა არს წელნი მისნი თებოთა მისთა ზედა, კრულმცა არს თებონი წყჳლთა მისთა ზედა, კრულმცა არს მუკლნი მისნი კოჭთა მისთა ზედა, მცნებაჲ სარჯულოჲ.

4. ირიბი ობიექტის მრავლობითის ზმნაში გამოხატვა

XIII—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში დასტურდება ზოგი შემთხვევა, როცა ზმნაში -თ სუფიქსითაა გამოხატული ირიბი ობიექტის მრავლობითი რიცხვი:

ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩ(უენ), მღჳმელთა, ერთობით სრულად კრებულ[თა წმიდისა მამ]ისა შიოჲს შვილთა და მოწაფეთა, შენ ზოსიმე კჳრიკე კახთა მეფისა სამწირველო გჰონდათ, დაწერილი შიომღჳმის კრებულისა კჳრიკე კახთა მეფისა მწირველ ზოსიმეს, (1260—1270 წწ.); და ანუ სხუისა გუარისა კაცმან ადამის მონათესავემან მოგიშალოთ, სცსსა 1976; ამანო და მამ[ა]ნო,. ამისთ[ჳ]ს გ[ა]მცნებ და გაუწყებთ, მცნებაჲ სარჯულოჲ; და ამ[ა]სცა გამცნებ და გაუწყებთ, შვილნო და ძმანო ჩემნო, იქვე.

ლიტერატურა

1. ლ. ბაბილაია, ე ასოს დაწერილობისათვის XI—XIII საუკუნეთა მხედრულ წერილობით ძეგლებში: მაცნე, № 4, 1979.
2. ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი: შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., 1966.
3. ზ. სარჯველაძე, ძველი და საშუალი ქართულის ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი: მაცნე, № 6, 1969.
4. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“: ენიმკის მოამბე, III, 1928.
5. არნ. ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში: იქვე, XV, 1966.
6. არნ. ჩიქობავა, ვე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკალოგიის ურთიერთობის თვალსაზრისით: წელიწდეული, I—II, 1923—1924.
7. В. М. Жирмунский, История немецкого языка, М., 1965.
8. В. В. Иванов, Историческая грамматика русского языка, М., 1964.
9. Курс исторической грамматики русского языка, Bucuresti, 1963.
10. А. Мартине, Принцип экономии в фонетических изменениях, М., 1960.
11. А. И. Соболевский, Лекции по истории русского языка, М., 1907.
12. П. Я. Черных, Историческая грамматика русского языка, М., 1962.

VII თავი

ქართული სალიტერატურო ენა და ქართველური ენები

ქართული სალიტერატურო ენა ყოველთვის წარმატებით ემსახურებოდა ყველა ქართველურ ტომს. სრულიად უდავოა, ძველი ქართული კულტურის მოღვაწეთა (მწერალთა, გადამწერთა, რედაქტორთა, წიგნის დამკვეთთა . . .) შორის არაერთი იქნებოდა მეგრელი, ჭანი, სვანი. სალიტერატურო ენას ამ ტომთა წარმომადგენლები ხშირად ისე მარჯვედ ფლობდნენ, რომ სპეციალური ძიებაა საჭირო მათი წარმომავლობის დასადგენად. ზოგჯერ წერილობით ძეგლებში მინიშნებაც კია. მაგალითად, XI—XII საუკუნეებით დათარიღებული H-1345 ხელნაწერის გადამწერი ანდერძში ამბობს: ღმერთმან უწყის, რაჲცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჭირვე, მაგრა დედაჲ ო დ ი შ ს დაწერილი იყო და სიტყუასა სცვალებდა, 201 r — 201 v. აქედან აშკარად ჩანს, რომ ამ ძეგლის დედანი დასავლეთ საქართველოშია დაწერილი. „სიტყვის ცვალება“ დასავლური ქართულისათვის დამახასიათებელ მოვლენათა გამოვლინებაზე მიგვანიშნებდა უთუოდ. სამწუხაროდ, ამ ძეგლის დედანი ჩვენთვის უცნობია. ხელნაწერის შესწავლამ კი ის გამოავლინა, რომ ამ ძეგლის გადამწერს ყოველგვარი მეგრულ-ჭანური ელემენტი მოუსპია. ძველ ქართულ ენას მეგრულ-ჭანურთან და სვანურთან ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ ენათა ურთიერთგავლენა დავუშვათ უფრო ადრინდელ საფეხურზედაც. ეს ურთიერთგავლენა უპირატესად ლექსიკაში ვლინდება. მიუთითებენ ზოგ ადრინდელ ნასესხობაზე მეგრულ-ჭანურიდან და სვანურიდან.

ჯაჭუი || **ჯაჭვ**, რომელიც ქართული ენის უძველეს ძეგლებში გვხვდება, მკვლევართა მიერ ჭანურ-მეგრულ სიტყვად იყო მიჩნეული. იგი ითვლებოდა ძეწკვ სიტყვის ზანურ ვარიანტად (25, გვ. 29; 18, გვ. 129—130; 11, გვ. 96—97; 22, გვ. 237). ბ. გიგინეიშვილმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ზანიზმად ამ სიტყვის მიჩნევა გამართლებული არაა (2, გვ. 739—742).

ოშკის ბიბლიაში გვხვდება **ჯაჯრი**. გ. როგავამ ეს სიტყვა მიიჩნია

ქართ. წერო'ს ზანურ შესატყვისად. ო ქართულში სუფიქსად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა (შდრ.: ქართ.ჩ სურ-ი (სურ-ო): ზან. სუჯი) და ამ დაკავშირებას თითქოს წინ არაფერი უდგას, მაგრამ არსებითი ხასიათის დაბრკოლებას წარმოადგენს ჰ, რომელიც „ზანურ" ჭაჰრი ფორმაში გამოვლინდება. არაა გამორიცხული ჭაჰრი ნასესხები იყოს (ბ. გიგინეიშვილი).

მეგრულ-ჭანურიდან (უფრო ჭანურიდან) ნასესხებად მიგვაჩნია ფუცხუ, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში: და ფუცხუთა ხუეტილთა მოკუდავებისა სიზრქე განაგდეთ, პარაკლიტ. 52 r, 19—20: იხილა ნეტარმან ამან, რამეთუ სამპირითა ფუცხჯთა წარჰჯადა ანგელოზმან სული მისი, დიდი სჯნაქს. 239, 10—12 და მისთ.

ფუცხუ-ს განსაზღვრებად ახლავს რ კ ი ნ ი ს ა:

და მერმე დამოჰკიდეს და ფუცხჯთა რ კ ი ნ ი ს ა ჲ თ ა ხუეტეს, დიდი სჯნაქს. 453. 18—19; და გამოვიძიოთ ფუცხუთათჳს რ კ ი ნ ი ს ა თ ა, იოანე ოქროპ. ასკეტ. 104, 12—13 b.

ფუცხუ არსებითი სახელისაგან იწარმოება ზედსართავი სახელი ფუცხოვანი (<ფუცხუოვანი):

გინამცა ესხნეს რქანი და ფუცხოვანნი ფრჩხილნი, გრ. ნოსელის კაცისა აგებ. 153, 5; და კუალად რკინაჲცა კაცისათჳს უმკუეთელეს არს და უფიცხლეს რქათა და ფუცხოვანთა ფრჩხილთა, იქვე 153, 25—27.

ფუცხუ, როგორც ზემოთ მოყვანილი ადგილებიდან ჩანს, აღნიშნავს საგვემელ, სატანჯველ ხელსაწყოს, რომელიც, ჩვეულებრივ, რკინისგანაა დამზადებული[1]. საყურადღებოა, რომ ფუცხუ-ს სინონიმად გვაქვს ფ რ ჩ ხ ი ლ ი:

და შემუსრნეს ღაწუნი მისნი და დამოჰკიდეს, და ფ რ ჩ ხ ი ლ ე ბ ი თ ა რკინისაჲთა ხუეტნეს გუერდნი მისნი, დიდი სჯნაქს. 17, 31—33; რომელმან უბრძანა ძელსა დამოკიდებაჲ და ფ რ ჩ ხ ი ლ ე ბ ი თ ა რკინისაჲთა ხუეტაჲ გუერდთა მისთაჲ, იქვე 26, 3—5; და დამოკიდებული რკინისა ფ რ ჩ ხ ი ლ ე ბ ი თ ა ძლიერად იხუეტა, იქვე 243, 20—21 და მისთ.

ამ კონტექსტებით კიდევ უფრო ზუსტდება ფუცხუ სახელის მნიშვნელობა: ფუცხუ ისეთი რკინის ხელსაწყოა, რომელსაც რკინისავე მახვილი „ფრჩხილები" აქვს. ჭანურსა და მეგრულში ქართული ფ ო ც ხ ი ს მნიშვნელობით გვაქვს ბუცხი:

ბუცხითე დობუცხუფან (ჭან.) — „ფოცხით დაფოცხავენ"; ბუცხითე მობუცხარე (ჭან.) — „ფოცხით მოეფოცხავ" (19, გვ. 164). ბუცხისაგან ჭანურში იწარმოება ზმნა: ბუცხუფს „ფოცხავს" (19, გვ. 256). მეგრულ-

[1] საბა აღნიშნავს ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობასაც: „ესე არს კავოდი რკინა ჭვაბით კორცთა ამოსაღებელი" (ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 360). ფუცხუსთვის ეს მნიშვნელობა ზედმეტია. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა გვხვდება ოშკის ბიბლიაში: ცეცხლი აენთო ფუცხუ საშვილი და ჩაყუის იგი სიავსა, გინა ქოთანსა, II მეფ. 13, 14 O. ფუცხუ. მეგრელიდან ნასესხები, გვხვდება სვანურშიც.

ჭანური ბუცხ ძირისათვის „ფ ო ც ხ ი ს“ აღნიშვნა მეორეული უნდა იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა ერთმანეთთან დაკავშირებული ქართული ფრცხ-ილ || ფრჩხ-ილ: ჭანური ბუცხ-ა, მეგრული ბირცხ-ა (19, გვ. 61—62; 3, გვ. 21; 22, გვ. 19ſ; 4, გვ. 96).

მეგრულ-ჭანური ბუცხ-ის უფრო არქაული სახე ფუცხუ შემონახულია ძველ ქართულში. ფუცხუ საერთოქართველური *ფრცხ-ელ || ფრცხ-ილ ფუძის კანონზომიერი ჭანურ-მეგრული შესატყვისია.

ძველ ქართულში დადასტურებული ფრცხ-ილ წარმოადგენს *ფრცხ-ელ ფუძის რედუქციის საფეხურს. „ზანურში მარცვლოვანი *[რ] ელემენტის ვოკალიზაციის შედეგად მივიღეთ დიალექტური ვარიანტები: მეგრ. ბირცხა, ჭან. ბუცხა (ხმოვნის მომდევნო რ'-ს დაკარგვით, შდრ.: ზემოთ მეგრ. ჭყირთა || ჭყითა)“ (4, გვ. 96).

ირკვევა, რომ მეგრულ-ჭანური ფუცხუ-ს თავდაპირველი მნიშვნელობა „ფ რ ჩ ხ ი ლ ი“ უნდა ყოფილიყო. შემდგომში მას მნიშვნელობა გაუფართოვდა. იგი აღნიშნავს აგრეთვე ფოცხ'-ს (რკინის ფ რ ჩ ხ ი ლ ს). ქართული ფოცხი მეგრულ-ჭანური ფუცხ ძირის სახესხვაობა ჩანს. ამ სიტყვის ნასესხობაზე ზანურიდან არნ. ჩიქობავამ მიუთითა (19, გვ. 256).

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არამარტო ქართული ენის ისტორიისათვის, არამედ რიგ შემთხვევაში სხვა ქართველურ ენებში მომხდარი მოვლენების დათარიღებისათვისაც. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო მასალას გვაწვდიან ძველ ქართულ ძეგლებში დაცული საკუთარი სახელები.

ჯუანშერის ისტორიაში დასტურდება ტოპონიმი არტანუჯი: წარმოვიდა ვახტანგ გზასა კლარჯეთისასა, და სპანი მისნი განუტევნა გზასა სომხითისასა. და ვითარ მოიწია თუხარისად, მიხედნა. და შეუყუარდა ციხე, და თქუა: ჰეშმარიტად თუ ხარ შენ ციხე. და ვითარცა წარმოვიდა. იხილა კლდე შუა კლარჯეთსა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი, და მოუწოდა არტავაზს, ძუძუმტესა მისსა, და დაადგინა იგი ერისთავად: და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 177). ამრიგად, V საუკუნეში არტანუჯის არსებობა უკვე ფაქტია. გ. მერჩულის ნაწარმოებიდან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ვიგებთ, რომ IX საუკუნეში არტანუჯი სატახტო ქალაქი ყოფილა.

ა. შანიძემ დაადგინა, რომ ტოპონიმი არტანუჯი ორი ნაწილისაგან შედგება: არტან<*არტან-იშ და ცუჯი, რაც მეგრულ-ჭანურად „ყ უ რ ს, ყ უ რ ე ს“ ნიშნავს. მაშასადამე, არტანუჯ-ი<არტანიშ ცუჯი („არტანის-ყურე“). იგი მეგრულ-ჭანური ტოპონიმია (16, გვ. 225—233). რა თქმა უნდა, ეს მოწმობს მეგრულ-ჭანური მოსახლეობის ოდინდელ არსებობას ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ამ ნაწილში.

ტოპონიმი არტანუჯი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ იგი ცხად-

ყოფს, რომ V საუკუნისათვის მეგრულ-ჭანურში მომხდარია კომბინატორული ბგერათცვლილება რ>ჯ (12, გვ. 279-280).

სინას მთაზე დაცული ერთ-ერთი საინტერესო ძველი ქართული ხელნაწერის (Sin.-19 1074 წლისა) ანდერძში გვხვდება საკუთარი სახელი **ჰიტა**: ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი დავით და მიქაელ და **ჰიტაი**.

Jer.-140 ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში იკითხება: მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა სულსა **ჰიტაისასა**, დავითაისასა, მიქაელისა, ბეთანაისა, ელენესა, დავითისა, გაბრიელისა და სჯმეონისსა, 199 წ. სხვაგან ვკითხულობთ: ქრისტე, შეიწყალე **ჰიტაი** და დავით, შვილნი, ძმანი და მშობელნი მათნი, 214 წ.

ჰიტა-ი, ჩვენი აზრით, მეგრულ-ჭანური ანთროპონიმია. **ჰიტა** მეგრულად არის „მ ც ი რ ე, პ ა ტ ა რ ა“, ჭანურში გვაქვს **ჰუტა** || **ჰიტა**. ამოსავალია **ჰუტა**, **ჰიტა** კი მიღებულია უ>ი ხმოვანთმონაცვლეობის შედეგად, რაც მეგრულ-ჭანური ვოკალიზმისათვის დამახასიათებელი მოვლენაა (23, გვ. XX; 20. გვ. 24—25). არნ. ჩიქობავამ აჩვენა, რომ ი ხმოვანი მიღებულია უ-საგან (20, გვ. 174). ტ. გუდავამ დაასაბუთა, რომ ეს არის კომბინატორული ბგერათცვლილების შედეგი (15, გვ. 119—122, იხ. აგრეთვე (10). ძველ ქართულში გამოვლენილი **ჰიტა** საკუთარი სახელი უდავოდ ამტკიცებს, რომ უ>ი პროცესი მეგრულ-ჭანურში XI საუკუნეში უკვე მომხდარა. ჯერჯერობით სხვა წყარო ამ მოვლენის დასათარიღებლად არ გაგვაჩნია.

სვანიზმების ძველ ქართულში ძიება ნ. მარის სახელს უკავშირდება. ,ი თვლიდა, რომ თავდაპირველად ქართველთა სალიტერატურო ენა ჭანური იყო (24, გვ. 24). ამიტომ მას ბუნებრივად მიაჩნდა ძველ ქართულში სვანიზმთა არსებობა. ნ. მარი ამ რიგის სამ ფაქტზე მიუთითებდა: **მსგეფს-ი, ერგ-: ერგ-ასისი, სტევ-ი.**

ქართული **შვიდ-ის** სვანური შესატყვისია **იშგუიდ** (ლენტეხურში — **იშჭუით**). ნ. მარის აზრით, სვანურში უნდა გექონოდა ***სგიბდ**, ან ***ზგიბდ** (ამ რეკონსტრუქციისათვის ამოსაყალია ქართ. **შ**: ზან.-სვან. **სგ** რეგულარული შესატყვისობის არსებობა). ნ. მარი წერს, სვანურად კვირა არის **მაგზი<მა-ზგი**, სადაც **შვდ**-ის სვანური შესატყვისი გვაქვსო წარმოდგენილი (24. გვ. 18—20). მისი ვარაუდით, ძველი ქართული **მსგეფსი** სვანურიდანაა ნასესხები: **მაგზი<*მაზგი<*მა-ზგე.**

ამ ვარაუდს რამდენიმე არსებითი ხასიათის დაბრკოლება ეღობება: პირველი, სვანურში რეალურად გვაქვს **იშგუიდ**, რომელიც ქართული **შუიდ**-ის კანონზომიერი შესატყვისია. მეორე, რომ დაეუშვათ კიდეც, რომ სვანურში ამ სიტყვაში **სგ** გექონდა (**ზგ**-ს პოსტულირება სრულიად გამორიცხულია), ვერ ავხსნით **ბ**-ს წარმომავლობას: ***სგიბდ**. ვერ ვიტყვით, რომ იგი მომდინარეობს უ-საგან (ჯერ მეტათეზისი და შემდეგ: **უ>ბ**? ამგვარი პროცესი არაა დამახასიათებელი სვანური ფონატიკი-

სათვის); მესამე, განმარტებას მოითხოვს „სვანური“ მზგებს ფუძის სუფიქსაცია: -ებ ‖ იბ-ს; მეოთხე, სვანურში მაგზი „კვირის“ მნიშვნელობით არ გეხვედება (არის ნაგზი). ნ. მარს მაგზი რეალურ ფორმად მიაჩნია. ეს ასე რომ იყოს, მაშინ უნდა ავხსნათ, რატომ შეიცვალა თავკიდური მ სვანურში ნ-დ: (მაგზი>ნაგზი)?

თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ მსგეფს სიტყვის სვანიზმად ჩათვლისათვის საკმაო საფუძველი არ არსებობს.

მეორე სიტყვა, რომელიც ნ. მარს სვანური წარმომავლობისად მიაჩნია, არის ერგ: ერგასის-ი. ერგ-ისათვის ამოსავალია სვანური ესგ. ს-ს რ-თი გვიანდელი შეცვლით (24, გვ. 22). ამ ვარაუდის გაზიარებაც შეუძლებელია: სვანურში არის ისგ (ისგ-ლეთ „შუაღამე“), რატომ შეიცვლებოდა ე ი-დ? ამ მოვლენის მიზეზი არ ჩანს. ნ. მარის მსჯელობიდან ძნელი გასაგებია, ს-ს რ-დ გადაქცევა სვანურშია სავარაუდებელი, თუ ქართულში. თუ ს>რ სვანურში მოხდა, მაშინ რატომღა გვაქვს შემონახული სგ კომპლექსი სხვა შემთხვევებში (უისგუ „ეაშლი“, უსგუა „ექსი“) და თვით ამ მორფემაშიც — -ისგ. ხოლო თუ ეს პროცესი ქართულშია საგულვებელი, მაშინ ისმის კითხვა, რატომ შეიცვლებოდა ს რ-თი გ-ს წინ[1]? ან როგორ მოხდა, რომ ქართულში გვაქვს მსგეფსი და მისგან არ მივიღეთ მრგეფსი?

მესამე სვანიზმად ნ. მარმა სტევი მიიჩნია, რომელიც ქართული თმა-სა და ზანური თომა-ს სვანურ კანონზომიერ ფონემურ შესატყვისადაა კვალიფიცირებული. ჯერ-ერთი, თვით სვანურში ეს სიტყვა არ ჩანს (მაგრამ არაა გამორიცხული შესაძლებლობა, პირიქით, სავარაუდოა, რომ თმა-ს შესატყვისი ძირი სვანურში იყო, რომელიც შემდგომში ნასესხებმა ფუძემ სიტყვამ გამოდევნა). რასაკვირველია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სვანურისაგან ეს სიტყვა ისესხა ძველმა ქართულმა (და სომხურმაც), ხოლო თვით სვანურში იგი დაიკარგა. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარ დაშვებას ხელს უშლის რიგი ფონეტიკური ფაქტორებისა: ქართული თ-ს შესატყვისად სვანურში გვაქვს თ, ან შდ (6, გვ. 201; 21; 4, გვ. 136), მაგრამ არა სტ: ქართ. ა-ს შესატყვისად რატომ არის სვანურში ე? და ბოლოს, რატომ გადაიქცა ქართული მ-ს შესატყვისი მ ვ-დ? გასათვალისწინებელია აზრი ამ სიტყვის უცხო ენობრივი სამყაროდან სესხების შესახებაც (1, გვ. 65; შდრ.: 17, გვ. 156).

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ უკვე სტრაბონის დროიდან სვანები დასავლეთ საქართველოს ბარის ტერიტორიაზე ჩანან, სადაც ისინი სხვა ტომთა ზეგავლენით მთებში იქნენ განდევნილნი (26, გვ. 91—93; 8, გვ. 63—68). ეს კი საფუძველს აცლის

---

[1] ს>რ პროცესი ქართულში წინაენისმიერ თანხმოვნებთან ხდება: სთუელი>რთველი. სძე>რძე...

ნ. მარის ზემოთ განხილულ თეორიას, რომელიც ემყარება სვანური ეთნიკური ელემენტის არსებობას აღმოსავლეთ საქართველოს ბარში სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ეპოქაში.

სვანიზმები შენიშნულია რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის (13, გვ. 67—77). სამეგრელოს (8, გვ. 63) ტოპონიმიასა და მეტყველებაში. ამ დიალექტებში სვანიზმთა არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ოღონდ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ რიგის ფაქტებს ლინგვისტური დასაბუთება სჭირდება. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიტყვა **შილი** („რძალი რძლის მიმართ"), რომელიც გვხვდება რაჭულ, ლეჩხუმურ და იმერულ დიალექტებში (ესე იგი, იმ ენობრივ. არეალში, რომელიც ესაზღვრება სვანურს), ნასესხებია სვანურიდან და წარმოადგენს ქართ. **ცოლ**-ისა და ზანური **ჩილ**-ის სვანურ ფონეტიკურ შესატყვისს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა ძველი ქართულის მისთვის ცნობილ ძეგლებში არ გვხვდება (14, გვ. 253—256). ა. შანიძემ შემდგომში გამოაქვეყნა ამ ნაშრომის დამატება „ეტიმოლოგიური შენიშვნები, ნათესაობის აღმნიშვნელი „შილ" ტერმინისათვის", სადაც მითითებულია, რომ ეს სიტყვა გვხვდება პარიზის ლექციონარში. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსემა მაინც სვანიზმად ითვლება (15, გვ. 639—640).

ამ შემთხვევაში დიდ დაბრკოლებას ქმნის ის, რომ, ჯერ-ერთი, **შილი** სვანურში არ დასტურდება; მეორე: როგორც ცნობილია, ქართული ო-ს შესატყვისად სვანურში ო უნდა გვქონდეს (შესაძლოა, მეორეულმა კომბინატორულმა ცვლილებამ — უმლაუტმა — მოგვცეს ე (მაგ.: ქართულიდან ნასესხები: **გოჯი**>**გუეჯ**>**გეჯ**) და არა ი!) — ქართ. **ოთხი**: სვან. **უოშთხ**; მესამე: სვანურში წარმოდგენილია ქართული **ცოლ**-ის სვანური შესატყვისი **ჩოშ** (21, გვ. 27; 9, გვ. 219 და სხვ.). მეოთხე, ძველ ქართულში დასტურდება **შილ** ლექსემა. როგორც ა. შანიძემაც აღნიშნა, პარიზის ლექციონარის (XI ს.) რუთის წიგნის საკითხავებში **შილი** ნიშნავს მაზლის ცოლს (იმავეს, რა მნიშვნელობითაც შემოინახა ეს სიტყვა ზოგმა ზემოთ ნახსენებმა ქართულმა დიალექტმა):

და ჰრქუა ნოიმინ რუთს: აჰა, ეგერა, უკუნიქცა **შილი** შენი ერისა თჳსისა და ღმერთთა თჳსთა, მიიქეც აწ შენცა **შილისა** შენისა, 55 r, 30 b — 55 v, 3 a.

ამდენად, სავარაუდოა, რომ **შილი**, რომელიც დღეს ზოგ ქართულ დიალექტშია დაცული; წარმოადგენს არქაიზმს, ძველი ქართულიდან მომდინარე ლექსემას, ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი მნიშვნელობის დაცვით[1].

ზემოთ ჩვენ უარვყავით სვანიზმთა არსებობა ძველ ქართულში. ეს

---

[1] განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **შილ** სიტყვა გვაქვს მესხურ და აჭარულ დიალექტებში, სადაც სვანურის ზეგავლენა გამორიცხულია.

იმას არ ნიშნავს, თითქოს გამოვრიცხავდეთ სვანეთის წარმომადგენელთა მონაწილეობას საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ქართული სალიტერატურო ენა ოდითგანვე საერთო იყო ქართველ ტომთათვის. ვფიქრობთ, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებს შორის არაერთია სვანის გადაწერილი. ზოგჯერ ალბათ სვანი გადამწერი იმდენად იყო დაუფლებული სალიტერატურო ენას, რომ მისი წარმომავლობის დადგენა მისი ნაწერის მიხედვით შეუძლებელია. მაგრამ არის შემთხვევები, როცა სვანის მიერ ძეგლის გადაწერა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა შორის ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს XI—XII საუკუნეებში გადაწერილი კრებული (№ 130). ამ ხელნაწერის დიდი ნაწილის (92 r — 295 r) გადამწერი არის გრიგოლ სვანი. იგი ამბობს: „მე, ცოდვილმან გრიგოლ სუანმან, შემოვსწირე ყოვლად წმიდასა პორტისა ღმრთისმშობელსა“. როგორც ჩანს, გრიგოლ სუანს არა მარტო გადაუწერია ამ ხელნაწერის ნაწილი, არამედ იგი ხელნაწერის მომგებელიცაა. მას შეუწირავს ხელნაწერი კარის (პორტის) ღმრთისმშობლის ეკლესიისათვის.

უთუოდ უნდა ვივარაუდოთ, რომ გრიგოლ სუანმა ალბათ არაერთი სხვა ხელნაწერიც გადაწერა. საფიქრებელია, რომ მან თავისი ხარჯით მრავალი ძვირფასი ხელნაწერიც გადააწერინა (ე. ი. „მოიგო“). სამწუხაროდ, ჯერჯერობით ის ხელნაწერები ჩვენთვის უცნობია. ისინი ან დაიკარგნენ, ან კიდევ სათანადო ცნობათა შემცველი ანდერძ-მინაწერების გარეშე მოღწიეს ჩვენს დრომდე.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებზე დაკვირვება უდავოს ხდის იმ ფაქტს, რომ ზოგი ხელნაწერის გადამწერი სვანია. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ A-1562 (საწელიწდო იადგარის ნაწყვეტები, X—XI სს.), H-1831 (იერუსალიმის განჩინების ნაწყვეტები, X—XI სს.), H-1889 (ნაწყვეტები საგალობლებიდან, X—XI სს.). ამ ძეგლებში ძალზე ხშირად დასტურდება ვ-ს უ-თი შენაცვლების ფაქტები. დავასახელებთ ზოგიერთ მაგალითს:

და წარვიდენ სატანჯუელსა საუკუნესა (H-1831 21 r); თავს-იდევ ჯუარცუმაჲ, დაფლუაჲ და აღდგომაჲ (იქვე 57 v); ქუითა განეტუინნეს (იქვე 36 r); ღირს-ჰყაუ იგი სასუფეველსა შენსა (A-1562 54 v) და სხვ.

ცნობილია, რომ სვანურს არ აქვს კბილბაგისმიერი /ვ/ თანხმოვანი, მაგრამ მოეპოვება წყვილბაგისმიერი /უ/. ამიტომ ბუნებრივია, რომ სვან გადამწერს თავისი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები (უ ვ-ს ნაცვლად) გაჰპაროდა. ამ მოსაზრების დამადასტურებლად მიგვაჩნია ის ფაქტი. რომ სვანეთის საისტორიო დოკუმენტებშიც გვხვდება ვ-ს უმარცვლო უ-თი შენაცვლების შემთხვევები:

მთავარმოწამისა სეტისა თაუსდებობითა და შუამდგომლობითა დაეი-

დევით დაწერილი ესე მტკიცე და უქცეველი, ჯეუისა სამაგრებელი (7, გვ. 9. 1—3): ამა პირსა ზედა გაუძაგრეთ ჯეობა, თუ ზემოჯეუმან გაგიტეხოთ ჯეობა (იქვე 9, 4—5); ხვაშიადი არ გაგიმეღაუნო (იქვე 13, 22) და მისთ.

იმის გამო, რომ სვანურში არ არის /ვ/, სვანი გადამწერი სალიტერატურო ენის ვ და უ გრაფემებს იყენებს თავისუფლად, ერთიმეორის ნაცვლად, და. ამდენად, სალიტერატურო ენის ნორმებს არღვევს. ამგვარი შეცდომები მიგვანიშნებენ გადამწერის წარმომავლობას.

ქართული კულტურის ისტორიაში თვალსაჩინო წვლილი შეუტანიათ **ვახტანგ და ივანე ფარჯანიანებს**. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება 1031 წელს გადაწერილი „წამებაჲ წმიდისა გიორგისი“ და „წამებაჲ წმიდისა თეოდორესი“ (Q-240). ხელნაწერს ერთვის გადამწერის — **იოანე ჭყონდიდელის** — ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ იგი გადაწერილია **ვახტანგ ფარჯანიანის** დაკვეთით:

სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდათა მთავარანგელოზთაჲთა, წმიდათა მოციქულთა, წინაწარმეტყუელ(თა) და მღდელთმოძღუართაჲთა და წმიდათა მოწამეთაჲთა: წმიდისა გიორგი მთავარმოწამისაჲთა და წმიდისა თეოდორე მოწამისაჲთა, მე, გლახაკმან იოვანე მესუეტემან, აღვწერე წამებაჲ ესე წმიდათა მოწამეთაჲ წმიდისა გიორგისი და წმიდისა თეოდორესი და სასწაულნი სალოცველად, — ადიდენ ღმერთმან, — **ვახტანგ ფარჯანიანისა** და ღმრთივმონიჭებულთა შვილთა მისთა: **იოვანესა** და **აბულატარს**.

აწ ვინ იკითხვიდეთ, გულსმოდგინედ ულოცევდით, რაჲთა ღმერთმან ერთობით ადიდნეს შვილნი და მშობელნი ნებასა ზედა მათსა, ამინ. დაიწერა სუეტსა ზედა ჭყონდიდისასა, — ადიდენ ღმერთმან, — მეფობასა ბაგრატ კურაპალატისასა, იხდიგტიონსა და ქრონიკონსა ს˙ნა, ჴელითა იოვანე მესუეტისაჲთა (114 v—116 r).

„წმიდა გიორგის წამების“ ბოლოს არის მინაწერი: წმიდაო გიორგი, შეიწყალე **ვახტანგ ფარჯანიანი** (49 r).

ხელნაწერში დასტურდება გვიანდელი (XVII ს.) მხედრული მინაწერები, რომლებშიც იხსენიება ლევან დადიანი (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ., პარიზი, 1938 წ., გვ. 303). ხელნაწერი, როგორც ჩანს, თავიდანვე სვანეთში ინახებოდა. XIX საუკუნის ბოლოს იგი ჰკუთვნებია იფარის თემის სოფ. ზეგანის ეკლესიას. ეს ხელნაწერი ბ. ნიჟარაძის სახლში ნახა ე. თაყაიშვილმა (ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 303).

ვახტანგ ფარჯანიანის ვაჟს, ივანე ფარჯანიანს, რომელიც იხსენიება ზემოთ დასახელებულ Q-240 ხელნაწერის ანდერძში, 1050 წელს გადაუწერინებია (მოუგია) მარტვილის ოთხთავის სახელით ცნობილი ხელნა-

წერი (S-391). საყურადღებოა, რომ ივანე ფარჯანიანისათვის ამ ოთხთავის ერთი ნაწილი (134 r — 186 v) ნუსხურად გადაუწერია იოვანე ჰყონდიდელს (მესუეტეს) — Q-240 ხელნაწერის გადამწერს. მარტვილის ოთხთავის ანდერძში იკითხება:

სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდაჲთა ოთხთა მახარებელთაჲთა, მე, **ივანე ფარჯანიანმან**, დავიწერე წმიდაჲ ესე სახარებაჲ სალოცველად თავისა და სულისა ჩემისა, ძმათა და შვილთა ჩემთა და მოსაჯსენებელად სულისა მშობელთა ჩემთა-(ჲ)სა.

დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ქელითა, — ადიდენ ღმერთმან, — იოვანე მესუეტისაჲთა (193 v).

როგორც ვხედავთ, **ვახტანგ ფარჯანიანის** მიერ დაწყებული წმიდა წიგნების მოგების კეთილშობილური საქმე გაუგრძელებია მის შვილს — **ივანე ფარჯანიანს.**

ცხადია, **ვახტანგ** და **ივანე ფარჯანიანები** არ დაკმაყოფილდებოდნენ თითო წიგნის მოგებით. საფიქრებელია, რომ მათ მრავალი წიგნი გადაეწერინეს. მაგრამ ჟამთა სიავის გამო ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, კიდევ რომელი ხელნაწერები გადააწერინეს ქართული კულტურის ამ უანგარო მოღვაწეებმა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ამ საკითხს ნათელი მოეფინება.

ლიტერატურა

1. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I, თბ., 1966.
2. ბ. გიგინეიშვილი, ჯაჭვისა და ძეწკვის ურთიერთმიმართებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXIII, № 3, 1965.
3. თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.
4. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
5. ტ. გუდავა, ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 25, № 1, 1960.
6. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მიმომხილველი, I, ტფ., 1926.
7. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.
8. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
9. ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის ზოგი საკითხი: საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. მოამბე, I, თბ., 1962.
10. გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1962.

11. გ. როგავა, ჯაკე ფუძის შედგენილობისათვის: აფხაზეთის ენ. ლიტ. და ისტ. ინსტ. შრომები, XXIV, სოხუმი, 1951.
12. გ. როგავა, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან: ქართ. რ: ზან. ჯ: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959.
13. შ. ჯალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ || -შ სუფიქსის საკითხისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963.
14. ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, ნათესაობის აღმნიშვნელი ერთი ტერმინი ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XX, № 2, 1958.
15. ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, ნათესაობის აღმნიშვნელი „შილ" ტერმინისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXV, № 5, 1960.
16. ა. შანიძე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში: საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. მოამბე, № 2, 1960.
17. ა. შანიძე, რეცენზია შ. ანდრონიკაშვილის ნაშრომზე „ნარკვევები...": თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრ., 11, 1968.
18. არნ. ჩიქობავა, სპილის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
19. არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
20. არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.
21. Г. А. Климов, Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы: ИАН СССР, ОЛЯ, т. XIX, вып. I, М., 1960.
22. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
23. Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С-Пб., 1910.
24. Н. Я. Марр, Из поездок в Сванию (летом 1911 и 1912 г.): Христианский Восток, II, С-Пб., 1913.
25. Н. Я. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических: Материалы по яфетическому языкознанию, V, С-Пб., 1912.
26. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959.

VIII თავი

ქართული სალიტერატურო ენის ურთიერთობა უცხო ენებთან

ქართული სალიტერატურო ენის ურთიერთობა სხვა ენებთან არაერთგზის ყოფილა სპეციალისტთა მსჯელობის საგანი. უმთავრესად ამ საკითხს განიხილავენ თარგმნასთან დაკავშირებით. ცხადია, თარგმნის პროცესში თავს იჩენს უცხო ენათა ზეგავლენა: სიტყვათა სესხება, გრამატიკული და ფრაზეოლოგიური კალკები.

თავისთავად არც ისე ადვილია, დავადგინოთ, რომელი ენიდან არის გადმოთარგმნილი უძველესი წერილობითი ძეგლები. სამეცნიერო ლიტერატურაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული ძველი და ახალი აღთქმის წიგნების, აგრეთვე ზოგი სხვა თხზულების თარგმანის პირველწყაროს შესახებ. ბუნებრივია, ამგვარი საკითხების რკვევისას ტექსტის ლინგვისტურმა ანალიზმა დიდი როლი უნდა შეასრულოს.

ენათა ურთიერთგავლენის შესახებ მსჯელობისას უსათუოდ უნდა გავ-

მიჯნოთ ენათა უშუალო კონტაქტებისა და სალიტერატურო ენების ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოშობილი ფაქტები და მოვლენები. რა თქმა უნდა, არაა გამორიცხული ენათა უშუალო კონტაქტების შედეგად გარკვეული ურთიერთზეგავლენა (მაგ., ლექსიკური ხასიათისა), რაც შემდგომში აისახება სალიტერატურო ენაშიაც, მაგალითად, საფიქრებელია, რომ ზოგი ბერძნული, ირანული, სომხური... სიტყვა ქართულმა ჯერ კიდევ სალიტერატურო ენის შექმნამდე ისესხა. ეს სიტყვები მოგვიანებით სალიტერატურო ენის კუთვნილებად იქცა. ენათა ურთიერთობის შესახებ მსჯელობისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ე. წ. შუალობით ზეგავლენასაც. ფიქრობენ, რომ ქართულში დადასტურებული არაერთი ებრაიზმი და არამეიზმი უშუალო ზეგავლენის შედეგი კი არ არის, არამედ სხვა ენათა, უპირველესად ბერძნულის, მეშვეობით გაჩნდა ქართულში.

მთავარი საკითხია, რა უნდა მივიჩნიოთ ზეგავლენად? ვფიქრობთ, უცხოენობრივი გავლენის სამტკიცებლად არ გამოდგება უთარგმნელად დარჩენილი სიტყვები, მცდარად გაგებული ლექსიკური ერთეულები და ფრაზები... თხზულებათა მოდელები და სხვა, რაც ჩვეულებრივ, ითვლება ამა თუ იმ ნაწარმოების ამა თუ იმ ენიდან მომდინარეობის უტყუარ მამტკიცებლად.

I. ზეგავლენის სამტკიცებლად გამოდგება სიტყვათა სესხება, გრამატიკული და ფრაზეოლოგიური კალკები და სხვ. ამათგან არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გრამატიკულ კალკებს: სწორედ ისინი უნდა მივიჩნიოთ ენათა ზეგავლენის უმთავრეს საბუთებად. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ქართულზე სხვა ენების „გავლენის ამსახველ ფაქტებს“, აღმოჩნდება, რომ ქართული სალიტერატურო ენის ადრეულ საფეხურზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მხოლოდ ბერძნულს მოუხდენია. რა თქმა უნდა, არც ეს მოვლენა უნდა შევაფასოთ გადაჭარბებულად. უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ე. წ. ელინოფილურმა სკოლამ XI—XII საუკუნეებში უკიდურესობამდე მიიყვანა მთელი რიგი ტენდენციები, თავის დროზე ბერძნულის გავლენით თავჩენილი (უშემასმენლო კონსტრუქციები, მიმღეობური კონსტრუქციები, წინდებულთა გამოყენება და მისთ.) ამას გარდა წარმოქმნა ახალი ბერძნიზმები: მდედრობითი სქესის სახელთა წარმოება: ჰაბუკა, მეფა და მისთ., -იდ მაწარმოებლიანი სიტყვები: ჰაბუკიდი და სხვ. ამ მოვლენათა განზოგადება, ან მათი გაზვიადება მცდარი იქნებოდა. ისიც უთუოდ უნდა ითქვას, რომ საშუალმა და ახალმა ქართულმა არაერთი ბერძნიზმი უარყო.

ბერძნულ სამყაროსთან საქართველოს უძველესი და ძალზე მჭიდრო კავშირი ჰქონდა (40, გვ. 49—57; 79, გვ. 11). ქართულ ენაზე უკვე IV—XII საუკუნეებში ითარგმნა ბერძნული სასულიერო და ფილოსოფიური ლიტერატურის დიდი ნაწილი, რაც თვალნათლივ მოწმობს ამ ორი ხალ-

ხის წარმომადგენელთა უახლოეს კულტურულ ურთიერთობას. ბუნებრივია ისიც, რომ ამ პერიოდის ქართულმა სალიტერატურო ენამ ბერძნულის გარკვეული ზეგავლენა განიცადა. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს ზეგავლენა ლექსიკასა და სინტაქსში.

ძველ ქართულ ენაში ბერძნული ენიდან შემოვიდა (ან ბერძნულის მოდელით შეიქმნა) ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ქრისტე, ანტექრისტე, დიაკონი, დედათდიაკონი, არქედიაკონი, მთავარდიაკონი, ეპისკოპოსი, მთავარეპისკოპოსი. მთავარანგელოზი, არქიმანდრიტი, იკონომოსი, კათალიკოსი, პროტი, სჳნგელოზი || სჳნგელოსი, დეკანოსი, პატრიაქი || პატრიარქი. მარტჳრი || მარტჳლი, ეკლესია, ლავრა, მეტოქი, სქემა, კჳრიაკე, პარასკევი, ემბაზი, ლიტანია, კირიელეისონ || კჳრიელესონ, აღაპი, ევანგელე, ბიბლია, ეკლოგია, კუროპალატი, მაგისტროსი, პატრიკიოსი, კესაროსი, სებასტოსი, პანჳპერსებასტოსი, პატრონი, კალამი, მელანი, ქარტა, დრომონი, ნავი, კანაფი, ანკჳრა, აერი || ჰაერი, მანქანა, აფსიდა, კამარა, ლიტონი, კათოლიკე, პატრონიკე, ეპარხია, ექსორია, ეპარხოსი, ჰრომი, ბარბაროზი, კანონი, მური, ფილოსოფოსი, პოეტი (124, გვ. 263—269). პროფ. გ. პეჩის მიერ შედგენილ ამ მეტად საგულისხმო სიას შეიძლება დაემატოს: წიგნი (40, გვ. 35), ეტრატი, ქარტეზი (50, გვ. 29—35), კაბატონი || კაბადონი, ტომარი (12, გვ. 82), ჯპატოსი, არქიმანდრიტი, პრეტორი, ანთიპატრიკი, ეკუტერი, არღარი, სეევასტოფორი, პროტოასიკრიტი, პარაკიმენონი, პარაკიმანოსი, სტავრაჲ, ეპისტოლე || ებისტოლე, კენდინარი, ლექსი, ოქსინოჲ, კანდელი, ქორკანდელი, კანდელაკი, ეპიტროპი, დუკი, დიალოღონი, მეტაფრასი, ეპიტირიტისი, სტრატიოტი, აელინი, ეპისტატი, აპოთიკი, კალაფატი, მანდრინი, ინდიკტიონი, სტადიონი, მეტრაჲ, დრისტი, დიმოსი, სინდონი || სიდონი, მონაზონი || მრონაზონი, ლავრაჲ, მირონი, კელარი, მონასტერი და მრავალი სხვა. უთუოდ საყურადღებოა ისიც, რომ ამ სიტყვათა დიდი უმრავლესობა გვხვდება არა მარტო ნათარგმნ, არამედ ორიგინალურ ძეგლებში. დავიმოწმებთ რამდენიმე შემთხვევას:

მრუწოდა ეპარხოსსა მას (აგიოგრ. ძეგლ. II, 33, 38); ანთიპატრიკი იგი აღდგა (იქვე 34, 39—40); დაუსუენა იგი მეფემან ეკუტერსა შინა (იქვე 35, 24—25); შეჯდა იგი აღრართა სამეუფოთა (იქვე 36, 19); ბასილი პროტოასიკრიტმან და ფილოსოფოსმან და ღირსმან მონაზონმან აღწერა ცხოვრებაჲ წმიდისაჲ ამის (იქვე 37, 67); სევასტოფორი, კაცი წარჩინებული მათ ჟამთა შინა მთავართა შორის დედოფლისათა, წიგნებითა სამეუფოჲთა ლავრას წარმოაელინეს (იქვე 45, 24—26); ყოველი გასაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა (იქვე 46, 27—28); შეიყვანა იგი პარაკიმანოსმან მეფეთა წინაშე (იქვე 47, 1); უფროჲს ათორმეტისა კენდინარისა მოიღო განძი (იქვე 50, 2—3); საკურთხეველ-

ლისა შესამოსელი ოქრონემსული და მეორე ოქსინოჲ (იქვე 52, 29); მისცეს იკონომოსსა საშუალისასა ლიტრაჲ ერთი განძი საშოალისათვის წასაგებელად სასყიდლად ქორაკანდელთა (იქვე 53, 20—22); ეკლესიისა კართა დგან უხუცესი ეპიტირიტისი (იქვე 71, 3—4); დაუთხიიან ავლინსა შინა (იქვე 79, 16): აპოთიკი და ბოსტანი და წისქჳლნი კელრისა საურავი იყუნეს (იქვე 84, 1—2); კალაფატნი და მანდრინნი და ვენაჳნი და მენაჳენი — ესე იკონომოსისა გასაგებელნი იყუნეს (იქვე 84, 4—6); მიეცემოდის კანდელაკსა შემდგომითი შემდგომად (იქვე 100, 5—6) და სხვ.

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ბერძნულიდან ნასესხები ლექსიკის ერთი (მნიშვნელოვანი ნაწილი) შემოსულია ზეპირი გზით. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ: ეპისტოლე, იკონომოსი, პროტი, დეკანოზი, ეკლესია, მონაზონი, მონასტერი, ლავრა, კჳრიაკე, პარასკევი, ემბაზი, ლიტანია. კჳრიელეისონი, აღაპი, პატრონი, კალამი, მელანი, ნავი, კანაფი, აერი, ლიტონი, აპოთიკი, მანდრინი, კელარი და მრავალი სხვ.

აშკარა არის ის, რომ ბერძნულიდან ზეპირი, თუ წერილობითი გზით ნასესხები ლექსიკა განეკუთვნება ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ასპექტებს[1]. ეს არის მაჩვენებელი ამ ორი ხალხის ახლო თანამშრომლობისა V—XII საუკუნეთა მანძილზე.

გ. პეჩმა ნათელყო, რომ ბიბლიის უძველეს ქართულ თარგმანებში აისახა სწორედ ის წარმოდგენები, რაც ბერძნებს ჰქონდათ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ძვირფასი ქვებისა და ამ ტიპის სხვა საგანთა აღმნიშვნელ სახელებთან დაკავშირებით (124, გვ. 264—266). ესეც. რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანია ბიბლიის ქართული თარგმანის ისტორიის კვლევისათვის.

ვფიქრობთ, ძალიან საინტერესოა ისიც. რომ ზოგი სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით ხმარება ძველ ქართულში შეპირობებულია შესაბამისი ბერძნული სიტყვის სემანტიკით. ასეთებია: აღესრულა, შეეძინა და სხვ.

აღესრულა იოსებ, დაბ. 50, 26; რაჟამს აღესრულა ჰეროდე. მ. 2, 19 და სხვ. და მოკუდა აბრაჰამ სიბერითა კეთილითა მოხუცებული და სავსე დღითა და შეეძინა ერსა თჳსსა, დაბ. 25, 8; და დასცხრა იაკობ ბრძანებად ძეთა თჳსთა და აღიხუნა ფერჴნი თჳსნი ცხედრად და მოაკლდა და შეეძინა მამათა თჳსთა იქვე 49, 33 და მისთ.

[1] ბერძნულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შესახებ განსაკუთრებით საყურადღებოა ა. ურუშაძის: „ბერძნული ენის ისტორიის ზოგი საკითხი", Историко-филологические разыскания, I, Тб., 1980, გვ. 192—231; ნ. მახარაძის „ბიზანტიური ბერძნულის წარმოქმნის საკითხები", თბ., 1978.

ძველ ქართულ ნათარგმნ და ორიგინალურ ძეგლებში გვხვდება კომპოზიტები, რომლებიც შესაბამისი ბერძნული რთული სიტყვების მოდელის მიხედვით არიან წარმოქმნილი. ასეთებია: თჳთმავალი, თჳთმპყრობელი. თჳთმპყრობელობაჲ, თჳთმხილველი, თჳთმბრძოლი, თჳთმფლობელი, თჳთრჩულობაჲ, კეთილად-აღმომდინარე, კეთილად-განგებულებაჲ, კეთილად-მსახურებაჲ, კეთილად-ქცევაჲ, კეთილად-შეზაგებაჲ, კეთილად-ჴსენებული, კეთილად-მოღუაწე, კეთილად-მოღუაწებაჲ, კეთილად-მსახური, კეთილად-მორწმუნე, კეთილად-მორწმუნეობაჲ, კეთილად-მეტყუელი, კეთილად-მოჴსენებული, კეთილად-მეცნიერი, კეთილად-მძლე, კეთილ-წესებული. კეთილ-განმზრახი. კეთილ-მდებარე, კეთილ-მისათუალველი, კეთილმორთული, კეთილ-მორჩილებაჲ, კეთილ-სტუმრობაჲ, კეთილ-ჰაეროვნებაჲ; კეთილის-მოქმედი, კეთილის-მოქმედებაჲ, კეთილის-მოყუარე, კეთილის-მოძულე. კეთილის-მყოფელი, კეთილის-ყოფა; გემოთ-მოყუარე, დედათ-მოყუარე, დღესასწაულის-მოყუარე, ვეცხლის-მოყუარე, თავის-მოყუარე. კაცთ-მოყუარე, მართჳს-მოყუარე, ნოვაგთ-მოყუარე, პატივის-მოყუარე, სასუმლის-მოყუარე. სიბრძნის-მოყუარე, სიტყუათ-მოყუარე, უდაბნოჲს-მოყუარე, უკეთურების-მოყუარე, უცხოთ-მოყუარე, ქმართ-მოყუარე, შჳილთ-მოყუარე, შჳილის-მოყუარე, ცოდვის-მოყუარე, შუილის-მოყუარე, ცხორების-მოყუარე, ძმის-მოყუარე, ხუასტაგის-მოყუარე; გემოთ-მოყუარებაჲ, ვეცხლის-მოყუარებაჲ, დიდების-მოყუარებაჲ, კაცთ-მოყუარებაჲ, მთავრობის-მოყუარებაჲ, სიბრძნის-მოყუარებაჲ, უცხოთ-მოყუარებაჲ, ძმათ-მოყუარებაჲ; ძმათ-მობრძოლე; ძმათ-მოძულებაჲ; კეთილის-მოძღუარი, მენავეთ-მოძღუარი, მეპურეთ-მოძღუარი, მესაპყრობილეთ-მოძღუარი, მზარაულთ-მოძღუარი, მღდელთ-მოძღუარი, მწიგნობართ-მოძღუარი. შჳულის-მოძღუარი, ხუროთ-მოძღუარი: აჳაზაკთ-მთავარი; ასის-მთავარი, ანგელოზთ-მთავარი, ერის-მთავარი, მამათ-მთავარი, მესაპყრობილეთ-მთავარი. მტარვალთ-მთავარი; ამაოჲს-მოქმედი, ბოროტის-მოქმედი, ბრძოლის-მოქმედი, თანა-მოქმედი, თიჴის-მოქმედი, კეთილის-მოქმედი, ნავის-მოქმედი, პილენძის-მოქმედი, პურის-მოქმედი, სახის-მოქმედი, ქველის-მოქმედი, ჴელით-მოქმედი; ბრალის-ქმნა, გულმოწყე-ქმნა, გჳრგჳნოსან-ქმნა, უგულებელს-ქმნა, უცხო-ქმნა; არა-მყოფი, თანა-მყოფი, მარტოდ-მყოფი: მარტოდ-მყოფებაჲ; მძლავრ-მყოფელი, ბოროტის-მყოფელი, გულისხმის-მყოფელი, სიბრძნის-მყოფელი, ცხოველს-მყოფელი, ძლევის-მყოფელი, წმიდა-მყოფელი; ადრე-ყოფა, ამბორის-ყოფა, ახოვან-ყოფა, ბაგის-ყოფა, ბოროტის-ყოფა, ბრალეულ-ყოფა, ბრძოლის-ყოფა, განდგომილ-ყოფა, გრძელ-ყოფა, გულისხმის-ყოფა, გჳრგჳნოსან-ყოფა, დევნის-ყოფა, დროჲს-ყოფა, თანასათნო-ყოფა, თანა-ყოფა. თუალ-ყოფა, კეთილის-ყოფა, მიზეზ-ყოფა. მკჳრ-ყოფა, მრთელ-ყოფა, ნიშნის-ყოფა. უგულებელს-ყოფა, უარ-ყოფა; ცრუ-მოძღუარი ცრუ-ფიცი, ცრუ-მოწამე. ცრუ-ქრისტე, ცრუ-წინასწარმეტყუ-

ელი, ცრუ-წამება; ცუდად-მეტყუელი, ცუდად-მეტყუელებაჲ, ცუდად-მზუაობარი, ცუდად-მზუაობრებაჲ; ცუდის-მეტყუელი; ცუდ-ყოფა; არა-არსი, არა-არსებაჲ, არა-გარდამაქცეველი, არა-კეთილი, არა-მოკლებული, არა-მოკსენებაჲ, არა-საჯმარი, არა-ღირსი, არა-შეწყალებული, არა-ძლება, არა-წმიდაჲ, არა-წმიდებაჲ, არა-წრფელი, არა-მეცნიერი და მრავალი სხვა.

ბერძნული ენიდან დიდძალი ლიტერატურის თარგმნა ქართულად არა მარტო ქართული კულტურის პროგრესს უწყობდა ხელს, არამედ კიდევ უფრო სრულყოფდა, ხვეწდა ქართულ სალიტერატურო ენას. იგი თანდათან იქცევა მწერლობის სხვადასხვა ჟანრის, მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგების ენად. იქმნება მდიდარი სამეცნიერო ტერმინოლოგია. ამასთან, ცხადია, ბერძნული ენის ზეგავლენით თავს იჩენს კალკები. ზოგჯერ ქართული ენის ბუნებისათვის უცხო და მიუღებელი. განსაკუთრებით იმას უნდა გაესვას ხაზი, რომ ამგვარი კალკები თარგმნილი ლიტერატურის ენის ზეგავლენის შედეგად ზოგჯერ ორიგინალურ ძეგლებშიც გამოვლინდება.

აქ განვიხილავთ რამდენიმე დამახასიათებელ მოვლენას.

1. ბევრ ქართულ ენაზე გადმოთარგმნილ ძეგლებში ზმნა-შემასმენელი საკმაოდ ხშირად გამოტოვებულია.

მაგალითად, მათეს სახარების ერთი ადგილი (1, 17) ასეა წარმოდგენილი:

ყოველი ნათესავი აბრაჰამისითგან ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ, და დავითისით ვიდრე ბაბილოვნელთა ტყუენვამდე ნათესავი ათოთხმეტ, და ტყუენვითგან ბაბილოვნელთაჲთ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლში არც ერთი ზმნა არ არის, რაც, ცხადია, ქართული ენის ბუნებას ეწინააღმდეგება.

როგორც მიუთითა დ. მელიქიშვილმა, ამ ტიპის წინადადებები გვხვდება სინურ მრავალთავშიც (47, გვ. 190).

განსაკუთრებით ხშირია უშემასმენლო წინადადებები ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენი იყალთოელისა და სხვათა ნაწერებში.

დამახასიათებელია „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ ეფთვიმე მთაწმიდლისეულ და ეფრემ მცირისეულ თარგმანთა ერთი ადგილის შედარება ამ თვალსაზრისით:

ეფრემის თარგმანი:

არა წინააღდგომაჲ, დაპყრობაჲ, რიდობაჲ, აღებაჲ ჴელსა ღმრთისა კაცთმოყუარებისაჲსა და სჯულთა პატივცემულისა საკურთხეველისათაჲ? ანუ არა ყოვლისავე ქმნაჲ და შემთხუევაჲ ნებებად პირველ, ვიდრე ქმნად რასმე მის ზედა კაცთმოძულესა, გინებად წმიდისა ტრაპეზისა და გინებად სარწმუნოებისა, რომლისა მიერ იგი იოხდა? Jer.-43 57 v.

ეფთუმეს თარგმანი:

როშელი ბრძანებას პატიჟის-ცემად საკურთხეველთა და მისთჳს თავსდებად ყოელისა ბოროტისა. ვიდრე განცემაჲ მისი და შეურაცხყოფაჲ საკურთხეველისაჲ და სარწმუნოებისა მის ჩუენისაჲ, Ath.-32 32 r.

ეფთუმეს თარგმანი, ცხადია, სავსებით შეეფერება ქართული ენის ბუნებას, მაშინ როცა ეფრემისეული ბერძნულის აზრს ზუსტად გადმოსცემს, მაგრამ მისი სტილი მოიკოჭლებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი მთაწმიდელი მეტისმეტად იშვიათად იყენებს ამგვარ კონსტრუქციას (39, გვ. 063).

ძველი ქართული ენის თარგმნილ ძეგლებში დადასტურებული და შემდგომ ეფრემ მცირის მიერ ფართოდ გამოყენებული ეს მოვლენა უკიდურესობამდე მიიყვანეს იოანე პეტრიწმა (47, გვ. 187—190), არსენი იყალთოელმა და ე. წ. ელინოფილური სკოლის სხვა მწერლებმა. ეს იყო ბალადობა ქართული ენის სინტაქსური წყობის მიმართ. სავსებით მართებულად წერს დ. მელიქიშვილი: „ბერძნული ენის გაელენა აშკარად იგრძნობა უშემასმენლო წინადადებების ხმარებაში. ჩვეულებრივ, ჩაევარდნილია „არს“ მეშველი ზმნა. რაუგანაც ქართული ენისათვის უცხოა უზმნო წინადადებები, ამიტომ შემასმენლის გამოტოვება მეტად აძნელებს აზრის გაგებას“ (17, გვ. 186).

2. ეფრემ მცირის თარგმანი იოანე პეტრიწის (47, გვ. 191—194). არსენი იყალთოელისა და სხვათა ნაწერებში საკმაოდ ხშირია ე. წ. მიმღეობური კონსტრუქცია. მიმღეობა ცელის წინადადების ნაწილს (შემასმენელსა და მასთან პირით დაკავშირებულ წევრებს):

და ღაღატ-ყო კმითა დიდითა მ ე ტ ყ უ ე ლ მ ა ნ: ეჰა, რაჲ შენი და ჩუენ, იესუ ნაზარეველო, Jer.-22 51 r, 19—21 b.

ეს ადგილი (ლ. 4, 33—34) ქართული ოთხთავის თარგმანებში ასეა გადმოცემული:

ღ ა ღ ა დ-ყ ო კმითა დიდითა DEG; ღ ა ღ ა ტ-ყ ო კმითა დიდითა CFIK.

სხვა მაგალითები: ლ. 7, 44:

მ ი ჭ ც ე უ ლ მ ა ნ დედაკაცის ციმართ სიმონს ჰრქუა, Jer.-22 67 r, 8—9 b; შდრ.: მ ი ე ჭ ც ა დედაკაცსა მას DEFGHIK; მ ო ე ჭ ც ა დედაკაცსა მას C;

ლ. 7, 19:

და მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ მ ა ნ ორთა მოწაფეთა მისთამან იოანე მიაელინნა იესუას მიმართ მ ე ტ ყ უ ე ლ მ ა ნ, Jer.-22 64 r, 17—21 a; შდრ.: მ ო უ წ ო დ ა იოანე ორთა მოწაფეთა თჳსთა და მიაელინნა იესუასა და ჰ რ ქ უ ა CDEFGHIK;

ლ. 6, 8:

ჰრქუა კაცსა კელისა მჭონებელსა კელისასა, Jer.-22 58 r, 8—10 a: შდრ.: ჰრქუა კაცსა მას, რომელსა კელი გახჳმელ ედგა CDEFGHIK;

ლ. 4, 17:

განმღებელმან წერილისამან პოვა ადგილი. Jer.-22 49 r, 9—10 b; შდრ.: განყო წიგნი CDEFGHIK;

მრკ. 15, 17:

და დაადგეს მათ შემთხვეულთა ეკლისა გვრგვნი, Jer.-22 26 r, 4—6 a; შდრ.: დაადგეს მას შეთხზული ეკლისა გვრგვნი DE: დაადგეს შეთხზული ეკალთაგან გვრგვნი FGHIK:

მრკ. 14, 63:

მღდელთმთავარმან დამპებელმან სამოსელთა მისთამან თქუა. Jer.-22 23 v, 28—30 a; შდრ.: დაიპო სამოსელი თჳსი DEFGHIK: მოიპო კუართი თჳსი C;

მრკ. 11, 2:

წარვედით დაბასა მყოფსა წინაშე თქუენსა და ბეჭსულად შეარაჲ-ხჳდეთ მას შინა, ჰპოოთ კიცჳ დაბმული, რომელსა ზედა არავინ დაჯდა კაცი და აღმჴსნელთა მისთა მოიყვანეთ. Jer.-22 3 r, 25—32 a; შდრ.: წარვედით დაბასა მას (მაგრ. HIK), რომელ არს წინაშე თქუენსა DEFGHIK; რომელ არს პირისპირ თქუენსა C; ... აღჰსენით (აჰსენით HIK) იგი და მომგუარეთ მე CDEFGHIK: ყოველი მზიარებელი ზიარებულსა უდარეს არს, იოანე პეტრიწი, I 21, 18; ყოველი ძალი ღმრთეებრივთა ერთთაჲ, დამწყებელი ზენაჲთ და თჳსთა საშუალთა მიერ წარმვლელი ვიდრე უკუანაჲსკნელთადმი იშთამოებს. იქვე 86, 5—7: ყოველმან მყოფმან და ყოველმან მყოფთა აღმკულებაჲმან ესეზომ წარმოვლო, იქვე 88, 5—6: ყოველი დამბრწყინი ნამდჳილმყოფისაჲ ერთებრივთა რიცხუთა სიმრავლე არს დაფარული, იქვე 97, 19—20; ყოველი მზიარებელი ჟამისაჲ, ხოლო სჲმარადისოდ მიდრეკადი, გზავნითთა მოქცევეთა მიერ განიზომების. იქვე 118, 15—16 და სხვ.

საინტერესოა, რომ არსენი იყალთოელი საკმაოდ ხშირად მიმღეობურ კონსტრუქციას მიმართავს იქ, სადაც ეფრემ მცირე პირიან ზმნას იყენებს:

ენამძიმედ უწოდდა თავსა თჳსსა, ვითარცა ვერშემძლებელი მსახურ-ყოფასა საღმრთოჲსა ნებისაჲსა. დიალექტიკა 71, 6—9; შდრ.: ვითარცა ვერ შეუძლებდა; არცა სიტყჳსა მჭონებელმან ჴმაყოფად მოგონებათა შემძლებელისაგან, იქვე 71, 21—23: შდრ.: არცა სიტყუაჲ პოვნიერ ვარ გამოთქუმად; ამათსა მგონებელსა მე მცონოდა სიტყუად/იქვე 71, 27—28; შდრ.: ამას რაჲ გულს-ვეტყოდე; მიმთუალველთა მორჩილებისათა მომიზღენით სასყიდელნი

ლოცვათანი, იქვე 74, 14—16; შდრ.: მიითუალეთ მორჩილებაჲ; ესე იგი არს, თაესა შორის თჳსსა მყოფი და არა სხჳსა შორის მჭონებელი ყოფისაჲ, იქვე 74, 25—28; შდრ.: რაჲთა თაესა შორის თჳსსა სრულარს იყოს იგი და არა სხჳსა მიერ სრულ იქმნებოდის: ყოველთა შორის მყოფთა თაესა შორის თჳსსა და არა სხჳსა შორის მჭონებელი ყოფისაჲ არსებაჲ არს, ხოლო ვერ შემძლებელი თავით თჳსით ყოფასა, არამედ სხუასა შინა მჭონებელი ყოფისაჲ, იქვე 75, 28—33; შდრ.: ესე ამათსავე მსგავსად იპოების ყოველთა არსთა შინა, რამეთუ, რომელი თაესა შორის თჳსსა იყოს და არა სხუასა შინა მიეღოს ყოფაჲ, იგი თჳთარსება არს. ხოლო რომელი თაესა შორის თჳსსა ვერ სრულ იყოს, არამედ შეზავებითა სხჳსაჲთა მიეღოს სრულებაჲ და სხვ.

მიმღეობური, მძიმე კონსტრუქციები საკმაოდ ხშირია გელათის ბიბლიაში (17, გვ. 150—151).

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ამ კონსტრუქციის სიჯარბე ქართული მეტაფრასული ძეგლების ენაში:

ერთგზის დამდებელი ჴელისა ერქუანსა ზედა ანეულმყოფელსა სულთასა მიუქცეველ იყო მართლუკუნ, აგიოგრ. ძეგლ. III 86, 1—2; დამცხრობელი ჯორციელთა გულისთქუმათა და ვნებათა განკაფითა და შეიწრებითა სხეულისაჲთა აღმაღლებოდა დღითი დღე, იქვე 87, 6—7; აღმხუმელი ფრთეთა სულიერთა წარივლტოდა უდაბნოდ განსუენებისად, იქვე 87, 32—33; შესრულმან წინაშე განმაცხოველებელისა სუეტისა ერთბამად მოწაფეთა თჳსთა თანა თაყუანი-სცა უფალსა, იქვე 90, 12—13; ვერ შემძლებელთა აღმართებად დაუტევეს იგი, იქვე 91, 19; ამიერ დამადგინებელი მუნ მღდელთა და დიაკონთა კუალად საყდრადვე თჳსად უკმოიქცა ძლევასა აღმადგინებელი ბოროტთა ეშმაკთა ზედა, იქვე 125, 9—11; ამათ მეტყუელი ცრემლითა დაალტობდა ქუეყანასა განგრძობილად ლოცვისა აღმასრულებელი, იქვე 130, 7—8; ქებასა შესწირვიდა მისა მეტყუელი, იქვე 130, 22—23; ესრეთ ზეგარდამოჲსა მოურნეობისა მიმთხუეული ღმრთისაგან იხარებდა სულითა და ადიდებდა მეუფესა, იქვე 131, 4—5; და, აჰა ესერა, ხედვიდა ტრედსა მას, რომელი ეხილვა უწინარესსა დღესა მიმღებელად საზრდელისა პირითა თჳსითა ბერისა მიმართ, იქვე 132, 21—23; მომდრეკელთა თაჳისათა ილოცეს მუნ ერთბამად, იქვე 139, 3—4 და სხვ.

ცხადია, ამ ტიპის კონსტრუქცია არაა დამახასიათებელი ქართულისათვის და აშკარად ბერძნულის ზეგავლენის შედეგია. იგი თანდათან გაქრა.

3. ა. შანიძე მიუთითებს, რომ „ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა და პასიურ გამოთქმებში ზომიერებას იცავს, მაგრამ უნ-

და აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში პასიური კონსტრუქციების ხმარება ძალიან გაიზარდა სამეცნიეროსა და ტექნიკურ ლიტერატურაში, აგრეთვე საგაზეთო წერილებში, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა რუსულიდან და სხვა ენებიდან“ (60, გვ. 300). იქვე ნათქვამია: „თარგმნას ამ საკითხში ძველადაც ჰქონდა გავლენა, მაგ., ძვ. ქართულში „აღმოიყვანა“ ენებითად უნდა გაიგოთ შემდეგ წინადადებაში: მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ (მათ. 4, 1 ჯრ.-პარს.), რაც ბერძნულის ზუსტად გადმოცემის ბრალია“ (60, გვ. 300).

ამგვარი მაგალითები საკმაოდ ხშირია ძველ ქართულ თარგმნილსა და ორიგინალურ ძეგლებში. ჯერ მოვიხმობთ რამდენიმე ნიმუშს თარგმნილი ძეგლებიდან:

და იკურთხეოდიან შენდა მიმართ და ნათესავისა შენისა მიმართ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი, დაბ. 22, 18; უფალმან აკურთხა უფალი ჩემი ფრიად, და აღმაღლდა, იქვე 24, 35; რომელსა სათნო-ვეყავ მე წინაშე მისსა, იქვე 24, 40; შეძრწუნებულ იყო სული მისი მის თანა, იქვე 21, 8; შეეწყურა ერსა მას წყლითა, გამოსლვ. 17, 3; თთუესა მას მეექუსესა მიივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქსა გალილეველთასა, ლ. 1, 26 C; მოივლინა DE; არავისა ერთისა მათგანისა მიივლინა ელია, ლ. 4, 26; რომელნი-იგი მიევლინნეს, ფარისეველთა მათგანნი იყუნეს, ი. 1, 24 C; მივლინებულნი იგი DE; ანუ არა ორი სირი ერთის დანგის განისყიდებისს, მ. 10, 29 DE; განიყიდის C; რაჲსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განიყიდა საშასის დრაჰკნის და მიეცა გლახაკთა, ი. 12, 5; რამეთუ ცოცხლებით მოიყვანა იგი, ლ. 15, 27; მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას, მ. 3, 10; 7, 19 DE; ლ. 3, 9; მოიკუეთოს და ცეცხლსა დაედვას, მ. 7, 19 C და სხვ.

მაგალითები ორიგინალური ძეგლებიდან:

რომელი დღეთა ამათ ჩუენთა იმარტჳლა, აგ. ძეგლ. 1 46, 8; მნებავს, რაჲთა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტჳლობაჲ, იქვე 47, 10; დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა, იქვე 47, 11; კარ ეწოდა, იქვე 52, 25; გზა ეწოდა, იქვე 52, 28; ტარიგ ეწოდა, იქვე 53, 1; ერისმთავარი იგი ქართლისაჲ, სახელით ნერსე, ძჱ ადრნერსე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ, მოწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან მის ჟამისა სარკინოზთაჲსა ამირა მუშნისა აბდილაჲსგან, იქვე 55, 27—56, 2; პყრობილ იყო იგი მუნ, იქვე 56, 5; წამის-ყოფითა ღმრთისამიერითა იწჯა ესეცა, იქვე 57, 3—4; ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბოჲსთჳს, იქვე 59, 12—13; ეუწყოს განცხადებულად ქრისტეანობაჲ

ჩემი ქრისტჱს-მოძულეთა მათ. იქვე 61, 24—25; სიმჴნითა და დიდებითა გვრგვნოსან იქმნა ქრისტჱს მიერ, იქვე 63, 1—2: ხოლო ნეტარი ჰაბო განძლიერდა ქრისტჱს მიერ და აღივსო სულითა სარწმუნოებისაჲთა. იქვე 64. 24—25; განსწავლულ ვიყავ შჯულითა მით მაჰმედისითა, იქვე 65, 2; რომელი სახელად წმიდათა ღრმეოცთა დაფუძნებულ იყო, იქვე 72, 21—22; აწ შენ მიერ მოგუეახლა ქრისტჱ, იქვე 79, 12—13; რაჲთა სუეტისა მის აღმართებითა ღმერთი იდიდოს და კაცნი უმეტესად დაემტკიცნენ სარწმუნოებასა. იქვე 138, 28—31; აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა. იქვე 140. 1—2; საღუაწი სულიერთა შვილთა შენთაჲ უზრუნველ იყოს შენგან, იქვე 259, 2—3; ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა, იქვე 264, 32—33; ვითარმე მიეცი ჴელსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი-იგი იუდაჲს მსგავსად შენ უფლისა თჳსისა მკლველ იქმნენს, იქვე 264, 41—265, 2: განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა, აგ. ძეგლ. II 41, 15—16: განითქუა ჰამბავი მათი და იცნობა, იქვე 45, 3—4; სადა-იგი ყოველი ხუასტაგი ეკლესიისაჲ უხუებით გამოიზრდების, იქვე 135, 9—10; აწ ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყჳი, რომლისა მიერ დაიბუროს წმიდაჲ ეკლესიაჲ. რაჲთა მას შინა ელოცვებოდის წმიდასა მეფობასა შენსა, იქვე 134, 24—27: ჴრაჲ უნებელი დაგეპატიჟოს, იქვე 156. 25—26 და სხ.

4. დიდი ხანია ცნობილია, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში და კავშირი მეტისმეტად ხშირად იხმარება (42, გვ. 111—129: 41, გვ. 255; 73, გვ. 23; 47, გვ. 197—201; 53, გვ. 251—255; 48, გვ. 506; 25, გვ. 90—97).

ეს მოვლენა განსაკუთრებით ხშირია ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა) ქართულ თარგმანებში (51, გვ. 173; 25, გვ. 90). კ. დანელია იმოწმებს ერთ ტიპურ შემთხვევას ლევიტელთა წიგნიდან (4, 13—21): უკუეთუ ყოველმან კრებულმან ძეთა ისრაჱლისამან უმეცრებაჲ ქმნეს არა ნებსით და დაეფაროს სიტყუაჲ იგი თუალთაგან კრებულისათა და ყონ ერთი რაიმე მცნებათაგანი ღმრთისათაჲ, რომელ არა ყოფად ჴერიყო, და განცხადნეს მათი იგი ცოდვაჲ ... მოიბას კრებულმან მან ჯბოჲ ზროხათაგან უბიწოჲ ცოდვისა მისთჳს და მოჰგუარონ იგი კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა. და დაასხნენ ჴელნი მოხუცებულთა მათ ერისათჳს თავსა ზედა მის ჯბოჲსასა წინაშე ღმრთისა ... და შეიღოს მღდელმან მან ცხებულმან სისხლისა მისგან ჯბოჲსა კარვად საწამებელისა, და დაწოს მღდელმან მან თითი სისხლსა მას ჯბოჲსასა და აპკუროს შჳდ გზის წინაშე ღმრთისა ... და მისვე სისხლისაგანი სცხოს რჭათა მათ საკურთხეველისათა ... რომელ არს კარაული მას შინა საწამებელისასა, და ყოველი იგი სისხლი დასთხიოს ხარისხსა თანა ... და ყოველი ცხე-

ლი მიიღოს მისგან და შეწიროს იგი საკურთხეველსა ზედა. და ყოს კბოჲ ესე, ვითარცა სახედ ყო კბოჲ იგი ცოდვისაჲ, ეგრევე ყოს ესე. და ლხინება-ყოს მათთჳს მღდელმან მან და მიეტევნენ მათ ცოდვანი მათნი. და განიღონ კბოჲ იგი გარეშე ბანაკსა მას და დაწუან იგი (25, გვ. 90).

დავიმოწმოთ ორიოდე მაგალითი ოთხთავიდან:

და წარმოვიდა მიერ იესუ და მოვიდა შესაკრებელსა მათსა. და იყო მუნ კაცი, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა. და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს, მ. 12, 9—10; და რომელი დაეცეს ლოდსა მას, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანჴრიოს იგი. და ესმა რაჲ მღდელთმოძღუართა მათ და ფარისეველთა იგავი ესე მისი, მ. 21, 44—45 და სხვ.

კ. დანელია აღნიშნავს: „და“ კავშირის ხმარების სიჭარბე-სიხშირე სხვადასხვა პოზიციაში ვლინდება. ამათგან მთავარია: 1. „და“ ნახმარია ერთგვარ წევრებს შორის შერწყმულ წინადადებაში; 2. „და“ ნახმარია სრულიად დამოუკიდებელი წინადადებების საზღვარზე: 3. „და“ გამოყენებულია თხრობის დიდი პერიოდების შემადგენელ ნაწილთა დასაკავშირებლად, რთული წინადადებების შემცველ კომპონენტთა ერთ დიდ მონაკვეთად შესაერთებლად“ (25, გვ. 90).

და კავშირის ხმარების ასეთი სიხშირე ბიბლიური და სხვა წიგნების თარგმანებში იმით აიხსნება, რომ „ბიბლიის სხვა ენაზე მთარგმნელთ აუცილებელ ნორმად მიაჩნდათ მაქსიმალური სიზუსტის დაცვა და არავის შეეძლო წინააწარგანზრახვით გადმოეღებლად დაეტოვებინა თუნდაც დამხმარე სიტყვები (კავშირ-ნაწილაკები)“ (25, გვ. 92).

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ძველი ქართველი მთარგმნელები არა მარტო გრძნობდნენ ქართულში და-ს (აგრეთვე ზოგი სხვა კავშირისა და ნაწილაკის) ბერძნულის ზეგავლენით უჩვეულო ხმარებას, არამედ ამას სპეციალურადაც გახაზავდნენ. ეფრემ მცირე წერს: „არა ას ჴელ-მეწიფებოდა თჳსით გულით დართვად და სხუებრ ცვალებად ვიდრე დონ-ანთამდეცა“, Jer. 43, XII სს., 3 v). გიორგი მთაწმიდელი ამბობს: „ნუცა დონ-ანსა დააკლებთ და ნუცა რამეთუსა და ესე ესრე ეგების გონიერისაგან გულისჴმის-ყოფად, რომელ იგი დონ-ანი ჩუენცა ვიცოდით“ (XIII—XIV საუკუნეთა ლენინგრადულ ფსალმუნთა ნელნაწერის ანდერძი. იხ. მ. შანიძის გამოცემული ფსალმუნნი, გვ. 027). მიუხედავად ამისა, მთარგმნელები და გადამწერები ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანის მოწინააღმდეგეები არიან.

ი. ნადარეიშვილი წერს: „სავარაუდოა, რომ XVIII საუკუნემდე არსებულ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებებში „და“ კავშირის ხშირი ხმარება გამოწვეული უნდა იყოს საეკლესიო სტილის გავლენით, რაც თავისთავად ბიბლიის ტექსტების გავლენითაა შეპირობებული“ (48. გვ. 506). ქართულში და კავშირის ხმარების ასეთი დიდი სიხშირე და მისი გამო-

ყენება ზემოთ დასახელებულ სამ შემთხვევაში კ. დანელიას მიაჩნია ებრაიზმად, „მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძველი ქართული თარგმანი ამ შემთხვევაში უშუალოდ ებრაულ წყაროზე იყოს დამოკიდებული, რადგან ზემოთ ხსენებული სინტაქსური ებრაიზმი პრინციპულად ერთნაირად ვლინდება ბერძნულ სეპტანტას, სირიულ პეშიტასა და ძველ სომხურ თარგმანშიც“ (25, გვ. 94).

სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ ბერძნულმა ამ მხრივ ებრაულის ზეგავლენა განიცადა (88, გვ. 367). სავარაუდებელია, რომ ქართული ამ შემთხვევაში ბერძნულის უშუალო ზეგავლენას განიცდის (თუმცა ეს საკითხი უაღრესად რთულია და უკავშირდება ბიბლიურ წიგნთა ქართულად გადმოღების პრობლემას).

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიბლიურ წიგნთა თარგმანის ენამ ამ შემთხვევაშიაც მოახდინა უდიდესი ზეგავლენა ორიგინალურ ძეგლებზეც:

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ, აგ. ძეგლ. I 11, 3—4; და იჴმნა მეფისაგან სპართაჲსა პიტიახშმან, იქვე 12, 9; და ვითარცა მოიწია და შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, და კითხეაჲ ჰრქუა, იქვე 12, 15—16; და ესრეთ იღოცევიდა და იტყოდა, იქვე 13, 3; და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსქენ პიტიახში. და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრქუა, იქვე 14, 20—21; რამეთუ საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკჳრველ და უფალ და ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისი, იქვე 52, 13—14; და დაუტეევა მამაჲ და დედაჲ და ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები, იქვე 57, 4—6; და მეფობდა საურმაგ ... და მეფობდა არსოკ ... და მეფობდა არიკ, იქვე, გვ. 82 და სხვ.

ბერძნულის ზეგავლენით უნდა აეხსნათ აგრეთვე წინადადების დაწყება და იყო ფრაზით. თვით ბერძნულში, სომხურში, სირიულში ეს ებრაიზმია (88, გვ. 368; 52, გვ. 252—254; 25, გვ. 96).

ამ მოვლენამაც იჩინა თავი ქართულ ორიგინალურ ძეგლებში. ამ საკითხს ყურადღება მიაქცია ც. ქურციკიძემ (52, გვ. 251—255; იხ. აგრეთვე 25, გვ. 96). დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

და იყო, დღეთა კოსტანტინე მეფისათა, ქრისტეს აღმაღლებითგან სამასმეათესა წელსა, იყო ღუაწლი ბრძოლისაჲ მტერთაგან, აგ. ძეგლ. I 83, 12—14; და იყო, ვითარცა მიიწინეს იგი მთავარნი, იქვე 102, 16; და იყო, დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი, იქვე 118, 4—5; და იყო, ოდეს მოხედნა ღმერთმან წყალობით ქუეყანასა ამას, იქვე 118, 23—24; და იყო, დღესა ერთსა ... შაფათსა აღჴდა მეფე, იქვე 134, 40—41; და იყო, რაჟამს მოიქცა ყოველი ქართლი, იქვე 153, 3; და იყო, რაოდენისამე ჟამისა შემდგომად, მარტჳლიისა უკუანა, იხილეს სჳსწაული დიდი, იქვე 155, 1—2 და სხვ.

და იყო ფრაზის ნაცვლად ზოგჯერ გვაქვს იყო (53, გვ. 251—255):

იყო, მერვე წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, აგ. ძეგლ. I 11, 12—13: იყო მათ ჟამთა შინა, ოდეს-იგი გირგი კაბადუკიელი იწყმა, იქვე 106, 20 და სხვ.

ბერძნიზმად უნდა ჩაითვალოს და კავშირის გამოყენება ცა, ვე ნაწი-ლაკების ფუნქციით ქართველი მწერლების ნაწერებში (41, გვ. 255; 47, გვ. 197). მოვიხმობთ რამდენიმე დამახასიათებელ ნიმუშს:

თარგმნნა წიგნნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუაჲ კ ნ ი ნ ღ ა დ ა შეუძლებელ არს, აგ. ძეგლ. II 62, 4—5; ამით ესევითარითა სახითა კ ნ ი ნ ღ ა დ ა ყოვლისა სოფლისა სახილველ და თაყუანის-საცემელ-ყო, იქვე 132, 17—18; უწინარეს ჩუენსა მისრულ იყვნეს თურქნი და აღო-ქალაქი იგი და დაეწუა. და ჩუენ არაჲ უწყოდეთ და მივიდოდეთ და კ ნ ი ნ ღ ა დ ა მცირედ ჯელთა მათთა შთავვარდებოდეთ, იქვე 158, 23—25;

უკუეთუმცა სიწმიდე შენი არა მომაშურალ იყო, ჰ წმიდაო მამაო, კ ნ ი ნ ღ ა მ ც ა დ ა მწუხარებათა მიერ ჯოჯოხეთად შთარულ იყო სული ჩემი, იქვე 149, 7—8; უკუეთუმცა არა მეხილვა სიწმიდე შენი, კ ნ ი ნ-ღ ა მ ც ა დ ა მწუხარებისა მიერ მომკუდარ ვიყავო, იქვე 174, 22—24;

კ ნ ი ნ ე რ თ დ ა მო-მცა-კლეს, აგ. ძეგლ. I 185, 19;

მარტიელთა ვიეთმე შური და ჯდომაჲ შთაუთესა და მ ც ი რ ე დ ღ ა დ ა ძმათა მისთა შეახო კნინი რაჲმე, Jer.-ჱ 36 r, 9—12;

და არა მხოლოდ თავისი თჳსისა მიერ, ა რ ა მ ე დ დ ა მოწაფეთაცა მიერ თჳსთა, აგ. ძეგლ. III 105, 14—15;

წარმავალ ვართ ყოველნი, ვ ი თ ა რ ც ა დ ა მამანი ჩუენნი, აგ. ძეგლ. III 89, 21;

კეთილმან ხემან კეთილიცა გამოიღის ნაყოფი, ვ ი თ ა რ დ ა ესეცა სანატრელი ნაყოფთა თჳსთაგან საცნაურ-ჰყოფდა რომლობასა ძირთასა, იქვე 173, 1—2; ხვალისა დღე კუალად განჴიდეს ნადირობად, ვ ი თ ა რ-დ ა უწინარესსაცა დღესა, იქვე 272, 19—20;

ე გ რ ე თ ე დ ა ურწმუნოებითაცა შეიპყრობიან სულნი უმეცართა-ნი, იქვე 145, 12—13;

ხოლო საზრდელი შენი იყოს, ვ ი ნ ა ჲ დ ა ჩუენცა ვიზარდებით, იქ-ვე 146, 22—23;

წმიდაჲ იგი მსგავსად განჩინებულისა მის ხვალისა დღე წარსლვად ისწრაფდა, ნ უ უ კ უ ე დ ა სათნო-იჩინაა მოწყალებამან ღმრთისამან? აგ. ძეგლ. II 20, 1—4; რამეთუ ეშინოდა, ნ უ უ კ უ ე დ ა კუალად ეპის-კოპოსად სადამე აიძულონ, აგ. ძეგლ. III 144, 13—14;

რომელმან ელია ყორნისა მიერ უდაბნოდ გამოზარდა, მან ქ ა დ ა

მსჯულობაცა თჳსი შიო, შურსა სიმართლისა შემშურებელი, ზარდა საზრდელისა მოყლინებითა. იქვე 271, 1—3;

ხედავა მშჯდობასა ღმრთისასა კაცთა მომართ, რომელი და სხუებრცა გულისჴმა-იყოს. Jer.-22 46 v, 24—27 a;

ცრემლეოდა ესრეთ შეურაცხ-ქმნასა თავისა თჳსისა მსმენელი ნეტარისა შიოანგან სიყუარულისათჳს ქრისტესა, ვიდრე და მღჳმესაცა შინა უკუნსა დამკჳდრებად, აგ. ძეგლ. III 154, 6—8.

ძალიან საინტერესოა ზმნურ ფორმებში და-ს გამოყენება ნაწილაკად:

მარხვითა და მღჳძარებითა ჰასაკსა მას სიჭაბუკისასა დააჴნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედვითა უჯორცოთა მიემსგავსებოდა, ვიდრეღა წარემატებოდა მოღუაწებითა ყოველთაჲ მყოფთა მის ადგილისათა, აგ. ძეგლ. II 11, 14—17; და წარვიდა ეპისკოპოსი იგი და მიუთხრობდა ყოველსა ერსა სათნოებათა მისთა, და რომელთა ესმა და. ჰმადლობდეს ღმერთსა, იქვე 12, 16—18; შენვე იხილე, რომელი იყოს და შემძლებელ განგებად ჩუენდა, აგ. ძეგლ. III 158, 16—17. და სხვ.

როგორც ვხედავთ, და ნაწილაკის ფუნქციით უპირატესად XI—XII საუკუნეთა ქართველი მწერლების ნაწერებში დასტურდება.

უკანასკნელ ხანებში ამ საკითხს ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. ვ. ბოედერმა (89).

5. კარგად არის ცნობილი, რომ ძველ ქართულში (და ახალ ქართულშიც) პირის ნაცვალსახელი ხშირად ზედმეტად იხმარება. ქართული ზმნა თავისთავად გამოხატავს პირს და ამიტომ პირის ნაცვალსახელთა ხმარება ჴარბია ხოლმე (აქ არ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, როცა პირის ნაცვალსახელი ლოგიკურ მახჳლს ატარებს და ტექსტში მისი არსებობა აუცილებელია). რა თქმა უნდა, პირის ნაცვალსახელთა ჴარბი ხმარება უცხო ენათა (პირველ რიგში ბერძნულის) გავლენის შედეგია. მოვიხმობთ მაგალითებს:

ოდეს გიხილონ შენ ეგჳპტელთა მათ, თქუან, ვითარმედ: ცოლი მისი არს ესე, და მომკლან მე, ხოლო შენ კეთილად შეგიწყნარონ. თქუ, ვითარმედ: დაჲ მისი ვარ, რაჲთა კეთილი მეყოს მე შენგან, დაბ. 12, 12—13: მოუწოდა ფარაო აბრაჰამს და ჰრქუა მას: რაჲ ესე მიყავ მე? რად არა მითხარ მე, ვითარმედ ცოლი შენი არს? იქვე 12, 18; მოუჴდეს მას და ჰრქუეს: ჩუენ შენნი მონანი ვართ. ჰრქუა მათ იოსებ: ნუ გეშინინ თქუენ, რამეთუ ღმრთისაჲ ვარი მე. თქუენ ჰზრახეთ ჩემთჳს ბოროტი, იქვე 50, 18—207; რამეთუ აწ მივაველინოთ კელი ჩემი და ცხგირა შენ და ერი შენი და მოისპო შენ ქუეყანით, გამოსლვ. 9, 15; რომელსა იყვნეთ თქუენ, მუნ ვიხილო მე სისხლი იგი და დაგიფარნე თქუენ და არა იყოს თქუენდა გუემაჲ იგი შესამუსრველი, რაჟამს დავსცე მე ქუეყანასა ეგჳპტისასა, იქვე 12, 13; ნუ იუნჯებთ თქუენ

საფასეთა თქუენთა ქუეყანასა ზედა, მ. 6, 19; აჰა ესერა, მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა. იყვენით თქუენ მეცნიერ, ვითარცა გუელნი, მ. 10, 16; და ჩუენ გურწმენა და გვცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძჲ ღმრთისა ცხოველისაჲ, ი. 6, 69, და სხვ.

დავიმოწმოთ ზოგი ნიმუში ორიგინალური ძეგლებიდან:

მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაჲთ და გუთხრა ჩუენ ესე ყოველი: მოსლვაჲ პიტიახშისაჲ და საქმენი დედოფლისანი. ხოლო ჩუენ აღვიცხენით მწუხარებითა, აგ. ძეგლ. I 13, 13—15; არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი, იქვე 20, 20—21; შენ გეტყჳ, კაცო, მითხარ მე, იქვე 31, 22: იცი შენ, უფალო, რამეთუ შეგიყუარე შენ უფროჲს თავისა ჩემისა, იქვე 69, 8—9; და მექმნა ჩუენ მოძღუარ და შემრთნა ჩუენ ერსა ქრისტჱსსა, იქვე 158, 29—31; ხოლო მან ყოლადვე არა თავსიდვა აგ. ძეგლ. II 69, 17—18: და ვითარ იხილნა ესრეთ შეძრწუნებულნი, ჰრქუა მათ, იქვე 69, 9—10; მიჲწიენით ჩუენ აღმოსავლეთს, იქვე 169, 17: მათ არა ისმინეს მისი, არამედ წარიყვანეს, იქვე 239, 11—12, და სხვ.

ასევე უცხო ენათა ზეგავლენით ზოგჯერ ზედმეტად იხმარება კუთვნილებითი ნაცვალსახელი. ა. შანიძე წერს: „კუთვნილებითი ნაცვალსახელი ზედმეტია ზოგ შემთხვევაში, მაგრამ ნათარგმნ ტექსტებში ის დედანთან დაახლოების ცნჭნით არის ნახმარი: შემიწყალე ძჲ ჩემი (მათე 17, 15 ჰაემეტი): ორში ერთი: ან „შეიწყალე ძჲ ჩემი“, ან „შემიწყალე ძჲ“ (60, გვ. 347). ადიშის, ჯრუჭის, ჰარხლის და სხვა ოთხთაეებში არის შეიწყალე ძჲ ჩემი.

დავიმოწმებთ კიდევ რამდენიმე ნიმუშს ნათარგმნი ძეგლებიდან:

მოიკლავს თავსა თჳსსა, ი. 8, 22; განიწმიდონ თავი თჳსი, ი. 11, 55 DE; დაიბანე პირი შენი, მ. 6, 17: თავი თჳსი წარიწყმიდა, ლ. 9, 25 C: რომელმან მოიპოეოს თაჲ თჳსი, მ. 10, 39, და სხვ.

ამგვარი კონსტრუქცია გვხვდება ორიგინალურ ძეგლებშიც:

იხილენით თავნი თქუენნი, აგ. ძეგლ. I 21, 17—19: მოგუემსგავსების ჰასაკსა ჩუენსა, იქვე 54, 19—20: შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, იქვე 66, 13—14: განიძუარცა შან სამოსელი თჳსი, იქვე 67, 9—10; დაიბანა პირი თჳსი, იქვე 69, 1: იცხო ზეთი თავსა თჳსსა, იქვე 69, 2; უკუნისხნა ჴელნი თჳსნი ჯუარისსახედ, იქვე 71, 12—13: მან შომიდრიკა თავი ჩემი ქუეყანად, იქვე 141, 24—25; ინება წმიდამან მამან იოვანე, რაჲთამცა მოიხილნეს მწუაფენი თჳსნი, იქვე 222, 34—35: ვიხილნეთ ძმანი ჩუენნი, იქვე 265, 13—14; თჳსი შვილი მიიყვანა და კუალად ულუმბადვე უკუნიქცა, აგ. ძეგლ. II 44, 3—4.

6. თანდებულიანი სინტაქსური კონსტრუქცია. ძველ ქართულ ტექსტებში (ნათარგმნსა, თუ ორიგინალურში) საკმაოდ ხშირია თანდებულიანი კონსტრუქცია, რომელიც, როგორც მართებულად აქვს აღნიშნული კ. დანელიას, „უცხო ენათა სინტაქსის ზეგავლენით არის ჩამოყალიბებული“ (23, გვ. 80). განვიხილოთ ყველაზე დამახასიათებელი ნიმუშები:

განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი, მ. 7, 23: გული მათი განშორებულ არს ჩემგან, მ. 15, 8 C; შდრ.: გულნი მათნი შორად განშორებულ არიან, DE; გული მათი შორად განყენებულ არს ჩემგან, მრ. 7, 6 C; გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან DE;

აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, მ. 5, 29; მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან, მ. 5, 30: რომელსა უნდეს ვასხების შენგან, მ. 5, 42; გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვაჲ, მ. 12, 38;

ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა მისგან, მ. 5, 42 DE; შდრ.: ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა C; რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან, მ. 13, 12 DE; შდრ: მო-ვე-ეღოს მას C; რომელღა-იგი აქუნდეს. მო-ვე-ეღოს მისგან, მ. 25, 29 DE; მი-ვე-ეღოს მის გან C; ითხოვდა რასმე მისგან, მ. 20, 20; მოაპის ცოცხალიცა იგი მისგან ახალმან მან ძუელისაჲ მის, მრ. 21, 20 DE; შდრ.: გამოიღლიძის სწორად თჳსა ახალმან მან ძუელისაჲ მის C; ძნიად განეშორის მისგან, ლ. 9, 39;

შოგეღოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ, მ. 21, 43 DE; მიგეღოს თქუენგან C; სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან, ი. 16, 22 DE; სიხარული იგი თქუენი ვერვინ მიგიღოს თქუენგან C;

იკითხვიდა მათგან, მ. 2, 4 C; შდრ.: ჰკითხვიდა მათ DE; გამოიკითხა მათგან ყამი იგი, მ. 2, 7; იესუ მოწაფითურთ განეშორა მათგან, მრ. 3, 7; მიეფარა მათგან, ლ. 24, 31; წარვიდა და დაემალა მათგან, ი. 12, 36 DE; მიეფარა მათგან C;

განევთას მამაჲ ძისაგან და ძე მაშისაგან; დედაჲ ასულისაგან და ასული დედისაგან; დედამთილი ძის ცოლისაგან და ძის ცოლი დედამთილისაგან, ლ. 12, 53 DE; განეშოროს მამაჲ ძისაგან და ძე მამისაგან, და დედაჲ ასულისაგან და ასული დედისაგან და დედამთილი ძის ცოლისაგან თჳსისა და სძალი დედამთილისაგან თჳსისა C და სხვ.;

მამამან მოიყვანოს იგი ჩემდა, ი. 6, 44 DE; შდრ.: მიიზიდოს იგი C; არა გაქუს ჴელმწიფებაჲ ჩემი არცა ერთ, უკუეთუმცა არა იყო შენდა მოცემული ზეგარდამო. ამისთჳს მიმცემელსა მას ჩემსა შენდა უდიდესი ცოდვაჲ აქუს, ი. 19, 12 DE; შდრ.: არა თუმცა მოცემულ იყო შენდა ზეგარდამო. ამისთჳს რომელმან მიმცა მე შენ, უფროჲსი ბრალი აქუს C; არს მამად ჩუენდა აბრაამი, ი. 3, 8 C; შდრ.:

მამაჲ გვის ჩუენ აბრაჰამი DE; ჩუენდა მართლ ღირსად საქმეთა ჩუენთაებრ მომეგების ჩუენ, ლ. 23, 41 C; შდრ.: ჩუენ სამართლად ღირსი ... მოგუეგების DE; თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ, მ. 13, 11; არა იყოს უძლურება თქუენდა, მ. 17, 20 C; იყავნ იგი თქუენდა მონა, მ. 20, 27 და სხვ.;

რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მ. 10, 32 E; აღმიაროს ჩემდა მომართ D; შდრ.: რომელმან ამიაროს მე C; რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, ლ. 12, 8 C; ყო ჩემდამო დიდ-დიდნი ძლიერმან, ლ. 1, 49 C; რომელსა ჰრწმენეს ჩემდამო, ი. 7, 38 C, და სხვ.;

სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, მ. 18, 26; 18, 29 DE; შდრ.: სულგრძელ მექმენ ჩუენ ზედაC; საქმე კეთილი ქმნა ჩემ ზედა, მრ. 14, 6; კეთილი საქმე ქმნა მაგან ჩემთჳსC; დაასხეს სამოსელი მას ზედა, მ. 21, 7; დაასხნა ჴელნი მის ზედა, ლ. 13, 13 C; მას ზედაDE; ათორმეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა, ლ. 13, 4 C; ათრვამეტთა ზედაDE, და სხვ.;

ყო ჩემ თანა დიდძალი ძლიერმან, ლ. 1, 49 DE; რაოდენი რაჲ ყო შენ თანა უფალმან, მრ. 5. 19 DE; შდრ.: რაოდენი შენ უფალმან გიყოC; ყო წყალობაჲ მის თანა, ლ. 10, 37, და სხვ.;

ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად, მ. 6, 6 DE: შდრ.: თაყუანის-ეც მამასა შენსაC; აღთქუმა-ყო მოქმედთა მათ მიმართ თითოჲ სატირი, მ. 20, 2 C, შდრ.: აღუთქუა მათ სასყიდელი DE; იყო იგი უდაბნოსა ვიდრე გამოცხადებადმდე მისა ისრაელისა მიმართ, ლ. 1, 80 DE; უკჳრდა სიტყუაჲ იგი მწყემსთაჲ მათ მათა მიმართ, ლ. 2, 18 DE; შდრ.: ეტყოდეს მათC, და სხვ.,

ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ, მ. 10, 32 D; შდრ.: ამიაროს მეC; არა აღმოგიკითხავს თქუმული იგი თქუენდა მომართ, მ. 22, 31 C; შდრ.: თქუმული იგი DE; რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთაჲ ჩემდა მომართ, მრ. 9, 42 C; შდრ.: რომელთა ვრწამ მე DE, და სხვ.

ნიმუშები ორიგინალური ძეგლებიდან:

გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან, აგ. ძეგლ. I 19, 19—20; მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავნ, იქვე 57, 14—15; განმაშორა ჩემგან ბნელი იგი, იქვე 61, 17—18;

თქუა მსახურისა მიმართ თჳსისა, აგ. ძეგლ. I 17, 23—24; მშჯდობაჲ იყავნ შენ ზედა და ყოვლისა სახლისა შენისა კრებულთა, აგ. ძეგლ. I 46, 3—4; მადლი უფლისაჲ იყავნ შენ ზედა, იქვე 47, 4;

ოქროჲ და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ, აგ. ძეგლ. I 65, 17; რაჲცა ამათ ობოლთა თანა ჰქმნა, აგ. ძეგლ. II/47, 5; წიგნები

ველრებისაა დაწერეს კურაპალატსა თანა, იქვე 47, 23; ჩემდამო ნურას იტყოდეთ, აგ. ბეგლ. I 66, 22.

საკვლევით გასაზიარებელია კ. დანელიას დასკვნები: „პირმიმართი ირიბი დამატების თანდებულიანი ბრუნვის ფორმით შეწყობა ზმნასთან არ არის ბუნებრივი ქართული სინტაქსური კონსტრუქცია. ის ქართული სინტაქსისათვის იძულებითად შესაძლებელი მოვლენაა. ასეთი კონტამინაციური კონსტრუქციების შექმნაში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ძველი ქართული თარგმანების (პირველ ყოვლისა ბიბლიის) პირველწყაროებს“ (23, გვ. 86). კ. დანელია სწორად მიუთითებს: „სინტაქსური კონტამინაციის ზემოთ განხილულ შემთხვევებს არსებითად უცხო (პირველ ყოვლისა ბერძნული) წყაროები უნდა აძლევდეს საფუძველს“ (23, გვ. 86; აგრეთვე გვ. 87; 89—90).

7. **ადგილობითი ზმნისწინები.** ქართულში ირ. ვეშაპიძემ (35. გვ. 263—304) გამოყო რამდენიმე ადგილობითი ზმნისწინი: თანა (თანამიყვანა); გარე (გარემიაქცია); ზე || ზედა (ზეზის, ზედაედვა); ქუე (ქუეშედგიან); წინა (წინაეპყრა) ...

კ. დანელია წერს: „უეჭველია ისიც, რომ ადგილობითი ზმნისწინები ქართულისათვის მეორეულია და ბერძნულის ზეგავლენით. ამიტომაა, რომ ბერძნულ ადგილობით ზმნისწინებს ქართული ხშირად თანდებულებსა და ზმნიზედებს უფარდებს. ასე რომ, ძველ ქართულში ადგილის ზმნიზედების ადგილობითი ზმნისწინების ფუნქციით მოჰარბებულ ხმარებასა და აქტივიზაციაში გარკვეული წილი უძევს ბერძნულ ენას“ (26, გვ. 145). ბევრებით სწორია, მაგრამ მეტიც შეიძლებოდა გვეთქვა: ეს სისტემა ჭამოყალიბებული არის ბერძნულის ზეგავლენით. საინტერესოა შესაბამისი ბერძნული წინდებულიანი ფორმები (103, გვ. 129—135).

მდიდარი მასალა არის გაანალიზებული კ. დანელიას ნაშრომში. იგი მიუთითებს იმ შემთხვევებზე, რთგორიცაა: თანააღიხუენით, თანანუგეშისცემა, თანადაეფლენით, თანაკუნესის, თანაელმის, თანაშეეწევის, თანამოწამებითა, თანამზრახვალ, თანახატექმნებით, თანაშემწენი, თანადაუდგით, თანაღერეევით, თანააღშენებულ, თანაალმადინა, თანადამსხნა, თანაშეეზაეა, თანაჯდა, თანამივალინო, თანამოგზაურთა, თანაზიარ, თანანერგ, თანამკჯდრ, თანამსგავსად, თანატყუე, თანაკორც, თანამყოფ, თანაგუნდად, თანამოქალაქე, თანამოსაგრისა, თანამოღუაწე, თანამონა, თანაშეწევნა, თანაზიარებით, თანაშემწე და სხვ. (26, გვ. 146—149);

გარემოსდვა, გარემოჰვლის, გარეშეირტყამს, გარემომადგინე, გარეგანიგლტიედ, გარეგანყვანება, გარემოგადგე, გარემოგადგა, გარემოგაშენო, გარემიიქცევ, გარეწარეაქციო, გარემიიქცეს, გარეწარჰკდეს (26, გვ. 149—150);

წინაუბღოდა, წინარბიოდა, წინაწარგიძღუე, წინაწარუძღუენ, წინაწარმძღუანებდ: წინააღუდგა, წინააღდგომად, წინააღმდგომთა, წინაგანწყობეიან, წინაგანწყობად, წინაგანმზადებაი, წინაგანზადებულსა, წინამიუთხრა, წინამოსაჯული, წინადაცუეთა (26, გვ. 150—152);

ზეზის, ზესჱდეს, ზეადგა, ზედაჯდა, ზეჭამოჯდა, ზეღებულ, ზეაღდგა, ზეწარმოჯდა, ზეაღხილად, ზეაქუნდა, ზეკიდებულ, ზეედგას (26, გვ. 153);

ზედამიადგა, ზედამიუჯდეს, ზედადამესხით, ზედამომივალთ, ზედაეჯვა (26, გვ. 153);

ქუემდებარე, ქუეშედგიან, ქუეძურებოდა, ქვეზის, ქვეჯდა, ქვეწვა, ქვედგა (26, გვ. 153—154)[1].

კ. დანელია აღნიშნავს, რომ „ბიბლიურ და ჰაგიოგრაფიულ წიგნთა ძველი ქართული თარგმანების გავლენით ორიგინალურ ქართულ ძეგლებშიც გამოიყენებოდა ადგილობითი ზმნისწინები, ოღონდ ნაკლები სიხშირით. საერო ლიტერატურის ძეგლებში, სადაც ბიბლიურ თარგმანთა გავლენა შესუსტებულია, ადგილობითი ზმნისწინების გამოყენება შემცირებულია, ახალ ქართულში კი — სულ ამოკვეთილია“ (26, გვ. 154).

მიგვაჩნია, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უცხოური ზეგავლენა ქართული სალიტერატურო ენის გარკვეულ პერიოდში. ამიტომ მოვიხმობთ მასალას ორიგინალური ძეგლებიდან (ზოგი ნიმუში დამონმებული აქვს კ. დანელიას):

ესე არა ზედამოჲდთ იყო და არცა თ ა ნ ა წ ა რ ს ლ ვ ი თ, აგ. ძეგლ. I 155, 17; მისცეს მღდელი ... თ ა ნ ა წ ა რ ს ლ ვ ა დ ბუბაქარისა, აგ. ძეგლ. III 196, 14; წუთ ნეშტი ... იწროებისაჲ ... არა თ ა ნ ა წ ა რ ს რ უ ლ იყო, აგ. ძეგლ. II 169, 9; დავით თ ა ნ ა წ ა რ ა ტ ა ნ ა მათ ... ლუკიანე. აგ. ძეგლ. III 196, 12; თ ა ნ ა წ ა რ ი ტ ა ნ ა ევანგელ, აგ. ძეგლ. I 16. 10; თ ა ნ ა წ ა რ ი ტ ა ნ ა ... მთაავარეპისკოპოსი, აგ. ძეგლ. III 78, 17; თ ა ნ ა წ ა რ ი ტ ა ნ ნ ა ევანგელ და წმიდანი იგი წოვნი, აგ. ძეგლ. I 16, 13; ყოველნი იგი მანჭანანი თ ა ნ ა წ ა რ ი ტ ა ნ ნ ე ს, იქვე 199, 21; ვინაჲ გჯობრს ... თ ა ნ ა წ ა რ უ ვ ა ლ ს მიცემაჲ წმიდათათჳს ქებისა, აგ. ძეგლ. III 84, 5; დედაკაცმან მან თ ა ნ ა წ ა რ ი უ ვ ა ნ ა ერთი ძ, აგ. ძეგლ. I 295, 28—29; თ ა ნ ა წ ა რ ი უ ვ ა ნ ა (იგი) ანჩს, იქვე 304, 40; თ ა ნ ა წ ა რ ი უ ვ ა ნ ა მოწაფ ერთი, აგ. ძეგლ. II 22, 22; ამან ... გიორგი თ ა ნ ა წ ა რ ი უ ვ ა ნ ა, იქვე 117, 24; თ ა ნ ა წ ა რ ი უ ვ ა ნ ა ყრმაჲ გიორგი, იქვე 118, 25; თ ა ნ ა წ ა რ ი უ ვ ა ნ-

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ამგვარი ფორმები სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი გამოცემებში: ზ ე ე პ ყ რ ა, ზ ე-ე პ ყ რ ა; თ ა ნ ა მ ი ი უ ვ ა ნ ა, თ ა ნ ა-მ ი ი უ ვ ა ნ ა, თ ა ნ ა მ ი ი უ ვ ა ნ ა (35, გვ. 275—276; 26, გვ. 143). ჩვენ ვარჩევთ ადგილობითი ზმნისწინის ზმნასთან შერწყმულად დაწერას.

ნა ცოლი და შვილნი, აგ. ძეგლ. I 26, 4; თანაწარიყვანნა საბა ... და ერთი ... მოწაფე, იქვე 264, 23; ძმანიცა ვინმე თანაწარიყვანნეს, იქვე 279, 9—10; თანაწარგიყვანო შენ, იქვე 267, 38; თანაწარჰყვეს მოწაფენიცა, აგ. ძეგლ. III 152, 21; 283, 19; თანაწარაყოლა წმიდაჲ ლუკიანე, აგ. ძეგლ. I 236, 31—32; რაჲთა თანაწარიყოლოს მღდელი, იქვე 236, 31—32; უდაბნოთა თანაწარსცა კერეონები, იქვე 313, 39—40; ყოველნი მანქანებანი მათნი თანაწარიხუნეს, აგ. ძეგლ. I 199, 35; რაჲსათჳს თანაწარმჯდი ... სიტყუათა შენთა, იქვე 282, 22; საცთურთა მტერისათა თანაწარმჯადე, აგ. ძეგლ. III 20, 27; აღრეულობასა ჰამბვისასა თანაწარჯდილ ვარ, იქვე 51, 29; ბრმაჲცა თანაწარჰჯდების ოქროსა, აგ. ძეგლ. I 333, 27; ვიხილე უღმრთოჲ ... და თანაწარვჯედ, იქვე 328, 43; მათ ყოველთა თანაწარევჰჯედ, იქვე 294, 1; ორკერძოვე სრულქმნულთა ერთკერძო თანაწარჰჯდა, აგ. ძეგლ. II 118, 15; სხუასა მას თანაწარვჰჯდეთ, იქვე 169, 1; არა უჯერო არს თანახატქმნად ზემოჳსენებულისა მის სახისა, იქვე 103,4; ღირს-მყვნეს მზესა ამას თანახილვად, აგ. ძეგლ. I 330, 28; მწყრაფლ წარაველინნა ჰუნენი და თანადშესამოსლები, აგ. ძეგლ. III 57, 20—21, და სხვ.

წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარემოადგა, აგ. ძეგლ. I 269, 17; ამას თჳსსა სწავლასა ... შემეცნებულ ექმნა ... ანტიოქია გარემოსმოქმედებათა ზედა მოძღურებაჲ, აგ. ძეგლ. III 267, 21; გარემოიქცა. იგი სიხარულითა. დიდითა, აგ. ძეგლ. I 23, 8; არღა გარემოიქცეს საუკუნოჲ იგი, აგ. ძეგლ. III 165, 11; გარემოიქცეს ყრმანი იგი, აგ. ძეგლ. I 188, 10; წყალთა მიერ გარემოცულ არს ყოვლით კერძო, აგ. ძეგლ. III 179, 26; გარემოიხილა მჴნედ მოღუაწემან მან, აგ. ძეგლ. I 140, 21, და სხვ.

გარეუკუნმოგუაქციეს, აგ. ძეგლ. I 330, 25;

ნუცა გარეუკუაქცევ მეოხებად ... განმზადებულსა პირსა შენსა, იქვე 346, 25; რომელი-იგი წინააღუდგების და გარეუკუნაქცევს, აგ. ძეგლ. II 196, 10; გარეუკუნაქციენა. კაცნი იგი ბერმან მან, აგ. ძეგლ. IV 410, 11; რომელნიცა ... გარეუკუნიქცეოდიან, აგ. ძეგლ. III 44,7;

გარეშემცველნი ... კლდენი ყოველითურთ ცეცხლ იქმნებიან, აგ. ძეგლ. III 269, 29; გარეშეჭცევაჲ შეუძლებელ არს, აგ. ძეგლ. II 45, 8; არა ინება გარეშეჭცევა, აგ. ძეგლ. IV 414, 8; გარეშეჭცევას ეეედრნეს, იქვე 414, 7; ხარისხითა გარეშეიცჳენ, აგ. ძეგლ. I 160, 1; გარეშეიცვენ უვნებლად, იქვე 160, 7; გარეშეიცევ ოხათა შენთა საფარველითა, აგ. ხეგლ. III 18, 6; გარეშეწერით შემოველოთ სიმრგულე მათ ადგილთაჲ, აგ. ძეგლ. I 328,

იქმნა წყალი ... ძუალთა სამოსელ გარეშეხუევითა მით,) 73, 18. და სხვ.;
ტკრთისა ჩუენისა აღკიდებაჲ ... არა გარეწარიცოდეთ, აგ. ლ. I 172, 9;
იოვანე ზედააღიპყრა ჴიქაჲ, აგ. ძეგლ. I 228, 8; ზედაგეს მოურნედ, იქვე 89, 33; აღზარდეს ... ზედადგომითა ჯლათა შინა საღმრთოთა წერილთასა, აგ. ძეგლ. III 109, 8; მათ ზეაც მოწყალებაჲ, აგ. ძეგლ. I 131, 31; იყუნეს ზედამდგომელ ისა მის, იქვე 335, 1; რასაღა ზედამდგომელობთ, იქვე 169, ზედამდგომელობითა წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ... ანთ ჰეშმარიტებაჲ, აგ. ძეგლ. III 50, 26; ზედამიადგა მას, იქ184, 6; ამისთჳს ზედამიეტევნეს მათ, აგ. ძეგლ. I 324, 7; დამიტევებითა უშიშითა ჴმითა ეჭადოდა, აგ. ძეგლ. III 295, მეცნიერ-გუაენ შენ ამას ყოველსა ზედამიწევნით, აგ. ძეგლ. 33, 22; ვიცი ზედამიწევნით, იქვე 209, 37: იწყო ზედამიჴნად, იქვე 57, II; ზედამოადგა ჰაბუკი ერთი, იქვე 141, 14: 33. 33; განვერე ზედამოსლვასა მისსა, აგ. ძეგლ. I 206, 24; კრძალა იგი სულთა ბოროტთა ზედამოსლვისაგან, აგ. ძეგლ. 138, 1; ზედამოსლვათა მტერისათა მოითმენდა, აგ. ძეგლ. 02, 18; უცხოთესლნი ... ზედამოუჯდეს ისრაჱლსა, იქვე 37, 26; დამოუჯდეს წმიდასა იოვანეს, იქვე 208, 41; მგელსაცა ... ზეჳხედველობაჲ მათი არწმუნა, აგ. ძეგლ. III 149, 8; 279, 6; ული ჩამოდის ზედაუბურაობითა მონასტერსა, აგ. ძეგლ. 34, 24; ზედაწერილი იტყჳს, იქვე 101, 7: ბარბაროზმან ზეწუადა კრმალი, აგ. ძეგლ. I 235, 7; ზედგომაჲ აქუნდა ნეაა მას, იქვე 284, 24; არა მიდრკის ზედგომისაგან, აგ. ძეგლ. 293, 22; ყუაოდა: მარხეითა ... ზედგომითა, აგ. ძეგლ. I 22, ხედგომად შემძლებელ ხარ, აგ. ძეგლ. II 229. 33; ესეითართა ცვათა ზედდამჴმობელი ... ეშმაკთა ძალსა განიოტებდა, აგ. ძ. III 131, 19; თჳთ ზედმოფენილსა მისდა ყოველად წმიდაელსა მოეხადი შემწედ, იქვე 171, 23; შემწეული არს მზისა მცხინბათა მიერ ზედმოფენილთა, იქვე 177, 8; განაპოხნეს ... ითსა ზედმოხილვისა წჳმათა მიერ, იქვე 166, 14; 288, 14; ება ... მეფისა დავით მესამისა ... ზედწოდებულისა აღმაბელისა, აგ. ძეგლ. IV 426, 3;
ომელი მას წინააღუდგებისა, აგ. ძეგლ. I 172, 5; რომელთა-.. ცილობით წინააღუდგებინ, იქვე 57, 16; ხოლო იგი აალუდგა, აგ. ძეგლ. II 54, 25; არა იყო შეწევნაჲ, არცა წინაგომაჲ, აგ. ძეგლ. II 177, 28; არცა ვინ იკადრებდა წინაღმასა, იქვე 75, 22; იგინიცა წინააღმდგომ იყუნეს ჰეშმა-

რიტებისა, აგ. ძეგლ. I 169, 21; წინაადმდგომთა თანა დაისაჯოს, იქვე 290, 8: გიბრძანოს მანცა წინაარჩევისა შენისაებრ ცხორებაჲ, აგ. ძეგლ. III 153, 5: შეიშურვა შური უფლისაჲ წინაარჩევითა მონაზონებრივისა სახისაჲთა, იქვე 86, 7; მძლავრებაჲ წინაადუდგომელისა ჯელმწიფისაჲ, აგ. ძეგლ. I 283, 26; პატრიაქმან უბრძანა წინაგანმზადებად ნათლისღებისათჳს, აგ. ძეგლ. III 36, 31: წინაგანმზადებულსა მას გზასა წარეალ, აგ. ძეგლ. I 27, 34; რომელი წინაგანეწყვეტის, იქვე 205, 8: ბრძანებაჲაა საღმრთოსა წინაგანჳეწყვენით, იქვე 327, 13: შეუძლებელ არს ბრძანებისა ... წინაგანწყობაჲ, იქვე 323, 11; ვერ მკადრე იქმნა წინაგანწყობად ... ბრძანებასა, იქვე 338, 41; ვინმე მიერჩდეთ წინაგანწყობილთა მათ, იქვე 205, 19; სანოვაგენი წინადაეგებოდეს ამას დღითი დღე, აგ. ძეგლ. III 174, 19; ვერ წინადაუდგამ სიმრავლესა, აგ. ძეგლ. I 209, 24; გონებისა უძლურებასა წინადაუდებდა, იქვე 226, 25; კადნიერ ვიქმენ წინადადებად ცხორებასა ... გიორგისსა, აგ. ძეგლ. II 206, 7; არა დააცადა წინადაპყრობაჲ მისი, აგ. ძეგლ. I 167, 17; წინადასცჳთე ისაკს, იქვე 37, 2; აიძულებენ წინაღაცუეთად, იქვე 177, 34; წინამბრძოლნი ... წარმოვიდეს, აგ. ძეგლ. III 251, 21; მძიმედ შეერაცხა წინამდგომობაჲ ... სულთაჲ. იქვე 279, 26: წინამდებარე არს აღწერად ... შემდგომთა ნათესავთა ცხორებაჲ, აგ. ძეგლ. II 9, 28: სიხარულით წინამიეგებოდა მამასა მას თჳსსა, აგ. ძეგლ. I 235, 35; რაჲთა წინამიეგებნენ მას აზნაურნი, იქვე 12, 11: მეფე კართა თანა კარჳისათა წინამოეგება, აგ. ძეგლ. II 159, 23; წმიდა იქმნა, ვითარცა დიდი წინამორბედი. იქვე 217, 29; წინამორბედად ჩუენდა შევიდა ქრისტე, იქვე 193, 25; წინამოსაჯული თქუენი ეშმაკი მიმოვალს, აგ. ძეგლ. III 160, 13; თქუენ იძიეთ მამაჲ და წინამძღუარი, აგ. ძეგლ. I 341, 32; დაარწმუნა წინამოძღურობაჲ ძმათა მათ, იქვე 342, 8; წინამსრბოლი სხუათა სათნოებათა დამკჳდრებულ იქმნა თავსა ზედა ... მთისასა, აგ. ძეგლ. III 91, 13; შენ წინამძღომ ... ექმენ ძმა(თა) ამათ, აგ. ძეგლ. III 305,5; ცთუნებითა განჰკადე ... ადამ სამოთხით განლმრთობისა წინამყოფელმან, იქვე 97, 25; ექმენ ... მონასა შენსა ... გზად წინამძღუარ, აგ. ძეგლ. I 114, 10; შეიპყრეს ... ვითარცა წინამძღუარი, იქვე 167, 6; მოვიდა იგი წინამძღურებითა ანგელოზისაჲთა, იქვე 36, 32; წინამძღურებითა ღმრთისაჲთა ... მოიწია ... ჰრომედ, აგ. ძეგლ. II, 23, 27; წინამძღურობა დაუტევა ... ეფთჳმეს, აგ. ძეგლ. IV 342, 14; იყო ... შემძლებელი წინამძღურობად, აგ. ძეგლ. II 13, 4; რომელიცა ... წინამძღურობდა, აგ. ძეგლ. I 278, 40; წინასწრობით შეემთხუეოდეს ყოველ-

ნი პატიოსანსა ჴლ სჯეულსა, აგ. ძეგლ. III 206, 19; წინაპირობა და ეღაღადებ, აგ. ძეგლ. II 191, 5; რომელთა წინაუპირობდა... პეტრე ალექსანდრიელი, იქვე 260, 19; გვრგვნსა ბრწყინვალესა წინაუყოფს, აგ. ძეგლ. I 319, 19; სხუაჲ საქმე წინაუყო, აგ. ძეგლ. II 152, 11; დიდებაჲ და პატივი ... წინაუჩუენენ, აგ. ძეგლ. I 102, 2; დავით წინაუძღოდა, იქვე 232, 10; გრიგოლ წინაუძღოდა მათ, იქვე 275, 9; დაგვმკვდრა ... საყოფელი წინაძღომითა ... გრიგოლისითა, იქვე 97, 13;

განკჳრდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშემდგომნი, აგ. ძეგლ. I 326, 36: წინაშემდგომელი ვარ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, იქვე 284, 35; წარაჳლინა ერთი წინაშემდგომელთაგანი, იქვე 170, 16;

წინაჲსწარუღაღებდი, აგ. ძეგლ. I 24, 19; წინაჲსწარვხედევდ უფალსა, იქვე 67, 21; წინაჲსწარმეტყუელი იყო, აგ. ძეგლ. III 76, 24; ინატრებდა დავით წინაწარმეტყუელი, აგ. ძეგლ. I 146, 9; წინაწარმეტყუელებდა, აგ. ძეგლ. II 115, 24; დედაკაცსა მას უწინაწარმეტყუელა, აგ. ძეგლ. I 246, 23; აღესრულა ორთავე წინაწარმეტყუელებაჲ. აგ. ძეგლ. II 90, 12; კაცი ... წინაწარმხედველობისა მადლსა ღირსქმნილი მოვიდა მისა, აგ. ძეგლ. III 216, 6; რომელნიმე წინაწარსწრობად მოსწრაფე იყუენეს, აგ. ძეგლ. II 19, 2, და სხვ.

8. ვიდრე წინდებულიანი კონსტრუქცია. ცნობილია, რომ ძველ ქართულში ვიდრე დაერთვის მდე||მდის უკუდებულიან ვითარებითის ფორმას (73, გვ. 86, 87); მაგალითად: ვიდრე გამოსლვამდე მიერ, ვიდრე ეზოდმდე და სხვ.

ეს სინტაქსური კონსტრუქცია ქართულისათვის არაბუნებრივად მიიჩნია კ. დანელიამ. იგი წერს: „უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ კონსტრუქციაში ვიდრეს ხმარება მეორეულია და საქმე გვაქვს თავისებურ მორფოლოგიურ პლეონაზმთან: უცხოენოვან ბიბლიურ ტექსტებში მიწევნითობის შინაარსით ნახმარი წინდებულიანი სახელების გრამატიკული მნიშვნელობა გადმოღებულია ორმაგი საშუალებით: ერთი, ბუნებრივი ქართული შესატყვისით, -მდე თანდებულით და მეორე, პირდაპირი შესატყვისით, ვიდრე წინდებულით, ასეთ შემთხვევაში ვიდრე ქართული ფრაზისათვის ზედმეტია, მაგრამ თუ მას მაინც ხმარობს ქართველი მთარგმნელი თუ რედაქტორ-შემჯერებელი, ეს იმიტომ, რომ უცხოენოვან (ბერძნულ, სომხურ, სირიულ) ტექსტებში ნახმარი წინდებული წინდებულითვე იქნეს გადმოტანილი ქართულში, რათა ასეთი კომპრომისული გზით ქართული ფრაზა ზედმეტი ზედმიწევნილობით დაუახლოვდეს

უცხოენოვან პირველწყაროთა (პირველ ყოველისა ბერძნულის) ფრაზას“ (24, გვ. 93).

ავტორი იმოწმებს ისეთ ფაქტებს, როგორიცაა: პეტრე მისდევდა მას შორით ვიდრე ეზომდე, მ. 26, 58; კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზჳთგან ვიდრე ქუედმდე, მ. 27, 51; განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემდმდე, ლ. 2, 15; ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი ვიდრე მესამედ დღედმდე, მ. 27, 64; აცადეთ იგი ერთად აღორძინებად ურთიერთას ვიდრე ჟამადმდე მკისა, მ. 13, 30 და სხვა (24, გვ. 93—97).

ამგვარი შემთხვევები გვხვდება ორიგინალურ ძეგლებშიც: ვიდრე მუნ ჟამადმდე მოვიდიან შვილნი იგი მისნი ხილვაჲ დედისა თჳსისა, აგ. ძეგლ. I 23, 25; დაადგრა მდგომარჱ ზედა ფერჴთა თჳსთა ვიდრე განთიადმდე, იქვე 67, 17; ვერვინ განმაშოროს მე ქრისტჱსგან ვიდრე სულისა ჩემისა აღმოსლვადმდე, იქვე 42, 26; წინაძღურობდა ხანცთას კეთილად ვიდრე სიკუდიმდე, იქვე 278, 40, და სხვ. (24, გვ. 97).

კ. დანელიამ ორიგინალურ ძეგლებში გამოვლენილი ეს ფაქტები ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების გავლენით ახსნა (24, გვ. 97). მანვე ყურადღება მიაქცია იმ მეტად საინტერესო მოვლენას, რომ ზოგ ძველ ქართულ წერილობით ძეგლში, მაგალითად, ადიშის ოთხთავში ამგვარ შემთხვევებში ქართული ენისათვის ბუნებრივი კონსტრუქცია არის წარმოდგენილი, ვიდრე წინდებულის გარეშე (24, 94—95).

კ. დანელიას აზრით, ბერძნულის გავლენას უნდა მივაწეროთ ვიდრე უდეტრის ხმარება უფროობით ხარისხთან დაკავშირებული სახელის წინ (24, გვ. 98; 103):

უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი ... ვიდრე ქალაქი იგი, მ. 10, 15; ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ უმოლხინეს იყოს ვიდრე შენ, მ. 11, 24, და სხვ. (24, გვ. 98).

ღირად საინტერესო და, რაც მთავარია, საკმაოდ სწორია კ. დანელიას დასკვნა: „იმის დასამტკიცებლად, რომ ძველ ქართულში ვიდრე-ს ხმარება სივრცესა და დროში მიწევნითობის ფუნქციით ან უფროობითი ხარისხის ფორმასთან მეორეულია და უცხოენოვანი (პირველ ყოველისა ბერძნული) ტექსტების გავლენით ჩანს ფეხმოკიდებული, გამოდგება საშუალი ქართულის ბეგლთა ჩვენება: ყველა ზენოაღნიშნული მეორეული ფუნქციით ვიდრე-ს ხმარება XII საუკუნისა და მის აქეთა ხანის საერო ძეგლებში მკაცრად იზღუდება, კანტიკუნტად თუ მოიპოვება (ესეც, რა თქმა უნდა, ლიტერატურული ტრადიციის ინერციით) და საბოლოოდ ის ამ ფუნქციებს კარგავს“ (24, გვ. 100).

9. წინდებულიანი ფორმები. ცნობილია, რომ „ქართულში საზოგა-

დოდ — ძველშიც — უკუდებულები იხმარება“ (60, გვ. 598; გვ. 205). ა. შანიძე მიუთითებს, რომ წინდებული ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება (60, გვ. 598). ცხადია, წინდებულთა ხმარება ქართულისათვის არაა ბუნებრივი და იგი ბერძნულის ზეგავლენის შედეგია.

ზ ე დ ა წინდებულად:

შიში და ზარი თქუენი იყავნ ყოველთა ზ ე დ ა ს ა ც ხ ო ვ ა რ თ ა, მჭეცთა და მფრინველთა ცისათა, და ყოველთა ზ ე დ ა ი ძ რ ვ ი ს თ ა ქუეყანისათა და თევზთა ზ ე დ ა ზ ღ ვ ს ა თ ა, დაბ. 9, 2: Sin.-37 92 v, 3—8; არცლა აღანთიან სანთელი და ქუეშე შედგიან იგი კუიმირსა, არამედ ზ ე დ ა ს ა ს ა ნ თ ლ ე ს ა, მ. 5, 15 DE; ყ ო ვ ე ლ ს ა ზ ე დ ა მ ო ნაგებსა თჳსსა დაადგინოს იგი, მ. 24, 47 DE: შდრ.: ყ ო ვ ე ლ ს ა ზ ე დ ა დაადგინოს C: მიგეც თქუენ კელმწიფებაჲ დათრგუნვად ზ ე დ ა გ უ ე ლ თ ა და ღ რ ი ა კ ა ლ თ ა და ყოველსა ზ ე დ ა ძ ა ლ ს ა მტერისა, ლ. 10, 19 DE; იყოს სიხარული ცათა შინა ერთჲა ზ ე დ ა ც ო დ ვ ი ლ ს ა, ლ. 15, 7 C; შდრ.: ე რ თ ი ს ა თ ჳ ს ც ო დ ვ ი ლ ი ს ა DE: და ზ ე დ ა ა მ ა ს ყ ო ვ ე ლ ს ა მთხრებელ დიდ არს, ლ. 16, 26 C; შდრ.: ა მ ა ს ყ ო ვ ე ლ ს ა თ ა ნ ა DE; შენცა იყავ ზ ე დ ა ხუთთა ქალაქთა, ლ. 19 DE; შდრ.: ხ უ თ თ ა ზ ე დ ა ქ ა ლ ა ქ თ ა C; სტიროდეთ თავთა თქუენთა და ზ ე დ ა ნ ა შ ო ბ თ ა თქუენთა. ლ. 23, 28 C; შდრ.: თავთა თქუენთა ჰსტიროდეთ და შ ვ ი ლ თ ა თ ქ უ ე ნ თ ა DE: თჳი ჩემი დავდვა ზ ე დ ა ს ა ც ხ ო ვ ა რ თ ა მათ, ი. 10, 15C: სულსა ჩემსა დავსდებ ც ხ ო ვ ა რ თ ა თ ჳ ს DE, და სხვ.

თარგმნილი ძეგლების გავლენით ზ ე დ ა წინდებული ორიგინალურ ძეგლებშიც გვხვდება:

უკუნისხნა კელნი თჳსნი ზ ე დ ა ზ უ რ გ ს ა თჳსსა, აგ. ძეგლ. I 71, 13; გარდავლო ურემმან ზ ე დ ა ზ უ რ გ ს ა ჩჩჳლისა მის ყრმისასა, აგ. ძეგლ. II 198, 27; ურემმან მან საზარელმან ზ ე დ ა ზ უ რ გ ს ა მისსა გარდავლო, იქვე 199, 9, და სხვ.

შ ი ნ ა წინდებული:

ვიდოდეს ყოველთა . შ ი ნ ა მ ც ნ ე ბ ა თ ა და ს ა მ ა რ თ ლ თ ა ღმრთისათა, ლ. 1, 6 C; შდრ.: ყ ო ვ ე ლ თ ა მ ც ნ ე ბ ა თ ა DE; და იყო ერთსა შ ი ნ ა დ ღ ე ს ა, ლ. 5, 17; 8, 22, და სხვ.

შ ო რ ი ს წინდებული:

განსწვალებდნენ შ ო რ ი ს ნ ა თ ლ ი ს ა და შ ო რ ი ს ბ ნ ე ლ ი ს ა, დაბ. 1, 18; Sin.-37: ესე სასწაული იყოს აღთქუმისა ჩემისაჲ, რომელი მიჰსცე შ ო რ ი ს ჩ ე მ ს ა და თქუენსა და შ ო რ ი ს ყ ო ვ ლ ი ს ა ჯ ო რ ც ი ე ლ ი ს ა, დაბ. 9, 12; Sin.-37. ამ შემთხვევაში ყურადღებას ისიც იქცევს, რომ შ ო რ ი ს ნათესაობითში დასმულ სახელებთანაც გვხვდება (შდრ.: 61, გვ. 142; 46, გვ. 238): ორგულთა ყვიან შ ო რ ი ს შ ე ს ა კ რ ე ბ ე ლ თ ა და შ ო რ ი ს უ ბ ნ ე ბ ს ა, მ. 6, 2 C;

ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა DE: უყუარნ მათ შორის შესაკრებელთა და ურაკპარაკთა თაყუანის-ცემაჲ, მ. 6, 5 C; შდრ.: შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომაჲ DE; მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა, მ. 10, 16 : შორის ურაკპარაკთა მათთა გგუემდენ თქუენ, მ. 10, 17 C; შორის შესაკრებელსა DE; მსგავს არს იგი ყრმათა, მსხდომარეთა შორის უბნებსა, მ. 11, 16 C; შდრ.: უბანთა ზედა DE; დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა, მ. 13, 25; შესთხინეს იგინი შორის საჯუმილსა, მ. 13, 42 E; შდრ.: საჯუმილსა მას CD; შთაყრიხინენ იგინი შორის საჯუმილსა, მ. 13, 50 DE; შდრ.: საჯუმილსა და სხვ.

წინაშე წინდებულად:

აღმაღლდა ღაღადებაჲ მათი წინაშე უფლისა, დაბ. 19, 13: პოვა წყალობაჲ მრნამან თქუენმან წინაშე თქუენსა, დაბ. 13, 19; ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, მ. 5, 16: დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მ. 5, 24; იესუ დგა წინაშე მთავრისა მის, მ. 27, 24 DE; წარდგა წინაშე მის ბჭისა C; შეკრებულ იყო წინაშე კართა, მრკ. 1, 33 და სხვ.

წინაშე წინდებული გვხვდება ორიგინალურ ძეგლებშიც:

წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, აგ. ძეგლ. I 11, 20; შევიდა წინაშე შუშანიკისა, იქვე 12, 15; მოიწია წინაშე ნეტარისა შუშანიკისა, იქვე 14, 4; შევიდეს წინაშე დედოფლიხა, იქვე 15, 18, და სხვ.

როგორც ზემოთ დამოწმებული მასალიდანაც ჩანს, ზედა, შინა, შორის, წინაშე წინდებულები იხმარება როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ნაწარმოებებში. ამავე დროს არის შემთხვევები, როცა პარალელურად გვაქვს წინდებულიანი და უკუდებულიანი, ან კიდევ წინდებულიანი და უწინდებულო კონსტრუქციები.

10. ამის პირისათჳს. XI—XII საუკუნეთა ძეგლებში ამის პირისათჳს (რომლის პირისათჳს) ფრაზა ნიშნავს ამის გამო (რის გამოც), ამიტომ. ეს გამოთქმა არის კალკი ბერძნულისა. გვხვდება იგი როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ძეგლებში:

ამის პირისათჳს ფრიად მწუხარე ვარ, Jer.-3 61 v, 24—25; არღარაჲ მაქუს ზრუნვაჲ, გინა საურავი ამის პირისათჳს, იქვე 73 r, 6—7; ამის პირისათჳს უწოდს შაბათის გზად, Jer.-16 11 v, 10—11 a; ამის პირისათჳს შემოიღო მოციქულმან სიტყუაჲ საწამებელი, იქვე 105 v, 13—15 a; ამის პირისათჳს ძისა თანა მხოლოდშობილისა იერუსალჱმ წარვიდა, Jer.-24 33v, 10—12 და სხვ.

არა ბრალეულ ვქმნე ამის პირისათჳს, აგ. ძეგლ. II 40, 8; ამის პირისათჳს კუალად უცხოებასა მიჰმართა, იქვე 44,7: იურვოდეს ამის პირისათჳს, იქვე 45, 22; ვიცი, თუ რომლისა პირისათჳს მიჴმობენ, იქვე 46, 14; ნუ მაიძულებთ ამის პირისათჳს, იქვე 46, 19; დავაცადოთ ესევითარისა ამის პირისათჳს სიტყუაჲ, იქვე 54, 9: ამის პირისათჳს წარვიდა, იქვე 54, 20; მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს, იქვე 54, 9; მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს, იქვე 61, 10; ამის პირისათჳს არაჲ აჴსენა, იქვე 185, 19: განაგრძო სიტყუაჲ ამის პირისათჳს, იქვე 238, 16: ამის პირისათჳს გეველრები ყოველთა, Jer.-16 2. 28—29 (ანდერძი): ესევითართა პირთათჳს უბნობაჲ ... უყუარდა, აგ. ძეგლ. II 51, 5; ეუბნებოდიან მას ზემოთქუმულთა ამათ პირთათჳს, იქვე 51, 10, და სხვ.

საინტერესოა, რომ ქართულში ადრიდანვე გვაქვს ამ გამოთქმის სინონიმი: მაგის სახისათჳს:

მაგის სახისათჳს მოველ მე შენდა, აგ. ძეგლ. I 26, 15.

ეს გამოთქმა საშუალ ქართულს არ ახასიათებს. არ გვაქვს იგი ღლევანდელ სალიტერატურო ენაშიც.

11. ი. იმნაიშვილმა მიუთითა, რომ ძველ ქართულში წრფელობითი (უნიშნო სახელობითი) და სახელობითი გამოიყენება წოდებითის ფუნქციით (37, გვ. 73—82: 659; 673—674):

ცოდვილსა ამას მიღხინე, მაცხოვარ: მოძღუარ, მიბრძანე პირველად მისლვად: მოძღუარ ქველისმოქმედ, რაჲ კეთილი ექმნე; ვერ თავს-იღვე ხილვად, სახიერ; ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ:

და შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა; ჩნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი; სული ეგე არაწმიდაჲ, განუედ კაცისა მაგისგან: გიცით შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ: ეტლთა შინა ფარაოჲსთა გამსგავსე შენ, მახლობელი ეგე ჩემი: თუ არა საცნაურ იქმნე, შუენიერი დედათა შორის: იხარებდ ქუეყანაჲ, მკჳდრითურთ: ღმერთი ეგე წარმართთაჲ. მეტყოდე მე: ღმერთნი ეგე წარმართთანი, მეტყოდეთ მე: განძლიერდი, ისო იოსედეკისო, მღდელი ეგე დიდი; მხიბრულ იყავ, ასული ეგე (37, გვ. 74—80).

დავიმოწმებთ კიდევ რამდენიმე ნიმუშს:

, აჰა, ეგერა, ფილოსოფოს, რომელი-ეგე შემკულ ხარ სიტყჳთა-ცა და სიმდიდრითაცა, ეპიფანე 236, 13—15: აღათანგელოზ, მეოხ-გუეყავ, მოღრ. იადგ. 120 r, 19; მაცხოვნენ ჩუენ, კაცთმოყუარე, იქვე 6 r, 20; ითხოვდი მათთჳს შენდობასა, ქრისტე, მაცხოვარ, მრა-

ვალთმოწყალე. იქვე 255 v, 20; იხარებდ. უდაბნოდ, რომელსა არად გელმოდა, იქვე 65 r, 5: წყობით ჴელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკჳრველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ჴელმწიფე. გრ. ხანთთ. ცხოვრ. 264, 30—41, და სხვ.

ი. იმნაიშვილი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულ ენაში ზოგი უცხოენოვანი სიტყვა (უპირატესად ბერძნული) წოდებითში უნიშნოდ დასტურდება (37, გვ. 83). იგი შემდეგ ნიმუშებს ასახელებს: ეპისკოპოს, დიაკონ, პატრიარქ, კეისარ (37, გვ. 83).

ი. იმნაიშვილი იმასაც გახაზავს, რომ საკმაოდ ხშირად ასეევა წარმოდგენილი წოდებითში მეფე სიტყვა (37, გვ. 84—85). იგი წერს: „ყველაზე ხშირად ასეთი შემთხვევები ძველი აღთქმის წიგნებში (განსაკუთრებით, მეფეთა წიგნებში) გეხვდება, უფრო ნაკლებად — სხვა ხელნაწერებშიც“ (37, გვ. 84). შეიძლება დავიმოწმოთ: მ, მეფე: ჰე, მეფე: ჰრქუა: მეფე და სხვ. (სათანადო მასალა იხ. 37, გვ. 84—85).

ვფიქრობთ, არაა გამორიცხული, წრფელობითისა და სახელობითი ბრუნვის ფორმათა ხმარება წოდებითის ფუნქციით აიხსნას ბერძნულის ზეგავლენით (შდრ.: 37, გვ. 81—82). ეს მოვლენა ახასიათებს ბერძნულს, განსაკუთრებით კი ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა ენას (88, გვ. 121—122).

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენა მრავალ სხვადასხვა ენაში გვხვდება (126) და, შესაძლოა, ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში ბერძნულისაგან დამოუკიდებლად განვითარებულიყო.

12. ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამოთქმა, მაგალითად, ჴელსა ჩემსა (რაც ნიშნავს მე), ჴელსა შენსა (=შენ), ჴელსა მისსა (=მას) და მისთ.: პირისაგან კაცისა (რაც ნიშნავს კაცისაგან), პირისაგან მათისა (=მათგან) და მისთ. წარმოადგენს ებრაულის კალკს. ძველ ქართულში ბერძნულის მეშვეობით დამკვიდრებულს. ზოგი ნიმუში:

მოგცნა მტერნი შენი ჴელთა შენთა, დაბ. 14, 20; აჰა, მჴევალი შენი ჴელთა შენთა შინა არს, იქვე 16, 6; და მისცა საჭმელი იგი და პური იგი, რომელ ქმნა, ჴელთა იაკობისთა, იქვე 27, 17; და მისცა მას ჴელითა ძეთა მისთაჲთა სამწყსოჲ თჳს-თჳსა, იქვე 30, 35; იხილე ნიშები იგი ყოველი, რომელი მიგეც ჴელსა შენსა, გამ. 4, 21; რომლისაჲ ნიჩაბი ჴელსა მისსა, მ. 3, 12 C; ჯერარს ძღ კაცისაჲ მიცემად ჴელთა კაცთასა, მ. 17, 22: ძღ კაცისაჲ მიეცემის ჴელთა კაცთა ცოდვილთასა, მ. 26, 45; ყოველივე მოჰსცა მას მამამან ჴელთა მისთა, ი. 13, 3; ნათესავთა შენთა და მღდელთმოძღუართა მომცეს შენ ელთა ჩემთა, ი. 18, 35, და სხვ.

მაგალითები ორიგინალური ძეგლებიდან:

მცირედ მჴედით მე, ამანო შემნო, რამეთუ ჴელთა შინა თქუენთა ვარ, აგ. ძეგლ. I 44, 13—14; გამოუღო ჴელთა მისთა, იქვე

17, 13: შეჰვედრა სული ... ქელთა ღმრთისათა, იქვე 90, 10; 342, 21; 111 45, 7; 78, 24: მოვიდეს იგინი ქელთა ლუკა მახარებლისათა, იქვე 112, 34; შეჰვედრა სული ... ქელთა დამბადებელისა თჳსისათა, იქვე 160, 36: მოგუცნა თქუენ ... მოსაკრებლად ქელთა ჩუენთა, იქვე 167, 25, და სხვ.

ქელისაგან მისისა ნიშნავს მისგან:

არცა ვის ქელ-ეწიფების მიტაცებად მათა ქელისაგან მამისა ჩემისა, ი. 10, 29; განმარინე მე, უფალო, ქელთაგან ამისა ჩემისა ესაჳისთა, დაბ. 32. 11 (12): განარინა იგი ქელთაგან ძმათა თჳსთაჲთა, იქვე 37, 21; მიიყიდა იგი პეტეფრე, საჭურისმან ფარაონჲსმან, მზარაულთმთავარმან, ქელთაგან ისმაიტელთაჲსა, იქვე 39, 1; მე თავს-ვიდვა ეგე და ქელთაგან ჩემთა იძიე ეგე, იქვე 43, 9; გარდამოჳვედ განრინებად მათა ქელთაგან ეგჳპტელთაჲსა, გამ. 3, 8: გამოჳსნაჲ მტერთაგან ჩუენთა და ქელთაგან ყოველთა მოძულეთა ჩუენთაჲსა, ლ. 1, 71; უშიშად ჳსნად ქელთაგან მტერთა ჩუენთაჲსა, ლ. 1, 74: ვერვინ მიმტაცნეს იგინი ქელთაგან მამისა ჩემისათა, ი. 10, 29 C; ეძიებდეს კუალად შეპყრობად მას, და განვიდა ქელთაგან მათთა, ი. 10, 39, და სხვ.

და უფალმან დაიცვა იგი ქელთაგან მათთა, აგ. ძეგლ. I 53, 3—4; ვინ გჳსნეს შენ ქელთაგან ჩუენთა, იქვე 66, 18; განრინებად იყავ სიცლტოლითა შენითა ქელთაგან ჩემთა, იქვე 167, 23; მიჳსნა მე ქელთაგან უსჯულოჲსათა, იქვე 168, 5: შეიქედრე სული ჩემი ქელთაგან წარმართთასა, იქვე 169, 33: განერა ქელთაგან მისთა, იქვე 188, 20; ვერვინაჲ განერებოდა ქელთაგან მათთა, იქვე 301, 32: აღიკუეცა ქელთაგან წმიდისათა, აგ. ძეგლ. II 17, 9: რომელი-იგი უკუანაისკნელ ქელთაგან წმიდისათა აღიკუეცა, იქვე 164, 5; რომელმან გჳსნა შენ ქელთაგან სიკუდილისათა, იქვე 233, 20, და სხვ.

გამოთქმას ქელითა მისითა ი. იშჳიშვიერი ძვ. განმარტებს: მის მიერ, მის გამო, მისგან (129, გვ. 783):

შჯული იგი ქელითა მოსესითა ჴოცა, ი. 1, 17 C: შდრ.: მოსეს მიერ იქმნა DE.

ეს გამოთქმა ფრიად ხშირია ორიგინალურ ძეგლებში: ქელითა ... კაცისაჲთა წარდევნნა იგინი, აგ. ძეგლ. I 37, 27; ნათელ-იღო ქელითა ... იოვანეჲსითა, იქვე 38, 26: ნათელი მივიღე სამოელ კათალიკოზისა ქელითა, იქვე 43, 24—25: ნათელ-იღო ქელითა პატიოსანთა მღდელთაჲთა, იქვე 58, 17—18: მოსცა წყალი ქელითა მოსესითა, იქვე 210, 10: აღზრდილ იყო ... ქელითა დედოფლისა, იქვე 249, 30; ქელითა გრიგოლისი-

თა, იქვე 253, 30: ჯელითა ღმრთისაჲთა, იქვე 258, 6: 253, 7; ჯელითა გლახაკთაჲთა, იქვე 269, 3, და სხვ.

პირისაგან ჩემისა, პირისაგან შენისა და მისთ. გამოთქმები ნიშნავს: ჩემგან, შენგან და ა. შ. გეხვედება იქინი როგორც თარგმნილ, ისე ორიგინალურ ძეგლებში.

დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

გამოვიდა იაკობ პირისაგან ისაკისა, მამისა თჳსისა, დაბ. 27, 30; რომელი გეჩუენა შენ. ოდეს-იგი ივლტოდე პირისაგან ესავისა. ძმისა შენისა, იქვე 35, 1; ეჩუენა ღმერთი, რაჟამს იქლტოდა იგი პირისაგან ძმისა თჳსისა, იქვე 35, 7; წარვიდა ქუეყანით ქანაანით პირისაგან იაკობისა, ძმისა თჳსისაჲთ, იქვე 36,6; განვიდა იოსებ პირისაგან ფარაოჲსისა, იქვე 41, 46; ეწ ესელა. თუ წარიყვანოთ პირისაგან ჩემისა, იქვე 44, 29; აჰა ესერა, პირისა შენისაგან არა ჴუებულ ვიქმენ, იქვე 48, 11: წარივლტოდა მოსე პირისაგან ფარაოჲსისა, გამ. 2, 15; პირისა მათისაგან, ეზეკ. 2, 6; პირისა ჩემისაგან. იქვე 3, 17. და სხვ.

პირისა მისისაგან გამოიძიონ, აგ. ძეგლ. I 251, 39: აღწერო ... პირის მისისაგან მოთხრობილი, იქვე 105, 16; მოჴრდა პირისაგან უფლისა, იქვე 175, 16: განგუარინენ პირისაგან მისისა, აგ. ძეგლ. II 28, 14; განარინეთ პირისაგან მახჳლისა, აგ. ძეგლ. I 140, 14.

პირი მისი=იგი:

ხოლო ღმერთმან მოამშჳდა პირი მეფისა მის ჩრდილოჲსაჲ, აგ. ძეგლ. I 59, 1—2;

საინტერესოა გამოთქმა პირითა მახჳლისაჲთა, რომელიც ნიშნავს მახჳლთა:

და ემორ და სჴქემ მოწყჳდნენ პირითა მახჳლისაჲთა, დაბ. 34, 26;

რომელნი პირითა მახჳლისაჲთა მოსწყდეს, აგ. ძეგლ. I 44, 19—20; მოსწყუედდეს მათ პირითა მახჳლისაჲთა, იქვე 165, 1; მოჰკუდე შენ პირითა მახჳლისაჲთა, იქვე 168, 22.

ასევე ბერძნულის კალკია და აჰა:

და აჰა, სამ კაც დგეს ზედა მისა, დაბ. 18, 2; და აჰა, მე შენ თანა ვარ, იქვე 28, 15; და აჰა, ვაცები და ვერძები აღვიდოდა, იქვე 31, 10; და აჰა, იგიცა მოვალს, იქვე 32, 6; და აჰა, იგი შემდგომად ჩუენსა მოვალს, იქვე 32, 18; და აჰა, იგი ვაშკარანსა ჩემსა არს, იქვე 42. 28; და აჰა, იყო [შენ] დადუმებულ, ლ. 1, 20 C; და აჰა, ვარსკულავი იგი ... წინაუძღოდა მათ, მ. 2, 9; და აჰა, ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა ხილვით იოსებს, მ. 2, 13, და სხვ.;

და აჰა ესერა, კიბენი აღმართებულ იყუნეს ქუეყანით, დაბ. 28,

12; და აჰა ესერა, ვერძი ერთი დამოეკიდა რქითა ნერგსა საბეკსა, იქვე 23, 13; და აჰა ესერა, აღვიდოდა ალი ცეცხლისაჲ. იქვე 19, 28; და აჰა ესერა, შიში დიდი მოიწია მის ზედა, იქვე 15, 12; და აჰა ესერა, საკუთილი მკუმოლვარჱ, იქვე 15, 17; და აჰა ესერა, კეთროვანი ვინმე მოუვიდა, მ. 8, 2 DE; და აჰა ესერა, ძრვა იყო დიდ, მ. 8, 24; და აჰა ესერა, უღიდეს იონაჲსა არს აქა, მ. 12, 41, და სხვ.

გამოთქმა სულსა ჩემსა, სულსა შენსა და ა. შ. იხმარება შემდეგი მნიშვნელობით: მე, შენ და მისთ.:

გუალე და ვიდოდე ეგვპტედ, რამეთუ მოწყდეს ყოველნი, რომელნი ეძიებდეს სულსა შენსა, გამ. 4, 19: რაჲმე სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს. მ. 16. 26; რომელსა უნდეს სული თჳსი განრინებად, წარიწყმიდოს იგი, მრ. 8. 35 DE: რომელსა უნდეს თავისა თჳსისა ცხორებაჲ C; რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა, მ. 2, 20: რომელი სთნავს სულსა ჩემსა, მ. 12, 18: არა მოვიდეს ძჳ კაცისაჲ წარწყმედად სულთა კაცთასა, ლ. 9. 56, და სხვ.

შესაბამისი ფრაზეოლოგიზმები ბერძნულ ენაში ებრაულის კალკებად მიაჩნიათ (102. გვ. IX—X; 88, გვ. 5—6).

შეიძლებოდა კიდევ დაგვესახელებინა სხვა შემთხვევებიც, მაგრამ იმის საჩვენებლად, რომ ბერძნულმა ენამ ქართულ სალიტერატურო ენაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, ზემოთქმულიც საკმაოა.

ძველ ქართულ სალიტერატურო ენას ახასიათებს პარონომაზია (ხედვით ხედვიდა, ხილვით იხილა, განმრავლებით განმრავლა და ა. შ.). ეს მოვლენა უპირატესად თარგმნილ ძეგლებში გვხვდება:

და ტანჯა ღმერთმან ფარაო ტანჯვითა დიდითა, დაბ. 12, 17; ხილვით ვიხილე ბჭირი იგი ერისა ჩემისაჲ, გამ. 3, 7; ჯრწნით განიჯრწნე შენ უთმინოებითა, გამ. 18, 18; პარვით წარმოიპარეს მე, დაბ. 40, 15; მოგაოჯრო შენ ოჯრებითა, ეზეკ. 35, 16: ჰამით არა იჰამოს, ლევიტ. 7, 14: განხეთქით განეხეთქო, III მეფ. 11, 11, და სხვ.

ძალიან იშვიათია იგი ორიგინალურ ძეგლებში: თრევით მოგითრიო (აგ. ძეგლ. I 15, 17); თრევით მოითრია (იქვე 19, 25) და მისთ.

კ. წერეთელი ამ მოვლენას ებრაულის ზეგავლენით ხსნის (76. გვ. 483—499). ი. იმნაიშვილის აზრით, ქართულში პარონომაზია სემიტურის (ებრაულის) გავლენა კი არ არის, არამედ თვით ქართულის წიაღშია ჩასახული და განვითარებული (37, გვ. 241—244). ითვლება, რომ ბერძნულში პარონომაზია ებრაიზმია (88, გვ. 5—6).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქართული ბიბლიის თარგმანებში პარო-

ნომაზია ბერძნულის გზით გაჩნდა და შემდგომ ორიგინალური ძეგლების ენაშიაც იჩინა თავი.

II. ძველ ქართულ ენაში გვაქვს ებრაულიდან ნასესხები სიტყვები: ამენ, აკელდამა, კედარი, ნარდი, უსუპი, ბაგინი, მესია, მამონა და სხვ. ეს სიტყვები ძველ ქართულში ხშირია. ზოგი ლექსიკური ერთეული იშვიათია. ყსეთია: საბეკი (68. გვ. 55); იეზერი, ბედეკი (66. გვ. 53): არიელ !! არილი (72. გვ. 294); ელამი, ელევი, თე (72, გვ. 302—303); ნაგები (54. გვ. 293): რაბუნი, სორექი და სხვ. არამეულია: აბბა, პასექი, სატანა, გეჰენია და მისთ.

ცნობილია, რომ ამ სიტყვათა უმრავლესობა ქართულში შემოსულია არა უშუალოდ ებრაულიდან და არამეულიდან, არამედ ბერძნულის გზით და თვით ბერძნულშიც ეს სიტყვები უპირატესად უთარგმნელოდ არის წარმოდგენილი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზოგი სტილისტური მოვლენა (და კავშირის ჰარბი ხმარება. და ი ყო ფრაზა და. სხვა) ბერძნულის გზით არის შემოსული ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე.

ჯერჯერობით უცნობია უშუალოდ ებრაული ენიდან ქართულად თარგმნილი რომელიმე ძეგლი. თ. ჟორდანიასა (38, გვ. 94) და პ. ინგოროყვას (49, გვ. 335) მიერ გამოთქმული მოსაზრება ფსალმუნთა წიგნის ებრაულიდან გადმოღების შესახებ სამართლიანად არ გაიზიარა მ. შანიძემ (67, გვ. 120 და შმდგ.).

ებრაული სალიტერატურო ენის უშუალო ზეგავლენა ქართულ სალიტერატურო ენაზე ჯერჯერობით გამოირიცხება.

III. ქართველ ბოღვაწეებს V—XIII საუკუნეებში სირიელებთან საქმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. მიუთითებენ ბიბლიური და სხვა ტექსტების სირიულიდან ქართულად თარგმნის შესახებ, ან კიდევ სირიულის გარკვეული ზეგავლენის შესახებ ქართულ სალიტერატურო ენაზე (84: 93 (შდრ.: 121); 99; 105: 106; 107; 108: 109: 110; 111; 112: 113; 114: 115: 116: 78: 64: 44; 45 და სხვ.).

ძველ ქართულში უშუალოდ, ან შუალობით არის შემოსული სირიული სიტყვები: ამირაჯ, გუბეჯ, დარი, ზუარაკი, თარგმანი, თარში, ხარბი (==ხმალი), კაკაბი, კუპრი, ჰურიაჯ, ზეთრ, მაგალითი, მახათი, მანგალი, შაბათი, შამფური, შუკაჯ, ქალაქი, ქანქარი, ქნარი და სხვ.

ცხადია, ჯერჯერობით შეუძლებელია ვამტკიცოთ სირიულის ზეგავლენა ქართულ სალიტერატურო ენაზე.

IV. ქართველ და სომეხ ხალხებს ყოველთვის მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ. სამეცნიერო ლი-

ტერატურაში გარკვეულია, რომ უკვე უძველეს დროში თარგმნიდნენ ქართულიდან სომხურად და სომხურიდან ქართულად.

ქართული და სომხური ენების ურთიერთობის ერთ-ერთი გამორჩეულება ის არის, რომ ქართულში გვაქვს სომხური ენიდან, ან კიდევ სომხურის გზით შემოსული სიტყვები, სომხურის ლექსიკაში კი შენიშნულია ქართული და სხვა ქართველური ენებიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულები.

ქართულ სალიტერატურო ენაში სომხურიდან სხვადასხვა დროს შემოვიდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა: უნჯაკალი (66, გვ. 245—247): ბოროტი (ამ სიტყვის ძირი ფალაურია: ბარ, მაგრამ ოტ არის სომხური მაწარმოებელი. ბოროტი ნიშნავს კეთროვანს. ქართულში მას უკეთურის მნიშვნელობა აქვს); ატიანი. მგელი, მიამიტი, შენ-ება, ტანუტერი, ტერება (ეტერენით თავთა თქუენთა). მდელო. წალკოტი და სხვ.

ქართულსა და სომხურში მრავლად არის საერთო ხმარების, უმთავრესად ირანული წარმომავლობის, სიტყვები, რომლებიც ზოგ მკვლევარს მიაჩნია ქართულში სომხურის გზით შემოსულად, მაგრამ ეს დამტკიცებული არაა. საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოთქვეს ილ. აბულაძემ, ჰ. ფოგტმა, მ. ანდრონიკაშვილმა.

ქართულ ფილოლოგიაში ცნობილია და სათანადოდ შეფასებული ისეთი შემთხვევები, როცა ქართველ მთარგმნელს უთარგმნელად დაუტოვებია სომხური სიტყვა, ან კიდევ შეცდომით გაუგია ესა თუ ის სიტყვა, ან ფრაზა. ამგვარი შემთხვევები ნათლად აჩენენ ამა თუ იმ ტექსტის დამოკიდებულებას დედანთან. მაგრამ ისინი ვერ გამოდგებიან ენობრივი გავლენის სამტკიცებლად.

შეიძლება ვადაჭრით ითქვას, რომ მიუხედავად ხანგრძლივი კონტაქტებისა, სომხურ სალიტერატურო ენას ქართულ სალიტერატურო ენაზე რაიმე შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია.

V. ფაქტიურად იგივე შეიძლება ითქვას ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შესახებ. ოღონდ ირანულიდან ქართულში შემოვიდა გაცილებით მეტი ლექსიკური ერთეული. ყველაზე ამომწურავად ეს საკითხი შეისწავლა მ. ანდრონიკაშვილმა (13). იგი წერს: „ირანულიდან შეთვისებული სიტყვები ქართულში სხვადასხვა ეროვისა და სხვადასხვა ხასიათისანი არიან და მომდინარეობენ სხვადასხვა დიალექტური წრიდან. აქ შეიძლება შევხვდეთ სესხების ყველა სახეს. იქნება ეს ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის შედეგად შეთვისებული სიტყვები, თუ ხელოვნური, წიგნური გზით შემოსული სიტყვები. ირანული გზით მომდინარე ე. წ. ინტერნაციონალური სიტყვები, თუ ირანული წარმოშობის სიტყვები, შემოსული სხვა ენათა მეშვეობით“ (13. გვ. 6).

ბიდიურიდან შეთვისებულად მიაჩნია ი. ანდრონიკაშვილს ანთროპონიმები: ფარნავაზი, არტავაზი (13, გვ. 13—16); ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ბაგინი, მოგვ, განძი, სპილენძი, მასპინძელი (სიტყვის ძირია ასპინძა, რაც სადგურს, სასტუმროს ნიშნავს) (13, გვ. 16—19).

ძველი სპარსულიდან მომდინარედ ითვლება: არმაზი, ვანი, კირთი (13, გვ. 23—32) და სხვ.

ავესტურ ტრადიციას უკავშირებს მ. ანდრონიკაშვილი სიტყვებს: ეშმაკი, დროშაკი, ჯოჯოხეთი, ფართო (13, გვ. 36—40) და სხვ.

სკვითურ-ალანურ-ოსურიდან ნასესხებად შეიძლება მივიჩნიოთ: აბრაგი, ამინდი, არვე, არნი, ბევრი, ბზიკი, ბრანგვ, ბურახი, დილეგი, დოღი, ეწერი, კაპოტი, კნინი, ლუდი, მეხი, მონა, ორმო, რუსხა, სულუეთნი, უსუარი, ფარსაგი, ფარღული, ფასი, ფინთი, ქადაგი, ქაშაგი, ქუდი, შავი, ხაბიზგინი, ხაესი, ხეტიალი (13, გვ. 75—130) და სხვ.

პართულიდან შემოსულად მიიჩნევს მ. ანდრონიკაშვილი ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: აბჯარი, ავაზაკი, აქაზანი, აზნ=(აზნაური). აქბავი || ჰამბავი. ამბორი, ამბოხი, ამპარტავანი, ანაზდ (ანაზდადთ), არტოშანი, ბაგინი, ბუნაგი, ბანაკი, ბეჭედი, გუნდი, გუშაგი, დიასპანი, დანაკი, დალიჩი, დაშნი, დუმაკი || დუმა, ევადაგი, ვანი, ვარდი, ვარშამაგი, ვაშკარანი, ეაშტი, ვერაგი, ვეშაპი, ვიგრი, ზეპური, ზორავა, ზუერი, ზუარაკი, კისაკი || ჭისა, ამარი, მარაგი, მრავალი, მატაკარანი, მოგვ (=ჩექმა), მუჰრაკი, ყამი, პალავანდი, პასანიკი || პასენაკი, პალანი, პატნეზი, პატივი, პატიჟი, პატიმარი, ტაბასტაკი, ტალავარი, ურაკპარაკი, უნასი, ფართო, ჰასაკი (13, გვ. 216—278) და სხვ.

საშუალო სპარსულიდან ისესხა ქართულმა: ალაგი, ამხანაგი, ანგაჰრებაა>ანგარება, ანდერძი, აპკა, ასპარეზი, აუგი, ანჯმან (ანჯმნობა), არზანიგი || არძანიგი, ახოვანი, ბევრი, ბერი, ბორცვ, ბოსტანი, ბუნ=(ბუნება), ბარძიმი, განძი, გლახაკი, გრივი, გუალაგი, გოვარი (>გუარი>გვარი), გრო, გუმარდი, გუნდრუკი, გუჯარი, გოზაკი, მგოსანი (<გოსანი), დასტური, დევი, დილეგი, დრამა, დანდალი, დრაჰკანი, დანგი, დროშა, ეშმაკი, ეშმა, ხაშმი, შმაგი, ვასხი, ვაშხი, ვაჭარი, ზიანი, ზღაპარი, ზურმუხტი, იაგუნდი, იაკინთი, იავარ, იადგარი, კალნაბი, კოშკი, კერპი, კუბასტი, კურტაკი, ლალი, ლაშქარი, მარზაკი, მაზრა, მარზაპანი, მობიდანი, მიზდი, მირკანი || მირაკანი || მიჰრაკანი, ნავარდი, ნაზი, ნასი, ნაძვ, იატაკი, ნიადაგი, ნიშანი || ნიში, ნიჯადი, ნოაგი || ნოვაგი, ოსტიგანი, პასუხი, პერანგი, პატრუკი, პატრუცაგი, პიტიაბში, როსპიკი, ჰროარტაგი, როჭიკი, სადაგი (>სადა), სასტიკი, სენაკი, სენაკაპანი, სპა, სპასპეტი, სპასალარი, სპეტაკი, სტავრა, სუბუქი, ტაკუკი, ტაბაკი || ტაფაკი, ტაიჭი, ტაბლაკი || ტაბლა, ტანი, ტანჯვა, ტაძარი, ტომი, ტოზიკი, ფათერაკი, ფარდაგი, ქანდაკი, ქარავი, ქულბაგი, ქარდაგი, ქურციკი, შიმშერი, შარავანდი, შფოთი, ჩოგანი, ჭალაკი, ჭეშმარიტი, ჩიჩნაუხტი, ჭაბუკი, ჭარმაგი, ხანა-

გა, ხუაიშანი, ხუასტაგი, ხორშაკი, ხუარბალი, ჯოჯოხეთი, ყადაგი, ჯავშანი (13, გვ. 279—416) და სხვ.

VI. სემიტურ სამყაროსთან ქართველთა ურთიერთობის კვლევისას, ეფიქრობთ, სახელმძღვანელოდ გამოდგება გ. წერეთლის დებულება: „არის ერთი მთლიანი კულტურა წინააზიის ხალხებისა, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ მუსლიმანური და ქრისტიანო აღმოსავლეთის სხვადასხვა ეთნიკური ეროვნულები: არაბები, სპარსელები, სირიელები, კოპტები, სომხები და პირველ რიგში ქართველები“ (75, გვ. 34).

გ. წერეთლის აზრით, „საქართველოს ურთიერთობა არაბებთან ისლამის პირველ საუკუნეშივე იწყება. ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნის ორმოციან წლებში საქართველოს (ქართლის) მოსახლეობა უშუალო კავშირს ამყარებს არაბებთან და ეს კავშირი მრავალი საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ამ გარემოებას არ შეეძლო კვალი არ დაეტოვებინა ენაზე. ქართულში თავს იჩენს გარკვეული რაოდენობა არაბული ლექსიკური ელემენტებისა“ (75, გვ. 34).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში არაბულიდან ნასესხებ სიტყვათა რიცხვი მცირეა (75. გვ. 35—38). გ. წერეთელი ამ ფაქტს ასე ხსნის: „ეს სიმცირე უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ქართველი ხალხის მაღალი ეროვნული და ქრისტიანული სარწმუნოებრივი თვითშეგნება, რომელმაც გამოძახილი პოვა იოანე საბანისძის VIII საუკუნეში შექმნილ პატრიოტული ტენდენციით აღსავსე ძეგლში, უკარნახებდა ქართველ ხალხს სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინა ისლამისა და ყოველგვარი მაჰმადიანურის წინააღმდეგ, როგორც ქართული სარწმუნოებისა და სახელმწიფოებრიობის მტრისა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური პერიოდის სამწერლობო ქართულს საფუძვლად დაედო ბიბლიის თარგმანისა და მის ნიადაგზე განვითარებული მდიდარი საეკლესიო ლიტერატურის ენა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში განაგრძნობდა ტრადიციით არსებობას. ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელი თავის ოთხთავის ტექსტში გაურბის არაბული სიტყვების ხმარებას მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ქართულ ენაში არაბული ლექსიკური ელემენტების საკმაო რაოდენობა მოიპოვებოდა“ (75, გვ. 38—39). ასევე ცნობილია, რომ ძველ სომხურში არაბულ სიტყვათა ოდენობა მცირეა (104, გვ. 260).

არაბულიდან ქართულში ნასესხებ ლექსიკას საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა ჰ. ფენრიხმა (94). მან მიუთითა, რომ ახალ ქართულში არაბულიდან ნასესხებია: ალამი, ადათი, შარიათი, კაბალა, იჯარა, ნისია, ხარჯი, ჭირა, ვალი, ეზირი, ვექილი, თაბუნი, თაჯი, თუთა, მელიქი, ნაზირი, ნაიბი, ამირი, ამილახორი, დერვიში, ალაჰი, ყარიბი, ყისმათი, ყურანი, ღდინი, ქაფარი, აბი, ბუასილი, ეჭიმი, შაკიკი, ერეყანი, ქაფური, ყაფაზი, ვარაყი, თარჯიმანი, ატლასი, შანდალი, ჭურა, ჭურსი, ქათანი, ყასიდა, ყა-

ზალი, მუხამბაზი, შაირი. ყილიფი, ღადარი, ფუთა, ბაყალი, ფითილა, სალამი, ხალიფა, სუფრა, საათი, ნალი, ნადიმი, კუმაში, ეჯიბი, მეიდანი, თასი, თაბახი, ზავთი, ზანდუკი, ავზი, ყადრი, ღაზლი, ყასაბი, ყაფანი, ქაბაბი. კმა. შარბათი, ყავა, არაყი, ფიქრი, ყაიდა, ყასავათი, ხასიათი, ბალა. საბაბი. ვადა, შაბი, ნიშადური, ჰავა, ალყა, მარჯანი, ლალი, იაგუნდი. მაიმუნი, ყალყი. არაქათი, აჯამი, დუნია, ხოტბა, ფარეში, ღაზელი, ეშხი, ყაელი, ბათილი, ზარადი (მუზარადი), თამამი, უურბანი, არამი, ასაკი. ხელახი. შუღლი, ყამარი, ვარამი, ღალატი, სურათი, ხაზირი, ყალიბი, ყაიმი, აინუნი, ზაფრა, თილისმა, ბადრი, ყაბული და სხვ. (94, გვ. 156—162)

უშუალოდ არაბულიდან, ან სხვა ენათა მეშვეობით ძველ და სიშუალ ქართულში შემოდის არაბული სიტყვები: ათაბაგი, ალქიმია, ამირალმუმნი, აქლემი. გავაზი, გზირი, დავა, დუქანი, ვარქირი>ვაქილი, ვაზირი, ზოალი, კოზაკი, მუშტარი || მუსტარი (=იუპიტერი), მარეხი, ოტარიდი. ყამარი. ჩონარი. დინგი, თასი, თარხანი, თურინჯი, კოშკი, ლაჟვარდი, ლალი. მანდილი, ნიკრისი, ხალიფა, ხანდაკი, ხაშხაში, ზაფრანა, უულყასი. ხაბაზი. ლობიო, მალრიბი, მაშრიყი. კუზი, მიდანი>მოედანი, მიხაკი, მენეჯი, მიზგითი, მაკრაჩ(ელი). მჭისი, უნაბი, ნალი, ნარინჯი, ნარდი, ნაღი. ნუხა. შარბათი, სუბუქი, შიმშერი, შიშაქი, შურტა, ბალღამი, ფარეზი, პარკუჯი, პრკე, ჯავარი, რეჰანი, სუნდუკი || ზანდუკი, ფუნდუკი, ფარდი (შეფარდება), ფარდა. ყაჯი, შაქარი, ჯალაბი, ჯილაგი და სხვ.

გ. წერეთელი მიუთითებს, რომ „XI—XII საუკუნეებიდან მოყოლებული უკვე იხსნება გზა სიტყვების შემოსვლისათვის“ (75, გვ. 38).

განსაკუთრებით ხშირია არაბიზმები ასტროლოგიურ და სამედიცინო წიგნებში (75. გვ. 38). საინტერესოა, რომ ჰ. ჰიუბშმანი სპეციალურად გაზახავს არაბულ სიტყვათა სიმრავლეს ძველ სომხურ სამედიცინო თხზულებებში (104, გვ. 279—280).

სამეცნიერო ლიტერატურაში უკანასკნელ დროს გამოითქვა არაერთი საყურადღებო მოსაზრება ამა თუ იმ წერილობითი ძეგლის არაბულიდან ქართულად თარგმნის შესახებ (1; 4; 14; 15; 16; 74; 85; 95; 96; 97; 101; 117; 118; 119; 120; 121 და სხვ.).

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არაბულ ენას ქართულ სალიტერატურო ენაზე რაიმე შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია (ცხადია, აქ არ იგულისხმება სიტყვათა უშუალო, ან შუალობითი გზით სესხება).

ლიტერატურა

1. იოანე მოსხი. ლიმონარი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1960.
2. ილ. აბულაძე, რამდენიმე საერთო ხმარების სიტყვა ქართულსა და სომხურში: შრომები, II, თბ., 1976.

3. იც. აბულაძე, სომხურისა და ქართულის ზოგიერთი საერთო ხმარების სიტყვის წარმოშობისათვის: შრომები, II, თბ., 1976.
4. იც. აბულაძე, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლი ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, თბ., 1964.
5. იც. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან: შრომები, II, თბ., 1976.
6. იც. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ერთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944.
7. იც. აბულაძე, ქართულიდან სესხებული სომხური სიტყვები: შრომები, II, თბ., 1976.
8. იც. აბულაძე, ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთ ძეგლში: შრომები, II, თბ., 1976.
9. იც. აბულაძე, ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები: შრომები, II, თბ., 1976
10. იც. აბულაძე, ქართულ-სომხური ლექსიკური შეხვედრები: შრომები, II, თბ., 1976.
11. იც. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: შრომები, I, თბ., 1975.
12. იც. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი: თსუ შრომები, XXXIV, 1950.
13. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.
14. ალ-ბესთანი, გამოსცა რ. გვარამიამ, თბ., 1965.
15. ამონიოსის „სინა-რაითის მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები, გამოსცა რ. გვარამიამ, თბ., 1973.
16. რ. გვარამია, „პანტელეიმონის წამების“ ქართული ვერსიები და მათი წყაროები: მრავალთავი, VII, თბ., 1980.
17. ბ. გიგინეიშვილი, ს. კაკაძე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი: შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., 1966.
18. ბ. გიგინეიშვილი, სოლომონის იგავთა ქართული რედაქციები: მრავალთავი, II, თბ., 1973.
19. კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი: თსუ ძველი ქართ. ენ. კათ. შრ., 9, თბ., 1964.
20. კ. დანელია, პაულეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციები: მაცნე, 1976, № 3.
21. კ. დანელია, პაულეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები (გიორგისა, ეფრემისა): თსუ ძვ. ქართ. ენ. კათ. შრ. 20, თბ., 1976.
22. კ. დანელია, რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიისათვის: თსუ შრ., 183, თბ., 1978.
23. კ. დანელია, უცხო ენათა გაელენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში: მაცნე, 1975, № 4.
24. კ. დანელია, უცხო ენათა გაელენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, II. ეიდრე უდეტრიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში: მაცნე, 1979, № 1.
25. კ. დანელია, უცხო ენათა გაელენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. 3. vav consecutivum-ის გადმოცემა თანმიმდევრობის „და“ კავშირით: მაცნე, 1979, № 3.
26. კ. დანელია, უცხო ენათა გაელენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგ-

ლების ენაში. 4. ბერძნულ ადგილობით ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში: მაცნე, 1981, № 2.
27. ე. დოჩანაშვილი, ადიშის ოთხთავის კომპოზიტები (ოთხთავის სომხურ და ბერძნულ ტექსტებთან მიმართებით): მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 29, თბ., 1951.
28. ე. დოჩანაშვილი. მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის: მასალები ... 32, თბ., 1955.
29. ე. დოჩანაშვილი, „მცხეთური ბიბლიის" დაბადების წიგნის ბერძნიზმები: მაცნე, 1978, № 2.
30. ე. დოჩანაშვილი, მცხეთური ხელნაწერი (შესავალი), თბ., 1981.
31. ე. დოჩანაშვილი, პირთა, ეთნოგრაფიული და ეთნიკური სახელები ოთხთავის ქართულ თარგმანებში: მაცნე, 1968, № 3.
32. ე. დოჩანაშვილი, რამდენიმე ტექსტოლოგიური დაკვირვება: ბიზანტინოლოგიური ეტიუდები, თბ., 1978.
33. ე. დოჩანაშვილი, ტექსტობრივი დამოკიდებულების რამდენიმე შემთხვევა ძველი აღთქმის ზოგ ქართულ ხელნაწერში: მაცნე, 1971, № 2.
34. ე. დოჩანაშვილი, ქართული ბიბლიის „ისო ნაეს წიგნის" ბერძნიზმები: მაცნე, 1974, № 4.
35. ირ. ვეშაპიძე, ზმნისწინი ქართულ ენაში, თბ., 1967.
36. ჰ. თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში: პუშკინის სახ. თბ. სახ. პედ. ინსტ. შრ., 13, თბ., 1959.
37. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
38. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, IV, თბ., 1978.
39. მ. კახაძე, ბასილი დიდი. ეკუსთა დღეთაჲ, თბ., 1947.
40. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
41. ნ. კეპეღმაძე, პროკლე დიადოხოსი, კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი, ძველი ქართული თარგმანი (ხელნაწ.), თბ., 1948.
42. ა. კიზირია, შერწყმული წინადადება ძველ ქართულში: იკე, IV, თბ., 1953.
43. გ. კიკნაძე, ესთერის წიგნის ქართული რედაქციები: მრავალთაეი, II, თბ., 1973.
44. მ. მაისურაძე, ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან: მაცნე, 1977, № 4.
45. მ. მაისურაძე, აგიოგრაფიული თხზულების „დროსის წამების" წარმოშობის საკითხისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 97, № 2, თბ., 1980.
46. არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იკე, I, თბ., 1946.
47. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
48. ი. ნადარეიშვილი, „და" კავშირის ხმარების სიხშირე ქართული სალიტერატურო ენის ევოლუციის პროცესში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 57, № 2, თბ., 1970.
49. თ. ორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიიდან, I, ტფ., 1892.
50. მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1976.
51. გ. ტაბიძე, თხზულებანი, XII, თბ., 1975.
52. ც. ქურციკიძე, „გოდებაჲ იერემიაჲსის" ქართული რედაქციები: მრავალთაეი, III, თბ., 1973.
53. ც. ქურციკიძე, ერთი სტილისტური თავისებურებისათვის ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 36, № 1, თბ., 1964.

54. ც. ქ უ რ ც ი ა ძ ე, ძველი აღთქმის აპოკრიფული (არაკანონიკური) წიგნების ქართული ვერსიები, II, თბ., 1973.
55. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ადიშის ოთხთავის ბერძნიზმები: ენიმკის მოამბე, XIV, თბ., 1944.
56. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ერთი უცნობი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში: კეთ. პედ. ინსტ. შრ., IX, თბ., 1949.
57. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი: „ცისკარი", 1958, № 1.
58. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973.
59. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის ენა: იოანე პეტრიწი, შრომები, I, თბ., 1940.
60. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
61. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
62. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945.
63. ა. შ ა ნ ი ძ ე, წიგნნი ძველისა ბღთქემისანი, ტ. I, ნაკვ. I, თბ., 1947.
64. ა. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ., 1959.
65. მ. შ ა ნ ი ძ ე, ორი ებრაული სიტყვა ძველი აღთქმის ტექსტში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, IV, № 2.
66. მ. შ ა ნ ი ძ ე, უ ნ ჯ ა ა ხ სიტყვის განმარტებისათვის: თსუ ბე. ქართ. ენ. კათ. შრ., 20, თბ., 1976.
67. მ. შ ა ნ ი ძ ე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979.
68. მ. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკიდან: ჭელნაწ. ინსტ. მოამბე, II, თბ., 1960.
69. დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცემებისათვის ძველ ქართულში: ქართვ. ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
70. უ. ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ ი, მეფეთა პირველი ორი წიგნის ძველი ქართული რედაქციების მიმართებისათვის: ბერძნულთან: მაცნე, 1967, № 2.
71. უ. ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ ი, κατα წინდებულის ეკვივალენტები „მეფეთა წიგნების" ქართულ თარგმანში: მრავალთავი, IV, თბ., 1975.
72. თ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბ., 1970.
73. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969.
74. ნ. წ ა ქ ა ძ ე, „ნინოწმის ცხოვრების" არაბული და ქართული ვერსიები, მაცნე, 1973, № 3.
75. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის: თსუ მოხსენებათა კრებული, I, თბ., 1947.
76. კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, პარონომაზია ქართულში: იქვე, VI, თბ., 1954.
77. კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბის აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში: თსუ აკაკი შანიძეს, თბ., 1981.
78. კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არამეული ენა საქართველოში: მნათობი, № 9, 1976.
79. ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982.
80. И. В. А б у л а д з е, Несколько общих слов в древнегрузинском и древнеармянском языках: Труды, II, Тб., 1976.
81. Р. П. Б л е й к, О древнегрузинских версиях Ветхого завета: Изв. Кавказ. отд. Московского Арх. общ. VI, Тифлис, 1921.
82. Н. Я. М а р р, Из поездки на Афон: ЖМНП, С-Пб.; 1899, Март.
83. Н. Я. М а р р, Агиографические материалы по грузинским рукописям Имера, ч .I, С-Пб., 1900.

84. Н. Я. Марр, Боги языческой Грузии по древнегрузинским источникам, С-Пб., 1901.
85. Н. Я. Марр, Иосиф Аримафейский, Сказание о построении первой церкви в городе Лидде, ТР, II, С-Пб., 1901.
86. Н. Я. Марр, Ипполит, Толкование Песни песней: ТР, III, С-Пб., 1903.
87. Н. Я. Марр, Физиолог: ТР, VI, С-Пб., 1904.
88. F. Blass, A. Debrunner, Grammatik des neutestamentlichen Griechisch, Göttingen, 1976.
89. B. Boeder, Über einige Verwendungen von da „und" in der altgeorgischen Literatursprache: Folia Linguistica, t, XVII/1—4 1983.
90. G. Deeters, Armenisch und Südkaukasisch: Caucasica, Fasc. III. Leipzig 1926; IV, 1927.
91. M. van Esbroeck, Deux homélies de Severien de Gabala (IV —V siècle) conservées en géorgien: Bedi Kartlisa, XXXVI, Paris, 1978.
92. M. van Esbroeck, L' histoire de l'église de Lydda dans deux textes géorgiens: Bedi Kartlisa, XXXV, 1977.
93. M. van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, Louvain, 1975
94. H. Fähnrich, Arabische Lehnwörter in der georgischen Sprache: Bedi Kartlisa, XVII-XVIII. . 1964.
95. G. Garitte, La version géorgienne du „Pré spirituel": Studi e Testi, 232, 1964
96. G. Garitte, La passion de S. Élien de Philadelphie ('Ammān): Analecta. Bollandiana, t. 79, fasc. 3-4.
97. G. Garitte, La version géorgienne de la Vie de S. Cyriaque par Cyrille de Scythopolis: Le Muséon, t. 75, § 3-4.
98. G. Garitte, Les vies géorgiennes de S. Syméon Stylite l'ancien et de S. Éphrem, Louvain, 1957.
99. G. Garitte, Le sermon du moine Martyrius et son modèle syriaque, Le Muséon LXIX.
100. G. Garitte, Version géorgienne de la vie de S. Marthe: Bedi Kartlisa, XXV, 1968.
101. G. Garitte, La vie géorgienne de S. Cyriaque et son modèle arabe: Bedi Kartlisa, XXVIII, 1971.
102. R. Helbing, Die Kasussyntax der Verba bei den Septuaginta, Göttingen, 1928.
103. R. Helbing, Grammatik der Septuaginta, Laut-und Wortlehre, Göttingen 1907.
104. H. Hubschman, Armenische Grammatik, I, Armenische Etymologie Hildesheim-New York, 1972.
105. J. Molitor, Die georgische Bibelübersetzung, ihr Werdegang und ihre Bedeutung in heutiger Sicht: Oriens Christianus, 37, 1953.
106. J. Molitor, Zur Textgeschichte des georgischen Alten Testamentes: Bedi Kartlisa, VI-VII. 1959.
107. J. Molitor, Die syrische Grundlage der altgeorgischen Evangelienübersetzu nach Aussage ihrer Harmonismen, Bedi Kartlisa, XIII-XIV, 1962.
108. J. Molitor, Spuren altsyrischer Bibelübersetzung in den Chanmeti-Palimsesten aus Jeremias, Bedi Kartlisa, XI-XVI, 1963.
109. J. Molitor, Syrische Lesarten im altgeorgischen Tetraevangelium: Bedi Kartlisa, XIX-XX, 1965.

110. J. Molitor, Neuere Ergebnisse zur Textgeschichte des georgischen Neuen Testamentes: Bedi Kartlisa, XXI—XXII, 1966.
111. J. Molitor, Altgeorgische Evangelienübersetzung als Hüterin Syrischer Tradition: Bedi Kartlisa, XXIII-XXIV, 1967; XXXV, 1968; XXVI. 1969.
112. J. Molitor, Die Bedeutung der georgischen Version des Neuen Testamentes für die Novi Testamenti Graeci ... Bedi Kartlisa, XXVIII, 1971.
113. J. Molitor, Die altgeorgische Version des 1. und 2. Korintherbriefes ins Lateinische übertagen und nach Syriazismen untersucht: Oriens Christianus, 58, 1974.
114. J. Molitor, Die altgeorgische Version des Galater-und Epheserbriefes ins Lateinische übertragen und nach Syriazismen untersucht: Or. CHr., 59, 1975.
115. J. Molitor. Die altgeorgische Version des Philipper-, Kolosser und 1. und 2-Thessalonsbriefes in Lateinische übertragen und nach Syriazismen untersucht Or. Chr., 60, 1976.
116. J. Molitor, Die altgeorgische Version des 1. und 2. Timoteusbriefes und des Titusbriefes ins Lateinische übertragen und nach Syriazismen untersucht; Or. Chr., 61, 1977.
117. B. Outtier, Le modèle arabe d'une collection ascétique géorgienne: Bedi Kartlisa, XXIX-XXX, 1972.
118. B. Outtier, Les enseignements des Pères, un recueil géorgien traduit de l'arabe: Bedi Kartlisa, XXXI, 1973.
119. B. Outtier. Les recueils géorgiens d' oeuvres attribuées à S. Éphrem le Syrien: Bedi Kartlisa, XXXII, 1974.
20. B. Outtier, Une homélie sur le jeûne et la pénitence attribuée a S. Éphremen géorgien: Bedi Kartlisa, XXXII, 1974.
121. B. Outtier, La manuscrit Tbilisi A-249; un recueil traduit de l'arabe et sa physiognomie primitive: Bedi Kartlisa, XXXV, 1977.
122. G. Pätsch, Linguistsche Bemerkungen zur Textgeschicht der georgischen Bibel: Bedi Kartlisa, XXI-XXII, 1966.
123. G. Pätsch, Griechisches Lehngut im Georgischen: Bedi Kartlisa, XXXV, 1977.
124. P. Peeters, Traductions et traducteurs dans l'hagiographie orientale à l' époque byzantine: Analecta Bollandiana. 4C, 1922.
125. J. Svennung, Anredeformen: Acta Societatis Litterarum Humaniorum Regiae Upsaliensis, 42, Uppsala.
126. H. Vogt, Arménien et caucasique du sud: Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap, IX, Oslo, 1938.

ლექსიკონები

127. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
128. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. თბ., 1948—1979.
129. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1948.
130 W. Bauer, Wörterbuch zum Neuen Testament, Berlin — New York. 1971.
131. Հր. Աճառյան. Հայերէն արմատական բառարան. Երեվան. I: 1971: II. 1973; III. 1977. IV. 1979.

IX თავი

ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიის სათავეებთან

ის ფაქტი, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენა ნორმებს მტკიცედ იცავს, საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ ძველ პერიოდში გარკვეული ტიპის გრამატიკის, ან ნორმათა კრებულის არსებობა (28, გვ. 12; 106: 107: 25, გვ. 3; 15, გვ. 5: 21, გვ. 43; 10, გვ. 5 და სხვ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველქართულ სასწავლებლებში ერთ-ერთ სასწავლო დისციპლინად გრამატიკა ითვლებოდა (6, გვ. 83).

საყურადღებოა, რომ ანტონი პირველი თავის ფუძემდებლურ ნაშრომში „ქართული ღრამმატიკა" მიუთითებდა იოანე პეტრიწის გრამატიკული ნაშრომის შესახებ (3, გვ. 168—169). ამ ცნობას ემყარებიან მ. ბროსე (31, გვ. 8) და ა. შეგრენი (32) და იოანე პეტრიწს თვლიან ჩვენამდე არმოღწეული გრამატიკის ავტორად. ა. ფოცხიშვილი ფიქრობს, რომ X—XII საუკუნეებში ქართულად არსებობდა გრამატიკა, მაგრამ არაა ნათელი, ორიგინალური იყო იგი, თუ ნათარგმნი (11, გვ. 51).

1873 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „О грамматической литературе грузинского языка" ალექსანდრე ცაგარელი წერდა „Возникновение и развитие грамматичеоких понятий в литературе какого-нибудь народа, как признак сознательного критического отношения к языку, есть, бесспорно, один из важнейших шагов вперед в умственной жизни его. Но понятия эти возникают и развиваются не вдруг, а постепенно и в разных видах: сначала они тесно связаны с экзегетическим и лексическим (этимологическим) разбором и объяснением трудно понимаемых писателей" (28, გვ. 5).

ალ. ცაგარელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბერძნულმა კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის განვითარებაზე, განსაკუთრებით V—XII საუკუნეებში. ამ დროისათვის ითარგმნა მრავალი ბერძენი მწერლის თხზულება ქართულად. სხვა საგანთა შორის არც გრამატიკა დავიწყებიათ (28, გვ. VII).

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ XI—XII საუკუნეებში ჩვენში შესაძლოა, შექმნილიყო ორიგინალური გრამატიკული ნაშრომი: მოძღვრე-

ბა „სხვებზე უწინარეს ქართული ენის ბუნებასა და აგებულებაზე უნდა ძველ ქართველ გამოჩენილ მთარგმნელებსა და მეცნიერ ფილოლოგებსაც ჰქონოდათ და, როგორც ეფრემ მცირის წერილიდან ჩანს, მათ სცოდნიათ კიდეც „ზედმიწევნით რაბამობაი ბერძენთა და ქართველთა ენებისაი“ (იხ. ჩემი: ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წიგნი 1^1, 94 და 1^2, 148). შესაძლებელია ქართული ენის რაბამობის ეს თავიანთი ცოდნა ეფთჳმე მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს, ან რომელსამე მათგანს წერილობითაც ჰქონდათ აღბეჭდილი“ (25, გვ. 3). ივ. ჯავახიშვილის ეს ვარაუდი საკმაებით დადასტურდა. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში აღმოჩნდა გრამატიკული ტრაქტატი (მას ყურადღება მიაქცია ქრ. შარაშიძემ, ხოლო გამოსაცემად დაამზადა მ. შანიძემ).

აქვე უნდა შევეხოთ ერთ საკითხს. ქართული ანბანის შემოქმედს უთუოდ ჰქონდა გარკვეული ენათმეცნიერული მომზადება. ვ. ბოიდერმა ნათლად აჩვენა, რომ ქართული ანბანის შექმნისას გაუთვალისწინებიათ ბერძენთა მოძღვრება ბგერითი სისტემის შესახებ (30).

ქართული ენის ლექსიკოგრაფიაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ეფრემ მცირეს. XI საუკუნის 70-იან წლებში მან დაწერა ნაშრომი „შესავალი ფსალმუნთა: თარგმანებისა“ (სრული სათაურია: „უწყებაი ჩიზეზსა და ჲითარებასა და თხრობაი წესსა და საჴმარებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს „თარგმანებაი ფსალმუნთაი“)[1].

ეფრემის ნაშრომის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს ლექსიკონი (სპეციალური ღანიშნულებისა). ეფრემი ამბობს, რომ ეს ლექსიკონი ბერძენთა ანალოგიური ნაშრომების მიხედვით არის შექმნილი:

ამას თანა ამასცა მეცნიერ იყავ, ჲითარმედ ესრეთ აქუს ჩუეულებაი წიგნებსა ბერძენთასა, რაჲთა ანბანსა ზედა განაწყობდენ ყოველთაჲ სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რაჲთა ადვილ იყუნენ საპოვნელად. და წიგნსა მას ლექსიკონ უწოდენ, რომელ არს ლექსთაი, ესე იგი არს ღრმათა სიტყუათაი. და თითოეულსა წიგნსა — გარეშეთა გინა საეკლესიოთაგანსა — ყოველივე ღრმაი და გამოსაძიებელი სიტყუაი, ანბანთა ზედა განწყობილი და შეკრებული, თავად და შესავალად წიგნისა უწერია, უკუეთუ ოდენ გამომძიებელ და გულისჴმის-მყოფელ ყოფილ იყოს მომგებელი წიგნისაი, რომელთა კუალსა შედგომითა კნინი ესე სიბრძნე ჩუენცა ვაჩუენეთ.

ამით სახითა განწყობილ არიან სიტყჳს-გებანი მწვალებელთანი წმიდათა მამათა და მწათობთა მათგან: ყოველისა სოფლისათა ბასილი კესა-

---

[1] გამოსცეს: 1914 წ. ე. თაყაიშვილმა („ძველი საქართველო“, III ტ., I განყ., ტფილისი, 1914, გვ. 243—249); რ. ბლეიკმა — ბოლო პონაკვეთი („მიმომხილველი“, 1926, გვ. 159—160); მ. შანიძემ სრულად (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XI, თბ., 1962, გვ. 77—79).

რიელისა და გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა და იოანე დამასკელისა, რათა, რაჟამს არსებისათჳს სიტყუა-გიგებდენ წინააღმდგომნი, მყის ანისაგან სიტყუა-უგო, ხოლო ბუნებისათჳს — ბანისაგან და გუამისათჳს განისაგან. და ესრეთ ადვილ იყოს საქმარებლად ქმსა ჴირისახსა ანბანსა ზედა განწყობილი იგი წიგნები წმიდათაჲ.

ამითვე საბითა აღუწერიან თჳსნი ლექსიკონნი ღრმათა სიტყუათათჳს ბერობულთა კოსტანტინე მეფესა პორფიროგენიტსა და დიდსა კჳრილეს ალექსანდრიელსა, რაჲთა, რაჟამს ეძიებდეს უმეცარი, თუ რაჲ არს მყისი ანუ მრჩობლი, მანსა შინა განუმარტონ, ვითარმედ მრჩობლ ეწოდების ორკეცსა; ხოლო მყის — ანაზდაჲთსა (მ. შანიძის გამოცემა, 96, 25—97, 12)

საესებით სწორად შენიშნავს მ. შანიძე, რომ „სპეციალური დანიშნულება განსაზღვრავს აგრეთვე ლექსიკონში შეტანილი ერთეულების როგორც შერჩევას, ისე მათი განმარტების ხასიათს.

მიუხედავად ამისა, ეფრემის ლექსიკონი ქართული ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისითაც არაა მნიშვნელობას მოკლებული. სიტყუათა დალაგების წესი. განსამარტავი ერთეულის სალექსიკონო ფორმა, განსაზღვრებისათვის გამოყენებული ხერხები — ეს ყველაფერი გარკვეულ ფაქტობრივ მონაცემებს იძლევა ეფრემის ლინგვისტური კონცეფციის შესასწავლად" (20, გვ. 117).

ეფრემმა სახელები ლექსიკონში წრფელობითის (უნიშნო სახელობითის), ხოლო ზმნები კი უპირო ფორმით (საწყისი) შეიტანა (20, გვ. 118). მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „ეფრემს საწყისი/ მიაჩნია სალექსიკონო ერთეულისათვის ყველაზე შესაფერის ფორმად ზმნისათვის" (20, გვ. 119). იგი სწორედ საწყისს გვაძლევს სალექსიკონო ერთეულად მაშინაც, როცა „შესაბამის ადგილას ტექსტში პირიანი ზმნა არის. ასე. მაგალითად, „სიცილი" ფსალმუნში სულ არ გვხვდება. გვაქვს მხოლოდ პირიანი ფორმები: ეცინოდის ფს/ 2, 4; მეცინიან ფს. 24. 2: ეცინინ ფს. 36, 13: იცინოდიან ფს. 51, 8; ეცინოდი ფს. 59. 9" (20. გე. 119).

ალ. ღლონტის აზრით, ეფრემ მცირის ეს ლექსიკონი უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიისათვის (14, გვ. 217—218).

ანტონი კათალიკოსი მიუთითებს, რომ სახელზმნა: „თაჲით თჳსით ვერ შეგჳქმს იდეასა განუსაზღურელი ვითარებისა მიმართ თჳსისა, გარნა როდესაცა შინა სიტყუასა მდებარებს ბუნება მისი, განარჩევს მას, არსებითი არს. ანუ უმეშუობითი, მოქმედებითი, ანუ ვნებითი. ხოლო თუ სადმე მარტოებს, მაშინ ვნებითი ჯერ-არს განრჩევად უკმოჰასა ამის მიერ, რომელია ც. რამეთუ ესე იოანე ჩილოსოფოსისაგან ქმნული კანონი არს, მაგალითებრ: ჰამვად, წერვად, შეწირვად" (13 გვ. 168—169).

როგორც ჩანს, ანტონის ამ ცნობებს გულისხმობდნენ მ. ბროსე და ა. შეგრენი, როცა დაბეჯითებით მიუთითებდნენ, იოანე პეტრიწმა შეადგინაო ქართული გრამატიკა.

რა თქმა უნდა, ანტონი კათალიკოსის ცნობა უდავოდ იმსახურებს ნდობას. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს: „ანტონი კათალიკოზის ზემომოყვანილი ცნობა ცხად-ჰყოფს, რომ ქართული ენის აგებულების ზოგიერთი მოვლენის შესახებ მაინც იოანე ფილოსოფოსს რაღაც ნაშრომი ჰქონია, რომელიც, როგორც ჩანს, ანტონის დროსაც ჯერ კიდევ არსებობდა“ (25, გვ. 4).

ქართული ენის სტრუქტურისა და განსაკუთრებით კი ქართული ლექსიკის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართველი მწერლების, მეცნიერების, მთარგმნელებისა და გადამწერების შენიშვნებს, რომლებიც საკმაოდ გვხვდება IX—X საუკუნეთა ძეგლებში, მაგრამ ძალზე ხშირია XI—XII საუკუნეთა წყაროებში. დღეისათვის ზოგი რამ ცნობილია, მაგრამ, ეფიქრობთ, მაინც ძალაში რჩება ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „თვით ის ცალკეული გრამატიკული დაკვირვებანი, რომელნიც ეფთვმე და გიორგი მთაწმიდელებს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს, არსენი იყალთოელს და სხვებსაც სქოლიოებისა თუ კიდურწერილობის სახით მოეპოვებათ, ჯერ არავის ამოუკრეფია და გამოუქვეყნებია. ამიტომ იმ საგულისხმო საკითხის გასათვალისწინებლად, თუ რა თვისებისა და ღირებულებისა იყო ძველ ქართველ მეცნიერთა ქართული და ბერძნული ენების რაბამობის ცოდნა, ჯერ თითქმის არავითარი მასალები არ მოგვეპოვება“ (25. გვ. 4).

ლექსიკოგრაფიული შენიშვნები

კარგადაა ცნობილი, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორც ნათარგმნში, ისე ორიგინალურში, მრავალი უცხოენოვანი ლექსიკური ერთეული გვხვდება, რასაც კარგად გრძნობდნენ თვით ძველი ქართველი კულტურის მოღვაწენი. ყურადღებას ამ თვალსაზრისით იქცევს გრიგოლ ჩახრუხაის ძის ანდერძი, რომელიც მის მიერ გადაწერილ დიდი სჯულისკანონის (ქუთ.—25, XIII ს.) ტექსტს ერთვის. გრიგოლ ჩახრუხაის ძეს შეუნიშნავს, რომ ტექსტში მრავალი უცხო სიტყვაა. იგი თავს იმით იმართლებს, რომ მიუთითებს, ეს უცხო სიტყვები დედნიდან მომდინარეობენო: მრავალნი უცხონი სიტყუანი არიან, გარნა დედასა ეგრე ვპოვე (296 ტ).

უცხო სიტყვათა ხმარება ზოგჯერ იმითაც იყო შეპირობებული, რომ ქართულში მათი ეკვივალენტი არ მოიპოვებოდა. ძველ წყაროებში ამის

შესახებაც დაცულია უაღრესად საინტერესო ცნობები. ეფრემ მცირე, უდიდესი ქართველი მწერალი და მეცნიერი, თვლიდა, რომ ბერძნული ლექს სიტყვის ბადალი ქართულში არ იყო. იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართულ თარგმანს ეფრემ მცირე ურთავს ასეთ შენიშვნას: შეისწავე, ვითარმედ ლ ე ქ ს ი ღ რ მ ა ს ა ს ი ტ ყ უ ა ს ა ჰ ქ ჳ ა ნ წ ი გ ნ უ რ ს ა, რომელსა სოფლურად ნაცვალი სხუაჲ აქუნდეს და ესევითარსა მას სიტყუასა სომხურად ქერაკანი ჰქჳან, ქართულად არა ვიცი (A-24 (XII ს.) 13 r, აშიაზე).

ეფრემ მცირე ლ ე ქ ს ს მიიჩნევს სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ „ღრმა წიგნურ“ ერთეულად. ეს კარგად ჩანს როგორც ზემოთ ციტანილი შენიშვნიდან, ასევე მისივე ორიგინალური თხზულებიდან: „შესავალი ფსალმუნთა თარგმანებისა“:

ესრეთ აქუს ჩუეულებაჲ წიგნებსა ბერძენთასა, რაჲთა ანბანსა ზედა განაწყობდენ ყოველთაჳე სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რაჲთა ადვილ იყვნენ საპოვნელად და წიგნსა მას ლექსიკონ უწოდიან, რომელ არს ლექსთაჲ, ესე იგი არს, ღრმათა სიტყუათაჲ (მ. შანიძის გამოცემა, გვ. 96).

აქ ლ ე ქ ს ი განმარტებულია როგორც ღ რ მ ა ჲ ს ი ტ ყ უ ა ჲ.

ანალოგიური შენიშვნა აქვს გაკეთებული ეფრემ მცირის თარგმნილ იოანე დამასკელის „გარდმოცემის“ ტექსტს:

შეისწავე, ჯერ-ჩინებისა ღ ნ ო მ ა, ვითარმედ ერთსა ამას სიტყუასა, რომელსაც ბერძულად ღ ნ ო მ ი უწოდიან, ქართულად ერთი არაარაჲ შეეპოების, ამისთჳსცა ... იგი ბერძულად ... თარგმანი აქუს, ვგრეთე ქართულად სხუებრ და სხუებრ ჰსდებენ და იჴმარებენ წმიდანი მამანი ჩუენნი ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელი, ვითარცა ადგილსა შეეტყუებოდის, რამეთუ ესე მრავალთა სიტყუათა სჭირს ბერძულად. და ესევითართა მათ სიტყუათა ბერძულად ლ ე ქ ს ი ჰქჳან და სომხურად ქერაკანი, ხოლო ქართულად არა ვიცი, შემინდევით (A-24 94 v). როგორც ვხედავთ, აქ ლ ე ქ ს ი ეფრემს მიაჩნია პოლისემურ სიტყვად. რომელიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად შეიძლება ითარგმნოს.

ბერძნული ენის ეს თავისებურება გაბაზულია ეფრემ მცირის შესავალში. რომელიც უძღვის მის მიერ გადმოქართულებულ იოანე ოქროპირის „საქმე მოციქულთას თარგმანებას“ (Jer.-16):

ვინაჲთგან ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყუაჲ მრავალსა პირსა აღიარებს და უპირატესად ყოვლისა მას ადგილსა ზედამიწევნით გამოიკულევს წმიდაჲ იოვანე ოქროპირი და განცხადებულად უეჭველ-ჰყოფს ვითარებასა მისსა. ამათ ესევითართა ღრმათა ადგილთა, სადაცა უკმდა შეცვალებაჲ და სხუებრ ცვალებაჲ სიტყუასა სამოციქულოსა ქართულსა, რომელი მაშინღა ძლით გულისკმა-იყოფებოდა, ოდეს სამნი გინა ოთხნი თარგმანნი პაელისანი და ეგეოდენ-

ნიეე ლექსიკონნი, ესე არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა განწყობილნი სიტყუანი, ერთად შემოვკრიბნი, მაშინღა ძლით მოუპოვ ქართული შემსგავსებული სიტყუაჲ (4, გვ. 160—166).

ფრიად საინტერესოა ეფრემ მცირის შენიშვნა ბერძნული αἰὼν „საუკუნო"-ს შესახებ. ეფრემი თავის მოსაზრებას გვაცნობს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებებთან (A-684, XI ს.) დაკავშირებით: შეისწავე, ვითარმედ ბერძენთა ენითა მრავალგუარად იჴმარებენ სახელსა საუკუნოჲსასა წმიდათა წერილთა შინა. ამისთჳსცა მე, ვითა თჳთ მათითა ენითა არიან, ეგრეთ დამიწერიან სიტყუანი ესე, აწ წერილთაგან შემოღებულნი, რაჲთა სცნა, ვითარმედ ამათ სიტყუათა შინა ყოველგან საუკუნოჲსა სახელი არს ბერძულად, რომელი წმიდათა მამათა და მოძღუართა ქართულისა თარგმანებისათა ოდესმე საწუთრო უთჳუამს და ოდესმე — სოფლად და ოდესმე — ჟამად ფრიად ჯეროვნითა განგებითა. ხოლო აწ საჭირო იყო, თჳთ ვიცა მათსა ენასა არს. ეგრე წერაჲ, რაჲთა არა მოუზაებელ იყოს მათდა თარგმანი მათი (48 v, არშიაზე: იხ. აგრეთვე 80 v).

ამრიგად, ეფრემი ცდილობს, რომ ბერძნული αἰών სიტყვის შესატყვისად ყოველთვის იხმაროს საუკუნოჲ, რომ ქართული თარგმანი ზუსტად შეესატყვისებოდეს ორიგინალს.

A-689 (კრებული, XII ს.) ხელნაწერში დასტურდება ეფრემ მცირის ფრიად საყურადღებო შენიშვნა: შეისწაე, რამეთუ, რაჲ-იგი არს მწადეელი მჴნეელისათჳს, იგივე არს ინიოხი ეტლთა ზედა მჯდომარისათჳს, ხოლო ქართულად არცა ეტლნი არიან, მგონია, რომელ არცა სახელი მეეტლისაჲ, ამისთჳს ბერძულიე დავწერე — ინიოხი (238 v). მთარგმნელი აქ გარკვევით აღნიშნავს, რომ ბერძნული სიტყვის ხმარება შესაბამისი ქართული ლექსემის უქონლობით არის შეპირობებული.

ეფრემ მცირის ლექსიკოლოგიური შენიშვნებიდან, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომელიც A-1115 ხელნაწერის (ასკეტიკონი, XII ს.) 293-ე ფურცლის არშიაზეა მოთავსებული.

ნაწარმოების ძირითად ტექსტში, რომელსაც შენიშვნა ერთვის, იკითხება:

სირასა ჰმოქმედება? მოიჯსენენ, ზღჳთმავალნი, რამეთუ იგინიცა, რაჟამს მენაეობდენ, ეგევე ჴელოვნებაჲ ჴელთა აქუს. მცირეთა სჯრიდებთა იქმა, მალაკებ წოდებულთა? მოიგონებდ მეყურჭუმეთა. კეთილმწერლობასა ჰმოქმედება? მოიგონებდ გალატოზთა დანაკაშთა, არამედ ნუ გარდაჰქცევ საღმრთოთა სიტყუათა აღწერილთა სარწმუნოებით და ჴეშმარიტებით. რამეთუ რაჲმცა იყო ამისსა უმეტესი ცოდვაჲ, რაჟამს ტკბილსა მწარე-ჰყოფდეს ვინმე და მწარესა ტკბილ, ნათელსა ბნელ და ბნელსა ნათელ დასაქცეველად მკითხველთა. ვაჲ მოქმედსა ამისსა, რამეთუ დაუდგამს შესაბრკოლებელი სულთაჲ. მკერვალობასა იქმა? მოიჯსენებდ

მარჯვენისმხრივ ელთა. თივამეწამულსა სთხზავა? მოიკსენებდ ღუედისმჭიველთა. სიბინსა იქმა? მოიკსენებდ მეკანაფეთა. ტაბაკისმთხზველ ხარა? მოიკსენენ ერისკაცნი მისვე კელოვნებისანი. ბალნისმქსოველ ხარა? მოიკსენენ ფასკიარნი. სელისმრთველ ხარა? მოიკსენენ სელისმქსოველნი. სელისმქსოველ ხარა? მოიკსენენ მესირაენი. პურისსაქმარსა დაუდგინებიე შენ? მოიგონებდ დიმოსისა მიმკდელთა. მემტილედ დაუდგინებიხარა. მოიკსენენ მრცხელნი, რომელნი ზამთარსაცა, ვითარცა ზაფხელსა. გარდაიკდიან და წყალთა შინა ჰყოფენ მოქმედებასა. ს.მშარაელოსა შინა დაგდგინესა? მოიკსენე მღებვართაჲ, გინა მჭედლობისა კელოვნებისმოქმედთაჲ, რომელნი ღამესა, ვითარცა დღესა, გარდაიკდიან ცეცხლისმბრძოლობითა (223 rb — 223 va).

ეფრემისეულ შენიშვნაში იკითხება:

შეისწავე, რამეთუ ესე კელთსაქმართა სახელები ზოგი ბერძულადვე დაწერე, რაჟამს მრავალთაგან გ.მოვიძიე და ზედამიწევნით ვერვინ მითხრა, რამეთუ ადგილსა და ადგილსა სხუაჲ კელთსაქმარი აქუს, და ზოგი აწ არღარა იპოების. ამისთჳს დაგდებასა, ანუ ტყუვილით დაწერასა ბერძულადვე დაწერაჲ ვირჩიე, რამეთუ თჳთ ბერძენნიცა ამასვე ჰყოფენ, რომელ სხჳსა ჭეუყანისა ნაყოფსა, რომელი საბერძნეთსა არა დგას, მისვე ენისა სახელითა დასწერენ: **შაჭარსა სახარად, ყულჳას(ს)ა კულკასად** და **ზაღრაწსა ზაფარად**, რომელნი-ესე არაბულითა ენითა არიან და მათსა ჭეუყანასა იქმნებიან.

როგორც ირკვევა, ეფრემს მოუძიებია ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ხელობის აღმნიშვნელ ბერძნულ ლექსემათა შესატყვისები, მაგრამ ვერ უპოვნია მათი ზუსტი ეკვივალენტები. ეფრემი ამბობს, რომ ზოგი ხელობა ჩვენში სულაც აღარ არის, ხოლო ზოგის შესატყვისის დაძებნა იმიტომ ჭირს, რომ სხვადასხვა კუთხეში ხელობებიც სხვადასხვაა. ამის გამო ეფრემი არჩევს, ბერძნული სიტყვები შემოიტანოს ქართულში. იგი აღნიშნავს, რომ ბერძნებიც ასევე იქცევიან, როცა უცხო საგანთან ერთად სესხულობენ შესაბამის სიტყვებს.

ეფრემის ამ მოსაზრებებს არა მარტო ქართული ლექსიკოლოგიისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა, არამედ, საზოგადოდ, ლექსიკოლოგიის ისტორიისათვის.

ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის დასახასიათებლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მის შენიშვნას, რომელიც დასტურდება A-689 ხელნაწერში „ფილოთეონ ისტორიის, ანუ ღმრთისმოყუარებითი თხრობის" წინასიტყვაობაში. ეფრემი ამბობს:

აქუს წიგნსა ამას ფრიადი სიღრმე სიტყუათაჲ, უმრავლესი ბერძულად და არა მცირედი ქართულადცა, რომლისა შეცვალებაჲ და გამარტებაჲ არა ძნელ იყო, გარნა შემინდვეთ უღირსსა მონასა თქუენსა ეფრემსა მცირესა, რამეთუ ესრეთ უმჯობეს ეჰგონე, რაჲთა ხატი და მო-

ქცეული სიტყუათაჲ იგიეე აქუნდეს ბერძულისაჲ, რამეთუ ესეცა არაეე უკმარ არს მათთჳს, რომელნი მრავალ ჟამ ზრდილ არიან სძითა სიტყუათა მარტიჲობისაჲთა და მიწევნულ ჰასაკსა, მოქენესა მტკიცისა საზრდელისასა. ხოლო მოქცეულობაჲ სიტყუათაჲ აწის წიგნისათაჲ ესეეითარი რაჲმე არს, რამეთუ რაჟამს სიბრძნისმოყუარე, ანუ ღმრთისმგალობელთა მწყობრი თქუას მონაზონთა სახელად, რამეთუ ჭეშმარიტად ფილოსოფოსობად, ესე იგი არს, სიბრძნისმოყუარებად ჭეშმარიტსა მონაზონებასა სახელედების, ხოლო ღმრთისმგალობელობაჲ წმიდისა დიონისის სიტყუათაჲ არს. და კუალად რაჟამს მონასტერსა იტყოდის, ოდესმე არეედ უკმობს, ოდესმე — სიბრძნისსაწურთელად, ოდესმე — სტადიონად.

ესე და ესეეითარი ქცეულებაჲ გინა თხზულებაჲ სიტყჳსაჲ არა უკმარ არს სწაელისმოყუარეთა და კეთილად გამომეძიებელთათჳს, რაჲთა წინაგანჰმზადნეს უღრმესთარე წიგნთათჳს (187 v, 36 a — 22 b).

ძველი ქართველი მწერლები და მეცნიერები უცხოენოვან სიტყვებს განმარტავდნენ ტექსტშივე, ან კიდევ აწიებზე. ეფრემ მცირე იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანის წინასიტყვაობაში სპეციალურად მიუთითებს: არა ხოლო შესავალსა ამას ვიტყჳ. არამედ კიდესა წარწერილთა თარგმანთაცა, რომელთაგანნი რომელნიმე ზეპირით დაწერილნია და რომელნიმე — დედისაგან და ზეპირობისა მიზეზი ესე არს, ვინაჲთგან ყოველსა თარგმანსა უკმს შემატებაჲ სიტყჳსაჲ რეცა განმაცხადებელად ძალისა. ხოლო მე, ვითარცა ყოველთა უნარჩევესსა, მიზეზი იგი და შემდგომად ღმრთისა მომცემელი იგი ჩემდა თარგმანობისაჲ ბერი ჩუენი ამას მიბრძანებდის, რაჲთა წმიდისა სიტყუაჲ მარტივად და შეუზავებელად და შეუხებელად ესთარგმნო და, უკუეთუ რაჲმე ძალისა განმაცხადებელი უკმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა, ადგილ-ადგილ. და შესავალსა შინა თაესა წიგნისასა დავწერო („დიალექტიკა“, გვ. 67).

როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირე აშკარად ამბობს, რომ განმარტებათა ნაწილი ბერძნული დედნიდან მომდინარეობს. რა თქმა უნდა. შენიშვნების გარკვეული ნაწილი თვით ეფრემს ეკუთვნის.

ეფრემ მცირე იმასაც აღნიშნავს, რომ ბერძნულად არსებობს დიდძალი ლიტერატურა, რომელიც არშიებზე სხვადასხვა ხასიათის შენიშვნებს შეიცავს:

ამისთჳსცა ყოველად უჯერო არს ვისგანმე კიდესა წარწერილისა მის თარგმანისაჲ შიგან გარეეით დაწერაჲ, არამედ კიდესა წარწერაჲ, ვითარცა ვისწავეთ ჩუენ ესე ოთხასოცთა მათგან წიგნთა თეოდორე პატრიაქისა მიერ სჳმეონწმიდას შეწირულთა, რომელთა შინა არაარაჲ ჰრთაეს საგალობელი, თჳნიერ ყოველნიე საკითხავნი არიან — გარეშენი და საეკლესიონი. და საჭიროჲსა სიტყჳსა თარგმანი პატივთა ზედა წიგნისათა უწერია, ხოლო „შეისწავენი“ და „განსაზღვრებაჲ“, „განჩინებითურთ“ და „სამეცნიეროჲ ესე“ არა. ოდენ ამას წიგნსა, არამედ ყოველთაეე წიგნ-

თა ბერძულთა უწერიან კიდესა, რაჲთა, რაჟამს სამეცნიეროსა რასმე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე. ადვილად პოვოს და არა უკმდეს მიმყოვრებული ქამი, ანუ ყოელისაჲვე გარდაკითხვაჲ (იქვე გვ. 68).

Jer.-43 ხელნაწერში (XII—XIII სს.), რომელიც შეიცავს ეფრემის მიერ ნათარგმნ თხზულებებს, წარმოდგენილია „შეისწავე" ტერმინის უაღრესად საყურადღებო განმარტება: შ ე ი ს წ ა ვ ე ესე დაწესებულ. არს ადგილთა, რომელთა შინა იპოებოდეს უცხოჲ რაჲმე, ანუ სჯულდებითი, ანუ მოთხრობითი, ანუ გამომეტყუელებითი, რომლისაჲ უკმდეს შესწავებაჲ მკითხველსა (4 v).

როგორც ქვემოთ წარმოდგენილი მასალებიდან აშკარაა, ცალკეულ სიტყვათა განმარტებანი გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, მაგრამ ლექსიკოგრაფიული შენიშვნები განსაკუთრებით ხშირია ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენი იყალთოელისა და სხვათა ნაწერებში.

უცხოენოვან სიტყუათა განმარტებები დასტურდება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, ჰაგიოგრაფიულ, ეგზეგეტიკურ და სხვა ძეგლთა ძველ ქართულ თარგმანებში.

შთ. 5, 22 რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა „რ ა კ ა", რ ო მ ე ლ ა რ ს ს ა ძ ა გ ე ლ;

ი. 11, 55 აღვიდეს მრავალნი იერუსალჱმდ სოფლებისაგან უწინარეს მის პ ა ს ე ქ ი ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ჰრქჳან ვ ნ ე ბ ა ჲ;

ი. 13, 1 უწინარეს დღესასწაულისა მის პ ა ს ე ქ ი ს ა ს ა, რ ო მ ე ლ ა რ ს ვ ნ ე ბ ი ს ა ჲ;

973 წელს გადაწერილ პარხლის ოთხთავს (S-4927) აშიებზე დართული აქვს რამდენიმე ლექსიკოგრაფიული შენიშვნა ტექსტის ხელითვე:

50 v: ა ლ ა ბ ა ს ტ რ ი ჰ უ რ ჭ ე რ ი ი გ ი ი ყ ო; შდრ.: რ ო მ ე ლ ს ა აქუნდა ა ლ ა ბ ა ს ტ რ ი ნელსაცხებელისაჲ, მ. 26, 7.

50 v: ნ ე ლ ს ა ც ხ ე ბ ე ლ ი ი ყ ო ქ ს ი ს ტ ი ს ა ნ ა ხ ე ვ ა რ ი; შდრ.: რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებელისაჲ, მ რ ა ვ ლ ი ს ა ს ა ს უ ი დ ლ ი ს ა ჲ, მ. 26, 7.

87 v: მ ნ ა ჲ ა რ ს ლ ი ტ რ ა ჲ ე რ თ ი და ლ ი ტ რ ი ს ა მ ე ო რ ი ს ა ნ ა წ ი ლ ი; შდრ.: მიჰსცა მათ ათი მნაჲ, ლ. 19, 13.

საინტერესოა „სინური მრავალთავის" (864 წ.) ერთი ადგილი, სადაც იკითხება:

ქელელიელ ასურთა ენისაგან ბერძენთა ენასა სტეფანოს, და ბერძენთა ენისაგან ქართველთა ენად გჳრგჳნ (69, 13—15).

X საუკუნის პირველ ნახევარში არის გადაწერილი Sin.-36 („მამათა სწავლანი" და „სამოთხე"). მას 196-ე ფურცელზე ტექსტის ხელით შე-

ნიშვნა აქვს გაკეთებული: კასტაბული საწყეო არის, ვინცა ქართველი იყო, იცოდე (196 v).

კარგადაა ცნობილი, რომ X საუკუნის შუა წლებში იოანე-ზოსიმემ გადაწერა იადგარი (Sin.-34). ამ კრებულის ფრაგმენტები ამჟამად ლენინგრადშიც არის დაცული. ლენინგრადისეულ ფრაგმენტებში არის შემონახული დიაფსალმა სიტყვის განმარტება:

ზემოთ დიაფსალმაჲ დამიწერია, რომელ არს განსუენებაჲ (14 v).

A-38 ხელნაწერში (ფსალმუნნი, 1016 წ.) დიაფსალმა ასეა ახსნილი:

დიაფსალმა (ანუ განსუენება), ებრაელებრ შელზა ჰქჳან. რომელი ვიეთგანმე მარადის ითარგმნების, და რომელთაგანმე ჴოელინება ითარგმანების.

973—976 წლებში შედგენილ „შატბერდის კრებულში“ იკითხება: რომელსაცა-იგი ბერძენთა პრქჳან პრასინოს, რომელსა ერქუმის ქართველთა ენითა მწუანისფერ (63 r, 5—8 b).

ოშკის ბიბლიის (978 წ.) ტექსტში დასტურდება არაერთი ლექსიკოგრაფიული შენიშვნა. დავიმოწმებთ ზოგიერთს:

ეზეკიელ 1, 4: შორის მისსა, ვითარცა ხილვაჲ ფერისა ილიკტრონისაჲ, რომელ-იგი ოქროჲ და ვეცხლი და რვალი ერთად შედნობილ არნ. ამ ადგილის შესახებ ეზეკიელის ძველი ქართული რედაქციების გამომცემელი თ. ცქიტიშვილი აღნიშნავს: „წინადადება“: „რომელ-იგი ოქროჲ და ვეცხლი და რვალი ერთად შედნობილ არნ“ არ არის გელათურ ვერსიაში, არ დაიძებნა იგი ჩვენთვის ხელმისაწვდომ არცერთ უცხო წყაროში (ბერძნული, სომხური, ებრაული, სირიული, ლათინური)“ (22, გვ. 6).

ეზეკიელ 1, 27: ვიხილე, ვითარცა ხილვაჲ ილიკტრონისაჲ, რომელ არნ ოქროჲ და ვეცხლი და რვალი ერთად შედნობილ. გამომცემლის შენიშვნა აქაც მეორდება (22, გვ. 6).

რა თქმა უნდა, ზემოთ წარმოდგენილი განმარტებები ენციკლოპედიურ ახსნას უახლოვდება.

ესთერ 1, 2: პირველსა მას დღესა თუესა ადარ და ნებსასა, რომელ არს იგრიკაჲ და ვარდობაჲ, ჩუენებაჲ იხილა: შდრ.: μιᾷ τοῦ Νισα.

საინტერესოა, რომ ოშკის ბიბლიამ ამ შემთხვევაში შემოგვინახა თვეების ძველი ქართული სახელწოდებანი: იგრიკაჲ (აპრილი) და „ვარდობაჲ (მაისი).

„იოანეს გამოცხადების თარგმანების“ ტექსტში, რომელიც შემონახულია X საუკუნის მიწურულის ხელნაწერებით, საინტერესო განმარტება არის ამენ სიტყვისა:

მოციქულისაჲ (7 b) ჰე, ამენ. თარგმანი ერთისა სიტყჳსა ძალი ორითა

ენითა თქუა. რამეთუ ებრაელებრ ამენი გამოითარგმანების: იყავნ. აქ მთარგმნელი მიუთითებს, რომ ქართულ თარგმანში ნახმარია, ერთი მხრივ, ქართული ჰე, რომელიც ნიშნავს: „კი, დიახ" და, მეორე მხრივ, ებრაული ამენ, რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც „იყავნ". ამავე ძეგლში განმარტებულია ბერძნული ირისე სიტყუა:

და ემოსა ღრუბელი და ირისე, რომელ არს მშჳლდი ცისაჲ ბერძლებრ (10, 1).

ამ შემთხვევაში ისიც იქცევს ყურადღებას, რომ მითითებულია განსამარტავი ლექსიკური ერთეულის წარმომავლობაც.

991—998 წლებში არის გადაწერილი ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ თარგმნილი იოანე სინელის „კლემაქსი" (A-28 S). 180-ე ფურცლის აშიაზე წარმოდგენილია სიფონ სიტყვის შემდეგი განმარტება:

ზეცით ღრუბლისა სუეტი ჩამოდგების ზღუასა ზედა და წყალსა აღილებს. და მას ეწოდების სიფონი.

უდაბნოს მრაველთავში (A-1109. X ს.) დაცულ ბასილი კესარიელის თხზულებაში „საკითხავნი წმიდათა მარხვათათანი" სიტყვა ამინატონი განმარტებულია უბრძოლად: არს ბუნებაჲ, რომელ არს ამინატონი. უბრძოლ (53 v).

ნოველების ძველ ქართულ თარგმანებში პიმენ ბერძნული საკუთარი სახელის ახსნაა მოცემული:

რამეთუ პიმენ მწყემსად გამოითარგმანების (ნოველები, II, 160, 20).

საინტერესოა ლექსიკოგრაფიული ხასიათის შენიშვნები, რომლებიც დასტურდება ეფთვიმე მთაწმიდლის გადმოქართულებულ თხზულებათა კრებულში (A-1103, XI ს.):

ესე ღმერთშემოსილი და ნეტარი მამაჲ ჩუენი გრიგოლ, რომელსა ეწოდა დიალოღონი, რომელ გამოითარგმანების მთხრობელი საღმრთოთა თხრობათაჲ (143 v, 13—18 a);

მიიწია ადგილსა, რომელსა ეწოდებოდა ქეროტპა, რომელ გამოითარგმანების სიხარულისა ადგილი (159v, 7—11 a);

ეწოდა მათ სახელი არგონაფტი, რომელ გამოითარგმანების უქმნი მენავენი (166 r, 3—6 a);

მირონ ითარგმანების სურნელება (181 v-ს აშიაზე);

სიხარულით მოიქცეს ბიზინტიად, რომელ არს კოსტანტინეპოლე (199 r, 5—7 a);

მირონ ქალაქით, რომელ ითარგმანების სურნელება (203 v, 20—26 b):

დედაკაცთან ვინმე მსახურმან ქრისტესმან, სახელით ევსევია, რომელ გამოითარგმანების კეთილად მორწმუნე, იხილა წმიდაჲ თეოდორე მჴინარე (245 v, 9—13 b);

იყო მას ჟამსა წარჩინებული უმეტეს ყოველთა მთავართა დიდებული და სანატრელი თეოდორი სტრატილატი, რომელ არს მჯედართა მფლობელი (245 r, 17—22 b); აღესრულა წმიდაჲ და ყოვლად ქებული მოწამე თეოდორე სტრატილატი, რომელ არს თარგმანებით: მჯედართა მფლობელი (255 r, 28—31 b);

პროკოპი იყოს სახელი შენი, რომელი გამოითარგმანების წარმართება (265 r, 13—15 a);

პრეტორი სამსჯავროჲ არს (278 v, სვეტებს შუა).

A-1104 ხელნაწერში (კრებული, ეფთვიმეს თარგმნილი, XI ს.) დასტურდება ბომონ სიტყვის საინტერესო განმარტება:

ბრძანა მოღებად ბომონი რვალისაჲ, რომელ-იგი არს ტაბლაჲ საკერპოჲსაჲ (277 v, 11—13 b).

ამ სიტყვის ეს მნიშვნელობა არ ასახულა სულხან-საბასა და ილ. აბულაძის ლექსიკონებში.

ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებაში „წამებაჲ წმიდისა ფილეკტიმონისი“ (კიმენი, ტ. I, გამოსცა კ. კეკელიძემ, ტფ., 1918 წ.) გვაქვს ორი ლექსიკოგრაფიული შენიშვნა: „ათხუთმეტსა იანვარისასა, რომელ არს აპინი“ (160, 14); „აღესრულა მეშჯდესა აპრილის თთუესა, რომელ არს იგრიკაჲ“ (160, 8).

Ath.-11 ხელნაწერში პანდუქიონი ახსნილია „შემწუნარეველი ყოველთაჲ:

პანდუქიონი გამოითარგმანების შემწუნარებელი ყოველთაჲ. (226 r).

XI საუკუნეში გადაწერილ A-88 ხელნაწერში (იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება) განმარტებულია ტალანტი და ალაბასტრი სიტყვები: ტალანტი არს ასი ლიტრაჲ (395 r); ალაბასტრი კარაბაჲ არს (407 r).

გიორგი მთაწმიდლის თხზულებაში „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“ განმარტებულია ეპიტირიტისი:

ორნი ეპიტირიტისნი, რომელ არიან დამხედვარნი, დაედგინნეს (აგ. ძეგლ. II, 70, 17—18).

A-193 ხელნაწერის (სვინაქსარი, XI ს.) ტექსტში ასეთი განმარტებაა: და კუალად სხუაჲ წამალი მაკუდინებელი, რომელსა კონიაჲ ეწოდების, ძმრითა შეასუეს მას (65 r, 19—21).

რამდენიმე საინტერესო შენიშვნა დასტურდება A-199 ხელნაწერის (კრებული, XVI—XV სს.) ტექსტში: არღარა გეწოდოს შენ ნიანია, არამედ პროკოპი, რომელი ითარგმანების: „მჴნე იყავ და განძლიერდი“ (11 v, 29—32 b);

გამოექცა ფარაოზსა მას, რომელ არს საგუშაგე (35 v, 1—3 a);

იგი იყო მოთხზული გარემოჲს ვარდითა და კრინოჲთა, რომელ არს შროშანი (81 r, 12—14 b):

ერთითა იყიდე მხალი და ერთითა ლოპინარი, რომელ არს ცერცჳ (82 r, 24—27 b);

და შეემთხჳნეს კერკეტონნი, მცველნი ჭალაჭისანი (84 v, 13—15 a);

გკლესიასტე გაცოითარგმანების შემკრებელი ერისაჲ (160 r, 9—10 a).

აკაკი შანიძემ დაადგინა, რომ ძველ ქართულში გონება იხმარებოდა სინდისის მნიშვნელობით (18). ერთ-ერთ ძველ ქართულ ხელნაწერში (Jer.-96 კლემაქსი, XI ს.) არის პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ გონება და სჳნიდისი სინონიმებია:

დაამორჩილნეს ჯორცნი სულსა და მხილებაჲ იგი სჳნიდისისაჲ, რომელ არს გონებაჲ მჴამხილებელი ბოროტთაჲ (83 r, 6—8).

საყურადღებოა Jer.-9 (XI ს.) ხელნაწერში დაცული განმარტება:

მოწამედ აქუს თუალუხუაი იგი მხილებაჲ სჳნიდისისაჲ, რომელი-იგი თანაგანმპილველად გამოითარგმანების (45 r, 17—21).

ამაჲე ხელნაწერში კიდევ რამდენიმე საინტერესო შენიშვნა დასტურდება: ვითარცა შეეთხზების კუპაროზსა თანა, რომელსა ეწოდების ზიმილა (20 r, 19—20);

ემპალასტროჲ არს განკურნებაჲ ვნებათაჲ ხილულთაჲ ჯორციელთაჲ (68 r, 2—3);

მანანაჲ, რომელ არს პური (119 r, 14—15).

A-1101 ხელნაწერის (კრებული, 1011 წ.) აშიაზე არის მინაწერი: მირონ ითარგმანების სურნელება (181 r).

ქართული ოთხთავის ზოგ ხელნაწერში (ურბნისის, პალესტინური, Sin.-16, ვანისა...) და იოანე ოქროპირის მათეს თავის სახარების თარგმანების შემცველ ზოგ ნუსხაში (A-88, XI ს. და სხვ.) იხმარება ბერძნულიდან ნასესხები სიტყვა ასარი (მ. 10, 29).

Sin.-16 ხელნაწერში აშიაზე არის შენიშვნა: ასარი დანგი არს (59 r).

ანალოგიური შენიშვნა დასტურდება A-88 ხელნაწერის 71 r-ს არშიაზე: ასარი დანგი არს, მაშანო წმიდანო.

საყურადღებოა Jer.-12 ხელნაწერის ერთი ადგილი: რაჲმცა იყო უდარცს მცირეთა მათ და უნდოთა სირთასა, რომელთაგანი ორი ერთად წულილად განისყიდების, რომელ არს ასარი (44 r, 8—11).

აქვე აღვნიშნავთ, რომ Jer.-16 ხელნაწერს კიდევ ორი საინტერესო

განმარტება აწყს ღრეღლი: მკალი დანაკის კუდი არს ებრაულითა ენითა (97 r);

ალამბასტრი იყო კერძოჲ ქსესტისაჲ (140 r).

„მამათა ცხოვრების“ შემცველ ხელნაწერში (A-1105, XI ს.) ახსნილია ბერძნული αὐλή სიტყვა: რომელი იდვა შორის ავლინსა, გინა ეზოსა (211 r).

რამდენიმე სიტყვა არის განმარტებული Jer.-12 ხელნაწერში (მათეს სახარების თარგმანება, XI ს.):

ფარეზ გამოითარგმანების განყოფილებაჲ და განკუეთაჲ (25 r, 10—11);

იესუ არა ბერძულითა ენითა არს, არამედ ებრაულითა, რომელსეც „მაცხოვარ“ ითარგმანების (15 r. 30—31);

ამისთჳსცა ზორობაბელ ეწოდა, რომელი გამოითარგმანების თესლი ბაბილონს (82 r, 11—13).

კედარი ბნელად გამოითარგმანების (184 r, 13—14).

არცა ჯერ-არს ესე, ანუ სამართალ, უკუეთუ კულა პოოს შენ თანა ნებაჲ კეთილი, რომელთა (!) პროერესონ უწოდეს მაშათა, ესე იგი არს, ნებაჲ კეთილი, მეძიებელი და გამომრჩეველი კეთილისა, გინა ბოროტისაჲ (309 r, 26—30);

და ტიტეს ეგრეთვე მიუწერს, ეითარმედ: ერესიოტსა კაცსა ერთითა და ორითა სწავლითა განეშორე, რომელ არს მწვალებელი (319 r, 31—319 v, 2);

ანდრია მჯნედ გამოითარგმანების (425 r, 4—5).

დიაკონება, ღრამატიკოსი, საპანდუქიონო სიტყვები არის ახსნილი „სილიბისტროს ცხოვრების“ ტექსტში (Jer.-5, XI ს.): კჳრინეს ხუცესსა დიაკონებად გჳნუმზადა თჳი თჳსი. ესე იგი არს, მსახურებად (2 r, 10—12): იქმნა ჟამსა მას ღრამატიკოსთა მათ მიერ, ესე იგი არს, მწიგნობართა. დრტჳნვაჲ (4 v, 4—5): შეეიღეს იგინი ტაბერნესა მას შინა, ესე იგი არს. სახლსა მას საპანდუქიონოსა, ხოლო პანდუქიონი ყოველთა. შემწყნარებელად გამოითარგმანების (7 v, 1—3).

რამდენიმე ბერძნული, ლათინური და ებრაული სიტყვის საყურადღებო განმარტება მოიპოვება Jer.-16 ხელნაწერში (საქმე მოციქულთასა და კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანება, XII ს.):

ეწოდა დაბასა მას თჳთ სიტყუთა მათითა აკელდამა, ესე იგი არს, დაბაჲ სისხლისაჲ (13 v, 29 b — 14 r, 3 a);

სარღნითა, რომელ არს ფინიკითა ქსოვილი სფჳრიდი დიდი, განარინეს (74 r, 23—25 a);

წინააღუდგა მოციქულთა მოგჳ იგი ბარისუ, ესე იგი არს,

ძე ისოჲი, ელჳმად სახელდებული მოგუ-ყოფისათჳს, რამეთუ ელჳმას მოგუად გამოითარგმანების ენისაგან ებრაელთაჲსა და ქუალად განდგომილადცა (10 r, 15—23 a);

თჳთ სახელიცა ერმისი მეტყუელობისაგან ეწოდა, რამეთუ ერი თქუმად გამოითარგმანების ელენთა ენისაგან (11 r, 16—20 b);

რამეთუ ამფიპოლი მრჩობლქალაქად გამოითარგმანების (131 v, 20—22 b);

ამიერ სძლო თეტტალოელთა ფილიპე ამჳტოსმან და ამისთჳს უწოდა მას თეტტალონიკე, რომელ არს თეტტალოელთა მძლე (132 r, 1—6 a);

ამას ადგილსა ეწოდებოდა არიოპაღოს, რამეთუ პაღოს უწოდიან ადგილსა მაღალსა და ბორცუსა, ანუ მწუერვალსა კლდისასა, ამისთჳსცა არი კაცისა სახელი არს, ხოლო პაღოს ადგილისა მაღლისაჲ (136 r, 19—27 b)

წარმართნი დიოპეტით უწოდდეს, ესე იგი არს, დიოჲს გარდამოფრინვებული (156 v, 2—5 a).

იქუე: დიოპეტად უწოდდეს, ვითარმედ არა ჴელით-ქმნულ არიან, არამედ ზეცით დიოჲსგან გარდამოფრინვებულ, რამეთუ დიო კერპისა სახელი არს, ხოლო პეტი ფრინვისაჲ (156 v, 23 a — 156 v, 1 b);

სიკარეთად ამისთჳს უწოდს კაცთა მათ, რამეთუ სიკარ უწოდიან დაშნასა მცირესა, რომელი-იგი სარტყელსა ქუაბსა აქუნ ფარულად ავაზაკთა (171 r, 9—14 a).

ამ სიტყჳს წარმომავლობას გახაზავს შემდეგი შენიშვნა:

მოულოდელად სციან დაშნითა მით, ჰრომთა მიერ სიკარწოდებულითა (171 r, 20—23 a).

ამავე ძეგლში მითითებულია კიდევ ერთი ლათინურიდან ნასესხები სიტყვის შესახებ:

მოეგებოდეს მას შორს გარეგან ქალაქისა ადგილთა, რომელთაგანსა პირველსა აპპიოჲს ფორი ეწოდებოდა, რამეთუ აპპიოს ვისმე აქუნდა და თჳსად ფორად სახელ-ედვა, ესე იგი არს, ხატად თჳსა, რამეთუ ჰრომთა ენითა სამეუფოთა ძეგლთა ფორო ეწოდების (203 v, 4—13 b);

ჩუსულებისამებრ დიდთა ქალაქთაჲსა გზასა ზედა ქალაქად შემყვანებელსა იყუნიან პანდუჰიონი, გინა თუ ღჳნისსაფარდული (203 r, 18—23 b).

ეს განმარტება ზუსტი არაა.

კათოლიკე საყოველთაოდ გამოითარგმანების (211 v, 19—20 a).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ Jer.-12 ხელნაწერში იესუ სახელი არის განმარტებული. უფრო ვრცელ ახსნას გვაწვდის Jer.-22 (მარკოზისა და ლუკას სახარების თარგმანება, XII—XIII სს.):

ხოლო სამართალად ეწოდა იესუ, ვითარცა მაცხოვრად ნათესავისა ჩუენისა მოსრულსა, რამეთუ სახელბ ესე ელადელთა ენად რაჲ მოიცვალებოდის, მაცხოვარებად ღმრთისა ითარგმანების, რამეთუ იესუ მაცხოვარად სახელ-იდების, ხოლო იაო მაცხოვარებად იწოდების (38 v, 17—27 b).

Jer.-24 ხელნაწერში (სჯნაქსარი, XI ს.) არის მეტად საინტერესო ადგილი:

და კუალად წყალთა შინა იყვნეს მკეცნი იგი, რომელთა მეგჳპტურად მეფუთ ეწოდების, ხოლო ბერძულად კროკოდილო და ქართულად ხჳთქნი (195 v. 25—28).

როგორც ვხედავთ, ამ ძეგლის მთარგმნელი გიორგი მთაწმიდელი უმატებს ნიანგის აღმნიშვნელ ძველ ქართულ სახელწოდებას.

ეფთვიმე მთაწმიდელმა თარგმნა „მცირე სჯულისკანონი" (გამოსცა ე. გიუნაშვილმა, თბ., 1973). ამ ძეგლშიც არის ჩართული ბერძნულ სიტყვათა განმარტებანი:

ამათ უკუე დღეთა შინა ნუმცა იქმნებიან ყოვლადვე ცხენთა სარბიელნი, რომელ არს იპოდრომი (59, 9—11);

პირველ მოსლვაჲ გულისსიტყჳსაჲ, რომელი მოუკდეს და გონებამან მსწრაფლ განიოტოს, რომელსა ეწოდების ბერძულებრ პროსევოლი5, უცოდველ არს (იქვე 118. 3—5).

ეს მაგალითი იმითაცაა საინტერესო, რომ ჯერ დასახელებულია ქართული ლექსიკური ერთეული გულის სიტყუაჲ და შემდეგაა მითითებული მისი ბერძნული შესატყვისი პროსევოლინ.

ეფრემ მცირის ორიგინალურ თხზულებაში „შესავალი ფსალმუნთა თარგმანებისა" ქრისტე სიტყვასთან დაკავშირებით ნათქვამია:

ქრისტე ცხებულად გამოითარგმანების, ვითარ-იგი მრავალგზის გუასმიეს წმიდათა წერილთა შინა; ხოლო მიზეზი ამის პირისაჲ რეცა საძიებელ არს, თუ ვითარ ბერძულთა საფსალმუნეთა შინა მრავალგზის მოიკსენების სახელი ქრისტესი, ხოლო ქართულთა შინა არცა ერთგზის სადა. გარნა ესე ამიერ ისწავე, რამეთუ ვითარ-იგი ბერძენნი პატივისათჳს ებრაელთაჲსა მრავალთა სიტყუათა იკუმეენ ებრაულთა, ეგრეთვე ქართველთა მრავალი სიტყუაჲ აქუს საკმრად ებრაულისგანცა და ბერძულისაგანცა, ვინაჲცა უმეცართა მიერ არა ადვილად განირჩევიან უცხონი იგი სიტყუანი ბერძულნი ებრაულისაგან. ხოლო ჩუენ ებრაუ-

ლისაგანცა მათვე სიტყუათა შემოვიხუამთ, რომელნი ბერძენთა შემოუხუმნ. და კუალად ბერძულისაგანცა სხუათა უმეტესთა სიტყუათა, რომელთაგანი ერთი არს სახელი ქრისტესი. რამეთუ ებრაელთა თჳსსა ენასა სხუაჲ სახელი აქუს „ცხებული საჲ“, ესე იგი არს „მესია“. ხოლო ბერძულად ქრისტე არს ნაცვლად „ცხებულისა“. ვინაჲცა ცხად არს, ვითარმედ პატივისათჳს ბერძენთაჲსა ვიტყჳთ „ქრისტესა“, ხოლო დავითთა შინა „ცხებულსა“ ვიტყჳთ ნაცვალად „ქრისტესა“, რაჲთა უმეტესად ცხად იყოს ძალი სიტყუათაჲ. და გუენება თუმცა, არავე უღონო არს თქუმად, ვითარმედ: „უფლისათჳს და ქრისტეს მისისათჳს“. და კუალად წინაუკმო შესაძლებელ არს იერემიაჲსსაცა მას სიტყუასა ესრეთ თქუმად, ვითარმედ: „სულ პირისა ჩუენისა, ცხებულ უფალი“. არამედ ჩუენ გჳსწავიეს მამათაგან, რაჲთა ოდესმე „ცხებულსა“ ვიტყოდით განცხადებისათჳს სიტყუათაჲსა და ოდესმე — „ქრისტესა“ პატივისათჳს ბერძენთაჲსა. გარნა ესე მტკიცედ საცნაურ არს, ვითარმედ ორითავე ამით უფალი ჩუენი იესუ ქრისტე იქადაგების ცხებულად ღმრთისა (მ. შანიძის გამოცემა, 92, 16—93, 2).

აქ ყურადღებას იქცევს ეფრემის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულში ებრაულიდან იგივე სიტყვებია ნასესხები. რაც ბერძნულში ებრაულიდან; ისიც ნათქვამია, რომ ბერძნულიდან უფრო მეტი სიტყვები შემოდის ქართულში. ეფრემი ამბობს, რომ ყველას არ შეუძლია ებრაული და ბერძნული ლექსიკური ერთეულების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. იგი კონკრეტული მაგალითის მიხედვით აჩვენებს, რომ ქრისტე ბერძნულია, ხოლო მესია ებრაული, თუმცა „ებრაული სიტყვა ეფრემს ისევ ბერძნული ფორმით მოჰყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა არა „მესია, არამედ მეშია, ან მშია“, — წერს მ. შანიძე (20, გვ. 121).

თედო ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ ეფრემ მცირის წერილში (ქრონიკები, I, ტფილისი, 1892 წ.) ახსნილია პროტრეპტიკონი:

მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს გაკსნითი (76, 6—7).

მარხვათა შემცველ ხელნაწერში (Sin.-5, 1052 წ.) დასტურდება ასეთი შენიშვნა:

ამას ლოცვასა ბერძულად აკათისტოჲ ეწოდების, რომელ არს დაუჯდომელი (160 r).

„გრიგოლი საკჳრველთმოქმედის ცხოვრების“ ტექსტში, რომელიც ეფრემ მცირემ გადმოიღო ქართულად, ახსნილია შავი ზღვის ძველბერძნული სახელწოდება ევქსინო:

რამეთუ მხოლოსა მას ოდენ პონტოს განკუთნვილად ზღუსაგან და კმელისა ევქსინო ეწოდების, რომელი-იგი არს, „კე-

თილი უცხოთაჲ“, გინა თუ მისსა მომჴვალთა უცხოთა სიყუარულით შეწყნარებასა წაჰმებს სახელი ესე (S-384 (XI ს.), 685, 20—27 b).

XI—XII საუკუნეთა კრებულში (A-217) განმარტებულია კიმილია სიტყუა:

კიმილია საგანძურსა ჰურჭელსა ეწოდების (110 r).

აქუე დასტურდება მეტად საინტერესო გამონათქუამი ბერძნული ψυχή და πνεῦμα სიტყუათა მნიშვნელობათა და ამ სიტყუათა ქართული უკუთვალსტის შესახებ:

შეისწაეე, რამეთუ ორსახე არს ბერძულად სახელი სულისაჲ — ფსიქი, რომელი უმეტესსა ადგილსა სამშჳნეელისა წილ დადებულ არს პავლესა შინა. და კუალად — პნევმა, რომელი-ესე თჳთ თავადის სულისა არსებასა უწოდიან და წმიდისათჳს იგიეე ითჳუმის. ხოლო ქართველთა უღონოებისაგან ერთი სახელი აქუს სულისაჲ, ამისთჳს აწ მასეე და ერთსა ორგზის იტყჳს (322 r არშიაზე).

როგორც ვხედავთ, ბერძნული ψυχή და πνεῦμα სიტყუათა მნიშვნელობით ქართულში იხმარება ერთი და იგიეე სიტყუა: სული, რასაც ეფრემი ქართული ენის ნაკლად („ქართველთა უღონოებისაგან“) მიიჩნეეს. იგი ამაეე დროს მიუთითებს, რომ ψυχή სიტყუის შესატყუისად პავლეს ეპისტოლეთა ქართულ თარგმანში უპირატესად იხმარება სამშჳნეელი.

XI საუკუნის კრებულში A-162 (მთარგმნელი ეფრემ მცირე) რამდენიმე ბერძნული სიტყუაა ახსნილი:

სახელი მისი იყო მესიტ, რომელი ითარგმანების შუამდგომელ (124 r, 2—3 b);

ეწოდების მას ხალკუპრატიაჲ, რომელ არს რვალის საჯაჭრო (126 r, 23—24 b);

იოტაჲ ერთი, გინა ერთი რქაჲ, შჯულისაგან და წინაწარმეტყუელთა არა წარკდენ (178 v, 35—37 b);

კჳრიელეისონ, რომელ არს: უფალო შეგჳწყალენ (136 r, 29—30 b).

აღსანიშნავია, რომ კჳრიელეისონ განმარტებულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“:

ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა-ყავ“, გინა თუ: „უფალო, შეგჳწყალენ“ (აგ. ძეგლ. I, 290, 40—41).

A-390 ხელნაწერში (პავლეს ეპისტოლეთა თარგმანება, XI—XII სს.) გეხვედება შემდეგი შენიშვნები:

რომლისა დასამტკიცებელად მოციქულმან მრჩობლ თქუნა სახელი მა-

მისაჲ: ᲐᲕᲔ. რომელ არს ებრაულად, და ᲞᲐᲢᲘᲠ, რომელ არს ბერძულად ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲘᲡᲐᲲ (25 r, 28—33 a);

ნაცისა სიმძიმე ყოველივე ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲡᲐ ᲛᲐᲡ ᲫᲔᲚᲡᲐ, ᲢᲠᲝᲞᲐᲠᲐᲓ სახელდებულსა, უტკრთავს (71 v, 20—23 a).

საინტერესოა Sin.-7/2 ხელნაწერის ერთი მინაწერი. ტექსტში მოხსენიებულია ბერძენი მოწამეები: ᲐᲙᲙᲜᲓᲘᲜᲝᲡ, ᲞᲘᲦᲐᲡᲘ, ᲐᲜᲔᲛᲞᲝᲓᲘᲡᲢᲝᲡ, ᲐᲤᲗᲝᲜᲝᲡ, ᲔᲚᲞᲘᲓᲘᲤᲝᲠᲔ. ქართველი მკითხველისათვის ამ უცხოური საკუთარი სახელების მნიშვნელობა შეიძლებოდა გაუგებარი ყოფილიყო. ამიტომ გადაწერს 7 v-ს არშიაზე შემდეგი მინაწერი გაუკეთებია:

ᲐᲙᲙᲜᲓᲘᲜᲝᲡ ᲘᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ „ᲣᲬᲘᲠᲕᲔᲚ“, ᲒᲘᲜᲐ „ᲓᲐᲣᲜᲗᲥᲛᲔᲚ“, ᲮᲝᲚᲝ ᲞᲘᲦᲐᲡᲘ — „ᲐᲦᲛᲝᲛᲐᲪᲔᲜᲔᲑᲔᲚ“, ᲒᲘᲜᲐ „ᲬᲧᲐᲠᲝ“, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲜᲔᲛᲞᲝᲓᲘᲡᲢᲝᲡ — „ᲓᲐᲣᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲔᲚ“, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲤᲗᲝᲜᲝᲡ — „ᲣᲨᲣᲠᲕᲔᲚ“, ᲮᲝᲚᲝ ᲔᲚᲞᲘᲓᲘᲤᲝᲠᲔ — „ᲡᲐᲡᲝᲔᲑᲐᲨᲔᲛᲫᲘᲡᲘᲚ“. და უფროსი დასდებელი მათ წმიდათა შემსგავსებულითა და სეხნაჲთა სიტყჳთა უგალობს სიმჴნეთა მათთა. და შემინდვეთ, ქართულად რეცა რაჲმე არა შეჰგავს სახელთა დაფარულობისათჳს.

საყურადღებოა ისიც, რომ ᲡᲔᲮᲜᲐᲲ ᲡᲘᲢᲧᲣᲐᲲ, ანუ ᲨᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲣᲐᲲ ნიშნავს ომონიმს.

გელათის ბიბლიის მინაწერები მრავალმხრივ არის საინტერესო. ცნობილია გელათური ბიბლიის ტექსტის შემცველი ორი ხელნაწერი: A-1108 და Q-1152.

ქვემოთ მოვიტანთ ორიოდე მინაწერს A-1108 ხელნაწერიდან:

19 v — 20 r: და თესლისა შენისაგან არა მისცე მსახურებაღ მთავარსა და არა შეაგინო სახელი ჩემი წმიდაჲ, რამეთუ მე ვარ უფალი.

არშიაზე გაკეთებულია ასეთი შენიშვნა: ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲡᲐ ᲛᲝᲚᲝᲕ წერილ არს. აყენებს უკუე შვილთა ტაძრისმსახურად შექმნასა. ხოლო ვითარ-იგი ვიეთნიმე იტყჳან, უცხოთესლთა მთავართასა აყენებს. რაჲთა არა მიიღონ უღმრთოებისაგან მათისა.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲲ: რაჲ არს: „თესლისა შენისაგან არა მისცე მსახურებად მთავარსა და არა შეაგინო სახელი ჩემი წმიდაჲ, რამეთუ მე ვარ უფალი?“ ᲛᲘᲒᲔᲑᲐᲲ: „ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲡᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡᲐ ᲬᲘᲚ ᲛᲝᲚᲝᲕ ᲬᲔᲠᲘᲚ ᲐᲠᲡ და სხუათა თარგმანთა მოლოჳე ღაწერეს, ხოლო კერპი იყო ესე, რომლისათჳს წინაწარმეტყუელისა მიერცა იტყჳს ღმერთი: ნუ საკლ[ე]ელებსა და მსხუერპლებსა ჩემდა შემოსწირევდითა უდაბნოსა ზედა ორმეოც წელ, ბენო ისრაჱლისანო, და აღიღეთ კარავი ᲛᲝᲚᲝᲕᲘᲡᲘ და ვარსკულავი ღმრთისა თქუენისა რეფაჲსი, სახლნი, რომელნი ჰქმენით თაყუანის-საცემელაღ მ[ი]თდა.

29 r (არშიაზე): ᲘᲝᲔᲚ ანუ ᲘᲝᲕᲘᲚᲔᲡᲝᲡ ᲘᲝᲔᲚ არს,

ვითარმცა-ვინ ორკეც-ყო ესრეთ თქუმითა, ვითარ-მედ: ღმერთო, ღმერთო, რამეთუ იყო და ელაჲ ღმერთსა სახელ-ედების ებრაელთა ენითა.

„დიალექტიკის“ წინასიტყვაობაში ეფრემ მცირე ხსნის მეტაფრას ტერმინის მნიშვნელობას:

ვითარ-იგი გუასმიეს სჯმეონ ღოღოთეტისა და სხუათა მეცნიერთა ბერძენთაგან კაზმვაჲ წიგნებისაჲ. გარნა უწყითმცა, თუ რომელთა წიგნთა ეგების კაზმვაჲ, ანუ რომელთაჲ უღონოჲ არს, რამეთუ იპოოს თუ „ცხორებაჲ“, ანუ „წამებაჲ“, ანუ რაიცა-რაჲ ჰამბავი, გინა მოთხრობაჲ სოფლურითა და უშუერითა სიტყუთა აღწერილი. მას სიტყჳთ განაშუენებენ, გარდაჰკაზმენ და მეტაფრას უწოდებენ, რომელ არს გარდაკაზმული (A-24 3 va).

როგორც ჩანს, ქართველ მეცნიერთა ყურადღებას იქცევდა ბერძნული გრამატიკა და გრამატიკოსი ტერმინები. ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ თარგმნილ „ბასილი კაბადუკიელის ცხოვრებაში“ იკითხება:

ანუ ვინ მიიწია ესრეთ ღრამატიკოსობასა ზედა, გამოთარგმანებად ენისა და სიტყუათა და წერად ჯეროვნად და გამოთქუმად რიცხუეულთა მათ სიტყუათა? (Ath.-32 15 r, 20—22). ბერძნულ ვარიანტში იკითხება: τις δε γραμματικην, η γλωσσαν εξελληνιζει και ιστοριαν. συναγει, και μετρας επιστατει και νομοθετει ποιημασιν; (Migne, Hagiogr. Gr., t. 36, სვ. 528).

როგორც ვხედავთ, ეფთჳმე რამდენადმე ცვლის ორიგინალის ტექსტს. უმატებს მას წერად ჯეროვნად. ეს არსებითი ხასიათის ცვლილებაა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ძველად გრამატიკა ითვლებოდა სწორად წერისა და მეტყველების ხელოვნებად.

ეფრემ მცირე ამ ადგილის ბერძნულთან ახლო მდგომ თარგმანს გვაძლევს:

ვინმე ღრამმატიკოსობაჲ, ელენ-ყოფად ენათა და შემოკრებად თხრობათა და საზომის დადებად და სჯულის დებად გამოთქუმად? (Jer.-43 38 v, 15—21 a).

ამონიოს ერმისის თხზულების „ხუთთა ჴმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ იოანე ტარიჩისძისეულ თარგმანში ეკითხულობთ:

ღრამმატიკოსობაჲ არს გამოცდილებაჲ სიტყჳსმოქმედთა და აღმწერელთამიერი (S-2562, XII—XIII სს. 71 v, 6—8).

აქ ძალიან კარგად ჩანს გრამატიკის დანიშნულება.

ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ „დიალექტიკაში“ ნათქვამია:

ღრამმატიკოსობაჲ მეცნიერებაჲ არს. ხოლო ღრამმატიკოსი არს არსებაჲ, რომელსა შინა არს

შეცნიერებაჲ (A-24 14 vb). არშიაზე ეფრემ მცირისეული განმარტებაა.

თარგმანი: ღრამმა „წერილად“ გამოითარგმანების, ხოლო ტიკოსი „დამადნობელად“, რაჲთა, რაჟამს სთქუა: ღრაჳმატიკოსი, უწყოდი, ვითარმედ— დამადნობელსა იტყჳ წერილისათა. ესე იგი არს, რომელი დაჰჴსნის სიმყჳრტესა სიტყუათასა, სიღრმით შეყინებულთასა. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული სიტყვის ეფრემისეული ახსნა არაა სწორი, იგი სწორად განმარტავს გრამატიკოსის, მწიგნობრის მნიშვნელობას. გრამატიკოსი იყო პირი, რომელსაც შეეძლო, აეხსნა წერილის, წიგნის (სალიტერატურო ენის) ძნელად გასაგები ადგილები.

„გარდამოცემის“ ტექსტში ვკითხულობთ:

ვიქმნეთ გამოცდილ ტრაპეზით მსხდომ (A-24 125 r b). არშიაზე ასეთი შენიშვნაა:

რამეთუ ტრაპეზით მსხდომთ კატალაკთა ეწოდების. რომელ არიან მცვალებელნი დრაჰკანისანი, და მარადის ტაბლაჲ წინა-უთქს, ხოლო კატალაკტი „მცვალებელად“ გამოითარგმანების და ტრაპეზით მსხდომი— „ტაბლით მსხდომად“. და სახელები ესე ბერძული არს: ტრაპეზიცა და კატალაკტიცა.

„ასკეტიკონის“ (A-689, XII ს.) ტექსტში დასტურდება მთარგმნელის ეფრემ მცირის შენიშვნა: აჭა დასრულდა შესავალი წიგნისა იმის წმიდისა ბასილისი, რომელსა ასკეტიკონ ეწოდების. რომელი გამოითარგმანების „სამოღუაწეო“ (11 v., 34—38 a).

ამავე ძეგლში განმარტებულია კიდევ რამდენიმე სიტყვა: გამოღაცადებოდეთ პირველად და ეგრეთღა დიაკონებედ, ესე იგი არს, ჰმსახურებედ (48 r, 20—23 b);

დავსხ ვენაჯი სორექი, რომელი რჩეულად გამოითარგმანების (74 r, 14—16 b), შდრ.: საბასეული: სორექი, (5, 2 ესაია) რჩეული, გინა ვენახი.

A-689 ხელნაწერში შეტანილია აგრეთვე ეფრემის მიერ ქართულად თარგმნილი „ფილოთეონ ისტორია“. ამ თხზულების წინასიტყვაობაში დასტურდება ეფრემისეული რამდენიმე ლექსიკოგრაფიული შენიშვნა:

ამას წიგნსა ეწოდების ფილოთეონ ისტორია, რომელ არს ღმრთისმოყუარებით თ'ხრობაჲ. რამეთუ ვითარ-იგი კლემაქსსა და დიალოღონსა იგივე ბერძული სახელი უწოდიან ქართულადცა,

ეგრეთვე ამისთჳს უსაკუთრეს არს წოდებად ფილოთეონ ისტორია (187 r, 1—8 b);

ჰეშმარიტად ფილოსოფოსობად, ესე იგი არს, სიბრძნის-მოყუარებად ჰეშმარიტსა მონაზონებასა სახელ-ედების (187 v, 10—12 b).

A-1115 (ასკეტიკონი, ეფრემ მცირის თარგმანი) ხელნაწერში (XII ს.) განმარტებულია სპჳრიდ სიტყუა:

მცირეთა სპჳრიდებთა იქმა, მალაკებწოდებულთა (223 r, 14—16 b).

საბას ლექსიკონში ნათქუამია: მალაკი (7, 15 მამა ცხო.) მცირე სფირიდი.

ეფრემისეული რამდენიმე ლექსიკოლოგიური შენიშვნა დასტურდება Jer.-9 ხელნაწერში (პაულე ეპისტოლეთა თარგმანება, XI ს.):

საქონდაქრო ეწოდების ქალაქთა შინა მყოფსა ადგილსა საცხოვართა დაკლვისასა, რომლისაგან იყიდის ჯორცსა ყოველი ერი (7 r, 27—31 b);

ეკლესიაჲ შესაკრებელად გამოითარგმანების (8 r, 9—11 b);

ერთშაბათად კჳრიაკესა უწოდს (38 r, 12—13 b).

აქ საყურადღებო ისიც არის, რომ კჳრიაკე განმარტებულია ერთშაბათ სიტყუით.

ესე მტკიცე იყავნ ჩუენ ზედა ამინითა, რომელ არს იყავნ (41 v, 10—11 a).

მოწამედ აქუს თუალუხუავი მხილებაჲ სჳნდისისაჲ, რომელი-იგი თანაგანმხილველად გამოითარგმანების (45 r, 17—21 b).

ამ ხელნაწერში 39-ე ფურცლის არშიაზე ასეთი შენიშვნა არის გაკეთებული:

შეისწავე. რამეთუ ბერძენნი მეერგასედ უკმობენ სულისა წმიდისა მოსლვასა, ხოლო მარტჳლიაჲ რომლითა ენითა არს, არა ეიცი.

91-ე ფურცელზე ტექსტში იკითხება:

ანგელოზი ქადაგად გამოითარგმანების, ხოლო სატან ენითა ებრაელთაჲთა მჯდომსა სახელ-ედების (91 r, 17—20 b);

არა იყო სატან, ესე იგი არს: მჯდომ და წინააღმდგომ (91 r, 29—31 a);

ამისთჳს სატან ეწოდა, რომელ არს მჯდომი (91 v, 5—6 a).

91 v-ს არშიაზე სწერია:

შეისწავე, რამეთუ ანგელოზი ბერძული არს.

სხვა შემთხვევები:

საკუთრად სახელად ვისმე ერქუა სჯზეგე, რომელი ბერძენთა ენითა სახელი არს თანამეუღლისაჲ (164 v, 2—5 a; იხ. აგრეთვე A-390 83 v, 17—21 a):

რომელთა შეწყნარებად და პატივით პყრობად ამცნებს ერთგულსა მას სჯზეგეს, რომელ არს თანამეუღლე (164 v, 25—29 a; იხ. აგრეთვე A-390 83 v, 11—13 b):

რომელთა მიმთხუევაჲ მეყავნ ჩუენ, ყოველთა, მითვე ამინითა, ნაცვალად იყავნისა დაგდებულითა (145 r, 26—28 b);

მადლი ჩუენ თანა დაიმკჳრებს ზედა დამტკიცებითა ამინისაჲთა, რომელ არს იყავნ (193 r, 29—32 a);

თესალონიკე იყო დედაქალაქი მაკედონიაისაჲ და მოსაზღვრე აქაიაჲსაჲ, რომელ არს ჭეყანაჲ ელადისაჲ (195 r, 17—20 b).

საინტერესოა A-684 ხელნაწერში (ფსევდოდიონისე არეოპაგელის თხზულებათა ეფრემისეული თარგმანი. XI ს.) დადასტურებული შენიშვნები:

გამოსთარგმნის ძალსაცა სახელისა მათისასა, თუ რაჲსა ანგელოზ. ეწოდების. რამეთუ თარგმანებისაებრ სახელისა ამის ანგელოზი ქადაგად და მომთხრობელად დიდებისა ღმრთისა გამოითარგმანების (46 v, არშიაზე):

ანგელოზი მომთხრობელად გამოითარგმანების (111 r, არშიაზე).

ამ თხზულებაში პირველად გვხვდება ტერმინი ეტიმოლოგია (ეტჳმალოგიობა):

შეისწავე, რამეთუ ყოველთა მხედველად ბერძენთა ენითა ითქუმის ღმერთი, ვინაჲთგან ხედვასა თეორია ჰრქჳან და ღმერთსა თეონ. ამისთჳს ხედვად თარგმანებენ სახელსა ღმრთისასა წესითა ეტჳმალოგიობისა, ეს იგი არს, მზაპასუხობისაჲთა. ამათ პირთათჳს უცხადესადრე ჰპოო გარდამოცემისა წიგნთა შინა წმიდისა იოვანე დამასკელისათა (87 r, არშიაზე).

ადვილად დასანახავია, რომ ტერმინის ეტჳმოლოგია ეფრემისეული განმარტება არაზუსტია, იგი ხალხურ ახსნას ემყარება. მაგრამ ეს არ არის მთავარი. საყურადღებოა ის, რომ ეს ტერმინი ასე ადრე გვხვდება ქართულში.

რამდენიმე საყურადღებო ლექსიკოგრაფიული შენიშვნა დასტურდება A-52 ხელნაწერში:

ხოლო კოლჳვისტენი არიან მწუალთა მსყი-

დელნი დინართა, ესე იგი არს, ფოლთანი, რამეთუ ქოლჯვოსი მწუელილი ფოლი არს ელლინთაებრ, რომელსა ჰრომნი ნუმმოდ უწოდენ (17 r, 29—32):

ესე იგაეიო, იტყჳს, რომელ არს პარავოლი (77 r, 35):

რამეთუ მარია დედოფლად ითარგმანების (91 v, 27—28):

იქვე 91 v-ს არშიაზე გაკეთებულია შენიშვნა: ცან, ვითარმედ ელლადელთა ჴმითა დედლად ითქუმის ესე სახელი, ვითარმედ „ღმრთეებაჲ" და მარია „დედოფლად" ითარგმანების, ებრაულისაგან რაჲ ელლინურად გარდამოიღებოდის.

და დაჯდა საყდარსა ზედა ადგილსა, წოდებულსა ქვაფენილად, ხოლო ებრაელებრ ღავჳათა (136 v, 23—24):

კიფა ითარგმანების „კლდედ (146 v, 28—29).

გრიგოლი ღმრთისმეტყველის „ბასილი დიდის ეპიტაფიის" ეფრემ მცირისეული თარგმანის შემცველ ხელნაწერებში ჩეენთვის საყურადღებო მრავალი შენიშვნა დასტურდება:

A-109 20 v-ს არშიაზე: ემმელია გამოითარგმანების „კეთილად წესიერ", გინა „კეთილად მოღუაწე".

200 v-ს არშიაზე: ვინაჲთგან ქრისტეს შობისაცა ღა აღდგომისა სიტყუანი წარმოთქუნა სიტყუასა შინა, ამისთჳს აწ, ესერა, ჩუენდა მსმენელთა უწოდს მათ სიტყუათასა, ვითარ გენეთეაჲ „შობისად" გამოითარგმანების, ხოლო აწ ეპიტაფიაჲ „საფლავის ზედად".

საინტერესოა, რომ ერთგან ძირითად ტექსტში გვაქვს: მესამე ნათელკაცი (87 v, 24 b). არშიაზე კი შემდეგი შენიშვნაა გაკეთებული: შეისწავე, რამეთუ ანთროპოს კაცად გამოითარგმანებს. ხოლო პარისა ფარად შეცვალებითა ფოს ნათლად (87 v).

Jer.-15 ხელნაწერში იკითხება:

ეპიტაფიად, რომელ არს საფლავის ზედად (22 r);

ეპიტაფიად ეწოდების, რომელ არს საფლავის ზედა, რომლისა მიერ სახელდებულ არს ეპიტაფიად, ესე იგი არს, საფლავის ზედად (იქვე).

მრავალი შენიშვნა დასტურდება Jer.-43 ხელნაწერში (XII—XIII სს.):

დიდრაქმა არს, რომელსა-იგი სიკლა უწოდიან, და ესეცა ჩუეულებრი სავაჭროჲ არს ადგილ-ადგილადი (11 v-ს აშიაზე);

შეისწავე, რამეთუ ბერძულად ყოველსა ათასეულსა წელთასა საუკუნე უწოდიან (17 r) და სხვ.

ეფთვიმე მთაწმიდლის ანდერძში, რომელიც ახლავს მის თარგმნილ იოანე სინელის „კლემაქსს“, ნათქვამია:

ამ უკუე ვინ წიგნისა სახელსა იტყოდის, თქუნ: „კ ლ ე მ ა ქ ს ი“, რ ო მ ე ლ ა რ ს კ ი ბ ე (H-1669, XII—XIII სს. 1 რ).

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ არსენი იყალთოელისეული თარგმანის დამატებაში რამდენიმე საყურადღებო ახსნაა წარმოდგენილი (იხ. მ. რაფავას გამოცემა, გვ. 179—180):

ესე უკუე იწოდებიან „შესმენად“ და „კატიღორიად“, ვითარცა ჩიეთდაღმე „სათქუმელობისაგან“, რამეთუ ა ღ ო რ ე ვ ი „თ ქ უ მ ა ს ა“ უ წ ო დ ი ა ნ (გვ. 179);

შ ე ი ს წ ა ვ ე ნ, რ ა მ ე თ უ ქ უ ე ყ ა ნ ი ს მ ზ ო მ ე ლ თ ა კ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ნ ი ა რ ი ა ნ ნ ი შ ა ნ ნ ი ე ს ე:

ა. ა მ ბ ა ს უ წ ო დ ე ნ ს ტ ი ღ მ ა დ, რ ო მ ე ლ ს ა, ჩ უ ე ნ წ ე რ ტ ი ლ უ წ ო დ თ, და სახელ-სდებენ ერთად (გვ. 180);

შეისწავე ქართულადცა სახელები ესე: ს ტ ი ღ მ ა „წ ე რ ტ ი ლ ი“; ღ რ ა მ მ ი „ჩ ა ზ ი დ უ ლ ი“; ე პ ი ფ ა ნ ი ა „П“ „ს ა ჩ ი ნ ო ო ბ ა“. ს ტ ე რ ე ო ნ „მ ყ ა რ ი“ (გვ. 180).

ამონიოს ერმისის თხზულებაში „ხუთთა ჰმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ (S-2562, XII—XIII სს.) განმარტებულია რამდენიმე ბერძნული ლექსიკური ერთეული:

ა ღ ო რ ე ვ ი თ ქ უ მ ა ს ა უ წ ო დ ი ა ნ (31 v, 16; 70 v, 6—7);

ე გ რ ე თ ვ ე ე პ ი ფ ა ნ ი ა ს ა ზ ე დ ა, რ ო მ ე ლ ა რ ს ზ ე დ ს ა ჩ ი ნ ო ე ბ ა (323 r, 13—15);

გ ე ო მ ე ტ რ ი ქ უ ე ყ ა ნ ი ს მ ზ ო მ ე ლ ს ა ე წ ო დ ე ბ ი ს (319 v, არშიაზე).

ძალიან საინტერესოა ამ თხზულების ერთი ადგილი:

სიტყუაჲ მაკრაჲთა და ვრაქიაჲთა მარცულითა განიზომების, ხოლო რიცხჳცა არტიოჲთა და პერისსოჲთა, რომელ არს ჰუღელი და ფარდი (324 v, 21—26). როგორც ვხედავთ, ბერძნულ არტიოს შეესატყვისება ჰ უ ღ ე ლ ი. ჰ უ ღ ე ლ ი საბას განმარტებით, არის უ ღ ე ლ ი წ ყ ჳ ლ ი.

ბერძნულ რ ე მ ა თ ა ‖ რ ი მ ა თ ა (=ლექსემათა) ომონიმურობას გახაზავს შენიშვნა, რომელიც ხსნის ძირითადი ტექსტის შემდეგ ადგილს:

თ ჳ თ ი გ ი ვ ი დ რ ე მ ე უ კ უ ც რ ი მ ა ნ ი თ ა ვ ი თ თ ჳ ს ი თ ს ა ხ ე ლ ე ბ ა რ ი ა ნ და დ ა ჰ ნ ი შ ნ ე ვ ნ რ ა ს მ ე, ვ ი ნ აჲ ც ა, ვ ი თ ა რ მ ე დ: „ვ ჰ ლ ე ქ ს ა ვ“ და „მ ტ რ ფ ი ა ლ ო ბ ი თ მ დ ე ბ ა რ ე ვ ა რ“ თ ა ნ ა მ ო ს ა ხ ე ლ ე ნ ი ა რ ი ა ნ, რ ა მ ე თ უ ზ ი ა რ ი ა ქ უ ს ს ა ხ ე ლ ი, ვ ი თ ა რ მ ე დ: ე რ ო (257 r—v).

არშიაზე სწერია:

შეისწავე, ვითარმედ ჰმითა ელადელთაჲთა ჰგუანან სიტყუანი ესე:

„ვიტყვ“ და „ვტრფიალებ“, რამეთუ ორისათჳსცე ითქუმის ესე, ვითარმედ ერო, ხოლო ქართულებრ ყოველად უმსგავსი არიან.

ზოგჯერ წერილობით ძეგლებში განმარტებულია ისეთი სიტყვები, რომლებიც ქართულია, ან კიდევ დიდი ხნის წინათ არიან ნასესხები და დამკვიდრებული ქართული ენის ლექსიკურ ფონდში.

Sin.-78 ხელნაწერის 287 r-ს არშიაზე ახსნილია დრაუნჯ სიტყვა: დრაუნჯნი დროშანი იყვნეს პილატეს კარსა და, ღდეს უფალი შეჰყუანდის, მოღრკიან და თაყუანის-სციან“.

„მცირე სჯულისკანონის“ ეფთჳმესეულ თარგმანში წარმოდგენილი არის ჩუკენობა სიტყვის ახსნა:

ხოლო აღრიცხუეასა ამას შინა ცოდვათასა პირველად ვაჴსენე ბოროტი იგი და მრავალთა წარმტყუენველი ქელითდაცემაჲ, რომელსა ეწოდების ჩუკენობაჲ (ე. გიუნაშვილის გამოცემა, 93, 9—11).

საინტერესოა ამ თხზულების სხვა ადგილი:

მოციქულმან პაველე აჴსენა, ვითარმედ: „არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა ჩუკენთა, არცა მემრუშეთა ... არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ (98, 21—24).

ეფთჳმე მთარგმნიდელი ამ ადგილთან დაკავშირებით წერს: „და თჳსსა ეპისტოლეთა შინა ცხადად სწერია: ჩუკენობაჲ ვითარმედ ქელითდაცემაჲ არს (გვ. 98, შენიშვნა).

ჩუკენ სიტყვის მნიშვნელობას იკვლევდა ც. კიკვიძე (7, გვ. 267—272).

ეფრემ მცირის ორიგინალურ თხზულებაში „შესავალი ფსალმუნთა თარგმანებისა“ განმარტებულია მრჩობლი და მყის:

ამითვე სახითა აღუწერიან თჳსნი ლექსიკონნი ღრმათა სიტყუათათჳს ბერძულთა კოსტანტინე მეფესა პორფჳროგენიტსა და დიდსა კჳრილეს ალექსანდრიელსა, რაჲთა რაჟამს ეძიებდეს უმეცარი, თუ რაჲ არს მყისი ანუ მრჩობლი, მანსა შინა განუმარტონ. ვითარმედ მრჩობლ ეწოდების ორკეცსა, ხოლო მყის — ანაზდაჲთსა (მ. შანიძის გამოცემა, 97, 8—12).

როგორც ჩანს, მრჩობლ და მყის ლექსემები, უფრო დამახასიათებელი სამწერლობო ენისათვის, განმარტებულია ფართო საზოგადოებისათვის გასაგები (ანუ, როგორც თვითონ ეფრემი იტყოდა, „სოფლური“) ფორმების მოშველიებით.

კოწოლ სიტყვასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებო მსჯელობა არის გელათის ბიბლიის A-1108 ხელნაწერში. 22 r-ს არშიაზე ნათქვამია:

ხოლო სხუაჲ იტყჳს: არა მოიპარსოთო გარემოჲს შესახედავი თავისა

თქუენისაჲ, ხოლო უფროჲსღა — კოწოლი, რომელ არს დალალაჲ, და არს იგი ნათხზენი, ვითარ-იგი დაითხზნიდეს ელლენნი, ვითარცა კორნოჲსად განჩინებულსა, და უფროჲსღა სარკინოზნი ვიდრე აქამომდე იქმან ამას: იმავე ფურცლის არშიაზე ქართველი მთარგმნელის, თუ კომენტარის კიდევ ერთი შენიშვნა გვაქვს:

ვიეთმე კოწოლი სხუად რადმე ღონისძიებით აღმოცენებულად თმად თარგმნეს, ხოლო მე ვჰგონებ. ვითარმედ მას უარ-ჰყოფს შჯული.

რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობაა წარმოდგენილი გელათური ბიბლიის მეორე ნუსხაში (Q-1152). ამ ხელნაწერში ვაცი განმარტებული არის, როგორც ერთი წლიხ თიკანი:

ვაცისაჲ, ესე იგი არს, წელიწდეულისა თიკნისა, შეწირვაჲ ამცნო (3 r, 7—9).

საინტერესო სიტყვაა ბღლაწი. ეს სიტყვა არ არის შეტანილი იღია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში. გელათის ბიბლიის კომენტარებში ეს ლექსიკური ერთეული განმარტებულია, როგორც „სელისა ქსოვილის სამოსელი“, ან „სელისა ქსოვილი“:

და სელისა ქსოილსა სამოსელსა ბღლაწად სახელ-სდებს (57 v, 11—14); „და რამეთუ, ვითარმედ არა სამოსელი ბღლაწი იყო“ (57 v, 18—20).

უთუოდ საგულისხმოა ნიგოზ და ნიგუზისაჲ სიტყვათა გარჩევის ცდა და მათთვის სხვადასხვა მნიშვნელობის მიწერა:

ნიგოზი არს ნაყოფი, ხოლო ნიგუზისაჲ — გარეთ საჩინოჲ უკუე ქერქი მომმუხველობითი რაჲმე არს და მყჳრტი (157 r, 1—2).

როგორც ვხედავთ, გელათის ბიბლიის ქართველი კომენტატორი ნიგოზად მიიჩნევს ნაყოფს, ხოლო ნიგუზისად კი — ნაჭუჭს.

გელათის ბიბლიის ტექსტში დასტურდება მეტად იშვიათი სიტყვა თანაშე:

უკუანა კერძო გზასა გზისდასავალისასა, ჭუეყანასა ქანაანისასა, დამკჳდრებულსა მზისდასავალით კერძო, თანაშე დიოლღოლისა, მახლობელად მუხისა მაღლისა (239 v, 14—18).

საერთოდ, გელათის ბიბლიის მთარგმნელი (და კომენტატორი) ხშირად ქმნის ახალ სიტყვებს (5, გვ. 59). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თანაშე სიტყვაც მის მიერ არის შექმნილი. არშიაზე სინგურით სპეციალური მინიშნება არის, რომ თანაშე სიტყვა ძველია და იქვე ახსნილია მისი მნიშვნელობაც:

ძუელი ლექსი არს ქართული თანაშე, არა ჩუენი მოპოვნებული, ხოლო დაჰნიშნავს მახლობელობასა.

ასევე საყურადღებო არის სხვა შენიშვნაც, სადაც მთარგმნელი გვაწვდის მითითებას „ეკრძალე თავსა შენსა“ და „იგულე თავი შენი“ გამოთქმათა სიძველისა და მნიშვნელობის შესახებ. გელათის ბიბლიის კომენტარში იკითხება:

ზედაჲზედა იტყჳს: „ეკრძალე თავსა შენსა“ (242 v, 25—27).

იქვე არშიაზე ასეთი შენიშვნაა:

ხოლო ერთი და იგივე არს: „ეკრძალე თავსა შენსა“. და „იგულე თავი შენი“, რამეთუ ორივე ძუელთა თარგმანთაჲ არს და არა ჩუენი.

სხვა შემთხვევაში გელათის ბიბლიის მთარგმნელი აშკარად ამბობს, რომ სიტყვა ნეოლოგიზმია (შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიტყვა მის მიერ არის შექმნილი). გელათის ბიბლიის ტექსტში იკითხება:

და სთქუა წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა: განვბიწენ წმიდანი საბლისაგან ჩემისა (280 r, 13—15).

განვბიწენ სიტყვას შენიშვნა აქვს დართული:

ახალი არს ლექსი „განვბიწენ“, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „ბიწნი განვჰყარენ“, ვითარ-იგი ნაჭურცენთა რაჲსათჳს განმყრელნი ვიტყოდით, ვითარმედ: „განვჭურცენ“.

გელათის ბიბლიის ტექსტში გვხვდება კუროჲსთავ სიტყვა: მე დავწერტნე ჯორცნი თჳუენნი ეკლებითა უდაბნოჲსაჲთა და კუროჲსთავებითა (370 r, 18—20).

არშიაზე კუროჲსთაჳის განმარტებაა მოცემული: კუროჲსთაჳი არს ოთხეკალი.

XII—XIII საუკუნეთა ქართულ ენაში, როგორც ჩანს, სიმამრი იხმარებოდა ცოლისძმის მნიშვნელობითაც. ამას აშკარად მიგვანიშნებს გელათის ბიბლიის ქართველი კომენტატორი:

ხოლო სიმამრად სახელ-სდვა მას, ვითარცა ძმასა მეუღლისასა, ვითარ-იგი მრავალნი აწცა უწოდებენ ესევითართა სახელდებითა ამით (353 r, 17—25).

ისიც იქცევს ყურადღებას, რომ სიმამრ სიტყვა ცოლისძმის აღმნიშვნელად იხმარებოდა ქართული ენის გარკვეულ დიალექტებში (კომენტატორი ამბობს: მრავალნი აწცა უწოდებენ. ეს მოვლენა რომ მთელი ქართული ენისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი, მაშინ იგი არც გამოიწვევდა გელათის ბიბლიის კომენტატორის სპეციალურ შენიშვნას). ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართულ დიალექტში სიდედრი იხმარება ცოლისდის მნიშვნელობითაც (13, II, გვ. 103). ადრე ამ ტერმინებს უფრო ფართო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ (27).

მედგარ სიტყვას ძველ ქართულ სამწერლობო ენაში, ჩვეულებ-

რივ, ზარმაცის მნიშვნელობა ჰქონდა. XII საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის (A-689, ასკეტიკონი, XII ს.) მინაწერიდან ვიგებთ, რომ ეს სიტყვა ცოცხალ მეტყველებაში მზაკუარის მნიშვნელობითაც იხმარებოდა:

შეისწავე, რამეთუ სახელსა ამას მედგარსა ორი სახე აქუს: წიგნურად მცონარესა უკმობს მედგარსა, ხოლო სოფლურად მზაკუარსა ჰქუან თჳთ ქართულსა ენასა ზედა (43 r).

ამავე ხელნაწერის 73 r-ს არშიაზე ასეთი შენიშვნაა გაკეთებული:

შეისწავე, რამეთუ ამას ადგილსა სახარებისასა, ვითარმედ: „მონაო ბოროტო და მედგარო", „მცონარებისა" წილ თქმულ არს „მედგრობაჲ", დაღათუ რომელთამე ადგილთა „მედგარი" „მზაკუვარად" გულისჴმა-იყოფების, უფროჲსღა ლიტონსა საუბარსა შინა.

რა თქმა უნდა, ასეთ ცნობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ლექსიკის ისტორიისათვის. მათ გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იქნებოდა სიმამრ და მედგარ სიტყვების მნიშვნელობათა სრულად აღწუსხვა.

საინტერესო ლექსიკოგრაფიული შენიშვნები გვხვდება Jer.-16 ხელნაწერში. მასში ახსნილია: სამსალა-ჲ, მკრცხლ-ი, საჯუმილავ-ი, ეზღვრებოდა, ვარშამანგ-ი, მოსაკიდელ-ი, საგანმზრახო-ჲ, დაზულობა-ჲ სიტყვები:

მიეპყრა მას სამსალაჲ, რომელ არს წამალი მაკუდინებელი (15 r, 14—16 b);

მკრცხლ ეწოდების უბიწოსა; ანუ მოჭალაჭესა, ანუ სახარულევანსა, ანუ სათნოსა, ანუ მოცინარსა, ანუ შუენიერსა (55 v, 26 a — 55 v, 2 b);

საჯუმილავი საცავსა ეწოდების (95 r, 28—29 b);

და სახლი მისი ეზღვრებოდა, ესე იგი არს, მახლობელი იყო (144 r, 8—10 b);

ვარშამანგ ეწოდების სუდარსა, რომელ არს თავისსახუჱველი (151 v, 1—4 b);

ხოლო მოსაკიდელი იგი არს ჴელთსაჯოცელ და მოსაწმედელ ოფლისა პირისასა (151 v, 13—17 b);

„საგანმზრახო" უწოდიან ადგილსა, რომელსა სხდენ განმზრახნი მეფისა, გინა მთავრისანი, ვინაძთგან მაშინდელნი მეფენი და მთავარნი არარას ბჭობასა განაჩინებდეს თჳნიერ კითხვისა მათ თანა მსხდომთა განჩინებულთა განმზრახთასა (189 r, 16—25 a);

ნივთთა მათ დაწუვაჲ და დაზულობაჲ, რომელ არს დაჯსნაჲ (252 v, 16—17).

A-136 ხელნაწერში (იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება, ეფთვიმეს მიერ გადმოქართულებული) გვიანდელი ხელით ასეთი შენიშვნა გვხვდება:

მდრანჯობელობა ურცხვ და ურიდებელი აშიყობა (258 v).

Jer.-22 ხელნაწერში (მარკოზისა და ლუკას სახარების თარგმანება, XII—XIII სს.) ახსნილია განშოლტვა ზმნა:

უკუანაჲსკნელ მორჩილმან ნებისა მათისამან განშოლტა უფალი, ესე იგი არს, გუმა დათხზულითა ღუდებითა (25 v, 19—23 b).

ნამდვილი ქართული სიტყვა იგავი (შდრ.: ჰ-გავ-ს), ეტიმოლოგიურად „მიმსგავსებული, მსგავსი“, ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზე ნასესხები სიტყვით არის ახსნილი:

მეტყჳს ჩუენ იგავსაცა, ესე იგი არს, მაგალითსა (Jer.-22 61 r, 21—23 a, კომენტ.).

გემის, ხომალდის ერთ-ერთი ნაწილის სახელი არის განმარტებული Jer.-6 ხელნაწერში:

წიაღსავალ უწოდიან ძელსა მას საშუალ ნავისა. განგდებულსა სახედ ჳიდისა, გინა უღლისა, რომელსა ზედა აღემართების ძელი აფრისაჲ, და ჯერარს, რაჲთა შემსგავსებულად ნავისა სიდიდისა იყოს სიდიდეცა ძელისაჲ მის (23 r, 1—7).

„მათეს სახარების თარგმანების“ ტექსტში მოცემული არის პირმშო სიტყვის ახსნა:

პირმშოჲსა სახელი არა თუ სხუათა შემდგომად მისა შობასა გამოაჩინებს, არამედ, რომელმან-იგი პირველ განაღოს საშოჲ, მას ეწოდების პირმშო, გინა თუ შეუდგენ სხუანიცა ძმანი, გინა თუ არა (57 r, 1—5).

Jer.-9 (პავლეს ეპისტოლეთა თარგმანება, ეფრემ მცირის გადმოქართულებული, XI ს.) ხელნაწერში ახსნილია ზოგი სიტყვა, თუ გამოთქმა:

ესრეთ უსაკუთრესად ითქუმის, ვითარმედ სიყუარული არა ცუნდრუკებს, ესე იგი არს, ვითარმედ: არარას იქმს აღტაცებით და სრსუბუქით, არამედ მძიმედ და დაწყნარებულად (20 r, 29—34 b);

განუკუეთელ ეწოდების წულილსა მას მწულილსა მტუერისასა, რომელი ჩანნ შარავანდედსა მზისა სახლსა შინა შთადგომილისასა,

რომელი სიმცირისა და ყოვლად ვერშესაპყრობელობისა მისისათჳს განუკუეთელ სახელ-ედების (36 v, 5—12 b);

სიმძაფრესა განრისხებისასა სიფიცხე სახელ-ედების (70 r, 2—4 b);

ხოლო განზრჩომაჲ, ანუ, იგივე არს, ამპარტავანებაჲ, ანუ მახლობელ მისა, თქმულისა მისებრ მოციქულისა მიერ: განზრჩომილ არს, არარაჲ უწყის (70 v, 4—9 a);

ჰირ არს შემთხუევაჲ განსაცდელთა სიტყუათმიერთაჲ, ხოლო შრომა თჳთ თავით თჳსით მოღუაწებითა განკაფაჲ ჯორცთა თჳსთაჲ (89 r, 27—31 a);

შური ესე არს, რაჟამს არცა თჳთ უნდეს და არცა სხჳსა გონებად მისსა თაეს-იდებდეს (113 r, 12—15 b);

შფოთებაჲ ესე იგი არს, რაჟამს შურისაგან განრისხებული იტყოდის სიტყუათა საშფოთებელთა (113 r, 18—21 b);

მთრვალობასა შეუდგს სიღრდაჲ, რომელ არს განკუთვნილი სიმღერაჲ მომთრვალეთაჲ, რაჟამს გარდარეულებითა სუმისაჲთა სხუაჲ არღარაჲ ეძლის თუნიერ ჴმანი რაჲმე უძლურნი და აღსავლენი დაჴსნილობითა (113 r, 28 b—113 v, 2 a, იხ. 20, გვ. 249—254);

ყოველთა ბოროტთა მიზეზ ცუდად მზუაობრობაჲ არს, რომლისა მიერ შემოვალს ურთიერთასი აღმძრველობაჲ და, ვითარ-იგი უსაკუთრეს არს, მიმწოდებლობაჲ, რომელ არს, რაჟამს არა ხოლო თავთა ჩუენთა, არამედ სხუათაცა აღმაზრზენელ ჳყუნეთ მოშურნე და მეშფოთე-ყოფად (114 r, 4—13 b);

მოციქული წარელინებულად გამოითარგმანების (157 r, 19—21 a);

მოსაგრე მოგზაურსა ჰჴჯან, ხოლო თანამჯდარი თანამბრძოლსა (157 r, 23—25 b, შდრ.: 2, გვ. 275).

ყოველსა შინა შეზმნილ, ესე იგი არს, წურთილ და განსწავლულ არს (167 v, 15—17 a).

ეფრემ მცირე სპეციალურად განმარტავს ბრე და ჩელხ ტერმინებს:

ბრე უწოდიან უსხჳლესსა მას წულილისა ბზისასა და უწულილესსა ჩელხისასა. რომელი ვერ წარიღებვის ჭარითა, არამედ ზედამოეკადების ცხრილითა, აწ უკუე ვიდრემე საჴმარ იყო ბრე ვიდრე აღზრდადმდე და განსრულებად იფქლისა, ხოლო სრულ იქმნეს რაჲ მარცუალი, მიერითგან არღარად უჴმან საბურველნი. ამისთჳს განილეწვის და განინჭრეის და განწმედილი ბზისაგან და ბრისა და ჩელხისა თჳსსა საუნჯესა დაიუნჯების (160 r, 2—18 b).

ბრე და ჩელხი ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში შეტანილი არ არის.

სულხან-საბა ამ სიტყვებს ასე განმარტავს:

ბრე მტვერი ბზენარევი; ჩელხი ხვავის ულეწავი ანაკაზმი.

ბრე დასტურდება მრავალ დიალექტში, ოღონდ რამდენადმე განსხვავებული მნიშველობით:

1. ახალგაცეხვილი ღომის მტვერი (გურ.); 2. მსხვილი ბზე (ქიზიყ.); 3. ღომის, ზანდურის ან მახის ნაცეხვი, მარცვლის ბუდე (ლეჩხ.); 4. ბრინჯისაგან გაცლილი კანი (ინგილ.); 5. სიმინდის ბზე, რომელიც სიმინდის განიავების დროს ცვივა (მთიულ.); 6. წმინდა ბზე (კახ.); 7. სიმინდის მარცვლის კანი (აჭარ.) (13, I, გვ. 87).

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალების მიხედვით ჩანს, მხოლოდ ლეჩხუმურ კილოს შემოუნახავს ბრე სიტყვის ის მნიშვნელობა, რომლითაც მას ეფრემი იყენებს: „მარცვლის ბუდე", ანუ „საბურველი მარცულისაჲ" (როგორც ეფრემ მცირე იტყოდა). სხვა დიალექტებში ამ სიტყვას მეტ-ნაკლებად შეუცვლია მნიშვნელობა. ისიც ჩანს, რომ საბასეული განმარტება მთლად ზუსტი არ არის.

ჩელხი სიტყვა დიალექტებში აღნიშნავს: 1. ხვავის გაულეწავ თავთავებს, რომლებიც განიავებისას ზემოდან ეყრება (ქიზიყ.); 2. ხორბლის გალეწვის შემდეგ დარჩენილ ნალეწს (ჯავახ.) (13, II, გვ. 268).

ზოგი ქართული სიტყვა არის ახსნილი A-684 ხელნაწერში (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა ეფრემ მცირისეული თარგმანი XI ს.):

აღწსნა უწოდს თარგმანებით განმარტებასა, რომელ არს გამოცხადებაჲ ძალსა სიტყუათა დაფარულებისასა (77 r, არშიაზე);

ყნოსითა ჰაერისაჲთა, ანუ ჰაერსა შინა ფშჳნვითა, ცხოველ იყვნეს (95 v, არშიაზე);

თუ რაჲ არს მღდელთა დასი, რომელ არიან ხუცესნი (159 r, არშიაზე).

ზემოთ მოყვანილ ფრაზებში ქართული სიტყვები ქართული ლექსიკური ერთეულების მოშველიებით არის განმარტებული. ერთგან ქართული სიტყვის ასახსნელად უცხო (ბერძნული) სიტყვა არის მოხმობილი:

თუ რაჲ არს მსახურთა დასი, ესე იგი არს, დიაკონთაჲ (159 r, არშიაზე).

A-162 ხელნაწერში ახსნილია რქა სიტყვის ზოგი მნიშვნელობა:

მართლჩაზიდულსა მას ასოსა წერილთასა იოტაჲ ეწოდების, ხოლო ზედა კერძო წარზიდულსა

მას მგუარდლ და იგურდივ რჭად სახელ-ედების (178 v, 37 b — 179 r, 3 a).

როგორც ვხედავთ, იოტა და რჭა ასოს ელემენტებად ითვლება. სულხან-საბას სიტყვის კონაში წარმოდგენილი განმარტების (სვ. 270) წყარო, როგორც ჩანს, ეფრემ მცირის ეს შენიშვნა არის.

ლექსიკონთათვის უცნობია რჭა სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა, რომელსაც ეფრემ მცირის სხვა საყურადღებო შენიშვნიდან ვიგებთ:

შეშაჲ იგი, რომელი აფრისა ძელსა იგურდივ დამოეკიდების. რომელსაცა-იგი ზედა აფრაჲ განემარტების, რჭად უწოდენ (179 r, 4—7 a).

შურობაჲ და შური სიტყვები ახსნილია A-390 ხელნაწერში:

შურობაჲ ესრეთ განიყოფების შურისაგან, რამეთუ შურობაჲ ოდესმე ამისთჳსცა იყვის, რამეთუ მისთჳსცა შურობნ და თჳთცა უნებნ, რასა-იგი შურობნ, ხოლო შური ესე არს, რაჟამს არცა თჳთ უნდეს და არცა სხჳსა ჭონებად მისსა თავს-იდებდეს (33 v, 29 a — 5 b).

ამავე ხელნაწერში განმარტებულია შეზმნილ სიტყვა:

ყოველსავე შინა შეზმნილ, ესე იგი არს, წურთილ და განსწავლულ არს (86 v, 31—33 b).

იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანში ზოგი ქართული სიტყვის ახსნა დასტურდება. A-24 ხელნაწერის 48 r-ს არშიაზე შემდეგი შენიშვნა არის:

ნამდულევობაჲ ჰეშმარიტად გამოითარგმანებისა.

სხვაგან ნაწარმოებში იკითხება:

ხოლო სახენი გულისწყრომისანი არიან: პირველად რისხვაჲ, რომელსა ეწოდების ნავღულვა და განრისხება, და მეორე არს ბორგაჲ (67 v a—67 v b).

არშიაზე ამ ადგილთან დაკავშირებით სწერია:

საცნაურ იყავნ, ვითარმედ: ვითარ-იგი ჩუენ წყრომასა კაცისასა განმწარებად უწოდთ, ეგრეთვე ბერძენნი ნავღულითად სახელ-სდებენ.

ფრიად საინტერესოა ეფრემ მცირის შენიშვნა, რომელიც დასტურდება მის მიერ თარგმნილ გრიგოლი ღმრთისმეტყველის თხზულებაში „ქრისტეს შობისათჳს“:

ჯურთით ცემაჲ არს: მჯიღი მიმოქცევითა თითთაჲთა ძლიერად ტკივნებისა შემძლებელი, რომელსა სოფლიონი ჭურჭ უწოდიან (Jer.-15, (XI ს.), 21 r).

ოთხთავის XIII საუკუნის ხელნაწერში (A-1459) გადამწერს აუხსნია ვაშკარან და ბალანტ სიტყვები:

ვაშკარანი საბელთა ჰქვან, ხოლო ბალანტი ტომარასა (64 v).

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ჰასაკი||ასაკი იხმარება ორი ძირითადი მნიშვნელობით: 1. წლოვანება; 2. სიმაღლე (2, გვ. 576). აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხორება სერაპიონ ზარზმელისა“ ასაკ სიტყვას ძალის მნიშვნელობითაც ვადასტურებთ, რასაც სპეციალურად გახაზავს ავტორის — ბასილი ზარზმელის — განმარტება:

მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჰაბუკსა ასაკითა, რომელ არს ძალითა (აგ. ძეგლ. I, 328, 6—7).

A-1115 ხელნაწერში საინტერესო შენიშვნაა ჰიჰნაურ სიტყვასთან დაკავშირებით. ძირითად ტექსტში იკითხება:

„მდიდარაი მოიღებენ ჰიჰნაურსა, ხოლო ქურივი მატყლსა შეღებულსა“ (153 v, 28—31 a).

არშიაზე სწერია:

შეისწავე, მდიდარაი ახალმოპოვნებულად დედლად სიტყუად, რამეთუ დედაკაცი არს, მომღებელი ჰიჰნაურისაჲ, ხოლო ჰიჰნაური მამასა ეფთვმეს აბრეშუმისა სახელად მოუპოებია (153 v).

საინტერესოა, რომ ჰიჰნაური გვხვდება აგრეთვე A-92 ხელნაწერში, რომელიც შეიცავს ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმნილ თხზულებას: „წყლულებისა მისთჳს სეტყუსაგან მოწევნულისა ქუეყანასა ზედა“:

ეფუფუნებდეთ სამოსლითა და თხელითა, ქსოჭლითა სელისაგან და აბრეშუმისა, ზეზითა და ჰიჰნაურითა (163 r).

სულხან-საბას ლექსიკონში ნათქვამია:

ჰიჰნაური (16, 13 ეზეკი) აბრეშუმი.

A-689 (ასკეტიკონი, ეფრემ მცირის თარგმანი, გადაწერილია XII ს-ში) ხელნაწერის ძირითად ტექსტში იკითხება:

რომელი არა ჩუენ ზედა არს, იგი ჩუენთჳს არს (მრ: 9, 45). ლ. 9, 50; 121 r, 29—30 b.

არშიაზე შენიშვნა არის გაკეთებული:

შეისწავე, ვითარმედ: რომელი არა ჩუენ ზედა ბრძოლად აღდგომილ იყოს, იგი ჩუენთჳს არსო, ესე იგი არს, თანაშემწე არს ჩუენი.

ცხადია, ზემოთ დამოწმებული უცხოური, თუ ქართული სიტყვების განმარტებანი ყოველთვის არაა ზუსტი. განსაკუთრებით დაუჯერებელია სიტყვათა ეტიმოლოგია. ხშირად სიტყვები ნებისმიერადაა დაშლილი და გააზრიანებული. მაგრამ, ვფიქრობთ, არსებითი ეს კი არ არის, არამედ ის,

რომ ეს განმარტებები ქართული ენათმეცნიერული აზრის გარკვეული დონის მაუწყებელია და არც ისე იშვიათად გვეძლევა საყურადღებო (ზოგ შემთხვევაში უნიკალური) ინფორმაცია ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

წიგნური და სოფლური

ჩვენი მწერლები და მეცნიერები უკვე XI—XII საუკუნეებში სვამენ საკითხს სალიტერატურო ენის სიწმინდის შესახებ, სალიტერატურო („წიგნური") და არასალიტერატურო („სოფლური") ფორმების ურთიერთმიმართების შესახებ.

ეფრემ მცირის საინტერესო შენიშვნა დაერთვის მის მიერვე თარგმნილ გრიგოლი ღმრთისმეტყველის თხზულებას „ქრისტეს შობისათჳს" (Jer.-15 (XI ს.). ერთ ადგილას ამ ნაწარმოების ტექსტში გვაქვს:

მიითუალევდ ყურიმლის-ცემათა და ჴ უ რ თ ი თ ც ე მ ა ს ა. არშიაზე ეფრემის შენიშვნა არის:

ჴ უ რ თ ი თ ც ე მ ა ჲ ა რ ს: მ ჴ ი ღ ი მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს ა თ ი თ თ ა ჲ თ ა ძ ლ ი ე რ ა დ ტ კ ი ვ ნ ე ბ ი ს ა შ ე მ ძ ლ ე ბ ე ლ ი, რ ო მ ე ლ ს ა ს ო ფ ლ ი ო ნ ი ჭ უ რ ჯ უ წ ო დ ი ა ნ (21 r).

რა თქმა უნდა, ეფრემი აქ მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ ჴ უ რ თ ი თ ც ე მ ას და არალიტერატურულ (დიალექტურ, ანუ, როგორც ეფრემი და მისი თანამედროვენი იტყოდნენ „ს ო ფ ლ უ რ") ფორმას: ქ უ რ ჯ ს.

იოანე დამასკელის „დიალექტიკის" ეფრემ მცირისეულ თარგმანში ვკითხულობთ:

ხოლო კუალად არიან მოკლენიცა სიტყუანი, ვითარცა აღმოთქმულნი გარნა, ვინაჲთგან არა აუწყებენ ბუნებასა საქმისასა, არა არიან იგინი განსაზღვრება, და კუალად სახელიცა მრავალგზის აუწყებს ბუნებასა წინამდებარისა საქმისასა, არამედ არცა იგი არს განსაზღვრება, რამეთუ სახელი ერთი ლ ე ქ ს ი ა რ ს, ხოლო განსაზღვრებაჲ სიტყუაჲ იგი თითოსახეთაგან უნდოთა ლექსთა შენაწევრებულ არს (A-24, 13 r b — 13 v a).

ლ ე ქ ს სიტყვასთან დაკავშირებით ეფრემი ამბობს:

შეისწავე, ვითარმედ ლ ე ქ ს ი ღ რ მ ა ს ა ს ი ტ ყ უ ა ს ა ჰ ქ ჳ ა ნ წ ი გ ნ უ რ ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ს ო ფ ლ უ რ ა დ ნ ა ც ვ ა ლ ი ს ხ უ ა ჲ ა ქ უ ნ დ ე ს და ესევითარსა მას სიტყუასა სომხურად ჭერაკანი ჰქჳან, ქართულად არა ვიცი (13 r).

ამ შემთხვევაშიც აშკარად არის ერთმანეთთან დაპირისპირებული „წ ი გ ნ უ რ ი" სიტყუა და „ს ო ფ ლ უ რ ი".

„ასკეტიკონის“ (A-689) ხელნაწერში ასეთი შენიშვნა გვხვდება:

შეისწავე, რამეთუ სახელსა ამას მედგარსა ორი სახე აქუს: წიგნურად მცონარესა უკმობს მედგარსა, ხოლო სოფლურად მზაკუარსა ჰქჳან მედგარი თჳთ ქართულსა ენასა ზედა (43 r).

აქ საყურადღებოა, რომ გახაზულია ერთი და იმავე სიტყვის ორი მნიშვნელობა, რომელთაგან ერთი წიგნურია (ე. ი. ლიტერატურული), ხოლო მეორე — სოფლური (ანუ დამახასიათებელი დიალექტისათვის, ან დიალექტთა ჯგუფისათვის).

ამავე ხელნაწერის 73 r-ს არშიაზე წარმოდგენილია შენიშვნა, რომელშიაც ვკითხულობთ:

შეისწავე, რამეთუ ამას ადგილსა სახარებისასა, ვითარმედ: „მონაო ბოროტო და მედგარო“, „მცონარებისა“ წილ თქუმულ არს „მედგრობაჲ“, დაღათუ რომელთამე ადგილთა „მედგარი“ „მზაკუარად“ გულისჴმა-იყოფების, უფროჲსღა ლიტონსა საუბარსა შინა.

ამ შემთხვევაში კიდევ უფრო თვალსაჩინოა ეფრემის შენიშვნის აზრი. იგი გარკვევით გვეუბნება, რომ მედგარი მზაკვარს უპირატესად ლიტონ საუბარში, ანუ დიალექტურ (ცოცხალ) მეტყველებაში აღნიშნავსო.

ეფრემისეულ შენიშვნებს უნდა ემყარებოდეს სულხან-საბას ლექსიკონში წარმოდგენილი განმარტება:

მედგარი მსოფლიოჲთა ენითა მზაკვარად ითქმის, რომელმან ჴერჴითა დააკუმთის მორკინალი თჳსი მიწასა ზედა ძლიერად (სვ. 370).

ამ თხზულების ერთ ადგილას საუბარია ტჯრთვა და აღება ლექსემათა ურთიერთმიმართების შესახებ. ეფრემი მიუთითებს, რომ ტჯრთვაჲ დიალექტურ მეტყველებაში იხმარება აღების მნიშვნელობით:

„ტჯრთვაჲ“ ნაცვალად „აღებისა“ ჩუჱულ არს ჴუმევად მსოფლელთაგანცა, ვითარცა მე მრავალგზის მრავალთაგან მასმიეს (90 r, 28—30 a).

ამავე ხელნაწერში სხვაგან იკითხება:

როსოჲ არს ქალაქი კილისელთაჲ (228 r, 34 a).

არშიაზე ასეთი შენიშვნაა:

შეისწავე, რამეთუ რომელსა სოფლურად არასუს უწოდიან, მას წიგნურად როსო უწოდიან (228 r).

საინტერესოა რაკა სიტყვასთან დაკავშირებული ადგილი:

კითხვაჲ: რაჲ არს რაკა? მიგებაჲ: სიტყუაჲ სოფ-

ლიოდ, უმშვდესადრე საგინებელად უთჳსეთა მიმართ მოპოვნებული (69 v, 20—23 a).

აშკარად არის ნათქვამი, რომ რაკა სოფლური (დიალექტური, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი) ერთეულია.

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში ეფრემ მცირე სოფლურ სიტყვას უშუერის სინონიმად მიიჩნევს:

გარნა უწყითმცა, თუ რომელთა წიგნთაჲ ეგების კაზმვაჲ, ანუ რომელთაჲ უღონოჲ არს, რამეთუ იპოოს თუ „ცხორებაჲ“, ანუ „წამებაჲ“, ანუ რაჲცა-რაჲ ჰამბავი, გინა მოთხრობაჲ სოფლურითა და უშუერითა სიტყჳთა აღწერილი, მას სიტყჳთ განაშუენებენ, გარდაჰკაზმენ და მეტაფრას უწოდენ, რომელ არს გარდაკაზმული (A-24 3 va).

სოფლური, უშუერი, ეფრემ მცირის აზრით, უპირისპირდება განშუენებულს, გარდაკაზმულს (ანუ ლიტერატურულს).

ეფრემ მცირე სოფლური, უშუერი სიტყვების გვერდით ამავე მნიშვნელობით ხმარობს ლიტონ სიტყვასაც:

ხოლო წმიდათა თქუმულსა და მართლმადიდებელთა მამათა აღწერილსა ვერვინ იკადრებს შეხებად, ვითარცა წმიდასა სახარებასა და ებისტოლეთა პავლე მოციქულისათა, რაოდენმცა ლიტონითა სიტყჳთა აღწერილ იყო, ბრძენთა და მართლმადიდებელთაგანი ვერვინ შეეხების (3 va — 3 vb: იხ. აგრეთვე ზემოთ).

ამგვარი გამონათქვამები, ცხადია, თავისთავად მიგვითითებენ სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების დაპირისპირებაზე. ამავე დროს ისინი იმასაც მოწმობენ, რომ დიალექტიზმებს (ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს) სალიტერატურო ენაშიც უნდა ეჩინათ თავი და სალიტერატურო ენის ნორმათათვის რამდენადმე საფუძველიც შეერყიათ. იმის გამო, რომ არ გაგვაჩნია ქართული ენის დიალექტთა ადრეული ჩანაწერები, დღეს თითქმის შეუძლებელია იმის მტკიცება, თუ რომელი დიალექტის (თუ დიალექტთა წრის) კუთვნილებაა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული ესა თუ ის ფორმა. სამწუხაროდ, ძველი ქართული კულტურის მოღვაწეები ძალიან იშვიათად მიუთითებდნენ თავიანთი წარმომავლობის შესახებ. ზოგიერთი ცნობა შემოინახეს ძველ ხელნაწერთა მინაწერებმა. მაგალითად, H-1741 (ოთხთავი, 1048 წ.) ხელნაწერის გადამწერის ანდერძში ნათქვამია:

დაიწერა წმიდასა ადგილსა გესამანიას, საფლავსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, დედისაგან საბაწმიდისა, განგებასა ზედა ბერძნულსა, დი-

ად ხარკებითა ჴელითა საწყალობელისა მიქაელ მწირისა მცხეთისავე მიწისაგან (297 r).

როგორც ჩანს, Jer.-43 (ბასილი დიდის ეპიტაფია და გრიგოლი ღმრთისმეტყველის ჰომილიები, XII—XIII სს.) გადაუწერია მესხს — — ეფრემ საფარის წინამძღვარს:

წარმოვგზავნე წმიდაჲ ესე წიგნი გრიგოლის ღმრთისმეტყუელისა მიერ თქუმული მე, მესხმან აზნაურმან არყისციხელმან გაბამან. აღწერა წიგნი ესე მამისბიძამან ჩემმან, საფარის წინამძღუარმან ეფრემმან (306 r).

ზოგ შემთხვევაში ბეგლებში არის სპეციალური მითითება ამა თუ იმ ფორმის სადაურობის შესახებ. ეს ცნობები რამდენადმე მაინც გვეხმარება მათი გავრცელების არეალის დადგენაში.

პირველ რიგში აქ უნდა მოვიხსენიოთ „ანდრია სალოსის ცხოვრების“ ერთი ხელნაწერის (H-1345, XI—XII სს.) ანდერძი, რომელშიც ნათქვამია:

ღმერთმან უწყის, რაჲცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგად თქმასა და სიმართლესა დია მოვიჩირე, მაგრა დედაჲ ოდიშს დაწერილი იყო და სიტყუასა სცვალებდა (201 r—201 v).

რა თქმა უნდა, გამონათქვამი „სიტყუასა სცვალებდა“ მიუთითებს, რომ იმ დედანში, რომელიც გადასაწერად მისცეს „ანდრია სალოსის ცხოვრების“ გადამწერს, დასავლური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები დასტურდებოდა, რაც ეუცხოებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველებაზე ყურმიჩეულ მწერალს.

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ამავე ხელნაწერის 139 v-ს არშიაზე გადამწერს ძირითადი ტექსტიდან გამოუტანია ბარე სიტყვა და მიუწერია: ბ[ა]რე [ი]მერულია. სამწუხაროდ, გადამწერი ხშირად უშვებს შეცდომებს ამა თუ იმ სიტყვის დაწერისას, ამიტომ ძნელი არის, გადაჭრით ვამტკიცოთ, მას „იმერულია“ სურდა დაეწერა, თუ „მეგრულია“. აშკარა ის არის, რომ გადამწერი გულისხმობდა დასავლურ ქართულ მეტყველებას.

ჩვენ, რასაკვირველია, სრული უფლება გვაქვს, არ გავიზიაროთ გადამწერის აზრი იმის თაობაზე, რომ ბარე დასავლურ ქართული იყოს, მაგრამ არსებითი მაინც ისაა, რომ გადამწერი საჭიროდ თვლის, მიუთითოს ამა თუ იმ, მისი აზრით, დიალექტური მოვლენის სადაურობა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ გადამწერს ძეგლში აღმოსავლურ დიალექტთათვის დამახასიათებელი არაერთი ფორმა შეუტანია. ორიოდე ნიმუში:

არცა სომს 14 v; ესო და ვიხარებდე 129 v; მან მრქო 30 v;

იყუნეს ხენი დიდმწუანვილოვანნი და ყოვილნი ფერად-ფერადნი 34 v; მან დამწყივა; ოდეს ჩამამკიდეს 179 v და სხვ.

ეფრემ მცირე, ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, მესხი .იყო. ილია აბულაძე ამის დამადასტურებლად მიიჩნევს ეფრემ მცირის შენიშვნას, რომელიც ერთვის მის მიერ ქართულად გადმოღებულ სამოციქულოს თარგმანებას:

შეისწავე, რამეთუ ამას სჯნოღოროსსა, რომელ არს თანამოსარჩლე, მესხთა მიერ ვარჭირი ჰქვან, მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა (1,' გვ. 012—013).

მკვლევარი დაასკვნის: „ცხადია, ეფრემი მესხურ მეტყველებას იმიტომ მიმართავს, რომ ის თვითონ მესხია“ (იქვე). ეს სწორი ჩანს.

სხვა დიალექტური ფორმები ზემოთ განვიხილეთ და ამიტომ მათ აქ აღარ შეეხებით.

ძველი მწერლები სიტყვათა და გრამატიკულ ფორმათა შესახებ

უფუოდ საყურადღებოა ძველ ქართველ მწერალთა და მთარგმნელთა მოსაზრებანი ამა თუ იმ სიტყვისა, თუ ფრაზის შესახებ.

ერთ-ერთი ძველი ქართული ხელნაწერის (A-689) ძირითად ტექსტში იკითხება:

მოხუცებული რჩეულსა დედოფალსა და შვილთა მისთა, რომელნი მიყუარან მე.

დედოფალ სიტყვასთან დაკავშირებით არშიაზე შენიშვნა არიხ გაკეთებული:

შეისწავე, ვითარმედ: სადა დედოფალი არს, ა(რს) დეოფალი, ხოლო ქართულად უშუერებისათჳს სიტყჳსა ნაცვალად დეოფლისა დედოფალსა დავსწერთ, რომელი საკუთრად სამეუფოჲ სახელი არს (269 v).

ეს შენიშვნა მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას: კომენტატორი ერთმანეთისაგან განარჩევს დედოფალს (Царица) და დეოფალს (ქალბატონს, ქალს, ოღონდ არა სამეფო კარის წარმომადგენელს). ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთარგმნელს უნდა დაეწერა დეოფალი და ფრაზა ასე უნდა ყოფილიყო: „მოხუცებული რჩეულსა დეოფალსა და შვილთა მისთა“, მაგრამ მთარგმნელმა დაწერა დედოფალი, რომ თავიდან აეცილებინა „უშუერებაჲ სიტყჳსაჲ“. აქ აშკარად ჩანს, რომ ზოგჯერ სიტყვათა შერჩევას ეწირება ის მნიშვნელობები, რაც სიტყვებს მიეწერება, მთარგმნელის, კომენტატორის აზრით, ნეიტრალურ მეტყველებაში.

A-52 ხელნაწერში ხაზგასმულია სიმკაცრე ლექსისაჲ: განიცადე სიმკაცრეცა ლექსისაჲ, რავდენნი მოვიდესო, თქუა (77 v, 14—15).

კიდევ უფრო აშკარად არის გახაზული მთარგმნელის დამოკიდებულება სიტყვათა შერჩევასთან დაკავშირებით ამავე ძეგლში სხვა ადგილას: არა თქუა: რაოდენიცა გნებავს, ჰყოფ, არამედ: რაოდენიცა ითხოო, მოგცეს შენ, ხოლო იგი დამარღუმველი ეგევითარისა მის გულისზრახვისა მისისაჲ, აღდგესო, — ეტყჳს, — ძმაჲ შენი, რამეთუ არა ჰრქუა მას, ვითარმედ: ვსთხოო ღმერთსა და მომცეს მე, არცა თანაურბიოდა სიტყუასა მისსა, არამედ საშუალი იკუმია ლექსი (86 r, 5—9).

Jer.-6 ხელნაწერში გარჩეულია აღსრულებული და განსრულებული (აღსრულებ'ული ძველ ქართულში მიცვალებულის მნიშვნელობითაც იხმარება). გადამწერი არჩევს განსრულებულს, როგორც ამ მნიშვნელობით ხმარებისას უფრო მისაღებს:

ხოლო სულებსა მართალთასა ამისთჳს უწოდს არა აღსრულებულად, არამედ, ვითარ-იგი უსაკუთრეს არს, განსრულებულად (48 r, 26—30 b).

საინტერესო მსჯელობაა რაკა სიტყვასთან დაკავშირებით Jer.-12 ხელნაწერში:

ხოლო სიტყუაჲ ესე რაკა არა გინებაჲ არს, არამედ შეურაცხება, რამეთუ ესრეთ გამოითარგმანების ასურასტანელთა ენისაგან რაკა: „ჵ, შენო", რომელ-ესე არს შეურაცხებისა სიტყუაჲ, ვითარცა-ვინ ჰრქჳს მონასა თჳსსა. ხოლო კაცთმოყუარემ ღმერთი ყოელისაჲე ბოროტისა დასაბამსა და ძირსა აღმოფხურის, რაჲთა არა უძჳრსსიცა მოვიდეს, და გჳბრძანებს, რაჲთა ურთიერთას არა შეურაცხებით, არამედ პატივით ვეტყოდით, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: პატივითა ურთიერთსა უსწრობდით, რამეთუ ესე არს წესი იგი სულიერი (221 v, 10—19).

როგორც ვხედავთ, შენობით მიმართვა (ჵ შენ) მთარგმნელს მიაჩნია დამამცირებლად („ვითარცა-ვინ ჰრქჳს მონასა თჳსსა").

რაკა სიტყვასთან დაკავშირებით A-689 ხელნაწერში ნათქვამია: კითხვაჲ: რაჲ არს რაკა? მიგებაჲ: სიტყუაჲ სოფლიოჲ, უმშჯდესადრე საგინებელად უთჳსესთა მიმართ მოპოვნებული (69 v, 20—23 a).

აქ ნათქვამია, რომ რაკა არის სოფლური (დიალექტური, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი) ფორმა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ უახლოეს პირთა „უმშჯდესადრე საგინებე-

ლად". აქ წარმოდგენილი განმარტება კარგად ეგუება Jer.-12 ხელნაწერის ზემოთ განხილულ ადგილს.

საბას ლექსიკონში ნათქვამია: რაკა (5, 22 მათე) ასურულითა ენითა ვაჲ შენ, გინა სანერწყუღლი (სვ. 530) (შდრ.: ზემოთ).

Jer.-6 ხელნაწერში იკითხება:

გუსურის კაცად-კაცადისა თქუენისა, რაჲთა მასვე აჩუენებდეთ მოსწრაფებასა გულსავსებისა მის მიმართ სასოებისა ვიდრე აღსასრულადმდე, რაჲთა არა მოჰმედგრდეთ" (21 v).

გუსურის ზმნა აქ იხმარება მხოლობითი რიცხვის მნიშვნელობით. საყურადღებო ისიც არის, რომ მთარგმნელი განარჩევს გუსურის და მნებავს ფორმებს და უპირატესობას პირველს ანიჭებს:

არა იტყჳს: მნებავს, არამედ, რომელი-იგი უსაყუარლესი არს ამისსა და მშობლებრი, ვითარმედ: გუსურის (21 v, 6—10 b).

Jer.-32 ხელნაწერში ყურადღება მახვილდება აგრეთვე მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმის მხოლობითის მნიშვნელობით გამოყენებაზე:

არა იტყჳს, თუ მრწმენა, არამედ გურწმენაო (71 r, 25 b).

Jer.-12 ხელნაწერის ტექსტში საინტერესო მსჯელობა არის წარმოდგენილი ოთხთავის ერთ ადგილთან (მ. 6, 14; 6, 18) დაკავშირებით:

და მა(მა)ჲ შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

მთარგმნელი ერთმანეთისაგან განარჩევს მოგაგოს („გადაგიხდის") და მოგანიჭოს („მოგცემს, დაგასაჩუქრებს") ზმნურ ფორმებს:

არა თქუა, თუ მოგანიჭოს შენ, არამედ მოგაგოსო, რამეთუ თანამდებად შენდა ჰყოფს თავსა თჳსსა ღმერთი, ვითარმცა მიეღო რაჲმე შენგან და თანაედვამცა ნაცვალისა მოგებად (260 r, 5 — 6).

Jer.-9 ხელნაწერში ერთმანეთთან არის დაპირისპირებული მიღუწიეს, მიქადაგებიეს, ჰირნი შემმთხუევიან, ერთი მხრივ, რომორც თავის გამოსაჩენი, და დაშუერ, მეორე მხრივ, როგორც თავმდაბლური:

ამას თანა არა იტყჳს, ვითარმედ: უფროჲს ყოველთასა მიღუწიეს, ანუ მიქადაგებიეს, ანუ ჰირნი შემმთხუევიან, არამედ უფროჲს მათ ყოველთასა დაშუერ, რომელი-ესე უმცირეს არს ზემოთქმულთა ამათ სიტყუათასა (29 r, 1—7 b).

Jer.-22 ხელნაწერში ერთმანეთს უპირისპირდება გარდავიდოდა (საიქეთო ორიენტაცია) და გარდამოვიდოდა (სააქეთო ორიენტაცია) ფორმები:

იხილე, ვითარ არა თქუა, ვითარმედ: გარდავიდოდა, არამედ

გარდამოვიდოდა იერიქოდ, რამეთუ კაცობრივი დიდებაჲ მარადის ქუენათა მიმართ ხედვიდა (90 r, 28—33 a).

ეს შენიშვნა შეეხება ოთხთავის ერთ ადგილს (ლ. 10, 30):

კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერიქოდ.

ცხადია, ბერძნულში ამ შემთხვევაში საიქეთო და საქეთო ორიენტაციის ფორმები არ განირჩევა.

ვფიქრობთ, ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ A-52 ხელნაწერში ტექსტის გადაწერის შემდგომ ზოგი სიტყვა არ მოსწონებია, საფიქრებელია, რედაქტორს და ზემოდან დაუწერია, მისი აზრით, უკეთესი ლექსიკური ერთეული:

123 r, 10: აჰა, აწ კადნიერებით იტყჳ. იტყჳ სიტყვის ზემოთ სწერია უბნობ (შდრ.: ჩუენ, მოუბნარნი ყრმათანი, 124 r, 27).

125 r, 1: აწ უპატიჳ-ქმნილი, განჯუარული. ამ უკანასკნელ სიტყვას აწერია: ჯუარ-ცუმული.

129 r, 7: საშუალსა ღამეთასა გზისპოვნიერობს. ამ სიტყვას აწერია: მოგზაურობს.

140 v, 27: „ხოლო მათ ... მიაახლეს პირსა მისსა". მიაახლეს სიტყვის ზემოთ დაწერილია მოართუეს.

როგორც ვხედავთ, ცვლილება უმთავრესად ხელოვნურ ფორმებს (განჯუარული, გზისპოვნიერობს ...) შეჰხებია.

საგულისხმოა ამ ხელნაწერის კიდევ ერთი ადგილი:

ცნა, აგრძნა უკუე იესუ (121 v, 11).

გადამწერს ტექსტი არ შეუცვლია, მაგრამ არშიაზე გაუკეთებია შენიშვნა:

ცნა აგრძნაჲსა ნაცვალია. შენ, რომელიცა გინდეს, იგიცა დაწერე, ორივე არ უნდა.

აქ აშკარად არის მითითებული, რომ ცნა და აგრძნა სინონიმებია (ძველ ქართულ ენაში სინონიმთა ამგვარი ხმარება ხშირია. ეს მოვლენა შესწავლილი აქვს შ. ძიძიგურს (23). ჩვენს გადამწერს არ მოსწონს სინონიმური პარალელიზმი და აფრთხილებს სხვა გადამწერებს, ერთი სიტყვა (ცნა, ან აგრძნა) დაწერონ.

ზოგი ენათმეცნიერული ტერმინის ისტორიისათვის

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება ტერმინები: ასო, ანბანი, მარცუალი, სიტყუაჲ, წერტილი ... გვხვდება ცალკეულ ასოთა სახელებიც (ანი, ბანი, ონი, ნარი, პარი, ფარი, ქანი, წილი და მისთ.). ზოგჯერ ეს ტერმინები და

ასოთა სახელწოდებანი გვხვდება უცხოენოვანი (ბერძნული, ებრაული...) სიტყვების შესახებ მსჯელობისას, მაგრამ ამას, ვფიქრობთ, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

H-1345 ხელნაწერში ვკითხულობთ:

მაშინ აღდგეს სხუაჲ მეფე ქუეყანით ეთიოპით, რომელ არს ნუბეთი, და სახელი მისი არს პირველსა ზედა ა ს ო ს ა ა ნ ბ ა ნ ი ს ა ს ა, რომელ არს ა ნ ი (168 r; იხ. აგრეთვე Jer.-33, 112 r).

ტერმინები ა ნ ბ ა ნ ი, ა ს ო გვხვდება პარიზულ (Par.-5, XI ს.) ხელნაწერში:

ესე ორივე ხუცდრნი ერთგან მეხუთისა შჯდეულისა ხუთშაბათსა სტიქარონნი სინანულისანი მწუხრი უწინარეს დიდთა გალობათასა ბერძულსა ა ნ ბ ა ნ ს ა ზედა ჩავლენ, ვითარ-ესე თითოეულისა მუკლისადა თანადაგჳსუამს ა ს ო ჲ თ ჳ ს ა (237 r, 7—10).

„გარდამოცემის" ტექსტში დასტურდება ა ნ ბ ა ნ ი, ა ს ო:

ოცდაორ არიან წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი რიცხჳსაებრ ებრაელთა ა ნ ბ ნ ი ს ა ა ს ო თ ა ჲ ს ა, რამეთუ ა ნ ბ ა ნ ი ც ა მათი ოცდაორი ა ს ო ჲ არს და ამათ ოცდაორთა ა ს ო თ ა გ ა ნ ნ ი ხუთნი მ რ ჩ ო ბ ლ იქმნებიან, რაჲთა ესრეთ ოცდაორნი იგი ოცდაშჳდ იქმნენ. ხოლო მრჩობლ ა ს ო თ ა მათგან ესე არიან: ჴაფ, მემ, სჳნ, ფინ, სადა (125 v b).

იმავე გვერდზე იკითხება:

რაჲთა ამათ მიერ სრულ იქმნენ ოცდაორნი წიგნნი შესწორებულად ოცაორთა მათ ა ს ო თ ა ებრაულისა ა ნ ბ ნ ი ს ა თ ა.

A-484 ხელნაწერში გვხვდება ა ს ო მ თ ა ვ ა რ ი:

და ყ ო ვ ე ლ ი ა ს ო მ თ ა ვ ა რ ი, ოქრომელნითა დაწერილი (315).

A-684 ხელნაწერში იკითხება:

ა ს ო თ ა და მ ა რ ც უ ა ლ თ ა და ს ი ტ ყ უ ა თ ა დაწერილთა ვიჯუმეთ გრძნობადთათჳს (35 r, 16—18).

ეფთჳმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულების „ახუსებისათჳს" ტექსტში (A-1, XI ს.) დასტურდება ქართულ ასოთა სახელწოდებანი: ფ ა რ ი, პ ა რ ი, კ ა ნ ი, ჭ ა ნ ი:

პასექსა მას დიდსა და პატიოსანსა ფ ა ს ე კ ი ეწოდების ებრაელთა ენითა, ხოლო გამოითარგმანების გ ა მ ო ს ლ ვ ა დ და მოასწავებს ცხადად ეგჳპტით გამოსლვასა და ქუეყანად ქანანისად მისლვასა, ხოლო სულიერად დაფარულად ქუეყანისა საქმეთაგან განსლვასა და ზეცას მისლვასა, ქვეყანასა მას მართალთასა და წმიდათათჳს განმზადებულსა.

ხოლო ვითარცა მრავალი სიტყუაჲ წერილისაჲ შეიცვალა დაფარულისაგან უცხადესისა მიმართ, ეგრეთვე ესე იქმნა, რამეთუ ვიეთმე სახელად ცხოველს-მყოფელისა ენებისა ჰგონეს ესე და ამისთჳს გამოსთარგმანებდეს რაჲ ბერძულისა ენისა მომართ, შეცვალეს ფ ა რ ი იგი პ ა რ ა დ

და კანი ქანად და პასექი უწოდეს, რომელ გამოითარგმანების ენებად (45, 19—46, 7).

ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე მსჯელობა ებრაული ფასეკ და ბერძნული პასექ ფორმათა ურთიერთობის შესახებ.

ბერძნულ ენაში მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებებს შეეხება კიდევ ერთი ცნობა, რომელიც შემონახულია Jer.-16 ხელნაწერში:

ესრეთ იტყჳან, ვითარმედ ფერონისგან აღშენებულ არს და მოსახელედ მისსა ბერიად წოდებულ არს, რამეთუ ესე ჩუჱულებაჲ არს გარეშეთა სიბრძნისაჲ, რაჲთა ცვალნენ ასონი და ფერონს ვერონ უწოდონ და ფილიპოს(ს) ვილიპპოს, ხოლო ვიეთნიმე ესრეთ იტყჳან, ვითარმედ ვერია ეწოდების ქალაქსა მას მოსახელედ ვერიაჲსსა (133 v, 16 a — 133 v, 1 b).

ანი გვხვდება „იოვანეს გამოცხადების“ ტექსტშიც:

მე ვარ ანი და ჳ (1, 8).

„ნოველებში“ იხმარება ონი:

. და იხილა, რამეთუ ონსა დასუმიდა, ნოვ. II, 229, 22—23; პოეა, რამეთუ ონისა დაეწყო, რაჲთამცა დასუა, და არღარა მოავლო ქალაქი (A-1105 326 r).

წილ-ქანი (წილ-ი+ქან-ი) გვაქვს A-38 ხელნაწერში (ფსალმუნნი, XI ს.-ის დასაწყისი):

მუნ წითლითა წილქანი ზის.

ნარი გვხვდება ზოგ წერილობით ძეგლში:

ჰრქუა უკუე სხუათა თანა მათ ესეცა, ვითარმედ დადგერით ჩემ შორის. და, აჰა, დაიცევეს ესე მცნებაჲ, დაადგრეს, რამეთუ ვინაიცა სიტყუაჲ მამისაჲ დაიცევეს. და აწ ცნეს, ვითარმედ ყოველნი, რაოდენნი მომცენ მე, შენ მიერ არიან. ვიეთნიმე თჳნიერ ნარისა აღმოიკითხვენ, ვითარმედ: „აწ ვცან“ და იტყჳან, ვითარმედ უფალი იტყჳს: „აწ ვცანო მე“, გარნა არა აქუს ამას სიტყუაჲ, რამეთუ ნარისა თანა ჯერ-არს აღმოკითხვაჲ: „აწ ცნესო მოწაფეთა ჩემთა. ჴმობს, ვითარმედ: არარაჲ მაქუს თჳსი, არცა უცხოჲ ვარ შენგან (A-52 125 r — 125 v);

ბუნებისა უკუე არს თჳს და საკუთარ. რაჟამს სთქუა: აგენიტონ და გენიტონ, ერთითა ნარითა დაწერილი, რომელი-ესე საცნაურ-ჰყოფს „აგებულსა“ და „აუგებელსა“, ხოლო აგენიტონ და გენიტონ არა ბუნებისა, არამედ გუამისა სახელი არს, რომელი-ესე ცხად-ჰყოფს „შობილსა“ და „უშობელსა“, რაჟამს ორითა ნარითა დაწერილ იყოს (A-24 110 v a—b).

საინტერესოა მთარგმნელის შენიშვნა, რომელიც წარმოდგენილია არშიაზე:

ამათ სიტყუათა ბერძულად დაწერისა მიზეზი ესე არს, რამეთუ

ბერძენთა ოდენ ენითა მსგავს არიან სიტყუანი ესე: „აგებული“ და „შობილი“. და „აგებულსა“ „გენიტონ“ ჰქჳან, რაჟამს ერთითა ნარითა დაიწეროს, ხოლო რაჟამს ორითა ნარითა დაიწეროს, ვითარმედ: „გენნიტონ“, მაშინ „შობილად“ გამოითარგმანების.

XI საუკუნის ხელნაწერში (A-92) არის საინტერესო გამონათქვამები პუნქტუაციის შესახებ. მაგალითად, ერთგან ნათქვამია სიტყვის (სიტყუაჲ აქ უდრის ფრაზას, წინადადებას) სასვენი ნიშნებით დაყოფის შესახებ:

ვითარ განიყოს სიტყუაჲ ესე წერტილითა (357).

იქვე გამოთქმულია აზრი პუნქტუაციისა და კითხვის ურთიერთმიმართების შესახებ:

აღიწერტოს რაჲ, მუნ განისუენოს მკითხველმან (357).

მრავალ ძველ ქართულ ხელნაწერში შემონახულია ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმნილი გრიგოლი ღმრთისმეტყველის თხზულება:

დღისა მისთჳს მეერგასისა, რომელ არს მარტჳლიაჲ, ოდეს-იგი მოვიდა სული წმიდაჲ მოწაფეთა ზედა და მოციქულთა ქრისტესთჳ. ეს ხელნაწერებია: A-92; A-1 (XI ს.); A-87 (XI ს.); A-80 (XIII ს.) და სხვა.

ამ თხზულებაში საუბარია, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული „საქმე მოციქულთას“ ერთი ადგილი (2, 2—4):

და იყო მეყსეულად ზეცით ოხრაჲ, ვითარცა მოწევნაჲ ქარისა სასტიკისაჲ, და აღავსო ყოველი იგი სახლი, სადა-იგი იყუნეს მსხდომარე. და ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი ვითარცა ცეცხლისანი, და დაადგრა თითოეულსა კაცად-კაცადსა მათსა. და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული წმიდაჲ მოსცემდა მათ.

ამ ადგილის სწორად გაგება მართებულად უკავშირდება ტექსტში სასვენი ნიშნების სწორ დასმას:

იყო რაჲ ჴმაჲ ესე, შეკრბა სიმრავლე ერისაჲ და შეშფოთნეს, რამეთუ ესმოდა თითოეულსა კაცად-კაცადსა მათსა თჳსი სიტყუაჲ, იტყოდეს რაჲ იგინი.

ამას ადგილსა ჯერ-არს პყრობაჲ სიტყჳსაჲ და გულისჴმის-ყოფაჲ, თუ ვითარ განიყოს სიტყუაჲ ესე წერტილითა. რამეთუ არს რაჲმე საეჭჳ მას შინა. გინა თუ ესრეთ ითქუას, ვითარმედ: „ესმოდა კაცად-კაცადსა თჳსი სიტყუაჲ“, ვითარმცა ვინ თქუა, თუ: ერთი ჴმაჲ გამოვიდოდა პირთა მათთაგან და მრავალნი ენანი ისმოდეს. და რაჲთა ესრეთ ვთქუა, ვითარმედ: ერთი იგი

ჯმაჲ მრავალჯმა იქმნებოდა. ანუ თუ „ესმოდა“ აღიწერტოს, რაჲთა მუნ განისუენოს მკითხველმან, და მერმეღა თქუას, ვითარმედ: „თჳსი სიტყუაჲ, იტყოდეს რაჲ იგინი“, რაჲთა იყოს ესრეთ, ვითარმედ: იტყოდეს თჳსსა სიტყუასა მსმენელთასა, ესე იგი არს, ენათა უცხოთა. რამეთუ ესრეთ უმჯობესად მიჩნს, რამეთუ პირველ იგი უფროჲსად მსმენელთაჲ არს საკჳრველი, ვიდრეღა მეტყუელთაჲ, ხოლო მეორე ესე მეტყუელთაჲ, რომელთა მბრვალობასაცა სწამებდეს, რამეთუ იგინი აჩუენებდეს სასწაულსა მას სულისა წმიდისასა (A-92 180 v—181 r; შდრ.: A-1 120 r—121 v; A-87 122 r; A-80 194 rb).

Jer.-15 (XIII ს.) ხელნაწერში შესულია გრიგოლი ღმრთისმეტყუელის თხზულების „ნათელთათჳს“ ეფრემ მცირისეული თარგმანი. ერთ ადგილას იკითხება:

მე მიკმს შენ მიერ ნათლის-ღებაჲ, შესძინე და შენთჳსცაჲ, რამეთუ უწყის წამებითა ნათლისღებადობაჲ, ანუ ვითარ პეტრე არა ფერჳით ხოლო განწმედილობაჲ, და შენ მოხუალ ჩემდა და ესეცა წინაწარმეტყუელებით. რამეთუ იცოდა, ვითარ-იგი შემდგომად ჰეროდესსა პილატეს ბორგნეულებაჲ, ეგრეთვე მისდა წინაწარსულისა ქრისტეს შედგომილებაჲ. რაჲმე იესუ? აცადე, აწ ესე არს განგებულებაჲ, რამეთუ უწყის, ვითარმედ შემდგომად მცირედისა მან ნათელ-სცეს ნათლისმცემელსა.

რაჲმე არს ნიჩაბი? — განწმედაჲ (88 r b).

არშიაზე რამდენიმე შენიშვნაა:

1) შესძინე და შენთჳსცა იოვანეს მიმართ არის წინამორბედისა, ხოლო მის შემდგომი მსმენელთა მიმართ: რამეთუ უწყის წამებითა ნათლისღებადობაჲ.

2) სრულწერტილობით გაკუმთე და ნუ კითხვისახედ იტყჳ, არამედ განჩინებით და წინაწარმეტყუელებით აწინდელისაებრ მოძღურისა თარგმანებითა.

3) რაჲ არს ესე რაჲმე და რაჲ არს იგი რაჲმე? კითხვისანი არიან და გამოძიებისანი, ხოლო შემოკლებითნი იგი მიგებანი სიმაღლისა და მკუეთრთარგმანებისანი.

აქ ყურადღებას იქცევს მე-2 და მე-3 შენიშვნები, სადაც ერთმანეთთან არის დაპირისპირებული კითხვითი და თხრობითი წინადადებანი. „სრულწერტილობით განკუეთა“ და „კითხვითსახეობის“ ნათლად წარმოჩენა, ცხადია, ტექსტის უკეთ გაგებას უწყობდა ხელს (შესაბამის ნიშნებს დღესაც ეს ფუნქცია ეკისრება).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ეფრემ მცირემ უდიდესი როლი შეასრულა ქართული პუნქტუაციის მოწესრიგების საქმეში (26, გვ. 145—146; 12, გვ. 67—83).

აქ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ Jer.-43 ხელნაწერში მოთავსებული გრიგოლი ღმრთისმეტყველის თხზულების „ბასილი დიდის ეპიტაფია“ ტექსტში (მთარგმნელია ეფრემ მცირე) მძიმე იწერება ისევე, როგორც ჩვენ დღეს ვწერთ (,) და საკმაოდ ხშირად ისეთ შემთხვევებში, როგორც დღეს. აქ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს:

ეგრეთვე ზესთ' ჩუენსა რაჲ იქმნა (,) შემნდობელვე იყო ჩუენთა ამათ (24 v, 5—7 a);

და არარაჲს' სხჳსა აღმომფშჳნველისა (,) თჳნიერ ხოლო სიტყჳსა კეთილად მსახურებისასა (,) საცხორებელსა ყოვლისა სოფლისასა (24 v, 15—19 b);

ხოლო შემინდვეთ თქუენცა (,) რაოდენნი უმჯურვალეს მაქებელ ხართ კაცისა მის (24 v, 8—10 a) და მრავალი სხვა.

ეფრემის მიერ შემოღებულ ნიშანთაგან უთუოდ საყურადღებოა მახვილის აღმნიშვნელი '. იგი ზოგჯერ ლოგიკური მახვილის ფუნქციით გვხვდება.

Jer.-9 ხელნაწერში (პაულეს ეპისტოლეთა თარგმანება, XI ს.) მახვილი აქვს კითხვითობის ა-ს:

აწ უკუე მე უკუეთუ ესე ყოველი არა შეგამთხჳე თქუენ. ამისთჳს მეტყუთა უძლურებასა? რამეთუ კითხვისსახედ ჯერ-არს წარკითხვაჲ სიტყჳსაჲ ამის, ვითარ-იგი უსაკუთრეს არს, ვითარმედ: ჩუენ მოუძლურდითა, ესე იგი არს, ამისთჳს დამეწამაჲ უძლურებაჲ (87 v, 2—9 b).

ასევე საყურადღებოა სიტყვათშეერთების (ერთ სიტყვად დაწერის) აღმნიშვნელი ⌣ სიმბოლო. A-689 ხელნაწერში ⌣ ნიშანი აქვს გაკეთებული ყოვლადსაჲნოებაჲ სიტყვას:

ყოვლადსათნოებაჲ სიმდაბლისაჲ მოაქუს მას (158 r, 29—31 a).

არშიაზე კი სწერია: „შეისწავე, ვითარმედ ყოვლადსათნოებაჲ ერთი სიტყუაჲ არს“.

A-109 ხელნაწერში გვხვდება დიდმოქცევი (კითხვითი ნიშანი) და წურილმოქცევი (მძიმე): სვეტებს შორის 74-ზე იკითხება:

შეისწავე, ესე არს დიდმოქცევი, კითხვისახედ მათქუმეველი სიტყჳსაჲ, ხოლო წურილმოქცევი, მცირედ გასაკუთნველი ოდენ სიტყჳსაჲ.

გრამატიკული ხასიათის შენიშვნები

ძველ ქართველ მწერალთა და მთარგმნელთა ნაწერებში დასტურდება გრამატიკული ხასიათის ცალკეული შენიშვნები. ძველმა ქართველმა მწერლებმა და მთარგმნელებმა ზედმიწევნით იცოდნენ უცხო ენები

(უპირველეს ყოვლისა, ბერძნული), ისინი ყურადღებას აქცევდნენ ბერძნულსა და სხვა ენათა ისეთ მრავლენებს, რომლებიც ქართულს არ ახასიათებდა და ამ მხრივ სხვაობა თვალსაჩინო იყო.

ერთ-ერთი ისეთი გრამატიკული კატეგორია, რომელიც ბერძნულსა და ქართულს ერთმანეთისაგან მკვეთრად განარჩევს, სქესი არის.

იოანე პეტრიწი იოანე ქსიფილინოსის „მეტაფრასის“ (ქუთ. № 3, XVI ს.) ერთ-ერთ კომენტარში აღნიშნავს:

შეისწავე, ვითარმედ ბერძულნი სიტყუანი ყოველნი ანუ დედალნი არიან, ანუ არაროშელნი სახელთა მწოდებელნი. და აქაცა დედათა ენკრატისთა დედლითა სიტყჳთა დედლად სახელსდებს მონაზონათაო, ხოლო მამათა—მონაზონთა (259 r).

აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ბერძნულში სამი სქესი არის: მამრობითი (მამალი), მდედრობითი (დედალი), საშუალი (არარომელი). არის იმის ცდაც, რომ ქართულში განსხვავდეს: მონაზონა (მდედრ.) და მონაზონი (მამრ.).

იმავე ხელნაწერის 278 v-ს არშიაზე ასეთი შენიშვნაა:

შეისწავე, ყოველი სიტყუაჲ ელლინთაჲ სამფერ, ესე იგი, სამსახ'ე არს: დედალ, მამალ და ხაროშელ. და სახელი მამათა საწოდებელად ესრეთ იქმნების: ო ანთროპოს, ეგულებოდის რაჲ წოდებაჲ მამაკაცისაჲ და ი ანთროპოს, ესე იგი არს კაცაჲ, ეგულებოდის რაჲ წოდებაჲ დედაკაცისაჲ. ეგრეთვე მამათა რაჲ მრავალთა უწოდენ, ტონ პანტონ, ესე იგი არს, ყოველნივე, კეპასონ, ესე იგი არს, ყოელანი.

ამ შემთხვევაშიც ლაპარაკია ბერძნული სახელის სქესზე და არის ცდა, ქართულში განსხვავდეს კაცი (მამრ.). და კაცა (მდედრ.) ფორმები.

ბერძნულის ზეგავლენით ქართულში XI საუკუნიდან უცდიათ მდედრ. სქესისა და მამრობითის შემოღება (ე. ი. შემოტანა სქესის კატეგორიისა). ეფრემ მცირე მიუთითებს, რომ მდიდარა (მდედრ.) სიტყვა ნეოლოგიზმია.

შეისწავე მდიდარაჲ ახალმოპოვნებულად დედლად სიტყუად, რამეთუ დედაკაცი არს, მომღებელი ჰიჰნაურისაჲ, ხოლო ჰიჰნაური მამასა ეფთჳმეს აბრეშუმისა სახელად მოუპოვებია.

ამ ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

ცნობილია, რომ ქალაქთა და ქვეყანათა სახელწოდებანი ბერძნულ ენაში უპირატესად მდედრობით სქესს განეკუთვნებიან. ეფრემ მცირე მი-

უთითებს, რომ ფილიპპოჲ ამ მხრივ გამონაკლისია, იგი მამრობითი სქესისა არისო:

ხოლო ფილიპე ქალაქი არს მაკედონისაჲ, რომლისა სახელი არა დედლად ითქუმის მსგავსად ჩუეულებისა ქალაქთა და ქუეყანათაჲსა, ვითარმედ: ფილიპიაჲ, არმედ მამლად, ვითარმედ: ფილიპპოჲ (Jer.-16 125 r, 27 a — 125 r, 6 b).

მეორე მოვლენა, რომელიც ძველ ქართველ მწერალთა ყურადღებას იქცევდა, ართრონი იყო. ცნობილია, რომ ბერძნულს, ისე როგორც მრავალ სხვა ენას, ახასიათებს არტიკლი (ართრონი).

არ. მარტიროსოვმა კარგად აჩვენა, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არტიკლი (ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით) არ არსებობს (8, გვ. 129—138).

XI—XII საუკუნეებში ჩვენში, როგორც ჩანს, ზოგი თვლიდა, რომ ართრონი ქართულს არ ახასიათებს, ზოგი კი მიიჩნევდა, რომ ართრონი ქართულშიც არის. მ. შანიძის მიერ გამოსაცემად მომზადებულ გრამატიკულ თხზულებაში „სიტყუაჲ ართრონთათჳს" ნათქვამია, რომ ქართულს ართრონი არ ახასიათებს.

სხვა ძეგლში ართრონი თითქოს დასაშვებად არის მიჩნეული:

ხოლო განიხილე, ვითარ არა თქუა მარტივად მონაჲ, არამედ ართრონითურთ მონაჲ იგი (Jer.-22 131 v, 23—26 a; შდრ.: ლ. 14, 17).

ძალიან საინტერესოა ამონიოს ერმისის თხზულების „მოსაჯენებელი ხუთთა ჴმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა" ქართული თარგმანის ენათმეცნიერული ტერმინოლოგია. იგი ამომწურავად და საფუძვლიანად შეისწავლა მაია რაფავამ (9). აქ ჩვენ მოკლედ შევეხებით ამონიოს ერმისის თხზულების ქართული თარგმანის მნიშვნელობას ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის (საკითხის გაშუქებისას ძირითადად მ. რაფავას ზემოთ დასახელებულ ნაშრომს ვემყარებით). უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს თარგმანში წარმოდგენილი ისეთი ტერმინები, როგორიცაა: სიტყუა, თქუმა, რიმა, ასო, სახელი, მარცუალი და სხვ.

სიტყუა ნიშნავს წინადადებას, თქუმა || რიმა — ზმნას[1], ასო — ბგერას, სახელი და მარცვალი იხმარება იმ მნიშვნელობით, რაც მათ დღესაც აქვთ. ავტორი, და შესაბამისად მთარგმნელი, განარჩევს წინადადების, ანუ სიტყუის, ნაწილებს: სახელსა და ზმნას, ანუ თქუმას (|| რიმას).

---

[1] ზმნა აღინიშნება სიტყუა ტერმინითაც. ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ სიტყუა ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ ნათარგმნ ერთ თხზულებაში წინადადებას აღნიშნავს.

გამოყოფილია მეტყველების რვა ნაწილი. ფლექსია ორი ტერმინით გადმოიცემა: დაკუეთვა და პტოსი. პტოსი არის ბრუნება, ანუ ბოლო მარცვლის ცვლილება. გარჩეულია მართლისა ებრ პტოსი, ანუ პირდაპირი ბრუნვა, და იგურდიობისა პტოსი, ანუ ირიბი ბრუნვა.

ძალიან საინტერესოა ბრუნვათა სახელწოდებები: ევთია, კატევთია, ორთი — სახელობითი ბრუნვისათვის; მიცემითი ||დოტიკი; ნათესაობითი || გენიკი; მიზეზობითი (=ბრალდებითს).

უაღრესად საყურადღებოა მსჯელობა ისეთი სინტაქსური ცნებების შესახებ, როგორიცაა დასვნტაქსება და შესაკრავი || საკრველი. დასვნტაქსება წინადადების წევრთა განლაგებას ნიშნავს, ხოლო შესაკრავი, ანუ საკრველი — კავშირს. შესაკრავის, საკრველის ნიმუშად დასახელებულია დონანი, ანუ და.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება გამიჯვნა არსებითისა — არაარსებითისა. ამონიოს ერმისის ზემოთ ხსენებული თხზულების თარგმანში (S-2562 XII—XIII სს.) იკითხება:

ხოლო სამრაველოდ სათქუმელნი რომელნიმე არსებითად შეისმინებიან, ვითარცა: ნათესავნი და განყოფილებანი და სახენი, რამეთუ შემასრულებელობითნი არიან არსებისანი, ხოლო რომელნიმე არაარსებითად, ვითარცა: განთჳსებულნი და შემთხუჱვითნი (150 v, 1—6).

როგორც დასახელებული მაგალითებიდან (განთჳსებულნი, შემთხუჱვითნი) ჩანს, არსებითი სახელი (ნათესაი...) უპირისპირდება ზედსართავს, რომელიც, იოანე ტარიჩის ძის ტერმინოლოგიით, არაარსებითია.

ამ პერიოდში გვხვდება ტერმინები: მხოლობითი, საერთისო || საერთო (=მხოლობითს), სამრაველო (=მრაველობითს):

ანუ მხოლობითსა, ვითარ-იგი ვიტყჳთ, ვითარმედ მხოლოჲ მზე (S-2562 257 v, 22—24);

რომელნიმე საერთისოდ ითქუმიან ყოფად, ვითარცა: სოკრატი, პლატონი, ხოლო რომელნიმე სამრაველოდ, ვითარცა: ნათესავნი და სახენი და განყოფილებანი და განთჳსებულნი და შემთხუჱვითნი (S-2562 150 r, 16—21);

არს ნათესავობითისაცა მიმართ არა საერთოდ, არამედ სამრაველოდ განჩენაჲ და თქუმაჲ (S-2562 186 r, 5—8);

ამას ადგილსა თარგმნის სიტყუასა მას დაბადებისასა, ვითარ-იგი მუნ წერილ არს, არა ვითარცა მრავალთათჳს, ვითარმცა ეთქუა, თუ: ნათესავთა შენთა მიმართ, რომელი-ესე სამრაველო არს, არამედ ეს-

რეთ ეტყჳს აბრაჰამს, ვითარმედ: ნათესავისა მიმართ შენისა, რომელი-ესე ერთისათჳს თქუმულ არს (Jer.-9 110 v, 8—16 a).

სამრავლოდ სათქუმელნი რომელნიმე არსებითად შეისმინებიან, ვითარცა: ნათესავნი და განყოფილებანი და სახენი (S-2562 150 v, 1—3).

ისიც აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ შენიშვნაში, რომელიც ეკუთვნის ეფრემ მცირეს, ხაზგასმით არის მითითებული, რომ ბერძნულს ახასიათებს გეოგრაფიული სახელის მრავლობით რიცხვში დასმა:

ხოლო სამრავლოდ იტყჳს სახელსა ქალაქისასა, ვითარმედ: ათინანი, რამეთუ ჩუეულებაჲ არს ელლენთა ენისაჲ, რაჲთა ოდესმე მასვე და ერთსა სამრავლოდ სახელ-სდებდეს არა ხოლო ადგილსა, გინა კაცსა, არამედ მასვე და ერთსა საქმესა სამრავლოდ თქუმითა (A-109 23).

ბერძნულში მრავლობითი რიცხვის წარმოების თავისებურებებზე არის საუბარი ეფრემის სხვა შენიშვნაშიც:

რამეთუ ესე ჩუეულებაჲ არს ატტიკელთაჲ, რომელ არიან ათინელნი, რაჲთა იტყოდინ: „არისტოფანნი“ და „სოკრატნი“ ნაცვალად „არისტოფანისსა“ და „სოკრატისსა“, ხოლო არიან ვიეთნიმე, რომელნი გონებ იტყჳან მათ, რამეთუ იონელთაჲ არს სახელისდებაჲ ესე (A-684 91 r, არშიაზე).

კარგადაა ცნობილი, რომ ძველ ქართულში მომავალი დროის გამოხატვის ძირითადი საშუალება კავშირებითი კილო იყო (17, გვ. 59—67); საინტერესოა, რომ Jer.-9 გამოავლენს საინტერესო მსჯელობას ამასთან დაკავშირებით.

პავლეს ეპისტოლეში ნათქვამია: „მე გესავ თქუენ უფლისა მიერ, ვითარმედ სხუასა არარას ჰზრახვიდეთ“.

თარგმანების ტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჰზრახვიდეთ ზმნური ფორმის მნიშვნელობას:

არა ეტყჳს, ვითარმედ: ჰზრახავთ, არამედ: ჰზრახვიდეთო, რამეთუ არა ამას ეტყჳს, ვესავ ღმრთისა თანამბრძოლებასა მოქცევად თქუენდა, რაჲთა განჰმართოთ ცთომილებაჲ და განამართლოთ, ვითარცა მოწაფეთა, სასოებაჲ ჩემი, მოძღურისაჲ თქუენდა მიმართ (Jer.-9 111 v, 24—30 b).

აშკარაა, რომ ჰზრახვიდეთ ფორმას მომავლის გადმოცემა ეკისრება. ისიც ცხადია, რომ ეფრემი აქ ბერძნულ ტექსტს თარგმნის, მაგრამ მის მიერ დამოწმებული ქართული მაგალითები გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდიან XI საუკუნის ქართული ენის ვითარების შესახებ.

საყურადღებოა ძველ ქართველ მთარგმნელთა ცალკეული შენიშვნები, რომლებიც შეეხებიან სინტაქსისა და სტილისტიკის სფეროს. ზოგი ბერძნული კავშირისა და ნაწილაკის (χαί, δέτε...) ხმარების თავისე-

ბურებანი შეუნიშნავი არ დარჩენიათ ქართველ მთარგმნელებს, უცდიათ მათ შესახებ თავიანთი მოსაზრებების გამოთქმა.

ცნობილია, რომ χαί (და) კავშირი ბერძნულში ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ძალზე ხშირად იხმარება (ამ მოვლენას სემიტურის, კერძოდ, ებრაულის გავლენით ხსნიან). ასეთივე მდგომარეობაა ქართულ ბიბლიურ წიგნებში. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულად ეწინააღმდეგებოდა ქართული ენის ბუნებას, რაც კარგად ესმოდათ ძველ ქართველ მწერლებსა და მთარგმნელებს (მიუხედავად ამისა, ამ წიგნთა სტილის შეცვლა მკრეხელობად ითვლებოდა). ამას მოწმობს გიორგი მთაწმიდლის ანდერძი, რომელიც ერთეის ფსალმუნთა ტექსტს (ხელნაწერი დაცულია ლენინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, B-1. იგი XIII—XIV საუკუნეებშია გადაწერილი):

აწ გევედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხჳნეთ წმიდათა ამათ დავითთა, რაჲთა ჩუენთჳს ლოცვა-ჰყოთ. და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთვე შეუცვლელად დასწერდით: ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ. ჩუენ, რომელი ჯერ-იყო, ჩაგჳრთავს, და, რომელი ჯერ-იყო, დაგჳკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოჰვიდოდა და წესი საქმისაჲ ეძიებდა. ნუცა დ ო ნ-ა ნ ს ა დააკლებთ და ნუცა რ ა მ ე თ უ ს ა. და ესე ესრე ეგების გონიერისაგან გულისჴმის-ყოფად, რ ო მ ე ლ ი გ ი დ ო ნ-ა ნ ი ჩ უ ე ნ ც ა ვ ი ც ო დ ი თ, და თუმცა რას აენებდა, გინა სხუაჲ რომელიცა სიტყუაჲ, არა დაუტეობდით, არცა აღმოვჰჴოცდით.

ხოლო უკუეთუ ვინმე ამას ჩუენსა შრომით და რუდუნებით ქმნულსა და ყოვლით ჴეშმარიტებითა საესესა ნაშრომსა და აღწერილსა არა ჯერიყოს, და კ ე იცოდის, ანუ ღ ა რ, გინა ო ტ ი, ანუ თუ ღ მ ე რ თ ი და უ ფ ა ლ ი, გინა თუ რიტორიცა იყოს, ანუ ფილოსოფოსი, მაშა, ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს, ახლად ვითა გინდა თარგმნეს სხუანი დავითნი, არას ეზრუნავ. და თუ ქართულთა დავითთა დაიწერდეს, ჯუარი აქუს და კურთხევაჲ (201 v — 202 v)[1],

ეფრემ მცირე, რომელმაც „ზედამიწევნით უწყოდა რაბამობაჲ ბერძენთა და ქართველთა ენისაჲ", გრიგოლი ღმრთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი თარგმანის ენა შეიძლება ზოგიერთს უჩვეულოდ მოეჩვენოს, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მთარგმნელი ბერძნულ დედანს მისდევს ისე, რომ არაფერს უმატებს, არ ცვლის, ისეთ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ერთეულსაც კი, როგორიც არის დ ო ნ ა ნ ი, ანუ და (ბერძნ. χαι):

და უკუეთუ ვინმე იკჳრვობდეს ამათ ახალთარგმნილთა სიტყუათა წიგნისა უჩუეულობასა ანუ სხუებრობასა, ანუ ღმრთისმეტყუელებისა სი-

[1] ანდერძი გამოაქვეყნა მ. შანიძემ, ფსალმუნნი, თბ., 1960, გვ. 027.

ტყუათა მიფარულებასა, რომელი მას ნუუკუე და ერისა არმინდობისათჳს სხუებრ შეეცვალა, მისთჳს მე სიწმიდე შენი მყავს მოწმედ და ღმერთი, რომელ არარას ჴელ-მეწიფებოდა თჳსით გულით დართვად და სხუებრ ცვალებად ვიდრე დონანთამდეცა (Jer.-43, XII—XIII სს. 3 v).

ძველი ბერძნული *κα!* მაქვემდებარებელ კავშირადაც გამოიყენებოდა (29, გვ. 368). ამის შესაბამისად ქართულ თარგმანებში და კავშირს აქვს რამეთუ კავშირის ფუნქცია, რის შესახებაც პირდაპირი ცნობები არის ძველ ქართულ წერილობით წყაროებში:

ვინაჲთგან ღმერთი არს კურთხეული, ვითარცა დავით იტყჳს: კურთხეულ არს მომავალი და შემდგომთა, რამეთუ ჩუენულებაჲ არს წერილისაჲ, რაჲთა დონ-ანსა იგმარებდეს ნაცვალად რამეთჳსა (!), ვითარ-იგი იტყოდის რაჲ: „და ამაო არს ცხორებაჲ კაცისაჲ“ ნაცვალად ამისსა: „რამეთუ ამაო არს ცხორებაჲ კაცისაჲ“; და კუალად: „შენ განჰრისხენ და ჩუენ ვცოდეთ“, ნაცვალად ამისსა: რამეთუ ჩუენ ვცოდეთ (Jer.-22 41 v, 8—19).

A-52 ხელნაწერის ტექსტში იკითხება:

უკუეთუ ეთქუა, ვითარმედ: არა ვიცი იგი, ვიყო მე მსგავსი თქუენი მტყუარი, არამედ ვიცი იგი და სიტყუასა მისსა დავიცავ (67 r, 16—17).

ამას ცოტა ქვემოთ ასეთი მსჯელობა მოჰყვება:

ხოლო დანაკუთვაჲ ესე სიტყჳსაჲ ჩუენულებად ძეს წერილისა მიერ, ვითარ-იგი: მომეც ჩუენ შეწევნაჲ ჭირსა შინა და ამაო მაცხოვარებაჲ კაცისაჲ, რამეთუ აქა ესე და ნაცვალად რამეთუჲსა ძს, რაჲთა იყოს თქუმული ესე, ვითარ: მომეც ჩუენ შეწევნაჲ, რამეთუ ამაო[1] მაცხოვარებაჲ კაცისაჲ, ეგრეთ აქაცა: ვიცი იგი და სიტყუასა მისსა დავიცავ, რამეთუ და ნაცვალად რამეთუჲსა, რამეთუ სიტყუასა მისსა დავიცავო, იტყჳს (67 v, 30—35).

არსენი იყალთოელის თარგმნილ „დოღმატიკონის“ ერთ-ერთ ხელნაწერში (A-64 1751 წ.) ასეთი შენიშვნაა:

შეისწავე, ვითარმედ, რომელი-იგი ჩუენთა ქართულთა სახარებათა შინა „გარნად“ წერილ არს ამას ადგილსა: „არცა ძემან, გარნა მამამან“, და ჩუენ აქა ყოველგან თჳნიერ დაგჳწერია ნაცვალად გარნასა. ბერძულად ესრეთ არს, ვითარმედ იმი, რომელი-ესე გარნასაცა მოასწავებს და თჳნიერსაცა და არათუსაცა, ვითარცა ცხად-ჰყოფენ აქა საწინაწარმეტყუელონი ესე სიტყუანი ესაჲასნი და დავითისნი, ხოლო ერთისა არარომლისაგან გარეშეიცვის ქართულისა სიტყჳსა, ვითარმცა ერთი რაჲმე დაჰმართე და სხჳსა მიმართ არღა ჰქონდა კუალი განსაჲალი სიტყუასა.

---

[1] ხელნაწერში შეცდომით გადასმულია: ამაო რამეთუ. ასეთი წაკითხვა უაზროა.

როგორც ეხედავთ, ბერძნული კავშირის ნაცვლად ქართულში იხმარება გარნა, თუნიერ, არათუ. არსენის აზრით, სახარების ტექსტში ამ ადგილას (მ. 11, 27; ლ. 10, 22) უნდა იყოს თუნიერ.

Jer.-15 ხელნაწერის 23 r-ს არშიაზე იკითხება:

უკუეთუ ესე ნაცვალად არაობისა დადებულ არს მსგავსად მისსა: უკუეთუ ავვდე სარეცელსა ცხედრისასა ჩემისასა ამის წილ, ვითარმედ არა ავვდე. ეგრეთვე აქა იტყჳს, ვითარმედ: უკუეთუ ოდენ არს ვინმე სხუაჲ ჩემსა უმჯურვალეს შესხმად მისსა, ესე იგი არს, ვითარმედ: არავინარს სხუაჲ სხჳსასა უგრილეს, გინა უმჯურვალეს, არამედ ყოველნივე ერთნებაობით მჯურვალე შესხმად მისსა (23 r).

აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია უკუეთუ კავშირის არა ნაწილაკის ფუნქციით გამოყენების შესახებ.

ზემოთ წარმოდგენილი მასალა, ცხადია, ვერ ამოწურავს ძველ ქართველ მეცნიერთა და მთარგმნელთა ნააზრევს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირად ქართველ მოღვაწეთა მოსაზრებათა წყარო ბერძნული გრამატიკული აზროვნება არის). ეს მოსაზრებები ყოველთვის არაა მართებული, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის.

ლიტერატურა

1. ილ. აბულაძე, საქმე მოციქულთა, თბ., 1950.
2. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
3. ანტონი I, ქართული ღრამმატიკა, ტფ., 1885.
4. რ. ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან: მიმომხილველი. I, ტფ., 1926.
5. ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი: შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., 1966.
6. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. I, თბ., 1980.
7. ც. კიკვიძე, მასალები ძველი ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონისათვის: მაცნე, 1967, № 2.
8. არ. მარტიროსოვი, სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია ძველ ქართულში: არნოლდ ჩიქობავას, თბ., 1979.
9. მ. რაფავა, ამონიოს ერმიასის თხზულებებში დადასტურებული გრამატიკული ხასიათის ცნობები: მაცნე, 1982, № 1.
10. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
11. ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.
12. ღ. ქაჯაია, პუნქტუაცია ძველ ქართულ ხელნაწერებში: ხელნაწ. ინსტ. მოამბე, V, 1963.

13. ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, თბ., 1974; II, თბ., 1975.
14. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
15. ს. ყაუხჩიშვილი, ეფრემ მცირის გრამატიკული შეხედულებანი: საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. სამეცნიერო სესია (მოხსენებათა თეზისები), თბ., 1945.
16. ა. შანიძე ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
17. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973 (თხზულებანი, ტ. III, თბ., 1981).
18. ა. შანიძე, ცოტა რამ ქართული ენის ისტორიიდან („ნასესხები სინდისის" შესახებ): „ლიტერატურა და ხელოვნება", 12, VI, 1949.
19. მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ. XI, თბ., 1968.
20. მ. შანიძე, სიღოდა და მეღოდარი ძველ ქართულში: მაცნე, 1964, № 5.
21. მ. ჩინჩალაძე, ზმნიზედის სწავლება სკოლაში, თბ., 1955.
22. თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბ., 1976.
23. შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, № 7, 1946.
24. ზ. ჭუმბურიძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენ. კათ. შრ., 11, საიუბილეო, თბ., 1968.
25. ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
26. ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
27. Э. Г. Соселия, Анализ терминов родства (по материалам картвельских языков), Тб., 1979.
28. А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, С-Пб., 1873.
29. R. Blass, A. Debruner, Grammatik des neutestamentlichen Griechisch, Göttingen, 1976.
30. W. Boeder, Zur Analyse des altgeorgischen Alphabets, Hamburg, 1975.
31. M. Brosset, L'Art liberal, ou Grammaire géorgienne, Paris, 1934.
32. A. Schjegren: Liter. Anz. St-Peterb. Zeitung, 1838, № 27.

X თავი

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი

დიდი წერილობითი ტრადიციების მქონე სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია სირთულეებთანაა დაკავშირებული. სადისკუსიოა ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციაც. ქართველოლოგთა ერთი ნაწილი სალიტერატურო ქართულს სამ საფეხურად ყოფს: I — ძველი ქართული ენა (V—XI საუკუნეები); II — საშუალი ქართული ენა (XII—XVIII საუკუნეები); III — ახალი ქართული სალიტერატურო ენა (XIX საუკუნიდან დღემდე) (15, გვ. X, შენ. 1). ა. შანიძე შენიშნავს, რომ „აღნიშნული დაყოფა, რა თქმა უნდა, მიახლოებითია. ზედმიწევნილობით საზღვრის დადება ძველსა, საშუალსა და ახალ ქართულს შორის არ შეიძლება. მაგ., „ქილილა და დამანას“ ენა რომ შევუდაროთ „სიბრძნე-სიცრუისას“, ვნახავთ, რომ (ეს აქ დაბეჭდილი ნაწყვეტებიდანაც ჩანს) „ქილილა და დამანა“ უფრო ძველ სიტყვებსა და ფორმებს ხმარობს, ვიდრე „სიბრძნე სიცრუის“ წიგნი. ესენი კი ერთისა და იმავე ეპოქის ძეგლებია“ (15, გვ. 01, შენ. 2). ქართული სალიტერატურო ენის სამ საფეხურად დაყოფას ემხრობიან კ. კეკელიძე (6, გვ. 32—33), გ. დეეტერსი (24, გვ. 5), ი. ქავთარაძე (11), ზ. ჭუმბურიძე (22) და სხვები.

არნ. ჩიქობავას აზრით, „საშუალი ქართულის“ ცალკე საფეხურად გამოყოფა (ძველისა და ახალი ქართულის გვერდით) არაა გამართლებული საქმის ვითარებით. ძველ ქართულს ახალი ქართული მოსდევს“ (17, გვ. 227, შენ. 1).

არნ. ჩიქობავა სხვა ნაშრომში წერს: „ახალი ქართული სალიტერატურო ენა ისახება მეთორმეტე საუკუნიდან (ნ. მარი, ს. გორგაძე): მეხოტბეთა (შავთელის, ჩახრუხაძის) ენა, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენა უკვე ალარაა ძველი ქართული. სახელთა ბრუნებაში, ზმნის უღელილებაში ახალი ქართულის დამახასიათებელი მოვლენები გვაქვს. სიტყვათა წყობაც არსებითად ახალი ქართულისაა“ (19, გვ. 018; შდრ.: 18, გვ. 3). იქვე ნათქვამია: „ახალ სალიტერატურო ქართულს საძირკველი ეყრება თბილისში: დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქთაგან 1122 წ. და პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლება (აქედან გამომდინარე ყველა

შედეგით), ის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეაპირობა" (19, გვ. 018).

რა ენობრივი ნიშნებით გამოიყოფა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში სამი (ა. შანიძე და სხვ.), ან ორი (არნ. ჩიქობავა) პერიოდი?

ა. შანიძე 1942 წელს გამოსული „ქართული გრამატიკის საფუძვლების" პირველი ნაკვეთის წინასიტყვაობაში წერს: „ჩემთვის უეჭველი გახდა, რომ გრამატიკულ ნიშნებს შორის ასპექტის ჩვენება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქართული ენის პერიოდიზაციის დასადგენად" (13, გვ. VI—VII).

1953 წელს ა. შანიძე აღნიშნავდა: „ამგვარად, ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა, ასე ვთქვათ, დიდი მოხვეული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო ძველ ქართულსა და ახალს შორის. ამ მიჯნაზე ძევს საშუალი ქართული, რომელიც ასახავს ამ ორი სისტემის პარალელურ არსებობას და ენის ცდას, უფრო და უფრო მეტი გასაქანი მოუპოვოს ახალ სისტემას და მივიწყებას მისცეს ძველი" (14, გვ. 279).

როგორც ვხედავთ, ა. შანიძის თვალსაზრისით, ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციას ასპექტის გამოხატვაში მომხდარი ევოლუციის დროის დადგენა უნდა დაედოს საფუძვლად. თუ ამ კრიტერიუმს მივიღებდით, მაშინ V—X საუკუნეების ენა ძველ ქართულად უნდა მიგვეჩნია იმიტომ, რომ ამ პერიოდში უსრული და სრული ასპექტის დაპირისპირება ემყარება I და II სერიის მწკრივთა ოპოზიციას: I სერიის ფორმა უსრული ასპექტისაა, მეორე სერიისა კი — სრულის. საშუალი ქართული (XI—XVIII საუკუნეები) გვიჩვენებს ასპექტის გამოხატვის სისტემაში მომხდარი ცვლილებების ამსახველ ფაქტთა თანდათანობით დაგროვებას, ძველი სისტემის გვერდით ასპექტის ახლებურად წარმოების გამომხატველ ფორმათა თანაარსებობას. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში (XIX საუკუნიდან დღემდე) ასპექტის გამოხატვის სისტემაში საბოლოოდ გაიმარჯვა ახალმა წესმა (უსრული და სრული ასპექტი ერთმანეთს უპირისპირდება არა სერიათა მიხედვით, არამედ ერთი და იმავე სერიის ფარგლებში ზმნისწინის არქონა-ქონით).

ასპექტი ქართული (resp. ქართველური) ზმნისათვის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. ამიტომ მისი გამოხატვის ევოლუცია, შესაძლოა, გაშოდგეს ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის დასადგენად.

ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება, რომ X საუკუნის ზოგ ხელნაწერში (ჯრუჭის, პარხლის, ტბეთის ოთხთავებში) დაესცემ ზმნა ნახმარია სრული ასპექტის მნიშვნელობით (14, გვ. 276). ი. იმნაიშვილმა X—XI საუკუნეთა ხელნაწერებში, რომლებიც „იოვანეს გამოცხადებასა და მის

თარგმანებას" შეიცავენ (H-1346, A-397, Sin.-85), დაადასტურა ზმნისწინით სრული ასპექტის წარმოების შემთხვევები (3, გვ. 134); ამ საკითხს უკანასკნელ ხანებში კვლავ შეეხო ზ. ჭუმბურიძე (21).

IX—X საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გამოვლინდა ასპექტის ახლებურად წარმოების მრავალი შემთხვევა. ეს ფაქტები დაწვრილებით ქვემოთ გვაქვს განხილული. აქ რამდენიმეს დავიმოწმებთ:

აჰა ესერა, მოიწია ჟამი, და ძე კაცისაჲ მიეცემის ჴელთა ცოდვილთასა, მთ. 26, 45 C; შდრ.: მ ი ე ც ე ს DE. არამედ მოვლენ დღენი, ოდეს ა მ ა ღ ლ დ ე ს მათგან სიძჳ, ჰაემ. ტექსტ. 373, 67; და მეყს თუ ჰკითხო ვისმე: რაჲსა მიისწრაფი აბანოდ დღეს? მოგიგოს და თქუას: რამეთუ ხ ვ ა ლ ე მარხვაჲ შემოვალს, სინ. მრავალთ. 110, 22—23; მარტსა კ ־სა დღჱ და ღამჱ გ ა ს წ ო რ დ ე ნ და მ ი ე რ ი თ გ ა ნ ღამეთა მოაკლდების და დღეთა შეერთოდის, სინ. ქრონიკ. 138 r, 11 — 17 a; სექდებერსა იჱსა გ ა ნ ი ს წ ო რ ნ ე ნ დღენი და ღამენი და მ ი ე რ ი თ გ ა ნ დღეთა მოაკლდების და ღამეთა შეერთოდის, იქვე 138 r, 24—29 a; უკუეთუ თიენაჲ ველისაჲ, რომელი ხ ვ ა ლ ე თორნესა შთაეგზნების, ესრჱთ შემოსის ღმერთმან, Sin.-36 214, 6—9 და მისთ.

ჩვენს ხელთ არსებული რამდენიმე ასეული ნიმუშიდან აქ მხოლოდ ზოგიერთი დავიმოწმეთ. IX—X საუკუნეთა წერილობით ძეგლებში თანაარსებობენ ასპექტის გამოხატვის ე. წ. ბერძნული და სლაური სისტემების ამსახველი ფაქტები. ამდენად, ძველი ქართული ამ ნიშნის მიხედვით ვერ დაუპირისპირდება საშუალ ქართულს. რა თქმა უნდა, ვმსჯელობთ სალიტერატურო ენის მონაცემების მიხედვით. IX—XI საუკუნეთა ცოცხალ მეტყველებაში სრული და უსრული ასპექტის ფორმები ზმნისწინთა დართვა-დაურთველობით განირჩეოდა უმთავრესად. ამას ჯერ ერთი, ზემოთ მოტანილი ნიმუშები მოწმობს. ამას გარდა, ძველ წერილობით ძეგლებში დასტურდება ისეთი ფაქტები, როცა ერთსა და იმავე წინადადებაში შემავალი ერთი და იგივე ზმნა უსრული, ან სრული ასპექტის ფორმებს გამოხატავს იმის მიხედვით, მას დაერთვის, თუ არა ზმნისწინი:

ხედვიდა მაყულოვანსა, რომელი ი წ უ ე ბ ო დ ა და არა შეიწუებოდა, Ath-21 265 v, 16—17;

რომელი ს წ უ ვ ი დ ა და არა დასწუვიდა მსგავსად მაყულისა, ცხორ. და შესხ. ბასილისი 360, 7—8;

ნათელი იყო, რომელი ცეცხლისაგან მოსეს ეჩუენა, რაჟამს მაყულოვანსა მას ს წ უ ვ ი დ ა და არა შესწუვიდა, ნათლისღებ. მეორე 412, 3—5:

რაჟამს მაყუალსა ს წ უ ე ი დ ა სადმე და ვერ დასწუვიდა, გრიგოლ ღმრთისმეტყ. ჰომილ. 188, 2—4; შდრ.: მაყუალი აგზებული და არა შემწუარი, ე გ ზ ე ბ ო დ ა და არა შეიწუებოდა, სინ. მრავალთ. 204, 26—27.

არნ. ჩიქობავამ საერო მწერლობის ძეგლები („ვეფხისტყაოსანი", შავთელისა და ჩახრუხაძის ნაწერები) ძირითადად ახალი ქართულის ძეგლებად მიიჩნია. იგი თვლის, რომ „დიალექტიზმები და რიგი სხვა თვისება გარკვეულ ადგილს ანიჭებს „ვეფხისტყაოსნის" ენას ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში: სალიტერატურო ქართულში საერო მწერლობის ენაში გარდატეხა იგრძნობა, გარკვევით ჩანს მოსაბრუნი პუნქტი ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ" (17, გვ. 224).

არნ. ჩიქობავა ჩამოთვლის იმ ძირითად ენობრივ ნიშნებს, რომლებითაც ძველი ქართული უპირისპირდება ახალ ქართულს. მისი აზრით, „ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა შემდეგი მოვლენები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის" ენას ახასიათებს, მაგრამ ძველი ქართულისათვის უცხოა:

I. „ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან სახელობითის ნიშანი ი<ი აღარ იხმარება" (17, გვ. 224; შდრ.: 20, გვ. 6).

II. „ვეფხისტყაოსანში" ბოლოუკანასკნელი სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში იწვევენ ფლექსიის ი-ს დაკარგვას, ისევე, როგორც ახალ ქართულში, ოღონდ შენარჩუნებული აქვთ ემფატიკური -ა" (17, გვ. 226; შდრ.: 20, გვ. 6).

III. „მდის თანდებულის წინ ბრუნვის ნიშანი -დ აღარ იხმარება: აქამდის ... აქანამდის ... მუნამდის (1124); თხემამდის (1313); ქუეყანამდის (1324, 2); ფერჯამდის (1369, 2)" (17, გვ. 226).

IV. „ობიექტური პრეფიქსი პირველი პირისა მრავლობითში არის მხოლოდ გუ- და არასოდეს მ-" (17, გვ. 226; შდრ.: 20, გვ. 6).

V. „მეშველი ზმნა არს ენკლიტიკურ ა-ს სახით წარმოგვიდგება: დასაგმობია (ძვ. ქართული: დასაგმობ არს)" (20, გვ. 6).

VI. „შედეგობრივ I-ში III პირი ა-ს დაირთავს (ძვ. ქართ. -ეს-ის ბადლად): მომძულებია ..., მომსურვებია ... ამის ცალკეული შემთხვევები ძველს ქართულშიც დასტურდება" (20, გვ. 6).

VII. „ჩვენებითი ნაცვალსახელი იგი-ს გვერდით ის-ც სახელმა შემოაბიჯა სალიტერატურო ქართულში და კანონიერ, სახიფათო მეტოქედ გამოიყურება იგი-სათვის" (17, გვ. 226; შდრ.: 20, გვ. 6).

VIII. „ძვ. ქართულისათვის ნიშანდობლივი წყობა სიტყვათა შეცვლილია ახალით და ამის გამო მძიმე კონსტრუქციები აღარ ისმის „ვეფხისტყაოსნის" ლექსში" (17, გვ. 227; შდრ.: 20, გვ. 6).

როგორც ვხედავთ, არნ. ჩიქობავა ჩამოთვლის მოვლენათა კომპლექსს, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი" (და ალბათ ახალი ქართულიც) განსხვავდება ძველი ქართულისაგან. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (V—X საუკუნეები) გამოვლენილი მასალებით შევამოწმოთ, თუ რამდენად სრულად ასახავს ეს ნიშნები სხვაობას ძველსა და ახალ ქარ-

თულს შორის. იგულისხმება, რომ ნიშანთა ეს კომპლექსი, თუ იგი, მართლაც, ახასიათებს სალიტერატურო ენას XII საუკუნიდან და არ გვხვდება (ან ძალზე იშვიათად გვხვდება) უფრო ადრინდელ ძეგლებში, შეიძლება საფუძვლად დაედოს სალიტერატურო ენის პერიოდიზაციას.

პირველი ორი ნიშანი შეიძლება გავაერთიანოთ: ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა სახელობითში [ა]-ს უქონლობა და ფუძეუკანაცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითში [ი]-ს გაუჩინარება დამავალ დიფთონგთა მოშლის შედეგია. როდის ხდება [ი]-ს შემცველ დამავალ დიფთონგთა მოშლა? ამ პროცესის ამსახველი ფაქტები ჯერ კიდევ VI—VIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში იჩენს თავს. მხედველობაში გვაქვს უფროობითი ხარისხის ფორმა ხ უ ფ რ ო ს, რომელიც ი-ს გარეშე არის დაწერილი ხანმეტ ტექსტებში (უძვ. ქართ. ხელნაწ. 329, 13—16: 336, 11 b: ხანმ. მრავალთ. 19, 1 a: 24. 7 b; 25, 6—7); ავგრეთვე ჰაემეტი წყისის წარწერა, რომელიც გ უ დ ა ს მ ა ნ ფორმას გამოაელენს.

IX—X საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გვაქვს ი-ს კლების მრავალი შემთხვევა. დავასახელებთ ზოგიერთს:

სახელობითი ბრუნვა:

აი > ა:

სიტყუა ღმრთისაჲ კაც იქმნა, სინ. მრავალთ. 48, 36; იხილეს მიუწუდომელი კაცთმოუყუარება, იქვე 192, 3—4; არა უნდა განმხილება მისი, მთ. 1, 19 C: მუნ უბრძანო ყორანსა გამოზრდა შენი, უდაბნ. მრავალთ. 73 r, 19—20 b: განჰმარტა სჯმეონ მარჯუენა თჳსი, Sin.-46 103 v, 9—10;

და აქუნდა სიხარული დედისა, სინ. მრავალთ. 28, 4: მოიღოს მართჳრობისაცა იგი გჳრგჳნი, იქვე 168, 5; თქუმული წმიდისა და ნეტარისაჲ (!) მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა, იქვე 199, 2—3: და ცრემლი თუალთა ჩუენთა წმიდათა მათთჳს, იქვე 268, 33; და განჴსნდა კრულებაჲ ენისა მისისა, ბერთ. ოთხთ. 206, 15—17 b: შენ ხარ ბეჭედი გუამისა ჩემისა, Sin.-62 128 r, 9 a და მრავალი სხვა.

ოი > ო:

მიიღეს თითო დრაჰკანი, მთ. 20, 9 DE: აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნო, ი. 3, 36 DE: წყარო იგი ცხოველი, Sin.-20 45 v, 15; აღმოეცენა მძაფრიად წყარო ფრიად ჰამოჲ და გრილი, საბა ასურ. 149, 28—150, 1.

ფუძეუკანაცელ სახელთა ნათესაობითი და მოქმედებითი:

აი > ა:

რაჲმს იშვა ანასგან უბიწოჲსა, პარაკლიტ. 142 r, 3; მოიყსენე გუშინდელი იგი ელიასთჳს საკითხაჲი, მრავალთ. 44 r ,14—16 b; თანაწარელო

ელიასი იგი და ძისა მის ქურივისაჲ, იქვე 61 v, 10—12 b; რომელი-იგი იყოფის ლავრასა წმიდისა საბასსა, ეფთჳმი 111 v, 4—5:

იწყო გალილეათ ვიდრე აქამდე, კურთხევანი 75 r, 22; ვინათგან უთესლოდ გვიშევ ჩუენ ბუნებითა შემოქმედი, იელ. იადგ. 2 v, 1—2; ვინათგან შეუბრველად მიიღეთ, პარაკლიტ. 208 v, 18—19: დაესხენ კლიტენი საკურთხეველსა ზედა, სადათ-იგი აღვიხუენ, ეფთჳმი 114 r, 5—7; უნებლიათ გუასწაესე ჰეშმარიტებაჲ, პარაკლიტ. 259 r, 7—8.

ოჲ > ო:

ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩუენისა, კურთხევანი 121 r, 21: განმაშორე ესე ძალითა სულისა წმიდისა შენისაჲთა, ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა, იქვე 98 r, 8—10; ცეცხლისა მისგან უნივთოსა, რომელსა ავამაღლებთ ჩუენ, პარაკლიტ. 141 r, 11—12; ხოლო მან გამოიღო ეკალი და კურუსთავი [=კურონთავი], უდაბნ. მრავალთ. 110 r, 3—4: და სტეფანეს შეექმნა მონასტრისა ჯუარი ოქროსაჲ, ეფთჳმი 106 r, 7—9;

რომელ თავით სათუალავნი არიან, ქართლდ არიან, და რომელნი ბოლოთ, იერუსალჳმდ, ასტრ.-გამოთვლ. ტრაქტ. 19 v, 24—25 (იოანე-ზოსიმეს მინაწ.): და გუნდი ეშმაკთაჲ განიოტე უდაბნოთ შენით, წმიდაო საბა, Sin.-1 285 v, 25—26; მომინადირა მე მტერმან ჩემმან მახეთა მით სასიკუდინოთა, პარაკლიტ. 187 r, 13—14; და არს ჩრდილოთ მისა, ეფთჳმი 97 v, 7: ხოლო ბრძანებითა იოვანე ებისკოპოსისა შეყუენებულისაჲთა გამოვედ საკრებულოთ და ვიყოფოდე ნიალავრას, იქვე 135 v, 1—5.

უჲ > უ:

რაჲთა სასუფეველსა ცათასა მიწევნად ღირს ვიქმნეთ ქრისტჱს იესუს მიერ, სინ. მრავალთ. 45, 5—6; იესუს ზედა არსებაჲ იგი ითქუა, იქვე 89, 18; ესე იესუს თანა იყო ნაზორეველისა, მთ. 26, 71 C; რომელი-იგი იყო ძუძუსმტჱ პეროდე მეფისაჲ, S-407 216 v, 18—20 b; S-1398 107 v, 18—20 b; სინ. საქმ. მოციქ. 33 r, 10—12 b; რომელთა არაჲ შეიწყალეს სიჩჩოებაჲ ძუძუსმწოართაჲ, Sin.-1 165 r, 5 და მრავალი სხვა.

როგორც ვხედავთ, [ჲ]-ს შემცველ დამავალ დიფთონგთა მოშლის ამსახველი ფაქტები პირველად VI—VIII საუკუნეთა ტექსტებში გამოვლინდება და საკმაოდ ხშირია IX—X საუკუნეთა წერილობით ძეგლებში[1].

ამ დროის ცოცხალ მეტყველებაში [ჲ] უკვე აღარ გვქონდა: [აჲ], [ეჲ], [ოჲ], [უჲ]>[ა], [ე], [ო], [უ]. ამდენად, ჲ-ს უქონლობა ვერ მიაჩნევა ნეო-

[1] ამდენად არაა ზუსტი მოსაზრება, თითქოს ამ რიგის ფაქტები ძველ წერილობით ძეგლებში არ გვხვდებოდეს (20, გვ. 29; შდრ.: 10, გვ. 30—44).

ლოგიზმად (ძველი ქართულისაგან განმასხვავებელ ნიშნად) „ევფხისტყაოსნის“ ენისათვის. აქ ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: ჩვენი მასალა მოპოვებულია ხუცური ანბანით შესრულებულ ძეგლებში, სადაც ჲ ნიშნის ხმარება ტრადიციითაც იყო შეპირობებული, ხოლო „ევფხისტყაოსანი“ უთუოდ დაწერილი იყო მხედრული ანბანით, რომელსაც ჲ გრაფემა არ მოეპოვება. რაც შეეხება **ერთაი, უველაი, პაშტაი** და მისთანა ფორმებს, სადაც [ი] სრული ხმოვანია, ჩვენი ვარაუდით, ისინი მომდინარეობენ იმ დიალექტური წრიდან, სადაც დამავალ დიფთონგთა მოწლა დიფთონგის მეორე კომპონენტის სრულ ხმოვნად ქცევის გზით წარიმართა: **დედაჲ>დედაი, ერთაჲ>ერთაი.** [აჲ], [ეჲ], [ოჲ], [უჲ]>[აⁱ], [ეⁱ], [ოⁱ], [უⁱ] და [აჲ], [ეჲ], [ოჲ], [უჲ]>[აი], [ეი], [ოი], [უი] პროცესთა დიალექტთა სხვადასხვა ჯგუფში მიმდინარეობას გაბაზავეს გეოგრაფიული სახელები: **რუსთაველი<რუ-ას-თა-ვე-ი; რუისი<რუ-აჲ-ი.**

„ევფხისტყაოსანში“ გამოვლენილი კაბა, ოქროსა, ერთი მხრივ, ხოლო **ერთაი, ცოტაი,** მეორე მხრივ, სხვადასხვა დიალექტური წრეებიდან მომდინარეობს და, როგორც ირკვევა, არამარტო ამ დროის, არამედ გაცილებით უფრო ადრინდელ სალიტერატურო ენაშიც გამოვლინდება (10, გვ. 36—45; შდრ.: 17, გვ. 220—226).

ვიმეორებთ, ძველი ქართული და ახალი ქართული ვერ დაუპირისპირდება ერთმანეთს დამავალ დიფთონგთა ქონა-არქონის მიხედვით. რა თქმა უნდა, „ევფხისტყაოსანში“ ამ დიფთონგთა მოშლის ამსახველი ფაქტები ძალზე ხშირია (ეს მხედრულის გრაფიკითაცაა განპირობებული, ნაწარმოების ხასიათითაც . . .), ხოლო ადრინდელ ძეგლებში საძიებელი (რაც აგრეთვე ადვილად ასახსნელია). მაგრამ ის მასალაც, რაც ძველ ტექსტებში მოიპოვება, იძლევა იმის საშუალებას, რომ დაბეჯითებით ვთქვათ: არამცთუ XII საუკუნეში, არამედ X საუკუნის ენაში [ჲ] აღარ გვქონდა (რა თქმა უნდა, იმ მეტყველებაში, რომელსაც ემყარებოდა სალიტერატურო ენა).

„ევფხისტყაოსნისათვის“, (resp. ახალი ქართულისათვის) დამახასიათებელ ერთ-ერთ თავისებურებად არნ. ჩიქობავას მიაჩნია ის, რომ **მდის (მდე)** თანდებულის წინ ვითარებითის დ აღარ იხმარება. არც ეს ენობრივი მოვლენა გამოდგება ძველი და ახალი ქართულის გამოსაყოფად, რადგანაც ძველი ქართულის უძველეს, VII—X საუკუნეთა წქრილრბით ძეგლებში ძალზე ხშირია ვითარებითი ბრუნვის დ ნიშნის დაკარგვის ამსახველი ფაქტები. ზოგიერთი ნიმუში:

ადმდე>ამდე

აჰა ესერა, მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე **აღსასრულამდე** სოფლისა, ხანმ. ლექც. 058, 27—29 b; იღოცვიდეს **შოვა-სამხრამდე** კართა მათ ეკლესიისათა, სინ. მრაველთ. 71, 27—28; განცხადე-

პითგან. მსგეფსამდე, პარაკლიტ. 67 v, 3; აქა უამამდეცა რომელ წინადაცუეთილობასა შინა არიან, შატბ. კრებ. 145 r, 5—7 a; აქუს აქა უამამდე, იქვე 188 r, 10—11 b და მისთ.

დმდე>მდე:

მუნ დაიყოენეთ ვიდრე გამოსლვამდე, მთ. 10, 11 C; ეგრეცა მეორემან და მესამემან მიმეშჯდემდე, მთ. 22, 26 C; ქუჱთგან ვიდრე ზემდე, უდაბნ. მრავალთ. 111 v, 18—19 a; დამსდაბლდე მიწამდე, იქვე 106 v, 16 b: ღაშემდე უმეტჱს განმსწაელეს, იქვე 120 v, 16—17 b; ვიდრე კიდემდე მისსა, ლატ. ლექც. 232, 5—6 a და მისთ.

ერთ-ერთი ნიშანი, რომლითაც „ვეფხისტყაოსნის" ენა განსხვაედება ძველ ქართულისაგან, არნ. ჩიქობავას აზრით, არის გუ- პრეფიქსის გამოვლენა I ობიექტური პირის მრავლობით რიცხვში და მ- პრეფიქსის ამავე ფუნქციით არარსებობა. აქ საჭიროა გავიხსენოთ ის, რომ თვით ძველი ქართულის ზოგიერთ ძეგლში მ-, გუ- პირის ნიშანთა თავისუფალი მონაცვლეობა არ გვაქვს. VIII საუკუნის პირველ ნახევარშია გადაწერილი ხანმეტი მრავალთავი, სადაც I ობიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში მხოლოდ გუ- პრეფიქსი მოგვეპოვება (16, გვ. 117). მ- ამ ფუნქციით არ გვხვდება „შუშანიკის წამებაში", „ევსტათი მცხეთელის წამებაში" ...

ამრიგად, ვერც ამ ნიშნით დავაპირისპირებთ ახალ ქართულს ძველ ქართულთან.

მეხუთე ნიშანი, რომლის მიხედვითაც, „ვეფხისტყაოსანი" (ახალი ქართული ენა) უპირისპირდება ძველ ქართულს, არნ. ჩიქობავას აზრით, არის არს მეშველი ზმნისაგან მიღებული ა. იგი სხვათა შორის შენიშნავს, რომ „ა<არს, ი-ა ი-ეს-ის ნაცელად) და ზოგი სხვა მოვლენა უკვე ძველი ქართული სასულიერო ხასიათის ძეგლებშიც შეინიშნება მეთერთმეტე საუკუნეში: აქ კი ეს ცვლილება ნორმად ქცეულა" (20, გვ. 32).

არს>ა პირველად ხანმეტ ტექსტებში გვხვდება: იგია, რომელმან იჯსნეს ისრაჱლი, ხანმ. ლექც. 060, 26 a: ხუედ(რებუ)ლა, პრორტოევანგ. 52; რონელი დაწერილა ღმრთისა მიერ მართლ, სინ. მრავალთ. 48, 4—5; მოველინნა ნერონ კეისარმან კაცნი: ფერეტან ვინმე და ფართენიოს ხილვად პაჱლჱსა. უკუეთუ თავი მოკუეთილა პაჱლჱსა ანუ არა, იქვე 252, 32—34 და მისთ.

VIII—X საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ა<არს საკმაოდ ხშირია. ამ დროის ცოცხალი მეტყველების ნორმა იყო: კაცია (და არა: კაცი არს). კაცი არს ეჭვრ შეტად იყო გავრცელებული სამწერლობო ენაში, რომელსაც დიდი კონსერვატულობა ახასიათებდა. ამ კონსერვატულობის მიუხედავად, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ა<არს საკმაოდ ხშირად იჭრება წერილობით ძეგლებში და ნორმას მეტოქეობას

უწევს. „ვეფხისტყაოსნის“ აეტორი ფართოდ უღებს კარს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს, იგი ამ შემთხვევაში აბატონებს ა<არს ფორმას. ის, რაც ძველ წერილობით ფორმებში საკმაოდ გვხვდება, ოღონდ აღიქმება, როგორც ძველი ნორმის დარღვევა, „ვეფხისტყაოსანში“ ნორმაა. ვფიქრობთ, რომ ვერც ეს ნიშანი ჩაითვლება ძველი და ახალი ქართულის გამმიჯნველად.

I თურმეობითის -ია დაბოლოება არნ. ჩიქობავას მიაჩნია ერთ-ერთ იმ ნიშანთაგანად, რომლითაც „ვეფხისტყაოსნის“ ენა განსხვავდება ძველი ქართულისაგან. მართალია, აეტორი მიუთითებს, რომ -ია „ქართული სასულიერო ხასიათის ძეგლებშიც შეინიშნება მეთერთმეტე საუკუნეში“ (20, გვ. 32).

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის -ია დაბოლოება სალიტერატურო ენაში VIII საუკუნის II ნახევრიდან აისახება: თავი და დასასრული ... მიყოფია, ჰაემ. ტექსტ. 364, 3; აწ რომელი გიყოფია, თავს-იდევ, სინ. მრავალთ. 129, 3—4: რაჲსათჳს ქუეყანაჲ დაუპყრია უქმად, ლ. 13, 7 C; რომელი განრისხებულ ხარ და არა გულისხმა-გიყოფია, უდაბ. მრავალთ. 67 v. 21—22 b; რომელი წელთა ჩემთაგან მიშობია, იქვე 67 v,. 27—28 b. არცა დაუწერია კაცსა ზედა, მამ. სწაელ. 45, 2—3 a; მიცემია საზრდელი, იქვე 49, 13 A; ორთა ფოლთათჳს დაუწერია მტკიცედ, იქვე 89, 12—13 და მრავალი სხვა.

IX—X საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ამ რიგის ფაქტების დაძებნა ძნელი არაა. ირკვევა ისიც, რომ ამ დროის ცოცხალ მეტყველებაში გაბატონებული -ია დაბოლოება თვით ძველ წერილობით ძეგლებშიც კი ჯერ უთანაბრდება სალიტერატურო ენის -იეს დაბოლოებას (3, გვ. 135), ხოლო XI საუკუნიდან ძეგლთა ერთ ნაწილში სწორედ -ია ბატონობს (1, გვ. 109—110).

თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, I თურმეობითის -ია დაბოლოებას ვერ მივიჩნევთ მხოლოდ ახალი ქართულისათვის ნიშანდობლივად, რადგან ეს დაბოლოება თვით ძველ ქართულში საკმაოდ ხშირია „ვეფხისტყაოსანში“ რომ -ია ნორმადაა ქცეული. ეს აიხსნება იმით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს საზოგადოდ ხშირად გამოავლენდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ XI საუკუნის ზოგი ძეგლისათვის (ისტორიული დოკუმენტები) -ია ნორმაა უკვე, ხოლო „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ -ია დაბოლოებას უპირატესობას ანიჭებს. ამდენად, „ვეფხისტყაოსანი“ (ახალი ქართული ენა) ვერც ამ ნიშნით დაუპირისპირდება ძველ ქართულს.

ახალი ქართულისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ნიშნად არნ. ჩიქობავა თელის იმას, რომ იგი ნაცვალსახელის გვერდით სალიტერატურო ენაში ისი ნაცვალსახელიც გამოვლინდება.

-ისი სპორადულად თვით ძველ ქართულში დასტურდება (4, გვ. 224):

და ვიხილო ხილვაჲ ისი დიდი, კალ. ლექც. 12, 24—25 b; რასა იტყჳს ყორანი ისი, საკითხ. წიგნ. II 119, 17; 119, 21; ამას იტყჳს ყორანი ისი, იქვე 119, 23: ვინ არს ისი კაცი, რომელი ვალს ველსა ზედა, პარიზ. ლექც. 24 v, 3—4 ჳ.

დაბოლოს, არნ. ჩიქობავა „ვეფხისტყაოსნის“ ენას ძველ ქართულს სიტყვათა რიგის მიხედვით უპირისპირებს. იგი წერს: „სიტყვათა რიგი ფრაზაში ძველი ქართულისას შორდება: პრეპოზიცია მსაზღვრელისა გახშირებულია: სტილი სასაუბროს უახლოვდება (სხვა ძე არ ესვა მეფესა . . .)“ (20, გვ. 6). ამავე ნაშრომში ნათქვამია: „დაწვრილებით შეჩერდებით ერთ მოვლენაზე — ესაა მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ-ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ს რ ი გ ი. ამ საკითხში ძველი ქართული უპირატესად პოსტპოზიციურ რიგს მიმართავს. ახალ ქართულში გ ბატონებულია პრეპოზიციური წყობა“ (20, გვ. 19).

როცა მსაზღვრელ-საზღვრულის ძველქართულისებურ წყობაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი გ ა რ ე მ ო ე ბ ე ბ ი: პირველი, ნათარგმნი ძეგლები იგულისხმება, თუ ორიგინალური; მეორე, რა სახის მსაზღვრელის წყობა დგინდება, ატრიბუტულისა, თუ მართულისა, მეტყველების რა ნაწილითაა გამოხატული მსაზღვრელი და მისთ. ძველი ქართულის მსაზღვრელ-საზღვრულის განლაგების შესახებ დაწვრილებითი ცნობები ქვემოთ გვაქვს მოცემული. ამჟამად კი იმას შევნიშნავთ, რომ V—XI საუკუნეთა ყველა ორიგინალური ძეგლისათვის ნორმაა ატრიბუტული მსაზღვრელის პრეპოზიცია. ზოგიერთი ფაქტი:

/	შუშ. წამ.	ვეფხ.-ში	აბო	გრ. ხანძთ.	ღვთ. ფილ.	გიორგი მთაწმ. ცხოვრ.
1. პრეპოზიციური წყობა	77 შემთხ.	65	226	945	458	795
2. პოსტპოზიციური წყობა	40 შემთხ.	38	76	415	144	396

ნათარგმნ ძეგლთა უმრავლესობაში ატრიბუტული მსაზღვრელი პოსტპოზიციურად დასტურდება (რაც ორიგინალის ენის ზეგავლენის შედეგი უნდა იყოს).

უპირატესად პოსტპოზიციურ წყობას გამოავლენს მართული მსაზღვრელი. ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები (ასეა ეს როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ძეგლებში). რაც შეეხება მსაზღვრელთა სხვა ჯგუფებს, ისინი უმთავრესად საზღვრულს უსწრებენ.

რა თქმა უნდა, ძველი ქართული ენის ძეგლებში მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობის შემთხვევები სჭარბობს (ამას განაპირობებს უპირატესად პოსტპოზიციურ მსაზღვრელებად გამოყენებული მართული სახელის, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების ხმარების დიდი სიხშირე ძველ ტექსტებში). ამას გულისხმობს არნ. ჩიქობავას სიტყვები: „ძველი ქართული უპირატესად პოსტპოზიციურ რიგს მიმართავს“-ო.

არნ. ჩიქობავა წერს: „ვეფხისტყაოსანში“ წინამავალი მსაზღვრელიც დასტურდება და მომდევნოც. პრეპოზიციური წყობაც გვაქვს და პოსტპოზიციურიც“ (20, გვ. 20) იქვე ნათქვამია: „დამოწმებული მასალა ცხადყოფს, რომ პოსტპოზიციური წყობაც ხშირია და პრეპოზიციური წყობის მაგალითებიც არაა იშვიათი“ (20, გვ. 22). ჩანს, ამ ნიშნითაც ვერ დაუპირისპირდება „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულს.

მაგრამ მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა მაინც არის ისეთი ნიშანი, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი“ უპირისპირდება ძველ ქართულს: „ვეფხისტყაოსანში“ გაბატონებულია მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა. ამ ძეგლში გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის 6334 წყვილი, აქედან 3461 შემთხვევაში მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს, ხოლო 2873-გზის მოსდევს („შუშანიკის წამებაში“ მსაზღვრელ-საზღვრულის 749 წყვილია, პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა 426 : 323; „ევსტათი მცხეთელის წამებაში“ მსაზღვრელ-საზღვრული დასტურდება 693-ჯერ. მსაზღვრელი საზღვრულს 395 შემთხვევაში მოსდევს, უსწრებს 298-გზის; „აბოს წამების“ ტექსტში მსაზღვრელ-საზღვრულის 1635 სინტაგმაა. მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგ დგას 951-ჯერ, უსწრებს 684 შემთხვევაში და მისთ.). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ატრიბუტული მსაზღვრელი ძველი ქართულის ორიგინალურ ძეგლებში შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში პრეპოზიციურად იხმარება, „ვეფხისტყაოსანში“ კი ატრიბუტული მსაზღვრელი 1213 შემთხვევაში საზღვრულს მოსდევს, ხოლო 473-ჯერ უსწრებს. ეს არის არსებითი ხასიათის სხვაობა. ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობის ესოდენი მოჭარბება „ვეფხისტყაოსანში“ იმდროინდელი ცოცხალი მეტყველების ასახვას არ წარმოადგენს (ამას ის მონაცემებიც ცხადყოფს, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, ამას ადასტურებს ამავე ეპოქის სხვა წერილობითი ძეგლების ანალიზიც). საფიქრებელია, რომ ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულს შემდეგ დასმა რითმის საჭიროებითაა შეპირობებული. ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოიყენება ზედსართავი სახელი და მიმღეობა. ეს მეტყველების ნაწილები ბოლოვდება სწორედ ისეთი მარცვლებით, რომლებიც ყველაზე კარგად ეგუება „ვეფხისტყაოსნის“ რითმის აგებულებას:

ორიოდე ნიმუში:

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ც რ ე მ ლ-დ ა თ ხ ე უ ლ ი,
ვთქვენი ქ ე ბ ა ნ ი ვისნი მე არ-ავად გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ი.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მ ე ნ ა რ ხ ე უ ლ ი,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლ ა ხ ვ ა რ ი გულსა ხ ე უ ლ ი (მე-4 სტრ.).

ც რ ე მ ლ-დ ა თ ხ ე უ ლ ი ს გამო გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ი, რ ხ ე უ ლ ი, ხ ე უ ლ ი მსაზღვრელები შესაბამის საზღვრულთა შემდეგაა დასმული.

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მ ფ ლ ო ბ ე ლ მ ა ნ:
თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან,
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მ ზ ე მ ა ნ მ ა ნ ა თ ო ბ ე ლ მ ა ნ.
მოდით და ნახეთ ყოველმან, შემსხმელმან, შემამკობელმან 44 (43).

• საზოგადოდ ცნობილია, რომ პოეზიის ენას უფრო მეტად ახასიათებს მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა. „ვეფხისტყაოსანი“ მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის საკითხში თავისი ეპოქის ენის ტენდენციის ამსახველია. ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობის შემთხვევათა სიჭარბე პოეტური ჟანრის თავისებურებით უნდა აიხსნას.

„ვეფხისტყაოსანში“ გაბატონებულია მართული მსაზღვრელის, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების პრეპოზიციური წყობა (ამის საპირისპიროდ ძველი ქართულის, როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძეგლებში მსაზღვრელთა ეს ჯგუფები, ჩვეულებრივ, პოსტპოზიციურ წყობას გვირვენებს): მართული მსაზღვრელი საზღვრულს 833-ჯერ მოსდევს, უსწრებს 1215 შემთხვევაში; მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი საზღვრულის შემდეგ 41 შემთხვევაში დასტურდება. წინ კი 522-გზის; კუთვნილებითი ნაცვალსახელის პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა: 498 : 810. პოემაში მართული სახელის, ჩვენებითი და კუთვნილებით ნაცვალსახელთა პრეპოზიციის უპირატესი ხვედრითი წონა იმ ეპოქის ცოცხალი მეტყველების ასახვას წარმოადგენს.

სიტყვათა რიგის განხილვისას არნ. ჩიქობავა ერთ ფაქტს ანიშნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას: „ძველ ქართულთან შედარებით რომ თვალსაჩინო ცვლილებაა მომხდარი, ამას ერთი ფაქტი მოწმობს: ეგულისხმობთ განსაზღვრებითი ნაწევრის ხმარებას. ძველ ქართულში ამ ნაწევრის როლში იგი ნაცვალსახელი გამოდის, ეს ნაწევარი ყოველთვის მოსდევს სახელს („კაცი იგი“). „ვეფხისტყაოსანში“ „იგი“ პოსტპოზიციურ ნაწევრად გვაქვს, მაგრამ შედარებით იშვიათად; უფრო ხშირია ამ ნაწევრის პრეპოზიციური ხმარება „იგი კაცი“. ამ შემთხვევაში რიგია ცვლილი, ნაწევარი მასალობრივ იგივეა“ (20, გვ. 23—24).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება არაერთი შემთხვევა, როცა ესე, ეგე, იგი სახელს უსწრებს[1]:

იგივე საქმე შემომთხზა მე, პროტოევანგ. 61; იგი მწიგნობარნი ხიტყუან, უძვ. ქართ. ხელნაწ. 338, 12—13 b; ხუტე(ცე) ეგე ამას(ც)ა ნელსა, იქვე 351, 13—14 b; გამოვიდა პეტრე და ერთი იგი მოწაფე, ხანმ. ლექც. 051, 17—18 a; და არა ქუეყანის სიძე, არამედ იგი თავადი სიწმიდისა უფალი შენ თანა, სიწმიდისა იგი მამაჲ და უკრძნელებისა შემოქმედი და უკუდავებისა მომცემელი, რომელმან ქალწულისაგან დაჰბადა კაცი იგი და გუერდისაგან მისისა ევაჲ გამოიყუანა, იგი თავადი უფალი შენ თანა, სინ. მრავალთ. 5, 31—35; ნუ ვიდრე ხუალ ამის ქუაბისაგან. ლიმონ. 3, 4; არა წარხუედ სხუასა ადგილსა, რამეთუ ესე ქუაბი. რომელსა შინა ხარი შენ, იქვე 3, 9—10; ვხედევდ მე მუნ ძმასა ერთსა კრებულისაგან მათ ძმათასა დიდად უდბად სულისა თჳსისათჳს, იქვე 4, 1—2; და ენება ძმათა მის მონასტრისათა. იქვე 4, 12—13; ესე საქმე არა ჩემ სახეთაჲ არს, იქვე 4, 17; იხილა ანგელოზი უფლისაჲ, მუგომარე საკურთხეველსა მის ქუაბისასა მარჯუენით, იქვე 5, 8—9 და მისთ.

საინტერესოა ზოგი ციფრობრივი მაჩვენებელი: „შუშანიკის წამების“ ტექსტში მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი სახელს უსწრებს 59 შემთხვევაში, მოსდევს 117-ჯერ; „ევსტათი მცხეთელის წამებაში“ — 51-ჯერ უსწრებს, 121-ჯერ მოსდევს; „აბოს წამებაში“ — 145-ჯერ უსწრებს, მოსდევს 256-გზის; „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ 393-გზის უსწრებს, მოსდევს 551 შემთხვევაში; „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ C რედაქციის ტექსტში უსწრებს 141 შემთხვევაში, მოსდევს 393-გზის; სინურ მრავალთავში — 1161-ჯერ უსწრებს, მოსდევს 2400 შემთხვევაში.

როგორც ვხედავთ, ესე, ეგე, იგი ჩვენებით ნაცვალსახელთა პრეპოზიციური წყობა ძველი ქართულის ძეგლთათვის უცხო არაა. XI საუკუნის ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ორი ძეგლი: „ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთჳმესი“ და „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“ ამ ტიპის მსაზღვრელს უპირატესად პრეპოზიციურად წარმოგვიდგენს. „იოანე ნესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი 212-გზის უსწრებს საზღვრულს, ხოლო 74 შემთხვევაში მოსდევს: „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“ კი 451-ჯერ უსწრებს, 393-გზის მოსდევს.

ასე რომ, მთლად ზუსტი არ არის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ძველ ქართულში „წაწევარი ყოველთჳს მოსდევს სახელს („კაცი იგი“)“ (20, გვ. 23—24).

ვფიქრობთ, რომ შოთა რუსთველმა თაქის პოემაში ასახა ყველა ის არსებითი მოვლენა, რომლებიც ცოცხალ მეტყველებაში დიდი ხანია არ-

[1] უძველეს წარწერებში სწორედ ამგვარი წყობაა გაბატონებული (23, გვ. 261).

სებობდა და რომლებიც, მართალია, სპორადულად, მაგრამ მაინც გამოვლინდებოდა ძველ წერილობით ძეგლებში. „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულს ამ მოვლენათა სიახლის მიხედვით ვერ დაუპირისპირდება, რადგანაც „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის ნიშანდობლივად მიჩნეული თითქმის ყველა ფაქტი უკვე ძველ ძეგლებშივე ირენს თავს. არსებობს სხვაგვარი, ძალზე მნიშვნელოვანი დაპირისპირება: ის, რაც ძველ ქართულ სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევად ითვლება, „ვეფხისტყაოსანში“ უკვე ნორმად იქცევა („ვეფხისტყაოსანს“ ამ მხრივ გვერდით უდგას XI—XIII საუკუნეთა ისტორიული დოკუმენტები). ამის ახსნა იმით შეიძლება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ჟანრის ნაწარმოებია, რომელიც მკაცრად არაა შეზღუდული ძველი სალიტერატურო ენის ნორმებით. ფაქტიურად ეს არის საერო მწერლობის პირველი უდიდესი ძეგლი, საერო მწერლობის ენობრივი ნორმები ამ დროისათვის არ იყო ჩამოყალიბებული, განსაზღვრული, დადგენილი. შოთამ შექმნა საერო მწერლობაც და მისი ენობრივი ნორმებიც. მან სალიტერატურო ენაში ფართოდ გამოიყენა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები. შოთა რუსთველს ძალიან კარგად ესმოდა, რომ მისი დროის სასულიერო მწერლობის ენა ცოცხალ მეტყველებას საკმაოდ იყო დაშორებული. ამიტომ, ბუნებრივია, რომ პოემის წერისას მან კურსი ცოცხალი მეტყველებისაკენ აიღო. ვიცვლებით, ამას თვით მისი ნაწარმოების ჟანრი განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, აქ უდიდესი როლი ითამაშა თვით შოთა რუსთველის დაწოკიდებულებამ ენის მიმართ, მისმა ენობრივმა პოზიციამ. ჩვენ რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, რომ შოთა არის ავტორი ჩვენამდე მოღწეული სხვა ჟანრის რომელიმე ნაწარმოებისა (ცნობილია, რომ არსებობს ამგვარი ჰიპოტეზაც, მაგრამ იგი დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება), მაშინ ამ დებულების დადასტურება იოლად შეიძლებოდა.

როცა ვამბობთ, რომ შოთა რუსთველმა ძირითადად კურსი ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენებისაკენ აიღო, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მან ზოგ შემთხვევაში შეგნებულად არ მიმართა ძველ სასულიერო წერილობით ძეგლთა ენისათვის დამახასიათებელ მოვლენას. ამ რიგის სტილიზაციის შემთხვევებს მიუთითებს არნ. ჩიქობავა (20, გვ. 6—15). მას სტილიზაციის შედეგად მიაჩნია ის, რომ საკუთარი სახელები უპირატესად არ დაირთავენ სახელობითსა და მოთხრობითში ბრუნვის ნიშნებს (20, გვ. 7). აქ ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: ხომ არ არის ეს მოვლენა მეტრის საჭიროებით გამოწვეული?

ჩვენ სტილიზაციად მიგვაჩნია მან დაბოლოება საზოგადო სახელთა მოთხრობითში. IX საუკუნიდან წერილობით ძეგლებში მა ვარიანტიც იჩენს თავს: და მუნჭუესვე ღალატ-ყო მამამან მის ყრმისამა, შრკ. 9, 24 C; მარიამ მაგდანელმან და მარიამ იაკობისმა და სალომჭ იყი-

დეს ნელსაცხებელი, მრკ. 1, 6 C; და ინაჯ-იდგა კაცებმა მან, ი. 6, 10 C; ვითარცა მამცნო მე მამამა, ეგრე ვიტყჳ, ი. 12, 50 C და მრავალი სხვა.

ასე რომ. ამ დროის ცოცხალ მეტყველებაში -მა გაბატონებული იყო. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვარაუდს: „თქვენმაენ" მოდერნიზებული ჩანს (გადამწერთაგან): „თქვენმანენ" იყო მოსალოდნელი" (20, გვ. 7). ჩვენი აზრით, თქვენმაენ ცოცხალი მეტყველებიდანაა პოემაში შესული. სტილიზაციად მიგვიჩნევთ იმას, რომ -ნ სუფიქსით გამოხატული პირდაპირი ობიექტი ხშირად ზმნასთანაა შეთანხმებული. ამ წესის დარღვევები IX—XI სს-თა ძეგლებში ხშირია (9, გვ. 228—234).

რაც შეეხება დანარჩენ „ძველი ქართულის კომპონენტებს": ემფატიკური -ა-ს დართვას მიცემით. მოქმედებითსა და ნათესაობით ბრუნვებში: ხოლმეობითის ფორმების ხმარებას, „დინამიკურ გარდაუვალ ზმნათა" აწმყოში -ის დაბოლოებას (მიჰყვების, ითქმის...), ებ მრავლობითი რიცხვის სუფიქსის სინტაქსურ „უძლურებას" და მისთანა. ძველი ქართულის კომპონენტებად მათი მიჩნევა მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ დავამტკიცებდით, რომ XII—XIII საუკუნეთა ცოცხალ მეტყველებაში ისინი არ არსებობდნენ. XII—XIII საუკუნეებში ყველა ეს მოვლენა ცოცხალია. წერილობით ძეგლებში არცერთი დარღვევა ამ მხრივ არ შეინიშნება. ეს კი მიუთითებს, რომ შოთას ამ ფორმათა სხვაგვარად გამოყენება არც შეეძლო.

დავუბრუნდეთ პერიოდიზაციის საკითხს. თუ დავუშვებთ. რომ ძველი ქართული XI საუკუნის შემდეგ აღარ გვაქვს, გამოვა, რომ XII—XIII საუკუნეთა სასულიერო მწერლობის ძეგლები ახალი ქართულითაა დაწერილი. თეით იოანე პეტრიწი, რომელიც XI საუკუნის მეორე ნახევარსა და XII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა, ახალი ქართულის წარმომადგენელი იქნება. 1089—1123 წლებში იგი საქართველოშია. ეს ის დროა, როცა დაეით აღმაშენებელი იწყებს (და 1125 წელს ამთავრებს კიდეც) საქართველოს გაერთიანებას (1122 წელი მიჩნია არნ. ჩიქობავას მოსაბრუნ მომენტად ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში).

წერდა კი იოანე პეტრიწი ახალი ქართული ენით? რა თქმა უნდა, არა. ეს ისე ნათელია, რომ ამის დასამტკიცებელი საბუთების მოტანა არცაა საჭირო. იოანე პეტრიწის ენის ხელოვნურობაზე ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურაში ბევრი თქმულა (5, გვ. XIX; 6, გვ. 292; 12, გვ. 020). ს. ყაუხჩიშვილი წერდა: „საზოგადოდ, იოანე პეტრიწი იცავს ძველი ქართულის ნორმებს" (12, გვ. 111).

მოვიტანთ ერთ ნაწყვეტს პეტრიწის შრომებიდან:

რამეთუ არიგივეობა და ერთ ერთი არსებაჲ, არცა ერთ და ივიეობაჲ და შეერთებაჲ. და თუ არიგივეობა, ანუ ორნივე პირველისათჳს ითქუმოდინ და იყოს არა მხოლოდ ოდენ ერთ, არამედ სხუა და სხუაჲ

რაჲცა თჳნიერ ერთისა, და ეზიაროს ვინაჲცა ერთსა, და არა თჳთ ერთ იყოს, ანუ სხუაჲ რაჲცა ამათი, არამედ უკუე არსებაჲ მოქენე ვინაჲცა იყოს ერთისა, რომელი შეუბლებელ არს, რაჲთამცა იყო პირველი კეთილობაჲ მოქენე (შრომები. I, 71, 1—7).

1233 წელს აბუსერისძე ტბელმა დაწერა თხზულება, რომელსაც უწოდებენ: „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე". ეს საინტერესო ძეგლი 1941 წელს გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. ნაწარმოები ძირითადად დაწერილია ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით (8, გვ. 37—40). დავიმოწმებთ ერთ ადგილს:

მთასა მას, რომელსა ზედა არს ჯუარი სახელსა ზედა წმიდისა ზაქარიაჲსა. და ამას მთასა სახელიცა იგივე ზაქარ-წმიდაჲ ეწოდების. მუნ შეჰკაზმა ქვაჲ დიდი და მბიმე ფრიად, და დადგა მარტომან მარჯილსა ზედა მათჳე უღელეულთა თჳსთასა შეწევნითა წმიდისაჲთა, ჩუეულებისაებრ. და რაჲ ჴელის მიყოფით წინაწარმოძღომილმან ვერ შეძლებისათჳს მწუხარე ყო თავი თჳსი, შეყსეულად მოეჴსნნეს მარჯილნი უღელეულსა მას ჯართასა და უღელი ქედსაჲე ზედა დაშთა მათსა, და არცა ბასილის ეკუეთა, უნებელობასაჲე თანა ჯართსა (გვ. 59).

ახლა უფრო გვიანდელი, XII—XVIII საუკუნეების სასულიერო მწერლობის ნიმუშებიც ვნახოთ:

და იყო ქუეყანასა ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა, და იყო დიდ ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა, და აქუნდა მართალი სარწმუნოებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიმართ („წამებაჲ კოსტანტი კახისაჲ", გვ. 418);

ესე შეიპყრეს და წარიყვანეს წინაშე სპარსთასა ბაღდადს და აიძულებდეს დატევებასა სჯულისასა, ხოლო მან არა თავს-იდვა უარყოფა ქრისტესი. ამისთჳსცა იგუემა ფრიად და მყოვარ ჟამ საპყრობილესა შეეყენა (იქვე, გვ. 419);

და იყო ბრძოლა ძლიერი. და მრავალი ახოვანება აჩუენა წმიდამან გობრონ, რამეთუ გამოუჴდის ციხით და ებრძოლის ძლიერ. ხოლო უკანასკნელ გ-მოიღეს ციხე იგი და შეიპყრეს წმიდა იგი და მის თანა ოცდაათცამეტნი ახზაურნი და აიძულებდეს ყოველთავე დატევებასა სჯულისასა („წამებაჲ გობრონისი", გვ. 420);

ყვეს მამასა მისსა ორნი უხუცესნი ძმანი, ღირსი მღდელთმოძღონი, ვითარცა მათ ესმა გონიერება ყრმისა მის, მათ წარიყვანეს სიხლსა და მუნ აღზარდეს ყოვლითა სწავლითა და სისრულითა („ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდლისაჲ, გვ. 421);

და ერთსა მონასტერსა შინა დაუტევა და თჳთ მივიდა შავსა მთასა და ვერმე აღვიდა მთასა საკჳრველსა (და) წმიდისა სჳმიონ მესუეტისა და ღირსისა დედისა მისისა საფლავნი მოიღოცნა (იქვე, გვ. 421);

და იწყო შენებად პირველად წმიდისა გიორგისა ტაძრისა. და იქმნა

რა სრულ, შემდგომად იწყო შენებად ტაძრისა ყოველად წმიდისა ღმრთისმშობელისა და აღაგო თჳნიერ გუმბათისა. შემდგომად მოუწოდა შვილთა თჳსთა და ყოველთა წარჩინებულთა მის სამეფოსათა და პრქუა („ცხორებაჲ დავით აღმაშენებელისაჲ", გვ. 427):

ხოლო იყო დიდებული და წარჩინებული ესე ყოველთა ტომთა ღა ნათესავთა, უახოვნესი ასაკითა და სახითა წრფელ და კორცითა ფეროვან და ძლიერი ძალითა და შესახედავ მტერთა საშინელ და მაოცებელ წინაღმდგომთა და დიდად პატივცემულ კეისართაგან (იქვე, გვ. 428):

და რაჟამს იხილა მეფემან სპარსთამან წიგნი ესე ამათ მიერ მიწერილი და მშჳდობით ვედრებაჲ მათი, დამშჳდნა გულის-წყრომისაგან და განიზრახა გულსა შინა თჳსსა: უკუეთუ მოვაკუდინო ყრმაჲ ესე, რაჲ სარგებელ არს ჩუენთჳს, ანუ ქუეყანათა ჩუენთათჳს? („წამებაჲ ქეთევან დედოფლისაჲ", გვ. 431);

ხოლო წმიდაჲ და ნეტარი ესე აღმოსცენდა ქუეყანით ქართლით. შშობელთაგან ღმრთის-მსახურთა და მორწმუნეთა მართლმადიდებელთა მეფეთაგან. რამეთუ ნეტარისა ამის მამასა ეწოდებოდა გიორგი და ედასა თამარ. და დაშთეს ყრმანი ორნი და ასულნი ორნი („წამებაჲ ლუარსაბ მეფისაჲ", გვ. 433);

ხოლო მან პირველად მრავალფერითა ლიქნითა ჴელ-ყო ცთუნებად და მერმე ტანჯვითა განცადნა და, ვითარ ვერ მიდრიკნა ქრისტეს სარწმუნოებისაგან, მერმე წმიდა ბიძინა წულილ-წულილად ასოეულად დაჭრა და მერმე ლახურითა განგურიმა და ელისბარს და შალვას მახჳლითა თავნი წარკუეთნეს. და ესრეთ აღესრულნეს წმიდანი ესე დახაბამითგან წელთა შჳდი ათას ას სამეოცდათორმეტსა („წამებაჲ ელისბარისი, შალვასი და ბიძინაჲსი", გვ. 438).

რა თქმა უნდა, XII—XVIII საუკუნეთა სასულიერო მწერლობის ენა საკმაოდ ხშირად გამოავლენს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, მაგრამ არსებითად იგი მაინც ძველი ქართულია. ცალკე შესწავლას საჭიროებს XIX ს-ის I ნახევრის ენაც.

როგორც ვხედავთ, სალიტერატურო ქართულის ორი სხვადასხვაგვარი პერიოდიზაციისგან ერცერთს ვერ მივიჩნევთ დამაკმაყოფილებლად.

V—XI საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლები არ არის ენობრივად ერთფეროვანი. მართალია, ერთი შეხედვით, აქ არსებითად ერთიანი ნორმებია, მაგრამ ორი ქვეპერიოდის გამოყოფა მაინც შესაძლებელია. ვფიქრობთ, I ქვეპერიოდი მოიცავს V—VIII საუკუნეებს, მეორე — IX—XI საუკუნეებს.

რა ლინგვისტურ ნიშნებს ემყარება ასეთი დაყოფა?

1. ა) დამავალი დიფთონგები [აი], [ოი], [უი], V—VIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მონაცემთა მიხედვით, ჯერ კიდევ ცოცხალია. მართალია, ხანმეტ ტექსტებში გვაქვს ხუფროს, მაგრამ სალიტერატურო ენა-

ში ეს დიფთონგები ძირითადად მტკიცედ არიან წარმოდგენილნი. IX—XI საუკუნეთა (აგრეთვე მომდევნო პერიოდის ხუცურად შესრულებული) ძეგლები დამავალი დიფთონგების მოშლის მრავალ ფაქტს გამოავლენენ.

ბ) ჯ და ხ V—VIII საუკუნეთა ტექსტებში არ ირევა: ამ გრაფემათა ურთიერთშენაცვლების არცერთი შემთხვევა არა გვაქვს. ამ ნიშანთა მონაცვლეობა, რაც /ჯ/ და /ხ/ ფონემათა ოპოზიციის ნეიტრალიზაციას ასახავს, წერილობით ძეგლებში IX საუკუნიდან გამოვლინდება და X—XI საუკუნეთა ხელნაწერებში საკმაოდ ხშირია.

გ) IX—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გვხვდება ასიმილაციის (ზრქ>სქ: სიზრქე>სისქე, თგ>დგ: კიდით გან>კიდით განდგან ... წღ>წყ: აწღა>აწყა, თღ>თხ: წუთღა>წუთხა ..., დისიმილაციის (ნანდჳლ>ნამდჳლ, ამბა>ანბა, ამპარტავან>ანპარტავან: მონაზონ>მოლაზონ; შჩ>რჩ: შჩული>რჩული: შჯ>რჯ: შჯული>რჯული: კრტ>გრტ: ნაკრტენ>ნაგრტენ ... შთ > შჩ > რჩ: დაშთენა>დარჩენა; ოვა>უვა: ცხოვარ>ცხუარ ...), მეტათეზისის (დგრ>დრგ: დადგრომა>დადრგომა, დგერ>დერგ: დავადგერ>დავადერგ, თრვ>თურ: ათრვამეტ>ათურამეტ; მ—ნ>ნ—მ: მანგალ>ნამგალ; ლ—რ>რ—ლ: ძლიერ>ძრიელ; მ—რ>რ—მ: გუმერა>გურემა); ბგერათდაკარგვის (ათერთმეტ, ათორმეტ...>თერთმეტ, თორმეტ ...; ფერჯ>ფეჯ; გავალს>გავა, წავალს>წავა ...; არიან>ან: განწესებულ არიან>განწესებულან; ჩჩ>ჩ: ჩჩჯლი>ჩჯლი; თთ>თ: თთუე>თუე: ბრძ>ბძ: ბრძანება>ბძანება; ჩრდ>ჩდ: აჩრდილი>აჩდილი...), ბგერათგანვითარების (წმიდა>წმინდა, წყმედა>წყმენდა; ყს>ყუს: მეყსეულად>მეყუსეულად; ჯშ > ჯრშ: დაჯშული>დაჯრშული; იწრო > ვიწრო...), ბგერათშენაცვლების: (მ/ნ: მორჩი>ნორჩი; მ/ბ: მრეწეული>ბროწეული; ბ/მ: კბოდე>კმოდე; რ/შ: რტო>>შტო), ბგერათშერწყმის (თს>ც: ათსამეტ>ცამეტ; თშ>ჩ: ათშჯდმეტ>ჩჯდმეტ; უა>ო: ხაჭუა>ხაჭო; ეჩუა>ეჩო) ისეთი ფორმები, რომლებიც სრულიად უცხოა V—VIII საუკუნეთა სალიტერატურო ქართულისათვის.

2. ა) IX—XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ენა გვიჩვენებს, რომ საკუთარი სახელები ბრუნების თვალსაზრისით საზოგადო სახელებს უთანაბრდებიან.

ბ) ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითში ნულოვან ალომორფს, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში -სა, -თა დაბოლოებებს ვიღებთ IX—XI საუკუნეთა ენაში.

გ) ვითარებითი ბრუნვის ნიშნის -ათ/-თ ვარიანტი პირველად IX—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გამოვლინდება.

3. ა) V—VIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლებისათვის თითქმის უგამონაკლისოა ზმნისწინთა არქაული („სრული") სახით ხმარება (ერთადერთი დარღვევაა: აღ>ა). IX—XI საუკუნეთა ძეგლებში ხშირად გამოვლინდება „შეკვეცილი" ზმნისწინები: **აღმო>ამო; გან>გა; წარ>წა; წარმო>წამო; შთა>ჩა; შთამო>ჩამო; გარდამო>გარდმო; გარდა>გადა; უკუმო>უკმო.**

ბ) IX—XI საუკუნეთა ძეგლებში S_2 O_3-ის ჰ-/ს- საკმაოდ ხშირად აკლია თანხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძეებთან: **დგა** (შენ): **თქჳთ** (თქუენ იგი. II ხოლმ.); **განთავისუფლდე; აღტყდებით; შეძრწუნდებით; ცნობ; დაცხრები; მოწყჳდნეთ; ჰამთ; გალობდეთ; განკურნე** (შენ იგი, წყვეტილი): **ვბაძვიდეთ; თაყუანის-ვცეთ; ვგონებ; გონებნ; ვყითხე; მსახურებდეს** (იგინი მას): **რქუა** (მან მას (მათ) იგი).

გ) X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირია -ია დაბოლოება სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში. მართალია, ერთი ასეთი ფორმა (**მიყოფია**) ჰაემეტ ტექსტებშიც შეინიშნება, მაგრამ IX—XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლები გვიჩვენებენ, თუ როგორ იქცევა -ია დაბოლოება სალიტერატურო ენის ნორმად.

დ) V—VIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლები ვნებითის გამოხატვის სისტემაში არცერთ დარღვევას არ გამოაცლენენ. IX—XI საუკუნეთა წერილობით წყაროებში გვხვდება ცვლილებები როგორც პრეფიქსულ წარმოებაში (**დაებადა>დაიბადა . . .**), ისე სუფიქსურში (**დადუმა>დადუმდა . . .**), დასტურდება პრეფიქსული წარმოების სუფიქსურზე გადასვლა (**აღესრულა>აღსრულდა . . .**), ზოგჯერ კი — სუფიქსურისა პრეფიქსულზე (**დაჰკსნდა>დაიკსნა . . .**).

ე) IX—XI საუკუნეთა ტექსტებში საკმაოდ ხშირია ასპექტის გამოხატვის ე. წ. სლაური სისტემის ნიმუშები, მაშინ, როცა ანალოგიური ფაქტები ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებში საძებარია.

ვ) X—XI საუკუნეთა ხელნაწერებში იჩენს თავს III ხოლმეობითის მწკრივი. ხანმეტ. და ჰაემეტ ტექსტებში ამ მწკრივის არსებობის რაიმე კვალი არ ჩანს.

ზ) X—XI საუკუნეთა ხელნაწერებში გვაქვს -ვარ, -ხარ . . . მეშველ-ზმნიანი ფორმები სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში: **(უპყრივარ, მგონიხართ, შეუპყრივარ, შეუქმნივართ, უზრდივარ, შეუპოვნებივართ, შეუქმნიხარ, განუყვანებივართ, განურისხებივართ . . .).**

4. ა) IX—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირია

ისეთი შემთხვევა, როცა მრავლობითის -ნ სუფიქსიანი სახელი ზმნაში სათანადო ნიშანს ვერ აჩენს.

ბ) IX—XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლებიდან კარგად ჩანს, რომ „რომელ“ ლექსემა „რომ“ კავშირის ფუნქციას იძენს.

ასეთია არსებითად ის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნები, რომლებითაც V—VIII საუკუნეთა და IX—XI საუკუნეების წერილობით ძეგლთა ენა შეიძლება ერთმანეთს დაეუპირისპიროთ. რა თქმა უნდა, აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ჩვენამდე მოღწეული კორპუსი ძალზე მცირეა IX—XI საუკუნეთა ძეგლებთან შედარებით. შესაძლოა, მომავალში აღმოჩნდეს ისეთი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები, რომლებშიც ბევრი ისეთი ფორმა დადასტურდეს, რაც ჩვენ მიერ გამოყოფილ ზოგ განმასხვავებელ ნიშანს უარყოფს.

ამ დაპირისპირებისას ვითვალისწინებთ ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ იმ ფორმებსაც, რომლებიც, ერთი მხრივ, თავს იჩენს V—VIII საუკუნეთა ძეგლებში, მეორე მხრივ, კი უფრო გვიანდელში (სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, V—VIII საუკუნეთა და IX—XI საუკუნეთა ძეგლებს შორის არსებითი განსხვავება არაა, სხვაობა დაჩნდება ამ ნორმათა დარღვევების ხასიათსა და რაოდენობაში).

V—XI საუკუნეთა სალიტერატურო ენის ნორმათა რამდენადმე ერთიანობა იმითაცაა შეპირობებული, რომ ამ პერიოდში ძირითადად სასულიერო მწერლობის ძეგლები გვხვდება.

XII—XVIII საუკუნეთა ძეგლები თემატურად მრავალფეროვანია: გვაქვს სასულიერო და საერო მწერლობის თხზულებანი, საისტორიო ჟანრის ნაწარმოებები, საისტორიო დოკუმენტები, იურიდიული ხასიათის ძეგლები... შესაბამისად მრავალფეროვანია სალიტერატურო ენის სტილისტური შესაძლებლობანიც.

რა თქმა უნდა, ყველა წერილობითი ძეგლის ჩვენება ერთნაირად ფასეული ვერ იქნება სალიტერატურო ენ ს ისტორიისათვის. აქ რამდენიმე ფაქტორია ვასათვალისწინებელი. პირველი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების ჟანრს. ჩვეულებრივ, საერო მწერლობის ძეგლთა ენა ცოცხალ მეტყველებასთან გაცილებით ახლოს დგას, ვიდრე საეკლესიო ლიტერატურის ძეგლების ენა. ჟანრთა შორისაც სხვაობა იჩენს თავს: აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები ხშირად გამოაელენენ ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს. საკმაოდ ახლოსაა ცოცხალ მეტყველებასთან „პატერიკების“, „წმიდათა ცხოვრებათა“ ენაც. „ქადაგებები“, „სწავლანი“, „საგალობლები“, ჩვეულებრივ, უფრო მტკიცედ იცავენ სალიტერატურო ენის ნორმებს. მეორე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ორიგინალურია ძეგლი, თუ თარგმნილი. ორიგინალური ძეგლები, როგორც წესი, კარგად ასახავენ მშობლიური ენის ძირითად

სინტაქსურ წესებს მაშინ, როცა თარგმნილი ძეგლების დიდ უმრავლესობაში სიტყვათა წყობა უცხო ენის კანონებსაა დაქვემდებარებული.

მესამე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორაა ტექსტი მოღწეული ჩვენამდე, თავდაპირველი სახით, თუ მან ცვლილებები განიცადა. რამდენადაც V—XI საუკუნეთა აგიოგრაფიული ძეგლებიდან არცერთს არ მოუღწევია ავტოგრაფების სახით, საგებით ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ამ ტექსტებს საკმაოდ დიდი ცვლილებები განუცდიათ. მაგალითად, „შუშანიკის წამების“ ტექსტი, როგორც ცნობილია, დაწერილი V საუკუნეში (476—483 წწ.), ჩვენთვის მხოლოდ X—XVIII საუკუნეთა ხელნაწერებით არის ხელმისაწვდომი. უდავოა, რომ ტექსტს გადამწერები ნაწილობრივ ცვლიდნენ. ცვლილება უპირველესად სწორედ ნაწარმოების ენობრივ მხარეს შეეხებოდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ძეგლში ხანმეტობის არაერთი ნაშთი აღარ დასტურდება, მრავლისმეტყველია. თანამედროვე ფილოლოგიას შესწევს უნარი, ნუსხათა ურთიერთშეჯერების საფუძველზე მეცნიერულად დაადგინოს ტექსტი, მაქსიმალურად მიუახლოოს იგი არქეტიპს, მაგრამ ძნელად მოხერხდება (ალბათ ვერც მოხერხდება) ტექსტის იმ სახით აღდგენა, როგორც იგი ავტორის ხელიდან გამოვიდა.

მეოთხე. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ საიდან არის, რომელი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელია მწერალი. სამწუხაროდ, ძველი ქართველი მწერლების შესახებ მეტად ცოტა ვიცით, ასე რომ, ძალზე ძნელია იმის თქმა, თუ საქართველოს რომელი კუთხის წარმომადგენელია ესა თუ ის მწერალი. ნაწარმოების ანალიზიც ამ საქმეში ცოტას გვეხმარება. ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები შესაძლებელია დაიძებნოს, მაგრამ ამ ფორმათა ლოკალიზაცია ჭირს. საქმე ისაა, რომ ქართული ენის დიალექტთა ადრეული ჩანაწერების უქონლობის გამო ზედმეტი გაბედულება იქნებოდა ამა თუ იმ დიალექტიზმის მიკუთვნება რომელიმე დიალექტისათვის. სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენთვის საინტერესო რომელიმე ფორმა მოეპოვებოდა არამარტო იმ დიალექტს (ან დიალექტთა ჯგუფს), სადაც იგი დღესაც დასტურდება, არამედ სხვა დიალექტებსაც. მაგრამ ამ უკანასკნელთ იგი დაკარგეს მანამ, სანამ მათი პირველი ჩანაწერები იქნებოდა ფიქსირებული.

შეხუთე, ძალიან მნიშვნელოვანია მწერლის (თუ გადამწერის) ენობრივი პოზიცია: ზოგიერთი მწერალი, მთარგმნელი (გადამწერი) უფრო მეტად გამოავლენს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს, ზოგიერთი კი ცდილობს, რაც შეიძლება ზუსტად დაიცვას სალიტერატურო ენის ნორმები. სხვაობა შეინიშნება ერთი და იმავე ეპოქის ორ მწერალს შორის, უფრო მეტიც, ზოგჯერ უფრო ადრინდელი მწერლის ნაწერებში გაცილებით მეტი ნეოლოგიზმი დასტურდება, ვიდრე მომდევნო პერიოდის მწერლის ნაწერებში.

მეექვსე, დიდმნიშვნელოვანია ის, თუ რომელ სალიტერატურო კერას ეკუთვნის მწერალი. ძველ საქართველოში (და საქართველოს ტერიტორიის გარეთ) მრავალი მწიგნობრული სკოლა არსებობდა. საფიქრებელია, რომ ამ მწიგნობრულ სკოლათაგან ზოგიერთს მაინც საკმაოდ მტკიცედ შემუშავებული ენობრივი ნორმები ახასიათებდა, რომელთა მიხედვით ამ სკოლებში დაწერილი, თუ თარგმნილი ძეგლები უპირისპირდებოდა სხვა მწიგნობრულ კერაში შემუშავებულს (2, გვ. 501). საკმაოდ კარგადაა ცნობილი პეტრიწონული სკოლის ენობრივი ნორმები (7, გვ. 7—210). სამწუხაროდ, სხვა სკოლათა ენობრივი თავისებურებები ჯერჯერობით შეუსწავლელია.

ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის პრობლემა საბოლოოდ შეიძლება გადაწყდეს ენის ისტორიის დეტალური შესწავლის შემდეგ.

ლიტერატურა

1. ღ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და ვანვითარება ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 9, 1964.
2. ი. გიგინეიშვილი, ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხი: იქვე, III, 1952.
3. ი. იმნაიშვილი. იოვანეს გადმოცემა და მისი თარგმანება: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 7, 1951.
4. ი. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულში, II, თბ., 1966.
5. კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტესაჲ მიტროფანე ზმჟრნელ მიტროპოლიტისაჲ, ტფ., 1920.
6. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
7. დ. მგელიაშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ თხზულებათა ენა და სტილი, თბ., 1975.
8. ღ. მუსხელიშვილი, აბესალომ ტბელი, თბ., 1941.
9. ზ. სარჯველაძე, ენ სუფიქსით გამოხატულ მრავლობით რიცხვში დასმული სახელის ზმნასთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში: მაცნე, 1969, № 3.
10. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
11. ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964.
12. ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის ენა: იოანე პეტრიწის შრომები, I, თბ., 1940.
13. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. I, თბ., 1942.
14. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
15. ა. შანიძე (ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე), ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფ., 1934.
16. ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: ტუმ, VII, ტფ., 1927.
17. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში": ენიმკის მოამბე, III, თბ., 1937.
18. არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, თბ., 1938.

19. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950.
20. არნ. ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში: იქვე, XV, თბ., 1966.
21. ზ. კუმბურიძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 11, თბ., 1968.
22. ზ. კუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის: ქართული ენა, თბ., 1984.
23. Г. А. Климов, К Вопросу о порядке членов атрибутивного комплекса в картвельских языках: «Вопросы изучения иберийско-кавказских языков», М., 1961.
24. G. Deeters, Die kaukasische Sprachen: Handbuch der Orientalistik, B. VII. Leiden /Köln, 1963.
25. I. Kawtaradze, Der Entwicklungsweg der georgischen Literatursprache: ს-ქართველო, Georgien, Jena, 1975.

XI თავი

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები

1. დაბალ დიფთონგთა მოშლის საკითხი

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში იყო /ეი/, /აი/, /ოი/; /უი/ დამავალი დიფთონგები (*ძეი, ძმაი, წყაროი, რუი ...*). ეს დიფთონგები ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე იშლებიან. ეს კარგად ჩანს იმ დარღვევების მიხედვით, რაც *ი* და *ი* გრაფემების ხმარებისას შეინიშნება.

ი გრაფემის თავდაპირველი ფუნქციისა და მისი ხმარების თავისებურებები ძველ ქართულში არაერთგზის განუხილავთ სპეციალისტებს. ზოგი მკვლევრის აზრით, *ი* გრაფემის დანიშნულება /ეი/ დიფთონგის გამოხატვა იყო (48, გვ. 3; 4: 37, გვ. 252—253; 34, გვ. 415; 16, გვ. 5—6). გამოთქმულია სხვაგვარი მოსაზრებებიც. ს. კაკაბაძე ეარაუდობდა, რომ *ი* აღნიშნავდა გრძელ /ე:/-ს (19, გვ. 16), ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ თავდაპირველად *ი* გამოხატავდა /ჱ/-სთან ფონეტიკურად ახლო მდგომ ხორხისმიერ ბგერას (45, გვ. 201), თ. ყაუხჩიშვილის აზრით, *ი* /ეი/ დიფთონგს გარდა აღნიშნავს ეიწრო /ე/ და /ი/ ხმოვნებსაც (34, გვ. 417; 420). ი. ჭელიძე თელის, რომ *ი* ასო შემოიღეს რაღაც ბგერის აღსანიშნავად, რომელსაც „საფიქრებელია, უძველეს პერიოდშიც საშუალო ადგილი ეჭირა *ე* /ჱ/ ჲ ფონემებს შორის და შესაბამისი ბგერის დაკარგვის შემდეგ გამოიყენეს /ეი/ დიფთონგის აღსანიშნავად" (33, გვ. 53). მ. ძიძიშვილი მიიჩნევს, რომ ჩვენამდე არმოღწეულ რაღაც ბგერას აღნიშნავდა ეს ნიშანი ძველად (42, გვ. 26) და /ეი/ დიფთონგის გამოხატვა ამ გრაფემის შემდგომ დაეკისრა (42, გვ. 27).

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონოლოგიის მონაცემები არ გვაძლევს საფუძველს, ქართულში სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ეპოქაში დავუშვათ რაღაც უცნობი ფონემა, რომელიც *ი* გრაფემით აღინიშნებოდა.

საყურადღებოა გ. წერეთლის ვარაუდი, რომლის თანახმადაც. *ი* ნიშანი ბერძნულის გავლენით ჩანს „შემოღებული ქართულში, ვითარცა შე-

სატყვისი ბერძნული H-სა და არ წარმოადგენს რეალურად ქართულში არსებული რომელიმე ბგერის გადმოცემას" (43, გვ. 36).

უძველეს ქართულ ძეგლებში Ѳ ნიშანი უმთავრესად ისეთ შემთხვევებში იხმარება, სადაც /ეი/ დიფთონგი ივარაუდება. „ხანმეტ ლექციონარში" Ѳ გრაფემის ხმარების 28 შემთხვევაა, აქედან 20-გზის Ѳ საეარაუდებელი /ეი/ დიფთონგის ადგილასაა დაწერილი. 5 შემთხვევაში Ѳ გრაფემა იერუსალᲔმ სიტყვაში გვაქვს, 2-ჯერ ისრაᲔლ'ში. ერთ შემთხვევაში Ѳ ე-ს მაგიერ არის დაწერილი: ქრისტѲ, 062, 30 b. ეს მერყეობა მიუთითებს, რომ ამ დროის ენაში დაწყებულია /ეი/ დიფთონგის მოშლა. ამის დამამტკიცებელ საბუთად ისიც გამოდგება, რომ უფროობითი ხარისხის ფორმებში Ѳ-ს ნაცვლად ე გვხვდება: ხუშორესადრე, ხუადრეს, 061 a.

„ხანმეტი მრავალთავი" წარმოგვიდგენს Ѳ გრაფემის ხმარების 29 შემთხვევას. აქედან 26-გზის Ѳ იწერება მოსალოდნელი /ეი/ დიფთონგის ადგილას. ორგზის გვხვდება იერუსალᲔმი, ხოლო ერთ შემთხვევაში შᲔნ: ალშᲔნება (შდრ.: სომხ. յեն), ერთგზის ეი გრაფემათა ჯგუფია დაწერილი საეარაუდებელი დიფთონგის ადგილას: პავლეი (19, 22 a). უფროობითი ხარისხის ფორმებში ე იწერება Ѳ-ს ნაცვლად: ხუპატიოსნეს 2, 1 b; ხუმეტესსა 25, 2—3 a.

ჰაემეტ ტექსტებში Ѳ 22-ჯერ იხმარება, აქედან 21-გზის საეარაუდებელი /ეი/ დიფთონგის ადგილას. ერთ შემთხვევაში Ѳ დაწერილია იერუსალᲔმით სიტყვაში (374, 18): ერთგზის კი ეი გრაფემათა ჯგუფია /ეი/ დიფთონგის გადმომცემი: ფილიპეის (368, 6).

ამრიგად, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები ადასტურებენ იმ დებულებას, რომლის თანახმადაც, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ადრეულ საფეხურზე Ѳ-ს ფუნქცია /ეი/ დიფთონგის აღნიშვნა იყო. ის დარღვევები, რომლებიც Ѳ გრაფემის ხმარებისას ამ ტექსტებში შეინიშნება, მიუთითებს, რომ ცოცხალ მეტყველებაში /ეი/ დიფთონგი იშლება. ბუნებრივია, რომ ამ პროცესის დასრულების შემდეგ წერილობით ძეგლებში თანდათან იმატებს Ѳ გრაფემის „შეცდომით" ხმარების შემთხვევები (ამგვარი ფაქტები ხანმეტ ტექსტებში იშვიათია, არ გვხვდება ისინი ჰაემეტ ტექსტებში). მას შემდეგ, რაც ცოცხალ მეტყველებაში /ეი/ დიფთონგი მოიშალა, მწერალთ (გადამწერთ) უკვე აღარ ესმით ამ გრაფემის ფუნქცია. ამის მიუხედავად ზოგიერთ ძეგლში მაინც ასე თუ ისე ნორმათა მიხედვით იხმარება Ѳ ნიშანი. ამ მხრივ საყურადღებოა სინური მრავალთავი, რომელიც Ѳ გრაფემის ხმარების თვალსაზრისით ერთ-ერთ სანიმუშო ძეგლადაა მიჩნეული (14, გვ. 46). მაგრამ ამ ხელნაწერში დასტურდება რამდენიმე არსებითი ხასიათის მოვლენა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს /ეი/ დიფთონგისა და Ѳ გრაფემის ურთიერთმიმართებისათვის.

პირველი. არის შემთხვევები, როცა ე არის წარმოდგენილი იქ. სადაც ⊖-ს მოველით:

ნათ. ბრ.: **პავლეს** მოციქულისა მიწერილი ტიმოთჱსა 71. 9; **ქრისტესი** ძეობაჲ 146, 11; აწ ნუეინ ჰგმობნ **ქრისტესსა** მას მეუფებასა 146, 15; უკუეთუ მონაჲ ხარ **ქრისტესი** 146, 18; რომელნი ეროდეს სიცბილითა მოწყუდეს 32, 6.

უფროობითი ხარისხის ფორმები: **უზეშთაესი** 15, 37: 100, 5; 105, 35; **უმაღლესი** 199, 9; **უმეტესი** 117, 5; **უპირადესი** 94, 13; **უწინარესი** 96, 25.

რაც უნდა მცირერიცხოვანი იყოს ეს შემთხვევები, მათ უსათუოდ უნდა გავუწიოთ ანგარიში. ისინი მიუთითებენ, რომ /ეი/ დიფთონგი გადავარდნის გზაზეა (თუ უკვე გადავარდნილი არაა!), მით უმეტეს, რომ ამგვარ ფაქტებს პარალელები ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში ეძებნება.

უფრო საყურადღებოა ⊖ ნიშნის გამოვლენა იქ, სადაც იგი არ უნდა ყოფილიყო. ი. იმნაიშვილი აღნიშნავს, რომ ⊖ იწერება ცⷪნ ზმნურ ძირში·

აღმოაცⷪნა 26, 34; 34, 37; 35, 1; 35, 5 და მისთ. (14, გვ. 52).

⊖ ამ ძირში **შⷪნ** ზმნის ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი (იხ. აგრეთვე 33, გვ. 48). ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში ცⷪნ დაწერილობა არ დასტურდება.

⊖ გრაფემის ოდინდელი ფუნქციის მივიწყების შედეგია ეⷪ დაწერილობა, რომელიც პირველად თავს „სინურ მრავალთაეში“ იჩენს: **ალოეⷪ** 160, 2; **ბჭეⷪ** 172, 34; **კაცთ-მოყუარეⷪ** 173, 28; **მეორეⷪ** 185, 1: **კჯრილეⷪსი** 83, 1; **უზეშთაეⷪსი** 15, 23; **უზეშთაეⷪსად** 171, 25; **უეეშთაეⷪს** 202, 23: **უმეტეⷪს** 150, 14; **უწინარეⷪს** 169, 27.

⊖ ნიშანი თანდათან ზედმეტ გრაფემად იქცევა. მ. ძიძიშვილი ადიშის ოთხთავში ⊖ ნიშნის ხმარების შესახებ აღნიშნავს: „ამ ხელნაწერისათვის, როგორც ჩანს, დამახასიათებელია ⊖ ნიშნის ხმარება თეორიულად მოსალოდნელი ეი დიფთონგის გადმოსაცემად. ამაეე ძეგლის თვისებაა: ეი დიფთონგის გამარტივება და აგრეთვე ⊖ ნიშნის ხმარება სავსებით გაუმართლებელ შემთხვევებში“ (42, გვ. 20). აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ე-ს ნაცვლად ⊖-ს ხმარების ფაქტი იქცევს: ორ **ძⷪ**, მ. 21, 28: ესმა **მეფⷪსა**, მრკ. 6, 14; **მორეწⷪთა**, ლ. 15, 19; **მოწაფⷪნი**, ი. 4, 27; **პⷪტრესით**, ი. 1, 44.

⊖-ს ნაცვლად გვხვდება ეⷪ: **ძეⷪ** კაცისაჲ, მ. 9, 6; ი. 3, 17; 4, 47 და მისთ

ე-ს მაგიერ დასტურდება **ეⷪ** სიტყვის ძირშიც: **მრწეⷪმ**, ლ. 22, 26.

ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ ადიშის ოთხთავის გადამწერისათვის ⊖ უკვე მკვდარი გრაფემაა. ამიტომ იგი ამ გრაფემას წერს თავისი ინტუიციით. ზოგჯერ ეს ინტუიცია „მართებულია“ (შემთხვევით დაწერა იქ,

სადაც ადრე დიფთონგი იყო). ოღონდ, ამ „სწორ“ დაწერილობებს ენის თვალსაზრისით დიდი ღირებულება ვერ ექნება, რადგანაც იმავე ტექსტში საკმაოდ ხშირია ⱁ გრაფემის არასწორად დაწერის შემთხვევები.

X—XI საუკუნეთა და მომდევნო ხანის ძეგლებში ⱁ-ს ხმარება უკვე აღარ ემორჩილება წესებს: ერთი მხრივ, როგორც წესი, თავს იჩენს ⰻ ნიშანი ⱁ-ს ნაცვლად იმ შემთხვევებში, სადაც ოდესღაც დიფთონგი იყო; მეორე მხრივ, ⱁ ნიშანი სისტემატურად ენაცვლება ⰻ-ს. ამგვარი ვითარება ნიშანდობლივია ამ დროის ყველა ძეგლისათვის. საილუსტრაციოდ დავასახელებ რამდენიმე ხელნაწერს: A-19 (სვანური მრავალთავი, მე-10 საუკუნისა); A-1109 (უდაბნოს მრავალთავი, IX—X სს.). Sin.-26 (954 წ.): Sin.-39 (974 წ.): S-1138 (X ს.); A-95 (X ს.); A-1 (1031 წ.): A-93 (1093 წ.); A-1103 (1011—1019 წწ.); A-558 (1074 წ.) და სხვ.

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ ⱁ დაწერილია ⰻ გრაფემათა ჭიმდეკრობის ნაცვლად:

მიეცით კⷪსრისაჲ კⷪსარსა, ტბ. ოთხთ. 218 r. 6—8 b.

ამ მოვლენის საპირისპირო შემთხვევაც დასტურდება: ⰻ გრაფემებია დაწერილი ⱁ-ს ადგილას: კრებული წინასწარმეტყუელთაჲ აშეინებდა საფუძველსა მას, Sin.-35 14, 24—26 b.

პირველად სინურ მრავალთავში იჩენს თავს ⰻⱁ დაწერილობა (იხ. ზემოთ). ამგვარი დაწერილობა საკმაოდ ხშირია X საუკუნის ხელნაწერებში. ⰻⱁ დაწერილობათა ერთი ჯგუფი გვხვდება იქ, სადაც ისტორიულად დიფთონგი გვქონდა, ხოლო მეორე რიგი კი ე-ს ადგილას:

ა) ⰻⱁ დაწერილობა ისტორული /ეი/-ს ადგილას:

და ყო ნოე ეგრეⷪთ, კალ. ლექც. 125, 6—7 a; რამეთუ იყო იგი მოწაფეⷪ ჲესუჲსი, ბერთ. ოთხთ. 503, 9 b; ძეⷪ ღმრთისაჲ ხარ შენ; H-1887 3 v, 7 a; მხოლოდშობილი ძეⷪ შენი, A-86 7 r, 10—11; ვინაჲ არს ამისი სიბრძნეⷪ, H-1887 2 r, 11—12 b; ლოცვაჲ მესამეⷪ, A-86 4 v, 1 და მრავალი სხვა.

ბ) ⰻⱁ დაწერილობა /ე/-ს გამოხატავს:

არავის შეⷪმთხუიო, Sin.-34 184 r, 10; არა აღმოეცეⷪნის ყანაჲ. Sin.-35 163, 11—12 a; და მომპოვებელი დაცემათაჲ აღმომცეⷪნებელი გულისწყრომისაჲ. იქვე 333, 12—13 b; რომელნი ღაღადებენ მისა დღეⷪ და ღამეⷪ, A-1699 57 v, 5—7 a; მოუკლებელად მსახურებად დღეⷪ და ღამეⷪ, A-86 74 r, 10—12; ეგრეთ იყოს ძეⷪ კაცისაჲ გულსა ჭეუყნისასა სამ დღⷪ და სამ ღამეⷪ, A-1699 13 v, 12—15 b; და იქმნეს ხეⷪ დიდ. A-1699 14 v, 10—11 b; არამედ იგი თავადი იყო მოწყალეⷪ, H-1798 4 r, 1; იყვნეს იგინი მესათხევლეⷪ, წყაროსთ. ოთხთ. 69 r, 2—3 a; უკუეთუმცა ვინმე მცირეⷪ იყო, გინათუ გლახაკ, ათონ. მრავალთ. 270 r, 17—18 a; შევიდა მეორედ ტაძართა მათ პილატეⷪ, ი. 18, 33 C; განუცხადა მორწმუნეთა მათეⷪ მახარებელმან და ღაღატ-ყო, მოდრ. იადგ. 162 r, 28;

ალდა შეკრებილ იყო საპყრობილედ **იოვანე**, A-1699 69 r, 10—12 a: მშჯდობაჲ დაუტეოთ ანგელოზსა ეკლესიისასა, Jer.-142 205 v, 17—19: მკურნალთა რაჲმს ჰნებავნ სნეულთა განკურნებაჲ, იქვე 235 v, 6—8 და მისთ.

ორიე ეს შემთხვევა არსებითად ერთსა და იმავე მოვლენას ასახავს: **ე** დაწერილობა გამოხატავს /ე/-ს, რამდენადაც ამ ეპოქის ენაში /ეი/ დიფთონგის ადგილას /ე/ გვ:ქვს.

ცალკე უნდა გამოიყოს **ი** გრაფემის ხმარების ის შემთხვევა, როცა იგი /შ/-ს გამომხატველ ნიშანს მოსდევს. ეს მოვლენა სპორადულად X საუკუნიდან იჩენს თავს (37, გვ. 281, შენ. 1). X საუკუნის ძეგლებში დადასტურებულია **უი** დაწერილობის რამდენიმე ფაქტი:

ვარღუიშვ, უდაბნ. მრაველთ. 38 v, 12; და უპყრა ჴელი **მარჯუიშნე** მისი. Ath.-42 127 r, 12—13 b: და ქალაჩი იგი წმიდაჲ დათრგუნონ ორმეოცდაორ **თუი**, A-397 30 v, 3—4; მიეცა მას ყოფად ბრძოლისა ორმეოცდაორ **თუი**, იქვე 80 v, 23: და იხილვიდეს **ჩუინებათა**, იქვე 176 r, 20—21; და იქმნეს მონა და **ტყუი**, A-371 2 r, 22—23 b: მონებამან სულისამან მალიად ყვის შთამოზიდვაჲ **ჭუი**, შატბ. კრებ. 33 v, 5—7 a: დაემჭუას დალონებით **ჭუი**, იქვე 49 r, 18—19 a: და მეორესა დღესა ფრთენი შეისხნის და იქმნის **მართუი** მფრინველის, იქვე 109 v, 2—4 b: დავით ლ ე წელ დ ვ თუი, იქვე 123 v, 20 a; და ვიყავ მუნ ერთ **თთუი**, იქვე 228 r, 23—24 a; სხუათა მათ სამარიტელთა **ჭუიმყოფთა** მაღალსა მას სწავლასა ეკლესიასა წინაუძღოდა, სვან. მრაველთ. 342, 13—16 a; ეცნებდა ჟამსა **მარჯუიშსა**, Sin.-15 73, 15—16 a; რომელმან გამოიღოს საუნჯისა თჳსისა **ძუიძლი** და ახალი, წყაროსთ. ოთხთ. 32 v, 5—7 b; და ეჩუიშნა სიმონს, იქვე 167 r, 21 a — 167 r, 1 b; ენებად კაცთა ხუთ **თუი**, A-397 28 v, 11—12: გამოსახეთ სახი სამთა ჯუართაჲ ზეთითა მით და **მტუირითა**, იქვე 139 r, 11—13; შეკრიბა ყოველი იძრვისი და **ჭუიწარმავალი**, იქვე 127 v, 16—17; **ნუიკუი** მოიქცენ, იქვე 68 v, 16; **ნუიკუი** ქუეყანასა ზედა დგომითა ვერ შემძლებელ იყოა, იქვე 162 r, 15—16; **ნუიკუი** მე ჰურიაჲ ვარ, ტბ. ოთხთ. 293 v, 9—10 b; **უკუი**, არეთა 8.2 b.

არის შემთხვევები, როცა **ი** იწერება ჳ-ს შემდეგ: **ჳი=/შე/**:

მარჯჳიშნი ჴელი მიუპყრა, ათონ. მრაველთ. 10 r, 20—21 b: და იმალვიდა იგი თავსა თჳსსა ხუთ **თჳი**, იქვე 18 r, 27—28 b; და დაყო მუნ ერთ წელ და ექუს **თჳი**, Ath.-42 168 v, 4—5 a; **თჳისა** მეექუსესა მოიელინა გაბრიელ, პარხლ. მრაველთ. 10 r, 26—27 a: ამისთჳსცა მახარებელმან გუთხრა **თჳისა** მეექუსესა, იქვე 16 r, 3—4 b; და გულისკმა-ვყოთ, ვითარმცა იგი მეექუსჱ **თჳისა** მიდგომასა ელისაბედისსა მოვიდა გაბრიელ ანგელოზი, იქვე 16 v, 17—20 b: მრქუა მე უფალმან მეშჳდესა **თჳისა**, იქვე 17 r, 2—3 b; მოითუალენ **თჳნი** იგი შემდგომნი. იქვე 18 r, 8—9 b: და თჳსა ფენტრაწესა აღესრულების, მეორესა დღესა, იქვე 30 v, 29—31 a.

უⷭ დაწერილობა განსაკუთრებით ხშირდება XI საუკუნიდან. XI—XIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლები ამ ნიშნის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა: პირველი, ხელნაწერები, რომელთაც სრულებით არ ახასიათებს უⷭ დაწერილობა (A-1, A-55, A-445, A-500, A-584, A-1103, A-1104); მეორე, ხელნაწერები, სადაც უⷭ დაწერილობა ძალზე იშვიათია (A-40, მხოლოდ ჯუⷭ და ნუუკუⷭ სიტყვებში; A-93; A-558, მხოლოდ უკუⷭ და ნუუკუⷭ; A-689, A-1101, მხოლოდ ორი შემთხვევა და მისთ.); მესამე, ხელნაწერები, სადაც ხშირია უⷭ ჯგუფი (A-50, A-79, A-85, A-90, A-109, A-129, A-143, A-162, A-205 და მისთ.).

ⷭ ზოგჯერ იწერება მარცვლოვანი /უ/-ს გამომხატველი ნიშნის შემდეგაც:

რომელი არა უⷭჳუⷭლ საცხორებელ ეკმნების ყოველთა კაცთა. მიგებებისათჳს 59 r, 19—21 b; უⷭჳუⷭლად მოიწიოს მის ზედა, იქვე 218 r, 2 b; ღმერთსა აგონებს უⷭჳუⷭლ დ, იქვე 218 r, 23—24 b.

უⷭ დაწერილობა უნდა განვიხილოთ, როგორც ⷭ გრაფემის „უწესო“ ხმარების ერთ-ერთი გამოვლენა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ⷭ ძველ ტექსტებში მას შემდეგ, რაც მივიწყებულ იქნა მისი თავდაპირველი ფუნქცია, საკმაოდ ხშირად ენაცვლება ე გრაფემას: მⷭფე, ⷭშნი; ცⷭნება ... უⷭ დაწერილობა ერთ-ერთ ამგვარ დარღვევას წარმოადგენს, ოღონდ. როგორც ჩანს, მან მეტი გავრცელებულობა მოიპოვა. არაა გამორიცხული, რომ ამგვარი დაწერილობა გარკვეულ მწიგნობრულ კერათათვის ყოფილიყო დამახასიათებელი (შდრ.: 33, გვ. 50). ზოგჯერ უ გრაფემის შემუეგ ზედმეტად ⷭ-ს წერდნენ:

და თჳსითაცა ჴელითა შუⷭრებოდა, ალჯპი მესუეტ. 11, 15—16; მტყუარო და უⷭრცხჳნოო, ანდრია სალოსი 37 v, 17—18: რომელიმე ნერწყუⷭდიან პირსა მისსა, იქვე 13 v, 13—14; რაჲსა გუⷭჳურეტ, იქვე 16 v, 7; მიუგე და ვარჭუⷭ, იქვე 11 v. 2.

XI—XII საუკუნეთა ზოგ ხელნაწერში უⷭ ჯგუფი /უი/ დიფთონგს გამოხატავს:

და საუⷭვენი სელისანი იყენენ ალოთა მისთა ზედა. Q-1152 46 r, 29—31: და მივიდეს საუⷭჱელი ყოველთა ზედა ალოთა მისთა. იქვე 124 r, 16, და სხვ.

შეიძლება დავასკვნათ: ⷭ ნიშანი, რომელიც ქართულ ანბანში, ზესაძლოა, ბერძნულის მიხედვით იყოს შემოღებული (გ. წერეთელი), თავდაპირველად /ეი/ დიფთონგს გამოხატავდა. ამის დამადასტურებელ ფაქტებს ხანმეტი და ჰანმეტი ტექსტები წარმოადგენს. ეი დიფთონგის მოშლა ენაში ადრე დაიწყო: უკვე ხანმეტი ტექსტები ამ მოვლენის ამსახველ რამდენიმე შემთხვევას გვიჩვენებს. /ეი/ დიფთონგის რღვევაზე აშკარად მიუთითებს უძველესი თარიღიანი ხელნაწერების (სინური მრავალთავი 864 წლისა და ადიშის ოთხთავი 897 წლისა) მონაცემები. X—XIII საუ-

კუნეთა ბეგლებისათვის Ѳ ზედმეტ ნიშნად იქცევა, მისი ფუნქცია დავიწყებულია. ამიტომ მას სისტემატურად წერენ იქ, სადაც იგი ადრინდელ ნორმათა მიხედვით არ უნდა ყოფილიყო (IX საუკუნიდან იჩენს თავს ეѲ დაწერილობა, ხოლო X საუკუნიდან — უѲ. ორივე ამ დაწერილობის საფუძველია Ѳ-ს აღრევით ხმარება).

ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მხედრულ ანბანს, რომელიც XI საუკუნიდან ჩნდება, Ѳ გრაფემა აღარ მოეპოვება (38, გვ. 12). მხედრულმა ანბანმა უკუაგდო Ѳ, როგორც ზედმეტი ნიშანი, გრაფემა, რომელსაც რეალურ წარმოთქმაში აღარ შეესაბამებოდა /ეი/ დიფთონგი.

აღსანიშნავია, რომ XI საუკუნის ზოგიერთი ხელნაწერი იშვიათად იყენებს Ѳ ნიშანს. ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი, როგორიცაა A-584 (1083 წ.), გამოაელენს Ѳ გრაფემის ხმარების ერთადერთ შემთხვევას.

მიუხედავად ამისა, XI—XIII საუკუნეთა და მოგვიანო ხანის ზოგიერთ წერილობით ძეგლში Ѳ ნიშანი, შესაძლოა, ისეთ შემთხვევებშიც დავადასტუროთ, სადაც ისტორიულად /ეი/ დიფთონგი იყო. ეს მოვლენა უნდა აიხსნას ტრადიციის ძალით (ზოგჯერ არც შემთხვევითობაა გამორიცხული: Ѳ 5-ჯერ არასწორად იხმარება, ორჯერ სწორად. სწორი ფორმები შემთხვევითია), კლასიკური ქართულის ორთოგრაფიული ნორმების ცოდნით. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნორმათა დაცვას თითო-ოროლა შემთხვევაში თუ ახერხებენ.

* * *

/აი/, /ოი/, /უი/ დამავალი დიფთონგების მეორე კომპონენტი [ი] ძველ ქართულში Э სპეციალური გრაფემით იყო გადმოცემული. [ი] და [ი] ძველი ქართულის დონეზე ერთი და იმავე ფონემის პოზიციურ ვარიანტებად მიიჩნევიან. ორივე ალოფონი ძველ ქართულ ანბანში ცალ-ცალკე გრაფემებითაა გამოხატული. ეს მოვლენა დამწერლობის ფონოლოგიური პრინციპიდან გადახვევას წარმოადგენს (დამწერლობის ფონოლოგიური პრინციპის მიხედვით, თითოეულ ფონემას ერთი ცალკე გრაფემა შეესაბამება და პირუკუ, 54, გვ. 229).

[ი]-სათვის ძველ ქართულში ნიშანდობლივია შემდეგი პოზიციები:

v—#: **ძმა-ი, დედა-ი, წყარო-ი, რუ-ი ...**

v—ც: **წყარო-ისა, წყარო-ითა, რუ-ისა, რუ-ითა ...**

[ი] სპორადულად გამოვლინდება v—v (**ესაია, კაიაფა**) და v—ც (**საიდუმლო, აიძულა**) პოზიციაში. ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემთა მიხედვით, ეს გარემოცვები [ი]-სთვის დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა. v—# და v—c პოზიციებში [ი] მყარია მორფოლოგიური დაწოლის მეშვეობით (7, გვ. 67—68). (v—# პოზიციაში [ი] სახელობითის

ნიშნის ალომორფია, ხოლო v—c პოზიციაში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების ნიშანთა შემადგენლობაში შედის).

ჲ და ი გრაფემათა ქცევა ქართული ენის წერილობით ძეგლებში იძლევა საშუალებას, გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები [ჲ]-ს შემცველ დამავალ დიფთონგთა ევოლუციის შესახებ.

ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში ჲ გრაფემა არსებითად დაცულია ყველა იმ შემთხვევაში, სადაც დამავალი დიფთონგებია მოსალოდნელი. გამონაკლისებია: **ხუფროს**, ხანმ. მრავალთ. 19, 1; 24, 7; 25, 6—7; უძვ. ქართ. ხელნაწ. 329, 13—16; 336, 11; აგრეთვე: **გუდასმან**, წყისის წარწ.

ხუფროს და **გუდასმან** ფორმები მიუთითებენ იმაზე, რომ VI—VIII საუკუნეებში დაწყებულია [ჲ]-ს შემცველ დიფთონგთა მოშლა.

IX—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირია ი და ჲ გრაფემათა ხმარების წესთა დარღვევები.

I. ჲ არაა იქ, სადაც ორთოგრაფიულ ნორმათა მიხედვით იგი აუცილებელია:

ჲა>ა: ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა:

სიტყუა ღმრთისაჲ კაც იქმნა, სინ. მრავალთ. 48, 36: იხილეს მიუწუდომელი კაცთმოყუარება, იქვე 192, 3—4; არა უნდა განმხილება მისი, მ. 1, 19 C; მუნ უბრძანო ყორანსა **გამოზრდა** შენი, უდაბნ. მრავალთ. 73 r, 19—20 b; და მომიძულეს მეცა და **მამაცა** ჩემი, Sin.-16 298 v, 17—18; განჰმარტა სჯმეონ მარჯუენა თჳსი, Sin.-46, 103 v, 9—10; იქმნა **ძრვა** დიდი ადგილსა ამას, Sin.-62 93 r, 25—26 a; წარიყვანა ყრმაჲ იგი და დედა მისი, ლატ. ლექც. 7 v, 4—5 a; და მიმოვიდოდა წყალი ქუეყანასა ზედა და წუიმა, იქვე 142 r, 21—23 b; და სთნდა ჰეროდეს **როკვა** იგი მისი, ქსნ. ოთხთ. ფრაგმ. 5 v, 2—4 a; და არა შეიწყნარა სწავლა ბერისაჲ, ეფთჳმი, 56 v, 1—3;

და აქუნდა სიხარული დედისა, სინ. მრავალთ. 28, 4; მოიღოს მარტჳრობისაცა იგი გჳრგჳნი, იქვე 168, 5; თქუმული წმიდისა და ნეტარისაჲ (!) მამისა ჩუენისა იოვანე **ოქროპირისა**, იქვე 199, 2—3; და ცრემლი თუალთა ჩუენთა წმიდათა მათთჳს, იქვე 268, 33; და განჴსნდა კრულებაჲ ენისა მისისა, ბერთ. ოთხთ. 206, 15—17 b; ერი ურწმუნოჲ, მკლველი წინასწარმეტყუელთა გამოჩნდა მკლველად შენდა, Sin.-20 79 v, 6—8; ქმაჲ ღაღადებისა უდაბნოსა, Sin.-16 247 r, 3—4; რაჲთა არა უვარ-ჰყოთ სახელი ღმრთისა ჩუენისა, Sin.-62 10 r, 4—6 a; რომელი იყო ჴეშმარიტად მსგავსი პეტრე მოციქულისა, იქვე 11 v, 8—10 a; შენ ხარ ბეჭედი გუამისა ჩემისა, იქვე 128 r, 9 a; ხოლო შენ ვერ გიცნობიეს მიმცემელი იგი მთავრობისა მაგის შენისა, იქვე 143 v, 27—30 a; მოწამე არს მისთჳს ვენაჯი ქურიკისა მდაბლისა, Sin.-64 60 v, 9; მეგობარი იყავ მეფისა უშჯულოჲსა და მეგობარი კერპთა მისთა, Sin.-65 141 r, 4, და მისთ.

მ ო ქ მ. ბ რ უ ნ ვ ა:

ოწყო გალილეათ ვიდრე აქამდე, კურთხევანი 75 r, 22; აღაორძინენით

ესენი სიორბილითა **სიწმიდისათა**, იქვე 22 v, 1—3: მეოხებითა წმიდისა იოვანე **ნათლისმცემელისათა**, ჯრუშ. ოთხთ. ანდერძი 291 r: **ვინათგან** უთესლოდ გვშვე ჩუენ ბუნებითა შემოქმედი, იელ. იადგ. 2 v, 1—2: მრავალი ჟამი მაქუს. **ვინათგან** მინდა ამათ ჯელთა ამბორის-ყოფაჲ, ეფთჳმი 77 r, 8—11: დავსხენ კლიტენი საკურთხეველსა ზედა, **სადათ-იგი** აღიხუენ. იქვე 114 r, 5—7: **ვინათგან** შეუძრველად მიიღეთ, პარაკლიტ. 208 v, 18—19: **უნებლიათ** გუასწაეს ჭეშმარიტებაჲ, იქვე 259 r, 7—8: და მაჲთა ეშმაკისათა, ეფრ. ასურ. სწავლ. 191 v, 3—5 b, და სხჳ.

ოი>ო: **სახელობითი ბრუნვა:**

მიიღეს თითო დრაჰკანი, მ. 20, 9 DE: აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნო, ი. 3. 36 DE: წყარო იგი ცხოველი, Sin.-20 45 v, 15: აღმოეცენა მკურნალად წყარო ფრიად ჰაჲთა და გრილი, საბა ასურ. 149, 28—150, 1: მუნცა ეგმნა მას ადგილი იგი **სამარხო**, ეფრ. ასურ. სწავლ. 180 r, 29 b — 180 v, 2 a: რაჟამს იხილა გემო მისი, ანდრია სალოსი 9 r, 3—4. და სხჳ.

ნათესაობითი ბრუნვა:

ხოლო მან გამოიღო ეკალი და **კურუსთავი** (=**კუროსთავი**), უოაბნ. მრაგალთ. 110 r, 3—4; ცეცხლსა ჩისგან უნივთოსა, რომელსა აღმოღებთ ჩუენ. პარაკლიტ. 141 r, 11—12: დასხნეს საკურთხეველსა ქუეშე ბუალნი წმიდათა მარტჳლთანი: ტარაქოჲსნი, **ბარბაროსნი** და ანდრონიკესნი, ეფთჳმი 100 v, 6—10: და სტეფანეს შეექმნა მონასტრისა ჯუარი ოქროსაჲ. იქვე 106 r, 7—9: ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა. კურთხევანი 121 r, 21: განაშორე ესე ბალითა სულისა შენისაჲთა, ქრისტე იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, იქვე 98 r, 8—10: რაჲთა განთაჲსუფლოს დაბადებული თუსი საქმეთაგან ეშმაკისათა **გემოსმოყუარისაჲთა**, ეფთჳმი 48 r, 10—14, და მისთ.

მოქმედებითი ბრუნვა:

რომელ თავით სათუალავნი არიან, ქართლდ არიან, და რომელნი ბოლოთ, იერუსალჱმდ, ძტრ.-გამოთქლ. ტრაქტ. 19 v, 24—25 (იოანე-ზოსიმეს მინაწ.): და გუნდი ეშმაკთაჲ განიოტე უდაბნოთ შენით, წმიდაო საბა, Sin.-1 285 v, 25—26: მომინადირა მე მტერმან ჩემმან მახითა მით სასიკუდინოთა, პარაკლიტ. 187 r, 13—14: და არს **ჩრდილოთ**. მისა. ეფთჳმი 97 v, 7: ხოლო ბრძანებითა იოვანე ებისკოპოსისა შეყენებულისაჲთა გამოვედ **საკრებულოთ** და ვიყოფოდე ნიალავრას, იქვე 135 v, 1—5.

უი>უ:

რაჲთა სასუფეველსა ცათასა მიწევნად ღირს ვიქმნეთ ქრისტჱს იესუს მიერ, სინ. მრაგალთ. 45, 5—6: რომელი იყო ძმაჲ **იესუსი**, იქვე 57, 6: ერთბამად ყოველთა მორწმუნეთა ქრისტე იესუს მიმართთა. მსახურთა ეკლესიისათა და ძმათა მარტომყოფთა, ლუკიან. საწყალობელი და უნარჩენესი ყოველთაჲ. უფლისა ბიერ გაკითხვ, იქვე 63, 3—7: მივიდა ღმე მიცხოლისა ჩუენისა **იესუსა**, იქვე 64, 38—39: რაჲთა აღესრულოს სი-

ტყუაჲ იგი იესუსი, მ. 26, 75 C; ზრახვა-ყვეს ყოველთა მღდელთმოძღუართა და ხუცესთა ერისა იესუსთჳს, მ. 27, 1 C; იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესუსა, მ. 27, 57 CD; და მოსთხოვნა ჯორცნი იგი იესუსნი, მ. 28, 53 C; და ღასდევს ჯუარი იგი მას ზედა მიღებად კუალსა იესუსა, ლ. 23, 26 C; ამან მოიყვანნა იგინი იესუსა ი. 1, 42 C; რომელსა შინა იყენეს მოწაფენი იგი იესუსნი, ი. 6, 22 C; და მიეყრდნა მკერდსა იესუსსა, ი. 13, 25 C; ხოლო ვითარცა მოვიდეს იესუსა, ი. 19, 33 C; ომელი-იგი იყო ძუძუსმტყ ჰეროდე მეფისაჲ, S-407 216 v, 18—20 b; S-1398 107 v, 18—20 a; სინ. საქმ. მრციქ. 33 r, 10—12 b: რომელთა არაჲ შეიწყალეს სიჩოებაჲ ძუძუსმწოართაჲ, Sin.-1 165 r, 5.

უფროს ფორმის შესახებ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ხანმეტ ტექსტებში დასტურდება ხუფროს „სწორი" ხუფროსის პარალელურად. ჲ გრაფემის გარეშე ეს სიტყვა ხშირია IX—XI საუკუნეთა ძეგლებში:

უფროსლა მათთჳს, რომელნი-იგი არიან ჩემ თანა, სინ. მრავალთ. 64, 13; ყოველთა უფროს გამოჩნდეს. იქვე 93, 4; არარაჲ არს უფროს მართლისა ცხოველ კაცთა შორის, იქვე 94, 18—19; ღმრთისა ჩუენისა უფროს პატივცემულ იყვენით. იქვე 118, 25. და მისთ.

ვფიქრობთ, შემთხვევათა ეს ჯგუფი ეკუთვნის არ ტოვებს, რომ ამ ღროის ცოცხალ მეტყველებაში [ჲ]-ს შემცველი დამაგალი დიფთონგები მოშლილია. ამ მოვლენის დასაწყისი ხანმეტ ტექსტებშია ასახული. სინური მრავალთავი, ჩვენი აზრით, ამ პროცესის დასასრულს გვიჩვენებს.

IX—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში შეინიშნება „ლოტამეტობის" შემთხვევები, რაც ავრეთვე მიუთითებს, რომ [ჲ]-ს შემცველი დამაგალი დიფთონგები ენაში უკვე მოშლილია, მაგრამ გრაფიკაში დარჩა ჲ გრაფემა. ზოგ გადამწერს (მწერალს) უკვე აღარ ესმის მისი ფუნქცია, მაგრამ იცის, რომ იგი უნდა დაწეროს ხმოვანთა შემდეგ (სიტყვის შიგნით, თუ ბოლოს); ცდილობს, დაიცვას ამ ნიშნის ხმარების „წესები". ამ შონდომების შედეგი ისაა, რომ ჲ ხშირადაა დაწერილი იქ, სადაც ღამაგალი დიფთონგი არასდროს ყოფილა.

სიტყვის ბოლოს: აჲ დაწერილობა /ა/-ს გამოხატავს: მე მიმაკაცი არაჲ ვიცი. სინ. მრავალთ. 4, 9—10; არაჲ უდაბნოსა ქადაგებენ სახარებასა, იქვე 31, 18: და არაჲ უნ.კლულოდ მიცემად გამოიძია. იქვე 42, 31: არაჲ უკმდა მას მიღებაჲ, იქვე 49, 14: თუ გნებავს სმენად სიტყუათაჲ ამათ, ვიწყო თხრობად საკითხავთაჲ ამათ, იქვე 102, 22—23: არა ჯერ-არს შეშინებაჲ და მორიდებაჲ მარხვისაჲ და თაყუანისცემისაგან. იქვე 108, 10—11; ამანო, არაჲ ვითარცა ვგუემენ ჯორცნი ეგე თქუენნი, იქვე 112, 3: ბრწყინვალე არს დღესასწაული ჴეშმარიტისაჲ ამის ტალავრობისაჲ უფროჲს ძუელისაჲ მის, იქვე 191, 6—7: შენ ხარ ქრისტე, ძეი ღმრთისაჲ ცხოველისაჲ, იქვე 195, 18: დედობრივი ენებაჲ მას არაჲ ევნო, იქვე 204, 34; ჴეშმარიტებაჲ იგიცაჲ ჭეყანით აღმოსცენდა, იქვე 205, 23—24; მაშინ წარეკუეთა სასოებაჲ ჰაბაშთაჲ მათ, იქვე 277, 23; და

ჩუენდა წეს არს. კუეპულთა და შეცოდებულთაჲ, თავის-ცოფაჲ მარტჳლთაჲ, იქვე 257, 10—11: სღეიან ზღუაჲსა და ყოველისაგან თესლადთესლადისაჲ შეკრიბიან, მ. 13, 47 C; მას მეკარემან განულის, და ცხოჳართაჲ მათ ჴმისა მისისაჲ ესმინ, ი. 10, 3 C; ესე ყო დასაბამ სასწაულთაჲ იესუ ქანაის (!) გალილეაჲსასა, ი. 2, 21 C; დაჰსცხრა ჭარი იგი და იქმნა დაყუდებაჲ დიდ, მრკ. 4, 39 D: რაჲ-ესე იხილეთ და გესმაჲ, ლ. 7, 22 D: რომელი თანა-გუედვაჲ, ვყავთ, ლ. 17, 20 D: და სიტყუაჲ შვაჲ სიკუდილისა თანამდები, სვან. მრავალთ. 51, 3—4 a: ჰრქუა მას მართაჲ, დამ ნ მი(ს)მან, ლატ. ლექც. 259 r, 14—15 a: არაჲთუ გუამითა, რომელმან არაჲ დააცარიელენ წიაღნი მამისანი; იქვე 60 v. 26: და დაამტკიცენ უფალმან სიტყუაჲ გამოსრული პირისაგან შენისაჲ, კალ. ლექც. 5, 18—20 a; არცა ესუა მე ამიერითგან ნაყოფისაგან ამის ვენაჯისაჲ ვიდრე მუნ დღემდე, მ. 26, 29 E; უმჯობეს არს შენდა უკელოჲსაჲ შესლვად ცხორებასა, მრკ. 9, 43 E: უმჯობეს არს შენდა მკელობლისაჲ შესლვად ცხორებასა, მრკ. 9, 45 E; და სცხოს მას ზეთი სახელითაჲ უფლისაჲთა, Sin.-39 97 r, 5—7; რომელი გესმაჲ ჩემგან, Jer.-109 1 r, 19; და საცნაურ იქმნაჲ, იქვე 2 v, 5—6; აღესრულა და დაეფლაჲ, იქვე 4 r, 17; არა ინებაჲ გებაჲ კერპთაჲ, A-193 273 v, 2—3; ესრეთ ამხილაჲ, A-88 177r, 26, და სხვა.

ოჲ დაწერილობა /ო/-ს აღნიშნავს:

მაშინ ჲითარცა იხილა ნეტარმან ჰაბოჲ, სვან. მრავალთ. 414, 9—10 a; ნეტარმან ჰაბოჲ ჲითარცა იხილა, იქვე 415, 31—32 a.

სიტყვის შიგნით: აჲ გრაფემათა ჯგუფი /ა/ ხმოვანს გამოხატავს:

არაჲთუ საბანელი რაჲ უჴმდა მას, სინ. მრავალთ. 49, 9—10; ნიჩით არს მადლი და ჴმაჲმაღალთაგან ქადაგთა ჴმითა შეჰკრებს ყოველთა, იქვე 83, 23—24; უპოვარი და უდაბნოჲსმოყუარჱ, ხოლო არაჲთუ კაცის მოძულჱ, იქვე 86, 15; არაჲთუ სამოსელსა განვიძარცუავთ, იქვე 119, 26; და არაჲ გჳირს შენ არაჲვისთჳს, მ. 22, 16 C; ესე ყო დასაბამ სასწაულთაჲ იესუ ქანაის გალილეაჲსასა, ი. 2, 11 C; მოვიდა მერმე ქანაის გალილეაჲსასა, ი. 2, 12 C; მართაჲს ვითარცა ესმა, ი. 11, 2 C; ხოლო იყო მგელი იგი არაჲწმიდაჲ ე შ მ ა კ ი, სვან. მრავალთ. 245, 32 b — 246 r, 1 a; დიდებასა შენსა ღირს-მყავ, არაჲღირსი, Sin.-34 56 r, 9; იესუს ესმნეს სიტყუაჲნი ესე, მრკ. 5, 36 D; და ჯოჯოხეთისა ბჭენი არაჲსადა ერეოდიან მას უკუნისამდე, პარაკლიტ. 172 r, 1—2; უმაღლეს სერაჲბინთაჲ ხარ, იქვე 194 v, 1; მოუჴდა მას მენაჲვეი იგი ხლა ჰრქუა, კალ. ლექც. 201, 12—13; იოვანეს ეგულების სწაჲვლაჲ ერისაჲ, იოანე ოქროპირ. ცხორ. 56 v, 5—6; არაჲვინ არს წმიდაჲ ვითარ უფალი და ა რ ა ვ ი ნ არს მართალ, Sin.-40 35 v, 1—2; და შეწიროს მღდელმან საკურთხეველსა მას ზედა ნაყოფთაჲსა, ლევიტ. 4, 10 O; და წმიდაჲ-უაჲთ წელი იგი, იქვე 25, 10; უკუეთუ იქმნა ეგევითარი დღეთა თქუენთა, ანუ დღეთა მამათა თქუენთაჲსა, იოველ 1, 2 O; არაჲვინ არს წმიდაჲ, მოდრ. იადგ. 54 r, 19; გე-

ჩუენა არაჲთუ ნისლსა შინა. იქვე 57 v, 19; არაჲთუ საუცრებით აჩუენე, იქვე 96 v, 18; მართაჲს განეწირა ღაწიერე, იელ. იადგ. 151 r, 11; მისხედენით მფრინველთა ცისაჲთა, Sin.-26 20 v, 16—17; არაჲვინ არს სხუაჲ ღმერთი. Sin.-64 5 v, 22; რომელმან არაჲსაჲ ჰქმენ ცოცხაჲ, იქვე 37 r, 30: მისცა იგი კელთა მტანჯველთაჲსა, წყაროსთ. ოთხთ. 42 v, 4—5 b: ვიებაჲ იგი მეორე წარკდა, A-397 75 v, 8.

ეი აღნიშნავს /ე/-ს:

და შიშით სიძდაბლეჲსა მისსა ადიდებდეს, მოდრ. იადგ. 30 r, 11; ვერ შემძლებელ ვარ მითხრობად აურაცხელსა ამას შენსა სიმდაბლეჲსა, იქვე 38 r, 3: რაჲთა ღირს ვიქმნე დღესასწაულსა ამ-ს ბრწყინვალეჲსა, იქვე 40 v, 40; შეეამკობდეთ ძეჲნი კაცთანი, იქვე 151 r, 8: გარეჲმომიცეს ღელვათა, იქვე 153 r, 34; გუალეით, შეილნო, და მივიდეთ, ეპიფანე 216, 3—4: ქცშაჲ ვაფეურიოთ ზეიდაჲსზედა, Sin.-62 18 r, 26—27 b.

ზოგჯერ ჲი ჯგუფია დაწერილი G-ს ნაცვლად:

და შევმუსრნე მოქლონნი დამასკჲისანი, ამოს 1, 5 0.

/ო/ გადმოცემულია ოი გრაფემებით:

და ეტყუას აბოიას, ჰილ.-ეტრ. იადგ. 39 v, 6—7: მაშინ ნეტარსა ჰაბოიას მოუწოდა მთავარმან მან, სვან. მრავალთ. 426, 7—9 b: უთხრეს ნეტარსა ჰაბოიას, იქვე 419, 4—5 a: ეითარცა ბრძენმან ხუროიათმოძღუარმან საფჯველი დაედვე, Ath.-42 20 r, 6—9 a; რომლისა-იგი ხუროიათმოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს, იქვე 104 r, 8—10 a; ძალითა ელიაისითა გამოიასჩნდი დღეს, იოვანე, მოდრ. იადგ. 145 r, 37; უთხრეს ნეტარსა აბოიას, Sin.-11 296 r, 7; არა გაჴსოიასა ძალი საკჯრველებათა მისთაჲ, Ath.-25 61 v, 11—12 a.

/უ/ გამოიხატება უი გრაფემებით:

უწყი, რამეთუ იესუის (ი˙უის) ჯუარცუმულსა ეძიებთ, ქალ. ლექც. 216, 22—24 a; ეძიებდეს იესუის ხილვად, ათონ. მრავალთ. 62 v, 3—4 b: და ვხედვიდეთ სარწმუნოებისა ჩუენისა წინამძღუარსა და სრულებისა მოქმედსა იესუის, Ath.-42 104 r, 16—20 b; ესეეითარსა ეეედრებოდა იესუის და ეტყოდა, პარხლ. მრავალთ. 118 v, 14—15 a.

არის შემთხვევა, როდესაც /უ/ უი ნიშნებითაა გადმოცემული:

აჩუენეს ყოველი აღსარებაჲ თაჳისა თჳსისა მიერ და მეგობართა მიერ და ნათესავთა მიერ, და ძლუანითა და ქრთამითა, კლემაქს. 15 v, 3—6.

ზემოთ მოხმობილი ფაქტები ასახავენ [ი]-ს შემცველ დამავალ დიფთონგთა მოშლის ერთ-ერთ გზას: [ი]-ს დაკარგვის შედეგად /აი/, /ეი/, /ოი/, /უი/ დიფთონგები ემთხვევიან მარტივ /ა/, /ე/, /ო/, /უ/ ხმოვნებს.

IX—XIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლები ცხადყოფენ, რომ დამავალ დიფთონგთა მოშლა სხვა გზითაც წარიმართა: [ი] იქცევა სრულ ხმოვნად და /აი/, /ეი/, /ოი/, /უი/ დიფთონგთა ადგილას ჩამოყალიბდა ორი სრული ხმოვანი (ხმოვანთა კომპლექსი): /აი/, /ეი/, /ოი/, /უი/. ჩვენი

აზრით, არსებითად ამ მოვლენის აღსანიშნავია ის შემთხვევები, როცა ი გრაფემა დაჭერილია ჲ-ს მაგიერ:

ს ა ბ. ბ რ უ ნ ვ ა:

და იყოს უდაბნოი წყურნებად. ლატ. ლექც. 5 r, 2—4 a: მოიღო ერბოი და ხაჲ და ჯბოი ივი. იქვე 120 r, 6—8 b; იესუ ქრისტჱ, აკურთხე შენჱნიერითა კურთხევითა გოგაი, მრავალთ. 235 r, 8—9 (გადამწ. მინაწ.); ოდეს მიჰპირდის, მათ მიჰმართი, პურაი მციან, პარხლ. მრავალთ. 612 v, 27—29 a: შენ გმოსიეს სტავრაი, სწაელ. იოანე ოქროპ. 139 r, 8—9: Sin.-36 64. 2—3 b: ქრისტე, შეიწყალჱ ბერაი მწერალი, შატბ. კრებ. 107 r (გადაწ. მინაწ.); უუამოი იგი ჟამიერად ჰშევ, მოდრ. იადგ. 270 r, 29; მოჰგუარეს მას კაცი ყრუი, ურბნ. ოთხთ. 21 r, 21—22 b: იოანე, ძმაი იაკობისი. იქვე 73 r, 5—6 a; და ხილვაი შენი ჰნებაეს, იქვე 129 v. 15—16 a: რომელი იყო ყრუი, იქვე 138 v, 20 b; არავინ მათ კაცთაგანმან გჳცოი იხილოს სერობისა ამისგან. იქვე 148 r, 5—7 b: ნათესავი ურწმუნოი და ჴულარძნილი, H-1887 4 v, 14—15 b: მიუპყარ ერთკერძოიცა, A-1699 1 r. 17—18 b: მოიყვანეს წმიდისა მის ქალისა ვინმე უსჯულ და ყრუი. Sin.-46 160 r, 1—2; ვითარცა განჰკურნე შენ ძუძუი იგი დედაკაცისაჲ, Sin.-64 73 r, 27—28; იტყოდა მამაი ამოი, ათ. პატერ. 20 r, 7; და მისთ.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი და მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი:

ხოლო მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი ნარდისაჲ სარწმუნოისაჲ, ლატ. ლექც. 111 r, 13—16 b: მოსთხოა გუამი იგი იესუისი, იქვე 158 r, 2—3 b; და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იონაის მიმართ, იქვე 160 r. 13—14 a: რამეთუ იგი იქმნა დასაბამ წარწყმედისა იუდაისისა, მრავალთ. 78 r, 30—32 a: ხოლო სული გაბრიელ პატარაისა მოიკსენეთ. პარხლ. მრავალთ. 612 v, 19—20 a: პრქუა სახლისა უფალმან ეზოის მოძღუარსა, H-1887 11 v, 6—7 b: შევიდეთ იწროისაჲს ბჭისა, A-1699 5 r. 7—8 a: გემოიხილვაჲ პირველად განსაცდელთაჲ მოიწიოს და მერმე გ ე მ ო ი ხ ი ლ ვ ა ი მადლისაჲ, მოქალაქობ. მონაზონებ. 55 v, 16—17: ბრძენი გამომცდელი ოქროისა და ბრპენისაჲ. თარგმ. კათ. ეპისტ. 228. 18—20 b: ხოლო აღორძნდა რაჲ სიჩჩოისაგან, ცხორ. ანტონი დიდისაჲ, 247 v, 21—22 a: ესე მას ზეგარდამოისა წინაგანგებისაგან ლოცვით გამოეცხადებოდა, იქვე 293 v, 37—39 b: ამასვე დღესა ენკენიასა გაეჩინეთ აღაპი გრიგოლ მშჳდაისთჳს, მასალები 80, 3—4 b; და აღივსნეს მთანი იგი დროშაითა, შატბ. კრებ. 228 v, 1—2 b; კუტალაითა ღუნოჲ მომართუა. პარხლ. მრავალთ. 612 v, 30—31 a: გამომიყუანე მე საშოჲთ, სასოო ჩემო. ღედის ძუძუით ჩემითგან, ქრისტინა 423. 29—30: ყოველივე შეჰკრძენ მამაით და დედაით, კურთხევანი 20 v, 11—12: რომელთა-იგი გაჴმართლეს სიცრუითა უგუნურთა ძჯრისმოქმედი, წჯრმ. იადგ. 99 r, 4—5, და მისთ.

უ ფ რ ო ო ბ ი თ ი ხ ა რ ი ს ხ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი:

და ხილვაჲ მისი მოკლებულ უფროის ყოველთა კაცთასა, ლატ. ლექც. 139 v, 3—5 a; ნუუკუე შენ უფროის ხარა მამისა ჩუენისა აბრაჰამისა, იქვე 225 v, 7 b; უფროის ღამესა ერთსა მოსცა, მრავალთ. 60 r, 5—6 b; არა უფროის თქუენ უმჯობეს ხართ მფრინველთა, A-1699 3 v, 2—4 b; და უფროისად განიპის, იქვე 36 v, 7—8 b; რამეთუ სული უფროის არს საზრდელთასა, სინ. თარგმ. 49 r, 8—9; და სხუაჲ ღობე მოადგა შორს-რე უფროისი, მამათა ცხოვრ. 168 r, 14—15 b.

ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ ი:

ესე ჭუეით ფერჴითა მიჳიდა საფლავსა მას, სწავლ. იოანე ოქროპ. 145 v, 7—9; და შეიძრას ქუეყანაჲ ყოველით კერძოვე ზეით და ქუეით, იქვე 161 v, 5—7; განიპო ორად ზეითგან ვიდრე ქუემდე, ქსნ. ოთხთ. 24 r, 6—8 b; სადაით მოიწია შეცვალებაჲ ესე, სწავლ. ანდრია კრიტელ მთავარებისკ. 157 r, 25—26; აღიძრის გული მათი ანაზდაით, მოქალაქობ. მონაზონებ. 56, 14; და ვინაითგან იგიეე დღე სხუათა კეთილად წარევლის, თარგმ. კათ. ეპისტ. 276, 8—10 a; ესრეთ უკუე ზეგარდმოითგანვე ფრიადი რაჲმე კრძალულებაჲ იხილეების, იქვე 307, 2—4; რაჟამს არასადაით მივდრკებოდით, იქვე 351, 14—15 b; არამედ აქაით სასუფეველად მიმცვალებს, იქვე 351, 14—15 b.

ი გვაქვს აგრეთვე ზმნიზედათაგან ნაწარმოებ სახელებში: რამეთუ ჩუენ ჭუშით ვართ, მამათა ცხოვრ. 272 v, 16 a; და არა შეგაშფოთა ანაზდაითმან შეცვალებამან ცხორებისა შენისამან, ცხორ. მარიამ მეგჳპტ. 67 v, 16—67 r, 2; რაჲთა ზემოითგანითა დაწყებითა უსაკუთრესად წარმოითქუნენ სიტყუანი ესე, თარგმ. კათ. ეპისტ. 295, 28—30.

[ჲ]-ს შემცველ დამავალ დიფთონგთა ორი გზით მოშლა: ა) [ჲ]-ს დაკარგვით (მამაჲ>მამა); ბ) [ჲ]-ს სრულ ხმოვნად ქცევით (მამაჲ>მამაი) უნდა ასახაედეს სხვადასხვა დიალექტურ გარემოთა თავისებურებებს, რომლებმაც თავი იჩინეს ქართულ სალიტერატურო ენაში. ამ დიალექტურ სხვაობათა გადმონაშთი, საფიქრებელია, გვქონდეს გეოგრაფიულ სახელებში: რუ-ის-ი და რუ-ს-თავ-ი. ორივე ტოპონიმში წარმოდგენილია რუ არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, ოღონდ პირველი გვიჩვენებს ამ ბრუნვის ნიშნის ხმოვნით ნაწილს სრული /ი/ სახით, ხოლო მეორე კი უხმოვნოდ /-ის/>/-ს/. რუსთავი /უი/ დიფთონგის /ი/-ს გაუჩინარების დამადასტურებელია.

ახლა ძნელია დაბეჯითებით თქმა, რომელ დიალექტში როგორ მიმდინარეობდა ისტორიულად დამავალ დიფთონგთა ცვლილებები. ოღონდ საფიქრებელია, რომ თანამედროვე ქართული დიალექტები გამოაელენენ [ჲ]-ს შემცველ დამავალ დიფთონგთა მოშლის ორიეე გზის შედეგს. [ჲ]-ს დაკარგვას უნდა ასახაებდნენ ის დიალექტები, სადაც /ა/, /ე/, /ო/, /უ/ ხმოვნები საზოგადო სახელთა ფუძის აბსოლუტურ ბოლოში გვაქვს, ხო-

ლო, მეორე მხრივ, ის დიალექტები, სადაც /აი/, /ეი/, /ოი/, /უი/ ხმოვანთა ჯგუფები დასტურდება სახ. ნათ. მოქმ. ბრუნვებში, ძველი ქართულის ანალოგიური მონაცემების გაგრძელებას წარმოადგენს.

[ი]-ს შემცველ დიფთონგთა რღვევის მეორე გზას — [ი]-ს სრულ ხმოვნად ქცევას — უნდა ასახვოდეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში დადასტურებული **ერთაი, ცოტაი, პაშტაი, უველაი, უველაკაი:**

ერთაი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი, 590, 1; დავაგდე მზღვარი ინდოთა: მეცლო **პაშტაი** ხანია, 421, 1; მე მამისა თქვენისაგან ვარ **ცოტაი** განაზარდი, 433, 1; რა მოისმინეს, **უველაი** დარჩა გულდანაწყლულები, 175, 3; ბრძანა: „წადით **უველაკაი**, აქა მომხრედ არვინ მინა“ 171, 1.

მას შემდეგ, რაც იჩრდილება **ი** გრაფემის ფუნქცია, იგი თავისუფლად ენაცვლება **ი** ნიშანს ისეთ შემთხვევებში, სადაც [ი] სრულიად დაუშვებელია:

ციოთ სამე ყოველფავე, სინ. მრავალთ. 119, 1; სასუფეველი ცათაი **იძ**ულებს, A-1699 12 r, 16—17 a; **ახ**არებდ, ისრაელ, ფსალმ. 149, 2A; ქრონიკონი **იყო** მე, კახ. ისტ. ძეგლ. წარწ. გვ. 117; მღდელთმუენიერო **ტი**მოთე, **ჰრუ**ანისა **დი**დებაო და ყოელისა **სოფლ**ისა მნათობო ბრწყინვალეო, H. Mapp, Опис. გვ. 266; განაძნელეს **იფქლი** გლახაკთათჳს, Jer.-96 165 r, 22; სულისაგან **ისწავე**, იქვე 175 r, 16—17; ქართლისა კათალიკოზი ეფთიმიოს, ზარზმ. წარწ. გვ. 41; **ახს**ართან **ჭორეპისკოპოს**ი, თორღას ციხის წარწერა, გვ. 9; ესე ბრძანებაი **ჩემი** არს, არხოტ. წარწ. გვ. 41.

უეჭველია, **ი** გრაფემა ასეთ შემთხვევებში /ი/-ს გამოხატავს.

ი ნიშანი /ი/-ს უნდა აღნიშნავდეს, როცა იგი **ი**-ს ენაცვლება თანხმოვნისა და ხმოვნის, ან ხმოვნისა და თანხმოვნის გამომხატველ გრაფემათა შორის:

და ბაგითა ნუ **იტყუი**ედ, სინ. საქმ. მოციქ. 103 v, 11—13 b; და **ვიძ**ულებდ გმობად, საქმ. მოციქ. 62 r, 6; რომელმან ცოდვანი ჩუენნი **იხ**სნა, კათ. ეპისტ. 79 r, 17; რამეთუ ღმერთი **მიძ**ულებს სწავლად, დიალოღ. 45 r, 23—24 a; და **მიიყ**ვანეს ეშმაკისა, ბასილ. 129 r, 8—9 a; და უხუბით **აღმოიხ**ვნებდა, სპჯრიდონ 332, 32 a; ღმობითა შეიწყრე თავი შენი, მამათა ცხოვრ. 24 r, 19—20 a. ხშირია ამ დროის ძეგლებში **საიდუმლო.**

ი გამოხატავს /ი/-ს ფუძისეული ხმოვნების აღმნიშვნელ გრაფემათა შორის: პირველად კუამლცემულნი ცრემლოიან, მამათა ცხოვრ. 92 r, 2—3 a.

ი /ი/-ს მნიშვნელობით იწერება ფუძისეული ხმოვნის აღმნიშვნელი გრაფემის შემდეგ ბოლოკიდურა პოზიციაში: რამეთუ არა **ვტყუი**, პაულ. ეპისტ. 260 v, 11; ნუღარა **უკუ**ი **ჰმაღლო**ი და ზუაობ, მამათა ცხოვრ.

300 г, 31 a — 300 г, 1 b; ესრეთ იყენეს საქმენი მისნი, რომელნი აქამომდე მო-რაჲ-ვიკსენნე, ვცრემლოჲ, ცხორ. და შესხმ. ბასილისი 323, 12—13.

ჲ კიდევ დიდხანს იწერება ხუცური დამწერლობით შესრულებულ ძეგლებში მას შემდეგ, რაც [ჲ] მეტყველებაში მოიშალა[1]. ხელნაწერებში დარღვევათა გვერდით, შესაძლოა, ჲ „სწორად“ იხმარებოდეს (იგულისხმება ჲ-ს დაწერა იქ, სადაც ადრე დამავალი დიფთონგის მეორე ნაწილი გვქონდა). ასეთი შემთხვევები უფრო მიგვითითებენ გადამწერის განსწავლულობაზე, მის უნარზე: წეროს „ძველი ნორმების“ მიხედვით, ვიდრე იმაზე, რომ იმ დროის ენაში [ჲ] არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ მხედრულ ორთოგრაფიაში ხშირად ი იქ იწერება, სადაც, ხუცურის ნორმების მიხედვით, ჲ უნდა იყოს. საფიქრებელია, ეს მოვლენა ხუცური ორთოგრაფიის ზეგავლენას მიეწერებოდეს.

2. ვ და უ გრაფემათა ურთიერთშენაცვლებასთან დაკავშირებული საკითხები

ძველ ქართულში გვქონდა /ვ/ და /უ/ ფონემები[2], რომელთაც დაწერილობაში ვ და უ გრაფემები შეესატყვისებოდა. არნ. ჩიქობავა წერს: „ძველი ქართულის ნიადაგზე ფერეიდნულის მოვლენების ახსნის შესაძლებლობის ფაქტი და უ-ბრჯგუსი და ვ-ინის რეფლექსების სხვაობა მოწმობს, რომ ძველს ქართულში ვ-ინისა და უ-ბრჯგუს განსხვავებულობას რეალურ ფონეტიკური საფუძველი ჰქონდა“ (40, გვ. 87). გ. როგავა აღნიშნავს: „ძველ ქართულში უმარცვლო უ და ვ (ვინი) წარმოადგენენ მკაცრად განსხვავებულ ორ ბგერობრივ ერთეულს“ (26, გვ. 122). ი. ქავთარაძის აზრით, „წარმოთქმაში ეს ორი ბგერა იდენტური არ იყო და ამის გამო განსხვავებული დაწერილობა დიდხანს შეინარჩუნეს“ (33, გვ. 87; შდრ.: 33, გვ. 85).

/უ/ და /ვ/ ფონემათა დისტრიბუციის დადგენა სხვადასხვა დროს სცადეს: არნ. ჩიქობავამ (40, გვ. 71—73), ი. იმნაიშვილმა (15, გვ. 307—310), ფ. ერთელიშვილმა (10, გვ. 80—84).

---

[1] მხედრულ ანბანში ჲ არ არის (შდრ.: 5, გვ. 107—111). ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ამ ნიშნის საჭიროება აღარ იყო.

[2] ძველ ქართულში დაძებნილია მინიმალური წყვილები:

ზღვასა: ჯორციელი ეაქარი დღითი-დღედ განიზრახავნ აღნადგინებსა და ზღვასა, ისტ. ქრესტ. II 7, 2—3;

ზღუასა: შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა, მ. 8, 26;

დაწუა: ქალაქი მათი დაწუა ცეცხლითა, მ. 22, 7;

დაწვა: რაჲთამცა დაწვა მის თანა, საკითხ. წიგნ. II 65, 19, და სხვა.

თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა დაწერილებით შეისწავლეს /ჳ/ და /ჳ/ ფონემათა პოზიციები ძველ ქართულში (7, გვ. 40).

ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში შენიშნულია ვ და უ გრაფემათა ურთიერთშენაცვლების ფაქტები. ამ რიგის ზოგიერთი შემთხვევა ხანმეტ ტექსტებშიც დასტურდება: ვ იწერება ჳ-ს ადგილას: **შეწევნითა, თავუანის-ცემა, პავლე, ხშორავს.** ვ აქ [უ]-ს გამოხატავს. ეს ფაქტები დიალექტური წარმოშობისაა და მიუთითებენ, რომ ზოგიერთ დიალექტში [ვ] და [უ] სეგმენტთა დაპირისპირება, შესაძლოა, არც იყო ფონემატური ხასიათისა (7, გვ. 46).

ძველი ქართული ენის უკანასკნელი პერიოდის ძეგლებში დასტურდება ვ და უ გრაფემათა თავისუფალი ურთიერთმონაცვლეობა.

I. ვ ენაცვლება უ-ს: რომელი-იგი უსაკრველესად იდიდა, შორის ძმათა თჳსთა, მესამე **მართვე**, შატბ. კრებ. 91 r, 17—19 b; და ნაშობი არა **ესვას**, ლევიტ. 22, 13 C; შდრ.: ე ს უ ა ს I; **უკუეთუ გენუებოდის** თქუენ, Sin.-36 320, 30 b; 322, 4—5 a; მფრინველნი ცისანი, თევზნი **ზღვისანი**, რაჲდენნი ვლენან ალაგებსა **ზღვათასა**, ფსალმ. 8, 9 C (X ს.); რაჲთა **აქვნდეს** ესე სამოძღვრებელად, ფსალმ. გალ. გვ. 455, 25 A; რაჲთუ ვითარცა პირველად ვთქუ: რომელიცა დიდებაჲ **აქაჲსთვის** მოეგოს შინაგან, მან მას დღესა შემოსნეს შიშუელნი, Ath.-21 100 v, 14—16; დასაბამი უკუე ჩუენთა დღესასწაულთა არს მოწეენული ესე დღესასწაული, პირველი ესე შემდგომად **ძველისა**, ანდრეა 20 r; მეოხად შენ **გვექმენ**, ლიპარიტ. უბნ. წარწ. გვ. 112: გუეტყჳს ღმერთი **უკვდავი**, ეპიფანეს წარწ. გვ. 1437: **ზღვაჲ** მეწამული, გალ. ყოველთ. წმიდ. 243 r, 3; **თვისითა** კელითაცა ვამტკიცებ მე, დაწ.. ძაგან. აბულეთ. და აღიღებს **ზღვისაგან** წყალთა, ანდრია სალოსი, 152 r, 11—12, და სხვა.

II. უ ენაცვლება ვ-ს: **ახუსებასა** მწუხრი, ხანმ. ლექც. 062, 1 a; დღესა **ახუსებისა** ზატიკსა მწუხრი, იქვე 062, 1—2 b; **მშუა** მე დედამან ჩემმან, ხანმ. იერემ. 39, 1—2 b; წელსა **მეათრუამეტესა**, მასვე ჟამსა, სინ. მრავალთ. 58, 3; ჯორციელად **მოსულაჲ**, იქვე 83, 14; და ჯრა **გულისჯმა-ყუს**, მ. 13, 29 C; დამო-თუ-მცა-ება **საფჭკლე** ლოდი ყელსა, მრკ. 9, 42 C; და იგი თავადი წარმოუძღუეს წინაშე მისა სულითა და ძალითა ელისაჲსითა მოქცევად გულთა მამათა **შჯლთა** მიმართ, ლ. 1, 17 C; შენ დაამტკიცენ ყოველნი **საზღუარნი** ქუეყანისანი, ფსალმ. 73, 17 B; შდრ.: საზღჳარნი C; არა ღირს ვარ წოდებად **შუილად** შენდა, სინ. ფარგმ. საბარ. 82 r, 12—82 v, 2; ვითარცა მოიქცა უბღები იგი **შჯლი**, იქვე 87 v, 13—88 r, 1; და ვითარ დაეყო დაყუდებასა შინა **ოცდაათრუამეტი** დღჱ, სჯმეონ მესუეტ. 96, 26—27; რომლისა თანა იყო სული უძლურებისაჲ **ათურამეტით** წლითგან, ურბნ. ოთხთ. 145 r, 5—7 b; აჰა ესერა, **ათურამეტი** წელი არს, იქვე 145 v, 15—16 a; რომელსა **ოცდაათურამეტი** წელი ეყო უძლურებასა შინა, იქვე 182 v, 16—19 a; ყურძენი მათი ყურძენი

ნაუღლისაჲ, ფსალმ. გალ. 2, 32 A; ესე მეათურამეტე ძლევაჲ არს, კლემაქს. 140 r, 15—16; რომელი ღირდა ათურამეტის დრაჰკნის, ათ. პატერ. 30, 16—17; ოდესმე იტყჳს ცვალებასა ჴმისასა, ეგულების რაჲ შეცუალებაჲ უწყებისაჲ, სოლომონ. თარგმ. ქებათ. 73 v, 33—35 b; და ზღუასა საზღუარი დაუდევ, Sin.-11 84 r, 9—10; და უბრძანა ღმერთმან მატლსა განთიადისასა ხუალისაგან, იონა 4, 7—9.

ყურადღებას იქცევს კონტამინირებული ფორმები, როცა დაწერილია როგორც უ, ისე ვ-ც: რაჟამს იქმოდი ჭუველის საქმესა შენსჲ. მ. 6. 2 C: და კერმის მცუვალებელნი, ი. 2, 14 C; ბრმაჲ იშუა, ი. 9, 2 C: წარვიდა საზღუვართა ტჳროსისთა, წყაროსთ. ოთხთ. 84 v, 1—3 a: არსმცა ნაწილი მისი იუდას თანა ისკარიოტელსა და ყოველთა მწუვალებელთა, სიგ. მღუიმელთაი: აღუვირვასხნეა მას, Jer.-96 101 r, 10.

როგორც დავინახეთ, ვ და უ გრაფემათა ურთიერთმონაცვლეობის ცალკეული შემთხვევები ხანმეტ ტექსტებშია დადასტურებული. IX—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ამ მონაცვლეობის ამსახველი ფაქტები თანდათან ხშირდება. ეს მოვლენა /ვ/ და /უ/ ფონემათა ნეიტრალიზაციას უნდა ასახავდეს. იმ დიალექტებში, რომელთაც ასახვა პოვეს ქართულ სალიტერატურო ენაში, /ვ/ : /უ/ ფონემათა ოპოზიცია ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზე მოიშალა. ამ დროისათვის გვაქვს არა ორი ფონემა, არამედ ერთი ფონემის ორი ალოფონი (ფაკულტატური ვარიანტი). ეს შეუბღებელია ერთბაშად მომხდარიყო. ინოვაციის გავრცელება ენაში მეტად რთული, თავისებური პროცესია (52, გვ. 78 და შმდგ.; 47, გვ. 205 და შმდგ.).

/ვ/ : /უ/ ოპოზიციის ფუნქციონალური დატვირთვა ძველ ქართულში უმნიშვნელო იყო (7, გვ. 41), რაც უნდა იყოს ოპოზიციის მოშლის ერთ-ერთი გადამწყვეტი მიზეზი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შესაძლოა, ეს მონაცვლეობა ზოგჯერ მომდინარეობდეს იმ დიალექტური (ენობრივი) წრიდანაც, სადაც /ვ/ : /უ/ ფონემატური ოპოზიცია არც არსებულა.

ზოგიერთ ხელნაწერში: H-1889 (ნაწყ. საგალობლებიდან), H-1831 (იერუსალიმის განჩინება); A-1562 (საწელიწდო იადგარი) ხშირია ვ-ს უ-თი შენაცვლების ფაქტები. ალიძერის ეჭვი, ხომ არ არის ხელნაწერები სვანის გადაწერილი.\ როგორც ცნობილია, სვანურში არა გვაქვს კბილბაგისმიერი /ვ/ სპირანტი. ამიტომ ბუნებრივია, გადამწერს (ამ შემთხვევაში სვანს) თავისი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები გაჰპარვოდა.

ცალკე უნდა გამოიყოს X საუკუნის ორი ხელნაწერი: ლატალის ლექციონარი და იელის იადგარი. ორივე ხელნაწერში სისტემატურია ვ გრაფემა უ-ს ნაცვლად:

განიღვიძა იოსებ, ლატ. ლექც. 3 r, 8 a: ჴელმწიფჲ, მთავარი მშვიდო-

ბისაჲ, იქვე 4 r, 10—11 a; ეფხი განისვენებდეს თიკანთა თანა, იქვე 4 v, 26—27 b; და ერთად მართვენი მათნი იყვნენ, იქვე 4 v, 1—2 b; იტყვის უფალი, იქვე 13 r, 15 a; 13 r, 21—22 a; სირცხვილი შეურაცხ-ყო, იქვე 17 v. 10—11 b; და წყალი არა ვსვი, იქვე 67 v, 23—24 b; რომელმან-იგი წარსულთა მათ ჟამთა მიუშვა ყოველსა მას თესლებსა სლვად გზათა ნებისა მათისათა, იქვე 203 v, 15—19 a; რაჲსა გამოხუედით კაცისა, ჩჩვილითა სამოსლითა შემოსილისა, იქვე 283 v, 19—21 b; გრცხვენოდენ და შეიმკდიმეთ, იქვე 327 r, 15—17 b; კრებულე მორწმუნეთაჲ ქრისტეს ეკლესიისაჲ, განსწავლული მოძღვრებითა, იელ. იადგ. 68 r, 2—3; დიდებისმეტყველებ, იქვე 73 v, 3; აღმოუცენე სიტყუაჲ ქრისტეს სარწმუნოებისაჲ, იქვე 75 r, 6; მეოხ-გვეყავ, იქვე 79 r, 5; მხიარულად ხვიდოდე, იქვე 80 v, 8; მკლავთა ზედა მიიქვა, იქვე 87 v, 4; ეჩვენა საშინელებით ქვეწარმავალსა მას, იქვე 91 r, 3; შეუწველო, მაყვალო, იქვე 108 r, 4; ღმრთისმეტყველთანი, იქვე 109 r, 7; აღმოგვიცენდა ნაყოფი, იქვე 132 r, 6: შეხვეული მჩურიბა, იქვე 151 v, 3; უცნებანი მტერთანი დაამჯვენ, იქვე 204 r, 14: რამეთუ შეისხნა მან ჯორცნი უბიწონი შენგან ჴსნისა ჩუენისათვის, იქვე 231 r, 2—3; ზვარაკო ქრისტესო, წმიდაო, იქვე 241 r, 2.

ორივე ეს ხელნაწერი სვანეთშია დაცული. გადამწერად სვანს ვერ ვივარაუდებთ. უფრო მოსალოდნელი იყო, უ-ს ჳ-ი შენაცვლების პარალელურად ამ ძეგლებში სისტემატურად გვჭონოდა უ ჳ-ს ადგილას (ეს კი ამ ძეგლებში სპორადულია. იელის ადგარში უ ნიშანი /ჳ/-ს გამომხატველად მხოლოდ თანხმოვანთა აღმნიშნელ გრაფემათა შორის დასტურდება: შუნეს წმიდანი 270′r, 15—16). ამდენად, უფრო სავარაუდებელია, ეს ძეგლები იმ დიალექტური გარემოდან მომდინარეობდნენ, სადაც /ჳ/ : /უ/ დაპირისპირება ამ დროს უკვე მოშლილია, ან ამგვარი ფონემატური ოპოზიცია ამ დიალექტთა კონსონანტური სისტემისათვის საერთოდ არც ყოფილა დამახასიათებელი.

3. ჯ და ხ გრაფემათა და /ჯ/ და /ხ/ ფონემათა ურთიერთმიმართება

ძველ ქართულში /ჯ/ და /ხ/ ორ დამოუკიდებელ ფონემას წარმოადგენდა. ამათგან ახალ ქართულში[1] მხოლოდ /ხ/ შემოგვრჩა: /ჯ/ დაემთხვა /ხ/-ს. ვ. თოფურია ძველი ქართულისათვის მიუთითებს: „უკეთუ გვინდა ვიცოდეთ, თუ რა შემთხვევებში გეხვდება ხ ან ჯ, ამისათვის საჭიროა საგანგებოდ შედგენა იმ სიტყვების სიისა, რომელნიც ამა თუ იმ ნიშნის მატარებელნი არიან, რადგანაც მათი ხმარებისათვის საერთო წესის გამო-

[1] იგულისხმობა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას.

მუშავება შეუძლებელია“ (13, გვ. 177)[1]. ოღონდ გარკვეულ შემთხვევებში, ვ. თოფურიას აზრით, შესაძლებელია, დადგინდეს /ჯ/ და /ხ/ ფონემათა დისტრიბუციის ზოგიერთი წესი. მკვლევრის დაკვირვებით, „უკეთუ ს შ ც ჩ თ ბგერებს შემდეგ ხ ისმის, იგი უსათუოდ უნდა გადმოვცეთ ხანით“ (13, გვ. 177). „ირკვევა, რომ ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ყოფილა სხ, შხ, ცხ, ჩხ, თხ, ზღ, ჟღ, ძღ, ჯღ, [დღ], წუ, ჭუ, [ტუ] კომპლექსები“ (13, გვ. 177). იქვე ნათქვამია: „ქართველურ ენებში ციშლაუტებსა (ე. ი. ს შ ზ ჟ) და აფრიკატებს შემდეგ ჯ შეუძლებელია იყოს: არა გვაქვს სჯ, შჯ, ცჯ კომპლექსები“ (13, გვ. 177); და „ხსენებულ (ციშლაუტ-აფრიკატ) ბგერებს წინ უთუოდ ჯ უნდა იყოს და ჯარითვე უნდა აღვნიშნოთ“ (13, გვ. 177).

ეს დასკვნა არსებითად სწორია[2] ძველი ქართულის ძირეული მორფემებისათვის. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ [ჯ] და [ხ] სეგმენტები ზემოთ აღნიშნულ ფონემათა მეზობლად (წინა, ან მომდევნო პოზიციაში) რეალიზდებიან როგორც ერთი ფონემის კომბინატორული ვარიანტები, ხოლო ღანარჩენ პოზიციებში — როგორც ორი დამოუკიდებელი ფონემა.

რაც შეეხება მორფემათა ზღვარს, აქ ეს წესი არ მოქმედებს: დასაშვებია, ერთი მხრივ, /ხს/, /ხშ/, /ხც/ და მისთანა, ხოლო მეორე მხრივ, /სჯ/, /თჯ/ და მსგავსი კომპლექსები. რამდენიმე ნიმუში:

ა) ხს: მათგანი ხსაჯნეთ შესაკრებელთა შეერის, უძვ. ქართ. ხელნაწ. გვ. 343: კეთილ არს ახსარებაჲ უფლისაჲ, ფსალმ. 91, 2.

ხშ: რომელი ხშორავს იერუსალჱმსა ას სამეოც უტევან, ხანმ. ლექც. გვ. 7; ოთხშაბათსა მწუხრი, ჯავახ. აღწერ. გვ. 4.

---

[1] ამგვარი სიის შედგენის ცდა ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ს ეკუთვნის (16, გვ. 325—326). ამ სიას ჯ-ს შემცველ რამდენიმე სიტყვას დაუმატებთ: ჯაჯილება: არცალა აჩინო ნიშანი ჯაჯილებისაჲ პირსა შენსა, კალ. ლექც. 113, 1—2 b; არცა აჩინო ნიში ჯაჯილებისაჲ პირსა შენსა, ლატ. ლექც. 110 r, 9—10 b; ჯალი: და ჰრქუა იესე დავითს, ძესა თჳსსა: მიართუ ძმათა შენთა სათუელი ესე ჯალისაჲ ამის, კალ. ლექც. 70, 18—21 b; და შესუარა მას ბოაზს ჯალი და მისცა, და ჰამა და განძღა, რუთ. 2, 14 0; მერჯი: და დადვეს იგი მერჯსა ზედა, პარხლ. მრავალთ. 633 r, 18—20 a; საჯივი: და უბრძანა მსაჯულმან მან შეკრულაჲ მათი და დადებაჲ-სცა საჯივი ქედთა მათთა, პარხლ. მრავალთ. 214 v, 14—16 a; ჯუთ-: უკუეთუ იჯუთო სამოსელი მოყუსისა შენისაჲ, დასდვასა მზისასა მისცე მას, გამოსლე. 22, 26; ჯუფლოვანი: და იხილოს მღდელმან მან შეღებაჲ იგი კედელთა მის სახლისათაჲ ჯუფლოვნად მოწუანედ, ღევიტ. 14, 37 0; ჯლარჩად ჩხრეკისათჳს შემინდეთ, Alh.-21 218 v (გადამწ. ანდერძი); ჯუედა: და დადეა ჯუედაჲ ქელსა შინა თჳსსა, გელ. ბიბლ. 362 v, 2—3; მჯუედნელი: რომლისა შემასმენელნი და მგიობარნი და მჯუედნელნი არა არიან წმიდა, იქვე 139 r, 27—28; (კომენტ.).

[2] არსებითად სწორიაო, ეამბობთ, რადგან ზოგი გამონაკლისი მაინც დასტურდება. მათგან უმრავლესობა ნასესხებია: პიტიახში, შტახში, ვახში, ვახშამი, ტახტი, ხსართან; სხედის წარმომაელობაზე გადაკრით რაიმეს თქმა ძნელია; ოღონდ უდაოდ ქართული ჩანს ხდა: არა ღირს ვარ ხდად მამად ჩემდა, მრავალთ. 7 r, 5—6 a; და ბრძანა მოხდაჲ წმიდისა ერენისი, პარხლ. მრავალთ. 288 r, 4—6 b.

ხც: შეხუვრდეს ფერჯთა მისთა და თავუანის-ხცეს მას, ხანმ. ლექც. გვ. 13.

ხთ: რომელი ხთხოვდეს მას. უძვ. ქართ. ხელნაწ. გვ. 329.

ხტ. დედაკაცო, რაჲსა ხტირ, ხანმ. ლექც. გვ. 13.

ბ) სჯ: სხუანი ვინმე იყუნეს ახ-ჴელნი, ელინთა ზღაპრ. 44, 17.

თჯ: უმჯობეს არს შენდა ერთ-ჴელისა ცხოვრებასა შესლვაჲ, მრკ. 9, 43 C: აღიღო ერმან ერთჯმობით ჴმაჲ ყოველთა მიერ ვედრებისაჲ„ იერუს. აღწერ. გვ. 32.

მიუთითებენ /ჯ/-სა და /ხ/-ს მონაცვლეობაზე ძველსა და ლიტერატურამდელ ქართულში. ვ. თოფურიას აზრით, მ-ჯედ-არ-ი, სა-ჯედ-არ-ის ძირი -ჯედ- უკავშირდება ს-ხდ-ომ-ა-ს: *ს-ჯედ-ომ-ა>*ს-ჯდ-ომ-ა>ს-ხდ-ომა (13, გვ. 185). ეს დაკავშირება არაა დამაჯერებელი. სემანტიკური დაშორება სხვა ფაქტორებთან ერთად ანგარიშგასაწევია (7, გვ. 134—135).

ჰ. ფოგტის მოსაზრებით, თხრა ეტიმოლოგიურად უკავშირდება თოჯს (58, გვ. 128). ამ დაკავშირებას ემხრობა გ. როგავაც (25, გვ. 187), ოღონდ კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ვ. თოფურია (12, გვ. 207) და კ. ჰ. შმიდტი (57, გვ. 115). ჩვენც ვფიქრობთ, რომ ეს დაკავშირება საეჭვოა. ო-ს რედუქცია ქართულში ძნელად ხდება. რაც მთავარია, თოჯი უკუმშველია, რატომღა შეიკუმშებოდა თოჯ- ძირი ზმნაში: *თოჯრა>>თჯრა (?).

ვ. თოფურიას აზრით, ქართ. თხა<დაჯალ; შდრ.: სვან. დაჯგლ; დაჯ>>*თჯ>თხ (12, გვ. 207). თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს თხა-ს არქეტიპად *დჯა მიაჩნიათ (7, გვ. 119). ამ შემთხვევაში: *დჯ>*თჯ>თხ. ჯ>ხ ვ. თოფურიას წესის მიხედვით. ამ სიტყვაში /ჯ/-ს აღდგენას სვანური და-ჯგლ ხდის დამაჯერებლად.

თ. გონიაშვილი ძვ. ქართ. მეინაკე, მეოხნე სინონიმებს ერთი ძირისად მიიჩნევს და ს-ხ-ედ ფუძეს უკავშირებს (9, გვ. 583). ეს ეტიმოლოგია ი. ქავთარაძემაც გაიზიარა (33, გვ. 48). ეს საეჭვო დაკავშირება ჩანს.

ი. ქავთარაძის ვარაუდით, ჯუ-ებ-ა და ხუ-მ-ა ერთი და იგივე ძირია (33, გვ. 46). აღსანიშნავია, რომ ხუ- ძირი ჯუ-დან მომდინარედ მიაჩნდა ნ. მარსაც, ოღონდ იგი სვანურის მონაცემებს იშველიებდა: ონჯუ „მოვიტანე“<*ონჯუდ (ლი-ჯდ-ე „მოტანა“) (50, გვ. 264—265). ამ ეტიმოლოგიის გაზიარება შეუძლებელია. სემანტიკური დაშორება ძალზე დიდია. ამას გარდა ხუ-მ-ა ფუძემონაცვლე ზმნაა: მხ. რიცხვი ღ-ებ-ა-: მრ. რიცხვი: ხუ-მ-ა. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ ამ ზმნებს სხვადასხვა თემატური აფიქსები დაერთვის: -ებ: ჯუ-ებ-ა; -ამ: აღ-ხუ-მ-ა.

ი. ქავთარაძე ფიქრობს, რომ ძველ ქართულ ჯუთ- ზმნურ ძირს ხუთრიცხვითი სახელის ძირი უნდა დაეუკავშიროთ. იგი წერს, რომ „შეუძლებელი არაა ძველი ქართულის დიალექტებში ვივარაუდოთ ჯ და ხ ბგერე-

ბის შენაცვლების ერთეული შემთხვევა, რომელიც შემდეგ საყოველთაოდ ისტორიული ფაქტი გახდა“ (32, გვ. 98).

ჯუთ- ზმნური ძირიდან ნაწარმოები ფორმები გვხვდება უძველეს წერილობით ძეგლებში:

აწ უკუე კაცი ვერ შემძლებელ იყო ვსნად, რამეთუ თანა-ნადებსა მას ქუეშე იყო **ნაჯუთევად**, სინ. მრავალთ. 42, 25—26: **მო-სამე-იჯუთევდ** ძმათა შენდა ცუდად, იობ. 22, 6 O: და კარაული უფლისაჲ წარიბეს და ჯარი ქურივისაჲ **დაიჯუთეს**, იქვე 24, 3 O, და მისთ.

უძველესი საერთოქართველური სიტყვაა **ხუთ** რიცხვითი სახელი (შდრ.: მეგრ. **ხუთი**, სვან. **ოხუიშდ**), რომელიც თავდაპირველად სწორედ /ხ/-ს შეიცავდა. თუ ი. ქავთარაძის დაკავშირებას გავიზიარებთ, /ხ/ გადასულა /ჯ/-ში, რაც საზოგადოდ არ ახასიათებს ქართულს ისტორიულად. **ხუთ-** და **ჯუთ-** სხვადასხვა ძირებია.

ყურადღებას იქცევს ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში **გულის-ხმა // გულის-ჯმა** და **ხრწნა // ჯრწნა** სიტყვათა ორგვარი დაწერილობა. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ამ სიტყვათა ოდინდელი შემადგენლობისა და ჰეშმარიტი დაწერილობის შესახებ. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი წერდა: „გულის-ხმა ესე არს გონებით ახმა და გულთა შეღება, ვითთა გულის-ჯმად ძღუწერიათ. გულსა არა აქუს ჯმაჲ, არამედ ახმა და შეღებაჲ“ (სვ. 128). /ხ/-სვე ვარაუდობენ ამ სიტყვაში: ნ. მარი, ი. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, ი. აბულაძე, ი. იმნაიშვილი, ი. ქავთარაძე, ხოლო /ჯ/-ს: ს. ჯანაშია, ა. შანიძე, ვ. თოფურია.

მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს:

-ჯმა // -ხმა: რომელთა თანა არს **გულისჯმაჲ**, იოანე ოქროპ. ცხორ. 8 v, 4—5; ღმრთეებისა მეტყუელებაჲ და **გულისჯმის-ყოფაჲ**, შატბ. კრებ. 28 r, 6—8 b; და **გულისჯმის-საყოფელ**, იქვე 143 r, 19 a: შდრ.: აქა ჯერ არს **გულისხმის-ყოფაჲ**, იქვე 143 v, 21—22 a: შეცოდებანი თჳსნი ვინ-მე **გულისხმა-ყვნეს**, ფსალმ. 18, 13; შდრ.: **გულისჯმა-D**; რაჲთა **გულისჯმა-ყოს** ცოდვაჲ იგი, მამ. სწავლ. 158, 11 C; შდრ.: **გულისხმა** A. აღსანიშნავია, რომ „მამათა სწავლათა“ C ნუსხაში სისტემატურად ჯ გვაქვს, ხოლო AB ნუსხებში — ხ.

ჯრწნ-// ხრწნ-: **უჯრწნელი** ცხორებაჲ მოიპოვა, სინ. მრავალთ. 13, 5: **უჯრწნელებისა** იგი შემოქმედი, იქვე 20, 30; და მოზღუდვილნი **განიჯრწნებიან**, უდაბნ. მრავალთ. 31 v, 19—20 a: და ესევითარი იგი **ხრწნილებაჲ** თჳთ თაჲისა თჳსისა **განხრწნა** იყო, იბერ. 50, 38—39 B. შეცვალენიდ **ხრწნილნი უხრწნელად**, მამ. სწავლ. 218, 15—16 C; შდრ.: **ჯრწნილნი უჯრწნელად** AB; **ჯრწნილნი** წარჯდენ და **უხრწნელნი** აღდგენ, იქვე 259, 9. ამ უკანასკნელ წინადადებაში ყურადღებას ის იქცევს, რომ ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები ორგვარი დაწერილობით (-ჯრწნ- და -ხრწნ-) გვხვდება. „მამათა სწავლათა“ C ნუსხა სისტემატურად იძლე-

ვა **ხრწნ-ს**, საპირისპიროდ AB ნუსხებისა, სადაც უმთავრესად **ჴრწნ-** გვაქვს.

ი. იმნაიშვილმა შენიშნა, რომ მერყეობა ამ სიტყვათა დაწერილობაში უცხოა ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლებისათვის (14, გვ. 54—59). მერყეობა იწყება IX საუკუნიდან (ამ მოვლენის ამსახველი პირველი ნიმუშები სინურ მრავალთავშია გამოვლენილი).

X საუკუნის ბოლოსა და XI—XV საუკუნეთა ძეგლებში ამგვარ შემთხვევათა რიცხვი საკმაოდ ხშირია.

I. მოსალოდნელ **ხ**-ს ენაცვლება **ჯ**:

ჴედავთა, ვითარ-იგი მეფობაჲ განაგდო, უდაბნ. მრავალთ. 178 r, 21—22 b: **ოჯრიდენ** ღელვანი მისნი და ვერ გარდაჰჴდენ მას, იერემ. 5, 22 O, შდრ.: **ოხრიდენ** I; გულისჴმა-ყაეთ და **მოჰჴადეთ** მტირალთა, იერემ. 9, 17 I: შდრ.: **მოხადეთ** O; **აღჴოსებასა** მწუხრი, წყაროსთ. ოთხთ. 213 v (მინაწ.); და მიერ **გამოიჴუნა** საიდუმლონი იგი ღმრთეებისანი. კიმ. I 104, 20—21 C: შდრ.: **გამოიხუნა** B; **აღმოუჴუნეს** თუალნი. აპოკრ. მიმოდასლ. მოციქ. I E; შდრ.: **აღმოუხუნეს** D; შემდგომად თუალთა **აღმოჴუმისა** ასუეს წამალი იგი სატფურებისაჲ, იქვე I E: შდრ.: **აღმოხუმისა** D; აპრილისა ოცდახუთსა წაღმა **არ წაეა აჯუსებაჲ**, ქრონიკ. 334 r, 14—15.

II. **ხ** არის დაწერილი **ჯ** ნიშნის ნაცვლად:

მრავალ **ჯრიან საბრჯენი** მისნი და აწ იელტოდე **საბრხეთაგან** და მახეთა ეშმაკისათა, ათ. მრავალთ. 274 v, 8—10 b; **განხურდი** სიყვარულითა ქრისტესითა, ღირსო, იელ. იადგ. 61 v, 18; ვიდრემდის **აღმოჰხდის** კუალად პირით კერძო მისა, ЗВОРАО, т. XIII, вып. II—III, გვ. 17; და წყალობითა **მოიხსენე** გალატოზი იესე, ოშკის VIII წარწ. გვ. 54; **ხელსა** მას შინა ჩუენისაცა ამის საღმრთოჲსა მოქალაქობისა საქმენი არიან, Jer.-96 8v, 6—8: რომელმან-იგი ორიეე შეიწყნარა და ორთაგანვე **გამოიხადა**, იქვე 187 v, 19—22; უკუეთუ გუამი ესე **სიხშოჲსაჲ** შეპყრობილ იქმნეს ამისგან, კაცისა აგებ. 167. 6—7 B: ცხრამეტსა წელიწადსა შიგან **ერთხელ** ოდესმე, ქრონიკ. 320 r, 13—14.

„შატბერდის კრებულში" (გადაწერილია 973—976 წლებში) გვხვდება ერთი და იმავე **მჯე** („ნაცრისფერი" საბა) ძირისაგან ნაწარმოები ფორმები **ხან ჯ** და **ხან კიდევ ხ** გრაფემებით:

მჯიისფერი: ვჰპოვებთ ფერსა მას იაგუნდსა თუალსა შინა სიმეწამულესა და თაფლისფერსა და **მჯიისფერსა**, 66 v, 20—24 a...

მხივანებაჲ: ფაქლი და **მხივანებაჲ**, და გამოსხმული და **მხივანებაჲ** განკურნის, იქვე 65 r, 16—19 b; **ხ**-თი გვხვდება ამ ძირიდან ნაწარმოები **მხივანნი** ფორმა „პარსლის მრავალთავშიც": ორნი ესე წყლულებანი საშინელნი და **მხივანნი** დღესა ერთსა მოწევნულნი, 218 r, 8—11 b, შდრ.:

შჯიე იყვნიან ჯორცნი სიყჯოლითა და სიშაეითა, Ath.-32 162 r, 13—14; განყინულ იქმნიან და დამჯიებულ, Ost.-3 157 v, 4—6.

978 წელს გადაწერილი „სჯმეონ მესუეტის ცხოვრება“ (Sin.-46) მერყეობას გვიჩვენებს ჯარო სიტყვის დაწერილობაში (ჯარო // ხარო):

და ჰყოფდა ლოცვასა თითოეულსა შინა და ჯაროთა ზედა საიფქლეთა, 120 v, 3—4; რაჲთა არა მოაკლდეს ჯაროსა მას საიფქლესა იფქლი თქუენი, იქვე 130 v, 7—9; და დასწერა ჯაროსა მას საიფქლესა ჯუარი, იქვე 135 v, 3—4; მაგრამ: მცირედი იფქლი დაშთომილ იყო ხაროთა შინა მონასტრისათა, იქვე 129 r, 13—14; და ურწმუნოებისა მათისათჳს წარვიდა კურთხეუაჲ ხაროჲსა მისგან უფლისამიერი საიფქლისა, იქვე 134 v, 8—11.

ჯ-ს ნაცვლად ხ ხშირია ორ ძეგლში: „ანდრია სალოსის ცხორება“, H-1345 (დათარიღებულია XI—XII საუკუნეებით) და „კარაბადინი“, Q-26 (XIV—XV სს.):

მწარე გახსონს, ანდრია სალოსი 9 r, 18—19: ფრიად ძჳრისმოხსენე, მოძულე კაცთა, იქვე 68 v, 4—6: ხოლო ეპიფანეს მოეხსენებოდეს სწავლანი ესე წმიდისანი, იქვე 74 v, 3—4: დაეხსნა დღესა და ღამესა. კარაბადინი 14 v, 2—3; სხუა გასახსნელი წამალი მიეც. იქვე 20 v, 20—21; პირველად ჴელი გაუხსენ, იქვე 61 r, 11; და იყოს ტკიეილი სახსართა, იქვე 15 r, 22—23; და მიმწუხრი გარდამოხსნეს, იქვე 179 r, 18—19: და შუცელი მითა გაუხსნათ, იქვე 25 r, 12; თუ გახსნამან შეასუსტოს. იქვე 31 v, 16—17; სისხლი ადინე, გაუხსენ, იქვე 35 r, 9—10; ნიადაგ გახსნით იყოს, იქვე 35 r, 17: ხსნილსა შიგა ქათმისა კორცი ჴამოს, იქვე 41 r, 13—14: ამათი ხსნა ბურანითა იქმნებისო, იქვე 39 r, 12—13: ადრე ჩამოეხსნების, იქვე 37 v, 16: ძარღუი გაიხსნას, იქვე 50 v, 20: ესე შესუი, რომე მუცელი გჳხსნას, იქვე 50 r, 13—14; ყურს წინათა რომე ძარღუი არის, ისი გაუხსენ, თუ არა ფეთქდეს, ნუ გაუხსნი, იქვე 51 v, 18—21; შუბლი გაუხსენ, იქვე 55 r, 4—5: მერმე ძარღუი გაუხსენ, იქვე 70 v, 25; და წმიდაჲ იაკობ და წმიდაჲ ვლასი მოიხსენენ, იქვე 119 r. 23: ისი არს, რომე აწე მოგახსენებ, იქვე 104 r. 10—11: ხშირად ესწერე, ანდრია სალოსი 201 v. 16: ლაპარაკი გაუხშირონ, კარაბადინი 63 r, 17—18: თაესა ხშირად იპარსევდეს, იქვე 71 v. 22—23.

XIV—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებიც გვიჩვენებენ ანალოგიურ მოვლენას:

ათას-ათასი თანგა მოგახსენოთ, Ad.-626 (XV ს.). აწ ესე წიგნი მოგახსენეთ, იქვე: მოგახსენეთ თქუენ, იქვე; ესე წიგნი და პირი მოგახსენეთ, Ad.-125 (XV ს.); ესე წიგნი ნ[ა]სყიდობისა დაგიწერე და მოგ[ა]ხსენე, Ad.-19/2 (XIII ს.).

დარღვევები ჯ-სა და ხ-ს ხმარებისას მიუთითებენ, რომ ენაში მოხდა /ჯ/ და /ხ/ ფონემათა ოპოზიციის ნეიტრალიზაცია. ამ მხრივ ნიშანდობლი-

ვია ნასესხები სიტყვები, რომლებშიაც /ხ/ გვაქვს /ს/, /შ/, /ტ/ და სხვა ფონემების წინ: პიტიახში, ვახში, ვახშამი, შტახსი, ოხჭანი (13, გვ. 181—182; 16. გვ. 191), შდრ.: აგრეთვე საკუთარი სახელი ხსართან[1], ტახტი[2] და სხვა. წარმოუდგენელია, რომ ეს სიტყვები მხოლოდ წერითი მეტყველებისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი. სავარაუდოა, რომ მათი დაწერილობა იმდროინდელ წარმოთქმასაც ასახავს. საყურადღებოა, რომ ხევსურულმა, რომელშიაც მოქმედია /ჯ/ და /ხ/ ფონემათა დაპირისპირება, ნასესხები სიტყვა (ვახშამი) შესაბამის ყალიბში მოაქცია: პირველად ოჯშამსა შჯამენ, მეორედ რო შჯამენ, ოჯშამთ უკეენაი ხქვიან, ქართ. დიალექტოლოგია, I, გვ. 7.

ზემოთ მოტანილი მასალა შესაძლებლობას გვაძლევს, გავაკეთოთ დასკვნა: ქართულ სალიტერატურო ენაში /ჯ/ და /ხ/ ფონემათა ოპოზიციის მოშლა დაიწყო IX საუკუნის ბოლოდან (გულისჯმა // გულისხმა; ჯრწნა // ხრწნა) და ეს პროცესი თანდათან ინტენსიური ხდება[3].

თუ ამას გავითვალისწინებთ, გასაგები ხდება ხ და ჯ გრაფემათა არასწორი ხმარების შემთხვევები, ზოგ მწერალს (გადამწერს) უკვე აღარ ესმის ჯ გრაფემის მნიშვნელობა, ამიტომ მას ხშირად იქ იყენებს, სადაც იგი წინათ არასდროს იწერებოდა[4].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯხ იქ, სადაც ხ იყო ადრე: ვითარცა

---

[1] ამისთჯსცა მოვაელინე წიგნი ესე ქელითა ხსართან მღდელისა ჩემისაჲთა, Sin.-11 367 v, 18—20.

[2] აღიღეს ტახტითა მით წმიდაჲ იგი გუამი, პარხლ. მრავალთ. 279 r, 1—2 a.

[3] ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთხელ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"). ვ. თოფურიას აზრით, /ჯ/-ს /ხ/-დ ქცევაში აღბათ /თ/-ს უდევს წვლილი (13, გვ. 184). ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება ადიშის ოთხთავის ერთჯელი ცალ-ჯელ-ის მნიშვნელობით, სადაც /ჯ/ მოსდევს /თ/-ს, ოღონდ არ იქცევა /ხ/-დ: უმჯობეს არს შენდა ერთ-ჯელისა ცხორებასა შესლვაჲ, მრკ. 9, 43 C. საქმე ისაა, რომ ადიშის ოთხთავის ხელნაწერი IX საუკუნისაა. მაშინ როცა /ხ/-სა და /ჯ/-ს დაპირისპირება ჯერ კიდევ ფონემატური ღირებულებისა იყო, ხოლო „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ხელნაწერი XI საუკუნეს განეკუთვნება, როდესაც /ჯ/ : /ხ/ ფონემატური ოპოზიციის ნეიტრალიზაცია ხდებოდა.

[4] ანალოგიური ვითარება ზოგჯერ თანამედროვე ქართულ დამწერლობაშიაც შეინიშნება. აგიღოთ სიტყვათა ორი რიგი: ცუდად, კარგად; ზემოთ, ქვემოთ. სიტყვათა პირველ რიგში -ად ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო მეორე წყებაში -თ<-ით ისტორიულად მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტს წარმოადგენს. ორივე რიგის სიტყვათა წარმოთქმისას აბსოლუტურ ბოლოში /თ/ ისმის. ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით, პირველ ორ სიტყვაში იწერება დ, ხოლო მეორე წყვილში — თ. გვხვდება ორთოგრაფიული წესის ორგვარი დარღვევა: 1) ყველა შემთხვევაში წერენ თ-ს: ცუდათ, კარგათ, ზემოთ, ქვემოთ, რაც ამ სიტყვათა წარმოთქმას ასახავს; 2) ყველა შემთხვევაში იწერება დ: ცუდად, კარგად, ზემოდ, ქვემოდ. ორი უკანასკნელი სიტყვის დაწერილობა არა მარტო ეწინააღმდეგება წარმოთქმას, არამედ გაუმართლებელია ისტორიულადაც. შეცდომა მომდინარეობს დამწერის სურვილისაგან — წეროს სწორად, ნორმების დაცვით (მან იცის, რომ წარმოთქმა ორთოგრაფიას სცილდება და ზომიერებას ველარ იცავს).

ნესტუ ოჯხრეანი ჰმობს, პარაკლიტ. 159 v, 12. არის ისეთი შემთხვევაც, როცა ხჯ არის დაწერილი იქ, სადაც ჯ უნდა გექონდეს: რაჟამს შემოქმედი მათი წიაღთაგან საღმრთოთა გარდმოხჯდა სახიერებით. A-190 2 v, 5—6.

ჯხ და ხჯ დაწერილობანი ძალზე ნიშანდობლივია. მათი ტიპოლოგიური პარალელებია: ეწ, უვ (იშუვა . . .) და მსგავსი დაწერილობანი. ეს კიდევ ერთხელ გახაზავს /ჯ/ : //ხ ოპოზიციის ნეიტრალიზაციას.

აღსანიშნავია, რომ ჯ გრაფემა შემდგომაც კარგა ხანს შემოგვრჩა (20, გვ. 93—94). იგი საკმაოდ ხშირად არასწორად იხმარება (33, გვ. 45), მაგრამ ზოგიერთ გვიანდელ ძეგლში იგი შეიძლება სწორად გამოიყენებოდეს. აქ გასათვალისწინებელია გადამწერის (დამწერის) განათლება. გამოცდილება, ძველი დედნიდან ზუსტად გადამწერის უნარი, გადამწერის (მწერლის) დიალექტური გარემო და სხვა.

4. ასიმილაცია

ძველი ქართული ენის ძეგლებში ხმოვანთა ასიმილაციის უდავო ნიმუშები დადასტურებული არაა. XI საუკუნის ხელნაწერში გვხვდება არღარაასადეთ ფორმა: არღარასადეთ სმენილ არს მათ დღეთა შინა. A-689 250 r, 31—32 a. არღარასადეთ > არღარასადეთ ასიმილაციის შედეგად. თანხმოვანთა ასიმილაციის ამსახველი ფაქტები საკმაოდ ხშირია.

რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია

ა) მიმსგავსება საწარმოთქმო ორგანოს ადგილის მიხედვით

V—VIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ /ს/ : /შ/ ოპოზიცია ნეიტრალიზაციას განიცდის ნუნისმიერ შიშინა ფონემათა წინ და არქიფონემად /შ/ გვეელინება:

საზღვრად დაშჯისა ყრმისა შობისათჳს მიხილო, ხანმ. მრავალთ. 148, 18—20 a; წინადაცუეთისაცა იგი შჯული აღასრულა. იქვე 129, 1—4 a; რომელსა ხუნდეს საშჯელად, უძვ. ქართ. ხელნაწ. 322, 5—6 a; და ცრემლით ეეგლოვდეთ უშჯულოებათა ჩუენთა, ხანმ. მრავალთ. 127, 9—10 b; გამოგჳჩნდი ჩუენ დაშჯილთა, იქვე 132, 7—8 a; ნუ დახშჯით, რაჲთა არა დახისაჯნეთ, უძვ. ქართ. ხელნაწ. 327, 15—16.

ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში სჯ > შჯ თითქმის უგამონაკლისოა. მომდევნო ხანის ძეგლებში შჯ დაწერილობის გვერდით გვხვდება სჯ-ც:

სჯული, სასჯელი ... ამგვარი ფორმები უმთავრესად წერითი მეტყველებისათვის ჩანს დამახასიათებელი.

IX საუკუნიდან წერილობით ძეგლებში აისახება ასიმილაციური ნეიტრალიზაციის ზემოთ განხილულის ანალოგიური შემთხვევა: S_2-ისა და O_3-ის პრეფიქსი ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან /შ/-დ გადაიქცევა:

არავინ **დაშჯერდების** პირველსა ამას, სევან. მრავალთ. 25, 9—10 b; ნუ **დაშჯდები** პირველსა საინაჯესა, ლ. 24, 8 E; გზათა ზედა **შჯედ**, იერ. 3, 2 O: შენ **დაშჯდე** საყდარსა, საკითხ. წიგნ. II 131, 24;

საყდრად ქერობინთა **გამოშჩნდი**, სინ. მრავალთ. 16, 4—5; ტაძრად ღმრთისა **გამოშჩნდი**, იქვე 29, 17—18; რაჲთა უაღრჱს შჩნდე ყოველთასა, იქვე 56, 3—4; **შჩათ**, რამეთუ უდებ-გიყოფიან სიტყუანი, Sin.-35 281 r, 13 b:

შეშჯამენ კბილითა ანგაჰრებისა მათისაჲთა ობოლთა და ქურიეთა, სინ. მრავალთ. 113, 28—29; ვიცი, რამეთუ დიდად **შჯირს**, შატბ. კრებ. 273 v, 3—4 b: არარაჲ **შჯირნ** ცხოვართათჯს, ი. 20, 13 E, და-მისთ.

ძველი ქართული ენის ძეგლებში ამ რიგის ფაქტები გაბატონებულია, მაგრამ გვხვდება /ს/-ს შემცველი ფორმებიც:

ნუ **დასჯდები**, ლ. 14, 18 C; **გამოსჩნდი**, მოდრ. იადგ. 147 v, 26, და მისთ.

სავარაუდოა, რომ ეს არაასიმილირებული ფორმები უფრო მეტად წერით მეტყველებას ახასიათებდა. ი. იმნაიშვილი მიუთითებს კონტამინირებულ ფორმებზე:

ოდეს **დასშჯდე** სენაკსა შინა, Sin.-35 212 r, 1 a; კარაულიცა მეტი შენთჯს მოგჯბამს, რაჲთა **დასშჯდე** მას, საკითხ. წიგნ. II 10, 34 (16, გვ. 51).

კონტამინირებული დაწერილობის ეს ძალზე საინტერესო ფორმები იმას მოწმობს, რომ ცოცხალ მეტყველებაში /შ/ თანხმოვნიანი ვარიანტებია გაბატონებული.

ხთ კომპლექსმა V—IX საუკუნეთა ძეგლების მონაცემთა მიხედვით შემდეგი ცვლილებები განიცადა: **ხთ**>**ჰთ**>**სთ**:

არა **განხთქდა** ბადჱ იგი, უძვ. ქართ. ხელნაწ. 358, 1—2; შდრ.: და **განჰთქდებოდეს** ბადენი მათნი, ლ. 5, 6 C; შდრ.: და არა **განსქდა** ბადჱ იგი, ი. 27, 51 C.

ხთ>**სთ** საწარმოთქმო ორგანოს ადგილის მიხედვით ასიმილაციად მიგვაჩნია: უკანა წარმოების /ხ/ წინაენისმიერ /ს/-დ კბილისმიერი /თ/-ს ზეგავლენით გადაიქცა.

ბ) ასიმილაცია ხმის მონაწილეობა-არმონაწილეობის მიხედვით

ასიმილაციური გამჟღერება

/დ/ : /თ/ ოპოზიცია /გ/-ს წინ განიცდის ნეიტრალიზაციას და არქიფონემის როლში მეღერი /დ/ გვევლინება. ამ რიგის ფაქტები თავს X საუკუნიდან იჩენს (პირველად დასტურდება Sin.-39-ში, რომელიც გადაწერილია 974 წელს) და ხშირდება XI—XIII საუკუნეთა ძეგლებში:

და აღიპყრეს აფრაი იგი მცირჱ და ჭარით კერძო ეპყრა კიდჱდგან, სინ. საქმ. მოციქ. 83 V, 1—5 b; Sin.-58 115 v, 13—16 a:

ვინაიდგან, ვიჯმენ, ჴმუბს, სჯულიერისა სამსახურისა, თარგმ. ქებ. ქებათ. 387, 16—17; ვინაიდგან უმრავლესნი მათგანნი მეთევზურნი იყუნეს, იქვე 396, 3—4; ვინაიდგან გუნებასა ცხად-ჰყოფს თუალთა მიერ, იქვე 400, 9; ვინაიდგან კელი მისი განუღე დისწულსა ჩემსა, იქვე 406, 6—7;

დამწყებელი თავიდგან სიძე მქებელ ექმნების სძალსა, თარგმ. ქებ. ქებათ. 400, 15.

რადგან მოვიდა ძმა ჩემი, ქ. ცხ. 289, 8, და სხვა.

ასიმილაციური დაყრუება

ფშვინვიერ თანხმოვანთა /გ/ : /ქ/ დაპირისპირება იშლება და არქიფონემად /ქ/ გვევლინება. ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში ამ რიგის ფაქტი პირველად სინურ მრავალთავში იჩენს თავს:

სხუაჲ ნუგეშინის-მცემელი მოქცეს თქუენ. 186, 18—19; და მიქცე შენ, იქვე 209, 16—17; 209, 23.

რამდენიმე მსგავსი მაგალითი ადიშის ოთხთაში გვაქვს:

შენ მიქცეა ამის ყოელისა კელმწიფებაჲ, ლ. 4, 6; თქუენი იგი ვინ მოქცეს თქუენ, ლ. 16, 12; ქცა ხოლო თუმცა შენ წყალი იგი ცხოელი, ი. 4, 10; არა მოსე მოქცა თქუენ შჯული, ი. 7, 19.

XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ამ მოვლენის ამსახველი სხვა ფაქტებიც დასტურდება:

ანუ ბალანტი იგი არა მიქცა კელთა შენთა, უდაბნ. მრავალთ. 94 v, 28 a — 94 v, 1 b: რავდენ არა უფროის მამამან თქუენმან ზეცათამან მოქცეს კეთილი, სინ. თარგმ. სახარ: 90 v, 7—10: აწ მცნებასა ახალსა მიქცემ თქუენ, კურთხევანი 66 r, 10: უწოდე წყალთა და ჴმა-ქცეს, Sin.-36 39, 25 a: მოქცეს თქუენ, ურბნ. ოთხთ. 211 r, 18—19 b: მე მიქცე თქუენ ძალი ჩემი, Sin.-35 186, 12—13 b: რაჲთა მიქცე იგი მსახურად, A-397 199 v, 14—15; და წიგნისაგან ძალად მოგიყვანებ, ვითარცა ძუელსა და ახალსა, გარნა ჩემისაჲე სიტყჳსა მიქცე, რნ ებისკოპოსთა მიმართ

576. 24—577. 2; და მოქცეს სხეული შენი, საწინასწარმეტყ. 39 r, 7; აჰა ესერა, მიქცე წინაშე პირისა თქუენისა გზაჲ ცხორებისაჲ, იერემ. 21, 8 I; აჰა ესერა, მიქცენ სიტყუანი ჩემნი, იქვე 1, 8 I.

Sin.-64-ში გვაქვს კონტამინირებული დაწერილობა: მოგქცეს (მოგცეს+მოქცეს):

ამისთჳსცა მოგელის შენ გჳრგჳნი სიმართლისაჲ, რომელი მოგქცეს ქადაგებულმან შენ მიერ, 200, 18—19.

ეს ფორმა გც>ქც პროცესს გაბაზავს.

საყურადღებო ფორმაა სისქე, რომელიც მიღებულია *სიზქე-სგან. ძველ ქართულ ტექსტებში ჩვეულებრივ გვხვდება სიზრქე, ზრქელი, განზრქა. /რ/-ს დაკარგვის შედეგად ქართულისათვის უჩვეულო *ზქ კომპლექსს მივიღებდით. ამ კომპლექსის დაძლევა პირველი კომპონენტის დაყრუებით მოხდა:

სადა არა იყო სისქე მიწისაჲ ფრიად, მრკ. 4, 5 C; რამეთუ არა იყო სისქჱ მიწისაჲ, მ. 13, 5 E; შდრ.: სისქე D; ვიცი შენისა სულისა სისქჱ, ათონ. მრავალთ. 131 v, 9—10 b; ქვისა დაკრებასა დაითმენ და სისქესა ბოროტისმოქმედთა მიერ, ათონ. კრებ. 24 v, 6—9 a; პარხლ. მრავალთ. 58 v. 31 a — 58 v, 1 b; არაა დააბრკოლებს სისქჱ კეთილისაჲ ლოცვასა, პარხლ. მრავალთ. 231 r, 12—14 a; და სისქჱ იგი ჯორციսაჲ, Ath.-21 173 r, 1; სიჴმელე და ნოტიაჲ, სისქე და სითხე, გარდამოც. 69 r, 4—5 b; და ზურგსა მისსა ზედა ერტყა ტყავი გრძლაბისაჲ საძაგელი და სქელი, ანდრია სალოსი 14 v, 16—18.

/ს/ და /თ/ ყრუ თანხმოვანთა წინ დგ კომპლექსი თქ მიმდევრობად გადაიქცევა:

არა შემოგჴთქს ჩუენ, ლ. 9, 49 C; რომელსა უთქს ასი ცხოვარი, ათონ. მრავალთ. 219 r, 12—13 a; შეგითქთ შენ, ლ. 18, 28 C, და მისთ.

ბს>ფს:

ქუაბსა>ქუაფსა: შთაყვის იგი ემბაზსა, ანუ ქოთანსა, ანუ ქუაფსა, კალ. ლექც. 7, 26—28 b.

დთ>თთ:

ბრძედთა>ბრძეთთა: რომელი-იგი ბრძეთთა მათ მარხვისათა გამოიცადის, უდაბნ. მწყალთ. 61 r, 3.

დს>თს:

ბრძედსა>ბრძეთსა: დაედევ იგი ბრძედსა შინა, სინ. ლექც. 121, 11—12.

ღს>ხს:

აღსაარება>ახსაარება: კეთილ არს ახსაარებაჲ უფლისაჲ, ფსალმ. 91, 2 E: ვითარცა გუეუწყა მრავალთა ახსაარებისაგან, ნომოკან. 26, 6—7.

ძველი ქართული ენის ძეგლებში, რა თქმა უნდა, ხშირია არაასიმილირებული ფორმები (მ ი გ ც ე, ს ი ზ რ ქ ე და მისთ.), მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში უპირატესად სწორედ ასიმილირებული ფორმები უნდა გვქონოდა.

გ) ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ბ გ ე რ ა თ წ ა რ მ ო ე ბ ი ს რ ა გ ვ ა რ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ

მკეთრ ხშულთა წინ დაპირისპირება მ კ ე თ რ ი: მ ჟ ღ ე რ ი იშლება და არქიფონემად მკეთრი გვეელინება.

დყ>ტყ:

ღაღატ-ყო მისა მიმართ, სინ. მრავალთ. 5, 29; ღაღატ-ყო და თქუა, იქვე 71, 22; 229, 32—33; ი. 1, 15 C; ჴმითა მაღლითა ღაღატ-ყო, ი. 11, 43 C, და მისთ.

დ>ტ I პირის ფორმაშიაც დასტურდება:

ღაღატ-ვყოთ მორწმუნეთა ძმათა ჩუენთა თანა, სინ. მრავალთ. 126, 30; მე შენდამი, უფალო, ღაღატ-ვყავ, იქვე 158, 29.

როგორც ჩანს, III პირში ასიმილირებული ფორმა შემდგომ I პირშიც გადმოვიდა (აქ მაასიმილირებელი ყ თანხმოვანი ასიმილირებულ დ-ს უშუალოდ არ მოსდევდა).

ბკ>პკ:

ბრკოლ ფუებე̈ში რ-ს დაკარგვის შედეგად მიღებული ბკ კომპლექსი ასიმილაციით პკ-დ იქცევა:

რაჲთა არა დაჰპკოლდენ მრავალთა მათ თანანადებთათჳს, უდაბნ. მრავალთ. 61 r, 4—6 b; ვერ ჴელ-გეწიფების დაპკოლებად, მრავალთ. 156 r, 24—25 b: ჰრქუა მათ: ესე დაგაპკოლებსა თქუენ, ქსნ. ოთხთ. 146 v, 8—9 a, და მისთ.

დასტურდება ზემოთ განხილულის საპირისპირო მოვლენაც: მკეთრი თანხმოვნები სუნთქვიერთა წინ მკეთრობას კარგავენ და სუნთქვიერებად იქცევიან:

ს ს > ჯ ს:

და ამას სიტყუასა თანა მეჯს განვიდა მისგან, Sin.-46 84 v, 3—5; მეჯსეულად ვიქმენ სულითა, H-1346 12 v, 4; და მეჯსეულად სიკუდილი გლახაკთაი. კალანდაი 140 r, 9—10 a; მეჯსეულად დასცხრა წყაროი იგი სისხლისა მისისაი, H-1704 68 r, 16—17; და წარვიდეს იგინი მეჯსეულად, ეპიფანე 213 r, 4—5; მეჯსეულად განკმა წყაროი იგი, A-1699 39 r, 14—15, და მისთ.

ტ ფ > თ ფ:

და შემოვიდა ქალაქსა თფილისსა, Sin.-11 294 v, 14; წარვიდა ქუეყანასა სომხითისასა, მახლობლად თფილისისა, სასწ. მთავარმოწ. გიორგისნი 343 v, 3—5;

მამასა ჩუენსა გიორგი თფილელს წაეგო, დავის გადაწყვ. დაწ.

ეს ფაქტები არ ადასტურებენ ფ. ნაისერის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ქართულში „ყოველგვარი ასიმილაციის უმთავრესი კანონია ის, რომ ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მხოლოდ მჟღერი, ან ფშვინვიერი ემსგავსება მკვეთრს, მაგრამ არა პირუკუ“ (56, გვ. 16).

რეგრესული დისტანციური ასიმილაცია

/ს/ ძირისეული /ჯ/-ს ზეგავლენით /შ/-დაა ქცეული: ფარისეველნი დაიშაჯებიან, სინ. მრავალთ. 92, 18; მართალი საშჯელი შაჯეთ, ი. 7, 24 C; ერთისა მის შეცოდებითა ყოველთა კაცთა ზედა დაშაშჯელად, ლატ. ლექც. 314 v, 3—5 a; ნუუკუე მიგითრიოს შენ მშაჯულისა და მშაჯულმან მიგცეს შენ სეფეკაცსა, სინ. ლექც. 87, 18—20 b; შეიწუნარნეს სიტყუანი ჩემნი, აქუს მშაჯული, იქვე 108, 16—18 b; მან შაჯოს იგი, იქვე 108, 19—20 b; და იტყოდა: მშაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, Sin.-15 199, 8—10 a; მან შაჯოს იგი უკუანაჲსკნელსა დღესა, იქვე 267, 12—13 b; მე არა ვშაჯო იგი, Sin.-30 76 r, 1—2 a.

ძირისეული /შ/ იმსგავსებს პრეფიქსისეულ /ს/-ს: არამედ შაშოვალ პირველისა და მერვისა, სინ. მრავალთ. 192, 29—30; მე შაშუვალ მხოლოი წარვიდე, ათ. ასკეტ. კრებ. 87 v, 12—14 b; და შაშუვალსა გზასა სლვად, იქვე 265 r, 12—14; და ვითარცა შეეიდეს იგინი შაშუვალ ქალაქსა მას, I მეფ. 9, 14 O; და უბო ერთი იყო შაშუვალ მათსა, I მეფ. 17. 3 O; ეტყოდა შაშუვალ მდგომარესა მას, A-397 141 v, 13—14; და ბეჰშაშუალი მისი ფერითა ოქროჲსაითა, A-38 102 r, 1; და შაშუალი არს დადუმებაი, კლემაქს. 91 v, 14;

შავ ვიყვენით და შიშავისათჳს ცოდვისა თქუა, მრავალთ. 153 r, 12—14 a;

ყოველმან წოლმან, რომელმან განაღოს პირველად შაშო დედისა თუისისა, წმიდა უფლისა ეწოდოს, კურთხევანი 49 r, 3—5.

ძირისეული ყრუ თანხმოვნის გავლენით ყრუვდება ზმნისწინისეული და პრეფიქსისეული მჟღერი:

აღუს>ახუს:

ახუსებასა მწუხრი, ხანმ. ლექც. 062, 1 a; დღესა **ახუსებისა** ზატიკსა მწუხრი, იქვე 062, 1—2 b; თუესა იანვარსა ზ, საკითხავი ზ, პარასკევსა **ახუსებითგან**, სინ. სამოციქ. ფრაგმ. 9 r, 1—2 a; სულისა მიერ წმიდისა **ახუსებულ** იქენ (!), სტეფანე, იელ. იადგ. 60 r, 29—30.

გუც>ქუც:

მოქუცემ მოძღუარსა მას შენსა, უდაბნ. მრავალთ. 94 v, 27—28 b; რაჲთა **ქუცეს** ჩუენ უფალმან ძალი, ბარუქ 1, 12 1; რომელ **მოქუცა** ჩუენ, იქვე 2, 10 1, და სხვა.

ბრკ>პრკ:

ბრკ- ძირში კ-ს გავლენით პ-ს ვიღებთ: მეყსეულად დაპრკოლდიან, მ. 13, 21 E; და ყოველნი დაპრკოლდებოდეს მისა მიმართ, მ. 13, 57 E; ხოლო რაჲთა არა დავაპრკოლნეთ იგინი, მ. 17, 27 E; **ჴმაჲ** ჩემი დააპრკოლე, ათონ. კრებ. 371 v, 6—7 b; შემთხუევასა მას ბოროტისასა დაეპრკოლა, შატბ. კრებ. 58 v, 13—15 b, და მისთ.

პროგრესული ასიმილაცია

1) კონტაქტური მიმსგავსება

სდ კომპლექსი რეგრესული ასიმილაციით **ზდ**-ს იძლევა. ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება ამ კომპლექსის სხვაგვარი **სთ** ვარიანტიც, რომელიც ასახავს პროგრესულ ასიმილაციურ დაყრუებას. **სდ>სთ** იზოლირებული მოვლენა არაა. არის შემთხვევები, როცა ყრუ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში ოპოზიცია მ ჟ ღ ე რ ი: ყ რ უ იშლება, არქიფონემად მოგვეელინება ყრუ თანხმოვანი: **სდ>სთ**, **შჯ>შჩ**, **წდ>წთ** და სხვ.

სდ>სთ:

ესთენთა საკჯრველებათა წინამორბედო, სინ. მრავალთ. 77, 20—21; ესთენსა განკრძალვასა გიბრძანებს, იქვე 100, 12; და ესთენი სასწაული ექმნა მათ წინაშე, ი. 12, 37 C; რამან ესთენ მოაძულა, უდაბნ. მრავალთ. 53 r, 12—13 a; თთუესა ესთენსა და ინდიკტიონსა ესთენსა გამოვარჩიეთ, სვან. მრავალთ. 328, 20—22 a, და მისთ.

ჯდ>ჯთ:

ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრეძას გადაჯთა, ერედვ. წარწ.

შჯ>შჩ:

და უშჩულო იქმნა ცუდად, სინ. მრავალთ. 121, 10; უკუეთუ თქუენ იკითხავთ, შჩულსა, იქვე 239, 12; უპირადეს ყოვლისა საღმრთოჲსა საცხორებელისა ახლისა შჩულისა ესე მოიცლინა, ათონ. მრავალთ. 3 v, 1—3 a; განერნეს საშჩელსა, მრავალთ. 40 r, 3—4 b; იტყოდა იგი სიმართლისათჳს და მოთმინებისათჳს და საშჩელისათჳს, Ath.-42 182 r, 11—14 b, და მისთ.

წდ>წთ:

ანგელოზთა მიერ მიუწთომელ არიანო, H-1346 94 r, 11—12; შდრ.: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა ჩუენსა მიუწდომელსა, Sin.-64 18 v, 17, და მისთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი შემთხვევა: აწ ძირეულ მორფემაზე ღა ნაწილაკის დართვით წღ კომპლექსი უნდა მიგვეღო, მაგრამ ქართული ენის ფონოლოგიური სისტემისათვის ეს კომპლექსი მიუღებელია. მოხდა ასიმილაცია: წღ>წყ:

აწყა იქმნა ძე, სინ. მრავალთ. 89, 21; სადა არს ტკბილი და ზაფხული აღმოსრულ არს და არა აწყა არს, მრავალთ. 137 r, 9—11 b; და ვთქუ, აწყა მიწყიეს, A-38 128 r, 14.

ფშვინვიერი თანხმოვნით დაბოლოებულ ძირეულ მორფემაზე დართეისას ღა ნაწილაკის თავკიდური ღ ხ-ს გვაძლევს:

წუთ-ღა>წუთხა: წუთხა და წარმწყმედდეს მე ქუეყანასა ზედა, ფსალმ. 118, 87 A.

აწყა>აწღა, წუთხა>წუთღა მიუთითებენ, რომ ღა ნაწილაკი ღარ გაიგება დამოუკიდებელ მორფემად, იგი ძირითად სიტყვასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. წარმოთქმისას ამ ორ მორფემას შორის ზღვარი აღა-

რაა. ამის შედეგი ისაა, რომ ხდება ღ : ყ, ღ : ხ ოპოზიციათა ნეიტრალიზაცია. ერთი მორფემის შიგნით ქართულის ფონეტიკური სტრუქტურა კრძალავს წღ, თღ მიმდევრობებს მაშინ, როცა წყ, თხ დასაშვები კომპლექსებია.

2) პროგრესული დისტანციური ასიმილაცია

უკანანუნისმიერი ჰ დისტანციურად იმსგავსებს წინანუნისმიერ ს-ს და მას უკანანუნისმიერ შ სპირანტად გადააქცევს:

ბჰისკარი > ჰიშკარი: ჰიშკარი შექმენ ა, ნიკორწმ. სიგ. 47, 24; შექმენ ჰიშკარი ბოსელქორედიანი ა, იქვე 48, 28—29.

წ—დ > წ—თ:

წუედ- // წუდ- > წუეთ // წუთ-: კიდეთა სოფლისათა გასწუთეს ბადენი თქუენნი, Sin.-34 94 v, 6; მი-რაჲ-ვსწუთეთ აღდგომასა მას, ლატ. ლექც. 300 v, 1—2 b; ვერ მისწუთეთ, შატბ. კრებ. 193 v, 7 a; და მისწუეთ ჰეშმარიტსა, მოდრ. იადგ. 52 r, 29; ვერ მისწუთების, Sin.-59 200 r, 25; და ვერ მივსწუეთ საზომსა მისსა, ათ. პატერ. 55 r, 10.

მკვეთრის გავლენით მკეთრდება მეღერი:

პ—დ > პ—ტ:

უპირადმს > უპირატეს: რომელნი უპირატმს შჯულისა მაცხოვარმან შეამკვნა, მოდრ. იადგ. 26 r, 27; უპირატესი ადამ გამოვიდა, Ath.-32 309 r, 67; და უპირატესობისა მათ ყოველთაჲსა მჭონებელი, იბერ. 22, 28—29 AB; შდრ.: წმიდასა მარიამს უპირადმს აუწყა ესრმთ, სინ. მრაველთ. 5, 23.

წ—დ > წ—ტ:

წრდიალ > წრტიალ: სიკუდილითა და სენითა წრტიალითა მოსწყდენ, იერემ. 16, 4 O (შდრ.: წრდიალითა I); რამეთუ შეეხო მასცა ვნებაჲ წრტიალი, მაკრინა 25 r, 40—42 a.

გვიანდელი ხანის ძეგლებში წყუედ- > წყუეტ-;

შუბლსა ვიცხოთ და სისხლსა დასწყუეტს, კარაბადინი 13 v, 11—12: თავი მოსწყუიტე, იქვე 71 r, 14.

• • •

IX საუკუნიდან ქართული ენის წერილობით ძეგლებში თავს იჩენს ფაქტები. რომლებიც ასახავენ მეღერ და ყრუ ფონემათა ოპოზიციის ნეიტრალიზაციას აუსლაუტში:

და აღვიდა იგი მთათ, მრკ. 3, 13 C; სათნოთ ცხოვრებისათჳს ეპისკოპოსისა, S-1138 175 v, 16—17 b; ათორმეტნი ესე ებისტოლენი განწესებულ არს: კორინთეთ Ⴝ, ჰრომელთა მიმართ, ფილიპეთ Ⴟ , კორინთელთა მიმართ, Ⴝ და Ⴟ , იქვე 9 v, 1—8 b; მოიღო მარიამ ნელსაცხებელი და იწყო ცხებათ ფერჴთა უფლისათა, ჭილ.-ეტრ. იადგ. 128 v, 17—19; რომელი მოვიდა ... ვნებათ ჯორცითა, იქვე 145 v, 1; ამაღლდი ზეცათ, იქვე 270, 5; რომელნი იქმან უჭრთამოთ, Sin.-34 96 r, 8; რომელი-იგი ყოველთავე თანამდგომთა ერთბამათ თუალითა ვიხილეთ, პარხლ. მრავალთ. 200 r, 19—21 b; უცხოთ მოცლადღებული ქალწოლმან წმიდამან უბიწოთ დაიტია, იელ. იადგ. 4 r, 16—17; გესავთ შენ მყოდროთ ნავთ-. საყოდელად სულთა ცხორებისა, იქვე 4 v, 8; შენგან უმამრთ გამოჩნდა ჩუენთჳს, იქვე 17 r, 14; მტკიცეთ მოძთმენთ, იქვე 53 v, 20—21; კადნიერად სახელ-იდევ ქრისტიანეთ, იქვე 54 r, 10; უბიწოთ მშობელო ყოველთა მაცხოვრისაო, იქვე 59 r, 4; რომელთა ბრწყინვალეთ განაშვენეთ ეკლესიაჲ, იქვე 135 r, 30; გულსმოდგინეთ განეიწმიდნეთ ჩვენ თაენი მარხვითა, იქვე 141 v, 30; და განხრწნილნი კუალად აგნეთ სამოთხეთ, იქვე 142 r, 23: უკრწნელად ნეტარებათ მომეცა კაცთაგან, იქვე 166 r, 1—5: ამათ ჴეშმარიტათ ჯვარი მაცხოვრისაჲ, ვითარცა საკნველი, მიღეს, იქვე 223 r, 8—9; ბოროტათ მთრვალობითა აღგზნებულ იყო, იქვე 65 v, 11; რაჲსა გხადღბით შენ, ღმრთისმეტყველო, ჴეშმარიტად მსაურად საიდუმლოთა ქრისტესთა, კარვად აღმართებულად, ხუროთ სიარძნისად, იქვე 280 v, 7—8; და წარვიდეს ქალაქათ, H-1888 IV, 2—3 b; მაშინ ყოველი იგი ქალაქი განვიდა შემთხუევათ იესუჲსა, იქვე IV, 6—9 b: ბრწყინვალეთ შეამკუენ ეკლესიანი, A-1562 4 v, 17—18; ბრწყინვალეთ გამოსჩნდი, ღირსო, იქვე 9 v, 3: განაცხადე ღმრთებაჲ და კაცებაჲ ერთხატათ დიდებულო, იქვე 26 v, 7—8; ბრწყინვალეთ განმანათლებელ არს, იქვე 38 r, 10; მეოთხედ რისხჳასა, მეხუთეთ მოწყინებასა და მეექუსედ მწუხარებასა, კლემაქს. 146 r, 7—9; უნებლიეთ განშორებად ვართ, A-88 143 v, 5—6 b.

/ვ/-ს დაკრუების გზით არის მიღებული /ფ/: გაკურთხევ>გაკურთხეფ (შდრ.: 42, გვ. 69);

კ უ რ თ ხ ე ვ ი თ გაკურთხეფ შენ, Sin.-11 64 v, 20.

სვანური მრავალთავი და Sin.-11 გამოაელენენ ფაქტებს, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ძველ ქართულში ხდება /ბ/-ს დაკრუებაც:

შეკრიფა საფასე დიდი, სვან. მრავალთ. 435, 22; და დავყუენ დღენი ესე შუიდნი მუნ, ვიდრემდის შევკრიფე ყოველი ნაყოფი მისი, Sin.-11.

128 v, 15—16; შემოკრფა ყოველი ქალაქი ადგილსა მას, იქვე 180 v, 2.

საკარაუდებელია, რომ /ბ/ დაყრუვდა ამ ზმნის ისეთ ფორმებში, სადაც იგი აბსოლუტურ ბოლოში იყო მოქცეული: ვკრებ, ჰკრებ...> >ვკრეფ, ჰკრეფ... და შემდგომში პარადიგმის უნიფიკაციის შედეგად /ფ/ გავრცელდა ისეთ ფორმებშიც, სადაც /ბ/>/ფ/ გადასვლისათვის ხელსაყრელი ფონეტიკური გარემოცვა არ ივარაუდება. ამდენად, ზემოდასახელებული ფაქტები (შევკრიფე, შემოკრფა) /ბ/-ს აბსოლუტურ ბოლოში დაყრუების დადასტურებაა.

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მყღერთა დაყრუების დამადასტურებლად მიგვაჩნია ე. წ. ჰიპერურბანული დაწერილობანი: დ დაწერილია იქ, სადაც ყოველთვის გამოითქმოდა და იწერებოდა თ[1]:

არა დავჰკსნად სიტყუაჲ, ათონ. მრავალთ. 163 v, 21 b; აღვკედით ნავსა ტროადას და მართლ მივისწრაფედ, Ath.-42 161 v, 4—6 b; დავსცეთ ზუაობაჲ, დავკსნად მტერობაჲ, Sin.-59 130 v, 18—19; წარვედით და აუწყედ მაცხოვარსა, იელ. იადგ. 267 r, 15; რომელსა ვაკურთხევდ და ავამაღლებთ ჩუენ უკუნისამდე, იქვე 275 r, 1; და დასთრგუნედ მზაკვარი, მკნენო მოწამენო ქრისტესნო, იქვე 228 r, 5—6; რაჲთამცა ჯერედ ვიტანჯებოდე, ანდრია სალოსი, 180 v, 2—3, და სხვ.

6. დისიმილაცია

ძველ ქართულში დისიმილაცია უმთავრესად თანხმოვანთათვის დამახასიათებელი პროცესია. ხმოვანთა განმსგავსება გაცილებით იშვიათად ხდება.

ხმოვანთა დისიმილაცია

/ე/ /ა/-ს წინ /ი/-დ გადაიქცევა: -ეან>-იან:

ნათესაჲ იგი მატლთა მათ წამლიანთაჲ, ათ. ასკეტ. კრებ. 146 v, 10—12 b; და იყო უნიშნოჲ იგი ლაბანისა, ხოლო ნიშნიანი იგი იაკობისა, დაბ. 30, 42 O; და მოაკუდინეს მკეცი იგი გესლიანი, მიქაელ 158 v, 20—22 b; ეგრეთვე ვერცა ერთი წყაროჲ მარილიანსა და ტკბილსა წყალსა აღმოცენებად, კათ. ეპისტ. 73 r, 10—12; რამეთუ თევდოსის მწვალებელისა მოწაფეთა თევდოსიანნი ჰრქჳან, უწყ. 223 v, 11—12; და აწ კუალად აბრამიანობასა სახელ-იდებს ბუელისაგან, თარგმ. კათ. ეპისტ. 175, 25—27 a, და მისთ.

---

[1] ზუსტად ანალოგიურია თანამედროვე ქართულის ვითარება: მყღერთა და ყრუთა დაპირისპირების მოშლის გამო დ ზოგჯერ იწერება იქ, სადაც იგი არასდროს წარმოითქმის.

/ეო/ მიმდევრობა /იო/-ს გვაძლევს:

და მიოთხისა მის ჴელმწიფებასა გალილეველთა ზედა ჰეროდესა, ლ. 3, 16 C; შდრ.: მ ე ო თ ხ ი ს ა DE; იხილნეს საქმენი ჩემნი ორმიოც წელ, H-1798 19 v, 2—3; მოიხუნა მან ათნი მცნებანი მარხვითა მით ბლიერითა მთასა მას ზედა სინასა დღეთა მათ ორმიოცთა, მარხვ. 29 r, 25—26; ორმიოც წელ ამისთჳს მოვიწყინე ნათესავი იგი, ფსალმ. 94, 10 F.

ოვა // ოა, ოვე // ოე კომპლექსები უვა // უა და უვე // უე მიმდევრობებად გარდაიქმნებიან. ეს მოვლენა ღიაობის მიხედვით დისიმილაციად მიგვაჩნია. დისიმილაციური რედუქციის გზით /ო/-სგან უმარცვლო /უ/-ს მიღება აიხსნება იმით, რომ ძველ ქართულში C—V პოზიციაში /უ/ მხოლოდ იმ შემთხვევაში გვქონდა, როცა იგი მახვილს ატარებდა (საშუალი), ხოლო სხვა შემთხვევაში მას /უ/ ენაცვლებოდა (7, გვ. 47).

ოვა // ოა > უა:

მთოარე > მთუარე: ეგდენ იყოს მთუარეი, Sin.-34 198 r, 8; რაჲ-მე სარგებელ არს შენდა ბრწყინვალებაჲ იგი მზისა, ანუ მთუარისაჲ, სინ. თარგმ. სახარ. 47 v, 2—6; შექმნა მთუარჱ ჟამთათუის, H-1798 24 v, 14—15; რამეთუ საესე იყო მთუარე ღამესა მას, ცხორ. მარიამ მეგვპტ. 80 r, 3—4, და სხვა.

მძოვარ > მძუარ: ხოლო ამბა იოვანე აკურთხა წყალი იგი ორთა მათ თანა დიდთა მოხუცებულთა და მძუართა, Sin.-62 3 v, 4—7 a.

ცხოვარ > ცხუარ: და ეიქმნენით ვითარცა ცხუარნი, იელ. იადგ. 4 v, 25; მაშინ ლომი იგი შინა კერძო უდაბნოჲსა მის წარვიდა ვითარცა ცხუარი, ცხორ. მარიამ მეგვპტ. 88 r, 5—7; თავთა მწყსიდეს და არა ცხუართა ჩემთა, სწაელ. ეფრემისნი ნეროფიტეს მიმართ 251 r, 9—11, და მისთ.

მყოვარ > მყუვარ // მყუარ: და ნათელ-იღო შენ სამჯერ მყუვარ წყაროჲსაგან, შატბ. კრებ. 109 r, 18—20 b; დადგა მის წინაშე მყუარ ჟამ, A-397 27 v, 2—3; და ასწაელიდა მათ მყუვარ ჟამ, იოანე ღშრთისმეტყუე. 137 v, 23—24, და სხვ.

ამ ზმნიზედასთან უთუოდ კავშირშია ზმნური ფუძე ყოვ-ნ: და-ყოვ-ნ-ებ-ა.

ოვე > უე:

ყოველ > ყუელ-ა: მწირეელთა თანა დაეწესებოდეს პურითა და ოქროჲთა და ჯდომითა, ყუელაჲთა, ვაჰან. ქუაბ. განგ. 85, 18—20; საკმრითა და უკმრითა ყუელაითა, სიგ. დავით მეფისა თუალთაისძისადმი; სახლი და საქონებელი ყველაი დაშაებული იყო, აგარული და სხლატბ. ნასყ. სიგ. და მისთ.

სოველ>სუელ:

კაცისა ტანი სისუელითა აღივსოს, კარაბადინი 67 r. 15—16; ტკბილი ბროწეული სუელსა მჩუარჩიგა წახუივე, იქვე 115 r, 23—24.

ასევე: შეპოვნება>შეპუვნება (2, გვ. 78—81); შდრ.: არა შევეპოებიმეფეთა, ათონ. მრავალთ. 38 r, 9—10 b.

თანხმოვანთა დისიმილაცია

ა) დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა ს ა წ ა რ მ ო თ ქ მ ო ო რ გ ა ნ ო ს ა დ გ ი ლ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ

/ბ/ : /ნ/ ოპოზიცია ბაგისმიერთა წინ ნეიტრალიზაციას განიცდის და არქიფონემის როლში /ნ/ გამოდის:

მბ>ნბ:

(ჰ)ამბავ>(ჰ)ანბავ: მიიწია ანბავი ათასისთავისა მის ერთისა, .სინ. საქმ. მოციქ. 64 r, 16—18 a; განთქუეს ჰანბავი, მრავალთ. 34 r, 24—25 b, და მისთ.

ამბორ>ანბორ: და ანბორს-უყოფდეს, ათ. ასკეტ. კრებ. 110 r, 25 b; მისცა სიყუარული ანბორის-ყოფითა, A-397 206 v, 12, და სხვ.

ამბოხ>ანბოხ: ანბოხი ზახილისაჲ შეიქმნებოდა, ათ. ასკეტ. კრებ. 124 v, 14—15 a; გარდმოდგინებაჲ-სცა ყოველი იგი ანბოხი, Sin.-58 53 v, 21—23 a, და მისთ.

ემბაზ>ენბაზ: რაჲთა არა შთაიდე სიხენეშითა ენბაზსა მას, ათ. ასკეტ. კრებ. 39 v, 18—21 a; და აღმოიყვანონ იგი ენბაზისაგან, კურთხევანი 10 v, 3—4, და სხვა.

იამბიკო>იანბიკო: მეორესა დღესა დასდებელნი იანბიკონი, წჯრმ. იადგ. 123 v, 14; წმიდაჲ იოანე შავთელი შეწყობითა იანბიკოთაჲთა კეთილად და ღმრთივ შუენიერად წარმოაჩინებს, ქრონიკ. 329 r, 16—18.

ამბა>ანბა: ანბა მარკოზ, Sin.-36 496, 26—27 a; რომელსა ერქუა ამბა, ისაკ და კუალად სხუასა ამბა ასონა, და ანბა იულიანე, ეფრემ. ცხოვრ. 94, 5—6, და მისთ.

ანბა'სთვის ამოსავალი ამბა თვით არის დისიმილირებული ფორმა: აბბა>ამბა (43, გვ. 37):

მოგგუარეთ შენ ამბა სერაპიონ, Sin.-36 496, 27—29 a.

საინტერესოა, რომ XI ს. ერთ-ერთ ხელნაწერში გვაქვს კონტამინირებული ფორმა წუნმბებაჲ:

მაქუნდა: ... ტრფიალებაჲ განუძღომელი ყოელადვე მწჳრესა მას შინა ცოდვისასა წუნმბებად, A-1104 55 r, 6—10.

წუმბ-+წუნბ->წუნმბ-.

მფ>ნფ:

შამფურ>შანფურ: და უბრძანა შესაქმედ შანფურნი, Sin.-62 44 r, 16—17 a: და აკურებდეს იგინი შანფურთა, მარტკლ. თექლ. 118, 6—7 A, და მისთ.

მპ>ნპ:

ამპარტავან>ანპარტავან: რომელნი იტყჳან მართლისა მის ზედა უშჯულოებასა ანპარტავანებითა, ფსალმ. 30, 19 B; გმობანი, ანპარტავანებანი, უგუნურებანი, ქსნ. ოთხთ. 38 r, 13—15 a, და სხეა.

კბილისმიერთა ნდ კომპლექსი დისიმილაციით გადაიქცეჳა მდ მიმდევრობად:

ცხონდ>ცხომდ: წარმართნიცა არა ცხომდეს, სინ. მრავალთ. 92, 3—4; რომლითა ვცხომდეთ ჩუენ სრულიად, იქვე 120, 10—11; და ცხომდებოდა იგი არაწმიდად, მრავალთ. 6 r, 9—10 b; უკუეთუ დაიძინა, ცხომდეს, ქსნ. ოთხთ. 163 r, 5—6 a; და სიბრძნითა ცხომდეს, სოლომონ. 9, 18 O; შდრ.: ც ხ ო ნ დ ე ს I, და მისთ.

ნანდჳლ>ნამდჳლ: ესრეთ იტყჳს, ვითარმედ: უკუეთუ ნამდჳლვე ჴეშმარიტებით ერთგუამ ხართ, თარგმ. კათ. ეპისტ. 35, 20—21 a; რამეთუ ნამდჳლვე არა საშიშ, არამედ საფრთხოლ ოდენ არიან კუეთებანი წინაალმდგომთანი, იქვე 300, 30—33 b; ნამდულვე ჴეშმარიტად ზეგარდამოჲ იგი მოცემულ იყო სული, Sin.-11 7 r, 6—7; რამეთუ იყოვე ნამდჳლვე სასწაული განსაკჳრვებელ, საკითხ. რომანოზისი 655, 13—14 a; და ესე იყო ნამდჳლვე უსაკჳრველეს გულისსიტყუათა მისთაგან. ცხორ. ანტონი დიდისაჲ 277 r, 29—31 a; რაჲთა წარხჳდეთ შუაბულნი, ნამდჳლვე არადაცარიელებადთაგან, გრიგოლ ღმრთისმეტყ. ჰომილ. 31, 5—7 b, და მისთ.

წინაენისმიერთა სძ კომპლექსის პირველი წევრი უკანანუნისმიერ რ-დ იქცევა: სძე>რძე:

შეასუით ამისგან ყრმასა მცირესა, რომელ დღე და ღამე ტიროდეს, სამის მარცულისწონი თაჳის დედის რძითა, კარაბადინი 4 r, 12—14; აიღე თხისა რძე ახლად მოწუელილი, იქვე 19 v, 8—9, და მისთ.

ბ) დისიმილაცია წარმოების რაგვარობის მიხედვით

ბ) კომპლექსი **შჩ**, რომელიც მიღებულია **შჯ**-საგან ასიმილაციური დაყრუების შედეგად, დისიმილაციით **რჩ** მიმდევრობად იქცევა. დისიმილაცია ხდება სპირანტული ელემენტის მიხედვით:

დაშჩილ->დარჩილ-: **დარჩილსა** შინაგან აქუს მსაჯული, სინ. მრავალთ. 24, 32—25, 12; რამეთუ აკლს პატივი სიმართლესა მას **დარჩილთასა**, იქვე 43, 5, და მისთ.

განშჩა>განრჩა: დიდებითა მომავალ არს **განრჩად** ცხოველთა და მკუდართა, სინ. მრავალთ. 51, 24—25.

შჩულ->რჩულ-: არა მეშინის თქუენგან, მტერნო ღმრთისანო **ურჩულონო**, სინ. მრავალთ. 275, 6—7; მი-ვინმე-უგო **რჩულის** მეცნიერმან, ლ. 11, 45 C; არა **რჩულიერ** არს, უდაბნ. მრავალთ. 35 r, 22: რაჲთა განვერნეთ ჩუენ წყევისა მისგან **რჩულისაჲსა**, შატბ. კრებ. 204 v, 2—3 b, და სხვა.

ეშჩ->ერჩ-: პირი დაეყავნ ოროგინეს და მოწაფეთა მისთა, რომელნი მისსა მას მრუდებისა მოძღურებასა **ერჩიან**, სინ. მრავალთ. 51, 32—33.

საშჩელ->სარჩელ-: მიმჴდიდა ჩუენ **სარჩელსა**, სინ. მრავალთ. 42, 21: დედოფალი სამხრისაჲ აღდგეს **სარჩელსა** მას კაცთა თანა ამის ნათესავისათა, ლ. 11, 31 C; იგივე თავადი ჰგიეს ცხორებისათჳს და **სარჩელისა**თჳს, უდაბნ. მრავალთ. 30 r, 6—8, და მისთ.

დაშჩა>დარჩა: გამოიძია თჳსით თავითცა ბოროტისა მის სენისა მოდგამობისა **დარჩად**, უდაბნ. მრავალთ. 53 v, 14—16; ნუ **დარჩით**, რაჲთა არა დაისაჯნეთ, Sin.-35 462, 2—3 a, და სხვა.

შჯ->შჩ->რჩ-: უფროჲს ყოველთა სამართლად **რჩიდით**, ანტ. 73, 9—10 C.

მოსაშჩლე>მოსარჩლე: **მოსარჩლენი** იგი მახლობელ იყვნეს მას ადგილსა, იოანე ოქროპ. ცხორ. 123 v. 4—5.

გარეშჩელ>გარერჩელ: მოიჯსენეთ სულიერი შვილი და ძმაჲ ჩემი იოვანე **გარერჩელი**, ანდრეა 243 v, 26—28 b (გადამწ. ანდერძი); მოიჯსენეთ სულიერი ძმაჲ ჩემი იოვანე **გარერჩელი**, შესხმ. ნიკოლაოს. 219 v, 28—29 (გადამწ. ანდერძი).

აქვე განვიხილავთ ორ ზმნურ ძირს: **შთ: და-შთ-ომ-ა** და **შთ: მო-შთ-ობ-ა**. **შთ** კომპლექსის გარდაქმნის შედეგად აქ **რჩ** მიმდევრობა მივიღეთ. თუ დავუშვებთ, რომ ჩ მიღებულია **შთ** კომპლექსის შერწყმით, მაშინ ვერ ავხსნით, რატომ გვაქვს მის წინ **რ**. ვვარაუდობთ, **რჩ** კომპლექსი ამ შემთხვევაშიაც ***შჩ** საფეხურის გავლითაა მიღებული: **შთ** კომპლექსს საწარმოთქმო ორგანოს ადგილის მიხედვით პროგრესული ასიმილაციის გზით უნდა მოეცა ***შჩ** (ასიმილაციის საფუძველი ისაა, რომ **შ** ნუნისმი-

ერი თანხმოვანია, თ კბილისმიერი. ასიმილაციის შედეგად კბილისმიერი თანხმოვანი ნუნისმიერად იქცევა და ნუნისმიერთა კომპლექსს ვიღებთ):

შთ-ომ-ა > რჩ-ომ-ა:

ესე ჴელი დარჩა ჩემ თანა აქამომდე, ლიმონ. 79, 6: არამედ გული მისი მუნვე სოდომას დარჩომილ იყო, მამ. სწავლ. 195, 3—4 A; გული მისი დარჩომილ იყო სოდომს, იქვე 196, 10; მცირედ-ღა რაიმე დარჩომილ არს, იქვე 259, 13—14 A; ეძიებდ დარჩომილსა მას, სვან. მრავალთ. 70, 12—13 b: რომელი-იგი ურჩებისაგან უქმად დარჩა, იქვე 155, 2—4 b; ზემო დამირჩეს, ჰილ.-ეტრატ. იადგ. 9 r, 20; უმცრო დაგრჩეს, Sin.-34 197 r, 10: უმცროდ დაგრჩეს, იქვე 197 r, 12; უკუანა რაი დაგრჩეს, იქვე 197 r, 17; 197 v, 3—4; 197 v, 13—14; 198 r, 7—8, და სხვა.

შთ-ობ-ა > რჩ-ობ-ა:

მოირჩო სულისაგან ბოროტისა, სვან. მრავალთ. 248, 9—10 b; მოირჩო მეყსეულად, იქვე 248, 15—16 b; ძე ჩემი მოირჩო აბანოსა შინა, იქვე 248, 22—23 b; შეკრვაი ნეტარისა მარინაისი ჴელით და ფერჯით და მუნ შინა მისი მორჩობაი, პარხლ. მრავალთ. 311 v, 3—6 a; მანვე შაემან მოგარჩოს, A-397 196 r, 1, და მისთ.

შჯ და შჳ კომპლექსები სპირანტული ელემენტის მიხედვით დისიმილაციის გზით რჯ და რჳ მიმდევრობებს იძლევიან:

შჯ > რჯ:

და მიუწერეს ორთავე მოსარჯლეთა, იოანე ოქროპ. ცხორ. 123 v, 14—15: აღდეგ, ღმერთო, საჯე რჯაი დიდებული, Sin.-40 39 r, 11; არა ვითარცა დასარჯელსა გკითხავ, ფებრონია 391, 3—4; ამისთჳს არა დადგენ უღმრთონი სარჯელსა, ფსალმ. 1, 5 A.

შჳ > რჳ:

თუ არა ვიხილო ჴელთა მისთა სახჱ საშჳალთაი და დავასხნე თითნი ჩემნი სახესა მას სამრჳალთა ფერჯთა მისთასა, სინ. მრავალთ. 172, 17—18; შეუძლებელ არს ნავისაი თჳნიერად სამრჳალთა შემზადებაი, Sin.-35 621, 8—11 b; სამრჳალნი გრძელნი დამშჳალნა, Jer.-149 26 r, 14—16.

დასტურდება კონტამინაციური დაწერილობა: სამრსჳალ < სამსჳალ + სამრჳალ:

ფერჯთა მისთა სახჱ სამრსჳალთაი, სინ. მრავალთ. 172, 25—26.

პტ, პუ, კტ კომპლექსები დისიმილაციით ბტ, ბუ, გტ მიმდევრობებად იქცევიან:

ეგვპტე>ეგვბტე: რომელი შეეწია ვითარცა მოსეს ეგვბტეს შინა, A-603 2 v, 8; მაკარი მეგვბტელისაჲ, მოდრ. იადგ. 143 r, 27; რომელიცა სცვალე შენ ეგვბტით, იქვე 217 r, 40.

კელაბტარ>კელაბტარ: მივიდეს მათ თანა მღდელი დიაკონთა თანა კელაბტრითა და საცეცხორითა, კურთხევანი 19 r, 4—5.

ბურ->ბურ-: და დაიბურეს იგი, მსაჯ. 1, 8 O; დაებურა ბნელსა, იელ. იადგ. 299 r, 21.

ნეკტარიოს>ნეგტარიოს: და იყო იგი ძმაჲ ნეგტარიოს ებისკოპოზისაჲ, იოანე ოქროპ. ცხორ. 217, 8—9.

კონტაქტური დისიმილაციური გამჟღერება სპორადულად იჩენს თავს. გაცილებით ხშირია დისტანციური გამჟღერება.

ვ რეგრესული დისტანციური დისიმილაცია

ა) დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა ს ა წ ა რ მ ო თ ქ მ ო ო რ გ ა ნ ო ს ა დ გ ი ლ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ

თუ სიტყვაში არის ბაგისმიერი თანხმოვანი, წინამავალი დისიმილაციით შეიძლება კბილისმიერად იქცეს:

ეპიფანე>ეტჳფანე (ახსნა გ. დეეტერს ეკუთვნის. იხ. 56, გვ. 21; შდრ. 36, გვ. 311; 42, გვ. 90; 33, გვ. 232):

თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეტჳფანე კჳპრელ მთავარ-ეპისკოპოსისაჲ, სინ. მრავალთ. 46, 1—2; ჰრქუა დედოფალმან ეტჳფანეს, იოანე ოქროპ. ცხრ. 171 v, 15; და დიდი ეტჳფანე იტყჳს, H-1346 90 v, 15—16.

ეპიფანე>ეტჳფანე დისიმილაციის შედეგია. უ-ს გამოვლენა დისიმილირებულ ძირში, შესაძლოა, ასე აიხსნას: ფ-ს გავლენით პ-მ ლაბიალურობა დაკარგა, იგი კბილისმიერ ტ-დ იქცა; ოღონდ მისი ბაგისმიერობა უკვალოდ არ გამქრალა, იგი ტ-ს დამატებითი თვისება გახდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პ-საგან მივიღეთ ლაბიალური კომპლექსი ტუ̯. უ̯-სა და ძირისეული ი-საგან შედგენილი აღმავალი დიფთონგი უი̯ ჳ გრაფემითაა გადმოცემული (შდრ.: 36, გვ. 311).

თუ სიტყვაში ორი ლ გვაქვს, პირველი დისიმილაციით რ-ს გვაძლევს:

მოსლულ>მოსრულ: მოსრულსა ამას ერსა განუყოთ, სინ. მრავალთ. 115, 28; ესე მერმე მეორე სასწაული ყო იესუ, მოსრულ ჰურიასტანით გალილეად, ი. 4, 54 C; შდრ.: იხილა ჴორციელად მ ო ს ლ უ ლ ი უფალი, სინ. მრავალთ. 95, 18—19, და მისთ.

წულილ>წურილ: და შეიმუსრა წურილად, ათ. ასკეტ. კრებ. 35 r, 8—9 b; და იწურილვიდა, თუ რაჲ არს იგი, იქვე 153 r, 2—4 b; გამო-

იწურილონ საქმე მისი. იოანე ოქროპ. ცხორ. 223 v, 6; დედაი წურილად ნაწერი იყო. Sin.-38 141 r, 30 a (იოანე-ზოსიმეს ანდერძი), და მისთ.

ბელზებულ>ბერზებულ: ბერზებულითა განასხამს ეშმაკსა, Jer.-142 36 v, 4—5.

ლბილი>რბილი: მუცელი გაურბილო, კარაბადინი 34 v, 15; მუცელი **რბილად** ჭონდეს, იქვე 52 r, 14—15; მისი საჭმელი **რბილი** საჭამადი იყოს. იქვე 67 v, 23—24.

სულნელ>სურნელ: საბლი იგი აღიცსო **სურნელებითა** მით, ი. 12, 3 C; სადა იყვნენ მაშინ საცხებელნი იგი **სურნელნი**, მამ. სწაელ. 94, 12 A; და მოიმზადეს **სურნელი**, ლ. 23, 56 D, და მისთ.

საინტერესოა მ. ძიძიშვილის დაკვირვება, რომლის თანახმადაც, ოთხთაეის შატბერდული ხელნაწერები ამ სიტყვის დაწერილობის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდებიან: „ჯრუჭის ოთხთაეში უკლებლივ **სურნელი** გვაქვს, პარხლისაში კი **სულნელი**“ (42, გვ. 58). გამოთქმულია მოსაზრება, რომ **სულნელი** და **სურნელი** მომდინარეობს **სუნნელ'ი**საგან (42, გვ. 58; შდრ.: 21, გვ. 50; 20, გვ. 99; 23, გვ. 230; 16, გვ. 66—68; 27, გვ. 247).

სულნელი რომ ამოსავალია, კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: და შროშანსა და ვარდსა აქუს **სული ნელი**, შატბ. კრებ. 57 v, 5—6 b.

აქ კომპოზიტის პირველი ნაწილია **სული** და არა **სუნი**. ძველ ქართულ ტექსტებში **სული სუნ'ის** მნიშვნელობითაც იხმარება:

დაღაცათუ **სული** იგი ეცეს და ორთქლი გემოთაი მათ, A-1105 139 r, 4—6 a: თაეს-იდევ ახოვნად მძიმე იგი სიმყრალისა **სული**, A-1101 164 v, 24—25, და მისთ.

სუნ პირველად შატბერდის კრებულში იჩენს თავს:

ვიდრე აღსლვადმდე მის თაეისა **ისუნებენ**, იფქლისაჲძი არს, ანუ ქრთლისაჲ, 111 v, 20—22 a; შდრ.: და მივიდა გუელი და **ისუნებდა** პირსა მისა, Ath.-25 77 v, 25—26 b.

საგულისხმოა, რომ ოშკის ბიბლიის **მსულევან** ფორმის საპირისპიროდ იერუსალიმური ნუსხა **მსუნევან'ს** წარმოგვიდგენს:

რაჲთა უქმნენ **მსულევანი** ძალთა ცისათა, იერემ. 7, 18 O; შდრ.: **მსუნევანი** I.

ბ) განმსგავსება ბგერათწარმოების რაგვარობის მიხედვით

სიტყვაში არსებული ორი მ-დან ერთ-ერთი დისიმილაციით ლ-დ იქცევა:

მუსმარ>ლუსმარ: შეუძლებელ არს შექმნაჲ ნავისაჲ თჳნიერ ლუს-

მართა, მამ. ცხოვრ. 358 v, 2—4; შდრ.: განაწონეს მ უ ს მ ა რ ნ ი ფერ-ჯთა მისთა, დიდი სჯნაქს. 258, 13.

ორი ნ-დან პირველი ლ-ს იძლევა:

მონაზონ // მონოზონ > მოლაზონ // მოლოზონ: და ბრძანა შემოკრებაჲ **მოლაზონთა**, მოქალაქეთაჲ, ეფთჳმი 102 v, 8—10; სტანჯავენ იგი მართლ-მადიდებელთა ხუცესთა და **მოლოზონთა**, დიალოღ. 32 r, 13—16 a; დავ-დევ აღაპად ბზობის პარასკევის, **მოლოზანის** დღესასწაული, კუმურდოს VII წარწ. გვ. 17; მიეწია მას **მოლაზონი**, Jer.-151 95 v, 14—15; მო-ვინ-მე-ვიდა **მოლაზონი**, იქვე 106 r, 5—6; არქუ **მოლაზონსა**, იქვე 107 v, 10—11; იწყო მან შრომასა **მოლაზონებისასა**, იქვე 88 v, 2—3; და **მოლაზნო-ბად** არა გიტეობს უფალი, ანდრია სალოსი 5 v, 12—13; და იყო ვინმე მუნ **მოლოზონი**, იქვე 86 v, 5—6; იყავ გლახაკთმოყუარე და **მოლოზანთ-მოწყალე**, იქვე 72 r, 19—20; ჩუენისა სახლისა აზნაურნი და თუნდა მსა-ხურნი შემოლაზუნებოდენ, ვაჰან. ქვაბ. განგ. 85, 12—13.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ხშირია დისიმილაციური გამ-ჟღერების შემთხვევები: სიტყვაში წარმოდგენილი ორი მკვეთრიდან პირ-ველი მჟღერდება.

ეპისტოლე > ებისტოლე (55, გვ. 80): უწინარჱს კათოლიკეთა **ების-ტოლეთა** დაიწერა, სინ. მრავალთ. 57, 10—11; **ებისტოლე** ტიმოთე მთა-ვარეპისკოპოსისაჲ, Q-209 2r, 22—23, და მისთ.

ამპარტავან > ამბარტავან: ნუ იქადინ აწ მთავარი **ამბარტავანი**, მოდრ. იადგარ. 72 v, 8, და სხვა.

ეპისკოპოს > ებისკოპოს: რომელი იქმნა წინაჲ **ებისკოპოს**, სინ. მრა-ვალთ. 57, 11—12; თევდორე აკურთხა **ებისკოპოსად**, გრიგოლ ჰრომთა პაპ. ცხოვრ. 9 r, 23—24, და სხვა; შდრ.: არქუ წმიდასა მას ე პ ი ს კ ო-პ ო ს ს ა, სინ. მრავალთ. 64, 6—7.

პატარა > ბატარა: ყოველთა ღმეთა **ბატარა** ნუშისა ზეთი მატყლითა ყურშიგა დაუდევ, კარაბადინი 85 r, 1—2; **ბატარა** შავი ბოლოკი დაჭარ, იქვე 86 r, 6—7; წურილად ამოიღოს ასრე, როგორაცა **ბატარასა** ლეკუ-ისა, იქვე 115 r, 8—10; **ბატარა** ქერი გაურივე, იქვე 177 r, 14—15, და მისთ.

კრკალ > გრკალ: შეიდრიკო ვითარცა **გრკალი**, Sin.-35 131, 16—17 b; და აღმოაცუა **გრკალი** ნიჩურსა მისსა, მიქაელ 140 r, 8—9 a, და მისთ.

კრტ > გრტ: და სხუათა კუალად სივრცჱ გუამთაჲ და მფრინველთა **ნაგრტენი** და ფუტკარსა საწერტელი, შატბ. კრებ. 102r, 9—12 b: და იქმნა ვითარცა ყორნისა **ნაკრტენი**, იქვე 250 r, 15—16 a; შდრ.: კ ო რ-ტ ნ ა.

კურკა > გურკა: პოა ბერმან აქლემისა **გურკაჲ**, ათ. პატერ. 203 r, 2—3: პოვა ბერმან **გურკაჲ** აქლემისაჲ, მამათა. ცხოვრ. 383 r, 6—8; ხოლო

ჭამდა ბერი დღითი დღე გურკასა ბაბაისა ათორმეტსა, იქვე 199 r, 21—23 b.

ზატიკ > ზადიკ: რომელნი ზადიკობდეს პირუტყუთა სისხლითა, იელ. იადგ. 272 r, 4—5.

კჳრტ > გჳრტ: რაჟამს გამოგჳრტდიან რტონი მათნი, პარხლ. მრავალთ. 371 r, 3—4 b.

კურნაკ > ბურნაკ: დასწურაეთ ბურნაკსა, A-89 315 r, 2; A-495 78 v, 10—11; ვან. ოთხთ. 62 v, 2—3 ბ; შდრ.: კ უ რ ნ ა ქ ს ა CDE.

პროგრესული დისიმილაცია

კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა

პროგრესული დისიმილაცია ძველ ქართულში იშვიათია: პროგრესული კონტაქტური განმსგავსების ერთ-ერთი ძალზე საყურადღებო სახეობაა დისიმილაციური გამეღერება. ოღონდ დისიმილაციური გამეღერების ეს სახე არსებითად განსხვავდება ზემოთ განხილულისაგან: ზემოთ საუბარი გვქონდა ისეთ შემთხვევებზე, როცა სიტყვაში არსებული ორი მკვეთრი თანხმოვნიდან პირველი მეღერდებოდა. აქ განვიხილავთ ფაქტებს, როცა ერთმანეთის მომდევნო ორი ფშვინვიერიდან მეორე შეიძლება მეღერად იქცეს.

XI—XIII საუკუნეთა ტექსტებში რამდენჯერმე გვხვდება თფილისი > ტფილისი (ასიმილაცია); თფ კომპლექსის მეორე წევრი დისიმილაციით მეღერდება თბ:

ამასვე დღესა აღაპი ბასილისა თბილელისა, მასალები 93, 9—10 a, შდრ.: ძვ. ქართული ტ ფ ო ბ ა, ახ. ქართ. თბობა > თფობა (31, გვ. 49, შენ. 1); ხევსურ. თბე < თფე < ფთე < ფრთე (44, გვ. 208; 229, 304; 314).

ძველ ქართულში გვაქვს ზმნური ძირი -ცეთ-//-ცთ-: ვ-ს-ცეთ, ს-ცთ-ა; ცთ-ომ-ა, შე-ცთ-ომ-ილ-ი. ვ. თოფურიას აზრით, ცთ კომპლექსი მეორეულია: იგი მომდინარეობს ცდ//ცედ'ისაგან (11, გვ. 304). ვ. თოფურია დასკვნას ამ სიტყვის სვანურ ჭდ-//ჭად- ძირთან შესაძლო ეტიმოლოგიური კავშირის საფუძველზე აკეთებს. ამდენად, -ცდ-//-ცედ- ძირეულ მორფემაში დ თანხმოვანი აღდგენილია სვანურის მიხედვით, ხოლო ძველ ქართულში გაბატონებული -ცეთ-//-ცთ- ახსნილია ასიმილაციით, ან მეღერი თანხმოვნის დაყრუებით სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში (11, გვ. 304; 56, გვ. 17; 42, გვ. 65—66; 21, გვ. 98; 33, გვ. 279). ამ ვარაუდს რამდენიმე დაბრკოლება ხვდება: ჯერ ერთი, ქართული ენის უძველეს ტექსტებში არსად დასტურდება ეს ძირი ნავარაუდევი -ცედ-//-ცდ- სახით; მეორე, მეღერ თანხმოვანთა დაყრუება აუსლაუტში უძველესი

თულისათვის დამახასიათებლად ვერ ჩაითვლება; მესამე, ქართული
ი-//-ცეთ- ძირის დაკავშირება სვანურ შესაბამის -ქდ//-ქად- ძირთან
ძაოდ პრობლემატური ჩანს, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ცდ
სპლექსი შედარებით გვიანდელ ძეგლებში იჩენს თავს:
და შეცდომილი შენდა მიმართ მიმართ ვღაღადებ, მამ. სწავლ. 200,
–28; შესცდეს იგინი უდაბნოსა უგზოსა, ფსალმ. 106, 4: განაბნიენ
ელნი საცდურნი, ძვ. ქართ. ლიტურგ. 18, 6.
ვფიქრობთ, ცდ კომპლექსი მეორეულია. იგი მომდინარეობს ცთ მიმ-
კრობისაგან დისიმილაციური გამეღერების გზით. რაც შეეხება
დ ფორმას, იგი ზმნის პარადიგმაში არც გვქონია: შევსცედ დაუშვე-
ი, შეუძლებელი ფორმაა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ფშვინვიერ
ხმოვანთა დისიმილაციური გამეღერება მხოლოდ კონტაქტურად ხდე-
ჰ. ფოგტი წერს: „ცდომა არის ახალი, მეორეული ფორმა; მოულოდ-
ი ევოლუცია, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვია ცად ძირთან შე-
ა, მაგრამ. რომელიც შესაძლოა აიხსნას სისტემის
რგლებში" (31, გვ. 37).
აქვე განვიხილავთ სთ კომპლექსის შეცვლას სდ მიმდევრობად:
და აწ დასდგრგუნე ძალი მტერისაჲ, იელ. იადგ. 221 v, 21—22; დას-
გუნე საცთური მტერთაჲ, იქვე 227 r, 8; რომელნი დასდრგუნვიდეს
ელთა და ღრიაკალთა, A-1562 1 r, 18—19; არცა მაყუალთაგან მოს-
ლიან ყურძენი, ტბ. ოთხთ. 165 v, 3—5 b; და მიიწიის ლეწვაჲ სდუ-
ბად, ამოს 9, 13 I; შდრ.: სთულებად O; რამეთუ მოვიდენ მეს-
ლენი შენ ზედა, იერემია 48, 32 I; მიყავ ჴელი, ეითარცა მესდულე-
, იქვე 6, 9 I; და აღიმსდო ისმაელ, ძემან ნათანისმან, იქვე 41, 10 I;
ემზადე, აღიმსდუე, სოფონია 3, 7 I.
გ. ახველედიანმა ქართულისათვის დაადგინა მკეთრთა რეგრესული
იმილაციური გამეღერების წესი: სიტყვაში არსებული ორი მკეთრი-
პირველი მეღერად იქცევა (4, გვ. 227, შდრ.: 55, გვ. 2). ამასთან ეს
ლენა შეიძლება იყოს კონტაქტური, ან დისტანციური. რაც შეეხება
უ თანხმოვანთა დისიმილაციურ გამეღერებას, იგი პროგრესულია და
სებული მასალის მიხედვით) მხოლოდ კონტაქტური.

დისტანციური დისიმილაცია

სიტყვაში შემავალი ორი რ-დან მეორე ლ-დ გადაიქცევა:
ჰურჰერ>ჰურჰელ: განრყუნილი იგი ჰურჰელი და შეურაცხი შეუძ-
ელ იყო მეორედ შესაქმედ, სინ. მრავალთ. 33, 30—31; უმჯობესად
ჰლად შექმნის იგი, იქვე 33, 22—23; ჰურჰელ ეშმაკისა იქმნა, იქვე
10; მომიწოდა ჩუენ წმიდამან მარიამ, შეუგინებელმან ქალწულმან,

ჰურჰელმან სიწმიდისამან, იქვე 40, 14—15; ჰურჰელი სიწმიდისაჲ შეუცოდებელი, იქვე 47, 32; იგივე ჰურჰელი საჰმლისათჳსცა და მოკლეისათჳსცა, იქვე 210, 23—24; უსულოჲთა მით ჰურჰლითა, იქვე 211, 36—37; ვის შინაგან აქუნდა ჰურჰელი სამღდელოჲ, მრკ. 11, 16 C, და მისთ.

როგორც ვხედავთ, ჰურჰელი არაერთგზის გვხვდება IX—X საუკუნეთა ძეგლებში (შდრ.: 33, გვ. 312).

ორჯერ>ორჯელ: რამეთუ ორჯელ განახუნა, აპოკრ. წამ. თომაისი 16, 22; წელიწადსა ორჯელ იქცევის და ორჯელ გასწორდების, ასტრ.-გამოთვლ. ტრაქტ. 3 v, 13—15; ქუეყანასა ზედა შენ ნუ დასთესავ ორსა თესლსა, ნუცა ორჯელ წელიწადსა შინა, Ath.-21 26 v, 11—13; ორჯელ აქციის სიტყუაჲ თჳსი, იოანე ოქროპ. 165 v, 13—14; რამეთუ წელიწადსა ორჯელ გასწორდებიან დღენი და ღამენი, სინ. ქრონიკ. 138 r, 5—7 a; წელიწადსა ორჯელ იქცევის და ორჯელ გასწორდების, იქვე 138 r, 8—11 b, და მისთ.

ი. მეტათეზისი

მარტივი მეტათეზისი

ძველ ქართულში გვაქვს ზმნური ფუძე: დგ-რ. რ-ს მეტათეზისის შედეგად ამ ფუძის დრგ ვარიანტს ვიღებთ:

დადრგომად რტოთა მისთა, მ. 13, 3 C; ტაბლათა ზედა მსხდომარეთა ზედა დაადრგა, ათონ. მრავალთ. 162 r, 7—8 b; თქუენ თანა დადრგომილ არს. მრავალთ. 119 v, 1—2 b; და მის თანა დავადრგეთ, ლატ. ლექც. 131 v, 15—17 a: ხოლო იგინი არა დაადრგეს, იქვე 171 r, 1, და მისთ.

„ბალავარიანის" მოკლე რედაქციის XIII—XIV საუკუნეთა ხელნაწერში ყოველთვის დადრგომილი იკითხება (1, გვ. 019).

დასტურდება ამ ფუძის სხვაგვარი ვარიანტიც, რომელიც აგრეთვე მეტათეზისის შედეგადაა მიღებული:

დგერ->დერგ-: დაადერგით აქა, ათ. ასკეტ. კრებ. 32 v, 15 a; დაადერგით წმიდათა ნაწილთა მისთა თანა, ათონ. კრებ. 11 v, 7—8 a; ურვისაგან და გულისზრახვისა დავადერგით უტყუად, Ath.-25 50 r, 22—24 b; ესრეთ დაადერგ შორის კრებულსა, კლემაქს. 41 v, 20—21; წარეედ და დაადერგ მშობელთა შენთა თანა, A-397 200 v, 5—6, და სხვა.

ჯრმ, ღრმ მიმდევრობები რ-ს მეტათეზისის შედეგად რჯმ, რღმ კომპლექსებს იძლევიან:

ჯრმალ>რჯმალ: იხილა პირები იგი მათი და რჯმლები, სინ. მრავალთ. 275, 7—8; და დაშჳრიდენ რჯმლებსა მათსა საჴნისებად, კალ. ლექც. 16, 15—16 b; არა ცუდად რჯმალ აბს, იქვე 53, 16—17 a; დაჴერით საჴნისე-

ბი თქუენი რჯულად, იქვე 79, 28—29 b; ვითარცა რჯულნი, ლესულ არიან, იქვე 116, 2 a.

სიღრმე>სირღმე: სირღმესა შთაითხინეს, იელ. იადგ. 24 r, 15—16; ჭილ.-ეტრ. იადგ. 133 v, 11; 229 v, 8; სირღმეთაგან, იქვე 229 v, 13; იყვნიან იგინი სირღმესა შინა ცოდვისასა, Jer.-73 106 v, 18.

ვ-ს გადასმა:

თავყანის-ცემა>თაყუანის-ცემა: რომლისა თანა შუენის მამისა დიდებაჲ ჩმიდით და თაყუანის-ხაცემელით სულით აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, სინ. მრავალთ. 16, 12—14, და მისთ.

გ. ახლედიანმა დაადგინა, რომ ქართულში „ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნო რე-ლე-მე-ნე- იცვლება ერ-ვლ-ემ-ენ-დ" (4, გვ. 358—360; 56, გვ. 26: 23, გვ. 239; 31, გვ. 20; 22, გვ. 234, 26, გვ. 120—123; 42, გვ. 127—129; 33, გვ. 358—360). ეს კანონი ჩვენს ძეგლებშიც მოქმედებს.

ათრვამეტ>ათურამეტ //ათვრამეტ (56, გვ. 26; შდრ.: 26, გვ. 120): რომელსა დაეყო ათურამეტი წელი, სინ. მრავალთ. 144, 7; აჰა ესერა, ათურამეტი წელი არს, ლ. 13, 16 C; და მუნ იყო კაცი ერთი, რომელსა ათურამეტი წელი დაეყო სნეულებასა, ი. 5, 5 C, და მისთ.

არის რამდენიმე შემთხვევა, როცა თემის ნიშნისეული ვ-ს მეტათეზისი ეპვს არ იწვევს:

მთრვალ>მთურალ, შდრ.: მთრავს, სვან. ლი-თრ-ე:

უგუნურობისა მთურალობითა დაუტევა, იელ. იადგ. 119 v, 8; რაჲსა მთურალ საგონებელს-ჰყოფთ საცთურსა, დანთქმულნი, იქვე 177 r, 26; და ესე სასწაული წარმართთათუის სიმთურალეჲ, იქვე 177 v, 18.

მოკლვა>მოკულა: სულისა ვერ ჴელ-ეწიფების მოკოლად (=მოკულად), წყაროსთ. ოთხთ. 23 v, 16—17 b.

ძრ-ვ->ძვრ-: და დაამტკიცენ ეკლესიანი: აღძვრაჲ, იოდასაფ. 46, 40—41 A; ხოლო საღმრთოჲ მიჰრდნი იგავითა სახის-მწერლობითა აღმძვრელობითა მჭონებელ არს ძალთა გამოსაჩინებლად თჳსსა, იბერ. 190, 20—22 A.

კუთნვ>კუთვნ: რამეთუ მას განეკუთვნის ყოველი, იბერ. 36, 15 A.

სოვლ->სოლვ- (28, გვ. 234): დაასოლვნეს ფერჴნი ზეთითა ძილისათჳს, შატბ. კრებ. 139 r, 9—10 a; შეისოლვოს ფერჴი თჳსი ზეთითა, იქვე 139 r, 26—27 a; და არა აქუნდა მათ ნაწუეთი წყლისაჲ, რომლითამცა პირნი მათნი დაისოლვნეს, პარხლ. მრავალთ. 446 v, 4—6.

უ-ს გადასმა:

ძარცუ->ძუარც-: არა განიძუარცის სამოსელი, იოანე ოქროპ. ცხორ. 191 v, 14; განმძუარცა ჩემგან სამოსელი, Sin.-1 121 v, 21; და მუნქუეს-

ვე შეიპყრა იგი და განძუარცა, სინ. თარგმ. სახ. 114 v, 2—4; ეკლესიათა მძჯარცველი არს, Sin.-35 472, 20—21 a; განიძუარცნა მთავრობანი, პარიზ. ლექც. 5 r, 32 b — 5 v, 1 a.

ლ-ს გადასმა:

ვლთ- ძირისეული ლ რეგრესულად გადაისმის:

და უკუეთუ მეუფებაჲ მეუფებასა განლევთა, Sin.-30 82 r, 21—23 b; და უკუეთუ სახლი სახლსა განლევთა, იქვე 82 v, 3—5 a.

მ-ს მეტათეზისი:

ღმრთ კომპლექსში მ გადაინაცვლებს პირველ ადგილზე:

განმღრთობილ, მამ. სწაველ. 278, 19; განეღო ლახურითა სამღრთოჲ გვერდი შენი, იელ. იადგ. 164 v, 31.

საურთიერთო მეტათეზისი

შურ- ძირში მომხდარი მეტათეზისის შედეგად შრუ მიმდევრობას ვიღებთ:

ვშრუებოდით ყოვლითა ძალითა ჩუენითა, Sin.-36 193, 19—20 a.

ასევე წურილ>წრუილ:

შემუსრნა იგინი წრჳლ-წრჳლად, თეოდორე 248 v, 13—14; და არა არს წრჳლთა ამათ ბრალთათჳს სასჯელი, ეფრემ. აღსაარ. 331 v, 12—14.

მზგავსი>მგზავსი: ამა წესითა ვაჷამოთ და მათი მგზავსი დავარწუევინოთ. კარაბადინი 25 v, 15—17; ესე ავისა ჟამისა კორძსა მიემგზავსებაჲს, იქვე 89 v, 5—6; იმისი მგზავსი რაცა შეჷამადი იყოს, იქვე 146 v, 16.

ხშირია ლ და რ თანხმოვანთა საურთიერთო გადასმა.

ა) ლ—რ>რ—ლ:

ცალიერ>ცარიელ: ცისა სივრცე არა დაცარიელდა, Sin.-34 54 r, 29; ცისა სივრცე არაჲ დაცარიელდა, პარაკლიტ. 248 r, 1; ნუ ეჩუენები წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა ცარიელი, ათონ. მრავალთ. 22 r, 12—13 b; წარმოაცარიელა უკეთურებაჲ თჳსი, Ath.-32 234 r, 22, და მისთ.

ძლიერ->ძრიელ-; უძლურ->უძრულ-: განმათავისუფლებელ მექმენ ჩუენ, ყოველთა დამბადებელო, უფალო ძრიელებითა შენითა, ჰილ.-ეტრ. იადგ. 4 r, 5—7; რაოდენთა ჰჭონდეს უძრულნი, ლ. 4, 40 D; მშულდი ძრიელთაჲ, პარაკლიტ. 123 r, 4; რამეთუ ვიდრე-იგი უძრულ ვიყვენით, Sin.-53 66 v, 7, და სხვა.

მადლიერ>მადრიელ: და მადრიელ ვარ, ათ. ასკეტ. კრებ. 193 r, 21—22 b; მადრიელვე ვიყო შენდა, იქვე 229 v, 6—7 a; დიდად მადრიელ ვარ, იქვე 248 r, 15—16 b; და მადრიელ ვართ, ათ. პატერ. 226 r, 19, და მისთ.

ბ) რ და ლ ადგილს შეინაცვლებენ:

მწრაფლ>მწლაფრ: მიაქლინე ანგელოზი შენი მწლაფრ, აპოკრ. მიმოდ. მოციქ. 22, 31 D; და აღდგა მწლაფრ, Ath.-42 223 r, 23; რომელი მწლაფრ ღმრთისა მიერ გუეუწყა, ლატ. ლექც. 244 v, 26—27 b, და მისთ.

მერაკლე>მელაკრე: მერმე მიუგო მელაკრეს, ათონ. კრებ. 323 r, 15—16 b.

კურაპალატ>კულაპარატ: მარიამ დედოფალმან, ბაგრატ კულაპარატის დედამან, აღაპ. მთაწმიდ. მონასტრ. 195 v, 3—4.

სიტყვის ფუძისეული ნ და მ თანხმოვნები გადაისმებიან:

მანგალ>ნამგალ: და დაშჭრიდენ რჯმლებსა მათსა საჯნისებად და ნამგლად, კალ. ლექც. 16, 15—17 b; დაჭერით საჯნისები თქუენი რჯმლად და ნამგლები თქუენი ლახურად, იქვე 79, 28—30 b; შდრ.: წარმართნი მ ა ნ გ ლ ი თ ა სარწმუნოებისაჲთა იფქლსა მოიმკიან, სვან. მრავალთ. 46, 15—17 a.

ძველსა და საშუალ ქართულში გვაქვს ზმნა: გუმერა. ფუძეში ხდება მეტათეზისი მ—რ>რ—მ:

გუმერ>გურემ: ჯუარცუმითა შენითა და განგურემითა, Sin.-34 39 r; რომელი გჯგურემდეს (=გუგურემდეს), ათონ. მრავალთ. 69 r, 7—8 a; შენთჳს განვიგურიმე, იქვე 127 v, 15—16 b; ვიხილეთ წმიდაჲ გუერდი მისი განგურემილი, იქვე 130 r, 19—20 a; და განგურიმონ ლახურითა, ათ. ასკეტ. კრებ. 133 v, 23—24 b, და მისთ.

„ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს ტოპონიმი: მუხრანი<მუხნარი: მოეიდეს ოვსნი ჩრდილოთ კართა ქალაქისათა, რომელ არს მუხრანი, 15, 5.

7. გვერდაპაკრგვა

ხმოვანთა დაკარგვა

იკარგვის ა

დედაუფალ>დედუფალ: და ასწავა დედუფალსა, უდაბნ. მრავალთ. 166 v, 19 b; ჰ დედუფალო, ჩუენო, ქრისტინა 406, 13; ვითარცა ესმა ესე დედუფალსა მათსა, წმიდათა ცხოვრ. 84, 3—4 b, და მისთ.

ათერთმეტ>თერთმეტ: მეთერთმეტე თუალი, შატბ. კრებ. 91 r, 8 b;

ოცდამეთერთმეტესა ცხალმენსა იტყჳს ნეტარი დავით. იქვე 279 r, 19—20 a. და სხვა.

ათორმეტ>თორმეტ: შეიპყრობენ თორმეტთა უხრწნელთა ყრმათა, სვან. მრავალთ. 246. 14—16 a: და შეფეობასა მისსა **მეთორმეტესა** წელსა ოცდაათისა წელსაჲნ ნათელ-იღო უფალმან, მრავალთ. 152 r, 31 b — 152 v. 3 a. და მისთ.

ათსამეტ>აცამეტ>ცამეტ: ამას თუესა სეკდენბერსა **ცამეტსა** აღესრულების. ათონ. მრავალთ. 178 v, 19—21 a: და სიყუდიმდე არქელაოზისა. ძისა ეროდჱს, წელიწადი **ცამეტი,** მრავალთ. 152 r, 26—28 a, და სხვა.

ათოთხმეტ>თოთხმეტ: აღვსებასა ჰურიათა თანა ჰყოფდეს **თოთხმეტხა** ნითჳერისასა. სვან. მრავალთ. 56, 1—3 a: ხოლო მან მოიღო ბრძანებაჲ კონსტანტინე დიდისა მეფისაგან თთუესა იანვარსა **თოთხმეტსა,** ათონ. კრებ. 9 v, 23—26 b, და მისთ.

ათხუთმეტ>თხუთმეტ // ხუთმეტ: დაეყავ სკიტეს შინა **თხუთმეტი** წელი, პატერიკი, 79, 1; და რაჲ მზე **ხუთმეტ** დარაჯამდის მივიდეს, A—65 354. 3: რაჟამს **ხუთმეტ** დარაჯამდის მოვიდეს, იქვე 365, 4—5, და სხვა.

ათექუსმეტ>თექუსმეტ: მუკლი ორას ოც და **თექუსმეტი,** კათ. ეპისტ. 82 v. 6—9; წელნი გარდაჴდეს ოცდა**თექუსმეტნი,** უწყ. 232 r, 7—8.

ათშჳდმეტ>აჩჳდმეტ // ჩჳდმეტ: იწამა წმიდაჲ ქალწული. ქრისტესი თუესა იცლისსა **ჩჳდმეტსა,** პარხლ. მრავალთ. 314 r, 30—32 b; მისცა ეკლესიასა ჯორი ერთი და გავყიდეთ **ჩჳდმეტ** პერპერატად, აღაპ. მთაწმიდ. მონასტრ. 196 v, 25—26, და მისთ.

ათრვამეტ>თვრამეტ // თურამეტ: აქუს მას ებისკოპოსობასა შინა ვითარ ორმეოცდა**თურამეტი** წელი, ეპიფანე 247, 20—22, და სხვა.

ათცხრამეტ>ცხრამეტ: მეცხრამეტესა წელსა ტიბერის კაისრისა. მრავალთ. 90 v, 19—20 a; ჩჳდმეტი ანუ თურამეტი ანუ **ცხრამეტი,** ქრონიკ. 326 v. 9—10, და მისთ.

ცა>ც: რასაც იგი იქმს, ი. 5, 19 C.

ზეშთა>ზეშთ: და **ზეშთ** გარდაეცნენ საწნახელნი ღჳნითა და ზეთითა, იოველ 2, 24 I: **ზესთ** სრულსა **ზეშთ** კელმწიფესა, ძლისპ. კელუქმ. ხატისანი 288 r, 18, და მისთ.

ზედა>ზედ: და **ზედ** დადგრომილისა მბრძანებელ-ყოფაჲ ამისი ეგონოს. A-217 13 v, 7—10 a: **ზედ** მოიხილა და დადნეს წარმართნი, ამბაკუმ 3. 6 I.

არათუ>ართუ; არაოდეს>აროდეს; ართუ უდებ იქმნას, სწავლ. სულიერნი 132 r, 16; და რომლისათჳს **აროდეს** ასმიოდა, ცხორ. მარიამ მეგვპტ. 46 v. 3—4.

არა>არ: მერმეცა მისლვისა **არ** უმეცარი. A-217 9 r, 6—8 a; რამეთუ **არ** დაჰფარვიდა მუშაკსა, იქვე 13 r, 2—3 b; **არ** დაითესოს სახელისა-

გან შენისა მერმე, ნაუმ 1, 14 I; ლეღუმან არ ინაყოფიეროს, ამბაკუმ 3, 17 Ქ, და მისთ.

თანა>თან: თან ეერ წარსლეაი, ძლისპ. ჯელუქმ. ხატისანი 288 v, 16—17.

სადამდე>სადმე: რომელი-იგი მაშინ სადმე მრავალთადა უცნაურ და შეუსწავებელ იყო, თეედოსი 14 r, 5—7 a.

იკარგება ე

ესეოდენ>ესოდენ: არამედ ესოდენ თუ, რომელი იგი დახწერს, ხანმ. მრავალთ. 139, 14—15; აცადე აწ ესოდენსა სიმრავლესა, სინ. მრავალთ. 115, 24—25. და მისთ.

ეგეოდენ>ეგოდენ: არცაღა თუ ორმეოცნი ენანი კმა-არიან ეგოდენსა მას მათ კაცთა სათნოებასა მითხრობად, სინ. მრავალთ. 115, 21—22; ეითარმედ კმაი უფლისაი ეგოდენ თუ ძლიერებით, არამედ დიდად შეენიერებით, უდაბნ. მრავალთ. 5 v, 6—7 a.

ორმეოც>ორმოც: წარწყმიდოა ორმოცთა მათთუის, ლატ. ლექც. 240, 12—14 b; ზრახაი ორმოცი და კუროი ათი, დაბ. 32, 15 O; და იყენეს ყოველნი, რომელნი დაეცნეს ბენეამენისნი მას დღესა შინა, ორმოცდათხუთმეტ ათას, მსაჯ. 20, 46 O; უკუეთუ ორმოცთასა აქა ჰყოფდე, Sin.-40 149 v, 8, და მისთ.

სამეოც>სამოც: ოცდაათისა და სამოცისა, Sin.-35 383, 13—14 a; და მოაქუნდა ოცდაათეული, სამოცეული და ასეული, ტბ. ოთხთ. 184, 4—6 b, და მისთ.

ოთხმეოც>ოთხმოც: მოსრა ასოთხმოცდახუთი ათასი, ათონ. მრავალთ. 84 v, 28—29 a; უკუეთუ სარა ოთხმოცდაათისა წლისამან შეეს, ლატ. ლექც. 25 v, 23—25 a; სამას ოთხმოცდაცხრასა, Sin.-11 295 r, 21—22.

ო-ს დაკარგვა

ესოდენ>ესდენ: ხოლო ესრე რაი მყოფ არს ესდენსა ამას, ი. 6, 9 C.

ეგოდენ>ეგდენ: ეგდენსა მას შინა ჭირსა და აღძრვასა ზღჳსასა, სინ. მრავალთ. 106, 9—10; ნუ ეგდენ აიძულებ თავსა შენსა, მამ. სწაელ. 287, 29 A; ეგდენი დღე დაათუალე, სინ. ქრონიკ. 132 v, 19—20 a.

იკარგება უ

რიუურაუუ>რიურაუუ: ვიდრე რიურაუულა იყო, მრავალთ. 39 r, 14—15 a.

ანუ>ან: ვირემ ნახევარი დარჩეს და ან მესამედი, კარაბადინი, 5 v,

12—13; წყალითა შევსუაროთ, ან ძმრითა, იქვე 13 v, 21; ვარია ტყემლითა, ან ისრიმითა, ან აყიროთა აპამეთ, იქვე 42 v, 17—18.

იკარგვის ი

ისი>ის: მისი წამალი ის არის, კარაბადინი 83 r, 18—19; და ის, რომე ღუიძლისა ტკივილისათჳს პირველად მოვიგონეთ, ი ს ი უყავთ, იქვე 164 r, 10—11.

ზემოთ განხილულ ფორმებში ხმოვანთა დაკარგვის მიზეზი ხშირად ხმარებულ სიტყვათა (და მორფემათა) გაცვეთა ჩანს. ზოგჯერ ხმოვანი შესაძლოა დაიკარგოს ფორმის გადააზრიანების შედეგად. გრიგოლი>გრიგოლ იმის გამო, რომ ი გაგებულ იქნა სახელობითის ნიშნად (35, გვ. 154; 41, გვ. 3—5; შდრ.: 39, გვ. 131—143).

მე, გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ, ღირს-მყო უფალმან ღმერთმან, ოპიზ. ოთხთ. 248 v, 11—12 (გადამწერის ანდერძი).

თანხმოვანთა დაკარგვა

იკარგვის დ

დედუფალ>დეუფალ: გამო-სადმე-ვიდოდა ნანა დეუფალი, შატბ. კრებ. 228 v, 8—9 a; და ჰყავ ჯორც შენდა და სძალ და აზნაურ და დეუფალ, იქვე 271 r, 10—11 a; დეუფალო, შეჰგავს აქა დიდისა ეპიფანესი, პოლობიოს ეპიფანე 268, 20—21.

დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა აგრეთვე დეოფალ<დედოფალ:

დეოფალი სხუაი არს ვენაჯი, პოლობიოს ეპიფანე 310, 27; და შერაი-ვიდა ევტჳქიოს დეოფლისა, ეტყოდა მას, იქვე 311, 18—19.

დეოფალ ფორმა ხმოვანთა დისიმილაციით დიოფალ'ს იძლევა:

მოაჴსენე ჩემთჳს დიოფალსა, მამათა ცხოვრ. 380 r, 23—24 a: დიოფალთ-დიოფალსა ნაზის მოიჴსენებდით, სასწ. მთავარმოწ. გიორგისნი, 353 v, 4—5 b (მინაწ.).

დიდად>დიად: და დიად ვშუერ, სვან. მრავალთ. 250, 2 a; ძლისპირნი დიად მრავალნი, Sin.-34 61 r, 24; ბზობ და საშმელი დიად არს ჩუენსა, დაბ. 24, 25 O, და მისთ.

დიად>დია: და დია მსუროდა შენთჳს, ანდრია სალოსი 105 r, 16; მათ ჟამთა შინა დია ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან, რკონის სიგ. 133, 22—23.

ად-მდე>ამდე; დ-მდე>მდე: აჰა ესერა, მე თჳუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ხანმ. ლექც. 058, 27—

29 b; იოანეზიდეს შოვა სამხრამდე კართა მათ ეკლესიისათა, სინ. მრავალთ. 71, 27—28; განცხადებითგან მსგეფსამდე, პარაკლიტ. 67 v, 3, და მისთ.

ადგილდ-ადგილდ>ადგილ-ადგიდ: და იყვნენ სიყმილნი და წყუედანი და ძრვანი ადგილ-ადგიდ, მ. 24, 7 C; შდრ.: და იყვნენ სიყმილნი და ბრძოლანი და სრვანი და ძრვანი ა დ გ ი ლ-ა დ გ ი ლ დ, სინ. ლექც. 96, 3—6 b.

ზემოთ განხილულ ფორმებში დ დაკარგულია სიტყვის შემადგენლობაში შემავალი მეორე დ-ს დისიმილაციური ზეგავლენით.

სიტყვათა გაცვეთის შედეგად იკარგვის დ ფორმებში: ვიდრე>ვირე, ყოლად>ყოლა; დაჯედ>დაჯე, მოვედ>მოვე, ვიდრემე>ვირემ:

ყოლა ნუ ურთავ წყალსა, იოვ. და ეფთ. 70, 8; გეტყჳ თქუენ, ყოლა არა მიცოდავს, მამათა ცხოვრ. 136 r, 11—12 a;

ვირე ათასიმცა ვინ დრაჰკანი მომცა, იოვ. და ეფთ. 83, 3;

მოვედ და დაჯე ჩემ თანა, ანდრია სალოსი 17 v, 14—15;

და კუალად მოვე ცნობასა, იქვე 24 r, 16—17;

ვირემ თაფლისა ზომად შესქელდეს, კარაბადინი 2 r, 25.

თ-ს დაკარგვა

თ-ს დაკარგვის მიზეზი თ-სთან, ან სხვა წინაენისმიერ თანხმოვნებთან მეზობლობა ჩანს:

თთუე>თუე: თუესა მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ქალწულისა, სინ. მრავალთ. 12, 28—29; ექუს თუე, ლატალ. ლექც. 7 v, 20—21 b; და მცირეთა თუეთა შემდგომად დასნეულდა, უდაბნ. მრავალთ. 35 r, 33, და მისთ.

სთქდ>სქდ: ეშმაკი იწყალა, ეეშაპი განსქდა, სინ. მრავალთ. 74, 28; და არა განსქდა ბადჱ იგი, ი. 21, 11 DE; შდრ.: გ ა ნ ს თ ქ დ ა C; და კლდენი განსქდეს, Sin.-64 105 r, 37; მაშინ საკრველნი იგი მათნი განსქდეს, Sin.-62 105 r, 11—12 b; და განსქდა ნაჲი იგი ორგან, წმიდათა ცხოვრ. 67, 10—11 b; და არა განსქდა ბადჱ იგი, Sin.-38 93 v, 4—6 a, და სხვა.

თხუთმეტ>ხუთმეტ: და რაჲ მზე ხუთმეტ დარაჯამდის მივიდეს, A-65 354, 3; რაჟამს ხუთმეტ დარაჯამდის მოვიდეს, იქვე 365, 4—5 და მისთ.

წ-ს დაკარგვა

სწრ, სწყ კომპლექსები წ-ს დაკარგვით იძლევა სრ, სყ მიმდევრობებს:

წინაასწარ უსრობდა ჴერაჲ იგი ეჟუანთაჲ, სინ. მრავალთ. 25, 38—39; ბეთლემს მოისრაფეს მწყემსთა, მოდრ. იადგ. 50 v, 22 (შდრ.: დიალექტ.: მუუსრო, მოსასრაფი...).

მერმე სუუროდისვე, ქსნ. ოთხთ. 134 v, 10—11 a: არღარა სუუროდის უკუნისამდე, იქვე 134 v, 14—15 a; არასადა სუუროდის, იქვე 144 v, 2—3 a.

ამ კომპლექსთა გამარტივება ასახავს ტენდენციას, რომლის მიხედვითაც, ქართულის ფონემატური სტრუქტურა დაუშვებლად მიიჩნევს სწ თანხმოვანთა ჯგუფს (თვით მორფემათა ზღვარზეც კი). ცოცხალი მეტყველება, დიალექტები ამ კომპლექსის გამარტივების სხვადასხვა გზას გვიჩვენებენ, ერთ-ერთი უძველეს წერილობით ძეგლებშიც გამოვლინდება.

ჩ-ს დაკარგვა

ჩჩჳლ>ჩჳლ: ჰხედვიდა, რამეთუ ჩჳლი დუმნა, სვან. მრავალთ. 209, 13—14 b: ყრმამან ჩჳლმან არცხჳნა, Sin.-59 182 v, 26; რამეთუ კაცთა მათ იცოდეს სეფეკაცისა მის გულჩჳლობაჲ, ბალავარ. 12, 24—25 C; და ჩჳლთა ჰასაკისა, პროლოღ. 200 v, 17.

ქართული სიტყვის ძირში დაუშვებელია ისეთი კომპლექსი, რომელიც შედგენილია ერთი და იმავე ლოკალური რიგის თანხმოვნებისაგან. თთ და ჩჩ კომპლექსთა გამარტივება ამ წესის დადასტურებაა.

იკარგვის გ

მგრგუალ>მრგუალ: მომრგუალწ არს, შატბ. კრებ. 112 r, 24 a.

მგრგ>მრგ დისიმილაციური დაკარგვის შედეგია.

ეგზომ>ეზომ: მაგრამ ეზომ წურილად ნაწერი იყო, დიდი პარაკლიტ. 206 v. 5 (გადამწ. ანდერძი); პატრონმა (!) ეზომი მამული დამ[იგდო], რკონის სიგ. 133, 24; ეზომი დამრჩა, იქვე 134, 4.

გ ამ ხშირად ხმარებული სიტყვის გაცვეთის შედეგადაა დაკარგული.

კ-ს დაკარგვა

კრკ. კომპლექსი თავკიდურა კ-ს დისიმილაციური დაკარგვით მარტივდება:

რკონის ღმრთისმშობელო, რკონის სიგ. 137, 30; 138, 10.

იკარგება ს

ხუცეს სახელს რედუქციით ხუცს უნდა მოეცა, ცს კომპლექსი ქართულში დაუშვებელია. ამის გამო ს იკარგვის (ე. თოფურია).

ხუცს->ხუც-: ჴსენებაჲ პასარიონ ხუცისაჲ, ჰაემ. ტექსტ. 365, 10; აკურთხე იგი ხუცად, იოანე ოქროპ. ცხორ. 49 r, 18—19; რაჟამს აღიარებდეს დაჲ ცოდვათა ხუცისა წინაშე. Sin.-35 540, 22—23 a; შდრ.:

პეტრწს ხუცსობასა, უკანგორის წარწ. ასევე: ძალ-მიცს>ძალ-მიც, რომელიც ნორმაა ძველი ქართულისათვის. გვიანდელ ხელნაწერებში ზოგჯერ ცს გვხვდება კიდეც: ძალ-გიცს ყოვლით კერძოვე ცხორებად, პარიზ. ლექც. 285 r, 25—27 a.

გაცვეთის გზით ჩანს ს დაკარგული: გულსმოდგინება>გულმოდგინება:

გულმოდგინებაჲ დიდი მაქუნდა, Ath.-42 234 r, 14—15; რამეთუ დრაჰკანი ამისთჳს გარდაიჴდებოდეს ყოელითა გულმოდგინებითა, აღაპ. მთაწმიდ. მონასტრ. 191 r, 11—13; აღესრულებოდის აღაპი მისი ყოველითა გულმოდგინებითა, იქვე 197 r, 1.

ს დისიმილაციით იკარგვის სშ, სჟ, სზ, სთ კომპლექსებში:

შემდგომად ქრისტჱშობისა სამითა დღითა, სინ. მრავალთ. 268, 31; შაბათსა წინა ქრისტჱშობისა, H-1704 151 v, 11; კჳრიაკესა წინა ქრისტჱშობისა, იქვე 151 v, 13.

ს დაკარგულია: ღმრთისმშობელ>ღმრთიმშობელ სიტყვაში:

ღმრთიმშობელო საუნჯეო მეფისაო, A-603 51 v, 5—6: და ახალი აღგიარებს ღმრთიმშობლად, იქვე 136 r, 19—20.

მიც. ბრუნვის ს ნიშანი იკარგვის შინა // შიგა(ნ) თანდებულთა წინ. პირველად ეს ფაქტი X საუკუნის ხელნაწერში გვხვდება. განსაკუთრებით ხშირია იგი კარაბადინში (XIV—XV სს.):

ქართლშინა კათალიკოზობასა სამოელისა, ათონ. კრებ. 81 v, 22—25 b; მუცელშიგან ქარი რომე იყოს, კარაბადინი 4 v, 14—15; ჩაჴუშიგა ჩაყარე, იქვე 9 r, 2 და მრავალი.

მიც. ს იკარგება ზედა თანდებულის წინ:

და დასდვეს მაზედა წიგნიცა, სინ. ლექც., 198, 19 a: და ტანზედა დამჭლდების, კარაბადინი 31 v, 9—10; ქაფური შესცხონ პირზედა, იქვე 33 v, 18—19, და მისთ.

თანა თანდებულის წინ იკარგება მიცემითის ნიშნისეული ს:

დიდი სიფრთხილე უნდა და დიდი ფარეზი ყოელისა საქმისაგან, დიდისა ჰამისაგან და დედაკაცთანა წოლისაგან, კარაბადინი 68 r, 12—14; და აბანოსა შიგა დედაკაცთანა წოლისაგან, იქვე 68 r, 23—24, და მისთ.

ს არის დაკარგული კომპოზიტშიც:

კუროჲსთავი>კუროჲთავი: ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი, ანუ კუროჲთავთაგან ლეღუ, წყაროსთ. ოთხთ. 16 v, 16—19 a.

შ-ს დაკარგვა

შჯ, შჳ კომპლექსთა დაძლევის ზოგი გზა ზემოთ განვიხილეთ (იხ. დისიმილაცია); ეს კომპლექსები პირველი კომპონენტის დაკარგვის გზითაც მარტივდება:

და წარადგინეს იგი **სამჯავროსა**, ქრისტინა 410, 28; რაჲთა **უმჯავროდ** განიკითხოს, იქვე 412, 1; წინააღუდგა **სამჯავროსა** მძლავრთასა, Sin.-64 163 r, 33—34; იჯსენ/**უმჯავროჲსაგან** სიკუდილისა, Sin.-65 361 v, 7; რამეთუ ჰყაჳ სამართალი შენი **მჯავრი** ჩემი, Sin.-11 137 r, 1—2; და **დავმჯუალი** იგი ქუეყანასა ზედა, I მეფ. 26, 8 O.

ხ-ს დაკარგვა

ცხუ კომპლექსი მარტივდება ხ-ს დაკარგვით:

შეურაც-ვყო, სადა არს ბრძენი, ანუ სადა არს მწიგნობარი, ლატ. ლექც. 138 v, 26—28 b; სიმდიდრე **შეურაც-ყო**, სინ. ლექც. 294, 7—8 b; **შეურაც-ყოს** ღმერთმან, Sin.-35 162, 3—4 a; ხოლო შენ **შეურაც-ყავ**, იქვე 313, 23—24 a.

ლ-ს დაკარგვა

ვლტ, ვლთ, კლდ, ფლდ კომპლექსები ლ-ს დაკარგვით მარტივდება. როგორც ჩანს, [ლ]-ს ამ კომპლექსებში დისტინქტური ღირებულება არ გააჩნია:

ვლტ>ვტ: ხეძიებდეს ადგილსა **სივტოლად**, უძვ. ქართ. ხელნაწ. 365, 4—6 b; რომელნიმე **ივტოდეს**, სინ. მრავალთ. 117, 4; **შეივტინ** სიღრმესა მას, იქვე 119, 11; სულმოკლე იქმნა და **ივტოდა**, იქვე 120, 26—27; ვინ გიჩუენა თქუენ **სივტოლაჲ**, ათონ. მრავალთ. 207 r, 5—6 a, და სხვა.

ვლთ>ვთ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი თავსა თჳსსა **განევთის**, მოოჴრდის, Sin.-15 175, 8—10 b; უკუეთუ სახლი სახლსა **განევთა**, A-1699 37 r, 10—12 b, და მისთ.

კლდ>კდ: არაჲ **გუაკდა**, ლ. 22, 35 C.

ფლდ>ფდ: და უკუეთუ იგი **განთავისუფდეს** მონებისაგან სოფლისა ამის ბოროტისა, მამ. სწავლ. 194, 9—10.

თანხმოვნის მომდევნო ფუბისბოლოკიდურა **ლ** მიცემითში იკარგვის ხოლმე:

თაფლსა>თაფსა: და თაფლუჳსა და **თაფსა** ნუ ჰსუამთ, ცხორ. შიშუელ მართალთაჲ 352, 25—26.

მთხრებლსა>მთხრებსა: და შთაცჳვეს **მთხრებსა** გმობისასა, სწავლ. იოანე ოქროპ. 109 r, 5—6.

ზოგჯერ ასეთი ფორმები სხვა ბრუნვებშიც იჩენს თავს:

მერმე **სისხისა** წამლები უყავ, კარაბადინი 178 v, 17—18; და **სისხად** შეიქმნების, იქვე 175 v, 6; მერმე **სისხად** გარდაექცევის, იქვე 165 v, 13—14.

სიტყვათა გაცვეთის შედეგად ჩანს ლ დაკარგული ფორმებში: კუარცხლბერკი>კუარცხბერკი, მართლუკუნ>მართუკუნ, მკრცხლ>მკრცხ, რომელ>რომე, დამლბალ>დამბალ:

ცანი საყდარნი ჩემნი არიან და ქუეყანაჲ კუარცხბერკი ფერკთა ჩემთაჲ, სინ. საქმ. მოციქ. 15 v, 3 b; რამეთუ კუარცხბერკი არს ფერკთა მისთაჲ, A-1699 1 r, 15—16;

ნუმცა მიეაქცევეთ მართუკუნ აბიერითგან, სინ. მრავალთ. 120, 8; შდრ.: მ ა რ თ ლ უ კ უ ნ იქცენ და ჰრცხუენოდენ, შატბ. კრებ. 132 r, 27 b;

მკრცხ მავლინებდეს, Sin.-62 5 v, 19—20 b;

ეზომი დამრჩა შენითა წყალობითა, რომე ხოვლისა ფასი მითა მოვიგო, რკონის სიგ. 134, 4—5; გავაჩინე ესრე, რომე, იქვე 135, 15.

დამლბალ>დამბალ: ესე იგი არს, ცერცკ დამბალი, Alh.-25 8v, 8—9.

მბ თანხმოვანთმიმდევრობა მ-ს დისიმილაციური დაკარგვის გამო ბ-დ იქცევა:

მბრწყინვალე>ბრწყინვალე: ბრწყინვალმ იგი ზეთი გონებისაჲ, სინ. მრავალთ. 10, 24; რომელი გამოუჩინებელ არს და ბრწყინვალე მზითა ბრწყინვალითა, იქვე 59, 37—38; სრულიად ბრწყინვალე იქმნის, იქვე. 187, 1—2; შდრ.: იგი იქმნის მ ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე, იქვე 186, 37, და სხვა.

მფრინველ>ფრინველ: მელთა კურელი უჩს და ფრინველთა ცისა საყუდელი, ლ. 9, 5 C, და მისთ.; შდრ.: ვერ ვეწევით მ-ფ რ ი ნ ვ ე ლ თ ა სიმალითა, შატბ. კრებ. 10 v, 27 a — 10 v, 1 b.

მბრძოლ>ბრძოლ: წინააღმდგომი ბრძოლი ჩუენი, ვითარ ცეცხლი, შემწუეელი სულთა ჩუენთაჲ, დაშრიტე, პარაკლიტ. 152 r, 8—9; გხედავ შენ, ვითარცა ბრძოლსა ძლიერსა, Sin.-62 90 v, 4—5 a.

სიტყვის თავკიდურა პოზიციაში მ-ს თანხმოვნების წინ დისტინქტური მნიშვნელობა არ აქვს. ეს უნდა იყოს მისი დაკარგვის მიზეზი ფორმებში: მთხრებლი>თხრებლი, მწუერვალი>წუერვალი, მსოფლიო>სოფლიო, მდაბალი>დაბალი.

მთხრებლი>თხრებლი: შთავარდა იგი თხრებლსა, იელ. იადგ. 159 v, 19—20;

მწუერვალი>წუერვალი: რაჲთა დააწოს წუერვალი თითისა მისისაჲ, კალ. ლექც. 91, 22—23 a;

მდაბალ>დაბალ: მახითა თჳსითა დაადაბლოს იგი, ფსალმ. 9, 31 D: დაჲდაბლდი ფრიად, უფალო, მაცხოვნე მე სიტყჳთა შენითა, იქვე 118, 107 B;

მსოფლიო>სოფლიო: აწ დააცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობად, იოვ. და ეფთ. 29, 3; რომელნი შეკრბეს წმიდასა და სოფლიოსა მეექუსესა კრებასა, დიდი სჯნაქს. 23, 23—24.

წუმდ მაიმე კომპლექსი მარტივდება მ-ს დაკარგვით: არა წარუწუდეს სასყიდელი მისი, მ. 10, 42; მრკ. 9, 41 D;

წარწუდა საკსენებელი მათი ღაღადებითა, ფსალმ. 9, 7 C; და წარწუდეს სახელი მისი, ფსალმ. 40, 6 A.

ხშირად ხმარებულ სიტყვათა გაცვეთის შედეგია მ-ს დაკარგვა ფორმებში: იქმ>იქ; ქმნ>ქნ; მერმე>მერე; ეგზომ>ეგზო:

იქმ>იქ: არა ვიქ საქმეთა მამისა ჩემისათა, ი. 10, 37 C; ნუ იქ საქმესა ამას, ანდრია სალოსი 50 v, 10—11;

ქმნ>ქნ: სული ბრწყინვალე ქნის, სინ. მრავალთ. 187, 16; მსგავს აბრაჰამისა იქნე, Sin.-36 357, 17—18; ელვანი და ქუხილნი იქნებოდეს, A-89 2 r, 15—16; რომელი იქნა სამოთხესა შინა, Jer.-73 14 v, 8—9, და მისთ.

მერმე>მერე: მერე თქუა, Sin.-35 638, 11 a;

ეგზომ>ეგზო: არა მოაკლდა ეგზო, სიგ. თამარ მეფისა 9, 12.

იკარგვის ნ

დ, თ, ს წინაენისმიერ თანხმოვანთა წინა პოზიციაში ნ იკარგვის:

მსახური არს ზეცისაჲ, რომელი-ესე ჩას, სინ. მრავალთ. 26, 17; ჴეშმარიტად ჩას, იქვე 49, 37; სხუაჲ უსაკჳრველესად ჩას, უდაბნ. მრავალთ. 26 v. 6—7 a: ფატარი იგი ჩას მტკიცე, იქვე 169 v, 21—22 b; და იგი ჩას მას შინა, შატბ. კრებ. 26 r, 25 b; შდრ.: ესე არა ჩანს მას შინა აწ, იქვე 2 v, 10—11 a;

შეუძლებელ გიჩს შენ, სინ. მრავალთ. 27, 17; ჯერ-გიჩს, რაჲთა არა შეიწყნარნე, იოანე ოქროპ. ცხორ. 149 v, 5—6; შდრ.: ნუ ბილწ გიჩს, S-1398 104 r, 1 a;

არასადა ვინ გამოჩდა ესრეთ ისრაჱლსა შორის, მ. 9, 33 D; რაჟამს გამოსჩდი ზეცით, ფსალმ. 75, 9 F; აწ ფრიად ცრუ მიჩთ მე, უდაბნ. მრავალთ. 30 v, 14—15 a.

ჩნს, ჩნდ, ჩნთ კომპლექსთა გამარტივება დისიმილაციური დაკარგვის შედეგია.

გაცვეთის შედეგადაა დაკარგული ნ: ჰრქუან>ჰრქუა; -მან (მოთხ. ბრუნვ.)>-მა (იხ. ქვემოთ).

რ-ს დაკარგვა

ვრდ, ზრდ, ყრდ, ჩრდ, მრთ, შრტ, ბრძ, გრძ, კრძ, ბრწ, ძრწ, მრწ, ხრწ, გრჩ, ბრკ, ბრკ, ზრქ, წრფ, ვრც, ღრჭ, ბრგ, ჰრქ, ღრმ, ყრმ თანხმოვანთკომპლექსები მარტივდება რ-ს დაკარგვით. ეს იმით ჩანს შეპირობებული, რომ რ-ს ამ კომპლექსებში დისტინქტური ღირებულება არ გააჩნია.

ჰ. ფოგტის ნაშრომში: „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა" ზოგიერთი ამ კომპლექსთაგანი განხილულია და მითითებულია, რომ რ ამ თანხმოვანთმიმდევრობებში ფონემატურ ღირებულებას მოკლებულია (31, გვ. 34—36). ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ **ურმა>უმა** (იხ. ქვემოთ), ოღონდ ამავე სტრუქტურის **ბრმ** არ გვაძლევს **ბმ-ს** (**ბრმაი**), რადგან რ აქ ფონემატური ღირებულების მქონე ერთეულია: **ბრმა : ბმა.**

ვრდ>ვდ: არღა შევდომილ იყო იოვანე საპყრობილესა, ი. 3, 24 C; შევდომით თაყუანის-სცეს, A-40 75 r, 5—6.

ზრდ>ზდ: ანუ ვინ გზდიდა, ათ. ასკეტ. კრებ. 259 r, 11—12 b: დაუსაბამოი ღმერთი შენგან იშვა უბიწო, მზდელი დაბადებულთაი მარხე. 9 v, 12; მაუწყე მე საზდელისა მისთჳს, H-622 8 v, 9: არასადა გემოი მიხილავს ეგეცითარისა საწადელისა და ტკბილისა **საზდელისაი**, Sin.-36 502, 30 b—503, 4 a, და მისთ.

ურდ>უდ: მიუდნობით განისუენა, უდაბნ. მრავალთ. 120 v, 4—5 a.

ჩრდ>ჩდ: და **აჩდილთა** სიკუდილისათა, ხანმ. მრავალთ. 141, 20—21 a; ქარი იგი **ჩდილოით** ანჭრევდა, სინ. მრავალთ. 118, 38—39; რომელნი ვსხედთ ბნელსა და **აჩდილთა**, მრავალთ. 187 v, 28—29 b: რომელნი სხენან ბნელსა და **აჩდილთა** სიკუდილისათა, ფსალმ. გალ. 9 b. 12 A; რომელ არს გამოსლვაი, **აჩდილი** და ვნებაი ჭეშმარიტი, ქრონიკ. 334 v, 2—3.

მრთ>მთ: და ვითარცა ესმის სიტყუაი **საღმთოი**, Sin.-36 399, 17—18 b; საწამებელი უღმთოთაი სიკუდილი არს, იობ. 15, 34 O; წთოდეს წუეთნი **საღმთონი**, Sin.-65 199 r, 19; მოითხოვენ შენ **საღმთონი** წიგნი (!), იქვე 199 r; მოითხოვენ შენ **საღმთონი** წიგნი (!), Sin.-11 70 r, 11—12: უღმთოთა მ ა თ და უკეთურთა მეფეთასა, იქვე 223 v, 14—15; გამობრწყინდა სიბნელესა მას შინა უღმთოებისასა, იქვე 224 r, 10—11; არა უნებს უღმთოთა, იქვე 259 v, 17; და **საღმთოით** ძალითა აღსავსე იყო გუამი მისი, იქვე 360 r, 25—26; და შენ მომიტევე უღთოებაი ცოდვისა ჩემისაი, ფსალ. 31, 5 E; და მოითმინოს იგი ღმთისათჳს, სწავლ. იოანე ოქროპ. 197 v, 25—26, და მისთ.

შრტ>შტ: სანთელნი ჩუენნი **დაშტებიან**, ლატ. ლექც. 117 v, 16—17 a.

ბრძ>ბძ:

ბრძ(ე)ნ>ბძ(ე)ნ: ჭეშმარიტად ყოლითაე **ბძენი** იყო, სინ. მრავალთ. 4, 18; რომელთა შეიყუარონ **სიბძნე** იგი ღმრთისაი, ათ. ასკეტ. კრებ. 116 r, 9—10 b; რომელმან შექმნა **სიბძნითა** თჳსითა ცანი, Sin.-1 224 r, 16—17; რომლისაგან ვერ შეოძლეს დატევნად **სიბრძნეი** ეგე მისი,

Sin.-35 35, 17—19 b; **ბძენი სიბძნითა** თჳსითა ნჳცა იქადინ, იქვე 497, 2—3 a, და სხვა.

ბრძოდ>ბძოდ: უკუეთუ სიძვაჲ **გბძოდის** ჯორცთა შენთა, ათ. ასკეტ. კრებ. 313 v, 15—17 b; რაჲთა ღმერთი **ჰბძოდის** შენ წილ მტერთა შენთა იქვე 316 r, 15—17 b.

ბრძან>ბძან: ანგელოზთა მისთა **უბძანებიეს** შენთჳს, ლ. 4, 10 D; რასმე **გჳბძანებ** ყოფად, ათონ. მრავალთ. 173 v, 10—11 b; და მერმე **ბძანა** შეფემან საპყრობილედ მიცემაჲ მისი, Sin.-62 34 v, 11—13 a; და **უბძანა**, რაჲთა სცენ მას ჰამადი, Sin.-30 154 v, 17—19 a; **უბძანის** ღმერთმან ანგელოზსა, Sin.-35 272, 2—3 a.

გრძ>გძ: გრძილი>გძილი: რომლითა შეპყრობილ არს მართალსა ძელსა **გძილი** იგი საშოვალ, აპოკრ. წამ. პეტრესი 47, 3—4 A; შდრ.: გ რ ძ ი ლ ი BS.

გრძნობ>გძნობ: ყოვლადვე არა **ვგძნობდი** ტკივილსა, ანდრია სალოსი 180 r, 16—17.

კრძ>კძ: ყოვლითავე განმზადებულ არიან და **განკძალულ** შენთჳს, სინ. მრავალთ. 107, 3—4; მიეედით და **დაჰკძალეთ** საფლავი, უდაბნ. მრავალთ. 116 r, 12—13 a.

ბრწყ>ბწყ:

ნათელი გამოგჳბწყინდა, ათონ. მრავალთ. 80 v, 1 b; **განჰბწყინდი** შენ სულითა, იელ. იადგ. 299 v, 7—8; მეყსეულად ნათელი საღმრთოჲ **გამობწყინდა** გულსა მისსა, თეოდორე 254 r, 10—12 a.

ძრწ>ძწ:

შიშით და **ძწოლით** ვდგეთ, ხანმ. მრავალთ. 125, 15—16; და **ძწოდა**, ჰაემ. ტექსტ. 376, 5; ამას ზაჰარია განიზრახვიდა **ძწოლით**, სინ. მრავალთ. 26, 24, და მისთ.

მრწ>მწ:

მრწემ>მწემ: არსადა **უმწემს** ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა, სინ. მრავალთ. 36, 1—2; იგი არს აბიბა, საყუარელი შვილი ჩემი **მწემი**, იქვე 65, 15—16: სიბოროტესა ზედა **მწემვე** არიან, იქვე 213, 8—9; არასადა **უმწემეს** ხარ შენ, ლატალ. ლექც. 6 v, 9—10 b, და მისთ.

მრწამ>მწამ: არამედ **მწამ** შენ, მამაჲ, ძᲛ და სული წმიდაჲ, Sin.-62 36 v, 7—8 a.

ვრც>ვც:

ვითარცა ვინ იხილის ქალაქი ვცელი, კაცისა აგებ. 160, 7.

ხრწ>ხწ:

ვითარცა ჯორცნი განიხწნებიან, მარხე. 31 v, 12—13; დღეს უხწნელად იშვა, A-603 1 r, 5; სამარესა შინა განიჯწნას, იელ. იადგ. 252 v, 30—31.

გრჩ>გჩ:

და რომელი-ესე უმცრო დაგჩეს, ასტრ.-გამოთვლ. ტრაქტ. 3 r, 25—26.

ბრჭ>ბჭ:

და ყოველი ქუეყანაჲ ბჭალითა, ლატალ. ლექც. 5 r, 23—24 b.

ღრჭ>ღჭ:

და ღჭენდეს მის ზედა, ლატ. ლექც. 116 v, 10 b; მუნ იყოს ტირილი თუალთაჲ, ღჭენაჲ კბილთაჲ, იქვე 117 r, 9—11 b; ღჭენდა მის ზედა კბილთა თჳსთა, ცხორ. ანტონი დიდისაჲ 290 r, 19—20 a, და მისთ.

ბრგ>ბგ:

და განემართოს ენაჲ ბგუნვილი, ლატალ. ლექც. 4 v, 31—32 b.

მრგ>მგ:

პირმგუალი და ტანმოკლე იყოს, A-65 373, 19—20.

ზრქ>სქ:

სიზრქე>სისქე, ეს მოვლენა ზემოთ იყო განხილული (იხ. გვ. 304). რ-ს დაკარგვის შედეგად *ზქ კომპლექსი უნდა მიგვეღო, მაგრამ რაკი *ზქ ქართულისათვის აკრძალული მიმდევრობაა, ასიმილაციის შედეგად დასაშვებ სქ კომპლექსს ვიღებთ.

წრფ>წფ:

სინანული არს ყარი წფელობისაჲ, A-1101 60 r.

ჰრქ>ჰქ:

რომელსა ჰქჳან ბეთლემ, ათონ. მრავალთ. 3 r, 6 a; რომელსა ჰქჳან წმიდაჲ, იქვე 154 r, 13—14 b; ჩამოიჭრა ადგილსა მას, რომელსა ჰქჳან სპკრაბია, Ath.-42 231 r, 2—3; ხოლო რომელსა-იგი ჰქჳან იესუ, Sin.-62 29 v, 15 b; რომელსა სახელი ჰქჳან, იქვე 25 r, 6—7 a, და მისთ.

ბრკ>ბკ // პკ:

ვითარცა-ეგე შენ უგრძნულად გიბკუმა, მამ. სწავლ. 110, 7 A; და შენ დაჰბკოლდები, მრავალთ. 156 v, 6 b; დაბკოლდეს და ვერ შევიდეს, ეფრ. ასურ. სწავლ. 47 r, 15—16 a; ლოდი იგი მტერთა დაპკოლებისაჲ, მოდრ. იადგ. 62 r, 25, და მისთ.

ღრმ>ღმ:

არს მუნ ჴევი ერთი სიღმითა დიდ და ბნელ, შატბ. კრებ. 66 v, 22—23 b; და სიღმეთა ღელვანი შემუსრნა ქრისტემან, მარხვ. 32 v, 9—10; არა იყო სიღმე მიწისაჲ, წყაროსთ. ოთხთ. 29 v, 10—11 b.

ყრმ>ყმ:

ჟამნი ყმისა შობისანი განწესებულნი წარეწყმიდნეს უთესლობითა, სინ. მრავალთ. 25, 32—33; ანუ სარწმუნოებასა თანა ყმანი ეგე ჩუენ მოგუანიჴენთ, იქვე 145, 16; ყმისა მის მამაჲ არაჲინ იცოდა, იქვე 204, 29; ყმაჲ იზარდებოდა, იქვე 204, 30; იგი, ვითარცა ყმაჲ, გამოჩნდა, მრავალთ. 48 r, 9—10, და მისთ.

გაცვეთის შედეგად ჩანს რ დაკარგული სიტყვებში: ვარსკულავ>ვასკულავ; ფერჳი>ფეჳი; კუარცხლბერკი>კუარცხლბეკი; მოსრულ>მოსულ; თხრამლი>თხამლი; გარნა>განა; ვითარ>ვითა.

ვარსკულავ > ვასკულავ: ყოველნი ვასკულავნი უჩინო იქმნეს, სვან. მრავალთ. 180, 25—26 b; ვასკულავი ვასკულავსა ჰმატს, ლატალ. ლექც. 318 r, 15—16 a, და მისთ.

ფერჳ>ფეჳ: დაესხნე მტერნი შენნი ქუეშე ფეჴთა შენთა, მრავალთ. 45 v, 12—14 b; და შიშით დასდებდეს ფეჴთა თანა მოციქულთასა, იქვე 124 r. 24—26 a; რომელსა დადგეს ფეჴნი უბიწონი, პარაკლიტ. 229 r, 9—10; დაამტკიცენ ფეჴნი ჩემნი ალაგთა შენთა, ფსალმ. 16, 5 B; ფეჴნი ჩემნი დადგეს სიწრფელესა, იქვე 25, 12 B; ფეჴთა საბანელსა მას წყალი შთაასხი, ლაიპც. საგალ. 1, 3 a; მზჱ და მთოვარე იყო ქუეშჱ ფეჴთა მათთა შემუსრვად, იქვე 51 r, 14—15; დ ა ჰ ბ ა ნ ე ნ ფეჴნი ძმათანი, კლემაქს.

41 r, 10; ვითარცა ვინმე შეკრული კაცი განჰსნის ჴელითა და ფეჴითა, Ath.-21 168 v, 23—24.

კუარცხლბერკი>კუარცხბეკი: კუარცხბეკი არს ფერჴთა მისთაჲ, ოპიზ. ოთხთ. 4 r, 8—9 b.

ერთმანერთ>ერთმანეთ: ერთმანეთშიგა გაურიეე, კარაბადინი 165 r, 17.

მოსრულ>მოსულ: ჴეშმარიტ არს წამებაჲ ჩემი, რამეთუ უწყი, ვინაჲ მოსულ, ანუ ვიდრე ვალ, ი. 8, 14 C; სადათ მოსულ ხარ, ანდრია სალოსი 35 r, 8.

თხრამლ>თხამლ: და თხამლად გარდაიქცეს, კარაბადინი 173 v, 17—18.

გარნა>განა: გულსმოდგინებაჲ ფრიად მაქუნდა, გ ა ნ ა წერაჲ ესთენ ვიცოდე, Ath.-9 374 v (ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, გვ. 48); გულმოდგინებაჲ დიდი მაქუნდა, განა ჴელთა ჩემთა ესთენ შეუძლეს, Ath.-42 234 r, 14—16 (გადამწ. ანდერძი); განაღა ანუ იმარხო, ანუ სულთ-ითქუნე, კლემაქს. 113 v, 3—4.

ვითარ>ვითა: რამეთუ იყო სწავლად მათა ჴელმწიფე და არა ვ ი თ ა მწიგნობარნი მათნი, მ. 7, 29 C; ვ ი თ ა უნებს, იყო, მამ. სწავლ. 94, 22 A, და მისთ.

ჲკარგვის უ

უ ჲკარგება ვ, მ თანხმოვანთა და ო და უ ხმოვანთა წინ (ხდება უ-ს დისიმილაციური გაუჩინარება).

უვ>ვ:

გიხაროდენ, მაყუალო შეუწველო, სინ. მრავალთ. 200, 34; იწყეს კითხვად მისა ზაკვით, მრკ. 12, 14 C; მას ნერწყვითა ბიწებისაჲთა ჳ ნ ე რ წ ყ უ ე ვ დ ი თ თქუენ, უდაბნ. მრავალთ. 41 v, 27—28 b; შვა ღ ა მ ი ს ა ჲ, A-1699 29 r, 19 a.

უმ>მ:

სასმელი მისი შესუმად, ჰილ-ეტრ. იადგ. 19 r, 9—10; რამეთუ არა არს სასუფეველი ღმრთისაჲ, საჭმელ და სასმელ, ლატ. ლექც. 25 r, 3—4 a; მივიღე ყურძენი იგი, გამოვწურე სასმელსა შინა ფარაოსსა და მიეც სასმელი ჴელთა ფარაოისთა, იქვე 93 v, 18—22 b; არცა სმიდა, იქვე 186 r, 8 b; და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი არს სასმელი, იქვე 207 r, 24—26 a; და სუ სასმელისაგან, იელ. იადგ. 274 v, 15;

უმჯობჱს უფლისა მიერ თქმულისა მის ნეტარებისა იშუებდენ, სინ. მრავალთ. 10, 23—24;

ბოროტად სიმდიდრესა მას მძლავრობასა უშჯულოდ ჲემეჳდეს, სინ. მრავალთ. 14, 26—27; არა ჲემია ცოდვაჲ, იქვე 47, 35;

საჴმილი მოტყუინარჱ ყრმათა მათ განუქარვა, Sin.-34 59 v, 4—5;

ჯუარ-ცმულსა აღიარებ ღმრთად, სინ. მრავალთ. 59, 29;

გუერდსა უგმირეს, სინ. მრავალთ. 87, 33, რომელსა-იგი უგმირეს, იქვე 174, 18; უგმირეს მას, H-1346 65 v, 2—3;

განხმულ არიან ცანი შენთჳს, სინ. მრავალთ. 60, 35; წმიდა-ყუენ სულნი და ჯორცნი და საშჱმინველნი ჩუენნი, Sin.-59 101 r, 2—3.

ჳ მოკვეცილია მაშინაც, როცა იგი აუსლაუტშია, ხოლო მომდეენო სიტყუა მ თანხმოვნით იწყება:

მომართ მე იგი აქა, ლიმონ. 78, 12; შენ გუაქ მ ჴ ს ნ ე ლ ა დ, A-603 28 v, 4: არქ მას, მოდრ. იადგ. 149 v, 36.

სავარაუდოა, რომ მხ. რიცხვის I პირის გავლენით ამგვარი ფორმა მრავლობითშიაც იყოს გავრცელებული:

მოგუართ ჩ უ ე ნ, სინ. მრავალთ. 4, 29.

უო>ო:

ვინ დაადუმა ჴმაჲ შენი, ნესტო ეკლესიათაო, ათონ. კრებ. 60 v, 30 b—61 r, 2 a; გიხაროდენ, მოძღუარო, ქადაგო, ნესტო ჴმატკბილო, Sin.-59 119 v, 24, და სხვა (16, გვ. 21).

უ—ო>ო:

ანუ ვითარ-მე გამოვთქუა საიდუმლოჲ იგი მიუწდომელი, სინ. მრავალთ. 8, 31—32; უკუდაო, საუკუნეო, მიუწდომელო, იქვე 16, 22;

ყოველი შრომაჲ წმიდათა შეამთხჳა, სინ. მრავალთ. 4, 24; 21, 34—35;

ესეცა მოკდომადვე იყო, იოანე ოქროპ. ცხორ. 58 v, 10—11;

მაყლოვანსა ზედა ვითარ-იგი ღმერთი ეტყჳს მას, მრკ. 12, 26 D; მთასა ზედა მოსეს თანა მზრახვალმან მაყლოანი სახედ გამოაჩინა, პარაკლიტ. 167 v, 2—3; მაყლოვანსა შინა არს, შატბ. კრებ. 236 r, 21—22 a;

და არა მოვსთლო იგი, ლატ. ლექც. 101 r, 19—20 a; და არცა მოსთლოთ გაწმედილი იგი მისი, ლევიტ. 25, 11 C; მოისთლოთ ნაყოფი ცხორებისაჲ, მამ. სწავლ. 12, 32—33 C; და ცროდის წჴმაჲ, Sin.-62 23 r, 25 a.

უ—უ>უ:

ბუზი გამოჴდა, ნაუმ. 3, 16 O; შდრ.: ბუზჳ I.

ჳ გაცვეთის გზით არის დაკარგული ფორმებში: უკუეთუ>უკეთუ, უკუანა>უკანა; უკუანაისკნელ>უკანაისკნელ:

უკუეთუ>უკეთუ: უკეთუ ჰყო ძალისაებრ შენისა, Sin.-34 159 r, 14; უკეთუმცა გეტყოდა, იქვე 170 v, 23; ოკეთომცა [=უკეთუმცა] გაქუნდა სიმდაბლ8, იქვე 171 v, 23; ოკეთო [=უკეთუ] გრქუას, იქვე 176 v, 22; და უკეთუ უფალი მისი აიძულებდეს, ანდრია სალოსი 48 r, 18—19; უკეთუ იცლტოდის კაცი პირისაგან ლომისა, ამოს 5, 19 Ղ.

უკუანა>უკანა: და ერისმთავარი იგი მოყუასთა თჳსთა თანა დგა უკანა კერძო, Sin.-11 23 r, 15—16; მიეწია უკანა ნეტარსა, ანდრია სალოსი 57 r, 16—17.

უკუანაჲსკნელ>უკანაჲსკნელ: რომელსა უნდეს მთავარ-ყოფაჲ, იყავნ იგი მსახურ ყოველთა და უკანაჲსკნელ მოყუასთა, Sin.-64 135 r, 19—20; მან თავადმან თქუენ დაგანთქენინ უფსკრულსა მას უკანაჲსკნელსა, A-397 206 r, 17—19; რაჲთამცა სურვიელად იხილეს უკანაჲსკნელი იგი ღუაწლი მოწამებისა მათისაჲ, Sin.-11 24 r, 7—9; და სირცხუილეულო მოხუიდე მორჩილებად უკანაჲსკნელ, იქვე 32 r, 10—12; და იყოს იგი უკანაჲსკნელი ცხორებაჲ მისი, იქვე 64 v, 15; ჰრქუა მას წმიდამან: პირველე მითხრობიეს უკანაჲსკნელი ჩემი, იქვე 80 v, 7—9; რამეთუ იყუენით პირველნი უკანაჲსკნელ და უკანაჲსკნელნი პირველ, იქვე 97 r, 22—23; უკანაჲსკნელ დედათა განაქარვეს ძალი შენი. იქვე 137 v, 5—6; და უკანასკნელნი მოიპოვნა, ანდრია სალოსი 13 v, 4—5, და სხუა.

გაცვეთის შედეგად იკარგვის ბგერათკომპლექსები.

ა<არს: იგია, რომელმან იჴსნეს ისრაჱლი, ხანმ. ლექც. 060, 26 a; რომელი დაწერილა ღმრთისა მიერ მართლ, სინ. მრავალთ. 48, 4—5; მოავლინნა ნერონ კეისარმან კაცნი: ფერეტან ვინმე და ფართენიოს ხილვად პავლჱსა, უკუეთუ თავი მოკუეთილა პავლჱსა ანუ არა, იქვე 252, 32—34; რამეთუ კუარცხლბეკაჲ ფერჴთა მისთაჲ, მ. 5, 35 C; უადვილესა ზომთსაბლისაჲ ჴურელსა ნემსისასა განსლვაჲ, მ. 19, 24 C; ესე მათგანივეა, მრკ. 14, 69, და მისთ.

ა>არიან: შენნი არიან ანგელოზნი, შენნიაჲ წინაწარმეტყუელნი, შენნიაჲ მარტჳლნი, შენნიაჲ, რომელნი არიან, შენნიაჲ, უდაბნ. მრავალთ. 68 r, 17—21 b; ყოველნი დაბადებულნი ჩემნიაჲ, შატბ. კრებ. 278 r, 24—25 b; ანუ წელნი შენნი კაცისანიაჲ, იობ. 10, 5 O, და სხუა.

ან<არიან: ხოლო სატანჯველნი ეგე შენნი და იძულებაჲ ჩუენი ეგოდენ არს, ვიდრემდის სულნი და ჯორცნი ესე ჩუენნი ერთჳდ დამკუიდრებულან, Sin.-11 13 v, 21—24; რომელნი ძეგლსა ამას შინა განწჳეხებულან საკმარნი ტრაპეზისანი, ვაჰან. ქვაბ. განგ. 87, 16—18.

ვალს>ვა: მი-თუ-ვიდიან ხილვად სნეულთა, ორიმცა მივა სლვითა სიმდაბლისაჲთა, აპოკრ. წამ. ფილიპესი 10, 25—26; არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოველითა სიტყჳთა, რომელი გამოვა პირისაგან ღმრთისა, Sin.-16 12 v, 14—17; აჰა ესერა, სიძე შემოვა, იქვე 81 r, 8—9;

ეშმაკთა განასხამს და არა შევა მონასტერსა მისსა დედაკაცი, პარხლ. მრავალთ. 335 v, 1—4 a; და მერმე მონასტერი უწესოდ გავა, იოვ. და ეფთ. 68. 2: განაღა ეკლესია არასადა წარგივა, ანდრია სალოსი 42 v, 16—18: არავის ბრალი შევა, იქვე 73 v, 16—17; ჰრქუა წმიდამან: შევაო ეშმაკი მარადის ბრძოლად, იქვე 111 v, 19—20; და იგიცა ცხრამეტეულად წავა, და ესე ათასისაგან თურამეტი აღდგების, ქრონიკ. 327 r, 1—2, და მისთ.

მოვედით>მო: ეს მოვლენა ხდება, როცა **მოვედით** (II ბრძ.) ზმნურ ფორმას რომელიმე სხვა ზმნა მოსდევს:

მო და მივიდეთ ბეთლემდმდე, ლ. 2, 15 C; **მო** და მივიდეთ მისა, ი. 11, 15 C; ჰრქუა მას: **მო** და შევიდეთ სახლსა თქუენსა, სვან. მრავალთ. 250, 28—30 a, **მო** და მასვე სიტყუასა მოვიდეთ, ათონ. მრავალთ. 75 v, 24—25 a: **მო** და შემდგომსა მასცა მრვიდეთ, იქვე 73 v, 22—23 b; **მო** და ექმნეთ ქორწილი საყუარელისა ამის შვილისა ჩუენისაჲ, პარხლ. მრავალთ. 275 v, 12—14 b; აწ **მო** და ვიხილოთ, ვინ არს კაცი იგი, ეფრ. ასურ. სწაველ. 268 v, 9—11, და სხვა.

გინებს>გინე: თქუენ ვითარცა გინე, სინ. ლექც. 140 v, 18; საუნჯე პირისა ჩემისაჲ ქრისტე არს, რომელიცა **გინე**, ითხოვე, Sin.-62 19 r, 19—20 b; შენ, რომელი **გინე**, ბრძანე, მოდრ. იადგ. 27 r (ვადამწერის მინაწერი არშიაზე).

ცალკერძ>ცალკე: დანაყნე და დასცრენ და **ცალკე-ცალკე** დასდეა, კარაბადინი 2 r, 20—21; **ცალკე-ცალკე** დანაყე, იქვე 80, 23—24.

უტევე>უტე: ვპოვე იგი და არა განუტე, იპოლ. ქებ. ნგ, 6—7; ნურაჲ გგლიან. **უტე**, მოკუდეს, შუშ. X, 6.

მამაუფალ>მამფალ: ბრძანებაჲ ღმრთივ პატიოსნისა **მამფლისაჲ**, სვან. მრავალთ. 403, 31—32 a, და სხვა.

ნუგეშინის>ნუგეშის: ხოლო წმიდამან ქრისტინა ფრიად **ნუგეშის-სცა** მათ, ქრისტინა 423, 16—17; და **ნუგეშის-სცეს** სულსა შენსა, H-622 48 r, 25—26; რაჟამს განწმდეს გემოგას-ხილვითა **ნუგეშის-ცემისაგან** საღმრთოჲსა, იქვე 91 v, 20—22; კანონ სიმართლის, **ნუგეშის-მცემელ** საუკუნოდ მონაზონთა მათ, იელ. იადგ. 42 v, 3—4; და რომელი ვიხილი მწუხარედ, **ნუგეშის-ვსცი**, Sin.-11 96 v, 4—5; ფერჯთა მათთა ვაკოცებდი და **ნუგეშის-ვსცემდი**, იქვე 96 v, 23—24.

გეხვდება ასეთი ფორმაც: **ნუგეშინ<ნუგეშინის:**

სიხარულითა დიდითა **ნუგეშინ-იციან**, A-397 175 v, 16—17.

რომელ>რო: რაც **რო** ოქუროსა ძმისწულსა საქმე ედვას, ადგილის მოცვ. წიგნი.

წაღმართ>წაღმა: აპრილსა ოცდახუთსა **წაღმა** არა წავა აჯუსებაჲ, ქრონიკ. 334 r, 14—15.

წამოღმართ>წამოღმა: და ქართულითა ასდათექუსმეტი, და მას წამოღმა ვიდრე წლეულამდე თუ ქართულითა სათუალავითა განუტევებდე, ქრონიკ. 332 v, 20—23.

ბ. ბგერათა განვითარება

ვითარდება მ

არის შემთხვევები, როცა მ ბაგისმიერ თანხმოვანთა წინ ვითარდება. ეს არის ასიმილაციური გაჩენა.

ბ>მბ:

არა დადუმნეს **ემბანი** ტგი, A-1104 297 v, 2—3; და ქალაქი **კამბეჩოვანისა**, ქ. ცხ. 223, 2; აქუნდა **ალამბასტრი** ნელსაცხებელი · მრავალსასყიდლისაჲ, ურბნ. ოთხთ. 57 v, 4—7 b; შემუსრა **ალამბასტრი** იგი, იქვე 98 v, 2—3 a.

პ>მპ:

მიუკდა კერპთა მათ მამისა თჳსისათა: დეოსს და **ამპოლონს** და აფროდიტეს, ქრისტინა 409, 6—7; იოვანე მიეცა **სამპყრობილესა**, S-405 1 v, 9—10 a; და შეაყენა **სამპყრობილესა**, იქვე 31 v, 14—16 b.

ზოგჯერ მ განვითარებულია სიტყვის თავში (შემდგომში კი ნაწარმოებ ფორმებშიც გადადის), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ ანლაუტში თანხმოვანთა წინ მ დისტინქტურ ფუნქციას მოკლებულია:

ზუავ>მზუავ: მომკაულნი, **მზუავნი**, შატბ. კრებ. 62 v, 1 b.

სთუელ>მსთუელ: ტეევანი ცხორებისაჲ, რომლისაგან იწნიხა სიტკბოებაჲ გამოჴსნისა ჩუენისაჲ, ღმრთისმშობელო, შენ მიერ **მოვიმსთულეთ** ჩუენ, Sin.-20 19 r, 3—6.

ცხედარ>მცხედარ: მე მოგაკუდინო შენ **მცხედრითა** ცეცხლისაჲთა, Sin.-11 173 v, 23—24.

ცბიერ>მცბიერ: შეიპყრენით მელნი **მცბიერნი**, შატბ. კრებ. 112 v, 10—11 b: არიოს **მცბიერსაცა** თანა იყუნეს მრავალნი სხუანიცა, იქვე 252 v, 1—2 a.

სხჳლ>მსხჳლ: და იყო იგი ზრქელ და **მსხჳლ** ფრიად, Sin.-46 161 v, 4.

ფრთოვან>მფრთოვან: **მფრთოვან-მყუენ** ჩუენ მადლითა, იელ. იადგ. 123 r, 4.

გუერდ>მგუერდ: **მგუერდისა** შენისაგან გარდამოჴდა, პარაკლიტ. 251 v, 4.

კჳრტი>მკჳრტი: ახლისა ვენაჯისა მკჳრტი, ათონ. მრავალთ. 24 v, 23—24 a: არამცა დაუტევეს სამყნელი მკჳრტი, აბდია 1, 5 O; შდრ.: კ ჳ რ ტ ი I.

ზღვარ>მზღვარ: ბურცუის ჯუარი ყოველითა მზღვრითა მისითა, სიგ. მღუიმელთაი 95, 5—6; და ქუემოჲსა მზღვრისაჲ დიკისაჲ ოდენ კოშელისა კაცისა გაშუენებული [აღ]ალაჲ, კოშის წარწ. გვ. 9.

საზღვარ>სამზღვარ: სამზღვარსა შიგან აშენებული, გიორგი მესამის სიგელი.

ძალ>მძალ: მძლითა და მეოხებითა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა, დავის გადაწყ. დაწ.

ჴევნ>მჴევნ: ყოველი მჴევნები აღმოიცხოს, საწინასწარმეტყ. 76 r, 3—4.

ვითარდება ნ

ნ ვითარდება წინაჴენისმიერ დ, თ თანხმოვანთა წინ.

წმიდა>წმინდა: ამ სიტყვაში ნ-ს განვითარების პირველი ფაქტი Sin.-34 ხელნაწერში დასტურდება. განსაკუთრებით ხშირია წმინდ-, წყენდ- // წყმინდ- წყაროსთავის ოთხთაში, სადაც წ მ ი დ ა და წ ყ მ ე-. დ ა იშვიათად გვხვდება:

ღმე ესე სიწმინდით ოხითა წ ისა ღმრთისმშობელისა, Sin.-34 7 r, 5—6; რამეთუ განწმინდნების ქმარი იგი ურწმუნოჲ ცოლისა მისგან მორწმუნისა, S-1138 66 v, 11—14 b; ნუ მისცემთ სიწმინდესა ჩემსა ძაღლთა, წყაროსთ. ოთხთ. 15 v, 18—19 b; კეთროვანნი განწმინდებიან, იქვე 24 v, 18—20 b; განწმინდეთ პირველად შინაგანი იგი სასუმელისა, იქვე 52 v, 14—17 a; საცხე არიან ნატაცებითა არაწმინდებითა, იქვე 52 r, 11—13 a; 52 v, 6—8 b; ძალ-გიც განწმენდაჲ ჩემდა, იქვე 70 r, 12—13 b; და განწმინდნა იგი, იქვე 70 r, 21 b; და შეწირე განწმენდიხა შენისათჳს, იქვე 70 v, 7—8 a; რაჟამს აღესრულნეს დღენი იგი განწმენდისა მათისანი, იქვე 115 v, 13—15 b; განწმინდოს კალოჲ მისი, იქვე 118 v, 5—6 b; და შეწირე განწმენდისა შენისათჳს, იქვე 123 r, 20—21 a; გარეშე სასუმლისაჲ და პინაკისაჲ განწმინდით, იქვე 131 v, 5—6 a; ცხონდებოდა იგი არაწმინდად, იქვე 141 v, 19—20; განწმინდნეს კეთროვანებისა მისგან, იქვე 146 r, 19—20 a; იყვნეს მუნ სარწყულნი ქვისანი ექუსნი მდგომარენი მსგავსად განწმენდისა მის ჰურიათაჲსა, იქვე 171 r, 9—13 b; და იწყო გამოძიებად მოწაფეთაგან იოვანესთა ჰურიათა განწმენდისათჳს, იქვე 173 v, 2—5 b; რაჲთა განწმინდნეს თავნი თჳსნი, იქვე 196 v, 14—15 a; არცა კნინ ოდენ მოუკლებოდა სადა გულისსიტყუაჲ რაჲსაცა ვნებისაჲ, განმხრწნელი სულიერისა სიწმინდისაჲ, A-40 19 v, 5—8.

მსგავსი ფორმები საკმაოდ ხშირია XI საუკუნის ხელნაწერებში:

და უწყოდეს მადლი სიწმინდისა მისისაჲ, ნიკოლაოს 190 v, 7—8 a; და ადიდებენ სამითა სიწმინდითა, აღვს. 37, 13—14; და სიწმინდითა სჯამდე პასექსა, იქვე 58, 19—20; ხოლო მცირედ უკუანაჲსკნელ მოვიღოთ უსრულესადრე და უწმინდესადრე, იქვე 65, 24—66, 1; აწ წყარონი უწმინდესად აღმოეცენებიან, ახალკურიაკ. 89, 12—13; ძუელად კაცად ცოდეასა იტყჳს, ხოლო ახლად სათნოებასა და სიწმინდესა, თარგმ. შობ. 225, 4—5; რომელთა აქა განიწმიდენ თავნი მათნი ბილწებათაგან, იქვე 239, 6—7; წერილ არს, ნუ მისცემთ სიწმინდესა თქუენსა ძაღლთა, პერგელთ. 282 v, 23—25 b; სიწმინდით ზიარებაჲ, Ath.-21 39 r, 25; და ვპოოთ სიწმინდჱ გულისაჲ, იქვე 46 v, 1—2; რაჲთა ესრეთ მივსწუთეთ სრულსა სიწმინდისა განსუენებასა, იქვე 59 v, 7—8; უკუეთუ ამათ მიიღონ ზეცისა იგი მადლი და სიწმინდე სულთაჲ, იქვე 103 v, 20—21; და უკუეთუ არა განწმინდეს, იქვე 104 r, 16—17, და მისთ.

. საყურადღებოა, რომ ზოგჯერ დაწერილია ნ, მაგრამ შემდეგ გადამწერს, თუ რედაქტორს შეუნიშნავს „შეცდომა“ და ამოუშლია „ზედმეტი“ ნ (ცხორ. და შესხმ. ბასილისი 336, 24; იქვე 372. 9).

წუმედ, წუმიდ // წუმენდ, წუმინდ: რამეთუ წარვსწუმენდთ ჩუენ ქალაქსა ამას, Sin.-37 114 v, 13—14; რომელსა მიჰყავს წარსაწუმენდელად, წუაროსთ. ოთხთ. 16 r, 17—18 b; მიჰსენ ჩუენ, რამეთუ წარვწუმნდებით, იქვე 19 r, 17—19 a: მიეცით უფროჲს ხოლო ცხოვართა მათ წარწუმენდულთა, იქვე 22 r, 21—23 b; შემძლებელ არს სულისაჲ და ჯორცთა წარწუმენდად, იქვე 23 v, 19—22 b: წარიწუმინდოს ჩემთჳს, იქვე 24 r, 18—19 b; რაჲთა წარწუმინდონ იგი, იქვე 27 r, 5—6 b; ცხოვართა წარწუმენდულთა, იქვე 36 r, 11—13 b: უკუეთუ ვისმე უნდეს თავი თჳსი განრინებად, წარიწუმინდოს, რომელმან წარიწუმინდოს თავი თჳსი ჩემთჳს, იქვე 38 v, 8—14 b; რაჲთა არა წარწუმნდეს ერთი მცირეთა ამათგანი, იქვე 41 v, 13—14 a: მოიწია წყლით რღუნაჲ და წარწუმინდა, იქვე 55 v, 16—18 a: რაჲსათჳს იყო წარწუმენდაჲ ნელსაცხებელისა ამის, იქვე 59 r, 11—13 a; მოსრულ ხარ წარწუმენდად ჩუენდა, იქვე 69 r, 19—21 b; ჯერ-არს შაბათსა კეთილისა საქმე, ანუ ბოროტისაჲ, სულისა ცხორება, ანუ წარწუმენდაჲ, იქვე 72 v, 18—23 b; რაჲთა წარწუმინდონ იგი, იქვე 73 r, 15—16 a; რომელსა უნდეს განრინებად სული თჳსი, წარიწუმინდოს იგი, და რომელმან წარიწუმინდოს თავი თჳსი ჩემთჳს, იქვე 87 r, 14—19 b; სული თჳსი წარიწუმინდოს, იქვე 87 v, 3—4 a; რაჲთამცა წარწუმინდა, იქვე 89 r, 10 a; ეძიებდეს, ვითარმცა წარწუმინდეს იგი, იქვე 95 r, 16—17 a; იქმნა წარწუმენდაჲ ნელსაცხებელისაჲ, იქვე 101 v, 16—18 a; მოხუედ წარწუმენდად ჩუენდა, იქვე 121 v, 9—10 a; წარვიდეს წარწუმენდულისა მისთჳს, იქვე 141 r, 8—10 b; ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწუმენდული, იქვე 141 r, 19—21 b; წარწუმინდოს ერთი სატირი, იქვე 141 r, 8—9 a: წარწუმინდა მან ყოველიე მისი, იქვე 141 v, 20—21 b; წარწუმენ-

დულ იყო და იპოვა, იქვე 142 v, 14—15 a; მოვიდა ძმ კაცისაჲ მოძიებად და ცხორებად წარწყმენდულისა, იქვე 150 r, 1—4 b; რაჲთა იპაროს და დაკლას და წარწყმინდოს, იქვე 192 r, 8—10 b; შემძლებელ არს სულისა და ჴორცთა წარწყმენდად, Sin.-16 39 r, 6—7; რაჲთა ნუმცა რაჲ წარწყმნდების, იქვე 263 r, 11—12; ეიქმენ მე ვითარცა ჰურჩელი წყმენდული, A-38 53 v, 2; არა მნებავს სიკუდილი ცოდვილისაჲ და წარწყმენდაჲ, ეფრემ. აღსაარ. 305 v, 4—6; და წარწყმენდული აცხოენო, პალაგია 326, 18—19 b.

სიმიდ>სიმინდ: შდრ.: σεμιδαλις (53, გვ. 489): გუნდრუკი და ზეთი და სიმინდი და იფქლი და ცხოვარი და ზროხაჲ, H-1346 46 v, 13—15; აჰა, კუერცხი ესე და ღჳნოჲ და სიმინდოჲ, სწაელ. ზოსიმესი 147 r, 11—12.

ფუძ>ფუნძ: რომელსა თჳთ წმიდაჲ იგი ექმნა დამდებელ საფუძველად მღდელობასა თჳსსა, ვითარცა საფუნძველსა რასმე მტკიცესა და ყოველად შეუძრველსა, გრიგოლი საკჳრველთმოქმ. 703, 20—24 a.

წინაენისმიერთა წინ ნ ასიმილაციურად ჩანს განვითარებული.

ანალოგიური ფაქტები შენიშნულია ქართული ენის დიალექტებსა და ჭანურ-მეგრულში (24, გვ. 91 და შემდგომი).

* * *

X საუკუნის წერილობით ძეგლებში გვხვდება ნ-ს აუსლაუტში განვითარების შემთხვევები:

მე>მენ:

რომელნი მომცენ მენ, ი. 17, 11 D.

თუ კალმისმიერი შეცდომა არაა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ნ აქ შენ ნაცვალსახელის ანალოგიით არის განვითარებული (შდრ.: 6, გვ 37).

ამგვარი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია ლატალის ლექციონარში:

გარეშე>გარეშენ: არაჲინ არს სხუაჲ ჩემსა გარეშენ, ლატ. ლექც. 53 r, 15—16 a.

-მე>-მენ: თქუეს ვიეთმენ, იქვე 125 r, 6 a; ვითარცა-იგი ჩვეულებაჲ აქუს ვიეთმენ, იქვე 145 v, 10—12 b; დედათაცა ვიეთმენ ჩუენგანთა დამაკუირვეს ჩუენ, იქვე 176 r, 1—3 a;

და მისცეს მათ მონაგები თუისი ტალანტი, რომელ არს ქანქარი, რომელსამენ, იქვე 118 r, 12—15 b;

ეგონა, ვითარმედ სული რაჲმენ იხილეს, იქვე 173 v, 7—8 b.

მზისა აღმოსავალით ჩან ვიდრე დასავალამდენ, ლატ. ლექც. 115 v, 8—10 b: ვიდრემდენ ესე ყოველი იყოს, იქვე 115 v, 20—21 a; არღარა სადა ყოფილ არს ესე ჩემდა აჭამომდენ, იქვე 120 v, 4—6 b; ქათმისა ყივილამდენ სამგზის უარ-მყო მე, იქვე 131 r, 13—15 b; და აღიძრნეს წყალნი ზღუამდენ, იქვე 138 v, 8—11 b, და მისთ.

ვითარდება რ

განვითარებული [რ]-ს საშუალებით აქცესიურ კომპლექსთა დაძლევა ხდება.

ღდ>ღრდ:

მღდელ>მღრდელ: არა ეტირ მე მღრდელთა, წარტყ. იერუს. (გარ.) 4, 32 I; მღრდელთა მათთჳს განწმედილთა, იქვე 5. 4 I; თუითცა მღრდელთმთავარ იქმნა, თარგმ. ქებ. ქებათ. 401, 15—16; შინა დაწესებულნი სამღრდელონი კანონნი, იქვე 408, 2—3; სამღრდელოსა წესსა მისსა ცხად-ჰყოფს, იქვე 411, 3—4; ესე არს საქმარ მღრდელთა, იქვე 411, 5; თაესმდებობითა წმინდათა (!) მოციქულთა, წინასწარმეტყუელთა, მღრდელთმოძღუართა, ვენაჯ. ბოძ. სიგელი; რაიზომცა მღრდელი არის, დაწ. ქაქანასი.

ჯშ>ჯრშ:

მტილი დაჯრშული, წყაროჲ დაბეჭდული, თარგმ. ქებ. ქებათ. 403, 19; კართა ჯრშულთა შეეიდა, იქვე 405, 16; უსწროთ კარისა დაჯრშვად, მარგალიტი 225, 10—11.

ჯც>ჯრც:

მჯცე>მჯრცე: ისხნეს ორ კაც: ერთი იგი მჯრცოვანი და ერთი იგი ჳაბუკი, სინ. მრავალთ. 68, 35—36; სვან. მრავალთ. 143, 1—3 a: და იქმნა იგი შეზავებულ მჯრცითა, Sin.-46 12 r, 17; და ვიხილე მონაზონი მჯრცითა, ეფთჳმი 10 r, 11—13 a, და მისთ.

მჯცე>მჯრცე ხშირია „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ხელნაწერში. ნ. მარის აზრით, ამ სიტყვაში რ ნახევარხმოვნის ფუნქციით ვითარდება (49, გვ. 70—71).

ყმ>ყრმ:

სიყმილ>სიყრმილ: ანუ სიყრმილთჳ და ბრძოლთა გჳთჳამს, ათონ. მრავალთ. 10 r, 1—3 b; იყო სიყრმილი ძლიერი სოფელსა მას, იქვე 220 v,

5—6 b: მუნცა იყო სიყრმილი ძლიერი, იქვე 220 v, 8—9 b; სიყრმილი სასტიკი ყოფად არს ყოველსა ზედა სოფელსა, Ath.-42 150 r, 4—7 b; გამოზრდად მათთა სიყრმილსა, ფსალმ. 32, 18—19; და სიყრმილი ძლიერი მოიწევის ძმათა ზედა, Ath.- 25 64 r, 15—17 b, და სხვა.

ერთ შემთხვევაში რ დეცესიური კომპლექსის წევრთა შორისაც ჩნდება:

ბჳ > ბრჳ:

და იყო კრებული მოქალაქეთაჲ დიდძალი და გარემო სოფლებისაჲ მდგომარჱ წინაშე **ბრჳეთა** მის მსაჯულისათა, Sin.-11 28 v, 9—11;

რამეთუ სიმონ-პეტრეს, თავსა მას მოციქულთასა, ზედა **განბრჳო** უშჯულომან მან მეფემან თავდამოქცევით დამოკიდებაჲ, იქვე 20 v, 17—21.

ჩჩ კომპლექსის დაძლევის ერთ-ერთი გზა (დაკარგვა) ზემოთ განვიხილეთ. დასტურდება მისი სუპერაციის სხვა საშუალებაც: ამ კომპლექსის წევრთა გათიშვა რ და ურ განვითარებული თანხმოვნით (მიმდევრობით):

შენგან იშვა მჯსნელი სოფლისაჲ, ვითარცა ყრმაჲ **ჩრჩუილი**, იელ. იადგ. 7 v, 10—11; ვითარცა **ჩრჩული**, გიხილეს შენ, იქვე 15 r, 3; და გამომზრდელი ჩუენი ღმერთი, ვითარცა **ჩურჩული**, შენგან, სძალო, აღიზარდა, იქვე 7 v, 22—23.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ჩვეულებრივია ვეცხლი. ვერცხლი XI—XII საუკუნეებიდან იჩენს თავს:

შეიქმნა ჯუარი ესე ბეთანიისა ღმრთისმშობლისა, ოქროსა და ვერცხლისა წმიდისა, ბეთანიის ჯვრ. წარწ. გვ. 16; **ჰ** ეშაპო, **ვერცხლისმოყუარებისა ძირო**, ანდრია სალოსი 87 r, 19—20; უწყალოჲ არს და **ვერცხლისმოყუარე**, იქვე 88 r, 10; შემკრებელი **ვერცხლისაჲ**, იქვე 88 r, 15—16; და სძლო **ვერცხლისმოყუარებამან**, იქვე 90 v, 4—5; რაჲთა იქმნე მოყუარე ეშაპისა მის **ვერცხლისა** მოყუარებისა, იქვე 92 r, 2—4, და მისთ.

ვერცხლ-ის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია: მეგრ.-ჭან. ვარჩხილი. ვარჩხილ-ის რ მიგვითითებს იმაზე, რომ ქართულ ფორმაშიც რ უნდა ვივარაუდოთ: *ვერცხლი. როგორც უნდა შევუგუოთ ის, რომ მეგრ.-ჭან. შესატყვისის მიხედვით რ უძველეს ქართულშივე უნდა გვქონოდა, ხოლო ქართულ სალიტერატურო ენაში რ-ს შემცველი ფორმა პირველად XI—XII საუკუნეებში გამოვლინდება? ჩვენი აზრით, ქართულ-ზანურ დონეზე უნდა დაეუშვათ ერთმანეთის პარალელური: *ვეც'ხლ // *ვერც'ხლ ფორმები. *ვეც'ხლ გაბატონდა ქართულის იმ დიალექტებში, რომელთაც ასახვა პოვეს V—X საუკუნეთა სალიტერატურო ენაში. *ვერც'ხლ არქეტიპი საფუძვლად დაედო ზანურის ვარჩხილ ფორ-

მას და ზოგ ქართულ დიალექტში იმთავითვე არსებულ, ოღონდ სალიტერატურო ენაში XI—XII საუკუნეებიდან გამოვლენილ ვერცხლ. ფუძეს. ფუძე-ენის დონეზე დუბლეტურ ფორმათა არსებობას ვარაუდობს ბ. გიგინეიშვილი (46, გვ. 50—52).

ამდენად, რ-ს განვითარების ვარაუდი ამ შემთხვევაში საალბათოა: რ განვითარებულია, თუ მხოლოდ სალიტერატურო ენის მონაცემებს გავითვალისწინებთ, იგი არაა განვითარებული, თუ ქართული ენის ისტორიას, მონათესავე ენის ჩვენებას მოვიხმობთ.

რ ზოგჯერ წინაენისმიერთა წინა პოზიციაშია განვითარებული:

ფუძ>ფურძ: დაფურძნებულ იყო კლდესა ზედა, მ. 7, 25 D; დადვა საფურძველი კლდესა ზედა, ლ. 6, 48 D; რომელმან აღაშენა საბლი მიწასა ზედა თჳნიერ საფურძველისა, ლ. 6, 49 D: დაფურძნებულ იყო იგი კლდესა ზედა, ლ. 6, 48 D; ნუუკუე დადვას საფურძველი, წყაროსთ. ოთხთ. 140 v, 17—18 a.

ვ-ს განვითარება

იწრ->ვიწრ-: დაემჭკლო ზჱწარი ჩემი სივიწრესა მას კარისასა, მამათა ცხოვრ. 230 r, 15—16 a; და უვიწრესსა საყოფელსა შევიდა, ცხორ. სტეფან. ახლ. 38, 10—11 a; ნუ დაავიწრებ საქმეთა თავსა ზედა შენსა, ბალავარ. 131, 17—18 C.

ვფიქრობთ, თავდაპირველად ვ განვითარდა ზედსართავი სახელის ფუძის ბოლოკიდურა ო-ს ასიმილაციური ზეგავლენით და ზმნურ ფორმებში შემდგომ აქედან გადავიდა. ამდენად, შემთხვევითია, რომ ვიწრო ზედსართავი სახელი ძველ ქართულ ტექსტებში არაა ნაპოვნი.

უ-ს განვითარება

უ ვითარდება აქცესიურ კომპლექსებში:

ყს>ყუს:

მეყუსეულად განკჳრებაჲ დამეცა, ლიმონ. 120, 33; მეყუსეულად განუმტკიცნეს ფერჴნი მისნი, ლატ. ლექც. 183 v, 8—10 b; განახლდენ მეყუსა შინა, იქვე 315 v, 26—27 a.

ყმ>ყუმ:

სიყუმილისაგან შეიწრებული ქუეყანაჲ შენი გამოზარდე უხუებითა, ვითარცა იოსებ, იელ. იადგ. 46 v, 25—26.

უ ვითარდება დრტ, ბრგ კომპლექსებში, საფიქრებელია, რ სონორის გავლენით:

დრტ>დურტ: მოვიდა წინაშე ყოველთა ე ვ ს ე ბ ი ო ს ზემოჯსენებული მრავალგზის **დურტჯნვად**, იოანე ოქროპ. ცხორ. 126 r, 14—17; იწყებენ **დურტჯნვად**, ანდრია სალოსი 154 v, 16—17.

ბრგ>ბურგ:

და **ბურგუნვილითა** ენითა თქუმად, A-40 15 v, 6—7.

ვითარდება კ

ჳნ>ჳკნ:

რამეთუ არცა ალი ეგოს, განილიის რაჲ ნივთი; არამედ აღმგზნებელისა თანა წარჰყვის, არცა სურვილი შემოუკრბის, **დაჰკნის** რაჲ, გრიგოლ ღმრთისმეტყ. ჰომილ. 70, 14—19 b.

ეს მოვლენა ძალზე იშვიათია.

ი. ბგერათა მონაცვლეობა

გვხვდება ხმოვანთა და თანხმოვანთა შენაცვლების ფაქტები.

ე//ა:

მარჯუენე>მარჯუენა: მარჯუენაჲ შენი, უფალო, დიდებულ არს, კალ. ლექც. 205, 1—2 b; არამედ მიეც საზრდელად **მარჯუენაჲ** ძუძუი შენი, Sin.-46 7 r, 11—12; შემიპყრა მე ჴელი **მარჯუენაჲ**, ლიმონ. 40, 3 S.

მარცხენე>მარცხენა: ხოლო მარცხენაჲ ძუძუი შენი ყოველადვე არა მიიღოს, Sin.-46 7 r, 14—15; და დაედგა ბარძიმი იგი ჴელსი **მარცხენასა**, ეფრ. ასურ. სწავლ. 262 r, 1—3 a.

ნაკუერცხალ>ნაკუარცხალ: მსგავს არს ესე მცირედ ოდენ **ნაკუარცხალსა** მას, შატბ. კრებ. 64 v, 1—2 a; იხილეს **ნაკუარცხალი** მდებარჱ, Sin.-15 292, 23 a; **ნაკუარცხალი** აღეგზნა, Sin.-38 88 v, 17—18 a; შდრ.: ვითარცა **ნ ა კ უ ე რ ც ხ ა ლ მ ა ნ** მბრწყინვალებაჲ გამოსცის, შატბ. კრებ. 64 r, 19—21 a: **ნ ა კ უ ე რ ც ხ ა ლ ი** აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო და ტფებოდეს, Sin.-15 282, 3—5 b.

ყუელა>ყუალა: ვის ესე საქმადი გამოუცდია, **ყუალასა** უქია, კარაბადინი 3 r, 17.

ი // უ

სახელში ჩვეულებრივია ი ხმოვანი: ფიცი, შდრ.: უ ზმნურ ფორმაში: ფუცავს.

ზოგჯერ ი ზმნაშიც დაჩნდება:

რაჲთა კაცთა უფროჲსისა მიმართ ფიცონ, პავლ. ეპისტ. 200 v, 1 (ოღონდ შემდგომში შეუნიშნავთ და ზემოდან დაუწერიათ: ფ უ ც ო ნ); მან აფიცა მას, A-88 159, 13 b.

თანხმოვანთა მონაცვლეობა

ვ // მ

ვარსკულავ>მარსკულავ: და მარსკულავისა მიერ შეიწყნარენ, Sin.-40 160 r, 13—14; შენ გაქებენ მარსკულავნი, კურთხევანი 45 r, 2; იქმნენით მასკულავ ღმრთივ განმანათებელ, იელ. იადგ. 244 v, 19; მასკულავთაებრ მნათობთა, იქვე 246 v, 16.

მ // ნ:

მორჩ->ნორჩ-: აჰა ესერა, აღმოაცენეს ნორჩი მათი, პარხლ. მრავალთ. 189 v, 2—3 a; აღმოაცენე ნორჩი, Sin.-11 231 v, 8—9; რაჲთა გამწჯნეს და მოიღოს ნორჩი, ეზეკიელ 17, 8 I; 17, 23 I; შდრ.: მ ო რ ჩ ი O.

მ // ბ:

X—XIII საუკუნეთა ძეგლებში გვხვდება პარალელური ფორმები: მრეწეული, მროწეული, ბროწეული:

უჩუენეს ნაყოფი მისი მრეწეული და ტევანი იყო ყურძნისაჲ, შატბ. კრებ. 127 v, 2—3; მროწეული და დანაკისკუდი და ვაშლი და ყოველი ხჱ ეელისაჲ განჯმა, იოველ 1, 12 O; შდრ.: ბროწეული 1; ვენაჯსა და ლეღუსა და მროწეულსა, ანგეა 2, 19 O; შდრ.: ბროწეულსა 1; რომელსა შინა იდვა ჩამიჩი და ბროწეული, მამათა ცხოვრ. 307 v, 5—6 a; იყიდდა მისგან ვაშლსა, ჩამიჩსა, ბროწეულსა, იქვე 308 r, 4—5 a; შუენიერ, ვითარცა ნაქურცენი ბროწეულისაჲ, თარგმ. ქებ. ქებათ. 400, 10; ვითარცა მარცუალნი ბროწეულისანი, შუვანი შენნი, იქვე 415, 3—4; ხოლო ბროწეულისა ნაყოფი ხეთა არა აქუნდა, პალადი კაბადუკ. 212, 17—18 b, და სხვა.

ბ // მ:

კბოდე>კმოდე: მიიმართა კოლტმან ღორთამან კმოდესა მას ზღჳსასა, H-1888 1v, 10—14 a; ყოველნი ნავნი, რომელნი იყვნეს მას შინა, ყოველსა ადგილსა, სადაცა იპოვა: კმოდეთა და ჴეეთა და კიდეთა და მწჴერვალთა მთათასჲ, სიმძაფრითა ქარისაჲთა განთხინა, Sin.-11 356 v, 15—18; შდრ.: კ ბ ი ლ ი, მაგრამ კ მ ე ჩ ა<კ ბ ე ჩ ა (იხ. 30, გვ. 120—121).

რ // ნ:

პორფირი>პონფირი: სამოსელნი მეფეთანი ძოწეულნი და პონფირნი, Jer.-96 199 r, 1—2.

ლ // რ:

თაფლუჲი>თაფრუჲი: ღჳნოჲ და თაფრუჲი არა სუას, ქსნ. ოთხთ. 68 r, 12—13 a; Sin.-15 140, 6—7; შდრ.: ღჳნოჲ და თ ა ფ ლ უ ჲ ი არა ესუა, სინ. მრავალთ. 55, 8—9, და მისთ.

წულტუ>წურტუ: მე წურტუ ვარ, ლატ. ლექც. 73 r, 17 b; შდრ. წ უ ლ ტ უ. დაბ. 27, 11 O.

რ // შ:

ზემოთ განვიხილეთ შემთხვევები, როცა შ დისიმილაციის შედეგად რ-ს იძლეოდა (შჯული>რჯული, შჩული>რჩული). ძველ ქართულ ტექსტებში შეინიშნება ისეთი ფაქტებიც, როცა თავდაპირველი რ შ-სთან მონაცვლეობს:

რტო>შტო: ვითარცა შტოჲ მდინარისაგან განიყოფვის, სვან. მრავალთ. 388, 7—8 a; პარხლ. მრავალთ. 142 r, 20—21 b; და მიეგება სხუასა მას ხესა და შემიწყნარა მე შტოთა თჳსთა ზედა, ცხორ. შიშუელ მართალთაჲ 346, 7—9; და შტოთა რაჲზომცა ჰკაფდე, A-35 294 v, 18—19, და მისთ.

ზ // ძ:

აიღე თეთრი ცჳლი ძროხისა თეთრისა, კარაბადინი 93 r, 13—14.

ჯ //ჳ:

აიღე ჯანგარა ერთი მუტყალი, კარაბადინი 83 r, 25—83 v, 1; შდრ.: აიღე ქ ა ნ გ ა რ ა ორი დრამი, იქვე 93 v, 7.

წ // ჭ:

თუალნი დაიხუჭნა და შესუა, იოანე ღმრთისმეტყ. 149 v, 17—18; და

უალნი დაჭუხენ, იქვე 150 r, 2—3; შდრ.: და გ ე წ უ ხ ნ ე ს თუალ-
, ესაია 29, 10 O.

უ // კ:

ყურდგელ>კურდღელ: კურდღლისა ნაღველი, კარაბადინი, 82 r, 19;
ურდღელი და შუელის ჯორცი, იქვე 120 v, 11—12; შდრ.: მთანი მა-
ლნი ირემთა და კლდენი შესაკრებელად ყ უ რ დ გ ე ლ თ ა, ფსალმ.
3, 18, A.

ნაბერწყალი>ნაბერწკალ: და ნაბერწკალი გამოეცემის, ანდრია სა-
ხი 14 r, 2—3.

10. ბგერათა შერწყმა

ეუ კომპლექსი ო-ს იძლევა:

დედაუფალ>დედოფალ (55, გვ. 69): ჩუენი არა ხოლო თუ დედოფა-
ოდენ იყავ, შუშ. III, 8—9; მეფენი და დედოფალნი შეწყუდეულად
ენეს, იოვ. და ეფთ. 16, 1; წმიდაო დედოფალო, მოეალ, დიალოღ.
r, 1—2 a.

X საუკუნის ძეგლებში დასტურდება **ხაჭო<ხაჭუა** (16, გვ. 138):
და ვიხილე სისხლი იგი და შეიქმნა ვითარცა ხ ა ჭ უ ა ჲ. Sin.-46
r, 2—3; შდრ.: ანუ არა ვითარცა სძო მომწუელე მე და შემყავ მე
ვითარცა **ხაჭოჲ**, იობ. 10, 10 O; შეიქმნა ვითარცა **ხაჭოი**, Ath.-25 90 v,
5; a.

ხაჭო<ხაჭუა უა კომპლექსისაგან ო-ს მიღების შედეგად. ასევე
ა<ეჩუა (16, გვ. 138):

და მძლავრ ეჩოჲთა წარკუეთოს ქედი შენი, პარხლ. მრავალთ. 8 r,
—1.6 a; გამოთალა ხურომან ეჩოჲთა, იქვე 589 r, 24—25 a.

ვიანდელ ტექსტებში უა>ო პროცესი ხშირია (უძველეს ქართულ
ტექსტებში ეს პროცესი არ ხდება, 8, გვ. 73—82):

აჲთა არა შეუშონ, ქ. ცხ. 276, 1.

უერდი მწოვედ სტკიოდეს, კარაბადინი, 168 v, 18—19; მაშინ უნდა
ო ხაშხაშისა შარაბი, იქვე 100 v, 20—21; ბუელითა ღუინითა შეასო,
114 v, 23; რძე შეასონ, იქვე 117 v, 21.

ს კომპლექსი გვაძლევს ც აფრიკატს:

ერთსახე>ერცახე: თავ-თავი გინა **ერცახედ**, Sin.-34 210 v, 15; მიერითგან ერთცახედ ეუფლიან, ათ.. ასკეტ. კრებ. 309 r, 20—21 a; ხოლო ბორცუ იგი ჯუარისაჲ **ერცახჱდ** კუმოდა სულნელად, მრავალთ. 138 v, 25—27 b; კმანი ახალნი **ერცახედ**, ლაიპც. საგალ. მინაწ. 2 r; ჰრქუა მან: რამეთუ ერცახე აოკრებულ არს, ნაყოფი ვითარ მოგუცეს, A-35 212 r, 6—8.

გუერდსა>გუერთსა>გუერცა: რა სნეულსა გუერცა დაუჯდე, კარაბადინი 80 r, 9—10; გუერცა უწერია, იქვე 89 r, 25—89 v, 1.

გუერდსა>გუერთსა რეგრესული კონტაქტური ასიმილაციური დაყრუებით. ამ შუალედური საფეხურის გარეშე ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა გუერდსა>გუერცა (დს>ც?).

თშ მიმდეურობის შერწყმით ჩ აფრიკატს ვიღებთ:

ათშჯდმეტ>აჩჯდმეტ: და ესე იყო ყრმა ჰაბუკ ვითარ ათრვამეტის წლის, გინა უკნინჱს, **აჩჯდმეტის** წლის, სვან. მრავალთ. 412, 25—28 a; იყო იოსებ **აჩჯდმეტ** წლის, დაბ. 37, 2 O;

ხუთშაბათ>ხუჩაბათ: დღესა **ხუჩაბათსა** მწუხრი, ლატ. ლექც. 35 r, 1 a; მწუხრი **ხუჩაბათსა**, იქვე 93 r, 20 b; 107 r, 3 a; დღესა **ხუჩაბათსა**, იქვე 66 r, 24 a; 78 r, 28 b; 93 r, 11 b; 106 v, 11 b; 185 r, 23 b; 195 v, 19 b; 230 r, 27 b; 213 v, 12—13 a; ჰპოო ბზობისა **ხუჩაბათსა**, იქვე 290 r, 25—26 a; **ხუჩაბათსა**, იელ. იადგ. 97 v, 7; დღესა **ხუჩაბათსა**, პარიზ. ლექც. 47 v, 14 b; 108 r, 25 a.

ლიტერატურა

1. ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბ., 1957.
2. ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ეფიზისტყაოსნის ლექსიკიდან, II. შ ე ნ ი ს ვ ნ ე ბ ა: შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., 1966.
3. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, „ვ" ბგერის შეტათეზისი ქართულში: „მომავალი", თბ., 1921.
4. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
5. ღ. ბ ა ს ი ლ ა ი ა, ი ასოს დაწერილობის საკითხისათვის XI—XIII საუკუნეთა მწიგნობრულ ძეგლებში: მაცნე, 1979, № 4.
6. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.
7. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
8. ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, შ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, [ჳ], [ჷ], [ჳე], [ჷე] და [ო] სეგმენტთა ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: მრავალთავი, III, თბ., 1973.
9. თ. გ ო ნ ა შ ვ ი ლ ი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან: ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940.
10. ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უმარცვლო ჳ ძველ ქართულში: თსუ შრომები, 90, თბ., 1960.
11. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა ქართველურ ენებში, II: ტუმ. X, 1930.

12. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I: მიმომხილველი, ტფ., 1926.
13. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, ჯ და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში: საქართველოს არქივი, II, ტფ., 1927.
14. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სინური მრავალთავის ზოგიერთი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თავისებურება: თსუ შრ., 93, 1960.
15. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, თბ., 1949; 1953.
16. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, ნაწ. II, თბ., 1971.
17. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბ., 1963.
18. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვინეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.
19. ს. კ ა ყ ა ბ ა ძ ე, Ø-ს მნიშვნელობა ძველს ქართულში: საისტორიო კრებული, IV, ტფ., 1929.
20. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი: იქვე, VI, 1954.
21. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, პიე-ეტრატის იადგარის ფონეტიკური და ორთოგრაფიული თავისებურებანი (ხელნაწ.), თბ., 1941.
22. ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I. თბ., 1962.
23. ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
24. ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, ჰანურ-მევრულის ფონეტიკა, თბ., 1953.
25. გ. რ ო გ ა ვ ა, დეცესიურ-პარმონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისტორიისათვის ქართველურ ენებში: მაცნე, 1965, № 2.
26. გ. რ ო გ ა ვ ა, ვ. ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში: ქუთ. პედ. ინსტ. შრ., XVIII, ქუთაისი, 1958.
27. ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, სულ და სუნ ლექსემათა ურთიერთმიმართებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 62, № 1, 1971.
28. ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ორი ზანური ზმნური ძირის ძველქართული შესატყვისებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 58, № 1, 1970.
29. ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები. თბ., 1975.
30. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ჰარმონიულ კომპლექსთა დიაქრონიული ინტერპრეტაციისათვის ქართულში: მაცნე, 1971, № 4.
31. ჰ. ფ ო გ ტ ი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.
32. ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ეტიმოლოგიური დაკვირვებანი: ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969.
33. ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964.
34. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მასალები Ø-ს ისტორიისათვის (ხელნაწ.), თბ., 1944.
35. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.
36. ა. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1959.
37. ა. შ ა ნ ი ძ ე, (ალ. ბარამიძე, ი. აბულაძე), ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფ., 1934.
38. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართულის ქრესტომათია, ტფ., 1935.
39. მ. შ ა ნ ი ძ ე, ი ხმოვნიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში: თსუ. გიორგი ახვლედიანს, თბ., 1969.
40. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვ-ინის რეფლექსები ფერეიდნულში: ჩვენი მეცნიერება, 1923, № 2—3.

41. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
42. ზ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.
43. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
44. ალ. ჭინჭარაული, ხევსურეთის თავისებურებანი, თბ., 1960.
45. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
46. Б. К. Гигинейшвили, Сравнительная реконструкция и вопрос о вариабельности в языке — основе; Вопросы языкознания, 4, 1972.
47. Э. Косериу, Синхрония, диахрония и история: Новое в лингвистике, III, М., 1963.
48. Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.
49. Н. Я. Марр, Георгий Мерчули, Житие св. Григория Хандзтийского: ТР, IX, С-Пб., 1911.
50. Н. Я. Марр, Заметки по текстам св. Писания в древних переводах армян и грузин: ХВ, II, С-Пб., 1913.
51. Н. Я. Марр, Надпись Епифания, католикоса Грузии: ИАН, С-Пб., 1910.
52. А. Мартине, Принцип экономии в фонетических изменениях, М., 1960.
53. И. А. Орбели, Избранные труды, Ереван, 1963.
54. А. А. Реформатский, Введение в языкознание, М., 1960.
55. G. Deeters, Armenisch und Südkaukasisch: Caucasica, Fasc. 4, Leipzig, 1927.
56. F. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden, 1953.
57. Karl Horst Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen. Grundsprache, Wiesbaden. 1962.
58. H. Vogt, Alternances vocaliques en géorgien: Norsk Tidsscrift for Sprogvidenskap, XI, Oslo, 1965.

XII თავი

სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები

1. წრფელობითის საკითხი

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ წრფელობით ბრუნვას (14, გვ. 309; 7, გვ. 23—25, 504): ღ მ ე რ თ, კ ა ც, ს ა ხ ლ, ხ ე, დ ა ბ ა, და მისთ.

ნ. მარი ამ ფორმებს ცალკე ბრუნვად თვლიდა და მას გაუფორმებელ ბრუნვას უწოდებდა (22, ტაბ. V—VII; 21, გვ. 29). ფ. ცორელის აზრით, ამ ფორმას პრედიკატივი უნდა დავარქვათ (24. გვ. 19—20; 96—98).

არნ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ წრფელობითის ბრუნვად მიჩნევა უხერხულია (15. გვ. 13, შენ. 2). ჰ. ფოგტი მას გვარეობით სახელობითს უწოდებს (11, გვ. 251—284). გ. დეეტერსი წერს, რომ ეს ფორმა ბრუნვათა რიგიდან უნდა ამოირიცხოს (23, გვ. 14).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულში წრფელობითის ფუნქციები არსებითად სახელობითისას ემთხვევა (20, გვ. 46—47; 7, გვ. 637 და შემდგ.).

ე. თოფურია მიუთითებს: „წრფელობითი ძველ ქართულში სინტაქსური ფუნქციით უღრის სახელობითს და დროთა ვითარებაში კიდეც შეცვალა უკანასკნელმა“ (5, გვ. 506). იქვე ნათქვამია, რომ „უკვე ძველსავე ქართულში გვხვდება წრფელობითის მონაცვლედ სახელობითი ბრუნვა და ისიც არა მარტო სხვადასხვა ტექსტის ერთნაირ კონსტრუქციებში. არამედ პარალელურად, ერთისა და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციაში“ (5, გვ. 506).

ვ. თოფურიას და გ. კლიმოვს ძველი ქართულის ტექსტებიდან დამოწმებული აქვთ წრფელობითისა და სახელობითის მონაცვლეობის ფაქტები.

ჩვენი მასალების მიხედვით, სახელობითი ბრუნვა საკმაოდ ხშირად გვხვდება იქ, სადაც ნორმების მიხედვით წრფელობითია მოსალოდნელი:

ა) შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად: ნუ განხყოფ მეუფებასა მას, რამეთუ ერთი არს მეუფჱ ცათაჲ, ხანმ. მრავალთ. 146, 21—146,

2: ბრძენი იყო ყოვლითავე წმიდაჲ ესე, სინ. მრავალთ. 19, 3; 21, 30; ანგელოზი არს ესე და არა კაცი, იქვე 26, 8; ესე ტაძარი არს და არა მაყუალი, იქვე 26, 9; და რამეთუ მსახური არს ზეცისაჲ, რომელ-ესე ჩანს, დგომაჲ, არა თუ ღმერთი არს, იქვე 26, 17—18; რამეთუ იგი იყო ჭეშმარიტი ჯორცი, იქვე 51, 2—3; ჩუენ მოწამე ვართ, ვითარად მართალი კაცი ხარ, იქვე 55, 30; ჯუარი სიქადული არს ყოველთა მოსავთა მისთაჲ, იქვე 223, 20; სული არს განმაცხოველებელი, ი. 6, 63 C; შდრ.: განმაცხოველებელ DE; და ერთი თქუენგანი ეშმაკი არს, ი. 6, 70; მამაჲ ჩუენი აბრაამი არს. ი. 8, 39 C; სადა-იგი იყო ლაზარე მომკუდარი, ი. 12, 1 C; შდრ.: მომკუდარ DE; იგი მეძავი არს წინაშე ღმრთისა, Sin.-36 46. 17—18 a; ნუ ჰგონებთ, ვითარმედ ესე სიტყუაჲ უქმი არს, მამ. სწავლ. 104, 8—9 A; მოგუასწავებს, ვითარმედ ებისკობოსობაჲ თჳთ საკუთარი არს კაცთა შორის ყოველთა, იქვე 105, 18—19 A; მისი შვილი ვარ, იქვე 106, 4 A; რამეთუ ქრისტეანისაჲ ერთი არს განსაცდელი და მწუხარებაჲ, იქვე 117. 6—7 A; რომელსა ზედა არღარაჲ სავნებელი იყოს, იქვე 125, 9 A. და მრავალი სხვა.

ბ) ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ნუსხა (ან რედაქცია) წრფელობითსა და სახელობითს ერთმანეთის მონაცვლედ წარმოგვიდგენს:

რომელთა არა აქუნ მწყემს, მთ. 9, 36 D; შდრ.: მწყემსი CE; Sin.-15 24, 1 b: ამას დიდ ერჭუას სასუფეველსა ცათასა, მთ. 5, 19 DE; შდრ.: დიდი C; არასადა ეცეს ნათესავსა ამას სასწაულ, მრკ. 8, 12 C; შდრ.: არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული DE; და იყო დაუუდებაჲ დიდ. ლ. 8, 24 C; შდრ.: და იყო დაყუდებაჲ დიდი DE; კაც ერთ იყო მდიდარ. ლ. 16, 1 C; შდრ.: კაცი ვინმე იყო მდიდარი DE; არას მივის მე ქმარ, ი. 4, 17 C; შდრ.: ქმარი DE; ხედვიდა, რამეთუ სხუა ნავ არა იყო მუნ, ი. 6, 22 C; შდრ.: უწყოდეს, რამეთუ სხუაჲ ნავი არა იყო მუნ DE; და წარჰკოცდა მჩურითა მით, რომელ მოერტყა, ი. 13, 5 CD: შდრ.: და წარკოცდა არდაგითა მით, რომელი ევოსა E: და მოვიდა აბინერ თხრობად დავითისა და მის თანა ოც ოდენ კაც. II მეფ. 3, 2 O: შდრ.: და მის თანა ოცი კაცი I.

ხშირია შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ნაწყვეტში ერთმანეთის პარალელურად ერთი და იმავე ფუნქციით გვხვდება წრფელობითისა და სახელობითის ფორმები:

ხოლო წმიდაჲ ეკლესიაჲ დაფუძნვილი[1] და დამტკიცებულ არს კლდესა ზედა შეუძრაესა, სინ. მრავალთ. 51, 35—36; ნუუკუე ვინმე ერთად შეარწყუას ღმრთეებაჲ, არამედ წმიდაჲ სამებაჲ სრული; მამაჲ სრული, ძჲ სრული, სული წმიდაჲ სრული, ერთი ღმერთი და ერთ ღმრთეებაჲ, იქვე 54, 4—6: მორჩილებაჲ დედა არს ყოველისა კეთილისა საქმი-

[1] გამოცემაშია: დაფუძნვილ.

საი. დაწყებაი არს და აღსრულებაი მცნებათა ღმრთისათა, მამ. სწავლ. 172, 6—8 A; სიმდაბლე განმამრავლებელი არს მშჯდობისაი და მომგებელი არს სიყუარულისაი, განმაძლიერებელი არს მომგებელთა მისთაი, განმაშორებელ იჯჳსა, დამარღუეველ წინააღმდგომისა, დამაწყნარებელ რისხვისა, განმაბნეველ შფოთისა და განმაქარვებელ ძჳრისჯსენებისა, განმაძებელ ბოროტისა და მტერობისა, დამაცუდებელ შურისა და წარმწყმედელ ყოელისა ბოროტისა, იქვე 172, 8—13 A; რამეთუ იყო იგი უძლურ და სავსე წყლულებითა, დავრდომილ კარსა ზედა მდიდრისასა. საძაგელი მის მიერ და მსახურთა მისთაგან, იქვე 181, 28—30 A; სიყუარული მიზეზი არს ყოველთა სათნოებათაი, სიყუარული მარილი არს ღმრთისმსახურებისაი შეზავებული, სიყუარული აღმასრულებელ არს ყოელისა შჯულისაი, იქვე 207, 13—15 A; და შემწე არს მონაზონთაი და დამამტკიცებელ, სარწმუნოებისა მცველი და მაცხოვარი ყოველთაი, იქვე 210, 25—26 A, და მისთ.

როგორც ვხედავთ, V—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში წრფელობითისა და სახელობითის ფორმები ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან[1]. ძველ ქართულში ამ ფორმათა ფუნქცია არსებითად ერთნაირია[2]. ი. იმნაიშვილი მართებულად შენიშნავს: „ძველი ქართული ამ ორი ბრუნვის ურთიერთობის იმ მდგომარეობას ასახავს, როცა სახელობითი კარგა ხანია ჩამოყალიბებულია, წრფელობითი კი თანდათან გადის ხმარებიდან“ (7, გვ. 637).

ვფიქრობთ, რომ ძველი ქართულის დონეზე წრფელობითის ცალკე ბრუნვად გამოყოფა არ არის მართებული, რადგან, ჯერ ერთი, მას აღარ მოეპოვება რაიმე განსაკუთრებული ფუნქცია, განსხვავებული სახელობითის ფუნქციათაგან; მეორე, ძველ ქართულ ტექსტებში წრფელობითი და სახელობითი ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან.

ჩვენი აზრით, „წრფელობითის ფორმა“ ძველი ქართულის დონეზე სახელობითია. კაც უნიშნო სახელობითი არის, კაცი — ნიშნიანი. სწორედ

---

[1] ერთადერთი შემთხვევა, სადაც წრფელობითს არ შეიძლება შეენაცვლოს სახელობითი, არის რთული ზმნები ღალად-ყო ტიპისა და ზოგი ისეთი გამოთქმა, რომლებიც კომპოზიტად შეიძლება იქნეს გაგებული (არა კაც-ჰკლა... ამგვარ ფორმათა შესახებ. 11, § 8—13; 7, გვ. 659).

[2] ი. იმნაიშვილი წრფელობითის ფუნქციებად თვლის: 1. ქვემდებარის გამოხატვას; 2. პირდაპირი დამატების აღნიშვნას; 3. ამ ფორმის გამოყენებას შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად; 4. დროის გარემოებად ხმარებას; 5. ვითარების გარემოებად გამოყენებას... სახელობითში დასმული სახელი გამოხატავს: 1. ქვემდებარეს; 2. პირდაპირ დამატებას; 3. ვითარების გარემოებას; 4. დროის გარემოებას (7, გვ. 637—681). ამას გარდა ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ სახელობითი ხშირად გვხვდება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად. ასე რომ, ყველა ზემოჩამოთვლილი ფუნქცია წრფელობითისა და სახელობითისა ერთმანეთს დაემთხვა.

იმის გამო, რომ კაც და კაცი ძველი ქართულის დონეზე სახელობითის ფორმებია. შესაძლებელია მათი მონაცვლეობა სინტაქსურ კონსტრუქციებში ისე, რომ წინადადების სტრუქტურა და აზრი უცვლელი რჩება.

2. ბრუნვათა ნიშნების ცვლილებები

ენის ფონეტიკურ სისტემაში მომხდარ ზოგ ცვლილებას, ბუნებრივია, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მორფოლოგიისათვის, კერძოდ, სახელთა ბრუნებისათვის. დამავალ დიფთონგთა მოშლის ერთ-ერთი გზა ზემოთ განვიხილეთ. ამ ფონეტიკური პროცესის შედეგად ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითის ნიშნის ნულოვანი ვარიანტი მივიღეთ (სათანადო მაგალითები ზემოთაა წარმოდგენილი, აქ მხოლოდ თითო-ოროლას დავასახელებთ):

ს ი ტ ყ უ ა ღმრთისაჲ კაც იქმნა, სინ. მრავალთ. 48, 36; აქუნდეს ცხორებაჲ ს ა უ კ უ ნ ო, ი. 3, 36 DE; მუნცა ექმნა მას ადგილი იგი ს ა მ ა რ ხ ო, ეფრ. ასურ. სწავლ. 180 r, 19 b — 180 v, 2 a, და მისთ.

ხოლო ისეთ შემთხვევებში, როცა დამავალი დიფთონგების მოშლა სხვა გზით (აჲ>აი და სხვა), დიფთონგის მეორე წევრის სრულ ხმოვნად ქცევით, არის სავარაუდებელი, სახელობითის ნიშნად, ცხადია, ი გვექნება:

იყოს უ დ ა ბ ნ ო ი წყურნებად, ლატ. ლექც. 5 r, 2—4; შენ გმოსიეს ს ტ ა ვ რ ა ი, Sin.-36 64, 2—3; სწავლ. იოანე ოქროპ. 139 r. 8—9; განჰკურნე შენ ძ უ ძ უ ი იგი დედაკაცისაჲ, Sin.-64 73 r, 27—28, და მისთ.

ხმოვანფუძიან ფუძეუკეცელ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში პირველ შემთხვევაში /-ს/ და /-თ/ ალომორფები გვექნება; ხოლო მეორე შემთხვევაში კი /-ის/ და /-ით/:

ა) და ვითარ წარვიდოდა ზღუს კიდესა **გალილეასასა**, მრკ. 1, 16 C; რაჟამს იშვა **ანასგან** უბიწოჲსა, პარაკლიტ. 142 r, 3; რომელი-იგი იყოფის ღაერასა წმიდისა **საბასსა**, ეფთჳმი 111 v, 4—5; ცეცხლისა მისგან **უნივთოსა**, პარაკლიტ. 141 r, 11—12; ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა, კურთხევანი 121 r, 21; დასხნეს საკურთხეველსა ქუეშე ძუალნი წმიდათა მარტჳლთანი: **ტარაქოსნი, ბარბოსნი** და **ანდრონიკოსნი**, ეფთჳმი 100 v, 6—10; გლოაჲ ჴეშმარიტი დეზი არს **ოქროსაჲ**, კლემაქს. 78 r, 24—25; რაჲთა სასუფეველსა ცათასა მიწევნად ღირს ვიქმნეთ ქრისტჱს **იესუს** მიერ, სინ. მრავალთ. 45, 5—6; ესე იესუს თანა იყო ნაზორეველისა, მთ. 26, 75 C; რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი **იესუსი**, მთ. 26, 75 C; რომელი-იგი იყო **ძუძუსმტჳ** ჰეროდე მეფისაჲ, S-407 216 v, 18—20 b; S-1398 107 v, 18—20 a; სინ. საქმ. მოციქ. 33 r, 10—12, და სხვა;

იწყო გალილეათ ვიდრე აქამდე, კურთხევანი 75 r, 22: მეოხებითა წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისათა, ჯრუჭ. ოთხთ. ანდერძი 291 r: და მახითა ეშმაკისათა, ეფრ. ასურ. სწაველ. 191 v, 3—5 b: რომელ თავით სათუალავნი არიან, ქართლდ არიან, და რომელნი ბოლოთ, იერუსალჱმდ, ასტრ.-გამოთელ. ტრაქტ. 19 v, 24—25 (იოანე-ზოსიმეს მინაწ.); და გუნდი ეშმაკთაჲ განიოტე უდაბნოთ შენით, წმიდაო საბა, Sin.-1 285 v 25—26; მომინადირა მე მტერმან ჩემმან მახითა მით სასიკუდინოთა, პარაკლიტ. 187 r, 13—14; და არს ჩრდილოთ მისა, ეფთჳმი 97 v, 7; ხოლო ბრძანებითა იოანე ეპისკოპოსისა შეყენებულისაჲთა გამოვედ საკრებულოთ და ვიყოფოდე ნიალაერას, იქვე 135 v. 1—5, და მისთ.

ბ) ხოლო მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი ნარდისაჲ სარწმუნოისაჲ, იქვე 111 r, 13—16 b: და იყო სიტყუაჲ უფლისაი იონაის მიმართ, იქვე 166 r. 13—14 a: რამეთუ იგი იქმნა დასაბამ წარწყმედისა იუდაისისა, მრავალთ. 78 r, 30—32 a: შევიდეთ იწროისაგან ბჳისა, A-1699 5 r, 7—8 a: ვითარცა ბრძმედი გამომცდელი ოქროისა და ბრპენისაჲ, თარგმ. კათ. ეპისტ. 228, 18—20 b; ხოლო აღორძინდა რაჲ სიჩჩოისაგან, ცხორ. ანტონი დიდისაჲ, 247 v, 21—22 a. და ა. შ.;

და აღიესნეს მთანი იგი დროშაითა, შატბ. კრებ. 228 v. 1—2 b: ყოველივე შეჰქმენ მამაით და დედაით, კურთხევანი 20 v, 11—12: გამომიყვანე მე საშოით, სასოო ჩემო, დედის ძუძუით ჩემითგან, ქრისტინა 423, 29—30; რომლისა შემძლებელ ხართ, აღმოიკითხოთ რაჲ, ცნობად გუჯისკმის-ყოფისა მის ჩემისა საიდუმლოითა მით ქრისტესითა, თარგ. კათ. ეპისტ. 253, 16—20 a; ხოლო საქებელითა და სათნოითა და ქებულითა სრულებით ისწავლეთ, იქვე 332, 1—3 a, და მისთ.

გაცვეთის გზით მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ნ-ს კარგავს: მან>მა. სალიტერატურო ენაში ეს მოვლენა პირველად ადიშის ოთხთაში (897 წ.) იჩენს თავს და საკმაოდ ხშირია X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში. აქ მოვიტანთ ყველაზე დამახასიათებელ ნიმუშებს:

და მუნჭუესე ღაღატ-ყო მამამან მის ყრმისამა, მრკ. 9. 24 C: მარიამ მაგდანელმან და მარიამ იაკობისმა და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, მრკ. 16. 1 C: და ინაჯ-იდგა კაცებმა მან. ი. 6. 10 C: ვითარცა მამცნო მე მამამა, ეგრე ვიტყჳ. ი. 12, 50 C: უკუეთუ მე დაგბანნე ფერჳნი თქუენნი, უფალმან და მოძღუარმან თქუენმა, Sin.-36 23. 13—15: ვითარმედ თქუა წმიდამან მოციქულმან პავლე მოძღუარმა ეკლესიათამან, ათონ. კრებ. 72 r, 17—19 a; რომელმაცა ჯერ-იჩინა მოწყალებით ჴსნაჲ კაცთა ნათესაისაჲ, A-603 87 v, 12—13: თავადმა ჰრქუა, Sin.-30 26 r, 16 b; რომელი მოაელინოს მამამა სახელითა ჩემითა, Sin.-38 80 v, 16—18 a: რომელი აჰმართა ნაბუქოდონოსორ მეფემა, სინ. ლექც. 27, 7—9 b: 28, 10—11 a; უმრაველესი მსხუერპლები შეწირა ღმრთისა აბელმა, S-1138 167 v, 1—3 a; და თუ ყოველმან ერმა ერთბამად შესცოდოს, პარხლ. მრავალთ.

229 r, 26—27 a; ხოლო სანატრელმა ქრისტეფოროს ჰრქუა. იქვე 404 r, 10—11 a; სარწმუნოებამა შენმან გაცხოვნა შენ, წყაროსთ. ოთხთ. 78 v, 21—23 b: მჯეველმა იხილა იგი, იქვე 105 v, 8—9 b; უგუნურმა ჰურია იქმია. იელ. იადგ. 232 v, 26; ვერ სძლო ბუნებითმა შვილისა სიყუარულმან, იქვე 240 r, 13; მეცნიერმან ყოფადთამან და მწოდებელმა სიბრძნით არაარსთა მათ, იქვე 245 v. 30; არაი შემეშინოს, რაი მიყოს მე კაცმა, პავლ. ეპისტ. 210 v, 28—29, და სხვა.

ეს მაგალითები მიუთითებენ, რომ IX—XI სს-ში მოთხრობითის ნიშანი უკვე -მა იყო.

-მა დაბოლოება გვაქვს „ვეფხისტყაოსანშიც“:

ესე წიგნი გაასრულა წყლიანმან და სიტყვა-ნ ა ზ მ ა,
წელთა ოქრო შემოირტყა, საღარიბოდ მოეკაზმა (171, 1);

ავთანდილ შეჯდა, წავიდა, ტარიას გაესალამა,
იგი ორნივე გაყრისა დაწვნა ცეცხლისა ა ლ ა მ ა,
სრულად ინდონი მისტირან, ცრემლმან მინდორი დალამა,
ავთანდილ იტყვის: „მომკლაო სოფლისა მე ს ა მ ს ა ლ ა მ ა“ (1591).

ეს ფორმები ნათელყოფენ, რომ სავსებით დასაშვებია -მა დაბოლოება მე-9 სტროფშიც:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან და-ვე-მრთოს ლაღმან და ლ ა მ ა ზ მ ა ნ ე ბ ი.

ასეა მრავალ ხელნაწერში (ACDEFJ . . .), არაერთ გამოცემაში. ზოგი გამომცემელი ასწორებს: ლ ა მ ა ზ მ ა ნ. ამ გასწორების შედეგად რითმის აგებულება ირღვევა: მ ა ნ ე ბ ი, მ ა ნ ე ბ ი, მ ა ნ ე ბ ი, მ ა ნ ე ბ ი. ამიტომაც ამ შემთხვევაში ლ ა მ ა ზ მ ა ნ ე ბ ი სავსებით კანონიერი წაკითხვაა.

XI—XII საუკუნეებში -მ დაბოლოებაც არსებობდა ხმოვანფუძიან სახელებთან. ამას „ვეფხისტყაოსანი“ ადასტურებს:

მაშინ სოფელმან ს ა წ უ თ რ ო მ იუხვის, რაცა ვინები,
აწ ხელ-მქმნა, რომე საახლოდ მხეცთაცა მოეწყინები (392, 3—4):

პირველ მითხრა: „არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას გამსგავსო?
ანუ აგრე რ ა მ დაგლია, ანუ პირველ რ ა მ გაგავსო (602, 1—2).

ამიტომ სავსებით მოსალოდნელია -მ შემდეგ შემთხვევაშიც: ვაჲ, რად დაგვწვენ უ ც ხ ო მ უცხო, რად მოგვიდევ ცეცხლებრ ალი (973, 4). ასეა მრავალ ხელნაწერსა და გამოცემაში.

მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთ ალომორფად X—XIII საუკუნეთა ძეგლებში დასტურდება -იდ (მიღებული გან თანდებულისეულ გ-სთან ასიმილაციური გამეღერების გზით):

და აღიპყრეს აფრაჲ იგი მცირჱ და ქარით კერძო ეპყრა ჯიდჱდგან, H-1346 16 v, 14—16; ვინაიდგან, ვიჯმენ, — ჯმუბს, — სჯულიერისა სამსახურისა, თარგმ. ქებ. ქებათ. 387, 16—17; ვინაიდგან უმრავლესნი მათგანნი მეთევზურნი იყუნეს, იქვე 396, 3—4; ვინაიდგან ბუნებასა ცხადჰყოფს თუალთა მიერ, იქვე 400, 9; დამწყებელი თავიდგან სიძე მქებელ ექმნების სძალსა, იქვე 400, 15; ვინაიდგან ჴელი მისი განუღე დისწულსა ჩემსა, იქვე 406, 6—7: ადრიდგან მქონ(და) სასოებაი, სიგ. ჰიაბერისი შიომღვ.; რაჲცა ძუელიდგან არა ზედა სდებია, სიგ. მიქელ კათალიკოსისა: რაიცა მას სოფელსა ძუელიდგან ჰქონებია, დაწ. ძაგან. აბულეთ.; რომელნი საუკუნიდგან სათნო ეყუნეს უფალსა ღმერთსა ჩუენსა, იქვე.

ვით. ბრუნვის -ათ / -თ ალომორფი პირველად ადიშის ოთხთაეში გამოელინდება:

და აღვიდა იგი მთათ, მრკ. 3, 13.

შემდგომში ამგვარი ფაქტები რამდენჯერმე დასტურდება IX—X საუკუნეთა ძეგლებში. სათანადო მასალა ზემოთაა მოტანილი. აქ მას აღარ გავიმეორებთ, დაესძენთ მხოლოდ, რომ ამ დროის ცოცხალ მეტყველებაში ვითარებითის ნიშნად -ათ / -თ უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, შეგვიძლია აღვადგინოთ IX—XIII საუკუნეთა ცოცხალ მეტყველებაში რეალურად არსებული ბრუნების სურათი:

სახ. კაც-ა
მოთ. კაც-მა
მიც. კაც-სა || კაც-ს
ნათ. კაც-ისა || კაც-ის
მოქმ. კაც-ითა || კაც-ით
ვით. კაც-ათ
წოდ. კაც-ო

სახ. წყარო
მოთ. წყარო-მა; წყარო-მ (XII-XIII სს).
მიც. წყარო-სა || წყარო-ს
ნათ. წყარო-სა || წყარო-ს
მოქმ. წყარო-თა || წყარო-თ
ვით. წყარო-თ
წოდ. წყარო-ო; წყარო-ჲ (XII-XIII სს)

წყარო-ი
წყარო-მა; წყარო-მ
წყარო-სა || წყარო-ს
წყარო-ისა || წყარო-ის
წყარო-ითა || წყარო-ით
წყარო-თ
წყარო-ო; წყარო-ჲ

8. ანთროპონიმთა საზოგადო სახელების ბრუნებასთან გათანაბრების ტენდენცია

ადამიანთა საკუთარი სახელები (ანთროპონიმები) ძველ ქართულში ბრუნებისას საკმაოდ გამოავლენენ თავისებურებებს: ჩვეულებრივ, ისინი სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში უბრუნვისნიშნებოდ, ფუძის სახით, არიან წარმოდგენილი, არ დაერთვის ა ემფატიკური ხმოვანი, იშვიათად აქვთ მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმები, არ ეწარმოებათ მრავლობითი რიცხვი, არ იკუმშებიან და არ იკვეცებიან (21, გვ. 29; 14, გვ. 016; 11, გვ. 265; 7, გვ. 369 და შემდგ.; 20, გვ. 41 და შმდგ.).

ამავე დროს მიუთითებენ, რომ ეს ნორმები ხშირად ირღვევა. საკუთარი სახელები საზოგადო სახელებთან გათანაბრების ტენდენციას გამოავლენენ.

ცნობილია, რომ საკუთარი სახელი ძველ ქართულში არაიშვიათად სახელობითის ნიშნით არის წარმოდგენილი (17, გვ. 170—178; გვ. 265; 7, გვ. 371—373; 20, გვ. 42). სახელობითის ნიშნიანი ანთროპონიმი პირველად VII ს.-ში გვაქვს:

მოვიდა გუელი იგი და პოვა ევჱაჲ მარტოჲ, პროტოევანგ., გვ. 61; წარიყვანა მარიამი იოსებ. იქვე გვ. 68.

სახელობითის ნიშნიანი საკუთარი სახელები საკმაოდ ხშირად დასტურდება ქართული ენის ისეთ უმნიშვნელოვანეს ძეგლებში, როგორიცაა: სინური მრავალთავი, ადიშის ოთხთავი, უდაბნოს მრავალთავი, შატბერდის კრებული, ოშკური ბიბლია და სხვ.:

ზირაქ შეიპყრა კაჱაჲ და ძჱ მისი თარჯუჯი, ატენის 853 წ. წარწერა; გუერდისაგან მისისა ევჱაჲ გამოიყვანა, სინ. მრავალთ. 5, 34—35; ადამი განააწლა, იქვე 6, 13; რაჲთა აღადგინო დაცემული ნათესაჲი — პირველ შექმნული ადამი, იქვე 6, 34—35; ადამი კუალად განააწლო, იქვე 16, 20—21; შდრ.: ა დ ა მ კუალად აღადგინო, იქვე 16, 29; პოვა ელისაბედი მიდგომილი, იქვე 29, 6: ადამი დაჰბადა, იქვე 34, 33; სცთა ადამი, იქვე 35, 9; ევჱაჲ სცთა, იქვე 38, 22: ადამი სამოთხით გამოჴადა, იქვე 38, 26; ადამი პყრობილებისაგან განეტევების, იქვე 91, 12—13; უკუეთუ ამის ჴმისამცა მორჩილ იყო ადამი, იქვე 101, 38: არა ვითარ ევა ქაენი შვა, იქვე 124, 26; ადამი უკმოიჴსნა, იქვე 146, 27; ამისთჳსცა სოლომონიცა გიღაღადებს, იქვე 226, 3; მიართუმიდეს ყოველნი: აბრაჰამი — ჴბოსა, ს ა რ ა — ყურბეულსა, იქვე 230, 29—30; უდებ-ყო იოსები, იქვე 255, 8; გულისთქუმამან სოლომონი და ამონი შეწუნა, იქვე 261, 24—25; რომელმან დაჰბადა ადამი, იქვე 264, 15—16; გარდაჰჴდა ადამი მცნებასა უფლისასა, იქვე 265, 7; მ:მაჲ გუვის ჩუენ აბრაჰამი, მთ. 3, 9 C; არს მამად ჩუენდა აბრაამი, ლ.

3, 8 C; რაჟამს იხილოთ აბრაამი, ისაკი და იაკობი, ლ. 13, 28 C; იხილა აბრაამი შორით, ლ. 16, 23 C; მამაჲ ჩუენი აბრაამი არს, ი. 8, 39 C; და აბრაამი იხილეა, ი. 8, 57 C: მანასე შვა ამონი, მთ. 1, 10 C; აბია შვა ასაფი, მთ. 1, 8 C; შეიდა სახლსა მას ზაქარიაჲსსა და მოიკითხა ელისაბეთი, ლ. 1, 40 C; მოვიდა მარიამ მაგდანელი და მერმე მარიამი, მთ. 28, 1 C; მარიამი ყოველსა მას სიტყუასა დაჰმარხვიდა. ლ. 2, 19 C: ესე იგი მარიამი არს, ლ. 11, 2 C; უყუარდა იესუს მარიამი და მ ა რ თ ა, ი. 11, 5 C; ვითარ იხილა იესუ ნათანაჱლი, ი. 1, 47 C: იექონია შვა სალათიელი, მთ. 1, 12 C; დავით მეფემან შვა სოლომონი, მთ. 1, 6 C; რაჟამს იხილოთ აბრაჰამი, ისაკი და იაკობი, ოპიზ. ოთხთ. 160 v. 5—7 b: შენგანვე განიყიდა იოსები, უდაბნ. მრავალთ. 93 v, 20—21 b: ესრჱთ სამოელმან იხილა დავითი, იქვე 28 r, 24—25 a; შთავთქი ადამი, შთავთქი აბრაჰამი, შთავთქი ისაკი, შთავთქი იოსები, იქვე 101 v, 1—3 a; და მოიკითხა ელისაბედი, ლატ. ლექც. 201 v, 1 b; სადაცა მოეგებოდა მას მართაჲ, იქვე 208 r, 3—4 b: იხილა მარიამი მწუხარედ, ათ. მრავალთ. 168 r. 20—21 b: აბრაჰამი საქმეთაგან განმართლდა, S-1138 32 v, 16—18 b; და იტყჳს ამას იაკობი, შატბ. კრებ. 88 v, 18 a; თამარიცა არავის შეეხო. იქვე 92 r, 18—19 b; მეძვისა მისგან იყო ბოოსი, იქვე 93 r, 1 a; ბოოზ შვა იობედი, იქვე 93 r, 22 a; იესჱ შვა დავითი, იქვე 93 r. 24 a; დაღათუ იოსები არა მომკუდარ იყო, იქვე 94 r, 26—27 b: უმრწემეს იყო ბენიამენი, იქვე 96 v, 23—24 a; ვითარცა ჯოჯოხეთმან მიიტაცა ადამი, იქვე 116 v, 8—9 a; სჳმეონი შეკრა წინაშე ძმათა თჳსთა, იქვე 133 r, 22—23 b; იოსები მოიელინა მათა, იქვე 133 v. 3—4 a: არცა იოსები თავადი ქრისტჱ იყო, იქვე, 141 r, 13 b; იაკობი, ძჱ თჳსი მრწემი, აკურთხა, იქვე 142 r, 10—12 a; მოვიდა ესავიცა, ძმაჲ თჳსი, ნადირითურთ, იქვე 144 v, 15—16 b: დასულბა ისაკი დაკჳრვებითა დიდითა, იქვე 145 r, 18—19 a. და მისთ.

ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში საკუთარ სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის -მან ნიშნის ხმარების არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება.

პირველად -მან საკუთარ სახელებთან თაეს იჩენს სინურ მრავალთაეში:

დალილმან სამსონს თავი დაჰყჳნა, 213, 17; არამცა საჭურველისა შთაცუმაჲ უბრძანა პავლემან ნეტარმან, იქვე 261. 4—5.

IX—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში -მან ბრუნვის ნიშანი საკუთარ სახელებთან საკმაოდ ხშირია (17, გვ. 170—178; 7, გვ. 373; შდრ.: 11, გვ. 265; 20, გვ. 66).

-მან მოთხრობითის ნიშნად საკუთარ სახელებთან საკმაოდ ხშირია: ადიშის ოთხთაეში, შატბერდის კრებულსა და სხვა ძეგლებში:

ეგე აბრაამმან არა ქმნა, ი. 8, 40 C; ისაკმან შვა იაკობი, მთ. 1, 2 C; სალათიელმან შვა ზორობაბელ, მთ. 1, 12 C; არღაცა სოლომონმან, მთ.

6. 29.C; ლ. 12. 27 C: ესრჱთ იაკობმან იხილა ლაბან, უდაბნ. მრავალთ. 28 r. 19—20 a; ესრჱთ სამოელმან იხილა დავითი, იქვე 28 r. 24—25 a; დანიელმანცა ათორმეტისა წლისამან ლომნი ცხოვარ-ყვნა, სვან. მრავალთ. 114, 12—14 a; თქუა: არცა იაკობმან იხილა, იქვე 309, 5 b; თქუა პირველად აბრაჰამმან, იქვე 309, 26 a; ისაკმან აკურთხა იაკობი, ლატ. ლექც. 90 v, 25 a; პეტრემან მცირედ რაიმე ნათელი დიდებისა მისისაჲ იხილა. ათ. მრავალთ. 265 v, 4—5 b; უმრავლჱსი მსხუერპლები შეწირა ღმრთისა აბელმან, S-1398 50 r, 5—7; ისაკმან აკურთხა იაკობი სარწმუნოებით, იაკობმან, მო-რაჲ-კუდებოდა, თითოეულად ძენი იოსეფისნი აკურთხნა, იქვე 51 v, 11—16 a; და მან შვა ისაკი და წინადასცჳთა მას დღესა მერვესა და ისაკმან იაკობსა და იაკობმან ათორმეტთა მათ მამათმთავართა. იქვე 90 r. 6—12 a; სოლომონმანცა რაიმე უშჱნა მას სახლი, იქვე 92 v, 11—12 b; ყოველსა ასიასა პავლემან არწმუნა, იქვე 126 r, 16—17; კეთილად სამე თქუა იაკობმან, შატბ. კრებ. 107 r, 1—2 a; კეთილად თქუა დავითმან, იქვე 109 r, 16 a; ვინაიცა დავითმან თქუა, იქვე 109 r, 26—27 b: ვითარცა იობმან თქუა, იქვე 111 v, 26—27 a: ვითარცა პავლემან თქუა, იქვე 112 r, 20 a; ვითარცა პავლჱმან თქუა, იქვე 113 r, 26—27 a; დავითმან თქუა, იქვე 112 v, 12—13 b; რომელი-იგი თქუა დავითმან, იქვე 112 v, 27 b—113 r, 1 a; დავითმან თქუა, იქვე 114 r, 21 b; 115 v, 4—5 a: 118 r, 26 a; იაკობმან აკურთხა, იქვე 136 r, 14—15 b: მოსემან ჰრქუა მათ, იქვე 142 r, 24 b; და აღპმართნა იგინი იოსებმან, იქვე 146 v, 3—4 a; იხილნა იაკობმან ძენი იგი იოსებისნი, იქვე 146 r, 16—17 b, და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ისტორიული დოკუმენტები ხან უნიშნო ფორმებს გამოაველენენ, ხან -მან ნიშნიანს:

ვარაზ-ვაჩე შემოსწირა ძისა მისისათჳს ფუთს გლეხი ბ, ნიკორწმ. სიგ. 45, 5—6; ეფრემ შემოსწირა ყანაჲ ბ, იქვე 47, 17; შდრ.: ესე დაწერილი დაგიწერე მე, მსახურთა უხუცესმან ბეგამან, ადგილის მოცვლ. წიგნ; დაგიწერე დაწერილი ესე ბეგამან სურამელმან, ენაჯ. ბოძ. სიგ.

საფიქრებელია, რომ ისტორიული დოკუმენტების საკუთარ სახელთა უნიშნო ფორმები მოთხრობითში განპირობებულია ძველი მწიგნობრული ტრადიციის ზეგავლენით. ცოცხალ მეტყველებაში ამ დროს უპირატესად ნიშნიანი ფორმები უნდა ყოფილიყო გავრცელებული (უპირატესად, ვამბობთ, რადგან ზოგ თანამედროვე დიალექტშიც გადმონაშთის სახით საკუთარი სახელი უნიშნოდ დასტურდება მოთხრობითის მნიშვნელობით). „ვეფხისტყაოსანი“ წარმოგვიდგენს როგორც უნიშნო, ისე -მან ნიშნიანი მოთხრობითის ფორმებს. უნიშნო ფორმები გაცილებით ხშირია (19):

ავთანდილ თქვა: სოგრატ, ვჰკითხოთ, 58, 3;
ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა, 178, 1;
ავთანდილ ახლოს კელა ნახა სახე მისივე კაცისა, 227, 1;

ასმათ მითხრა: მე მიბრძანა, 383,1;
ასმათ ვამნი გაამრავლნა, 499, 2;
ასმათ ფერჯნი გარდუკოცნა, 1650, 3, და მისთ.
შდრ.: ასმათმან წყალი დაასხა, 346, 1;
ასმათმან დამსვა შორს-გვარად, 522, 3;
რა ასმათმან დაინახა, 843, 1; 916, 2;
მუნ გვიმასპინძლოს ასმათმან, 1496, 3.

უნიშნო ფორმათა ეს დიდი სიჭარბე, შესაძლოა, გამოწვეული იყოს პოემის მეტრის საჭიროებით, ან ავტორის მიერ უნიშნო ფორმათა. როგორც სტილისტური ხერხის — არქაიზაციის — გამოყენებით. სხვაგვარად ძნელად ასახსნელი იქნებოდა ეს ფაქტი: რუსთველის ეპოქის ცოცხალი მეტყველება (და რამდენადმე სალიტერატურო ენა) უპირატესად ბრუნვის ნიშნიან ფორმებს იყენებდა.

საკუთარ სახელთა -ა ემფატიკურ ხმოვნიანი ფორმების ძველ ქართულში არსებობაზე მიუთითეს ს. ჩხენკელმა (17, გვ. 90) და ი. იმნაიშვილმა (7, გვ. 374—375; შდრ.: 11, გვ. 267, 20; გვ. 138). ჩვენი მასალების მიხედვით, ამგვარი ფორმები პირველად სინურ მრავალთავში იჩენს თავს და შემდგომში თანდათან მრაელდება.

მიც. ბრუნვა:

აღუთქუა აბრაჰამსა, სინ. მრავალთ. 13, 38; ეტყოდა მამათა ჩუენთა აბრაჰამსა და ნათესავსა მისსა, იქვე, 15, 7; ვერღარა მკადროს მე განცდად ვითარცა ადამსა, იქვე 81, 14—15; ამცნო გურიტისაჲ უფალმან აბრაჰამსა, იქვე 226, 3—24; ეფუცა აბრაამსა, ლ. 1, 73 C; აბრაჰამსა DE: ეგე მძლე ექმნა ადამსა, Sin.-36 184, 6—7 b; მერმე ეჩუენა იაკობსა, უდაბნ. მრავალთ. 127 v, 18 a; არა ნათელ-ეღო მარიამსა, იქვე 137 v, 20—21 a; განიძარცუეს დიდებაჲ, რომელ შთააცუა ამას ადამსა, იქვე 161 r, 17—19 a; რომელი მოვიდა წმიდასა ზედა ქალწულსა მარიამსა, იქვე 163 v, 23—25 b; დავითსა ეწნო, სვან. მრავალთ. 119, 4 b; მისცა ესოდენი მეცნიერებაჲ იაკობსა, იქვე 307, 23—24 b; ვერღარა მკადროს მე განცდად, ვითარცა ადამსა, იქვე 347, 12—14 b; ფიცით, რომელ ეფუცა აბრაჰამსა, მამასა ჩუენსა, ბერთ. ოთხთ. 264, 17—18 b; ვითარცა ეტყოდა მამასა ჩუენსა აბრაჰამსა, ლ. 1, 55 D; მოსცეს ჴეშმარიტებაჲ იაკობსა და წყალობაჲ აბრაჰამსა, კალ. ლექც. 96, 27—28 b; სინ. ლექც. 52, 5—6; იგი მოეახლა დავითსა, ლატ. ლექც. 172, 8—9 a; ეტყოდა მამასა ჩუენსა აბრაჰამსა, იქვე 503, 26—27 a; წერილ არს, აბრაჰამსა ორ ძე ესხნეს, იქვე 535, 20—22 a; შეერაცხა აბრაჰამსა სარწმუნოებაჲ მისი. იქვე 262 r, 18—20 b; რაჲთა არა სცეს ფურცელი ადამსა, ათონ. მრავალთ. 234 r, 34—35 a; შობს იგი ისაკსა, იქვე 234 v, 14—15 a; იგი არს,

რომელმან აბრაჰამსა ჰრქუა. ეთონ. კრებ. 23 v, 25—26 b: რომელმან ცისკარი აღმოუბრწყინე იაკობსა, ჰილ.-ეტრ. იადგ. 79 r, 10; თომასა ესმა მოსლვაჲ შენი, პარაკლიტ. 243, 1; ჰრწმენა აბრაჰამსა ღმერთი, S-407 14 v. 13 a: 17 v, 15—16 b: შეერაცხა აბრაჰამსა სარწმუნოებაჲ მისი სიმართლედ. იქვე 38 r, 17—20 b; მერმე ეჩუენა იაკობსა, იქვე 84 r, 12—13 a; მიაუწყეენ სამართალნი ჩემნი იაკობსა, შატბ. კრებ. 132 r, 2—3 b; განჰყიდი, მ იუდა, იოსებსა გულისთქუმითა, იქვე 141 v, 14—15 a: იაკობსა არავინ თაყუანის-სცა, იქვე 144 v, 20—21 a; ვერ გულისხმა-ეყო იოსებსა ყოფადი იგი, იქვე 146 v, 16—17 b; ანუ რომელსა თესლსა ჰრწმენა აღთქუმაჲ შენი, ვითარ იაკობსა, ეზრ. სუთ. 1, 32 O; რომელ ეფუცა აბრაჰამსა, S-405 73 r, 16—18 a; მოსცეს ჴეშმარიტებაჲ იაკობსა და წყალობაჲ აბრაჰამსა, მიქია 7, 20 O, და მრავალი სხვა.

ნათ. ბრუნვა:

დაამტკიცა ღმერთმან აბრაჰამისა მიმართ აღთქუმაჲ, სინ. მრავალთ. 13. 40: დაამტკიცა აბრაჰამისა მიმართი იგი აღთქუმაჲ, იქვე 14, 2—3; შდრ.: აღასრულოს ვიდრე თავისა თჳსამდე აბრაჰამის მიმართი იგი აღთქუმაჲ, იქვე 15, 17—18; უკრწნელისაგან მარიამისა ნაყოფშეუნიერი იგი ხᲒ აღმოსცენდა, იქვე 21, 28; მხოლოჲსაგან წმიდისა მარიამისა ნერგი იგი ცხოვრებისაჲ აღმოგჳცᲒნდა ჩუენ, იქვე 21, 35—36; მადლი ჩუენდა მოვიდა ქალწულისაგან მარიამისა, იქვე 22, 32; წესისა მისებრ მელქიზედეკისა წყალობისათჳს ჯორცნი შეისხნა, იქვე 41, 28—29: არამედ არავე უფროჲს იყო იოვანᲒსა, იქვე 85, 35—36; ნუუკუე შენ უფროჲს ხარ მამისა ჩუენისა აბრაამისა, ლ. 1, 72 C; სახლისაგან და ტომისა დავითისა, ლ. 1, 27 C; 2, 4 C; იყო სიტყუაჲ ღმრთისა იოვანეს მიმართ, ძისა ზაქარიაჲსა, მ. 23, 25 C; შენ უფროჲს ხარ მამისა ჩუენისა იაკობისა, ი. 4, 12 C; უდიდეს იონაჲსა არს აქა, მ. 12, 41 C; ლ. 11, 32 C; დაბისაგან მარიამისა და მართაჲსა, ი. 11, 1 C; რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა, ბერთ. ოთხთ. 197, 9—10 a; ნუუკუე შენ უფროჲს ხარა მამისა ჩუენისა აბრაჰამისა, იქვე 451, 2—4 a; ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, ვიდრე აბრაჰამისა ყოფადმდე მე ვარ, იქვე 451, 12—14 b: სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელი იყო იერემიაჲსა მიმართ, კალ. ლექც. 6, 28—29 b; კაცთა ვიეთმე მორწმუნეთა აღძრეს იგი სარწმუნოებად წმიდისა სჳმეონისა მიმართ, Sin.-46 85 r. 13—15; ესე იყო მიზეზი მწუხარებისაჲ, რომელი იყო შორის იოვანᲒსა და სევერიანესა, იოანე ოქროპ. ცხორ. 89 v, 16—18; გუამცნო ჩუენ მოსᲒ საყოფელი შორის იაკობისა, შატბ. კრებ. 128 v, 13—14 b, და მისთ.

ყურადღებას ისეთი შემთხვევები იქცევს, როცა საკუთარი სახელის ფუძე მართულ მსაზღვრელად გამოიყენება: სახლი ზაქარიაჲსაჲ, სახლმან

ზაქარიასმან და მისთანანი, ნაცვლად ძველი ქართულისათვის ნორმად მიჩნეული: სახლი ზაქარიასი, სახლმან ზაქარიასმან და მისთანა ფორმებისა:

და იგი იყო სიმამრი კაიფასისა, ი. 18, 13 C; რაჲთა მსგავს აბრაჰამისა იქმნა, მამ. სწავლ. 289, 34 A; რამეთუ იყო იგი მოწაფჱ იესუასი, ბერთ. ოთხთ. 503, 9 b; და მეზუერჱ იგი, რომელ ნაშობ აბრაჰამისა იწოდა, უდაბნ. მრავალთ. 60 v, 23—24 b; ნუ მცირისა მის ჟამისათჳს ეზიარები საშჯელსა მას იუდასისა, მრავალთ. 78 r, 13—15 b; და დაემკჳდრე საშოსა ქალწულისა მარიამისასა, იქვე 138 r, 27—29 a: უფალსა ღმერთსა აბრაჰამისასა, A-1699 61 v, 3—4 a; ისმინე ესაიასი, რასა იტყჳს, ათონ. მრავალთ. 43 r, 28—29 b; ღაღატ-ყო კაცმან ეფრემისამან, ლატ. ლექც. 67 r, 27—28 a; არა იყუნეს ნათესავისაგან აბრაჰამისა, შატბ. კრებ. 93 r, 24—25 b; რამეთუ იყო ზურგ და მცეელ მისა და ძმისა თჳსისა იოსებისა, იქვე 97 v, 13—15 a; რომელი ნათესავისაგან ბენიამენისა იშვა, იქვე 134 r, 21—22 b; ნათესავისაგან სჳმეონისა იყუნეს, იქვე 149 r, 11—12 a; იყო იგი სახლისაგან და ნათესავისაგან დავითისა, იქვე 150 v, 6—8 b; ითქუმის პირისაგან ნეტარისა სოლომონისა, იქვე 162 v, 20—21 b: და შვილ აბრაჰამისა იქმნა, იქვე 274 r, 9—10 a; აქიტობელცა თანამზრახველ და შემწე არს აბესალომისა, II მეფ. 15, 31 O I; კეთილ არს ზრახვაჲ ესე ქუშისაჲ, იქვე 17, 14; შურმან უფლისა საბაოთისამან ყოს ესე, სინ. ლექც. 22, 14—15 a; მსგავს იქმენ დავითისა, მოდრ. იადგ. 123 r, 19: და იქმნეს იგი შვილ აბრაჰამისა, 125 v, 27—28 b: არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო, S-1398 36 r, 15—16 b; და მისცა მათ ღმერთმან სჳულ. ბᲘ კ ი ს ი ი, კაცი ნათესავისაგან ბენიამინისა ორმეოც წელ, იქვე 109 r, 18 a — 109 r, 1 b; მეცა ისრაიტელ ვარ, თესლისაგან აბრაჰამისა, ტომისაგან ბ ე ნ ი ა მ ე ნ ი ს ი, S-1138 46 r, 11—15 a; ძისა დ ა ვ ი თ ი ს ი, ძისა აბრაჰამისა, წყაროსთ. ოთხთ. 9 r, 2—4 a: რომელნი-იგი იყუნეს ჴელ-ცემულ აბრაჰამისა, პარიზ. ლექც. 19 r, 17—18 b; ესმა მათ აგარაჲსა მოაბისასა, იქვე 55 r, 9—10 a: და აღიყუანა იგი ბეელსა ზედა ბალაამისასა, იქვე 82 v, 17—19 b; და არავინ იპოებოდა სწორ დანიელისა და ანანიასი, იქვე 273 v, 15—17 b; არქუთ ზორობაბელს სალათიელისასი, იქვე 311 v, 6—8 a; 313 v, 1—3 b; წიგნი იგი სოლომონისაჲ, რომელსა შინა სიტყუაჲ ეგე წერილ არს, დიალრღ. 66 v, 9—11 b, და სხვა.

მოქმ. ბრუნვა:

ჩვენ დავადასტურეთ ა ემფატიკურხმოვნიანი ერთადერთი ნიმუში: რომელსა შინა შობასა და მიდგომილებასა მარიამისსა მიეხარა გაბრიელითა, შატბ. კრებ. 90 r, 1—3 a.

ვვარაუდობთ, რომ ცოცხალ მეტყველებაში საკუთარი სახელების ა

ემფატიკურხმოვნიანი ბრუნვები საკმაოდ იყო გავრცელებული. „ვეფხის-ტყაოსანი“ ამ რიგის ფორმებს არაიშვიათად წარმოგვიდგენს:

მიც. ბრუნვა:

აჰა მიჰხვდა ავთანდილსა ღაწვთა ცრემლით არ დათოვნა, 211, 1: იგი ჰკირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა, 183, 3; ფატმანს ჰკლავდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა, 1080, 4; ნუ ეჰვ მიჯნურად მათებრსა, ნუცა თუ რამინს და ვისსა, 1543, 4; რამაზ მეფე წიგნსა გიწერ, ტარიელსა, 401, 1: ესე ესმა. ცრემლი ცხელი შერმადინსა თვალთა სდინდა, 781, 1.

ნათ. ბრუნვა:

წიგნი ავთანდილისა თაეის ყმათა თანა, 165, 0; ამბაეი ავთანდილისა, აჩმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან, 230, 0; ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცეესა, 672, 0; როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა, 72, 0; ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი, 774, 0; სჯობს ასმათისა არ-ლეკა მაგა სახმრისა ლევასა, 897, 3; მეფისა მზის თამარისა, 3, 2; ფიცა მზე თინათინისა, 66, 2; თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა, 120. 0; წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა, 376, 0; შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა, 280, 0; რა კაცი ტარიელისა ესტუმრა, 1432, 1; ეერა ცნეს ტარიერისა, 1418, 1.

„ვეფხისტყაოსნის“ ეს ფორმები ცხადყოფს, რომ ემფატიკური ხმოვნის დართვა საკუთარი სახელების ბრუნვათა ფორმებზე ამ დროს უკვე ჩვეულებრივი იყო.

X—XII საუკუნეთა ძეგლებში ზოგჯერ წოდებითის -ო ნიშანი მოუდის საკუთარ სახელებს:

აჰმაღლდი მოტყინარე სარწმუნოებითა, ნეტარო გრიგოლო, Sin.-64 (X ს.) 56 r, 10—11: ბასილო, მოკლედ შენ მცხეთას მამასახლისად დასდგები, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ (ag. ძეგლ. I, 218. 43); და თქუა მისდამი: უცხოტომნი შენ ზედა, სამფსონო, გელათის ბიბლია (XII ს.) 387 v, 20—21; და ჰრქუა მას: უცხოტომნი შენ ზედა, სამფსონო, იქვე 387 v, 8—9; თქუა: უცხოტომნი შენ ზედა, სამფსონო, იქვე 388 r, 5.

საინტერესოა, რომ ანალოგიური ნიმუში დასტურდება აგრეთვე საისტორიო დოკუმენტში — ცხირეთ-ცხავერის სიგელში:

შენ, ჩემო ძმაო ივანე და ძეო ჩემო ბეგაო.

წოდებითის ნიშნიანი ადამიანის საკუთარი სახელი „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება:

მათ რა ნახეს, შემოჰყივლეს სიცილით და კბილთა ჩენით:
ჰე, ასმათო, მოგვეიდა მოწყალება ღმრთისა ზენით: (1357).

ამგვარი შემთხვევა გვაქვს „ვისრამიანშიც“: ვისო (4, გვ. 75).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ XI—XIII საუკუნეთა ზოგიერთ ძეგლში ადამიანის საკუთარი სახელი მრავლობითის ფორმითაც შეიძლება იხმარებოდეს. დავასახელებთ ჩვენთვის ცნობილ ნიმუშებს:

იოანე მოკლე და სამნი **იოანენი**, წერილნი კლემაქსა, იქებოდენ დღეს, პარიზის მარხვანი (XI ს.) 38 r, 11—12; მნათობად გამობრწყინდეს ოთხნი იგი სჯმეონნი ნეტარნი, სამნი მესუეტენი, იქვე 38 v, 30—31: ოთხნი უკუე **მარიამნი** მოიხუმიან სახარებათა შინა, A-52 (XII ს.) 140 v, 13—14; ორნი იგი **მარიამნი** უმეტეს სხუათა მათ იყუნეს უმჯნეს, A-129 (XII—XIII სს.) 247 v, 17—18 a.

Jer.-14 (1055 წ.) გამოაელენს ანთროპონიმს მრავლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში:

ნუ თანაწარვჰკდებით წინაშე თუალთა ჩუენთა მდებარეთა **ლაზარეთა**, 283 r, 27 a—283 r, 1 b.

საინტერესოა ნანათესაობითარი მიცემითის გამოყენაც:

ჯუარსა თანა იტყჳს დგომასა დედისა მისისა და ორთა მათ **მარიამთასა**, A-129 247 r, 34—36 b.

ერთ შემთხვევაში დასტურდება ხმოვანფუძიანი ანთროპონიმის კვეცაც:

ჰპრო ამისვე დღისა პავლისა სჯნაქსარსა, Jer.-24 (XI ს.) 52 v, 15.

როგორ უნდა შევაფასოთ ეს ფაქტები სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით? ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მკვეთრად აისახა საკუთარ სახელთა საზოგადო სახელების ბრუნებასთან გათანაბრების ტენდენცია (საკუთარი სახელი სახელობითსა და მოთხრობითში დაირთაყს ბრუნვის ნიშნებს, მიცემითსა, ნათესაობითსა (და იშვიათად მოქმედებით) ბრუნვებში -ა ემფატიკურ ხმოვანს). ეს იყო ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენა და სალიტერატურო ენაც თანდათანობით იძულებული გახდა, ეს მოვლენა აესახა, საბოლოოდ კი ბორომად ექცია. წოდებითი ბრუნვის ნიშნის დართვა ანთროპონიმებზე ალბათ ცოცხალი მეტყველების ასახვაა, მაგრამ სალიტერატურო ენამ ეს მოვლენა არ მიიღო.

სხვაგვარი ვითარება ჩანს მრავლობითი რიცხვის წარმოებასა და კვეცასთან დაკავშირებით. საფიქრებელია, რომ **იოანენი, მარიამნი, ლაზარეთა** და მისთანანი, ისე როგორც პავლისა, ხელოვნური ფორმებია. ისინი არასდროს ახასიათებდა ცოცხალ მეტყველებას, ამიტომაც ვერ დამკვიდრდნენ სალიტერატურო ენაში. ეს არის კარგი ნიმუში იმისა, რომ ცალკეულ მწერალთა (თუ მწერალთა ჯგუფის) ინდივიდუალური ენობრივი თავისებურებანი, როცა ისინი მკვეთრად უპირისპირდებიან ენის ნორმებს, ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენენ ენის განვითარების ტენდენციებზე.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხელოვნური ფორმები ძევიდა ზოგ ადრინდელ გრამატიკაში, მაგალითად, ანტონის ნაშრომში, რომელიც სხვა შემთხვევებშიც საკმაოდ ხშირად ასახავს XI—XII საუკუნეთა ზოგიერთი მწერლისათვის დამახასიათებელ ენობრივ ინდივიდუალიზმს.

4. ემფატიკური ხმოვნის კლება

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა საზოგადო სახელებთან ემფატიკური ხმოვანი მოსალოდნელია, მაგრამ წარმოდგენილი არაა:

თაყუანის-სცემდით ხატსა მას ოქროისსა, ლატ. ლექც. 174r, 4—6 b; და იძია სისხლი უბიწოჲ ჟამსა მშუიდობისსა, იქვე 202 v, 22—23 b; ჰურიასტანისა და კაბადუკიასნი, იქვე 237 r, 5—6 b; განსწმედთ გარეშესა სასმელისსა, იქვე 254 r, 9—11 b; ვერ შემძლებელ არიან მიწევნად ღირსსა ჭებისსა, მრავალთ. 206 v, 18—20 b; ათეულსა აიღებთ პიტნაკისასა და ტეგანიასა და ყოვლისა მხლისსა, ურბნ. ოთხთ. 140 v, 7—10 a: ორთა ბრმათა გზასა იერიქოსსჲ, ვან ოთხთ. 55 r (სათაურად); და განიპაროს ყურძენი ვენაკისგან, ანდრია სალოსი 108 v, 4—5; მოქცევაჲ ბოროტისგან კეთილ არს, იქვე 110 r, 3—4, და სხვა.

5. ლოკალურ ბრუნვათა ჩასახვა

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ა. შანიძემ სამი ლოკალური ბრუნვა გამოყო: სადაობითი, გამოსვლითი და მიწევნითი. ამის საფუძველი, მისი აზრით, ისაა, რომ თანამედროვე ქართულში სახელის ზოგიერთ ფორმაში ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის ელემენტთა გამოყოფა ჰირს (ან კიდევ ბრუნვის ნიშანი, ან ბრუნვის ნიშნის ნაწილი გაუჩინარებულია თანდებულის ზეგავლენით 13, გვ. 73, 76; იხ. აგრეთვე: 20, გვ. 14; 24. გვ. 67—74; შდრ.: 16, გვ. 197—209).

თანამედროვე ლოკალურ ბრუნვათა ჩანასახი უკვე ძველ ქართულშივე იჩენს თავს. ყველაზე ხშირად დასტურდება ის ფორმა, რომელიც თანამედროვე ქართულის მიწევნითი ბრუნვის წინაპარია: ცად-მდე>ცამდე, სოფლ-ად-მდე>სოფლამდე (სათანადო მასალა დ-ს დისიმილაციურ დაკარგვასთან დაკავშირებით დავიმოწმეთ. აქ რამდენიმე ნიმუშს მოვიტანთ):

აჰა ესერა, მე თჳუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ხანმ. ლექც. 058, 27—29 b;, ილოცვიდეს შოვა-სამხრამდე კართა მათ ეკლესიისათა, სინ. შრავალთ. 71, 27—28; გუემამდე

შერაცხილ იყუნეს წამალნი იგი. იქვე 101, 32—33: და ველწიფებაჲ მისი თესლითი თესლამდე, იქვე 138, 17; დამსდაბლდე მიწამდე, უდაბნ. მრავალთ. 105 v, 16 b; ზრახეიღეს ვიდრე განთიადამდე, ლატ. ლექც. 204 v, 22—23 l), და მრავალი სხვა.

ამ რიგის ფაქტები თავს ქართული ენის უძველეს ძეგლებში იჩენს (ხ:ნმეტი ლექციონარი, სინური მრავალთავი ...). ეს მიუთითებს, რომ მიწევნითი ბრუნვა საკმაოდ დიდი ხნის წინაა ჩასახული, მაგრამ ძველი ქართულისათვის ეს ფორმები, რა თქმა უნდა, ვითარებითი ბრუნვაა და არა მიწევნითი: -ა და ∅ ვით. ბრუნვის ნიშნის ალომორფებია (შდრ.: **ჯოჯოხეთა, სადიდებელა** და მისთ.). ცალკე ბრუნვას ისინი მას შემდეგ ქმნიან, რაც ქართული ენის ბრუნების პარადიგმიდან ვითარებითი ბრუნვის ნიშნის -ა ალომორფი უჩინარდება.

საყურადღებოა, რომ უკვე სინურ მრავალთავში დასტურდება ზედა თანდებულის წინ მიც. ბრუნვის -ს ნიშნის დაკარგვის შემთხვევა:

დაწერა **მაზედა** საწერელითა სულისაჲთა, 230, 10—11.

X საუკუნის ძეგლებში რამდენიმე ანალოგიური ფაქტი ვიპოვეთ:

განეფინა მატლი მისი **ქუეყანაზედა**, A-89 57 r. 9—10; იხილნა ცანი განხუმულნი. სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი. **მაზედა**, ქსნ. ოთხთ. 27 v, 17 a — 27 v, 2 b: და მოწამეა **ამაზედა** განსაცდელი იგი ღმრთისაჲ, A-35 120 v, 3—4; **ამაზედა** არიან, იელ. იადგ. 305 r, 19.

ზინა თანდებულის წინ მიცემითი ბრუნვის -ს-ს დაკარგვის პირველი შემთხვევა, ჩვენი მასალების მიხედვით, Sin.-36-ში (925—930 წწ.) იჩენს თავს:

რომელნი ელენან ზღუასა **ამაშინა**, 108, 29—30 b.

კიდევ ერთი ამგვარი ფორმა A-86-შია:

რომელნი უცხოებასა და **შრომაშინა** იყუნენ. 29 r. 6—8.

„კარაბადინი", რომელიც XIV—XV საუკუნეთა ძეგლია. ანალოგიურ ფაქტებს საკმაოდ წარმოგვიდგენს:

და **ჯორცშიგანცა** მუდამად ცივად იყოს. 160 v. 1;

შეტყობა უნდა, თუ ესე სიმსივნე ღუიძლშიგნით არის, თუ გარეთ. 164 v, 8—10;

თუ ღუიძლშიგნით იყოს, 164 v, 10—11, და სხვა.

ამავე ძეგლში გეხვდება **ჩიგა** თანდებული, რომლის წინ მიც. ბრუნვის -ს დაკარგულია:

ცხუირჩიგა ჩაუყენებდი, 107 r, 23; **ცხუირჩიგა** ჩაუვიდეს, 111 r, 18.

ამრიგად. ძველი ქართული ენის ძეგლები გამოაელენენ ლოკალურ ბრუნვათა ჩამოყალიბების პროცესის დასაწყისს (არაა გამორიცხული. ცოცხალ მეტყველებაში ეს მოვლენა უკვე საკმაოდ შორს ყოფილიყო წასული).

ე. თანდებულიან და უთანდებულო ფორმათა შენაცვლება

ძველ ქართულში შეინიშნება თანდებულიან და უთანდებულო ფორმათა მონაცვლეობა: ზამთარსა//ზამთარსა შინა, ქალაქსა//ქალაქსა შინა, საყდართა//საყდართა ზედა და მისთ.:

არამედ ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა, გინა ღესა შაბათსა, მთ. 24, 20 DE; შდრ.: რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა C; მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა, მთ. 24, 30 DE; შდრ.: და მაშინ გამოჩნდეს ნიში იგი ძისა კაცისაჲ ზეცას C; ოდეს სადა გიხილეთ სნეული ანუ საპყრობილესა შინა, მთ. 25, 39 C; შდრ.: ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა DE; სნეულ ვიყავ და საპყრობილესა შინა ვიყავ, მთ. 25, 43 C; შდრ.: უძლურ ვიყავ და საპყრობილესა DE; და მისთ.

ჴმაჲ მღაღადებელისაჲ უდაბნოსა ზედა, ლ. 3, 4 C; უდაბნოსა DE: მამათა თქუენთა ჭამეს მანანაჲ უდაბნოსა ზედა, ი. 6, 49 DE; შდრ.: უდაბნოსა C, და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით სამართლიანადაა აღნიშნული, რომ უთანდებულო ფორმები უფრო არქაული ვითარების ამსახველებია, ვიდრე შესაბამისი თანდებულიანები (7, გვ. 696). ი. იმნაიშვილი მიუთითებს, რომ „თანდებულთან უფრო ხშირად სრული (ს-ა) ნიშანი გვაქვს, მაგრამ არის ხანდახან მარტივი (ს) ნიშანიც. მაგალითად: იოვანეს რაჲ ესმნეს საპყრობილესა შინა საქმენი იესუჲსნი, მ. 11, 2 DE; მაგრამ საპყრობილეს შინა C. მარტივი ნიშანი უფრო ძველ ხელნაწერებს ახასიათებს. მათ შორის ადიშის ოთხთავსაც“ (7, გვ. 696).

შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში თანდებულიან ფორმებთან სრული -სა // -თა დაბოლოება გვექნება:

მაშინ დაჯდეს საყდართა ზედა დიდებისა მისისათა, მ. 25, 31 C; შდრ.: საყდართა დიდებისა თჳსისათა DE: დაბნელდა ყოველსა ჭუეყანასა ზედა, მ. 27, 45 C; შდრ.: დაბნელდა ყოველსა ჭუეყანასა DE; დასთესის თესლი ჭუეყანასა ზედა, მრკ. 4, 26 C: შდრ.: ჭუეყანასა DE ...

ეს დაპირისპირება, რომლის არსებობა ძველი ქართულის დონეზე უდავოა, ქართულის ბრუნების სისტემისათვის დამახასიათებელ ინოვაციას წარმოადგენს: საერთო-ქართველურში მარტივი -ს ნიშნიანი მიცემით აღნიშნავდა მდებარეობას (შდრ.: სვან. ჭორ-ს ლია? „სახლს არისა?“, მეგრ. ცუდე-ს ვორექ „სახლს ვარ“), ხოლო მიმართულებითი გამოიხატებოდა ვითარებითით, ან ნათესაობით-ვითარებითით.

დაპირისპირება უნიშნო: ნიშნიანი მიცემითი ლოკატივის ფუნქციით მეორეულია, ისე როგორც მეორეული ჩანს ადგილმდებარეობის თანდე-

ბულიანი ფორმით აღნიშნა: იქცეოდა იერუსალჵმსა შინა, ზუსტად იგივეა შინაარსობრივად, რაც იქცეოდა იერუსალჵმსა, ამიტომ შინა ჰარბი ელემენტია. მიუხედავად ამისა, სწორედ ამგვარი, „ზედმეტთანდებულიანი“ ფორმა გაბატონდა.

გამოსულითის აღნიშვნა ძველ ქართულში -ით სუფიქსიანი მოქმედებითის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იყო (7, გვ. 205—219). ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ამავე ფუნქციით გვხვდება -გან თანდებულიანი მოქმედებითი:

არღარა ესუა **ამიერითგან** ამის ნაყოფისაგან, მთ. 26, 29 C; დაიძინეთ **ამიერითგან** და განისუენეთ, მთ. 26, 45 CDE; და მეექუსით **ჟამითგან** დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა, მთ. 27, 45 C; ხოლო ე ქ უ ს **ჟამითგან**. დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა DE; **ვინაჲთგან** ესენი ჩემ თანა დადგომილ არიან, მრკ. 8, 2 C; **ვინაჲთგან** მელიან მე E; **ვინათგან** D; ყოველთა ჰურიათა უკუეთუ არა **იდაყჳთგან** დაიბანნიან ჴელნი, მრკ. 7, 3 DE; ხოლო მან ჰრქუა: **სიყრმითგან**, მრკ. 9, 21 C; ხოლო მან თქუა: **სიყრმითგან** DE; ესე ყოველი მიყოფიეს სიჭაბუკით **ჩემითგან**, მრკ. 10, 20 C; ესე ყოველი ეყავ სიჭაბუკით **ჩემითგან** DE; რომელ არა ყოფილ არს ეგევითარი **დასაბამითგან**, **ვინაჲთგან** დაჰბადა ღმერთმან. მოაქამდე. მრკ. 13, 19 C; და შეკრიბნეს რჩეულნი იგი ოთხთა ქართაგან კიდითგან ქუეყანისაჲთ კიდემდე ცისად, მრკ. 13, 27 C; დაიძინეთ **ამიერითგან**, მრკ. 14, 41 CDE; ცხორებულ იყო ქმრისა თჳსისა თანა შჳდ წელ სიქალწულითგან თჳსით, ლ. 1, 36 CDE; ხოლო ესე **ვინაჲთგან** შემოვიდა, ლ. 7, 45 CDE: და იყო დედაკაცი წყაროჲთა სისხლისაჲთა ათორმეტ (ათორმეტით DE) წლითგან, ლ. 8, 43 CDE. და მიერ დღითგან ზრახვიდეს, ი. 11, 53 C; მიერითგან შეიზრახნეს DE: ესე იყო **დასაბამითგან** ღმრთისა თანა, ლ. 1, 2 C; **პირველითგან** DE; **პირველითგან** იყო სიტყუაჲ, ი. 1, 1 C, და სხეა.

უთანდებულო მოქმედებითის ეს ფუნქცია არქაული ჩანს[1], ხოლო თანდებულის დართვა ამგვარ მოქმედებითზე — მეორეული.

ძველ ქართულშივე შეიმჩნევა -ით ნიშნიანი მოქმედებითისა და -გან თანდებულიანი ნათესაობითის ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევეები:

და მუნჭუესვე აღმოჴდა მიერ წ ყ ლ ი თ, მ. 3, 16 C; შდრ.: და რაჟამს აღმოვიდა წ ყ ლ ი ს მ ი ს გ ა ნ DE; მოეგებოდეს მას ორნი ეშმაკეულნი, **სამარობნით** გამომავალნი, მ. 8, 28 C; შეემთხჳნეს მას ორნი კაცნი ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს ს ა ფ ლ ა ე ბ ი ს ა მ ი ს გ ა ნ DE;

არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა, მ. 15, 11 E: შდრ.: არა

---

[1] უთანდებელო მოქმედებითი ამ ფუნქციით გვხვდება ხევსურულში, ფშაურში. თუშურსა და სხვა დიალექტებში.

თუ რომელი შევალს პირით, შეაგინებს იგი კაცსა, არამედ რომელი გამოვალს პირისაგან. იგი შეაგინებს კაცსა C;

მუნქუესე გამოეგებოდა მას სამარობნით კაცი სულითა არაწმიდითა. მრკ. 5, 2 C; შდრ.: მეყსეულად მოეგებოდა მას საფლავებისაგან კაცი DE;

იყო ფილიპე ბეთსაიდაჲთ, ქალაქით ანდრეაჲსით და პეტრესით, ი. 1, 44 C; შდრ.: ქალაქისაგან ანდრეაჲსა და პეტრჱსა DE:

და ყოველი გამოასხა ტაძრით, ი. 2, 15 DE; შდრ.: გამოასხა ყოველი ტაძრისაგან C:

და რომელი არს ჭუეყანით, ი. 3, 31 DE; და რომელი ჭუეყანისა ამისგანი არს C;

ხოლო იესუ დაეფარა და განვიდა ტაძრით, ი. 8, 59 DE; შდრ.: იესუ მიჰრიდა და განვიდა ტაძრისა მისგან C;

კრებულით მათით განგჳადნენ თქუენ, ი. 16, 2 C; შდრ.: კრებულისაგან განგასხნენ თქუენ DE:

აღიღეს უფალი საფლავით, ი. 20, 2 DE; შდრ.: სამარისა მისგან C;

აღიღეს უფალი ჩემი საფლავით, ი. 20, 13 DE; შდრ.: აღეს უფალი ჩემი სამარისაგან C.

არის შემთხვევები, როცა ნათესაობითი (-გან თანდებულიანი) და -ით ნიშნიანი მოქმედებითი ერთსა და იმავე წინადადებაში იხმარება ერთმანეთის გვერდით:

ხოლო გამომავალი პირით გულისაგან გამოვალს, მთ. 15, 18 CDE.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გამოსელითის აღნიშვნა მეორეული მოვლენა ჩანს (შდრ.: 7. გვ. 713). არაა გამორიცხული ბერძნულის გავლენაც.

ცნობილია, რომ ძველი ქართულისათვის ნორმაა ჭართლ-დ, ბეთლემ-დ, სიონ-დ და მისთანა ფორმები მიმართულებითი ფუნქციით (7, გვ. 413—414). -დ სუფიქსი უპირატესად დაერთვის ლ, მ, ნ, რ თანხმოვნებით დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებს.

ი. იმნაიშვილმა მიუთითა, რომ ამავე ფუნქციით ძველ ქართულ ხელნაწერებში გვაქვს აგრეთვე ჭართლად, ბეთლემად, სიონად და სხვა ფორმები (7, გვ. 413—414). მანვე სწორად აღნიშნა, რომ ჭართლად და მისთ. ფორმები მეორეულია და მოიხმო მასალები ძველი ქართული ტექსტებიდან (7, გვ. 413).

როგორც ჩანს, ჭართლად, ბეთლემად ... ტიპის ფორმები X საუკუნიდან იჩენს თავს. ამ ფორმათა გამოვლენა ტირილდ>ტირილად, ყჳრიდ>ყჳრილად პროცესს უკავშირდება. მოვიხმობთ რამდენიმე ნიმუშს:

ამისა შემდგომად აღვიდენ ბეთლემად, ლატ. ლექც. 2 r, 11—12 a: აიძულებდა მარიამსცა ბეთლემად აღსლვად, A-40 63 r, 4—5: განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემამდე, A-193 106 v, 26; შდრ.: დღეს ბეთლემღ მოვალს, იქვე 107,v, 9; აღმოიყვანეს ყრმაჲ იგი იესუ იერუსალჱმად, ლატ. ლექც. 16 v, 12—13 b; ახვედ, ქრისტე, ქალაქად იერუსალჱმად, იელ. იადგ. 171 v. 11; იერუსალჱმად წარვიდა, A-193 68 r, 4—5;

იწყეს ყოველთა ტირილად, ლიმონ. 34, 31: ვიწყე ტირილად, Sin.-36 252 v, 9 b: იწყო ტირილად, A-35 269 v, 18; A-193 78 v, 15—16; ბერთ. ოთხთ. 250, 18—19 a; იწყო ყჳრილად, Alh.-25 81 v, 4—5 b; მიეცა მეუფე სიკუდილად, A-88 47 v, 25—26 b; არა ვთქუათ კაცისათჳს ნეტარებაჲ ვიდრე სიკუდილადმდე, მამ. სწაელ. 46, 7—8; ვიდრე სიკუდილადმდე არა დაუტეო ადგილი ესე ჩემი, ლიმონ. 31. 1—2: ვერ ძალ-უც ს ი რ ბ ი ლ ა დ, Ost.-3 12 v, 8—10 a, და სხვა.

-ად ნიშნის გავრცელება ზემოთ დამოწმებულ და მისთანა ფორმებში არის ბრუნების უნიფიკაციის პროცესის შედეგი. სხვა თანხმოვანფუძიან სახელთა ანალოგიით -ად ვარიანტი იქაც გავრცელდა, სადაც ადრე -დ ვარიანტი იყო (იხ. აგრეთვე 7, გვ. 413—414).

-ეთ და -ით მარცვლებით დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებს (საბერძნეთ, ნაზარეთ, სპარსეთ, სომხით და მისთ. ფორმათა ანალოგიით აგრეთვე ჯოჯოხეთ სიტყვას) მიმართულებითის მაწარმოებლად -ა სუფიქსი დაერთოდა (7, გვ. 409—410):

წარვიდა ... საბერძნეთა; სპარსეთა; ასურეთა, სიჳნიეთა, თოშეთა, კახეთა, ჰინდოეთა, სომხითა და მისთ.

X—XI საუკუნეებიდან ამგვარ სახელებს სხვა თანხმოვანფუძიანი სახელების ანალოგიით -ად სუფიქსი დაერთვის:

შევიდა სპარსეთად, A-500 292 r, 1—2; წარვიდა ლაშქრითა ყოელითა სპარსეთად, 292 r, 19—20: იოსებ მოვიდა ნაზარეთად, Jer.-12 109 v, 9: და მოვიდა საბერძნეთად, A-193 289 v, 3; და შევიდეთ საბერძნეთად, ქ. ცხ. 34, 6: რაჟამს შევიდა ოვსეთად, ქ. ცხ. 24, 2—3: მ ჯ ნ ე ლ ი შთაჲდა ჯოჯოხეთად, მოდრ. იადგ. 174 v, 37; შენ ხარა მომავალი ჯოჯოხეთად, A-88 91 r, 3—4 a, და სხვა.

7. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი

ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას მსაზღვრელი, ისე როგორც საზღვრული, ყველა ბრუნვაში სრულ ნიშანს დაირთავს. X საუკუნიდან ზოგი გადახვევა შეინიშნება.

არის შემთხვევები, როცა თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

და აჴ. შეილნო. ნუცა მოგუეწყინების, ნუცა ჰგონებთ დაყოვნებასა, რეცა თუ დიდ საქმედ, ანტ. 28, 34—35 Ჳ;

რომელ ჟამსა მპარაჲი მოსლვად არს, სინ. ლექც. 100, 13—15 b:

და რომელნი მრავალ ღმერთთა თაყუანის-სცემენ, შატბ. კრებ. 257 v, 26 b:

განყოფილ იყო სამეფოჲ იგი მრავალ სამეფოდ, Jer.-12 109 r, 18—19.

ბუნებრივია, რომ ამგვარი შემთხვევები საკმაოდ ხშირია მოგვიანო ხანის ძეგლებში:

იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა, აბდულმ. 31, 1;

ნახევარ გუერდმა დაუწყოს ტკივილი, კარაბად. 170 r, 1—3.

ზოგიერთ ხელნაწერში გეხვდება მსაზღვრელის ნაწილობრივ მოკვეცილი დაბოლოება:

მოხჳდე ხვალე დამძიმებული თავითა, ფქნარებით, ათ. მრავალთ. 292 v, 5—7: მოხჳდე ხვალე დამძიმებული თავითა, მფქნარებელი, პარხლ. მრავალთ. 254 v, 5—7: შდრ.: ხვალე მოხჳდე თ ა ვ ი თ ა დ ა მ ძ ი მ ე ბ უ ლ ი თ ა. ფქნარებით. Ath.-32 67 v, 9—10;

წინადამემთხჳა მე ვეშაპი იგი აღებული პირითა, A-689 198 v, 7—9 a.

საკმაოდ ხშირია ასეთი დარღვევები „ყარაბადინის“ ხელნაწერში:

მსუქანი ჭათმისა ხარშო შეაქნევინეთ, 49 r, 4—5; კბოსა ჴორცი ერგების და მსუქანი ბატისაცა, იქვე 49 r, 22—23, და სხვა.

XI საუკუნიდან დასტურდება ერთისა პირითა: სამნივე იგი ყრმანი, ვითარცა ერთისა პირითა, უგალობდეს, A-1103 152 r, 26—28 b; ხოლო მათ წმიდათა ერთბამად წმიდისა ეფთიმაჲს თანა, ვითარცა ერთისა პირითა, ჰრქუეს, Jer.-2 38 r, 23—24; სამნივე იგი, ვითარცა ერთისა პირითა, უგალობდეს. პარ. მარხვ. 135 v, 11—12; 151 r, 18—19; იტყოდეს, ვითარცა ერთისა პირითა, სილიბ. 3 v, 8.

ანალოგიური მოვლენა „ვისრამიანშიც“ იჩენს თავს:

თუმცა ამისი ღირსი არ იყო კაცი, დიდის გემოჲთა ვერცავინ ნაზობდა, 244, 25—26.

ეს ახალი ქართულის ე. წ. ანალოგიური წარმოების ჩანასახია.

ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი პირდაპირი წყობისას ბრუნვის ნიშანს მთლიანად იკვეცს:

მრჯარებითა და ზედგომითა ღამე ყოველ, მჯურვალე ლოცვითა და შუკლთდრეკითა, Sin.-36 98 r, 8—11 b:

აღესრულების სატფურებაჲ წმიდისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისაჲ, ათონ. მრავალთ. 178 v, 24—26 b;

გჳშვა უფალი ჩუენი იესუ ქრისტჱ სრული ზეგარდამო ღმრთეებითა, პარხლ. მრავალთ. 2 r, 17—18 a;

იყო იგი საცნაურ არა თუ მწიგნობრებითა, არცაღა გარეშჱ სიბრძნითა, იქვე 167 r, 13—16 a;

(იყვნეს) ყოველნივე თითო სამოსლითა მოსილნი, A-1103 226 v, 1—3 b;

რომელი-იგი უცხო ენასა და საბარბაროზოსა ქუეყანასა მიიწეოდა, A-134 23 r, 12;

უპყრა ჴელი მამამან მისმან და მეორე ბერმან, Jer.-149 85 v, 17—86 r, 1;

სპეტაკობითა სამოსელთაჲთა ცხად-ჰყოფდეს მეორე ნათელ-ყოფასა თავთა თჳსთასა, Jer.-16 10 v, 18—21 a.

X—XII საუკუნეთა ხელნაწერებში მსაზღვრელად რამდენჯერმე გეხვდება ამა ნაცვალსახელი ე. წ. ირიბ ბრუნვებში:

მოწმობითა ღმრთისაჲთა და ყოველთა ამა ეკლესიისა კრებულთაჲთა, Sin.-36 360, 20—22 a;

ამა ყოველთა ერთი სახელისდებაჲ მიაქუს ცხოველობისაჲ, A-684 88 v (არშიაზე).

ვიდრე ამა წიგნსა ვწერდი, Jer.-149 137 r, 9—10;

ამა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა მადლითა, Jer.16 210 v (გადამწ. ანდერძი).

ამა, იმა, მაგა ნაცვალსახელები საკმაოდ ხშირია „ვეფხისტყაოსანშიც", კარაბადინში, საისტორიო დოკუმენტებში:

ამა დღემან, ვეფხისტყ. 298, 1; ამა ყრმამან, 609, 1; ამა წიგნმან, 1279, 3; ამა ამბავსა, 1261, 2; ამა დღესა, 1256, 1; ამა თემსა, 1656, 2; ამა ამბისა, 315, 1; ამა გზისა 1142, 4; ამა სიტყვათა, 249, 1, და სხვა;

მაგა მამაცობასა, 910, 2; მაგა პირსა, 749, 1; მაგა საუბარსა, 934, 1; მაგა ამბისა, 234, 4; მაგა ცხენისა, 946, 2; მაგა გულითა, 906, 2; მაგა ჭაღვითა, 935, 3, და სხვა;

იმა კაცსა, 1107, 2; 1110, 3; იმა ტანსა, 671, 2; იმა ლაშქართა, 1599, 1, და სხვა;

ამა ნიშნითა შეიტყუე, კარაბად. 15 r, 11—12; ამა მიზეზისაგან იყოს, იქვე 97 v, 16; და თუ ამა საქმესა შინა ცხელება მოუვიდეს, იქვე 98 r, 17—18; უკუყენება უნდა ამა წესითა, იქვე 99 r, 22; თუ ამა სისხლისა ამოღებაშიგა ჴმელი ჴეელა დაერთოს, იქვე 113 r, 1—3; ამა რიგითა უყავ, იქვე 171 r, 15—16;

და მაგა წამლებისა ზომა სამი თაფლი ქენ, იქვე 132 v, 13—14;

მერმე იმა წუენისა წონაჲ შაქარი გაურიე, იქვე 9 r, 23—24; იმავე წყალშიგა მოადუღე, იქვე 100 r, 17—18; და იმა წყლითა ღარღარა ქნას, იქვე 106 v, 5; იმა ბროწეულზედა დაასხან, იქვე 115 v, 2—3, და მისთ.

ზემოთ მოხმობილი ფაქტები მიუთითებენ, რომ X—XV საუკუნეთა ცოცხალ მეტყველებაში მსაზღვრელ-საზღვრული ძირითადად ახლებურად იბრუნებოდა.

უკვე ძველ ქართულში, X—XI საუკუნეთა ხელნაწერებში, შეინიშნება ორმაგი მრავლობითის ფორმები (8, გვ. 048; 7, გვ. 313—314): **ჴევნ-ებ-ნ-ი, ჴევნ-ებ-თა, სოფლ-ებ-ნ-ი, ნაპრალ-ებ-ნ-ი** და მისთ.

ჴევნ-ებ-ნ-ი, ჴევნ-ებ-თა ფორმები მ. კახიძე სამმაგ მრავლობითად მიაჩნდა (8, გვ. 048). ასევე სამმაგ მრავლობითად თელის ამ ფორმებს თ. ცქიტიშვილი (18, გვ. 279). ი. იმნაიშვილმა მართებულად მიუთითა, რომ -ებ სუფიქსის წინა ნ ფუძისეულია (7, გვ. 314, შენ.).

ორმაგი მრავლობითი გვხვდება აგრეთვე XI—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში, განსაკუთრებით ხშირად გელათური ბიბლიის ხელნაწერებში (18, გვ. 279), აგრეთვე სხვა ნუსხებში. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

ნაყოფებნი ერისანი, Q-1152 51 v, 23—24; რომლისათჳს კარვებთაცა, ესე იგი არს ტალავრებთა, აღსდგმიდეს, იქვე 53 v, 9—10; მოიხუნა **ბოსლებნი** მათნი, იქვე 210 v, 20—22; უბრძანებს ბომონთა და ტაძართა და **ძეგლებთა** საკერპოთა აღმოქლოვნასა, იქვე 212 v, 17—23 (კომენტ.): იგინი და **დაბნებნი** მათნი, იქვე 215 r, 8—9; ყოველნი გარემო **სოფლებნი**, იქვე 222 v, 11—12; **ნაყოფებნი** უფლისანი იყუნენ ნაწილ მათდა, იქვე 255 r, 20; განმარისხეს მე კერპებთა ზედა მათთა, იქვე 298 r, 17—18: იხარებდ უდაბნოჲ და **დაბნებნი** მისნი, იქვე 309 v, 9—11 (კომენტ.); აღიტრა ყოველი ერი კარვებთაგან მათთა, იქვე 314 r, 6—7; მისცა მათ ჴელმწიფებაჲ თრგუნვად გუელ-ღრიაკლებთა ზედა, იქვე 319 r, 1—4 (კომენტ.); და **დაბნებნი** მისნი, იქვე 329, 23; მათთავე შინა მკჳდრნი **ქალაქ-დაბნებთა**, იქვე 332 r, 23—25 (კომენტ.); არცა გარემო **სახლებნი** მისნი, იქვე 355 r, 12—13; 355 r, 16—17; 355 r, 20—22, და ჰმსახურებდეს ბაალიმთა და **სერტყეებთა**, იქვე 358 v, 12—13; საჴურველები აჩუნდა და ზღუდენი და **ეზოებნი**, იქვე 358 v, 21—22 (კომენტ.); წარმოტყუ(ა)ნე **ტყუჱებნი**, იქვე 363 v, 9: იგინი და მონაგებნი მათნი აღმოვიდოდეს და **კარვებნი** მათნი მოიწეოდეს, იქვე 365 r, 25—26; ვიღოდა იგი და თანამოყუსებნი მისნი, იქვე 378 r, 22—23; ბზეცა და **თივებნი** არიან კარაულთა ჩუენთათჳს, იქვე 394 r, 10—14; გულისკმა-ჰყვნე **სულებნი** მართალთანი, იქვე 405 r, 1 (კომენტ.); რაჲთა წარსულთა გარემოთა დაბნებთა და **აგარაკებთა** დაივანონ, Jer.-22 76 r, 23—26 a; მიმოვიდოდა იესუ **ქალაქებთაჲ**, იქვე 124 v, 4 a; ეჰგონებ, ვითარმედ ტოლონტოსთა მათთჳს და **ჭანდაკებთა**, იქვე 181 r, 21—23 b; **სახლებთა** ვიტყჳ, იქვე 186 r, 23; **ითქუმის ... სხუათაცა შინა წიგნებთა**, A-52 126 v, 13—14, და სხვა.

მ. კახაძემ აღნიშნა, რომ გაორკეცებული მრავლობითი გვხვდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და იოანე პეტრიწის ნაწერებშიც (8, გვ. 047). დ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ იოანე პეტრიწის ნაწერებში

ორმაგი მრაელობითის ფორმები გვიან შეუტანია გადამწერს (10, გვ. 11—13).

საშუალო ქართულში ორმაგი მრაელობითი საკმაოდ გავრცელებულია (10, გვ. 12). მან ახალ ქართულშიც იჩინა თავი. თანამედროვე სალიტერატურო ენაში ორმაგი მრაელობითი აღარ იხმარება.

ლიტერატურა

1. ლ. ბარამიძე, ნაწევრისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება საშუალ ქართულში: თსუ შრომები, 164, თბ., 1975.
2. ლ. ბასილაია, პირის სახელთა ბრუნება XI—XIII საუკუნეთა მხედრული ისტორიული საბუთების მიხედვით: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 23, თბ., 1980.
3. ალ. გეწაძე, ქართული ენის რიცხვითი სახელი, თბ., 1972.
4. მ. გოშაძე, საკუთარი სახელები საერო ლიტერატურის ადრინდელ ძეგლებში: საქ. სსრ მეც. ინსტიტუტების შრ., III, თბ., 1977.
5. ვ. თოფურია, წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXXVIII, № 2, 1965.
6. ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში. I, თბ., 1956.
7. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
8. მ. კახაძე, ექვსთა დღეთაჲ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 25, თბ., 1947.
9. არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იქვე, I, თბ., 1946.
10. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
11. ჯ. ფოგტი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში: მიმომხილველი, 4—5, თბ., 1968.
12. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
13. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973; თხზულებანი, III, თბ., 1980.
14. ა. შანიძე (ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე), ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფ., 1934.
15. არნ. ჩიქობავა, მესამე პირის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, V—VI, 1940.
16. არნ. ჩიქობავა, თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
17. ს. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თსუ შრ., 25, თბ., 1943.
18. თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბ., 1976.
19. ზ. ჭუმბურიძე, მოთხრობითი ბრუნვა „ვეფხისტყაოსანში": საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XVIII, № 4, 1957.
20 Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.
21. Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

22. Н. Я. Марр. Основные таблицы к грамматике древнелитературного грузинского языка, С-Пб., 1908.
23. G. Deeters, Die Stellung der Kartwelsprachen unter den kaukasischen Sprachen: Bedi Karthlisa, № 3, 1953.
24. H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, Oslo, 1971.
25. F. Zorell, Grammatik zur allgeorgischen Bibelübersetzung mit Tetsproben und Wörtverzeichnis, Roma, 1930.

XIII თავი

ზმნა

1. დარღვევები მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშანთა ხმარებისას ძველ ქართულ ნერილობით ძეგლებში

IX—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში თავს იჩენს დარღვევები მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირთა ნიშნების ხმარებისას (65, გვ. 195—215; 64, გვ. 317; 26, გვ. 140—141 და სხვა).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ ამ მოვლენას ფონეტიკური მიზეზი მოეპოვება (64, გვ. 317; 26, გვ. 140—141). S_2 და O_3 პირთა ნიშნები თავდაპირველად ისეთ ფუძეებთან იკარგებოდნენ, რომლებიც უკანაენისმიერი თანხმოვნებით იწყებიან. შემდგომში ეს მოვლენა სხვაგანაც იჩენს თავს (მაგალითად, დ, თ და სხვა თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან). მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირთა ნიშნების ხმარება უკვე ძველ ქართულშივე აღარ ემორჩილება მტკიცე წესს. სალიტერატურო ენაში ამ მოვლენის ამსახველი ფაქტები საკმაოდ ხშირად გამოელინდება. აღვილად წარმოსადგენია, რა ვითარება იყო იმ დროის ცოცხალ მეტყველებაში.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I — სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, S_2 ან O_3 პირების ნიშნები (ჰ-, ან ს-) უნდა იყოს, მაგრამ არაა. II — ჰ-ს ნაცვლად ს არის დაწერილი ისეთ შემთხვევებში, სადაც ჰ- და ს- პრეფიქსთა განაწილების წესების მიხედვით ჰ- უნდა იყოს. III — „პირის ნიშანი" ზედმეტადაა დაწერილი.

I. აკლია S_2, ან O_3 პირთა ნიშნები[1]

S_2 პირის ნიშანთა კლება

დგომა: არა უწყია, ვის წინაშე დგა, ვითარ გიფლიეს მაგის სიტყჳსა თქუმად, Sin.-62 41 v, 7—10 b.

---

[1] ჯერ ვიმოწმებთ ისეთ ზმნებს, რომელთა ფუძეები ხშულებით იწყებიან, შემდეგ სპირანტებით და, ბოლოს, სონორი თანხმოვნებით დაწყებულ ზმნურ ფუძეებს.

თქუმა: მან პრქუა მათ: თქუენ რაჲ თქჳთ, ვითარმედ ვინ ვარ მე, მთ. 13, 15 C.

განთავისუფლება: რასა იტყჳ, მ აბიბოს, უგოა ღმერთთა და შესწირო მათა შესაწირავი და განთავისუფლდე ჰირთა ამათგან, Sin.-11 30 v, 9—11.

აღტყდომა: ეკრძალენით, ნუ აღტყდებით, მთ. 24, 7 C.

შეძრწუნება: ნუ შეძრწუნდებით, A-1699 62 r, 18—19 b.

ცნობა: სამებით ცნობ, მოდრ. იადგ. 29 v, 2.

დაცხრომა: ეედრებად ჩუენთჳს ნუ დაცხრები, A-603 12 v, 3—4.

წარწყმედა: ყოველივე ეგრეთ წარწყმდეთ, წყაროსთ. ოთხთ. 136 v, 5.

მოწყუედა: ამისთჳს აჰა ესერა მივაელინნე თქუენდა წინაწარმეტყუველნი და ბრძენნი მწიგნობარნი, მათგანნი მოწყჳდნეთ და ჯუარს-აცუნეთ, მთ. 23, 34 CD.

წინაწარმეტყუელება: აწ ისმინე სიტყუაჲ უფლისაჲ, რამეთუ სთქუ, ნუ წინაწარმეტყუელებ, პარიზ. ლექც. 256, 13—14 a.

გამოჩენა: რამეთუ ორთა მათ ცხოველთა შორის გამოჩნდი შენ ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა, Sin.-20 13 v, 13—15: გამოჩნდი მუცლისაგან ქალწულისა, იქვე 20 v, 2—3; გიხაროდენ, ღუაწლისა მძლენო, რომელნი ბრძოლასა მძლავრთასა მჴნედ გამოჩნდეთ, Sin.-64 77 r, 30—31.

ჰამა: რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰამთ და სუამთ, ლ. 5, 30 C; Sin.-16 170 v, 4—6.

გალობა: ამას თუ გალობდეთ, მოდრ. იადგ. 60 r, 39.

განკურნება: აჰმაღლდი ჯუარსა ზედა, მაღალო, ძელსა უბიწოსა, აღმაღლე დაცემაჲ ჩუენი და განკურნე წყლულებაჲ ძელისა მიერ, სახიერო, Sin.-20 69 r, 2—5.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ II ბრძანებითია და ამიტომ S_2-ს ჰ-არც უნდა იყოს წარმოდგენილიო, მაგრამ აქ თხრობითი კილოს ფორმაა (წყვეტილი), რასაც ცხადყოფს აჰმაღლდი ზმნა, სადაც S_2-ს ჰ- ნიშანი გვაქვს.

აღმოჴდომა: ლეკუ ლომისა იუდა, მცენარისაგან აღმოჴედ, დაბ. 49, 9 O.

განჴსნა: და რაჲდენი განჴსნეთ ქუეყანასა ზედა, მთ. 18, 18 C; და რომელი განჴსნა ქუეყანასა ზედა, მთ. 16, 19 D: ასდეგ მესამესა დღესა, განჴსნენ საკრველნი პყრობილთანი, Sin.-20 100 v, 17—101 r, 1.

დაჴსნა: რამეთუ შენ მხოლომან დაჴსენ წესნი ბუნებათანი, Sin.-20 52 v, 5—6; ვითარცა სთქუ, ქრისტე, ასდეგ მკუდრეთით მესამესა დღესა და დაჴსენ ტაძარი ჴორცთაჲ, იქვე 53 r, 10—12; შენ ძელითა ჯუარისაჲთა სიკუდილი დაჴსენ, იქვე 84 v, 4—5; ხოლო შენ, ვითარცა ღმერთი ხარ, დაჴსენ ჯოჯოხეთი და აღსდეგ საფლავით, იქვე 85 v, 14—15.

-ყოფა: გონებაჲ შენი უცვალებელ იყო აღსაარებასა ღმრთისასა, სა-

მებით ცნობილსა ერთბუნებად, და შეურაცხ-ყვენ კერპნი, ღირსო ევქსანტი, Sin.-1 288 r, 21—23; მაშინ ეტყოდეს მას ერისა კაცნი: რ ჴსათჳს უკუე წინააღუდგები და შეურაცხ-ყოფ მსაჯულსა, Sin.-11 229 v, 1—3; კურთხეულ ხართ თქუენ უფლისა მიერ, რამეთუ ჰქმენით საქმე კეთილი და მოიკსენეთ სიყუარული უფლისა თქუენისაჲ და წყალობა-ყავთ და დაჰფალთ იგი, II მეფ. 2, 5 I; სმენით გესმოდის და არა გულისხმა-ყოთ, პარიზ. ლექც. 243 r, 14—15 b;

ზრახვა: რაჲსა ზრახავთ გულთა შინა თქუენთა, მთ. 16, 8 C; რამეთუ არა ზრახავ შენ ღმრთისასა, მთ. 16, 23 C; რასა-ეგე ზრახავთ, ლ. 5, 22 CD; რაჲსა ზრახავთ გულთა თქუენთა, მთ. 16, 8 D; რამეთუ არა ზრახავ ღმრთისასა, მთ. 16, 23 D; რაჲსათჳს თქუენ ესრეთ ზრახავთ ბოროტ-სა, ლატ. ლექც. 296 r, 17—18 a; ოდეს ზრახვიდე მეგობართა შენთა, მამ. სწავლ. 28, 15 C.

ზი-: რომელი ზი ეტლთა ზედა ქერაბინთა, უღაბნ. მრავალთ. 44 r, 19 a; ანუ რად ზი მღდელთმოძღუართა თანა, იქვე 50 v, 15—16 b.

ზამ: რაჲს ჴამთ, ლ. 6, 2 CDE; ნუ ეგრე ზამთ, ლატ. ლექც. 55 v, 29 a.

ზრუნვა: ნუ ზრუნავთ, სინ. მრავალთ. 153, 9; ნუუკუე ზრუნავთ, მთ. 6, 31 D; ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს, ლ. 10, 41 C; ნუ ზრუნავთ სულისა თქუენისათჳს, ლ. 12, 22 C; ნუ ზრუნავ ხვალისა, უღაბნ. მრავალთ. 20 r, 10 b; ნურას ზრუნავთ, იქვე 69 r, 4—5 a; ნუ ზრუნავთ, მთ 6, 25 D: და სამოსლისათჳს რაჲსა ზრუნავთ, მთ. 6, 28 D: ნუუკუე ზრუნავთ, H-1704 43 v, 3; რაჟამს არაჲ შეზრუნდი სატანჯველთაგან, ნეტარო გიორგი, Sin.-64 161 v, 34; მართა, მართა, ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს, ურბნ. ოთხ. 138 r, 8—11 a.

ახდომა: და კართა ზედა კარვისა საწამებელისათა სხდეთ შჳდ დღე, ლევიტ. 8, 35 O.

(შე)სუმა: ნუცა მათ თანა შჳამთ, ნუცა მათ თანა სუამთ, სინ. მრავალთ. 48, 10; ჰამადითა დასტენო და აღმოიცსო მუცელი შენი დღეს და ხვალე, და შემდგომად შესუა წამალი იგი, იქვე 109, 38; რაჲსათჳს მეზღვრეთა და ცოდვილთა თანა ჰამთ და სუამთ, ლ. 5, 30 C; Sin.-16 170 v, 4—6; ნუცა მათ თანა სუამთ, პარხლ. მრავალთ. 1 v, 16 a; და წყალი შენი გუემით სუა, სწავლ. ნილო მონაზონ. 203 v, 26; არა სუათ ღჳნოჲ მისჳან, ამოს 5. 11 I.

დასჯა: შენ მჯდომი ჩუენი დასთრგუნე, შენ ცოდვაჲ ჯორცითა დასაჯე, სინ. მრავალთ. 175, 8—9.

შობა: მუცლად-იღო და შვე ძჱ, სინ. მრავალთ. 4, 5; პირველად შენ შობ ყრმასა, იქვე 28, 7; რომელმან შევ ღმერთი, იქვე 28, 15; რამეთუ უფალი და ღმერთი იესუ ქრისტჱ შევ, იქვე 52, 31—32; რამეთუ ღმერთი შევ უბოროტოდ, იქვე 203, 10; შვე ძჱ და უწოდი სახელი ძისი იესუ,

ლ. 1, 31 D; რომელმან მამისა შენისა ადამის შემოქმედი ღმერთი შევ, ათონ. მრავალთ. 155 r, 10—11 b; რაჟამს ქრისტეჲ ცხოვრებაჲ ჭალწულ-მან შევ, მოდრ. იადგ. 33 r, 2; და მწუხარებით შვნე შვილნი შენნი, იო-ანე მმარხვ. 125 v, 22—23 b; შდრ.: ღმერთი ჰშევ, სინ. მრავალთ. 52, 25.

(და)შურომა: მე წარგაელინებ თქუენ მომკად, რომელსა არა თქუენ შუერით, ი. 4, 38 C; შდრ.: დაშუერით DE; დაღაცათუ მცირედ დაშურე, ათ. ასკეტ. კრებ. 299 r, 11—12 a; ჰ კაცო, რაჲსათჳს შურები, პარხლ. მრავალთ. 251 r, 28—30 a; რომლისა თანა ფრიად დაშუერ, Sin.-59 35 v, 9.

დაშრეტა: რაჟამს დაშრიტე საჯუმილი ვნებათაჲ, Sin.-1 283 v, 2—3.

ღაღადება: და სასოებაჲ შენი დასდევ მაცხოვრისა მიმართ და ღაღა-დებდი: ღმერთო, კურთხეულ ხარ, Sin.-1 150 r, 6; რაჟამს იხილე შენ მოწყუედაჲ წინაწარმეტყუელთაჲ მათ და ცეცხლითა მოტყინარჱ ღაღა-დებდი და იტყოდე, იქვე 132 v, 17—18.

ხურინვა: რაჲსა სძე და ხურინავ, სინ. მრავალთ. 163, 17.

ხედვა: ნუ წიგნსა მას ხედავ, სინ. მრავალთ. 11, 25; ხედავთა ამას ყოელსა, მთ. 24, 2 C; აწ შენ ხედავ, უდაბნ. მრავალთ. 54 r, 10 b; ხე-დავა ერთგულებასა მას, ნათლისღებ. მეორე 476, 8; რომელი-ეგე მარა-დის ხედვ პირსა მამისა მის ზეცათაჲსა, მიქაელ 180 v, 3—5 b.

(მო)ხდა: რამეთუ მარიამს ღმრთის-მშობელად ხადით, სინ. მრავალთ. 59, 30—31; და რავდენიცა ჰპოოთ, მოხადეთ ქორწილსა ამას, მთ. 22, 9 C; ნუ ხადი მეგობართა შენთა, ლ. 14, 12 C; თქუენ ნუვის ხადით მო-ძღურით, მთ. 23, 8 D.

აღმაღლება: ნუ ცამდე აღმაღლდები, ლ. 10, 15 D; შდრ.: ჲღჰმაღლდე-ბი E; აჰმაღლდები C.

აკლია O_3 პირის ნიშნები

აქ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა არაა წარმოდგენილი მე-სამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშნები:[1]

ბაძვა: რაჲთა ვბაძვიდეთ შურსა მას კეთილსა, Sin.-36 368, 5—6 b.

დაფლვა: მოთხარა და დაფლა ვეცხლი იგი უფლისა თჳსისაჲ, მთ. 25, 18 D; და დავფალ ქანჭარი იგი შენი ქუეყანასა, მთ. 25, 25 D; A-1699 28 r. 27—28; დავფალ ტალანტი შენი ქუეყანასა, Sin.-16 82 r, 17—18.

(მი)ცემა: რომელსა-ესე მე სიტყუასა მივცემ, სიმდიდრესა შობს, ათონ. მრავალთ. 73 r, 19—20 b; აჰა, ესერა, მე მივცემ კაცთა, ზაქარიე,

[1] შეეხებით ისეთ ზმნურ ფორმებსაც, სადაც ირიბი ობიექტი დაკარგულია, ოღონდ მისი ნიშანი ძველ ქართულ ძეგლებში უმთავრესად წარმოდგენილია: დავჰფალ, აღ-მოსცენდა... (ამ ფორმათა შესახებ იხ. 65, გვ. 174 და შემდეგ).

11, 6 O; და თაყუანის-ვცეთ უფალსა ღმერთსა შენსა, I მეფ. 5, 30 O; მე სიტყუაჲ მივცე შენთჳს, Jer.-37 27 v, 28 b.

აღმოცენება: აღმოცენდა და განკმა, ტბ. ოთხთ. 171 r, 16—18 b; და აღმოცენდეს ეკალნი და შეაშთევეს იგი, იქვე 171 v, 2—4 a; და სხუაჲ დავარდა ქუეყანასა კეთილსა და აღმოცენდა, იქვე 171 v, 5—7 a.

ცთომა: არა ვცეთით ჩუენ გზასა, A-397 133 v, 14.

გონება: ვგონებ, ვითარმედ თანაწარგჳდეს ეგე შენ, Sin.-46 224 r, 3—4; ოდეს გონებნ, ვითარმედ, A-35 27 r, 10; ვგონებ, ვითარმედ ვერა ვპოვე, ანდრია სალოსი 125 r, 10—11; მე ეგრე ვგონებ, იქვე 149 r, 1—2.

მსგავსება: რაცა ამას გავს, კარაბადინი 147 r, 1; ენისა სიმსივნესა გვანდეს, იქვე 110 v, 16—17.

ჭონება: და სიცხე არა ჭონდეს, კარაბადინი 110 r, 13—14.

კითხვა: თქუენ ყოველთა წინაშე ვკითხე მას, ეფრ. ასურ. სწავლ. 210 v, 16—17 b; ვიდრემდის არა ვკითხო მსაჯულსა, ანდრია სალოსი 89 r, 3—4.

მოკიდება: და კისერზედა კოტოში მოკიდე, კარაბადინი 107 r, 2—3; უკანით კოტოში მოკიდე, იქვე 107 v, 5—6.

წარჯდომა: შეძრწუნებულ იქმნა მთავარი და სულნი წარჯდეს, Sin.-1 185 r, 19—20.

მოყოფა: ყური მოყავ ლოცვასა, პარიზ. ლექც. 344, 21—22 b.

გამოყოლა: და სულნელებაჲ გამოყვებოდა ამოჲ და ტკბილი, ანდრია სალოსი 34 r, 4—5.

ჩაყოლა: და ჩაყვების, კარაბადინი 118 r, 9.

ზრახვა: არაჲს ზრახავნ, სინ. მრავალთ. 270, 11.

მიმოდაზრუნვა: ხოლო მართა მიმოდაზრუნვიდა მრაელისათჳს მსახურებისა, ლ. 10, 40 CE; შდრ.: მიმოდაჰზრუნვიდა D.

სურვილი: სუროდა სულსა შენსა, მოდრ. იადგ. 98 r, 33.

შორავს: რომელი შორავს ქალაქსა ვითარ ოც მილიონით ოდენ, სინ. მრავალთ. 64, 32—33; და აღაესნის სიხარულითა, რომელნი შორვან ურ-ვითა, უდაბნ. მრავალთ. 59 r, 6—7 a; დაბასა, რომელი შორავს იერუ-სალჳმსა, ლატ. ლექც. 350, 19—20 a; და შორავს იგი ლაერასა ათხუთმეტ უტეევან, ეფთჳმი 71 r, 11—12; რომელ შორავნ ღმრთეებასა, შატბ. კრებ. 196 r, 6—7 a; რომელი შორავნ ჯურღმულსა მას, მამათა ცხოვრ. 74 v, 11—13 b.

დაშთომა: რამეთუ არარაჲ დაშთომოდა მათ კაცობრივთა ღონისძიე-ბათაგანი, გრიგოლი საკვრველთმოქმ. 707, 10—12 b.

შიმშილი: შიოდა ვითარცა კაცსა, სინ. მრავალთ. 50, 9; მათ შიმ (=შიის) და სხუათა ზრდიან, იქვე 36, 16.

(გამო)ხადა: სადა მამასახლისსა ბერზებულით ხადოდეს, მთ. 10, 25 G;

დაჳით სულითა უფლით ხადის, მთ. 22, 43 C; დაჳით უფლით ხადის მას, მთ. 22, 45 C; ხადოდა სახელსა ქრისტესსა, პერგელთ. 284 r; 27—28 b; ჯითარ მაცთურით ხადი, უშჯულოო, პროკოპი 270 v, 25—26 b; მიუელინეს მას და გამოხადოდეს, მრკ. 3, 31 D.

შემოსა: და შემოსო აჰრონს სამოსელი იგი წმიდაჲ და სცხო მას, გამოსლვ. 40, 11 O.

მოწება: რაჲეთუ ვმონებდეთ მას, მსაჯ. 9, 28 O; 9, 38 O.

მსახურება: რომელნი მსახურებდეს მას, ლ. 8, 3 C; აღდგა და მსახურებდა მას, ლ. 4, 39 DE; მრკ. 1, 31 E; და მსახურა საკურთხეველსა ორ წელ. იოანე ოქროპ. ცხორ. 48 v, 4—5: დაგიტეეთ შენ უფალი ღმერთი და ვმსახურებდით ბაალსა, მსაჯ. 10, 10 O; არასადა ვმსახურო ეშმაკთა, Sin.-11 6 r, 1—2; ფოკა, მსახურე პოსიოდონსა, რაჲთა სცხონდე, იქვე 75 r, 7—8; არცა თქუენთა მაგათ ბილწთა ღმერთთა ვმსახურებ, ბაგრატ 246 r, 13—14.

აღმართება: და აღდგა იაკობ განთიად და აღიღო ლოდი იგი მუნ, რომელი ედვა სასთუნლად, და აღმართა ძეგლად, დაბ. 28, 18 O.

ნატრა: მე ვნატრი კაცსა მას, ანდრია სალოსი 143 v, 17.

ნერწყუჳა: ნერწყუჳა ქუეყანასა, ი. 9, 6 C; შდრ.: ჰნერწყუჳა DE.

რჭუმა: და რჭუა, სინ. მრავალთ. 147, 17; რჭუა მათ იესუ, იქვე 149, 11—12; 149, 26—27; რჭუა ლეღუსა მას, იქვე 151, 5—6; მოუჴდეს იესუს და რჭუეს, იქვე 147, 10—11; და რჭუეს, იქვე 149, 10—11; 149, 26; აღ-ვინძე-იღო დედაკაცმან ჴმაჲ ერსა მას შორის და რჭუა, ლ. 11, 27 C; წარვიდე მამისა ჩემისა და ვრჭუა მას, ლ. 15, 18 C; და რჭუეს მოციქულთა მათ, ლ. 17, 5 C; რჭუა ფილიპეს, ი. 6, 5 C; რჭუა მას ერთმან მოწაფეთაგანმან, ი. 6, 8 C; ვითარცა ესე რჭუა მათ, ი. 18, 22 C; და რჭუა მას, ჰილ.-ეტრ. იადგ. 39 r, 12; Sin.-34 184 r, 14; და რომელმან რჭუას ძმასა თჳსსა, Sin.-30 10 v, 7—8 a; და მერმე რჭუა მათ, კურთხევანი 65 r, 12: და რჭუა მათ: მიჳედით, H-1888 1 v, 4—5 a; რჭუა ანგელოზმან ღმრთისამან, H-622 3 v, 19; ხოლო მან რჭუა მას, სინ. თარგმ. სახარ. 25 r, 11—12; რჭუეს მას ერისა კაცთა მათ, Sin.-62 40 r, 16—17 b; და ვრჭუა სულსა ჩემსა, ურბნ. ოთხთ. 142 r, 9 b; და რჭუეს, Sin.-35 395, 10 a: რომელსა რჭუიან სუქარ, ლატ. ლექც. 209 v, 19—20 a; და მოიყვანეს სჳმონ, რომელსა სახელი რჭჳან პეტრე, სინ. საქმ. მოციქ. 24 r, 4—7 a: რომელსა რჭჳან გეთსემანია, Sin.-30 67 r, 9—10 a; ამას ბოროტ რჭჳან, Sin.-35 548, 11—12 b.

კარაბადინში დადასტურებული ჭუიან<რჭუიან: არა ჭუიან მას მოკლე სნეულება, 38 r, 14—15.

რწმენა: ვის მე არა ვრწამ, ღმერთი არა რწამს, სინ. მრავალთ. 127, 25; მღდელთა მათ რაჲთამცა რწმენა საქმეთაჲ მათ, იქვე 149, 21—22; და რწმენა მისი სოფელსა, ჰილ.-ეტრ. იადგ. 35 r, 8—9; რომელთა იხილეს

და რწმენა, იქვე 129 r, 7; და რასჟამს რწმენა ფილიპჱსი, სინ. საქმ. მოციქ. 17 r, 19—21 a; არა რწმენა, იქვე 21 v, 20 b; რაჲთა რწმენეს მათ, S-1138 145 v, 10—11 b; და რწმენა წარმართთა ღმრთეებაჲ შენი, Sin.-20 70 v, 13—14; და რწჳს სმენილი, Sin.-35 232, 2ჱ—29 b.

სირცხჳლი: და რცხუენოდის ყოვლისაგან, ლატ. ლექც. 100 v, 30 a; არა რცხუენოდის, იქვე 114 v, 4—5 a; რცხუენეს და იძლიოს, შატბ. კრებ. 158 v, 15—16 a; რომელსა ჰრწმენეს იგი, არა რცხუენეს, სინ. საქმ. მოციქ. 100 v, 22 b — 101 r, 2 a; და არა ეშინოდა მას ღმრთისაგან და არცა რცხუენოდა კაცთაგან, A-622 13 v, 15—16; და რცხჳნოდის სახელთა მათთჳს, Sin.-35 267, 1 a.

შერთვა: შერთო სახელი მისი ნათესავთა მათ, შატბ. კრებ. 92 v, 6—7 b.

დამარხვა: რაჲთამცა დამარხეს იგი, სინ. მრავალთ. 61, 21; შდრ.: დათუ-ვინმე-დაჰმარხოს, იგი, იქვე 61, 12.

* * *

„შეწირა“ და „შუენის“ ზმნათა შესახებ

ა. შანიძე წერს: „ნამყო სრულის ჯგუფის დრო-კილოებში შ ე წ ი რ ა ზმნას დამატება მიცემითში ჩვეულებრივ არა აქვს, აქვს მხოლოდ სახელობითი ბრუნვის დამატება და ამას გარდა მიმართულების აღსანიშნავად ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს (გვ. 147, შნშ.); მაგალითად: 3 პ. მადლი შ ე წ ი რ ა ღმრთისა“ (65, გვ. 211), მაგრამ ამ ზმნას „თანდათან კონსტრუქცია ეცვლება და ნათესაობითის ნაცვლად მიცემითის მოთხოვნას იწყებს:

ღმერთეებასა სამებისასა ერთობით ქერობინთა თანა შიშით ქებასა შ ე ვ ს წ ი რ ე ი დ ე თ (ძვ. სას. პოეზ. 6ნ 1—3). ამიტომ ასეთ შემთხვევებში ობიექტური პრეფიქსი უჩნდება“ (65, გვ. 211).

შუენის ზმნაც ნათესაობითში დასმულ სახელს შეიწყობს ჩვეულებრივ:

და კორციელთა ამათ სიტყუათაგანი მისა არა შუენის, შესხმ. ბასილ. 57 v, 40—42 ხ.

ოღონდ ზოგჯერ ამ ზმნასთან უკვე მიცემითში დასმული სახელი დასტურდება და ზმნას ობიექტური პირის ნიშანიც აქვს:

რ ო მ ე ლ ს ა ჰშუენის დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, სინ. მრავალთ. 71, 30.

არის შემთხვევებიც, როცა ზმნას მიცემითში დასმული სახელი შეეწყობა, ოღონდ პირის ნიშანი წარმოდგენილი არაა:

რამეთუ ეგრეთცა შუენოდა დიდსა მას ნ ა თ ე ლ ს ა, ახალკვრიაკ. 79,

22—23: ღა ვითარმედ შუენოდა მ ა ს, პაულ. ეპისტ. 179 r, 25; ვითარცა შუენოდა წ მ ი დ ა თ ა მათ. გიორგი მთაწმიდლ. ცხოვრ. 44, 10.

• • •

ა. შანიძემ მიუთითა, რომ მოსწყუდა // მოწყუდა, მოსწყუჯდა // მოწყუჯდა პარალელური ფორმებია (65, გვ. 212—214). ასევე ხან პრეფიქსით და ხან უპრეფიქსოდ გვხვდება აღმოჯდა // აღმოჰჯდა, გარდამოჯდა // გარდამოჰჯდა და მისთანა ფორმები (უძველეს წერილობით ძეგლებში ეს ზმნები უპრეფიქსოდაა წარმოდგენილი):

პირველად აღმოჯდეს თევზი, მთ. 17, 27 C; შდრ.: აღმოჰჯდეს DE; და აღმოჯდეს ორნი წილნი სიკუდილისანი, II მეფ. 8, 2 O; აღმოჯდეს იგინი ორმოჲსა მისგან, II მეფ. 17, 21 O; რაჲთა აღმოჯდეს ნათელი დიდი, Sin.-62 134 r, 8 a; და გარდამოჯდა წჳმაჲ, Sin.-62 23 r, 6 b; რომელმან სიბრძნით მოდრიკნა ცანი მაღალნი და გარდამოჯდა მოწყალებით, მოდრ. იადგ. 66 r, 32—33; შდრ.: ნათელი იგი მეყსეულად აღმოჰჯდის, სვან. მრავალთ. 331, 2—3 b; ვინაჲ აღმოჰჯდა ღუარძლი, A-1699 14 r, 19—20 b, და სხვა.

• • •

ძველი ქართული ენის ძეგლებში მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტი ხან აჩენს პირის ნიშანს, ხან კი ვერა. ა. შანიძემ ამის მიხედვით ზმნები ორ ჯგუფად დაყო: ჰყოფს ტიპის ზმნები, რომელთაც III პირდ. ობ. პირის ნიშანი მოეპოვებათ, და ქადაგებს ტიპის ზმნები, რომლებიც III პირდ. ობიექტური პირის ნიშანს არ დაირთავენ (65, გვ. 182—193; იხ. აგრეთვე 29, გვ. 163—200), მაგრამ თვით ძველი ქართული ენის ძეგლებშივე თავს იჩენს ნაირნაირი ფორმები: ქადაგებს ტიპის ზმნებს შეიძლება აღმოაჩნდეს III პირდ. ობიექტური პირის ნიშანი, ხოლო, მეორე მხრივ, ჰყოფს ტიპის ზმნა შეიძლება დავადასტუროთ III პირდ. ობიექტური პირის პრეფიქსის გარეშე (65, გვ. 195; 29, გვ. 202).

ასეთი ფაქტები მრავლადაა ჩვენს ძეგლებში, მაგრამ, რადგანაც მასალა რაიმე პრინციპულ სიახლეს არ გვიჩვენებს, მასზე აღარ შევჩერდებით.

II. ჰ-ს ნაცვლად დაწერილია ხ

ძეგლებში აღმოჩნდა შემთხვევები, როცა ს არის დაწერილი ისეთ ფორმებში, სადაც ს- და ჰ- პრეფიქსთა განაწილების წესების მიხედვით ჰ- უნდა გვქონოდა:

მორწყვა: ყოველი ქუეყანაჲ მოსრწყეთ, Sin.-34 42 r, 11.

ამ ზმნურ ფორმაში /ჰ-/-ს მეტათეზისის შედეგად მოჰრწყე>მორსწყე (27, გვ. 139—149). როგორც ჩანს, მორსწყე ფორმის ზეგავლენით გადამწერმა ს „აღადგინა ძველ“ (მეტათეზისამდელ) ადგილას: მოსრწყე. ძნელი საფიქრებელია, რომ მოსრწყე ენაში (ცოცხალ მეტყველებაში) არსებულიყო. იგი მიუთითებს, რომ ამ ზმნურ ფორმაში არც ჰ- პრეფიქსი გვქონდა ამ დროს (ყოველ შემთხვევაში მას ეს გადამწერი არ გამოთქვამდა).

შეზავება: რაჟამს ნელსაცხებელთა სულთა შესზავებედ, შატბ. კრებ. 97 r, 8—9 b; რაჟამს სულნელთა ნელსაცხებელთა ვინმე შესზავებნ, იქვე 97 r, 15—16 b; ესრჱვე სახჱდ წმიდაჲ მამამთავარი ეპიფანე შესზავებს თეეზთა მათ, იქვე 256 v, 7—8 b.

ზრახვა: და კრძალეით სზრახავნ ყრმასა მას, Sin.-46 16 v, 18—19; და მარადის სზრახვიდა მას, იქვე 142 r, 1; და ნუცალა წინაშე მონისა ღმრთისა სზრახავ, იქვე 194 r, 6—7; რაჲსა მაგას სზრახავთ, Ost-1 55 v, 12—13.

ზი: ჰრქუა მას ბერმან: სადა სზი: ათ. პატერ. 43 v, 21—22.

შეზღუდვა: რომელი იგი ზღუასა მას გონებისასა შესზღუდავს, A-134 178 v, 13—14.

ზრუნვა: ნუ სზრუნავთ, Ost.-1 134 r, 13; ნუ სზრუნავთ, იქვე 134 v, 19.

შესზავებს, სზრახავნ, სზი ... ფორმები მიუთითებენ, რომ ს- და ჰ- პრეფიქსები გადავარდნის გზაზეა დამდგარი. ზავება, ზრახვა, ზი და სხვა ზმნები ზ თანხმოვნით იწყება: აქ ჰ ისე, როგორც სხვა სპირანტებით დაწყებულ ზმნებთან, უკვე აღარ გამოითქმოდა. გადამწერთა ენობრივი ცოდნა ამ შემთხვევაში ზუსტი არ გამოდგა: ისინი შეეცადნენ, ჭეშმარიტ პირის ნიშანი (რომელიც აღარ გამოითქმოდა) და ისტორიული ჰ-ს ადგილას ს დაწერეს. ეს შეცდომები იმასაც ცხადყოფენ, რომ ენაში არც ს- პრეფიქსის პოზიციაა მყარი (ნათელია, რომ ძეგლებში იგი ისეთ ადგილასაც იწერება, სადაც ს არ გამოითქმის და არც ოდესმე გამოითქმოდა).

ერთ შემთხვევაში ჰს- „პრეფიქსია“ დაწერილი ისტორიულად არსებული ჰ-ს ადგილას:

შეჰსზღუდე იგი, Sin.-40 224 v, 5.

III. „პრეფიქსები“ ზედმეტადაა დაწერილი

ა. შანიძე წერს: „თუ ზოგიერთ ანომალიას განსაზღვრული ხასიათი აქვს და ერთგვარი გასამართლებელი საბუთიც მოეპოვება, სამაგიეროდ ზოგჯერ ისეთებს წააწყდება კაცი ძველი ძეგლების კითხვის დროს, რომ

მათ ვერ უპოვით ვერავითარ საფუძველს, გარდა უღლების ნორმების არ-ცოდნისა ძეგლის დამწერისა და გადამწერლის მხრივ" (65, გვ. 213). ა. შანიძე ამგვარ შეცდომათა რამდენიმე ნიმუშს ასახელებს (65, გვ. 213—215).

IX—XII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში დაიძებნა სხვა ფაქტებიც, როცა „პრეფიქსები" ზედმეტად არის დაწერილი. ჯერ განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა ზმნა ერთპირიანია, პირის ნიშანი კი ორია:

შეკრება: შეჰკრბებოდა ერი მრავალი სმენად, ლ. 5, 15 C; შდრ.: შ ე კ რ ბ ე ბ ო დ ა DE.

გამოჩენა: ეგენით მას ზედა, რაჲთა, რაჟამს გამოშჩნდეს, მაქუნდეს განცხადებულებაჲ, Ath.-42 210 r, 19—22 b; და სისხლთა დათხევითა ქრისტესთჳს გამოშჩნდების მოწამედ გჳრგჳნოსნად, Sin.-64 52 r, 1; თანამკჳდრად მისა გამოჳშჩნდეთ დღეს, იქვე 28 r, 20.

ყოვნა: ჰყოვნის უფალი ჩემი, Jer.-22 115 r, 13—14 b; შდრ.: ყ ო ვ ნ ი ს, 115 r, 30 a.

დაშთომა: მოელენან დღენი, რომელთა შინა არა დაჰშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, ლ. 21, 6 D; შდრ.: დ ა შ თ ე ს CE.

ზი-ს: რომელი ჰზის მარჯუენით ღმრთისა მამისა, მან მომცა ჩუენ ნუგეშინისმცემელი, Sin.-1 142 v, 5—6.

განრისხება: მაშინ განჰრისხნა მსაჯული იგი, Sin.-62 26 v, 16—17 a; მაშინ განჰრისხნა მეფჱ იგი და ბრძანა, იქვე 42 r, 13—16 b.

დაპყოლება: სიტყჳსა მისთჳს მეყსეულად დაჰპყოლდიან, ტბ. ოთხთ. 35 v, 2—4 a; ფარისეველთა რაჲ ესმა სიტყუაჲ იგი, დაჰპყოლდეს, იქვე 42 r, 13—16 a.

მიდრეკა: მიერ მისდრკა დატევებითა ისავროჲსაჲთა, Jer.-37 84 r, 3—4 b.

დაწუნარება: რომელნიმე კაცნი არიან, რომელნი რაჟამს განრისხნენ, მეყსა შინა კუალად დასწუნარდებიან, კლემაქს. 92 r, 6—7; ღელვანი დასწუნარდეს, Jer.-37 267 r, 25—26 b; დასწუნარდეს მგზებარეობაჲ A-129 224 r, 7—8 a.

ცრემლოა: ცრემლოდა იესუ, სცრემლოდა ვითარცა კაცი, A-129 208 v, 15—17 b.

შეკრთომა: მაშინ შეჰკრთა ყრმაჲ იგი შიშისა რეკითა, ანდრია სალოსი 2 v, 3—4.

აწუდომა: ავსწუდებით სიფიცხლისაგან, ანდრია სალოსი 19 v, 10—11.

განწყრომა: განსწყრა ფილაფოსი იგი, ანდრია სალოსი 191 r, 16—17.

ახლა ვნახოთ გარდამავალ ორპირიან ზმნათა II სერიის ფორმები, სადაც „პრეფიქსი" ზედმეტია:

დაჯსნა: უკუეთუ ვინმე დაჰჯსნეს ერთი მცნებათა ამათგანი, მ. 5, 19 E; შდრ.: დ ა ჯ ს ნ ე ს CD.

მიმოდება: ხოლო შენ წარვედ და მიმოსდევ სასუფეველი ღმრთისაჲ, ლ. 9, 60 E; შდრ.: მიმოჰსდექ D; მ ი მ ო დ ე ვ C.

ქმნა: და მო-მცა-ვედ და აღნადგინებითურთ ჴჭმენ იგი, ლ. 19, 23 D.

შეკრვა: პირველად შეჰკარ იგი და მოვედ ჩემდა, Sin.-62 89 r, 25—27 a. შეჰკარ II ბრძანებითია, რასაც მოწმობს მეორე ზმნის ფორმა: მოვედ.

შეცვალება: რაჲთა სიგლახაკე ჩუენი სიმდიდრედ შესცვალოს, Sin.-64 10 r, 27; შესცვალოს წესი ქუეყანისა, ქ. ცხ. 71, 11; ხოლო სარწმუნოებაჲ მისი ვერ შესცვალეს, Sin.-65 149 r, 14; შესცვალა ... მეფობა, ქ. ცხ. 267, 15.

გმობა: და ჰგმეს კაცთა სახელი ღმრთისაჲ, H-1346 160 v, 14.

თქუმა: სთქუა (მან) წადიერებითა, Jer.-37 4 v, 9—10.

შესლვა: ძალითა ქრისტესითა სშევედ, ქ. ცხ. 218, 8.

S_2 და O_3 პირების ნიშანთა ხმარების დარღვევები მიუთითებენ, რომ ჲ- და ს- პრეფიქსები უკვე IX—XI საუკუნეების ცოცხალ მეტყველებაში მკვდარი იყო (ვგულისხმობთ ცოცხალ მეტყველებას, რომელსაც ემყარებოდა იმ ეპოქის სალიტერატურო ენა). ამით აიხსნება, ერთი მხრივ, ამ ნიშანთა კლება იქ, სადაც ისინი, ნორმების მიხედვით, მოსალოდნელია, ხოლო, მეორე მხრივ, ჰიპერურბანული დაწერილობანი (ს-ს დაწერა მოსალოდნელი ჲ-ს ნაცვლად, ან „პრეფიქსთა" ზედმეტად ხმარება).

ჩვენ საკმაოდ ვიზიარებთ გ. ახვლედიანის დასკვნებს, რომლებიც მოცემულია მის წერილში: „ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში" (5, გვ. 100—160). ა. შანიძის მიერ ძველ ქართულში გამოვლენილ ანომალიებს რომ ეხება, გ. ახვლედიანი წერს: „გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულშიც კი (საშუალოზე ლაპარაკი ზედმეტია) ეს მოვლენები მკვდარი ყოფილა, რადგან ფორმათა არევა მხოლოდ ამ ფაქტის შედეგი შეიძლება იყოს. ალბათ გაცილებით ადრე დაკარგულა ავტორის პრეფიქსების ბუნების შეგნება, თუ მათი მართლწერაც კი არეულია ძეგლებში: მართლწერა მუდამ უკან რჩება ენის განვითარებას; შესაძლოა, მართლწერა სასტიკად იყოს დაცული, მაგრამ ცოცხალ გამოთქმას იგი არ შეეფერებოდეს. ფაქტიურადაც ეს ასეა ყველა ენაში და ხდება ეს, რა თქმა უნდა, ხელოვნურად" (5, გვ. 100).

რასაკვირველია, შემთხვევათა უმრავლესობაში ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში S_2 და O_3 პირთა ნიშნები სწორად იხმარება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომელი დიალექტური წრის წარმომადგენელია მწერალი (გადამწერი), როგორ ფლობს იგი სალიტერატურო ენას, რამდენად ცდილობს დაიცვას ეს ნორმები. ცხადად საგულისხმოა ის, დედანთან გვაქვს საქმე, თუ პირთან და სხვა.

2. მესამე სუბიექტური პირის გამოხატვაში მომხდარ ცვლილებათა ქრონოლოგიისათვის

ძველ ქართულში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ზოგ შემთხვევაში -ა სუფიქსი გვქონდა იქ, სადაც თანამედროვე ქართულში -ო არის: შ ე ი პ ყ რ ა—შ ე ი პ ყ რ ო, ც ნ ა— ც ნ ო, ა გ რ ძ ნ ა—ი გ რ ძ ნ ო და სხვა.

ძველი ქართულისა და საშუალი ქართულის მიჯნაზე შეინიშნება -ო სუფიქსის გავრცელება თავდაპირველი -ა-ს ადგილას:

ესრეთ დაემცნო, აგ. ძეგლ. II, 82, 30; შდრ.: მზარეულისადა დ ა ე მ ც ნ ა, იქვე 83, 23; დ ა ე მ ც ნ ა მამასა, იქვე 84, 26; კელარისადა დ ა ე მ ც ნ ა. იქვე 85, 3.

ძველ ქართულში მესამე სუბიექტურ პირს მრავლობით რიცხვში უწყვეტელსა და წყვეტილში -ეს სუფიქსი გამოხატავდა: წ ე რ დ ე ს, ი მ ა ლ ე ო დ ე ს, დ ა წ ე რ ე ს, გ ა ნ ტ ფ ე ს და სხვა (შდრ.: ახალი ქართულის ფორმები: წ ე რ დ ნ ე ნ, ი მ ა ლ ე ბ ო დ ნ ე ნ, დ ა წ ე რ ე ს, გ ა თ ბ ნ ე ნ).

ე. ნიკოლაიშვილმა სპეციალურად შეისწავლა მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ევოლუცია (ეს>ენ // ნენ) და დაადგინა, რომ უძველესი წერილობითი ძეგლი, სადაც -ნენ // -ენ სუფიქსი გვხვდება ადრინდელი -ეს ნიშნის ადგილას, „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხაა: იყუნენ მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისა; რომელნი არაეის ზედა მოწევნულ იყუნენ სხუისა მეფისა; ესოდენად სიშორესა შინა მივიდენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა (44, გვ. 96).

XVI—XVIII საუკუნეთა ძეგლებში -ენ//-ნენ დაბოლოებიანი ფორმები თანდათან ბატონდება (44, გვ. 96—108). სავსებით დამაჯერებელია ე. ნიკოლაიშვილის დასკვნა: „-ეს და -(ნ)ენ სუფიქსების ჭიდილი არსებითად მთავრდება XVIII საუკუნეში -(ნ)ენ-ის საბოლოო გამარჯვებით. მართალია, -ეს სუფიქსიანი ფორმები აქა-იქ შეიძლება XIX საუკუნის თხზულებებშიც შეგვხვდეს, მაგრამ როგორც ძველი სალიტერატურო ნორმის ანარეკლი ან სტილიზაციის საშუალება. ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში ასეთი ფორმების არსებობა XVIII საუკუნის ბოლოს უკვე აღარ არის სავარაუდებელი“ (44, გვ. 107).

იშვიათი ფორმები ძველ ქართულში

ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით, -ედ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში იხმარება I და II ბრძანებითებში: ჰმალვოდ-ედ (იგინი); დაწერ-ედ (მათ იგი); აწმყოს ხოლმეობითში: წერ-ედ (იგინი მას); II ბრძანებითში — ისეთ ზმნებთან, რომელთაც მწკრივის ნიშანი არ დაერთვის: თქუ-ედ (მათ იგი).

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია -დ და -ედ სუფიქსთა ხმარების ზოგი თაისებურება (67, გვ. 043; 13, გვ. 139—147; 2, გვ. 131—146; 20, გვ. 521—522; 45, გვ. 160).

ილია აბულაძემ გამოაელინა -დ III სუბიექტური პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში — სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში, -ედ სუფიქსი — III სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში — უწყვეტლის ხოლმეობითსა და II ხოლმეობითში. დ. გეწაძის ნაშრომში აღნიშნულია -დ სუფიქსის S_3 პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში სტატიკურ ზმნათა აწმყოში, გარდამავალ ზმნათა I თურმეობითსა და II ბრძანებითში ხმარების შემთხვევები.

-დ სუფიქსის S_3 პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში გამოყენების ფაქტებს პირველად ა. შანიძემ მიაპყრო ყურადღება. მას აღუნუსხავს ამ რიგის რამდენიმე ფაქტი, შემდგომში კი ეს მასალა ილია აბულაძისათვის გადაუცია (2, გვ. 144). ილია აბულაძის ნაშრომში დამოწმებულია ორი ნიმუში, რომლებიც ვ. თოფურიას მიერ იყო შემჩნეული (1952 წელს ვ. თოფურიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც დაიმოწმა -დ სუფიქსის S_3 პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში ხმარების სამი შემთხვევა) (2, გვ. 144).

IX—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ჩვენ მიერ გამოელენილია სუბიექტური მესამე პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში -დ სუფიქსის ხმარების არაერთი ახალი ფაქტი.

სტატიკური ზმნების აწმყო. დ. გეწაძის და ილია აბულაძის ნაშრომებში დამოწმებულია სტატიკურ ზმნათა აწმყოში S_3 პირის ნიშნად მხ. რიცხვში -დ-ს ხმარების ათიოდე შემთხვევა. დ. გეწაძე ასახელებს: უპყრიედ (გრ. ხანცთ.); უფლიედ (შუშ.); ჰმოსიედ (შუშ.); ზე-უმტკმიედ (სახის მეტყ.) ფორმებს; ილ. აბულაძე კი — ჰგიედ (A-1142, S-1139); გუგონიედ (A-1142); ჰმოსიედ (S-1139; პარხლ. მრავალთ.), უფლიედ (შუშ.); ჰნთიედ, ჰგონიედ, ზე-უმტკმიედ (სახისმეტყ.) (2, გვ. 144). ზოგიერთი მაგალითი ორივე მკვლევართან საერთოა. ისიც უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჰნთიედ ფორმას 1920 წელს განიხილავდა ა. შანიძე (65).

დავიმოწმებთ ახალ მასალას. სხვა მკვლევრების მიერ უკვე მითითებული ფორმები მოხმობილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი ისეთ ძეგლებში გვხვდება, რომლებიც ამ საკითხზე მსჯელობისას არ განუხილავთ.

ჰგიედ: ყოველსა სიტყუასა ზედა და საქმესა განმტკიცებული შეუცთომელად ჰგიედ, Sin.-36 273, 29 a — 273, 2 b; და სიყუარულსა მისსა ზედა შეუორგულებელად ჰგიედ და მსახურებასა უცონელ არნ, იქვე 277, 9—12 b; ესე არს ტაბლაჲ, რომელსა ზედა ჰგიედ ერთი ხოლო საჳ-

მელი, იქვე 381, 22—23 b; იგი ჰგიედ წესსავე ზედა თჳსსა, Jer.-2 7 v, 1—2.

გუგონიედ: და მწუხარებაჲ მათი ნუგეშინის-ცემა ჩუენდა გუგონიედ. ათ. ასკეტ. კრებ. 303 v, 10—12 b.

ჰგონიედ: ხოლო მას ესრჱთ ჰგონიედ თავი, ვითარცა ღმრთისმსახური. Sin.-35 333, 17—19 a; მამხილებელი იგი ენოან და ცუდის მეტყჳელ ჰგონიედ. იქვე 535, 12—14 b.

მჰოსიედ: სამოსელი, რომელი მჰოსიედ, მრავალ-სასყიდლისად ღირნ. ათ. პატერ. 245 r, 21—22.

გჰოსიედ: ბჳელი და წჳლილად დაკერჳლი სებენისაჲ გჰოსიედ, Sin.-35 582, 20—22 a.

ჰჰოსიედ: არამედ ჰჰოსიედ მას სელისა სამოსელი, სინ. მრავალთ. 55, 12: სახჱ, რომელი ჰჰოსიედ მოძღუართა, იგი ვერ შეიმოსიან მოწაფეთა, Sin.-36 42, 5—7 b; სწავლ. იოანე ოქროპ. 93 v, 10—11; ჰჰოსიედ სამოსელი იგი, შატბ. კრებ. 94 r, 25—26 b; ხატი იგი მარტოდ ჰჰოსიედ, Sin.-35 105, 3 a; რომელი ჰჰოსიედ მეფეთა, Sin.-11 390 v, 24—25; ჰჰოსიედ სამოსელი სამეუფოჲ, Ath.-21 15 r, 17; ჰჰოსიედ დაბებჳული, A-134 57 r, 8—10; A-445 58 r, 3—6. რომელი-იგი მათ ხოლო ჰჰოსიედ, Jer.-16 151 v, 10—11 b.

უპყრიედ: ნიჩაბი წინაჲთ მას უპყრიედ, ათ. პატერ. 14 r, 1—2; რომელსა ყანაჲ უპყრიედ, Sin.-35 609, 8—9 b; ეის ჴელთა უპყრიედ ნაკუერცხალი, Ath.-25 195 r, 6—8 b; მრავალთა წელთა უპყრიედ წესი და სამართალი, ბალავარ. 47, 35 C (შდრ.: 1, გვ. 032).

უფლიედ: და არა უფლიედ ნებასა მისლვად, ეზრა ზორობაბ. 4, 11 O.

I ბრძანებითი

პირველი ბრძანებითის მხოლობითი რიცხვის მე-3 პირში -დ სუფიქსი ადრე არ შეუნიშნავთ:

ითჴუმოდედ: უმეტესი ითჴუმოდედ და უსრულესი, Jer.-37 15 r, 7 b;

იქმნებოდედ: ყოველივე წესიერად და ჯეროვნად იქმნებოდედ, Jer.-96 12 v, 20—21.

იტყოდედ: უძალოჲ იტყოდედ, ვითარმედ: ძალ-მიც მე! იოველ 3, 10 J: შდრ.: იტყოდენ O.

არაა გამორიცხული, ეს მაგალითები I ბრძანებითის მწკრივის მოშლას ასახავდნენ.

I კავშირებითი

გელათის ბიბლიის კომენტარებში გვხვდება ემაგალითებოდედ ზმნური ფორმა:

მერმეცა დაიყენების მღდელმოქმედებისაგან მქონებელიცა მღიერისა ძნელისა, რომელი ემაგალითებოდედ უწესოებასა ენებათასა, 64 v, 28—31.

სხვა ამგვარი ნიმუში ჯერჯერობით გამოვლენილი არაა.

II ბრძანებითი

მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში -დ-ს ხმარებას ყურადღება პირველად დ. გეწაძემ მიაქცია. მან 9 ზმნა დაიმოწმა ჩვენთვის საინტერესო ფორმით (**ჰამედ, გამოიღედ, მოიყვანედ, ისმინედ, განლიედ, შეეძინედ, განეშორედ, გეკსენედ, იქმენიდ** (13, გვ. 143—144). ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკვიძემ გელათის ბიბლიის ნუსხებში 7 ზმნა დაადასტურეს (შესაქმის, გამოსლვათა და ლევიტელთა წიგნებში): **შეკერბიდ, გამოიღედ, მოიღედ, დაიბანნედ, მეპოედ, ჰამედ, მოიყვანედ** (14, გვ. 44). გ. ნინუას ნაშრომში დამოწმებულია: **ისმინედ** (ხრონოლრ.). **შეეძინედ** (იქვე), **გამოიღედ** (ექუს. დღეთ.) (45, გვ. 49—50).

მოვიხმობთ ზოგ ახალ ნიმუშს:

თქუდ: და გარემოსმდგომარენი ეტყოდეს: **თქჳდ** (=**თქუდ**) სახელიცა და მამით, ათ. ასკეტ. კრებ. 151 v, 10—14 b.

დაეიმოწმებთ გეკსენედ ზმნური ფორმის ხმარების ისეთ შემთხვევებსაც, რომლებიც დ. გეწაძის ნაშრომში მოხმობილი არაა:

მარადის **გეკსენედ** გონებასა შენსა საქმე სიმართლისაჲ, მამ. სწაელ. 153, 15 A; აწ **გეკსენედ** მონასტერი ესე, A-397 120 v, 13—14: ხოლო თქუენ ნამუშაკევი რაჲ იხილეთ, მუშაკი **გეკსენედ**, იოანე ღმრთისმეტყ. 155 v, 17—20.

II კავშირებითი

-დ S_3 პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში II კავშირებითის მწკრივში შენიშნული არ იყო:

დადუმნედ: სოლომონ იტყჳს: შუენიერ არს იგი ხილვად უფროჲს ძეთა კაცთაჲსა, თუ ღმერთი ჩუენი ცხადად მოვიდეს და ღმერთი არა **დადუმნედ**, შატბ. კრებ. 277 v, 4—6 b.

განჰკდედ: ღჳნოჲ იგი **განჰკდედ** და დიოდის თჳსსა გზასა, Ath.-32 67 v, 3—4.

I თურმეობითი

დ. გეწაძეს დასახელებული აქვს I თურმეობითში დ-ს მხოლობით რიცხვში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ხმარების 3 შემთხვევა (მას-

მიედ. მისწავიედ, აღუპყრიედ), ილ. აბულაძეს — 7 (შეურაცხიედ, — ეს მაგალითი მიწოდებულია ა. შანიძის მიერ, — უქმნიედ, მიუღებიედ, შეგირაცხიედ, განგიბნევიედ, განმიბნევიედ, — ამ ორ უკანასკნელზე თავის დროზე მიუთითებდა ა. შანიძე, — აღუპყრიედ). ამგვარ ფორმებს ილ. აბულაძე კვლავ დაუბრუნდა 1957 წელს „ბალავარიანის" გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში, სადაც მიუთითა 4 ნიმუშზე: მიცნობიედ, შეუმოსიედ, შეუსწავლიედ, უქმნიედ (1, გვ. 032).

დავასახელებთ ჩვენ მიერ მოპოვებულ ფაქტებს:

განუტევებიედ: ენთებინ იგი ეგრეთვე, ვითარცა განუტევებიედ, ლიმონ. 64, 1—2.

უწყიედ: რომელსა უწყიედ წუერთა გამოსულად, Sin.-46 212 r, 13—15; Ath.-32 107 r, 14—16 b; ოდეს ნახის კაცი, რომელსა ჳწყიედ მჯურვალებითა სარწმუნოებისაჲთა საქმესა, Sin.-35 262, 9—12 b.

დაუმარხიედ: და დაუმარხიედ ქალწულებაჲ მათი უფალსა ვიდრე სიკუდიმდე, Sin.-46 261 v, 4—5.

შეუჯამიედ: რომელი მჯეცისა თანა ბრძოლასა ჰყოფნ, ვიდრე არღა შეუჯამიედ მჯეცსა მას, ათ. პატერ. 98 v, 21—23; Sin.-35 628, 17—19 a.

დაუჯამიედ: და ნაყოფი მისი ჴიათა დაუჯამიედ, Sin.-35 609, 9—10 b.

შეუპყრიედ: შიშსა შეუპყრიედ მემრუშეთა გული, პარიზ. ლექც. 115 r, 29—30 b.

შეუკრებიედ: მას შინა შეუკრებიედ, Jer.-73 23 r, 6—7.

შეუმოსიედ: შეურაცხი სავსე ბაყლითა შეუმოსიედ, Sin.-35 309, 3—4 b.

შემირაცხიედ: შემირაცხიედ თავისა ჩემისა, ათ. პატერ. 12 v, 12—13.

შეურაცხიედ: და რომელი-იგი ჯელთა აქუნ, არად შეურაცხიედ, ათ. პატერ. 233 r, 3—5.

მიუღებიედ: რომელი მიუღებიედ მას, Jer.-96 115 v, 9—10.

უვლიედ: რაჲზომი-იგი უვლიედ, ექუს. დღ. (აბ.) 106,—13; დაღაცათუ ფრიად უვლიედ, იქვე 110, 13—14; რომელი უვლიედ სადმე, იქვე 108, 24—25 B; შდრ.: უ ვ ლ ი ე ს A.

მოუგებიედ: ვაჭართა მათ, რომელთა მოუგებიედ მარგალიტი, პარხლ. მრავალთ. 394 r, 13—16 a. ვითარ-იგი მრავალთა მოუგებიედ, Jer.-37 40 r, 25 a.

მოუღებიედ: რომელთა მოუღებიედ პატივი მჯედრობისა მათისაჲ, Ath.-21 15 r, 16—17.

უყოფიედ: ვის უყოფიედ ქორწილი-შვილთა თჳსთაჲ, Sin.-62 128 v, 33 a—128 v, 2 b; უდებ-უყოფიედ საქმეჲ იგი მჯედრობისა მათისაჲ, Ath.-21 15 r, 15—18.

უკუმევიედ: და ვიდრე არა უკუმევიედ ცმელი იგი წინაშე უფლისა, ‡ მეფ. 2, 15.

უყიდიედ: რომელი მას საკმრად თჳსისა სენაკისა უყიდიედ, ათ. პატერ. 8 v, 12.

უქმნიედ: არა აკსოვნ, რაი უქმნიედ, ეზრა ზორობაბ. 3, 23 O.

* * *

ა. შანიძემ მიუთითა, რომ ოთხთავის ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერებში მთ. 25, 24 და მთ. 25, 26 მუხლები გამოავლენენ განგიბნევიედ, განმიბნევიედ ფორმებს. ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერებს მხარს უჭერენ ოთხთავის რიგი ნუსხები:

და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ, მთ. 25, 24 DE; ოპიზ. ოთხთ. 54 v, 8—10 b; ტბეთ. ოთხთ. 73 r, 7—9 b; S-405 54 r, 4—6 a; Sin.-63 47 v, 8—10; A-1699 28 r, 25—26 a; A-495 86 v, 13—14; ვან. ოთხთ. 68 r, 6—8 b.

და შეიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ, მთ. 25, 26 DE; ოპიზ. ოთხთ. 54 v, 20 b—55 r, 1 a; A-1699 28 r, 5—6 b; Sin.-16 82 r, 23—24; S-405 54 r, 19 a—54 r, 2 b; Sin.-63 47 v, 16—17; Jer.-1 39 r, 2—3; A-495 87 r, 2; ურბ. ოთხთ. 56 r, 6—7 a; ვან. ოთხთ. 68 r, 17—19 b.

ილია აბულაძემ აღნიშნა მრავალობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ედ ნიშნის უწყვეტლის ხოლმეობითსა და II თურმეობითში ხმარების შემთხვევები.

უწყვეტლის ხოლმეობითი

ილ. აბულაძე 4 ზმნურ ფორმას ასახელებს (ზრუნვიდიედ, ეტყოდიედ, სცვიდიედ, კუმილვიდიედ (2, გვ. 137); 3 (ვიდოდიედ (54, გვ. 104), კმობდიედ (54, გვ. 159), აქუნდიედ (54, გვ. 178) შენიშნა ი. ქავთარაძემ.

დავასახელებთ რამდენიმე დამატებით მაგალითს:

სწავლიდიედ: თჳთ იგინი სცემედ, გარეშჱთ სწავლიდიედ და შინაგან ეწყალიედ, Sin.-36 146, 8—10 b.

იტყოდიედ: იგინი იტყოდიედ, Ath.-32 9 r, 20; სიტყუათა მგმობართა იტყოდიედ, იქვე 159 v, 3—4; ყოველთა წინაშე თუალთა მათთა აქუნ სიკუდილი და იტყოდიედ, კლემაქს. 64 r, 14—15; რომელნი იტყოდიედ, სეტყჳსათჳს 628, 12—14: მაშინ იტყოდიედ ეშმაკნი იგი, Jer.-96 20 r, 1: და იტყოდიედ, A-134 56 r, 2—3;

მოირწყვებოდიედ: ნერგნი შეებულნი წყლითა მით მარხვისაჲთა მოირწყვებოდიედ, Ath.-32 69 v, 15—16.

განიპებოდიედ: გუამი განსივნებინ, ძარღუნი განიპებოდიედ შინაგანისა მის ღელვისაგან, Ath.-32 121 r, 2—3.

დაიჭრებოდიედ: კორცნი წყლულებითა დაიჭრებოდიედ, Ath.-32 121 r. 20—21.

ინანდიედ: ჴაბუკნი უძლიერესად ინანდიედ, Ath.-32 156 v, 20.

შეურდებოდიედ: განრისხებულსა შეურდებოდიედ, Ath.-32 159 v, 6.

ეცემოდიედ: კბილნი ურთიერთას ეცემოდიედ, Ath.-32 211 v, 24.

დაიჯსნებოდიედ: ნაწევარნი დაიჯსნებოდიედ, Ath.-32 211 v, 24—25.

მოჰვარდებოდიედ: კიბენი გუამისანი მოჰვარდებოდიედ, Ath.-32 212 r, 3.

შეიწუებოდიედ: კიბენი გუამისანი მოჰვარდებოდიედ და ვითარცა ცეცხლისა მიერ შეიწუებოდიედ, Ath.-32 212 r, 3—4.

დიოდიედ: მდინარენი, რომელნი დაუცხრომელად დიოდიედ, Ath.-32 212 r, 13—14.

ჰგონებდიედ: ჰგონებდიედ, თუ ქუეყანაჲ აღმართებულად დადგრომილ არს, Ath.-32 220 v, 24—25.

ტიროდიედ: ოდესმე ტიროდიედ მოუწყუედელად, Ath.-32 221 r, 2.

იქმოდიედ: მათ შეურაცხ-ჰყოფდიან და იქმოდიედ საქმესა უგუნერებითა სავსეა. Ath.-32 236 r, 5—6; Jer.-14 265 v, 15—17 b.

ელოდიედ: რომელნი ელოდიედ უფალსა, Ath.-32 244 r, 18.

მიიყვანებოდიედ: მიიყვანებოდიედ გზასა მას თანაწარუვალსა, Ath.-32 246 r, 2.

ცრემლოოდიედ: მაშინ მოიქციან სიმდიდრისა მის მათისა მიმართ და ცრემლოოდიედ, Ath.-32 246 r, 3—4.

განჰკაზმვიდიედ: სამეფოჲ გზაჲ, სოფლისა ამის ქალაქისანი საწუთროჲსა ამის მეფისაჲ რაჲ შესლვასა მოელიედ, განჰკაზმვიდიედ და დაავაკებედ ბჳეთა, ათ. მრავალთ. 55 r, 26—30 b.

იცინოდიედ: ჩემთა მეგობართა იხილნიან რაჲ მკუდარნი, იცინოდიედ, კლემაქს. 64 r, 14—15.

ეცინოდიედ: რომელსა ყოველნი თანაწარმავალნი ეცინოდიედ, ცხორ. და შესხმ. ბასილისი, 345, 18.

აღგუძრვიდიედ: სხუანი გემოთმოყუარებად აღგუძრვიდიედ, კლემაქს. 141 r, 7—8; A-445 134 v, 6—8.

ილოცვიდიედ: ვიდრე ქათმისა ჴმობამდე ილოცვიდიედ, Sin.-11 106 v, 9—10.

გუებრძოდიედ: რაჟამს შეგუემთხუას განსაცდელი რაჲმე, მაშინ გუებრძოდიედ ეშმაკნი, Jer.-96 11 v, 19—21; A-134 151 r, 19—20.

ეტყოდიედ: რომელნი ეტყოდიედ, Jer.-96 115 v, 21.

II ბრძანებითი

დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა II ბრძანებითში სუბიექტური მესამე პირის ნიშნად მხ. რიცხვში -ედ გვაქვს:

ხოლო მორწმუნეთა კმა-ეყოფოდენ თქუმული კსე და გულისკმა-უყედ ხილულთა მიერ უხილავი, Alh.-32 299 v, 21—28.

II ხოლმეობითი

ილ. აბულაძე იმოწმებს 11 ზმნას, რომელთაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ედ სუფიქსი მოუდის (მივიდიედ, სხდიედ, დასხდიედ, იქმნიედ, დაშურიედ, განცივნიედ, დაწუნარდიედ, დაეხჯნიედ, შეიმოსიედ, ჯუარს-აცუნიედ, იხილნიედ (2, გვ. 133—135). ილ. აბულაძეს მაგალითები უმთავრესად „მამათა სწავლათა“ და „ლიმონარის“ ხელნაწერიდან მოჰყავს.

მოვიხმობთ ზოგ ნიმუშს:

მოვიდიედ: ძაღლნიცა მოვიდიედ და ჰლოშნიედ წუთხსა მას წყლულებათა მისთასა, Sin.-36 15 r, 20—23 b; სწავლ. იოანე ოქროპ. 72 v, 9—11.

მივიდიედ: არამედ მრავალნი ეშმაკეულნიცა მივიდიედ საფლავთა მათ თანა და განიკურნიან, სწავლ. იოანე ოქროპ. 146 v, 3—6.

გამომკჳრტდიედ: აეროვან იქმნიან და შუენიერ ნერგნი იგი ხეთა, რაჟამს გამომკჳრტდიედ რტონი მათნი, ათ. მრავალთ. 193 v, 23—25 b.

თქჳედ: რაოდენისცა თქჳედ განმსყიდელთა მათ, მისციან, ათ. პატერ. 12 v, 5—7.

იქმნიედ: მხიარულ იქმნიედ გულითა, სწავლ. იოანე ოქროპ. 15 v, 3—4.

დაშურიედ: და ცუდად დაშურიედ, Jer.-96 122, 6.

სხდიედ: ვითარცა-იგი რომელნი ჟამსა სიცხისასა მახლობელად სხდიედ გამოსადინელსა წყალთასა, სწავლ. იოანე ოქროპ. 6 r, 18—6 v, 2.

წარიყვანიედ: და წარიყვანიედ დედები ცოლად, პროკოპი, 260 v, 7—8 b.

ცნიედ: რაჲ-იგი შეემთხჳის ზღჳსმავალთა, რომელთა იგი ვერა ცნიედ, ექუს. დღ. (აბ.) 106, 12—13 B; შდრ.: ცნიან A.

II კავშირებითი

იყვნედ: და რომელნი ველსა იყვნედ, ნუ შეველენედ მუნ, ლ. 21. 21 C; შდრ.: იყვნენ DE.

იქმნედ: გამოხადნა და უჩუენნა სიმჴნისანი იგი შრომანი მრავალთა,

რაჲთა ხელვიდენ ყოველნივე მსგავსთა თჳსთა და ნუგეშინის-ცემულ იქმნედ. უდაბნ. მრავალთ. 59 r, 8—12 b..

-ედ S₂ პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში II კავშირებითის ფორმებთან ადრე არ აღუნიშნავთ.

I თურმეობითი

X საუკუნის ძეგლებში ისეთი ფაქტები დადასტურდა, როცა I თურმეობითში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში -ედ არის წარმოდგენილი მოსალოდნელი -ან სუფიქსის ადგილას:

და იგონებენ ყოველთა საქმეთა თჳსთა, რომელნი ცხორებასა მისსა უქმნიედ, Sin.-36 142, 16—18; და მიუპყრიან შარავანდედთა, რომელთა მიუვლინებიედ იგინი, შატბ. კრებ. 67 v, 3—5 a; რამეთუ შეუსხმედ სარწმუნოებისა ფერჴთა შესა[ს]ხმელნი, ეფრ. ასურ. სწავლ. 177 r, 16—18 b; არარაჲსაგან აღიძრვის და არა თანამდებ იქმნის, რაჟამს დაეცნიან ჯორცნი, რომელ შეუმოსიედ, პარხლ. მრავალთ. 190 v, 1—4 b; მსგავს არს იგი კაცსა, რომელსა შეუბორკილებიედ ფერჴნი, Sin.-35 351, 7—9 a.

არის შემთხვევა, როცა მრჩობლი სუფიქსია წარმოდგენილი, -ან და -ედ: მოუცუმანედ (იგინი მას, შდრ.: მოუცუამს იგი მას):

რომელნიმე მოკიდებულ არიედ ნამუსრევსა რასმე თივისასა და ზე მოუცუმანედ წყალთა, მამ. სწავლ. 117, 17—18 A.

რით უნდა აიხსნას -დ //-ედ სუფიქსთა ასე ფართო გავრცელება ძველ ქართულ წერილობით ძეგლთა ერთ ნაწილში? ზოგი მკვლევრის ვარაუდით, -დ //-ედ მესამე სუბიექტური პირის ერთ-ერთ უძველეს მაწარმოებლად უნდა ჩაითვალოს (20, გვ. 521—522; 13, გვ. 140; 2, გვ. 139). საყურადღებოა ის, რომ ჩვენთვის საინტერესო ზმნური ფორმები უმთავრესად ხელნაწერთა გარკვეულ ჯგუფში გვხვდება. ისეთ ძეგლებში, რომლებიც დაწერილია, ან გადაწერილია სამხრეთ საქართველოში, ან კიდევ სინას მთასა, თუ ათონზე (სამხრეთ საქართველოს წარმომადგენელთა მიერ).

ვფიქრობთ, რომ -დ ან -ედ რიგ შემთხვევაში მეორეულია. ასე. მაგალითად: მოუცუმანედ აშკარად ჰიპერურბანული ფორმაა. აქ -ედ ზედმეტადაა დაწერილი. მეორეულად უნდა ჩაითვალოს -დ -ნ-ს ადგილას I და II ბრძანებითებისა და II კავშირებითის ფორმებში. ამ მოვლენის მიზეზი ისაა, რომ იშლება ბრძანებითის გამოხატვის ძველქართულისებური სისტემა. მას შემდეგ, რაც მოიშალა აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის დაპირისპირება, თავს იჩენს -დ სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში (სტატიკურ ვნებითთა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის ფორმებს შორის კავშირი სავსებით გასაგებია). სინური მრავალთაეის ხელნაწერში ვკითხულობთ:

სადაც იგი **ჰნთიედნ**, ყოველად მუნ არნ, 122, 7.

ჰნთიედნ გამომცემელთა მიერ სავსებით სამართლიანად არის გასწორებული, როგორც დაუშვებელი ფორმა. მაგრამ საკითხავია, რა არის საფუძველი გადამწერის დაშვებული შეცდომისა? ალბათ ის, რომ **-ნ** და **-დ** სუფიქსთა ოდინდელი განაწილება ენაში მოშლილია. გადამწერმა არ იცის, სად **-ნ** დაწეროს და სად — **-დ**. შეცდომის თავიდან ასაცილებლად იგი ორივე სუფიქსს წერს.

ენობრივი საფუძველი უნდა ჰქონდეს **-ედ** დაბოლოებას უწყვეტლის ხოლმეობითსა და II ხოლმეობითში. საფიქრებელია, რომ **სწავლიდიედ... მოვიდიედ** და მისთანა ფორმები განვითარდა ცოცხალ მეტყველებაში (სავარაუდოა, სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტში), საიდანაც სალიტერატურო ენაშიც შეაღწია.

S_3 პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში **-ნ** გვხვდება: აწმყოს ხოლმეობითში (**ზინ, წერნ**), I ბრძანებითსა (**წერდინ, კლევდინ**) და II ბრძანებითში (**მოკალნ, თქუნ**).

ილია აბულაძემ შენიშნა, რომ X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში **-ნ** S_3 პირის ნიშნად დასტურდება I თურმეობითის ფორმებშიც. ილ. აბულაძე ასახელებს 7 მაგალითს (**უცნობიენ**, H-341 (XI ს.); **განმიბნევიენ, შეგირაცხიენ**, S-407 (X ს.); **უხილავნ**, S-1139 (X ს.); **შეუპყრიენ, წარუმართებიენ**, იგავნი სოლომონისნი; **წარუწყმედიენ**, ისუ ზირაქი (2, გვ. 143—145).

ამათგან სამი (**შეუპყრიენ, წარუმართებიენ, წარუწყმედიენ**) ა. შანიძის მიერაა დადასტურებული და შემდგომ ილია აბულაძისათვის მიწოდებული (2, გვ. 143); ხოლო ერთს (**განმიბნევიენ**) ყურადღება არნ. ჩიქობავამ მიაქცია (72, გვ. 39).

VIII—XII საუკუნეთა ძეგლებში ამ რიგის ოცამდე ახალი ფაქტი დაეადასტურეთ. სანამ ახალ მასალას მოვიხმობდეთ, შევნიშნავთ, რომ ილ. აბულაძის, აგრეთვე ჩვენ მიერ გამოვლენილი შემთხვევები ორ ჯგუფად უნდა იყოს: I, როცა **-ე-ნ** დაბოლოება ეთანხმება სახელის მრავლობით რიცხვს; II, როცა **-ნ** ზმნაში შეესატყვისება სახელის მხოლობით რიცხვს.

განვიხილოთ შემთხვევათა I ჯგუფი. ჯერ დავიმოწმებთ სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებს (ამგვარი ფორმები ილია აბულაძეს დადასტურებული არ ჰქონია):

უპყრიენ: მარჯუენით მამისა სამარადისოდ **უპყრიენ** საყდარნი, სინ. მრაქალთ. 169, 29.

გიპყრიენ: არამედ ყოველნი თქუენ თანა **გიპყრიენ**, ათ. ასკეტ. კრებ. 8 r, 18—19 a.

I თურმეობითი

დამიწერიენ: ამათ სახარებათა მიწყებით, რომელ დამიწერიენ, ამსახერებდ. ჰაემ. ტექსტ. 364, 7—8.

წარუმართებიენ: ეტლნი ქრისტჱსნი ბევრ წილ არიან და ათასეულნი წარუმართებიენ, ათ. მრავალთ. 121 v, 22—24 b.

შეურაცხიენ: ვითარცა მდგომარეთა შეურაცხიენ თაენი, ამოს. 6, 5 O.

როგორ უნდა ავხსნათ ამგვარი შემთხვევები? დავიწყოთ სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებით: **უპყრიენ** საყდარნი, ყოველნი **გიპყრიენ** ... მოსალოდნელი იყო: **უპყრიან, გიპყრიან.** სავარაუდოა, რომ **-ე-ნ** დაბოლოება **-ან-ის** ნაცვლად პარადიგმის გასწორების შედეგად მივიღეთ. თუ სუბიექტი მხოლობით რიცხვშია, უპყრიეს ტიპის ორპირიანი სტატიკური ზმნა ასე იუღლება: **მიპყრიეს** მე იგი, **გიპყრიეს** შენ იგი, **უპყრიეს** მას იგი ... (შდრ.: **მიპყრიან** მე იგინი, **გიპყრიან** შენ იგინი, **უპყრიან** მას იგინი ...). მხოლობითის ანალოგიით ე ისეთ ფორმებშიც გადავიდა, რომელთაც სუბიექტური პირი მრავლობითში შეეწყობათ: **მიპყრიენ** მე იგინი, **გიპყრიენ** შენ იგინი, **უპყრიენ** მას იგინი ...

ვფიქრობთ, ანალოგიით უნდა აიხსნას **-იე-ნ** დაბოლოება I თურმეობითში მოსალოდნელი **-იან-ის** ნაცვლად:

შემირაცხიეს მე იგი (მაგრამ: **შემირაცხიან** მე იგინი),

შევირაცხიეს შენ იგი (მაგრამ: **შეგირაცხიან** შენ იგინი),

შეურაცხიეს მას იგი (მაგრამ: **შეურაცხიან** მას იგინი).

მხოლობითის ფორმებიდან I თურმეობითის ნიშნისეული ე გადავიდა მრავლობითში და მივიღეთ: **შემირაცხიენ** მე იგინი, **შეგირაცხიენ** შენ იგინი და მისთ.

განვიხილოთ შემთხვევათა II ჯგუფი: **-ნ** მხოლობითში დასმული სახელის ნიშანია.

I თურმეობითი

უცნობიენ: არცა მახლობელი უწყიედ, რაჲ არნ, არცა შორიელი უცნობიენ, სინ. მრავალთ. 104, 23.

შეგირაცხიენ: კადნიერებითა და ამპარტავნებითა არარად **შეგირაცხიენ** გლახაკი, Sin.-36 88, 27—30; და ნუ ვითარცა მტერი **შეგირაცხიენ** იგი. Ath.-42 89 r, 8—9 b.

შეურაცხიენ: შე-სამე-**ურაცხიენ** უნაყოფოჲ იგი ვითარცა სხუაჲ, სინ. მრავალთ. 139, 12—13; ნაშობსა უკეთურსა მართალთა თანა **შეურაცხიენ** თაე თჳსი, პარიზ. ლექც. 124 v, 10—12.

მოუგებიენ: ვაჭართა მათ, რომელთა **მოუგებიენ** მარგალიტი, ათ. მრავალთ. 288 v, 12—14 b.

შეუდრესიენ: და მოიღის, რომელი-იგი შეუდრესიენ ფურცელი, ათ. პატერ. 76 v, 17—18.

მასმიენ: ვიხილე ძმაჲ, რომლისათჳს მასმიენ ბრალი რაჲმე, ათ. პატერ. 159 v, 3—4.

განმიბნევიენ: და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიენ, Sin.-30 63 v, 14—16 a; ტბ. ოთხთ. 143, 17—19 b.

დაუმარხავნ: რომელსა დაუმარხავნ სული იგი წმიდაჲ სიწმიდით, ათ. მრავალთ. 285 r, 2—3.

გარდაურთხამნ: ბობღანსა ტყაჲი მკუდრისაჲ გარდაურთხამნ, Ath.-25 149 r, 1—3 b.

უტჳრთავნ: უნდოჲ ქერისაგან შემზადებული საზრდელი მიიღის და ეგრეთვე ბილი არა ცხედარსა ზედა, არამედ ზედგომით საბელსა რასმე ზედა, რომელსა უტჳრთავნ, H-2211 72 v, 10—13.

მოუკრძალავნ: ხოლო მდაბალსა მას მოუკრძალავნ თავი თჳსი სიმდაბლით და აქუნ მარადის პატივი თჳსი, ათ. პატერ. 99 r, 17—19; Sin.-35 628, 10—14 b.

გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი ზმნური ფორმები დასტურდება ქართული ენის ისტორიისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს წერილობით ძეგლებში, როგორიცაა: სინური მრავალთავი, მამათა სწავლანი (S-1139). Sin.-36, ათონის მრავალთავი და მისთ., სადაც მრავალ ნეოლოგიზმთან ერთად შემონახულია ქართული ენის უძველესი სტრუქტურის ამსახველი ფორმები.

ჩვენ სწორად მიგვაჩნია ილია აბულაძის ვარაუდი, რომლის თანახმადაც, უცნობიენ, შეგირაცხიენ ... და მისთანა ფორმები III სერიაში ოდესღაც არსებული კიდევ ერთი ხოლმეობითის გადმონაშთებია. ილია აბულაძის მოსაზრებით, ეს არის მესამე ხოლმეობითის უძველესი სახე (2, გვ. 145).

როგორც ცნობილია, III ხოლმეობითად მიჩნეულია ისეთი ფორმები, რომლებიც II თურმეობითის ფუძიდან იწარმოება.

II თურმეობითი	III ხოლმეობითი
შემერაცხა მე იგი	შემერაცხის მე იგი
ებრძანა მას იგი	ებრძანის მას იგი (60, გვ. 11; 52, გვ. 147).

ამდენად, I თურმეობითზე დაყრდნობილი ხოლმეობითი ვერ იქნება ამოსავალი II თურმეობითის ფუძიდან ნაწარმოები ხოლმეობითისათვის.

უცნობიენ, შეგირაცხიენ და მისთანა ფორმების ხოლმეობითობას ხაზს უსვამს მათ პარალელურად ერთი და იმავე წინადადების ფარგლებში აწმყოს ხოლმეობითის, II ხოლმეობითის ფორმათა ხმარება.

ძველ ქართულში მხოლოდ გადმონაშთიღა გვაქვს ოდესღაც არსებული ამ მწკრივისა. ისმის კითხვა, რა გვეწოდებინა მისთვის სახელად? საშეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიცია რომ არა, რომლის თანახმადაც. III ხოლმეობითად მიჩნეულია II თურმეობითის ფუძიდან ნაწარმოები მწკრივი (შემერაცხის, ებრძანის და მისთანანი), უფრო უპრიანი იქნებოდა, სწორედ უცნობიენ, მოუგებიენ და მისთანა ფორმებისათვის გვეწოდებინა III ხოლმეობითი, ხოლო ებრძანის ... ჩაგვეთვალა IV ხოლმეობითად. ამით მწკრივთა თანმიმდევრობაც იქნებოდა დაცული (I თურმეობითიდან ნაწარმოები მწკრივის სახელად III ხოლმეობითი გვექნებოდა, ხოლო იმ მწკრივს, რომელსაც II თურმეობითი უძევს საფუძვლად. IV ხოლმეობითი ერქმეოდა) და ისტორიული პერსპექტივაც: უცნობიენ და მისთანა ფორმები თავს იჩენს გაცილებით ძველ ტექსტებში (და ამდენად ენის განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურს ასახავს), ვიდრე ებრძანის და მისთანანი.

* * *

დასაწყისში ყურადღებას იქცევს -ნ II ხოლმეობითის ფორმებში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად:

ითქუნ: უთავდგმულესად **ითქუნ** ხედვაჲ, A-52 74 r, 33—34.

იყუინ: ოქროჲ ანუ ვეცხლი რაჟამს ცეცხლსა შთავარდეს, მოლბის სიფიცხლისა მისგან თჳსისა და ვიდრემდე ცეცხლსა შინა **იყუინ**, ლბილ არნ იგი. Jer.-73 94 v, 7—8.

ამგვარი ფორმები მიუთითებენ, რომ მესამე სუბიექტური პირის -ნ ნიშანი ენაში. საზოგადოდ, იშლება.

ი. არაბული თქმის, რომ ზემოთ დასახელებულ მაგალითებს შეიძლება მიემატოს „ისეთი შემთხვევები, როცა -ნ სუფიქსს უკავია -ან-ის პოზიცია, იგი გაგებული ჩანს მრავლობითობის ნიშნად“ (4, გვ. 34). ავტორს მოჰყავს ასეთი „ნიმუშები“: **მიხილავნ** (ი გ ი ნ ი), **გჳხილავნ** (ი გ ი ნ ი) და სხვ. (4, გვ. 34). მის მიერ დამოწმებული ყველა მაგალითი გამომცემელთა კორექტურული შეცდომებია და მათი მოხმობა ენობრივი ანალიზისას სრულიად გაუმართლებელია.

ასევე არასწორია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „პერფექტული ნაკვთისათვის „ხოლმეობითობის“ მიწერა, ცხადია, უფრო მეტად მოულოდნელია“ (4, გვ. 39). ცნობილია, რომ ძველი ქართული პერფექტის (I თურმეობითის) ერთ-ერთი ფუნქციაა აწმყოს გადმოცემა. აწმყოში კი ჩვენ ვარჩევთ ერთგზის და მრავალგზის მოქმედებას. ამდენად, **უცნობიენ** და მისთანა ფორმებისათვის ხოლმეობითობის მიწერა გამართლებულია. სხვათა შორის ბერძნული პერფექტიც გამოხატავს ხოლმეობითს (იტერა-

ტივს, ინტენსივს), რაც სპეციალურად არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში (92, გვ. 264).

საზოგადოდ, არაა სწორი ძველი ქართულის ენის ძეგლებში გამოვლენილი -ნ, -ედ სუფიქსიანი ყველა ფორმის ერთ სიბრტყეზე განხილვა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ზოგი ფორმა გვიანდელია, მცდარია, ზოგს კი აშკარად ენობრივი საფუძველი აქვს (შდრ.: 4, გვ. 37).

ვ. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გადმონაშთებისათვის ძველ ქართულში

ძველ ქართულში I ობიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში მ- და გუ- პრეფიქსები გვაქვს: მ-სწავლის || გუ-სწავლის იგი ჩუენ; მ-იყუარს || გუ-იყუარს (გჳყუარს) იგი ჩუენ და ა. შ.

ა. შანიძის აზრით, ეს ვითარება ქართულის განვითარების ადრეულ საფეხურზე არსებული კატეგორიის — ინკლუზივ-ექსკლუზივის — გადმონაშთია (57, გვ. 372—374; 58, გვ. 335; 66, გვ. 183; 69, გვ. 65).

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ახასიათებს ზემოსვანურს (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურ დიალექტებს). ა. შანიძის აზრით, ეს კატეგორია ახასიათებდა საერთოქართველური ფუძე-ენის მორფოლოგიურ სისტემას (57, გვ. 372—374; 58, გვ. 335). ა. შანიძის ამ მოსაზრებას ემხრობიან ვ. თოფურია (22, გვ. 25—26); გ. დეეტერსი (90, გვ. 27; 34), ქ. დონდუა (85, გვ. 275—296), თ. გამყრელიძე (9, გვ. 45—60), გ. კლიმოვი (86, გვ. 60; 87, გვ. 31—35), ალ. ონიანი (47, გვ. 231—234; 48, გვ. 213—239).

რა თქმა უნდა, სვანურისა და ძველი ქართულის მონაცემები საერთოქართველური ფუძე-ენის სისტემაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დაშვებისათვის საკმაო საფუძველს გვაძლევენ (შდრ.: 73, გვ. 104—105).

ამავე დროს ძველი ქართული ენის ძეგლებში ამ კატეგორიის მხოლოდ ვადმონაშთები გვაქვს. მ- და გუ- პრეფიქსები ძველი ქართულის დონეზე ინკლუზივ-ექსკლუზივს აღარ აღნიშნავს (57, გვ. 373—374; 85, გვ. 148—150; 73, გვ. 94—95).

მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს:

გუემზახენით ჩუენ: ასულნი თქუენნი მოგუცენით ჩუენ და ასულნი ჩუენნი მიათხოვენით ძეთა თქუენთა, დაბ. 34, 9 O; ეტყოდეს მათ სჳმეონ და ლევი, ძმანი დინაჲსნი: ვერ ჴელ-გუეწიფების სიტყუა ეგე ყოფად, დაბ. 34, 14; შევიდეს მწიგნობარნი იგი ძეთა ისრაელისათანი წინაშე ფარაოჲსსა და ეტყოდეს: რაჲსათჳს ესრეთ უყოფ მონათა შენთა: ბზესა

არა გუცემ მონათა შენთა და ალიზსა მასვე გუეტყჳ საქმედ, გამ. 5. 16—17: ანგელოზსა მას ეტყოდა: ვინაჲ ესრე სახე კურთხევაჲ ესე მოგუართუ ჩუენ. სინ. მრავალთ. 4, 29: შენ კადნიერებაჲ სამოთხედ შესლვისაჲ მოგუმადლე ჩუენ, იქვე 13, 21, და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე წინადადებაში მ- და გუ- პრეფიქსები ერთი და იმავე ფუნქციით გვხვდება:

არაჲინ არს, რომელმანმცა სახლად შეგჳჳანნა და დამადგინნა, მსაჯ. 19, 18 O: შეიმოსა მიწისაგანისა მის ხატი, რაჲთა ზიარ-მყენეს ჩუენ ხატისა მის ზეცისაჲსა; მკლავთა ზედა წმიდისა დედაკაცისათა დაჯდა. რაჲთა მარჯუენით გჳწოდოს ჩუენ თჳსისა მამისა; შეურაცხი გუაძი თავს-იდეა შემოსად და მითვე საფლავსა დაიდვა, რაჲთა მკჳდრად გამოგჳრჩინეს ჩუენ საუკუნოჲსა ცხორებისა, სინ. მრავალთ. 17, 16—20; ელჳარ იგი ბრწყინვალებაჲ ღმრთეებისაჲ დაეფარა და სულითა ღმრთეებისაჲთა მოგუეახლა ჩუენ; ანგელოზთა გალობასა ღირს-მყენა ჩუენ გალობად მისა, იქვე, 17, 37—39, და მისთ.

უკანასკნელ ხანებში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გადმონაშთებს ძველ ქართულში საინტერესო გამოკვლევა უძღვნა თ. მეტრეველმა (39). მისი აზრით, „ძველი ქართული ენის ძეგლებში აშკარად ჩანს ნაშთის სახით შემორჩენილი ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის კვალი" (39, გვ. 190). ასევე სწორია ავტორის დებულება: „აშკარაა, რომ ამ პერიოდის ცოცხალი სამეტყველო ენისათვის უცხო იყო ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია. ისიც ცხადია, რომ ეს კატეგორია ძველ ქართულში გაცილებით ადრე უნდა მოშლილიყო. ამიტომაა, რომ მანიანი ფორმების ხმარება ძველ ქართულში ერთგვარ არქაულ ელფერს ატარებს და ძველი ქართული ენის ძეგლთა უმეტესობაში, კერძოდ, ისეთ კლასიკურ ძეგლშიც კი, როგორიც „სინური მრავალთავია", ერთობ ჰგავს ინკლუზივ-ექსკლუზივის კვალის დადგენა" (39, გვ. 189).

მ- პრეფიქსი, რომელიც ძველი ქართულის დონეზე მრ. რიცხვის ნიშნის ერთ-ერთი ალომორფია, თანდათან გამოდის ხმარებიდან. იგი არ გვხვდება „ხანმეტ მრავალთავში" (68), „შუშანიკის წამებაში", ევსტათი მცხეთელის წამებაში", ძველი ქართული ენის ზოგ სხვა ძეგლში. მ- მრავლობითობის პრეფიქსი არ გვაქვს საშუალ ქართულშიც.

ამდენად, ძველი ქართული ასახავს იმ ვითარებას, როცა გუ- და მ- პრეფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიას კი არ აღნიშნავენ, არამედ მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ნიშნის ალომორფებია. მ- პრეფიქსი ამ ფუნქციით თანდათან მოიშალა გუ- პრეფიქსის გაერცელების (გაბატონების)' შედეგად.

4. არს მეშველი ზმნის უღლებაში მოხდარი ცვლილებები

ძველი ქართული ენის ნორმათა მიხედვით, არს მეშველი ზმნა აწმყოში ასე იუღლება:

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ-არ	ვ-არ-თ
2. ხ-არ	ხ-არ-თ
3. არ-ს	არ-ი-ან

აწმყოს ხოლმეობითში გვექნება:

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ-არ	ვ-არ-თ
2. ხ-არ	ხ-არ-თ
3. არ-ნ	არ-ი-ედ

ი, რომელიც აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის მრავლობითი რიცხვის III პირში იჩენს თავს, ზოგჯერ I და II პირების ფორმებშიც გვხვდება (54, გვ. 43). ვარი, ხარი ფორმები IX—XI საუკუნეთა ძეგლებში გამოელინდება:

ვარი: შაე ვარი მე, სინ. მრავალთ. 226. 32; 226, 34: მეცა მიცით და უწყით, ვინაჲ ვარი, ი. 7, 28 C; მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარი, ი. 7, 33 C; ღმრთისაჲ ვარი მე, დაბ. 50, 19 O; უბრალო ვარი, S-1398 129 r, 20 a: ეიდრე ცოცხალღა ვარი, H-622 6 r, 26; მეუფჳ ვარი მე, H-1895 1 r, 12; რომელსა შინა კმა ვარი, S-407 123 v, 5 b: უ ბ რ ა ლ ო ვარი მე სისხლისაგან თქუენ/ყოველთაჲსა, იქვე 237 r, 14—15 a; დავრდომილ ვარი მე. ღმერთო, A-38 107 v, 3; ძეო მეფისაო, მე მონაჲ ვარი, ბალავარ. 86. 21—22 C, და მისთ.

ხარი: უკუეთუ მეუფჳ ხარი შენა, ი. 18, 37 DE; უმეტეს ხარი შენ. მოდრ. იადგ. 25 r, 39; დადგრომილ ხარი ჩემ თანა, H-622 6 r, 2—3; ძჳ ჩემი ხარი შენ, S-407 147 r, 8—9 b; მჴსნელი ჩემი ხარი შენ, A-38 107 v. 5; რომელი პაპრაკთაგანი ეშმაკთაჲ ხარი შენ, ბალავარ. 99, 2 C, და სხვ.

ვარი, ხარი, არიან, არიედ ფორმები თავისთავად გვაყარაუდებინებენ არის ფორმის არსებობას. არის იშვიათად, მაგრამ მაინც გამოელინდება IX—XI საუკუნეთა ხელნაწერებში:

პირი ზამთრისაჲ არის, უდაბნ. მრავალთ. 149 v, 28—29 a; რომელ არის კარაესა მას შინა, ლევიტ. 4, 7 O; არაწმიდა არის იგი თქუენდა, იქ-

ვე 11. 27 O[1]; კაცი მართალი და ბრძენი მსგავსი ღმრთისაჲ არის, A-35 141 v, 20—142 r, 1; ესე საქმჱ ეშმაკისა უკეთურისაჲ არის, H-622 4 v, 23—24; ნათესავი თქუენი მარადის მაშფოთებელი არის, ჯავახ. აღწერ. გვ. 199; ესე არის სახჱ ბრძოლისა მისისაჲ, ნათლისღებ. მეორე 419, 5; ვიდრეღა არა დრკუ არის ენაჲ შენი, იქვე 421, 11—12.

საშუალი ქართულის ძეგლებში არის თანდათან ბატონდება. საყურადღებოა. რომ „ვეფხისტყაოსანში“ იგი 66-ჯერ იხმარება, არს კი 57-გზის. ი ხმოვნის ფუნქციისა და წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს (50, გვ. 60; 90, გვ. 118; 54, გვ. 47—48).

ძველი ქართულის ძეგლებში დადასტურებული ვარი, ხარი, არის ფორმები მოწმობენ, რომ ცოცხალ მეტყველებაში აწმყოს წარმოება არ იყო უნიფიცირებული. ერთი მხრივ, გვქონდა:

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ-არ	ვ-არ-თ
2. ხ-არ	ხ-არ-თ
3. არ-ს	არ-ი-ან

მეორე მხრივ, კი:

1. ვ-არ-ი	ვ-არ-ი-თ
2. ხ-არ-ი	ხ-არ-ი-თ
3. ა-რ-ი-ს	არ-ი-ან

ამ ორი სისტემის შერწყმამ მოგვცა თანამედროვე ქართულისათვის დამახასიათებელი ნარევი უღლება: ი გაბატონდა მხ. რიცხვის III პირში, I და II პირების ფორმებში კი ი არ გვაქვს.

ნ. -ი ა ნ დაბოლოება აწმყოში ზოგ ბარდაუვალ ზმნასთან

სტატიკურ ზმნათა ერთ ჯგუფს აწმყოს ფორმებში ზოგჯერ -იან დაბოლოება მოუდის: მიხარიან, მრცხუენიან, მეშინიან, მგლიან და სხვა (ძველი ქართული ენის ნორმაა: მიხარის, მრცხუენის, მეშინის, მგლის...). -იან დაბოლოება ზოგ გარდაუვალ ზმნასთან პირველად ხანმეტ მრავალთავში იჩენს თავს, ოღონდ საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში:

---

[1] ეს მაგალითი შენიშნული აქვს ი. ქავთარაძეს. იგი წერს: „მესამე პირში არის თითქმის ერთაღერთია“ (54, გვ. 46, შენ.).

ხრცხუენიან // პრცხუენიან: ხრცხუენიან, ხანმ. მრავალთ. 13, 1; არამე პრცხუენიანა და ჩუენ მბასრობენ, სვან. მრაეალთ. 25 r, 9—12 a; კაცთაგან არა მრცხუენიან, მრავალთ. 12 r, 18—19 b; პარხლ. მრავალთ. 261 r, 13—14 a; 261 r, 28—29 a; ათ. მრავალთ. 223 r, 8 b; ითიკა 91 r, 14; არცა გრცხუენიან, ათ. ასკეტ. კრებ. 309 v, 3—4 b: არა გრცხუენიანა, Ath.-32 150 r, 12—13; მრცხუენიან მე ხილვად პირისა კაცისა, წმიდათა ცხოვრ. 68, 1—4 b; არამე პრცხუენიანა, პარხლ. მრავალთ. 19 r, 30—31 b; მრცხუენიან, მამაო, იქვე 635 v, 1—3 b; თხოვად მრცხუენიან, Sin.-15 193, 6—8 b; Sin.-38 8 v, 23 b—9 r, 3 a; ნუ გრცხუენიან, ძმაო, A-35 240 r, 5—6, და სხვა.

მგლიან: რაჲ მგლიან მე, ჴრახუიდეს, მამ. სწავლ. 285, 6—7 A; ნურაჲ შენ გგლიან, პარხლ. მრავალთ. 102 v, 1 a: ნურაჲ გგლიან, უტე, მოკუდეს. შუშ. X, 6.

ამ ზმნის თავდაპირველი პირიანი ფორმები თანამედროვე ქართულში აღარ გვაქვს. საწყისიდან ვაწარმოებთ პირიან ზმნას: ვგლოვობ. საწყისიდან სხვაგვარად წარმოქმნილი ზმნა იყო ძველ ქართულშიც: ვეგლოვ და მისთ.

ეშინიან: რამეთუ არა ეშინიან მათ მეფისაგან, მამ. სწავლ. 230, 11 A; ნუ გეშინიან, ათ. ასკეტ. კრებ. 43 r, 4 b; 323 v, 2—3: რომელსა არა ეშინიან, იოანე ოქროპ. ცხორ. 136 v, 15—16; მეშინიანო დღესა ბოროტსაო, შატბ. კრებ. 276 r, 18—19 a; და არა გეშინიანა ჩემისა ჴელმწიფებისაგან, Ath.-32 29 r, 10—11; ჩუენ არა გუეშინიან გუელისა მისგან, ეფთჳმი 109 v, 5—6: ნუ გეშინიან, ასულო, ურბ. ოთხთ. 20 v, 21—22 b; მკუდართათჳს ნუ გეშინიან, Sin.-35 587, 3 a: ამისთჳსცა გუეშინიან მჴეცთაგან, იქვე 640, 16—17; არცაღა სატანჯველთა შენთაგან მეშინიან მე, Q-240 57 r, 9—11: ნუ გეშინიან, A-397 46 r, 11; 46 r, 16—17; Sin.-11 61 r, 10; არა ეშინიან მათ მეფისაგან, H-1662 207 r, 22; არცა ვითარცა მეუფისაგან გუეშინიან ითიკა 86 v, 8; გეშინიან, Ath.-21 283 v, 1—2: მეშინიან მე, ჭ. ცხ. 184, 13, და სხვა.

Sin.-36 ხელნაწერში ეშინია ფორმა გვაქვს (თუ იგი კალმისმიერი შეცდომა არაა):

არა ეშინია მათ მეფისაგან, 264, 4.

(ჰ)სურიან: სურიან შენდამი სულსა ჩემსა, Sin.-34 11 v, 4; რომლისათჳს-იგი გსურიან, სვან. მრაეალთ. 24, 11—13 b; ანუ დედისა თქუენისათჳს გსურიანა, Ath.-32 261 r, 2; A-1 141 r, 7—8; შენდამი სურიან სულსა ჩემსა, Sin.-62 75 v, 18—19 a; ამისა მსურიან, ფებრონია 383, 23: სურიან მას ხილვად ნათლისა, A-35 3 v, 9—10; არაწმიდათა საქმეთათჳს სურიან, იქვე 306, 18—19; შენ მხოლოჲსა მიმართ სურიან სულსა ჩემსა, Sin.-11 47 r, 16—17; შენდამი ჰსურიან სულსა ჩუენსა, იქვე 283 v, 16, და მისთ.

უხარიან: ფრიად უხარიან ღმერთსა, ათ. ასკეტ. კრებ. 284 r, 1 b;

მიხარიან, გიზღო ეტრატი, Sin.-6 2, 11 (გადამწ. ანდერძი);

უხარიან ღმერთსა საქმეთა ამას. ზედა, A-35 115 v, 19—20; მოქალაქობ. მონაზონებ. 53 v, 8—9; და მისთჳს ესრეთ უხარიან, იქვე 283 r, 6; ამისთჳს ნუ გიხარიან, A-88 74 v, 4—5 a; ამას ზედა გიხარიან, ცხორ. ანტონი დიდისაჲ 286 v, 14—16 b; უხარიან ჰურიასა, კლემაქს. 109 r, 17; ცუდად მზუაობრებასა უხარიან, იქვე 146 v, 22, და სხვა.

სწყურიან: რომელთა სწყურიან ჴეშმარიტად შენდა მიმართ, უფალო, ეფრემ ასურ. სწავლ. 65 v, 1—3 b; რომელთა სწყურიან შენდა მიმართ, იქვე 65 v, 4—5 b: შიან და სწყურიან მარადის სიმართლისათჳს, Jer.-73 37 r. 5: სხუათა შიან და სწყურიან, ანდრია სალოსი, 92 v, 8—9.

შიან: შიან და სწყურიან მარადის სიმართლისათჳს, Jer.-73 37 r, 5; სხუათა შიან და სწყურიან, ანდრია სალოსი 92 v, 8—9.

სწადიან: და ლაზარეს სწადიან ნაბიჭევისაგან ტაბლისა შენისა, პარხლ. მრავალთ. 267 v, 14—17 b; სინ. თარგმ. სახარ. 133 r, 2—4; გწადიანა ღმრთისმეტყუელი სადა ყოფად, ევნომიანოსთა შიმართ 719, 15; ჰრქუა მას ბერმან: მე ქრისტეს ხილვაჲ აქა არა მწადიან, მამათა ცხორ. 362 r, 9—11; მწადიან, რაჲთამცა ვპოე უდაბნოსა საყოფელი მცირე, A-92 203 v, 56: სიცოცხლე სწადიან, იქვე 255 v, 22; ვითარცასახედ გწადიან, ქ. ცხ. 297, 2.

გცონიან: მიავლინეს მისა ორნი კაცნი და მიუთხრეს, ვითარმედ: ნუ გცონიან მოსლვად ჩუენდა, სინ. საქმ. მოციქ. 234, 6—10 a; Sin.-58 59 v, 2—4 a.

მმოსიან: სამოსელი ესე ძუელი ჩოჯისა, რომელ მმოსიან, ნუუკუე ეშურები, მოგჳკე, ანდრია სალოსი 64, 16—19.

როგორც ეხედავთ, -იან დაბოლოება გარკვეული ტიპის გარდაუვალ ჰჳნებთან საკმაოდ ადრე იჩენს თავს. გასაგებია ამგვარი ფორმის სიხშირე მომდევნო ეპოქის ენაში (იხ. 70, გვ. 178 და შმდგ.).

ი. უნდა ანმყოს მნიშვნელობით

მინდა, გინდა, უნდა და მისთ. ძველ ქართულში უწყვეტლის მწკრივის ფორმები იყო (მ-ი-ნ-დ-ა ფორმაში -დ საერცობია):

რაოდენგზის მინდა შეკრებაჲ ნაშობთა შენთაჲ, მ. 23, 37 C: ლ. 13, 34; არა უნდა განმხილებაჲ მისი, მ. 1, 19; და უნდა ღათუ მისი მოკლეაჲ, მ. 14, 5, და სხვა.

XI—XII საუკუნეებში მინდა, გინდა, უნდა და მისთ. ფორმები ანმყოს („გ ი ნ დ ", „ს ა ჭ ი რ ო ა") მნიშვნელობით იხმარება:

ვჰაღმოთ და ვსუათ დღეს აქა, და მერმე, ვითა უნდა, იყოს, Jer.-96 199 r, 23—24;

შეისწავე, ვითარმედ მარხვათა ქრისტეშობისათა ალელუაჲ ი ესრეთ არს უცთომელად, ესრეთ უნდა, Jer.-150 7 v (მინაწ.).

ჩანს, სავრცობისეული -დ ზმნის ძირში გადაირიცხა. ეს პროცესი XII საუკუნეში უკვე დასრულებულია, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ მონაცემები ადასტურებს:

მინდა=მ ს უ რ ს: აწ ენა მინდა გამოთქმად, 6, 1: ქმარი არ მინდა უშენო, 154, 3: წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად, 155, 1, და ა. შ.

გინდა=გ ს უ რ ს: ყმაო, რა გინდა, ანუ მენუკვე მე რასა, 236, 1; რაცა გინდა, ივი ქმენო, 238, 4, და სხვა.

უნდა=ს უ რ ს: მისგან კიდე ნურა უნდა, 18, 4: იმას თქვენი არა უნდა, 90, 2; ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, 279, 3, და სხვა.

„ვეფხისტყაოსანში“ ამ ზმნის ახლებურად ნაწარმოები საერცობიანი ფორმებიც გვხვდება:

მინდოდა: რაცა მინდოდა საჭურჭლე დასადებელი, 1056, 1;

გინდოდი: რას მაქნევედით, რად გინდოდი, 295, 1;

გვინდოდა: რაცა გვინდოდა, 1314, 3;

უნდოდა: თუღა გახსოვს, რა უნდოდა, 817, 1;

გინდოდე: ვსცნობდე, გინდოდე საკლავად, 1088, 2;

მინდოდეს: არ მინდოდეს, ვისცა ვუნდი, 559, 2, და სხვა.

დ სახელზმნურ ფორმებშიც დაჩნდება:

ნდომა: ჩემი ყოლა ნურა გინდა — სიყვარული, ნუცა ნდომა, 548, 1; მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა, 566, 4;

მნდომელი: თვით იყო მნდომელი, 516, 3; შეყრისა ვიყავ მნდომელი, 597, 3;

სანდომი: წყალი ღის, არად სანდომი ხიდისა, 185, 3;

მონდომილი: ვარ მქმნელი საქმისა, მის შენგან მონდომილისა, 292, 2. და სხვა.

7. შემიძლია, შეგიძლია ... ფორმათა დათარიღებისათვის

ძველ ქართულ ტექსტებში შემძლებელ ვარ, ძალ-მიც, მიძლავს, ჯელ-შეწიფების სინონიმებია. ახალ ქართულში ამ მნიშვნელობით შემიძლია იხმარება.

შემიძლია, შეგიძლია ... და მისთანა ფორმები აწმყოში, სალიტერატურო ენის მონაცემების თანახმად, X საუკუნიდან იჩენს თავს:

და ვერ შეგიძლია, ათ. ასკეტ. კრებ. 300 v, 8—9 a; სათნოებათა მათთა არა მოაკლებოდა, რომელთაჲ ვერღარა ვის მოჴსენებაჲ მათი შეუძ-

ლია. პარხლ. მრავალთ. 610 v, 24—27 a; ბუნებაი შენი ღბილ არს და ვერ შეგიძლია ძმისა გარეშეჭცეაი. A-35 197 v, 18—20; მიუგო მან: ვერ შემიძლია, იქვე 219 v. 1; ვერ შემიძლია დათმენაი სატანჯველთაი, იქვე 226 v, 3—4; ვერ შემიძლია იქვე 235 r, 15; 242 v. 6—7; ვერღარა შემიძლია, იქვე 240 v, 4—5; ვერ შეგჳძლია ჩუენ მისი დატევებაი. იქვე 250 r. 16—17; არცა ესე შეგჳძლია, იქვე 253 v, 11—12; 253 v, 15—16; ვერ შეგიძლია შრომისა დათმენაი, A-397 201 r, 1—2; ჰრქუა მამასა თჳსსა: ვერღარა შემიძლია წინააღდგომად ბრძოლისა მის, პატერიკი 67, 1—2: ვერ შემიძლია წინა-აღმდგომად ბრძოლისა, აჲის, იქვე 68. 6; წერილ არს წმიდასა სახარებასა, უკუეთუ გცეს ვინმე მარჯუენესა ყურიმალსა შენსა, მიუპყარ მარცხენაიცა შენი. ჰრქუეს მათ: ვერ შეგჳძლია. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ ვერ შეგიძლია მიპყრობაი მეორისაი, იგი ერთი ხოლო მოითმინეთ. ჰრქუეს მათ: არცა ესე შეგჳძლია. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ ვერცა ესე შეგიძლია, ნუ მოაგებთ ნაცვალსა. ჰრქუა მათ: არცა ესე შეგჳძლია, იქვე 78, 2—8; ძმამან ჰკითხა მამასა იოსებს: რაი ჳყო, რამეთუ ვერ შემიძლია შრომაი და ჭირი და ტკივილი თავისა ჩემისაი? მიუგო მას ბერმან და ჰრქუა: უკუეთუ ესე ვერ შეგიძლია, დაიცევ გონებაი შენი, იქვე 114, 18—21; შდრ.: შ ე მ ძ ლ ე ბ ე ლ ვ ა რ, შ ე მ ძ ლ ე ბ ე ლ ხ ა რ, Ath.-21 82 r; ძ ა ლ-მ ი ც, ძ ა ლ-გ ი ც, A-1105 243 v; ვერცა ათასითა დრაჰკნითა შეუძლია მას, Ath.-21 213 r, 4—5; ქებასა მათსა ვერარაი სარგებელი შეუძლია ჩუენთჳს, იქვე 215 r, 9—10; და არცა ნათესაჲთა და მეგობართა შეუძლია ჴსნაი მისი სიკუდილისაგან, მრავალთ. 72 v, 11—14 a; რაჟამს ცხადთაგან მწიკულევანთა გულისსიტყუათაგან ვერ შეუძლია ცთუნებად გულისა სხუად სახედ, ანტ. 32, 5—7 Ქ. .

შემიძლია აწმყოს ფორმა საფუძვლად ედება სხვა მწკრივებსაც:

ესეზომთა ავნებ, რაჲზომთა-იგი სარგებელი შემეძლო, Ath.-32 141 v, 16—18; ეგრეთ ვყო, ძმაო, რაჲზომცა შემეძლოს, A-35 211 v, 7—8.

იმ დროის ცოცხალ მეტყველებაში შემიძლია და მსგავსი ფორმები იყო ალბათ გაბატონებული, ამ ფორმებმა სალიტერატურო ენაშიც შეაღწიეს და თანდათან მ ი ძ ლ ა ვ ს, ძ ა ლ-მ ი ც, ნ ე ლ-მ ე წ ი ფ ე ბ ი ს, შ ე მ ძ ლ ე ბ ე ლ ვ ა რ ტიპის წარმოებანი განდევნეს.

8. სტატიკური ზმნებითთა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის დაბოლოების ევოლუციისათვის

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში სტატიკური ზმნებითი აწმყოში და გარდამავალი ზმნები (-ავ და -ამ თემისნიშნიანთა გარდა) I თურმეობითში -ი // -იეს დაბოლოებას მიიღებენ:

აწმყო	I თურმეობითი
მე მიპყრიეს იგი	მე შემიპყრიეს იგი
შენ გიპყრიეს იგი	შენ შეგიპყრიეს იგი
მას უპყრიეს იგი	მას შეუპყრიეს იგი
მე უპყრიე მას	მე შეუპყრიე მას
შენ უპყრიე მას	შენ შეუპყრიე მას
იგი უპყრიეს მას	იგი შეუპყრიეს მას

ძველი ქართულისათვის ეს არის ნორმა, მაგრამ ამ ნორმის გვერდით თანდათან ჩნდება -ია დაბოლოება (გიპყრია შენ იგი, შეუპყრია იგი მას). სტატიკური ზმნების აწმყოში -ია პირველად „სინურ მრავალთაეში“ იჩენს თავს, ხოლო გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში იგი ჰაემეტ ტექსტებშიაც დასტურდება.

სტატიკურ ზმნათა აწმყო:

და შენ რაჲსათჳს გიპყრია, სინ. მრავალთ. 70, 6—7; რომელაჲ ამას ჩემსა იადგარსა შინა სწერია, Sin.-34 210 v, 14; ზემო სწერია, ჭილ.-ეტრ. იადგ. 18 r, 6—7; რომელსა ჰგონია, ათ. ასკეტ. კრებ. 321 v, 10—11 a; სული ჩემი უვნებელად ჰგია, ათონ. კრებ. 372 v, 8—9; რომელსა უპყრია ყოველი ქუეყანაჲ, ათონ. მრავალთ. 44 v, 21—22 b; უპყრია პირი მისი მხიარულად, იქვე 216 r, 6—7 b; გონებაჲ მისი ერთკერძოსა გუამისასა ჰგია, შატბ. კრებ. 24 v, 7—9 b; შენ, რომელსა გმოსია ტყავი ცხოვართაჲ, ცხორ. შიშუელ მართალთაჲ 347, 25—26; მგონია, ძმაო ჩემო, ცუდად მოვშუერით, პარხლ. მრავალთ. 96 v, 19—20 b; სწერია წმიდასა ამას წიგნსა შინა, Sin.-62, 1 (ანდერძი); ეითარ-იგი პალესტინელთა უპყრია, Sin.-35 584, 13—14 b; სახარებასა შინა სწერია, იქვე 475, 30—31 a; უკუანა სწერია, წაიკითხეთ, Sin.-63 49 v, 17—18; და გჳრგჳნი ათორმეტთა მათ მოციქულთა სწავლისაჲ არჭჳა თავსა მისსა, H-1346 129 v, 1—3; ხოლო ერთი იგი მას უპყრია მარადის, ეფრ. ასურ. სწავლ. 265 v, 3—5 a; პირი მისი უპყრია მხიარულად, სინ. თარგმ. სახარ. 8 v, 10—11; ნაზორევი კბილთა გჩრია, Jer.13 132 v, 6—8, და მისთ.

გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი:

თავი და დასასრული... მიყოფია, ჰაემ. ტექსტ. 364, 3; აწ რომელი გიყოფია, თავს იდევ, სინ. მრავალთ. 129, 3—4; რად უდებ-გიყოფია, იქვე 246, 7—8; რაჲსათჳს ქუეყანაჲ დაუპყრია უქმად, ლ. 13, 17 C; რომე-

ლი განრისხებულ ხარ და არა გულისხმა-გიყოფია, უდაბნ. მრავალთ. 67 v, 21—22 b; რომელი წელთა ჩემთაგან მიშობია, იქვე 67 v, 27—28 b; და არცა დაუწერია კაცსა ზედა, მამ. სწაელ. 45, 2—3 A: შდრ.: დაუწერიეს C; მიცემია საზრდელი, იქვე 49, 13 A; შდრ.: მიცემიეს BC; ორთა ფოლოათჳს დაუწერია მტკიცედ, იქვე 89, 12—13 A; და ვინაჲთგან გიცნობია განკრთხეაჲ სარგებელისა მოშატყუებელი, იქვე 136, 33 A; ცნებაჲ მოუცემია შენდა ღმერთსა, იქვე 136, 21—22 A; ღმერთსა მოუცემია ჩუენდა საბრძოლად, იქვე 144, 5 A; არა მოუცემია ღმერთსა ბუნებისა ძალი, იქვე 182, 21 A; ამისათჳს ძწოლასა შეუპყრია სული ჩემი, იქვე 203, 31—204, 1 A: და რომელი-რაჲმე დაკლებაჲ მიყოფია, Sin.-34 133 v, 15: აჰა დამიჩხრეკია და მიჩენია, იქვე 210 v, 16; რომელსა უშობია, ათონ. მრავალთ. 22 v, 1 a: ძმაჲ ონისიფორე კერძოთა მათ ქალაქისა ჩუენისათა მოგივლენია, ათ. ასკეტ. კრებ. 76 v, 12—14 b: წარუვლია ასიაჲ ქადაგებითა, იქვე 95 v, 16—17 a; არავისდა უვნია, არამედ ყოველთადა ურგია, იქვე 253 v, 21—23 b; არა შეურაცხ-უყოფია სოფელი ესე, იქვე 275 r, 14—16 b; შენდობაჲ უბრძანებია მისი შენდა ღმერთსა, იქვე 306 r, 6—8 a: და მიცნობია ყოველთა შემოქმედი ღმერთი, ათონ. კრებ. 142 r, 11—12 b; რაჲ მიყოფია აწ, კალ. ლექც. 72, 7 a: მე მიმიცემია იგი კელთა შენთა, იქვე 94, 21—22 a; რაჲ ბოროტი უქმნია, ლატ. ლექც. 151 r, 18—19 a: მე ჰური რჩეული მიპოვნია, იქვე 196 v, 17—18 a, და მისთ.

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ დაუწერიათ -ია დაბოლოება, მერმე „შეცდომა" უგრძნიათ და ზემოდან ეს ჩაუწერიათ, ან ა ე-დ გადაუსწორებიათ (იხ. მაგ. Sin.-36 296, 14 a).

I თურმეობითში -ია დაბოლოება უჩნდება ვნებითი გვარის ზოგ ზმნას: მასმიეს — მასმია:

ჩუენ გუასმია შჯულისაგან, ბერთ. ოთხთ. 471, 13—14 b; ხოლო ამის სიტყჳსა უურწმუნესი არა მასმია სადა, ათ. ასკეტ. კრებ. 187 r, 21—23 a; არა გასმია წმიდათა მათგან წინაწარმეტყუელთა, მრავალთ. 141 v, 26—27 b; იტყოდა, ვითარმედ: „ბერსა რაჲმე ასმია ჩემთჳს", A-35 286 v, 8; ვის ასმია ესევითარი, ანუ ვის უხილავს უთესლოდ მიდგომილი ქალწული, მარხვ. 27 v, 22—23.

ძველ ძეგლებში, რა თქმა უნდა, სჩარბობს -იეს დაბოლოება პირველ თურმეობითსა და სტატიკურ ზმნათა აწმყოში, ოღონდ ამ დროის ცოცხალ მეტყველებაში უთუოდ -ია იყო გაბატონებული. როგორც ჩანს, ცოცხალი მეტყველება ამ შემთხვევაში დიდ გავლენას ახდენდა სალიტერატურო ენაზე. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებში, რომლებიც „იოვანეს გამოცხადებასა" და მის „თარგმანება"-ს შეიცავს (X—XI სს.), -იეს და -ია თანაბრად დასტურდება (28, გვ. 135).

XI საუკუნიდან -ია დაბოლოება „ხშირია. განსხვავება შეინიშნება

სხვადასხვა დარგის მწერლობის ნიმუშებს შორის: სასულიერო ხასიათის ძეგლებში ცდილობენ დაიცვან ძველი ფორმა, საეროში კი თითქმის მხოლოდ ახალ ვარიანტს იყენებენ. ასე, მაგალითად. 1058 წლის ბაგრატ IV სიგელში მღვმელთა მიმართ I თურმეობითის მხოლოდ ახალი ფორმები დასტურდება: დაუწერია (ქრესტ. 96, 9); გაუთავისუფლებია (იქვე 96, 17); დამიმტკიცებია (იქვე 96, 31); დაუწერიაᲐ (იქვე 96, 28). 1011 წლით დათარიღებულ ერთ მინაწერში აგრეთვე ყველა ფორმა ახალია (ქრონიკ. I, გვ. 164—165); გ. მთაწმიდლის „იოვანესა და ეფთჳმეს ცხორებაში“, რომელიც 1074 წლის ხელნაწერშია დაცული, 12 ფორმიდან 9 ახალია: მოიცემია (27, 3); დაგჳწერია (31, 7; 32. 6); მოუმადლებია (47, 1); შემინდობია (53, 7); გაუწესებია (72, 1); ღაშიმცნია (72, 2), მოგჳსენებია (118, 26); აღგჳწერია (4, 1); ძველია: მიმიცემიეს (79, 7); აღუწერიეს (32, 7); დაგიტეებიეს (79, 6). მხოლოდ ახალი ფორმები გვაქვს ნიკორწმინდის XI ს-ის სიგელში (ქრონიკ. II, გვ. 45—49), დავით აღმაშენებლის ანდერძში შიო-მღვიმისადმი და მით უმეტეს მე-12—მე-13 საუკუნეების სიგელ-გუჯრებში“ (6, გვ. 109—110).

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა -ია დაბოლოებილეული ა-ს შესახებ. ა. შანიძის აზრით, ა სტატიკურ ზმნებთან ანმყოში და გარდამავალ ზმნებთან I თურმეობითში წაადგეს არს მეშველი ზმნის შეკუმშულ ა ფორმას (66, გვ. 456). ნ. ნათაძის ვარაუდით, ა მესამე სუბ. პირის ნიშნად უნდა იქნეს გაგებული, ხოლო იე>ია პარალელს პოულობს ენ. გვარის აწმყოს ფორმათა ტფების>თბება ტიპის ცვლილებაში (41, გვ. 92). ვ. თოფურიას აზრითაც, ა შესაძლოა S3-ს ნიშნად ჩაითვალოს. ლ. ბარამიძე თვლის, რომ მეშველი ზმნისეული ა-ს დართვა შეიძლება იყოს მიზეზი იე>ია ცვლილებისა ქართულისათვის მძიმე ი ე ა ხმოვანთა კომპლექსის გამარტივების მიზნით (6, გვ. 111).

ძველ წერილობით ძეგლებში ყურადღებას იქცევს მცდარი დაწერილობების რამდენიმე ჯგუფი:

1) ია დაბოლოება თავს იჩენს I და II პირების ფორმებთან:

თქუენ ვინ გგონია მე, ოპიზ. ოთხთ. 32 v, 16—17 a; იქვე 144 r, 19—20 b; მთ. 16, 15 D; ლატ. ლექც. 226 v, 4—6 a; ქსნ. ოთხთ. 1 r, 8—9 a; პარიზ. ლექც. 218 r, 30 b; ვინ ვჰგონია მე ერსა ამას, Sin.-16 187 r, 3—4; ნუ გიპყრია მე, შვილნო, გლოცავ, Sin.-11 349 v, 15.

ძე ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშობია შენ, სვან. მრავალთ. 187, 32—33 b; შატბ. კრებ. 260 r. 11—12 b; რაჲ არს ეგე განრყუნილებაჲ, რომელსა შენ შეუპყრიაᲐ, ათ. ასკეტ. კრებ. 117 v, 8—10 a; ამისთჳს ვიწი და ზრუნვასა შეუპყრია მე, მამ. სწაელ. 107, 17 A; რამეთუ არასადა

უდებ ვიქმენ შენ ზედა, არამედ ხუთნი თთუენი არიან, ვინაჲთგან მომიუვანებია შენ დაჴარსუად. მრავლთ. 202 r, 21—24 b: აღდეგ და წარემართე. სადა-იგი მიუვლინებია მეფისა და ღმერთმან წარგიმართოს გზი შენი. A-397 136 r, 8—10.

2) იეს დაწერილობა I—II პირებთან:

მე უფალსა მიუვლინებიეს ვიდრე ბეთელდმდე. IV მეფ. 2, 2 O;
მე დღეს მიშობიეს შენ, ათონ. მრავალთ. 20 r, 21—22; Alh.-42 90 v, 3—5 b;
ამისთჳსცა შეურაცხ-მიყოფიეს შენ, ათონ, კრებ. 376 v, 17—18 a:
დაუპყრიეს შენ ვითარცა ზღუდე დაურღუეველი, Sin.-65 116 r, 11—12.

3) კონტამინაციური დაწერილობა:
იეს + ია > იას:

ანგელოზთა მისთა უბრძანებიას შენთჳს, Sin.-16 13 r, 3—4.
წარგიწყმედიას მამა შენი. A-92 221 v. 13.

რა უნდა იყოს ამგვარ დაწერილობათა საფუძველი?

ამიერ შემთხვევა ცხადყოფს, რომ იეს > ია პროცესი ენაში უკვე მომხდარია. პირველი რიგის შემთხვევებში ია I და II პირებშიაც აღმოგვაჩნდა (ვჰგონია მე მას, მიშობია მე შენ). II ჯგუფის მაგალითებში იეს გამოვლინდა I და II პირებში (მიშობიეს მე შენ ...), ხოლო უბრძანებიას, წარგიწყმედიას ფორმები, ერთი მხრივ, ია დაბოლოებასაც შეიცავს, ხოლო, მეორე მხრივ, იეს ფორმანტის ს-საც წარმოგვიდგენს.

ამდენად, სამივე შემთხვევაში ჰიპერურბანული დაწერილობები გვაქვს: ზოგმა გადამწერმა პარადიგმა გაასწორა: III პირის ია (ან „სწორი“ იეს) I და II პირების ფორმებშიაც გაავრცელა, ხოლო ზოგმა კონტამინირებული ფორმა დაწერა. ჩვენი აზრით, ცოცხალ მეტყველებაში იე I და II პირებში ამ დროისათვის აღარ უნდა გექონოდა. მაგრამ არც ვჰგონია (მე მას) უნდა ყოფილიყო ამ დროის ენისათვის დამახასიათებელი. როგორ წარმოგვიდგენია ჩვენ I და II სუბ. პირების ფორმები სტატიკური ენებითების ანმყოსა და I თურმეობითში? ეფიქრობთ, მართებულად უნდა ჩაითვალოს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, იეს > ია პროცესს უშუალო კავშირი აქვს მეშველი ზმნის დართვასთან: ე. ი. III პირის ფორმა ჰგონია გვავარაუდებინებს ვჰგონივარ, ჰგონიხარ ფორმებს I და II პირებში (ასევე შეუპყრია ფორმის მიხედვით ვუშვებთ შეუპყრივარ, შეუპყრიხარ ფორმებს).

მეშველზმნიან ფორმებს სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ლ. ბარამიძემ (6). იგი წერს: „მეშველ-ზმნიანი I თურმეობითის რამდენიმე, თითქოს აღრინდელი, მაგალითი შეგვხვდა. თითო ფორმა დასტურდება ოშკის ბიბლიასა და „ქართლის ცხოვრების“ XI ს. ტექსტში. სხვა აღრინდელი ნიმუშები „ბალავარიანს“ შემოუნახავს. ამათგან ყველაზე ძველია ოშკის ბიბლიაში დაცული მაგალითი: აწ ისმინე, უფალო ჩემო მეფე, სიტყუაჲ მონისა შენისაჲ: უკუეთუ ღმერთსა აღუდგენიხარ შენ მდევრად ჩემ ზედა, იყავნ ნებაჲ ღმრთისაჲ (I მეფ. 26, 19; ხელნ.; 50, 2 სვ. 4 ქვ.). თუ ეს ფორმა მერმინდელი შესწორების შედეგი არაა, მაშინ იგი ერთი პირველი ნიმუში იქნებოდა აღწერითი წარმოებისა. ხელნაწერის ფოტოპირზე დაკვირვების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ შეიძლება შემდეგდროინდელ გადაკეთებასთან გვქონდეს საქმე: ბოლო სამი ასო (. . . იხ) ჩამატებულია უფრო პატარა ასოებით და თითქოს განსხვავებული ხელით.

„ქართლის ცხოვრებაში“ ასეთი ფორმაა დაცული:

არამედ მითა ვისუფლებიხარ რატის ზეღა: დაიმორჩილე, ვითარცა სახედ გწადიან (ქართლ. ცხ. I, 277, 15). ვარიანტებიც ამასვე გვიჩვენებს. „მატიანე ქართლისაჲ“, სადაც ეს ფორმა გეხვდებათ, 1072—1073 წლებში დაწერილადაა მიჩნეული, ხელნაწერები გვიანდელია: XVII—XVIII საუკუნეებისა, რასაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ამ შემთხვევაში“ (6, გვ. 114).

„ბალავარიანის“ ტექსტში ილ. აბულაძემ ყურადღება მიაქცია მეშველზმნიან ფორმებს გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში: მიუდრეკივარ, შეუწყუდევივარ, გაუყენებივარ, მიჴსნიხარ, მიუდრეკიხარ; შეუპყრივარ, მიუდრეკივარ, მიჴსნიხარ (პირველი ხუთი ფორმა ვრცელი რედაქციის ტექსტში დასტურდება, ბოლო სამი — მოკლე რედაქციაში) (1, გვ. 033).

ლ. ბარამიძის აზრით, „ბალავარიანს“ ამ მხრივ მხარს არ უჭერს XI ს-ის სხვა თხზულებები. XI ს-ის ძეგლები კი საკმაო რაოდენობითაა მოღწეული, ასევე ნუსხებიც. მიუხედავად ამისა, I თურმეობითის ახალ ფორმათა არსებობა XI საუკუნისათვის მაინც დასაშვებია“ (6, გვ. 115).

მეშველზმნიანი ფორმები რეალურად არსებობენ X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში (მხედველობაში, რა თქმა უნდა, გადაწერის დრო გვაქვს). A-35 (X ს.) ერთ-ერთ პირველ ასეთ ნიმუშს წარმოადგენს:

შეუპყრივარ მე შიშსა მას ბნელისა მის ჟამისასა, 202 r, 1—2.

XI საუკუნის ნუსხებში გვაქვს:

რამეთუ წესსა ზედა ასოთასა შეუქმნივართ ჩუენ ღმერთსა, მამათა ცხოვრ. 53r, 16—17 b;

ამისთჳს მოხუცდა შენ, რაჲთა რომელსაჲ̈იგი უზრდივარ სიმეოცსა ამას წელსა, დღეს მიმიღო იგი ჩემგან, იქვე 171 r, 4—8 b;

და რამეთუ, აჰა ესერა, ესოდენთა ამათ წელთა არცა ერთისა ვისდა შეუპოვნებივარ ღმერთსა, იქვე 171 r, 8—12 a;

ჰე. თჳთმფლობელად შეუქმნიხარ ღმერთსა ყოფად, რაჲცა გენებოს, თარგმნ. კათ. ეპისტ. 13, 4—6 b;

რამეთუ ჩუენ, ძმაკაცნი, თჳთმფლობელად შეუქმნივართ ღმერთსა, იქვე 17, 33—34 a;

რამეთუ არა განუუვანებივართ ეზოჲსაგან, სწაელ. სულიერნი 116 r, 11—12:

არცა განურისხებივართ, არამედ უფროჲსღა მეუფედ და უფლად გუხადიან, საკითხ. თეოდორ. 391, 31—34 a;

არამედ შეუპყრივარ მე შიშსა მას ბნელისა მის ჟამისასა, პატერიკი 24. 6—7:

წარუტაცებივარ მჴეცსა მას, A-135 254 v, 5:

არცა საშმლად მიუღებივართ, A-500 116 r, 10;

შეუქმნივართ ღმერთსა. Jer.-12 9 r, 34 a.

ამრიგად, „ბალავარიანის" მონაცემებს XI საუკუნის ხელნაწერები მხარს უჭერენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თითო ამგვარი ფორმა გუხვდება ოშკის ბიბლიასა და Sin.-35-ში, შეიძლება დავუშვათ, რომ „ბალავარიანის" ვრცელი რედაქცია. რომელიც, ილ. აბულაძის ვარაუდით, IX—X საუკუნეებში ჩამოყალიბდა, იმთავითვე შეიცავდა მეშველზმნიან ფორმებს (შდრ.: 6, გვ. 115). გასათვალისწინებელია აგრეთვე ამ თხზულების ხასიათი. რაც გარკვეულად განსაზღვრავს მისი ენის მჭიდრო კავშირს იმ დროის ცოცხალ მეტყველებასთან.

I თურმეობითის მეშველზმნიანი ფორმები დასტურდება აგრეთვე XII—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში:

არ.მედ მე ეჵრეთ გამიჯდიხარ შენ, ანდრია სალოსი 83 v, 7—8; გრწმენინ, ქრისტესა მოუვლინებივარ მე შენდა, მეექუს. ფსალმ. 159 v, 4—5: გრწმენინ, ქრისტესა მოუვლინებივარ მე შენდა, Qst.-3 35 r, 8—9 b: რომელნი შეუცთუნებიხართ მათ, Jer.-37 31 v. 15—16 b: შეუპყრიხარ სიკჳლეთა მიერ, A-689 157 r, 8—9 a: თჳთმფლობელად შეუქმნიხარ ღმერთსა ყოფად, რაჲცა გენების, Jer.-9 7 r, 5—6 b; ნათესავთა შენთა და მღელთმოძღუართა მოუცემიხარ შენ ჩემდა, A-495 174 r, 5—7; მოუცთუნებიხარ გზისაგან ჴეშმარიტისა, A-199 10 v, 11—14: ქრისტესა მრუვლინებივარ მე შენდა, A-129 159 v, 4—5 b; რომელთა ჩუენდა არარაჲ ოდეს შეუცოდებიეს, არცა განურისხებივართ, იქვე 184 r, 5—7 b; უკუეთუ ოდენ არა დაუბრმივარ მე მთრეალობასა, იქვე 186 r, 15—17 b.

აწმყოში სტატიკურ ვნებითთა მეშველზმნიანი ფორმების გამოვლენა,

ლ. ბარამიძის აზრით, მე-12 საუკუნიდან იწყება (6, გვ. 123)[1], ჩვენი მასალების მიხედვით, ამგვარი ფორმები პირველად XI საუკუნის ხელნაწერებში დასტურდება:

მას ვისმე მონაზონსა ღლიასა ქუჱშე უპყრივარ და მაჭირვებს მე. მამათა ცხოვრ. 279, 16—18 a: ყოელად უნაკლო მგონიხარ, თარგმ. კათ. ეპისტ. 154, 17.

ზოგი ამ რიგის მაგალითი XII—XIII საუკუნეებით დათარიღებულ სხვა ნუსხებშიც დასტურდება:

სოლო მე ამიერითგან ვითარცა ძმაჲ საყუარელი, შვილი სულიერი, ეგრე მიპყრიხარ შენ, ანდრია სალოსი 53 v, 18—20. მარადის ვჰგიხარ, A-52, 44 v, 24.

მეშველზმნიანი მაგალითები სტატიკურ ზმნათა აწმყოში მცირე რაოდენობით დასტურდება, ვიდრე გარდამავალი ზმნების I თურმეობითში. ეს იმით აიხსნება, რომ სტატიკურ ვნებითთა აწმყოს მწკრივის I და II პირების ფორმები წერილობით ძეგლებში იშვიათია (ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ენაში (ცოცხალ მეტყველებაშიც) ასეთივე ვითარება ყოფილიყო.

ლ. ბარამიძის აზრით, მეშველი ზმნები I თურმეობითსა და სტატიკურ ვნებითში დაერთო იმ მიზნით, რომ მოხერხებულიყო ფორმათა გარჩევა (6, გვ. 144).

როდის უნდა გაჩენილიყო მეშველზმნიანი ფორმები ცოცხალ მეტყველებაში? ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ ფორმათა ჩასახვას მჭიდრო კავშირი აქვს -იეს>ია პროცესთან. -ია დაბოლოება ჯერ კიდევ ჰაემეტ ტექსტებში იჩენს თავს. ვვარაუდობთ, რომ VIII ს-ს ცოცხალ მეტყველებაში I და II პირების მეშველზმნიანი ფორმები არსებობდა. მხოლოდ სალიტერატურო ენის კონსერვატულობითა და ჩვენამდე მოღწეულ ადრინდელ წერილობით ძეგლთა სიმცირით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ამგვარი ფორმები გაცილებით უფრო გვიანდელ, X—XI საუკუნეთა, ნუსხებში აისახება პირველად. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ I თურმეობითისა და განსაკუთრებით სტატიკურ ვნებითთა აწმყოს I და II პირების ხმარების სიხშირე ძველ წერილობით ძეგლებში (და არა ენაში!) საზოგადოდ დაბალია.

---

[1] მკვლევარს ნიმუშები ისეთი ძეგლებიდან მოაქვს, რომელთა ერთი ნაწილი XII საუკუნეშია ნათარგმნი, ან დაწერილი (შაბნამე, რუსუდანიანი, ეფხისტყაოსანი). მაგრამ გვიანდელი ნუსხებითაა ჩვენამდე მოღწეული.

ზ. ვნებითი გვარის ზოგი ზმნის ფუძის გართულება -ებ სუფიქსით

ვნებითი გვარის ზმნების გარკვეულ ჯგუფს IX—XI საუკუნეებში -ებ თემის ნიშანი უჩნდება პირველი სერიის ფორმებში: იყოფის>იყოფების, აღირაცხვის>აღირაცხების, კრთის>კრთების, დაიწუვის>დაიწვების და მისთ.

დავიმოწმებთ ნიმუშებს:

რომელი მის მიერ იყოფების, მამ. სწავლ. 20, 9; რომელი იზრახების, გინა ლაშქართა შინა იყოფების, 76, 27—28; იყოფების ჴრთსა ადგილსა, Ath.-32 83 v, 2; უკუეთუ ჯორციელად იყოფებოდინ, იქვე 88 r. 8; დაღაცათუ ცეცხლსა შინა იყოფებოდინ, იქვე 88 r, 8; ნუ იყოფები მრისხანესა თანა, იქვე 230. 11—12; რაჲთჳცა თჳსითა ოდენ ხედვითა იყოფებოდა, A-1 37, 18—19; ესენი იყოფებოდინ ქრისტეს თანა, A-500 40 v, 19: რომელი ესრეთ იყოფებოდის, Jer.-32 48 v, 14 b: სახლსა შინა არა იყოფებოდა. A-88 21 r, 19—20 b; არა იყოფების სიხლსა შინა, იქვე 23 v, 17—18 b; რომელნი-ესე ტყუეობასა შინა ვნებათასა ვიყოფებით, იქვე 112 v, 15—16 b: წარვიდეს ადგილსა მას, სადა იყოფებოდა, A-193 28 r. 24; მარტოებით იყოფებინ, იქვე 40 v, 15; იყოფებოდა იგი მონასტერსა რომელსამე შინა, იქვე 43 v, 10—11; პეტრე მთასა ულუმბოჲსასა იყოფებოდა, იქვე 79 r, 7—8; მჴეცთა თანა ველურთა იყოფებოდა, იქვე 95 r, 20—21, და სხვა;

რომელ-ესე უძლურსა მას დიდად სარგებელ ეყოფებოდა, A-88 26 v, 28—30 a:

უსამართლოდ განიყოფებიან, A-135 177 v, 7—8; გულისჴმა-იყოფებიან სიტყუანი იგი, A-135 160 r, 14; ესე ყოველი ბუნებასა ზედა კაცებისასა გულისჴმა-იყოფების, A-92 242 r, 7—8; გულისჴმა-იყოფებოდის სულიერად, Q-1152 118 r, 11—13 (კომენტ.); შდრ.: იყოფოდა, აგ. ძეგლ. I 66. 9; იყოფოდე ჩემ თანა, დაბ. 22, 19 O; მოძღუარ, სადა იყოფი, ი. 1, 38; ნუ იყოფი ურწმუნო, ი. 20, 27; უდაბნოთა ადგილთა იყოფვოდა, მრკ. 1, 45; მარადის უფლისა თანა ვიყოფოდით, A-500 40 v, 9—10; იყოფოდეს მის თანა, A-193 264 v, 17—18; სადა იყოფვოდი, ვიყოფვოდი, Q-208 (ბ) 1 r, 12—13: რომელი უდაბნოსა გარე იყოფოდა, Q-212 1 r. 6—7; არარას სარგებელს ეყოფვის ტირილი, იგი, სინ. მრავალთ. 276, 23: ძმათა ყოველთა სარგებელ ეყოფვოდა მათგან, ლიმონ. 47, 12—13, და მისთ.

ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, აგ. ძეგლ. 1, 290. 38—39.

პირმშოჲ ისრაჱლისაჲ თანა შეერაცხების, სინ. მრავალთ. 37, 5: ისრაჱლი თანა შეერაცხების, იქვე 37, 9; ნუმცა ლოცვაჲ შენი ცოდვად შეგერაცხების, მამ. სწავლ. 10, 24; შეერაცხების ძმასა მას ნათლის-ღებად

ქუშისა იგი გარდასხმაჲ, ანუ არა, ლიმონ. 70, 17—18; შდრ.: სამეოცდა-მეათშჯდმეტად აღირაცხვის, A-1 101, 5—6.

უკეთურნი იტანჯებიან აქა, A-252 5 r, 6 b;

მაყუალი აგზებული და არა შემწუარი, ეგზებოდა და არა შეიწუებოდა, სინ. მრავალთ. 204, 26—27; ხედვიდა მაყულოვანსა, რომელი იწუებოდა და არა შეიწუებოდა, Ath.-21 265 v, 16—17; მაყუალი არა დაიწუებოდა, გაბოსლუ. 3, 3 O; არა ხედავა მზესა, ვითარ იწუების, Jer.-12 139 v, 12; შდრ.: გუამი დაიწუვინ ფიცხლისა მისგან სიმჯურვალისა, მამ. სწაელ. 140, 23—29; არა ცეცხლითა დაიწუვის, Jer.-12 139 r, 30—31, და შისთ.

რაჟამს აღმოიკითხვებოდის სახარებაჲ, სინ. მრავალთ. 11, 24; სახარებანი აღმოიკითხვებოდინ, იქვე 156, 5; საქმენი კაცთანი დაფარულნი და ცხადნი აღმოიკითხვებოდიან, მამ. სწავლ. 123, 8—9; აღმოიკითხვებოდიან ყოველნი დაფარულნი და ცხადნი ცოდვანი კაცთანი, იქვე 125, 28—29; მოიკითხვების სახელი მეუღლისაჲ, სინ. მრავალთ. 156, 5; ოდეს ჯუარი ეკლესიასა იკითხვების, სინ. მრავალთ. 233, 17; ესე საკითხავი იკითხვების ახალჯრიაკესა, A-1 76, 4—5; შდრ.: სამარადისოდ იკითხვოდინ, ჯავ. აღწ. გვ. 130; რომელი-ესე აღმოიკითხვის, იქვე 242. 20, და მისთ.

ჰკრთებოდა ყრმაჲ იგი მუცელსა შინა მისსა, სინ. მრავალთ. 13, 9; ლ. 1, 41; შდრ.: კრთოდა ყრმაჲ ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა, ლ. 1, 44.

რომელნიმე იელტოდეს და დაიმალებოდეს, ისტ. ქრესტ. II 101, 34, შდრ.: იელტოდა და იმალვოდა, სინ. მრავალთ. 266, 10; დაიმალვოდა პირისაგან სულისა. ფს. 56 (სათ.);

არცა ღმრთისაგან ეკრძალების, სინ. მრავალთ. 214, 22: ეკრძალებოდა მას, მრკ. 6, 20 C:

მას დღესა ჯოჯოხეთისაგან ღათუ იპყრობებოდა, სინ. მრავალთ. 82, 11; წესი ესე იპყრობების, Jer.-16 20 r, 21—22 a; შდრ.: ნუ შეიპყრობინ გონებაჲ შენი, ისტ. ქრესტ. II 14, 29,

არარაჲ დაეფარების მათგანი, მამ. სწაელ. 135, 30; შდრ.: რომელსა არაჲ დაეფარვის საქმეთა ჩუენთაგანი, იქვე 111, 13—14;

სახედ მდინარისა ირწუვებოდეს, აგ. ძეგლ. I 334, 29; შდრ.: მდინარითა ირწუვოდა ადგილი იგი, აგ. ძეგლ. I 273, 11; ირწუვოდეს ყოველნი უდაბნონი. იქვე 282, 11.

ძველ ქართულში ამგვარი ფორმების არსებობა შენიშნა და საინტერესო მასალები მოიხმო ლ. ბარამიძემ (7, გვ. 81; 84—86; 90—91). გასაზიარებელია ლ. ბარამიძის მოსაზრება, რომლის თანახმადაც. ეს თვისებრივ-შინაარსობრივი ფორმების გავრცელება ანალოგიით უნდა აეხსნათ (7, გვ. 85).

ირკვევა, რომ ეს თემატური სუფიქსით ზოგი ენებითი გვარის ზმნის ფუძის გართულება საკმაოდ ძველი პროცესია.

ზოგი გარდამავალი ებ თემისნიშნიანი ზმნა თემის ნიშანს კარგავს: წარგავლინებ>წარგავლენ; აღგადგინებ>აღგადგენ; გამოგაჩინებ>გამოგაჩენ და მისთ. ეს მოვლენა სალიტერატურო ენაში XI საუკუნიდან აისახება:

აღადგენს ქუეყანისაგან გლახაკსა, პარიზ. მარხვ. 130 v, 32: მკუდართა აღადგენდით, Jer.-32 80 v, 6—7 a; და ცრემლად აღადგენდა, იქვე 140 v, 1 a; ნუცა აღადგენთ მათ ზედა ბრძოლასა, II შჯ. 2, 9 G; შდრ.: აღადგინებს მკუდართა, ი. 5. 21; აღადგენს ქუეყანისაგან გლახაკსა და სკორეთაგან აღადგინებს დაერდომილსა, პარიზ. მარხვ. 241 r, 34—35.

მსაჯული იგი სიმართლისაჲ გუამხილებდეს და წარმოადგენდეს წინაშე პირსა ჩუენსა ჩუენთა მათ ბოროტთა საქმეთა, Jer.-14 327 r, 21—26 b; შდრ.: ბრძანა წარმოდგინებაჲ მეორისაჲ მის, დან. 13, 56 O:

მღდელთმთავარნი და სამღდელოჲ დასი დაადგენენ, Jer.-22 175 v, 30—32 a;

წარავლენდა სახიდ თჳსა კაცად-კაცადსა, Jer.-12 124 v, 8—9; ცოდვილთა წარავლენდეს რისხვით გეჰენიად, პარიზ. მარხვ. 8 r, 37: რაჟამს წარაველენდა მათ, Jer.-32 80 v, 3—4 a; მეცა წარგავლენ თქუენ, A-52 145 v, 25; 146 r, 15; მე წარგავლენო თქუენ, იქვე 146 r, 18;

შდრ.: მეცა წარგავლინებ თქუენ, მ. 18, 18 C; ი. 20. 21; მე წარგავლინებ თქუენ, ლ. 10, 3; წარავლინებს ზღუასა ზედა მძეელებსა, ესაია 18. 2:

იგი სულგრძელებით არაჲ მოავლენს შენდა რისხვასა, პარიზ. მარხვ. 135 v, 21—22; არა მოავლენს რისხვასა, იქვე 151 r, 30; შდრ.: უკუეთუ მოავლინებ ძმაჲსა ჩუენსა ჩუენ თანა, დაბ. 43, 4:

კუალად განჴშჯელი პილატეს მიმართ მიავლენს, A-52 132 r, 29: შდრ.: მე მიგავლინებ თქუენ, მ. 10, 16.

სასურველობასა... სიკუდილისასა წარმოაჩენს, A-52 131 v, 15—16; წარმოაჩენს აქა იუდეანთა, იქვე 134 v, 17—18; არარას სხუასა წარმოაჩენდა, Jer.-22 158 r, 27—28; შდრ.: ყოველსა მას განგებულებასა საიდუმლოსა გამოაჩინებს, სინ. მრავალთ. 15, 9—10: ყოველითურთ უმიზეზოდ გამოაჩინებს, A-52 135 r, 2;

თავსაცა თჳსსა გულისჴმის-ყოფითა და განკითხვითა გაუარენს მშჯობით. Jer.-73 90 v, 16—17;

ამით სახითა ირგებენ და შეიძენენ სულთა თჳსთა, Jer.-73, 50 r, 1—2, შესძენა ჰასაკსა შენსა უკნინესსა ღათუ რასმე, Jer.-22 110 r, 2—4 a; შდრ.: ელია არა შესძინებდა შენდობასა, სინ. მრავალთ. 127. 33.

ზოგ შემთხვევაში ახლებურად ნაწარმოები აწმყო დაედო საფუძვლად I თურმეობითს:

არავინ სცდა აღუდგენიეს ეშმაკთა ლოცვად, A-129 69 v. 4—8:

უფალსა ჩუენსა დაუდგენიეს თუთეულსა ჩუენგანსა თანა ანგელოზი მცველად, Jer.-96 206 r. 24—25;

პირველ კითხვაღ ჩუენდამდე განგიჩენიეს, თუ ვინ ჯერ-არს მრმღებელად ყოველთა მსახურებათაგ.ნ, Jer.-16, 15 v, 18—22 a:

სიღრმე სიბრძნისა ღმრთისა და ცნობისყა არღა გამოგიძევიეს, პარიზ. მარხვ. 267 r. 22.

ახალი ზმნური ფორმებიდან იწარმოება სახელზმნები:

ნუმცა მესმის წყევაა შენი, მკ.ნელო, და რ.სხვით წარვლენაა ჩემი გეჰენიად, პარიზ. მარხვ. 10 v, 1—2; წარვლენაა დაცვისათჳს, A-52 142 v, 27; შდრ.: იწყო წარვლინებად მათა.მრკ. 6, 7;

არა ბრძოლანი ხოლო იქმნებოდეს ქაშინ, არამედ ღმრთივ მოვლენილნიცა წყლულებანი, Jer.-22 13 r, 24—27 a; შდრ.: იყო კაც ერთ მოვლინებულ ღმრთისა მიერ, ი. 1, 6:

უკუეთუ უკნინესისაგ ვერ ძლ-გიც შეძენაგ, Jer.-22 110 r. 8—10 a: შდრ.: მწუხარებაგ იგი მათი შეძინებითა მით მისითა ნუგეშინისცემულ იქმნა, ბ. კეს. ორმეოცთათჳს, 121. 16.

XI საუკუნიდან ცოცხალ მეტყველებაში ამ ტიპის ფორმები ალბათ გაბატონებული იყო.

11. ანმყოს ხოლმეობითის მოშლის დათარიღებისათვის

ძველ ქართულ ზმნას ჰქონდა აწმყოს ხოლმეობითის მწკრივი. იგი ისეთ მოქმედებას გამოხატავდა, რომელიც ახლანდელ დროში მეორდება, მრავალგზისია: წერ-ნ, ხატავ-ნ, არ-ნ, ჩან-ნ და მისთ.).

მკვლევართა აზრით, აწმყოს ხოლმეობითი პირნაკლია. მას მხოლოდ III პირის ფორმები მოეპოვება (წერ-ნ (მხ. რ.): წერ-ედ (მრ. რ.). ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ისეთ მნიშვნელოვან მწკრივს, როგორიცაა აწმყოს ხოლმეობითი, არ ჰქონოდა I და II სუბიექტური პირების ფორმები. როგორც ჩანს, აწმყოს ხოლმეობითის I და II პირების ფორმები აწმყოს I და II პირების ფორმებს ემთხვეოდა. გარჩეული იყო მხოლოდ III პირის ფორმები. მსგავსი ვითარება გვაქვს -დ სუფიქსიანი ზმნებითი გვარის ზმნათა უღლებისას II სერიაში, სადაც წყვეტილისა და II ხოლმეობითის I და II პირების ფორმები საზიარაა (წყვ.: 1. განვმართლდი, 2. განჰმართლდი, 3. განმართლდა; 1. განვმართლდით, 2. განჰმართლდით, 3. განმართლდეს: შდრ.: II ხოლმ.: 1. განვმართლდი, 2. განჰმართლდი. 3. განმართლდის: 1. განვმართლდით, 2. განმართლდით, 3. განმართლდიან).

ვფიქრობთ, არ არსებობს საკმაო საფუძველი სამტკიცებლად, რომ ანმყოს ხოლმეობითი პირნაკლი მწკრივია. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ანმყოს ხოლმეობითისა და ანმყოს I და II პირების ფორმები სახეა. მით უფრო, რომ ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში უდავოდ გამოვლინდება აწმყოს ხოლმეობითის თითქოს არარსებული ფორმები:

რამეთუ შენ ცხოვრებისა და სიკუდილისა ჯელმწიფებაი გაქუს: და შთაიყვანებ ბუეთა ჯოჯოხეთისათა და აღმოიყვანი, სიბრძნ. სოლომონ. 16, 13 O: უფლებედ თქუენ ზედა ცოლნი თქუენნი, რამეთუ ყოველსავე, რასაცა იქმთ და დაჰშრუებით, მიიღით და მისცით ცოლთა თქუენთა, ეზრა ზორობაბ. 4, 22 O, და სხვა. დამოწმებული კონტექსტები იმითაც იქცევენ ყურადღებას, რომ ჩვენთვის საინტერესო ფორმები სხვა ხოლმეობითთა გვერდით იხმარებიან.

ზოგი მკვლევრის აზრით, აწმყოს ხოლმეობითი არაა მწკრივი. არნოლდ ჩიქობავა წერნ და მისთ. ფორმებს ზოგად აწმყოს უწოდებს (72, გვ. 136, 163; 71, გვ. 77—80). აწმყოს ხოლმეობითის, როგორც მწკრივის. ცალკე გამოყოფას არასწორად მიიჩნევენ აგრეთვე ვ. თოფურია (20), გ. როგავა (51), ა. არაბული (4, გვ. 35—40).

ძველი ქართული ენის სპეციალისტთათვის ნათელია დაპირისპირება წერ-ნ : წერ-ს, წერ-ედ : წერ-ენ ფორმათა შორის. ცნობილია, რომ წერ-ს, წერ-ენ ფორმები ერთგვარ მოქმედებას გამოხატავენ, წერ-ნ, წერ-ედ კი მრავალგზისს (უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ სპეციალისტები, რომლებიც აწმყოს ხოლმეობითს უარყოფენ, ამ ფორმათა შორის არსებულ დაპირისპირებას მაინც გახაზავენ: ერთმანეთს უპირისპირებენ აწმყოს „წერს" და ზოგად აწმყოს: „წერ-ნ"). ამისთანა შემთხვევებში სწორად გაგებული კონტექსტი საიმედო ლინგვისტური არგუმენტია (შდრ.: 4, გვ. 38). საინტერესოა, რომ ბერძნულ ენაში აწმყოს ფორმას გარკვეულ შემთხვევებში შეუძლია გადმოსცეს ხოლმეობითობა, მრავალგზისობა (92, გვ. 221; 270; 273—274).

ძველი ქართულის ადრეულ საფეხურზე (V—VIII საუკუნეები) აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი ერთმანეთს აშკარად უპირისპირდება. ამავე დროს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, აწმყოს ხოლმეობითი ძველი ქართული ენის ბოლო პერიოდში თანდათან სუსტდება (59, გვ. 842; 56, გვ. 73). ამის დამადასტურებელად მიაჩნიათ უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმათა გამოვლენა (59, გვ. 835—844; 56, გვ. 73; 61, გვ. 9). ლ. კიკნაძემ ნათელყო, რომ უწყვეტლის ხოლმეობითი აწმყოს ხოლმეობითის შესუსტების შედეგად გაჩენილი მწკრივი კი არაა, არამედ იგი I სერიის თავისთავადი, საკმაოდ ძველი ერთეულია (33, გვ. 231—279).

ფაქტია, რომ ძველი ქართულისა და საშუალი ქართულის მიჯნაზე აწმყოს ხოლმეობითი აშკარად სუსტდება. ამას მოწმობს ის დარღვევები,

რაც ამ მწკრივის ფორმათა ხმარებისას შეიმჩნევა: I. აწმყო გვაქვს იქ, სადაც კონტექსტის მიხედვით აწმყოს ხოლმეობითი არის მოსალოდნელი; II. ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდით დასტურდება აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმები; III. ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ნუსხები საკმაოდ ხშირად ერთმანეთს იმითაც უპირისპირდებიან, რომ ერთი და იმავე ზმნის ფორმას განსხვავებულად წარმოგვიდგენენ. ერთ ნუსხაში რომ აწმყოს ხოლმეობითია, სათანადო ადგილას მეორე ნუსხა აწმყოს მწკრივს გამოაღენს: IV. ერთსა და იმავე წინადადებაში აწმყოს გვერდით დასტურდება ზმნები, რომლებიც უწყვეტლის ხოლმეობითის, ან III. ხოლმეობითის ფორმით არიან წარმოდგენილი. ამდენად, ასეთ შემთხვევებში აწმყოს ხოლმეობითი იყო მოსალოდნელი, გვაქვს კი აწმყო; V. გადამწერს მცდარად მიუჩნევია აწმყოს ხოლმეობითი და მის „გააზრიანებას“ ცდილა.

განვიხილოთ ყველა ეს შემთხვევა ცალ-ცალკე.

I. აწმყო გვაქვს იქ, სადაც კონტექსტის მიხედვით აწმყოს ხოლმეობითია მოსალოდნელი:

რომელი პირველითვე არს და აცხოვნებს ყოველსა სოფელსა, სინ. მრავალთ. 17, 9—10; იგი თავადი იყო და უწინარეს საუკუნეთა იყო და მარადის არს, იქვე 36, 7—8; უენებლად ჰგიეს მარადის ღმრთეებრი, იქვე 51, 8; მხოლოდ კაცთა შორის სრული კაცი სიმართლისაჲ, რომელი-იგი მართალთაგან იპოვების საქმით, რომელთა-იგი მარადის განანათლებს, რომელნი ვლენან გზასა ჰეშმარიტსა, იქვე 94, 7—9; რამეთუ იწრო არს ბჭე და წულილ გზაჲ, რომელმან მიიყვანის ცხორებად და ცრცელ არს გზაჲ, რომელმან მიიყვანის წარსაწყმედელად, მრავალ არიან, რომელნი ვლენან მიერ, მ. 7, 13 C; ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ჯერკუალისა გამოღებად, მ. 7, 18 C; არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, მ. 9, 12 CDE; ამისთჳს იგავით ვეტყჳ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის, და არცა გულისხმაყვიან, მ. 13, 13 C; ხოლო თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ ხედვენ, და ყურნი თქუენნი, რამეთუ ესმის, მ. 13, 16 C; არა თუ რომელი შეევალს პირით, შეაგინებს იგი კაცსა; არამედ რომელი გამოვალს პირისაგან, იგი შეაგინებს კაცსა, მ. 15, 11 C; რომელიმე შიშუელი მარადის გევედრების, უდაბნ. მრავალთ. 86 r, 5—6 a; ვერ კმა-გეყუნესა პირველნი იგი წინაწარმეტყუელთა კლვანი და სისხლთა დათხევანი, რომელნი მოაქამდე ღაღადებენ, იქვე 93 r, 10—13 b; ჰურიანი ჯუარსაცუმენ, რომელთა შჯული იციან, იქვე 109 r, 19—20 a; ხოლო არს იგი მარადის, იქვე 129 v, 19 b; რამეთუ დღითგან იოვანე ნათ-

ლის-მცემელისადმი ვიდრე აქამომდე სასუფეველი ცათაჲ იიძულების, მ. 11, 12 DE; მარადის უგალობენ და ილოცვენ განმარტებულად. სვან. მრავალთ. 484, 6—8 b; მარადის ილოცვენ ცოდვათა ჩუენთათჳს. იქვე 485, 10—11 b; ხოლო რომელნი-იგი ნებითა მათითა არა ჰმსახურებენ და ჰმონებენ საქმესა რასმე უკეთურებისასა, ეგევითარნი ჴეშმარიტად მოღუაწენი ქრისტესნი არიან და მკედარნი მისნი. H-622 81 r, 15—18; რომლისა მიმართ ათორმეტი ნათესაჲ ჩუენი განკრძალული დღე და ღამე ჰმსახურებს და ესავს მიწევნასა, S-1398 141 r, 3—7 a: და ვიტყჳთ, ვითარმედ: სადა არიან მწუალებელნი იგი, რომელნი უვარ-ჰყოფენ მსგავსებასა, შატბ. კრებ. 9 r, 21—24 b: ყოლითა. რომელნი ჰხადიან მას, იქვე 50 r, 17—20 r; რომელთა-იგი საშჯელი პირველითგან არა დასცხრების და წარსაწყმედელსა მათსა არა ჰრულს, S-407 264 v, 5—10 b; და ძენი ჩემნი თქუენ შორის არიან სიყრმით მათითგან, I მეფ. 12, 12 O; ამისთჳს არიან წინაშე სიყდარსა ღმრთისასა და ჰმსახურებენ მას დღე და ღამე ტაძარსა შინა მისსა, იოვ. გამოცხად. 7. 15; რომელი-ესე მარადის იცვალების და არაოდეს დასცხრების სრბისაგან, ექუს. დღ. 6, 25—26; დღე და ღამე ერთგზის დაიბადა და მიერითგან ვიდრე აქამომდე ურთიერთას იცვალებიან და განსწორებით განყოფასა ჟამთასა არა დაცადებენ, იქვე 42, 34—35: მათგან ჩანს, რამეთუ ყოველადვე არა ჯერ-არს შერეად სოფელსა ამას, ბალავარ. 7, 16—17 C, და მისთ.

ზემოთ მოტანილ ნიმუშებში ზმნები ისეთ მოქმედებას გამოხატავენ, რომელიც ხდება არა ერთგზის, არამედ მრავალგზის (ზოგჯერ ამ მრავალგზის შინაარსს გახაზავენ ზმნიზედები: მარადის, დღე და ღამე ... და მისთ.). მოსალოდნელი იყო, აწმყოს ხოლმეობითი, გარქვს კი აწყოს მწკრივი.

II. აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმათა თავისუფალი მონაცვლეობა ერთი წინადადების ფარგლებში:

იძლევის ბუნებაჲ, იძლევიან წესნი სრბისანი, ოდეს-იგი ღმერთსა ჰნებავნ, სვან. მრავალთ. 33, 6; ესრე სახედცა, რომელნი შეპყრობილ არიან, ვითარცა მთრვალობითა უწესობისაჲთა და საქმითა გულის თქუმისაჲთა, შეკრულ არიან და მოჴიმულ და შეპყრობილ არიედ და არა უწყიედ, რასა იქმედ, იქვე 104, 20—22; იქმან მთრვალნი, რომელი მათ არა უნებან, იქვე 113, 10—11: არიან რომელნიმე, არა ჰაჩენედ ჰამადთა. ხოლო შეშჯამენ კბილითა ანგაჯრებისა მათისაჲთა ობოლთა და ქურივთა, იქვე 113, 28—29; რამეთუ აჰა ესერა საესე არიან წინაწარმეტყუელნი ნუგეშინის-ცემითა და მოციქულნი სასოებითა მათითჳს,

რომელნი სარწმუნოებით ისმენენ და შეუორგულებელად ჰრწამს, ხოლო ულმრთონი ამისთჳს მეტად ჰყოფენ გლოვასა, რამეთუ არა მოელიან აღდგომასა; და მწუალებელნი ამისთჳს მეტად ჰყოფენ მწუხარებასა, რამეთუ არა აქუს სასოებაჲ აღდგომისაჲ, ხოლო რომელნი ესვენ აღდგომასა, არა მეტად იგლოვენ; და რომელნი მოელიან მერმესა ცხოვრებასა, არა გარდარეულად მწუხარე არიედ, იქვე 263, 6—12: რომელნი შეშჯამენ სახლთა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად თაყუანის-ს ცემედ, მრკ. 12, 40 C; არა უჯმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიედ, ლ. 5, 31 C; ქარი, სადაცა უნებს, ჭრის, და ჴმაჲ მისი გესმის, ხოლო არა უწყი, ვინაჲ მოვალ, ანუ ვიდრე ვალ, ი. 3, 8 C; მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მართლიად მართალსა გეტყჳ თქუენ: ვერ ჴელ-ეწიფების ბესა კაცისასა საქმედ თავით თჳსით არაროაჲ, არათუ იხილოს, რასა მამაჲ იქმნ, რამეთუ რასაცა იგი იქმს, მის მსგავსადცა ბჳ იქმს, ი. 5, 19 C: რომელი თავით თჳსით იტყჳნ, დიდებასა თავისა თჳსისასა ეძიებნ, რამეთუ რომელი ეძიებნ დიდებასა მომავლინებელისა თჳსისასა, იგი ჭეშმარიტად არს და ზაკუა არა არს მის თანა, ი. 7, 18 C: სიმშილი მათ არა აურვებნ, რამეთუ სურვილითა საცხე არიან და მარადის იზარდებიან სიყუარულითა ქრისტჱსითა, უდაბნ. მრავალთ. 39 r, 4—7 a; ანგელოზთა გული ეტყჳს პატრისა კაცთაჲსა და ითხოვედ. იქვე 40 v. 21—24 a: ვერ ჴელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად, რომელი მთასა ზედა დაშენებულ არნ, მთ. 5. 14 DE: რომელნი შეშჯამენ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვედ, მრკ. 12, 40 DE[1]; სულსა ვიდრეცა უნებნ; ქრინ. და ჴმაჲ მისი გესმის, არამედ არა უწყი, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს, ი. 3, 8 DE; რომელსა აქუს სძალი, სიძჱ არს, ხოლო მეგობარი სიძისაჲ, რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარინ ჴმითა სიძისაჲთა, ი. 3, 29 E; შდრ.: რომლისაჲ არნ სძალი, იგი არნ სიძჱ, ხოლო მიყუარი სიძისაჲ მის, რომელი დგან და ისმენნ მისსა. სიხარულით იხარებნ ჴმასა მის სიძისასა, ი. 3, 29 C; ვითარცა მღაბიოთაგანი ჰჴმობ, რომელნი სდევენ ნადირსა, ანუ ვითარცა რომელნი ავაზაკთაგან იგუემებიედ, იოანე ოქროპ. ცხორ. 16 r, 12—15: ანუ ცხონდებიედ სიცრუვით, ანუ ცილსა ფუცვენ ზედაჲსზედა, სიბრძნ. სოლომონ. 14, 28 O; არა იჴსენებს ბოროტსა, რომელნი ინანიან და მოიქცევიედ ჭეშმარიტთა მიმართ ღმერთთა, Sin.-62 132 r, 26—29 a: შუენიერ არნ პირი, რომელსა კადნიერებაჲ აქუნ მის მიერ და მჱუგებს და იტყჳს, შატბ. კრებ. 171 v. 21—22 a: მთავარნი არიან, აბრალებედ ურთიერთას. სინ. საქმ. მოციქ. 57 v, 11—13 b; რომელნი ენითა უთმინო

[1] ლატალის ლექციონარშიც ასეა, ოღონდ შესჯამენ იკითხება (268 v. 2—7 a); Sin.-15-ში: შეჰჯამენ (203, 16—18 a).

არიედ და ვერ შემბლებელ არიან დანარჩენ, Sin.-35 485. 7—10 a; და ეგრევე რომელმან-იგი არა იცინ ქელოვნებაჲ საქმისა რაჲსამე. არა გამოეძიებს ქელოვნებისა მის სახესა. საკით. თეოდოტისი 37 r, 3—5 a: კეთილად უკუე იტყჳს მეტყუელი იგი, გარნა ყოვლითავე ცუდ არს კაცი პორციელი, ცუდად ხატად ჴალს კაცი, ამაოდ შურებინ და რომელი-იგი ამისა უარეს არს, სწავლ. ანდრია კრიტელ მთაჲვარებისკ. 155 r, 4—7: და იჯსენებნ თჳსთა ცოდვათა და ცრემლით შეუვრდებინ ღმერთსა და მისგან ითხოვს შენდობასა ცოდვათასა, ებისტ. ბასილისი გრიგოლის მიმართ 247 v, 23—25, და სხვა.

III. შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ზმნური ფორმა ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ნუსხაში განსხვავებულადაა წარმოდგენილი: ერთ (ან რამდენიმე) ხელნაწერში აწმყოს ხოლმეობითია, მეორე (ან დანარჩენ) ნუსხაში აწმყოს მწკრივი:

არცა შურების, არცა სთავს (ჰსთავს E), მ. 6, 28; ლ. 12, 27 DE: Sin.-15 16. 3—6 a; შდრ.: შურებინ, სთავნ C; რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ, მ. 6, 32 DE; შდრ.: ეძიებედ C: არამედ საწუთრო არს, მ. 13, 21 DE; შდრ.: არნ C; რომელნი-იგი ჰგონებენ მთავრად წარმართთა, მრკ. 10, 42 C; შდრ.: ჰგონებედ DE; არამედ რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიან, ლ. 5, 31 DE; შდრ.: არიედ C; ბუელსა მას ვერ შეჰგავს სადგმელი ახლისა სამოსლისაჲ, ლ. 5, 36 C; შდრ.: შეჰგავნ DE; რამეთუ ცოდვილნიცა ამას ჰყოფენ, ლ. 6, 33 C; შდრ.: ჰყოფედ DE; კაცნი ზედა ვლენ და არა იციან, ლ. 11, 44 C; შდრ.: ვლენედ DE; და მიზეზით შორად ილოცვენ, ლ. 20, 47 C; შდრ.: ილოცვედ DE; რამეთუ რომლისაჲ არნ სძალი, იგი არნ სიძჱ, ხოლო მიყუარი სიძისაჲ მის, რომელი დგან და ისმენნ მისა. ი. 3, 2 8 C; შდრ.: რომელსა აქუს სძალი, სიძჱ არს, ხოლო მეგობარი სიძისაჲ, რომელი დგას და ესმის მისი DE; ქელმწიფებასა სწავლისა მის მჴეცისასა ყოველსა იქმნ წინაშე მისსა, იოვ. გამოცხად. 13, 12 AB, შდრ.: იქმს C; რომელნი არიედ ვითარცა მატლნი და შეშჯამედ ნაყოფსა უდებთა კაცთასა, საკით. წიგნ. II 50, 23—24 Ծ; შდრ.: არიან, შეშჯამენ Ղ; უმრავლესნი მფრინველნი შინა იზარდებიან, ექუს. დღ. (ბ.) 112. 9 A, შდრ.: იზარდებიედ B; ორბი ბოროტად ზრდის შვილთა თჳსთა, იქვე 116, 24 A; შდრ.: ზრდინ B; ამას აჩუენებს ძალი განსწავლული, იქვე 129, 31—32 A; შდრ.: აჩუენებნ B: ერთსა ლომსა ძნიად უვის ბუეი დედაჲ, იქვე 131, 1—2 A: შდრ.: უვინ B; ვითარ-იგი ჴმა-სცემენ ურთიერთას, კაცისა აგებ. 158, 30 B; შდრ.: სცემედ A; არამედ არა ჴმა-სცემენ ძაღლნი იგი, იქვე 172, 7 B; შდრ..

-სცემედ A: ოდესმე აუწყებს სიზმარი ყოფადსა რასმე, იქვე 172, 16 A; შდრ.: აუწყებნ B; სხუაჲ არს სიზმარი მათი, იქვე 174, 3—4 B; შდრ.: არნ A; აღვლენან ცამდე, შთავლენან უფსკრულამდე, ფსალმ. 106, 26 A; შდრ.: აღელენედ BCD; შთავლენედ BCDE; ყოველთა მტერთა მისთა ზედა-ეუფლების, ფსალმ. 9, 26 BCDE: შდრ.: ეუფლებინ A; ცუდად შურებიან მაშრნებელნი მისნი, ფსალმ. 126, 1 E: შდრ.: შურებიედ ABCD: ცუდად იღვძებენ კუმილნი მისნი, ფსალმ. 126, 1 E; შდრ.: იღვძებედ ABCD; რომელი იმარხავს ჲეშმარიტებასა უკუნისამდე, ფსალმ. 145, 6 A: შდრ.: იმარხავნ BE: ყოველსა დღესა განემზადებიან ბრძოლად, ფსალმ. 139, 3 E; შდრ.: განემზადებიედ A; რამეთუ ყოველნიცე ურწმუნო არიან, კრიმათ. 32, 8—9 BC; შდრ.: არიედ A, და სხვა.

IV. ერთსა და იმავე წინადადებაში ზოგი ზმნა ხოლმეობითის ფორმითაა წარმოდგენილი, ზოგი აწმყოსი:

რამეთუ იწრო არს ბჭჱ და წუელილ გზაჲ, რომელმან მიიყვანის ცხორებად და მცირედ არიან, რომელთა პოიან იგი, მ. 7. 14 C: რაჲსათჳს მოწაფენი შენნი გარდავლენ სწაელასა მას მღდელთასა? რამეთუ არა დაიბანნიან ჴელნი, რაჟამს პურსა ჭამედ. მ. 15, 2 C: რომელ კაცისაგან გამოვალს, მან შეაბილწის კაცი, მრკ. 7, 20 C; რაჲსათჳს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღურებასა მას ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანიან ჴელნი, ოდეს პურსა ჭამედ, მ. 15. 2 DE; რაჟამს რტონი მისნი დაჩჩჳან და გამოვალ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული, მრკ. 13, 28 DE: რამეთუ არა ხოლო მეფენი ითხოვენ მათგან შეწევნასა, არამედ მრავალნი ეშმაკეულნიცა მივიდიედ საფლავთა მათთა და განიკურნიან, მაჰ. სწაელ. 88, 5—7 A: რომელნი ბრძოლისა მახლობელად არა მივლენ, იგინი არა მოიწყლნიან, ხოლო რომელნი სიმჴნითა ეწყვებიან მტერთა მათთა, ოდესმე იწყლნიანცა. იქვე 108. 24—24 A: რომელი მოუწესს წყალთა ზღჳსთა და მიჰფინის იგი პირსა ზეღა ქუეყანისასა, უფალ არს. სახელი მისი, 5, 8 O I; ვითარცასახედ რაჟამს შევარდის და განაბნიის და აღიტაცის და არავინ არს განმარინებელ, მიქია 5, 8 O I; რომლისაგან არა განივსის მჴელი თჳსი მომკალმან და არცა მჴარი, რომელნი შეჰკრებენ მჴლეულებსა მათსა, ფსალმ. 128, 7 ᲩᲦ; არამედ კაცად-კაცადი განიცადების თჳსისაგან გულისთქუმისა, მიიზიდვის და იიძულების, კათ. ეპისტ. იაკ. 1, 14 Ჩ; ამისთჳს იტყჳს: ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი, კათ. ეპისტ. იაკ. 4, 6 ᲩᲨ; რომელნი-იგი ზუაობენ მონაგებთა მათთა სიმრავლესა და ღმრთისათჳს არას ზრუნვიდიან, მამ. სწაელ. 15, 13—

14 C: და რომელნიმე ჰ.მბაჲთა და ზღაპართა მთავართასა ზედა ზუაობენ და იქადიედ, იქვე 19, 5—6 C.

ზემოთ მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ აწმყოს ხოლმეობითის მწკრივი იშლება. მას თავისუფლად ენაცვლება აწმყო.

აწმყოს ხოლმეობითის მოშლას კიდევ ერთხელ გახაზავს ზოგიერთ ძველ ტექსტში დადასტურებული ისეთი ფორმები, როდესაც გადამწერს აწმყოს ხოლმეობითის III სუბიექტური პირის -ნ ნიშანი მრავლობითის -ენ, -ან ეფიქსად გაუაზრებია:

რამეთუ ვითარცა-იგი ვის აქუნ ჴელთა ცეცხლი, ვიდრემდე ჴელთა უპარიან ნაკუერცხალი, დაჰწუავნ, უდაბნ. მრავალთ. 64, 5—7 b (უნდა: უპარიენ); მარადის მოიპოვებიან ბოროტსა და შეიწრებულ არნ იგი იჩჯთა თჳსითა, სიბრძნ. სოლომონ. 17, 10 O (უნდა: მოიპოვებნ); არა უწებენ მიხედვად მის, არამედ ტრფიალი იგი ჰსწადინ, A-500 2 v 6 v, 3—4 (უნდა: უნებნ); არავინ მონაჲ მოელინ უფალსა თჳსსა, არცა ბრალეული — მსაჯულსა, და დაიძინის და განისუენებენ და განსცხრებინ, იქე 40 r. 10—14 (უნდა იყოს: განისუენებნ); რასა მიიღებენ სული ჴორცთაგან, ანუ ჴორცნი სულისაგან, A-92 223 r, 11—12 (უნდა: მიიღებნ).

ამგვარი ფორმები განსაკუთრებით ხშირია „ანდრია სალოსის ცხოვრებაში".

დაიდვის გზასა ზედა ვითარცა მთრვალი და რომელნი წარელიდიან, გარდაეკიდნიან მას ზედა, განწყრიან და სციან არგნითა და ზოგთა ფერჴითა გზისაგან კიდე და არავის უჴებენ (უნდა: უგებნ) პასუხსა, ხოლო ვითარცა შემწუხრდის, აღდგის და წარვიდის ეკლესიისა კართა ზედა და ილოცვენ (უნდა: ილოცავნ) მუნ ვიდრე განთენებამდე, 56 v, 17—57 r, 4: მწუხარე იყო წმიდაჲ ანდრია და რბინ ადგილ-ადგილ და დაჯდის, და ტირნ და ევედრებიან (უნდა: ევედრებინ) ღმერთსა და იტყჳნ, იქვე 80 r, 7—11; ოდესმე ხლტებიან (=ხლტებინ) და ტაბაცობენ (=ტაბაცობნ) და ოდესმე როკავნ, იქვე 84 v, 16—17; დაუტევის ცოლი თჳსი და მცევალთა მისთა თანა ისიძვენ (=ისიძავნ), იქვე 126 v, 2—4; იწყო სინანულად და დაუტევა ყოველივე იგი უწესობაჲ, იმარხვენ (=იმარხავნ) და ილოცვენ (=ილოცავნ) და ევედრებიან (=ევედრებინ) ღმერთსა პირველთა მათ ბრალთა მისთათჳს, იქვე 134 r, 16—19.

როგორც ჩანს, აწმყოს ხოლმეობითის მოშლის ტენდენცია IX საუკუნიდან ისახება (სინური მრავალთავი). X—XI საუკუნეთა ცოცხალ მეტყველებაში ეს მწკრივი ალბათ უკვე აღარ არსებობდა. იგი წერილობით ძეგლებში ტრადიციითღა იხმარება. ამით აიხსნება, რომ ზოგი გადამწერი ვეღარ იცავს მისი ხმარების ნორმებს. აწმყოს მწკრივმა თანდათან შეითავსა აწმყოს ხოლმეობითის ფუნქცია.

ძველ ქართულში გვაქვს ერთი მწკრივი, რომელსაც უწყვეტლის ხოლმეობითს უწოდებენ (90, გვ. 137; 59, გვ. 835—844; 61, გვ. 9).

ლ. კიკნაძემ დაადგინა, რომ უწყვეტლის ხოლმეობითი არ არის პირნაკლი, მას მოეპოვება სამივე პირის ფორმები (ადრე თელიდნენ, რომ ამ მწკრივს მხოლოდ მესამე პირის გამოხატვის უნარი გააჩნია) და რომ ეს მწკრივი არაა გაჩენილი X საუკუნეში, როგორც მიიჩნევდნენ, არამედ გაცილებით ადრეა ჩამოყალიბებული (32, გვ. 255). ლ. კიკნაძე იმოწმებს ამ მწკრივის ხმარების 49 შემთხვევას ძველი ქართული ენის ძეგლებიდან. აქ ერთგვარად შეჯამებულია სხვა მკვლევართა მიერ მოპოვებული ფაქტებიც (სათანადო მითითებით).

ლ. კიკნაძე წერს: „უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივის ფორმები I სერიის სხვა მწკრივებთან შედარებით ძალიან ცოტაა ძველი ქართული ენის ძეგლებში, მაგრამ საერთოდ მისი ხმარების შემთხვევები არც ისე იშვიათია“ (32, გვ. 255).

ძველ ქართულ ტექსტებში გამოვლინდა ამ მწკრივის ფორმათა ხმარების არაერთი შემთხვევა. უწყვეტლის ხოლმეობითი იშვიათ მწკრივად ითვლება ძველი ქართულისათვის, ამიტომ საჭიროდ ვთვლით, მოვიტანოთ ახალი მასალები ამ მწკრივის გავრცელების ნათელსაყოფად (ბუნებრივია, გამეორების თავიდან ასაცილებლად აღარ მოვიხმობთ იმ მაგალითებს, რომლებიც ლ. კიკნაძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომშია დამოწმებული):

რომელთამე სერსა მას ზედა ტაბლასა გარდამატებულსა წინადაუგებდი და იძულებით აწუევდი ჰამად და მათ არა მ ი ხ ე დ ი, რომელნი შიმშილითა მოწყდებიან, უდაბნ. მრავალთ. 85 v, 19—25 b; იქმენ შენ ვითარცა მჯუმილნი, რომელნი მჯუმილვიდიედ სამწყსოსა გინა სავენაკესა, რამეთუ ი ტ ყ უ ე ლ ვ ე დ ჴელთა მათთა და ჴმითა მაღლითა ღაღადებენ და ი ზ ა ხ ე ბ ე დ, და ოხრისა მათისაგან ი ვ ლ ტ ი ე დ ყოველნი, რომელთა ჰნებავნ მიპარვად სამცველოჲ მათი, რომელსა სცვიდიედ, მამ. სწავლ. 13, 6—9 C; მაშინ განეცხადოს ყოველთა საქმე. მისი. ვითარცა იგი მათი, რომელნი ე ტ ყ ო დ ი ე დ მეუფესა დღესა მას განკითხვისასა, იქვე 20, 32—33 C; ხოლო რაჟამს გ ა ნ გ უ ე შ ო რ ი ს, ძრწსა უზრახვიდით, იქვე 29, 9 C; მ ი ვ ე ქ ც ი თ და ვ ზ რ ა ხ ვ ი დ ი თ ნათესავთა ჩუენთა, იქვე 29, 17—18 C; ოდეს ჩუენ სხჳსაგან შენდობასა ვითხოვდით, ძღუენიცა მ ი უ ძ ღ უ ა ნ ი თ მას, იქვე 36, 19—20 C; ჰ ლ ო შ ნ ი დ ი ან წუთხსა მას წყლულებათა მისთასა, იქვე 58, 28 C; და კაცნი მას ზედა სახელსა ღმრთისასა ფ ი ც ვ ი დ ი ან, იქვე 161, 8 A; და გ ჳ ხ ი ე ლ ნ ი ს ჩუენ განსაცდელსა შინა დღე და ღამე სახელისა მისისათჳს, და შინა უფლებასა მისსა აღ ვ ი ა რ ე ბ დ ი თ ნებითა ჩუენითა და სულითა ი ხ ა რ ე ბ ნ ჩუენ ზედა, შე-

მ ე წ ე ვ ი ნ ჩუენ მადლითა თჳსითა, იქვე 178, 13—16 A; დ ა ს ხ დ ი ა ნ და ისმენდიან სწავლასა მას მისსა, იოანე ოქროპ. ცხორ. 90 r, 11—12; შეკრბიან შინაგან კართა ქალაქისათა სტოათა შინა და ფსალმუნებდიან და უამობდიან ჟამობათა, იქვე 111 v, 9—11; თჳსთა შვილთა მოჰკლვიდიან და თჳსნი უფალნი არაჲ უვარ-უენიან, პარხლ. მრავალთ. 81 v, 23—25 b; ჰრქუა მას ბერმან: კეთილ არიან, არამედ ეზოსა მათსა კარი არა აბს, და რომელსა უნდის, შევიდის საკარაულოდ, იქვე 163 v, 28—31 a; და ვითარცა სახედ რაჲ იმღერდიან მატლნი შორის დამპალსა ჯორცსა, დ ა ს ც ხ რ ი ა ნ, იქვე 175 r, 17—28 b; და შეძრწუნდეს ზრახვანი უძლურთანი, რაჟამს ხედვიდიან მარტჳლთა, იქვე 190 r, 17—19 b; და რაჟამს შთაუგდებდიან მკეცსა მას საზრდელსა, ზ ო ა ღ მ ა რ თ ი ს და ეგრ ო თ შეიპყრის საშმელი იგი, იქვე 202 v, 19—22 a; მაშინ სიბოროტე ჩემი საჭირველ მათა ა რ ნ და ჰპოებდიან ძლევასა ჩემ მიერ, იქვე 309 v, 7—10 a; და ოდეს მ ე ს ჰ ი ს, ჴეცინოდი და ოდეს უთხრობდი სხუათა, შ ე ვ ი ტ ყ უ ე ნ ი იგინი, იქვე 386 r, 26—29 a; და ოდესმე გ უ ა უ წ უ ნ ი ა ნ გუშაგთა ჩუენთა მოსლვაჲ მათი, რამეთუ ჰგონებდიან ჩუენ ზედა მოწევნასა, იქვე 427 v, 25—28 b; და ნეშტი თანა წ ა რ ი ტ ა ც ი ა ნ და თუალითა სასიკუდინეთა გჳხედვიდიან, იქვე 428 r, 18—21 a; რამეთუ ჰნატრიდიან იგინი ყოველთა მათ მოღუაწეთა, რომელნი იწამნეს ქალაქსა მას შინა, იქვე 445 r, 2—4 b; და აღასრულებდიან დღესასწაულთა მათთა მრავალსა საქმესა ბილწსა და უნდოჲთა საცთურითა შ ე ი გ ი ნ ე ბ ი ე დ, იქვე 607 v, 31 b—608 r, 4 a; და ესრეთ შ ფ ო თ ე ბ ე დ და მრავალსა სისხლსა დ ა ს თ ხ ე ვ ე დ მამათა და დედათა და აზნაურთასა და მოსწუედიან მრავალთა, იქვე 608 r, 12—17 a; და რომელთამე ჰგუემდიან კუერთხითა ეკლოვანითა, იქვე 611 r, 31 a—611 r, 2 b; ამას რაჲ ვიტყოდე, ნათელი ვ ი ხ ი ლ ი გარემოჲს ჩემსა ბრწყინვალჱ, ხოლო გულისსიტყუაჲ ვითარცა ცეცხლი ა ღ ა ტ ყ დ ე ბ ი ნ, იქვე 638 v, 30 b—639 r, 4 a; რომელნი თ ა ნ ა წ ა რ ჰ ვ ლ ე ნ ე დ მას ადგილსა და ესმის ჴმაჲ იგი ტირილისა მისისაჲ, დ ა დ გ ი ა ნ და მის თანა ტიროდიან და ა დ ი დ ე ბ ე დ ღმერთსა, იქვე 648 v, 29 b—649 r, 3 a; და რაჟამს მ ო ვ ი ც ა ლ ი, ვილოცვიდი ღმრთისა მიმართ, იქვე 650 r, 13—14 a; და მ ი ი ქ ც ი ა ნ საყოფლად თჳსა და განიყოფდიან ოჴერსა მისსა და ისრითა ურთიერთას დასწერტდიან, მრავალთ. 72 v, 23—27 a; დღისი დ ა დ უ მ ნ ი ა ნ და კუალად მწუხრსა ვიდოდიან, ათონ. კრებ. 10 v, 30 a—10 v, 2 b; აწ მოიჴსენე მისი იგი წამებაჲ: ვითარმედ ყოველივე კაცი ნუ შეევალნ კარავსა მას საწამებელისასა, ოდეს-იგი შევიდოდის მღდელი წმიდასა მას წმიდათასა, ლ ხ ი ნ ე ბ ა-ე უ ყ ო ს, ვიდრემდის არა გამოვიდის, ათონ. მრავალთ. 34 r, 24—30 b; რაჲ შესლვასა მ ო ე ლ ი ე დ, გზათა განჰკაზვიდიედ, იქვე 55 v, 29—30 b; რომელმან მ ი ხ ე დ ი ს ქუეყანასა და შეაძრწუნის იგი, შ ე ა ხ ი ს მთათა და კუმოდიან, იქვე 63 v, 29—31 b;

ყოველივე საქმარი შეურაცხ-ყვით და ეკლესიაც მოისურაფჭით, იქვე 72 v, 28—30 b; მრცხუენინ და ვწუხდი და ვტიროდი, იქვე 74 r, 16—17 a; და ოდეს იგი შეიდის, ვითარ შიშით და ცოლით ედგით და გულს-ვეტყოდით, ღმრთისა მიმართ ვილოცვიდით მისისა მის გულისა მოქცევისათჳს, იქვე 79 v, 7—11 b; და ასწავებდიან ერსა შიშით და პატივით თაყუანის-ცემად, ათ. ასკეტ. კრებ. 6 r, 17—20 b; მყოფნი იგი ვერ ხედვიდიან ეშმაკთა, რომელთა მიმოაქუნდიან იქონი, იქვე 188 v, 19—24; და ესრეთ კადნიერებით იქმოდიან ბოროტთა და იყუნიან უსწავლელნი ფრიად უმჯობეს მათსა, იქვე 196 r, 15—21 a; რომელნი სიყრმითგან ისწავლიდიან სწავლათა მათ ბოროტთა ღმერთთა თქუენთასა და აღორძინებასა თანა ჰასაკისა მათისასა აღორძნდებოდიან ბოროტნიცა იგი თესლნი, იქვე 196 r, 5—15 b; მრავალგზის ვითნიმე ჩნდიან ვითარცა კეთილნი, იქვე 217 r, 4—6 b; და სხუანი ჩნდიან ვითარცა ბოროტნი შესმენითა მტერთაჲთა, იქვე 217 r, 10—13 b; რომელნიმე კაცნი იქმოდიან რაჲ ბოროტსა, გინა კეთილსა, რომელნიმე საქმეთა მათგანნი თჳსნი ოდენ იყუნიან ოდენ, იქვე 219 v, 20 a—219 v, 2b; რამეთუ ყოველთა წელთა, ვითარცა ვთქუ, დიდებულისა მის წამებისა მისისათა, ჴედ დღე განჴმებოდა ზღუაჲ იგი და შევიდოდეს ყოველნი და ყოველი სენი მათი მათ დღეთა შინა განიკურნებოდა შეხებითა გუამსა მას მოწამისასა ძალითა უფლისა იესუ ქრისტესითა და ყოველნიეე გარე სოფელნი მათ დღეთა შინა მუნ შეკრბებოდიან, იქვე 257 r, 20 a—257 r, 12 b; რომელნი კაცთაგან ქებასა ეძიებდიან, იქვე 304 v, 10—11 b; რაჟამს ეშმაკნი მოგუეახლნიან, განიცდიდიან ყოველთა საქმეთა ჩუენთა, იქვე 308 v, 11—15 b; თქუა დედამან სარა: „განრაჲთენდის, მოვიჯსენებდი სიკუდილსა და თუალთა წინაშე მეპყრინ ვიდრე დაღამებამდე", იქვე 326 v, 20 b—327 r, 2 a; და ღმრთისათჳს არა ზრუნვიდიან, იქვე 348 r, 18—19 a; და მოვიდიან ჭეყანით თჳსით და ჰმადლობდიან მას და ადიდებდიან უფალსა, Ath.-25 25 v, 16—18 b; კრაეთა მათ თანა ცხოვართასა იმღერიედ და უბიწოებასა მათსა ურთიერთას ცვალებდიედ, დავით და ტირიჭ. 187, 35—36: ამისთჳს ურწმუნოჲსა მის გოლიადის თუალთა უჴურველად შჩნდი[1], შატბ. კრებ. 160 r, 4—5 b; ეგრეცა სარწმუნოებაჲ, უკუეთუ საქმენი არა ჰქონდიან, მკუდარ არს, Ath.-42 193 v, 4—7 a; რომელნი შეშჯამთ სახლებსა ქურიეთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით, ქსნ. ოთხთ. 8 r, 2—6 a; და არას ზრუნვიდიან ხილვისათჳს, Sin.-36 374, 22—23 a; და ოდეს მოაკლდიან ცრემლნი, იცემდიან ჴელითა მკერდსა მათსა, იქვე 307, 5—7 a; იხილნიან და ჰმადლობდიან ღმერთსა, Sin.-35 270, 17—18 a;

[1] ამ ფორმის უწყვეტლად მიჩნევა გამორიცხულია. უწყვეტლის „ნართაული ი" რედუქციას ვერ გამოიწვევდა და შჩანდი გვექნებოდა.

და ჰკონდიან მას გულისსიტყუანი ბოროტნი, იქვე 353, 4—5 b; მერმე თქუა ვითარმედ: არიან ვინმე, რომელნი ჰყოფენ საქმეთა თჳსთა ღმრთისათჳს და ეძიებდიან დიდებასა კაცთასა, ათ. პატერ. 102 v, 24—103 r, 3; სხენედ ბერნი მის წინაშე და ზრახვიდიან ბერთათჳს და თქჳან, იქვე 180 r, 10—12; და მრავალგზის მისციან მას მცირე პური და ეტყოდიან, იქვე 229 r, 8—10; ღელეათა მათ ჰბრძანედ და ნაესა მას ავლინებდიან[1], იქვე 239 r, 19—21; ოდეს იყავ ჰაპუკ, შეირტყი თაჳით თჳსით და ხჳდოდი, ვიდრეცა გინებნ, ტბ. ოთხთ. 302 r, 9—13 b; ჰნატრიდიან იგინი ყოველთა მათ მოღუაწეთა, Sin.-11 24 v, 10—11; მე რომელნი ვიხილნი მწუხარედ და შეორგულებულად შიშისაგან სატანჯველთაჲსა, ფერჳთა მათთა ვაკაცებდი და ნუგეშის (!) -ვსცემდი, იქვე 96 v, 20—24: და იშუებდიან და ილოცვიდიან ღმე ყოველ, იქვე 106 r, 15—16; და ესრეთ ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე ილოცვიდიედ და იხარებედ ურთიერთას, იქვე 106 v, 9—10; რაჟამს წარადგინიან იგი სამჯავროსა წინაშე მსაჯულთასა და ჰკითხვიდიან, იქვე 107 v, 4—5: და, რამეთუ ათენელთა საქმჱ და განგებაჲ ესე არს, წადიერად ისმენდიან, იქვე 184 r, 23—24; ისმენდიან სიტყუათა მისთა, იქვე 392 r, 4—5; ხოლო რომელთა ესმის ჩემი, მნატრიდიან, პარიზ. ლექც. 60 r, 31—32 b; ძაღლნიცა მოვიდიან და ჰლოშნიდიან წუთხსა მისსა, იქვე 136 v, 19—21a: ჩუენ ვიკითხვიდით მრავალგზის, ანტ. 33, 21—22 r.

XI საუკუნის ისეთ ძეგლში, როგორიცაა გიორგი მთაწმიდლის „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი", მრავლადაა წარმოდგენილი უწყვეტლის ხოლმეობითის ნიმუშები (56, გვ. 73—74, 77; 32, გვ. 260).

უწყვეტლის ხოლმეობითი განსაკუთრებით ხშირია იოანე სინელის „კლემაქსის" ნუსხაში (A-285, X—XI საუკუნეებისა). ძეგლი ეფთჳმე მთაწმიდლის მიერაა თარგმნილი:

ხედვიდიან რაჲ სხუანი, კლემაქს. 14 r, 19—20; მაშინ ეშმაკნი სიზმართა მიერ შეგუაშფოთებდიან ჩუენ და გუიჩუენებდიან თჳსთა ჩუენთა, იქვე 26 v, 13—15; ძილსა შინა წინაწარმეტყუელ იქმნიან, რამეთუ მომავალთა საქმეთა გუახარებდიან, არამედ არარაჲ მომავალთაგანი უწყიან, გარნა ანუ ტყუოდიან, ანუ თუ იქმნის საქმე იგი, სახითა რაჲთმე ეცნიის, ანუ ასმოიდიხ სხუასა ადგილსა მისთჳს, იქვე 26 v, 19—25; და განშორებასა სულისასა ჯორცთაგან გუიჩუენებდიან, იქვე 27 r, 23—24; ვხედვიდი რაჲ მას, ვითარმედ შეუცვალებელი მჴმუნვარებაჲ აქუნდა, იქვე 32 v, 22—24: და დაყუდებასა გუაწუევდიან, იქვე 47 v, 23—24; დააყენნის საქმისა მისგან, რომელსა ითხოედიან, ხოლო იგინი ჰგონებდიან, ვითარმედ სიტყუასათჳს მოძღურისა იქმან მას, იქვე 53 r, 25—26; და რომელთამე ცრემლნი არა აქუნდეს და თავთა თჳსთა სცემდიედ, იქვე 61 v,

[1] ხელნაწერში: ავლინებედიან.

16—17; და ყოველთა წინაშე თუალთა მათთა აქუნ სიკუდილი და იტყოდიედ, იქვე 64 r, 14—15; და რაჲ იყო მათსა მას ჴირსა თანა ჴირი ეშმაკთაჲ, ანუ თუ გლოაჲ მათი, რომელნი იგოდებდიან მკუდართა, იქვე 65 v, 4—7; გარემოადგიან წყურიელნი და წადიერნი და საწყალობელითა სახითა და მჴმუნვარითა სიტყუაჲთა თავთა იწონდიან და დაიწვოდიან წყალობითა მისითა, რომელი-იგი მიიცვალებინ და კითხვით ეტყოდიან: რაჲ არს, ძმაო? იქვე 66 r, 18—24; და სხუანი ღაღადებდიან ღმრთისა მიმართ, იქვე 67 v, 25—26; მარადის, ვითარცა განლიგებული, იდვა და ცრემლნი მჯურვალენი მდუმრიად სდიოდიან იქვე 76 v, 12—14; ნუ ემსგავსები მათ, რომელთა მკოდარნი დაემარხნენ, და ოდესმე გოდებდიან მათ ზედა და ოდესმე სუმიდიან და დაითრევებოდიან მათთჳს, იქვე 80 v, 19—22; რაჟამს ვიმარხვიდით, განგუაფიცხნიან გულნი, იქვე 86 r, 28—86 v, 1; და აიძულებდიან ხადილთა შინა ჭაბუკთა, იქვე 109 v, 23—24; და ჯუარისწერითა გაუჯსნიდიან მათ ღუინოსა, იქვე 109 v, 26—27; განთიად შფოთებდიან და განიბნეუდიან გულისსიტყუანი. ხოლო შუადღე რაჲ იქმნის, მცირედ მოუძლურდიან და, რაჟამს მზეჲ აღივსის, მაშინ სრულიად დამდაბლდიან, იქვე 112 r, 1—4; ამისთჳს მნატრიდიან თავთა თჳსთა, იქვე 120 r, 9;

გულისსიტყუათა არა შეიწუნარებდიან, იქვე 122 v, 15—16: ვიხილენ კუალად კაცნი, რომელნი ჭამდიან და იქცეოდიან დედათა თანა, იქვე 124 v, 18—19; ანგელოზნი წმიდანი უხილავად მფარვიდიან, იქვე 127 v, 27—128 r, 1; ჩემთა მეგობართა იხილნიან რაჲ მკუდარნი, იცინოდიედ, იქვე 139 v, 1—2; ზედაჲსზედა მიგუზიდვიდიან განსლვად გარეგან ჩუეულებისა, სხუანი უბნობად გუაწუევდიან ეკლესიასა შინა, გულისსიტყუათა მიმართ წარიტაცებდიან, სხუანი კედელსა მიგუაყრდნობდიან, ვითარცა მოუძლურებულთა, და მრავალგზის ფქნარებასა უზომოდ მოგჳვლენდიან და რომელნიმე მათგანნი სიცილისა ყოფად ისწრაფდიან ლოცვასა შინა, რაჲთამცა მის მიერ რისხვად აღძრეს ღმერთი ჩუენ ზედა, სხუანი გუაიძულებდიან სწრაფად დავითის თქუმასა შინა, სხუანი გუაზაობედ ჟამობასა ზედა, სხუანი გემოთმოყუარებად აღგუძრვიდიედ ჟამობისა მიერ, იქვე 140 v, 20—141 r, 8: რამეთუ შურს-იგებდიან მის წილ, რომელ ვეწყებოდით ლოცვასა შინა, იქვე 143 v, 26—27; მრავალგზის ჩუეულებისაგან, რომელსა შინა ვიტურთიდით სიტყუათა მათ ფსალმუნთასა, იქვე 144 r, 4—6; რაჟამს შევიმოსი სამოსელი კეთილი, ავმაღლდი, და ოდეს შევიმოსი ძუელითა, აღმიმაღლდისვე გონებაჲ ჩემი, რაჟამს დავდუმნი, ვმაღლოდი, იქვე 147 r, 13—17; დაღაცათუ რაჲმე სათნოებანი გჭონდიან, იქვე 147 v, 12—13; რაჟამს მოვიდოდიან ერისაგანნი მონასტრად, წინაასწარ წარუსწრის ეშმაკმან ცუდად მზუაობრებისაგან და დაარწმუნის უგუნურთა მონაზონთა განსლვად, იქვე 148 v, 2—26; და უდარესთა მათ

უწყალოდ ამხილებდიან, იქვე 149 r, 10—11; და უკუეთუ შეურაცხუჳნის იგინი, ბჳრსა იჳსენებდიან მისთჳს მრავალჟამ, იქვე 149 r, 22—23: მრავალგზის ითხოვდიან რასმე მზუაობარნი, იქვე 152 v, 5—6; და მარადღე ესრეთ ვჰგონებდით, თუ შევჰბინებთ ტჳრთსა ცოდვათა ჩუენთასა და ჩუენ უცნაურად განგუებნიის იგი და ჩუენ ზედა მოსრულთა ღმრთისა მიერ მადლთა, ვითარცა სასჯელისა ჩუენისა განმრავლებად. ვხედვიდით უღირსებისა ჩუენისათჳს, იქვე 165 v, 21—27, და მაშინ არნ გონებაჲ ჩუენი წარუპარველ, დაკრძალულ საუნჯესა შინა შემუსრვილებისასა და უცნებანი ოდენ და ბგერანი იგი მპარავთანი ესმოდიან და არაჲსგან ევნებინ მათგანისა, იქვე 165 v, 27—166 r, 5; მერმე ფარულად მოგჳკდიან ჩუენ და გუნატრიდიან, იქვე 177 r, 1—2; ფიცხელთა ბრძოლათა ისწრაფდიან მოწევნად ჩუენ ზედა, იქვე 179 v, 27—180 r. 1: რომელთა-იგი ესმის საფასისათჳს დაფარულისა, ისწრაფდიან, იქვე 182 v, 17—18; დაღაცათუ ძუძუთა მოსწყუედნენ, თით(თა) თჳსთა წოვდიან, იქვე 186 r, 12—13; ხოლო ვიმარხვიდით რაჲ და ვიღუწიდით, იქვე 196 r, 17—18; და მაძღარ რაჲ ვიყუნით, არარას ვხედვიდით, იქვე 196 r. 23—24; და არცაღა საზრდელი, რომელსა მიიღებდიან, იქვე 236 r, 1—2: ესეცა ჩუეულებაჲ ბუნებისაჲ ყო სახიერმან ღმერთმან ჩუენმან, რომელ ხედვიდიან რაჲ სნეულნი მკურნალსა, იხარებდიან, დაღაცათუ არას ჰკურნებ, იქვე 239 r, 22—24; ხოლო ამათ რაჟამს არა ეცემინ სული სულმყრალობისაჲ, ადვილად მივიდოდიან ყოვლისავე წყლულისა კურნებად, იქვე 240 v, 4—6.

ამგვარ ფორმათა რიცხვის გაზრდა იოლია. ზემოთ დამოწმებული 147 ფორმა პირთა მიხედვით ასე ნაწილდება: I პირი — 26; II — 6, III — 115. როგორც მოსალოდნელი იყო, III პირი უფრო ხშირია.

მრაელად გვეხდება ამ მწკრივის ფორმები 981 წელს გადაწერილ Ath.-32 ხელნაწერში. სხვა საკითხთან დაკავშირებით ზემოთ უკვე დავიმოწმეთ ტიროდიედ და მისთანა ფორმები.

ეს მწკრივი VIII საუკუნიდან იჩენს თავს (32, გვ. 263). XI—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში მისი ხმარების შემთხვევები მატულობს. ქართულმა სალიტერატურო ენამ იგი თანდათან დაკარგა (61, გვ. 10), მაგრამ შემოინახეს მთის დიალექტებმა. ეს კი მიუთითებს, რომ იგი სალიტერატურო ენის წარმონაქმნი კი არაა, არამედ ცოცხალ მეტყველებაშიც არსებობდა.

13. ნართაული ი-ს დათარიღებისათვის

თანხმოვნით დაბოლოებულ ზმნურ ფორმებს უწყვეტელში, I ბრძანებითში, წყვეტილში, II ბრძანებითში ზოგჯერ ი ხმოვანი დაერთვის. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ი გაჩენილია ენისათვის

ძნელ თანხმოვანთა კომპლექსების გასათიშავად (ამგვარი თანხმოვანთა ჯგუფები იქმნება ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნებისა და მრავლობითის -თ სუფიქსის შეხვედრისას). ფონეტიკურად გაჩენილი ი შემდგომში ვრცელდება მხოლობითის ფორმებშიაც (არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე). ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულში ი უწყვეტელსა და წყვეტილში მწკრივის ნიშანია.

ჩვენი მასალების მიხედვით, ნართაული ი ანალოგიით მხოლობითის ფორმებში IX საუკუნიდან დასტურდება. მოვიხმობთ ზოგ მაგალითს:

უწყვეტელი

ნუუკუემცა **ჰმიზეზობდი** და სთქუ, სინ. მრავალთ. 7, 25—26; წინაუე **ვხედევდი** შენსა, იქვე 95, 26; დედოფლებასა **ვჰგონებდი**, იქვე 98, 22; შენ **აყუედრებდი** და ჯჯრთითა სცემდი, უდაბნ. მრავალთ. 105 r, 13—16; შენ **იმარხევდი**, სვან. მრავალთ. 130, 32 a; კანონსა სამეფისასა **აღვასრულებდი** ალექსანდრიას ქალაქსა და ვიდრე ვილოცევდი, მრავალთ. 197 r, 1—3 a; ვითარღამცა **აღმოიკითხევდი** მას წიგნისაგან, შატბ. კრებ. 51 v, 1—2 b; უცხოებასაცა ჩემსა **ვეგლოვდი**, იქვე 228, 15—17 b; **ვხედევდი** მეფეთა მათ, იქვე 229 r, 2 b; **ვხედევდი** ამას ყოველსა, H-1346 58 r, 9—10; 202 r, 15—16; **ვჰკითხევდი** და **მიუგებდი** პასუხსა, H-622 2 r, 6—7, და მისთ.

არის ისეთი შემთხვევები, როცა ერთი ზმნა (ჩვეულებრივ, პირველი) ნართაულ ი-ს არ დაირთავს, ხოლო მეორე კი ი-თია წარმოდგენილი:

გარდარეულად **ვსდევნიდ** ღმრთისათა და **ვტყუენევდი**, S-407 107 r, 2—5 a; **შევჰკრევდ** და **მივსცემდი** საპყრობილესა, იქვე 207 r, 11—12 a; **ვსტანჯევდ** და **ვაიძულებდი** მათ გმობად, იქვე 249 v, 2—6 b; **შევჰკრევდ** და **მივსცემდი საპყრობილედ**, S-1398 133 r, 2—3 b; რამეთუ გარდარეულად **ვსდევნიდ** ეკლესიათა ღმრთისათა და **ვსტყუენევდი** მათ, პაულ. ეპისტ. 160 r, 18—19, და მისთ.

ი ბრძანებითი

და ჰრქუა მას იესუ: მომდევდი მე, ი. 1, 43 DE; შდრ.: **მომდევედ** C; წარემართე და სუფევდი, შატბ. კრებ. 269 r, 6—7 b; წარვედ შენ ნინეველ, ქალაქად დიდად და **ქადაგებდი** მას შინა, იონა 1, 2 O; შდრ.: **ქადაგებდ** I; და **ქადაგებდი** მას შინა ქადაგებისა მისებრ პირველისა, იონა, 3, 2 O; შდრ.: **ქადაგებდ** I; აწ უკუე ეულტოდე შურსა ბო-

როტსა და ჰმონებდი უფალსა მონებითა ჴეშმარიტითა, და ზრახევდი მარადის ლოცვასა შინა, მამ. სწავლ. 8, 33—35 C; ილოცევდი გონებითა, იქვე 19, 18 C; და ესრეთ იმარხევდი, იქვე 25, 3 C, და სხვა.

წ უ ე ტ ი ლ ი

ვითარცა კრავი ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოვედი დაკლვად, სინ. მრავალთ. 81, 18—19; მე მამისაგან მოვედი სოფლად, იქვე 147, 25—26; შთავჴედი მე ქუეყანად, იქვე 164, 29—30; უდაბნ. მრავალთ. 126 v, 25—26: საშჯელად სოფლისა მოვედი, იქვე 111 r, 30 a—111 r, 1 b; დავშუერი მე სულთქუმითა ხემითა, მამ. სწავლ. 204, 9—10 A; აღვდეგი ფარულად ღამჱ, სვან. მრავალთ. 136, 27 b; ვითარცა აღვდეგი რიჟურაჟუსა ოდენ, იქვე 143, 14—15 a; შთავჴედი მე ქუეყანად, ათონ. მრავალთ. 120 r, 17—18 b; მრავალთ. 42 r, 15 b; ლატ. ლექც. 165 v, 17—18 b; და კრული იერუსალჱმით მივეცი ჴელთა ჰრომთასა, Ath.-42 191 r, 1—3 a; და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან, ათონ. კრებ. 71 v, 2—3 a; დავშუერი და ყოველთა მიერ წარვწყმდი, ლატ. ლექც. 38 r, 25—27 b; და არა მოჴუედი მე, იქვე 50 v, 28—29 b; შჯულისათუის შჯულითა მოჴუედი, იქვე 283 r, 24—25 a; მივეცი ჴელთა ჰრომთასა, იქვე 233 r, 22—23 b; ცხოველ არს უფალი, რომლისა წარვდეგი მე დღესა, Sin.-46 156 r, 17—18; დაეცი შენ სიძვითა, იქვე 186 r, 9—10; ანუ არა უწყია, ვისა-იგი მოხუედი, იქვე 221 r, 2—3; ცოდვაჲ იგი განცოცხლდა და მე მოჴუედი, S-1138 38 r, 4—6 b; ვითარცა მტერ რაჲმე გექმენი თქუენ, იქვე 106 r, 18—19 a; დავჯედი მე ვითარცა ყორანი, შატბ. კრებ. 117 v, 2—3 a, და მისთ.

ორი ზმნიდან ერთი ი-ს დაირთავს, მეორე — არა:

მ ო ვ ი წ უ ა ლ მახჯლითა გემოთაჲთა და მოჴუედი, Sin.-34 40 v, 27: მორჩილ ე ქ მ ე ნ წოდებასა ქრისტესა, ყოვლად ქებულო, და შეუდგი მოძღუარსა მას სახიერსა, მოდრ. იადგ. 54 v, 21; და ვითარ დავშუერი მე და მ ო ვ ე დ აქა, Sin.-46 208 r, 17—18.

ცალკე გამოვყოფთ შემთხვევებს, როცა ენთ დაბოლოების ნაცვლად ენით არის წარმოდგენილი:

ჴელთაგან მძლავრთაჲსა მიჴსენით მე, ლატ. ლექც. 38 v, 18—19 a; მტერღა ვიუვენით და ვეგენით ღმერთსა, S-1138 35 v, 1—2 a; ეგრ. ჲა თქუენ შეჰრაცხენით თავნი თქუენნი მკუდრად, იქვე 37 r, 11—14 a; ვანეშორენით ბოროტსა და შეეყვენით კეთილსა, იქვე 49 r, 16—18 a: იორდანეს შეჰმუსრენით თავნი უხილავთა ვეშაპთანი, მოდრ. იადგ. 76 v, 38.

მრავლობითის ფორმებიდან მხოლობითში ი ზოგჯერ ამგვარ ზმნებსაც გადმოჰყვებათ:

მწყემსნი განაკჯრვენი, მოდრ. იადგ. 48 v, 2—3; დაფარულნი საიდუმლონი განუცხადენი მორწმუნეთა, იქვე 125 v, 37—38.

II ბრძანებითი

და მას შეუდეგი, მამ. სწაელ. 156, 31 A; და თქუა: მოვედი ერისა მის და არქუ მათ, Alh.-42 191 v, 7—8 a; წარვედი, და ცხორებაჲ შენი და მისი იზრუნე, ათ. ასკეტ. კრებ. 51 v, 23 a—51 v, 1 b; იჯსენი ცხორებაჲ ჩემი, მოდრ. იადგ. 19 v, 6—7; აღდეგ და წარვედი მონასტერსა, A-35 198 r, 20—198 v, 1; ჰრქუა მას ქალწულმან: მომეცი მე ფიცი, იქვე 234 v, 20—235, 1; ჰრქუა წმიდამან სჳმეონ: მიიღე მტუერისაგან და შთაასხი წყალსა და მეცი იგი ყრმასა, A-397 126 r, 12—13.

ეს „ნართაული" ი უწყვეტელსა და წყვეტილში მწკრივის ნიშანი გახდა. ამ გარემოებას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ ი წყვეტილის ერთ-ერთი ალომორფია: -დ სუფიქსიან ვნებითებთან იგი წყვეტილის ერთადერთი ნიშანია.

ნართაული ი სალიტერატურო ენის ბეგლებში IX საუკუნიდან გვაქვს. სავარაუდოა, იგი ცოცხალ მეტყველებაში ადრე. VII—VIII საუკუნეებში, არსებულიყო. ნართაული ი-ს გაჩენის დათარიღება სამსახურს გაგვიწევს ერთი მნიშვნელოვანი ფონეტიკური პროცესის ქრონოლოგიის დადგენისას. კარგად არის ცნობილი, რომ ახალ ქართულში ადგომა ზმნის I და II პირების ფორმები (ავდეჭი, ადეჭი) ასახავენ გ>ჭ პროცესს. გ თანხმოვნის დაყრუების შედეგად ჭ მივიღეთ. ეს პროცესი მხოლოდ ბოლოკიდურა პოზიციაში შეიძლებოდა მომხდარიყო. სავარაუდოა, გ>ჭ მანამდე მოხდა, სანამ წყვეტილის I და II პირების ფორმებში ნართაული ი გაჩნდებოდა. ე. ი. ა(ღ)ვდეგ>ა(ღ)ვდეჭ; ა(ღ)სდეგ>ასდეჭ. ნართაული ი-ს გაჩენის შემდეგ ამ ფორმებში გ>ჭ პროცესი ეეღარ მოხდებოდა. აღდეგი ფორმა სინურ მრავალთავში არის დადასტურებული (164, 29). მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ა(ღ)ვდეჭ, ა(ღ)სდეჭ ფორმები IX საუკუნის I ნახევრის ცოცხალ მეტყველებაში უკვე არსებობდა, ეს კი თავისთავად წარმოადგენს მნიშვნელოვან საბუთს აუსლაუტში მჟღერთა დაყრუების დათარიღებისათვის (იხ. ზემოთ).

14. -ოდ საერცობიან ზმნათა I სერიის ფორმების ნარმოებაში მომხდარი ცვლილებების დათარიღებისათვის

... ›. შანიძემ ნათელყო, რომ ძველ ქართულში -ოდ საერცობიანი ზმნების უღლება -დ საერცობიანი ზმნების უღლებისაგან საკმაოდ სხვაობს: უწყვეტელსა და I ბრძანებითში -ოდ საერცობიანებს მწკრივის ნიშნად

-ე მოუდის. -დ სავრცობიანები მწკრივის ნიშანს არ დაირთავენ: -ოდ საერცობიან ზმნებს უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითში მწკრივის ნიშნად -ი, აქეთ. ხოლო -დ სავრცობიანებს უწყვეტლის ხოლმეობითში მწკრივის ნიშნად -ი მოუდის, I კავშირებითში — -ე (59, გვ. 835 და შმდგ.).

უწყვეტელი

მხ. რ.	მხ. რ.
1. ვ-ი-ც-ოდ-ე	შდრ.: 1. ვ-წერ-დ
2. ი-ც-ოდ-ე	2. ს-წერ-დ
3. ი-ც-ოდ-ა	3. წერ-დ-ა
მრ. რ.	**მრ. რ**
1. ვ-ი-ც-ოდ-ე-თ	1. ვ-წერ-დ-ი-თ
2. ი-ც-ოდ-ე-თ	2. ს-წერ-დ-ი-თ
3. ი-ც-ოდ-ეს	3. წერ-დ-ეს

I ბრძანებითი

მხ. რ.	მხ. რ.
2. ი-ც-ოდ-ე	შდრ.: 2. წერ-დ
3. ი-ც-ოდ-ე-ნ	3. წერ-დ-ი-ნ
მრ. რ.	**მრ. რ.**
2. ი-ც-ოდ-ე-თ	2. წერ-დ-ი-თ
3. ი-ც-ოდ-ედ	3. წერ-დ-ედ

I კავშირებითი

მხ. რ.	მხ. რ.
1. ვ-ი-ც-ოდ-ი	შდრ.: ვ-წერ-დ-ე
2. ი-ც-ოდ-ი	2. ს-წერ-დ-ე
3. ი-ც-ოდ-ი-ს	3. წერ-დ-ე-ს
მრ. რ.	**მრ. რ.**
1. ვ-ი-ც-ოდ-ი-თ	1. ვ-წერ-დ-ე-თ
2. ი-ც-ოდ-ი-თ	2. ს-წერ-დ-ე-თ
3. ი-ც-ოდ-ი-ან	3. წერ-დ-ე-ნ

ძველი ქართული ენის ძეგლებში ნათლად ჩანს I სერიის ფორმათა წარმოების უნიფიკაციის ტენდენცია: **-ოდ** საერცობიანი ზმნები **-დ** საერცობიანთა მსგავსად უწყვეტელსა და I ბრძანებითში **-ი**-ს დაირთავენ, ხოლო I კავშირებითში — **-ე**-ს.

უწყვეტელი

-ოდ-ი: გზასა მცნებათა შენთასა **ვრბიოდი**, რაჟამს განაერცე გული ჩემი, ფსალმ. 118, 32 E; შდრ.: ვრბიოდე ABCD . . . ; რაჲთამცა **ვიტყოდი** დაბადებისათჳს კაცისა, ექუს. დღ. (აბ.), 133, 22 B: შდრ.: ვიტყოდე A; უფალსა ვესავ; ვითარ ეტყჳს სულსა ჩემსა: **ვიცვალებოდი** მე მთათა ზედა ვითარცა სირი, ფსალმ. AD; შდრ. ვიცვალებოდე BCE; დღესა მას, რომელსა აღვადგინო ელის ზედა, რასაც **ვიტყოდი**, და ყოველსა სახლსა მისსა ზედა დავდვა და აღვასრულო, I მეფ. 3, 12 Ղ; [ყოველსა]ვე ადგილსა, რომელსაცა ვიდოდე მე ბეთა მათ თანა ისრაჱლისათა, და არა თუ სიტყ[ჳთ], სადამე **ვეტყოდი** მე ერთსა ვისმე მათგანსა, II მეფ. 7, 7 J; შდრ.: ვეტყოდე O; რაოდენგზის აღუთქუამს სინანული და კუალად უძჳრესთა **ვიქმოდი**: რაოდენგზის **შეუვრდებოდი**, და კუალად **განუდგებოდი**, რაოდენგზის შემიწყალა, და მე კუალადცა განვარისხებდი, სარწმ. დაძინებ. 91 v, 1—5 b.

ა. შანიძე ასახელებს ამგვარ ნიმუშს: კუალად **შევსტიროდით** და **ვესამართლებოდით** მეფეთა (59).

უწყვეტლის **-ოდი** დაბოლოება „ანდრია სალოსის ცხოვრებაში“ საკმაოდ ხშირია: ვთქუ მე შეძრწუნებულმან: მოვიქეც სინანულად და ვიწყე ლოცვად, რამეთუ **შევიშთვებოდი**, 22 v, 12—15: ხოლო მწარისა სიცივისაგან მომიჯდეს ცრემლნი და **ვეველრებოდი** ღმერთსა, აღვიხილენ თუალნი ზეცად მიმართ და **ვიტყოდი**: უფალო, რაჲმე ყოფად არს ჩემდა? და რაჟამს განცივდეს ყოველნი ჯორცნი ჩემნი და მომეხჯა მყინვარი, **მოველოდი** აღსრულებასა ჩემსა, იქვე 22 v, 15—23 r, 3; და კუალად მოვე ცნობასა და **ვიტყოდი** თავით ჩემი, იქვე 24 r, 16—18; ვდეგ ჟამ რაოდენმე ზარგანჯდილი და **ვძრწოდი** საკჳრველებისა მისთჳს სულნელებისა და **ვიტყოდი**, იქვე 27 v, 6—10; ვიხილეთ, რომელ **ჰბრძოდი** მათ ამას დღესა და სძლე მათ, იქვე 109 r, 16—17.

I ბრძანებითი

-ოდ-ი: შუაღამეს ოდენ ღაღადებაჲ იყო, ვითარმედ: აჰა ესერა, სიძჱ მოვალს, აღდეგით და **მიეგებვოდით**, მთ. 25, 6 DE; შდრ.: მიეგებვოდეთ C; ნუ წინაჲსწარ ჰზრახავთ, რასა იტყოდით, არამედ რაჲ-იგი მო-

გეცეს თქუენ, მას იტყოდით, მრკ. 13, 11 E; შდრ.: იტყოდეთ CD; მიუგო დედაკაცმან მან თეკუელმან და ჰრქუა: ბრძანე, რაჲთა თქუას მჯეავალმან შენმან სიტყუაჲ ერთი წინაშე უფლისა ჩემისა! და ჰრქუა მეფემან: იტყოდი, II მეფ. 14, 12 O; შდრ.: იტყოდე I.

I კავშირებითი

-ოდ-ე: რომლისათჳს განაკრძალებდეს სხუათა, გინა იგი შევარდებოდეს, მამ. სწავლ. 286, 11—12 A; შდრ.: შევარდებოდის BC; და უკუეთუ ვინმე არა შეგიწყნარნეს თქუენ, არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რაჲ-ხჳდოდეთ მიერ სახლით, გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერჴთაგან თქუენთა, მთ. 10, 14 D; შდრ.: გამო-რაჲ-ხჳდეთ E; გამოხჳდოდით C; და რაჲთა, რაჲზომცა შესაძლებელ იყოს ჰირველულთა მათ მიერ, მაჭირვებელთა მათთა შეუნდობდენ, ვითარცა მთრვალთა არამთრვალნი ჴელსა მივსცემდეთ, მარხვითა და ლოცვითა შეეწეოდენ, რაჲთა არა უმეტესთა ბოროტთა შთაჲარდენ, ათ. ასკეტ. კრებ. 222 r, 12 a—222 r, 3 b; რაჟამს ქმარი არა თჳსსა ცოლსა ოდენ კმა-ეყოფვოდის, ანუ ცოლი არა თჳსსა ქმარსა კმა-ეყოფოდეს, იქვე 247 r, 7—12 b; იგი, რომელ დამკჳდრებულ არს ცათა შინა, ეცინოდეს მათ, ფსალმ. 2, 4 BC; შდრ.: ეცინოდის Aჴ; ნეტარ არს, რომელმან აღავსოს ნებაჲ თჳსი მათგან და არა ჰრცხუენოდეს, ფსალმ. 126, 5 B; შდრ.: ჰრცხუენოდის ED; და შენ უძლოდე ერსა მას უფლისასა და იჴსნნე იგინი ჴელთაგან მტერთა მათთაჲსა, I მეფ. 10, 1 O; შდრ.: უძღოდი I;

არა თანაწარვჰჴდე ჭეშმარიტებასა და არცა შურსა დადნობილსა თანა-უვიდოდე, სიბრძნ. სოლომონ. 6, 23—24 O; და შორის ხარისხსა საკურთხეველისასა ტიროდენ მღდელნი, რომელნი ჰმსახურებენ უფალსა, იოველ 2, 17 O; და რავდენთა არა შეგიწყნარნენ თქუენ და არცა გისმინონ თქუენ, გამო-რაჲ-ხჳდოდეთ მიერ, განიყარეთ მტუერი ფერჴთაგან, A-1699 40 r, 18—23 b; იხილონ წარმართთა და ჰრცხუენოდეს ყოელისაგან ძალისა, მათისა, H-1831 45 v, 3—4; მონანი გინა აზნაურნი შურებოდინ სხუათა მათ დღეთა, ხოლო შაბათსა და კჳრიაკესა მივიდოდენ ეკლესიად, A-35 35 v, 7—10; უძლურნი მწუალებელთა თანა ნუ ჰამენო,— იტყჳს წერილი,— ხოლო უკუეთუ ვიეთნიმე ძლიერ იყუნენ, სადიდებელად ღმრთისა მივიდოდენო, შესავ. ფსალმ. თარგმნ. 79, 34—36; რამეთუ, რომელი თავისა თჳსისა შურებოდეს, მას თავისმოყუარებისაჲ აქუს პატიჟი, Sin.-35 533, 16—17 a; რაჟამს შევებარებოდეთ ჩუენ, უკუეთუ გურჭუას ვინ მათგანმან, ვითარმედ: დადეგით და გიხილნეთ, ვინანი ხართ, დავდგეთ, I მეფ. 14, 8—9 I;

შდრ.: შ ე ე პ ა რ ე ბ ო დ ი თ O; რამეთუ ოქროიცა იგი, რომელ შეაც მათ საშუერად, არა თუ ვინ განჯოცოს გესლი მისი, ვერ ბრწყინვიდეს, არცაღა, რაჟამს შეიბერვოდეს, გულისხმა-ეყო , ებისტ. 1, 23 I; შდრ.: შ ე ი ბ ე რ ვ ო დ ი ს O; რამეთუ პირველითგან თჳთმფლობელად დაჰბადა იგი ღმერთმან, რაჲთა ი ქ მ ო დ ი ს, რაჲცა ე ნ ე ბ ო ს, ხოლო პირველთქუმული იგი მონაჲ და ძე იგი მამისა თჳსისა მიმართ შიშითა და სიყუარულითა და სირცხჳლითა მოიქცეოდეს, Ath.-21 183 r, 10—14:

რამეთუ არა იქმნების ორი შურისძიებაჲ ერთბამად, ე ზ ი ა რ ე ბ ო დ ი ნ, წარდგომასა იტყოდენ და საკითხავსა იკითხვიდენ, A-96 128 r, 18—128 v, 2; ასწავებს, ვითარ განუყოფელ არს მეუღლებაჲ და რაჲთა ჟამ რაოდენმე ხოლო მ ო ი ც ლ ი დ ე ნ ლოცვისათჳს, ხოლო სიწმიდისათჳს და ჭალწულებისა მიუწერს, ვითარმედ არა იძულებით. არამედ ნეფსით იქმნებოდენო და მერმე ნაკერპაეთათჳს იტყჳს, რაჲთა მეცნიერებით არა მ ი ი ღ ე ბ დ ე ნ, Ath.-78 78 r, 10—16; ვითარსაჰედ უკეთუ ივლტოდის კაცი პირისაგან ლომისა და დაემთხჳოს მას დათჳ, და ივლტოდეს სახიდ მიმართ, ამოს 5, 19 1; საშუალ ხარისხსა მსხუერპლისსაცავისასა ტიროდენ მღდელნი და რომელნი ჰმსახურებენ უფალსა, იოველ 2, 17 I; რაჲთა მოელოდეთ, კათ. ეპისტ. 2 პეტრ. 3, 11 F; შდრ.: მ ო ე ლ ო დ ი თ ՂՇ; სამნი იოანენი, წერილნი კლემაქსსა, იქებოდენ დღეს, პარიზ. მარხ. 38 r, 11—12; მ ი ი ღ ო რაჲ ალი საღმრთოჲ. რბიოდე, რამეთუ არა უწყი, თუ ოდეს დ ა შ რ ტ ე ს და ბნელსა შინა დ ა გ ი ტ ე ო ს, A-445 10 r, 6—7; წარმართნიცა მიეახლებოდენ მკჳდრთა მათ სოფლისათა, A-135 162 v, 2—3; ჰირველნი იგი იჰირვოდენ, უ ბ ა დ რ უ კ ე ბ დ ე ნ, იქენჭნებოდენ, A-92 133 v, 18—19; დ ა ვ ი მ კ ჳ დ რ ო თქუენ თანა და ვიქცეოდე თქუენ შორის, Jer.-73 72 r, 19; რომლისა ხედვითა წარემართებოდეს ცხორებაჲ ჩუენი, A-1 369, 25—370, 1; უკუეთუ სახლისა უფალსა ძჯრსა ეტყოდეს და შ ე უ რ ა ც ხ-ჰ ყ ო ფ დ ე ს, A-88 69 v, 21—22; განისწავლებოდენ ამპარტავანნი, რაჲთა არა მისცემდენ თავთა თჳსთა ნეფსით განსაცდელთა. A-134 159 r, 26—159 v, 1; ესრეთ წ ა რ ხ ჳ დ ე მშჯდობით საყოფლად შენდა, სადაცა იყოფჳოდე, Jer.-3 148 v, 3—5; გზასა წამებათა შენთასა განვსცხრებოდეთ, უფალო, Jer.-37 55 r, 24—28 b; რაჲთა მამანი და დედანი მშჯდობით და სიწმიდით ცხონდებოდენ, Jer.-16 227 r. 29: რაჲთა არა დაჰბრკოლდებოდენ ლოცვასა თქუენსა, იქვე 236 r, 6—7.

I კავშირებითის -ოდე დაბოლოება საკმაოდ ხშირია „ანდრია სალოსის ცხოვრებაში“, „კარაბადინში“, აგრეთვე XII—XIII საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში:

და ეტყოდეს, ვითარმედ მოიყვანენით კაცნი და გუარკინენით, ანუ ვრბიოდეთ და ვინძი უ ს წ რ ო ბ დ ე თ ურთიერთას, ანდრია სალოსი 3 r, 6—10; მითხარ მე, რაჲთა უწყოდე, იქვე 9 v, 21; გუალე და ვრბი-

ოდეთ, იქვე 13 r, 12: მრქუა: მიიღე ამიერითგან ძელი ცხორებისაჲ, რაჲთა გუამი შენი იქმნეს უენებელ და არარაჲ შეეხებოდეს, იქვე 23 v, 6—9: მცირედ რაჲმე მნებავს სიტყუად ეპიფანესთჳსცა, რაჲთა უწყოდეთ, ვითარი კეთილი და ღმრთისმოყუარე იყო, იქვე 42 r, 7—10; რაჲთა გეშინოდეს და დაიმკვდრო სასუფეველი ცათაჲ, იქვე 103 v, 2—4; და იყოს განსუენებაჲ და სიხარული დიდი და იქორწინებოდენ, იქვე 162 v, 17—18; და ვარსკულავნი დამოცვენენ ქუეყანასა ზედა, მთანი და ბორცუნი საშინელისა მის ქუხილისაგან იძრვოდენ და იცვალებოდიან ადგილითი ადგილად, იქვე 165 r, 13—18; წმიდათა ეკლესიათა შინა იქნებოდენ სიძვანი და მრუშებანი, იქვე 172 r, 6—8; ამისთჳსცა იტანჯებოდენ უკუნისამდე, იქვე 186 r, 19—20; და თუ მკერდი ეწვოდეს და სტკიოდეს, კარაბადინი 120 r, 5—6; მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ამა სნეულისა ჯორცნი დნებოდენ, იქვე 156 r, 22—24; და თო დიდი და ნივთიანი რამე საქმე გამოჩნდეს, რომელი მათგან არ იქნებოდეს, მონასტერი დაუდგებოდეს, ანო თუით მემღუიმე და კრებული ზედა მივიდოდეს, სიგ. თამარ მეფისა 9, 24—10, 2; არა ოდეს რაჲ საქმე გუედვას, არცა ჩუენ და არცა ჩუენთა შემდგომთა, თჳნიერ ამისგან კიდე, რომე ოდესცა მივიდოდეთ, თქუჳნი მოგჳრთმოდეს, სამწირვ. მამულის მტკიც. დაწ., და თუ ღმერთი შეგურისხოდეს და აფხაზთა მეფეთა არაი შეცოდებაი შემოუვიდეს, თუ მონასტერსა და საფლავთაცა დათხრას ემართებოდეს, რკონის სიგ. 134, 26—28; და რაცა კარზედა გლახაი იყოს, ყუელაი დაძღებოდეს, იქვე 135, 32; თუ შვილი მოგუეცეს, საურავად მისი ჴელი შევიდოდეს, იქვე 137, 15—16; განესუენებოდენ უკუე სტუმართა, რომელთა თანა დედაკაცი არა იყოს და უფროჲსღა იშჯთთა, გინა შორით მოსრულთა, ცხად არს, ვითარმედ მიზეზითა ლოცჳისათა, ერთ და ორ დღეცა, და მესამესა დღესა წარვიდოდენ გზასა თჳსსა, ვაჰან. ქუაბ. განგ. 68, 30—69, 4; და ნუმცა რაჲ მოაკლდების საჭიროდ საჯმართაგანი, რომელიცა იყოს და იპოებოდეს, იქვე 70, 10—11, და მისთ.

როგორც დავინახეთ, სალიტერატურო ენაში X საუკუნიდან თავს იჩენს -ოდ სავრცობიან ზმნათა I სერიის მწკრივთა ახლებური წარმოება. ა. შანიძემ მიუთითა, რომ ეს მოვლენა -დ სავრცობიან ზმნათა ზეგავლენის შედეგად მოხდა (59, გვ. 835). ა. შანიძე აღნიშნავს იმასაც, რომ უნიფიკაციის პროცესში ზოგჯერ თავს იჩენს ზემოთ განხილულის საპირისპირო შემთხვევაც: -დ სავრცობიანი ზმნა იუღლება -ოდ სავრცობიანთა მსგავსად: „საყურადღებოა, რომ ერთს შემთხვევაში დ-ონიანი ზმნაც ასეთსავე ფორმას გვიჩვენებს: მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა,. რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჭონდინ 20, 6—7. მოსალოდნელი იყო: „ჭონდენ“, მაგრამ ოდ-იან ზმნათა ანალოგიით, დენ დაბოლოებ დინ-ად გადაკეთებულა“ (56, გვ. 78).

დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა I კავშირებითში -დ სავრცობიანი ზმნა წინამავალი -ოდ სავრცობიანი ფორმის ზეგავლენით ი დაბოლოებას მიიღებს:

რაჲთა დაუცხრომელად ს ტ ი რ ო დ ი წინაშე მისა და იგლოვდი, მოქალაქობ. მონაზონებ. 15 r, 13—14.

მაგრამ ეს მაინც ცალკეული შემთხვევებია. ენის ძირითადი ტენდენცია ისაა, რომ I სერიის ფორმებში -ოდ სავრცობიანი ზმნები დაემსგავსონ -დ სავრცობიანებს. ეს პროცესი კი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო, რაც -დ სავრცობიან ზმნებს უწყვეტელსა და I ბრძანებითში გაუჩნდათ ე. წ. ნართაული ი. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნართაული ი, სალიტერატურო ენის მონაცემებით, უწყვეტელსა და I ბრძანებითში IX საუკუნიდან იჩენს თავს (ცოცხალ მეტყველებაში კი ასეთი ფორმები ერთი-ორი საუკუნით უფრო ადრეა სავარაუდებელი), ოდი კი — X საუკუნიდან (ცოცხალ მეტყველებაში ალბათ — VIII—IX სს-იდან)..

-დ სავრცობიანი ზმნების I კავშირებითში -ე თავიდანვე გვქონდა. ამდენად, აქ გათანაბრების პირობები იმთავითვე იყო, ოღონდ მაინც ისაა აღსანიშნავი, რომ -ოდ სავრცობიან ზმნათა უწყვეტლის, I ბრძანებითისა და I კავშირებითის ახლებური წარმოების ამსახველი ფაქტები სალიტერატურო ენაში ერთდროულად იჩენს თავს. ეს ცხადყოფს, რომ იზოლირებული მოვლენა კი არ გვაქვს (გათანაბრება I კავშირებითში იწყება და მერე ვრცელდება), არამედ ასახვა I სერიის მწკრივთა წარმოებაში მომხდარი უნიფიკაციის პროცესისა, რომელიც ყველა სავრცობიან ფორმას მოიცავს საზოგადოდ.

15. -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღლების ძველქართულისებური სისტემის რღვევისათვის

ცნობილია, რომ -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები ძველ ქართულში I სერიის მწკრივებს თავისებურად იწარმოებენ (32, გვ. 317—344).

X—XV საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გამოვლინდება ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ძველქართულისებური წარმოება უკვე იშლება. პირველად ამგვარი ფორმები ლატალის ლექციონარში იჩენს თავს, განსაკუთრებით ხშირად კი „ანდრია სალოსის ცხოვრებასა“ და „კარაბადინში“ დასტურდება.

ჩვენი მასალის მიხედვით, -ევ და -ემ სუფიქსების გავრცელება ხდება უწყვეტლის მესამე პირში, აგრეთვე I კავშირებითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის მესამე პირში. ამდენად, ხდება პარადიგმის გასწორება.

-ავ თემისნიშნიანები:

ილოცევდა ღმრთისა მიმართ, ლატ. ლექც. 95 r, 11—14 a; ჭამდა, დაწულილებდა და ნეშტსა მას ფერჯითა **დასთრგუნევდა**, იქვე 101 r, 16—19 b: 102 r, 5—8 a; ჰრქუა მას კორნელიოს: ოთხით ჟამითგან მის დღისა მოაქაჟამამდე **ვილოცევდე** მე, S-1398 101 v, 18 b—102 r, 1 a; უკუეთუმცა **ესევდეს**, თუ მას საუკუნესა უვაღრესი ცხორებაჲ არს, იოანე ოქროპ. სწავლაჲ 98, 6—7: ვერშემძლებელნი უცონელსა მას მოსწრაფებასა მათსა ჩუენებად, ესრეთ **შეიკრძალევდედ** მათ, A-689 84 v, 8—11 b; ემთხჳნეს მეცნიერნი და **ჰკითხევდეს**, ანდრია სალოსი 84 r, 12—13; **ჰბაძევდა** იგი პირუტყუთა, იქვე 118 r, 19; და თუ არა ვზრუნევდეთ სულისა ჩუენისათჳს, იქვე 123, 11—13; ფიცხლა-ფიცხლათ ძრწოდეს და **ბრუნევდეს**, კარაბადინი 39 r, 20—21; თავსა ხშირად **იპარსევდეს**, იქვე 71 v, 22—23; თოელსა და სიციევსა **ნახევდეს**, იქვე 72 r, 2; მაქურზედა **გალესევდით**, იქვე 74 v, 18—19; თუალთა წინა ფერად-ფერადსა რასმე **ნახევდეს**, იქვე 77 v, 22—23; ცხუირშიგა **იბერევდეს**, იქვე 92 v, 8; ცხუირსა **სწუევდეს**, იქვე 98 r, 16; მერმე პირშიგა **დაიჭირევდეს**, იქვე 115 v, 16—17; **ნებევდა**, ქ. ცხ. 7, 1—10; 83, 13; 161, 11; **შესწირევდიან** კერპთა მსხუერპლად, იქვე 19, 4—5, და სხვა.

-ამ თემისნიშნიანები:

და ვასუემდეთ ამისგან, კარაბადინი 26 v, 10; თავსა თბილ-თბილსა წყალსა **ასხემდეს**, იქვე 41 r, 25—41 v, 1; წუენსაცა **სუემდეს**, იქვე 57 r, 9; სულსა ვერა **ითქუემდეს**, იქვე 111 r, 7—9; ცოტა-ცოტასა **ჩანთქემდეს**, იქვე 112 v, 3—4; და ვერა **სუნთქემდეს**, იქვე 119 v, 2; კომშისა წუენსა უნდა **ასუემდეთ**, იქვე 137 r, 3. -ამ თემისნიშნიანი ზმნების ანალოგიით **ზამ** ზმნური ძირისეული ა ე-დ იქცევა:

სადამდის ამა წამალსა **უზემდეს**, კარაბადინი 73 r, 12—13:

ვფიქრობთ, ზოგ დიალექტში X—XI სს-ში -ავ თემისნიშნიანი ზმნა ასე იუღლებოდა:

უწყვეტელი

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ-ი-ლოც-ევ-დ-ი	1. ვ-ი-ლოც-ევ-დ-ი-თ
2. ი-ლოც-ევ-დ-ი	2. ი-ლოც-ევ-დ-ი-თ
3. ი-ლოც-ევ-დ-ა	3. ი-ლოც-ევ-დ-ეს

უწყვ. ხოლმეობითი

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ-ი-ლოც-ევ-დ-ი	1. ვ-ი-ლოც-ევ-დ-ი
2. ი-ლოც-ევ-დ-ი	2. ი-ლოც-ევ-დ-ი
3. ი-ლოც-ევ-დ-ი-ს	3. ი-ლოც-ევ-დ-ი-ან

I კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ-ი-ლოც-ევ-დ-ე	1. ვ-ი-ლოც-ევ-დ-ე-თ
2. ი-ლოც-ევ-დ-ე	2. ი-ლოც-ევ-დ-ე-თ
3. ი-ლოც-ევ-დ-ე-ს	3. ი-ლოც-ევ-დ-ე-ნ

-ემ თემისნიშნიანი ფორმები სალიტერატურო ენაში მოგვიანებით აისახა, მაგრამ, საფიქრებელია, ცოცხალ მეტყველებაში მათ -ევ-იანი ფორმების პარალელურად ეჩინათ თავი.

სავრცობიან მწკრივებში ზმნათა -ევ და -ემ ვარიანტიანი ფორმებიც ბატონობს საშუალ ქართულში. ეს წარმოება არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ დიალექტშიც.

თანამედროვე ქართულის **ბარავდა, სვამდა; ბარავდეს, სვამდეს** ტიპის წარმოებაც პარადიგმის გასწორების შედეგს წარმოადგენს (-ავ და -ამ ნიშნები გავრცელდა I სერიის ყველა სავრცობიან მწკრივში).

10. წყვეტილისა და II ხოლმეობითის ფორმათა ურთიერთშენაცვლებისათვის

ძველი ქართული ენის ძეგლებში შეინიშნება წყვეტილისა და II ხოლმეობითის ფორმათა ურთიერთმონაცვლეობა. ამგვარი შემთხვევები იშვიათია. პირველად ეს მოვლენა „სინურ მრავალთავში“ გამოვლინდება:

ჩუენ რაჟამს ვიშვენით (გამოცემაშია: ვიშვნით), სალმობაჲ იგი შობისაჲ მის დასცხრის და მშობელი ჩუენი დაყუდნის, 105, 27—28.

ამ ტიპის რამდენიმე ნიმუში გვხვდება ოთხთავის ნუსხებში:

ხოლო რომელი-იგი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა, ესე იგი არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის და გულისჴმა-ყვის და გამოიღის ნაყოფი, და ყვის; რომელმანმე ასი და რომელმანმე სამეოცი, რომელმანმე ოცდაათ, მ. 13, 23 C; შდრ.: ხოლო რომელ-იგი ქუე-

ყანასა კეთილსა დაეთესა. ესე იგი არს: რომელმან სიტყუაჲ იგი **ისმინა** და **გულისჴმა-ყო** და **გამოიღო** ნაყოფი და **ყო** რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოცდაათი D.

როგორც ვხედავთ, ადიშის ოთხთავში II ხოლმეობითის ფორმით წარმოდგენილი ზმნები ჯრუჭის ოთხთავში წყვეტილითაა გადმოცემული.

პარხლის ოთხთავში ეს ადგილი ასე იკითხება: ხოლო რომელ-იჲი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა. ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი **ისმინის** და **გულისხმა-ყო** და **გამოიღო** ნაყოფი და **ყო** რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი. რომელმანმე ოცდაათი.

პარხლურ ხელნაწერში ერთმანეთის გვერდით არის წყვეტილისა (**გულისხმა-ყო, გამოიღო, ყო**) და II ხოლმეობითის ფორმები. სხვა მაგალითები:

მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ ცომსა, რომელი **მოიღის** დედაკაცმან და **შეჰრია** ფქვილსა სამსა გრიესა, ვიდრემდის **განაფუვნა** ყოველი, მ. 3, 33 C; შდრ.: **მოიღო, შეჰრთო, აღაფუვნის** DE; **მოიღო, შეჰრთო, აღაფუვნა** FGHIK. და პოის რაჲ ერთი მრავალ-სასყიდლისა მარგალიტი, წარვიდა და **განყიდა** ყოველი, რაჲცა ედვა, მ. 13, 46 CDEGHIK.

ი. იმნაიშვილი, რომელმაც გამოაქვეყნა „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია" (თბ., 1979), მიუთითებს: „HI-ში ამ სიტყვების ბოლო ხმოვნებზე სამი წერტილია დასმული (**პოის, წარვიდა**), ალბათ, იმის აღსანიშნავად, რომ დროებში შეთანხმება არ არისო (=ან: **პოის** და **წარვიდის**, ან: **პოა** და **წარვიდა**). სწორი შენიშვნაა" (გვ. 304, შენიშვნა).

და რაჟამს **მოჰსცის** ნაყოფი, მეყსეულად **მოავლინის** მანგალი, რამეთუ **მოიწია** მკაჲ, მრკ 4, 29 DEFGHIK; შდრ.: **მოწევნულ არნ** C; რამეთუ მრავალგზის ჯაჭჳთა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი და **განხეთქის** და **შემუსრის** იგი და არავის ეძლო დაყენებად მისა, მრკ. 5, 4 DEFGHIK: შდრ.: რამეთუ მრავალი ბორკილი და ჯაჭჳ, რომლითა შეკრიან იგი, განეხეთქა და დაემუსრა და არავინ **უძლო** დამორჩილებად მისა C; ვითარცა-იგი კაცთან გზად წარმავალმან **დაუტევის** სახლი თჳსი და **მიჰსცის** მონათა თჳსთა ქელმწიფებაჲ და კაცად-კაცადსა საქმე თჳსი და მეკარესა **ამცნო**, რაჲთა მღჳძარე იყოს, მ. 13, 34 DEFG; შდრ.: **ვალნ, დაუტევის, მისცის, ამცნის** C; **დაუტევის, მისცის, ამცნის** HIK.

ადიშის ოთხთავის II ხოლმეობითისა და აწმყოს ხოლმეობითის შესატყვისად სხვა ნუსხებში წყვეტილისა და აწმყოს ფორმები იხმარება:

აწ რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, **ფუცის** მას და ყოველსა, რომელ **არნ** მას ზედა, მ. 23, 20; შდრ.: **ფუცავს, არს** DEFGHIK; და რომელმან **ფუცის** ტაძარსა, **ფუცის** მას და რომელი მყოფ **არნ**

მას შინა, მ. 23, 21: შდრ.: ფუცა, ფუცავს, არს DEFGHIK; და რომელმან ფ უ ც ი ს ცასა, ფ უ ც ი ს საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზ ი ს მას ზედა, მ. 23, 22 C; შდრ.: ფუცა, ფუცავს DEFG; ფუცოს, ფუცავს HIK.

მოსალოდნელია, რომ აწმყოს ხოლმეობითის გვერდით II ხოლმეობითის ფორმები იყოს, არის კი წყვეტილისა:

ვითარცა კაცსაღა ე გ უ ლ ე ბ ი ნ გზად სლვად, მოუწოდა თჳსთა მონათა და მისცა მათ ნაყოფი თჳსი, მ. 25, 14 C; შდრ.: წ ა რ ვ ა ლ ნ, მოუწოდა, მისცა DE. ოთხთავის გვიანდელ რედაქციაში ამ შემთხვევაში ხოლმეობითის ფორმებია წარმოდგენილი: წ ა რ ვ ა ლ ნ, მ ო უ წ ე ს ნ, მ ი ს ც ი ს FG; წ ა რ ვ ა ლ ნ, მ ო უ წ ე რ ი ს, მ ი ს ც ი ს HIK.

და მოვიდეს სახედ იგინი და შეკრბა მერმე ერი იგი. ვითარმედ ვერ ს ც ა ლ ნ პურის ჭამადცა, მრკ. 3, 20 C; შდრ.: მოვიდეს, შეკრბა, ჭელ-ეწიფა DE; ჭელ-ეწიფებოდა FGHIK; მარადის დღე და ღამე სამარობანსა შინა და მთათა შინა იყო, ღ ა ღ ა დ ე ბ ნ და ქ ჳთა დ ა ი ტ ჳ ნ ვ ი ნ, მრკ. 5, 5 C; შდრ.: ი ქ ც ე ვ ი ნ, ღ ა ღ ა დ ე ბ ნ, დ ა ი ტ ჳ ნ ვ ი ნ DE; ი ქ ც ე ვ ი ნ, ღ ა ღ ა დ ე ბ ნ, დ ა ი კ ო დ ნ FGHIK.

წყვეტილის ფორმაა წარმოდგენილი იქ, სადაც კონტექსტის მიხედვით II ხოლმეობითია მოსალოდნელი:

და მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს ცეცხლსა შთააგდო ეგე და წყალსა, მრკ. 9, 92 DEFGHIK; შდრ.: შ თ ა ა გ დ ი ს C: და მიუვლინა მშობელთა მისთა მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს, A-397 157 v, 3—4; მოვიდა მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს, იქვე 214 r, 6—7; ჴეშმარიტებამან შენმან მ ა რ ა დ ი ს შეიწყნარა მე, A-38 69 r, 1—2, და სხვა.

ზემოთ დამოწმებული მასალა მიუთითებს, რომ ენაში II ხოლმეობითის მოშლა დაიწყო. საფიქრებელია, ეს მწკრივი ზოგ დიალექტში ამ დროისათვის უკვე მოშლილია. საინტერესოა, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითების უმრავლესობა ისეთ ძეგლებში არის დადასტურებული, რომლებიც სამხრეთ საქართველოს სამწერლობო კერებიდან მომდინარეობენ. საფიქრებელია, რომ სამხრეთ ქართულ დიალექტურ არეალში, რომელსაც ემყარებოდა VIII—XI საუკუნეთა ქართული სამწერლობო ენა, II ხოლმეობითი მოიშალა. სალიტერატურო ენის ძეგლებში სწორედ ამ მოვლენის ამსახველი ფაქტები გამოვლინდება.

17. II კავშირებითის გამოხატვაში მოხდარი ზოგი ცვლილების ქრონოლოგიისათვის

ძველი ქართული ენის ბოლო პერიოდში შეინიშნება ცვლილებები II კავშირებითის ალომორფთა განაწილებაში: -ა გამოვლინდება იქ, სა-

დაც ნორმათა მიხედვით -ე არის მოსალოდნელი. ხდება აგრეთვე -ო ალომორფის გავრცელება თავდაპირველი ა-სა და ე-ს ნაცვლად.

ა) -ე-ს ადგილს -ა იჭერს

აღეგზნეს>აღეგზნას: რაჲთა აწვე აღეგზნას, ლ. 12, 49 CD; შდრ.: ა ღ ე გ ზ ნ ე ს E.

დაიწუეს>დაიწუას: და შეკრიბონ იგი და ცეცხლთა დაასხან იგი, და დაიწუას, ი. 15, 6 C; შდრ.: დ ა ი წ უ ე ს DE; და დაწუან იგი შეშასა ზედა ცეცხლითა დასათხეველსა თანა ნაცრისასა, და დაიწუას იგი, ლევიტ. 4, 12 Ղ; შდრ.: დ ა ი წ უ ე ს O.

იჴსნეს>იჴსნას: რაჲთა გიჴსნას შენ ამის ესეეითარისა სიკუდილისაგან, Sin.-36 261, 8—9 b; არცა მეფე სიმრავლემან მსახურთამან იჴსნას, მრავალთ. 73 r, 19—21 b; ძმამან ვერ იჴსნას და ვერ იჴსნას კაცმან, შატბ. კრებ. 276 r, 2 b; დღესა ჴირისა შენისასა მე გიჴსნა, და შენ მადიდო მე, იქვე 278 v, 2—3 a; აჰა, ესერა, მე ვიჴსნა ერი ჩემი, ზაქარია 8, 7 O; შდრ.: ვ ი ჴ ს ნ ე J; რაჲთა ბუნებაჲ ჩუენი იჴსნას, A-603 17 r, 18—19; რაჲთა იჴსნას მსგავსი მ ს გ ა ვ ს ე ბ ი თ ა, მოდრ. იადგ. 195 r, 4; მან იჴსნას ერი თჳსი, Sin.-16 8 r, 20; და ვერცა იჴსნან სული თჳსი ჴოჯოხეთისაგან, Sin.-35 641, 28—29 a; ამან იჴსნას ერი თჳსი ცოდვათაგან, Sin.-59 148 r, 19; რაჲთა ესეცა იჴსნას, ცხორ. და შესხმ. ბასილისი 336, 11; უკუეთუ არა იჴსნას, ვიდრე არა განსრულდეს წელიწადი სრული, ლევიტ. 25, 30 Ղ; შდრ.: არცა მამამან იჴსნეს შვილი თჳსი, მრავალთ. 73 r, 24—25 b.

გელათის ბიბლიაში უკმოიჴსნას ფორმა არის:

და უკმოიჴსნას განსყიდული ძმისა თჳსისაჲ, ლევიტ. 25, 25.

ექმნეს>ექმნას: იგი მძლე ექმნას გუნდსა ეშმაკთასა, მამ. სწაველ. 244, 25—26 A: ხოლო მე არა ურჩ ვექმნა, არცა სიტყუა-უგო, ლატ. ლექც. 148 r, 13—15 a; რომელსა მძლე ვექმნათ, კლემაქს. 144 r, 25.

იქმნეს>იქმნას: იქმნას იგი ყოველისა თანამდებ, ლატ. ლექც. 186 r, 1—2 a; რაჟამს-ესე ესრეთ იქმნას, ათ. ასკეტ. კრებ. 231 r, 15—17 a; ესე ყოველი მეყსა შინა იქმნას, იქვე 330 v, 16—18 a; და დაფარული ყოველთაჲ ცხად იქმნას, მარხვ. 35 v, 19; რაჟამს შიშუელ იქმნას ეკლესიაჲ, H-1346 72 v, 15—16; ესე ყოველი იქმნას მოსლვასა ანტესსა, იქვე 105 v. 13; აწ ვიღუაწოთ და მოსწრაფე ვიქმნათ მოგებად გამოუთქუმელთა მათ კეთილთა, ნანძიანძორ. 154, 24—155, 1; მაშინ შემძლებელ იქმნა შემშჳა(ლ)ვად. მოქალაქობ. მონაზონებ. 2 v, 22—23; რომლისაგან იქმნას ცხორებაჲ ყოვლისა სოფლისაჲ, A-40 7 r, 3; და მოთმინე იქმნას ღმრთისა სიყუარულისათჳს, მამ. სწაველ. 11, 34—35 C; ესე არს, რაჲთა

დასთესო სიტყუაჲ ღმრთისაჲ გულსა შინა შენსა, რაჲთა ნაყოფიერ იქმნას ღმრთისა, იქვე 21, 7—9 C; არამედ უდებ იქმნას ცხორებისა თჳსისათჳს, იქვე 24, 13—14 C; მრავალთა სამწყსოთა სულიერთა მწყემს იქმნას, A-193 111 v, 5—6; უკუეთუ საუკუნოჲსა მის სატანჯველისა თანამდებ იქმნათ, A-88 71 r, 19—21 b.

ქმნეს>ქმნას: რაჲ საქმე ვქმნა, ლ. 18, 18 D; შდრ.: ვქმნ C; ვქმნე E; მან ცოდვაჲ არა ქმნას, კათ. ეპისტ. I ი. 3, 9 ქ, შდრ.: ქმნას G; რაჲთა მეცნიერთა შორის ვქმნე სიტყუაჲ, რნ ებისკოპოსთა მიმართ 555, 6; უკუეთუ ოდენ ვქმნათ რაჲმე საქმჱ ღირსი ქებისაჲ, ცხორ. და შესხმ. ბასილისი 372, 17—18; და ქმნას ერთი ყოველთაგან მცნებათა, ლევიტ. 4, 22 ქ; ყოველივე საქმე თქუენი არა ჰქმნათ, იქვე 16, 29 ქ; შდრ.: ჰქმნეთ O; ყოველი საქმე მსახურებითი არა ჰქმნათ, იქვე 23, 7 ქ; შდრ.: ჰქმნეთ O.

განჴსნეს>განჴსნას: და რომელი განჰჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა, მთ. 18, 18 E; შდრ.: განჰჴსნეთ D; რავდენ განჰჴსნათ ქუეყანასა ზედა, Sin.-35 370, 29—30; და რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, მამ. სწავლ. 56, 26—27 C; შდრ.: განჰჴსნე AB; და რაოდენი განჰჴსნათ ქუეყანასა ზედა, ვან. ოთხთ. 50 r, 1—3 b.

გამოჴსნეს>გამოჴსნას: აჩუენებს, თუ რომლითა საქმითა სახიერებისაჲთა და სიმართლისაჲთა გამოჴსნან სული თჳსი, შატბ. კრებ. 276 r, 19—21 b.

განიჴსნეს>განიჴსნას: და რაჲზომცა განიჴსნას გული საკრველთა მათგან, A-35 150 r, 7—8.

აღაგზნეს>აღაგზნას: რომელმან სიბოროტენი იგი და უკეთურებანი გულსა შინა მისსა შობილნი ბოროტთა მათ საქმეთა მიერ, აღაგზნას, A-135 30 v, 13—17.

გიშჳეს>გიშჳას: ჰრქუა უფალმან აბრაჰამს: აჰა ესერა, გიშჳას შენ ძჱ, ლატ. ლექც. 25 v, 26—28 a.

იშჳეს>იშჳას: უკუეთუ არა იშჳას კაცი წყლისაგან, ათ. ასკეტ. კრებ. 181 r, 19—20 a; რაჲთა იშჳას კაცი სულისა მიერ წმიდისა, Ath.-21 71 r, 15—16.

შჳეს>შჳას: და უკუეთუ სარრა ოთხმეოც და ათისა წლისამან შჳას, დაბ. 17, 3 O; 17, 17 O.

ესმეს>ესმას: შენ ოდეს გესმას, მორწმუნეო, ათ. ასკეტ. კრებ. 330 r, 11—12 a; რავდენი რაჲ ესმას, იტყოდის, Sin.-16 300 r, 2—3; ურბნ. ოთხთ. 210 v, 4—6 b; რომელსა ესმას ჴმაჲ მისი, A-35 146 v, 7—8; მოქალაქობ. მონაზონებ. 66 v, 9; კუალად ოდეს გესმას, გლახაკთმოყუარებ. 692, 13; ხოლო შენ გეკსენენ სიტყუაჲ, რომელი გესმას, მამ. სწაელ. 21, 3—4 C; რაჲთა ესმას სიცილი ეშმაკთა, ანდრია სალოსი 52 v, 2.

ისმეს>ისმას: ჴმაჲ წისქჳლისაჲ არღარა ისმას შენ შორის, იოვ. გა-

მოცხად. 18, 22 A: შდრ.: ი ს მ ე ს B; ჴმაჲ სიძისა და სძლისაჲ არღარა. ისმას შენ შორის. იქვე 18, 23 B; შდრ.: ი ს მ ე ს A; რომელი ბნელსა შინა სთქუათ. ნათელსა ისმას, Ost.-I 133 v, 8—9.

განჰრცხე>განჰრცხა: ვითარცა ჰურჩელი რაჲმე დაგესლებული დაღათუ მრავალგზის განჰრცხა წყლითა, მამ. სწავლ. 43, 17—18; შდრ.: უკუეთუ გ ა ნ ჰ რ ც ხ ე იგი უდებებითა, იქვე 43, 20—21 C.

განირცხეს>განირცხას: განირცხას სამოსელი მისი, ლევიტ. 1, 40; 13, 6 Ղ; შდრ.: გ ა ნ ი რ ც ხ ე ს O: რომელ განირცხას და გარდაადგინოს იგი მღდელმან მან, იქვე 13, 18 Ղ; შდრ.: გ ა ნ ი რ ც ხ ა ს O; თმაჲ მისი დაიყჳნოს და განირცხას სამოსელი მისი, იქვე 14, 9 Ղ; შდრ.: გ ა ნ ი რ ც ხ ე ს O: განირცხას სამოსელი მისი წყლითა და დაიბანოს გუამი მისი წყლითა. ლევიტ. 15, 13 Ղ; შდრ.: გ ა ნ ი რ ც ხ ე ს O.

გიცნეს>გიცნას: ხოლო რაჲთა გიცნან შენ, მოდრ. იადგ. 68 r, 7; და ვიცნათ ღმერთი. დამბადებელი ჩუენი, ექუს. დღ. (აბ.).

იჴმნეს>იჴმნას: რაჲთა ბოროტისაცა შერწყმისაგან ვიჴმნათ, ე ე ნ ო მ ი ა ნ ო ს თ ა მიმართ 706, 23—24.

როგორც ზემოთ მოტანილი მასალა გვიჩვენებს, -ე-ს ნაცვლად -ა II კავშირებითში გამოვლინდება ისეთ ზმნებთან, რომელთა ფუძე სონორი თანხმოვნით ბოლოვდება.

ბ) -ო დასტურდება -ა-ს ადგილას

საყურადღებოა, რომ ოშკის ბიბლია გამოავლენს დუბლეტებს: შეიგბოს // შეიგბას. ეს ფორმები ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება:

და ჰურჩერი კეცისაჲ, რომლითა შეიგბოს იგი, შეიმუსრენ; უკუეთუ ჰურჩჩითა რვალისაჲთა შ ე ი გ ბ ა ს, მოხუეტენ იგი, ლევიტ. 6, 28.

ძველი ქართულის ნორმაა შეიგბას.

გ) -ო გვაქვს -ე-ს ადგილას

განერე>განერო: მოგხუდენ ჩემგან ბრძოლანი ფიცხელნი, რომელთაგან ვერ განერო, ქ. ცხ. 149, 17—18.

II კავშირებითის მაწარმოებელთა უნიფიკაციის პროცესი ძველ ქართულში დაიწყო, მაგრამ იგი ვერ გავრცელდა სალიტერატურო ენაში.

19. შერეული წყვეტილი, ბრძანებითი, ხოლმეობითი, კავშირებითი

ძველი ქართული ენის ძეგლებში IX საუკუნიდან გამოვლინდება შერეული წარმოების მწკრივთა ფორმები. პირველად ამგვარ ფორმებს ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება. იგი წერს: „ქართული ენის IX—X სს-თა

ძეგლებში გეხვდება ფორმები, რომლებიც ვერ მოთავსდება ვერც ერთის აქამომდე ცნობილი მწკრივის, ფარგლებში. წარმოების თვალსაზრისით ისინი II სერიას ეკუთვნიან — მის ფუძეს ეყრდნობიან, მაგრამ ზედ ურთავენ -ოდ სავრცობს, რომელიც I სერიიდან არის აღებული. ამის გამო ისინი ორგვარ ბუნებას იჩენენ: სინტაქსური თავისებურებანი II სერიის მწკრივებისა აქვთ (გარდამავალი ზმნები ქვემდებარეს მოთხრობითში შეიწყობენ, პირდ. დამატებას კი — სახელობითში), ხოლო ერთი მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ისინი I სერიის მწკრივთა რიგებში დგანან: ასპექტი უსრული აქვთ. დრო მათ მომავალი აქვთ, კილო — თხრობითი ან კავშირებითი, ზოგჯერ ბრძანებითიც. ამგვარად, ფუნქციით ისინი ეტოლებიან მწკრივს, რომელიც I კავშირებითის (ან I მყოფადის) სახელით არის ცნობილი. მაგალითი: „საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა, რომელთა მ ი ს ც ო დ ი ა ნ მას ნაყოფი ჟამთა მათთა“ (მათ. 21, 4 C). აღნიშნული ორბუნებოვანი მწკრივი უთუოდ მეორეული წარმოშობისაა. ამაზე მიუთითებს ობიექტური -ნ- ინფიქსის ჩასმა ზმნის ფუძესა და -ოდ სავრცობს შორის: შ ე წ ი რ ო დ ი ს (მან იგი), მაგრამ: შ ე წ ი რ ნ ო დ ი ს (მან იგინი)“ (62, გვ. 18).

ლ. კიკნაძემ სხვა მკვლევართა მიერ მოპოვებულ მასალას (22 ფორმა, 32 შემთხვევა) ახალი 6 ფორმა მიუმატა (33, გვ. 185—186). ჩვენს წიგნში „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები“ (52, გვ. 185) დამოწმებულია 8 ზმნური ფორმა:

ესე იამბიკოჲ შემდგომად სახარებისა **სთქოდი**, კალ. ლექც. 122, 17—18 a; რომელსა დავსდვა ჴელი, **მიიღოდის** სული წმიდაჲ, Ath.-42 140 r, 16—18 b: ღმერთსა შაბათსა **დააგოდით** წინაშე უფლისა, ლევიტ. 24, 8 Ქ: მწყობრი არა შემოვიდეს ქუეყანასა შოერის თქუენსა, და მოვსცე მშჯდობაჲ ქუეყანასა თქუენსა და **დაიძინოდით** უზრუნველად, ლევიტ. 26, 6 Ქ: იტყოდის გ ლობასა მას უფლისასა ქნარითა და კეთილ იყოს იგი შენდა და **განისუენოდი**, I მეფ. 16, 16 C; დაუტევა მცირჱ ჯურელი, სადაჲთ საზრდელი **მიიღოდის**, პარხლ. მრავალთ. 624 v, 13—16 a; და შეაბა კარი, რაჲთა **დაჰმარხოდის** იგი მამათათჳს, ეფთჳმი 118 v, 2—6: კეთილ იყოს შენდა და **განგისუენოდის** შენ, პარიზ. ლექც. 82 v, 5—7.

ჩვენმა მასალამ დაადასტურა ლ. კიკნაძის ვარაუდი, რომ ძველ ქართულში ამ მწკრივის მეორე პირის ფორმები უნდა არსებულიყო (33, გვ. 191).

ვ. იმნაიშვილმა ბრიტანულ მრავალთავში (Add.-11281) შეიტყო კავშირებითის 14 მაგალითი იპოვა: მ ო მ ი წ ე რ ო დ ი, მ ო მ ი ჯ ს ე ნ ო დ ი, დ ა ჰ მ ა რ ხ ო დ ი ს, ჰ ა მ ო დ ი ს, ჰ ა მ ო დ ი ა ნ, გ ა ნ ა თ ი ო დ ი ა ნ, ი ქ მ ო დ ი ა ნ, ჰ ა მ ო დ ი ა ნ, ა ღ ა ნ თ ო დ ი ა ნ, ა ღ ა ს რ უ ლ ო დ ი ა ნ, შ ე ი მ ო ს ო დ ი ა ნ, შ ე წ ი რ ნ ო დ ი ა ნ, გ ა ნ ე ღ ო დ ი ს (25, გვ. 15—18).

ბიბლიის ოშკურ და გელათურ ხელნაწერებში შერეული კავშირებითის ფორმები გამოავლინეს კ. დანელიამ და თ. ცქიტიშვილმა (76, გვ. 284).

დაეიმოწმებთ ზოგ ახალ ნიმუშს:

თქოდიან სიტყუანი ესე ქუეყანასა იუდაისსა, ქალაქებსა მისსა, რაჟამს მოვაქციო, ლატ. ლექც. 48 r, 14—18 a; უბრძანა, რაჲთა **მისცოდის** როჭიკი, რაჲზომი ეყოფოდის, Jer.-3 95 v, 4—5; **გიჴმოდი**, რაჲთა ჩემ თანა წარმოხჳდე ეკლესიად, იქვე 121 v, 11—12;

ეკრძალებოდეს, რაჲთა არავინ მათგანი **განიკითხოდიან**, იქვე 117 v, 7—8.

შერეული კავშირებითის ფორმები საკმაოდ ხშირად გეხვდება გელათისა (Q-1152) და მცხეთის ბიბლიაში (A-51): რაჲთა **მოიღოდიან** ძენი ისრაჱლისანი მსხუერპლთა მათთა, Q-1152 53 r, 11—12; და **დაიბანაკოდინ** ძენი ისრაჱლისანი, კაცი წესსა ზედა თჳსსა და კაცი მთავრობისაებრ თჳსისა, ძალისა თანა მათისა. ხოლო ლევიტელნი **დაიბანაკოდინ** წინაშე გარემოჲს კარავსა წამებისასა, იქვე 97 v, 6—12; აღიღოდის კარავი წამებისაჲ, იქვე 98 v, 18; და შევიდოდინ აჰრონ და ძენი მისნი, რაჟამს იტრჳოდის ბანაკი და **შთამოჰჴსნოდინ** კრეტსაბმელსა და **დაბუროდინ** მით კიდობანი წამებისაჲ და **დაჰხუროდინ** მას ზედა საბურველნი ტყავნი, იქვე 103 v, 16—104 r, 14; და მოიღონ სამოსელი პორფირი და **შებუროდინ** საბანელი, იქვე 105 r, 7—8;

რა **აღიღოდიან** იგი მით, (A-51): გამოსლვათა 30, 5; **იბანოდიან**, იქვე 30, 19; **იბანოდინ**, იქვე 30, 20; **გამოგეცხადოდი**, იქვე 30, 36; **შეწიროდიან**, იქვე 10, 15; **დააგოდით**, იქვე 24, 8; **დაიძინოდით**, იქვე 26, 6; **აუწყოდით**, იქვე 10, 9; **შესწიროდით**, იქვე 18, 33; **ისმინოდიან**, იქვე 27, 20; **ჰკითხოდიან**, იქვე 27, 21; **ჰყოდი**, II სჯულთა 15, 1, და სხვა.

ლ. კიკნაძემ ძველ ქართულში დაადასტურა მეტად იშვიათი ფორმები, რომლებიც მან შერეულ ხოლმეობითად ჩათვალა (33, გვ. 187—190): **ჰამოდიან, დადგოდიან, დაიბანოდიან** (33, გვ. 187—189).

შერეული ხოლმეობითი გელათისა და მცხეთის ბიბლიაშიც დასტურდება:

რამეთუ სამსახურნი წმიდისანი აქუნდეს და მჯრითა **აღიღოდიან**, Q-1152 118 r, 16—18; სამსახურებელი სიწმიდისაჲ აქუნდა და მჯრითა **აღიღოდიან**, რიცხუთა 7, 9.

ლ. კიკნაძემ ივარაუდა, რომ ძველ ქართულში შერეული კავშირებითისა და შერეული ხოლმეობითის ფორმებთან ერთად შერეული წყვეტილიც უნდა გეჭონოდა (33, გვ. 193).

ძველ ქართულში არის რამდენიმე შემთხვევა, როცა შერეული წყვეტილია საგულვებელი:

ზღუაჲ იგი ძლიერთა ქართაგან **აღირღოდა**, ი. 6, 18 C;

რომელი-იგი გაქუნდა კეთილი, ვერ გულისხმა-ჰყაე და ვის-იგი არაჲ

ეუვოდე, მას დაემონე, უდაბნ. მრავალთ. 109 v, 25—28 a; რომელი თჳს-ეუვოდა კოსარს, მეფესა სომხითისასა, Jer.-24 21 r, 7—8; რომელნი იყუნეს ტარსონს კილიკიისასა და თჳს-ეუვოდეს, ვითარ იტყჳან, წმიდ.სა პაველე მოციქულსა, იქვე 29 v, 11—13; A-193 42 r, 4—6; თჳს-ეუვოდა ღმრთისმშობელი ელისაბედს, Jer.-22 40 r, 19—20 b.

შერეული წყვეტილი „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერშიც გვხვდება: და ჩემი, ხუარანძე, შეირთოს შირიან, რომელი ეუვოდა ვახტანგს მამისძმისწულად, 144, 10—12; რამეთუ მ.მულად ეუვოდეს სომეხნი, იქვე 315, 8—9.

თითქოს შერეული ბრძანებითიც გვხვდება გელათის ბიბლიაში (Q-1152):

და აღიღოდიდ მაბკები კარეისაჲ, 105 v, 13—14.

ამრიგად, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში შერეული წყვეტილი, შერეული ხოლმეობითი, შერეული ბრძანებითი, შერეული კავშირებითი უფრო ხშირია.

ამ მწკრივთა ნიმუშები უპირატესად გვხვდება ისეთ ძეგლებში, რომლებიც დაწერილია, ნათარგმნია, ან გადაწერილია სამხრეთ საქართველოს მწიგნობრულ კერებში, ან ამ კუთხის წარმომადგენელთა მიერ. შეიძლება დავასახელოთ: ადიშის ოთხავი, პარხლის მრავალთავი, Sin.-97, პარიზის ლექციონარი, Sin.-43 და სხვა.

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ეს მოვლენა დიალექტიზმად უნდა ჩავთვალოთ.

19. ზოგი გარდამავალი ზმნის I თურმეობითის წარმოებაში მომხდარი ცვლილებისათვის

ძველი და საშუალი ქართული ენის მიჯნაზე სალიტერატურო ენის ძეგლებში აისახება ზოგი გარდამავალი ზმნის I თურმეობითის წარმოებაში მომხდარი ცვლილება: I თურმეობითი ემყარება II სერიის თემას. მაშინ როცა კლასიკურ ქართულში I თურმეობითისათვის ამოსავალი I სერიის თემა იყო:

მ ო უ ღ ე ბ ი ე ს — მ ო უ ღ ი ე ს ‖ მ ო უ ღ ი ა;

მ ო უ გ ე ბ ი ე ს — მ ო უ გ ი ე ს ‖ მ ო უ გ ი ა;

მ ო უ ტ ა ც ე ბ ი ე ს — მ ო უ ტ ა ც ი ა და მისთ.

დავიმოწმებთ მასალას:

ბრძანებაჲ მოგჳლიეს, A-88 85 r, 2—3; მოუღიეს მათ მადლი ზეგარდმო მეოხებად, პარიზ. მარხვ. 156 v, 30; არა მოგიღიეს შენ ჯელმწიფებაჲ განკითხვად ჩემდა, Jer.-3 178 v, 9—10; სხუაჲცა მცნებაჲ მოგჳლიეს, A-689 37 r; 27—28; შდრ.: ესე მცნებაჲ მ ო მ ი ღ ე ბ ი ე ს მამისაგან ჩე-

შისა ი. 10, 18; ყოველნივე ამის მიერ მოგვღებიან. A-162 168 r, 9 a

მეფობაჲ არღა მიუღია, იოვ. გამოცხ. 17. 12; ტალანტი მიგიღიეს, პარიზ. მარხვ. 200 r, 10: მიგიღიეს წესი შჯულისაჲ, A-162 71 r, 19 b: მიგიღიეს კეთილი თქუენი ცხორებასა თქუენსა. იქვე 111 r, 5—6 a: ოქროჲ კიდობნითურთ მიგიღიეს, იქვე 131 r, 29—30 b: არა მიგიღიეს მისგან ოქროჲ. იქვე 131 v, 5—6 a; სამკჳდრებელი მათი ვერ მიუღია, Jer.-73 105 v, 2: მიმიღიეს აღთქუმაჲ ურიცხჳ, Jer.-6 39 r, 34 a; მიგიღიეს კეთილი შენი ცხორებასა შენსა, Ost.-3 86 r, 9—10 b; რომლისაგან მცნებაჲ მიუღიეს ყოველთა ჰურიათა, Jer.-16 37 r, 10—12 a; რაოდენი მიგჳღიეს, A-52 159 r, 12: რომელი არა მიუღიეს, იქვე 159 v, 4; შდრ.: მიგიღებიეს ნუგეშინის-ცემაჲ, ლ. 6, 24; ზიარებაჲ მიუღებიეს. ფსევდომაკარ. 328, 27: იტყჳ. ეითჱრმედ არარაჲ მიგიღებიეს. A-162 131 v, 1—2 a;

აქაჲთ აღმოგიღიეს წყალი ეგე, Jer.-32 43 v, 18—19 b;

სიტყუაჲ ესე დაღაცათუ მათდა სამხილებელად შემოუღია, Jer.-9 12 v. 9—10 b;

ნაცვალად ამათ კეთილთა და შუენიერთა წინაღმდგომი მათი მოუგია, A-162 113 v, 4—5 a; უჟამოსა ჰასაკსა შინა ესეეითარი ქცევაჲ მოუგიეს, Jer.-3 23 v, 9—11; მოგიგიეს ბოროტად, Jer.-12 60 v, 28; 60 v. 30: რომელთა არა მოუგია გული უბიწოჲ, Jer.-73 30 v, 4—5; გამოცდილებაჲ ვერ მოუგია, Jer.-96 115 r, 20—21; სხუანი სათნოებანი ვერაჲ მოუვიან, იქვე 122 v, 3—4; რომელსა სწაელაჲ მოუგიეს, იქვე 174 v, 11—12: მოგუიგიეს ბოროტი, იქვე 207 v, 17—18; ესეეითართა არა მოუგიეს ყოველი სიმდაბლე, Jer.-16 160 r, 1—3 b; ესე მოუგიეს მადლად, იქვე 226 r. 16; მკჳდრად მოუგიეს წამებული იგი მამისაგან, იქვე 267 r, 7: შდრ.: მეფობაჲ შენი, რომელ მოგიგებიეს, ფლტ. 144, 27;

ნუ მიაგებ ბოროტსა ღა მიგიგიეს, Jer.-32 81 r, 22 b; უკუეთუ კულა ბოროტი უყო, არა მიგიგიეს, იქვე 81 r, 22—23 b:

არცა სმენაჲ სიტყუათა საშმაკოთაჲ ჯერ-არს, არცა შემოსლვად სამოსლითა ხენეშითა ბრწყინვალესა ამას ტაბლასა და ბევრეულითა კეთილთა სავსესა, რომელი თავადსა ღმერთსა დაუგიეს, Jer.-32 3 v, 7—12 a:

რომელსა თუსნი საქმენი განუგიან, Jer.-96 174 v, 9—10; ჰრომს წარსლვაჲ პაელესი განუგიეს მას, Jer.-96 189 r, 4—5 a; თჳთ მასვე განუგიეს. იქვე 234 r. 14—15;

ესრეთ ეჰგონებ, თუ ეტრატი ცუდად არა წაჰიგია, Ath.-21 237 v:

მწუხარებითა აღგივსიეს გული შენი, A-162 126 v, 5—6 b; აღგივსიეს იერუსალჱმი მოძღურებითა შენითა, Jer.-16 47 r, 14—15 a;

უცნიეს გულისზრახვანი თქუენნი, Sin.-35 105 v;

უკუეთუ ესრეთ განუბჭიეს, რაჲთა იყოს გუამ, A-689 37 r, 15—16 a;

ეშმაკთა... არცა ვინ განუმჭვნიეს დიდებისმეტყუელებად. A-129 69 v, 4—8 a;

აღუმტკმიედ პირი და შეჰხედვიედ მას, I ეზრა 4. 31; შდრ.: რაჲსათჳს საფლავთა მიმართ აღგჳმტკობიეს პირები, Jer.-12 113 r, 25—26;

ესეეითარსა მას განუგდიეს თავი თჳსი ქრისტჱსგან, A-390 30 r, 9—11 a: ყოვლითურთ განუგდიეს სიტყუასა ჩემობისა და შენობისა თქმაჲ ძმათა შორის, A-689 38 v, 12—14 a;

აცთუნებს და მიმოუტაცია ყოველივე ცოღვილი ნათესავი ადამისი. ფსალმომაკ. 240, 13—19;

ეგოდენი ეგე სიმრავლე ერთა და ქალაქისაჲ შეუიწრებელად დამიტევიეთ ჩემ შორის, Jer.-9 68 r, 17—20 b.

ებიეს>იეს / ია პროცესი შედეგია იმ ზმნებთან ანალოგიისა, რომელნიც I. თურმეობითის მწკრივისათვის II სერიის თემას იყენებენ. ამ ცვლილების შედეგად I თურმეობითის წარმოება დიდად გამარტივდა.

20. ძიებ ზმნური ფუძის ძებ ვარიანტის გაჩენის ქრონოლოგიისათვის

ძველ ქართულში გვაქვს ძი-ებ ზმნური ფუძე:

ვეძიებ ნაყოფსა ლეღუსა ამას შინა, ლ. 13, 7; არა ვეძიებ ნებასა ჩემსა ი. 5, 30; რასა ეძიებ, ი. 4, 27; ჰეროდე გეძიებს შენ მოკლვაჲ, ლ. 13, 31; რომელი ეძიებნ, პოის, მ. 7, 8 C, და სხვა.

XI საუკუნიდან ძებ (ი ხმოვანღაკარგული ვარიანტი) იჩენს თავს:

მითხარღა, მ კაცო, საქმართა და სიმდიდრესა ეძება, A-135 44 v, 2—3; რომელი-იგი სესხსა მას ეძებნ, იქვე 5 r, 6—7; ნუ თავს-იდებ, რაჲთამცა გეძებდა შენ იგი, იქვე 46 v, 7—8.

ძებ არის გაბატონებული „ევფხისტყაოსანში“, საშუალი ქართულის სხვა ძეგლებში.

როგორც ჩანს, ცოცხალ მეტყველებაში ფონეტიკური ცვლილების შედეგად ძებ ფუძე გაბატონდა, რომელიც XI საუკუნიდან სალიტერატურო ენის ძეგლებშიც აისახა.

21. ზოგი ზმნის II სერიის მწკრივთა წარმოებისათვის

ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როცა ზოგი ზმნის II სერიის ფორმები სახელზმნას, კერძოდ, საწყისს ემყარება:

შობეს ნაშობნი, შატბ. კრებ. 280 r, 3 a;

შობეს ზმნური ფორმა ნეოლოგიზმია. ძველი ქართულის ნორმაა შ ვ ა, შ ვ ნ ე ს და მისთ. ფორმები:

აბრაჰამ შ ვ ა ისაკი, მ. 1, 2; რომელთა არა შ ე ნ ე ს, ლ. 23, 29, და მისთ.

X საუკუნიდან გვხვდება სძლია, სძლიოს და მისთანა ფორმები (შდრ.: ძ ლ ე ვ ა ი):

წ უ ე ე ტ ი ლ ი

სძლია მას ჩუეულებითა ძილისადთა, ეფრემ ასურ. სწავლ. 15 v, 3—6 a; უაღრესმან მან სძლია, Ath.-32 194 r, 21; ძნელოანთა მათ სატანჯველთა მოთმინებითა სძლია, იქვე 272 v, 2—3; მესამედ კუალად ძეთა ამონისთა სძლია, A-135 181 v, 30; სძლია მათ და დასცნა, Jer.-32 97 r, 28—29 b; ვინადთგან უკუე სძლია, იქვე 97 r, 31 b; სძლია ამან ე ს ო დ ე ნ ძლიერად, Ost.-1 39 r, 9—11.

II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

რომელსა ვსძლიოთ გულისჴმის-ყოფისა მიერ, Ath.-32 188 r, 15; უკუეთუ გუძლიო, იქვე 258 v, 11; რომელთა სძლიონ, A-500 132 v, 18—19; ვეროდეს სძლიო, A-92 125 r, 5—6; რაჲთა გამომცდელსა მას სძლიოს, სილიბ. 24 v, 11—12, და მისთ. შდრ.: მან ბუნებასაცა ს ძ ლ ო, ეფრემ. ასურ. სწავლ. 16 v, 4—5 a; ს ძ ლ ო ვითარცა ღმერთმან, Ath.-32 194 v, 11; ახოვანმან მან ქრისტეს მჴედარმან ერთგზის ს ძ ლ ო მტერსა მას ყოველთასა, იქვე 274 r, 5—6; ს ძ ლ ო განსაცდელთა მათ, A-135 187 v, 7—8; ს ძ ლ ო კაცთმოყუარებამან ღმრთისამან, Ost.-1 39 v, 3—4 a.

ასევე შედარებით ახალია ებრძოლა, ებრძოლოს და მისთანა ფორმები:

ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუჱ, აგ. ძეგლ. 1, 81, 20—21 C; ესენი კრავსა მას ებრძოლნენ, იოვ. გამოცხად. 17, 14; გიხილე შენ, მაშაო, რამეთუ ებრძოლე ჩემთჳს ეშმაკსა, Ath.-32 24 v, 23; მრავალთა ღელვათა ებრძოლა, A-88 10 v, 26—27; მრავალთა ჴელმთა ებრძოლა მეფეთაცა მდევართა მართლისა სარწმუნოებისათა, Jer.-2 115 v, 18—19; თავადი უფალი ებრძოლოს ჩუენ წილ ვნებათა, A-500 80 r, 19—20; ესე ებრძოლა მეფესა მოაბისასა, გელ. ბიბლ. 174 v, 19—20; სიმონ მეფე ებრძოლა მოაბსა, იქვე 174 v, 23—24.

აქ∙ე შევნიშნავთ, რომ ამ ზმნის -ე პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები ნეოლოგიზმია:

ანგელოზნი მისნი ებრძოდეს მათ. იოვ. გამოცხად. 12, 7 ABC; რომელი-იგი ყოველთა ასოთა ებრძვის, A-1 149, 5; მტერი იგი ჩუენი დაუძინებელად გუებრძვის, A-88 39 v, 33—34 a; მსახურთა ეშმაკისათა ებრძვის, A-135 189 v, 17—18; ჰურიასტანი ებრძვის და სდევნის უფალსა, Jer.-12 96 r, 20; თქუენ არა გებრძვის, არცა რას გაგნებს, Jer.-3 92 r, 8; მე მებრძვის, გარნა ვერ მძლევს, A-445 107 r, 10; ვითარცა სხუასა არცა ერთსა ებრძოდა, Ath.-32 14 v, 23—24; ბრძოლასა შინა უხილავთა მათ შებრძოლთა ებრძოდე, იქვე 79 v, 16—17; პირისპირ ებრძოდა, A-135 182 r, 4; თუ ვინ ებრძოდის, ცთომასა შთაეარდების, A-88 149 v, 5—6 a, და მისთ. შდრ.: და მზირი იგი ისრაჱლისაჲ ჰ ბ რ ძ ო დ ა, ოშკ. ბიბლია 140 v, 12—13; მსახურნი იგიმცა ჩემნი ჰ ბ რ ძ ო დ ე ს, ი. 18, 36, და მისთ.

საწყისი არის ამოსავალი იცემა ზმნური ფორმისთვისაც:

ჴელნი, რომელნი მან დაპბადნა, მათგან იცემა, მამ. სწაელ. 151, 15.

ამ ფორმას ყურადღება ლ. ბარამიძემ მიაქცია (7, გვ. 88).

ჴე. -ამ და -ამ თემისნიშნიან გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოებაში მოხდარი ცვლილების დათარიღებისათვის

-ავ და -ამ თემისნიშნიანი გარდამავალი ზმნები I თურმეობითს ძველ ქართულში ასე აწარმოებენ: დ ა მ ი ხ ა ტ ა ვ ს, დ ა გ ი ხ ა ტ ა ვ ს...; ა ღ მ ო მ ი კ ი თ ხ ა ვ ს, ა ღ მ ო გ ი კ ი თ ხ ა ვ ს...; მ ი ნ ა ხ ა ვ ს, გ ი ნ ა ხ ა ვ ს... და ა. შ.

სხვა ტიპის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში -ოეს დაბოლოება -ია დაბოლოებით ადრევე შეიცვალა (იხ. ზემოთ).

ზ. ჴუმბურიძე, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა (80) უძღვნა -ავ და -ამ თემისნიშნიან გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის დაბოლოების შეცვლის ისტორიას, წერს: „საშუალი ქართულის ადრეულ საფეხურზე I თურმეობითის -ია დაბოლოება -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებშიც იჩენს თავს. უძველესი ნიმუშები ამგვარი წარმოებისა ჩვენ მოგვეპოვება „ვეფხისტყაოსანში“. ბუნებრივია, პოემაში ძირითადად ძველი ნორმაა დაცული, ე. ი., -ავ და -ამ თემის ნიშნები პირველ თურმეობითში შენარჩუნებულია: მაგალითად: „სიკვდილამდის ვის მ ო უ კ ლ ა ვ ს თავი კაცსა გონიერსა“, (1191, 3); „რა უ თ ქ ვ ა მ ს, რა მ ო უ ჩ მ ა ხ ა ვ ს, რა წიგნი მოუწერია“ (1090, 4); „წ ა გ ი კ ი თ ხ ა ვ ს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ“ (791, 1). ასეთივე ფორმებია პოემაში: შემიფიცავს, მომიკლავს, მომინახავს, მინახავს, გინახავს, უნახავს, შეუკრავს, დაუწინდავს, დაუბამს, დაუსვამს, მითქვამს, გითქვამს, უთქვამს, გვითქვამს,

მინახვან. უნახვან. გვისვმან, წაუხვმან ... ამათგან ზოგიერთი რამდენჯერმე გვხვდება: მინახავს (7-ჯერ), გინახავს (5-ჯერ), უნახავს, მითქვამს (4—4-ჯერ), გითქვამს (3—3-ჯერ) და სხვა. სულ ამგვარ ფორმათა რიცხვი „ქეფხისტყაოსანში“ 50-მდე აღწევს.

მაგრამ ამათ გვერდით პოემაში გვხვდება -ავ-იან ზმნათა I თურმეობითის ახლებურად წარმოების მაგალითებიც: ზმნას თემის ნიშანი არ ახლავს და -ია დაბოლოება აქვს. ასეთია სულ ორი მაგალითი: დ ა მ ი ს ა ხ ი ა (შენი ჭვრეტა და სიახლე ლხინადვე დ ა მ ი ს ა ხ ი ა, 108, 2; შდრ.: რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დ ა მ ი ს ა ხ ა ვ ს, 657, 1) და დ ა გ ი თ ე ს ი ა („მე მარგალიტსა მოგიმკი, თქვენ ქვრიმი დ ა გ ი თ ე ს ი ა. 1219, 3).

ორივე სიტყვა სტრიქონის ბოლოსაა და სარითმო ერთეულებს წარმოადგენს. ამიტომ მათი შეცვლა ან ფორმის „შესწორება“ შეუძლებელია. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვები სწორედ ამ ფორმითაა წარმოდგენილი ყველა ხელნაწერში. არავითარ ეჭვს არ იწვევს აგრეთვე იმ სტროფების რუსთველურობა, სადაც ჩვენთვის საინტერესო ფორმებია წარმოდგენილი. ეს სტროფები პოემის განუყრელი ნაწილია, გვხვდება ყველა ხელნაწერში (თუ დეფექტური არ არის) და ყველა გამოცემაში. მაშასადამე, უდავოა, რომ დ ა მ ი ს ა ხ ი ა და დ ა გ ი თ ე ს ი ა რუსთველისეული ფორმებია“ (80, გვ. 29).

X—XI საუკუნის ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურდა ორი შემთხვევა, როცა -ავ თემის ნიშანი არ გადაჰყვება I თურმეობითში.

Sin.-46 ხელნაწერში (978 წ.) დასტურდება **დაუმარხიედ** ზმნური ფორმა:

დაუმარხიედ ქალწულებაჲ მათი უფალსა ეიდრე სიკუდიდმდე, 261 v, 4—5.

დაუმარხიედ I თურმეობითია. -დ აქ მესამე სუბიექტური პირის ნიშანია. ზმნას მოუდის -იე დაბოლოება, რომელიც, ჩვეულებრივ, არ დაერთვის -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებს.

Jer.-73 ხელნაწერში, რომელიც ფსევდომაკარის თხზულებათა ქართულ თარგმანს შეიცავს, **დაუთესიან** ზმნური ფორმა გვხვდება:

რომელი **დაუთესიან** მტერსა, 51 v, 9 (გ. ნინუას გამოცემაში: 196, 5 B).

მოსალოდნელი იყო: **დაუთესვან** ფორმა, რომელიც სხვა ხელნაწერში (გ. ნინუას გამოცემის D ნუსხა) გვხვდება კიდეც.

მართალია, -ამ თემისნიშნიან გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში -ია დაბოლოება ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ -ავ თემისნიშნიან ზმნებთან მისი დადასტურება უდაოდ მოწმობს **მითქვია, დამიბია** ფორმათა ცოცხალ მეტყველებაში არსებობას.

ამრიგად, უკვე XI საუკუნეში -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები I თურმეობითს ცოცხალ მეტყველებაში ასე აწარმოებდნენ:

1. დ ა მ ი თ ე ს ა ვ ს || დ ა მ ი თ ე ს ი ა
2. დ ა გ ი თ ე ს ა ვ ს || დ ა გ ი თ ე ს ი ა
3. დ ა უ თ ე ს ა ვ ს || დ ა უ თ ე ს ი ა

1. დ ა მ ი ბ ა მ ს || დ ა მ ი ბ ი ა
2. დ ა გ ი ბ ა მ ს || დ ა გ ი ბ ი ა
3. დ ა უ ბ ა მ ს || დ ა უ ბ ი ა და მისთ.

-ი› დაბოლოების გავრცელებას -ავ და -ამ თემის ნიშნიანებთან ა. შანიძე ანალოგიით ხსნის (66, გვ. 436).

-ია დაბოლოება ფართოდ არის გავრცელებული საშუალ ქართულში, ქართული ენის დიალექტებში, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში (60, გვ. 30—36).

§3. მესამე ხოლმეობითი

ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია XI—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში არსებულ ზმნურ ფორმებს: **განევლიან, ბრძოლა-ეცის, ებრძანის** და მისთ. მკვლევარმა ისინი III ხოლმეობითად მიიჩნია. ა. შანიძე წერს: „სხვათა შორის XI—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გვხვდება ერთი იშვიათი მწკრივი, რომელიც აქამომდე შეუმჩნეველი იყო" (60, გვ. 2).

ა. შანიძემ 11 ზმნა დაიმოწმა ამ მწკრივის ფორმით. დ. გეწაძემ X—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ამ მწკრივის ხმარების შვიდი შემთხვევა დაადასტურა (12, გვ. 186—187).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ჩვენ გამოვავლინეთ ამ მწკრივის გამოყენების რამდენიმე ათეული შემთხვევა. ჩვენი მასალების მიხედვითაც, ამ მწკრივის ფორმები წერილობით ძეგლებში X საუკუნიდან გვხვდება:

რომელსა არარაჲ **ეშრომის**, არამედ უშრომელად მიიღის პატივი იგი, Ath.-32 17 r, 8—10; A-1 296, 22—23; რომელსა ფრიად **ეწუართნიან** სიტყუანი იგი საღმრთონი და ფრიად **დაემორჩილნიან** კორცნი სულისადა, Ath.-32 17 r, 19—21; A-1 297, 6—9; თქუას: „აჰა ესერა, ესე იგი არს, ვითარმედ: „არღა აღმესრულის ვედრებაჲ იგი, Ath.-32 107 r, 17—20; რომელმან სიმრავლითა განძღომისაჲთა ვერ შეუძლის მოდნობად, რაჲ-იგი **ეჯაჭის**, იქვე 202 r, 7—8; უცხონი თჳსად **შეერაცხნიან**, იქვე

220 v, 20; რომელთაგან მიელის პატივი, მათ ზედავე მძჯნვარებდიან, იქვე 236 r, 3—4; ზეაღიღო თავი ბრწყინვალებითა. ვითარცა მკედარმან, რომელსა ეძლიის ერისა ფრიადისადა. იქვე 261 r, 8—9;

ფარულად ბევრნი ბოროტნი ექმნიან, ათ. ასკეტ. კრებ. 219 r, 8—10 b; მრავალთა ექმნიან პირველად საქმენი რაიმე, იქვე 220 v, 5—7 a; და თუ რაიმე აკლს ლოცვაი, ვითარცა დიდი ცოდვაი, ეგრე შეერაცხის წინაშე ღმრთისა. პარხლ. მრავალთ. 339 v, 20—21 a; ანუ თუ იქმნის საქმე იგი, სახითა რაითმე ეცნის, ანუ ასმიოდის რაიმე სხუასა აღგილსა მისთჳს, ანუ ენახის და, ვითარცა მანქანათა, ეცნის, კლემაქს. 26 v, 23—26; A-445 15 v, 8—9; A-134 24 r, 22—23; რომელთა ყოვლადვე არა ეხილის გემოი თაფლისაი, კლემაქს. 164 v, 1—2: მარადღე ესრეთ ვჰგონებდით, თუ შევსძინებთ ტჳრთსა ცოდვათა ჩუენთასა და ჩუენ უცნაურად განგუებნიის იგი, იქვე 165 v, 21—23; ვიდრეღა ერთი არა აღეზარდის, სხუაი შვის, A-135 50 r, 3—4; ვიდრეღა მიღებული იგი არა გარდაეჯადის, სხუაი სხჳსა ზედა მოიგის, იქვე 52 r, 12—13;

ყოველთა შეწევნაი სცის. რომელთა თავნი თჳსნი შეეწირნიან მისა, იქვე 235 v, 1: და უძრულისა მისგან, რომელსა არა ევნის მისდა, პირი გარემოიქციის. A-92 115 v, 12—13: რაითა არა ხედვიდენ წყლულებასა მას ანთა მთთასა და უმძიმესი იგი ბოროტი უსუბუქესად შეერაცხის, იქვე 119 v, 6—11: ხოლო გარემოეცვნიან იგინი სიმრაელესა ერისასა, სწყალობდიან სიტყჳთ ოდენ, იქვე 117 r, 12—14; A-1 650, 18—19; არა ვიგონებდით მათ, რომელნი-იგი სრულიად უგულებელს-გუეყვნიან, Jer.-14 302 r, 3—5 b; აქებდიან სიმჯნესა მისსა, დაღაცათუ თჳთ არა ეხილვის იგი, Jer.-3 140 r, 18—20; მოეგის ხუთი ლიტრაი ოქროჲსაი და ჰგონებს, ვითარმედ ასი ლიტრაი მოუგია, Jer.-73 147 v, 23—24; იგი ვინმე წარჩინებულ არს მონაგებთა სიმდიდრითა და გარემოეცვის იგი სიმრაველესა მლიქნველთასა, ექუს. დღ. 51, 33; იცნის გზაჲ, რომელი-იგი წარევლის, იქვე 91, 26—27; რომელსა ეჭორწინის, მსგავს არს ჴელითა და ფერჴითა შეკრულსა, A-445 17 r, 13—14; ნუ ემსგავსები მათ, რომელთა მკუდარნი დაემარხნიან და ოდესმე გოდებდიან მათ ზედა და ოდესმე სუმიდიან და დაითრევებოდიან, A-445 72 v, 9—11; A-134 68 v, 9—11; რაჟამს ვისდამე ფრიად ეგინის, A-445 88 r, 6—7;

ლოცვაი სძაგს და ხილვაი მკუდართაი, ვითარცა უსულოთა მათ ქვათა ხედვაი, შეერაცხის, იქვე 111 v, 4—6; A-134 96 r, 13—16: არა ოდეს მათგან, რომელთა ეხილნიან, არამედ თავთა თჳსთაგანცა ჰრცხუენინ საქმეთა მათთჳს, A-445 126 v, 1—3; A-134 106 r, 11—12; რომელთა ყოველადვე არა ეხილის გემოი თაფლისაი, A-445 221 v, 12—13; A-134 129 r 16—17: რაჲ-იგი აქუნ, ესრეთ შეერაცხის, ვითარმცა არა აქუნ, A-44 130 v, 1—2: მაშინ არარად შეგუერაცხნიან ჩუენ მიერ ქმნულნი ქველი საქმენი და მარადღე ესრეთ ვჰგონებდით, თუ შევსძინებთ ტჳრთსა ცო

:ვათა ჩუენთჳს, და ჩუენ უცნაურად განგუებნიის იგი, იქვე 223 r, 8—9; A-134 134 r, 21—25; გემოჲ სიტკბოებისაჲ ღმრთისაჲ არა ეხილიხ მოწყინებითა, A-445 284 v, 3—6; A-134 173 r, 24—25; ყოველი მასწავლელი დღითი დღედ ეძიებს ყრმისაგან წარმოთქუმად, რაჲ-იგი ესწავლის, A-445 294 v, 19—20; A-134 181 r, 17—20: მიზეზობნ გულისჴმის-ყოფით ქმნასა მეტყუელი იგი ტყუილისაჲ და სიმართლედ შეერაცხის წარწყმედაჲ სულისა თჳსისაჲ, A-134 87 r, 15—16; რაჲთჳმცა ვიჩემებდით წინაშე კაცთა სათნოებათა, რომელნი არა მოგუეგნიან, იქვე 119 v, 14—15.

ოთხთავის ერთი ადგილი (მ. 25, 26) პარიზის ლექციონარში ასეა წარმოდგენილი:

მოვიმკი, სადა არა დაჲმეთესის და შევიკრიბი, სადა არა განმებნიის, 168 v, 2—5 b; შდრ.: მოვიმკი, სადა არა დავსთესი და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიენ C; განმიბნევიედ DE.

შესლვასა მუნ, სადა-იგი თჳთ არა ეშრომის, არცა რაჲ ეჭადაგის, თარგმ. კათ. ეპისტ. 163, 9—11 b: იგი დღე სხუათა კეთილად წარევლის, იქვე 276, 8—10 a; ყოველივე შეურაცხ-ჴყვით და სანატრელად შეგუერაცხის, A-1104 107 v, 4—6; შეუნდვის მას, უკუეთუ რაჲ შეეცოდის, იქვე 285 r, 4—5; წარმოუდგიან სულსა საქმენი მისნი, რაოდენი ექმნის, იქვე 288 v, 10—12; ხედვიდიან, რაჲ-იგი არაოდეს ეხილვის, A-162 91 r, 2—3 a: პაულეცა მოციქული მიუთხრობს სიტყუასა მოციქულთა, ვითარ ეჭადაგის სახარებაჲ, რნ ებისკოპოსთა მიმართ 554, 11—12; ვითარცა თითოეულსა ეპოის, ესრეთ დადგებოდა და ძოვდა, იქვე 556, 1—3; მოიმკის, სადაცა-იგი არა ეთესის, სეტყჳსათჳს, 626, 8: უძლურისა მისგან, რომელსა არა ევნის მისდა, პირი გარემოიქციის, გლახაკთმოყუარებ. 647, 23—24; რომელი-იგი წყალსა აღმოასხამს, არს კაცი, რომელსა ექმნის კეთილი საქმე, მამათა ცხოვრ. 392 r, 11—13; მათ ღმერთშემოსილთა გამომთქუმელთა იგიეე დაეწერის, არა უცხოჲ შეექმნის, Jer.-98 (83, გვ. 159—160): ჩუენ რაჟამს-იგი ერთი რაჲმე მცნებათაგანი გუეგონის, თუ აღგჳსრულებია, არა ვიტყჳ, თუ აღგუესრულის, ითიკა 84 v, 14—16; მოგაგონებდიან ხატთა მათ, რომელნი-იგი გენახნიან ოდესცა, ანუ რომელი-იგი თჳთ მათვე ეჩუენის შენდა ძილსა შინა, იქვე 103 r, 21—23; ხედვიდიან, რაჲ-იგი არაოდეს ეხილვის, სარწმ. დაძინებ. 91 r, 2—3; აღმოიკითხიან მას შინა წერილი იგი, ვისდაცა მიეწერის, S-382 148 v; არა შეხებულ იყო მათდა ცეცხლი, არცა შეეწუხნის იგინი, Jer.-37 11 r, 1—2; უდაბნონი უშენნი სოფლად თჳსა შერაცხილ იყვნეს მის მიერ, უკუეთუ ოდენ ეპოვნიან მუნ, იქვე 77 v, 3—5 a; შეპყრობილთა მათ თანა იყო ზემოჴსენებულიცა ესე კაცი ფილოსოფოსი, ამისთჳს შეპყრობილთა მათგანი, რომლისაცა ფასი არა ვის მოეცის, იქვე 256 v, 2—7 a; იგივე დღე სხუათა კეთილად წარევლის, A-390 65, 19—20 b; რომელსა-იგი ყოვ-

ლადვე არა **ეხილვის** ესევითარი მადლი, Ost.-3 79 r, 14—15 a: არარაჲ უნაკლულეს ხედვენ მათსა. რომელთა-იგი მზისთუალისაჲ შეეკერებიან თუალნი. იქვე 138 r, 11—14 a: რაოდენცა ვის ფარულად **ექმნის**, ანუ თუ ეთქუის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ქ. ცხ. 394, 17—18: ნუ-უკუედა ვინმე აღვიდის ბორცუსა ზედა რასმე გზისა მახლობელსა, ანუ კლდესაჴ. გინა თუ ხესა. ვითარცა ზაქე; უკუეთუ ოდენ **ეპოვის** ესევითარი რამე. იქვე 393, 8—13.

საინტერესოა **შეერაცხინ** ფორმა, რომელიც A-1104 ხელნაწერში დასტურდება:

შეერაცხინ სოფელი ესე და ცხორებაჲ მისი უცხოდ გზად, 152 r, 15—17.

ა. შანიძე მიუთითებდა, რომ მან III ხოლმეობითის ფორმით მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნები გამოაელინა (60, გვ. 11). ჩვენ მიერ მოხმობილ ნიმუშებში რამდენიმე გარდაუვალი (საშუალ-მოქმედებითი გვარი) ზმნაც არის: **ეძლიის, ეგინის, ეჭორწინის**, ერთი ზმნა ვნებითი გვარისაა: **ასმოდის**.

ა. შანიძე 1946 წელს აღნიშნავდა: „დასასრულ, უადგილო არ იქნება ეკითხოთ: უძველესი დროიდან მომდინარეობს III ხოლმეობითის ფორმები, თუ ისინი შემდეგ განვითარებულია უწყვეტლის ხოლმეობითის მსგავსად? რომ სწორი პასუხი გაეცეს ამ კითხვას, საჭიროა, ყველა მოღწეული ძეგლი იყოს შესწავლილი მწკრივთა ხმარების თვალსაზრისით. თუ სახარების ენაში არ გვხვდება აღნიშნული მწკრივი, ეს კიდევ არაფერს ნიშნავს, რადგან ძეგლი ნათარგმნია და ამის გამო იქ საზოგადოდ III სერიის ფორმები იშვიათია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძველ ქართულში მრავალგზისობის კატეგორია მკაფიოდ არის გამოხატული როგორც I, ისე II სერიაში, არავითარი საბუთი არა გვაქვს, დავეჭვდეთ, რომ ეს კატეგორია III სერიის მწკრივითაც შეიძლება ყოფილიყო გადმოცემული. ცოცხალ მეტყველებაში ალბათ ის ძველადაც მოიპოვებოდა“ (60, გვ. 10—11).

ზემოთ ჩვენ მიერ დამოწმებული მასალა უპირატესად ნათარგმნ ძეგლებშია მოპოვებული.

სავარაუდოა, ეს მწკრივი დამახასიათებელი ყოფილიყო ქართული ენის დიალექტთა გარკვეული ჯგუფისათვის. ეფიქრობთ, III ხოლმეობითი სამხრეთ საქართველოს ზოგ დიალექტშიც X—XIII საუკუნეებში არსებობდა. III ხოლმეობითის ფორმები გვხვდება იმ მწერალთა ნაწერებში. რომლებიც სამხრეთ საქართველოდან არიან (ეფთჳმე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე, შოთა რუსთველი . . .).

სხვა დიალექტებმა ეს მწკრივი უფრო ადრე დაკარგეს[1]. ალბათ ამით

[1] საინტერესოა, რომ ხევსურულმა შემოგვინახა ამ მწკრივის გადმონაშთი (78, გვ. 145; 3, გვ. 43).

აიხსნება, რომ III ხოლმეობითი არ დასტურდება V—IX საუკუნეთა ძეგლებში, აგრეთვე X საუკუნის ხელნაწერებში (გამონაკლისია: შატბერდის კრებული, Ath.-32, ათონის ასკეტიკური კრებული, პარხლის მრავალთავი).

სალიტერატურო ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, საშუალ ქართულში, ეს მწკრივი დაიკარგა.

24. III კავშირებითი თურმეობითების ფუნქციით

III კავშირებითის ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულში მომავალი დროის გამოხატვა იყო:

ყოველსა რომელსა დაეტეოს სახლი ანუ ძმ·ნი ... ასი წილი მიიღოს და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდროს, მ. 19. 29; ვიღრე არღა ეყივნოს ქათამსა, სამგზის უვარ-მყო მე, მ. 26, 75, და სხვა.

III კავშირებითი ძველ ქართულში საკმაოდ იშვიათია. მაგ., ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში III კავშირებითი მხოლოდ ერთგზის გეხვდება:

ხუეხილვო, ხანმ. ლექც. 062 ხ.

X საუკუნიდან წერილობით ძეგლებში დასტურდება III კავშირებითის ფორმები I, ან II თურმეობითის ფუნქციით (უფრო ხშირად, II თურმეობითის მნიშვნელობით). დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

რომელი-რაჲმე დამეკლოს, შემინდვეთ, Sin.-34 120 r; 143 v; შდრ.: რომელი-რაჲმე დაკლებაჲ მიყოფია, იქვე 133 v; რომელი-რაჲ დამიკლია, შემინდეთ, იქვე 208 r:

რომელი დამეკლოს, შემინდვე. Sin.-26 184 v: რომელი დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათჳს, H-2124 256 v: რაჲ დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათჳს, A-98 168 r: რაჲცა დამეკლოს, შემინდვეით, A-73 210 r: უკუეთუ ვისმე პირველად ეთარგმანოს, მეორედ თარგმანებული წინააღმდგომად გამოჩნდების, S-1141 256 r: იტყოდა მამაჲ მაკარი: ნუ დასწევები სენაკსა შინა ძმისასა, რომლისა ბოროტი ჰამბავი გესმინოს, ნოველები II 126, 1—2; თუ რაჲ დამეკლოს, გინა დავაკლო წაღმართ, სიყრმითგან არა მესწავა წერაჲ, შემინდეით. A-1103 131 v: შეგჳნდვეთ ღმრთისათჳს, რომელი დაგუეკლოს, იქვე 117 v;

მი-რაჲ-ხჳდოდე, ქრისტე, ბეთანიას, წარაელინენ ორნი მოწაფენი მოყუანებად კაცჳსა, რომელსა აპრაენ დაჯდომილ იყოს. პარიზ. მარხვ. 172 v, 17—19; თუ რაჲ განმერუნჳნას, შემინდვე, Ath.-55 216 r; ვერ შეესაძლებელ არს დავიწყებაჲ საქმეთა კეთილთაჲ, რომელნი ექმნენ კაცსა, Jer.-12 27 v, 31—28 r, 1; სიტყუაჲ თანა-გუაც მიცემად სიტყუათათჳსცა და საქმეთა ცხორებასა მას, რომელსა მისლვად ვართ და საყდარსა, რომლისა წინაშე წარდგომად ვართ, მოგებად საქმეთა ჩუენთაებრ, გინა თუ

კეთილი გუექმნას, გინა თუ ბოროტი, Jer.-32 53 v, 16—18 b; ცნით კაცობრივითა ცხორებითა ყოველნივე ცხოველ არიან, ურწმუნონიცა და რომელთა არა ეჯაშოს ჯორცისა მისგან მისისა, იქვე 69 v, 3—5 a; ყოველნივე მტერად შეურაცხიან. რომელთა არარაჲ ევნოს მისდა, იქვე 91 v, 23—26 a; რომელსა არაჲ ექმნას ბოროტი, იგი ნათელსა შინა ვალს, იქვე 106 r, 9—10 a; საშინელ არს სიკუდილი ფრიად, არამედ არა მათდა არს საშინელ, რომელთა ესწაოს ზეცისა სიბრძნე, რამეთუ რომელმან არა იცოდის საქმე ზეცისაჲ, არამედ ოდენ განხრწნად და განმაქარვებელად შეერაცხოს სიკუდილი, მას სამართლად ეშინის, იქვე 139 r, 16—20 a; რომელთა მოეგოს სიყუარული, განერებიან იგინი ენებათაგან, Jer.-73 34 r, 24: სული, რომელსა აქუნდეს მწყემსი კეთილი, მშჯდობით აღვიდეს ზეცად შეწევნითა ღმრთისაჲთა, უკუეთუ მორჩილ იყოს, დაღაცათუ მრავალნი ცოდვანი ექმნენ, Jer.-96 27 r, 23—27 v, 5; რომელსა მოეგოს სულისა წმიდისა მიერ მყუდროებაჲ, იცის მან თქუმული ესე, იქვე 40 v, 10—12; რომელსა ღმერთი არა ეცნას, ვითარცა ჯერ-არს, იგი დაყუდებასა შინა გამოუცდელ არს სრულიად, იქვე 42 r, 5—7; დაღაცათუ ყოვლითვე კიბე სათნოებათაჲ აღგევლოს, ცოდვათა შენდობისათჳს ილოცევდ, იქვე 49 r, 6—7; რომელსა ეხილვოს გემოჲ ლოცვისაჲ, მრავალგზის ერთისა სიტყუისა თქუმითა შეამწინკულის გონებაჲ თჳსი, იქვე 53 v, 16—19; მე უჴნებელობასა სხუად ვერად გულისჴმა-ვჰყოფ, გარნა ცად გულისა და გონებისა, რომელსა ყოველნივე ბრძოლანი ეშმაკისანი ნიავად შეერაცხნენ. უჴნებელი ჴეშმარიტი იგი არა, რომელსა ჯორცნი უჴნებელ და სრულიად უხრწნელ ექმნენ, ხოლო გონებაჲ დაბადებულთაგან აღეშაღლოს და ყოველნივე საცნობელნი მისდა დაემორჩილნენ და წინაშე პირსა უფლისასა სული თჳსი წარედგინოს, იქვე 56 r, 16—56 v, 2. რომელსა უფალი ღმერთი ვერ გულისჴმა-ეყოს ჯერისაებრ, იგი ჰაზრით იტყუენ, იქვე 63 r, 8—10; ესე მათ წაეკიდების, რომელთა საცნობელნი სულისანი არა სრულიად დაეჩუენენ განყოფად კეთილისა ღა ხენეშისა, იქვე 69 r, 10—12; მოძღუარი იგი არს, რომელსა მოეღოს საცნაური წიგნი გულისჴმის-ყოფისაჲ თითითა ღმრთისაჲთა, იქვე 66 v, 11—13: რომელსა ესევითარი გულისსიტყუაჲ და საქმე, არა მოეგოს, იგი თუნიერ მორჩილებისა ვერ იხილავს პირსა ღმრთისასა, იქვე 83 r, 17—22: მჴიჩუენებლობაჲ მედგარ არს, ყოლით კერძოვე ღონისმეძიებელ, მოსჴრაფე შთაგდებად კაცისა, რომელსა არა მოეგონოს, იქვე 101 r, 18—21: მოედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და რომელთა ტუირთი მძიმე გეტჳრთოს. იქვე 119 r, 5—7; შდრ.: ტჳრთი მძიმე გეტჳრთა. ი. 11, 28 CDFG: უკუეთუ ვიხილით მტერი ჩუენი კეთილსა შინა, განვიმშჯუალნით მწუხარებითა, ვითარცა მუსრითა, და უკუეთუ მწუხარებასა შინა ვიხილით, მხიარულ ვიქმნით და გუიხარიან და გუეშინინ, ნუუკუე

კეთილი მოეგოს მას, იქვე 127 r, 17—21; ნეტარ არს, რომელმან თავსიდვას დევნაჲ და ჴირი და შეურაცხებაჲ სარწმუნოებისათჳს ღმრთისა თჳსისა, რამეთუ მოეგოს მას მრჩობლი მოსაგებელი, იქვე 151 v, 24—152 r, 3: რომელი დამეკლოს, შემინდევით, Sin.-19 107 v; 262 r; რომელი დამეკლოს, შემინდევით, იქვე 199 v; 278 r; თუ რაჲ უცნობობით დაგუეკლოს, შეგჳნდეთ, H-1727 1 r; საგონებელ არს, ნუუკუე ქრთამიცა წარეგოს ჰურიათა დღეთა მათ შინა, Jer.-16 187 v, 18—21; ცნობად საპოვნელ არს, რომელსა შეურაცხ-ეყოს საწუთოჲ საუკუნოჲსა მისთჳს, იქვე 236 v, 9—11; მეორე მწყობრ არიან მამანი, რომელ არიან მოხუცებულნი, რომელთა წარევლოს ჰასაკი საღმრთოდ ზრდილობისა. და მიეღოს სრულებაჲ ჰასაკსა შინა მრავალჟამეულისა საღმრთოდ მოქალაქობისა, იქვე 257 v, 13—16; რომელი ეგოს მას ზედა, რომელი მიეღოს, ესევითარი იგი დღითი დღე წარემატების უმჯობესისა მიმართ. იქვე 272 r, 18—19; ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან, დაღაცათუ ცოდვაჲ რაჲმე ექმნას, მო-ვე-ეტეოს მას, იქვე 226 r, 7—10, და მრავალი სხვა.

ზემოთ მოყვანილი ნიმუშების გვერდით უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა მცა ნაწილაკი თურმეობითის ფორმასთან უფუნქციოა (კონტექსტის მიხედვით იგულისხმება თურმეობითი და არა კავშირებითი, ამდენად, მცა ნაწილაკი არც უნდა ყოფილიყო):

ჴმობდა ჯოჯოხეთი: ნეტარ, თუმცა არაჲ მეხილვე შენ,. პარიზ. მარხვ. 177 v, 30—31; უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ, მკსნელო არაჲმცა მომკუდარ იყო, იქვე 178 r, 15—16: შდრ.: არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი, ი. 11, 21; უმჯობეს იყო ჩემდა, თუმცა ყოვლადვე არაჲ შთამენთქა მე უბრებად ლაზარე, იქვე 180 r, 9—10: უმჯობეს იყო შენდა ყოლად, თუმცა არაჲ შობილ იყავ, იქვე 202 r, 31—32; გინა თუმცა ერთსა აღეწერა ყოველივე, მეტიმცა იყო და არად საჴმარ, Jer.-12 5 v, 31—6 r, 1; უკუეთუმცა ქალწულისანი წარმოეთქუნეს, წინააღუდგებოდა შჯულსა, და უკუეთუმცა იოსებისნი დაედუმნეს, ვითარმცა გუეცნა, თუ დავითის ტომისაგან იყო, იქვე 18 r, 10—14; არა უმჯობჱს იყო, რაჲთამცაჲ სრულიად განუთხოველ იყო, ვინაჲთგან უთესლოდ ეგულებოდა შობაჲ ქრისტჱსი. იქვე 21 v, 17—19; როთს უკუეთუმცა არა დაეტევა სახლი თჳსი და ნათესავნი და ყოველივე მამული, ეერმცა მიმთხუეულ იყო ესევითარსა მას მეუღლესა, იქვე 26 v, 2—4; უმეცარნი იყვნეს, და უკუეთუმცა ძილსა შინა ეხილვა, არადმცა შეერაცხა ხილვაჲ იგი. იქვე 40 r, 13—15; ენება, რაჲთამცა თჳთ ეცნა თჳსი უპრულებაჲ, Jer.-32 127 r, 29—30 a; ჰნებაჲს ჩუენებად, ვითარმედ უკუეთუმცა ეთქუა, თუ ესე არს ნებაჲ ჩემი, შეურაცხ-მცა-ეყო სიტყუაჲ მისი, იქვე 65 v, 7—10 a; უკუეთუ სადამე იხილის პირისპირ, შეშფოთნის და შე-

ძრწუნდის. ვითარმცა ძუირი ფრიად შემთხუეულ იყო მის მიერ მისა. Jer.-96 126 v, 14—18; მოგუცნა ჩუენ კეთილნი და საშუებელნი, რომელთა არა ღირს ვიყუენით. დაღაცათუმცა ნებაჲ მისი ყოველი აღგუესრულა, იქვე 179 v, 23—180 r, 1: უკუეთუმცა ჰვნებოდა რაჲმე. ანუ მოკლულ იყო იგი ჰურიათაგან, ვერ განერებოდა იგი პატიჟსა მეფისასა. იქვე 179 r, 12—16 b: ამისთჳს განრისხნა ფესტოს. ვითარმცა ჴნებოდა რაჲმე პაელესგან, იქვე 194 v, 9—11 a: ერი მრავალი იყო მის თანა და ერთისა ჴელნი ვერ კმა-ეყოფვოდეს მათ, დაღაცათუმცა ჰჭონებოდა ჟამი და სიმარჯუე საქმისაჲ, იქვე 202 v. 8—13 a, და მისთ.

ზემოთ დამოწმებული მაგალითები ადასტურებენ იმას, რომ მცა ნაწილაკი თავის თავდაპირველ ფუნქციას კარგავს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მცა ნაწილაკის გამოვლენა კავშირებითი კილოს ფორმასთან:

რომელმანმცა უსწროს, მისიცა იყოს დღე იგი, Jer.-96 11 v, 9—10.

მცა ნაწილაკის ფუნქციის დაკარგვის მაჩვენებელია აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როცა იგი წყვეტილის ფორმას დაერთვის და კავშირებითად ვერ აქცევს:

რაჲ-იგი ვყავ, არა უარ-ვყო: ძელსა აღუდევ და ქვანიცა დაიწუნეს. ეგევითარნი არიან ღმერთნი ეგე თქუენნი, რაჲთამცა ცეცხლი მათ ეუფლა, Q-240 56 v, 1—6.

III კავშირებითის თურმეობითის ფუნქციით გამოყენება დამახასიათებელია რაჭული კილოსათვის, მაგრამ სხვა დიალექტებშიც (ცახური, ინგილოური) გვხვდება (77, გვ. 235—236).

შ. ძიძიგურმა აჩვენა, რომ მსგავსი ფაქტები დასტურდება საშუალ და ახალ სალიტერატურო ქართულშიც (77, გვ. 236).

III კავშირებითის თურმეობითების ფუნქციით გამოყენება სათავეს ძველი ქართულიდან (X ს.) იღებს.

§5. შუალობითი კონტაქტის გამოხატვისათვის

გარდამავალ ზმნათა კაუზატივს (შუალობით კონტაქტს, როგორც ა. შანიძე უწოდებს, დისტანტურ-კაუზატიურ ზმნურ მნიშვნელობებს, როგორც ი. გეწაძე, ვ. ნედიალკოვი, ა. ხოლოდოვიჩი მიიჩნევენ) ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ა- -ი და ა- -ევ კონფიქსები გამოხატავენ. ა- -ი შედარებით იშვიათია, ა- -ევ საკმაოდ ხშირი:

ა- -ი: დავაწერიე სულიერსა ძმასა ჩემსა, იოანე ოქროპ. ცხორ. 255 v, 18—19; მან დამაწერია მამასახლისობასა მისსა, Ath.-30 429 r; თუ რას მაწერიებდე, Sin.-6 1 v, 21 (ანდერძი);

ხოლო მან თაყუანის-აცემია იგი, ცხორ. სტეფანე ახლ. 87, 32 b—8ε 1 a: ხოლო მე შევიდე და აღვძრა ერი და მოვაკლვიო იგი, იოანე ღმრთისმეტყ. 129 r, 1—2; ვინცა ვინ რაჲთაცა არგოს და შეამოსიოს, იქვე 156 r, 12—14.

როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, ზმნა კი II სერიის რომელიმე მწკრივში, ა- -ი კონფიქსს დაერთვის პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი -ნ სუფიქსი:

ტაძარი კერპთაჲ განვაღო და თაყუანის-ვაცემინე მას ყოველნი კაცნი, იოანე ოქროპ. ცხორ. 171, 17—19 a; ჴსენებამან სიკუდილისამან უვარ-აყოფინეს კორცნიცა, A-134, 109 r, 21; 131 v, 3—4; ესე იადგარანი დაჭხრეკილანი თეოდორე პალავრელმან დაყუდებულმან დამაწერინა ცოდვილსა მე, სჯმეონს, Sin.-40 253 r.

ზოგჯერ ასეთ ფორმებში ა- -ინ კონტაქტის მაწარმოებელს გამრყოფენ (23, გვ. 118), რაც არაა სწორი.

ა- -ევ: წინაწარმეტყუელი იყო დავით და მას იტყოდა, რომლისაცა (!) სული ათქუმევდა, ათონ. მრავალთ. 20 v, 7—8 a: რომელსაცა სული ათქუმევდა, პარხლ. მრავალთ. 43 v, 23—25 a: რომელი აქმნევს მათ ეშმაკი ბოროტსა, ეპოკრ. მიმოდ. მოციქ. 35, 31—32: ხოლო ნაყროღანსა მონაზონსა აქმნევს ეშმაკი ზედაისზედა ტაბლათა და ხადილთა, Ath.-21 213 v, 19—21: მიეალთ და აღვაშფოთებთ მონაზონთა და ვაქმნევთ ცოდვასა, მამათა ცხოვრ. 359 v, 4—7 a; არა ნეფსით იქმს ამას, არამედ ეშმაკი აქმნევს შეწუხებასა ჩუენსა, იქვე 382 v, 9—12; რომელი არა თუ ცოდვასა ოდენ გუაქმნევს, Jer.-32 9 r, 12—13 a: რომელნი-იგი მცირითა დ უნდოჲთა ფასითა აქმნევენ კაცთა გლახაკთა, Jer.-16 224 r 29; ყოველნიცე ეშმაკნი პირველ გონებისა დაბნელებად ისწრაფიან და მერმე, ვინაჲთგან გონებაჲ დააბნელონ, რაჲცა ენებოს, აქმნევენ. რამეთუ უკუეთუ გონებისა თუალნი არა დაიყუნენ, ვერ წარიპაროს საუნჯე იგი. და უფროჲს ყოველთასა სიძვისა ეშმაკი იქმს ამას, რამეთუ მრავალგზის დააბნელის მან მთავარი გონებაჲ და აქმნევნ წინაშე კაცთასა და ათქუმევნ საქმეთა და სიტყუათა, რომელთა განცოფებულნიცა არა იქმან, A-445 126 r, 13—126 v, 1; რომელი აქმნევდა მას ცოდვასა, A-135 1, 14: ამისთჳს ათქუმევდა დედაკაცსა მას, Jer.-16 127 v, 1—2 a: მოიყვანნა ვირი და ვირი და რეცა სიცოფით აჴნევდა მათ ერთად, ელინთა ზღაპრ. 41, 4—5.

ა- -ევ მაწარმოებელი II სერიის მწკრივთა ფორმებში ა- -ი ვარიანტს გვაძლევს:

და ათქუმიეს ესეცითარი, Sin.-36 15, 4—5 a: და ათქუმია სიმგზის: ვიჴმნი შენგან, ეშმაკო, შატბ. კრებ. 235 v, 9—10 b: მაშინ დააჯერის მით და ათქუმიის ესეცითარი, სწავლ. იოანე ოქროპ. 48 r, 4—6: და მათითა პირითა აღმოათქუმია დიდებაჲ მისი, A-88 26 v, 11—13 a; უფალ-

მან უნებლიადთ კურთხევაჲ აღმოათქუმია, Jer.-16 277 v, 27: მოუწოდა ერთსა ყრმათა მათგანსა და წარმოათქუმია მას ყოველი. Jer.-3 186 v, 22—23; ბრძანა მოყვანებაჲ მისი ექსორიობისა მისგან და წარმოათქმია მან წინაწე მისა ზაკუეით სარწმუნოებაჲ მისი, Jer.-2 116 v. 4—6: და აქმნია გამოქანდაკებული. A|h.-21 248 v, 1—2; ესე ყოველი რაჲ აქმნია ბოროტმან მან მუშაკთა მათ თჳსთა, ათ. ასკეტ. კრებ. 13 r, 3—7; და აქმნია ლუსკუმაჲ ძელთაგან, ფებრონია 398, 19—20; ქრისტჱს მიმართ აქმნია მათ. S-407 1 r, 11—13 a: წარჩინებულთა ამის ქალაქისათა ე ვ დ ო ქ ს ი ო ს და სიმონიდის მაქმნიეს საქმე ესე, A-1103. 198 v. 24—28 b: მაშინ გუებრძოდიან ეშმაკნი, რაჲთამცა ვთქუთ რაჲმე, ანუ: ექმენით ბოროტი, რაჟამს-ეგე ვერ გუაქმნიიან, მაშინ ფარულად მოგჳკდიან. A-445 251 v, 17—20: ეეედრებოდა, რაჲთა შეაქმნიოს სართული რკინისაჲ, A-397 221 v, 13—14: და შეაქმნია მან ჯუარი ოქროისაჲ, Jer.-156 87 r, 6—7; ასრინა კაბარჩნი თჳსნი ეშმაკმან, ათონ. მრავალთ. 175 v, 6—7 b: მოვიდა ესჳ დედოფლისა დედაკაცი და შემასმინა და მაზღვია მაგის მაგიერ ასი ლიტრაჲ ოქროჲ, იოანე ოქროპ. ცხორ. 132 r, 17—19.

ა- -ევ კონფიქსი უნდა ვიეარაუდოთ შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლად გარდამავალ ზმნათა I სერიაში ისეთ ზმნებთან, რომლებიც II სერიის მწკრივებში მხოლოდ -ა პრეფიქსს გამოაღენენ:

ეკლისა გჳრგჳნი დაადგეს და შეკრულსა ქალაქი ყოველი გარემოავლეს, A-193 7 r, 24—25: მერმე განშიშულებულსა მოავლეს ქალაქი, იქვე 61 r, 2—3; 83 r, 2—3; განავლო მათ ზღუაჲ მეწამული ფერჳითა, Jer.-3 7 v, 16—17; რომელმან ყოველთა მორწმუნეთა საცნაურსა მას ზღუასა შინა უვნებელნი ალაგნი განავლნა მადლითა ქრისტჱსითა. იქვე 202 v, 21—23; განმავლო მდინარე და კბილპყრობით მივაქუნდი, Jer.-36 6 r, 21—22 a; უპყრა ჴელსა ერისანა და განავლე უდაბნოჲ იგი, A-445 325 r, 2—3; წარიტაცა და შეავლნა მას ბჳნი ჯოჯოხეთისანი, ათონ. მრავალთ. 224 v, 19—21 b.

ამგვარი წარმოება ძველი ქართულისათჳს დამახასიათებლად ვერ ჩაითვლება. ე. ჴეურქოვა, რომელიც ფიქრობს, რომ „რაოდენობრივად ეს წარმოება გაცილებით სჭარბობს პრეფიქსულ-სუფიქსურს" (11, გვ. 104), არ განარჩევს კაუზატივსა და კონტაქტს (დისტანტურ-კონტაქტურ მნიშვნელობას): დაგამორჩილა კაუზატივია, იგი არ ემთხვევა შუალობით კონტაქტს. ამ ზმნის შუალობითი კონტაქტის ფორმა იქნებოდა: \ დაგამორჩილებია.

უკვე ძველ ქართულშივე კონტაქტისეული -ევ მაწარმოებელი საწყისისა და მიმღეობის ფუძეში გამოვლინდება:

თავისუფალი ერი დაიმონა და ალიზისა ქმნევითა სტანჯვიდა, A-445 347 r, 1—3; არა კეთილ-უჩნდა იძულებით ქმნევაჲ კეთილისაჲ, A-129 224 v, 23—25 a; ძლით შეუძლეს სიტყუასა აღმოთქუმევად მისსა,

Jer.-151 132 v, 9—10; ძმრისა და ნაღლისაცა სუმევაჲ გუასმიეს, A-162 118 v, 14—15 b; ამას თანა დაწერაჲცა უბრძანა წყევისაჲ და აღკოცაჲ წყლითა და შესუმევაჲ წყლისაჲ მის დედაკაცისაჲ, Q-1152 110 r, 17—20 (კომენტ.); არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა, ვეფხისტყ. 244, 1: ძმის ყოვლისა მაქმნეველ არს ერთი და იგივე სული, და არა თჳთ მოქენე, რაჲთამცა სხუამან ვინმე აქმნია მას ვითარცა მონასა, არამედ თჳთ სხუათა აქმნევს, Jer.-9 16 r, 9—12 a.

პირიანი ფორმები ზოგჯერ შუალობითი კონტაქტის ზმნის საწყისიდან იწარმოება:

რაჟამს-ესე ვერ გუაქმნევიან, მაშინ ფარულად მოგუიქდიან, Jer.-96 11 v, 21—22; ჰრქუა: მ მსაჯულო, ვითარცად ვერ ოდეს შემიძლო ე თანაზრდილისა მისგან და საყუარელისა ჩემისა ღმრთისმსახურებისა განყენებად, ვერცა ქრისტჱსაღმსარებლობისა უარის-ყოფად მიწოჲებად და ვერცა რაჲ სხუაჲ მაქმნევიო, Jer.-37 142 r, 1—8 a.

ვვარაუდობთ, რომ სწორედ ამ ტიპის ფორმები გახდა საფუძველი ა- -ე ვ-ი(ნ) კონტამინირებული წარმოებისათვის: მაქმნევინა, მათქმევინა და სხვა.

კლასიკურ ძველ ქართულში (V—X სს.) შუალობითი კონტაქტის -ინ მაწარმოებელი გარდამავალ ზმნებთან არ გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული ფორმები ან გვიანდელი ხელნაწერებით შემონახულ ტექსტებში დასტურდება (24, გვ. 118; 11, გვ. 101—102; 10, გვ. 241), ან მცდარი ანალიზის შედეგია.

ა- -ინ კონფიქსი გარდამავალ ზმნებთან XI—XII საუკუნეებიდან იჩენს თავს:

მოალებინა ნაგვეთაგან სკორე მყრალი, ბალავარ. 43, 7.
საკმაოდ გაერცელებულია ა- -ინ „ვეფხისტყოსანში“:

აწ ამას ჩემთჳს ღმრთისაგან სხვა საქმე რა ვამჯობინო?
ქალი შევიპყრა, მის ყმისა ამბავი ვამბობინო,
ჩემიცა ეუთხრა ყველაი, მართალი გავაბრჭობინო,
მას ყმასა ხმალი არა ეჰკრა, არცა მას დავასობინო,
230, 1—4 და სხვა.

ა- -ინ გვაქვს საშუალი ქართულის სხვა ძეგლებშიც:

„მეფემან ბაქარ შუამდგომელობითა ბერძენთ მეფისა და სპარსთ მეფისათა დააწერინა ჴელითწერილი, ქ. ცხ. 118, 10—12; არავინ ქართველსა სხუასა დაგაგდებინებ, სჯულსა ქრისტესსა, იქვე 134, 4—5: დიდმან თამარ მეფეთ-მეფემან გაალაშქრებინა მისსა ბედსა ზედა, იქვე 422, 12—14, და მისთ.

საშუალი ქართულის ძეგლებში გვხვდება ა- -ევინ კონფიქსიც:

ეგე ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ **მათქმევინო**, მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა **მოგაკვლევინო**, ვეფხისტყ. 242, 2—3; ბუკსა იკრას, **აქმნევიშეთ** ყოელი საქმე, ჩემგან ქმნილი, იქვე 170, 3; **გარდაათხრევინა** მთა ლიხისა, ქ. ცხ. 370, 6—7.

ბ. გიგინეიშვილმა გამოავლინა რამდენიმე ზმნა, რომლებიც კაუზატივის ენ // ინ მაწარმოებელს შეიცავენ: ესენია: **აღტყინება, აღდგინება, დაწვენა, შეშინება, მოკუდინება, წუენა, წუინება, დაძინება** (15, გვ. 66—74).

ა. შანიძის აზრით, კონტაქტის თავდაპირველ -ევ სუფიქსს შეიცავენ **ნთქმევა, სმევა, რთმევა, რქმევა, ცმევა** ზმნური ფუძეები (66, გვ. 406).

კაუზატივს (და არა შუალობით კონტაქტს) აწარმოებს ა- პრეფიქსი მრავალ ზმნასთან. დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

ურუთა ჰასმენს და უტყუთა **ჰატყუებს**, ჰაემ. ტექსტ. 378, 37; აწ მონასა თჳსსა **შთააყუანებს** ძალსა და მოსცემს ცხორებასა უფალი, სინ. მრავალთ. 163, 35—36: პირველისა მის იუდაისგან ერი **ვაცოდვე**, იქვე 242, 30—31; არცა სასუმელსა ნივთიერსა **ასუამს**, Alh.-32 29 r, 24—25; და სხუანი **აჴამებდეს**, Jer.-3 19 r, 4; ნუ თუალსა **ვასერებთ**, ნუცა ყურსა **ვანესტუჰბთ**, ნუ საყნოსელსა **ვადედლებთ**, ნუცა გემოჲსხილვასა **ვასიძვებთ**, A-52 162 r, 26, და სხვა.

ამ ტიპის ფორმები დაწვრილებით აქვს განხილული ე. გეურჩოვას (11, გვ. 104—105).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ ქართულში გვხვდება შუალობითი კონტაქტის აღწერითი წარმოება: **მოკლვად-სცემ, დადგმ დ-ვეც, წარკითხვად-სცა** და მისთ. (23, გვ. 114 და შმდ.). ვ. იმნაიშვილი თვლის, რომ აღწერითი წარმოება არის უპირველესი, რადგანაც იგი ქართულ წერილობით ძეგლებში უფრო ადრე იჩენს თავს (23, გვ. 115—116).

საფიქრებელია, რომ აღწერითი წარმოება უცხო ენათა, კერძოდ, ბერძნულის ზეგავლენით ჩაისახა (შდრ.: 23, გვ. 117—118). კონტაქტი საერთო-ქართველური მოვლენაა. საერთო-ქართველურ დონემდე სწორედ ორგანული (და არა აღწერითი) წარმოება აიყვანება. აღწერითი წარმოების პირველად გამოვლენა წერილობით ძეგლებში მისი უძველესობის საბუთი ამ შემთხვევაში ვერ იქნება.

ა

ჯი. ზოგი რთული ზმნის სინთეზურ ფორმათა წარმოების ქრონოლოგია

ძველი ქართული ენის ძეგლებში დასტურდება ზოგი რთული ზმნის უღლებაში მომხდარი ცვლილების ამსახველი ფაქტები. როგორც ცნობილია, ძველი ქართული ენის ნორმათა მიხედვით, პირის ნიშნები რთული

ზმნის ბოლო კომპონენტს დაერთვის. მაგ.: წინაჲსწარვმეტყუელებ, წინაჲსწარჰმეტყუელებ..., ღაღად-ვყავ, ღაღად-ჰყავ, ბრძოლა-ვყო, ბრძოლა-ჰყო და მისთ.

IX—X საუკუნეთა ძეგლებში გვხვდება ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ეს ფორმები აღარ გაიგება ართულ ზმნებად და ანალიზური წარმოება სინთეზური წარმოებით იცვლება.

ა) I და II პირების ნიშნები ბოლო ნაწილს კი არ დაერთვის, არამედ ზმნას თავში მოუდის:

რაჟამს ჰღაღატ-ყო მისა მიმართ, მამ. სწავლ. 145, 18—19 C; შდრ.: ღაღად-ჰყო B: ვღაღად-ყავ მე ჴმითა დიდითა, ჯავახ. აღწ. გვ. 198; მე ვღალატ-უავ ჴმითა დიდითა, ლატ. ლექც. 91 v, 24—25 a; ვღალატ-უავ, ჰილ.-ეტრ. იადგ. 30 v, 9; ვითარცა ავაზაკმან ვღალად-ყო, მცირე კანონი 280, 1—2 a; Sin.-37 279 v, 2 a; ხოლო მე ვღალად-ყავ, შატბ. კრებ. 227 V, 5 b: ვღალად-ყოთ ქრისტეს მეუფისა მიმართ, მარხვ. 39 r, 17: ვღალატ-ყოთ, პარიზ. მარხვ. 190 r, 15; ვიცი, ვითარმედ თქუენცა ჰღალატ-ყოთ, რნ ებისკოპოსთა მიმართ 576, 14—15, და სხვა. და ვწინაწარმეტყუელებდ, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან, მცირე კანონი 255, 12—13 b; 256, 11—13 a: რომელი არა უწყი, სწინაჲსწარმეტყუელებ, პარხლ. მრავალთ. 7 r, 19—20 b; ვწინაჲსწარმეტყუელებ, ვითარმედ მიიწიოსცა, S-383 285 r: უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაჲსწარმეტყუელებდით, Jer.-96 74 r, 21—22; 15 v, 23, და სხვა; შემძლებელ ვიყავ უფროჲს ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთასა მოყუანებად, არამედ ვსულგრძელებდ, მცირე კანონი 289, 22 b.

ზემოთ განხილული ართული ზმნების უღლებაში მომხდარ ცვლილებას მოწმობს კონტამინაციური ვღალად-ვყავ, ჰღალად-ჰყავ და მისთ. ფორმები:

ჴმასა მას ანგელოზისასა ჩუენცა შეუდგინოთ და ვღალატ-ვყოთ, სინ. მრავალთ. 20, 23—24; რაჟამს ჰღალად-ჰყო მისა მიმართ, მამ. სწავლ. 145, 18—19 A; შდრ.: ღაღად-ჰყო B: ვღალად-ვყავ და ვთქუ, მცირე კანონი 83, 3—4 b: ვღალად-ვყავ მე ჴმითა დიდითა, Sin.-46 88 r, 16—17; ღმრთისა ჩემისა მიმართ ვღალად-ვყავ, II მეფ. 22, 7 O; ვღალად-ვყავ, მოდრ. იადგ. 74 v, 37; 126 v, 8; ჩუენ, რომელთა ვღალატ-ვყავთ, ათონ. მრავალთ. 95 r, 8 b; რომელმან ჰღალად-ჰყავ, ეფრემ. ასურ. სწავლ. 239 r, 12—13 b: მთასა მაღალსა აღუვედით და ვღალატ-ვყოთ, სულისა წმიდისათჳს 795, 15; მოვალ შენდა ადრე და ვბრძოლა-ვყო მათ თანა, თარგმ. იოვ. გამოცხ. 2, 16 B: შდრ.: ბრძოლა-ვყო AC, და სხვა.

ამგვარ ცვლილებას გარკვეული კავშირი აქვს III სერიის ანალიზურ ფორმათა სინთეზურ წარმოებაზე გადასვლასთან.

ე. ზმნისწინთა სისტემაში მოხდარ ცვლილებათა ქრონოლოგიისათვის

ძველი ქართული ენისათვის ნორმადაა მიჩნეული ზმნისწინთა შემდეგი სისტემა: მი-; მო-; აღ-; აღმო-; და-; დამო-; გან-; გამო-; წარ-; წარმო-; შთა-; შთამო-; გარდა-; გარდამო-; უკუ-; უკუმო-; შე-; შემო-; წიაღ-; წიაღმო-.

ზმნისწინთა ამ სისტემაში მომხდარი ცვლილებები აისახება ძველი ქართული ენის აღრინდელ ძეგლებში:

აღ>ა

აღ>ა პირველად ხანმეტ ლექციონარში იჩენს თავს:

იხილა ლოდი იგი. აღებული კარისა მისგან საფლავისა, 061, 8—10.

რამდენჯერმე გვხვდება ა ჰაემეტ ტექსტებში:

თავი და დასასრული **ამინიშნავს**, 363, 6; აღდეგ, აიღე ცხედარი შენი, იქვე 371, 17—18; აიღო ცხედარი იგი, იქვე 371, 20—21; და აიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი, იქვე 379, 26—27.

ა საკმაოდ ხშირია IX საუკუნიდან:

სიმართლითა მშიერნი **ამაღლდეს**, სინ. მრავალთ. 14, 34—35; რომელმან **აჴოცნეს** ცოდვანი სოფლისანი, იქვე 32, 16; **შ**ი სიგლახაკეო და სიმდიდრეო ქუეყანისაო **აურაცხელო**, იქვე 38, 1—2; ბრმათა თუალნი **აუხილნა**, იქვე 50, 11; რომელმან **აჴოცნა** ცოდვანი კაცთანი, იქვე 52, 32: დაცემულთა ჴელის **ამპყრობელი**, იქვე 52, 37; რად უდებ-ჰყავ და არა **ახუედ**, იქვე 65, 37; შევიდე მათ და **აუვარო** უფალსა, იქვე 71, 7—8; გამოუთარგმანებ ყოველთა წიგნთა სიტყუასა უფლისა განკაცებისათჳს, ჭირებისა და **ადგომისათჳს**, იქვე 72, 6—8, და მისთ.

ცხადია, ა ზმნისწინი ძალზე ხშირია X—XI საუკუნეების, აგრეთვე შემდგომი დროის წერილობით ძეგლებში. თვლიან, რომ ღ-ს დაკარგვა პირველად ისეთ ზმნებთან მოხდა, რომელთა ფუძეში რომელიმე უკანაენის მიერი თანხმოვანი გექონდა, ხოლო შემდგომში ანალოგიით გავრცელდა სხვაგვარ ზმნებთანაც (28, გვ. 140). ვფიქრობთ, ერთ-ერთი მიზეზი ღ-ს დაკარგვისა უნდა იყოს ამ ძალზე ხშირად ხმარებული მორფემის გავლენაც.

ამო პირველად სინურ მრავალთავში გვხვდება:

ამოხჳდე მიერ განმართლებული სიმართლითა, 88, 29.

X საუკუნის წერილობით ძეგლებში ეს ზმნისწინი ამ სახით ხშირი არაა:

არა ხოლო თუ იტყჳს ჴმისა **ამობერვითა** ოდენ, შატბ. კრებ. 273 v, 32—33 b; და ცინ ესე ჩემი **ანდერძი ამოჰკოეთოს**, მარხვ. 1 v, 16—17 (გა-

დამწ. ანდერძი); მთიები იგი **ამომავალი**, იქვე 75 v, 28; და, ვითარ პეტრე, დანთქმისაგან **ამომიყვანე**, იქვე 81 v, 13; ესრეთ **ამოვიკითხე**, მრავალთ. 61 r, 13—14 b; იყვნენ სიმართლით **ამორტყმულ** წელნი მისნი, სინ. ლექც. 23, 1—2 a: დაგამორჩილო ყოველი **ამოსავალითი** ქუეშე ფერჴთა შენთა, Sin.-62 56 v, 6—8; ამის აწინდელისა **ამოკითხვლისაგან** მიიღე გამოჩინებაჲ, ათონ. მრავალთ. 22 r, 30—31; შაენი ვიყვენით სიშაითა მით ცოდვისაჲთა **ამომწუბებულნი**, იქვე 209 v, 10—13 a; ვიხილეთ ვასკულაჲი მისი **ამოსავალით**, Sin.-16 8 v, 19—20, და მისთ.

ღ-ს დაკარგვა აქ გამოწვეულია ამ ხშირად ხმარებული მორფემის გაცვეთით.

გან > გა

ქართული ენის პირველი წერილობითი ძეგლი, სადაც გა ზმნისწინია დადასტურებული, არის ატენის ერთ-ერთი წარწერა, რომელსაც თ. ბარნაველი VIII—IX საუკუნეებით ათარიღებს (8, გვ. 29).

გავიწმიდოთ გუამი, ატენის წარწ. გე. 29.

IX საუკუნიდან მოყოლებული გა ზმნისწინი ხშირად იჩენს თავს წერილობით ძეგლებში:

ერთი-ერთსა ვერ გაეშორნიან, სინ. მრავალთ. 141, 10—11; რომელი არავინ გავლო, იქვე 199, 15; ყოველი სამეფოჲ, **გავთული** თავსა ზედა მისსა, აღოჳრდის, მ. 12, 25 C; და თუ ეშმაკი ეშმაკსა განჰჴდის, თავსა ზედა თჳსა **გავთულ** არს, მ. 12, 26 C; და რომელი **გაჰჴსნა** ქუეყანასა ზედა, მ. 16, 19 C; და **გასჯიდეთ** ათორმეტთა ნათესავთა ისრაელისათა, მ. 19, 28 C; და **გავთულ** არს თავსა ზედა თჳსსა, მრკ. 3, 26 C; და გა-რეიყვანა იგი ერისა მისგან მარტოდ, მრკ. 7, 33 C; პირი დაიყავ და **გაველ** მაგისგან, ლ. 4, 35 C; და ნუ შემიყვანებ ჩუენ **გასაცდელსა**, ლ. 11, 4 C; თმანიცა თავისა თქუენისანი ყოველნი **გარაცხილ** არიან, ლ. 12, 7 C: არა **გაჰყავთ** ჴელი ჩემ ზედა, ლ. 22, 53 C; და **გავიდა** გარე, ლ. 22, 62 C; ჰერთა მეფეჲ **გააჭცია**, ერედვ. წარწ. და მისთ.

ზემოთ მასალა მოვიტანეთ მხოლოდ IX—X საუკუნეთა წერილობითი ძეგლებიდან. ბუნებრივია, რომ გა ზმნისწინი ხშირია XI—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში.

გან > გა პროცესი ზოგჯერ ძალზე არქაული ჩანს. მაგ.: გა გამოიყოფა ისეთ ფორმებში, როგორიცაა **გარე; გარჱთ; გარეშე** ... გა გვაქვს ზმნისწინში **გამო**, რომელიც თითქოს გვავარაუდებინებს მის წარმომავლობას **განმო**-საგან (შდრ.: **აღ-მო, წარ-მო**)[1]. ამ რიგის ფაქტები უკვე უძველეს

[1] ტბეთის ოთხთაეის **განმოვლენ** (ყოველნი ესე ბოროტნი შინაგან **განმოვლენ**, 205, 8—10 a) უფრო ჰიპერურბანიზმია, ვიდრე ენის ფაქტი.

წერილობით ძეგლებში იჩენს თავს. ამდენად, საეარაუდოა, რომ არსებობდა რიგი ქართული დიალექტებისა, სადაც **გან>გა** პროცესი ადრე მოხდა. გაცილებით ადრე, ვიდრე სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდებოდა.

წარ>წა

წა-ს ხმარების პირველი ნიმუში სინურ მრავალთავში დასტურდება: მისისა შობისაჲ წიგნი **წაიკითხონ**, 216, 3.

IX—X საუკუნეთა წერილობითი ძეგლები **წა** ვარიანტს ხშირად გამოავლენენ:

ესე არს დიდი ქებაჲ და **წამატებული** მადლი თქუენი, უდაბნ. მრავალთ. 88 v, 19—20 b; ოდეს მცველნი იგი **წასრულ** იყუნეს, იქვე 117 r, 1—2 b; ფსალმუნთა ზედა **წაწერილი** ზემოკერძო არს, სვან. მრავალთ. 110, 19—20 b: ზედა **წაწერილი** ესე ჩუენ გუთხრობს, იქვე 111, 12—13 b: ხოლო მი-რაჲ-იღო მთავარმან და **წაიკითხა**, აღშფოთნა ფრიად, იქვე 235, 18—19; და მრავალგზის მათგანი **წავიდიან** ცუდნი, Sin.-36 69, 21—22 a. და მისთ.

წარ ზმნისწინის გამარტივება ამ ხშირად ხმარებული მორფემის გაცვეთის შედეგი უნდა იყოს.

წარმო>წამო

პირველად **წამო** ზმნისწინი გვხვდება სინურ მრავალთავში:

თუალნი **წამოცვნებულ** იყუნეს, 268, 8—9.

წამო არცთუ ისე იშვიათია IX—X საუკუნეთა წერილობით ძეგლებში:

წამოიღე, მიეც აწ ამიერითგან სესხი ეგე, უდაბნ. მრავალთ. 89 v, 10—11; **წამომართ წამოითუალვის**, სვან. მრავალთ. 74, 17—18 a; და ვასწავე მათ მისლვად და **წამოღებად**, იქვე 137, 3—4 a; მეფემან **წამოავლინა** ბრძანებაჲ, იქვე 230, 28—29 a; მაშინ **წამოჯდა** მკუდარი იგი, ლიმონ. 40, 1—2; და მიერითგან **წამოიღებნ** იგი განწესებულსა მას. როჭიჯსა, მამ. სწავლ. 120, 9 A, და მისთ.

შთა>ჩა

ჩა ზმნისწინს პირველად გამოავლენს ერედვის წარწერა, რომელიც 906 წლით თარიღდება:

რომელმან ბრძანა და **ჩავიდა** ჰერეთს შიგან.

X საუკუნის წერილობით ძეგლებში **ჩა** ზმნისწინის ხმარების რამდენიმე შემთხვევა დასტურდება:

და ჴელთა აქუნდა ფუცხჳ სამპირი და ჩაყვის იგი სიაესა. გინა ქოთანსა, I მეფ. 2, 14—15 O; გულმან უთქუა ჩასულაჲ იორდანედ, წმიდათა ცხოვრ. 90, 12—13: ჩაუსქდა ზედა ქუაბსა მას, Sin.-62 60 v, 6—8 b: ხოლო ურემნი იგი მძლაფრიად დიდითა სწრაფითა ჩავიდეს, იქვე 117 v, 23—25 a: გ.ნჯურეტილსა ჰურჰელსა ჩაჰკრებ, პარხლ. მრ.ვალთ. 245 v, 25—27 a: და პიმენ ჩაკრიბა ყოველივე მონაკუეთი ასოთა მისთაჲ, იქვე 332 r, 18—20 a; და ჩაიდვა ლეღჳ კმელი, იქვე 640 v, 28—29 b: ნუ ჩაჰვარდები მანდა, ათ. ასკეტ. კრებ. 125 r, 24 b, და მისთ.

ჩა გეხვდება ჩაღმართ<შთაღმართ<შთამართ ზმნიზედაში:

ბუნებაჲ წყლისაჲ ჩაღმართ დის, A-35 163 v, 6—7.

XI—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ჩა ხშირია. დავასახელებთ რამდენსამე ნიმუშს:

და ორნივე მთხრებელსა ჩაცვივან, Sin.-16 55 r, 20—21 r; ჩაუცთა ფერჳი იგი ენებული აქლემსა, Sin.-11 117 v, 10—13, და მისთ.

შთამო>ჩამო

ჩამო ზმნისწინის ხმარების პირველ შემთხვევას სვანურ მრავალთავში ვადასტურებთ. ეს ხელნაწერი IX—X საუკუნეებით თარიღდება:

ჩამოჰჴსნეს აფრაჲ, 148, 22 a; ვინ ჩამოგაგდო მაღლისა მისგან, იქვე 203, 29—30.

X საუკუნის სხვა ძეგლებში ეს ზმნისწინი საკმაოდ ხშირია:

და დაყენეს სამი წელი და არა ჩამოჴდეს კიბეთა, იოანე ოქროპ. ცხორ. 213 r, 1—2; მაშინ ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან, შატბ. კრებ. 21 r, 12—13 b; ვიხილე ზეცით სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკონი, იქვე 227 r, 18—20 b: და მესამესა დღესა ჩამოვედ ქალაქად მცხეთად, იქვე 230 r, 18—20 b; რეცათუ ესრჱთ ჩამოირღუეოდეს და დააყენნეს წყალნი იგი, იქვე 237 r, 1—3 a, და მისთ.

ჩამო გეხვდება ჩამოღმართ სიტყვაში:

შთაჩამოვიდოდა ჩამოღმართსა მას მთისასა, I მეფ. 25, 20 O.

გარდამო>გარდმო

გარდმო ზმნისწინის ხმარების პირველი შემთხვევა დასტურდება სვანურ მრავალთავში:

ცუარი იგი სიტფოებისაჲ გარდმოცურიეს, 457, 13—14 b.

X საუკუნის წერილობით ძეგლებში გარდმო ხშირია:

გარდმოადენს კეთილთა მისთა, Sin.-36 212, 9—10 a; იწმედდა ცრემლთა მათ, რომელნი გარდმოსცუოდეს თუალთაგან მისთა, იქვე 366, 5—8 a; რაჲთა გარდმოადინო მათ ზედა ზრუნვაჲ, მამ. სწავლ. 136,

10 A: ეხედვედ ეშმაკსა. ეითარცა ელვასა, ზეცით **გარდმოვრდომილსა**, ლ. 10. 18 D; ბაგეთაგან შენთა თაფლი **გარდმომდინარს**, პარაკლიტ. 16 v. 6—7: **გარდმოდგინებად**-სცა ყოველი იგი ამბოხი, სინ. საქმ. მოციქ. 23 r, 4—6 b; და **გარდმოვიდა** მათ თანა, ლ. 6, 17 E, და მისთ.

გარდამო>გარდმო ამ ხშირად ხმარებული მორფემის გაცვეთით უნდა აიხსნ.ს.

გარდა>გადა

X საუკუნის ძეგლებში **გადა** ზმნისწინის ხმარების ორიოდე შემთხვევა გვხვდება. **გადა** პირველად ერედვის 906 წ. წარწერაშია დადასტურებული:

მწუხრი ბრეკას **გადაჰყოა**.

სხვა მაგალითები:

იგი წარღვა **გადასაყრდნელსა** მას თჳსსა, ათ. ასკეტ. 30 r, 5—7 a; მოსცა ჱათ **გადარეული** დიდებაჲ, Sin.-35 17, 18—19 b; ფრიად **გადარეულად** ებერვინ, იქვე 78, 25—26 b.

გადა იშვიათია აგრეთვე შემდგომი ხანის ძეგლებში:

და არცა ერთსა ჟამსა **გადაჰწდიდეთ** ამაოდ, ითიკა. 83 r, 21.

მიუხედავად ამისა, ეს მცირერიცხოვანი მაგალითებიც მიგვითითებს, რომ ენაში **გარდა>გადა** უკვე მომხდარია. მოვლენის მიზეზი ჩანს ამ მორფემის გაცვეთა, რის შედეგადაც რ დაიკარგა.

/ გარდამო>გადამო

რ-ს დაკარგვით გამარტივდა **გარდამო**. მივიღეთ **გადამო** ზმნისწინი, რომელიც რამდენჯერმე დასტურდება X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში:

არა დედაკაცმან ერთმან **გადამოუტყორცნა** ნატეხი ერთი საფქველისაჲ ზღუდით. II მეფ. 11, 21 ⓞ; **გადამოვარდა** ზეცით ვარსკულავი დიდი, A-397 68 r, 15—16; რომელი **გადამოჴდა** ზეცით, A-35 133 v, 5—6; **გადამოჴედ** მაგიერ ჯუარით, ებისტ. მარკოზისი ნიკოლაჲს მიმართ 219 v, 27: ეითარ **გადამოჴდა** სიტყუაჲ ღმრთისაჲ და იშვა ქალწულისაგან, ბაგრატ. 235 v, 17—18.

უკუმო>უკმო

უკმო პირველად სინურ მრავალთავში იჩენს თავს:

და **უკმოვიდოდა**, სინ. მრავალთ. 26, 3—4; **უკმოიქცა** სტეფანე მუნვე კრებულად, 59, 1—2; **უკმოიქცა** და მრქუა მე, იქვე 66, 10; **უკმოიქცეს** გულნი მათნი შვილთა ზედა, იქვე 142, 31—32; **სულუკმოუღებელად** ცხონდა, იქვე 163, 33—34.

მომდევნო ხანის ძეგლებში **უკმო** არც ისე იშვიათია:

ადამი უკმოიჴსნა, უდაბნ. მრავალთ. 75 r, 14 a; და უკმოიყვანის იოვანე. იოანე ოქროპ. ცხორ. 217 v, 9—10, და მისთ.

უკმო გვხვდება წინაუკმო რთული ზმნიზედის შემადგენლობაში: რომელი-იგი წინაუკმო სამთა მათ პირველთქმულთაჲსა იქმნების, დიალექტ. 9 v, 11—13 a[1].

უკუმო>უკმო გამოწვეულია უ-ს მომდევნო მ-ს დისიმილაციური ზეგავლენით.

XII—XV საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ზოგჯერ დასტურდება ზმნისწინთა ის სახეობანი, რომელნიც ნიშანდობლივია ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტთათვის: მა, ჩამა, გამა:

მა: მათითა წყალობითა ჰ´ლად (!) არ მამიგია, საქ. მუზ. წარწ. № 42, გვ. 34: და სისხლი შიგა მაჰმკუდარ იყოს, კარაბადინი 79 v, 5—6.

ჩამა: ოდეს ჩამამკიდეს, ანდრია სალოსი 179 v, 8—9.

გამა: ყურისა ტკივილისა და გამავლების წამლები, კარაბადინი 89 r, 24—25; პური ერთობ მაგრად გამამცხუარი იყოს, იქვე 120 v, 8—9.

ამგვარ ფორმათა რიცხვი სალიტერატურო ენის ძეგლებში მცირეა. მათი წყარო ცოცხალი მეტყველებაა.

ჩვენ ზემოთ მიმოვიხილეთ ზმნისწინთა გამოხატვის ძველი სისტემის რღვევისა და ახალი სისტემის ჩამოყალიბების ქრონოლოგიური ზღვრები და მიზეზები. ზმნისწინთა გამარტივების უმთავრეს მიზეზად ამ ხშირად ხმარებულ მორფემათა გაცვეთა მივიჩნიეთ. ამ მოვლენას ხელს ის უწყობდა, რომ ძველ ქართულში ზმნისწინი არსებითად დამოუკიდებელი მორფემა იყო: საკმაოდ ხშირად ზმნისწინსა და ზმნის ფუძეს შორის ჩაერთვოდა ხოლმე ლექსემა, ან ლექსემათა ჯგუფი. ეს მოვლენა ტმესის სახელითაა ცნობილი (66, გვ. 259; 91, გვ. 96—105; 75, გვ. 130—142).

ზმნისწინთა ახალი სისტემა ბატონობს XI—XIII საუკუნეთა ისეთ წერილობით ძეგლებში, როგორიცაა: გიორგი მთაწმიდლის „ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი“, სიგელი მღუიმელთაი, სიგელი მიჯნაძოროელთა და ოპიზართაი, „ჲეფხისტყაოსანი“ და სხვა.

§8. ვნებითი გვარის ნარმოებაში მომხდარ ცვლილებათა დათარიღებისათვის

ა) სუფიქსიანი ვნებითი

ძველი ქართულის სუფიქსიანი ვნებითი არაერთგზის ყოფილა სპეციალისტთა მსჯელობის საგანი (63, გვ. 86—87; 21, გვ. 533—536; 36; 17, გვ. 77—91; 26, გვ. 35—42).

[1] აქ ისაა გასათვალისწინებელი, რომ უკუმო // უკმო- ზმნისწინის სიხშირე ტექსტში სხვა ზმნისწინებთან შედარებით დაბალია.

-ნ და -დ ნიშანთა მონაცვლეობა უკვე ძველ ქართულშივე შეინიშნება. ეს აღნიშნა ა. შანიძემ (63, გვ. 41), ხოლო უკანასკნელ ხანს ახალი ფაქტობრივი მასალა გამოავლინა ი. იმნაიშვილმა (26, გვ. 35—38).

ჩვენი მასალების მიხედვით, -დ სუფიქსი უკვე IX საუკუნიდან გვხვდება ისეთ ზმნებთანაც, სადაც ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით, -ნ/-ენ უნდა იყოს. ეს მოვლენა პირველად სინურ მრავალთავში აისახება. შემდგომში კი საკმაოდ ხშირია ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებში, როგორიცაა: უდაბნოს მრავალთავი, სვანური მრავალთავი, ათონის მრავალთავი და მრავალი სხვა.

აღბორგება: ხოლო დედაკაცსა ბოროტსა აგინებდე თუ, **აღგიბორგდეს**, სინ. მრავალთ. 214, 15—16; და ვითარ აღვიდოდა იგი მთისა მას, **აღბორგდა** კაჭრაული იგი, Sin.-46 263 r, 6—7; **აღბორგდა** ეშმაკი მის ზედა, პარხლ. მრავალთ. 643 r, 12—13 a: მიერითგან უფროჲსად **აღბორგდეს**, Sin.-11 353 v, 25.

განბორგება: მაშინ უფროჲს **განბორგდა**, პარხლ. მრავალთ. 140 r, 4 b.

დამშჯდება: და ვეფხნიცა ფუფუნებით **დამშჯდიან**, სინ. მრავალთ. 214, 14—15; მაშინ **დამშჯდა** ცეცა კაცთა თანა, ათონ. მრავალთ. 67 v, 6—7 b: ანუ ვისითა შიშითა აღჳრ-ესხმიან მას და **დამშჯდების**, სწავლ. ანდრია კრიტელ მთავარებისკ. 160 r, 3—4; შდრ.: და არა **დამშჯდნა** გონებაჲ მისი, უდაბნ. მრავალთ. 34 v, 10 a.

აღმოდუღება: **აღმოვდუღდი** და კუალად ვიტყოდი, სინ. მრავალთ. 201, 25: ვითარცა ჯურღმული წყლისა ცხოველისაჲ, **აღმოვდუღდი**, უდაბნ. მრავალთ. 176 r, 27—28 b; ათონ. მრავალთ. 154 r, 29 a—154 v, 1 b; **აღმოდუღდეს** პირით შენით, ღირსო, მოდრ. იადგ. 128 r, 6; და მატლნი წამლეანნი **აღმოდუღდენ**, სწავლ. სულიერნი 133 v, 14—15.

აღდუღება: უფროჲს **აღდუღდებოდეს** შურითა, მრავალთ. 203 r, 1—2 a: იგი **აღდუღდა** გულისწყრომითა, ათ. ასკეტ. კრებ. 133 v, 7—8 a; **აღსდუღდი** ვითარცა წყალი. დაბ. 49, 4 O; და ვითარცა **აღდუღდის** გული მისი აღძრვად. მამათა ცხოვრ. 180 r, 4—6 b; შდრ.: **აღდუღნა** გულისწყრომითა, სინ. მრავალთ. 118, 33.

დადუღება: **დადუღდა** იგი მატლითა საშინელითა, Ath.-25 111 v, 7—9 a.

აღუჟავება: **აღუჟავდა** წმიდისაგან ქალწულისა ხმ იგი ცხოვრებისაჲ, სინ. მრავალთ. 21, 7—8; ვითარ მადლი **აღუჟავდების**, ათონ. მრავალთ. 101 v, 16—17 a; უდაბნოჲ **აღუჟავდინ** შროშნისსახედ, მოდრ. იადგ. 28 r, 7; **აღჰუჟავდი**, ვითარცა მცენარეჲ, იქვე 114 r, 7; **აღუჟავდეს** ახალნი ნაყოფნი, პარხლ. მრავალთ. 41 r, 4—5 b; და **აღუჟავდა** მართალი სარწმუნოებით, Sin.-59 61 v, 10; უდაბნოსა **აჰუჟავდი**, იელ. იადგ. 86 r, 12—13; კუერთხი იგი იოსებისი **აღუჟავდა**, A-40 28 v, 2—3; შდრ.: და

ნერგი იგი სიწმ[illegible]თლისაჲ ჰეშმარიტად აღუავნა, Sin.-1 228 r; 6—7; აღაუავენ ვითარცა ფრინჯი, მოდრ. იადგ. 114 r, 19.

შეწუხება: რაჲთა არა **შეწუხდენ** და დაბრკოლდენ, უდაბნ. მრავალთ. 32 r, 25—26 b: რაჲთა არა **შესწუხდეთ**, ლატ. ლექც. 325 r, 16 b; არა **შეწუხდა**, H-622 34 r, 21; და ოდეს არა **შეწუხდეს** მადლი, იქვე 78 r, 8—9; ხოლო იგი **შეწუხდეს** ფრიად, წყაროსთ. ოთხთ. 40 r, 12 h: **შეწუხდა** მათთჳს ფრიად, A-397 136 v, 17; არა შეგიქმ, რამეთუ ვიცოდე. ვითარმედ არა **შესწუხდებოდეთ**, ხოლო მისდა თუმცა არა მექმნა, **შეწუხდებოდა**, A-35 286 v, 6—7, და მისთ.

დაწუხება: ნუმცა **დასწუხდებით** წინამდებარეთა მათთჳს ღღეთა, პარხლ. მრავალთ. 239 v, 9—11 b.

აღსუბუქება: და **აღმისუბუქდეს** მუჯლნი ჩემნი. Sin.-36 495, 19—20 b: რაჲთა ესრეთ მასცა შრომაჲ **აღუსუბუქდებოდის**, ათ. ასკეტ. კრებ. 249 r, 5—8 a; და მრავლისა სიმძიმისაგან **ავსუბუქდი**, აპოკრ. სწავლ. ოთვანეანი 76, 30: რაჲთა ცუნ **აღუსუბუქდეს**-რე. H-1346 118 v, 15—16; რაჲთამცა **აღუსუბუქდა** მათ საუკუნოჲ იგი სატანჯველი, იქვე 154 r, 10—11, და მისთ.

გამოცხადება: **გამოგიცხადდეს** შენ საიდუმლოჲ ღმრთ. სჯნ. მრავალთ. 255, 25—26 a: **გამოუცხადდეს** იგი მის სოფლისათა და შფოთი და შრომაჲ შეაძინებჳონ მას, Sin.-11 354 v, 13—14: ვიდრემდის იგი **გამოცხადდებოდის**, თარგმ. კათ. ეპისტ. 371, 3—4 a; შდრ.: უფლებაჲ **გამოცხადნებისა**, სჯან. მრავალთ. 337, 6—7 a; რაჟამს ქრისტე **ვამოცხადნეს**. იქვე 371, 16 a.

დადუმება: **დადუმდით** თითოეული აღგილსა თჳსსა, სჯან. მრავალთ. 232, 21—23 b; და მეყსეულად **დადუმდებოდეს** და ვითარცა **დადუმდეს** განჭესებულნი იგი ღანნი, ათონ. მრავალთ. 188 v, 10—12 a; რამეთუ **დადუმდა**, Sin.-64 151 r, 27; მაუწყებელნი ჯეროვნად **დადუმდეს**, პაულ. ეპისტ. 101 r, 11—12; და **დადუმდიან** სიტყუად ჩემ წინაშე, პარიზ. ლექც. 60 r, 29—30 b; იხილე, უფალო, და ნუ **დასდუმდები**, ფსალმ. 34, 22 l: ვითარმცა არა მარადის იყო სული, არამედ ჯორცთა განყოფასმცა თანა **დადუმდებოდა**, ძიებ. სულ. მაკრინ. 32 r, 30—32 h: შდრ.: ესე თქუა ღა **დადუმნა** სიტყჳსაგან, ეზრა ზორობაბ. 4, 40 O.

განლაღება: ნუმცა მდიდარნი **განლაღდებიან**, ათონ. მრავალთ. 140 r, 5—6 b; რაჲთა არა ურთიერთას ზედა **გაჰლაღდეთ**, ლატ. ლექც. 317 r, 13—14 b: შდრ.: რაჲთა არა ურთიერთას ზედა **განჰლაღნეთ**, S-1138 62 r, 17—19 b.

განფიცხება: **განფიცხდებოდეს** მღდელთმოძღუარნი, ათონ. მრავალთ. 55 v, 26—27 b; და **განფიცხდეს** გულისწყრომაჲ შენი, H-622 43 r, 10—11; **განჳფიცხდი** ურჩებითა, Sin.-64 102 r, 28; მაშინ უმეტესად **განფი-**

ცხლებიან ვნებანი, სწავლ. კასიანე ჰრომისანი 238 r, 7—8; შდრ.: განფიცხნეს და გარდაიქცეს, სინ. მრაველთ. 135, 21—22.

დამტკიცება: და დამტკიცდეს აღდგომისათჳს ადამისისა, ათონ. მრაველთ. 65 v, 20—22 a; ამით კუერთხი მეფისაჲ დამტკიცდების, იელ. იადგ. 193 r, 9—10; შდრ.: გუამი ესე ჩუენი ნივთიერი დამტკიცნის, შატბ. კრებ. 20 r, 6—8 b; და მერმე ჟამად-ჟამად დამტკიცნა ულმრთოებაჲ იგი, სიბრძნ. სოლომონ. 14, 16 O.

განრისხება: ხოლო უფალი განრისხდა, კალ. ლექც. 15, 12—13 b; და არა განგირისხდეს თქუენ, იქვე 45, 13—14 b; და განრისხდა უფალი თქუენ ზედა, იქვე 46, 14—15 a; და განრისხდა იგი, იქვე 47, 12—13 a; რამეთუ განრისხდა უფალი თქუენ ზედა, იქვე 47, 15—16 a; და განრისხდა უფალი აჰრონის ზედაცა, იქვე 47, 19—20 a; ანუ ვითარცა არა განვრისხდე, იქვე 113, 18—19 b და მისთ.

შერისხება: და ფრიად შეჰრისხდის მას, რაჲთა არა გამოაცხადონ იგი, კურთხევანი 86 r, 8—9; რამეთუ შეჰრისხდა მას ღმერთი, A-38 37 r, 2; ვისგან-იგი პირველსა მას მამასა შეჰრისხდა და გამოჴადა, ათ. მრაველთ. 118 r, 13—14 b; არა სიცრუვით მოაწევს ღმერთი რისხვასა ჩუენ ზედა, არამედ მათსაცა, რომელნი არა შეჰრისხდებიან მათ, Ath.-3 183 r, 5—8 a.

აღშფოთება: და ერად კრბებოდეს და აშფოთდებოდეს, ლატ. ლექც. 218 r, 11—13 b; ვითარ აღუშფოთდი, ათ. ასკეტ. კრებ. 273 v, 21—22 a; არავე აშფოთდების, იქვე 273 v, 6—7 a; და არცა აღშფოთდა, H-622 34 r, 20; ვითარცა აშფოთდიან ქართაგან ზღჳსა ღელვანი, Sin.-35 346, 28—30.

შეშფოთება: რაჲსათჳს გონებაჲ შეშფოთდების, H-622 23 v, 23; სიყუარულისა მისთჳს შეშფოთდების, იქვე 24 r, 2; რად შეშფოთდები ბრძოლისათჳს, იქვე 36 v 3—4; შდრ.: და შეშფოთნის მიცემასა და მიღებასა შინა, იქვე 63 r, 15—16.

განმტკიცება: რაჲთა განმტკიცდეს, H-622 57 r, 24; ამით კუერთხი მეფისაჲ განმტკიცდების, Sin.-64 170 v, 5—6; იესუ აღორძინებოდა და განმტკიცდებოდა, წყაროსთ. ოთხთ. 116 v, 16—17 b; შდრ.: წამებაჲ იგი ქრისტჱსი განმტკიცნა თქუენ შორის, S-407 61 v, 6—7 b.

დაგლახაკება: არამედ და-ცა-გლახაკდა შემდგომად სიმდიდრისა, H-622 66 r, 8—9: და არცა დაგლახაკდებიან ნებით თჳსით, იქვე 101 r, 1—2: ბჭიჳარნი დაგლახაკდეს, A-38 57 v, 17: და სიმდიდრისაგან მადლობისა დაგლახაკდეს, კლემაქს. 67 v. 4—6; დაგლახაკდა იობცა, იქვე 72 v, 24: შდრ.: რამეთუ თქუენთჳს დაგლახაკნა, S-407 97 v, 9—10 b.

აღსანიშნავია, რომ -დ და -ნ ვნებითობის მაწარმოებლები ერთსა და იმავე წინადადებაში ერთსა და იმავე ზმნასთან დასტურდება: განმამდიდრებელი იგი დაგლახაკდების, დაგლახაკნების ჯორცითა, ათონ. მრაველთ. 17 r, 18—20 a.

განცრუვება: არამედ განცრუვდა სასოებაჲ მისი, Sin.-62 8 r, 8—9 a; განცრუვდეს ცრუმოწამეთა წამებანი, მოდრ. იადგ. 221 r, 2—3; განცრუვდა სასოებაჲ მისი, პარხლ. მრავალთ. 412 v, 15—16 a; რაჲთა არა განვმდიდრდე და განვცრუვდე, პარიზ. ლექც. 124 r, 30—32 b; განცრუვდა სასოებაჲ მისი, Sin.-11 205 r, 6—7; შდრ.: სიტყუაჲ მეუფისაჲ არა განცრუვნებისა, Sin.-36 345, 6—8 a.

დაუუდება: დასხედით, დადუმენით და დაუუდდით აჰა შინა და ნუ გამოხუალთ ამიერ ჭუბით, პარხლ. მრავალთ. 439 r, 15—18 a: დაუუდდებიან ენებანი ჩუენნი, H-622 64 r, 6; და დავუუდდი ტირილისგან, ანდრია სალოსი 20 r, 19—20; შდრ.: და დაუუდნა ზღუაჲ იგი, შატბ. კრებ. 82 r, 20—21 b.

განდიდება: ვიდრემდის განდიდდის და აღმოსცენდის, Sin.-35 227, 29—30 b; შდრ.: განდიდნებოდა სახელი ღმრთისა იესუჲსი, S-1398 125 v, 9—10 a.

განკაცება: შენ გარდამოჴედ ზეცით და განჰკაცდი, H-622 17 r, 9—10.

აღზუავება: ნუ აღზუავდების ნურასამე ზედა, H-622 101 r, 13—14; შდრ.: უკუეთუ ექენებოდი, აღზუავნეს, სინ. მრავალთ. 214, 16.

განსივება: და მუნჭუესვე საურველნი მისნი განუსივდეს, Sin.-46 183 r, 6—8; და მუნჭუესვე სარცხჳნელნი მისნი განუსივდეს, Ath.25 91 r, 14—16 a; შეემთხჳნეს მას ენებანი მწარენი და ფიცხელნი, განსივდა, H-622 113 v, 23—25; შდრ.: და განსივნა, S-407 187 r, 2 b.

შერიუუება: და შე-ოდენ-რიუუდებოდა, ლატ. ლექც. 228 v, 16—17 b; და ვითარ შე-ოდენ-რიუუდებოდა, Sin.-16 263 v, 6; შდრ.: და შეოდენ-რიუნებოდა, ი. 6, 17 DE.

დავაკება: ვიდრემდის დავაკდეს ზურგი მისი, ექუს. დღ. (აბ.) 55, 3—4 A; შდრ.: დავაკნეს B.

განზრქობა: და აღვსებულ რაჲ არნ და განზრქდებინ, კლემაქს. 108 v, 26—27; შდრ.: რამეთუ განზრქნა გული ერისაჲ ამის, მ. 13. 15 C.

დამწიფება: და შემდგომად ამისა დამწიფდების სხუაჲ, მამათა ცხოვრ. 441 v, 1—3; შდრ.: არა აჰკუს ნებაჲ, რაჲთამცა მომწიფნა კეთილად, Sin.-97 112 r, 13 b.

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში ძალზე ხშირია -დ სუფიქსი ისეთ შემთხვევებში, სადაც ადრე -ნ გვქონდა. ა. შანიძის სიტყვებით: „მერმინდელი დონი, გაჩენილი ფონეტიკურ მოვლენათა წყალობით, თანდათან მეტოქეობას უწევს პირვანდელ ნარს. ამ მეტოქეობაში მას ბელს უწყობს ის გარემოება, რომ, თუმცა მცირეა ნარნარა ბგერათა რიცხვი (ნ, რ, ლ), მაგრამ მრავლისაგან მრავალია მათზე დაბოლოებული სახელი და ამიტომ ორი ფორმანტიდან უფრო ხშირად დონი იხმარება ხოლმე. ხმარება კი

მას უპირატესობას ანიჭებს და ისიც ნელ-ნელა, მაგრამ თანდათან აფართოებს თავის მოქმედების საზღვრებს და ისეთი სახელებისაგან იწყებს ზმნის წარმოებას, სადაც წესით ნარს უნდა ჰქონდეს ადგილი" (63, გვ. 43).

ბ) პრეფიქსიანი და სუფიქსიანი

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულ სალიტერატურო ენას ახასიათებს ტენდენცია, გააფართოოს სუფიქსურ ენებითთა გავრცელების არე თავდაპირველ პრეფიქსულ ენებითთა ნაცვლად (46, გვ. 64—65; 26, გვ. 32—35). მიუთითებენ, რომ ეს მოვლენა აისახება ძველი ქართული ენის ძეგლებში (46, გვ. 65; 26, გვ. 32—35). ჩვენ მიერ შესწავლილ წერილობით წყაროებში მოპოვებული მასალა ადასტურებს მკვლევართა ამ მოსაზრებებს. მათ დავიმოწმებთ, რამდენადაც ეს მასალა აზუსტებს სუფიქსურ ენებითთა გამოვლენის ქრონოლოგიას იქ, სადაც, ძველი ქართულის კლასიკურ ნორმათა მიხედვით, პრეფიქსული წარმოებაა მოსალოდნელი.

აღმოეცენა // აღმოსცენდა: რომელი-იგი იწსწს ძირისაგან კუერთხი ესრჱთ დიდებულად აღმოსცენდა, სინ. მრავალთ 7, 9—10; უკრწნელისაგან მარიამისა ნაყოფშუენიერი იგი ხწ აღმოსცენდა, იქვე 21, 28: მიერვე ნათესავისა ჩუენისა მკსნელი ქრისტჱ უთესლოდ აღმოსცენდა, იქვე 41, 7—8; პეშმარიტებაჲ ქუეყანით აღმოსცწნდა, იქვე 159, 32—33 და სხვ.

შეეშინა // შეშინდა: ესე პირისაგან ანგელოზისა არა შეშინდა, სინ. მრავალთ. 9, 10; რაჲთა შეშინდეს ერი ესე, იქვე 56, 19: მაშინ ნეროჱ შეშინდა, იქვე 249, 36; ხოლო დედაკაცი იგი შეშინდა, მრკ. 5, 33 C: შეურაცხ-ყო იგი სიტყჳთა და შეშინდა, უდაბნ. მრავალთ. 22 r, 4—5 b: დაარაჲ შეშინდეს ზარისა მისგან, მარხვ. 8 r, 9—10; ესე პირისაგან ანგელოზისა არა შეშინდა, ათონ. მრავალთ. 4 r, 13—14 a: შეშინდა ფელიქს, S-407 246 v, 7—8 b; შდრ.: ხოლო დედაკაცსა მას შ ე ე შ ი ნ ა, მრკ. 5, 33 DE.

დაემტკიცა // დამტკიცნა > დამტკიცდა: და დამტკიცნა ჴეშმარიტებაჲ, სინ. მრავალთ. 182, 6: რაჲთა პირითა მოწამეთა ორთაჲთა, ანუ სამთაჲთა დამტკიცნეს ყოველი სიტყუაჲ, მთ. 18, 16 C: და უკუეთუ ეშმაკი თავსა თჳსსა განეეთა, ვითარ დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი, ლ. 11, 18 CDE; დამტკიცებით დამტკიცნენ სიტყუანი ჩემნი თქუენ ზედა ბოროტებად, იერ. 44, 29; შდრ.: და დამტკიცდეს აღდგომისათჳს ადამისისა, ათონ. მრავალთ. 65 v, 20—22 a: ამით კუერთხი მეფისაჲ დამტკიცდების, იელ. იადგ. 193 r, 9—10; შდრ.: რაჲთა პირითა ორისა, ანუ (და D) სამისა მოწამისაჲთა დ ა ე მ ტ კ ი ც ო ს ყოველი სიტყუაჲ, მთ. 18. 16 DE.

განემტკიცა // განმტკიცნა > განმტკიცდა: არა თუ ცეცხლითა განილევის, არამედ მადლითა **განმტკიცნების,** სინ. მრავალთ. 191, 12; ხოლო ყრმაჲ იგი აღორძინდებოდა. **განმტკიცნებოდა** სულითა, ლ. 1, 80 DE; შენდამი **განვმტკიცენ** მე საშოჲთგან, ფსალმ. 70, 6; შდრ.: რაჲთა **განმტკიცდეს,** H-622 57 r, 24; ამით კუერთხი მეფისაჲ **განმტკიცდების,** Sin.-64 170 v, 5—6: იესუ აღორძნდებოდა და **განმტკიცდებოდა,** წყაროსთ. ოთხთ. 116 v, 16—17.

განეშორა // განშორდა: ტერნი იქმნნეს საყუარელ და **განშორდეს** მახლობელნი და მონანი, შატბ. კრებ. 268 r, 13—14; შდრ.: განეშოროს მამაჲ ძისაგან და ძე მამისაგან, ლ. 12, 53 C.

განმეგრძნა // განმიგრძნა // განმიგრძდა: რაჲთუ **განმეგრძნა** მე მწირობაჲ ჩემი, ფსალმ. 119, 5 D; შდრ.: **განმიგრძნა** BC; შდრ.: **განმიგრძდა** Cქ.

დაესრულების // დასრულდების; ვინაიცა ყოველი ჟამისაგან დაწყებული თჳნიერ ყოვლისა ჟამსაე შინა **დასრულდების,** ექუს. დღ. 4, 21—22; შდრ.: ხადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების, მრკ. 9, 48.

აღესრულა // აღსრულდა: აღსრულდა ღრესა ხუთშაბათსა, Ath.-9 347 v (ბლეიტ. გვ. 48).

აღეშენა // აღშენდა: და მიუჴცნო მეფესა ესრეთ, ვითარმედ: „ფრიად აღვშენდი ამათითა ხილვითა", ლიტ. ქრებ. I 175, 18—19; მეტოქე მისითა წყალობითა **აშენდა,** ათ. 267, 19—20; შდრ.: აღეშენა ტაძარი ესე, ი. 2, 20.

გამოეცხადა // გამოცხადნა > გამოცხადდა: რაჲთა **გამოცხადნენ** ძრაველთაგან გულთა ზრახვანი, ლ. 2, 35 C; არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოჲ, რომელი არა **გამოცხადნეს,** მ. 10, 26 DE: რაჟამს ქრისტე **გამოცხადნეს,** სინ. მრავალთ. 371, 6—7: შდრ.: **გამოგიცხადდეს** შენ საიდუმლოჲ ღიდი, იქვე 255, 25—26: **გამოუცხადდეს** იგი ძის სოფლისათა და შფოთი და შრომაჲ შეამთხჳონ მას, Sin.-11 354 v, 13—14: ვიდრემდის იგი **გამოცხადდებოდის,** თარგმ. კათ. ეპისტ. 371, 3—4 a; შდრ.: ანა ანგელოზი უფლისაჲ **გამოეცხადა** ჩუენებით იოსებს ეგვპტეს, მ. 2, 19 C.

განეცხადა // განცხადნა: და ესმა მეფესა ჰეროდეს, რამეთუ **განცხადნა** სახელი იესუჲსი, მრკ. 6, 14 C; მოვიდის ნათლად, რაჲთა **განცხადნენ** საქმენი მისნი, ი. 3, 21 C: რაჲთა **განცხადნენ** მრავალთაგან გულთა ზრახვანი; შდრ.: ესე სჱ გზის **განეცხადა** იესუ მოწაფეთა მათ, ვინაჲთგან აღდგა მკუდრეთით, ი. 21, 14 C.

ზემოთ დამოწმებული ფორმები ე პრეფიქსიანია. დასტურდება ი პრეფიქსიანი ენებითის სუფიქსური ენებითით შენაცვლების შემთხვევებიც:

აღიმაღლა // აღმაღლდა: და მე ოდეს **აღვმაღლდე** ქუეყანით, ი. 12, 32 DE; შდრ.: და მე მას ჟამსა **აღვიმაღლო** ქუეყანით, ი. 12, 32 C:

აღმაღლდა ზეცად. აპოკრ. მიმოდ. მოცქ. 3 D: შდრ.: ა ღ ი მ ა ღ ლ ა E.

შეჰუა // შეჰუვნა: რაჲსათჳს მწუხარჱ იქმენ და შეჰუვნა პირი შენი, პარიზ. ლექც. 35 r, 22—24 a: შდრ.: და შეწუხნა კაენ ფრიად და შ ე ი კ უ ა პირი მისი, იქვე 35 r, 20—21 a.

განითოვნეს // განსთოლდეს // განსთოედეს // განსთოვლდეს: გ ა ნ ი თ ო ვ ნ ე ს იგინი სელმონს, ფსალმ. 67, 15 A; შდრ.: განსთოლდეს BC; განსთოვდეს D; განთოვლდეს E; განთოვლდენ Z.

ძველ ქართულში შეინიშნება ისეთი ფაქტებიც, როცა პრეფიქსიანი ვნებითი სუფიქსურს ენაცვლება:

განჰკსნდა // განიკსნა: რაჲეთუ ამას ოდენ ჟამსა გ ა ნ კ ს ნ დ ა კრულებაჲ მისი, Sin.-46 167 v, 14—15; წმიდაჲ იგი ეევედრებოდა მისთჳს ძესა ღმრთისასა, რაჲთა გ ა ნ ჰ კ ს ნ დ ე ს კრულებაჲ ენისა მისისაჲ, იქვე 169 r, 3—5; შდრ.: ყოველნი კრულებანი განიკსნეს, საქმ. მოცქ. (აბ.) 125, 26.

დაჰკსნდა // დაიკსნა: დაჰკსნდეს წყევანი ევაჲსნი, Sin.-20 3 r, 19—20; შდრ.: ვითარმედ კორცნი ესე დაიკსნებიან, Sin.-11 60 r, 22.

განწმიდნა // განიწმიდა: ძმანო, დღეს კუარი აღემართა და სოფელი გ ა ნ წ მ ი დ ნ ა, უდაბნ. მრავალთ. 107 r, 18—19 b; დღეს იორდანისა წყალითა გ ა ნ წ მ ი დ ნ ე ბ ი ს უცოდველი, მოდრ. იადგ. 94 r, 14; შდრ.: განიწმიდენით და იყვენით, რამეთუ წმიდა ვარ მე, ლევიტ. 11, 44 O.

განყინდა // განიყინა: გ ა ნ ყ ი ნ დ ე ს რაჲ სისხლი, შეიცვალების იგი კორცად, ეჶუს. დღ. 92, 9; შდრ.: განიყინის იგი და შეიცვალის სიმტკიცედ ქვისად, იქვე 88, 18.

ძველი ქართული ენის უკანასკნელ პერიოდში გამოვლენილი პრეფიქსული წარმოების სუფიქსურით შეცვლის ტენდენცია გაცილებით მძლავრია და გავრცელებული, ვიდრე პირუკუ შენაცვლებისა.

გ) -ე > -ი .

მოიპოვება -ე პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა ერთი ჯგუფი, რომლებიც ძველი ქართულის დონეზე ერთპირიანებად შეიძლება ჩაითვალოს: დაეთესა, დაეშარხა, დაებადა. და მისთ. ეს ზმნები როგორც ა. შ ა ნ ი ძ ე მ გაარკვია, ისტორიულად ორპირიანებია (65, გვ. 172—178).

ის გარემოება, რომ ამ ტიპის -ე პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები ორპირიანებად აღარ გაიაზრებოდნენ, ვნებითის -ე პრეფიქსის -ი-თი შეცვლის საფუძველი გახდა (29, გვ. 325).

წარეტაცა // წარიტაცა: ერთი იგი წარიტაცოს ღა ერთი იგი დაჴტეოს, ლ. 17, 35 CD: შდრ.: წ ა რ ე ტ ა ც ო ს E.

აღეშენა // აღიშენა: რომელი აღიშჱნებოდა ბოროტად, სინ. მრავალთ. 181, 15; ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა სრულებით, მოქც. 96. 35—36 C; უკუეთუ ქალაქი ესე აიშჱნოს და ზღუდენი ამისნი აღემართნენ, ეზრა ზორობაბ. 2, 18 O: აიშენოს I D: შდრ.: აღეშენოს B: და ლევიტელთა მათ დაუწერა როჭიკი მი-მუნ-დღეჱე, ვიდრეჱჱის აღარულონ ტაძარი იგი უფლისაჲ და იერუსალემი აღიშჱნოს, იქვე 4, 55 O; აღიშენოს I F; შდრ.: აღეშენოს D: შდრ.: აღშენდის B: მე ებრძანებ რაჲთა ყოლადვე სრულიად აღიშჱნოს, იქვე 6, 27 O: შდრ.: აღეშენოს I DE: ესე თითოსახითა სათნოებათა შუენიერებითა იშენების, A-1 160, 18—19, და სხვ.

დაებადა // დაიბადა: ნებითა შენითა იყვნეს და დაიბადნეს, იოვ. გამოცბად. 4, 11 ABC; ვინაჲთგან კაცნი დაიბადნეს ქუეყანასა ზედა, იქვე 16, 18 B; შდრ.: დაებადნეს AC; თუალი დაიბადა, ხოლო სიბრმე წარწყმედისაგან თუალთაჲსა მოვალს, Ath.-32 113 r, 13—14: დაიბადნეს ღმრთისა მიერ, იქვე 114 r, 4; მეორედ დაიბადები, იქვე 184 r, 14—15; ღმრთისა მიერ დაიბადა, იქვე 167 r, 2—3: რომელი დაიბადა ჴელითა ღმრთისაჲთა, Ath.-21 64 v, 9: პირველისა მისისა სახისაგან, რომელსა ზედა დაიბადა, იქვე 133 v, 17—18: ვიდრეჱდის მიიქცეს მიწადღეი, ვინაცა დაიბადა, იქვე 264 r, 9—10: დაუბადებელი დაიბადების, A-1 44, 14—15; ვითარცა დავიბადენით, იქვე 81, 3—4; ბიწადვე მოვიქეც, ვინაცა დავიბადე, იქვე 171, 3—4; სათნოებანი დაიბადნეს ბის ბიერ, A-445, 244 v, 8—9, და სხვ.

დაიბადა ტიპის ფორმები ხშირია ბასილი დიდის „ექუსთა ღღეთაჲ“-ს გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში: 8, 16; 9, 17; 21, 13; 33, 15—16; 42, 34; 44, 19; 65, 21; 89, 6; 91, 14; 92, 6; 92, 6—7; 98, 8; 105, 35; 106, 4—5; 108, 36.

გამოერჩა // გამოირჩა: წმიდანი და მართალნი ესერა აწ გამოირჩევიან სადგურისა მისთჳს ცხოველისა. საკითხ. წიგნ. II 52, 22—23 C; შდრ.: გამოერჩევიან C; იგინი გამოირჩეჳიან და ჩუენ გურულის, იქვე 52, 24—25 B; შდრ.: გამოერჩევიან C.

დაიყენა / დაიყენა: ნუუკუე ჩუენ გამო დაიყენოს მართალთა კლოჲა ეზრა სუთ. 2, 39 I; შდრ.: დაეყენოს O.

დაეთესა // დაითესა: რომელი-იგი უწინარეს სხუათაჲსა დაითეს, Ath.-32 167 r, 9; დაითესვის გინებითა და აღდგების დიდებითა, A.-135 212 v, 14—15: თესლი, რომელი ერთბამად დაითესა, ძიბ. სულ. გაკრინ. 39 r, 30—31 a; შდრ.: ვინაჲთგან დაეთესა მათ შორის კეთილად, იქვე 39 r, 44—45 a.

დაეკრძალა // დაიკრძალა: შემდგომად რაოდენისაჲმე ჟამისა აღმოიყვანნეს პატიოსანნი იგი ნაწილნი მათნი და ლუსკუმასა შინა დიდებულად დაიკრძალნეს, A-193 295 v, 9—11.

დაეფლა // დაიფლა: დავიფლნეთ ქრისტეს თანა, რომელი-იგი ჩუენთჳს ბოკუდა. Alh.-32 182 r. 7: ვითარ **დაიფლა**, ვითარ შეიცვალა, იქვე 311 r. 17—18: შდრ.: დ ა ე ფ ლ ე ი წყალთა მათ შინა, სინ. მრავალთ. 88, 33.

დაეშარხა // დაიმარხა: ესე არს რიცხჳ სრული და შშობელი სისრულისაჲ და **დაიმარხვის** ვიდრე მეხუთედ დღემდე, A-1 52, 2—4; მახლობელად მის მიერ აღმოცენებულისა მის წყლისა **დაიმარხა**, A-193 3v, 4—5; მასვე მონასტერსა შინა **დაიმარხა** წმიდაჲ და პატიოსანი გუამი მისი, იქვე 221 v, 10—11: შდრ.: აღესრულე და დ ა ვ ე მ ა რ ხ ე, სინ. მრავალთ. 65. 23.

დაედვა // დაიდვა: გუამი მისი, ღმრთისშემწყნარებელი, ანგელოზთა მიერ და მოციქულთა **დაიდვა** საფლავსა შინა, Jer.-2 17 r, 15—16: შეიხჳა სამკუდროჲთა ტილოჲთა და **დაიდვა** საფლავსა, იქვე 112 v, 30—31; ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, ჴოკუსთოს და ცეცხლსა **დაიდვას**, ვან. ოთხთ. 14 r, 13—16 a: შდრ.: დ ა ე დ ვ ა ს CDE.

* * *

ვფიქრობთ, სინტერიო უნდა იყოს ძველი ქართული ენის ბოლო პერიოდის ძეგლებში დ ე პ ო ნ ე ნ ს უ რ. ფორმათა დადასტურება:

ვჴად და ვსუამ და ვიფუფუნები, A-500 85 v, 16—17: ღელვათა ემეგობრებით და ჰყუარობთ, იქვე 12 v, 19—20: და ეშურებით ჴორცისაგანთა მათ, იქვე 144 r, 10—12; და არა ვეცრუვები აღთქუმასა მას მისსა, იქვე 265 v, 16—16: შდრ.: ვერ ვეცრუვები (ვეფხისტყ).

მიჩნეის ენებითს გაღმოსცემს გუეგემოვნების „ჳეჳენრიელება“ ფორჳა:

რომელთაგან არარაჲ გუერგების, არცა რაჲ გუეგემოვნებას, A-500 90 r, 2—3.

ჲ. ასპექტისა და მომავალი დროის გამოხატვაში მოძხარი ცვლილების დათარიღებისათვის

ა. შანიძემ დააჯერინა, რომ ძველ ქართულში სრული და უსრული ასპექტის დაპირისპირება ეწყარებოდა სერიათა ოპოზიციას: I სერიის ფორმები უსრულ ასპექტს გამოხატავდნენ, II სერიისა — სრულს. ზმნისწინის დართვა-დაურთველობას ასპექტის გამოხატვისათვის ბნიშვნელობა არ ჰქონდა (65, გვ. 276, 268).

ასპექტის გამოხატვის ძველი ქართული სისტემის (ა. შანიძე მას ბ ე რ-

ძ ნ უ ლ ს ი ს ტ ე მ ა ს უწოდებს ტიპოლოგიური ხ.გავლების გასახაზავად) ცელილებამ თანდათან მოგვცა ის წესი, რომელიც თანამედროვე ქართულში გაბატონებულია: სრული და უსრული ასპექტის ფორმებს ვარჩევთ ზმნისწინის დართვა-დაურთველობით. ზმნისწინიანი ფორმები. ჩვეულებრივ, სრულ ასპექტს გამოხატავენ, უზმნისწინონი, ჩვეულებრივ, — უსრულ ასპექტს.

ა. შანიძე წერს: „ჯერ კიდევ ძველი ქართულის ძეგლებში საკმაოდ ხშირად მოიპოვება ახალი სისტემის ნიმუშები. მაგალითად, ზაქარია წინასწარმეტყველის ერთი ადგილი (13,7) ასეა დამოწმებული მათესა და მარკოზის თავში: „წერილ არს: დ ა ე ს ც ე მწყემსი და განიბნინენ ცხოვარნი“ (მათ. 26, 31; მარკ. 14, 27), მაგრამ ასეა ზოგ რედაქციაში, ზოგში კი სხვაგვარად იკითხება: „დავსცემ მწყემსსა და განიბნინენ ცხოვარნი“. ხელნაწერები ამ საკითხში ასეა განაწილებული: ალიშურსა და ათონურში ორგანვე „დავსცე მწყემსი“ იკითხება (იგივეა ორსაეე ადგილას აგრეთვე გიორგი მთაწმიდლის რედაქციაში. როგორც ეს ნაბეჭდი წიგნებიდან ჩანს), ჯრუჭისა და პარხლისაში მათეს თავში არის: „დავსცე მწყემსი“, მარკოზისაში კი — „დავსცემ მწყემსსა“ (ხელმიწვდომლობით რომ ვთქვათ, ჯრუჭის ხელნაწერში იკითხება: მათეს თავში „დავჰსცემ“, მარკოზისაში კი — „დავსცემ“). ტბეთურში კი ორგანვე „დავსცემ მწყემსსა“ არის, როგორც ამას გამოცემა აჩენს. არავითარი ეჭვი არ არის, რომ აქ მომავალი დროის თხრობითი კილოს მნიშვნელობით არის ნახმარი როგორც „დავსცე“, ისე „დავსცემ“ ფორმა, ბერძნულში აქ იკითხება წინადადება მყოფადის ფორმით πατ ξξω τὸν ποιμένα. სომხურიც მას მიჰყვება.

ეჭვი არ არის იმაში, რომ ერთ შემთხვევაში მომავლის ფორმა თხრობითი კილოსი ძველი სისტემით არის გამოხატული („დავსცე მწყემსი“ — II სერია, II კავშ.), მეორე შემთხვევაში კი — ახალი სისტემით („დავსცემ მწყემსსა“ — I სერია, მყოფადი).

XI საუკუნიდან რიცხვი ახალი სისტემის მიხედვით ნაწარმოები ფორმებისა თანდათან მატულობს. ორიოდე მაგალითი: „უკუეთუ მიგიშუნე ამას საქმესა ზედა, პირველად საქმეთა თქუენთა წ ა ი წ უ მ ე დ თ ღა მერმე მონასტერი უწესოდ გ ა ვ ა“ (გიორგი მთაწმ. „ცხორ. იოვ. და ეფთ“. 68) — „წაიწუმედთ“ და „გავა“ სრული ასპექტის ფორმებია, ახალი სისტემის მიხედვით გაკეთებული (ძეგლი XI ს-ისაა). ახალი სისტემისავე ნიმუშია შემდეგი ადგილი მიჯნაძოროელთა და ოპიზართა სიგლიდან (XI ს.): „და თუმცა ოპიზარნი უნუეშინისცემოდ გაგუეშუნეს, იგინი შ ე წ უ ხ დ ე ბ ო დ ე ს“ (შედეგობითი კილო)“ (65, გვ. 269, იხ. აგრეთვე 89, გვ. 953—958).

როგორც ვხედავთ, ასპექტის ახალი სისტემის გამოხატვა მჭიდროდაა დაკავშირებული მომავალი დროის თხრობითი კილოს ფორმების აღნიშვნასთან: ზმნისწინიანი ფორმა მომავალი დროისად გაიგება. IX საუკუნის

ძეგლებიდან ზმნისწინით მყოფადის წარმოების მაგალითებს იმოწმებს ნ. ნათაძე (42. ეკ. 47). რამდენიმე ასეთი ნიმუში „იოვანეს გამოცხადების“ მოჰყავს ი. იმნაიშვილს (28. გვ. 136).

ნაშრომში „მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში“ ზ. ჯუმბურიძე ვრცლად ეხება მყოფადის ზმნისწინით გამოხატვას და ამ მოვლენის ამსახველ ნიმუშებს ძველ ქართულში (79; გვ. 59—67).

ჩვენ მიერ შესწავლილ წერილობით ძეგლებში გამოვლინდა სრული ასპექტის ზმნისწინით გამოხატვის მრავალი შემთხვევა (ამ ფაქტთა დიდი უმრავლესობა სპეციალისტთა ბსჯელობის საგანი არ ყოფილა). დავწყებთ იმ რიგის შემთხვევებიდან, როცა ორი ან მეტი ზმნა სრულ ასპექტს ზმნისწინით აწარმოებს:

და მო-რაჲ-ვიდა მისა ანგელოზი იგი, პირველად ესრჱთ ეხარა მას და ჰრქუა: გიხაროდენ, მიმადლებულო! გიხაროდენ, მიმადლებულო, რამეთუ შენ ნაშდჱლვე სიხარულისა ღირსთა საქმეთა იქმ, რამეთუ შენ შეუგინებელი იგი სამოსელი გმოსიეს და ცხორებაჲ სიწმიდისაჲ გარე-შეგრჱტყამს. გიხაროდენ, მიმადლებულო, რომელი ზეცისა მის სიხარულისა დამტევნელი ხარ; გიხაროდენ, მიმადლებულო, რამეთუ შენ მიერ სიხარული ყოველთა დაბადებულთა განეყოფის და ნათესავი კაცთაჲ კუალად მიიღებს დასაბამითგანსა მას პატივსა. სინ. მრავალთ. 8, 37—9, 5.

ამ ნაწყვეტში, რომელიც ამოღებულია გრიგოლი ნეოკესარიელის თხზულებიდან „ხარებისათჳს“, გაბრიელ მთავარანგელოზი მიჰმართავს მარიამს, რომელიც „სული წმიდის ძალით მიდგომილ იყო“, და ეუბნება: შენგან, მარიამ, სიხარული ყოველ დაბადებულს განეყოფა და ადამიანები კვლავ მიიღებენ პირვანდელ პატივს (იგულისხმება, რომ ეს ქრისტეს შობის შემდეგ მოხდება).

სხვა ნიმუშები:

არა ვითარ პირველი იგი ქალწული ეჳა მარტოჲ სამოთხესა შინა უსუსური გონებითა შეიტყუება ეშჳილისაგან და ესრჱთ სიტყუაჲ იგი შეიწყნარა და სიკუდილი სოფლად შემოიღო და ამისთჳსცა ყოველი შრომაჲ წმიდათა შეამთხჳა, არამედ მბოლოჲსაგან წმიდისა მარიამისა ნერგი იგი ცხორებისაჲ აღმოჰცჳნა ჩუენ. და რამეთუ ესე მარტოჲ სულიერთა და კორციით იპოვა წმიდა და გულდებულითა გონებითა ანგელოზსა მას ეტყოდა: ვინაჲ არს მოკითხვაჲ ესე და ვითარ იყოს ესე ჩემდა? მ ი ნ ე ბ ს ს წ ა ვ ლ ი ს, ვ ი თ ა რ დიდად შუენიერი იგი ქელმწიფებაჲ მოგუემსგავსების ჩუენსა აქას სიგლახაკესა? ვითარ, რომელსა-იგი აქუა ძლიერებისა ქელმწიფებაჲ, შეიმოსს ხატსა ჩუენისა შეურაცხებისასა? და რ ო მ ე ლ ი უ პ ი რ ა დ ს ს ა უ კ უ ნ ე თ ა ღ მ ე რ თ ა რ ს, ე ი თ ა რ ყ რ მ ა ი(ქმ)ნების და კორციელ ი(ქმ)ნების, რომელმან შეიწოსა ნათელი (ვითარცა) სამოსელი და აცხოვნებს თჳსთა დაბადებულთა? ესე ვითართა საიდუმლოთა წმიდაჲ ქალწული ეძიებდა, მიუწდომელთა და საღ-

მრთოთა საიდუმლოთა დამტევნელ იქმ(ნა და)ფარვითა სულისა (წმიდი)-საჲთა, იქვე 21, 32—22, 7.

ამ საიდუმლოთა გამოძიებისას მარიამს აინტერესებს, ღმერთი. „რომელი უპირადეს საუკუნეთა არს", როგორ დაემსგავსება ადამიანებს. როგორ შეიმოსება ადამიანური ხატით, ბავშვი და ხორციელი გახდება და გადაარჩენს (აცხოვნებს) „თჳსთა დაბადებულთა". ეფიქრობთ, აღნიშნული ზმნები მომავალ დროს გამოხატავენ.

რამეთუ მე ამიერითგან წარვალ თქუენგან და მონაზონ ვიქმნები და ვტიროდი ცოდვათა ჩემთათჳს ნეშტთა ამათ დღეთა ჩემთა, ლიმონ. 14, 12—14;

ცხორებაჲ ესე წარვალს და განილევის და დიდებაჲ და შუენიერებაჲ დაჴნების, ხოლო სიმდიდრე დალპების და წარწყმდების, რაჲსა, ცუდად ვმაღლოით, რამეთუ ყოველნი მოკუდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი, დიდი პარაკლიტ. 18 r, 1—3.

ჩვენთჳს საინტერესო ზმნებით აქ გადმოცემულია ისეთი მოქმედებანი, რომლებიც მომავალში მოხდება. მომავალი დრო ამ შემთხვევაშიც ზმნისწინითაა ნაწარმოები.

ჰრქუა მას: ვიდრემდის, ძმაო ჩემო, იქცეოდი ამას უსჯულოებასა შინა და შიშსა ღმრთისასა არა მოიგონებ გონებასა შინა და არა დასცხრები უკეთურთა ამათ და ბოროტთა საქმეთაგან, ლიმონ. 72, 32—73, 3; დაარწმუნა მას და ჰრქუა, რამეთუ: წმიდაჲ აღდგომაჲ მოგცემს შენ საქმარსა, რაოდენცა გინდეს. და ფასსა ორ წილ, გარნა ნუ ხოლო ურჩ ექმნები მცნებასა ჩემსა, იქვე 101, 4—7; და თუ ვდუჵნე და არა ვამხილო თავი თჳსი, თანამდებ მიჩს, და არა აღვიტყუა სარწმუნოებით ამით, რომელი ჩემ თანა განძლიერებულ არს სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა, მოკუდები და საუკუნოჲსა მისგან სიკუდილისა არაჲე განვერები, ათონ. მრავალთ. 95 v, 2—8 b.

ამ ფრაზებში ერთმანეთის გვერდით გვხვდება კავშირებითი II და ზმნისწინიანი ფორმები მომავალი დროის მნიშვნელობით.

მეორედ მოსლვისა უცნაურებასა იტყჳს და ვითარმედ არა თუ ჩანი განჭარდებიან, არამედ ვითარცა წარგრაგნაჲ და უმჯობესისა მიმართ შეცვალებაჲ მოიწევის მათ ზედა, ვითარცა დიდი ირინეოზ იტყჳს, ვითარმედ: არა თუ ბუნებაჲ დაბადებულთაჲ განჭარდების, რამეთუ ჴეშმარიტ არს და მტკიცე დამბადებელი მათი, არამედ სახჲ იგი სოფლისაჲ ამის, რომელსა ზედა იქმნა ცოდვაჲ, შეიცვალების, თარგმ. იოვ. გამოცხად. 6, 14 (a).

აქ ლაპარაკია იმ საფრთხის შესახებ, რომელიც „სამყაროს მოელის" მეორედ მოსვლის დროს. ცხადია, ზმნისწინიანი ფორმები მომავალ დროს (სრულ ასპექტს) გამოხატავენ.

და უკუეთუ ღმერთნი თქუენნი შობილ არიან ზეცით გარდამო და ქუეყანით, ვითარ-ეგე თქუენ იტყჳთ, ჴეშმარიტად უკუე, რამეთუ ცაჲ და ქუეყანაჲ წარვლენ და დაიჴსნებიან და განჭარდებიან, შვილნიცა უკუე

უეჭველად. ვითარცა მშობელნი, წარჴდენ და განჭარდენ და ვინაითგან უწყით. ვითარ-ცად წარჴდენ (წარვლენ Ղ) და განჭარდებიან, ვითარ უჴუე ადიდებთ მათ?.

ხოლო სულნი კაცთანი რაჟამს გამოვიდენ გუამთაგან მათთა. არა წარწყმდებიან და არცა განჭარდებიან, არამედ მივლენ იგინი ადგილსა მას, სადა-იგი ბრძანა ღმერთმან დამარხვაჲ მათი, საკითხ. წიგნ. II 83, 30—84, 1.

ამ ნაწყვეტში არა მარტო კონტექსტი, არამედ კავშირებითი კილოსა და ზმნისწინიან ფორმათა მონაცვლეობაც მიუთითებს, რომ ზმნისწინი სრულ ასპექტს (მომავალ დროს) აწარმოებს.

მსგავსი ვითარებაა ქვემოთ მოტანილ შემთხვევებში:

და რაჟამს იხილოს საჭურველი ესე ვის თანაჲ ეშმაკმან, მეყსეულად შეეშინების წინააღმდგომსა მას და მოეკსენების ძლევაჲ იგი, რომლითა იძლია უდაბნოსა მას ზედა მაცხოვრისა მიერ, და ძალი მისი დაეცემის და ფრთანი მისნი ძაიწუვიან, A-35 4 r, 6—14; საქმენი კეთილნი და შრომანი მაშინ მოგუცემენ უვნებელობასა, რაჟამს ვეზიარნეთ დაყუდებასა, და მაშინ მოკუდებიან ასონი ჩუენნი ქუეყანასა ზედა და მოგუეცემის დაწყნარებაჲ გონებისაჲ, რაჟამს-იგი გარეგანნი საცნობელნი დასცხრენ შფოთისა და აღძრვისაგან და დაიგრენ საქმეჲსა ზედა სიბრძნისასა ჟამ რაჲდენმე, იქვე 6 r, 7—16; [ღმერთ]შემოსილი ბასილი იტყჳს. ვითარმედ დაყუდებაჲ დასაბამი არს სულისა განწმედისაჲ, რამეთუ რაჟამს გარეგანნი ასონი დასცხრენ შფოთისაგან გარეგანისა და ზრუნვისა სოფლისა საქმეთა, მერმე განიღჳძებს გული გამოძიებად გულისსიტყუათა მათ შინაგანთა და, უკუეთუ ამას შინა კეთილად მოითმინოს, მცირე-მცირედ მისწუთების მადლსა მას და სიწმიდესა სულისასა, იქვე 6 v. 2 — 11; არამედ რაჟამს ესე ყოველი ესრეთ გულისხმა-ყოს, მაშინ მოიგებს ლოცვასა სულსა შინა თჳსსა, ვითარცა საუნჯესა დიდსა და ფრიადსა, მისგან, სიხარულისა სახესა მას ლოცვისასა შესცვალებს მადლობად, იქვე 35 r, 6—11; რამეთუ რომელმან მოიღო უპოვარებაჲ, უწყოდე. რამეთუ მის თანა პირველად აღიძრვის სიყუარული ჭირთა და შრომათაჲ, და მერმე მოჳვალს მის თანა სიყუარული უპოვარებისაჲ და ყოველმან, რომელმან თავს-იდვას ჭირი და შრომაჲ, მისი გონებაჲ პირველად სარწმუნოებისა მიერ განმტკიცნების და მერმე სარწმუნოებისა მიერ თავს-ისხამს ჭირთა, იქვე 116 v, 18—117 r, 7; რამეთუ განგრილებაჲ იგი მკურეალებისაჲ და ესეეითარი სიმძიმე გამოსაცდელად შოიწევიან კაცსა ზედა და, უკუეთუ იგი არა უდებ იქმნას, არმედ განიფრთხოს მცირედ და აღიძულოს თავი თჳსი, მერმე კუალად მოჳვალს და მოიწევის მისა სხუაჲ მადლი და ძალი, იქვე 69 r, 12—20; და რაჟამს-იგი აღვიძრნეთ ჩუენ ზეალმართ, დავძიმდე-

ბით მიწისა მიერ და ქუეყანისა, და რაჟამს-იგი ქუედამართ შთავიდოდით, ვაიძულებთ ბუნებასა მას ცეცხლისასა და გარეშე ბუნებისა მისისა ქუედამართ შთავჴდავთ, ექუს. დღ. 13, 22—25; ვითარცა-იგი რქოსნისა მის ჰინდურისა მატლისათჳს იტყჳან, რომელი-იგი პირველ ბუხუნჯველად შეიცვალების და მერმე მშუენ იქმნების და არცა-ღა მას სახესა ზედა დაადგრების, არამედ ლბილთა და ერცელთა ფრთეთა მიერ ფრთოვან იქმნების, იქვე 101, 31—34: მე ვეტყჳ მათ, რამეთუ ყოველი საგანი, რომელი მიევახჴოს ღმერთსა, და არა წარუწყმდების იგი, არამედ კუალად მიეგების იგი მრავალნაწილად. ექუს. დღ. (აბ.) 39, 24—26; უკუეთუ ვინმე ტრაპეზსა ოდენ ვერ დასჯერდებოდის, და გინა მე და გინა თუ ჴელოსანმან მისცეს საჴმარი რაჲმე, თჳთ მან ხოლო მარტომან იჴმარენ და სხუასა ძმასა ბრალსა ნუღარა შთაადგებენ. და უკუეთუ ესე არა ქმნას, ორთავე ბრალსა ღმერთი მისგან იძევს, იოვ. და ეფთ. 80, 3; განუსუენის და მერმე უბრძანის: „შეგუნდეთ, ვერ მოგჳარსავთ: თქუენ კაცნი ხართ სახელოანნი და ჩუენ კაცნი ვართ გლახაკნი და უცხონი, და ოდეს საფასე მისცეთ ეკლესიასა, განსუენებით განბავს ყოფაჲ და, ნუუკუე ვერ განგისუენოთ და მერმე შესწუხდეთ; და კუალად ძმანი ყოველნი ძლიერად შურებიან და უკუეთუ ვიეთნიმე მოცალედ იყვნენ, იგინიცა შეწუხდებიან, იქვე 83, 2: შეჰშურდა სოფელთათჳს, და შეჰნივთა ავარგმანებად, რამეთუ დიდი ბრალობაჲ შეემთხუევის თარგმანთა, რომელნი არა განეკრძალნენ და სრულიად უკუეთუ ვისმე პირველად ეთარგმნოს, მეორედ თარგმანებელი წინააღმდგომად გამოჩნდების, დაჩ. 67, 16—19; ჰრქუა მათ ყრმამან მან: და ესეეითარი ყოველთა კაცთა შეემთხუევისა? ჰრქუეს მას: არა ყოველთა, არამედ ზოგთა. ჰრქუა მათ ყრმამან მან: უკუეთუ საცნაურ არიანა კაცთა შორის, რომელთა ესე შეემთხუევის და რომელთა არა? ჰრქუეს მას: ზოგთა შეემთხუევის და რომელნიმე დაუშთებიან, არამედ გამორჩევით არაჲ იქმნების. ჰრქუა მათ ყრმამან მან: და არავინ არს, რომელმანმცა იცოდა გამორჩევით ჴეშმარიტად, ვითარმედ ესე არა შეემთხუევის? ბალავარ. 23, 15—25 C; ენებოს თუ, განაქარვებს და კუალად მოაგებს ყოველსაჲ. იქვე 71, 24—25 Ქ: შდრ.: განაქარვნეს, მოაგნეს C; ღმერთმან მისცემს და ხვალე მოუღებს და მერმე იზღვევს, იქვე 107, 5—6 C; აწ, მეფეო, შენცა ეძიენ დედანი, რაჲთა აზრზენდენ მას და იქცეოდის რაჲ მათ თანა, დაჰვიწყებოს საუკუნოჲ და შეესაკუთრების საწუთროსა, იქვე 123, 34—38 Ქ; ბერმან თქუა: დააჩუე გული შენი მცირედ თჳთოეულსა ზედა ძმასა, რაჲთა იტყოდი ჴეშმარიტებით, ვითარმედ: ესე ძმაჲ უმჯობეს არს ჩემსა წინაშე ღმრთისა, და კუალად: ესე ვინმე უმოსწრაფეს არს, და ესრეთ მოხუალ შენ საზომსა მას, რაჲთა გაჭუნდეს თავი შენი უდარეს ყოველთაჲსა და მერმე დაემკჳდრების შენ შორის სული ღმრთისაჲ. და უკუეთუ შეურაცხ-

ჰყო კაცი. წარვალს შენგან მაღლი ღმრთისაჲ და მიეცემი შეგონებასა კორ[ნ]თელ. და განფიცხნების გული შენი, მაშათა ცხოვრ. 101 r, 15 a—101 r. 1 b: გარნა უკუეთუ იხილოს ღმერთმან კაცი, რომელი იქადოდის ცრემლთა ზედა, აღიხუამს მათ მისგან და მიერითგან განფიცხნების გული მისი და ჰგიეს იგი ულმობელად და წარწყმდების, იქვე 105 r, 13—20 a.

ოთხთავის ერთი ადგილი (მ. 3, 10: 7. 15: ლ. 3, 9) Jer.-12 ხელნაწერში ასე იკითხება:

რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი სათნოებისაჲ, მოეკუეთების და ცეცხლსა დაეწდების, 337 r, 2—4; შდრ.: დაედვას CDEGFK; დაიდვას H.

ვალს ზმნის ზმნისწინიანი ფორმები ძველი ქართულის აღრინდელ ძეგლებშივე ნოშავალი დროის (rasp. სრული ასპექტის) მნიშვნელობას იძენენ:

შენ კადნიერებაჲ სამოთხედ შესლვისაჲ მოგუმადლე ჩუენ და პირველი იგი სალმობაჲ განსდევნე, რამეთუ შენსა შემდგომად ნათესავი დედათაჲ არღარა იყუედრებოდის, არღარა ეშინოდის მკუდრთა ევაისთა პირველისა მისთჳს წყეულისა, არცაღა შობადისა მის სალმობისა, რამეთუ ქრისტე ნათესავისა ჩუენისა მჴსნელი და მაცხოვარი ყოველისა ბუნებისაჲ, სულიერი ადამ, რომელმან მიწისაგანისაჲ მის წყლულებაჲ განჰკურნა, წმიდისაგან მუცლისა შენისა გამოვალს, სინ. მრავალთ. 13, 20—26: და ნეყნ თუ ჰკითხო ვისმე: რაჲსა მიისწრაფი აბანოდ დღეს? მოგიგოს და თქუას: რამეთუ ხვალე მარხვაჲ შემოვალს, იქვე 110, 22—23; და თუ თითოეთ განჰყუნე იგინი, თჳსა მას რიცხუსა არა გარდაჰვლენ, იქვე 122. 4—5; ყოველთა დღეთა ჩუენთა სახელისა მიმართ ვღაღადებთ უფლისა და ვიტყჳთ: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა ნეშჯობაჲ, კაცთა შორის სათნოებაჲ, რომელი-იგი ბეთანიად მოვიდა, იგივე აქა მოვალს, ხოლო მოვალს არა ვითარცა მოსრული, არამედ ვითარცა არსი და მოსრული დამომავალი, იქვე 126, 13—16; დაუთმეთ მას, რამეთუ მოვალს და მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა თჳსთაებრ, იქვე 247, 8—9: მოიქეცით და განერენით ცეცხლისაგან მის მომავალისაჲ. არა ეგრე არს, ვითარ-ეგე თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ მეუფისა ქუეყანისასა ერად განწესებულ ვართ ჩუენ, არამედ ზეცით მომავალისა ღმრთისა ცხოველისა, რომელი-იგი უშჯულოებისათჳს; რომელ იქმნების ამას სოფელსა, მოვალს, იქვე 252, 18—21; მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა არა ღირს ვარ მე დადრეკად და განჴსნად საბელთა ჯამლთა მისთასა, მრკ. 1, 7 C (ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერებში ეს ადგილი ასეა გადმოცემული: აჰა ესერა, მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განჴსნად საბელთა ჯამლთა მისთა): და ჰრქუა მათ: ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა, მრკ.

9. 29 C (შდრ.: ვერარაით შესაძლებელ არს განსლვად DE); ესერა აღხუალთ იერუსალჱმდ, და ძე კაცისაჲ მიცემად არს მღდელთმოძღუართა და მწიგნობართა, მრკ. 10. 33 C: შდრ.: აჰა ესერა აღვალთ იერუსალჱმდ, და ძე კაცისაჲ მიეცეს მღდელთმოღუართა და მწიგნობართა DE; მე ნათელს (ნათელ-DE)-გცემ თჳუენ წყლითა; არამედ (—C) მოვალს უბლიერესი ჩემსა, რომლისა არა ვარ ღირს (არა ღირს ვარ DE) ჯამლთა მისთა ტჯრთვად, ლ. 3, 16 CDE: რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა, და მოგადგან შენ მტერთა შენთა ლაშქარი, ლ. 19, 43 CDE: მოვლენან დღენი, რომელთა შინა არა დაშთეს ქვაჲ ქუასა ზედა, ლ. 21, 6 CDE: ძუ სამე კაცისაჲ მსგავსად განჩინებულისა მისისა წარვალს, ხოლო ვაჲ არს კაცისაჲ მის, ვის მიერ მიეცემის იგი, ლ. 22, 22 CD: რამეთუ მოელენან დღენი, რომელთა შინა თქუან, ლ. 23, 29 DE (შდრ.: მოვიდენ C): ესე არს, რომლისათჳს-იგი მე ვიტყოდე (ვთქუ DE): შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, ი. 1, 30 CDE; ხოლო მოვლენან ჟამნი (არაწედ მოვალს ჟამი DE), და აწვე არს, რაჟამს ჳეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანის-ს (ჱს D) ცემდენ მამასა სულითა და ჳეშმარიტებითა, ი. 4, 23 CDE: ჰრქუა დედაკაცმან მან: უწყი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე. რაჟამს მოვიდეს, მან გუთხრას ჩუენ ყოველი. ი. 4. 25 C (შდრ.: ჰრქუა მას დედაკაცმან მან: ვიცი, უფალო, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე, ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი DE): მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ესმოდის (ისმინენ DE), ი. 5. 25 CDE და მისთ.

ა. შანიძის მიერ დაშოწმებული ზაქარია წინასწარმეტყველის ადგილი (13, 7 დავსცე მწყემსი) სხვა ნუსხებში ასე იკითხება:

დავსცემ მწყემსსა და განიბნინენ ცხოვარნი, ოპიზ. ოთხთ[1]. 58 r, 1—3 b: ქსნ. ოთხთ. 18 r, 18 a—18 r, 1 b: Sin.-16 85v, 3—4.

ლატალის ლექციონარში გვაქვს:

რამეთუ წერილ არს: ესერა, დავსცემ მწყემსსა ამას და საცხოარი იგი მივოგანიბნიოს, 148 r, 19—22 a:

დავსცემ მწყემსსა და განიბნიოს საცხოარი, იქვე 148 v, 28 b—149 r, 2 a.

საინტერესოა პარიზის მარხვათა ხელნაწერის ჩვენება:

მწყემსი რაჲ დასცენ. განიბნევიან ცხოვარნი, 202 r, 15—16.

თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობით ზმნისწინიან ფორმათა ხმარებას მოწმობს ისიც, რომ ამ ზმნებთან ხშირად იხმარება ხვალე, ზეგე, მერმე ...ზმნიზედები, გამოთქმები: შემდგო-

[1] ოპიზის ოთხთაჲი (913 წ. გადაწერილი) უსწრებს ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერებს, სადაც „დავსცემ" არის დადასტურებული.

მად ჩემსა.., შემდგომად სამისა დღისა. საბუთად, რა თქმა უნდა, ისიც გამოდგება, რომ ზმნისწინიან ფორმათა პარალელურად ტექსტში ვადასტურებთ კავშირებითი კილოს (განსაკუთრებით II კავშირებითის) ფორმებს; გვაქვს კონსტრუქცია: ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი+მეშველი ზმნა.

განშორება: სავანესა ერთსა ეწ[ე]გავსა ესე ცხორებაჲ, მისგან განვეშორებით და მივალთ თჳსა ადგილსა, ისტ. ქრესტ. II 3, 15—16; ხვალე განვეშორებით ურთიერთას, იქვე 69, 23; რამეთუ ხვალე განვეშორებით ურთიერთას, ნიკოლაოს 200 v, 2—4 a.

განძლიერება: რამეთუ რაჟამს მოუძლურდე, მაშინ განვძლიერდები, Ath.-78 171 v, 5—6; თარგმ. კათ. ეპისტ. 183, 26 b.

მოკლება: მარტსა კსა დღჱ და ღამჱ და ღამჱ განსწორდენ, და მიერითგან ღამეთა მოაკლდების და დღეთა შეერთჳოდის, სინ. ქრონიკ. 138 r, 11—17 a; სეკდებერსა იჱ-ჱსა განისწორნენ დღენი და ღამენი, და მიერითგან დღეთა მოაკლდების და ღამეთა შეერთჳოდის, იქვე 138 r, 24—29.

დაკლება: ეგრეცა წმიდაჲ ჲორცი და პატიოსანი იგი სისხლი ქრისტჱსი, რავდენცა მოეფინებოდის ჩუენ ზედა, უფროჲსღა გამოცდილი იპოს და არარაჲ დააკლდების მას, ათონ. მრავალთ. 226 r, 26—30 b.

შემოხუევა: რაჟამს იქმნას მონაზონი ცრემლთა მიერ განსლვად ჭუეყანაჲ იგი ენებათჲ და მიიწიოს ვაკესა მას სულისა წმიდისა, მერმე შეემოხუევის მას ნუგეშინის-ცემაჲ, A-35 14 v, 11—14; ვხედავ საქმეთა მომავალთა ჩემ ზედა, სადაჲთ არა უწყი, და ვერ ვიცი საზომი ცხორებისა ჩემისაჲ და რაჲ შეემოხუევის ბოროტი მას შინა, ბალავარ. 70, 24—27.

შთაგზნება: თივაჲ ველისაჲ ხვალე თორნესა შთაეგზნების, მამ. სწავლ. 191, 28—29 A; უკუეთუ თივაჲ ველისაჲ, რომელი ხვალე თორნესა შთაეგზნების, ეჩრდთ შემოსის ღმერთმან, Sin.-36 214, 6—9 b.

ოთხთავის ნუსხებში ეს ადგილი ასეა გადმოცემული: უკუეთუ თივაჲ ველისაჲ, რომელ დღეს არს და ხვალისაგან თორნესა შთაგდიან, მთ. 6, 30 C; შდრ.: უკუეთუ თივაჲ ველისაჲ, რომელი დღეს არნ და ხვალე თორნესა შთეგზნების D: შთაეგზნეს E; უკუეთუ ველსა გარე თივაჲ, რომელი დღეს არს და ხვალე შთაეგზნეს, ლ. 12, 28 C; შდრ.: უკუეთუ ველსა გარე, რომელ დღეს თივაჲ არს და ხვალე თორნესა შთაეგზნის DE.

მოწყუედა: და გჳკსნენ ჩუენ კელთაგან მათთა, რომელნი ეძიებენ სულთა ჩუენთა, რამეთუ ხვალე მოვსწყდებით, ნიკოლაოს 201 r, 13—16 a; ეჰაოთ და ვსუათ, რამეთუ ხვალე მოვსწყდებით,

Ath.-78 157 v, 19—20: ხარგმ. კათ. ეპისტ. 65, 27—30 b; ებისტ. ეგნატე ღმერთშემოს. 412 v, 25—26 b.

მოძულება: და ოდეს იხილოს სულმან გემოჲ სიტკბოებისა ღმრთისაჲ, მერმე მოსძულდების მას სამოსელიცა იგი, რომელი ჰმოსიეს, მამათა ცხოვრ. 174 r, 16—21 a.

დამკუდრება: უკუეთუ ესე განიზრახოს კაცმან გონებასა თჳსსა, უწყოდენ, ვითარმედ არა დაიმკუდრებს ღმერთი მის თანა უკუნისამდე, მამ. სწავლ. 306. 16—17 AC; შდრ.: დაიმკუდროს B; კაცი, რომელი განეშოროს ჴსენებისაგან ღმრთისა, მისსა გულსა დაიმკუდრებს ძჳრის-ჴსენებაჲ მოყუსისა მიმართ, რომელი პატივსცემდეს ყოველსავე კაცსა ღმრთისათჳს, მან მოიღოს პატივი ყოველთაგან, მოქალაქობ. მონაზონებ. 64 r, 3—6; ჰკითხა ვინმე მამასა იოვანეს სპარსსა, ვითარმედ: ეჴეზომსა შრომასა ვიქმთ ხასუფეველისათჳს ცათაჲსა, დავიმკუდრებთმეა მას? მიუგო და ჰრქუა მას ბერმან: მე მრწამს, რამეთუ დავიმკუდროთ, პატერიკი 116, 20—24.

ამაღლება: ხოლო რაჟამს თავსა შენსა განიმართლებდე, ამაღლდების გული შენი, მოქალაქობ. მონაზონ. 4 r, 9—10; რამეთუ ვიდრეღა არა მიწევნულ იყოს კაცი გულისჴმის-ყოფასა, ვერ შემძლებელ არს მოქალაქებაჲ მისი დაწყნარებად. ხოლო რაჟამს მიეახლოს გულისჴმის-ყოფასა, მაშინ ყოვლითურთ ამაღლდების, იქვე 64 v, 20—23; თქუა მამამან ისიდორე: რომელნი-ეგე კეთილად იმარხავთ, ნუმცა ამაღლდებიან გონებანი თქუენნი და, უკუეთუ ამაღლდებით, უწყოდეთ, ვითარმცა ჯორცსა შჳათ, პატერიკი 116, 1—3;

გარემოდგმა: და რაჟამს დამდაბლდეს კაცი, მეყსეულად გარემოადგების მას წყალობაჲ ღმრთისაჲ, მოქალაქობ. მონაზონებ. 18 v, 13—14.

წარდგომა: რომლითა კანონიერებითა წარსდგები წინაშე ღმრთისა, ლიმონ: 40, 13—14 A; შდრ.: წარსდგე S.

მიცემა: აჰა ესერა, მიგცემ კრებულისაგან ეშმაკისა, თარგმ. იოვ. გამოცხად. 3, 9 AB; მიგცე C; ხოლო შენ მე რასა მომცემ, უკუეთუ გყო მხედველ, ისტ. ქრესტ. II 54, 31—32: აჰა ესერა, მოიწია ჟამი, და ძე კაცისაჲ მიეცემის ჴელთა ცოდვილთასა, მ. 26, 45 C; შდრ.: მიეცეს DE; აჰა ესერა მიეცემის ძე კაცისაჲ (ძე კაცისაჲ — DE) ჴელთა ცოდვილთასა, მრკ. 14, 41 CDE; ძე სამე კაცისაჲ მსგავსად განჩინებულისა მისისა წარვალს, ხოლო ვაჲ არს კაცისაჲ მის, ვის მიერ მიეცემის იგი, ლ. 22, 24; სულო ჩემო, რამეთუ მიეცემი შენ ხვალე ბნელსა წყუდიადსა, მამ. სწავლ. 184, 28 A; არა თუ რამეთუ მაშინ სუფევაჲ მიეღების მისგან, არამედ რამეთუ უმტკიცჱსად და უმაღლჱსად მიეცემის მათ, თარგმ. იოვ. გამოცხად. 20, 6 AB; შდრ.: მიეცეს C; უკუეთუ სულნი მართალთანი აწვე ზეცას არიან, რაჲ არს მისაგებელი იგი, რომელ

დღესა მას საშჯელისასა მიეცემის მათ სამართლისა მათისათჳს. დიალოღ. 83 r. 5—12 a.

მოკუდომა: მოიყვანა იგი მიზეზით ხილვად მკურნალობისა კელოვნებითა და ჰრქუა მას: რასა იტყჳ, იოსებ, ო დ ე ს **მოვკუდები?** ათონ. მრავალთ. 30 r. 3—8 a: ხოლო უკუეთუ ვინ თქუას: თუ რაჲ, აწ არღარა **მოვკუდებით?** არამედ ჰე, **მოვკუდებით**, გარნა არღარა ვიქმნებით მონა ბისი. ვითარცა-იგი პირველ, რაჟამს ვიყუენით კრულნი სიკუდილისა მიერ, Ath.-32 295 v, 16—18: ხოლო შენ ნუ გეშინინო, რამეთუ ა მ ა ს წ ე ლ ი წ ა დ ს ა არა **მოჰკუდები**, დიალოღ. 85 r, 4—6 b: უკუეთუ ესე არა ქ მ ნ ა ს. მეოცდაათესა დღესა **მოკუდების**, იქვე 108 v, 15—17 b: და მათ ჰრქუეს ყრმასა მას: ფერჳი უფლისა შენისაჲ დაშავებულ არს და უ კ უ ე თ უ არა მ ო ი კ უ ე თ ო ს, **მოკუდების** კაცი. მამათა ცხოვრ. 318 r, 4—6 a: სუ და ჰამე და იშუებდ, რამეთუ ხ ვ ა ლ ე **მოჰკუდები**, ბალავარ. 67. 20.

აღსრულება: აჰა ესერა განვასხამ ეშმაკთა და კურნებასა აღვასრულებ დღეს და ხვალე, და ზ ე გ ე აღვესრულები, ლ. 13, 32 C; ტბ. ოთხთ. 13, 32.

ეს ადგილი ოთხთავის ხსნა ხელნაწერებში ოდნავი ცვლილებებითაა წარმოდგენილი (არსებითი ისაა, რომ აღვესრულები ყველგან სრული ასპექტისაა): აჰა ესერა, განვასხამ ეშმაკთა და კურნებათა აღვასრულებ დღეს და ხვალე, და ზ ე გ ე აღვესრულები DE. აჰა ესერა განვასხამ ეშმაკთა და კურნებათა აღვასრულებ დღეს და ხვალე, და ზ ე გ ე აღვესრულები, S-405; Sin.-16 206 r, 3—5; Sin.-15 186, 18—21 b; ზუსტად ა ს ე ლატალის ლექციონარშიც: 242 r, 27 b—242 v. 3a.

დასრულება: და რაჲზომცა ა მ ა ღ ლ დ ე ს სიმაღლე იგი გულისჴმისყოფისაჲ. არა **დასრულდების**, მოქალაქობ. მონაზონებ. 64 v, 24—25.

აღდგომა: ხოლო მამამან არსენი ჰრქუა მას: შეშინდვე, მამაო, არა აღ ვ დ გ ე ბ ი, ვ ი დ რ ე არა წ ა რ ხ ჳ დ ე, A-35 195 v, 11—13.

მიწუდომა: რ ა ჟ ა მ ს ი წ ყ ო ს კაცმან უფლებაჲ კორციელთა მათ ვნებათა ამის საწუთროჲსა და შ ე ვ ი დ ე ს შინაგანსა მას ზღუარსა, რომელ არს უ შ ი ნ ა გ ა ნ ე ს ბუნებისა. ე რ მ ე **მისწუთების** ბადლსა ბან ცრემლთასა, A-35 8 v, 9—13.

შთავრდომა: და რ ა ჟ ა მ ს ე ა ხ ლ ნ ე ნ მათ ი გ ი ნ ი. დ ა ღ ა ც ა თ უ ა ი ბ ე ლ ე ბ დ ნ ე ნ თავსა თჳსსა კეთილისა მიმართ, გარნა ხედვითა და გულისთქუმითა **შთავარდების** მას შინა, A-35 2 v, 8—12.

წარჴდომა: იგინი წ ა რ ჴ დ ე ბ ი ა ნ, ხოლო შენ ჰგიე, ფსალმ. 101, 27 Ქ; შდრ.: იგინი წ ა რ ჴ დ ე ნ ჩქ.

მიღება: და ათნი იგი რქანი, რომელ იხილენ, ათნი მეფენი არიან, რომელთა მეფობა ა რ ღ ა მ ი უ ღ ი ა, არამედ ჴელმწიფებასა ვითარცა მეფენი ერთსა ჟამსა მიიღებენ მჴეცისა მის თანა, იოვ. გამოცხად. 17, 12.

მიწევნა: ეგრეევე არს სახუფეველი იგი ცათაჲ და-სამოთხჱ იგი ფუფუნებისაი, რამეთუ მარხვითა და მოთმინებითა და მღუძარებითა კაცად-კაცადი მიიწევის მუნ, საკითხ. წიგნ. II 9, 37—39; ხოლო მახჳლად რისხვისა მისსა იტყჳს, რომელი **მიიწევის** უშჯულოთა ზედა, თარგმ. იოვ. გამოცხად. 2, 12.

აღწევნა: დაღათუ ვისმე თუალი მარჯუენაჲ მისი წ ა რ მ ო ე გ დ ო ს, არა აღიწევის ღოცვაჲ მისი წინაშე ღმრთისა, მამ. სწავლ. 307, 2—3.

დადგრომა: უ კ უ ნ ი ს ა მ დ ე, უფალო, სიტყუაჲ შენი **დაადგრების** ცათა შინა, ფსალმ. 118.89; არამედ ჰეშმარიტად მადლი, რომელი უ კ უ ე თ უ მ ი ე ც ე ს, **დაადგრების**, ნათლისღებ. მეორე 440, 17—18.

წარმატება: ი ღ უ ა წ ე თავისა შენისაჲ, თუ ღმრთისა მიმართ **წარმჰმატებ** რასმე, რამეთუ დღენი ჩუენნი, ვითარცა მალედ-მსრბოლნი, ეგრე წარვლენ, ისტ. ქრესტ. II 3, 1—3.

მიცვალება: ეგრეთ მსწრაფლ განმავალ ვართ სოფლისა ამისგან და დაუტეობთ საყოფელთა ჩუენთა ... **მივიცვალებით** საუკუნეთა მათ სამკჳდრებელთა, საბა ასურ. 163, 28—31.

შეჴმა: და რომელსა უ ნ დ ე ს ვნებად, მათდა, ცეცხლი **გამოვალს** პირისაგან მათისა და **შეშჭამს** მტერთა მათთა, იოვ. გამოცხად. 11, 5.

მოდგმა: აწ უკუე გუეშინის, ნუუკუე ჴ ე ლ თ ი გ დ ო ს და გ უ ე უ ფ ლ ო ს შჯული მისი და მას [შინა] **მოგუედგმის** სამართლით თავსდებაჲ სიხლტაჲ, ბალავარ. 143, 5—7 C.

განცხოველება: რამეთუ შეცთომილი სული ნიგყავს დაგებად ღმრთისა და **განაცხოველებ** შ ე მ დ გ ო მ ა დ ს ი კ უ დ ი ლ ი ს ა, ბალავარ. 126, 3—5 C.

დადება: არავინ მ ო მ ი ღ ო ს მე იგი ჩემგან. არამედ მე **დავსდებ** მას თავით ჩემით, ი. 10, 18 DE; შდრ.: დ ა ვ დ ე ა C.

ჴიტევება: უწამებს ამას პაველე და იტყჳს: არცა მეძავთა, არცა მეკერპეთა, არცა შემდგომითი შ ე მ დ გ ო მ ა დ, ვითარცა იტყჳს, სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ. და ესრე ოდესმე იყუენით. არამედ განიბანენით, არამედ განიწმიდენით. არა თქუა „ვიეთნი ხართ“, არამედ „ვიეთნი-ეგე იყუენით“ უმეცრებასა შინა, ცოდვაჲ **მიეტევების**, ხოლო რომელი დ ა ა დ გ რ ე ს ბოროტსა მას ზედა, დ ა ი ს ა ჯ ო ს, სინ. მრავალთ. 87, 13—18.

განმზადება: ნეტარო, რაჲსა სულ-მოკლე იქმენ, რამეთუ ღმერთი წ ი ნ ა ა ხ წ ა რ **განგიმზადებს** მეუფებასა და დიდებასა. რ ა ჟ ა მ ს ც ა მ ა ს უ ნ დ ე ს, საკითხ. წიგნ. II 68, 25—27.

განქარვება: აწ არა ჰხედავა, ვითარ უკუე საცნაურ იქმნა, ვითარმცა სულნი კაცთანი, რომელნი არა **განქარდებიან**, უმჯობჱს არიან ღმერთთა თქუენთა **განქარვებადთა** ცასა თანა და ქუეყანასა, რომელთაგან იშჳნეს, საკითხ. წიგნ. II 84, 4—6.

შეკრება: ცუდთა მათ, რომელთა არა აქუნ, არა ჰრქუან ტჯრთოსანთა მათ, ვითარმედ: გუეცით ჩუენცა, არცაღა ძლით მიუხუნიან მათგან და არცაღა ჰშურნ, ვითარმედ იგინი მალედ **შეიკრებენ** უნჯსა, სახისა სიტყუაჲ 282, 37—283, 3.

აღმოცენება: ვიეთმე გამოცადეს და პოვეს, რამეთუ გინათუ მოიკაფოს, და გინათუ მოიწუას ფიჩუნარი და მუხნარი, კუალად **აღმოსცენდების** და მაღნარ იქმნების, ლიმონ. 58, 36—38.

დასუმა: ხოლო შენ შეჰმატე ქველის საქმესა და მოწყალებასა, რამეთუ ამათ დღეთა შინა **დაგსუამს** შენ ღმერთი შენი საყდართა ზედა მოციქულისათა, ლიმონ. 16, 28—30.

დაბნელება: რამეთუ მათნიცა თუალნი ღამე მრთელ არიან, ხოლო მზჱ რაჲ აღმობრწყინდეს, **დაბნელდებიან**, ექუს. დღ. 100, 4—5.

აღყვანება: სრულ იქმნეს რაჲ კაცი, ანგელოზთა პატიჟსა **აღიყვანების**, ექუს. დღ. 113, 22.

გამოჩინება: უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: „არა ვცოდეთ“, მტყუვრად **გამოვაჩინებთ** მას, კათ. ეპისტ. I იოვ. 1, 10 ЧБ; შდრ.: **გამოვაჩენთ** G.

განრომა: უკუეთუ კულა მე აქა მცირედ გწუართნე და მადლობით მიითუალოთ, მრწამს ღმრთისაგან, ვითა მის საუკუნოჲსა **განკითხვისაგან განერებით**, იოვ. და ეფთ. 68, 4.

შთაგდება: შემინდვეთ და ნუ მაიძულებთ ამის პირისათჳს, რამეთუ, უკუეთუ წავიდე, ამის სოფლისავე შფოთთა **შთამაგდებენ**. იოვ. და ეფთ. 17, 2.

შეწუხება: ჰრქუა ეპიფანე მეფეთა მათ: აწ იყვენით, შვილნო, დაწყნარებულობით, რამეთუ ამიერითგან მგელი არღა შეგეხოს თქუენ, რამეთუ ილტვის თქუენგან ვნებაჲ და სალმობაჲ და სულთქუაჲ, და იყვენით მოსავ აღდგომასა მას, და ნურასადა **შესწუხდებით** მისთჳს, რომელნი განვიდოდიან ამის ცხორებისაგან, საკითხ. წიგნ. II 128, 28—32.

მოვლინება: და პირთა მათთაგან კუამლითურთ და წუმწუბით გამომავალი ცეცხლი სახჱ არს ბოროტთა და სულისა დამწუველთა გულის-სიტყუათა, რომელთა **მოგუვლენენ**, თარგმ. იოვ. გამოცხად. 9, 18.

განკანონება: აქა ნუ დაიძინებ, თუ არა, მძიმედ **გაგკანონებს**, იოვ. და ეფთ. 94, 2.

აღდგომა: რომელსა უჩნდეს მეგობარ ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა **აღუდგების**, კათ. ეპისტ. იაკ. 4, 4 Ч.

დასტურდება შემთხვევები, როცა -ვალს>-ვა ზმნა (სხვადასხვა ზმნისწინით) მომავალ დროს (სრულ ასპექტს) აღნიშნავს:

არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოველითა სიტყჳთა, რომელი **გამოვა** პირისაგან ღმრთისა, Sin.-16 12 v, 14—17; აჰა ესერა, სიძე

შემოვა, იქვე 81 r, 8—9; ეშმაკთა განასხამს და არა შევა მონასტერსა მისსა დედაკაცი, პარხლ. მრავალთ. 335 v, 1—4 a; და იგიცა ცხრამეტეულად წავა და ე'ე ათასისაგან თურამეტი აღდგების, ქრონიკ. 327 r, 1—2; აპრილსა ოცდახუთსა წალმა არა წავა აკუსებაა, იქვე 334 r, 14—15, და სხვა.

ასპექტის გამოხატვის ახალი სისტემის დამკვიდრებას მოწმობს ისეთი ფაქტები, როდესაც ერთსა და იმავე წინადადებაში ერთი და იგივე ზმნა სრული ან უსრული ასპექტისაა იმის მიხედვით, ზმნისწინი დაერთვის, თუ არა:

სედვიდა მაყულოვანსა, რომელი იწუებოდა და არა შეიწუებოდა, Ath.-21 265 v, 16—17; A-134 237, 24—25; რომელი სწუვიდა და არა დასწუვიდა მსგავსად მაყულისა, Ath.-32 42 v, 16—17; ცხორ. და შესხმ. ბასილისი 360, 7—8; ნათელი იყო, რომელი ცეცხლისაგან მოსეს ეჩუენა, რაჟამს მაყულოვანსა მას სწუვიდა და არა შესწუვიდა, ნათლისღებ. მეორე 412, 3—5; რაჟამს მაყუალსა სწუვიდა სადმე და ვერ დასწუვიდა, გრიგოლ ღმრთისმეტყ. ჰომილ. 188, 2—4 a; შდრ.: მაყუალი აგზებული და არა შემწუარი, ეგზებოდა და არა შეიწუებოდა, სინ. მრავალთ. 204, 26—27.

ძველი ქართული ენის ძეგლებში შეინიშნება მყოფადის წრის მწკრივთა (ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი) ჩამოყალიბების ამსახველი ფაქტები. ზ. ჭუმბურიძე იმოწმებს ხოლმეობითის ერთ ნიმუშს. „დავით გარეჯელის ცხოვრებიდან“ (79, გვ. 62).

ჩვენი აზრით, ხოლმეობითის მწკრივის ფორმებად შეიძლება მივიჩნიოთ ზემოთ დამოწმებული შეიწუებოდა (სინ. მრავალთ., Ath.-21, A-134), დასწუვიდა (Ath.-32, ცხორ. და შესხმ. ბასილისი), შესწუვიდა (ნათლისღებ. მეორე) ფორმები.

დავასახელებთ კიდევ ორიოდე ნიმუშს:

ფრიად განგრძობილად იქმნებოდა საქმეთა მათთა სრულიად აღწერით, აგ. ძეგლ. I, 280, 34; უკუეთუმცა ქალწულისანი წარმოეთქუნეს, წინააღუდგებოდა შჯულსა, Jer.-12 18 r, 11—12; მაშინ განიხარა კეისარმან და ტაიდასტურა, რამეთუ ყოველი განემარჯუებოდა, ქ. ცხ. 242, 10—11.

მყოფადის კავშირებითი, თითქოს, უფრო ადრინდელ ხელნაწერებში გვხვდება:

ხოლო რაჟამს იხილოთ ბილწი იგი მოოკრებისაჲ მდგომარე, სადა არა ჯერ-იყოს, რომელი-იგი აღმოიკითხვიდეს, გულისკმა-ჰყოფდინ, მაშინ ჰურიასტანი წარივლტოდეთ მთად, მრკ. 13, 14 C; შდრ.: და რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი ოკრებისაჲ მდგომარე, სადა-

იგი არა ჯერ არს. — რომელი აღმოიკითხვიდეს, — მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, იერლოდედ მთად DE: აღდგენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკლვიდენ მათ, მრკ. 13, 12 DE: შდრ.: მოწყვღნენ C: .რაჲთუ მიგცნენ თქუენ მამა-დედათაგან და ძმათა და მეგობართა და ნათესავთა, და მოჰკლვიდენ თქუენგანთა, ლ. 21, 16 CDE: რაჲთა მიიღონ ყოველთა ბეჭედი მისი ჴელსა ზედა მარჯუენესა, ანუ შუბლსა ზედა, და რაჲთა ვერ იყიდდეს რაჲ, ანუ განჰყიდდეს, გარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი მისი, იოვ. გამოცხად. 13, 17; შდრ.: თარგმანი: და დადვას რჩული, რაჲთა ვერაჲ იყიდოს, ანუ განყიდოს, ვარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი ჴისი, თარგმ. იოვ. გამოცხად. 13, 7: მიიღეთ სწავლაჲ, ნუუკუე განრისხოს უფალი და წარსწყმდეთ ბოდიტ თქუენ გზისა მისგან მართლისა, რაჟამს აღატყდეს მყის გულისწყრომაჲ მისი, ფსალმ. 2, 12 Ч; შდრ.: წარსწყმდეთ გზისა მისგან მართლისა Ч.

ძველი ქართული ენის ძეგლებში ჴმოვალი დრო საკმაოდ ხშირად გამოიხატება ვითარებითში დასმული სიტყვისისა და მეშველი ზმნის საშუალებით (35, გვ. 56—57; 55, ვვ. 199; 43. გვ. 127—129; 29, გვ. 138; 205; 34). იმის გამო, რომ ერთსა და იმავე კონტექსტში ერთმანეთს ენაცვლება ხოლმე კავშირებითი კილოს ფორმები, მასდარული კონსტრუქცია და ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის მნიშვნელობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასდარული კონსტრუქცია სრულ ასპექტსაც გამოხატავს, ისე როგორც სრული ასპექტისაა სათანადო კონტექსტში კავშირებით კილოში მდგარი ზმნა, ან ზმნისწინიანი ფორმა. ეს ვარაუდი სარწმუნოდ შეიძლება მოგვეჩვენოს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „აღწერილობითი ფორმები მეტი კატეგორიულობის, აუცილებლობის შინაარს ატარებენ, ვიდრე კავშირებითების ფორმები“ (55, გვ. 199). ამგვარი კონსტრუქცია მიუთითებს, რომ მოქმედება აუცილებლად უნდა შესრულდეს:

რამეთუ ბე კაცისაჲ მისლვად არს, ვითარცა წერილ არს მისთჳს, მრკ. 14, 21 C; შდრ.: წარვალს DE; რომელი-იგი (-ივი—DE) ჩემსა შემდგომად მოსლვად არს, ი. 1, 27; უწყი, რამეთუ ადრე ყოფად არს დატეებაჲ საყოფლისა ამის ჩემისაჲ, კათ. ეპისტ. 2 პეტრ. 1, 14; გარდაიქცეს ფერნი პირთა მათთანი, რაჟამს განიზრახეს, ვითარმედ ქუეყანაჲ დაჭცევად არს, იხ. ქრესტ. II 44, 24—25; გიხაროდენ, მიმადლებულო, რამეთუ მკლავთა შენთა ზედა შემოქმედი ყოველთაჲ ტჳრთვად გჲც, სინ. მრავალთ. 9. 5—6 და მისთ.

თანამეჯროვე ქართულში რამდენიმე ზმნაა, რომელთაც მყოფადის წრის ფუძეები ზმნისწინის დაურთველადაც ეწარმოება. ეს მოვლენა ა. შანიძეს მიაჩნია ასპექტის გამოხატვაში ახალი სისტემის გამარჯვე-

ბის შედეგად (65, გვ. 274). ამ ვითარების ამსახველი რამდენიმე ნიმუში ძველ ქართულ ძეგლებშიც შეინიშნება:

იქმნების: რაჲთუ ე'ე მარტოჲ სულითა და ჯორცითა იპოვა წმიდაჲ ღუღდებულითა გონებითა ანგელოზსა მას ეტყოდა: ვინაჲ არს მოკითხვაჲ ე'ე ჩემდა? მინებს სწავლის, ვითარ ღირდა შეუნიერი იგი კელმწიფებაჲ მოგუემსგავსების ჩუენსა ამას სიგლახაკესა? ვითარ. რომელსაიგი აქუს ძლიერებისა კელმწიფებაჲ, შეიმოსს ხატსა ჩუენისა შეურაცხებისასა? და რომელი უპირადეს საუკუნეთა ღმერთ არს, ვითარ ყრმა **იქმნების** და ჯორციელ **იქმნების**, სინ. მრავალთ. 21, 36—22, 4; რაჲთუ მე ამიერითგან წარვალ და მონაზონ ვიქმნები, და ვსტიროდი ცოდვათა ჩემთათჳს ნეშტთა აქათ დღეთა ჩემთა, ლიმონ. 14, 12—14; მოვკუდებით, გარნა არღარა **ვიქმნებით** მონა მისი, ვითარცაიგი პირველ, Ath.-32 295 v, 16—17 და მისთ.

ექმნების: და უკუეთუ ვინმე იკადროს და კელ-ყოს ამის წიგნისა წარღებაჲ ამის წმიდისა ადგილისაგან, წმიდაჲმცა მოე წინასწარმეტყუელი მოსაჯულ **ექმნების**, სინ. სამოციქ. ფრაგმ. 11 v, 18—21 (გადამწერის ანდერძი); და ჳწყის უფალმან, რომელ სწორად სიტყჳლისა მძიმე არს ესე საქმე ჩემ ზედა, გარნა რაჲ ვყო. არა ვიცი, წვიდასა მეფობას თქუენსა ურჩ ვერ ვექმნები, იოვ. და ეფთ. 19. 2.

იქმ: რაჲსა სასწაულსა იქმ, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს შენი, ი. 6, 30 DE; შდრ.: ჰყო C, და სხვა.

მიუთითებენ, რომ XI საუკუნიდან ასპექტის გამოხატვის ახალი სისტემის მაჩვენებელ ფაქტთა რაოდენობა წერილობით ძეგლებში თანდათან მატულობს (65, გვ. 269: 79. გვ. 65). „თუმცა მომავალი დროის გამოხატვის ძირითად საშუალებაუ ერთხანს კვლავ კავშირებითი რჩება" (79, გვ. 65).

საფიქრებელია, ძველი ქართული ლიტერატურული ნორმების ზედამხედველობის შედეგია ის, რომ საერო ლიტერატურულ ისეთ ძეგლებში, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი", „ამირანდარეჯანიანი"... ახალი სისტემის ამსახველ ფაქტთა გვერდით ხშირია ძველი სისტემის ნიმუშებიც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ასეთ შემთხვევაში ენიჭება მწერლის (გადამწერის) ენობრივ პოზიციას: ზოგიერთი მწერალი, თუ გადამწერი არქაულ სისტემას ანიჭებდა უპირატესობას, ზოგი კი ახალს — ცოცხალი ენისათვის დამახასიათებელს.

ახალი სისტემის პირველი ნიმუშები სინურ მრავალთავში იჩენს თავს, შემდგომი ხანის ძეგლებიდან განსაკუთრებით ხშირია ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში, ლიმონარში, იოვანეს გამოცხადებასა და მის თარგმანებაში, ათონის მრავალთავსა და სხვა უმნიშვნელოვანეს ნუსხებში. უძველეს ტექსტებშიც შეინიშნება მიმღეობის სრულასპექტიან ფორმათა

ზმნისწინის საშუალებით გამოხატვის ჩასახვა [1], აგრეთვე დროის გადაწევა (ახლანდელი > მომავალი), რაც ზმნათა ერთ კლასს ახასიათებს.

ლიტერატურა

1. ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბ., 1957.
2. ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X სს-ის ძეგლების მიხედვით: თსუ შრ., 93, 1954.
3. ა. ა რ ა ბ უ ლ ი, მესამე ხოლმეობითი ხევსურულში: ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978.
4. ა. ა რ ა ბ უ ლ ი, სპორადულად გამოვლენილ III პირის -ნ/-დ, -ენ/-ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.
5. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში: ჩვენი მეცნიერება, № 1, 1923.
6. ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: თსუ ძვ. ქართ., ენის კათ. შრ., 9, 1964.
7. ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ენებითი გვარის ზმნათა აწმყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 19, 1976.
8. თ. ბ ა რ ნ ა ე ე ლ ი. ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957.
9. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე. სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.
10. ე. გ ე უ რ ქ ო ვ ი, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში (კაუზატივის მაწარმოებლები ძველ ქართულში): საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 56. № 1. 1969.
11. ე. გ ე უ რ ქ ო ვ ა, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში: მაცნე, 1971, № 2.
12. დ. გ ე წ ა ძ ე, გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1952.
13. დ. გ ე წ ა ძ ე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში: ქუთაისის პედ. ინსტ. შრ., XI, 1952—53.
14. ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი. ც. კიკვიძე, შესაქმის, გამოსვლათა და ღვიტელთა წიგნების ქარფული ვერსიები: მრავალთავი, I, თბ., 1968.
15. ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, კაუზატივის ფუნქციადაკარგული სუფიქსი ზმნათა ერთ წყებასთან ძველ ქართულში: მრავალთავი, IX, თბ., 1981.
16. კ. დ ა ნ ე ლ ი ა, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 9, თბ., 1964.
17. ფ. ე რ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, -დ/-ნ/-ენ ენებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის: თსუ შრ., 93, 1960.

---

[1] მიმღეობის სრულასპექტიანი ფორმების ზოგი ნიმუში ზემოთ დავიმოწმეთ. დამატებით შეიძლება მივუთითოთ:

ეკრძალე თავსა შენსა, ფრთხილ იყავ, განმკითხველ, ჟრინდელისა მმარხველ და მოშავალისა მის წინაასწარმცნობელ, Ath.-32 79 v, 23—25; ერთნი იგი საუკუნენი, რომელთა ვიტყჳთ, ესე ცხორებაჲ არს და, ერთნი საუკუნენი, მომავალი იგი ცხორებაჲ, A-135 216 r, 12—14.

18. ი. ვ ე შ ა პ ი ძ ე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967.
19. ჯ. თ ე ვ ზ ა ძ ე, რთული ზმნები ძველ ქართულში: პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედ. ინსტ. შრ., 13, თბ., 1959.
20. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იკე, V, 1953.
21. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, II: ენიმკის მოამბე, V—VI, 1940.
22. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა: შრომები, ტ. I, 1967.
23. ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, კაუზატივი ძველ ქართულში: თსუ სტუდ. სამეცნ. შრ., X, 1970.
24. ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, მამათა ცხორებანი, თბ., 1976.
25. ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, კვლავ შერეული კავშირებითის შესახებ ძველ ქართულში: თსუ შრ. 187, თბ., 1977.
26. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ენებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., II, 1968,
27. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, მეტათეზისის ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში: თსუ შრ., 114, თბ., 1955.
28. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ. 7, 1961.
29. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ. 1971.
30. ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.
31. ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, I სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: თსუ შრ., 30 b—31 b, თბ., 1947.
32. ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ. 7, 1961.
33. ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: ორიონი, თბ., 1967.
34. ნ. კ ო ტ ი ნ ო ვ ი, ვითარებითში დასმული მასდარის ფუნქციები ძველ ქართულში: თელავის პედ. ინსტ. შრ., VI, 1964.
35. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში: იკე, VII, თბ., 1955.
36. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ზმნის ძირითადი კატეგორიები ქართველურ ენებში I (სადისერტაციო ნაშრომი) თბ. 1954.
37. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, უნიშნო ვნებითი ქართველურ ენებში: ქართვ. ენათა სტრუქტ. საკითხები, I, თბ., 1958.
38. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში: მაცნე, 1973, № 1.
39. თ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისათვის ძველ ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 23, 1980.
40. დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
41. ნ. ნ ა თ ა ძ ე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: იკე, VII, თბ., 1955.
42. ნ. ნ ა თ ა ძ ე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში: ქართვ. ენათა სტრუქტ. საკითხები, II, თბ., 1961.
43. ნ. ნ ა თ ა ძ ე, შესაძლებლობის მიმღეობათა წარმოებისათვის თანამედროვე ქართულში: იკე XIII, თბ., 1962.

44. ე. ნიკოლაიშვილი, III სუბიექტური პირის -ეს სუფიქსის -ნ (-ენ)-ით შეცვლის ისტორიისათვის: მაცნე, 1978. № 3.
45. ვ. ნინუა, ბრძანებითი კილო ქართულ ენაში (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1969.
46. ლ. ნოზაძე, პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითის ურთიერთობისათვის ქართულში: ქართვ. ენათა სტრუქტ. საკითხები, II, თბ., 1961.
47. აღ. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში: მაცნე, 1965, № 1.
48. აღ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1975.
49. ე. ოთიძე, „ალად-ყო-" ტიპის ზმნები ძველ ქართულში: იკე, XII, თბ., 1969.
50. თ. ჟორდანია, ქართული გრამატიკა, ტფ., 1889.
51. გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსისათვის ქართულში: იკე, XVI, თბ., 1968.
52. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
53. მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976.
54. ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, თბ., 1954.
55. ი. ქავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში: იკე, XII, თბ., 1960.
56. ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების" მიხედვით, თბ., 1946.
57. ა. შანიძე, ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურში: მნათობი, თბ., 1923—1924.
58. ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი: ტუმ. VI, ტფ., 1926; თხზულებანი, II, თბ., 1981.
59. ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის I, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველს ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, VI, № 10, 1945.
60. ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, II, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: თსუ სამეცნიერო სესია, 1946 (მოხსენებათა კრებული), თბ., 1947.
61. ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, III, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ქართულში, მისი წარმოშობა და განვითარება: საქ. მეცნ. აკად. სამეცნიერო სესია, 1947, 14—15 XI (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).
62. ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, V, სხვა უცნობი მწკრივი ქართულში: თსუ სამეცნიერო სესია, 1948 (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).
63. ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: ტუმ, I, 1919; თხზულებანი, II, თბ., 1981.
64. ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1959.
65. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: თხზულებანი, II, თბ., 1981.
66. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973; თხზულებანი, III, თბ., 1980.
67. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945.
68. ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: ტუმ, VII, 1927.
69. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

70. მ. შანიძე, ეშინიან თუ ეშინია? ურჩევნიან თუ ურჩევნია? პქვიან თუ პქვია? ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, თბ., 1972.
71. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1943.
72. არნ. ჩიქობავა, მესამე პირის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940.
73. არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღლილების სისტემაში: იქვე, I, თბ., 1946.
74. არნ. ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის" მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში: იქვე, XV, თბ., 1966.
75. თ. ცქიტიშვილი, ტმესი ძველ ქართულში: მაცნე, 1956, № 5.
76. თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბ., 1977.
77. შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
78. ალ. ჩინჩარაული, ხევსურეთის თავისებურებანი. თბ., 1960.
79. ზ. ჭუმბურიძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., II, 1958.
80. ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემის-ნიშნიან ზმნათა უღლებისათვის პირველ თურმეობითში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 19. თბ., 1976.
81. ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.
82. ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.
83. ღ. ჯღამაია, „მეხერხლა" და „მეხელის" შესახებ: საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ. მოამბე, № 3, 1962.
84. И. О. Гецадзе, В. П. Недялков, А. А. Холодович, Морфологический каузатив в грузинском языке: Типология каузативных конструкций. Морфологический каузатив, Л., 1969.
85. К. Д. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском: რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1967.
86. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
87. Г. А. Климов, К категории инклюзива-эксклюзива в картвельских языках: ВЯ, 1981, № 6.
88. Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
89. А. Г. Шанидзе, Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, № 9. 1942.
90. G. Deeters, Das Kartlwelische Verbum. Leipzig. 1930.
91. K. H. Schmidt, Zur Tmesis in den Kartvelisprachen und ihrem typologischen Parallelen in indogermanischen Sprachen: თსუ გიორგი ახვლედიანს, თბ., 1969.
92. E. Schwyzer, Griechische Grammatik, II, München, 1950.

XIV თავი

სინტაქსის საკითხები

I. მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი ძველსა და საშუალ ქართულში

მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი შევისწავლეთ ძველი და საშუალი ქართულის სხვადასხვა ჟანრის ძეგლთა მიხედვით. გავაანალიზეთ როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი თხზულებები. ცალ-ცალკე განვიხილეთ შეთანხმებული და მართული მსაზღვრელები. შეთანხმებული მსაზღვრელი სიტყვები ორ ქვეჯგუფად დავყავით: I. ზედსართავი სახელთა და მიმღეობით გამოხატული მსაზღვრელები, რაოდენობითი, რიგობითი რიცხვითი სახელები, განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელი „მრავალი", კითხვითი, განსაზღვრებითი, მიმართებითი და უარყოფითი ნაცვალსახელები, საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი სიტყვები[1]. II. ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები.

ძველი ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მართული მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, მოსდევს საზღვრულს. ასევე უპირატესად მოსდევს საზღვრულს ჩვენებითი, კუთვნილებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, ხოლო შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში საზღვრულს უსწრებს.

---

1 ადამიანს საკუთარ სახელს შეიძლება ახლდეს მსაზღვრელი (წმიდა, ნეტარი, ბრძენი, სახიერი..., უღმრთოდა, უსჯულოდა, უგუნური...), თანამდებობის, ხელობის, ან წოდების აღმნიშვნელი ლექსემები (ერისთავი, მეფე, დედოფალი, პიტიახში, ეპისკოპოსი, მღდელი, ხუცესი...), და მისთ.

ქვემოთ წარმოდგენილ ტაბულაში ჩანს ადამიანის საკუთარ სახელთან დაკავშირებული ზოგი მსაზღვრელის წყობა V—XI ორიგინალურ ძეგლებში.

	მსაზღ.-საზღ.	საზღ.-მსაზღ.
ღმერთი	1	14

„შუშანიკის წამებაში“ დასტურდება მსაზღვრელ-საზღვრულის 749 წყვილი. პოსტპოზიციური წყობა გვაქვს 426-გზის, პრეპოზიციური კი 323-ჯერ. მართლა მსაზღვრელის პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შეფარდებაა 76:44. ასევე შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის პოსტპოზიციის შემთხვევები თვალსაჩინოდ სჭარბობს პრეპოზიციის შემთხვევებს (300 : 91), აქედან:

	მსაზღ.-საზღ.	საზღ.-მსაზღ.
უფალი	5	—
ღაოთისმეტყველი	1	3
მოციქული	3	10
ნათლისმცემელი	—	2
მახარებელი	—	7
წინასწარმეტყველი	2	9
წინამორბედი	1	—
მოწამე	2	—
მღვდელი	—	1
ბერი	—	2
მოძღუარი	—	1
მონაზონი	1	—
მამაკაცი	—	1
სტრატელატი	—	1
ციხისთავი	—	4
მხედალი	1	1
მთავარი	1	2
ერისთავი	—	7
ჯარისთავთ-ერისთავი	—	7
კურაპალატი	1	33
პიტიახში	1	6
ჯელმწიფე	—	6
ხუცესი	—	2
ხუცესმონაზონი	—	1
ეპისკოპოსი	4	11
მთავარეპისკოპოსი	—	2
მღდელი	1	13
მღდელმთავარი	1	—
კათალიკოზი	—	14
პატრიაქი	—	1
ამბა	3	—
მამა	187	4
დედა	18	—
აზნაური	—	3
მეფე	8	43
დედოფალი	7	12
კეისარი	—	2
მცხეთელი	—	1
ჰრომაელი	—	1

სპარბობს პრეპოზიციის შემთხვევებს (300 : 91), აქეღან:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	117	66
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	159	18
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	24	7

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფის პრეპოზიციურად ხმარების შემთხვევათა სიჭარბე აშკარაა (188 : 50), მათ შორის:

	საზღვრელს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	77	40
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	12	1
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	7	1
4. მრავალი	6	—
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	8	—
6. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	78	8

როგორც ვხედავთ, წინასწარმეტყველთა, წმინდანთა, საეკლესიო პირების თანამდებობათა, სადაურობის აღმნიშვნელი მსაზღვრელები უპირატესად მოსდევს საზღვრულს (გამონაკლისებია: უფალი, მამაო, ამბაო, დედაო). გაბატონებულია აგრეთვე საერო პირთა თანამდებობის აღმნიშვნელ სიტყვათა პოსტპოზიცია.

პრეპოზიციური წყობა ბატონობს ტოპონიმთა მსაზღვრელებთან:

	მსაზღ.–საზღ.	საზღ.–მსაზღ.
იშხნელი	—	1
პარეხელი	—	1
ანჩელი	—	1
მაწყვერელი	—	2
უქარმელი	—	6
ნინოწმიდელი	—	2 და მისღ.
ქალაქი	19	11
დაბა	5	1
სოფელი	4	—
ჯვეი	2	—
ქვეყანა	6	—

„ევსტათი მცხეთელის წამებაში“ მსაზღვრელ-საზღვრულის 693 სინ-გმაა. მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 395 შემთხვევაში, უსწრებს 8-გზის.

მართული მსაზღვრელი 115-ჯერ პოსტპოზიციურად იხმარება, პრეპო-ციურად კი 49-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემა-ლი სიტყვები 215 შემთხვევაში პოსტპოზიციურად გვხვდება, 88-ჯერ კი ეპოზიციურად. მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
ჩვენებითი ნაცვალსახელი	83	60
კუთვნილებითი ნაცვალსახელი	121	18
განუსაზღვრელობითი ნაცვალ-სახელი	11	10

შეთანხმებული მსაზღვრელის პირველ ქვეჯგუფში შემავალი ფორმები ღვრულს უსწრებენ 160 შემთხვევაში, 65-გზის მოსდევენ. აქედან:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	65	38
რაოდენობითი რიცხვითი სახელი	30	—
რიგობითი რიცხვითი სახელი	5	1
განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	7	—
კითხვითი ნაცვალსახელი	6	—
საკუთარ სახელთან დაკავშირე-ბული მსაზღვრელი	46	26

„მ რ ა ვ ა ლ ი“ 3-ჯერ მოსდევს საზღვრულს, 1-გზის უსწრებს. უარ-ყოფითი ნაცვალსახელი ერთხელ გვხვდება მსაზღვრელად და მოსდევს ღვრულს.

„აბოს წამების“ ტექსტში მსაზღვრელ-საზღვრულის 1635 წყვილია. ზღვრელი საზღვრულს მოსდევს 951 შემთხვევაში, 684-გზის უსწრებს. თული მსაზღვრელი პოსტპოზიციურად გვაქვს 310-ჯერ, პრეპოზიცი-ად — 150 წყვილში. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფი პოსტ-ოციურად იხმარება 543 შემთხვევაში, პრეპოზიციურად—კი 178-გზის. შორის:

	მსაზღ.-საზღ.	საზღ.-მსაზღ.
ციხე	1	—
მთა	1	—
მდინარე	3	1

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	256	153
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	286	20

უნდა აღინიშნოს, რომ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ამ ძეგლში 5-ჯერ უსწრებს საზღვრულს, ერთ შემთხვევაში მოსდევს.

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფის პრეპოზიცია გაბატონებულია (356:98):

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	226	76
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	19	2
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	7	3
4. მ რ ა ვ ა ლ ი	8	—
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	25	1
6. კითხვითი ნაცვალსახელი	3	—
7. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	68	16

მეტად საყურადღებოა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მონაცემები. პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ მსაზღვრელთა საერთო სიხშირული შეფარდება თითქმის თანაბარია (2907:2777). დიდად გაზრდილია მართული მსაზღვრელისა და შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის პრეპოზიციის ხვედრითი წონა.

მართული მსაზღვრელი პოსტპოზიციურად გვხვდება 834 სინტაგმაში, პრეპოზიციურად — 694-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალი სიტყვები 1489 შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს, უსწრებს — 510-გზის.

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	552	414
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	910	66

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ამ ძეგლშიც უპირატესად პრეპოზიციურად იხმარება (30:27).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში პრეპოზიციურად გვხვდება (1593:584). მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	945	415
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	70	11
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	5	—
4. მრავალი	44	13
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	165	34
6. უარყოფითი ნაცვალსახელი	2	
7. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	362	111

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ა რედაქციის ტექსტში მსაზღვრელ-საზღვრულის 2234 წყვილი გვაქვს. მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 1340 შემთხვევაში, 894-გზის უსწრებს.

მართული მსაზღვრელის პოსტპოზიციური და პრეპოზიციური წყობის შემთხვევათა შეფარდება 393:184. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის შემადგენლობაში შემავალი სიტყვები პოსტპოზიციურად იხმარება 665-ჯერ, პრეპოზიციურად 177-გზის, აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	305	145
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	332	19
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	28	13

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალი სიტყვების პრეპოზიციურად და პოსტპოზიციურად ხმარების შემთხვევათა შეფარდებაა 533:282. მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ზედსართავი სახელი და მიმღეობა	173	252
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	64	3
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	26	6
4. მრავალი	11	5
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	81	3
6. კითხვითი ნაცვალსახელი	1	—
7. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	98	92

მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობაა გაბატონებული გიორგი მთაწმიდლის თხზულებაში „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრება“. აქ

მსაზღვრელ-საზღვრულის 2451 სინტაგმაა; მსაზღვრელი საზღვრულს უსწრებს 1434-ჯერ, მოსდევს 1017 შემთხვევაში.

მართული მსაზღვრელი ამ ძეგლშიც უპირატესად პოსტპოზიციურად იხმარება (328:233). უმნიშვნელო სხვაობაა შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პოსტპოზიციური და პრეპოზიციური წყობის შემთხვევათა შორის (454:365). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელის პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ა დ ხმარების შემთხვევები ძალზე სჭარბობს პოსტპოზიციურად ხმარების შემთხვევებს (244:74). ასევე ხშირია კუთვნილებითი ნაცვალსახელის საზღვრულის წინ დასმის შემთხვევები. (74:342), განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი უმთავრესად პრეპოზიციურად გვხვდება (47:38).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალი სიტყვები შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში პრეპოზიციურად იხმარება (871:235). მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	468	144
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	69	15
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	9	—
4. მ რ ა ვ ა ლ ი	31	8
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	101	11
6. მიმართებითი ნაცვალსახელი	4	—
7. უარყოფითი ნაცვალსახელი	3	1
8. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	186	56

როგორც ვხედავთ, მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ამ ძეგლში თითქმის ისეთივეა, როგორიც თანამედროვე ქართულში. ცნობილია, რომ გიორგი მთაწმიდლის ამ თხზულებაში მრავლად გვხვდება ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი (35, გვ. 65—68). მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებული მონაცემებიც ამ დებულების დამადასტურებელია. საზოგადოდ, მწერლის პოზიციას უდიდესი როლი ენიჭება, როცა საქმე ეხება მეტყველებისა და სალიტერატურო ენის ნორმათა ურთიერთმიმართებას. ამას თვალნათლივ მოწმობს გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ძეგლშიც მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიცია იქნებოდა უპირატესად. მაგრამ გიორგი მცირე გიორგი მთაწმიდელთან შედარებით ნაკლებ გამოაველენს მეტყველებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, იგი ტრადიციას იცავს ხოლმე.

ამ ძეგლში მსაზღვრელ-საზღვრულის 4716 წყვილია. პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ მსაზღვრელთა შეფარდებაა 2529:2187. მართული

მსაზღვრელი 838 შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს, უსწრებს 337-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალი სიტყვებიც უპირატესად პოსტპოზიციურად გვხვდება (1181:606). ძეგლში ჩვენებითი ნაცვალსახელის პრეპოზიციაა გაბატონებული (516:395), ხოლო კუთვნილებითი ნაცვალსახელი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი უპირატესად პოსტპოზიციურად იხმარება: კუთვნილებითი ნაცვალსახელი (738:57), განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (48:33).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალი სიტყვების პრეპოზიცია გაბატონებულია (1253:513). აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	795	396
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	76	16
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	18	1
4. მ რ ა ვ ა ლ ი	52	2
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	143	4
6. უარყოფითი ნაცვალსახელი	6	2
7. საკუთარი სახელის მსაზღვრელები	163	92

განვიხილოთ ბაგრატ IV სიგელები. ბაგრატ IV სიგელში ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამათა სარჩელის გადაწყვეტის შესახებ იხმარება მსაზღვრელ-საზღვრულის 117 სინტაგმა. პოსტპოზიციური მსაზღვრელი გვაქვს 58 შემთხვევაში, პრეპოზიციური კი 59-გზის.

მართული მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 17-ჯერ, უსწრებს 14 შემთხვევაში. კუთვნილებითი ნაცვალსახელი 20-ჯერ მოსდევს საზღვრულს, 3 შემთხვევაში უსწრებს. ჩვენებითი ნაცვალსახელი უმთავრესად პრეპოზიციურად იხმარება (17:3), განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი სამგზის გვაქვს და ყოველთვის უსწრებს საზღვრულს.

შეთანხმებული მსაზღვრელის პრეპოზიციურ და პოსტპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა 22:18. მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	16	9
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	1	—
3. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	2	—
4. უარყოფითი ნაცვალსახელი	1	—
5. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	2	9

სიგელი ბაგრატ IV შიომღვიმის მიმართ გამოავლენს მსაზღვრელ-საზღვრულის 137 წყვილს. პოსტპოზიციური წყობის შემთხვევები ოდნავ. სჭარბობს (72:65). მართული მსაზღვრელი პრეპოზიციურად გვხვდება 67-ჯერ, პოსტპოზიციურად 70-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათაგან მხოლოდ კუთვნილებითი ნაცვალსახელის პოსტპოზიცია ბატონობს (28:1), ჩვენებითი ნაცვალსახელი 10 შემთხვევაში საზღვრულის წინ გვხვდება, 5-ჯერ — მომდევნოდ. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი 4-გზის იხმარება და ყოველთვის საზღვრულს უსწრებს.

შეთანხმებული მსაზღვრელის პირველი ქვეჯგუფის პრეპოზიცია გაბატონებულია (34:10). აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	25	6
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	3	—
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	1	—
4. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	5	4

ძალზე საინტერესოა პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდების მონაცემები. ძეგლში მსაზღვრელ-საზღვრულის 3739 წყვილია. პრეპოზიციური მსაზღვრელი გვხვდება 1929-ჯერ, პოსტპოზიციური კი 1810 შემთხვევაში. მართული მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 581-გზის, უსწრებს 402-ჯერ. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პოსტპოზიციისა და პრეპოზიციის შემთხვევათა შეფარდებაა (689:437). კუთვნილებითი ნაცვალსახელის პოსტპოზიცია გაბატონებულია (479:63). ჩვენებითი ნაცვალსახელი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში უსწრებს საზღვრულს (327:163). განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის პოსტპოზიციურად და პრეპოზიციურად ხმარების შემთხვევები თანაბარია (47:47).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პრეპოზიციური წყობა ბატონობს (1090:352). მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	673	169
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	94	128
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	16	2
4. მრავალი	15	8
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	198	20
6. უარყოფითი ნაცვალსახელი	7	—
7. კითხვითი ნაცვალსახელი	7	1
8. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	80	34

V—XI საუკუნეთა ქართული ორიგინალური წერილობითი ძეგლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძველ ქართულში საზოგადოდ მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს (გამონაკლისია: „იოვანესა და ეფთჳმეს ცხორება“). ოღონდ თუ დიფერენცირებულად განვიხილავთ მსაზღვრელს [1], აღმოჩნდება, რომ პოსტპოზიციური წყობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ბატონობს, როცა მსაზღვრელად გამოიყენება მართული სახელი, ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებით ნაცვალსახელთა პოსტპოზიციური წყობა უპირატესად გვაქვს: „შუშანიკის წამებაში“, „ევსტათი მცხეთელის წამებაში“, „აბოს წამებაში“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში, ხოლო პრეპოზიციური წყობა ბატონობს ისეთ ძეგლებში, როგორიცაა: „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრება“, „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“, ბაგრატ IV სიგელები, პეტრიწონის მონასტრის წესდება). განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთაგან უპირატესად ე რ თ ი, ვ ი ნ მ ე ნაცვალსახელები მოსდევენ საზღვრულს. მაგალითად, „შუშანიკის წამებაში“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი სახელის შემდეგ 24-ჯერ დგას (აქედან 16 შემთხვევაში ე რ თ ი). „ევსტათი მცხეთელის წამებაში“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი საზღვრულის მომდევნოდ 11-ჯერ იხმარება (აქედან 10-გზის — ე რ თ ი) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი საზღვრულს 27 შემთხვევაში მოსდევს (აქედან: 13-გზის ვ ი ნ მ ე, 5-ჯერ — ე რ თ ი, და სხვ.).

პრეპოზიციური წყობა ბატონობს, როცა მსაზღვრელად გვაქვს: ზედსართავი სახელი ან მიმღეობა, რაოდენობითი, რიგობითი, განუსაზღვრელობითი („მ რ ა ვ ა ლ ი“) რიცხვითი სახელი, განსაზღვრებითი, კითხვითი, უარყოფითი ნაცვალსახელები. პრეპოზიციურად გვხვდება უმთავრესად ანთროპონიმთან დაკავშირებული მსაზღვრელი.

მომდევნო ეპოქის ქართული ორიგინალური ძეგლები განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ იმის მიხედვით, რომელ ჟანრს განეკუთვნება საკვლევი ძეგლი.

აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლთა მონაცემები ფაქტიურად ემთხვევა V—XI საუკუნეთა თხზულებათა ვითარებას. დავიმოწმებთ ორიოდე ნაწარმოების მონაცემებს სჳნაქსარული რედაქციებიდან.

„წამებაჲ ქეთევან დედოფლისაჲ“ გამოავლენს მსაზღვრელ-საზღვრულის 127 შემთხვევას. მსაზღვრელი პოსტპოზიციურად გვაქვს 82-ჯერ, პრეპოზიციურად 47-გზის.

მართული მსაზღვრელი 31 შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს, 3-ჯერ

---

[1] ამგვარად განიხილავენ მსაზღვრელ-საზღვრულს ვ. კახაძე (15, გვ. 329—338); გ. კლიმოვი (52, გვ. 257—269), ც. კალაძე (14, გვ. 73—114).

უსწრებს. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის პოსტპოზიცია გაბატონებულია (34:9). აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	13	9
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	19	—
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	2	—

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფი უმთავრესად პრეპოზიციურად იხმარება (35:15). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	12	11
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	2	1
3. მ რ ა ვ ა ლ ი	4	1
4. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	4	—
5. კითხვითი ნაცვალსახელი	2	—
6. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	11	2

„წამებაჲ ელისბარისი, შალვაჲსი და ბიძინაჲსი“ გამოავლენს მსაზღვრელ-საზღვრულის 129 სინტაგმას. პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა 61:68. მართული მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 26 შემთხვევაში, უსწრებს 11-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის პოსტპოზიციაც ბატონობს (50:11): ჩვენებითი ნაცვალსახელი 14-ჯერ დგას საზღვრულის შემდეგ, 11 შემთხვევაში უსწრებს. კუთვნილებითი ნაცვალსახელი ათივე შემთხვევაში საზღვრულს მოსდევს. ასევე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ორჯერ იხმარება და საზღვრულის მომდევნოდაა.

შეთანხმებული მსაზღვრელის პირველ ქვეჯგუფში შემავალი სიტყვები შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში პრეპოზიციურად გვხვდება (46:9). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	25	5
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	2	2
3. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	1	—
4. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	18	—

საისტორიო ჟანრის თხზულებებში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა სხვაობს. ამ ჟანრის ძეგლთა უმრავლესობაში მოჰარბებულია მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიცია. ეს ეხება როგორც მართულ მსაზღვრელს, ისე შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფსაც (კერძოდ, ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა საკმაოდ ხშირად მოსდევს საზღვრულს).

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ მსაზღვრელ-საზღვრულის 2470 წყვილს გამოავლენს. პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა 1578:892.

მართული მსაზღვრელი 705-ჯერ მოსდევს საზღვრულს, უსწრებს 243 შემთხვევაში. კუთვნილებითი ნაცვალსახელის პოსტპოზიცია გაბატონებულია (382:13). ჩვენებითი ნაცვალსახელი შემთხვევათა უმრავლესობაში პრეპოზიციურად იხმარება (191:99), განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელიც უმთავრესად უსწრებს საზღვრულს (25:14).

შეთანხმებული მსაზღვრელის პირველ ჯგუფში შემავალი სიტყვების პრეპოზიციის შემთხვევები ოდნავ სჭარბობს პოსტპოზიციისას (426:388). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	116	238
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	80	22
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	42	3
4. მრავალი	11	8
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	119	12
6. უარყოფითი ნაცვალსახელი	3	—
7. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	55	105

„ქართლის მოქცევა“ მსაზღვრელ-საზღვრულის 2280 წყვილს შეიცავს. მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 1437 შემთხვევაში, უსწრებს 843-გზის. მართული მსაზღვრელი საზღვრულის მომდევნოდაა 482-ჯერ, უსწრებს 166 შემთხვევაში. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის პოსტპოზიცია გაბატონებულია (687:165). აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	292	139
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	360	11
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	35	15

შეთანხმებული მსაზღვრელის I ჯგუფში შემავალი სიტყვების პრეპოზიცია დიდად არ სჭარბობს (512:357). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	238	236
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	47	10
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	7	5
4. მრავალი.	15	4
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	68	4
6. კითხვითი ნაცვალსახელი	4	—
7. უარყოფითი ნაცვალსახელი	1	—
8. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	132	98

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გამოავლენს მსაზღვრელ-საზღვრულის 2188 სინტაგმას. პოსტპოზიციური წყობა გვაქვს 1150-ჯერ პრეპოზიციური კი — 1038 შემთხვევაში. მართული მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 599-გზის, უსწრებს 373-ჯერ. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალი სიტყვების პოსტპოზიციის შემთხვევები ოდნავ სჭარბობს პრეპოზიციისას (201:188). ეს სიჭარბე გამოწვეულია კუთვნილებითი ნაცვალსახელის პოსტპოზიციის შემთხვევათა დიდი ოდენობით (151:48): ჩვენებითი ნაცვალსახელი უპირატესად პრეპოზიციურად გვხვდება (151:48), განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელიც უსწრებს ხოლმე საზღვრულს (13:11).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პრეპოზიციისა და პოსტპოზიციის შემთხვევათა შეფარდებაა 475:349. მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	263	252
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	47	1
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	5	—
4. მრავალი	6	2
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	97	1
6. კითხვითი ნაცვალსახელი	12	—
7. უარყოფითი ნაცვალსახელი	2	—
8. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	43	93

სხვა ისტორიულ თხზულებათაგან რამდენადმე განსხვავდება აბუსერიძე ტბელის „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში“ (1233 წ.). ამ ძეგლშიც მართული მსაზღვრელი, აგრეთვე კუთვნილებითი ნაცვალსახე-

ლი უმთავრესად პოსტპოზიციურად იხმარება, მაგრამ გაბატონებულია ჩვენებითი ნაცვალსახელის პრეპოზიცია. ზედსართავი სახელითა და მიმღეობით გადმოცემული მსაზღვრელი უპირატესად პრეპოზიციურად იხმარება.

ნაწარმოებში მსაზღვრელ-საზღვრულის 741 წყვილია. უპირატესობა პრეპოზიციურ მსაზღვრელს ენიჭება (360:381). მართული მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 165 შემთხვევაში, უსწრებს 66-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა 144:108. აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	30	83
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	109	15
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	5	10

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალი სიტყვები საზღვრულს უსწრებენ 207-ჯერ, მოსდევენ 51 შემთხვევაში. მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	124	46
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	10	—
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	2	—
4. მრავალი	10	—
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	17	—
6. კითხვითი ნაცვალსახელი	1	—
7. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	43	5

„ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, საისტორიო დოკუმენტთა ერთი ნაწილი ძალიან საინტერესო ვითარებას წარმოგვიდგენს. ამ ძეგლებში ყოველნაირი მსაზღვრელი უპირატესად საზღვრულის წინ დგას. განსაკუთრებით ისაა საინტერესო, რომ გაბატონებულია მართული მსაზღვრელის, აგრეთვე ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების პრეპოზიციური წყობა.

„ვეფხისტყაოსანში“ ბატონობს მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა. პოემაში მსაზღვრელ-საზღვრულის 6334 წყვილი გვხვდება. 3461 შემთხვევაში მსაზღვრელი საზღვრულს უსწრებს, 2873-ჯერ მოსდევს. მართული მსაზღვრელის პრეპოზიციისა და პოსტპოზიციის შემთხვევათა შეფარდება 1215:833. ჩვენებითი ნაცვალსახელი საზღვრულს 538-ჯერ უსწრებს, 50 შემთხვევაში მოსდევს. კუთვნილებითი ნაცვალსა-

ხელი 800-გზის პრეპოზიციურად იხმარება, 498-ჯერ საზღვრულს მოსდევს.

„ვეფხისტყაოსანში" გაბატონებულია ზედსართავი სახელითა და მიმღეობით გამოხატული მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობა (1213:473). ამგვარი მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობის ესოდენ მოჭარბება იმდროინდელი ცოცხალი მეტყველების ასახვას არ წარმოადგენს. ამას იმავე ეპოქის სხვა წერილობითი ძეგლთა მონაცემები ცხადყოფს (როგორც ზემოთ ვნახეთ, V—XI საუკუნეთა ყველა ორიგინალური ძეგლიც ამგვარ მსაზღვრელს უპირატესად საზღვრულის წინ წარმოგვიდგენს). მით უფრო ასახსნელია ეს ვითარება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პოემაში იმდროინდელი ცოცხალი მეტყველების შესაბამისად გაბატონებულია მართული მსაზღვრელის, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების პრეპოზიციური წყობა.

ვფიქრობთ, ზედსართავი სახელითა და მიმღეობით გადმოცემული მსაზღვრელის საზღვრულის მომდევნოდ ხმარება ხშირად რითმის საჭიროებითაა გამოწვეული. ეს მეტყველების ნაწილები ისეთი მარცვლებით ბოლოვდება, რომლებიც კარგად შეეხამება პოემის რითმის სტუქტურას (12, გვ. 63—64). ორიოდე ნიმუში:

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მ ფ ლ ო ბ ე ლ მ ა ნ:
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მ შ ო ბ ე ლ მ ა ნ,
მან გაანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მ ა ნ ა თ ო ბ ე ლ მ ა ნ.
მოდით და ნახეთ ყოველმან, შემსხმელმან, შ ე მ ა მ კ ო ბ ე ლ მ ა ნ"
(44 სტრ.);

თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნ ა თ ე ლ ი თ ა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა ს ა მ ო ს ე ლ ი თ ა,
ქალი მზეებრ სჭვრეტს ყოველთა ცნობითა ბრძნად მ ხ ე დ ვ ე ლ ი თ ა
(46 სტრ.);

შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა,
ზე დამტიროდეს მეფენი ცრემლითა უ შ რ ო ბ ე ლ ი თ ა,
პირსა იხოკდეს ხელითა, ღაწვისა გ ა მ პ ო ბ ე ლ ი თ ა.
მუყრნი მოასხნეს, სენითა მთქვეს გ ა მ ა ბ ე ლ ზ ე ბ ე ლ ი თ ა
(352 სტრ.).

საზოგადოდ, პოეზიის ენას უფრო ახასიათებს მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობისაკენ მიდრეკილება (ეს ცხადი იქნება, თუ შევადარებთ თანამედროვე მწერალთა პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს).

საინტერესო ჩანს ნათარგმნ ძეგლთა მონაცემები. ივ. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხულ ხანმეტ ტექსტებში მსაზღვრელ-საზღვრულის 475 სინტაგმა გვხვდება. მსაზღვრელი საზღვრულს 384-ჯერ მოსდევს, 91 შემთხვევაში უსწრებს. მართული მსაზღვრელის პოსტპოზიციურად და პრეპოზიციურად ხმარების შემთხვევათა შეფარდებაა 101:16. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალი სიტყვებიც უპირატესად პოსტპოზიციურად გვხვდება (247:27), აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	76	21
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	168	3
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	3	3

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პრეპოზიციის შემთხვევები ოდნავ სჭარბობს პოსტპოზიციისას (48:36), მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	23	26
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	13	3
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	—	1
4. მ რ ა ვ ა ლ ი	2	—
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	7	2
6. კითხვითი ნაცვალსახელი	3	—
7. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	—	4

ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები მსაზღვრელ-საზღვრულის 20 წყვილს გამოავლენს. 18-ჯერ მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს, 2 შემთხვევაში უსწრებს. აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
მართული მსაზღვრელი	6	—
ჩვენებითი ნაცვალსახელი	1	—
კუთვნილებითი ნაცვალსახელი	10	—
ზედსართავი სახელი	1	—
განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	—	1
უარყოფითი ნაცვალსახელი	—	1

„ხანმეტ ლექციონარში“ მსაზღვრელ-საზღვრულის 240 სინტაგმა დასტურდება. მსაზღვრელი საზღვრულს 182-ჯერ მოსდევს, 58-გზის უსწრებს. მართული მსაზღვრელის პოსტპოზიცია გაბატონებულია (35:6). ასევე ხშირია ჩვენებითი ნაცვალსახელისა (56:15) და კუთვნილებითი ნაცვალსახელის (60:1) პოსტპოზიციის შემთხვევები. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი უმთავრესად უსწრებს საზღვრულს (9:2).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალი სიტყვების პოსტპოზიცია ოდნავ სჭარბობს (29:27). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	7	24
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	7	1
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	2	—
4. მრავალ	1	—
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	5	1
6. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	5	3

იაკობის პროტოევანგელე მსაზღვრელ-საზღვრულის 133 წყვილს გამოავლენს. პოსტპოზიციური და პრეპოზიციური წყობის შემთხვევათა შეფარდება 114:24. მართული მსაზღვრელი 36 შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს, ერთ შემთხვევაში უსწრებს. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პოსტპოზიციისა და პრეპოზიციის შემთხვევათა შეფარდება 67:7, აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	35	6
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	30	—
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	2	—

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფის სიტყვათა პრეპოზიციურად ხმარების შემთხვევები სჭარბობს (17:11). მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	12	9
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	1	—
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	1	—
4. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	3	—
5. უარყოფითი ნაცვალსახელი	—	1
6. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	—	1

იაკობის პროტოევანგელე დანარჩენი ხანმეტი ტექსტებიდან იმით გამოირჩევა, რომ აქ ზედსართავი სახელითა და მიმღეობით გადმოცემული მსაზღვრელი უმთავრესად უსწრებს საზღვრულს. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა ხანმეტი მრავალთავი, სადაც შემთხვევათა უმრავლესობაში არა მარტო ამგვარი მსაზღვრელი გვხვდება პრეპოზიციურად, არამედ მოჰყვებულია მართული მსაზღვრელის, აგრეთვე ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების პრეპოზიციურად ხმარების შემთხვევები.

ხანმეტ მრავალთავში მსაზღვრელ-საზღვრულის 342 წყვილია. 187 შემთხვევაში მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, 155-გზის უსწრებს. მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრელს უსწრებს
1. მართული მსაზღვრელი	70	37
2. ჩვენებითი ნაცვალსახელი	52	41
3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	34	15
4. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	—	5
5. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	28	34
6. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	—	1
7. მ რ ა ვ ა ლ ი	—	1
8. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	1	16
9. კითხვითი ნაცვალსახელი	—	2
10. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	2	3

ჰაემეტ ტექსტებში გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის 333 სინტაგმა. პოსტპოზიციური მსაზღვრელი 245 შემთხვევაში გვაქვს, პრეპოზიციური— 88-გზის. მათ შორის:

	საზღვრელს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. მართული მსაზღვრელი	68	26
2. ჩვენებითი ნაცვალსახელი	62	12
3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	66	3
4. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	1	5
5. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	25	16
6. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	7	14
7. რიგობითი რიცხვითი სახელი	1	—
8. მ რ ა ვ ა ლ ი	1	3
9. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	—	5
10. უარყოფითი ნაცვალსახელი	—	1
11. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	14	3

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისათვის საერთოდ დამახასიათებელია მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობის შემთხვევათა სიჭარბე. პოსტპოზიციურად იხმარება მართული მსაზღვრელი, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, აგრეთვე ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა (გამონაკლისებია: ხანმეტი მრავალთავი და იაკობის პროტოევანგელე). ამ ტიპის მსაზღვრელთა პოსტპოზიციური წყობის შემთხვევები გაცილებით სჭარბობს პრეპოზიციისას (აქაც გამონაკლისებია: ხანმეტი მრავალთავი და იაკობის პროტოევანგელე). ასე მაგალითად, ხანმეტ ლექციონარში მართული მსაზღვრელი პოსტპოზიციურად იხმარება 35 შემთხვევაში, პრეპოზიციურად — 6-ჯერ, „შუშანიკის წამებაში" შეფარდებაა 76:44. ხანმეტ ლექციონარში ჩვენებითი ნაცვალსახელი 56-გზის მოსდევს საზღვრულს, 15 შემთხვევაში უსწრებს. „შუშანიკის წამებაში" ასეთი მსაზღვრელის პოსტპოზიციისა და პრეპოზიციის შემთხვევათა შეფარდებაა 117:66. ხანმეტი ლექციონარის ტექსტში კუთვნილებითი ნაცვალსახელი საზღვრულს 60-ჯერ მოსდევს, ერთხელ უსწრებს. „შუშანიკის წამებაში" გვაქვს შეფარდება 159:18. ვფიქრობთ, ნათელია სხვაობა ხანმეტ ტექსტებსა და ორიგინალურ ძეგლებს შორის.

ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში უპირატესად პრეპოზიციურ მსაზღვრელებად იხმარება: განუსაზღვრელობითი, განსაზღვრებითი, კითხვითი, უარყოფითი ნაცვალსახელები, რაოდენობითი, რიგობითი რიცხვითი სახელი, მ რ ა ვ ა ლ ი (თუმცა ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების, აგრეთვე მ რ ა ვ ა ლ მსაზღვრელის პოსტპოზიციურად ხმარების შემთხვევები გახშირებულია).

IX—XII საუკუნეთა წერილობითი ძეგლები ორ ჯგუფად იყოფა: I. მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური და პრეპოზიციური წყობის შემთხვევათა შეფარდებითი სიხშირე ნათელყოფს, რომ გაბატონებულია პოსტპოზიციური წყობა (ასეთ ძეგლებში არა მარტო მართული მსაზღვრელის, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების, ზედსართავი სახელისა და მიმღეობის პოსტპოზიციაა ხშირი, არამედ ამავე მსაზღვრელთა პრეპოზიციის შემთხვევები იშვიათია). II ჯგუფს შეადგენს ძეგლები, სადაც, მართალია, პოსტპოზიციური წყობა სჭარბობს, მაგრამ საკმაოდ ხშირია პრეპოზიციური წყობის შემთხვევებიც. ასეთ ძეგლებში, ჩვეულებრივ, პრეპოზიციურ მსაზღვრელებად გვაქვს: ზედსართავი სახელი და მიმღეობა, განსაზღვრებითი, უარყოფითი, კითხვითი ნაცვალსახელები, რაოდენობითი, რიგობითი რიცხვითი სახელი, მ რ ა ვ ა ლ ი; მართული მსაზღვრელი, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელი უპირატესად პოსტპოზიციურად იხმარება, თუმცა I ჯგუფის ძეგლებთან შედარებით პრეპოზიციაც ხშირია.

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლთაგან I ჯგუფს განეკუთვნება: ძველი აღთქმის წიგნები, მამათა სწავლანი, ექუსთა დღეთაჲს უძველესი რედაქ-

ცია, იოვანეს გამოცხადება, პატერიკი, ბალავარიანი. ამავე ტიპისაა ოთხთავი. II ჯგუფს შეადგენს: ლიმონარი, ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი, იოვანეს გამოცხადების თარგმანები, ელინთა ზღაპრობანი, ექუსთა დღეთაჲს გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი.

საინტერესოა სინური მრავალთავის მონაცემები. სულ ძეგლში მსაზღვრელ-საზღვრულის 13556 წყვილია. პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა 8538:5218. აქედან:

	საზღვრულს მოსდევს საზღვრული	საზღვრულს უსწრებს
1. მართული მსაზღვრელი	2662	1340
2. ჩვენებითი ნაცვალსახელი	2411	1255
3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	1953	246
4. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	80	48
5. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	1623	1363
6. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	32	226
7. რიგობითი რიცხვითი სახელი	11	63
8. მრავალი	8	81
9. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	20	348
10. კითხვითი ნაცვალსახელი	—	50
11. უარყოფითი ნაცვალსახელი	4	17
12. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	163	248

სინური მრავალთავის ცალკეული ნაწილები მსაზღვრელ-საზღვრულისა და სახელისა და ზმნის რიგის მიხედვით ერთმანეთისაგან სხვაობენ, რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ ამ კრებულში შემავალი თხზულებანი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირის მიერ არის თარგმნილი. ეს ძალიან საინტერესო საკითხია. მას ალბათ სხვა დროს შევეხებით.

აქ ვერ შევუდგებით ყველა სხვა დასახელებული ძეგლის მონაცემთა ანალიზს. ჩვენი აზრით, ყველაზე თვალსაჩინო მასალას იძლევა „ექუსთა დღეთაჲ"-ს უძველესი რედაქციის ტექსტის შეპირისპირება ამავე ძეგლის გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანთან და ამ თარგმანის შედარება გიორგისავე ორიგინალურ ნაწარმოებთან „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება". „ექუსთა დღეთაჲს" უძველესი რედაქციის ტექსტში მსაზღვრელ-საზღვრულის 2160 წყვილია, გიორგისეული თარგმანის ჩვენ მიერ შესწავლილ ნაწყვეტში — 3611, „ცხოვრებაში" — 2451.

პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა: უძველეს რედაქციაში — 1708:452; გიორგისეულ თარგმანში — 1850:1761; „ცხოვრებაში" — 1017:1434. მათ შორის:

	უძ. რედ.	ბ. მთაწმ. თარგმ.	„ცხოვრ."	უძ. რედ.	ბ. მთაწმ. თარგმ.	„ცხოვრ."
1. მართული მსაზღვრელი	659	781	328	100	448	233
2. ჩვენებითი ნაცვალსახელი	374	445	74	89	363	244
3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	375	361	342	12	61	74
4. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	19	40	38	24	60	47
5. ზედსართავი სახელი, ან მიმღეობა	247	196	144	115	518	468
6. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	13	14	15	12	36	69
7. რიგობითი რიცხვითი სახელი	10	5	—	16	1	9
8. მრავალი	7	—	8	16	18	31
9. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	4	1	11	68	128	101
10. მიმართებითი ნაცვალსახელი	—	—	—	—	—	4
11. კითხვითი ნაცვალსახელი	—	—	—	10	8	—
12. უარყოფითი ნაცვალსახელი	8	5	1	62	7	3
13. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	135	2	56	140	5	186

ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში გაცილებით უფრო კარგადაა წარმოდგენილი ქართული ენისათვის ბუნებრივი სიტყვათა წყობა, ვიდრე „ექუსთა დღეთაჲს“ უძველეს თარგმანში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მთაწმიდლის თარგმანის მონაცემები საკმაოდ ახლოს დგას მისივე ორიგინალური თხზულების მონაცემებთან (თუმცა გიორგი მთაწმიდელი, როგორც მთარგმნელი, რამდენადმე მაინც დამოკიდებული ჩანს ბერძნული ენისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ წესებზე).

რა ვითარებაა საგულვებელი იმ ცოცხალ მეტყველებაში, რომელსაც ემყარებოდა ძველი ქართული სალიტერატურო ენა? ვფიქრობთ, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ერთი ჯგუფი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ამ ეპოქის ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციის ტენდენცია. სავარაუდოა,

რომ ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზე უკვე ბატონობდა არა მარტო შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პრეპოზიცია, არამედ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში საზღვრულის წინ დაისმოდა ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელი, მართული მსაზღვრელი („ეეფხისტყაოსანი“, საერო ლიტერატურის სხვა ძეგლები ამ დებულების საილუსტრაციო მასალას უხვად წარმოგვიდგენენ).

გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: ძეგლი ნათარგმნია, თუ ორიგინალური, დედნის საბითაა ჩვენამდე მოღწეული, თუ პირებით, რა დროისაა ძეგლი, რა ჟანრისაა თხზულება და მისთ. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ალბათ მწერლის (თუ მთარგმნელის) ენობრივი პოზიციაც.

2. სახელისა და ზმნის წყობა ძველსა და საშუალ ქართულში

სახელისა და ზმნის წყობა ძველსა და საშუალ ქართულში სპეციალურად არ უკვლევიათ. ჩვენ შევისწავლეთ სახელისა და ზმნის განლაგება როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ძეგლებში. ჯერ განვიხილოთ სახელისა და ზმნის წყობა ყველა ტიპის წინადადებაში, შემდეგ წარმოვადგენთ მარტივი და მთავარი წინადადების ანალიზის შედეგებს. გამოვიყველიეთ სინტაგმები: S სუბიექტი (ქვემდებარე) — V ზმნა (შემასმენელი); Oირ. ირიბი ობიექტი (ირიბი დამატება) — V ზმნა (შემასმენელი), Oპ. პირდაპირი ობიექტი (პირდაპირი დამატება) — V ზმნა (შემასმენელი).

„შუშანიკის წამების“ ტექსტში სახელისა და ზმნის 734 სინტაგმა გვხვდება. სახელი (N) ზმნას (V) 389 შემთხვევაში მოსდევს, 345-გზის უსწრებს. აქედან:

VS 133 (32—29—72) [1] — SV 214 (119—28—67)

VOირ. 130 (68—11—51) — Oირ. V 25 (14—1—10)

VOპ. 126 (39—9—78) — Oპ. V 106 (32—1—74).

როგორც ვხედავთ, თხზულებაში სუბიექტი შემთხვევათა უმრავლესობაში (214:133) ზმნას უსწრებს, ხოლო ირიბი და პირდაპირი ობიექტები ზმნას მოსდევენ. ირიბი ობიექტის პოსტპოზიცია გაბატონებულია (130 : 25). პირდაპირი ობიექტის პოსტპოზიციის შემთხვევები ოდნავ სჭარბობს პრეპოზიციისას (126:106). ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარე უპირატესად უსწრებს შემასმენელს (119:32), ირიბი და პირდაპირი დამატებები კი შემასმენელს მოსდევენ (შესაბამისად 68:14; 39:32). საკუთარი სახელით გამოხატული ქვემდებარე შემასმენლის წინა, ან მომდევნო პოზიციაში თითქმის თანაბრად იხმარება (28:29): ირიბი და პირ-

1 ფრჩხილებში ჩასმული ციფრები მიგვანიშნებენ, რამდენგზის იხმარება წინადადების წევრის გამოსახატავად ნაცვალსახელი, ანთროპონიმი, სხვა სახელები.

დაპირი დამატებები კი ზმნას მოსდევენ (11:1; 9:1). სახელთა სხვა ჯგუფებით გადმოცემული ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების პოსტპოზიციისა და პრეპოზიციის შემთხვევები თითქმის თანაბარია (72:67), (78:74). ირიბი დამატება უპირატესად ზმნას მოსდევს (51:10).

საზოგადოდ ცნობილია, რომ სახელური სუბიექტი (სახელით გამოხატული ქვემდებარე) ენათა უმრავლესობაში ზმნას უსწრებს (48, გვ. 119). ფაქტიურად ძველ ქართულშიც ეს ვითარებაა წარმოდგენილი. „შუშანიკის წამება“ ამ მოვლენის კარგი მოწმობაა.

დაახლოებით ანალოგიური სურათია „ევსტათი მცხეთელის წამებაში“. ამ ძეგლში სახელისა და ზმნის 850 წყვილი დასტურდება (VN-438, NV-412). მათ შორის:

VS 172 (37—24—111) — SV 233 (90—26—117)

VOირ. 123 (53—16—54) — Oირ. V 58 (23—23—12)

VOპ. 143 (33—2—108) — Oპ V 121 (34—1—86).

სუბიექტი ზმნას უპირატესად უსწრებს, ირიბი და პირდაპირი ობიექტები ზმნას მოსდევენ (ოღონდ შედარებით ხშირია ირიბი დამატების პრეპოზიციის შემთხვევები). ზმნას უმთავრესად უსწრებს არა მარტო ნაცვალსახელით, არამედ ანთროპონიმითა და სახელთა სხვა ჯგუფებით გამოხატული ქვემდებარეც (26:24; 117:111).

„აბოს წამება“ სახელისა და ზმნის 1013 სინტაგმას გამოავლენს (VN-565, NV-448). აქედან:

VS 206 (60—21—125) — SV 282 (140—12—130)

VOირ. 128 (63—2—63) — Oირ. V 48 (21—1—26)

VOპ. 231 (71—5—155) — Oპ. V 118 (34—1—83).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ა რედაქციის ტექსტში სახელისა და ზმნის 1784 სინტაგმა გვხვდება (VN-1147, NV-637). აქედან:

VS 550 (47—145—358) — SV 431 (196—34—201)

VOირ. 200 (43—25—132) — Oირ. V 57 (24—1—32)

VOპ. 397 (39—13—345) — Oპ. V 149 (45—6—98).

ამავე ძეგლის ბ რედაქციის ტექსტში სახელისა და ზმნის 1831 წყვილია (VN-1201, NV-631). მათ შორის:

VS 553 (49—97—407) — SV 404 (163—35—196)

VOირ. 215 (48—23—144) — Oირ. V 73 (26—15—32)

VOპ. 433 (42—15—376) — Oპ. V 175 (61—3—111).

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას სუბიექტის პოსტპოზიციის სიხშირე იქცევს.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტში სახელისა და ზმნის 3514 სინტაგმა არის. სახელის პოსტპოზიციისა და პრეპოზიციის შემთხვევები თითქმის თანაბარია (VN-1797, NV-1717). აქედან:

VS 759 (80—117—562) — SV 1103 (354—149—600)

VOირ. 417 (116—48—253) — Oირ. V 173 (73—13—87)

VOპ. 621 (80—17—524) — Oპ. V 441 (80—10—351).

აშკარად ჩანს, რომ სუბიექტის პრეპოზიციის შემთხვევები ამ ძეგლში დიდად სჭარბობს პოსტპოზიციისას.

„კოსტანტი ქართველის მარტვილობის“ ტექსტში სახელისა და ზმნის 405 წყვილია (VN-256, NV-159). მათ შორის:

VS 84 (31—3—50) — SV 99 (56—1—42)

VOირ. 56 (26—0—30) — Oირ. V (13—0—6)

VOპ. 106 (31—1—74) — Oპ. V 41 (15—0—26).

„გობრონის მარტვილობა“ სახელისა და ზმნის 508 წყვილს გამოავლენს. ამ ძეგლში სახელის პრეპოზიცია სჭარბობს (257—251). აქედან:

VS 103 (13—14—76) — SV 178 (61—19—98)

VOირ. 49 (18—2—29) — Oირ. V 20 (10—2—8)

VOპ. 99 (12—2—85) — Oპ. V (15—1—43).

სახელის პრეპოზიციის სიხშირეს სუბიექტის პრეპოზიციის შემთხვევათა სიჭარბე განაპირობებს (178:103).

„კოლაელ ყრმათა მარტვილობის“ ტექსტში სახელისა და ზმნის 132 წყვილია. გაბატონებულია სახელის პოსტპოზიცია (86 : 46). აქედან:

VS 40 (2—0—38) — SV 33 (19—0—14)

VOირ. 10 (5—0—5) — Oირ. V 2 (2—0—0)

VOპ. 36 (3—0—33) — Oპ. V 11 (4—0—7).

„დავითისა და ტირიჭანის მარტვილობაში“ სახელისა და ზმნის 315 სინტაგმა გვხვდება (VN-291, NV-94). მათ შორის:

VS 88 (12—8—68) — SV 62 (21—11—30)

VOირ. 37 (12—5—20) — Oირ. V 14 (12—0—2)

VOპ. 96 (15—1—80) — Oპ. V 18 (8—0—10).

„იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ა რედაქციის ტექსტში სახელისა და ზმნის 754 წყვილია (VN-383, NV-371). აქედან:

VS 144 (27—13—104) — SV 245 (128—11—106)

VOირ. 84 (29—6—49) — Oირ. V 29 (14—2—13)

VOპ. 155 (33—2—120) — Oპ. V 97 (25—1—70).

ამავე თხზულების ბ რედაქციის ტექსტში სახელისა და ზმნის 333 წყვილია (VN-172, NV-161). მათ შორის:

VS 69 (5—8—56) — SV 104 (59—7—38)

VOირ. 35 (7—2—26) — Oირ. V 12 (4—2—6)

VOპ. 72 (7—0—65) — Oპ. V 45 (15—1—29).

„შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“ სახელისა და ზმნის 510 სინტაგმას გამოაელენს (VN-288, NV-222). აქედან:

VS 91 (1—16—74) — SV 151 (74—25—52)

VOირ 64 (18—7—39) — Oირ. V 16 (8—1—7)

VOპ. 133 (8—4—121) — Oპ. V 55 (10—2—43).

„დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ სახელისა და ზმნის 686 წყვილი გვხვდება (VS-390, SV-296). მათ შორის:

VS 165 (33—25—107) — SV 143 (84—17—42)

VOირ. 91 (30—14—47) — Oირ. V 4 (4—0—0)

VOპ. 134 (23—4—107) — Oპ. V 49 (18—1—30).

„აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების“ ა რედაქციის ტექსტში სახელისა და ზმნის 224 წყვილია (VN-129, NV-95). აქედან:

VS 51 (10—4—37) — SV 58 (29—6—23)

VOირ. 17 (9—1—7) — Oირ. V 18 (9—0—9)

VOპ. 61 (12—3—46) — Oპ. V 19 (6—0—13).

როგორც ვხედავთ, ამ ძეგლში ირიბი ობიექტის პრეპოზიციის შემთხვევები სჭარბობს (18:17).

ამ თხზულების ბ რედაქციის ტექსტში სახელისა და ზმნის 66 წყვილია (VN-33, NV-33). მათ შორის:

VS 17 (2—0—15) — SV 21 (11—2—8)

VOირ. 4 (2—0—2) — Oირ. V 2 (1—0—1)

VOპ. 12 (2—2—8) — Oპ. V 10 (1—0—9).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტში სახელისა და ზმნის 1475 წყვილია (VN-870, NV-605). აქედან:

VS 379 (27—33—319) — SV 421 (183—35—203)

VOირ. 197 (43—20—134) — Oირ. V 63 (43—2—18)

VOპ. 294 (30—4—260) — Oპ. V 121 (45—1—75).

გიორგი მთაწმიდლის „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“ სახელისა და ზმნის 1685 წყვილს გამოავლენს. ამ ძეგლში სახელის პრეპოზიცია არის გაბატონებული (964:721): მათ შორის:

VS 317 (21—47—249) — SV 494 (199—38—257)

VOირ. 166 (33—23—110) — Oირ. V 114 (32—7—75)

VOპ. 238 (25—9—204) — Oპ. V 356 (93—5—258).

ყურადღებას იქცევს პირდაპირი ობიექტის პრეპოზიციის შემთხვევათა სიხშირე (356:238).

გიორგი მცირის თხზულებაში „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“ სახელისა და ზმნის 2621 სინტაგმაა (NV-1436, VN-1185). მათ შორის:

VS 540 (46—58—436) — SV 761 (288—56—417)

VOირ. 243 (50—14—169) — Oირ. V 193 (65—10—118)

VOპ. 402 (39—12—351) — Oპ. V 482 (90—11—381).

მოსალოდნელი იყო, რომ XVII—XVIII საუკუნეთა ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებში სახელი უპირატესად ზმნის წინ აღმოჩნდებოდა („იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებისა“ და „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ მსგავსად), ამასთან თანდათან გახშირდებოდა ირიბი ობიექტის პრეპოზიციის შემთხვევები (რადგანაც ასეთია ენის განვითარების ტენდენ-

ცია). მაგრამ ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული XVIII საუკუნის აგიოგრაფიული (სუნაქსარული) ძეგლები ძირითადად V—X საუკუნეთა ნორმებს იცავენ (ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ასეთივე ვითარება არის მსაზღვრელ-საზღვრულის წყობასთან დაკავშირებითაც).

„წამებაჲ ქეთევან დედოფლისაჲ“ სახელისა და ზმნის 73 სინტაგმას შეიცავს (VN-52, NV-21). აქედან:

VS 12 (0—2—10) — SV 10 (4—1—5)

VOირ. 7 (1—3—3) — Oირ. V 3 (1—0—2)

VOპ. 33 (5—2—26) — Oპ. V 8 (1—1—6).

„ლუარსაბ მეფის წამებაში“ სახელისა და ზმნის 72 წყვილია (VN-36, NV-36). მათ შორის:

VS 14 (1—1—12) — SV 22 (11—3—8)

VOირ. 7 (1—1—5) — Oირ. V 3 (0—0—3)

VOპ. 15 (1—0—14) — Oპ. V (2—1—8).

„წამებაჲ ელისბარისი, შალვაჲსი და ბიძინაჲსი“ სახელისა და ზმნის 82 წყვილს გამოაელენს (VN-48, NV-34). აქედან:

VS 15 (0—0—15) — SV 25 (9—10—6)

VOირ. 5 (0—0—5) — Oირ. V 4 (2—2—0)

VOპ. 18 (0—0—18) — Oპ. V 5 (0—2—3).

„შიოს წამების“ ტექსტში სახელისა და ზმნის 75 სინტაგმა დასტურდება (VN-48, NV-27). მათ შორის:

VS 23 (0—6—17) — SV 15 (2—4—9)

VOირ. 3 (0—1—2) — Oირ. V 6 (3—1—2)

VOპ. 22 (2—2—18) — Oპ. V 6 (3—0—3).

უცნაურია, რომ ამ ძეგლში სუბიექტი უმთავრესად მოსდევს ზმნას, ირიბი ობიექტი კი უსწრებს.

ვნახოთ, როგორია სახელისა და ზმნის წყობა ნათარგმნ ძეგლებში. ხანმეტი იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტი სახელისა და ზმნის 13 სინტაგმას გამოაელენს (VN-12, NV-1). აქედან:

VS 6 (0—0—9) — SV 1 (1—0—0)

VOირ. 1 (1—0—0) — Oირ. V —

VOპ. 5 (1—0—4) — Oპ. V —

ხანმეტ ლექციონარში სახელისა და ზმნის 318 წყვილი გეხვდება (VN-206, NV-112). მათ შორის:

VS 64 (11—17—36) — SV 83 (48—8—27)

VOირ. 75 (54—3—18) — Oირ. V 7 (6—0—1)

VOპ. 67 (19—1—47) — Oპ. V 22 (14—1—7).

იაკობის პირველსახარების ხანმეტ ტექსტში სახელისა და ზმნის 207 სინტაგმაა (VN-147, NV-60). აქედან:

VS 67 (13—19—35) — SV 43 (28—2—13)

VOირ. 30 (12—11—7) — Oირ. V 1 (0—1—0)

VOპ. 50 (14—2—34) — Oპ. V 16 (7—1—8).

განსაკუთრებულ ყურადღებას „ხანმეტი მრავალთავი“ იქცევს. ამ ძეგლში სახელის პრეპოზიცია სჭარბობს (176:170). აქედან:

VS 82 (14—6—62) — SV 94 (52—5—57)

VOირ. 31 (10—1—20) — Oირ. V 24 (12—1—11)

VOპ. 57 (9—0—48) — Oპ V 58 (16—1—41).

როგორც ვხედავთ, „ხანმეტ მრავალთავში“ სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი ზმნას უმთავრესად უსწრებს, გახშირებულია ირიბი ობიექტის პრეპოზიციის შემთხვევებიც.

ჰაემეტ ტექსტებში სახელისა და ზმნის 433 წყვილია (VN-288, NV-145). მათ შორის:

VS 108 (26—22—60) — SV 88 (55—6—27)

VOირ. 95 (60—7—28) — Oირ. V 25 (18—1—6)

VOპ. 85 (25—3—57) — Oპ. V 32 (17—0—15).

ადიშის ოთხთავში 11737 სინტაგმაა (VN-7116, NV-4621):

VS 2491 (417—519—1159) — SV 3177 (1877—236—1054)

VOირ. 2355 (1737—108—508) — Oირ. V 462 (329—20—113)

VOპ. 2270 (786—97—1387) — Oპ. V 982 (484—14—484).

„მამათა სწავლათა“ ტექსტში, რომელიც ილ. აბულაძის გამოცემის 3—56 გვერდებზეა მოთავსებული, სახელისა და ზმნის 2672 წყვილი გვხვდება (VN-1559, NV-1113). მათ შორის:

VS 526 (130—15—381) — SV 749 (361—13—375)

VOირ. 402 (220—5—177) — Oირ. V 104 (64—0—40)

VOპ. 631 (116—2—513) — Oპ. V 260 (95—0—165).

„ბალავარიანში“ (გვ. 1—89) სახელისა და ზმნის 2717 სინტაგმაა (VN-1729, NV-988). მათ შორის:

VS 767 (46—109—612) — SV 643 (381—1—261)

VOირ. 359 (137—9—213) — Oირ. V 125 (86—1—38)

VOპ. 603 (88—1—514) — Oპ. V 218 (113—0—105).

„ლიმონარის“ ტექსტში (გვ. 1—84) სახელისა და ზმნის 3787 წყვილი გვხვდება (VN-2792, NV-995). აქედან:

VS 1139 (428—69—642) — SV 647 (389—26—232)

VOირ. 787 (525—14—248) — Oირ. V 93 (65—3—25)

VOპ. 866 (252—8—606) — Oპ. V (116—1—138).

ამ ძეგლში ზმნის პრეპოზიციის შემთხვევათა დიდი სიჭარბე იმით უნდა აიხსნას, რომ ორიგინალის სიტყვათა წყობა მთარგმნელს უპირატესად უცვლელად გადმოაქვს.

გიორგი მთაწმიდლის ნათარგმნი „ექუსთა დღეთაჲ“ დაახლოებით იმგვარსავე ვითარებას გვიჩვენებს, რაც მის ორიგინალურ თხზულებაში

„იოვანესა და ეფთუმეს ცხოვრება“ გვაქვს. აქ სახელისა და ზმნის 4878 წყვილია (VN-2467, NV-2411):

VS 1355 (228—9—1118) — SV 1498 (652—7—830)

VOირ. 388 (182—2—204) — Oირ. V 297 (106—0—191)

VOპ. 724 (101—1—622) — Oპ. V 625 (130—0—495).

ცხადია, თარგმნილ ძეგლში გიორგი მთაწმიდელს ზოგჯერ ვერ დაუცავს ქართული ენისათვის ბუნებრივი სიტყვათა წყობა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდება, თუ ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებს შევუდარებთ „ექუსთა დღეთაჲს“ გიორგი მთაწმიდლისეულ ანდერძს. იგი სახელისა და ზმნის 15 სინტაგმას შეიცავს. სახელი ზმნას 12-ჯერ უსწრებს, 3-გზის მოსდევს:

VS 2 (0—1—1) — SV 8 (3—0—5)

VOირ. — Oირ. V —

VOპ. 1 (0—0—1) — Oპ. V 4 (1—0—4).

ამავე ძეგლის გადამწერის ანდერძში სახელისა და ზმნის 4 წყვილია (VN-1, NV-3).

ივნისის თვენის გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს ერთვის გიორგის ანდერძი, რომელშიც სახელისა და ზმნის 49 სინტაგმაა (VN-8, NV-41):

VS 4 (4—0—0) — SV 20 (9—0—11)

VOირ. — — Oირ. V 5 (4—0—1)

VOპ. 4 (0—0—4) — Oპ. V 16 (3—0—13).

„ელინთა ზღაპრობანი“ სახელისა და ზმნის 1628 წყვილს გამოავლენს (VN-830, NV-798). მათ შორის:

VS 354 (29—91—234) — SV 518 (174—134—210)

VOირ. 179 (60—48—71) — Oირ. V 102 (46—15—41)

VOპ. 279 (36—35—226) — Oპ. V 169 (51—3—115).

ქართული ენისათვის დამახასიათებელი ტენდენცია — სახელის ზმნის წინა პოზიციაში დასმა — განსაკუთრებით ნათლად ვლინდება გიორგი მთაწმიდლის, გიორგი მცირის ორიგინალურ თხზულებებში. ნათარგმნი ძეგლები არსებითად ქართულისათვის არაბუნებრივ წყობას გამოავლენენ. ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლთა უმრავლესობაც თარგმნილ ძეგლთა სინტაქსის გავლენას ემორჩილება.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ ანდერძებში არსებითად ქართული ენისათვის ბუნებრივი სინტაქსური წყობა აისახება. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა წარწერათა ენა. მოვიხმობთ ზოგ მონაცემს:

მე, ფარნა(ავაზ), და აზარუხტ შეხუაბთ ესე ქარი (ბოლნ. წარწ.);

დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თჳჴუანის-მცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხენიე (ბოლნ. წარწ.);

თემესტია, მკვლელმან ქრისტესმან, აღვაშენე საყოფელი ესე (მცხ. წარწ.);

ესე ჯუარი ქრისტესი მე, კოსტანტი,... აღჰუმართე (წყ. წარწ.):

ქალაქი ტფილისი დაწუა ბუღა (ატ. 853 წ. წარწ.); ზირაქ შეიპყრა კახაი (იქვე).

ერედვის წარწერაში (906 წ.) სახელისა და ზმნის 6 სინტაგმაა (VN-1, NV-5). აქედან:

VS — SV 3 (2—0—1)

VOპ. 1 (0—0—1) — Oპ. V 2 (0—0—2)

ქართულისათვის ბუნებრივი სინტაქსური წყობა გვაქვს XI—XII საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტების უმრავლესობაშიც.

სიგელი მღუიმელთაი სახელისა და ზმნის 41 წყვილს გამოავლენს (VN-18, NV-23):

VS 9 (0—0—9) — SV 13 (9—1—3)

VOირ. 2 (0—0—2) — Oირ. V 1 (0—0—1)

VOპ. 7 (0—0—7) — Oპ. V 9 (2—0—7).

სიგელი მიჯნაბროელთა და ოპიზართაი სახელისა და ზმნის 55 წყვილს შეიცავს (VN-21, NV-34):

VS 7 (0—0—7) — SV 18 (4—0—14)

VOირ. 6 (1—0—5) — Oირ. V 4 (0—0—4)

VOპ. 10 (0—0—10) — Oპ. V 10 (3—0—7).

გიორგი II სიგელში შიომღვიმის მიმართ სახელისა და ზმნის 11 წყვილი გვაქვს (VN-5, NV-6). აქედან:

VS 1 (0—0—1) — SV 4 (3—0—1)

VOირ. 1 (0—0—1) — Oირ. V —

VOპ. 3 (0—0—3) — Oპ. V 2 (1—0—1).

გიორგი III სიგელში შიომღვიმის მიმართ სახელისა და ზმნის 92 სინტაგმა დასტურდება (VN-32, NV-60). მათ შორის:

VS 17 (2—2—13) — SV 31 (14—0—17)

VOირ. 7 (0—2—5) — Oირ. V 7 (0—0—7)

VOპ. 8 (0—0—8) — Oპ. V 22 (5—0—17).

გიორგი II სიგელში საქართველოს ეკლესიის მიმართ სახელისა და ზმნის 16 წყვილი გვხვდება (VN—10, NV-6). აქედან:

VS 2 (0—0—2) — SV 3 (1—0—2)

VOირ. 1 (0—0—1) — Oირ. V —

VOპ. 7 (0—1—6) — Oპ. V 3 (0—0—3)?

სახელისა და ზმნის 36 წყვილია თამარ მეფის სიგელში გელათის მიმართ (VN-18, NV-18). მათ შორის:

VS 10 (0—0—10) — SV 16 (8—1—7)

VOირ. 4 (0—0—4) — Oირ. V —

VOპ. 4 (0—0—4) — Oპ. V 2 (2—0—0—).

შიომღვიმის დაწერილში ტოხაისძის მიმართ სახელისა და ზმნის 114 სინტაგმაა (VN-34, NV-80). აქედან:

VS 20 (2—3—15) — SV 59 (20—10—29)

VOირ. 8 (4—0—4) — Oირ. V 3 (0—0—3)

VOპ. 6 (0—0—6) — Oპ. V 18 (4—0—14).

სახელისა და ზმნის 52 წყვილი არის ჭიაბერის დაწერილში შიომღვიმის მიმართ (VN-21, NV-31):

VS 9 (0—1—8) — SV 21 (10—5—6)

VOირ. 4 (0—3—1) — Oირ. V —

VOპ. 8 (0—0—8) — Oპ. V 10 (1—0—9).

თამარ მეფის სიგელში შიომღვიმის მიმართ სახელისა და ზმნის 97 სინტაგმა დასტურდება (VN-42, NV-55):

VS 13 (1—0—12) — SV 37 (15—3—19)

VOირ. 6 (1—3—2) — Oირ. V 5 (0—0—5)

VOპ. 13 (0—1—12) — Oპ. V 13 (4—0—9).

XIII საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საისტორიო დოკუმენტი — რკონის დაწერილი — სახელისა და ზმნის 320 წყვილს გამოავლენს (VN-60, NV-260). მათ შორის:

VS 26 (1—1—24) — SV 173 (57—27—289)

VOირ. 7 (1—0—6) — Oირ. V 26 (6—1—19)

VOპ. 27 (1—0—26) — Oპ. V 61 (11—0—50).

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში სახელისა და ზმნის 9 397 წყვილი გვხვდება (VN-3338, NV-6059):

VS 1476 (167—48—1261)— SV 3038 (952—951—1805)

VOირ. 551 (76—37—438) — Oირ. V 996 (383—95—518)

VOპ. 1311 (52—17—1242) — Oპ. V 2025 (448—18—1559).

როგორც ვხედავთ, პოემაში სუბიექტი, ირიბი და პირდაპირი ობიექტები შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ზმნას უსწრებენ (არა აქვს მნიშვნელობა, მეტყველების რომელი ნაწილი გამოხატავს ამა თუ იმ წინადადების წევრს). როგორც ჩანს, სიტყვათა ასეთი განლაგება ბუნებრივი იყო ქართულისათვის. ამას წარწერათა, ანდერძ-მინაწერთა, საისტორიო დოკუმენტთა მონაცემებიც მოწმობს. საერო მწერლობის ენა ამ მხრივაც გაემიჯნა სასულიერო ძეგლების ენას.

ახლა განვიხილოთ ორ და სამპირიან ზმნებთან დაკავშირებული სუბიექტისა და ობიექტის (ობიექტების) მიმართება ზმნასთან მარტივ და მთავარ წინადადებაში. გასაგები მიზეზების გამო ისეთი შემთხვევები, როცა ზმნა და მასთან პირით დაკავშირებული სახელები ერთდროულად გვხვდებოდეს, საკმაოდ იშვიათია.

ვითარების ნათელსაყოფად წარმოვადგენთ ამ ტიპის შემთხვევითა რიცხობრივ მონაცემებს:

	ორპ. გარდმ. ზმნასთან	ორპ. გარდაუვ. ზმნასთან
„შუშ. წამება“	60	57
„ევსტათი მცხეთელის წამება“	72	72
„აბოს წამება“	76	48
„მოქცევაჲ“	71	33
„გრ. ხანძთ“.	51	44
„იოვ. და ეფთ“.	118	85

ორპირიან გარდამავალ ზმნასთან ძველი ქართული ორიგინალური ძეგლების ენისათვის ძირითადად უნდა მივიჩნიოთ წყობა S—V—Oპ. („შუშანიკის წამება“ — 24; „ევსტათი მცხეთელის წამება“ — 27; „აბოს წამება“ — 35; „მოქცევაჲ ქართლისა“ — 24; „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — 27; „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ — 39). ალტერნატულად უნდა ჩავთვალოთ წყობა SOპ. V („შუშანიკის წამება“ — 24; „ევსტათი მცხეთელის წამება“ — 8; „აბოს წამება“ — 9; „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — 11; „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — 8; „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ — 31). სხვა კომბინაციები ასეთი სიხშირით გვხვდება

	შუშ.	ევსტ.	აბო	მოქც.	გრ. ხანძთ.	იოვ. და ეფთ
Oპ.VS	5	10	4	13	6	16
VSOპ.	4	15	19	8	7	11
VOპ.S	2	5	6	12	3	8
Oპ.SV	1	7	3	3	—	13

ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან ძველი ქართული ორიგინალური ძეგლების ენისათვის ძირითადია წყობა S—V—Oირ. („შუშანიკის წამება“— 39; „ევსტათი მცხეთელის წამება“— 27; „აბოს წამება“—14; „მოქცევაჲ ქართლისაჲ“—14; „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“—19; „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვება“ — 28).

სხვა ტიპის შემთხვევებიდან რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება ჭირს:

	შუშ.	ევსტ.	აბო	მოქც.	გრ. ხანძთ.	იოვ. და ეფთ.
SOირ.V	2	4	4	—	2	12
Oირ.SV	4	8	2	1	3	11
VSOირ.	5	7	4	5	5	7
VOირ.S	6	15	19	6	6	8
Oირ.VS	1	11	5	7	9	19

თარგმნილი ძეგლების ვითარება განვიხილოთ ადიშის ოთხთავის (მ. 1—4 თავები), ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავების (მ. 9—11 თავები), სინური მრავალთავის მიხედვით.

საანალიზო ტექსტებში წარმოდგენილ შემთხვევათა რაოდენობა ასეთია:

	ორპ. გარდამ. ზმნა	ორპ. გარდაუვ. ზმნა
მ. 1—4	42	57
მ. 9—11	35	23
სინ. მრავალთ.	266	111

ორპირიან გარდამავალ ზმნასთან ოთხთავის ენაში ძირითადია S—V—Oპ. წყობა (მ. 1—4—17; მ. 9—11—19), „სინურ მრავალთავში“ ძირითადია S—Oპ—V—106 (შდრ.: მ. 1—4—5; მ. 9—11—0 შემთხვევა). ალტერნატული კი — S—V—Oპ. — 82 შემთხვევა.

სხვა ტიპების სიხშირე ასეთია:

	მ. 1—4	მ. 9—11	სინ. მრავალთ.
VSOპ.	9	6	11
VOპ.S	3	3	13
Oპ.VS	6	—	33
Oპ.VS	2	1	21

ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან ოთხთავის ტექსტში წამყვანი არის წყობა V—Oირ.S, სინურ მრავალთავში ძირითადია — SV Oირ., ალტერნატული — S—Oირ. — V:

	მ. 1—4	მ. 9—11	სინ. მრავალთ.
SVOირ.	6	4	29
SOირ.V	1	—	25
VSOირ.	5	1	8
VOირ.S	34	10	19
Oირ.SV	3	—	14
Oირ.VS	8	8	16

ძალიან მცირეა ისეთი მაგალითები, როცა სამპირიან ზმნასთან წარმოდგენილი იყოს შესაბამისი სახელები. ამიტომ რაიმე კანონზომიერების დადგენა ჭირს.

როგორც ეხედავთ, ძველი ქართული ენის განვითარებისათვის დამახასიათებელია ზმნის ბოლო პოზიციაში გადასმის ტენდენცია. ორპირიანი გარდამავალი ზმნისათვის ძირითადი ხდება S—Oპ—V, ალტერნატუ-

ლი — S—V Oპ. წყობები, ხოლო გარდაუვალი ზმნისათვის ძირითადი ჩანს Oირ—S—V, ალტერნატული Oირ.—V—S, ან S—Oირ.—V წყობები. ეს მოვლენა საშუალი ქართულის ძეგლებში ნორმად იქცევა. ამის საუკეთესო მოწმობა „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენებაა (გავაანალიზეთ ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის გამოცემის 1—230 სტროფები).

ორპირიან გარდამავალ ზმნასთან პირთა შესაბამისი სახელები მოცემულია 119 შემთხვევაში. გვაქვს შემდეგი ტიპები:

SVOპ.	30
SOპ.V	46
VSOპ.	3
VOპ.S	7
Oპ.VS	14
Oპ.SV	19

გარდაუვალ ზმნასთან 74 შემთხვევაში გვაქვს პირთა შესაბამისი სახელები. კონსტრუქციათა სიხშირე ასეთია:

SVOირ.	9
SOირ.V	15
VSOირ.	3
VOირ.S	3
Oირ.SV	21
Oირ.VS	23

ორივე მეთოდით (ცალკე ყველა ტიპის წინადადებებში, ცალკე მარტივისა და მთავარ წინადადებაში) ჩატარებული ანალიზი არსებითად ერთსა და იმავე შედეგს იძლევა: **ქართულისათვის ძირითადია სახელის (სუბიექტისა და ობიექტის) პრეპოზიცია ზმნასთან მიმართებით.**

ამრიგად, ძველი ქართული ენის სიტყვათა წყობას, ჯ. გრინბერგის კრიტერიუმთა თანახმად, ახასიათებს:

ა) ზმნის II ადგილზე დასმა (SV O);

ბ) მართული მსაზღვრელის პოსტპოზიცია (მიდრეკილება პრეპოზიციისაკენ) (NG);

გ) ატრიბუტული მსაზღვრელის პრეპოზიციის უპირატესობა პოსტპოზიციასთან შედარებით (AN; NA).

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძველ ქართულს თანდებულები ახასიათებს (წინდებულები იშვიათია), ძველი ქართული სიტყვათა წყობის მიხედვით ემსგავსება თანამედროვე კავკასიურ ენებს. ამის შესახებ მიუთითა ი. მელიჭიშვილმა (23, გვ. 9—10).

სახელი, რომლის მრავლობითობა -ნ სუფიქსითაა გამოხატული, ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, ზმნას მრავლობით რიცხვში ითანხმებს;

წ ი გ ნ ი დაწერნა იაკობ (პირდაპირი ობიექტი წ ი გ ნ ნ ი აჩენს -ნ-ს: დაწერნა); წ ი გ ნ ნ ი დაიწერნეს (სუბიექტი წ ი გ ნ ნ ი -ნ-ს აჩენს ზმნაში: დაიწერნეს).

ეს სინტაქსური წესი ძველი ქართულისათვის ნორმადაა მიჩნეული (41, გვ. 107—119; 36, გვ. 181—182; 11, გვ. 270; 21, გვ. 147).

ირკვევა, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში ამ სინტაქსური წესის დარღვევის შემთხვევები საკმაოდ ხშირია: სახელის მრავლობითობა გამოხატულია -ნ სუფიქსით, მაგრამ შესაბამისი -ნ // -ენ ფორმანტი ზმნაში წარმოდგენილი არაა. ეს ეხება როგორც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას, ისე სუბიექტისას. განვიხილოთ ორივე შემთხვევა.

ა) -ნ სუფიქსით გამოხატული პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვი ზმნაში -ნ // -ენ ნიშანს ვერ აჩენს

წყვეტილი

რამეთუ აწ მას ხოლო მიუტევე მე შ ე ც ო დ ე ბ ა ნ ი მამისანი, სინ. მრავალთ. 27, 28; ღმერთმან გამოუცხადა მონათა თჳსთა ა ნ გ ე ლ ო ზ ნ ი მ ი ს ნ ი დაცვად გზასა ზედა, სვან. მრავალთ. 147, 7—9 a; ხოლო მათ ა ს ო ნ ი მ ი ს ნ ი ძელსა ზედა განსხირპეს, Sin.-36 22 v, 25—27 b; აღიპყრა ო რ ნ ი ი გ ი ფ რ თ ე ნ ი მარჯულ და მარცხლ, შატბ. კრებ. 191 v, 1—2 b; და ვითარცა იხილეს ყოველთა ს ა ს წ ა უ ლ ნ ი ესე დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი პატიოსნისა ჯუარისაჲ[1], იქვე 245 v, 17—19 a; ძალითა ღმრთისაჲთა სიბრძნით შემუსრეს ბ ჳ ე ნ ი ჯ ო ჯ ო ხ ე თ ი ს ა ნ ი, იქვე 274 r, 15—17 a; განხრწნად იქმნეს და მაშინღა შობეს ნაშობნი, იქვე 280 r, 2—3 a; რომელთა ცხორებაჲ სასუფეველისაჲ ქადაგეს და განომზადეს მორწმუნეთა კ ე თ ი ლ ნ ი მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ნ ი, Sin.-20 30 v, 6—9; დაცემული აღადგინე და მ ა მ ა დ მ თ ა ვ ა რ ნ ი ნათლად აღმოიყვანე, იქვე 108 r, 13—15; დ ა შ ჯ ი ლ ნ ი ბ ნ ე ლ ი ს ა ნ ი აღმოიყვანე ნათლად, იქვე 111 v, 5—6; და წარსცა ე ბ ი ს ტ ო ლ ე ნ ი აღმოწოდებად მათა, ეკატერინა 433, 23—24; ყოველნი ვაჟურთხე, მოდრ. იადგ. 27 r, 9; და ვითარცა იხილეს მწიგნობართა მათ ძეთა ისრაჱლისათა თ ა ვ ნ ი მათნი ბოროტსა შინა, კალ. ლექც. 41, 6—9 b; და იხილა ტ ი ლ ო ნ ი იგი ხოლო მ დ ე ბ ა რ ე ნ ი, იქვე 191 v, 12—13; აღწერე კუალად სხუა-

[1] აქ ისიც იქცევს ყურადღებას, რომ დარღვეულია სახელის სახელთან შეთანხმების წესიც: ს ა ს წ ა უ ლ ნ ი... ჯ უ ა რ ი ს ა ჲ (უნდა იყოს: ს ა ს წ ა უ ლ ნ ი... ჯ უ ა რ ი ს ა ნ ი).

სა წიგნსა საქმენი და განგებანი წმიდისა საბასნი (!), ეფთჳმი 137 r, 9—11; პურნი იგი შესაწირავისანი შეჯამა[1], წყაროსთ. ოთხთ. 26 v, 21—22 a; და დაუტევა იგინი, იქვე 47 r, 18 b; სსუეთა შეიპყრეს მონანი იგი მისნი, იქვე 49 r, 20—22 b; ხოლო მათ დაუტევეს ბადენი მათნი, იქვე 69 r, 7—8 a; შთახედა და იხილა ტილონი იგი ხოლო მდებარენი, იქვე 165 r, 10—12 b; პოვეს კრებულად ათერთმეტნი იგი და სხუანი მათთანანი, იქვე 167 r, 16—17; და გუასწავა ჩუენ საცხორებელად ჩუენდა ნებანი მისნი, ათონ. მრავალთ. 63 v, 2—4 a; განგჳმნა ფურცელნი იგი ლელჯსანი და მოგუცა ჩუენ მოპარულნი იგი სულნი, რომელ გუელმან მოგუპარა სამოთხესა შინა, იქვე 70 v, 26—30 b; რამეთუ მწუხარებითა აღავსეთ უურნი მსმენელთანი, იქვე 113 v, 23—24 b; გამოუცხადა ქრისტემანცა საიდუმლონი იგი წინაწარმეტყუელთანი და შჯულისა წერილნი, იქვე 238 v, 10—12 b; და აუწყეს მას ქრისტჱსშემოსილთა მოწამეთა სათნოებანი და კეთილი მათი მოქალაქეობაჲ, იქვე 247 v, 11—14 b; და მიჰსცა მას ოთხიე იგი სამთავრონი, ათონ. კრებ. 64 v, 16—18 b; სადა დაწუეს ჯორცნი წმიდისა მოწამისანი, იქვე 88 r, 18—20 a; და მისცეს თავნი თჳსნი მის თანა, იქვე 267 v, 2—5 a; უფალო ღმერთო, შენ მიაგე მეფესა მას, რაჲ-ესე მიყო მე და წარმჯადა ჴირნი, იქვე 327 r, 10—12 b; ასწავე ყოელთა, შამადმთავარო, ორნი ბუნებანი თჳთებანი, იელ. იადგ. 310 r, 20; რომელმან გამომიცხადე ჩუენ ყოვლისა მის სიბრძნისა დაფარულნი ზრახვანი, Sin.-34 24 r, 9—10; რამეთუ მრავალთა უყუს ძლიერებისა მადლნი, იქვე 89 v, 19; და განუმზადეს მორწმუნეთა კეთილნი მრავალფერნი, იქვე, 94 r, 32—33; განიშორეთ აწ გონიერნი კორცთა თქუენთა ვნებანი, იქვე 10 v, 31—32; ვითარცა პორფირი, შეიმოსა შენგან ჯორცნი უბიწონი, Sin.-59 1 r, 23—24; შურითა მით საღმრთოჲთა განჰკურდი და განაბნიე ბილწნი მწვალებელნი, იქვე 150 r, 18—19; ხოლო სიონის ძეთა შეურაცხ-უყუს განცხრომანი ბაბილოვნელთანი, Sin.-64 17 v, 15; საქმენი შეიწყნარეს სამთა, იქვე 58 v, 35—36; შურითა საღმრთოჲთა განჰკურდი და განაბნიე ბილწნი მწვალებელნი, იქვე 174 v, 30; რამეთუ შეწირა ღმრთისა გურიტნი უბიწონი, იქვე 186 r, 15—16; ხოლო ღმერთმან შეგიწყნარა თქუენ, ვითარცა მსხჳერპლნი, იქვე 186 r, 26; რომელმან მოეც კაცთა მოციქულნი შენნი, ქრისტე, იქვე 204 v, 28; ვინმცა მომცა ყურთა ჩემთა სმენად მუნ საღმრთოთა გალობათა. მათ ჴმანი,

[1] შემდგომში უგრძნიათ „შეცდომა“, გასწორების მიზნით მიუწერიათ ნა და მიუღიათ შეჯამანა.

Ath.-32 301 r, 19—21; აღასრულა კაცთა თანა ქამნი მისნი, იქვე 302 r, 1—2; რომელმან ათასეულნი წარმართებულთანი... შესწირე მისა, იქვე 308 v, 16—17; რომელთა მუსმარნი კუერითა ძლით განაწონნეს, დაჰმშჳალეს მაგრიად, პარხლ. მრავალთ. 448 r, 1—4 b; და შვა სიონმან ყრმანი თჳსნი სიხარულითა გამოუთქმელითა, მრავალთ. 65 v, 6—8 a; მოიმტკიცა ელია მკლავნი თჳსნი ვითარცა მბრძოლმან ახოვანმან, იქვე 81 v, 6—8 a; რომელნი მოიტაცა დღესა მას თანამზრახვალად თჳსა, იქვე 187 r, 17—18 b; ესე ყოველნი წმიდანი მოციქულნი სამგზის სანატრელმან და ყოელითა შუენიერებითა საესემან დორეთეოზ, ჰრომს შინა მყოფმან, ჴელითა ჰრომაელებრ მეტყუელებითა მოსაჴსენებელთა დაუცვა, იქვე 173 v, 16—22 b; ვონიფანტე მთავარი და მისთანანი მოგუეგებნეს და სიხარულით შეგჳწუნარეს, ათ. ასკეტ. კრებ. 83 r, 14—17 a; მი-რა-ვედ და უთხარ ნეტარსა ბაგრატს სიტყუანი წმიდისა მარკიანესნი, იქვე 94 r, 1—3 b; ხოლო ზედა ლოდსა მას სამარხოსასა დავჭერე მე სიტყუანი ესე ვითარნი, იქვე 101 r, 10—13 a; გამოაბრწყინე ელვანი შენნი, ეფრ. ასურ. სწავლ. 37 v, 17—18 a; არა შეიწუნარეს იგინი, Sin.-16 189 v, 18—19; უსაკმარჱსადრე შევრაცხეთ თანაშეოღვილნი იგი სათნოებათა თანა ოკეთორებანი, Sin.-35 66, 4—7 b; რომელმან შეგიწუნარა, ნეტარნო, A-1562 8 r, 2—3; ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ბადენი მათნი, A-1699 34 r, 22—24 a: მკუდარნი შეწყდომილნი ადგომითა შენითა, მაცხოვარ, აღმოიყვანე ჯოჯოხეთით, Sin.-65 119 r, 3—4; და შესწირეთ ღმრთისა კურთხევანი სულიერნი, ღმერთშემოსილნო, იქვე 175 r, 21—22; რომელთა სატანჯველნი საშუებლად შეჰრაცხეს, იქვე 182 r, 17: ასდეგ მკუდრეთით, ქრისტე მაცხოვარ, და აღადგინე ხრწნილებისაგან, რომელნი ღირსად უგალობენ აღდგომასა შენსა, საფლავით, იქვე 210 r, 8—9; და სიკუდილისა სამშჯუალნი. ჴელმწიფებით შეჰმუსრე, იქვე 214 v, 12—13; შენ, რომელი მკუდრეთით ასდეგ და შენ თანა აღმადგინე ჩუენ, მომწყდარნი ცოდვისაგან, იქვე 215 v, 33—34; რამეთუ შეურაცხ-ყვეს ყოველსა შინა სანადირონი მისნი, საკითხ. წიგნ. II 55, 11—12; მოსცა მათ უფალმან ორნი შვილნი, ლიტ. ურთ. 178, 14; ბეთლემი და საზღვარნი მისნი, ვითარცა ცეცხლმან დაწუა და დაამტურია, A-40 84 v, 1—3; და ვიხილე პირისაგან ეშაპისა და პირისაგან მჴეცისა და პირისაგან ცრუწინაწარმეტყუელისა სამნი სულნი არაწმიდანი, A-397 88 v, 4—6; ჰნებავნ, რაჲთამცა დაგუახრწია ლოცვისაგან და ვედრებისა ღმრთისა, კლემაქს. 71 r, 20—21; რაჲთამცა მიგუეზიდეს ცოდვისა მის მიმართ, იქვე 121 r, 16—17; ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატიოს „და რაჲსათუის დამაშრვე ჩუენ“, Sin.-11 60 v, 18—19; ვონიფანტე მთავარი და მისთანანი მოგუეგებნეს და სიხა-

რულითა შეგვწუნარეს, იქვე 313 r, 18—19; და საეკლესიონი იგი კანონნი წინაშე ღმრთისმსახურისა კონსტანტინე მეფისა წარიკითხეს, A-96 4 r, 3—6; სხუათა კუალად შჯად თჳუეს სულნი იგი უკეთურებისანი, იქვე 109 v, 16—18; და მისცა ბაგრატს დ მარკიანეს ორნი ჯუარნი, A-134 225 r, 10; განაჭარვა განზრახვანი, A-135 16 v, 3—4; განაწესეს მოციქულთა და მამათა წერილნი და უწერელნი წესნი, A-500 275 v, 9—10; მათ დაუტევეს მეყსა შინა ბადენი, A-88 30 v, 24—25 b; გონებათა მათთა დაფარულნი სახითა იოვანეს მიმართ მიმცნებისადთა მიუთხრა, იქვე 91 v, 25—28 b; იხილეს მათ თუალითა თჳსითა საკჳრველებანი მისნი, იქვე 95 r, 14—16 a; ვერ პოვა უკეთურებამან ეშმაკთამან სულნი, ესრეთ შემწუნარებელნი მათისა სიბოროტისანი, იქვე 131 r, 15—18 b: გამოუცხადა მას საიდუმლონი ღმრთისანი, Jer.-3 129 v, 15; დაწერა ფიცართა ზედა მსგავსად წერილისა პირველისა ათნი სიტყუანი, გელ.-ბიბლ. 236 r, 23—25, და სხვა.

ზმნის ფორმაში აკლია -ენ სუფიქსი:

რომელმან მოეც კაცთა მოციქულნი შენნი, ქრისტე, მოძღურად და წინამძღურად, Sin.-64 204 v, 28 (მოსალოდნელი იყო: მოსცენ): ხოლო მი-რაჲ-ვედ და მიუთხარ ნეტარსა ბაგრატს ყოველნი სიტყუანი დიდისა მარკიანესნი, A-134 288 v, 8—10 (იხ. აგრეთვე ათ. ასკეტ. კრებ. 94 r, 1—3 b).

ზმნის ფორმაში მოსალოდნელი ნა დაბოლოების ადგილას ო გვაქვს:

ყო ჩემდამო დიდ-დიდნი ძლიერმან, ლ. 1, 49 (მოსალოდნელი იყო: ყონა); ესრეთ ყოველნივე დაბადებულნი მოვლო ღუაწლმან მან ამათ სანატრელთამან, Ath.-32 214 v, 8—9; რომელთა-ესე ესრეთ ფრიად ვცოდეთ და უღირს ვიყუენით შენდობასა და ესეზომთა თანანადებთა თანამდებ ვიქმნენით, ღირს-გუყო არა ამას ოდენ, რაჲთამცა ... პირველსავე მას საზომსა მივიწიენით, იქვე 277 r, 7—10; ხოლო მთავარმან დაგჳგო თითოფერნი სანოვაგენი, ათ. ასკეტ. კრებ. 43 v, 12—14 a; Ath.-21 283 v, 15—16; A-134 253 r, 8—9; არა მოიმკო მან შრომათა შათ თჳსთაგან ნაყოფნი, A-35 66 r, 16—18: შეურაცხ-გუყო ჩუენ, ანუ მოგჳძულნა, A-134 229 v, 5—8; საზრავნი იგი სირცხჳლისანი სამგუამოვანმან ღმრთეებამან უჩინო-ყო, იქვე 229 v, 17—19; არა თუ ხოლო მეუფესა ჩუენსა წინაუყო ეშმაკმან ესევითარნი განსაცდელნი, Jer.-12 163 r, 22—23.

ძველ ქართულში დასტურდება შემთხვევები, როცა (და)ჴსნა ზმნის წყვეტილში (დაჲ)-ჴსნენ უნდა გვქონდეს (პირდაპირი ობიექტი -ნ სუფიქსით გამოხატულ მრავლობითშია), გვაქვს კი (დაჲ)ჴსენ, რაც ემთხვევა ისეთ ფორმას, როცა პირდაპირი ობიექტი მხოლობით რიცხვშია:

მრავალფერნი ეშმაკთა სიბოროტენი დაჲჴსენით,

Sin.-20 11 r, 3—4; და მიჯსენ ჩუენ საცთურისაგან, იქვე 26 r, 2—3; რამეთუ შენ მხოლომან დაჯსენ წესნი ბუნებათანი, იქვე 52 v, 5—6; გუერდი შენი საღმრთოჲ განელო ლახურისა მიერ და დაბადებულნი იჯსენ წყევისაგან, იქვე 65 v, 12—14; ღმრთეებით იჯსენ დაბადებულნი შენნი ტყუეობისა მისგან, იქვე 75 v, 8—10; სწავლითა შენითა, ნეტარო ფებრონია, იჯსენ დედანი იგი საცთურისაგან, Sin.-64 196 v, 2—3.

ადიშის ოთხთავი დარღვევას გამოავლენს ჯრუჭ-პარხლის სწორი ფორმის საპირისპიროდ:

ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა, მამალად და დედალად შექმნა იგინი, მ. 19, 4 C; შდრ.: დაჰბადნა DE; რამეთუ მოვიდენ დღენი, რომელთა შინა იტყოდიან, ვითარმედ: ნეტარ ბერწთა და მუცელთა, რომელთა არა შვეს, ლ. 23, 29 C; შდრ.: ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შვნეს DE.

II ბრძანებითი

წარვედით და უჩუენეთ თავნი თქუენნი მღდელთა, ლ. 17, 14 D; და აღიხილე თუალნი ზეცად აღმართ, ესაია 8, 21 O; გამოსახეთ თავთა შორის თქუენთა საქმენი იგი, Ath.-32 302 r, 7—8: შეგვწყალე ჩუენ, რამეთუ შეშინებულ ვართ, ათ. ასკეტ. კრებ. 199 r, 20—22 b; ისმინე, დედაო ჩემო, სულთქმანი გულისა ჩემისანი, ეფრ. ასურ. საწვლ. 240 v, 14—17 b; იხილეთ, ჰ კაცნო, მართალთა მათ შესხმანი, შატბ. კრებ. 165 v, 25—26 b; თქუენდ გულის-ტყუანი თჳსნი და ესრეთ საკურნებელი მიმიღონ, ათ. პატერ. 52 r, 20—21; ეჰა, წმიდაო ღმრთისა დედაო, განანათლე ცნობანი ჩუენნი, A-603 83 v, 10—11; განიშოვრე შენგან ყოველნი უკეთურებანი, Sin.-35 56, 2—3 a; მოიპოვეთ თავისა თქუენისა სათნოებანი, იქვე 198, 20—21 a; იაკობის თანა მოვედ ქნარითა შინა და განმაცხრვე ჩუენ, Sin.-64 18 v, 29—30; და ევედრებოდეს მას ყოველნი იგი ეშმაკნი და ეტყოდეს: მიმავლინე ჩუენ ღორებსა იმას, ტბ. ოთხთ. 190, 11—14 a; ისმინეო პირველნიცა წინაწარმეტყუელთა სულისა მიერ წმიდისა შენთჳს ქადაგებანი და ახალნიცა ესე მშობელთა შენთა თხრობანი, A-40 13 r, 4—8; შეწირეთ ღმრთისა და ჩუენდა თავნი თქუენნი, A-1 29, 18; აღუარე მოძღუარსა შენსა, ვითარცა ღმერთსა, სახითა სიმდაბლისაჲთა ცოდვანი შენნი, A-445 38 r, 18—19; წარვედით მისა და მოიკუეცეთ თმანი თავთა თქუენთანი, A-134 327 r, 1—3; იტყოდა, ვითარმედ: „მიძღოდე მე გზათა შენთა“ და კუა-

ლად. ვითარმედ: „მაუწყე მე, უფალო, გზანი, რომელთაცა ვიდოდი“, იქვე 152 r, 8—10, და სხვა.

ზმნას აკლია -ენ სუფიქსი:

გულისჯმა-ყავთ, საყუარელნო, საიდუმლონი იგი წერილთანი, ათონ. მრავალთ. 236 v, 13—14 b; უთხართ მოციქულთა, რომელნი არიან იერუსალჱმს შინა, საკჯრველებანი ესე ღმრთისანი, მრავალთ. 93 r, 16—20 b; მითხარღა საქმენი იგინი, A-135 206 v, 20.

მოცემა ზმნა არ ეთანხმება პ. ობიექტის მრავლობით რიცხვს: მან მომეცინ ჩუენ აღთქუმულნი იგი თჳსნი, ათონ. მრავალთ. 290 v, 18—19 (მოსალოდნელი იყო: მომცენინ); გამოეცით წყალთა მცურვალნი სულნი მშჯვიერნი, მრავალთ. 171 v, 19—23 b (ნაცვლად გამოსცენით ფორმისა).

ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავის ტექსტში ერთსა და იმავე წინადადებაში ზმნის ფორმა ერთ შემთხვევაში შეთანხმებულია პირდ. ობიექტის მრავლობით რიცხვთან, მეორე შემთხვევაში— არა: ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: კაცსა რომელსა ჰრქჳან იესუ, თიჯაჲ შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა და მრქუა მე: წარვედ სილოამდ და დაიბანე, და მივედ და დავიბანენ და აღეიხილენ, ი. 9, 1 DE. ადიშის ოთახთავში ეს ადგილი ასეა გადმოცემული:

მან მიუგო: რომელსა-იგი იესუ ჰრქჳან, თიჯაჲ ქმნა და მომგოზა თუალთა ჩემთა და მრქუა მე: მივედ სილოამდ და მოიბანე, მივედ და მოვიბანე და ეხედავ C.

საინტერესოა შემდეგი მაგალითიც:

მიჰხედენით მყარსა მას კლდესა, რომლისაგან გამოეკუეთენით, და სიღრმესა მას მღჳმისასა, რომლისაგან აღმოითხარენით, მიჰხედეთ აბრაჰამს, Jer.-12 132 r, 4—7.

არის შემთხვევები, როცა II ბრძანებითის მხ. რიცხვის მესამე პირში მოსალოდნელი -ენ-ი-ნ დაბოლოების ნაცვლად -ენ გვაქვს:

რაჲთა ღირს ვიქმნეთ მარჯუენით ქრისტჱსა დღესა მას საშჯელისასა და თქუენცა უფალმან შეგიწყალენ, სინ. სამოციქ. ფრაგმ. 12 r, 19—20; ღმერთმან ყოელისა მპყრობელმან განაჭარვენ ყოველნი ღონენი, ათ. ასკეტ. კრებ. 168 v, 13—16 a; ღმერთმან ადიდენ და ცოდვანი შეუნდვენ, Ath.-3 141 v (ბლეიკის აღწერ. მიხედ.- გვ. 22); იხილენ მან ბაგასა შინა სახუეველნი ქრისტჱსნი, ათონ. მრავალთ. 40 r, 9—11 b; ქრისტემან აკურთხენ ყოველნი მოღუაწენი ამის წიგნისანი, ტბ. ოთხთ. 305 r, 17—19 b (ანდერძი); და თქუენცა უფალმან შეგიწყალენ, Sin.-20 130 v, 18—19; განიშორენ კაცად-კაცადმან გულისაგან თჳსისა ყოველი ზრუნვაჲ ამის სოფლისა ამაოჲსაჲ და შეიწუნარენ სურვილით და სახიობით ქებანი ესე, საკითხ. წიგნ. II 58, 3—5;

ჩ ე მ ნ ი ბ რ ა ლ ნ ი მისგან იძიენ ღმერთმან, სიგ. მიჯნაძორ. 94, 30—31; ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მ ე ფ ე ნ ი ჩ უ ე ნ ნ ი დავით და თამარ და ძე მათი გიორგი, სიგ. თამარ მეფისა 9, 4—5.

II ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

განხეთქის ღჳნომან თ ხ ი ე რ ნ ი იგი, მრკ. 2, 22 C; განანათლის სიყუარულმან ბრწყინვალებითა თჳსითა ზ რ ა ხ ვ ა ნ ი თ ჳ ს ნ ი, სვან. მრავალთ. 454, 2—4 b; ვითარცა სახედ გამოსტაცის მწყემსმან პირისაგან ლომისა ო რ ნ ი კ ი რ ნ ი, ამოს 3, 12 O; ხოლო რომელნი-იგი მივიდიან თეატრონსა, რაჲმე იხილიან შ ე ს ხ მ ა ნ ი დ ე ვ თ ა ნ ი და ჴ მ ა ნ ი და ო ხ რ ა ნ ი საეშმაკონი, მრავალთ. 79 r, 5—9 a; ვითარ-იგი შეიდრიყიან მ უ ჯ ლ ნ ი მ ა თ ნ ი სახილველად კაცთა, ლატ. ლექც. 22 r, 1—3 a; ოდეს მყუდროებით იყვნენ და მარტოებით, გამოისახიან ო ც ნ ე ბ ა ნ ი ა რ ა ა რ ს ნ ი, Ath.-32 80 r, 5—6; მ ა თ მ ი ე რ ნ ი იგი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ნ ი საუნჯეთა შინა დაიუნჯიან, იქვე 80 r, 12—14; მისცის მას ჩ უ ე უ ლ ე ბ ა ნ ი კ ე თ ი ლ ნ ი, ეფრ. ასურ. სწაელ. 18 r, 7—8 a; რამეთუ შეურაცხ-ყვის ყოველსა შინა ს ა ნ ა დ ი რ ო ნ ი მ ი ს ნ ი. იქვე 177 v, 12—14 a; გამო-მე-თლიან კ ი ბ ე ნ ი ა ღ ს ა ვ ა ლ ნ ი, Sin.-35 349, 7—8 a; გრძელ-ყვიან ფ ე ს უ ნ ი სამოსლისა მ ა თ ი ს ა ნ ი. ტბ. ოთხთ. 129, 1—3 a; რომელმან აჴოცის ს ი მ რ ა ვ ლ ე ნ ი ც ო დ ვ ა თ ა ნ ი, A-134 163 v, 26—164 r, 1; სიმრავლემან საჴმელთამან განამრავლის დ ა ც ე მ ა ნ ი და გ უ ლ ი ს ს ი ტ ყ უ ა ნ ი ბოროტნი და შეგინებულნი, იქვე 164 v, 5—7, და სხვ.

II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

და ს ც ნ ა თ თქუენ ქ რ ი ს ტ ჱ ს მ ი ე რ ნ ი იგი ყ ო ფ ი ლ ნ ი, სინ. მრავალთ. 247, 26—27; არა-მე დაუტეოსა ო თ ხ მ ე ო ც და ც ხ რ ა მ ე ტ ნ ი იგი მთასა ზედა, მ. 18, 12 C; მაშინ მიგცე თქუენ ჴირსა და მ ო გ წ ყ ჳ დ ნ ე ნ თქუენ, მ. 24, 9 C; ჰრქუა მას პეტრე: არა დ ა მ ბ ა ნ ნ ე ფ ე რ ჴ ნ ი ჩ ე მ ნ ი უკუნისამდე. მიუგო იესუ: თუ არა დაგბანო, არა გაქუნდეს ჩემ თანა ნაწილი, ი. 13, 18 C; შდრ.: დ ა გ ბ ა ნ ნ ე DE: უკუეთუ უდებ-ჰყოთ პ ი რ ვ ე ლ ნ ი ც ა იგი, სვან. მრავალთ. 264, 2—3 a; არა მ ი მ ი შ უ ა ს ჩ უ ე ნ შეერთებად ურთიერთას, იქვე 322, 7—8 a; ვითარ-მე არა შეძრწუნდეს და განჰკრთეს ყოველი სული, რამეთუ იხილოს საფლავთაგან მ კ უ დ ა რ ნ ი ა ღ დ გ ო მ ი ლ ნ ი. Sin.-34 119 r, 19—21; და ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედა, რომელ

არს ბარკალთაჲ, და ღჳძლის ყ უ რ ნ ი იგი თირკუმლითურთ მოჰკადოს, ლევიტ. 3, 10 O: და ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედა, რომელ არს ბარკალთაჲ, და ღ ჳ ძ ლ ი ს ყ უ რ ნ ი იგი ღჳძლისაჲ თირკუმელთა თანა მოჰკუეთოს, იქვე 3, 15 O; შეწიროს ღმრთისა მისთჳს, რომელ ცოდა. ო რ ნ ი გ უ რ ი ტ ნ ი, ანუ ო რ ნ ი მ ა რ თ უ ე ნ ი ტრედისანი. იქვე 5, 7 O: უკუეთუ არა პოვოს ცელმან მისმან წყუილნი გ უ რ ი ტ ნ ი, იქვე 5, 11 O: და შეწიროს მსხუერპლსა მას ზედა ქებისასა პ უ რ ნ ი სამინდოისაგან შ ე ს უ ა რ უ ლ ნ ი, იქვე 7, 2 (12) 1 O; შეწიროს მათ უფალმან ო რ ნ ი შ ვ ი ლ ნ ი, იქვე 7, 2 O; და საჯოს მართალმან, რომელი დაშურა, ც ო ც ხ ა ლ ნ ი უ ღ მ რ თ ო ნ ი, სიბრძნ. სოლომონ. 4, 16 O; და იშენონ სახლები და დაჰნერგონ ე ე ნ ა კ ო ვ ა ნ ნ ი, ეზეკიელ 28, 26 O; შდრ.: დაჰნერგნენ I; რაჲთა შჳამოთ კ ო რ ც ნ ი მ ე ფ ე თ ა ნ ი, H-1346 50 v, 14; და აჩუენოს უფალმან ცხორებისამან გაჳრილ ს ა კ რ ე ე ლ ნ ი ს უ ლ თ ა ნ ი ძალითა თჳსითა, შატბ. კრებ. 96 r, 9—12 a; რომელმან მიეც ძლევაჲ მოწამეთა შენთა, ქრისტე, რაჲთა კადნიერად შეურაცხ-ყონ ურჩულოთა მეფეთა ს ა ტ ა ნ ჯ ვ ე ლ ნ ი, იელ. იადგ. 127 v, 21—22; რაჲთა მოგისპოს შენგან გ ა ნ მ ზ ა დ ე ბ უ ლ ნ ი ცეცხლისა საუკუნოჲსა ტ ა ნ ჯ ვ ა ნ ი, პარხლ. მრავალთ. 231 r, 14—16 b (ჯერ დაუწერია მოგისპოს, შემდეგ კი ო-ს ზემოთ ნე ისე, რომ ო არ წაუშლია); უკუეთუ არა ვიხილო ჴელთა მისთა ს ა ხ ე ნ ი ს ა მ შ ჭ ა ლ თ ა ნ ი. არა მრწმენეს, ათონ. მრავალთ. 132 v, 1—3 a; და განგაშოვრო შენ ს ა ტ ა ნ ჯ ვ ე ლ ნ ი ესე მტკიანნი, ათონ. კრებ. 324 v, 21—22 a; პირველ უკუე მოვაჴსენო პატიოსნებასა თჳუენსა კ უ რ ნ ე ბ ა ნ ი იგი მისნი სენთა ზედა, ათ. ასკეტ. კრებ. 138 v, 10—15 a; ვიდრე აღსასრულამდე ვიღუაწოთ და ვიდრე სიკუდილამდე, რაჲთა არა წარგუტყუენოს, იქვე 346 v, 7—12 a; ვიდრემდის დაჴსნა ს ა ლ მ ო ბ ა ნ ი ჴოჴოხეთისანი, Sin.-35 208, 15—16 b; და რომელმან შეურაცხ-გყოს თ ქ უ ე ნ, მე შეურაცხ-მყო, იქვე 460, 24—25 a; მსგავს არიან ძაღლთა სამზარაულოჲსათა, რომელნი უკუეთუ ვინმე გ ა ნ დ ე ე ვ ნ ე ს, სიტყჳთა ოდენ გ ა ნ დ ე ე ვ ნ ე ბ ი ა ნ, უკუეთუ კულა მიუშუას, განდიდნებიან, A-35 78 v, 20—79 r, 5: რაჲთა უჩუენოს კაცად-კაცადმან თჳსნი იგი ს ა ქ მ ე ნ ი, ისტ. ქრესტ. II 2, 38—39; რაჲთა შჳამოთ კ ო რ ც ნ ი მ ე ფ ე თ ა ნ ი და კ ო რ ც ნ ი ათჳსის თ ა ვ თ ა ნ ი, იოვ. გამოცხად. 19, 18 A; არცა უეამოდ მოწევნამან სიკუდილისამან, არცა სხუათა რათმე ძნელოვანთა საქმეთა შეგუაშფოთოს, Alh.-32 92 v, 25—93 r, 1; ვითარ ყოველი მიიღო და ყ ო ვ ე ლ ნ ი სარგებელისაგან მათისა განაყენო, იქვე 137 r, 15—17; რამეთუ ს ა ჯ მ ა რ ნ ი დაღაცათუ არა გინდეს, აქა დაუტეო, იქვე 137 v, 19—20; ვითარმე წარმოვადგინო წინაშე შენსა ჭ ი რ ნ ი იგი და ღ უ ა წ ლ ნ ი გ ლ ა ხ ა კ ი ს ა ნ ი, იქვე 141 v, 23—24; რაჲთა საცნობელთა ცა ს ა ხ ე ლ ნ ი მისთჳსვე გულისჴმა-ვყოთ, იქვე 177 r, 1—2; მაშინ

შენეს და ასწაოს მათ სიტყუანი იგი სწავლისანი, იქვე 182 r, 3—4; გამოვაჩინოთ, ვითარცა გამოხატვით, სათნოებანი და ახოვნებანი მათნი, იქვე 208 v, 4—6; ვთქუათ ამათთჳს თქუმულნი იგი წმიდათა სიტყუანი, იქვე 228 v, 5; უკუეთუ ოდენ ინებო სუმად, ვითარცა წყაროსაგან მდიდრად აღმომცენარისა, სიტყუანი იგი წმიდათანი, იქვე 228 v, 8—9; განიცადოს ძისა მისისა მუნ აღსრულებულნი იგი ძლიერებანი და სასწაულნი, იქვე 297 v, 16—18; ხოლო მუნ ქმულნი საქმენი და სიტყუანი რომელმანმე გონებამან მოიგონოს, იქვე 306 r, 6—7; არავინ არს, რომელმან დაუტეოს გინა ძმანი, გინა დანი, გინა დედაი, გინა მამაი, გინა ცოლი, გინა შეილნი, ტბ. ოთხთ. 118 r, 19 b—118 v, 4 a; რაჲთა არა მიყონ მართალთაცა უშჯულოებად ჴელნი მათნი, თარგმ. იოვან. გამოცხად. 6, 10 C: მერმე ვიღუაწოთ საქმენიერისანი, A-1103 248 v, 5—6 a: რამეთუ გჳხილნეს თუ მჯურვალედ და მოუწყინებელად მღაღადებელნი ჴმასა მას ვედრებისასა: „უფალო, მიჴსენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით“. არა მიმიშუას დანთქმად ღელეითა მით ცოდვისაჲთა, A-88 20 r, 1—7 a; უკუეთუ იხილოს მეუფემან მან დიდებისამან გონებათა შინა ჩუენთა ესე ევითარნი ხატნი, იქვე 41 r, 15—17 b; ამან საქმემან თქუენცა უმეტესად განგაბრწყინვოს, იქვე 62 r, 10—12 b: რაჲთა შიში ესე შეიძეს ჩუენდა და დაგუაყენოს ღირსთიდღეგთა კაცისკლვათაგან. იქვე 189 r, 27—30 a; არა უწყიან, თუ რომელნი პირველად დაიტირონ ასონი გუამთა მათთანი, A-92 114 r, 14—16; შევწირო შენდა არა ოთფერჴნი, A-135 214 r, 1; სიმძიმისაგან ანგაჰრებისა დაგჯტეოს მოწყალებამან, Jer.-32 149 v, 19—21 b; მკუდარნი თჳსთავე მკუდართა დაჰმარხონ, კლემაქს. 19 v, 1—3; უკუეთუ გამოვეძიებდეთ, ვპოოთ მრავალნი მრისხანენი გულსმოდგინებით აღმასრულებელნი მარხვისა, იქვე 95 r, 4—6; უწყოდე, ვითარმედ, ვითარცა ქსელი დედაზარდლისაჲ, გუიხილო დადნობილი წინაშე შენსა, იქვე 157 v, 2—4; სამნი მთხრებელნი განგჳმზადნიან ჩუენ ეშმაკთა, რამეთუ პირველად გუებრძვიან, რაჲთა დაგუახრწიონ ჩუენ ყოფად კეთილისა, იქვე 176 v, 19—22; ყურთა ისმინონ ღმრთისა მიერ საკჳრველნი, იქვე 213 r, 10—11; A-134 168 v, 26; რაჲთა იხილონ შჯდთა მათ დღეთა პირველად თქუმულნი ეგე სიტყუანი, ეზრა სუთ. 5, 35 I; და ზარმან შეგიბურას თქუენ მისთჳს, ებისტ. 1, 4 I; დაყუდებულისა ყურთა ისმინონ ღმრთისა მიერ საკჳრველნი, A-445 277 r, 21—22; რაჟამს განაჭარჳოს ყოველნი მთავრობანი და ჴელმწიფებანი, იქვე 358 v, 10—11; და მრაველთა მათგან სატანჯველთა გუიჯსნან ჩუენ, A-134 56 v, 5—6; უკუეთუ გამოვეძიებდეთ, ვპოოთ მრავალნი მრისხანენი გულსმოდგინებით აღმასრულებელნი მარხვისა და მღჳძარებისა და დაყუდებისა, იქვე

79 r, 11—13: უწყოდეთ, ვითარმედ, ვითარცა ქსელი დედაზარდლისაჲ, გჳხილო დადნობილი წინაშე შენსა, იქვე 124 r, 9—10; და იტყოდა თავსა შორის თჳსსა, ვითარ-მე ვისწაო მე საღმრთონი წერილნი, იქვე 213 v, 25—26: დაიცვას არა თუ ოდენ პირუტყუნი, ცხორ. სტეფანე ახლ. 33, 27—28 a; და განაბოროტონ ებრაელნი, გელ. ბიბლ. 191 r, 23: გულისჴმა-ჰყო თჳსნი თჳთ ეულისა სახარებისა ადგილნი, ლაჰილ. ოთხთ. 2 r, 22—25 a; იენეშ. ოთხთ. 1 v, 11—14 b; გულისჴმა-ჰყო თჳსნი თითოეულისა სახარებისა ადგილნი, ვან. ოთხთ. 2 r, 22 a—2 r, 2 b.

I თურმეობითი

დიდნი უნასნი უქმნია, ათონ. მრავალთ. 87 v, 2—3 b; რომელთა უქმნიეს საქმენი ბოროტნი, ათ. ასკეტ. კრებ. 202 v, 14—16 b; ტანჯვანი შენნი შემირაცხიენ, ვითარცა ისარნი იგი ჩჩჳლთანი, Sin.-64 185 v, 27—28; მრავალთა კეთილნი საქმენი, რაჟამს საჭირო იყუნენ, ბოროტად შეურაცხიენ, A-135 71 r, 16—17; მათ თავნი თჳსნი გამოუჴუებიეს ნათლისა მისგან ჴეშმარიტისა, იქვე 178 v, 10—12; და არაჲ წყლულებად შემირაცხიეს ღმრთისმსახურებისათჳს მომავალნი იგი სატანჯველნი, იქვე 211 v, 10—12; რომელთა არა გიცნობიეს სიღრმენი ეშმაკისანი, A-397 50 v, 10—11: ჩუენ შორის დანთქმანი იგი ბოროტნი ამას ოდენ უქმნიეს, კლემაქს. 111 v, 8—10; A-134 91 r, 15; ორგულნო, პირი სამე ცისაჲ იცით ცნობად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ გიცნობიეს გულისჴმის-ყოფად, ვან. ოთხთ. 45 r, 16—20 b.

III კავშირებითი

ვიდრეღა მშობელნი მათნი არღა გეპოვნოს, A-35 83 r, 2—3.

• • •

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დასტურდება ე. წ. რიცხვნაკლ ზმნათა ძირეული მორფემების მონაცვლეობის დარღვევათა ფაქტები:

ა) ღ—ხუ:

სწავლაჲ უფლისაჲ განაღებს ყურთა ჩემთა, Ath.-32 169 r, 10; სწავლაჲ უფლისაჲ აღაღებს სასმენელთა ჩემთა, იქვე. 169 r, 23—24; შენ მიერ მოვიღეთ უსრულნი ესე სიტყუანი, იქვე

313 r, 23—24; მან, ვითარცა სახიერმან მამამან, განუღო მას თ ჳ ს ნ ი წ ი ა ღ ნ ი, იქვე 276 r, 2—3; ითხოვ და მიიღე მეგჳპტელთაგან ჰ ურ ჰ ე ლ ნ ი ოქროჲსა და ვეცხლისანი, A-161. 129, 14; რომელმან თქუა, ვითარმედ: „გამოიღენ წყალთა ქ უ ე წ ა რ მ ა ვ ა ლ ნ ი", Ath.-32 232 v, 22—23; შემოიღოს სოფელმან მათთჳს თავისა მიერ თჳსისა ს ი ტ ყ უ ა ნ ი ქებისანი, იქვე 208 v, 23—24; რაჲთა აღვიღო ს ე ლ ნ ი კუალსა მათსა, ესე იგი არს საკარძელი რკინისაჲ, A-397 149 r, 14—15; არა დამაყენებელ არს, რაჲთა სახედ განწმედისა სულისა შემოვიღოთ გ ა ნ მ წ მ ე დ ე ლ ნ ი იგი ნივთიერთა მათ ს ა მ ო ს ე ლ თ ა ნ ი, A-445 265 r, 1—3; კლემაქს. 203 r, 10—12; A-134 160 r, 11—13; Jer.-96 25 r, 9—11; ვითარცა კუერცხი, რომელი დაიმალის სკორესა შინა და გამოიღის მ ა რ თ უ ე ნ ი, A-134 163 r, 12—13; ყ ო ვ ე ლ ნ ი ვ ე ამის მიერ მოგჳღებიან, A-162 168 r, 9 a; უკუეთუ დღესღა მოულებიეს ცოდვისათჳს მათისადა ყოელად დ ა ს ა წ უ ე ვ ე ლ ნ ი მ ა თ ნ ი წინაშე უფლისა, Q-1152 23 r, 8—10.

ბ) დვ—სხ:

რომელნი ღმრთისათჳს თავს-იდებდენ ჰ ი რ თ ა და ს ა ლ მ ო ბ ა თ ა, A-135 199 r, 5—6; შდრ.: და თ ა ვ ს-ე ი ს ხ ა მ ჰ ი რ თ ა ა მ ა თ, იქვე 199 r, 20; ესრეთ აღსასრულადმდე თავს-იდებდეს ყოველთა მათ ა უ რ ა ც ხ ე ლ თ ა და მ ი უ თ ხ რ ო ბ ე ლ თ ა ჰ ი რ თ ა, A-88 66 r, 1—5 b; დადვა მათ ზედა ქ ე ლ ნ ი თ ჳ ს ნ ი, მ. 19, 15 D; ჩუენ არა თავს-ვიდვათ ს ა ქ მ ე ნ ი ე ს ე უ წ ე ს ო ნ ი, იოანე ოქრო̀პ. ცხორ. 15 v, 2—3: მან თჳთ დადვა კ ა ნ ო ნ ნ ი თავსა ზედა თჳსსა გარდასლვისათჳს მცნებათა ღმრთისათა, A-35 115 v, 20—116 r, 2; მიკჳრს. ვითარ თავს-იდვა ზღუამან ბ ო რ ო ტ ნ ი ჩ ე მ ნ ი, Jer.-2 151 r, 31—32.

გ) გდ-სხ:

რამეთუ შთაუგდის გულსა მისსა გ უ ლ ი ს ს ი ტ ყ უ ა ნ ი ს ა ძ ა გ ე ლ ნ ი და შ ე გ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი, ეფრ. ასურ. სწავლ. 41 r, 19 b; 41 v, 3 a; განაგდენ ზ რ უ ნ ვ ა ნ ი, უარ-ყუენ ჴორცნი შენნი, A-445 293 r, 9—10; A-134 179 v, 16—18; განაგდეთ თქუენცა პირველთა გრძელი იგი ს ი ჩ ქ უ რ [ე] ნ ი და ზ ღ ა პ რ ო ბ ა ნ ი, Jer.-37 122 r, 27—29 a.

• • •

შერწყმულ, ან რთულ წინადადებაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვი ითანხმებს ერთ (ზოგჯერ რამდენიმე) შემასმენელს, სხვას არა:

ვითარ იგი შევიდა ტაძრად ღმრთისა და პურნი იგი შესაწირავ.თანი შეჭამნა და სცა (ჰსცა DE) მისთანათაცა, რომელთაჲ არა ჯერ-იყო ჭამად, ლ. 6, 4 CDE; S-405 84 r, 10—14 a; ქსნ. ოთხთ. 32 r. 6—9 b; წყაროსთ. ოთხთ. 72 v, 14—17 a; ნეტარ არს, რომელმან აღმოიკითხნა საღმრთონი წიგნნი და საქმით აღასრულნა და სხუათაცა ასწავა, მამ. სწავლ. 252, 13—14 A; შდრ.: ასწავლნა C; რომელნი ქმნნა და რომელნი გასმიან ყურთა თქუენთა და იხილ҃თ თუალითა თქუენითა, მრავალთ. 93 r, 21—24 b; გამოადინნა სისხლნი თჳსნი და ასუა ჴსნილთა თჳსთა, იქვე 98 r. 11—13 b; არა ხართა შეილნი რაჴელისნი, რომელმან მოპარნა კერპნი მამასა თჳსსა და თქუა, ვითარმედ: „არა ვიპარე“, ეფრ. ასურ. სწავლ. 263 v, 15—20 b; მაშინ გამოიძინნის სიტყუანი და მისცის ენასა, Sin.-35 5, 13—14 a; მოვალს ჟამი და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინნეს სიტყუანი ძისა ღმრთისანი და, რომელთა ისმინონ, ცხონდენ, ურბნ. ოთხთ. 183 v, 4—9 b; შდრ.: რომელთა ისმინნენ DE; რომელნიმე უკუანაჲსკნელისა ჟამისა თქუმულნი პირველ იპოვნეს და ზემოკერძოცა დაიწერნეს, და რომელნიმე პირველისა ჟამისა თქუმულნი უკუანაჲსკნელ იპოვნეს და შემდგომად ადგილსა დაიწერნეს, ხოლო ესრეჳ ყოფილად ჰპოო სხუათა შორის წინაწარმეტყუელთა, A-38 21 v, 17—22 r, 3; რომელსა წერილ იყო ესრჱთ: ვბრძანებთ, რაჲთა შეჲპურნენ ქრისტეანენი და მისცენ სატანჯველსა, Sin.-11 38 r. 11—13; მარიამს დაესხნეს ყოველნი ესე სიტყუანი და დაედვა გულსა თჳსსა, ლ. 2, 19 CDE; ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თჳსსა, სვან. მრავალთ. 209, 8—9 b: ქსნ. ოთხთ. 73 v, 7—9 a; წყაროსთ. ოთხთ. 115 v, 15—17 a; ხოლო მარიამს დაესხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თჳსსა, ოპიზ. ოთხთ. 119 v, 3—6; შდრ.: მარიამს დაემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი და დაესხნეს გულსა შინა თჳსსა, Jer.-22 48 r, 4—6 a; ესევითარნი ესე გამოუთქუმელნი და მიუწთომელნი საკჳრველებანი დაემარხნეს ყოვლად წმიდისა მარიამს, დაედვა გულსა თჳსსა, A-40 68 r, 10—13.

ძველ ქართულში შეინიშნება მერყეობა შერწყმული წინადადების ზმნა-შემასმენლისა და პირდაპირი ობიექტის რიცხვში შეთანხმებისას. აქ ორი რიგის ფაქტებს განვიხილავთ: პირველი, როცა ზმნა-შემასმენელს უკავშირდება მხოლობით რიცხვში დასმული რამდენიმე ობიექტი, ზმნაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ნიშანი ხან არის წარმოდგენილი, ხან — არა:

იხილა სიმონ და ანდრია, ძმაჲ მისი, მრკ. 1, 16 CD; შდრ.: იხილნა E; მეფე და მთავარებისკოპოსი არად შეჰ-

რაცხენ, A-397 210 v, 19—20; აკურთხნა იოსეფ და ქალწული იგი, სინ. მრავალთ. 96, 27.

ამგვარადვე ხან შეთანხმება გვაქვს, ხან — არა, როცა პირდაპირობიექტებიან შერწყმულ წინადადებაში ზმნასთან უახლოესი ობიექტი (ან ობიექტები) მხოლობით რიცხვშია, სხვა კი მრავლობითი რიცხვის ფორმით გვეცნება:

და დაუტევა მამაჲ და დედაჲ, და ძმანი და დანი და ნათესავნი, სვან. მრავალთ. 412, 22—24 b; ვითარცა იხილა ნერსე დედუფალი, დედაჲ თჳსი, და ცოლი, და ძენი თჳსნი, იქვე 414, 23—25 b; თავნი ჩუენნი და ყოველი ცხორებაჲ ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შევჰვედროთ, A-86 37 r, 14—37 v, 2; რაჲთა მოსრან მესამედი კაცთაჲ და რიცხჳ მკედრობათაჲ მათ ცხენთაჲ, ბევრნი ბევრთანი, A-397 29 r, 2—4; რომელმან აღალოს წიგნი და შჳდნი ბეჭედნი მისნი, იქვე, 658 r, 21—22; შდრ.: პირველადვე წარეგზავნეს მას დედაჲ და ცოლი და შვილნი, სვან. მრავალთ. 414, 31 a — 414, 1 b.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება ხედ- // ხედ-ნ-; ღიმ- // ღიმ-ნ-[1] ფორმათა მონაცვლეობა (13, II, გვ. 344—345):

ხედ- // ხედ-ნ-:

შთახხედა და იხილნა, ხანმ. ლექც. 059, 30—31 b; რომელმან მოხედის ჭუეყანასა, სინ. მრავალთ. 52, 28; მაშინ მიხედა სტეფანე ერსა მას, იქვე 60, 38; და მიჰხედა და იხილნა ორნი ცოლნი მისნი, დაბ. 33, 5 O; შდრ.: მოხედნა სიმდაბლესა ზედა მჴეველისა თჳსისა, ლ. 1, 48 C.

ღიმ- // ღიმ-ნ-:

განიღიმა ნეტარმან ანტონი, უდაბნ. მრავალთ. 30 v, 22 b; განიღიმა და ჰრქუა ანტიოქოს და მოყუასთა მისთა, იოანე ოქროპ. ცხორ. 198 r, 14—16; განიღიმა წმიდამან და ჰრქუა, Sin.-62 126 v, 26 b; შდრ.: და ვითარ იხილა იგი ნეტარმან სჳმეონ, განიღიმნა, Ath.-25 19 v, 23—25 b.

მერყეობა შეინიშნება რთულ ზმნაში, რომლის პირველი კომპონენტია წამ, ხოლო მეორე წეერი -ყოფა:

---

[1] შეხედა ზმნა პირდაპირ ობიექტად თუალნი სიტყვას გულისხმობს, განიღიმა ზმნისათვის ალბათ ბაგენი იყარაუდება.

და უფროსმან მან წამ-უყვნა უმრწემესსა მას, ათ. პატერ. 144 v, 16—17; შდრ.: და მეცხრესა ჟამსა დაჰრეკა უფროსმან მან და შემოვიდა უმცირესი იგი და წამ-უყო, იქვე 114 v, 20—22.

ზოგ შემთხვევაში ზმნა რიცხვში უთანხმდება ისეთ პირდაპირ ობიექტს, რომელსაც მსაზღვრელად რიცხვითი სახელი ახლავს:

დავუვენ მის თანა რვა ოდენ დღე, ათ. ასკეტ. კრებ. 78 r, 15—17 b; მაგრამ იქვე გვაქვს: და დავუყავ მის თანა სამდღე, 78 v, 3—4 a.

ასეთივე მდგომარეობაა, როცა მსაზღვრელად გამოყენებული რიცხვითი სახელი საზღვრულის გარეშეა წარმოდგენილი:

და თქუა ღმერთმან: არა წარვწყმიდო, უკუეთუ ვპოვნე მუნ ორმეოცდახუთ, დაბ. 18, 28 O; მაგრამ: და თქუა: არა წარვწყმიდო, ვპოვო თუ მუნ ოცდაათ, იქვე 18, 30 O.

ცოდ-ნ-ა ზმნის უწყვეტელი, ჩვეულებრივ, უთანხმდება პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის ფორმას:

იცოდნა იესუ ზრახვანი მათნი, მ. 9, 4 CDE; იცნოდა იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი, მ. 12, 25 CDE; მაგრამ: იცოდა იესუ ზრახვანი მათნი, წყაროსთ. ოთხთ. 20 r, 12—13 a.

მერყეობა ზოგჯერ ამ მოვლენის საწინააღმდეგო ტენდენციის მოქმედებითაა განპირობებული: ირიბი ობიექტი პირდაპირ ობიექტად გაიგება და მას მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი აფიქსი უჩნდება. წოდება ზმნა, ჩვეულებრივ, ირიბ ობიექტს შეიწყობს. ძველ ქართულშივე ჩანს ტენდენცია ამ ირიბი ობიექტის პირდაპირად გადაქცევისა:

რომლითა **მომიწოდნა** ჩუენ საბანელსა მას მცირედ შობისასა, სინ. მრავალთ. 53, 34; და **მოგვწოდნა** ზეცისა მისსა სასუფეველსა, სვან. მრავალთ. 155, 16—18 a; შვილ ღმრთისა **გვწოდნა** დღეს, იქვე 360, 9 a; კრებულნი სოფლისანი უზეშთაეს სოფლისათა **გვწოდნა** დღეს, იქვე 360, 9 a; კრებულნი სოფლისანი უზეშთაეს სოფლისათა **გვწოდნა** ქრისტემან, იელ. იადგ. 250 v, 17; რომელმან **მომიწოდენ** ჩუენ იქვე 317 v, 18; რომელმან **მომიწოდენ** წმიდასა ამას სქემასა, Sin.-65 179 v, 27; შდრ.: მომიწოდა ჩუენ წმიდამან მარიამ, შეუგინებელმან ქალწულმან, სინ. მრავალთ. 40, 14—15; მომიწოდეს ჩუენ საძოვრად, მოდრ. იადგ. 146 r, 8; რომელმან მოგვწოდე ყოველთა სათნოთა მოქალაქობითა, Sin.-65 179 v, 5—6.

ასევე საყურადღებოა **ხილვა** ზმნა, რომელიც ერთ შემთხვევაში ირიბი ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს:

და ევედრა, ვითარმედ: მოვედ, რაჲთა ვიხილოთ ურთიერთას უწინარეს განსლვისა ჩუენისა ჯორცთაგან, ხოლო ბერი მოვიდა და იხილნეს რაჲ ურთიერთას, განიხარეს ფრიად, A-35 225 r, 16—20.

ყურადღებას აქ ისიც იქცევს, რომ ზმნა ერთსა და იმავე წინადადებაში პირველ შემთხვევაში არ უთანხმდება ობიექტის მრავლობით რიცხვს, მეორედ კი შეთანხმებული ფორმაა წარმოდგენილი.

აღარ განვიხილავთ ისეთ ნიმუშებს, როცა ზმნის ფუძისეულ -ნ-ს უნდა დართოდა პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი -ნ და ორი ნ უნდა გვქონოდა: ქმნნ-, ყვანნ-, კურნნ- . . . , მაგრამ ხშირად ერთია წარმოდგენილი. ძნელი გასარკვევია, ეს ცალი ნ ფუძისეულია, თუ პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამომხატველი (41, გვ. 114—115; 11, გვ. 270).

ბ) სუბიექტი ვერ ითანხმებს ზმნას მრავლობით რიცხვში

ა წ მ ყ ო:

შ ი ნ ა გ ა ნ ნ ი ჩ უ ე ნ ნ ი განახლდების დღითი დღე, ლატ. ლექც. 18 r, 12—13 a; და მისთჳს დაიგდების ა ლ ა გ ნ ი იგი გარჩევისანი, H-622 92 v, 9—10; არქუთ, ვითარმედ: უფალსა უჴმს ე გ ე ნ ი, წყაროსთ. ოთხთ. 46 v, 3—4 a; რაჲსა გ ჳ ჴ მ ს მოწამენი, იქვე 161 v, 19—21 a; იგინი არა ესევითართა ბრძოლათაგან ოდენ, არამედ ჴმისაგანცა ფურცელთა ხეთაჲსა შეშინდების და შეშფოთდებიან, A-35 32 r, 6—9; რამეთუ ც ო დ ვ ა ნ ი, რავდენცა ა ღ ი ა რ ნ ე ს კაცთან, მოაკლდების, მამ. სწავლ. 78, 7—8 C; რომელთა გიპყრიეს უცხონი ეგე ნაჴონებნი, A-92 127 r, 3—4; რომელთამე პ ი რ ე ლ ქ მ ნ ი ლ ნ ი ც ო დ ვ ა ნ ი შემდგომად შენდობისაცა მათისა აჴუს მიზეზად სიმდაბლისა, A-134 134 r, 12—13.

I ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი:

გაჴუნდინ უკუე კეთილად ს ა ჴ ე ნ ი იგი ცხორებისანი, Ath.-32 180 r, 23.

I კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი:

და ესმოდის მას დღესა შინა ყურესა ს ი ტ ყ უ ა ნ ი მის წიგნისანი, ესაია 29, 18 O; შდრ.: და ყურთა შენთა ე ს მ ო დ ი ა ნ ს ი ტ ყ უ ა ნ ი მართლუკუნ მაცთურთა მათ შენ თანა, იქვე 30, 21 O.

წყვეტილი:

მერმე კუალად მეჩუენა მე, ლუკიანეს, სამნი ცხედარნი ოქრომსანი, სინ. მრავალთ. 68, 33—34; სვან. მრავალთ. 142, 28—30 h; ათონ. კრებ. 8 r, 28 a—8 r, 2 b: ნაბაკევისა მისგან ეჩუენა, რომელნი მოსრულ იყვნეს მისა, სვან. მრავალთ. 450, 29—31 b; ხოლო მას ვითარცა ესმა ესე ეთერითარნი სიტყუანი, იქვე 391, 10—11 a; და კუალად მოაკსენდა გლახაკნი და აყუედრა მდიდართა, Sin.-36 62, 3—5 b: ესმა ჰეროდეს მეოთხედ მთავარსა საქმენი იგი, ლ. 9, 7 D; და ესმა საულსა და ყოველსა ისრაჱლსა სიტყუანი იგი უცხოთესლთანი, ლატ. ლექც. 87 v, 13—16 a; ხოლო იოსებს ვითარ ესმა საწყალობელნი. ესე . გულისსიტყუანი, ეფრ. ასურ. სწავლ. 265 v, 9—11 b; შეეწყალა იგინი, წყაროსთ. ოთხთ. 22 r, 1 a; და მიეცა მათ შჯდნი საყჯრნი, A-397 66 v, 13; შეწევნითა ქებისაჲთა იდიდა, რომელნი სიწრფოვებით ვლენან, შატბ. კრებ. 279 r, 18—22 a: ვნებათა, ვითარცა ავაზაკთა ჴელსა, შთავცჳვით და მათგან სასიკუდინედ ვიწყლენით, პარიზ. მარხვ. 236 r, 35—36.

ზმნაში -ნ-ეს ნიშნის ნაცვლად „ნ-ნაკლული“ -ეს არის წარმოდგენილი: ჰესმეს სიტყუანი ესე, რომელსა იტყოდეს, ჰაემ. ტექსტ. 376, 18—19; ესმეს ჩემნი სიტყუანი და უბრძანა ქალაქისა მთავარსა განტეევებაი ჩემი, სვან. მრავალთ. 214, 20—22 b; შეესმეს ვედრებანი შენნი, ოპიზ. ოთხთ. 235, 9—10 b; ვითარცა ესმეს ჰაბუკსა მას სიტყუანი ესე, Sin.-36 362, 29—30 b; ესმეს სიტყუანი იგი მეფისა მიერ თქუმულნი, იქვე 364, 23—25 a; და ვითარცა ესმეს ჰაბუკსა მას სიტყუანი ესე, მამ. სწავლ. 393, 10 A; ვითარცა ესმეს სიტყუანი ესე უფლისანი ნათლისმცემელსა, პარხლ. მრავალთ. 132 v, 24—25 a; ესმეს სიტყუანი ესე, დავითისნი, ლატ. ლექც. 88 v, 16—17 a: მას ესმეს სიტყუანი ესე, იქვე 211 r, 18—19 b; ვითარცა ესმეს ჰაბუკსა მას სიტყუანი ესე, იქვე 297 r, 15—16 a; ხოლო ერსა მას ვითარცა ესმეს სიტყუანი ესე, ათონ. კრებ. 56 v, 8—10 a; პილატეს ვითარცა ესმეს სიტყუანი ესე, H-1831 12 r, 3—4.

II ბრძანებითი:

განმეშორეთ ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი, წყაროსთ. ოთხთ. 17 r, 11—13 a; მონანი ოთჳსთა უფალთა დაემორჩილედ, Sin.-58 229 v, 12—14; ეკრძალეთ უკუე, ვითარ გესმის, Jer.-22 70 r, 19—20 b; ეკრძალეთ და დაიცევენით ანგაჰრებისაგან, იქვე 107 r, 3—4 a.

მრავლობით რიცხვში დასმული სუბიექტი პირველი და მეორე ბრძანებითების III პირში ზმნას ვერ ითანხმებს[1]:

იხარებდინ ცანი და გალობდინ ქუეყანაი, სინ. მრავალთ. 83, 3; სვან. მრავალთ. 381, 1—2 b; **იხარებდინ** ცანი და იშუებდინ ქუეყანაი, უდაბნ. მრავალთ. 96 r, 18—19 a; **იხარებდინ** ცანი და მხიარულ იყავნ ქუეყანაი, გრიგოლ ღმრთისმეტყვ. ჰომილ. 27, 11—13 a; **იხარებდინ** ცანი და **გალობდინ** საფუძველნი ქუეყანისანი, Sin.-20 95 r, 15—16; ქალწულნი **აქებდინ** სულიერსა მის ქორწილისა მოძღუარსა, შესხმ. ათანასესი 510, 12—13; ყოველნი **აქებდინ** და **ადიდებდინ** ღმრთიედიდებულსა მას, იქვე 511, 8—9; მეუდაბნოენი შეასხემდინ ფრთოან-მყოფელსა მათსა, იქვე 510, 14—15; სახედ **გაქუნდინ** ცოცხლებით სიტყუანი იგი, Sin.-58 23 v, 9—10 b; და სიმდაბლით **ჰქონდინ** გულისსიტყუანი თჳსნი, A-35 306 r, 2—4; დ **გაქუნდინ** შენ მარადის წიგნნი საღმრთონი ნაცვალად საყჳრისა, მ.მ. სწავლ. 17, 31—32 C; და ცოლთა ეგრეთვე განუწვალებელად გიყუარდინ ქმარნი თქუენნი, ებისტ. ეგნატე ღმერთშემოსილ. 414 v; 17—19 b: **გიყუარდინ** მტერნი თქუენნი, Sin.-16 18 r, 6—7; პარიზ.. ლექც. 258 v, 28—29 b; 259 r, 6—7 b; შდრ.: გიყუარდედ მტერნი თქუენნი, Sin.-16 173 v, 2; განსცხრებოდენ დღეს ეკლესიაი წარმართთაი და **გალობდინ** შვილნი მისნი, მოდრ. იადგ. 190 r, 10; შეძრწუნდინ ქუეყანაი პირისაგან მისისა და ესრეთ ღაღადებდინ საქმენი უფლისანი, იელ. იადგ. 155 r, 10—11; **გამოვედინ** აწ ბანაკნი ჩუენნი და ბრძოლაი ძლიერი ვყოთ მის თანა, ეფრ. ასურ. სწავლ. 213 v, 1—4 a; **მოაკლდინ** მფრინველნი ცისანი, სოფონია 1, 3 Ქ; შდრ.: მოაკლდედ I; **განეხუენინ** ბრჭენი ცათანი, ისტ. ქრესტ. II 94, 6—7; სიკუდილით **მოკუედინ** ორნივე, Q-1152 61 r, 19—21.

II კავშირებითი:

არა ესრე თქუა, ვითარმედ: „არა **დაეყენონ**“, სინ. მრავალთ. 223, 28: რაჲთა **ესმენ** ყოველთა საქმენი მაგისნი შეგინებულნი, Sin.-46 234 r, 2—3; არღარა **ისმენ** მერმე საქმენი შენნი, ნაუმ 2, 13 O; **ისმენენ** I; რომელნი **მესმას**, ეზეკიელ 35, 13 OI; შდრ.: მესმნეს Ქ; რაჲთა არა **იყოს** ურევანი სოფლივნი ამის ქუეყანისანი დანერგულ მას შინა, H-622 79 r, 14—16; ვერ განიკურნო შენ და ვერცა შვილნი შენნი, ვიდრე არა **შეინდოთ** დედუფლისა მისგან, აგიოგრ.

[1] ეს მოვლენა ბრძანებითი კილოს ძველი ქართულისათვის ნორმად მიჩნეული სისტემის რღვევას უკავშირდება.

ძევლ. I 298, 20—22; ოდეს გუესმას კაცისაგან სიტყუანი ბოროტნი, A-88 123 r, 24—26 a; რომელთაცა სიფიცხლითა გულისაჲთა ისარნი იგი ძლიერისანი სიტყჳერნი არა შეეხოს, A-135 148 r, 17—19.

I თურმეობითი:

მრავალგზის ძასმიეს შენ მიერ მუნ თქმულთა მათ დიდებულთა გალობათა სიტყუანი, Alh.-32 30 v, 6—7; არა გასმიენ სიტყუანი წმიდათა წერილთანი, A-92 272 v, 3—4; არა დაჰვიწყებია საულს უკეთურებანი იგი, I მეფ. 23, 9 I.
ძირეულ მორფემათა რიცხვში მონაცვლეობა აქაც დარღვეულია:

ღ- // ხუ-:

და შენ თანა აღღებულ ცანი და ქუეყანაჲ, A-38 12 v, 3—4; ცანი განღებულ არიან შენდა, Jer.-156 147 v, 9—10; არა გიხილვანა პირნი განღებულნი, Ost.-3 53 v, 14—16 b; იხილენმცა მუნ ძუალნი განშიშულებულნი, გუერდნი განღებულნი, A-88 38 r, 1—3 b.

დგ- // სხ-:

ცხენნი ნუ არა გიდგანა, Sin.-62 44 v, 19—20.
ყურადღებას ის იქცევს, რომ სახელის მრავლობით რიცხვს ვერ ეთანხმება გარდაუვალი (უმთავრესად რელატიური აგებულების მქონე) ზმნები.
გარდამავალ ზმნებთან ეს მოვლენა არ დასტურდება. სუბიექტის მრავლობითი რიცხვი ვერ ითანხმებს ვნებითსა და ორპირიან საშუალი გვარის ფორმებს. როგორც ჩანს, მეტყველისათვის (დამწერისათვის) მრავლობითის სახელობითში დასმული სახელი ასეთ შემთხვევაში გააზრებულია არა სუბიექტად, არამედ ობიექტად (უფალსა უჯმს ეგენი; ეგენი მიჩნეულია ობიექტად). იმის გამო, რომ ამ დროისათვის იშლება პ. ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა, ამ ტიპის სინტაგმებში ობიექტად მიჩნეული სუბიექტის მრავლობითობა აღარ გამოიხატება.
ვნებითი გვარის ზმნები, როგორც ცნობილია, მოქმედებითის შებრუნებულ (კონვერსიაქმნილ) სახეს წარმოადგენენ. ის, რაც პირდაპირი ობიექტია მოქმედებითი გვარის ზმნასთან, ზმნის ვნებით გვარში გადა-

ყვანისას სუბიექტად გადაიქცევა. ამდენად, საკარაუდოა, რომ მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი ობიექტის მრავლობით რიცხვთან შეუთანხმებლობას უშუალო კავშირი აქვს ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტის მრავლობით რიცხვთან შეუთანხმებლობასთან. ჩვენი აზრით, აქ არსებითად ერთი და იგივე მოვლენაა.

-ნ სუფიქსით გამოხატული პირდაპირი ობიექტის მრავლობით რიცხვთან ზმნის შეუთანხმებლობის ფაქტებზე მიუთითებდნენ არნ. ჩიქობავა (41, გვ. 114—115)[1] და ა. კიზირია (21, გვ. 155) ამ მკვლევართა აზრით, ეს „უმართებულო“ ფორმები შემთხვევითი ჩანან (41, გვ. 115). ისინი ძველი ქართულისათვის დამახასიათებლად ვერ ჩაითვლებიან (21, გვ. 155).

ჩვენ მიერ მოხმობილი ფაქტები (საკმაოდ მრავალრიცხოვანი, ამასთან გამორიცხულია შემთხვევითობა) მიუთითებენ, რომ სალიტერატურო ენაში ხდება გარკვეული სინტაქსური წესის მოშლა: -ნ სუფიქსიან მრავლობითში დასმული სახელი ვეღარ აჩენს ზმნაში სათანადო ფიქსს. ეს პროცესი IX საუკუნიდან იჩენს თავს წერილობით ძეგლებში. ამგვარი ნიმუშები პირველად სინურ მრავალთავში დასტურდება, შემდგომში მათი რიცხვი თანდათან მატულობს. საკმაოდ ხშირია სახელთან ზმნის შეუთანხმებლობის შემთხვევები ქართული ენის ისტორიისათვის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებში, როგორიცაა: ადიშის ოთხთავი, შატბერდის კრებული, სვანური მრავალთავი, ათონის მრავალთავი, წყაროსთავის ოთხთავი და სხვ.

ამის მიუხედავად, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმად, რასაკვირველია, უნდა მივიჩნიოთ ზმნის შეთანხმება სახელობითში დასმული სახელის -ნ სუფიქსიან მრავლობით რიცხვთან (სალიტერატურო

---

[1] არნ. ჩიქობავას დასახელებული აქვს 11 ნიმუში, აქედან ექვსი ისეთია, რომ ზმნის ფუძისეულ ნ-ს უნდა დართოდა პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის -ნ და ორი ნ უნდა გეპონოდა, გვაქვს კი ერთი. ამგვარი შემთხვევები არ გამოდგება ამ დარღვევის საილუსტრაციოდ, როგორც თვით არნ. ჩიქობავა მიუთითებს. ორი შემთხვევა: განიმზადეს თავნი მათნი ... უწყეს დაფარულნი ... დამოწმებულია კიმენის I ტომის მიხედვით (კ. კეკელიძის გამოცემა, 1918 წ.), როგორც შესაბამისი ადგილების ხელნაწერებთან შეჯერებამ გამოარკვია, აქ გამომცემლის უნებლიე შეცდომები გვაქვს (უნდა აღინიშნოს, რომ არნ. ჩიქობავა ამგვარ შესაძლებლობასაც ითვალისწინებს). ორი შემთხვევა დამოწმებულია „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებიდან“, რომელიც დართულია ათონის 1074 წლის კრებულის მ. ჯანაშვილისეულ გამოცემაზე. ამ თხზულების ტექსტი დაბეჭდილია A-17C-ის (XVIII ს.) მიხედვით. შესაბამის ადგილებში მართლაც გვაქვს დარღვევა (პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, ზმნაში ნიშანს ვერ აჩენს), მაგრამ XVIII საუკუნის ხელნაწერის ჩვენება ვერ გამოგვადგება ძველი ქართული ენის ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობისას. ერთადერთი უდავო მაგალითი, რომელსაც არნ. ჩიქობავა ამ დარღვევათა საილუსტრაციოდ იმოწმებს, ადიშის ოთხთავიდანაა: განხეთქის ღმრთმან თხიერნი იგი.

ენაში შეთანხმებულ და შეუთანხმებელ ფორმათა სიხშირული ანალიზი არ ჩაგვიტარებია. ყველასათვის, ვინც ძველ სალიტერატურო ენას იცნობს, აშკარაა, რომ შეთანხმების შემთხვევები გაცილებით, რამდენიმე ათასჯერ სჭარბობენ დარღვევებს. ალბათ ამით აიხსნება, რომ ამ დარღვევათა ორიოდე ნიმუშს, რაც ადრე იყო გამოვლენილი, გამონაკლისებად თვლიდნენ). ამ შემთხვევაში, ისე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, სალიტერატურო ენის ნორმა განსხვავდება ენის ნორმისაგან. იმ დიალექტებში, რომელთაც IX—XI საუკუნეთა სალიტერატურო ენაში პოვეს ასახვა, პირდაპირი ობიექტის (გარკვეულ შემთხვევაში აგრეთვე — სუბიექტის) მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღარ აღინიშნებოდა. სალიტერატურო ენა რომ შემთხვევათა უმრავლესობაში „სწორ" ფორმებს გამოავლენს, იმით აიხსნება, რომ მწერლები (გადამწერები) ცდილობენ, რაც შეიძლება ზედმიწევნით დაიცვან ძველი ქართული ენის უკვე მკვდარი ნორმები, წერონ „სწორად". ბუნებრივია, სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების დაცილების გამო მწერალთა (გადამწერთა) სურვილის წინააღმდეგ სალიტერატურო ენაში სიჭრელემ იჩინა თავი.

• • •

ძველ ქართულში -ებ სუფიქსიანი მრავლობითი შედარებით იშვიათი იყო. ამასთან, როგორც წესი, -ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმული სახელი (პირდაპირი ობიექტი, ან სუბიექტი) ვერ ითანხმებდა ზმნას მრავლობით რიცხვში:

უერ **დახასრულოთ ქალაქები** ისრაჱლისაჲ, უძვ. ქართ. ხელნაწ. 336, 12—14; და **მოიღო ტყავები**, იქვე 364, 15—16; **აღვიღოთ რტოები** ზეთის ხილისაჲ, ხანმ. მრავალთ. 134, 12—13 b; რომელსა საყოფელად **ჰაქუნდავე საფლავები**, ჰაემ. ტექსტ. 375, 6—7.

ამასთან, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში თავს იჩენს -ებ სუფიქსიან მრავლობითთან ზმნის შეთანხმების შემთხვევები (20, გვ. 37; 11, გვ. 305—309; შდრ.: 49, გვ. 55; 40, გვ. 200). აქ მოვიხმობთ დამატებით მასალას:

ა) ჰურიათა **ყრმებმან** ვითარცა **ისმინეს** წინასწარმეტყუელისა სიტყჳაჲ ჯორციელად მოსლვისათჳს უფლისა, მეყსეულად **მოჰკლვიდეს** მას, ათონ. მრავალთ. 23 r, 28—31 b; და **ქალსახლისები** ამის ქალაქისაჲ **გამოვიდენ** და **მოვიდენ** მერწყულთა თანა ამის ქალაქისათა და იყოს ქალწული ერთი, პარიზ. ლექც. 23 r, 2—4 a; **შეკრბეს** უცხოთესლთა **ბანაკები** ბრძოლად ისრაჱლისა, იქვე 25 v, 32 a—25 v, 1 b.

ბ) და **იხილნეთ ყანები**, ოპიზ. ოთხთ. 202 r, 5 b; და შენ **შეჰმუსრენ თავები** ვეშაპისაჲ, პარაკლიტ. 53 r, 13; და დადგეს კიდობა-

ნი იგი ურემსა მას ზედა და საგურკველები იგი ოქროჲსა და თაგუები დაუსხნეს გურდით (!) კერძო კიდობნისა, კალ. ლექც. 21, 12—16 b; უფალმან ჩუენმან აკურთხნა ყრმები იგი, ათონ. მრავალთ. 248 r, 3—4 b; გამოირჩიენით და განყენით გოდლები მისი, შატბ. კრებ. 275 r, 3—4 b; და უკუეთუ კუალად არა აკურთხნის წმიდამან სჳმეონ კუერთხები იგი, Sin.-46 59 v, 12—14; შეცვალნის მეგჳპტელთა კუერთხები, Ath.-32 284 v, 2—3; რაჟამს მისცნის ქალაქები კელთა მათთა, თარგმ. შობ. 245, 1; და განასხნა სულები იგი სიტყჳთა, წყაროსთ. ოთხთ. 18 v, 11—12 a; რაჲთა მოვლნეს სენაკები ძმათაჲ, A-35 296 r, 2—3; ამათ საშაბათოთა ყოველთა გალობები სრულიად ქუემოთ ხოლო ჰპოვნე, უკუნაჲ ვპოვენ და მუნ ჩაჩხრიკენ, ლაიპც. საგალ. 3 r; აღდგა და დაწერნა კედელსა ზედა სახლისა მისისასა სახელები დიდთა და მაღალთა სათნოებათაჲ, კლემაქს. 169 r, 4—7; და ბრძანა მეფემან, რაჲთა განკუეთონ ქუეყანაჲ და მას შინა შთაყარნენ გუამები იგი კაცებისაჲ მის, Sin.-11 292 r, 18—20; და სახლები სავსჱ ყოვლითა კეთილითა, რომელ შენ არა აღავსენ, პარიზ. ლექც. 52 r, 17—19 b.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მოქმედებდა ორი ურთიერთგამომრიცხაჲი სინტაქსური წესი: -ნ სუფიქსიან მრავლობითში დასმული სახელი ითანხმებდა ზმნას, ხოლო -ებ სუფიქსიან მრავლობით რიცხვს ზმნის შეთანხმება არ შეეძლო.

ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში თავს იჩენს ორი ტენდენცია: პირველი, -ნ სუფიქსიან მრავლობითში მდგარი სახელი ზმნაში სათანადო აფიქსს ველარ აჩენს; მეორე, -ებ ნიშნიანი მრავლობითი იშვიათად, მაგრამ მაინც, ითანხმებს ზმნას რიცხვში. ამასთან პირველი ტენდენციის ამსახველი ფაქტები სჭარბობენ მეორე მოვლენის ამსახველთ. ვვარაუდობთ, რომ -ნ სუფიქსიან სახელებთან ზმნის შეუთანხმებლობის შემთხვევები შედეგია -ებ სუფიქსიანი სახელების ზმნასთან შეუთანხმებლობის ზეგავლენისა, ისე როგორც -ებ-იან სახელებთან ზმნის შეთანხმების ტენდენციის ჩანასახი წარმოადგენს -ნ სუფიქსიან სახელებთან დაკავშირებული სინტაქსური წესის ზეგავლენის შედეგს. ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციის ბრძოლა გარკვეული გამოვლინებაა სახელის მრავლობითი რიცხვის -ებ // -ნ მორფემათა მეტოქეობისა, რაც, როგორც ცნობილია, -ებ ნიშნის გაბატონებით დამთავრდა. ამასთან, -ნ სუფიქსიანი სახელის ზმნასთან შეთანხმების არქაული წესი უკვალოდ არ გამქრალა: -ებ სუფიქსმა შეიძინა უნარი, ზმნაში სუბიექტის მრავლობითობა აღნიშნოს.

რით უნდა აიხსნას ის ერთი შეხედვით პარადოქსული ფაქტი, რომ ენაში გაიმარჯვა ტენდენციამ, რომლის ამსახველი შემთხვევები ძველ წე-

რილობით ძეგლებში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საპირისპირო მოვლენისა? როგორც ჩანს, ცოცხალ მეტყველებაში -ებ ნიშნიანი მრავლობითი გაცილებით სჭარბობდა -ნ სუფიქსიანს. სწორედ ეს უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ -ებ სუფიქსი გაბატონდა, ერთი მხრივ, სახელებში, ხოლო, მეორე მხრივ, მასთან დაკავშირებული სინტაქსური წესის ზეგავლენით ჯერ შესუსტდა -ნ სუფიქსიანი სახელის სინტაქსური ძალა, ხოლო შემდგომ შეთანხმება სრულიად მოიშალა.

4. ერთი სინტაქსური მოვლენის ისტორიისათვის

ძველ ქართულ სამწერლობო ენაში II და III პირებში ირიბ ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვი ზმნაში არ გამოიხატებოდა:

გუავს შენ შვილი — გუავს თქუენ შვილი;

ჰყავს მას შვილი — ჰყავს მათ შვილი.

ასეთივე მდგომარეობაა გარდამავალ ზმნათა III სერიის ინვერსიულ ფორმებში:

შენ აღგიშენებიეს სახლი — თქუენ აღგიშენებიეს სახლი;

მას აღუშენებიეს სახლი — მათ აღუშენებიეს სახლი.

როგორც ვხედავთ, ამგვარი ზმნების მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები ძველ ქართულში იდენტურია. მათი გარჩევა ხდება პირის ნაცვალსახელთა საშუალებით (ამითაცაა შეპირობებული ის, რომ პირის ნაცვალსახელთა ხმარების სიხშირე ძველ ქართულში გაცილებით მაღალია, ვიდრე თანამედროვე ქართულში), ან კონტექსტის მიხედვით.

ქართული ენის ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მოქმედებდა მიცემითში დასმული ირიბ ობიექტთან და ქვემდებარესთან ზმნის რიცხვში შეთანხმების ტენდენცია. ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზე ეს ტენდენცია აშკარად გამოვლინდება. ერთი მხრივ, ძეგლებში გვაქვს რიცხვის -ან სუფიქსი ირიბი ობიექტისა და ქვემდებარის მრავლობითი რიცხვის ნიშნად; მეორე მხრივ, უე ნაწილაკი, რომელიც ამავე ფუნქციით იხმარება. ეფიქრობით, ეს არის ასახვა ორი სხვადასხვა დიალექტური ნაკადისა, რაც მკვეთრად იგრძნობა ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზე.

განვიხილოთ ეს მოვლენა უფრო დაწვრილებით.

სხვა ქართველურ ენებში ასეთი ვითარებაა: ჭანურსა და მეგრულში ირიბი ობიექტის მრავლობითი რიცხვი სამივე პირში გამოიხატება სუბიექტის III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნებით. არნ. ჩიქობავა ამის შესახებ წერს: „ობიექტთა მრავლობითობის აღნიშვნა ქართულსა და ჭანურ-მეგრულში არსებითად განსხვავდება პირველ პირში: ქართული აქ პრეფიქსს იყენებს (გვ- გვ-აქვს, გვ-ყავს, გვ-ახსოვს), ჭანურსა და მეგრულში აქაც სუფიქსებია გამოყენებული ისევე, როგორც მეორე და მე-

სამე პირში. ამ მხრივ ქართულში პირველი პირის წარმოება განმარტოებით დგას: მეორესა და მესამე პირში აქაც სუფიქსებია.

მეორესა და მესამე პირში ქართული და ჰანურ-მეგრული განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ მრავლობითობის აღსანიშნავად ქართული იყენებს სუბიექტის პირველი და მეორე პირის მრავლობითობის სუფიქსს -თ, ჰანურ-მეგრული კი — მესამე პირისას, და, რადგანაც მესამე პირის მრავლობითობა ხან -ეს სუფიქსით გადმოიცემა და ხან -ან სუფიქსით, ამიტომ ქართულის ერთი, -თ სუფიქსის აღგილას აქ ორი — -ეს და -ან სუფიქსია გამოყენებული, თუმცა ზოგჯერ -თ სუფიქსიც შეიძლება იქნეს გამოყენებული" (42, გვ. 101—102).

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა სვანურში, სადაც „თუ სუბიექტის III პირი მხოლობით რიცხვშია და ობიექტის II პირი მრავლ. რიცხვში, მაშინ უკანასკნელის (სგაჲ=თქვენ) მრავლობითობა ყოველთვის -ხ სუფიქსით არის გამოხატული: ეჯა ჯ-აჰუდი-ხ სგაჲ=იგი გაძლევს-თ თქვენ. ბალსზემოური: ეჯნგშ ჯ-ჰჭუ-ხ სგაჲ=იმან გ-ითხრა-თ თქვენ" (9, გვ. 24); ან კიდევ „მიცემით ბრუნვაში დაყენებული ობიექტის III პირის (ეჯიჯრს=მათ) მრავლობითობა ისეთ რელატიურ-გარდაუვალ ზმნებშია -ხ ბოლოსართით აღნიშნული, სადაც ენის თვალსაზრისით ობიექტი სინამდვილეში, რეალურად, სუბიექტია, მაგ.: ეჯიჯრს ხ-აყა-ხ ეჯა=იმათ ჰყავს-თ იგი, ეჯიჯრს ხ-ორი-ხ ეჯა=იმათ ჰყავთ იგი" (9, გვ. 24).

როგორც ვხედავთ, სვანურ ზმნაში II და III ირიბი ობიექტური პირების მრავლობითი რიცხვი III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -ხ ნიშნით გამოიხატება.

ზოგ დასავლურ ქართულ დიალექტში (გურული (26, გვ. 62); ქვემოიმერული (45, გვ. 159); აჭარული (25, გვ. 42); მესხური (45, გვ. 151) ირიბი ობიექტური პირის მრავლობითობა III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის სუფიქსით აღინიშნება:

ჩ ვ ე ნ გვაქვენ იგი
თ ქ ვ ე ნ გაქვენ იგი
ი გ ე ნ ს აქვენ იგი

ეს მოვლენა გვხვდება იმერეთისა და გურიის საისტორიო საბუთებშიც (45, გვ. 52). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ დიალექტებში ეს ვითარება მეგრულ-ჰანურის (ზანურის) გავლენით აიხსნება (42, გვ. 102). ასევე ხსნიან სვანურ ზმნათა -ხ სუფიქსს II და III ირიბი ობიექტური პირების მრავლობითის ფორმებში (42, გვ. 102).

ზემოთ ნათქვამი ცხადყოფს, რომ მეგრულ-ჰანურში, სვანურსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში არსებითად ერთი და იგივე გრამატიკული მოვლენა იჩენს თავს. საერთო ტენდენციები ამ ენობრივ

ერთეულებში სხვა შემთხვევებიც შეინიშნება და არაერთგზის განხილულა სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, შ. ძიძიგური და სხვ.).

თითქოს შესაძლებელია, დადგინდეს ე. წ. „ქვემო თარიღი" ჩვენთვის საინტერესო მოვლენისათვის. ამაში გვეხმარება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავში დაცული XI საუკუნის ერთი ხელნაწერი (Jer.-73). იგი შეიცავს ჰომილიებს. ეს ჰომილიები მიეწერება მაკარი მეგვიპტელს. იგი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ხელნაწერია, რომელიც ჩვენთვის საინტერესო გრამატიკული მოვლენის ამსახველ ნიმუშებს გამოავლენს:

რომელნი-იგი არიან გლახაკ სულითა და შემუსრვილ გულითა და **ჰშიან** და **სწყურიან** მარადის სიმართლისათჳს და **სურიან** სრულისა მის პატივისათჳს, ფსევდომაკარ. 172, 29—31 BD (B-Jer.-73); ეეედრებიან მას დღე და ღამე და **სურიან** მისა მიმართ და მას ეძიებენ (60 v, 11—12).

სურის მას იგი — სურიან მათ იგი, — ნაცვლად ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი ფორმისა: სურის მათ იგი.

სხვა ადგილას ამავე ხელნაწერში იგივე ზმნა გვხვდება ანალოგიური ფორმით:

ამისჯჳსცა სიყუარულითა მით ზეცისა მეუფისა ქრისტესთჳს **სურიან** და იგი ოდენ არს მარადის წინაშე თუალთა მათთა (81 r, 20—22).

ცხადია, **სურიან მათ იგი** გულისხმობს **გსურიან თქუენ იგი** და მისთანა ფორმათა არსებობას. ამგვარ ფორმათა არსებობიდან კი ბუნებრივად გამომდინარეობს დაშვება **უყოფიან** (მათ იგი) ტიპის ფორმებისა (ე. ი. როცა გარდამავალი ზმნის სუბიექტი ზმნას რიცხვში ითანხმებს ინვერსიის დროს). საინტერესოა, რომ Jer.-73 ხელნაწერი ამ ვარაუდს ადასტურებს:

ესენი არიან ჴეშმარიტად ბრძენნი და ძლიერნი და პატიოსანნი და მდიდარნი და დიდებულნი, ამათ **მოუგიან** დიდებულებაჲ იგი სულისაჲ და შერაცხილ არიან შესაკრებელსა მას თანა ზეცისასა (126 v, 26—127 r, 3).

მოუგიან მათ იგი ზუსტ პარალელს პოულობს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: **მოუგიენ იგენს** იგი.

Jer.-73 თავისი ენობრივი თავისებურებებით ძალზე უახლოვდება იმ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებს, რომლებიც სამხრეთ-დასავლური ქართული მეტყველებისათვის დამახასიათებელ დიალექტიზმებს გამოავლენენ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ არეალში მეგრულ-ჭანური მეტყველებაც იყო გავრცელებული. ამას მოწმობს ტოპონიმი **არტაანუჯი** < **არტაანიშუჯი** „არტაანის ყურე", როგორც ამაზე მიუთითა ა. შანიძემ (37, გვ. 225—233). აგრეთვე საინტერესოა X—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში დადასტურებული მეგრულ-ჭანური ლექსიკური ერთეულები: **ფუცხუ** „ფრჩხილი" (30, გვ. 505—507) და საკუთარი სა-

ხელი ჰიტა<ჰუტა (29, გვ. 225—226). დაისმის საკითხი მეგრულ-ჭანურისა და ძველი ქართული სამწერლობო ენის ურთიერთმიმართების შესახებ. თუმცა, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება ამ მოვლენის წარმოშობა ცალკეულ ქართველურ ენებში მათი შინაგანი განვითარების შედეგად (8, გვ. 113—121). მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს მოვლენა მესხურ დიალექტსაც ახასიათებს, სადაც ზანურის გავლენის დაშვება გაჭირდებოდა. ვ. თოფურია წერს: „ქართველურ ენებში ამ მოვლენის წარმოჩენას საერთო საფუძველი აქვს, ოღონდ გამოხატვის საშუალება სხვადასხვაა. საერთო საფუძველი ისაა, რომ, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ენაში მოხდა გარდატეხა და გრამატიკული ობიექტი რეალურ სუბიექტად იქნა გაგებული და სუბიექტმა კი მისთვის შესაფერი მრავლობით რიცხვში შეთანხმების სინტაქსური ძალა შეიძინა“ (10, გვ. 452—453). საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად დამატებითი კვლევა-ძიებაა საჭირო. მაგრამ, ვფიქრობთ, XI საუკუნის ხელნაწერში ამ ძალზე საყურადღებო გრამატიკული მოვლენის დადასტურება თავისთავად საინტერესოა.

ჯერ კიდევ ჰ. შუხართმა მიუთითა, რომ უე ნაწილაკი საშუალ ქართულში დასტურდება (54). არნ. ჩიქობავამ აღნიშნა, რომ უე ნაწილაკი გვხვდება დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებულ სიგელში, დავით ნარინის სიგელში, ნერსე მთავარეპისკოპოსის წინასწარმეტყველებაში, „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანში“ (56, გვ. 60). კ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია უე ნაწილაკის სიხშირეს A-52 ხელნაწერში (17, გვ. 317), ხოლო არნ. ჩიქობავას აღნუსხული აქვს ამ ძეგლში უე ნაწილაკის ხმარების შემთხვევები (43, გვ. 63—64). უე გვაქვს გელათის ბიბლიაში (44, გვ. 287), Jer.-22-ში (29, გვ. 26).

უე ‖ კე ნაწილაკი გვხვდება ქართული ენის დიალექტებში (მთიულურში, მოხეურში, კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, რაჭულში, ლეჩხუმურში, იმერულში...) (4, გვ. 34—35; 45, გვ. 157—158; გვ. 187). ძალიან საინტერესოა, რომ უე იმერეთის საისტორიო საბუთებში დასტურდება, როგორც ეს შ. ძიძიგურმა აღნიშნა (45, გვ. 52).

უე ნაწილაკი ქართულ დიალექტთა უმრავლესობაში გამოხატავს ირ. ობიექტის მრავლობითობას: ჰყავს-უე, აქვს-უე, ვუთხარი-უე და სხვა (2. გვ. 54). უე შედარებით იშვიათად აღნიშნავს პირდ. დამატებას. იხმარება იგი სხვა ფუნქციებით, ზოგჯერ უფუნქციოდაც (43, გვ. 39 და შმდგ., 45, გვ. 157—158).

ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზე უე ნაწილაკი იხმარება:

ა) ირიბი ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად:

რაჲსათჳს მოხუედით ჩემდა; მო, აწ ოდეს გიჴმუე მე, გელ. ბიბლ. 276 v, 16—19; ვერ ძალ-გიცუე წინადადგომაჲ წინაშე მტერთა თქუენთა, იქვე 322 v, 25—26; რაჲ უკუე გნებავსუე, Jer.-22 25 r, 20 b, და სხვა.

ბ) ბალიან იშვიათად მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელად:

ესოდენი შიში **დაგიპყრობსუე** თქუენ, A-52 123 r,31; ნუ **იტჳრთავთუე** ბალანტებსა. Jer.-22 83 v, 11—12.

გ) ძალზე იშვიათად მიცემითში დასმული სუბიექტის მრავლობითობის მაჩვენებლად:

პეშმარიტებაჲ ეტყჳს: საღმრთოთა აღთქუმათაჲ ქველისმოქმედებათაგან **გისწავიესუე**, გელ. ბიბლ. 343 v, 9—14 (კომენტ.), უკუეთუმცა ყოველგან მდაბალნი მაღალთადა შეეთხზნეს, რაჲმცა არა **ექმნაუე**, A-52 38 r, 11—12.

დ) უფუნქციოდ (იგი მრავლობით რიცხვს არ გამოხატავს):

ეგრეთ ამათცა მშჳდობასა მისცემს ბრძოლისათჳს, რომელი მათდა მიმართ **აქუნდაუე**, A-52 146 r, 10—11; **აქუნდაუე** (მას იგი).

ეს დიალექტური მოვლენა (40, გვ. 563—564) თანდათან იდევნება სამწერლობო ენიდან, ისევე როგორც -ან სუფიქსი მიცემითში დასმული სახელის (ირიბი ობიექტის, ან სუბიექტის) მრავლობითის ფუნქციით.

XI საუკუნიდან გეხვდება თ (ს-თ) სუფიქსი (შდრ. 33, გვ. 225—231):

რაჲთა ერთი **მიგიტეოთ** თქუენ პასექსა ამას, Ath.-16 379 v, 27; ამას რაჲ გეტყოდე თქუენ... არა თუ არცებნისათჳს **გითხრობდით**, არამედ რამეთუ თქუენ თანა ვიყავ, Jer.-32 137 r, 24—28 b.

ეს მოვლენა აისახა საბასეულ ბიბლიაში: **შეეშინათ** ფრიად, I მეფ. 7, 7; წ ა რ ე ტ ყ უ უ ე ნ ა თ დედა-წული, I მეფ. 30, 1; არა **მოესრათ** მამაცნი და დიაცნი, არამედ წარეტყუენათ, I მეფ. 30, 1; რომელიცა წარეღოთ მათგან, I მეფ. 30, 19, და სხვა.

როგორც დავინახეთ, უკვე XI საუკუნიდან ჩნდება მისწრაფება, ზმნაში აისახოს მიცემითში დასმული დამატებისა და ქვემდებარის მრავლობითობა. -ან და -ყე ამ ფუნქციით ორი სხვადასხვა დიალექტური გარემოდან არის შესული XI—XV საუკუნეთა ქართულში. უკვე XI საუკუნიდან -თ სუფიქსი გამოჩნდება დამატების, ან ქვემდებარის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელად და თანდათანობით ბატონდება.

5. სუბიექტი მოთხრობით გრუნვაში ზოგ გარდაუვალ ზმნასთან

ცნობილია, რომ ქართულში სუბიექტი (ქვემდებარე) მოთხრობით გრუნვაშია მოქმედებითი გვარისა და მედიო-აქტიური (საშუალ-მოქმედებითი) ზმნების II სერიის ფორმებთან: კაცმა გ ა ა კ ე თ ა; კაცმა ი ა რ ა.

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (აჭარული, გურული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული) სუბიექტი (ქვემდებარე) მოთხრობითში შეიძლება იყოს ვნებითი გვარისა და მედიო-პასიურ ზმნათა II სერიის ფორმებთანაც: კაცმა დ ე ი მ ა ლ ა, მ ო კ ტ ა; მ ე ვ ი დ ა, დ ა წ ვ ა... ამ მოვლენას ზანურის ზეგავლენით ხსნიან ხოლმე (50, გვ. XV; 42, გვ. 106; 55, გვ. 20);

ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში შემჩნეულია ისეთი შემთხვევები, როცა ვნებითი (ან მედიო-პასიური) ზმნა სუბიექტს მოითხოვს მოთხრობითში. ეს მაშინ ხდება ხოლმე, როცა ამგვარ ზმნას გარდამავალი ზმნა მოსდევს (8, გვ. 113—121): ა დ გ ა კ ა ც მ ა და მ ო კ ლ ა დათვი.

ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა სუბიექტი (ქვემდებარე) მოთხრობითშია ვნებითი გვარის (ან მედიო-პასიურ) ზმნასთან ისე, რომ მას რომელიმე გარდამავალი ზმნა არ მოსდევს:

ქახური:

ისე უნდა დაიდგას, რო წვიმამ შიგ არ ჩ ა უ ვ ი დ ე ს და არ აჯეჯილდეს (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961; 185, 16—17). ხელმწიფემაც დ ა ი თ ა ნ ხ მ დ ა (შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია, 1956; 62, 30—31).

ფერეიდნული:

თავის სახლჩი ღამით რო არ წავიდა, თავის ქულფათმა (=ოჯახმა) ა ვ ე რ ი ა ვ დ ე ს და წამოვიდეს საძებარზე, ქართ. დიალექტ. I 259, 12—13; ემამაც ა დ გ ა და წავიდა თაჯერის სარვახტზე (ახირ აიბაბი ყოფილიყო), ჰაყი ჰქონდა ემის კისერზე, იქვე 265, 36—37; ემ ნასირამაც იმ წელს ზამთარში ჩ ა ვ ი დ ა ქომო ახორას, რო ქომო მარტყოფი იყოს, შ. ძიძ. 106, 3—5; იმის შვილებმა გ ა ჯ დ ე ს სუნივ ხანები, იქვე 106, 13.

ქართლური:

მ ი ვ ი დ ა დამა იმ ავლიხესთან და ღრღნის კბილითა და უნდა ის ძმა შეჭამოს, ქართ. დიალექტ. I 287, 10; უფროსმა ძმამ, რომელსაც პატარა შვილები ბევრი ჰყავდა, ძალიან გ ა ღ ა რ ი ბ დ ა, იქვე 317, 32;

კაცმა დაიბანა პირი, თვალი და კაცმა გასაღდა, იქვე 319, 30—31; ღილით ცოლმა1 ადგა სიხარულითა, იქვე 231, 13; მანამ მტერი მოვიდოდა, ბიჭმა ცხენზედ შეემზადა საომრათა, იქვე 323, 17.

რამდენიმე ამგვარი მაგალითი ძველ ქართულშიც გვხვდება:

რომელმან განურისხნეს ძმასა თჳსსა ცუდად, პ. 5, 22 C; **ღმერთმან შეეწიენ** ორთაჲე ცხორებათა, ოშკ. წარწ. 958—961 წწ.; ვინაცა ჩუენცა მოვიყსენებთ, **მღდელმან მოდრკეს** ქუე საკურთხეველისა წინაშე, ძვ. ქართ. ლიტურგ. 88, 15—16; უკუეთუ ესრეთ ვისმენდეთ, **წარმიძღუეს** ჩუენ **მადლმან სულისა წმიდისამან**, Jer.-12 12 v. 4—5; აწ **გამოვიდეს** სოდომელთ **მეფემან** და ადამელთ მეფემან და სებოიმელთ **მეფემან**, ბარაკ, სეგორელთ **მეფემან**, განეწყუენეს და განემზადნეს ბრძოლად მათ მეფეთა ჴელსა მას ადაოცთასა. პარიზ. ლექც. დაბ. 14, 8 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნ. მელიქიშვილმა); მამამან **იოანე მოკლემან** სიტყჳსაებრ მისისა ეევდრა ღმერთსა, პეტერიკი 90, 10—11; ვინაჲთგან არა **დასცხრა** პირველითგან **მომპოვნებელმან მან უკეთურებისამან** ბრძოლად ნათესავსა კაცთასა, კიმ. I 98, 34—35 (1030 წ. ხელნაწ.); მაშინ **სოფლიონმან** მან უწყალოდ **შეკრულმან წარუძღუა** ცალას და მისთანათა მონასტრად, დიალოღ. 32 r, 11—15 b; გამოირჩიე ტარიგი წმიდაჲ, **რომელმან წარუძღუეს** ყოველსა მას სამწყსოსა, A-1103 281 v, 4—6; **მადლმან სულისა წმიდისამან მოგიძღუა**, A-1104 49 r, 3—4.

ი. იმნაიშვილმა მიუთითა ამგვარი დარღვევის ერთი შემთხვევის შესახებ: **მანვე** მეოტი რისხვისაგან ძმისა მართალი **წარმოუძღუა** (11, გვ. 684).

ა. შანიძემ აღნიშნა ანალოგიური მოვლენა იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ტექსტში:

. გარდამოჴდეს **მღდელმან** აღსავალსა საკურთხეველისასა (თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 19, თბ., 1976, გვ. 195).

ე. გიუნაშვილმა მიგვაქცევინა ყურადღება, რომ ერთი ამგვარი შემთხვევა შატბერდის კრებულშიც არის. „სახის სიტყუაჲ"-ს ტექსტში გვაქვს: რაჟამს ჯინჭველ-ლომმან **გამოჴდის**, 115 r, 23—24.

იმის გამო, რომ ამგვარი კონსტრუქცია შეუძლებლად მიაჩნია, ი. იმნაიშვილი ტექსტს ასწორებს: **გამოჴადის** (13, გვ. 240) სომხურ ტექსტშიც ზმნა პასივშია: *ծնանիցի* ნ. მარი კი ამ ადგილის რუსული თარგმანის შესახებ შენიშნავდა: В переводе 4—5 грузинского разночтения я восполняю несомненный пробел (когда рождает, то щенок), иначе получилась бы синтаксическая неправильность ჯინჭველლომმან გამოჴდის вм. ჯინჭველლომი გამოჴდის" (54, გვ. 108).

აღმოსავლურ დიალექტთა და ძველი ქართულის ამ მონაცემთა ზანურის ზეგავლენით ახსნა გაჭირდებოდა. ხომ არ არის შესაძლებელი ვი-

ფიქროთ, რომ სუბიექტის მოთხრობითში დასმა ენებითი და საშუალი გვარის ზოგ ზმნასთან თვით ამ ზმნათა სემანტიკით იყოს განპირობებული: სუბიექტი მოთხრობითში იმ გარდაუვალ ზმნებთან დაისმის, რომელნიც „აქტიურ“ მოქმედებას (ა დ გ ო მ ა, წ ა ს ვ ლ ა, დ ა მ ა ლ ვ ა, გ ა ხ დ ო მ ა და მისთ.) გამოხატავენ (53, გვ. 5 და შმდგ.).

ი. რ ო მ ე ლ მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით

რომელ ლექსემის ფუნქციას ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში სხვადასხვა დროს შეისწავლიდნენ: კ. დონდუა (5); მ. შანიძე (39), გ. როგავა (27), ი. იმნაიშვილი (11), ფ. ერთელიშვილი (6; 7), შ. ძიძიგური (46), არ. მარტიროსოვი (22), ა. კიზირია (19).

მკვლევართა უმრავლესობა ამ ლექსემის ძირითად ფუნქციად მიმართებითი ნაცვალსახელის გამოხატვას მიიჩნევს, ზოგი სპეციალისტი მიუთითებს, რომ რომელ ლექსემა ძველ ქართულში მაქვემდებარებელი კავშირის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. კ. დონდუა წერს: „მერმინდელ საფეხურებზე (და განსაკუთრებით 10—11 საუკუნეში) ადამიანის აღმნიშვნელი მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციებს „რომელი“-ს პარალელურად ნაცვალსახელი „ვინ“-ც ასრულებს, ხოლო „რომელ“→„რომე“→„რომ“ თანდათან სცვლის კავშირებს „ვითარმედ“-სა და „თუ“-ს. („ვიცი, რომ [ე] [ლ]“, „ფიქრობს, რომ . . .“). ასეთი მნიშვნელობით „რომელ“ უფრო ადრინდელ ტექსტებშიც გვხვდება. აი ერთი მაგალითი მერჩულის თხზულებიდან: ხოლო ესე აღმითქუთ, რომელ ჩემდა სიკუდიდმდჱ არა განჰმრაელდეთ ადგილსა ამას შინა (გ. ხ. 395-96)“ (5, გვ. 84 — 85).

ფ. ერთელიშვილი აღნიშნავს „არაიშვიათად რ ო მ ე ლ ნაცვალსახელის წრფელობითი ფორმა დამოკიდებული წინადადების წევრობის ფუნქციისაგან თავისუფალი ჩანს და კავშირად გვევლინება (აქვს მნიშვნელობა კავშირისა „რომ“)“ (6, გვ. 324; 7, გვ. 20). ავტორი ასახელებს ხუთ ნიმუშს X—XII საუკუნეთა წერილობითი ძეგლებიდან:

ვაწჳმო ჟამსა ოდენ ამას ხვალე სეტყუაჲ დიდადი. ფრიად, რომელ ეგევითარი არა ყოფილ იყოს, გამოსლვ. 9, 18; ესრეთ ვიხარკოთ, ძმანო, რომელ შეკრებაჲ ჩუენი ამას წმიდასა ადგილსა არა ცუდად იყოს, ცხრ. 77. 4; და ესეცა საკჳრველი გულისხმის-საყოფელ არს, რომელ ზაჭარია ურწმუნოებისა მისისათჳს დადუმებულ იყო, მრავალთ. 303, 12; მიერითგან ესრეთ განვთავისუფლდი მრავალ ჟამ, რომელ კუალიცა ვერა ვპოვე, მთწმ. 323, 27; იხილოს რაჲმე კეთილი წესი, რომელ ქრისტეანობასა შუენოდის და ჩუენ შორის არა იყოს, ხანძთ. მწ, 126.

უკანასკნელი მაგალითი არაა უდავო. აქ რომელ შეიძლება მიმართებით ნაცვალსახელად იქნეს გაგებული.

არ. მარტიროსოვის აზრით: „რომ კავშირის ჩამოყალიბების ნიშნები თითქოს ძველ ქართულშივე გვაქვს იმ რიგის მაგალითებში, როგორიცაა: რაჲ არს ესოდენი ესე მდუღარებაჲ სულისა თქუენისაჲ, რომელ ესრეთ გაიბულა“ ზარზმ. 162, 22—23“ (22, გვ. 286).

შ. ძიძიგური აღნიშნავს: „იმავე კონსტრუქციაში, რომელშიც მონაწილეობს რამეთუ—ვითარმედ, გვხვდება რომელ—რომე—რომ, და ეს საკავშირებელი ერთეული, როგორც ნორმა, დამახასიათებელია საშუალო და ახალი სალიტერატურო ენისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ რომელ არაა სულ უცხო ძველი ენისათვის. რამეთუ—ვითარმედ-ის გვერდით ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ რამდენიმე ნიმუში ისეთი კონსტრუქციისა, რომელშიც საკავშირებელ ერთეულად მოცემულია რომელ.

_ აი ზოგიერთი, ძალიან იშვიათი, მაგალითი:

რამეთუ ვჰგონებ, რომელ არცალა თუ კუალი იპოოს ადგილისა მის (ზარზმ. 164, 12); ხოლო აწ, ძმანო, გეტყჳ თქუენ ყოველნი ეგე, რომელ შემოკრებულ ხართ, საყუარელნო და სასურველნო ქრისტჱსანო (ბოლნ. 7. 7): ამას უქადაგებდა, რომელ არა აქუნდა ჴელთა შუშანიკისგან (შუშან. 4, 1, 28); ვიცით, რომელ ღმერთი შეგეწევის (გ. მთაწმიდ. 21, 1); დაუმოწმე, რომელ უჟამოდ არა მოვიდოდინ (გ. მთაწმიდ. 95, 4)“ (46, გვ. 185—186).

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს: რომელ ლექსემა რომ კავშირის ფუნქციით საკმაოდ ხშირად იხმარებოდა. რომელ ლექსემა რომ კავშირის ფუნქციით პირველად „სინურ მრავალთავში“ დასტურდება:

იკი სამე წერილი იგი საქმესა შინა მოციქულთასა, რომელ მოვიდა ჰინდოჲ ერთი საჭურისი წიაღ მდინარეთა მათგან, 158, 12—13; ესე იგავად თქუმულ არს და იგავისა მის გამოძიებაჲ დასაშჯელ არს აღსასრულსა, რომელ ჰეროდე აღუდგინა საკსენებელი ძმასა თჳსსა, იქვე 206, 21—22; ჰრქუა მას დედოფალმან: და, ვითარ, შენსა წინა რომელ ნათესაჲ იყო ველსა ზედა, იგი ყოველნი იჴსენებიან, ადგილი მათი და საფლავიცა მათი ჩანს, იქვე 241, 4—6.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის მითითებული რომელ ლექსემის რომ კავშირის ფუნქციით ოთხთავში ხმარებაზე. ამგვარ შემთხვევას უნდა გამოავლენდეს მარკოზის სახარების მე-9 თავის მე-3 მუხლი:

და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე სპეტაკ ფრიად, რომელ მურკვალმან ქუეყანასა ზედა ვერ უძლოს ესრე განსპეტაკებად C; შდრ.: და სამოსელი მისი იქმნა მბრწყინვალე და სპეტაკ, ვითარცა თოლი, რამეთუ ყოველსავე მურკნვალსა ქუეყანისასა ვერ ჴელ-ეწიფების ეგრეთ განსპეტაკებად DE.

როგორც დავინახეთ, ადიშის ოთხთავის **რომელ**-ის საპირისპიროდ ჯრუჭ-პარხლის ოთხთავებში რ ა მ ე თ უ გვაქვს, ეს კი უდავოდ ამტკიცებს, ადიშის ოთხთავში **რომელ** ლექსემის რ ო მ კავშირის ფუნქციით გამოყენებას.

X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გვხვდება მრავალი ანალოგიური ფაქტი:

და ჰრქუა მენაეთა მათ: კურთხეულ არს ღმერთი, აღმოიცსეთ აწ წყალი ზღჳსა ამისგან საჴმარად თქუენდა, **რომელ** ქმა-გეყოფეოდის, ლიმონ. 68, 16—18; ვჰმადლობ ღმერთსა, **რომელ** არაეის თქუენგანსა ნათელ-ვეც. იქვე 71, 6—7: აწ უკუე ისწრაფე, **რომელ** დააჴერო ღმერთი და არა კაცნი, მამ. სწაელ. 10, 13—14; და ჰყუნენ გარემოჰას მისა სასტიკებაჲ ქართაჲ და ძრვანი საშინელნი, და ქუხილნი საზარელნი, და მეხისტეხანი შესაძრწუნებელნი, **რომელ** ეგეცითარი არაოდეს ყოფილ არს და არცა ყოფაღ არს, იქვე 14, 7—9; და მარადის სიტყჳთა ჰყუედრინ და ჰგუემნ, ვითარცა კუერთხითა, და ეტყჳნ: ჩემგან მიკჳრს, **რომელ** შენ სახესა ალქატსა ცოლ-ჴეყავ, იქვე 116, 19—21 A: და იყოს ღაღადებაჲ ყოველსა ქუეყანასა ეგჳპტისასა, **რომელ** ეგეცითარი არასადა იყოს მერმე. კალ. ლექც. 106, 9—12 a; გიხაროდენ ქალწულო, **რომელ** გამოუთქუმელად სიტყუაჲ ღმრთისაჲ გუიშეე, იელ. იადგ. 3 r, 1—2; ვაწჳმო ჟამსა ოდენ ამას ხვალე სეტყუაჲ დიდად ფრიად, **რომელ** ეგეცითარი არა ყოფილ იყოს, გამოსლვ. 9, 18 O; ხოლო სეტყუაჲ იგი დიდ იყო ფრიად, **რომელ** ეგეცითარი არა ყოფილ იყო ყოველსა ქუეყანასა ეგჳპტისასა, ვინაჲთგან იყო მას ზედა ნათესავი, იქვე 89, 24 O: და იყოს ღაღადებაჲ ყოველსა ქუეყანასა, ეგჳპტისასა, **რომელ** ეგეცითარი ... არღა შეეძინოს ყოფად, იქვე 11, 6 O: და მერმე კუალად შჳდნი სხუანი ზროხანი აღმოვიდოდეს შემდგომად მათსა მიერვე მდინარით, ხენეშნი და საძაგელნი ხილვითა და მჳლენი ჴორცითა, **რომელ** არასადა მეხილნეს ეგეცითარნი საძაგელნი ყოველსა ეგჳპტჱსა, დაბ. 41, 19 O; ჰრქუა იოსებ ეზოას მოძღუარსა თჳსსა: აღდეგ, დეენა-უყავ კაცთა მათ, ეწიე და არქუ: რაჲსათჳს მომაგეთ მე ბოროტი კეთილისა წილ? რაჲსათჳს მიმპარეთ ბარძიმი ჩემი ვეცხლისაჲ? ანუ არა ესე არსა, რომლითა სუამნ უფალი ჩემი და იგი ზმნით იზმნინ ამით? ბოროტი აღასრულეთ, **რომელ** ესე ჰყავთ, იქვე 44, 4—5 O; ცუდად დაშურენ ერისა მის მიმართ, **რომელ** არაჲ არგოს მათ შეწევნაჲ, [არამედ] სირცხჳლი და ყუედრებაჲ, ესაია 30, 5 O: და ძეთა ისრაჱლისათა ფუცეს მასეფას მას დღესა შინა, **რომელ** კაცმან ჩუენგანმან არა მისცეს ასული თჳსი ბენიამენს ცოლად, მსაჯ. 21, 1 O; და აიძულა მას ვიდრემდის აუწყა და ჰრქუა: ჱ დედაო ჩემო, უწყოდე, რამეთუ დიდი ძრეაჲ და საშინელი მოიწევის ქუეყანასა ზედა, **რომელ** არაოდეს ყოფილ არს, Sin.-46 111 r, 2—6; და ჰკითხა ეშმაკთა მათ წმიდამან სჳმეონ და ჰრქუა: ვითარ იკადრეთ ესევითარი ყოფად კაცისა ამის ზედა,

რომელ დაჰკიდეთ თავდამოქცევით, იქვე 165 v, 16—19; და მე ვყო მას დღესა შინა საკჯრველი დიდი, რომელ ეგევითარი არა ქმნულ იყოს ჟამთა ამათ, სჯმეონ მესუეტ. 133, 14—15; ხოლო ღმერთსა რომელსა უნებს ყოველთა კაცთა ცხორებაჲ და უფროჲს და უმეტეს ინება მოწფისაჲცა მის ცხორებაჲ, ამისთჳს კუალად სათნო-იყო და მოვიდა, რომელ უჩუენოს მოწაფესა მას თჳსსა, ვითარცა იტყჳს, მრავალთ. 75 r, 13—20 b; და ეტყოდეს ბრძანე, რაჲთა ევედროს ღმერთსა, რომელ აუწყოს მათთჳს, რომელსა ადგილსა აღაშენონ ადგილი სიწმიდისა მისისაჲ, იქვე 94 r, 20—25 a; უკუეთუ არა ეგონოს სოფელსა, ვითარმედ ნიჭით ჩემთჳს ამას იტყჳს, არამედ სამართალ არს, რომელ მამამან ჩემმან ზეგარდამო უწამოს. ათონ. მრავალთ. 210 r, 14—18 a; მაშინ ევედრა ნეტარი ბაგრატ მოციქულსა, რაჲთა ნათელ-სცეს მონათა მისთა, რამეთუ ესოდენ სახიერი კაცი იყო, რომელ მონათათჳსცა დიდად ზრუნვიდა, ათ. ასკეტ. კრებ. 3 v, 19 b—4 r, 1 a, და მრავალი სხჳა.

ისტორიული დოკუმენტები ასახავენ **რომელ>რომე>რომ>რო** პროცესს:

ამად **რომე** თქუენისა გუარისა მოძღუარი ყოფილიყო, Ad.-4 (1260—1270 წწ.);

რაც **რო** ოქუროსა, ძმისწულსა, საქმე ედვას, Hd.-1358 (XIII ს., 1260 წლის მახლობლად).

ეს პროცესი შედეგია ამ ხშირად ხმარებული მორფემის გაცვეთისა, რაც ადასტურებს იმას, რომ **რომელ** ლექსემა **რომ** კავშირის ფუნქციით იმ დროის ცოცხალ მეტყველებაში საკმაოდ იყო გავრცელებული.

7. „მ ა შ ა“ კავშირისათვის ძველ ქართულში

მაშა ძველი ქართულისათვის დამახასიათებლად არაა მიჩნეული (46, გვ. 360). შ. ძიძიგური ასახელებს მაშა-ს ხმარების ორ ნიმუშს (46, გვ. 361).

ჩვენ მიერ შესწავლილ X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში დადასტურდა **მაშა** ლექსემის ხმარების რამდენიმე ათეული ფაქტი:

და უკუეთუ არა გნებავს შესლვაჲ ამას შინა, მაშა, მოვედ კათოლიკე ეკლესიად, ღიმონ. 10, 22—23; ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ ჴეშმარიტად გნებავს წარსლვაჲ ჩემი ამიერ, მაშა, შეძრენ სავრძელნი ესე, რომელთა ზედა ვზი, იქვე 30, 26—27; და უკუეთუ წმიდანი ანგელოზნი ამას წესსა ზედა არიან, მაშა, რაჲ ძეს ჩუენი ცილობასა და განრისხებასა თანა ურთიერთას, მამ. სწავლ. 267, 14—16 A; და უკუეთუ მრსე, რომელი განღმრთობილ იყო ქუეყანასა ზედა, ერთისა მცირისა სიტყჳსათჳს დაეყენა

შესლვად იერუსალიმდ, მაშა, რომელმან ენაჲ აღილესოს მოყუსისათჳს, რავდენ უფროის დაეყენოს იგი შესლვად სასუფეველსა ცათასა, იქვე 278, 9—12 A; ხოლო უკუეთუ აქამომდე ჴსენებაჲ მათი დადგრომილ არს გონებასა შენსა, მაშა, იგლოვდი და ტიროდე მათთჳს, იქვე 284, 31—285, 1 A; და უკუეთუ გლახაკთმოწყალებისათჳს გნებავს პყრობაჲ ჴელთსაქმრისა შენისაჲ, მაშა, უწყებულ იყავ, ლოცვაჲ წესიერებრი უმჯობეს არს გლახაკთმოწყალებასა, ათ. ასკეტ. კრებ. 276 v, 20 b—277 r, 5 a; უკუეთუ ანტონის და არსენის კრძალვაჲ ერგების და სივლტოლაჲ შეეწევის, მაშა, რავდენ უფროჲს უსუსურთა და უძლურთა, იქვე 281 r, 2—8 b; ხოლო უკუეთუ შეიწყნაროს ქებაჲ იგი, მაშა, მუშაკი არს უსაყიდლოჲ, იქვე 293 r, 1—4 b; უკუეთუ უსუსურ ხარ და ვერ შეგიძლია, მაშა, ბოროტსა ოდენ ნუ უზამ ბოროტისა წილ, იქვე 300 v, 9—11 b; თქუა მამამან ესაია, რომელი აბრალებდეს ძმასა თჳსსა, გინა ძჯრსა იჴსენებდეს, ანუთუ ძჯრსა ზრახვიდეს სხუათა წინაშე, გინათუ ასწავებდეს გულისწყრომით, მაშა, შორს არს იგი წყალობისაგან, იქვე 305 r, 18 a—305 r, 3 b; უკუეთუ თჳნიერ სინანულისა მოვიდეს მისა, მაშა, ქმარიცა თანაზიარვე არს ცოდვასა ცოლისასა, H-622 5 v, 16—19; უკუეთუ არა იყოს ესრე, მაშა, არა აქუს ქრისტიანეთა ჴელმწიფებაჲ, იქვე 12 v, 15—16; უკუეთუ ეგრეთ არს, ვითარ იგინი იტყჳან, მაშა, აჰა ესერა, მრავალთა გაუტეევს ჩუეულებაჲ თჳსი, იქვე 29 v, 11—13; არათჳ ეგრე გეტყჳ: თჳ ეშმაკსა ძალ-რაჲმე-უც? — უკჳეთჳმცა არა, მაშა, ვერმცა ვინ შეუძლო კეთილისა საქმედ, Sin.-35 262, 19—22 b; ჴკჳეთჳ სიმდაბლჱ აღამაღლებს ჴგჳნჳრსა, მაშა, ბრძენი და პატიოსანი რავდენ უფროჲს ამაღლდენ, იქვე 266, 13—16 a; ჴკჳეთჳ ხილვაჲ საქმეთა მისთაჲ სარგებელ ეყოფვის მხედველთა მისთა, მაშა, რავდენ ჴფროს განგებანი მისნი და სწავლაჲ პირისა მისისაჲ, იქვე 266, 29 a—267, 3 b; და ჴკჳეთჳ სწყალობდე და გინდეს მოქცევაჲ ძმისა შენისაჲ სიმართლედ, მაშა, გელმისმცა ნაცვალად მისა, იქვე 267, 28—31 a; უკჳეთჳ ამას საზომსა მიწევნულ ხარ და შემდგომად ამისა იწყოს მჴრვალებამან შენმან, რაჲთამცა განგრილდა, მაშა, უბადრუკო, რაჲ ესე იქმნა; წარწყმედულ ხარ, იქვე 269, 19—24 a; გარჱშჱთა კაცობითა იქმ საქმესა ღმრთისასა და შინაგანი კაცი აქამომდე უნაყოფოდ არს, მაშა, ოდეს მიწიოს (!) საყრფელსა ცრემლთასა, მას ჟამსა სცნა, ვითარმედ გული გამოსრულ არს დილეგისაგან, იქვე 274, 11—18 a; და ჰქონდის მას დაცვაჲ მცირედ ღამისთევათა თანა, მაშა, მე ვიტყჳი მართალსა, ფართოებითა განფრინდეს გული მისი შემდგომად მცირეთა ჟამთა, იქვე 275, 1—5 a; დაღაცათუ დარჩე ფსალმუნებისაგან და საქმისაგან ლოცვათაჲსა და გალობისა და სიმრავლისაგან მუჴლთა დრეკისათა, ვითარცა ჩჳევლებაჲ არს ლოცვასა შინა, მაშა, და-ხოლოდენ-ჯედ, უკჳეთჳ შემძლებელ იყო, მღჳძარე იყავ. იქვე 276, 1—7 b; და ჴკჳეთჳ გლახ(აკ)თმოწყალებისათჳს გნებავს პყრობად

